ილია ჭავჭავაძე

ამას ვამბობ და ვლალადებ...

ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის
საჯარო საზოგადოება „სტავნის“
საგამომცემლო ცენტრი

ქუთაისი
1997

წინამდებარე წიგნი ქართველი ხალხის სულიერი მოძღვრისა და მოზარის, ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, ბუმბერაზი მოაზროვნისა და სწორუპოვარი მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის აფორისტულ გამონათქვამთა ყველაზე სრული კრებულია. რაც კი ოდესმე გამოცემულა.

ილია ჭავჭავაძის გამონათქვამები საპროგრამო თეზისებად უნდა იქცეს ყველა ქართველისათვის.

ეს სამაგიდო წიგნი უნდა გახდეს მათთვის, ვისაც სამშობლოს შველა და ჩვენი ხალხის გიწიერი ზნეობის წამლობის სურვილი გასჩენია.

რედაქტორ-შემდგენლები: გივი ლოგუანიძე — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გიორგი გაგუნია — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

რედაქტორ-შემდგენლები უღრმეს მადლობას წირავენ ბატონებს: ავთანდილ სილაგაძეს, ნუგზარ ნადარაიას, ოლეგ ნიკოლეიშვილს, დავით ლაფაჩიშვილს, ლევან ჯაფარიძეს, ჯემალ გორგოძესა და ზურაბ გვიშიანს წიგნის გამოცემის საქმეში გაწეული დახმარებისათვის.

რედაქტორ-შემდგენლებისაგან

იღია ჭავჭავაძის (1837-1907) უმდიდრესი მხატვრულ-ლიტერატურული, პუბლიცისტური და ეპისტოლური მემკვიდრეობის (ისევე, როგორც ამ სულმნათი მამულიშვილისა და ჭეშმარიტი ერისკაცის ღრმაშინაარსიანი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის) საფუძვლიანად შესწავლა-გაანალიზებას ქართულ ლიტერატურათმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში არაერთი საკვალიფიკაციო ნაშრომი, მრავალი სპეციალური გამოკვლევა, მონოგრაფია თუ პუბლიკაცია მიეძღვნა, რომლებშიც სრულიადაა წარმოჩენილი წმინდა ილია მართლის ბრძნული ნაღვაწ-ნაგრინაზულევი. მიუხედავად ამისა, ეჭვგარეშეა, რომ მომავალში კიდევ ბევრი ითქმება და დაიწერება ი. ჭავჭავაძის შემოქმედებისა და გრანდიოზული ქვეყმოქმედების შესახებ, ვინაიდან მისი, როგორც უდიდესი პიროვნებისა და ღრმად მოაზროვნის, ფენომენი ისევე ამოუწურავი. უძირო და დაუშრეტელია, როგორც თვით ის მადლიანი ენა, რომელზედაც ეს ღმერთკაცი ჰქმნიდა თავის უკვდავ ნაწარმოებებს და რომლის სიწმინდისა და შეუბღალველობის სადარაჯოზე სიცოცხლის ბოლო წუთამდე იდგა მუდამ ენამჭევრი და კალამმომარჯვებული.

ი. ჭავჭავაძის მრავალსასოვანი ნაფიქრ-ნააზრი, რომელიც იმთავითვე იქცა ქართველი ხალხის სულიერი სიმდიდრის მშვენებად, მართალია, ერთ მთლიან განძეულობას წარმოადგენს, მაგრამ ისევე, როგორც ნებისმიერი საგანძური შეიცავს განსაკუთრებული ელვარების მქონე ძვირფას მარგალიტებს, ასევე ი. ჭავჭავაძის მხატვრულ, ისტორიულ, ეკონომიკურ, სოციოლოგიურ და პუბლიცისტურ ხასიათის ნაწერებშიაც, ამდაგვარი მარგალიტების დარად, უხვადაა გაბნეული ილიასეული აფორიზმები, სენტენციები, მაქსიმები, ეპიგრამები და სხარტულები, ადამიანის ჭკუა-გონების ეს ჭეშმარიტი საგესავები, რომელთა შეკრება, სისტემატიზაცია და შესწავლა კიდევ უფრო მეტად გაასხივოსნებდა ჩვენი დიდი წინაპრისა და მარად თანამედროვე გენიოსი მოაზროვნის ბუმბერაზ ფიგურას. ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის თქმისა არ იყოს: „დიდება ილიასი მით უფრო იმატებს, რაც უფრო ზედმიწევნით გაიცნობს ქართველობა ნამდვილს ილიას, შეიგნებს იმის მდიდარს და წმინდა ქართულს ენას, მისს მაღალს აზრებს, პროგრესულს ილიაღებს, მისს დემოკრატიულს მიმართულებას“ (ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 4, გვ. 177).

როგორც ცნობილია, „ივერიის“ მოწინავეები (აგრეთვე „დროების“ ზოგიერთი მოწინავე), რომლებიც ი. ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის, ხელმოუწერელია. რაც შეეხება იმდროინდელ პერიოდულ პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ დიდი იღიას პროზაულ თუ პოეტურ ნაწარმოებებს, ფელეტონებს, სხვადასხვა შენიშვნებს, აღრესებსა და სამადლობელ მარათებს, მათ ერთ ნაწილს (უმთავრესად, მხატვრულ ქმნილებებს) უზის ავტორისეული ხელმოწერა, ხოლო ამ ნაწერების უმრავლესობა გამოქვეყნებულია ი. ჭავჭავაძის შემდეგი ფსევდონიმებით, ასტრონიმებითა და კრიპტონიმებით: „ახალმოსული“, „ბ. ვ.“, „გ. ჩ.“, „ზუმბერიძე“, „თქვენი თანამშრომელი“, „ივერიელი“, „ი. ივერიაძე“, „ღარიძე“, ი. ღიახვისპირელი“, „ი. მაწყვლიძე“, „ი. მიწოლიძე“, „მაქსიმე ლოლანიძე“, „სფირიდონ ჩიტორელიძე“, „ფირუზა“, „ჩვენ უჩინონი“, „ჯიბრაილი“, „მ. ჯიმშერიძე“, „ი“, „ი. ჭ“,„ჭ“, „N“, „x“, „z“. გარდა ამისა, „ივერიაში“ დაბეჭდილ ი. ჭავჭავაძის რამდენიმე ხელმოუწერელ აფორიზმს გაკეთებული აქვს ზოგს ერთი ვარსკვლავი (*), ზოგს — ორი (**), ზოგს — სამი(***), ზოგს — ოთხი (****) და ზოგსაც ხუთი ვარსკვლავი (*****).

ი. ჭავჭავაძის რამდენიმე აფორიზმი, სენტენცია, სხარტული და სხვა სახის ბრძნული გამონათქვამი გამოქვეყნდა, როგორც „ივერიის“ ფურცლებზე ღიდი იღიას მიერ შემოლებულ რუბრიკაში „დამაკვირდი“, ასევე სხვა პროგრესული მიმართულების ჟურნალ-გაზეთსა და ცალკე შედგენილ კრებულში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-90-იან წლებსა და მე-20 საუკუნის დამლეგს. (იხ.: „ივერია“, 1886, №№ 80, 85, 97, 100, 104, 117, 119, 137, 141, 155, 176, 179, 187; 1894, №№ 122, 142, 146, 201, 207 (რუბრიკით: „დამაკვირდი“); 1904, №№ 264, 267, 277, 279 (რუბრიკით: „ქართული სიბრძნე (მგოსანთა ნათქვამიდან“); „თეატრი“, 1886, №№ 26, 27, 29, 31 (რუბრიკით: „ჭკუის საღარო“); „დამაკვირდი ანუ აფორიზმები ძველთა და ახალთა ბრძენთა, მეცნიერთა და გამოჩენილთა კაცთა მიერ თქმული“, ტფ., 1887, გვ. 73-77; „ლექსები ილია ჭავჭავაძისა“, ტფ., 1904, გვ. 59-61; ი. გოგებაშვილი, „ბუნების კარი“, თბ., 1906, გვ. 309; იგივე, 1907, გვ. 286; „ჩვენი შწერლობა. 1. მგოსნები. ბიოგრაფიებით და ლექსიკონით. შედგენილ-გამოცემული ს. ნ. გორგაძის მიერ“, თბ., 1907, გვ. 67, „ილია ჭავჭავაძის აფორიზმები“ (იხ.: „ნიშადური“, № 4, 1907, გვ. 10-11; „ისარი“, № 286, 1907, გვ. 3; „შინაური საქმეები“, № 7, 1912, გვ. 7; „განთიადი“, № 15, 1915, გვ. 15); ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. I, ტფ., 1914, გვ. 111-114; „ქართველო ხელი ხმაღს იკარ! (იხ.: „საქართველო“, № 190, 1917, გვ. 2) და სხვ.).

ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართველ მკითხველთა წიგნის თარო შეივსო ღიდი ილიას ბრძნული გამონათქვამების შემდეგი კრებულებით: 1. ილია ჭავჭავაძე, „აფორიზმები. (ამოკრებილი ბორის კანდელაკის მიერ“),

თბ., 1957; 2. იღია ჭავჭავაძე, „სხარტუღა. (ამოკრებიღია ბორის კანდეღაკის მიერ)", თბ., 1962; 3-4. „დამაკვირდი. (აფორიზმები და სენტენციები „ივერიიდან" ამოკრიბა, შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო აღ. სიგუამ)", თბ., 1965 და 1987 (მეორე გამოცემა); 5. „დამაკვირდი. (გაზეთ „ივერიიდან" ამოკრიბა და შეადგინა აღექსანდრე სიგუამ)", თბ., 1970; 6-7. იღია ჭავჭავაძე, „ჭკუა ურჩევს, ენა იტყვის. (ამოკრიბა ბორის კანდეღაკმა)", თბ., 1978 და 1987 (მეორე გამოცემა); 8. „იღია ჭავჭავაძის ბრძნული გამონათქვამები. (შეადგინა ცსანიკიძემ)", თბ., 1986; 9. ი. ჭავჭავაძე, „მოთხრობები და აფორიზმები. შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა ღ. ხარებათმა", ცხინვალი, 1987 (ოსურ ენაზე); 10-11. იღია ჭავჭავაძე, „აზრები (შეადგინა გ. კაღანდარიშვიღმა)", თბ., 1988 და 1989 (მეორე გამოცემა).

დიდი იღიას რამდენიმე ათეული ბრძნული შეგონება დაიბეჭდა შემდეგ კრებულებში: 1. „საღაღობო საუბარი. შეადგინა ეთერ გეღაშვიღმა", თბ., 1957; 2. „იღია ჭავჭავაძე ენის შესახებ. შეადგინა ეთ. გეღაშვიღმა", თბ., 1960, გვ. 66; 3. „აზრთა კონა. (შემდგენელი აღექსანდრე გვეტაძე)", თბ., 1962; 4. „ბრძნული აზრების სამყაროში", თბ., 1967; 5. გ. ნიშნიანიძე, „სიციღის არქივიდან. სატირა რევოღუციის სამსახურში", თბ., 1971, გვ. 5; 6. „ანდაზები, აფორიზმები. შეადგინა აღექსანდრე ჩავღეიშვიღმა", ბათ. 1977, გვ. 8, 12, 13, 16, 19, 20, 21, 27, 36; 38; 39, 40, 41, 44, 48, 56, 57, 58, 61, 64, 76, 77, 78; 7. „იღია ჭავჭავაძე 150. საიუბიღეო კრებული", თბ. 1987, გვ. 7-8; 8. „სიბრძნის საუნჯე. კომპოზიცია ვახტანგ კუპრავასი", თბ., 1987; 9. „მწიგნობარი", თბ., 1987, გვ. 30, 94, 122, 146, 178; 10. აკაკი გეღოვანი, „სიბრძნის სიმფონია", თბ., 1989, გვ. 693-704; 11. „ეფრემ-ვერდი", თბ., 1989, გვ. 245 და სხვ.

ი. ჭავჭავაძის 14 ბრძნული სტროფი, რუბრიკით „დამაკვირდი", შეტანიღია წმინდა იღია მართაღის თხზუღებებისა და რჩეული ნაწერების შემდეგ გამოცემებში: 1. „თხზუღებანი იღია ჭავჭავაძისა", ტ. I, 1892, გვ. 279-292; 2. ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრ. კრ: ტ: I, ტფ:, 1929, გვ: 91-94; 3. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ხუთ ტომად, ტ. I, თბ:, 1937, გვ. 102-105; 4. ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული ათ ტომად, ტ. I, თბ., 1951, გვ. 106-109; 5. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ორ ტომად, ტ. I, თბ., 1977, გვ. 108-111; 6. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1985, გვ. 120-123; 7. ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრული კრებული ოც ტომად, ტ. I, თბ., 1987; გვ. 155-158.

ი. ჭავჭავაძის დიდაქტიკურ-შემეცნებითი და აღმზრდეღობითი ხასიათის ბრძნული აზრები მეტ-ნაკეღები სისრულით გამოქვეყნებულია ქართულ

საბჭოთა პრესაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი პუბლიკაციები და კომპოზიციები: 1. „იღიას აზრები ლიტერატურასა და სელოვნებაზე" („ლიტერატურული საქართველო", № 10, 1937, გვ. 3); 2. „იღია ჭავჭავაძე რუსული ენისა და ლიტერატურის შესახებ" („კომუნისტი", № 270, 1953, გვ. 2); 3. „იღია ჭავჭავაძის აფორიზმები და გამოთქმები (შეკრიბა ედ. ვაღელმა)" („წითელი დროშა", №№ 121, 126, 1957, გვ. 2; გვ. 2-3); 4. „იღიას ბრძნული სიტყვები" („გამარჯვების დროშა", № 126, 1957, გვ. 2); 5. „იღიას აფორიზმები და ხატოვანი სიტყვა-თქმანი" („სტალინის დროშა", № 88, 1957, გვ. 2); 6. „იღიას ბრძნული აზრები" („კომუნიზმის სხივი", № 86, 1957, გვ. 2); 7. „იღიამ თქვა, ხალხმა აიტაცა" („ლენინის დროშა", № 126, 1957, გვ. 1); 8. „იღიას შეგონება ახალგაზრდებს" („აღაზნის განთიადი", № 18, 1957, გვ. 2); 9. „ასე ამბობდა მგოსანი" („სოფლის ცხოვრება", № 231, 1962, გვ. 4); 10. „სიბრძნის წყარო", („სოფლის ცხოვრება", № 232, 1962, გვ. 2-3); 11. „იღიას აფორიზმები" („მებრძოლი", № 119, 1962, გვ. 3); 12. ი. ჭავჭავაძე, „ჭკუის სარკე" (შეკრიბა ს. სხირტლაძემ) („სოფლის ცხოვრება", № 19, 1973, გვ. 4); 13. „მჭერმეტყველება (შემდგენელი ე. გიორგაძე)" („ახალგაზრდა კომუნისტი", № 19, 1974, გვ. 3); 14. „იღია ჭავჭავაძის მიერ ზოგიერთი ბრძნული გამონათქვამები" („განახლებული მესხეთი", № 34, 1978, გვ. 4); 15. „იღიას აფორიზმები" („წითელი დროშა", № 48, 1978, გვ. 4); 16. „იღია ჭავჭავაძის გამონათქვამებიდან" („დარიალი", №48, 1978, გვ. 4); 17. ა. ძეგისაშვილი, „დიალოგი იღია ჭავჭავაძესთან" („ბახტრიონი", № 58, 1978, გვ. 3); 18. ი. ჭავჭავაძე, „დამაკვირდი" („განთიადი", № 63, 1978, გვ. 1); 19. „იღიას უთქვამს" („ყვარელი", № 128, 1982, გვ. 2); 20. „იღიასეული გაკვეთილები. გასაუბრება დიდ წინაპართან" („კომუნისტი", № 175, 1985, გვ. 4); 21. „პირველი ქროლა ახალის ცხოვრებისა. გასაუბრება დიდ წინაპართან" („თბილისი", № 300, 1985, გვ. 4); 22. „გასაუბრება იღიასთან (შეადგინა ტ. სართანიამ)" („საბჭოთა ოსეთი", № 29, 1986, გვ. 4); 23. „აზრთა საუფლოში. გასაუბრება დიდ წინაპართან" (გ. შალამბერიძის კომპოზიცია) („თბილისი", № 206, 1986, გვ. 4; „სამშობლო", № 24, 1986, გვ. 6); 24. „ბრძნული აზრების წყაროსთვალი. (შეკრიბა ვ. შავგულიძემ)" („სოფლის ცხოვრება", 1986, №№ 181, 187, 200, 222, 239, 264, 266, გვ. 4; 1987, №№ 3, 21, 30, 39, 43, 62, 67, 96,

106, 186, 204, გვ. 4); 25. „დიდი იდია ბრძანებდა“ („კრიტიკა“, № 6, 1986; № 7, 1987); 26. „მხნედ იყავ და გაძლიერდი!..“ („სოფლის ცხოვრება“, № 1, 1987, გვ. 1); 27. „ი. ჭავჭავაძე, „ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ“. (შეკრიბა ა. სიხარულიძემ)“ („ლენინელი“ (სპი), № 3, 1987, გვ. 3); 28. „სიბრძნის გამონაშუქი — გასაუბრება დიდ წინაპართან (გ. შალამბერიძის კომპოზიცია)“ („თბილისი“, № 243, 1987, გვ. 5); 29. „დიდი იდიას უკვდავი სტრიქონები“ („საქართველოს პოლიგრაფია“, № 3, 1987); 30. ნ. სახვაძე, „ჩვენდა ანდერძად, ჩვენდა საწვრთნელად“ („თბილისი, № 200, 1987, გვ. 3); 31. „იდიას სიბრძნის წყაროდან. გამრჯელი ჩვენში მარტო სოფელია. შეკრიბა მ. ვანიშვილმა“ („სოფლის ცხოვრება“, № 223, 1987, გვ. 4); 32. „სიბრძნის წყაროსთვალი“ („კომუნისტი“, № 244, 1987, გვ. 1); 33. „იდია ჭავჭავაძე ცოდნისა და განათლების შესახებ“ („საბჭოთა ოსეთი“, № 168, 1987, გვ. 2); 34. „სარკე საზოგადოების ცხოვრებისა. მოამზადა ლ. ბარბაქაძემ“ („საქართველოს პოლიგრაფია“, № 3, 1987, გვ. 5); 35. „იდიას გამონათქვამები“ („საქართველოს პროფკავშირები“, № 10, 1987, გვ. 11); 36. „იდია — 150“ („იდია“, № 1, 1987, გვ. 2, 4); 37. „სიბრძნის წყარო. (ს. ნუცუბიძის პუბლიკაცია)“ („სახალხო განათლება“, № 49, 1989, გვ. 9); 38. „სიბრძნე იდიასი“ („სახალხო განათლება“, № 45, 1990, გვ. 16); 39. „იდია ბრძანებდა. ამოკრიბა მარინე ზააღიშვილმა“ („ყვარელი, № 133, 1990, გვ. 3); 40. „დიდი იდიას საგანძურიდან“ („ვეტერანი“, №№ 3, 4, 5, 1991, გვ. 3); 41. „იდიას აზრები“ („ახალი ივერია“, №№ 2, 8, 10, 1991, გვ. 1, 1, 2); 42. „იდია გვასწავლის“ („ახალი ივერია“, № 12, 1991, გვ. 1); 43. „ვინც მხნეა, ის ძლიერია. გასაუბრება დიდ წინაპართან. მოამზადა მარინე მაისურაძემ“ („თბილისი, № 21, 1992, გვ. 3); 44. „იდია გვასწავლის“ („ახალი ივერია“, №№ 16, 17, 1994, გვ. 1, 1-2) და სხვ. გარდა ამისა, ი. ჭავჭავაძის ოთხი სენტენცია დაიბეჭდა „აკოლა და ცხოვრებაში“ („იხ.: № 6, 1990, გვ. 13,73), ხოლო სამი — „საქართველოს რესპუბლიკაში“ (იხ.: № 199, 1994, გვ. 1).

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრულ კრებულში (ათტომეულში) გაბნეული იდიასეული მადლიანი სიტყვის ნაპერწკლები ყველაზედ სრულყოფილად მოიძია, თემატურად განაგა და წყაროების მითითებით გამომაზეურა მკვლევარმა ი. ბეროშვილმა (იხ.: „ყვარელი“, 1984, №№ 127, 129, 130, 132-133, 135, 147; 1985, №№ 15, 49, 65, 68, 117, 121, 122, 123, 125, 152; 1986, №№ 1, 3, 9, 10, 12, 23, 24, 26; 62;

65. 68, 71, 74, 80, 81, 84, 86, 87, 88, 94, 111, 112, 119, 120, 132; 134, 135, 136, 137, 141, 148, 154; 1987, №№ 1, 2, 5, 18, 19, 20, 23, 30, 33, 42, 46, 60, 63, 64, 70).

აი, ის ძირითადი გამოქვეყნებული მასალა, რომელიც ი. ჭავჭავაძის ბრძნული აზრების შესახებ ჩვენ ხელთ გვქონდა წინამდებარე კრებულზე მუშაობის პროცესში. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოდასახელებულ თითქმის ყველა კრებულში დიდი იღიას, ფაქტიურად, ერთი და იგივე გამონათქვამებია შეტანილი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ეს კრებულები ღამის იდენტური არიან (გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ გ. კალანდარიშვილისა და, განსაკუთრებით, ც. სანიკიძის მიერ შედგენილი კრებულები) და აქედან გამომდინარე, ისინი ი. ჭავჭავაძის ღვთაებრივი გონების ნალაგს ვერც შინაარსობრივად და ვერც მოცულობით სრულად ვერ წარმოაჩენენ. სწორედ ამ ხარვეზის ნაწილობრივად შევსების ერთობ მოკრძალებულ მცდელობას ისახავს მიზნად წინამდებარე გამოცემა, რომელშიც თემატურად, ანბანის რიგზე და წყაროების ჩვენებით განვაგალგეთ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულიდან ამოკრებილი აფორიზმები, სენტენციები, სხარტულები, ეპიგრამები, რამდენიმე იამბიკო და ა. შ. (კრებულში რომაული ციფრებით ვუთითებთ ხსენებულ თხზულებათა შესაბამის ტომს, ხოლო არაბული ციფრებით — გვერდს). გარდა ამისა, კრებულისათვის საჭირო დიდძალ მასალას მივაკვლიეთ ი. ჭავჭავაძის იმ მრავალრიცხოვან უცნობ სტატიებში, წერილებში, საარქივო დოკუმენტებსა და ხელნაწერებში, რომლებიც მოვიძიეთ, როგორც ოფიციალური ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული საძიებლების*, ასევე უალრესად კომპეტენტურ მკვლევართა ცალკეული პუბლიკაციების მეშვეობ-მეოხებით**. აქვე, საგანგებოდ უნდა მოვიხსენოთ თ. სანიკიძის ზედმიწევ-

---

* იხ.: 1. „ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები გაზ. „ივერიიდან“ (1886-1892 წწ.)“, (გამოვლენილი თ. მაჭავარიანისა და პლ. კეშელავას მიერ), რვ. I, ნაწ. 1-3, თბ., 1963 (ეს მასალა ინახება საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებაში); 2. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ტ. III, ნაკ. II, ტ. IV; ტ. V, ნაკ. I და II; ტ. VI, ნაკ. I; 3. თ. ნაკაშიძე, ნ. კორძაია, „ილია ჭავჭავაძე, ბიობიბლიოგრაფია“, თბ., 1966 და 4. ი. გიორგაძე, ნ. გურგენიძე, „ილია ჭავჭავაძე — ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე. ბიბლიოგრაფიული ქრონიკა. (1837-1907)“, თბ., 1987.

** იხ.: ვ. აბაშმაძის, გ. აბზიანიძის, ნ. აბზიანიძის, ნ. ალანიას, ლ. ასათიანის, ალ. ბარამიძის, შ. ბარამიძის, ა. ბაქრაძის, ი. ბეროშვილის, ი. ბოცვაძის, ქ. ბურჯანაძის, დ. გამეზარდაშვილის, გ. გაჩეჩილაძის, ა. გაწერელიას, ო. გიორგაძის, ვ. გოგოლაძის, დ. გოგოჭურის, შ. გოზალიშვილის, ვ. გორგოძის, ი. გრიშაშვილის, მ. გუგუშვილის, ნ. გურაბანიძის, ვ. გურგენიძის, შ. ვაშაყმაძის, ვლ. ზამბახიძის, ა. თა-

ნით სასარგებლო ნაშრომი: „იღია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონი“ (თბ., 1986) და 1987 წელს ცხინვალში გამოცემული კრებული: „პედაგოგიური ტერმინოლოგიის მასალები ი. ჭავჭავაძის ნააზრევში“, რომლებმაც დიდი იღიას ბრძნული გამონათქვამების (უმთავრესად, სტროფებისა და ცალკეული ტაეპების), კვლევა-ძიებასა და დადგენა-დაზუსტებაში მეტად მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწიეს.

ი. ჭავჭავაძე, რომელმაც, ი. გრიშაშვილის თქმისა არ იყოს, ძალიან კარგად „...იცოდა თავისი სიტყვების ძალა“ (ი. გრიშაშვილი, თხზ., კრ: ტ. 5, თბ., 1965, გვ. 355), საკუთარი აზრების გასამყარებლად მაინც ხშირად მიმართავდა ხოლმე ძველ ქართულ მწერლობას. სწორედ ამიტომ, მის მხატვრულ ქმნილებებსა და კრიტიკულ-პუბლიცისტურ თხზულებებში უხვად გვხვდება შ. რუსთაველის, დ. გურამიშვილის, არჩილის, ვახტანგ VI, ბესიკის და სხვა დიდებულ წინაპარ მოაზროვნეთა აფორიზმები, აგრეთვე, გონებამახვილური სტროფები „ქილილა და დამანადან“.* ივის გამო, რომ ი. ჭავჭავაძე თავის ნაწერებში ძირითადად არ უთითებს ამ, ასე ვთქვათ, „ნასესხები“ აფორიზმების ავტორებს, რის შედეგადაც ზოგიერთ ზემოაღნიშნულ კრებულში ისინი შეტანილია, როგორც დიდი იღიას შეგონებანი, რაც, ცხადია, გარკვეულ უხერხულობას იწვევს, ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით წინამდებარე კრებულში მათ შესახებ შესაბამისი შენიშვნები გაგვეკეთებინა.

ვაძის, მ. თავდიშვილის, ბ. თათარაშვილის, ლ. თაქთაქიშვილ-ურუშაძის, ა. თელიას; გ. თუმანიშვილის, მ. იამანიძის, ვ. იმნაიშვილის, რ. იმნაძის, პ. ინგოროყვას, ა: იოვიძის, ა. კალანდაძის, ზ. კალანდაძის, მ. კანდელაკის, ა. კენჭოშვილის, ი. კენჭოშვილის, პ, კეშელავას, ტ. კვანჭილაშვილის, მ. კეკატაიას, თ. კობალაძის, ა. კოკლავაშვილის, ვ. კუპრავას, რ. კუსრაშვილის, დ. ლაშქარაძის, ს. ლეკიშვილის, ი. ლორთქიფანიძის, ი. მაისურაძის, თ. მანგოშვილის, შ. მარკოზაშვილის, თ. მაკავარიანის, ა. მახარაძის, ლ. მენაბდის, ვ. მეტრეველის, ლ. მინაშვილის, გ. ნადირაძის, გ. ნატროშვილის, დ. ნაცვალაძის, ვ. ჟვანიას, ო. ჟორდანიას, პრ. რატიანის, შ. რევიშვილის, შ. როსტომაშვილის, ლ. სანაძის, ტ. სართანიას, თ. სახოკიას, ა. სიგუას, ვ. სიდამონიძის, ქ. სიხარულიძის, ზ. სტურუას, ს. სხირტლაძის, ნ. ტაბიძის, ნ. ურუშაძის, კ. ფორჩხიძის, ო. ქინქლაძის, ს. ქოჩლაძის, თ. ღლონტის, ნ. შალამპერიძის, ნ. შალუტაშვილის, რ. შამელაშვილის, გ. შარაძის, ზ. შერაზადიშვილის, დ. შველიძის, დ. შუღლიაშვილის, ნ. ჩიტაურის, მ. ჩიქოვანის, ა. ჩხეიძის, სოლ. ცაიშვილის, ელ. ცხაკაიას, ლ. ჭრელაშვილის, ზ. ჭუმბურიძის, ვ. ხაბურძანიას, ნ. ხომერიკის, ს. ხუციშვილის, ა. ჯორჯაძის, გ. ჯიბლაძის, თ. ჯიბლაძის, პ. ჯორბენაძის და სხვა ავტორთა პუბლიკაციები.

* ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ მ. ალავიძის, ალ. ბარამიძის, ვუკ. ბერიძის, მ. გუგუშვილის, დ. ბრეგაძის, ლ. მენაბდის, ტრ. რეხაძის, სარგ. ცაიშვილის და სხვა მკვლევართა ნაშრომებს.

ი. ჭავჭავაძის მრავალსახოვანი მხატვრულ-ლიტერატურული, პუბლიცისტური, კრიტიკული და ეპისტოლური ნაწერებიდან შერჩეული რამდენიმე ათეული დიდაქტიკური აზრისათვის რომ დასრულებული ფრაზის ფორმა მიგვეცა, ჩვენ გავბედეთ სათანადო სიტყვებით მათი შევსება (ვიმედოვნებთ, ეს კაენიერებაში არ ჩაგვეთვლება) და მკითხველი საზოგადოებრიობისათვის ისე მიწოდება. რაც შეეხება იმას, თუ ამ ოპერაციების ლრო̀ რამდენად შევძელით იდიასეული სტილისა და ხელწერის შენარჩუნება, ამის განსჯა, ისევე, როგორც მთელი კრებულის ავკარგიანობის ობიექტურად შეფასება, ქართველი ხალხის საქმედ მიგვაჩნია და ამიტომ ეს მკაცრი მისია მისთვის მიგვინდია.

...ჩვენს მკითხველს ჩვენს ამრონაფიქრებს, ვაუწყებთ სმენისა და გაგრძნობისათვის... მკითხველო, დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე.

ილია ჭავჭავაძე

1. ადამიანის ბუნების, რაობის, დანიშნულების, ვალდებულებისა და მოვალეობის შესახებ

1. ...ადამიანები განა მარტო მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, არა-შედ მომქმედნი პირნიცა. ცხოვრება არის თითონ ამ პირთა ქმნილება ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული. (III, 259).

2. ადამიანი არც ერთს კეთილს ისე არ მისწდომია, რომ ჯერ ბევ-რჯელ ფეხი არ წამოეკრას, არ წაქცეულიყოს, არ შემცდარიყოს. მისდა საბედნიეროდ, ამ წაქცევ-ადგომით სვლას-კი არ შეუყენებია იგი, არამედ ჭკუა უსწავლებია და, რაც ავი და კარგი გარდახედია, ყოვე-ლიეე ის გამოუყენებია შემდეგისათვის და უფრო ძლიერ წინ წასულა. („ივერია", № 25. 1892, 1).

3. ადამიანი ბუმბული ხომ არ არის, რომ ქარი ხან აქეთ ატრიალებ-დეს და ხან იქით! (III, 425).

4. ...ადამიანი ერთი იმისთანა სულიერია, რომელიც ერთის მხრით ოავისს თავს ეკუთვნის და მეორის მხრით საზოგადოებას. („ივერია", № 21, 1892, 2).

5. ...ადამიანი თაოსნობს, ირჯება და არა ბედი. (IV, 247).

6. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი. (V, 342).

7. ადამიანი იმ სვეტზეა დაბადებული, რომ ყოველიფერში ჯერ წრთვნა უნდა. („ივერია", № 25, 1892, 1).

8. ადამიანი, იმისთანა თვისებით არის ქვეყანაზედ გაჩენილი, რომ ყველაფერში განცალკევებული ვერ მოიხდენს, თვისთა მსგავსთა გარე ცხოვრებას ვერ შეიძლებს ვერასგზით და ვერას მანქანებით. რაკი ეგ-რეა, მრავალგვარი დამოკიდებულება ერთმანეთზედ აუცილებელია ადა-მიანისათვის, უმაგისოდ ადამიანთა ერთმანეთში მოთავსება შეუძლებე-ლია და წარმოუდგენელი. (VIII, 243-244).

9. ადამიანი სიკვდილის შვილია. (IV, 223).

10. ადამიანი ტეირთს ადვილად იკისრებს, როცა საჭიროა ეგ თა-ვის-თავისვე სიკეთილოდ. (V, 136).

11. ადამიანი ყველგან ყოველთ უწინარეს ადამიანია და ადამიანს ხომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოება.* (III. 168).

12. ადამიანი ცალკედ ერთი სუსტი და ულონო დანაბადია; მისი სულიერი და ხორციელი ბუნება ისეა აგებული, რომ ცალკე ყოფნით, მარტო ყოფნით, ვერას-ეზით ვერ მიაღწევს ბედნიერებასა. ამიტომ იძულებულ იქმნა თავის მსგავს დანაბადთან ერთად ემოქმედნა. ამ მიზეზმა იმოქმედა, რომ ბოლოს ადამიანთაგან შესდგა საზოგადოება და საზოგადოებისაგან — სახელმწიფო. (V. 165).

13. ადამიანის აგებულობა ყოველ დღე იხარჯება და თუ ყოველ დღეგე ეს ხარჯი არ უბრუნდება, ან უბრუნდება, მაგრამ გვიან, ძნელად და მძიმედ, ან სრულად არა, მაშინ აგებულება ადამიანისა, მისის მაცხოვარის სისხლის ტრიალი, მისის ხორც-ძვალს სიმტკიცე და ღონიერობა უკან-და-უკან იწევს, ჰკლებულობს, ჰსუსტდება და ბოლოს ხომ ანდერძსაც აიგებს ხოლმე. („ივერია", № 89, 1887, 1).

14. ადამიანის ბედს ხანდისხან... ხიფათი სდევს ხოლმე. (V, 61).

15. ...ადამიანის გონებას ყველგან ერთისა და იმავე გზით უვლია თავის წარმატების გზაზედ, ერთნაირს შიშსა და საფრთხეს ერთნაირი წამალი მოჰყოლია და ერთნაირ მიზეზს ერთნაირად გადუხრია, ერთნაირად გაუტაცნია გონება. (IV, 35).

16. ადამიანის გონებითი ძალა, რომელიც დღე მუდამ უნდა დასტრიალებდეს ცხოვრებას, ორ-გვარად შეეხება... ცხოვრებისაგან აღმოჩენილს საქმესა და საგანსა. პირველი, — როგორც მასალას, რომლიდამაც მეცნიერებითსა ძალას ადამიანისას გამოჰყავს დედა-აზრი (პრინციპი) და ამ დედა-აზრზედ ამყარებს მეცნიერების შენობასა, საიდამაც ეს დედა-აზრნი ისევ ცხოვრებაში უნდა გადმოვიდნენ. უამისოდ მეცნიერება უხმარი განძია, უქმი ჭკუის უქმი ვარჯიშობაა. მეორე, როგორც წილადებს, რომელთაგანაც შემდგარია დღევანდელი დღე, მის შინაგან-გარეგანი, ერთის სიტყვით — ის ჰაერი, რომლითაც დღეს ვსუნთქავთ, ვცხოვრობთ და ვაი-ვვაგლახობთ. (III, 256-257).

17. ადამიანის გული თვალთუწვდენი ორმოა. (II, 273).

18. ...ადამიანის გული იგივე ზღვაა, რომელიც კოვზით არ დაილევა თავის-დღეში. (III, 146).

19. ...ადამიანის მუდამი სურვილი უკეთესობისა ხომ მოგეხსენებათ? (IX, 81).

20. ადამიანის საღს ჭკუას გახურებული რკინის თვისება აქვს, რასაც მიეკარება, სწვამს და ატკენს ხოლმე. („ივერია", № 114, 1891, 3).

---

* შდრ.: „ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის" (ტერენციუსი) და „მე ვარ ადამიანი — და არაფერი ადამიანური არ მეუცხოება"- (ბ. ბელინსკი). (რედ.).

21. ...ადამიანის შვილი ერთის მხრით უფალია, მეორეს მხრით მოვალე. უფალია თავის საკუთარს საქმეში, თავის ცალკე ინტერესების მოედანზედ. აქ იმას თავისი განცალკევებული საკუთარი „შინა“ აქვს. ეგ საკუთარი „შინა“ მისი ხელშეუხებელი კუთვნილებაა... ამ ცალკე ინტერესების მოედანზედ ბრძანებლობს ადამიანის ბძლაური „მე“, რომელსაც, ვიდრე თავის ქერქშია, საზოგადოებრივი „ჩვენ“ არამცთუ ერჩის რამეს, არამედ თითონ გუშაგად უდგა, რომ დაუსჯელად არავინ ხელიც არ შეახოს. ამ „ჩვენს“ ბევრი უღვაწნია ქვეყანაზედ და დღესაც მთავრობის სახით ილეწის, რომ ადამიანის „მეს“ თავისი კუთვნილი ადგილი უჭირველად დააჭერინოს და მშვიდობიანად ამყოფოს...

მეორე მხრით ... ყოველს ადამიანს თავის თავის საკუთარის „შინას“ გარდა, სხვაგვარი „შინაც“ აქვს. საცა ეგ ერთი მრავალთაგანია და საცა ამის გამო მისი „მე“ მოვალეა და „ჩვენ“ მბრძანებელი. ეგ „ჩვენ“ თითონ საზოგადოებაა, ანუ მთავრობა. ესე იგი — ამისთანა წყობაა, რომელიც მარტო ამისთვის არის, რომ თვითეულის ადამიანის ფარიც იყოს და ხმალიც საჭიროებისამებრ. (VIII, 242-244).

22. ....ადამიანიც ბუნებითად ორს მხარეს წარმოადგენს. ეროის მხრით იგი ცალკე სულიერია, რომელსაც თავისი პირადი, საკუთარი საგანი აქვს ცხოვრებისა და სხვაზედ დამოუკიდებლად მიეზიდება ან საგნისაკენ, და მეორეს მხრით ზოგადი სულიერია, რომელიც მრავალგვარად გადაბმულია, დამოკიდებულია სხვა თვის მსგავს სულიერებზედ იმ აუცილებელ საჭიროების გამო, რომ მარტოდ ცხოვრება ბუნებითად არ უწერია და უნდა უსათუოდ ცხოვრებდეს თვისთა მსგავსთა შორის. (VI, 141).

23. ...ადამიანის სულის კვლა... ხორცის კვლაზე უარესია. („ივერია“, № 37, 1898, 1).

24. ადამიანის ხორციელი ცხოვრება, სიცოცხლე. ურომლისოდაც სააქაოს სულიერი სიცოცხლე და ცხოვრებაც მკვდარია, დღე ყოველ... ალებ-მიცემობაშია და თუ სასწორი ამ ალებ-მიცემობისა შეიშალა, თუ რაც გასაცემია ადამიანის აგებულებიდამ, არ გაიცა და რაც შესავსებია, არ შეივსო, ადამიანის აგებულობა ამოირჩობა ან დაგუბვის გამო, როცა მეტი არ გაიცა ან დაკლების გამო, როცა ნაკლები არ შეივსო. („ივერია“, № 89, 1887, 1).

25. ადამიანს ადამიანობა უნდა ემჩნევოდეს. აქ არის თავი და ბოლო ქება-დიდებისა. (II, 315).

26. ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს. (II, 283).

27. ადამიანს მამული საფუძვლიანად გაპატივებასა და კეთებაზედ გული არ მისდის, როცა არამც-თუ თავისად არ გამოელოდინე-

ბა, არამედ დიდის ხნობითაც მისი ხელში შერჩენა არ ეგულება. (VI, 190).

28. ავკაცობაში ნუ ჩამომართმეე: უცბად გამწარებული გული დაუნდობარია. (II, 95).

29. ...ალალი ადამიანი, როგორც მალე აეს დაიჯერებ(ს — რედ.), ისე მალე კარგსაც მიენდობ(ა — რედ.). (II, 99).

30. ამ წუთის-სოფელში ადამიანს ბევრი და მრავალ-სახის საქმე აქვს საკეთებელი, როგორც კერძოდ თავის-თავისათვის, ისეც ზოგადად ყველასათვის. (IV, 245-246).

31. არა გვგონია, რომ ჭეშმარიტად განათლებული კაცი არ ჰგრძნობდეს... მოვალეობას, არ ჰფიქრობდეს, რომ იგი ზნეობით მოვალეა ხალხს უკანვე დაუბრუნოს სამაგიერო მისი, რაც მისგან მიუღია. (III, 291).

32. არა კაცი იმოდენა სიკეთეს არ მოგცემს, რამოდენადაც შენის ვალის ასრულება. (II, 54).

33. არა შეძიძლიან-რაო? ღმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე, ძინამ სიცოცხლე შეგწევს. გონება — გზას გაგინათლებს, გული — გაგითბობს. (II, 59).

34. არავინ არის ქვეყანაზე იმისთანა, რომ რაიმე კეთილი, სახელმწიფოსათვის გამოსაყენი ნიჭი და უნარი არა სჭირდეს... ოღონდ-კი ნუ შეჰხუთავთ, გზა მიეცით ყველას თავი იჩინოს თავისებურად, თაყისის ღირსებისა და სიკეთისამებრ... (III, 159-160).

35. ბედი რა არი? ბედს თითონ კაცი ჰქმნის და არა ბედი კაცსა. ჩვენი თავის მტრები ჩვენ თითონვე ვართ, ამის ღვიარება ჩვენ გულს გვიძმარებს და ამიტომაც ყველაფერს ბედს ვაბრალებთ.* (III, 452).

36. ბეზღობა ბეზღობად ჰრჩება და ყოველი კაცი თავის უდიდეს მოვალეობად უნდა ჰხადიდეს, — ამ სამარცხვინო და თავლაფიანს ხელობას მისი საკადრისი დაღი დაასვას. (III, 392).

37. ბუნება ცრემლისა და სიცილისა, ჩვენის ფიქრით, ერთისა და იმავე სათავიდამ მოდის. იგი შეკუმშვა ადამიანის ძარღვისა, რომელსაც სიცილი თუ ცრემლი მოსდევს, მწუხარებისაგანაც მოიკლინება და მხიარულებისაგანაც. (III, 117-118).

38. ...ბუნებითად ხელჩაუკიდებელი, უხალავი არას გზით არ-შესამოწმებელი საგანი... ადამიანის განზრახვაა და გული. (III, 284-285).

39. გამწვავებული ბრძოლა და ჭიდილი სულიერი უფრო მწვავეა, ვიდრე გაზით ხორცის გლეჯა, ვიდრე ხორცის წვა გახურებულის შანთითა. (V, 328).

---

* თითქმის იგივე აზრი იხ.: III, 460-461. (რედ.).

40. განა ერთი და ორი მაგალითია... სულთა-მოძრაობას კაცი ძალაუნებურად ავაზაკად გაეხადოს, რაკი სხვა გზა ვერ დაუნახავს გულისა და ფიქრის დაამებისა და დაწყნარებისათვის. (VI, 230).

41. განა კაცი სულ ერთ გუნებაზეა! (II. 272).

42. ...განა მარტო თვალების და სახის ამღვრევაში სჩანს ადამიანის შეშლილობა ჭკვიდამ? (III. 13).

43. ვანა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეეხარის
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?
ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთის-სოფელი?
განა ბისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აიღოს ხელი? (I, 217).

44. განა შეტყობა იმისი თუ, — რა არის ცაში, ან ცას იქით, — ბუდამის წყურვით შესატყობარი არ არის ერთობ ადამიანისათვის? (III, 213).

45. განა ჭაშ-სმის მეტი აღარა უნდა-რა კაცს? (VI, 219).

46. განგვანათლეთ, აღგვიმაღლეთ, განგვიწმინდეთ და ჩაგვისახეთ ლიდნი სიამოვსებანი და მაშინ დამერწმუნეთ, გულხელ-დაკრეფით არაეინ გაიფუჭებს ცხოვრებასა. (II, 461).

47. გაჭირება რომ კაცს დაადგება, ბევრს იტანს და ბევრს უძლებს. („ივერია", № 157, 1887. 1).

48. გონება... ადამიანისა იმ თვისებისაა, რომ რა ხარისხზედაც გინდა იდგეს კაცი, — ველურია თუ განათლებული, — ყოველთვის წინ უდგა ამ ბრავალფერ ქვეყანაში ჭირვული საკითხი: საიდამ რაა და როგორ? (IV, 116).

49. გრძნობა სულიერი მარტო ადამიანის ნიჭია. (X, 465).

50. გული ადამიანისა ფიცარი ხომ არ არის, რომ ერთი წაშალო და მის მაგიერ სხვა რამ დასწერო. (VIII, 11).

51. ...გული. გონება და კუჭი ერთმანეთზედა ჰკიდიან. (III. 400).

52. გული რა არის? მარტო ერთად-ერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ, გულიც არ იქნებოდა. (II, 313).

53. გული ღონეს წინ უსწრობს... („ივერია", № 249, 1886, 2).

54. ...გულს გული იცნობს და ღონეს — ღონე (I, 162).

55. ...გულში ბევრი რამ იმალება (I, 307).

56. გულში რომ ნაპერწკალიც არ იყოს, მაინც ხანდისხან დამჭირდება გაჩვენოთ, რომ შიგ გახურებული თორნეა. თორნე ხომ იცით: პურს არსებისას აცხობს. (III. 404).

57. ...და მარტო გული, ერთხელ მოკლული,
არც აყვავდება, არც გაცოცხლდება! (I. 10).

58. ...დიდ საქმეში, სადაც კაცს ეკარგება ყოველიფერი, რაც იმისი-ვის უკეთესია, უწმინდესია და უძვირფასესია ქვეყანაზედ, ამისთანა საქმეში კაცი ძმასაც ძნელად ენდობა. ეს ბუნებითვე შთაგონებული შიშია და უნებური ეჭვი. ეს ცოდვად არ ჩაეთვლება კაცსა. (II, 541).

59. დიდი მწუხარება ცრემლს უშრობს კაცს, პატარა კი ცრემლს ადენს (III. 172).

60. დიდკაცობა შთამომავლობითი, თუ მეუღლეობითი, შემთხვევის საქმეა. ამაში თითონ ადამიანს არა საკუთარი ღვაწლი არა მიუძღ-ვის-რა. ეგ განგების საქმეა. და ამიტომაც ადამიანს, როგორც კაცს, ეგ საკუთარ ღირსებად არ ჩაეთვლება. (IV, 238).

61. ...დიდხანს ბნელს საპყრობილეში დამწყვდეული კაცი, როცა მზეზედ გამოვა, თვალებზედ ხელს იფარებს, რადგანაც სინათლეს ისე გადაჩვეულა, რომ სინათლე თვალებსა სტკენს, და ამის გამო რაც ნათელია, ბრწყინვალე, იმას თვალების აფარებით აბნელებს. (III, 453).

62. დროთა-ბრუნვა მარტო ხორცს ერჩის, ხორცსა სძლევს. ხორცს მაგისათვის არც ფარი აქვს, არც ხმალი. ადამიანი ხატებაა ღვთაებისა განა ხორციოთა? ადამიანს ხორცის გარდა ერთი რამ სხვა მოჰმადლე-ბია, რომლითაც იგი ადამიანობს... ის ერთი-სული და გულია, უჭკ-ნობლობის ნიჭით და ღონით დალოცვილი. ეგ ღვთაებრივი ნიჭი, რო-გორც ყოველივე ღვთაებრივი, დროთა მბრძანებელია და არა ყმა. (III, 373-374).

63. ეგრეა ყველაფერი, ჩემო ძმაო, დიდი თუ პატარა ერთი-ერთმა-ნეთისათვის საჭირონი ვართ, თუ დღეს არა, ხვალე მაინცა. (II, 58).

64. ელდისა და შიშის ზარისაგან უცბად დამფრთხალს ხალხს წინ ველარა დაუდგება-რა და პირველს ხანში, თუნდ ტყუილის შიშისაგან, გატაცებულს გულს ვერას გზით ველარ დაუბრუნებთ კაცს და თვის ღონეზედ ვერ დაუყენებთ. („ივერია", № 272, 1886. 1).

65. ...ენა ხომ ერთობ იმისთანა რამ არის, რომ მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც კაცი ჩასძახებს.* (III, 427).

66. ენით ვაქცევთ და გული კი ისევ ებლაუჭება. ისევ აშენებს, აგებს... (II, 318).

67. ერთი ალილო მღვდელსაც წასცდებაო, ნათქვამია.** (III, 17).

68. ერთი უდიდესი მოვალეობა ადამიანისა მსაჯულობაა. (VIII, 337).

69. ესეა, ძმაო!.. სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვ-რებისა, აი ხიდი ცხონებისა, აი გასაღები სამოთხისა!.. (II, 75).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო". (რედ.).

** ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

70. ესეც კი ითქმის: „კაცს რა აუხდეს ნატვრა გულისა, ხსოვნა არა ჰხანს ჭირისა. ვით დღისა გარდასულისა.*. (I 122).

71. ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!.. (II, 22).

72. „ვით შამა ზეცისა იყავნ შენც სრული“ — აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, — ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რაოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, — აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა. (V, 342).

73. ...ვინ წაუვა ბუნებას, გუნებას! (III, 393).

74. თავისად, კარჩაკეტილად ცალკე ცხოვრება ნადირის საქმეა და არა ადამიანისა, რომელიც დანიშნულია მგზავსთათანა ცხოვრებისათვის და თუ არ „მე თქვენით და თქვენ ჩემით“ არავითარი ღონე არა აქვს არც ცხოვრებისა და არც რჩენისა. („ივერია“, № 38, 1897, 2).

75. თავისუფლება... ადამიანისა სხვა არა არის-რა, რომ ბოროტისათვის სრულად შეკრული იყოს და სიკეთისათვის უხვად გზა გახსნილი. („ივერია“, № 129, 1887, 2).

76. თან დაყოლილი თვისებაა ადამიანის ჭკუისა, რომ ათასის წლის წაღვაწსა, ნაცადსა და ნამოქმედარსა სწრაფად შეიითვისებს და შეიხორცებს ჩოლმე. (VII, 373).

77. თუ ადამიანები ხართ, „არა-რა ადამიანური თქვენ არ უნდა გეუცხოებოდეთ“ (III, 369).

78. ...თუ კაცს სდომებია, იმისთანა შაგარს და უტყუარს მოწამესაც გადაათქმევინებს სიტყვას. როგორიც ქვაა და ქვათა ღაღადი. (VIII, 172-173).

79. ...თუ მეწყინა რაიმე, გულში ჩავიხვევ ხოლმე და შუბლს აღარ გავიხსნი არავის წინ, ვინემ გულიდამ ჯავრს არ გადავიყრი. (X, 375).

80. თუმცა რუსები ამბობენ, რომ „Голь на выдумки хитра“, შაგრამ არც-კი მდიდარი კაცი ყოფილა ამისთანებში ბერავი და მოუხერხებელი. (VII, 289).

81. თქმა არ უნდა, ძნელი გასამიჯნავია ადამიანის „მე“ და „ჩვენ“. ბევრს შეშფოთებაში ძნელი გამოსაცნობია, სად თავდება „მე“ და სად იწყება „ჩვენ“. კარგად წარმატებული გონება უნდა და კარგად განწმენდილი გული, რომ კაცმა ამის გამიჯვნაში არ წაიბორძიკოს. (VIII, 245).

82. ...იცოდე, პატარა ადამიანებსაც შეუძლიათ დიდი საქმის მოგვარება. (X, 235).

---

* ი. ჭავჭავაძეს ეს ტაეპი „ვეფხისტყაოსნიდან“ აქვს აღებული. (რედ.).

83. კარგად ფესვ-მოკიდებული ადამიანის გულში სურვილიც დიდი რამ არის და ხშირად იგი მთასაც გაარღვევს და თავს გაიტანს, გზასაც იპოვის, სახსარსაც და თითქმის არარისაგან რასმეს შეაქმნის ხოლმე. („ივერია", № 282, 1895, 1).

84. ...კაცი დაუყოვნებლივ და განუწყვეტლადა სჯის ისრე. როგორც ესმის. ყველა გეტყვის დაუყოვნებლადა თავის აზრსა იმ საგანზე, რომელიც კი გაუგონია. (ილია ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV. 304).

85. კაცი მოსასხლეა. (II. 31).

86. ...კაცი რომ დაბერდება, შვილდი ძირს უნდა დასდოს.* (II, 302).

87. კაცი სულელი, თუ ბრძენი, ყოველთვის თავმოყვარეა. (II, 216).

88. კაცის გული უძირია, მიზეზი და დასაწყისი ყოველ იმისი, რაც ეულში იძვრის, უთქმელი და აუბსნელია. როგორც საიდუმლო ცისა, როგორც ის ძალა, რომელიც თესლში გამოპკვანძავს მომავალ მცენარესა! (II. 527).

89. კაცმა რომ მოინდომოს, კლდეს გაარღვევსო, ხომ გაგიგონია? (II, 56).

90. ...კაცმა უნდა ან თვალით იხილოს, ან გამოსცადოს ტანჯვა მრავალთა, რომ სრულის სიძულვილით შეიძულოს ის, რაც იმ ტანჯვის მიზეზია. (II. 458).

91. კაცს დედობის, ქმრობის და სხვა ამისთანის გარდა კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ყველაზედ უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძღვეს, მამაკაცია, თუ დედაკაცი. ამას მარტო კაი-კაცობა შესძლებს (IV, 367; VIII, 330).

92. (კაცს, რომელიც — რედ.)... სიკეთეს გადაჩვეულა, სხვისაგანაც სიკეთე აღარა სჯერა; აღარა სჯერა, რომ იმ დედამიწაზედ, საცა თითონა სცხოვრობს და ათასი კიდევ სხვა მის მსგავსი, აღარა სჯერა — რომ იმ დედამიწაზედ კაცი არის, რომელსაც სიკეთე სიკეთისათვის უყვარს, რომელსაც იმოდენა სულის ძალაცა აქვს, რომ თუ გაჭირდა, სიკეთისათვის თავსაც დასდებს. (III. 451).

93. კაცს შორმხედველობა უნდა ჰქონდეს!.. (II. 348).

94. მართალია, კაცია და გუნებაო,** მაგრამ კაცსაც და გუნებასაც თავისი საზღვარი აქვს. (VI, 105).

95. მართლად თქმულა: კაცია და გუნებაო!.. (II, 299).

96. მარტოობა ძნელი ყოფილა. (X, 258).

---

* შდრ. დ. გურამიშვილის გამონათქვამს: „ე�eარ შეეიძელ მოწევა, დაებერდი, მშვილდი დავდეგ" და ქართული ხალხური ლექსის შემდეგ ტაეპს: „დაებერდი, შვილდი ძირს დავდგ, მაღლა მთაში ძელს სადგე". (რედ.).

** ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

97. მე. სწორედ გითხრა, ცუდის აგებულების კაცი ვარ. დიდი მოსვენება და შალავათი მინდა, რომ დავწერო რამე... თუ დავიწყე რამე და არაფერმა არ დამიშალა, დაწყობილს მალე შევასრულებ, და თუ დაწყობილი შემაწყვეტინა რამემ, გათავდა: მე იმ დაწყობილს ველარ მოვუბრუნდები. (X, 36).

98. მეტის-მეტი მჭრელი, მეტის-მეტი მხილავი ნიჭი უნდა, მეტის-მეტი ნათელი გონება, რომ კაცი მისწვდეს, შუქი რომ მიჰფინოს იმ საოცარს, იმ უცნაურს საიდუმლოებას, რომელსაც ადამიანის სულის და გულის ძვრა ჰქვიან, და რომელიც იმოდენად უფრო დიდ საიდუმლოებად გვევლინება, რამოდენადაც უფრო ახლო მიუვალთ. (III, 186).

99. ...მეც ხომ ადამიანი ვარ და არა-რა ადამიანური არ უნდა მეუცხოებოდეს. (III. 441).

100. მზე — ეს დიდებული მნათობი. ნათელის მომფენელი, სიცოცხლის შომნიჭებელი, მთვარე, ვარსკვლავი, ქარი, წვიმა, ჭექა-ქუხილი, ელვა, თითონ ხეც-კი, რომელიც ერთ ბეწო თესლისაგან, რაღაც დაფარულისა და გონება-მიუწვდომელის ძალით, მრავალშტოიან უშველებელ საჩრდილობელად გადაიქცევა ხოლმე, — ყველა ეს განსაცვიფრებელი ამბავი უმეცნო კაცისათვის საიდუმლოებაა, დაფარული, უხილავი ყოვლად-შემძლებელობაა, და აქედამ დიდი მანძილი არ არის ამ უხილავის ძალის გაღმერთებამდე. სხვადასხვა რჯულთა, სხვადასხვა ერთა შედარება გვიმტკიცებს, რომ ადამიანის გონებას ყველგან ამ გზით უვლია და ყველა მოვლენასა თუ საგანში ცალკე მიუწვდომელი ძალი უგულვებია და ცალკე ღმერთი შეუქმნია ამ ძალის მომასწავებლად, მიზეზად და დასაბამად. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველ ამ შემთხვევაში ძალია საგნისა გაღმერთებული ხოლმე და არა თითონ საგანი. მაგალითებრ ძალი მზისა, რომელიც ნათელსა და სითბოს აფენინებს, და არა თითონ მზე. (IV. 116-117).

101. ...მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ შენ ადამიანს უყურებ არა როგორც ოქროებით გატენილ ზანდუკს ან ჯვრებითა და ვარსკვლავებით მორთულ აბრას, არამედ, როგორც ღვთის მიერ შექმნილს არსებას, რომელშიც უპირველესად ყოვლისა მისი სული უნდა მზიანობდეს. (X, 205).

102. მოვალეობა გაქვსთ როგორც ჩემს მოყვასსა, ძმასა და ნათესავსა, რომ როდესაც დაინახოთ ჩემში ბოროტება, უნდა სცდილობდე, აღმოფხვრა ჩემში ის ბოროტება, თქვენის კეთილის დარიგებითა, რჩევითა და ტკბილის სიტყვითა. („საქართველოს მოამბე", № 5, 1863, 13(91).

103. მონება კაცთ არ შეშვენის. (I, 36).

104. ...მოუსვენარი გონება ადამიანისა ხან რას ეჭიდება, ხან რას. (III. 218).

105. (მოხდება ხოლმე, რომ კაცს — რედ.) თავისი საკუთარი ტკივილი, ცალკე თავში საცემი საქმე აუწყდება და ეს... გარემოება ბევრს შეგობარს ერთმანეთში გაჰყრის და ბევრს მტრებს ერთმანეთში დაამოყვრებს, დაამეგობრებს. (IX, 139).

106. მშიერი ადამიანი ყველა მხეცზედ უარესი მხეცია. („ივერია", № 16, 1889, 1).

107. ...ორნაირი „შინა" აქვს ადამიანს თავისის ორნაირის მოთხოვნილებისა გამო ბუნებითად. ერთში საკუთრად თითონ ჰცხოვრობს, საკუთრად თავისთვის მოქმედობს და ანგარიშს არავის არ აძლევს. მეორეში-კი იგი სხვასთან ერთად არის, სხვასთან ერთად იღვწის და მოქმედობს, სხვაზედ გადაბმულია, თავისი „მე" სხვის „მე"-სთან შეწონილი და შეფერებული ჰყავს. აი ამ უკანასკნელს სფერაში აიგება ხოლმე იგი „შინა", საცა მარტო მ თ ა ვ რ ო ბ ი თ ი „ჩვენ" ჰღალადებს და „მე"-ს, როგორც ცალკესა და კერძოს, არავითარი ხმა და ადგილი არა აქვს. აი ამ სფერაში სჩნდება და იბადება, სხვათა შორის, იგი საქმეები, რომელსაც საზოგადოება თავის შინაურს საქმეებს ეძახის და რომელიც კაცს შეუძლიან საგნად აიღოს ჯ ე რ ო ვ ა ნ ი ს განსჯისა და განკითხვისათვის. (VIII, 244-245).

108. ორში რომ უკეთესი ავირჩიოთ, რა გასაკვირველია. („ივერია", № 127, 1893, 3).

109. ოღონდ კი ფეხი აადგმევინეთ ლოდინსა და ადამიანის გულში ბინა გაუკეთეთ და ფიქრი და შიში ნულარაფრისა გაქვთ. (V, 130).

110. ჟინს კიდევ ჟინი იმიტომა ჰქვიან, რომ დაჟინებით იცის კაცის შეწუხება და მინამ ასე თუ ისე არ მოიკლაე, არ მოგასვენებს. (V, 62).

111. ...რა არის ბუნების შვენიერება უკაცოთ?.. („ივერია", № 217, 1895. 2 „კვალი", № 43, 1895, 3).

112. რაკი გული მკვდარია, მთელი კაციც ულონია, უძლურია, ყურბოჭრილია, ერთის სიტყვით, მკვდარია თავის თავისთვისაც და სხვისთვისაც. („ივერია", № 25, 1892, 1).

113. რამდენადაც თვითოეული ადამიანი მონაწილეა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს საქმეებისა, რამოდენად იგი, ავად თუ კარგად, მოქმედი და მოღვაწეა ამგვარს შინაობაში, იმოდენად იგი განსასჯელია და განსაკითხავი საყოველთაოდ და საქვეყნოდ. ამის გარე ადამიანი ხელშეუხებელია და მისი მოქმედება და საქმე საკუთარი მისი განსაკითხავი საგანია და არა ლიტერატურისა, რომელიც მარტო საზოგადოების შესახებთა საქმეთა მეთვალყურეა და გამკითხავი. (VIII, 245).

114. რამოდენადაც დიდია ტკივილი ხორცისა, იმოდენად საამურია მისი დაყუჩება და დაამება. ეს ყველას ექნება გამოცდილი თავის თავზედ. (III, 119).

115. რას იზამ? ადამიანი ისეა შექმნილი, რომ ნატვრისა და იმედის მადა მით უფრო მეტად ეხსნება, რაც უფრო მეტად პირში ჩალაგამოვლებული რჩება. („ივერია", № 10, 1882, 131).

116. რას იზამ? ძვირფას ნივთს ყველა დაპკანკალებს, მეც ასე ვარ. (X, 213).

117. რასაკვირველია, ყველას ნება აქვს. როგორც სურს, ისე შეიქციოს თავი. (IV, 20).

118. რაც ეხერხებოდეს ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას. ის მოუხერხოთ. (X, 50).

119. რაც მე ვიცი ჩემი, სხვას თავის-დღეში არ ეცოდინება. (VI, 40).

120. რაც უნდა იყოს, კაცს ყოველთვის ენდომება, რომ თავში საცემი ჯოხი პატარა შორს იყოს და არა ცხვირწინ. რაკი უამისობაა შეუძლებელია. (VI, 61).

121. რაც უნდა საშინელი ბოლო მოსდეედეს ჩვენს გატაცებას და რაც უნდა ცხადად და უტყუარად ეხედავდეთ ამ შედეგს ჩვენის გატაცებისას, ჩვენ მაინც რაღაც გამოუცნობის მორჩილებით ენებდებით მისს მომხიბლავ ძალას... ამ შემთხვევაში ჩვენი გული სწორედ რომ შინაური ზღვაა, რომელიც ვნებათაღელვისა გამო ხშირად სუნთქავს... და, თუმცა ზოგჯერ კიდეც სცდილობს მოიპოვოს როგორმე სანატრელი მყუდროება, მაგრამ მაინც ძალა-უნებურად ნებდება დაუცხრომელ ტალღათა სრბოლას... (IV, 351-352).

122. ...რაც ჩემია — ჩემი უნდა იყოს. (II, 159).

123. როგორც ცალკე ადამიანი, ისე მთელი საზოგადოება სწრაფად გაივლის ხოლმე იმ სივრცეს ცხოვრების და მეცნიერების გზისას, რომელიც უკვე გამოუვლია სხვა საზოგადოებასა და სხვა ერსა, თუნდ რომ უკანასკნელთ ამ სვლაში მოენდომებინოს მთელი საუკუნოებიცა. (VII, 373).

124. (როგორც ცხოვრება ადასტურებს — რედ.) სიჭაბუკე მოკლე ხნის სტუმარია. (III, 373).

125. რომელი მოძღვრებაც გინდათ გასინჯეთ, ეხლანდელი, თუ უწინდელი, ყველას სახეში ისა აქვს, რომ თვითოეულის ადამიანის „მეს" უეჭველი ბინა დაუდოს ამ ქვეყნიერობაზედ და შეძლებისამებრ ჯერიანად და უმეტნაკლებოდ ბედნიერ ჰყოს. (VIII, 244).

126. (როცა კაცი მორჩილად ჰხდის გულსა ჭკუის წინაშე და ზედგავლენას გულისთქმისას ჭკუითა ჰლაგმავს, მაშინ — რედ.) ძნელია — კაცი ამ ორს ერთმანეთის მოპირდაპირეს, ერთი-მეორის გამაბათილებელს გრძნობას გაუძღვეს ისე, რომ არც ერთს მოაკლოს რამ და არც მეორეს მოუმატოს ბუნების წინააღმდეგ. (III, 177).

127. საკვირველი არსებაა ადამიანი. (VIII, 239).

128. საკვირველი ორ-ფეხია ადამიანი! ხომ ამბობენ, რომ ზნე-ხასიათი ადამიანს მემკვიდრეობით დაჰყვებაო და მასზეა გამოთქმული ქართული ანდაზა: „მამა ნახე, დედა ნახე. შვილი ისე გამონახეო“. („ივერია“, № 191, 1888, 2).

129. საკვირველი რამ არის ადამიანი, რა ცოტა ჰსდომებია კაცს, რომ სრულიად ბედნიერად იცნოს თავისთავი. (X, 285).

130. საკვირველია, ღმერთმან იცის კაცი! რომ სთქვა შენის პირით, კაცი მოვკალიო, მაშინვე დაგიჯერებენ და ციმბირში გიკრავენ თავს, და შენს თავზედ რომ სთქვა, თუ მინდა დღესვე სენატორობას მომცემენო, არ დაუჯერებენ, ტრაბახობსო, იტყვიან. უგემური რამა ხარ, ადამიანო! (III, 354).

131. საოცარ არიან საქმენი ძეთა ადამისთანი. უფრო საოცარია ჭკუა ადამიანისა: ზოგან, ბატონო, სულ ვერა სჭრის და ზოგან-კი სადამდე აღიწევა ხოლმე! („ივერია“, № 191, 1888, 2).

132. ... სატკენი ისე არ აფიცხებს კაცს სამტროდ, რიგორც საწყენი. საწყენი უფრო ძნელი ასატანია სატკენზედ და ამიტომაც უფრო აფთარია, რაკი გაცეცხლდება და გაფიცხდება. (VIII, 88-89).

133. საცა მადლიანი ძალა შემოქმედობისა აღძრულია, ადამიანი გრძნობს, რომ იგი შვილია გუშინდელისა, მოჭირნახულია დღევანდელისა და დამბადებელია ხვალისა. წარსული, აწმყო და მომავალი — ერთ რთულ, დაურღვეველ ჯაჭვად მიაჩნია და იმ ჯაჭვში თავისი-თავი რგოლად, წინასა და უკანაზედ მტკიცედ გადაბმულად. მაშინ ადამიანი თავის-თავს მართლა-და ადამიანად სცნობს. ეგ ცნობა საკუთარის თავისა ღირსებას უღვიძებს, საკუთარი თავის ღირსება ჩაგრულ ყოფას ვერ ათმენინებს და დამკლავებული გამოჰყავს ცხოვრების მოედანზედ საომრად და საბრძოლველად. (V, 151).

134. სახელის გარდა საჭიროა კაცმა თვით არსებითი საგანი დაწესებულებისა იცოდინოს და მარტო ტიტულს არ დასჯერდეს... (VI, 251).

135. სიბერე ძნელი ყოფილა. (ილია ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 291).

136. ...სიცუდე ბუნებით კაცს თან არ დაჰყვება ხოლმე. მაშასადამე, ჩვენის ბუნების თვისებაში სიცუდე არა ყოფილა. (III, 461).

137. სიჭაბუკე ბუნებითად წარმავალია, მოკლე ხნით მოსული სტუმარია, დილით მოვა და საღამოთი მიდის და, როგორ შეიძლება ადამიანს სამუდამოდ შეჰრჩესო, მეტყვიან? მართალი ბრძანებაა... ხოლო ვიკითხოთ: ვისთვის და რისთვის? მარტო ხორცისათვის. (III, 373).

138. სიხარბით ვკითხულობ... მარტივ სიტყვასა და კარვის გულიდამ გამოსულს. (X, 18).

139. სულ ტყუილია! მაინც ადამიანს მტერი არ შეჰყვარებია... (II, 95).

140. სული დრტვინავს, გული ჰკვნესის ამაო ლოდინის გამო... საშინელი ყოფაა ეს ყოფა ადამიანისათვის. ეგ საშინელება თითქო დაუსრულებელიაო... (V, 113).

141. სული სულს იცნობს
და გული გულსა.* (III, 397).

142. სურვილი ჩვენი ზღვაა და... კოვზით ეგ ზღვა არ დაილევა** (V, 75).

143. სურვილიც საგნის ცოდნისა ერთი იმისთანა უნარია, რომელიც კაცს თუ ბუნებით არ გამოჰყოლია, ან სწავლა-განათლებით არ ჩანერგვია, სხვა ვერაფრით ვაუჩნდება ადამიანს. (VI, 247).

144. სხვა „სხვის ომში ბრძენიაო" ამბობს რუსთაველი*** (III, 56, 462).

145. სხვა ყოველს უბედურებას სული ებრძვის და შიმშილს კი მარტო ხორცი. რომლის გამძლეობასა და მოთმინებასა ბუნებითვე აქვს დადებული სამზღვარი და ამიტომაც ულონოა ამგვარის ჭიდილისათვის. (VIII, 302).

146. სხვის ხელით საქმის გაკეთება არსად და არასფერში არც თავს მოსულა და არც მოვა. სხვას, ტყუილია. ჩემთვის ისე გული არ შესტკივა, როგორც მე თითონ; სხვა ჩემს ავკარგიანობას ჩემსავით ვერ შეიტყობს, ჩემს ტკივილს ჩემსავით ვერ მოუვლის. ჩემს ჩივილს ჩემსავით ვერ იტყვის. (VI, 40).

147. ...„სხვისით" შევსება დანაკლისისა შესაძლებელია მარტო მაშინ, როცა კაცი ან მოიპარავს, ან გასძარცვავს, ან მოიტაცებს. სხვაფრივ „სხვისით" შევსება დანაკლისისა წარმოუდგენელია. იმიტომ რომ „სხვისი" სხვისაა და პატრონი თავისის ნებით არ დაგანებებს. (III, 440).

148. უნდა ამაზედ დამეთანხმოთ, რომ შრომა, კაცის ბუნებასა სძულს. ეს სიძულილი ასეთი ძლიერია, რომ მე მგონია, კაცი იმოდენა შრომასაც არ იკისრებდა, რომ პური ელეჭნა, თუ რამ სხვა ღონისძიება ჰქონოდა იმავე საჭიროების შესავსებელად. (II, 461).

---

* შდრ.: „სული სულს იცნობს" (ქართული ხალხური ანდაზა).

ი. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული სტროფი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შესახებ არსებულ კრებულებში შეტანილია, როგორც ანდაზა. (რედ.).

** ამ აზრში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ზღვა კოვზით არ დაილევაო". (რედ.).

*** შ. რუსთაველის ამ აფორიზმის („სხვა სხვისა ომში ბრძენია") ილიასეული სხვა ვარიანტები (მაგ. „სხვა სხვის საქმეში ბრძენიაო"), იხ. აგრეთვე: II, 333; X, 56; „ივერია", № 9, 1883, 114; „ივერია", № 249, 188, 1. (რედ.).

149. უსაქმო და უსაგნო ცხოერება ხომ ყველასთვის სასიამოვნო არ არის! („ივერია", № 149. 1886. 1).

150. უსხვისოდ ერთის გული მარტო პარკია. სისხლის აღებ-მიმ-ცემი აგებულებისათვის. (II. 314).

151. უფროს-ერთი კაცი დღე-ყოველ იბრძვის და გართულია ამ წუთისოფლის ავ-კარგიანობითა. ზოგს ბედი ისე უმძიმს. რომ ამ ბრძოლას და გაროვას არა ჰყოფნის მისნი დღენი. მისნი საათნი, მისნი წუთნი: ყველა ესენი შეწირული აქვს მთლად და გადაურჩენელად იმ მცირეზე მცირე სიამოვნებისათვის, რომელსაც ადამიანი ძლივ-ძლივ გამოჰგლეჯს ხოლმე ამ ძვირს წუთისოფელსა და ურომლისობა ადამიანის არსებობას შეუძლებლადა ჰხდის. ამ წრეში მოტრიალეს კაცს მოვალეობა არა აქვს თავის-თავს ჩაუბრუნოს თვალი განსაკითხავად, და დღიურ ლუკმისათვის გარჯილსა და მაშვრალსა არც ხალისი-ღა აქვს ამისთანაებისათვის. ამისთანა კაცისათვის ბრძოლის მოედნიდამ თვალის მოშორება ერთს წამსაც. დღიურის ლუკმის პირიდამ გამოცლას მოასწავებს. და ძნელია სხვა რიღასათვისმე მოიცალოს (IV, 227; „ივერია", № 234, 1887. 1).

152. უცოღველი ვინ არის? (II. 278).

153. ფიქრი. რაკი ერთხელ ასე თუ ისე გამოიკვანძა. თოვლის გუნ-დასა ჰგავს, მთის წვერიდამ დაქანებულს: რაც დიდ მანძილზე მიჰგო-რავს, უფრო ძლიერდება, უფრო ჰმატულობს, უფრო ჰდიდდება. თუ კაცმა არ დააყენა, ზვავად იქცევა, და სხვას ყველაფერს თან გაიტანს. (II. 276).

154. ქვევრები ვართ, რომელთა რასაც ჩასძახებენ, ის უნდა ამოიძახონ, თუ ადამიანები, რომელთათვისაც ღმერთს გონება და ჭკუა მოუცია, რომ ათჯერ ჰზომოს და ერთხელ გამოსჭრას, ნამეტნავად იქ. საცა საზოგადო საქმეა, ყველასათვის ერთნაირად საზრუნავი და გულ-შესატკივარი.* (VII, 482).

155. (ქვეყანაზე ყოველი ადამიანი — გ. გ.) ...თავისდა-გვარად ბედ-ნიერია. (II, 507).

156. ქვეყანაზედ ესრეა: ღმერთი რო კაცს დააკლებს ერთს რასმეს, მეორესა მოუმატებს. ამბობენ ბრმას ხელის თითები ძალიან შემტყო-ბი აქვსო, ყრუს შორმხედავი თვალი აქვსო და ჭკვის გლახასაც მგრძნო-ბელი გულიო. (II, 519).

157. ქვეყანაზედ რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდ-ებამდა: მეტი ბარგია. (II. 283-284).

---

1 ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზები: „ქვევრს რასაც ჩას-ძახებ, ისაა ამოგძახებსო" და „შვიდჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერიო". (რედ.).

158. ღმერთო, შეგცოდე. მაგრამ შენგან გაჩენილს ადამიანსა მარტო შენი სახე თუ მისცემია. თორემ გული კი არა. (II. 95).

159. ყველა თავისებურად სჯის. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV. 329).

160. ყველაზე უფრო სული ტკბილია,
იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა... (I. 218).

161. ...ყველაზედ ძნელი ადამიანისათვის თავისის-თავის ცნობა, თავისის-თავის ცოდნა არის, ესე იგი. იცოდეს, რის ძალ-ღონის პატრონია და იმის კეალობაზედ ამ წუთის-სოფლის სუფრაზედ თვისი ჭეშმარიტი ადგილი დაიჭიროს და ცხოვრებას ადამიანისას აქედამ მისცეს თავისი შემძლებელი მხარი. (IV, 238).

162. ყველაზედ ძნელი ადამიანისათვის თავისის ცხოვრების საგნის პოვნა და აჩენაა. (IV, 238).

163. ყველამ ერთად და თვითეულმა ცალკე უნდა იცოდნენ. რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე. არა გონიერმა კაცმა, რა წოდებისაც გინდ იყოს, ეს არ უნდა დაივიწყოს, თუ უნდა თავისი სიკეთე მკვიდრს საფუძველზე დაამყაროს. (VIII, 314).

164. ყველას გაუძლებ, როგორც კლდე ქვისა,
ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?!
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა
არ ძალმიძს. ძმანო. ვერ რით გაძლება! (I, 33).

165. ყველას თავისი ანგარიში აქვს... (IX, 144).

166. ყველას თავისი თავი აბარია. (II, 343)

167. ყველას თავისი ქონება თავისთვის უფრო უნდა გამოსაყენებლად. ვიდრე სხვისთვის. (IX. 158).

168. ყველას ნება აქვს მოიწონოს. თუ დაიწუნოს რამ. რადგანაც კაცია და გუნება. (IV, 197).

169. ყველასაგან და ყველგან ცნობილია, რომ მუშაკაცი ყოველთვის იმის ნატვრაშია, სადმე ბინა მოიკიდოს, სადმე თავისი საკუთრება იქონიოს. (VI, 26).

170. ყოველ ადამიანისათვის ხომ დანახული, განცხადებული განსაცდელი უფრო ადვილად გასაძღოლია და ასატანი სულიერად, თუ ხორციელად, ვიდრე უცნაური მოსალოდნელი, რომელიც ადამიანს მით უფრო ძლიერ აბოროტებს. აშფოთებს. გულსა და ფიქრს უმღვრევს, რამოდენადაც მეტს ხანს მოქმედობს თავისს მსხვერპლზე. (VI, 230).

171. ყოველი კაცი, ეკონომიურის თვალით რომ გაეშინჯოთ. ამღებია და გამცემი საქონლისა. (V, 208).

172. ყოველი კაცი თავისდა-ვვარად ეტრფის სიცოცხლესა. (II, 507).

173. ყოველი კაცი ყოველ-დღე გამკითხველის თანამდებობაშია. დაუკვირდით ყოველის ცალკე კაცის ყოველდღიურს ცხოვრებას და, რა ხარისხზედაც გინდა იდგეს, ჰნახავთ, რომ ამ ცხოვრების დახლართულ ბადეში ბედი ყოველს ცის-ამარა დღეს ერთმანეთს გვახვედრებს და თვითოეული ჩვენგანი სხვის გამკითხველია, და, მაშასადამე, თითონაც სხვისაგან არის განსაკითხველი. (IV, 228).

174. ყოველი ჩვენგანი სხვადასხვანაირად გამოსთქვამს თავის-თავის და გულის ცარიელობას. (II, 455).

175. ყოველივე მადლი და კეთილი ცივილიზაციისა, რომელსაც იქნება მთელი საუკუნოები მოსდომებია აღმოსაჩენად და ცხოვრებაში დასამკვიდრებლად... ადამიანის ჭკუის თვისების წყალობით მოჰფენია ქვეყნიერობასა. (VII, 373).

176. ყოველს ადგილას, ყოველს საქმეში, — რაც უნდა ჩუმი იყოს, რაც უნდა მცირე, — ადამიანს შეუძლიან აღმოაჩინოს სიდიადე ღვაწლისა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ერთის მეცნიერისაგან: „ვინც ორი მარცვალი მოიყვანა იქ, საცა მანამდე მარტო ერთი მარცვალი მოდიოდა, იგი ერთს უდიდესს სამსახურს უწევს კაცობრიობასაო". (IV. 245).

177. შეიძლება კაცი სიტყვით ერთი იყოს და საქმით სხვა. (III, 362).

178. შენც, ძმაო, ვიცი გაგიგონია,
ყმის ბედი რა-რიგ სწრაფად იცვლება!
თუ ყმასა გუშინ ბედი ჰქონია,
არ იჯერებს, რომ დღესაც ექნება. (I, 168).

179. შესაძლოა ერთმა დანაშაულმა მეორე უფრო მძიმე და დიდი უბედურება გამოიწვიოს და მშვიდობიანი კაცი ავაზაკად გაჰხადოს. (VI, 229).

180. შესაძლოა კაცმა აზრი, ფიქრი გამოიცვალოს იმიტომ, რომ რაც გუშინ მართალი ჰგონებია. შესაძლოა დღეს ტყუილი გამოდგეს. (VIII. 270).

181. შეცდომა ყველას თავს არის. („კვალი", № 8. 1893, 4(20).

182. შიშმა და ელდამ გამოკითხვა აღარ იცის, რაკი ერთხელ-და-ერთხელ კაცს ბუდიდამ გულს ამოუფრთხობს. („ივერია", № 272, 1886. 1).

183. ჩემის ფიქრით, შრომა კაცის ბუნებას ეჯავრება და სიამოვნებას, სიტკბოებას კი კაცის ბუნება ეტანება. მთელი კაცობრიობის ცხოვრება ამ ორთა გრძნობათა ბრძოლაა. ერთ მხრივ იბრძვის შრომის სიძულვილი, მეორე მხრივ სიამოვნების სურვილი. (II, 460).

184. ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე. (III, 40).

185. ჩვენი სამოთხეც, ჯოჯოხეთიც თითონ ვართ ჩვენა. (I, 351).

186. ჩვენც კაცნი ვართ და — ძველის ფილოსოფოსისა არ იყოს — არა-რა კაცობრიები არ უნდა გვეუცხოვებოდეს.* (IX, 12).

187. ცრემლი მწუხარების შვილია... თავის-თავად მოდის, როცა გული იწურება. (II, 66).

188. ძმობა ძმობაა, მაგრამ კაცი ისეა შექმნილი. რომ ჯერ თავი და თავი, მერე ცოლი და შვილი.** (IX, 131-132).

189. ძნელი ყოფილა, შენი ჭირიმე, კაცის-კელის ფიქრის წინათ-ვე გულში გატარება! მეტად ძნელი ყოფილა. (II, 114).

190. წუთიერის მღელვარებით გატაცება... მდუღარე კაცის თვისებაა. (X, 44, 574).

191. ჭირთა თქმა — ლხინიაო. (II, 86).

192. ჭკუა იმისთანა რამ არის, რომ თუ საკუთარი არა გაქვთ, მეტი გზა არ არის, უნდა სხვისაგან ისესხოთ, რაკი არ დაგიშლიათ და ჭკუიანობაზედ თავსა სდებთ. („ივერია", № 236, 1899, 2).

193. ჭკუათა-მყოფელი და გონებიანი კაცი ვიდრე ერთხელ მოსჭრიდეს, ჯერ ათასჯერ წინად გაზომვას, ნამეტნავად იქ, საცა საზოგადო საქმეა. სულელმა და უგუნურმა კი ჯერა სჭრას და მერე ეზომოს, რა-კი ესე უწერია ბედის წერის დავთარში. („ივერია", № 38, 1897, 2).

194. ხატი ცხოვრებისა ადამიანის ხასიათშიაც გამოითქმის და ზნეშიაც. (III, 124).

195. ხმა და სიტყვა ცალ-ცალკე ბევრს შემთხვევაში ულონონი არიან ადამიანის გულის სიღრმიდამ ამოზიდონ იგი სხვილი და წვრილი მარეალიტები, რომლითაც სავსეა ადამიანის გული და რომელნიც აიშლებიან ყოველთვის, როცა ან ხევდა-მწუხარება, ან სიხარული შესძრავს ხოლმე ღვთაებურს სიმებს ადამიანის სულიერებისას. (III, 145).

196. ხომ მოგეხსენებათ კაცის ანბავი, — ყველაფერს მალე შეეჩვევა. (II, 42).

197. ხომ უნდა მოვკვდე ღღესა თუ ხვალე, ის არა სჯობია ღვთისა და... გეტყვი ეხლა კი, კაცის სამსახურში... ამოვიდეს სული!.. აქ სახელი მაინც დაგრჩება და იქ სიკეთე წაგიძღვება. (II, 72-73).

---

* თითქმის იგივე აზრი („ჩვენც კაცნი ვართ და არა-რა კაცებური არ გვეუცხოების") იხ.: V, 339. (რედ.).

** ეს გამოთქმა („ჯერ თავი და თავი, მერე ცოლი და შვილი"), ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

*** შდრ.: „დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს".

შ. რუსთაველი. (რედ.).

198. ხომ ყველამ იცის, ბუნებითად ასეა, რომ საცა თვალია, ყურიც. თუ არ სრულად. ნახევარზედ მეტად მაინც არ არის. (II, 95).

199. (ხშირად, ადამიანს, — რედ.) სასოწარკვეთილების მიზეზად ის გახდომია, რომ ვერ მიუგნია: ცხოვრებას რა აზრი და საგანი აქვს, ანუ. უკეთ ვთქვათ, რაშია აზრი და საგანი ცხოვრებისაო. თითონ თქვენც იტყვით, რომ ეს ამოცანა შეჩვენებული ამოცანაა. რაკი ეს ამისთანა ამოცანა შეუჩნდება ადამიანს, მე არა ბეჯონია სხვა უარესმა ჯოჯოხეთმალა ბუდე გაიკეთოს ადამიანის გულში. საცოდავია კაცი. დევნული ამ ამოცანისაგან, მაგრამ დიდებულიც კია. ღონე სულისა მეტად განდიდებული უნდა ჰქონდეს კაცს. რომ ამ ამოცანას შეეჭიდოს და გაემკლავოს. ეგ შეჭიდება და გამკლავება კიდევ არაფერი. საქმე იმაშია. რომ კაცმა თვისის სიცოცხლის ძაფი მაგ ამოცანას ჩააბას, ან გაუხსნა მისი კუანძიო, ან არა და თვით სიცოცხლის ძაფი ჩემი ზედ შევაწყვიტოო. (V, 328-329).

200. (ხშირად — რედ.) ეროს ის მალამი ჰსწყინს, რომელიც მეორისა ჭრეგებს, თუმცა წყლული კი ერთი და იგივეა. („ივერია", № 7, 1886, 1).

201. ხშირად ცრემლსა ჰხედავთ იქაც. საცა დიდი სიხარულია და სიცილს იქაც. საცა დიდი სატირალია, ხოლო პირველს შემთხვევაში ცრემლს სიტკბო აქვს სიცილისა და სიხარულისა, და მეორეში სიცილს — სიმწარე ტირილისა და მწუხარებისა. როცა ადამიანის სული და გული ძლიერ არის აღძრული. მაშინ ერთი მეორის ადგილს იჭერს და მთელი დრამა სიცილისა და ცრემლისა სწორედ ამაშია. (III, 118).

202. ...естественное чувство самосохранения, которое должно быть уважаемо и почитаемо всеми, кто в образе человека признает подобие Божье и кто просветился до истинного понимания человеческого достоинства и проистекающих отсюда человеческих прав на безбоязненное неприкосновенное существование. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II, თბ., 1969, გვ. 241).

203. Что далать? Над дорогим предметом всякий трепещет, и я тоже. (X, 430).

204. Чувством самосохранения одарены создателем и звери и неужели в нем может быть отказано человеку. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II, თბ., 1969, გვ. 241).

205. ...я хотел на самом деле убедиться, что ты на человека смотришь не как на сундук, наполненный золотом, или же не как на вывеску, разукрашенную крестами и звездами, а как на божье создание, в котором прежде всего должен слышаться Его дух. (X, 423).

2. ოჯახის, საზოგადოების. ხალხის, სახელმწიფოს, ცხოვრების, პოლიტიკის, დიპლომატიის. მმართველობის, თანასწორუფლებიანობის. საზოგადოებრივი საქმის, პროგრესისა და ცივილიზაციის შესახებ

1(206). ადამიანთა ცხოვრება საზოგადოდ და ჩვენი საკუთრივ რომ რიგიანად აგებული იყოს და თავისად მიმავალი, ძველს უნდა რაიმე ციკლიდ დაეთესა, რომ ახალს ეხეირებინა... მაშინ, რასაკვირველია, ძველს მადლობით გავისტუმრებდით და ახალს იმედით და ნატვრით მივეგებებოდით. მაგრამ კაცი ბჭობს და ღმერთი კი იცინისო.* ნათქვამია. (V, 70).

2(207). ადამიანის ანუ, უკედ ვსთქვათ, ერის ცხოვრების წყობა მეტად ხლართული ქსელია. მეტად რთული საგანია და ამასთანავე ყოველს მის მოვლენას თვის გვამსა და აგებულებაშივე აქვს ანუ სენი ჯანობისა, ანუ ძალი აღყვავების განგრძობისათვის. პირველს გადაყენება უნდა ცხოვრების გზიდამ და მეორეს — ხელის შეწყობა და დაშაბრკოლებელთა მიზეზთა აცილება. ეს უცა-ბედად და ალალ-ბედად მოსახდენი საქმე არ არის და კაცი, რაც უნდა დიდად საკეთილო სურვილით ძალ-დატანებული იყოს, რაც უნდა დიდის სიყვარულით და სიბრალულით აღძრული, ცარიელის სურვილით და სიყვარულით ვერას გააწყობს, თუ წინასწარვე არ შეიგნო. — ადამიანი, ან ერი თავის მიმავლობაში საიდამ წამოვიდა პირველ, რა გზა გაიარა და დღეს რა და რომელს წერტილზეა მდგომარე. („ივერია", № 8, 1886, 1.).

3(208). (ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაში — რედ.) ძველს, არსებულს, მომხრე არ დაელევა. თითონ ახალიც, რომელიც ძველის ადგილას უნდა ჩამოსდგეს, დაბადებისავე უმალ ისე არ მომწიფდება, რომ პირში ჩადების და დაღეჭვის მეტი სხვა აღარა უნდოდესრა. როგორც ძველის ობი, ისე ახალის კვირტი — ძნელი დასანახავია. ამისათვის მეტად საღი, გამჭრე თვალი უნდა გონებისა. (V, 89).

4(209). ადრეც გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, აღმოსავლეთის საქმე იმისთანა საბძელია, — თუ ცეცხლი წაეკიდა, ყველა თავისის სა-

* შდრ.: „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო".
ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

კუთარის ხელების თბობას დაიწყებს. ყველას თავისი საკუთარი სატკივარი გაუჩნდება. ყველა ეცდება თავისაკენ მოითალოს, რაც მოსათლელია. (IX, 143).

5(210). აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო: ჟამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა, განყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლას თუ მშვიდობას და სხვათა და სხვათა ამისთანათა. (V, 334).

6(211). აკაკისა არ იყოს, ნუ ვიკმარებთ მას, რაც დღეს არის! (V, 187).

7(212). ამ ბედნიერსა და ცუღლუტობით სავსეს ქვეყანაში ცრემლი და სიცილი და-ძმანი არიან. (X, 258).

8(213). ამ ტიალ წუთისოფელში ფათერაკი ბევრია... (II, 274).

9(214). (ამ ქვეყნად ზოგიერთი პრობლემა — რედ.) იმოდენად მომწიფდა, იმოდენად საყურადღებოდა წამოდგა, რომ გადაჭრილს, გადაწყვეტილს სიტყვას თხოულობს და არა მიკერ-მოკერებას, არა ტყუილ-უბრალოდ აბლანდვასა, გულის მოსაფხანად, როგორც აქამომდე იყო (IX, 9).

10(215). ამ წუთის-სოფლის უკულმართობა ძნელი რამ ყოფილა. („ივერია", № 27, 1898, 3).

11(216). ამა სოფლისა ცხოვრება
განყოფით არ იპოვება,
ვინცა ძმობით არ ყოფილან,
მათ მოხვედრიათ მონება.* (I, 37).

12(217). ამბობენ, თუ საზოგადოება კარგად იმოქმედებსო, ბევრი წყარო გამოუჩნდებაო. მართალია, მაგრამ მაგასაც დრო უნდა და ხანგრძლიეი დროცა. (V, 354-355).

13(218). არ არის არც ერთი საქმე ქვეყანაზე, რომ წინა თაობის ნათესს მომდევარი თაობა არა მკიდეს. („ივერია", № 55, 1890, 1).

14(219). არ უნდა გვიკვირდეს, რომ რასაც დიდ მდინარეში ეპოულობთ, იმას მის პატარა სათაევშიაც ეხედავთ. (II, 280).

15(220). ...არაფერი არ აძლიერებს გონებას, არაფერი არ აღონიერებს და სწმენდს გულსა, არაფერი არა სწურთნის ზნეობას ისე,

---

* შდრ.: „ამა სოფლისა ცხოვრება
ვერცხლით არ მოიპოვება:
მდიდარნი ბევრნი ყოფილან,
ოხრად რჩენილან ქონება".
ჭაქჭავაძე (რედ.).

როგორც საზოგადო საქმე, მისთვის გარჯა და მზნეობა, მისთვის ზრუნვა და ფიქრი. („იერია", № 21, 1892, 2).

16(221). არსებული, ძველი, ისე არ გაცუდდება, რომ ვისიმე გამოსაყენი არ იყოს. (V, 88).

17(222). აწინდელ ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მასში მომავლისათვისაც თესლი ურევია, როგორც წარსულში ერევა აწმყოსათვის. (III, 67).

18(223). აწმყო, რომელსაც ძველთა ღმერთის იანუსისაებრ ორი თავი აქვს, ერთით უკან იცქირება და მეორითი წინ, გონების თვალწინ ცხადად და უტყუარად უნდა გამოხატული ჰქონდეს ყოველს იმას, ვინც კი კისრულობს ქვეყნის პატრონობას, მოვლას და სამსახურსა. ამისათვის საჭიროა ზედ-მიწევნითი ცოდნა მისი, რაც ყოფილა, რაც არის და რაც უნდა იქმნას. უამისოდ მოხელე, დიდია თუ პატარა, ვერას იქმს, ერთს ბიჯსაც ვერ გადაჰსდგამს ვერც სახელმწიფოს სასარგებლოდ და ვერც საზოგადოების სახეიროდ. ტყუილ-უბრალო იმედია თუ ვინმე თავის იმედს ამისთანა მოხელეს მიჰყუდებს. ამისთანა მოხელეს, რაც უნდა დიდი სურვილი ჰქონდეს სიკეთის ქმნისა, ხელიდამ არა გამოუვა-რა, სულ ყოველის ფერი ფუქსავატი იქნება, ფუჭი და ამაო, რაც უნდა წელებზედ ფეხი იდგას და ოფლი ღვაროს... სულ ყოველივე — მისი დაპირება, ქადება და აღთქმა — უბარაქო მჭვერ-მეტყველება იქნება, ქარაფშუტობა და ფუქსავატობა. („იერია", № 10, 1882, 131-132).

19(224). ახლად ფეხადგმულმა საზოგადოებამ საკუთარი ვითარება უნდა შეისწავლოს... (III, 315).

20 (225). ბატონ-ყმური დამოკიდებულება უსამართლო საქმე იყო. (VI, 137).

21(226). ბევრ ხალხთ ცხოვრება, ბევრ ხალხთ საქმენი.
ეით მეტეორნი ცაშია, ჩაჰქრნენ. (I, 318).

22(227). ბევრი იმისთანა ახალია, რომლის მოსაპოვებლად ჭეშმარიტი კონსერვატორი სიცოცხლესაც არ დაზოგავს, და ბევრი იმისთანა ძველია, რომლის დღეგრძელობისათვის ჭეშმარიტი ლიბერალი თავის საკუთარს დღეს შეიმოკლებს. (V, 90).

23(228). ბევრს ერს ქვეყანაზედ სულაც არა ჰქონია წარსული, სულაც არა ჰქონია ისტორია, ესე იგი იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისა, მის მიზიდულებას, მის აზრს და საგანს არსებობისას, მის წმიდათა-წმიდას, და რომელიცა მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთესს მერმისისათვის. ამისთანა ხალხნი დღე-

საც ბევრნი არიან ქვეყანაზედ. ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელსაც არ იცის — ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება. ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელს დროში, და სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მქონე ერი დაეძგერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა. (IV, 200-201).

24(229). ბუნებაშ, რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მზარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჰავა მისცეს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზოგადოებისათვის, მაინცდამაინც სალხთა კეთილდღეობაზ სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. (VI, 7).

25(230). განა როცა უცხო თესლის დინასტია დაიჭერს სამეფო ტახტსა რომელისამე ერისას, უსათუოდ უცხო ენასაც შეიტანს ხოლმე სახელმწიფო საქმეთათვის? (IV, 94).

26(231). გასაგონადაც სასიამოვნოა... სიტკბოებიანი მეზობლობა... (II, 343).

27(232). ...დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავი უკმარობა დღევანდელობისა. (აი — რედ.) ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ის ძლევამოსილი წინმსვლელობა, ის დიადი წარმატება, რომელიც ყარამანსაეთ ყაფის მთას მხრებზედ დაიყენებს, რომ ქვეშ ჯარმა მშვიდობით და უწყინარად გაიაროს. (IX, 114).

28(233). დაწუნება და უარყოფა ახლად შემოღებულისა მარტო იმ მიზეზით, რომ ჩვენთვის ადრეა და ჩვენ მისდა მისაღებად მოუმზადებელნი ვართო, ჩვენის ფიქრით, შეცდომაა. ყოველს სიკეთეს, ყოველს ღონეს და სახსარს გზა შეეღობება, თუ კაცმა ხელზედ დაიხვია და სთქვა: აცა, ჯერ მზად არა ვართო... ეგ საბუთი, გარდა იმისა, რომ უმართლოა, მავნებელიც არის: ბევრს სიკეთეზედ ხელს დაგვაბანინებს, რომ მაგათ ავყვეთ. (VII, 376).

29(234). დიახ, ჩემო ბატონო, იმისთანა ხალხი, რომლის გამოხატულობაც ჟამთა ვითარებით უმაღლესს საგნებიდამ მარტო ჭამა-სმაზედ დაძგარა, ანუ რომელსაც მცირე საგნებიდამ გონება მაღლა ვეღარ აუცილებია, ის ხალხი უფრო შებრალების ღირსია. ვიდრე განკიცხვისა. (II, 462).

30(235). ...დიდ სახელმწიფოებს ეჯავრებათ, რომ ერთი მათგანი ბეტისმეტად თავში გაიწევს ხოლმე და მბრძანებლობას იჩემებს, თუმცა თვითოეული ცალკე სულ ამ მბრძანებლობის ხელში ჩაგდებას ეპოტინება და ამის ნატვრაშია. (IX, 180).

31(236). დიდთა სახელმწიფოთა შორის არც ერთობლივი აზრია და არც ერთობლივი სურვილი. აქ ზოგიერთს ეჩო უჭირავს ხელში და ჰლამის თავისაკენ მოთალის. (IX, 142).

32(237). დიდი საქმე ზოგჯერ ბედისაგან წილად ხდომილია და ადამიანი მარტო ფარ-ხმალია, ბედისაგან არჩეული. აქ კი (საყოველთაო-სახალხო, საზოგადოებრივ საქმეში — რედ.). გამუდმებული თავდადება უნდა, დიდი გულმოდგინება, დიდი ღონე ზნეობისა, დაუცხრომელი სიყვარული, დაუღალავი ბეჯითობა და გაუტეხლობა გულპატიოსანის მუშაკისა და გამრჯელისა... რომ მარცვლეულობით ნაღვაწი ბოლოს იმოდენა ხვავად აქციოს... საზოგადოების თვალში, რომ საჯაროდ პატივისცემა და მადლობა გამოიწვიოს. (IV, 246-247).

33(238). დიდი საქმეა, როცა თითონ ხალხი ცდილობს თავისი-ნავი გაიტანოს. (V, 21).

34(239). დიდხანს დგომა... მძიმე შეცოდების ქვეშ... სახეირო არ არის, მით უფრო, რომ განსაცდელში აგდებს საზოგადო საქმეს. („ივერია". № 50, 1890, 2).

35(240). (დიპლომატია — რედ.) მართალია, დაუზარებელი ყბედია. მაგრამ იმისთანა ყბედია, რომელიც დილიდამ საღამომდე უნდა პლაქლაქებდეს და მაინც არა სთქვას-რა და, რაც შეიძლება, სათქმელი ღრმად დაიმალოს გულში. (IX, 137).

36(241). ...დიპლომატიაში და პოლიტიკაში ტყუილს ფახი-ფუხს და მუქარას ხშირად თავისი ადგილი აქვს ხოლმე სხვის გულის გასახეთქად... (IX, 141).

37(242). დრო გამოაჩენს, ვაი ეკუთვნის გამარჯვებულთა, თუ ვა- (III, 413).

38(243). დრო მხოლოდ იგი ქვევრია, რომელიც მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც თითონ კაცი ჩასძახებს.* (III, 378).

39(244). დრო ჰსჭვრიტე, ყამთა რა მოაქვს?
რას ისხამს, რა მოისთვლების!** (V, 334).

40(245). დროთა მიმავლობაში ზოგან საქმე ისე წარემართა, რომ სახელმწიფომ იმძლავრა და სრულიად დაიმორჩილა საზოგადოება საერთოდ და ადამიანი ცალკედ, ყველაფერი თითონ მოითალა და საზოგადოება და ადამიანი ცარიელზედ დასვა. ზოგან საზოგადოებამ თვისი კუთვნილი უფლება შეირჩინა და არ დაუთმო სახელმწიფოს, და ადამიანი კი ცალკედ თვის ყურმოჭრილ ყმად გაიხადა. ზოგან კიდევ, როგორც სახელმწიფოში საზოგადოებას, ისეც საზოგადოებაში ცალკე ადამიანს, ანუ უკეთ ვსთქვათ — ადამიანის პიროვნებას, თავისი საკუთარი უფლება შერჩა. უკეთესი განწყობილება ის არის, საცა თვითეულს ამათგანს თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს, საცა თეითოეული მათ-

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო". (რედ.).

** შდრ.: „დროს ჰვრიტე, ყამთა რა მოაქუს,
რას ისხამს, რა მოისთლობა"; „ქილილა და დამანა". (რედ.).

განი ისეა მოთავსებული. რომ თავის სრული უფლება მიწყული აქეს... ამისთანა სახელმწიფოში. გარდა სახელმწიფოსი — თითონ საზოგადოებაც თვის მფარველობის ქვეშ აყენებს ადამიანის პიროვნების უფლებას და ყოველს შემთხვევაში ესარჩლება და ექომაგება, თუ იგი ვისგანმე უსაბუთოდ გაუპატიურებულია და ხელშეხებული. (V, 165-166).

41(246). (დროთა ნიშანია — რედ.) თელვა ყოველის ლოღიკისა, ლედა-აზრისა, ყოველის ადამიანობისა, ყოველის მართებულობისა და უფლება-მოვალეობისა!.. (VII, 268).

42(247). დრონი მეფობენო, ნათქვამია.* („ივერია", № 75, 1897, 1).

43(248). ღღე-და-ღღე... ნაყოფი ემატება, ღღე-და-ღღე სხვა-და-სხვა ყვავილებით იმოსება ხე ცხოვრებისა. ეგ ნაყოფი, ეგ ყვავილები ერთად შეკრებილი შეადგენს ცხოვრების ვითარებასა, მოსავალსა. (III, 310).

44(249). ღღეს ძლიერი სახელმწიფო იგია, ვინც მდიდარია და ვისაც, მაშასადამე, მეტი შეიძლება აქვს ბევრი გასწიროს და მაინც სახსარი შერჩეს ცხოვრებისა. (VII, 310).

45(250). ევრედ-წოდებული მდაბიო ხალხი... უფრო გულ-შემატკივარია, უფრო მგრძნობიერია, უფრო ხელის შემწყობია და სულისა და გულის საქმის უფრო მიმდევარია, უფრო ამყოლი. („ივერია", № 212, 1886, 1).

46(251). ენა, ჩვეულება, წესიერება, ისტორია, ყველა ეს შეადგენს იმ განსაკუთრებულს ნიადაგს, რომლის მიუხედველად შეუძლებელია ხალხის ცხოვრებაზედ ზედმოქმედება, მისი წარმატება და მისის კეთილ მდგომარეობისათვის სარგოიანი მოღვაწეობა. (III, 268).

47(252). ეს უბედური ქვეყანა ისე დაეწყო. რომ ხმალი უფრო საჭვერობს, ვიდრე ფარობს. მინამ ქვეყანა ასეა და ძალა აღმართსა ხნავს, ხმალმა ორგვარი სამსახური უნდა გაუწიოს თავის პატრონს, იმის მიხედვით, თუ შემთხვევა და ფათერაკი რა დროს რას მოითხოვს.** (V, 123).

48(253). ეს ქვეყანა მრავალ საიდუმლოებით არის სავსე. („ივერია", № 191, 1888, 1).

49(254). ეს ქვეყანა შეცდომებითაც სავსეა („ივერია", № 191, 1888, 1).

50(255). ვაი იმ ხალხს, რომელმაც არ იცის, რისთვის ცხოვრობს, რომელიც ხავსს იკიდებს ერთს დამპალს გუბეში და არ იცის, რომ გუბეს გარეთ მინდვრებია ამწვანებული და ჰაერი ცხოვრების მომნი-

---

* ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ძალა აღმართსა ხნავსო". (რედ.).

ჭებელი; უფრო ვაი იმ საზოგადოებას. რომელმაც არამც თუ ეს, ისიც არ იცის, რომ უნდა ცხოვრობდეს უთუოდ რისთვისამე!* (III, 452).

51(256). ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე" ხშირია, და „ჩვენ" — იშვიათი! (III, 76).

52(257). ვაი, რა კარგია ხოლმე ხანდისხან ეს უხეირო წუთისსოფელი! (II, 99).

53(258). ვერა, ვერ ჰმარიონ ვერსად ერი იმა მმართველთა,
ვისც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწყნარება. (I, 145).

54(259). ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულია ბრძოლას. —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კელავ აღყვავდების. (I, 140).

55(260). ვინ არ იცის დღეს, რომ თუ გარშემო ყველა ჰკვნესის, მეც საკვნესელი გამიხდება საქმე, თუ ყველანი გაღატაკდებიან სულით, თუ ხორცით, მეც თან ჩამიყოლებენ, ბევრიც რომ ცალკე ვიფორიხალო და გავიჯიმო. ასეთია უძლეველი კანონი საზოგადოებურის ცხოვრებისა და ამ კანონს ვერ გარდასცვლის ადამიანი, როგორც კანონს ბუნებისას. („ივერია", № 38. 1897, 1).

56(261). ვინ იცის, ძმაო, ხვალ ბედი რომ გადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან?.. (II, 59).

57(262). ვისაც რიგიანად სვლა უნდა წარმატების გზაზედ, ვისაც კეთილის სურვილის კეთილად განხორციელება აქვს განზრახვად და არა ტყუილი ფართი-ფურთობა, ვისაც ცნობიერად ჯერ კიდევ ნედლის ძველის გასხვლა უნდა ხეირობის გაძლიერებისათვის, ანუ ცხოვრებისაგანვე გადამხმარის მაგიერ ახალის ნერგის დარგვა აქვს ფიქრად, მან თვისი პირველის ბიჯის გაღადგმა იქიდამ უნდა დაიწყოს, სადაც დღეს ფეხი უდგია თვითონ ადამიანთა ცხოვრებას. („ივერია", № 8. 1886, 1).

58(263). ვისაც-კი ოდესმე ცხოვრება და მისი მოვლენანი თავისის განკითხვის და განსჯის საგნად გაუხდია, განა ცხოვრება არ უცვნია ისე, როგორიც არის, მისნი მოვლენანი არ ურკვევია, არ აუხსნია, არ

* თითქმის იგივე აზრი იხ.: III, 460. (რედ.).

ჰსურვებია მათი ახსნა, შეგნება და გამორკვევა, ხოლო თავისებურად-კი? საქმე აქ თავისებურობაშია, ამით და მხოლოდ ამით განირჩევა ერთი მოღვაწე მეორისაგან, ძველი ახალისაგან. (VI, 285).

59(264). ზოგი ფარეთაკი მარგებელიაო...* (II, 366).

60(265). ზოგიერთის კაცთა კრებულის ყოფა-ცხოერება ისე ბედნიერად მოეწყობა ხოლმე, რომ თითქმის ყოველ კაცს, ღონიერს თუ უღონოსა, ძალას ატანს მოჰკითხოს თავის-თავს — რისთვის იყო, ან რისთვის არის? უმისოდ ამისთანა საზოგადოებაში კაცი ვერ გაიჭაჭანებს, ვერ ისადგურებს, გზას ვერ გაიკაფავს, ვერ იხეირებს, ერთის სიტყვით, თავს ვერ გამოიჩენს. აქ ცალკე კაცის ღონის ნაცვლად ბრძანებლობით შემოქმედობს თვითონ იგი ზნე საზოგადოებისა, რომელიც სხვა არა არის რა, გარდა შეერთებულის ღონისა, და ამიტომაც ამ ზნეს ვერავინ უმტყუნებს, თუ კაცური კაცობა ჰსურს. (IV, 228).

61(266). თანასწორობა სულია და გული ყოველის წყობისა და ნამეტნავად თვითმმართველობისა. უამისოდ თვითმმართველობა უქმი სიტყვაა, უნაყოფო ხეა. (VI, 59).

62(267). თვით იგი საზოგადოებაც კი პატივით და სახელით მოსახსენებელია, რომელსაც თვალი უჭრის... ღვაწლის დასანახავად: ეს უტყუარი ნიშანია მის გონების აღმატებისა, იმიტომ რომ უბუკ-ნაღარაროს საქმეს, ჩუმსა და უჩინარს სასარგებლო ღვაწლს ხორცის თვალი ძნელად შისწვდება. აქ გონების მჭრელი თვალი უნდა, რომ თვალად მცირენი, მაგრამ კეთილნი საქმენი, რომელნიც გამუდმებულ შრომით ერთმანეთზედ განუწყვეტლად აკინძულია, ზედ-ნაკეცია, იცნას დიდის ზნეობის საქმედ და პატივისცემის ღირსად გაჰხადოს. (IV, 247).

63(268). თვით ცხოვრების შინაგანი ძალი და ძარღვი მოძრაობს და სძრავს ცალკე კაცსაც ამისა თუ იმის მოქმედებისათვის. (IX. 132).

64(269). (თვითმმართველობა — რედ.) ემორჩილება ყოველს მას, რაც უმაღლესის მთავრობისაგან განგებულია, დაწყობილი და განწესებული. (VI. 41).

65(270). თვითმმართველობა ერთი იმ ძალთაგანია, რომელიც აბია წარმატების უღელში და ეწევა სხვებთან ერთად. (VI, 48).

66(271). თვითმმართველობა ერთის მხრით ადგილობრივ საქმეთა დამწყობია და გამრიგებელი, მეორეს მხრით უმაღლესის მთავრობის ხელისუფალ** ორღანოა. (VI, 41).

---

* შდრ.: „ზოგი ჭირი მარგებელიაო".
ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

** Исполнительный. „ხელისუფლება" სწორედ ამ აზრით არის ხმარებული ჩვენს დასტულამაში. აქედან არის წარმომდგარი სიტყვა „მოხელე". თითონ დასტულამაში მეფის და მდივანბეგის განჩინების აღმასრულებელნი კაცნი საერთოდ „ხელისუფლად" წოდებულ არიან.

67(272). თვითმმართველობა თავის ადგილას ყოვლის შინაურის საქმის გამგებელია და მეორე; ყოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განმანაწილებელია. ადგილობრივის საზოგადოების რიგისა და წესის დამწყობია, მისის ზნეობის, პატივის, ქონების. განათლების და ერთობ კეთილდღეობის მ'ბრუნველია. (VI, 41).

68(273). თვითმმართველობა სოფლისა, როგორც ჭეშმარიტი ორღანო სოფლის გამგეობისა და მზრუნველობისა. ღონემოკლებული უნდა იყოს. საცა სოფლის ერთობა'ხედ არ არის დამყარებული. (VI, 48).

69(274). თვითმმართველობა ხელქვეითია... უმაღლესის მთავროობისა და საერთო კანონის ადგილობრივი მცველია და აღმასრულებელი. (VI, 41).

70(275). თვითმმართველობამ რომ თავისი ჩვეულებრივი ნაყოფი მოიტანოს და თავის თავს არ უმტყუნოს. მისდა შესაფერად უნდა იყოს მოწყობილი და დარგული. ამ მოწყობაში არც ერთი მისი არსებითი კუთვნილება დავიწყებული არ უნდა იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა დაირღვეს. თუ ეს სიფრთხლე არ იხმარა ადამიანმა, თვითმმართველობა უფრო უქმი სიტყვა იქნება. უფრო სახელი იქნება. ვიდრე სახრაეი. (VI, 42).

71(276). ... თვითმმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰყავს; ბევრი უფრთხობს ტყუილუბრალოდ ძალსა და მოსვენებას. ამბობენ. რომ საშიშარიაო — საზოგადოებას ეგ უფლება მიენიჭოს: აურზაურს მოჰყვება, თავს გაი'ხვიადებს და მორჩილებიდამ გამოვაო. (VI, 37).

72(277). (თვითმმართველობის — რედ.) ... დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს.

ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობას: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკვასა და გონებას-უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალხს ულვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს. ამგვარი მმართველობა ისეთის ოვისებისაა, რომ საცა კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველს ხალხში იხეირებს და ჩვეულებრივს ნაყოფს მოიტანს. იქ, საცა მაგას გზა და ადგილი აქონია. ყველგან ცხოვრება ადამიანისა აუყვაეებია... (VI. 36-37).

73(278). თითონ ცხოვრება აღმოშობაეს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრაეს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, — მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის ჯახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს. (III, 66-67).

74(279). თუ არ ცხოვრების მორევში, საგანს სად იპ(ოე)ნი წერისათვის. (X, 35).

75(280). თუ კულტურა. ინტენსიური ცხოვრება ერს არ აღონიერებს, არ აძლიერებს და, პირიქით, ღონისაგან სცლის. ვიღა ოხერი იქნება ინატრიოს და თავი გამოიდოს კულტურულ, ინტენსიურ ცხოვრებისათვის. (IV, 22).

76(281). თუ მარტო კაცთმოყვარეობა და სულგრძელობა არა, პირდაპირი ანგარიში თხოულობს, რომ კაცმა ჯარი არ მიიწვიოს აწ გულზემოსულ გლეხკაცობის დასაწყნარებლად, რადგანაც ხვალე, ასე იქნება თუ ისე, ამ გლეხობასთან მოგვიხდება სულიერი და ხორციელი ცხოვრება. განა ეს მოსალოდნელია, განა ეს შესაძლებელია ჯარისაგან დაწიოკებულ და აკლებული გლეხკაცობის მხრით? კაცს ადამიანის ბუნებისა არაფერი არ უნდა გაეგებოდეს, რომ აქ ჰო სთქვას. (IX, 289-290).

77(282). თუ მე არა, ნურც შენაო. — აი თავი და ბოლო მბრძანებლობისათვის მომართულ პოლიტიკისა. (IX. 180).

78(283). თუ მთავრობას ჰსურს დაასახვოს ხალხსა თავისი უკეთესი მხარე, რომლითაც იგი მართლა-და სასატრელია ყოველის კაცისათვის, სახელდობრ — ის მხარე, რომლითაც სახელმწიფო თავის უწმინდაეს მოვალეობად უნდა აღიარებდეს ხალხის შველას ყოველთვის და გაჭირვების დროს ხომ უფრო, მის კეთილდღეობისათვის წადილს, მზრუნველობას და მხურვალე გულდადებას. და ამ შემთხვევაში ზოგვა და ძუნწობა საბოლოოდ საქმის წახდენაა და ღალატი სახელმწიფო საქმისა. (V, 28).

79(284). თუ ჟამს ხელთ აქვს ისარიო,
შენცა ხელთ გქონდეს ფარიო.* (V. 334).

80(285). თუ ცხოვრება ... ჯანმრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდომა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დაერდომილის აღმაღგინებელი იმედი — მისნი ძალანი, მისნი ძარღვნი მარად დაუძინარნი არიან. ივინი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედობენ. მოძრაობენ, წარმოებენ, როგორც ყოველიფერი, რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული... ყოველს მათ მოძრაობას, ყოველს მათ მოქმედებას თავისი ნაყოფი ამოყავს ცხოვრების ხეზედა და ყოველს ამ ნაყოფს აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა, იმიტომ, რომ იმათი ძირი ცხოვრებაშია გამოკვანძილი. (III, 59).

81(286). თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს. (III, 64).

82(287). თუ ხალხი ცხოვრობს, განყითარებაში არის, ე. ი. აზრიანობს, გამსჯელობა ემატება, სიტყვაც მოემატება, ენაც გაუმდიდრდება. (III, 472).

* შდრ.: „თუ შენ გაქუს-ყე ისარი,
ძეკა მაკყრია ფარია!“
„ქილილა და დამანა“. (რედ.).

83(288). თუმცა არ არის სასურველი... საზოგადოება ისე აუჩქარდეს თავის საქმეს. რომ ზედ წააკლას არსებითი საგანი. მაგრამ არც ის არის სანატრელი, რომ მეტისმეტმა სიწყნარემ ობი მოჰკიდოს იმ დედააზრს, რომლითაც იგი საზოგადოება უნდა სულდგმულობდეს. (V, 72).

84(289). თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერობაზედ ამ ხუთასექვსას წელიწადში, მაგრამ ეს მიწის-ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა. მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდეც. (V, 18).

85(290). ...თუმცა იგი (ცხოვრება — რედ.) ბერდება, მაგრამ თითონვე გვაძლევს ხოლმე თესლს მომავალ გადახალისებულ ცხოვრებისათვის. (III, 466).

86(291). ...თუმცა იგი (ცხოვრება — რედ.) ბერდება, მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით ისევ თავის-თავად ახლდება და ჰყვავის. (III, 71).

87(292). თქვენ არ იცით, რა ძალა აქვს საზოგადო ხმას: როცა ის კაცს აქეზებს, კლდეს გაარღვევინებს, სუსტსა ახოვნებას აძლევს; და როცა ისევ ის ხმა ბოროტობს, თვით ახილესსა ქონდრის-კაცად თუ არ ხდის. დაასუსტებს მაინც. (III, 469).

88(293). იგი სახელმწიფო. რომელიც თავის ქერქშია და აქეთ-იქით არ იწევს თავისის საზღვრების განზედ გადგმისათვის, რაც უნდა პატარა იყოს, მაინც შედარებით ბედნიერად ცხოვრობს. ამგვარნი სახელმწიფონი არიან მეორე და მესამე ხარისხისანი. რაკი გარეთ ულონობის გამო ხელი არ მიუწვდებათ, რადგანაც მცირენი არიან, ამიტომაც მთელს თავის დროს და მზრუნველობას შინაურს საქმეებს, შინაურობის წარმატებას და კეთილდღეობის გაძლიერებას ახმარებენ. (IX, 95).

89(294). ინგლისის მთავრობის ხასიათი: ყოველთვის უთმობს ხალხს და არ უფთხის ზოგიერთებისამებრ, რომ ულონობაში ჩამომართმევენო. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი. ხელნაწერი № 64, გვ. 1).

90(295). ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა, რომელიცა ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის ნაყოფზედ ისევ არ ამოვა გაზახლებული. განათლებული სიახლის მშვენიერ გვირგვინითა — ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებს სამარისაკენ. ბოლოს მიეა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ. (III, 58-59).

91(296). კაცთა საუბედურად, დღევანდელი ღღე მუშტისაა, ძალა ჯნავს ალმართსა. ეით უფრო ხაქვს-ხ:ადიდებელია ულონი ჩაგრულთა ბოქმედება. (X, 141).

92(297). (კაცთა შორის ურთიერთობის ნორმების დადგენაში — რედ.)... წინ ფეხის გადადგმა კანონისა თუკი ასრულდა და განხორციელდა, მიასწავებს ვანზე გადგმას ადამიანობის მიჯნებისას ამ წუთისსოფელში და ერთი უმთავრესი საგანიც ეს არის ეგრეთწოდებულ პროგრესისა, სხვათა შორის. (VIII, 347).

93(298). კაცობრიობა ჰთაკილობს ძლიერისაგან უძლურზე ზედმისევას, თავდასხმას, და ამისთანა უსამართლო მოქმედებას თავისს სამართლიანს ბუნებერსა სდებს წყრომისას და რისხვისას. (V, 8).

94(299). ...კერა ადამიანისა ჰატივცემულია ყველასაგან, ვისაც არ დაუკარგავს გრძნობა ადამიანის ღირსებისა, ვისაც კაცი კაცად სწამს. (VIII, 243).

95(300). ლხინია, თუ ტირილია, ნათესაი ნათესაეს ვერ გამოაკლდება. (II, 384).

96(301). მართალი უთქვამთ: წუთისოფელი ზოგისათვის მამაა, ზოგისათვის — მამინაცვალიო.* (II, 323).

97(302). მართალია, დღევანდელის დღით გამწარებული კაცი ხვალის იმედზეა ხოლმე. მაგრამ ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ ხვალე შვილია დღევანდელის დღისა და დღევანდელი დღე შვილია გუშინდელისა. (III, 379).

98(303). მართლა რომ ეს წუთის-სოფელი სიზმარი ყოფილა. დღეები, წელიწადები ისე ხელიდამ გეპარება, რომ არც გესმის. (II, 490).

99(304). მართლა-და დასაჯერი არ არის, რომ ხალხი სადმე და როდისმე ცუდისათვის მომზადებული იყოს და კარგისათვის კი მოუმზადებელი. (VI, 82-83).

100(305). მარტო გულმოგებული და ფეხგამაგრებული ხალხია უშრეტი წყარო სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა. (V, 28).

101(306). მარჯვე დიპლომატი ევროპის საქმეს დომხალსავით აურევს ხოლმე (IX, 63).

102(307). მაცხოვნებელია პირველი ქროლა ვაზაფხულის პირველის დილისა, მაშინ ცა და ქვეყანა ერთი-ერთმანეთს შეჰხარიან; უფრო მაცხოვნებელია პირველი ქროლა ახალის ცხოვრებისა — ეგ ახლად დაბადებულის ყრმისა, რომელსაც ძველი ცხოვრება ისე უნდა შეჰხაროდეს, როგორც ძუძუმძლეველი დედა შეჰხარის ახალგაღვიძებულს ბავშსა. გული სხვა-რიგად სცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა-რიგადა სცემს შაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვა-

* ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

ვილი ახალი აზრისა... მით უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, რომ ჭკნება თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდევ სხვა და ეგრეთ არ შეადგინოს ისტორიული ყვავილთა გრეხილი, რომელშიაც მომდევარი წინადმსველელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი, თუ რომ ცხოვრების ვითარების და გარემოების გაელენა ადრე და მალე არ დაუხლართავს გზასა და ზრდას არ დაუშლის. მაგრამ ესეც კია სანუგეშო, რომ როგორი დარიც უნდა დაუდგეს მაგ ყვავილსა, თუკი ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააჭირო და სრესო, მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწასა, ამოხეთქავს და გამოვა ზინათლეზედ უფრო დაშვენებული და ძლიერი. (III, 57-58).

103(308). მახლას, ქვეყანა ასრე მქმნელიაო, ნათქვამია. უპატარკაცოდ დიდ-კაცებს ცხოვრება თუ არ შეუსძლებიათ?! ყველას ღმერთმა მშვიდობა მიჰსცეს... (X, 273).

104(309). მდაბიო ხალხის გონებითი თუ სხვაგვარი საუნჯე მარტო იმის ლექსებში ანუ პოეზიაში როდი გამოიხატება, არა, ეს საუნჯე უხვად დათესილი და დარჩენილია ისეთს ნაწარმოებებში, რომლებიც ზრულებით არ ეკუთვნიან პოეზიის სფერას. ამ გვარია. მაგალითებთ, ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურს და იურიდიულ ცხოვრებას. (IV, 191).

105(310). მე ადამიანის ცხოვრება ცოტად თუ ბევრად მიწვნევნია და მწამს, რომ შექსპირი მართალია; „სულელთ თამაშაა ადამიანის ცხოვრებაო — ამბობს იგი, — გინდათ თუ არა, უნდა ჩაედგეთ და ვიტრიალოთო". (III, 369).

106 311). მელნით ბრძოლამ იქმნება მეტი ქმნას ეიდრე ზარბაზნის ბრიალმა და ისიც შეიძლება, რომ ხელახლად შუღლი ჩამოაგდოს და კალამმა ისევ ხმალს დაულოცოს გზა. („ივერია", № 4, 1878, 6).

107(312). ...მეცნიერებასა და მხნეობას, ამ ჭკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავი უკმარობა დღევანდელობისა. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ძლევამოსილი წინმსვლელობა... დიადი წარმატება. (IX, 114).

108(313). მზრუნველობა და გამგეობა არის აუცილებელი და უსაოუო საგანი ყოვლის მმართველობისა. (VI, 35).

109(314). მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ. (III, 12).

110(315). მორიგებით, მშვიდობიანობით საქმის გათავება, რასაკვირველია, ყოველთვის კარგია... („დროება", № 37, 1882, 1).

111(316). მოხდება ხოლმე, რომ ხალხი რასაცა ჰგრძნობს, იმას ვერა სცნობს და ვერ არჩევს სხვათა შორის. (III, 60).

112(317). მოხელეობა მმართველობისა მარტო მშვიდობიანობის მცველი კი არ არის, მარტო დარაჯი კი არ არის, არამედ მწერალიც უნდა იყოს ხალხისა, მასთან ერთად ჩაბმული და ერთად მოღვაწე. უნდა იყოს-მეთქი, და არის თუ არა. — ეგ ღმერთმა იცის... (V, 35).

113(318). მუდამ ხარბს პოლიტიკაში ხელ-შეკრულობა სძლებს იმ დრომდე, ვიდრე ერთ-ერთი მხარე. ძალ-ღონეს არ შემოიკრებს მისდა დარღვევისათვის. („ივერია", № 255, 1894, 2).

114(319). ნათქვამია: ჭკუა რომ დაიკარგოს, მთაში მონახეო.* არა. ჭკუა რომ დაიკარგოს, ხალხში უნდა მონახოთ. სულიერს განძს კაცობრიობისას აქა აქვს თავისი სალარო და ლოლიკაც — ეს უკეთესი ნიჭი ადამიანისა, — აქა ჰპოულობს თავის სადგურსა. (VIII, 272).

115(320). ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს... იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთესობის ნდომა!.. (III, 58).

116(321). ნუ გეგონებათ, ვითომც... სულთა და ხორცთამხუთავი ძალ-ღონე ფულს დაწერილ კანონისაგან ჰქონდეს მინიჭებული. ესეთი კანონი არა რჯულში არა სწერია, არა კანონმდებელს თავის-დღეში ფიქრადაც არ მოსვლია. ესეთი ძალ-ღონე ფულისა იმ უწერელმა კანონმა შეჰქმნა, რომელსაც ცხოვრებას ეძახიან და რომლის ძალმომრეობა თვით დაწერილ კანონზე უძლიერესია და თავში გამწევი მოუდრეკელად. (VII, 11).

117(322). ორპირია, ბატონო, ცხოვრება: როცა ერთი პირი უცინის, მეორე უტირის. (III, 367).

118(323). ოჯახი რომ გამოშიგნო, გულ-ღვიძლი რომ გაუჩხრიკო, ჰნახავ, რომ საძირკველი მისი ცოლ-ქმრობაა, ასე რომ, საცა ცოლ-ქმრობა არა ყოფილა, იქ არც ოჯახი გაჩენილა. ცოლ-ქმრობაზე არის აშენებული ოჯახი. (III, 436).

119(324). ...პირველი ნიშანი საზოგადოების ასაკოვნებისა და აღზატებულობისა, სხვათა მრავალთა შორის, ის არის, რომ საზოგადოება სხვის აზრის შეწყნარებამდე ტანში იყოს გამართული. („ივერია", № 29, 1898, 2).

120(325). პოლიტიკაში ყოველთვის ძალა აღმართსა ჰხნავს. (IX, 131).

121(326). ...პროგრესი სწორედ კარგი რამ უნდა იყოს, უსათუოდ ქვეყნის საბედნიეროდ გაჩენილი. (III, 434).

122(327). პროგრესს რომ ეძახიან, — ეგ არ მოასწავებს მარტო ერთის წოდების წინ წაწევას, გამოკეთებას, წარმატებას სულიერად და ხორციელად, არამედ მთელ იმ კრებულისას, რომელსაც ერი ჰქვიან განურჩევლად დიდისა და პატარისა. („ივერია", № 38, 1897, 2).

---

* ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

123(328). რა არის მთელი პროგრესი კაცობრიობისა, თუ არა ის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინდისი, ყოფა-ცხოვრება, — უსაბუთოდ, უსაფუძველოდ არავისაგან ხელშეხებულ არ იყოს, არავისაგან შემწიკველულ, შეგინებულ, შეეიწროებულ. (V, 253).

124(329). რამდენი სასწაულია ქვეყანაზედ! დიდება შენდა, ღმერ- (II, 214).

125(330). რამდენსაც უფრო მეტად ეგრძნობთ უკეთესად ცხოვრების მოწყობის სურვილს და ხელმოკლეობას ამ სურვილის განხორციელებისათვის, იმდენად უფრო მეტად ვიტანჯებით. მეტად გაჭირვებულად გვეჩვენება ჩვენი არსებობა. (V, 281).

126(331). ....რას უზამ იმისთანა ხალხს, რომლებისათვისაც ღმერთს არც მოტვლეპილს კეფაში ტვინი ნაუდვია და არც მყრალს გულში გრძნობა. (X, 338).

127(332). რასაკვირველია, თვითმმართველობას იმისთანა ზოგადი თვისებანიცა აქვს, რომელნიც ყველასათვის ერთნაირად სახეიროა, მაშასადამე, ყველგან გამოსადეგია, და იმისთანანიც, — რომელნიც ადგილობრივს მოთხოვნილებას და სხვადასხვაობას უნდა შეეფერებოდეს. (VI, 46).

128(333). რასაკვირველია, რამოდენადაც ცხოვრება — ეგ დედა ყოველი საქმისა — ძლიერია და ღონიერი, იმოდენად მოსავალი და ნაჭირნახულევი დიდია და უხვი. (III, 65).

129(334). რასაკვირველია, უმადურობა იქნება და არც სიმართლეს შეადგენს უარყოფა იმ სარგებლობისა, რომელიც მოგვიტანა ჩვენ ბატონ-ყმობის გადავარდნამ. (V, 281, 371).

130(335). რაც ადრევე კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, ხშირად მოხდება, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდეც გვიკვირს, ადრინდელ კაცს როგორა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ თეთრი და შავი გაერჩივა, თეთრისათვის თეთრი დაერქმია, შავისათვის — შავი. (III, 462).

131(336). რაც ამ საუკუნეში (XIX ს. — რედ.) მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებულ ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა, მთელს დანარჩენს თერთმეტს საუკუნეს ერთად არ უნახავს. რა თქმა უნდა, რომ წინა საუკუნეთაც არ ემოქმედნათ, არც ეს მეცხრამეტე საუკუნე იქნებოდა ასე ნაყოფიერი, რადგანაც, რაც გინდა სთქვან, წინა საუკუნენი სთესდნენ და სახელი და დიდება მეცხრამეტე საუკუნისა ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა ნათესისა, იმოდენად უხვი, რომ მოულოდნელი იყო ჩვენთა წინაპართათვის. (V, 7).

132(337). რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მიუცილებელ საჭიროებისათვის. ხშირად მოხდება ხოლმე. რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიუჩენია, ასე რომ კიდეც გვიკვირს. ადრინდელს კაცს როგორა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და ბხედველობა, რომ გაერჩია თეთრი და შავი. შავისათვის შავი დაერქმია, თეთრისათვის — თეთრი. (III, 56).

133(338). რაც დამტკიცებულია. მხოლოდ ის გადადის ხალხში, მხოლოდ ის მიიღება ხალხისაგან. და რაც მიიღება, მხოლოდ იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა, ცხოვრებასა. (III, 63).

134(339). რაც ერთზედ ითქმის, ის მთელ ხალხზედ ითქმის (III, 472).

135(340). რაც უნდა გაუნათლებელი ხალხი იყოს, ოღონდ აჩვენეთ, რომ იმის სატკივარს საიდამ ეშველება. და გვერწმუნეთ, რომ დიდი და პატარა კარზედ მოეწყდებათ. (VII, 262).

136(341). რაც უნდა დიდი დანაშაული იყოს, არ შეიძლება ცოტად თუ ბევრად დამნაშავეს არ ეპატიოს, თუ რომ საკუთარის კერის მფარველობის გამოა მომხდარი. ადამიანის სინიდისს ცალკე და საზოგადოებისას საერთოდ ესე წმინდა საგნად მიჩნეული აქვთ ეს ადამიანის საკუთარი კერა, არამცთუ განათლებულ სახელმწიფოებში. არამედ ყველგან, საცა კი ადამიანია. (VIII, 243).

137(342). რაც უნდა იყოს, ცელა კაცებისა ცოტა ხნობით მაინც დააამებს ხოლმე ტკივილს ერისას იმ იმედით, რომ იქნება ახალ კაცთ ახალი რამ მოგვიტანონო. ამ ცდასა და ლოდინში ცოტა თუ ბევრი დრო გადის. და ბოლოს, როცა ერი ჰხედავს, რომ ამათგანაც არა გამოდნა-რა, ისევ ხელახლად ჰღაღადებს, ამ ღაღადს მოჰყვება ხოლმე ისევ ის ცელა მინისტრებისა, ისევ ის იმედების გამტყუნება. ისევ ის ღაღადი, ჩივილი და ტკივილი. (IX, 225).

138(343). როგორც თვითოეული კაცი. ისე საზოგადოება, ისე ხალხი მარტო თავისით არის და თავისით უნდა იყოს კიდეც. ძალაც ამისთანა ხალხშია და ბედიცა. (IV, 321).

139(344). ...როგორც ტერორი, ისე სახრჩობელაც გამოწვეულია იმ ძირითადი მიზეზებით, რომ მთავრობას არ სურს დააგდოს ძველი გზა, ხოლო... ხალხი, თავის მხრივ, ველარ ურიგდება ძველ რეჟიმს ძალმომრეობისას. („კომუნისტი", № 201, 1988, 3).

140(345). როგორც წყალი და ცეცხლი ერთად ვერ მოთავსდებიან, ისეც დიდნი სახელმწიფონიც, რომელთაგანაც ზოგნი ერთს ბანაკს ეკუთვნიან, ზოგნი მეორესა, და ბევრი და დიდი ანგარიშები აქვთ ერთმანეთში ხაშულო და გასასწორებელი. ეს ისეთი მწვავე შუღლია, რომ

ეჭ ერთმანეთისათვის რაიმე დათმობა ნებაყოფლობით მოულოდნელია და უომრად და სისხლდაუღვრელად შეუძლებელი, ჯერ-ხანად მაინც. (IX, 162).

141(346). რომელი ახალი ცვლილება მამხდარა ილაჯ გაუწყვეტელად?.. („საქართველოს მოამბე", № 5, 1863, 7(85).

142(347). როცა საზოგადო მნიშვნელობის აზრი ამოქმედებს სიცოცხლეს, ნაშინ თითონ თქმა ქმნად გადიქცევა ხოლმე. ამ გზით სულჩადგმული ცხოვრება მოედანზედ გამოდის და შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა აღარ უქმობს, არამედ იღვიძებს და ფრთას ისხამს. ეს შემოქმედებითი ძალი ცხოვრებისა სათავეა ყოველის წარმატებისა და მაგ ძალის ძლიერებაზედ დამოკიდებულია ყოველი იმედი ცხოვრების წინ-წადგომისა და განკარგებისა. საცა ეგ ძალი აღძრული არ არის, იქ ცხოვრება დგას ვითარცა გუბე და გუბესავით შხამავს და სწამლავს გარეშემო ჰაერსა. (V, 150-151).

143(348). რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მაგა-პაპეულ მიწა-წყალზედ შეჯგუფებულნი არიან და არა შიგა-და-შიგ ვაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითოოდ, და მერე-როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან. დიდი ხანია მოსალოდნელი იყო ყველა თვალახილულ კაცისათვის, რომ დღესა თუ ხვალე ეს ფრიად რთული და მძიმე საგანი მთელის თავისის სიგრძით და სიგანით წინ აეყუდებოდა რუსეთს და მის გადაუწყვეტლად მისი წინსვლა შეფერხდებოდა. ყველას უნდა წინასწარ სცოდნოდა, რომ დღესა თუ ხვალე ეს საგანი თავისას მოითხოვდა; რომ დღესა თუ ხვალე რუსეთი იძულებულ შეიქმნებოდა დაენიშნა სამზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნობისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალ-ცალკე შემოეკარგლა. ამას მოითხოვდა არამც თუ მარტო ისტორიული მიმდინარეობა სამართლიანის აზრისა, არამც თუ მარტო შორმხედველობა დამჯდარის ჭკუისა, არამედ თითონ სახელმწიფოს პირდაპირი ინტერესიცა. თუ რამ საგდურავი, გულის ტკენის ხმა, ჩივილი ისმოდა აწმყო მდგომარეობის შესახებ ამ ვრცელის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში, ამის მიზეზი მარტო ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოების ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა, და ეროვნობა, რომელსაც თავის განსაკუთრებულს ცხოვრებაში თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი, გულ-ხელ-დაკრეფილი იყო და ხმაამოუღებლივ სხვის მაყურებელი. რუსეთს არა ჰქონია და არც დღეის-აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, — თუ სად თავდება უფლება ეროვნობისა და სად იწყება სახელმწიფოსი. (V, 79-80; 141-142).

144(349). სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ და გამოუკლეველად არაფერსა სტოვებენ. სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმისი წადილი, საჭიროება. სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შეეცდეთ და ვერ შევიტყოთ, — რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი. (IV, 192).

145(350). საერთოდ შემოწყრომა და „ბოიკოტობა" იმის მაჩვენებელი არ არის, ვინ ვის უყვარს, ვინ ვისა სძულს! ძულებას და სიყვარულს ამისთანა შემთხვევაში ადგილი არა აქვს. (IX, 278).

146(351). საზოგადო სარბიელი მოედანია საზოგადო ცხოვრებისა, რომელიც სხვა არა არის-რა, გარდა აზრთა და საქმეთა ერთმანეთთან ბრძოლისა ცხოვრებისაგე ესე თუ ისე მოსაწყობად და მისამართავად. (III, 198).

147(352). საზოგადო საქმე, თვით-მოქმედებაზე აგებული, თითქმის ერთად-ერთი გზაა ჩვენის გაჭირებიდამ ხსნისა ხნეობითად, თუ ქონებითად. („ივერია", № 21, 1892, 2).

148(353). საზოგადო საქმე მეტად ძვირად ულირს ქვეყანას და მასში თუ არ საბუთს, სხვას არასფერს ხელი არ უნდა ჰქონდეს. რომელსაც ეს აზრი რჯულად არა აქვს მიღებული, ისა სჯობია შინ იჯდეს და საზოგადო საქმეს დაეთხოვოს. (V, 157).

149(354). საზოგადო საქმე ტალია და თვით-მოქმედება კვესია: როცა ერთმანეთს მოხვდებიან, მარტო მაშინ არის ხოლმე ნაპერწკალი. („ივერია", № 21, 1892, 2).

150(355). საზოგადო საქმეს მარტო შრომა უნდა, ჯაფა უნდა, ბეჯითი და გულდადებითი ჯაფაცა. უამისოდ საზოგადო საქმე, რაც უნდა კარგი იყოს თეალად, შიგნით ფუღურია, დღემოკლეა, სუსტია. (V, 50).

151(356). საზოგადო საქმეში მაგ ანგარიშს (ვაითუ ვინმეს ვაწყენინოო — გ. გ.) არავითარი ზედმოქმედება არ უნდა ჰქონდეს კაცზედ. (V, 171).

152(357). საზოგადო საქმეში — მიზეზ-მიზეზ დოს მარილი ლიაო,* მეტია და შეუწყნარებელი. (V, 267).

---

* ეს ეამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

153(358). (საზოგადო სიკეთის სურვილი — რედ.) ამშეენიერებს სიტყვას და ყოველს კაცს ხალისს უღვიძებს საზოგადო საქმის მიმართ და ამხნეებს შემდეგის მოქმედებისათვის. (V, 152-153).

154(359). საზოგადოება არამცთუ მარტო... მძიმე საქმეში არაშედ მცირე საქმეშიაც ძნელად ჰსთმობს ჩეეულებრივს, გათელილს გზას და დიდის ჭოჭმანებით გამოდის ახალზედ. (IX, 233).

155(360). საზოგადოება, რომელსაც ჭკუა და გონება შერჩენია და ცნობიერება გაჰღვიეებია, მარტო იმას კი არ უნდა სჯერდებოდეს ვინ ვის რას ემართლება, ვინ ვის რას ერჩის, ვინ ვისზე სამართლიანად ხელს იწედის. განა კაცთა ადამიანური ცხოვრება, ისტორია, პროგრესი და სხვა რაიმე სიკეთე შესაძლებელია, თუ ყოელთ უწინარეს კაცთა ურთიერთობაში ისინი არ მოიკითხა, ამაების პასუხი არ იძია? (IX, 278-279).

156(361). (საზოგადოება — რედ.) ყოველის მწერალისაგან ითხოვს ყველაზედ უწინარეს იმას, რომ გრძნობა ადამიანის ღირსებისა ცნობილი ჰქონდეს და პატივსაცემლად აღიარებული. (VIII, 247).

157(362). საზოგადოებამ რასაკვირველია, უნდა იცოდეს, რა აზრის კაცთან იჭერს საქმეს, რისა და ვისს მიმდევარს უნდა ათხოვოს თავის ყურადღება. (III, 255).

158(363). (საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მანკიერი ბოელენის წარმომშობ მიზეზთა გამორკვევისას, საჭიროა შესწავლილ იქნას — რედ.) ნამდვილი შინაგანი ავკარგიანობა საქმისა, რომ საზრისს თვისი ჭეშმარიტი და უეჭველი საბუთი ჰქონდეს, და რაკი ამ გზით მიზეზი აიხსნება, წამლის პოვნად შესაძლოდ გახდება. (VI, 202).

159(364). საიდუმლოების მალულ-ფარულობას კიდევ აიტანდა ეს ცოდვილი ქვეყანა, რომ ამას სხვა ჭირიც ზედ არ მოჰხვეოდა თავს. იყოს საიდუმლოება საიდუმლოდ, ვის რას უშლის? ჭირი ის არის, რომ ეს ქვეყანა შეცდომებითაც სავსეა. ამისი-კი რა მოგახსენოთ. („ივერია. № 191, 1888, 1).

160(365). სანატრელია მყუდრო, გულდინჯი, აუმღვრეველი დღეთა მდინარება. (IX, 95).

161(366). საშინაო და საგარეო პოლიტიკამ თვითეულის ცოტად თუ ბევრად შემძლებელის სახელმწიფოებისამ თავისი ზომა მიიღო, რომ სახელმწიფომ, რაც შესაძლოა, დიდი ღა ბევრს ადგილას ბაზარი იქონიოს თავის საქონლის გასასაღებლად ქვეყნის მოედანზე და სხვისას კი კარი შიგნიდამ ურდულით მაგრა გამოუკეტოს. (VII, 311).

162(367). საცა წვრილია, იქა წყდება ხოლმე.* ეს ეეება ტანი ადამიანის ცხოვრებისა ისე როგორ გადარჩება, რომ დროთა ბრუნვამ სადმე მუწუკი და იარა არ აუჩინოს. (III, 258).

* შდრ.: „გაწყდეს, საცა წვრილიაო".
ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

163(368). (ახელმწიფო ხაზინის სიმდიდრის — რედ.) ...მზოლოოობითი წყარო ხალხის სიმდიდრეა. (VI, 87).

164(369). (ახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ ურთიერთობაში. ზოგი — რედ.) საქმე იმისთანა თვისებისაა, რომ უსათუოდ თეორია პრაქტიკით უნდა განახორციელონ, განყენებული აზრი ცხოვრებაში გადმოიტანონ და საფუძვლად დაუდონ. (IX, 187).

165(370). ახელოვანის ინყლისის მეცნიერის — დარვინის მიერ ეშვეარეთ დაყენებული კანონი, რომელსაც „ბრძოლას არსებობისათვის" ეძახიან, სათავეა ყოველის მოძრაობისა, რასაც-კი დღეს ჩვენის თვალითა ვხედავთ ახელმწიფოთა შორსა. (IX, 75).

166(371). სიზმარია, მა რა არი ეს წუთის-სოფელი. (II, 498).

167(372). ...სიმტკიცე ახელმწიფოსი, რაც გინდ დიდი და ძლიერი იყოს, უნდა ემყარებოდეს ერთსულობაზე და არა ერთახოობაზე. ერთფერობაზე. (VIII, 159).

168(373) სიცილი და გლოვა ვითომ და-ძმანნი არ არიან? ვითომ ხელი-ხელ გაყრილნი არ დაიარებიან იმ მუშტის-კრივში, რომელიც არსებითის პურისათვის დღე-ყოველ გამართულია და რომელსაც ცხოვრებას ეძახიან? (III, 367).

169(374). სიცოცხლეში ხშირად არ მოგვეელინება იმისთანა რამ, რომ ეკვა გვასწავლოს, თვალი აგვიხილოს. (II, 318).

170(375). სოლომონ ბრძენი ამბობს, რომ ყველას თავისი დრო და ჟამი აქვს ცათა ქვეშეო და ასე განაგრძობს: „ჟამი შობისად და ჟამი სიკვდილისად, ჟამი დანერგვად და ჟამი აღმოფხვრად დანერგულისა, ჟამი წყლულებად და ჟამი კურნებად, ჟამი დარღვევად და ჟამი შენებად, ჟამი ტირილად და ჟამი სიცილად, ჟამი გოდებად და ჟამი განცხრომად, ჟამი განყრად ქვათა და ჟამი შეკრებად ქვათა, ჟამი გარდასვევად და ჟამი განშორებად გარდახვეულისაგან, ჟამი ძიებისად და ჟამი წაწყმედისად, ჟამი დამარხვისად და ჟამი ამოთხრისად, ჟამი განხევისად და ჟამი შეკერვისად, ჟამი დუმილისად და ჟამი მეტყველებისად, ჟამი სიყვარულისად და ჟამი სიძულვილისად, ჟამი ბრძოლისად და ჟამი მშვიდობისად". აი თურმე სად უნდა მოიძებნოს აზრი ცხოვრებისა!* (V, 333-334).

171(376). სოფლის მშვიდობიანი და წესიერი ცხოვრება, სარჩოსაბადებელის, ქონების, საკუთრების საერთოდ გაფრთხილება მტაცებ-

---

* მდრ.: „ჟამი არს და ჟამი ჩანს ყოვლისა საქმისა ცასა ქვეშე: ჟამი არს შობისაი და ჟამი სიკვდილისაი; ჟამი არს დანერგვისაი და ჟამი მოფხურად დანერგულისა: ჟამი არს მოკვლისაი და ჟამი განკურნებისაი, ჟამი დარღვევისაი და ჟამი აშენებისაი; ჟამი ტირილისაი და ჟამი სიცილისაი... ჟამი არს ძიებისაი და ჟამი წარწყმედისაი; ჟამი არს დუმილისაი და ჟამი სიტყვისაი; ჟამი არს სიყვარულისაი და ჟამი არს სიძულვილისაი. ეკლესიასტე 3, 1-8". (იხ.: ა. გელოვანი „სიბრძნის სიმფონია". თბ., 1969, გვ. 437). (რედ.).

ლობისა, ქურდობისა და ავაზაკობისაგან, შინდერების, ჯენახების რიგიანი დაცვა წანახედისაგან, კარგის გზების, ხიდების, რუების ქონვა და გამგეობა, კარგი რიგიანი და იაფი სამართალი იქავ თვალწინ მრავალგვარ წვრილმან საქმეებისათვის, საერთო მზრუნველობა სკოლისათვის. საპყართა და უძლურთა პატრონობისათვის, საერთო შველა ღა ხელის გამართვა შიმშილობის დროს და სხვა უბედურობის დღეს, თანასწორი განაწილება სახელმწიფო სამსახურისა, ხარჯისა, ბეგარისა, საერთო საჭიროებისათვის შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობასთან, ერთის სიტყვით — ყოველ შინაურ სოფლის საქმისა კეთილად დაწყობა და სამართლის გამგეობა, — ეს იმისთანა საგნები არიან თვითმართველობისა, რომელნიც ერთნაირად შეეხებიან სოფელში მცხოვრებთ ერთნაირად სანატრელია და საზრუნველი ყველასათვის... (VI, 51-52).

172(377). სხვა ყველა გაცემული ისევ ხელახლად მოიხვეჭება და სიცოცხლის წარსულნი დღენი-კი აღარა. (III, 378).

173(378). ტყუილია, — ვერა მოხელემ თავის ადგილას თავისი ყოფნა სახეიროდ და მაშასადამე სხვის სასიამოვნოთაც ვერ გახადოს, თუ რომ საცა ზის, თავის ცხოვრების ძირიც იქ არა აქვს და თუ რომ იქაური ავ-კარგიანობა ძირით თხემამდე შეცნებული, შეწყობილი და შესწავლული არა აქვს. თუ პირველი, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით მეტის-მეტი ჰგონია ვისმე, მეორე სიკეთე მაინც აუცილებლად უნდა მოეთხოვებოდეს ხოლმე მოხელეს. („ივერია", № 10, 1882, 131).

174(379). უმაღლესი მთავრობა, რა სახისაც უნდა იყოს, საყოველთაო საქმეთა მზრუნველი და მოღვაწეა, ესე იგი იმა საქმეთა, რომელნიც არამც თუ ყოველს ნაწილს, არამედ ყოველს ქვეშევრდომს ერთნაირად და ერთგვარად შეეხება და რომელნიც საერთო, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ცნობილია. მაგგვარანი საქმენი ეკუთვნიან საყოველთაო კანონმდებლობის (კანონმდებლობის — რედ.) წარმოებასა, საყოველთაო ფინანსთა (შემოსავალ-გასავალის) მოძრაობასა და საყოველთაო მხედრობის განწყობილებასა. ესე ყოველი ხელშეუვალი კუთვნილებაა უმაღლესის მთავრობისა. (VI, 40-41).

175(380). უმრავლესობითი გამგეობა და განჩინება საქვეყნო საქმეთა ერთადერთი სახსარია. რომ წესი და რიგი დაიდვას კაცთა ურთიერთობისა. (VIII, 89).

176(381). უსულდგმულო ცხოვრება
ცის ნიჭად ნუ გგონია,
იგი მიწის ყოფილა —
რასაც ბოლო ჰქონია! (I, 69).

177(382). უფლებააყრილ, მშიერ-ტიტველ ხალხს სახრჩობელით ვერ დაანაყრებთ. („კომუნისტი", № 201, 1988, 3).

178(383). უფლება-მოსილ წოდების საზოგადოებურ შნოსა და მის საპოლიტიკო სიბრძნეზეა დამოკიდებული, რამდენად დიდხანსაც შეირჩენს ქვეყნის ცხოვრებაში როლს მეთაურ-თაოსანისა და ხელ-მძღვანელისას. ასეთის როლის შერჩენა კიდევ შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა უფლება-მოსილი წოდება ფეხდაფეხ მიპყვება დროსა და ჟამს, ცხოვრების წარმატებას არც თვითონ ჩამორჩება უკან. („ივერია", № 20, 1893, 1).

179(384). უწმინდესი მოვალეობა საზოგადოებისა, ესე იგი მთავრობისა, რომლის წყალობითაც ადამიანი ადამიანობს, იგია, რომ ადამიანის „მე"-ს დღემუდამ მფარველობდეს, უმიზეზოდ, უდანაშაულოდ შინ არავინ შეუსიოს და არვის გააქელვინოს; მის სულიერს და ნივთიერს კუთვნილებაზედ მშვიდობით და სხვის ხელშეუხებლად ამფლობელოს და ამით, რამოდენად შესაძლოა, სრულ და ბედნიერ იყოს. თითონ მიზეზი და საბუთი საზოგადოების არსებობისა მარტო ეგ მოვალეობაა და სხვა არ-რა. (VIII, 246-247).

180(385). (ფეხის აჩქარება საზოგადოებისათვის ზოგჯერ შეიძლება მავნებელიც იყოს — გ. შ.) მაგრამ არც ის არის საანატრელი, რომ პეტერსბურგმა სიწყნარემ ობი მოპკიდის იმ დედაზრს, რომლითაც იგი საზოგადოება უნდა სულდგმულობდეს. (V, 72).

181(386). ფულის წარმომადგენელი საეკონომიო სარბიელზე ეგრედ წოდებული ბურჟუაზიაა, რომელიც ყველგან სამართლიანად ყბად აღებულია იმის გამო, რომ ყველგან, საცა-კი ნაშრომ-ნაღვაწია, თავისაკენ მეტს ითლის იმოდენად, რომ თვით მშრომელს და მოღვაწეს თითქმის არას უტოვებს. („ივერია", № 259, 1897, 2).

182(387). ქვეყანა ამით კარგია, რომ ჭინჭარიც მოჰყავს და ვარდიცა. ესე იგი, შეწუხებაც იცის და ამასთანაეე სიამოვნების დაპირებაცა. (X, 343).

183(388). ქვეყანა ძნელი შესაფერი ყოფილა! (II, 79).

184(389). ქვეყანაზედ ყველაფერი შესაძლოა („ივერია", № 211, 1887, 2).

185(390). (ქვეყნიერებას — რედ.) წუთის-სოფელი იმიტომა ჰრქმევია, რომ ყველაფერი წუთობითა სცოდნია, უბედურობის მეტი. (II, 85).

186(391). ქვეყნიერობაზედ მმართველობას ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონია და აქვს. თუ სადმე რაიმე ცვლილება არის, მაინც არ შეიძლება, რომ მმართველობა ან ერთისაკენ არ იყოს მიდრეკილი, ან მეორისაკენ. ერთგვარი მმართველობა იგია, საცა სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც, ყველგან და ყოველს ნაწილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველგვარის საქმის დამწყები და მოთავეა, ყოველგვარის საქმის მწარმოებელია, — ყოველის მზრუნველი და გამგეა, ასე რომ ყოველივე მისგან

წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის. ამგვარად გამგეობისათვის მას თავისი საკუთარნი მოხელე-კაცნი ჰყვანან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით ნიშნავს, თვით გადააყენებს და რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არის პასუხისმგებელნი. ამგვარს მმართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან.

მეორე-გვარი მმართველობა იგია, საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოს საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს ოვისნი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელნაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამგვარს გამგეობას თვითმმართველობას* უწოდებენ, რადგანაც ამ შემთხვევაში თვითოეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფოისა თავის საკუთარს საქმეს თვით ჰპატრონობს, თვით უკლის და თვით ჰმართავს. (VI, 35-36).

187(392). ქვეყნის დრტვინვაა დაუძინარი. (I, 132).

188(393). ღირსება და სიკეთე როელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათაველ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს. (V, 33-34).

189(394). ღირსება და სიკეთე შინაგანის მმართველობისა ჯერ იმაზედ არის დამოკიდებული, რომ განაწილებულია თუ არა სახელმწიფოსა და საზოგადოების შორის მათდამი კუთვნილთა საქმეთა გამგეობა, და თუ განაწილებულია — როგორ და რამოდენის სიმართლით არის ეგ მომხდარი. ყოველივე შინაგანის მმართველობის ღირსება და სიკეთე ამ სასწორით უნდა აწონილ იქმნას. (VI, 38-39).

190(395). ღმერთმა გვიხსნას იმ სულელურ თამამობისაგან, რომელიცა ფიქრობს ვადაასხვაფეროს ცხოვრება თავისებურად. (III, 66).

191(396). „ღმერთმა ჰქმნას, შენ და შენისთანები მომავალშიაც ბევრი გვყოლოდესო", — უთქვამთ ბ-ნ აკაკისათვის. „ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი სიტყვაო, — უპასუხნია აკაკის: — რასაც დღესა ეჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არის ხოლმეო". დიაღ, ბატონებო, ხვალე დღევანდელს უნდა სჯობდეს, მერმისი აწინდელს. კანონი განკითარებისა და ბედნიერების იმედისა ამაშია და სხვა არაფერში. (V, 187).

---

* Самоуправление, децентрализация.

192(397). ღონე და ძალა იმისთანა რამ არის, რომ იმის კალთის დაჭერას ცხვირის ზევით არაეინ იცილებს, თუ შესაძლებელია. ასეთია ეს წუთისოფელი. (IX, 180).

193(398). ღრმად რომ ჩაეუკვირდეთ თითონ საზოგადოების არსებობის საგანსა და მიზეზს, დავინახავთ, რომ იგი სხვა არა არის-რა, გარდა იმისა, რომ ადამიანის „მე" თავის ჯერიოვანს ადგილას დასვას ისე, რომ მის ცალკე ბედნიერებას, ცალკე კეთილდღეობას, სიკეთეს არა აბრკოლებდეს-რა, მის სულსა და გულსა ფრთის გაშლას არა უშლიდეს-რა, თუ რომ სხვის ბედნიერებას არას ერჩის და არას უშავებს. მთელი პროგრესი კაცობრიობისა ამაზეა მიმართული, მთელს მოღვაწეობას კაცობრიობისას საგნად მარტო ესა აქვს და სხვა არა-რა. (VIII, 244).

194(399). ყველა ახალი, თუ-კი მით შოგვემატება რამ, კარგია და სანატრელი. (VII, 156).

195(400). ყველა ერთნაირად არ იმცნევს ცხოვრებისა მსვლელობას, ერთნაირად არა ჰხსნის და არა არკვევს მისს ავსა და კარგსა და მარტო ამ სხვადასხვაობაშია იგი ნიშნები, რომლითაც უნდა განირჩეოდეს ახალი ძველისაგან. (VI, 285).

196(401). ყველა სახელმწიფოს თავისი საკუთარი შინაური ტკივილი აქვს როცა ერთ-ერთს სახელმწიფოს მისი საკუთარი ტკივილი, დროთა ვითარებით, ძალიან მოაწვება გულზედ, მეტი რა გზაა, ხელი უნდა გაიქნიოს (IX, 64-65).

197(402). ყველამ, ვინც-კი თავის ღონეს და მხნეობას სწირავს ხოლმე საზოგადოებურს საქმეს, წინადვე იცის, რა თოკს იჭერს ყელში, რა წვალებისა, წყენისა და შეწუხების უღელში ებმის. რაკი ყოველიკე ეს წინადვე იცის და საზოგადოების და ქვეყნის სიყვარულით საქმეში მაინც ჩასდგება ხოლმე, სჩანს, რომ ეს წვალება, წყენა, შეწუხება არ აშინებს და არ აფრთხობს. ამაშია სათავე და საბუთი იმ პატივის-ცემისა, რომელსაც ყოველი გულ-პატიოსანი კაცი ჰგრძნობს ხოლმე ჩვენში საზოგადო მოღვაწის მიმართ („ივერია", № 23, 1888, 1).

198(403). ყველამ კარგად იცის, რომ ომიანობის ხმის დაყრას ყოველი დიპლომატი ძალიან ერიდება მაშინაც კი, როცა ომი ცხვირწინ უდგათ. მაგრამ ესეც კი ვიცით, რომ ჩვეულებადა აქვთ მშვიდობიანობის ხმა გააგდონ მაშინაც, როცა მშვიდობიანობა ძირიანად შერყეულია. (IX, 69).

199(404). ყველას, ვისაც კი უცხოვრია მდაბიო ხალხში, ეცოდინება, რომ ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს, რომლითაც ხელმძღვანელობს, როცა საჭიროება ამას მოითხოვს. (IV, 191).

200(405). ყველაფერი ფათერაკის საქმეა: შეიძლება ქვა აღმართზედ ბედნიერსაც მიეწიოს და ამას წინასწარეე ვაფრთხილება ჰმართებს.* (V, 332).

201(406). ყველაფერი შესაძლებელია: ძალა აღმართის მხენელიაო, ნათქვამია.** (IX, 179).

202(407). ყველაფერი შეესძლებია დროსა და დროთა ბრუნვას. (X, 266).

203(408). ყველგან უმაღლეს მთავრობისა და ხალხის შორის სდგას ხოლმე მთელი რაზმი მოხელეებისა, რომელნიც მახლობელნი გამომთქმელნი არიან უმაღლესის მთავრობის წადილისა, მიმართულებისა და ავ-კარგიანობისა. ხალხი თუ იცნობს მთავრობას, ამ მოხელეებით იცნობს. რადგანაც ეგენი არიან მისდა მახლობლად, მათ უდგათ მის ცხოვრების დირეზედ ფეხი, ეგენი განაგებენ ყოველ-დღეს მის ავსა და კარგსა და ყოველ-დღე თვალ-წინ ტრიალებენ. უმაღლესი მთავრობა თუნდ კარგიც იყოს, შესაძლოა მოხელეების წყალობით ხალხმა ეთვალისწუნოს ეგი უმაღლესი მთავრობა და იმდენად დაფრთხეს, რომ შამა-პაპეული ბინაც მოიშალოს და ცხრა მთას იქით გადაეარდეს... ამიტომაც კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა, კაი კაცების შერჩევა, — შეადგენს ერთს ეზისთანა უპირველეს და აუცილებელს საჭიროებას, ურომლისოდაც მთავრობა მთავრობა კი არ არის, წეწეა-გლეჯაა. ზეადმისეეაა, თავზარია ხალხისათვის. (V, 34-35).

204(409). ყოველ ცოტაოდენ განათლებულ ხალხში არის ღონისძიება, საშუალობა, რომ მეცნიერების ნაყოფი გადიტანოს ხალხშია. (III, 63).

205(410). ყოველგან და ყოველსფერში დღეანდელი ღღე გუშინდელის შვილია და დედა ხვალისა. ეინც ამას ეიეწყვბს, ეგი თვალებ ახვეულია, ეგი ბრმათ და ყრუთ მოარულია და რაც უნდა კეთილის სურვილით იყოს იძულებული წვირსაც თავს იქით ვერ მიუბრუნებს ისე, რომ არ შეესცდეს და მაშასადამე სურვილმა ამაოდ და უხეიროდ არ ჩაუაროს. („ეერია", № 8, 1886, 1).

206(411). ყოველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა ცხოვრობს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგეია და დღეს მოქმედებს, მეორე ის — რასაც დღეანდელი ღღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობა-

---

* ამ ფრაზაში ჩაქაოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწვეაო". (რედ.).

** შდრ.: „ძალა აღმართსა ხნავსო".

ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

თა მოქმედება დაუძინარია და მუდამი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა — ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუვლის. შესხენილი და გაგებული ექნება, — მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოექცევა ხოლმე. ეხლა ეგ წყობა დაიჭერს პირველის ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას აჩენს. ამიტომაც ახლად გაჩარჯვებულ წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და აბნაირ სვლას დასასრული არ აქვს. თითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არა არის-რა, გარდა ამნაირ ფეხის გადანაცვლებისა. (V. 89-90).

207(412). ...ყოველგვარი ცვლილება შეუძლებელია, თუ ამ ცვლილებამ საზოგადოების აზრი არ მიიზიდა და არ დაიყოლია. (IX, 233).

208(413). ...ყოველი აზრი, ყოველი საქმე, ცხოვრებისათვის ასე თუ ისე შესაწყნარებელი, იმავ არსებობისათვის ბრძოლის კანონს ექვემდებარება. როგორც სხვა ყოველი ამ ქვეყნიერობაზედ. და ისე არ იჩენს თავს. რომ ან ყოფილს აზრს, ან საქმეს წინ არ შეეხალოს და ომი არ გადაუხადოს ადგილის დასაჭერად. (III, 198).

209(414). ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის. რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა.* წესი, ჩვეულება. აზრი, გრძნობა. ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გაელენისაგან. (III, 56).

210(415). ყოველი საჭიროება ცხოვრებიდგან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს. (III, 65).

211(416). ყოველი სახელმწიფო. თუნდ გვარტომობით ერთისა და ივივე ხალხით იყოს შემდგარი, მაინც, ადგილობრივის სხვადასხვაობისა გ�, ბევრს სხვადასხვა თვისების მხარესა და მხარეს წარმოგვიდგენს. ყოველს მხარეს, ყოველს ნაწილს ერთისა და იგივე სახელმწიფოსას, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს, თავისი საკუთარი გაჭირვება ადგია, თავისი საკუთარი მზრუნველობა და ფიქრი უმძიმებს გულსა, თავისი საკუთარი ნეტარება აფხიზლებს და იბირებს. უმაღლესის მთავრობის პირდაპირი დანიშნულება იგია, რომ ყოველს ქვეშევრდომს მისი სატკივარი გაუგოს, მისი წამალი დაუდოს, ყოველს სიკეთისა და კეთილდღეობის გზა გაუხსნას. ამისათვის საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ უტყუარად. პირუთვნელად, ზედმიწევნით იცოდეს

* ეს ფრაზა იხ. აგრეთვე: III, 462. (რედ.).

ყოველის კუთხის ნამდვილი ვითარება, მისი ავკარგიანობა, რომ საცა შესაძლოა შვილა, უშვილოს. შემწეობა მიაწვდინოს. (VI, 39-40).

212(417). ყოველივე დიდი საქმე კაცობრიობისა, ყოველივე ახლად შემოღებულნი, ახლად აღმოჩენილნი სიკეთენი რა თქმა უნდა, მომზადებულ ნიადაგზედ იბადებიან და ჩნდებიან, ხოლო რაკი ერთხელ გაჩნდნენ ერთს რომელსამე ნიადაგზედ, სხვა ნიადაგზედაც სახეირონი არიან, სხვა ნიადაგსაც არ ეუცხოებიან. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ არსება, ბუნება ახლად შემოსაღებისა, რომელიც თუნდ სხვა ნიადაგზედ იყოს ნაცადი და აღმოცენილი, თავისთავად სარგო და ხეირიანი იყოს. (VIII, 373).

213(418). ყოველივე, რასაც ჩვენი ცხოვრება თვის დენაში აღმოგვიჩენს ხოლმე. კერძოდ მოვლინებული საგანია და მის თაობაზედ ზედმიწევნით და მოჭრით კერძოდვე გამოთქმული აზრი არსად არ იქნება. (V, 57).

214(419). ყოველივე საზოგადო საქმე იმოდენად თანა-საგრძნობია და საქებური, რამოდენადაც თითონ მის საკუთარს ბუნებას მინიჭებული აქვს ღონე თავით თვისით განვითარებისა, გაძლიერებისა, როცა სხვა არა უშლის-რა. (V, 160).

215(420). ყოველივე ცვლილება, საზოგადოებრივი თუ ეკონომიური. მაშინ არის მარგებელი და მკვიდრი, როცა ცვლილების საგანი ყოველმხრივ გასინჯულია და შუქმოფენილი. ამისათვის. რასაკვირველია, ყველაზედ უწინარეს კაცმა გონება უნდა მიაქციოს ადგილობრივს ვითარებას, რადგანაც ყოველს საგანს ამ შემთხვევაში თავის ადგილზელვე აქვს თავისი სათავე, თავისი ძირი და თავისი გზა მსვლელობისა და განვითარებისა; მაგრამ ძალიან შესცდება ის, ვინც მარტო ამას დასჯერდება, მარტო აქედამ გამოიყვანს თავის დასკვნას.

ბევრი, ძალიან ბევრიც, იმისთანა ნაშთია საზოგადოებრივის თუ ეკონომიურის წყობისა, რომელიც თუმცა არსებობს, მაგრამ მსვლელობის კვალი კი წაშლილი აქვს ჟამთა მდინარეობისაგან და ამის გამო მისი ვერც თავი გაიგება, ვერც ბოლო, თუ მარტო ადგილობრივს ვითარებას შეაჩერდა კაცი. ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა იგივე საგანი გამოიძიოს სხვა ქვეყნებშიაც, სხვა ქვეყნების ისტორიაც მოიშველიოს. იტყვიან, სხვა ქვეყნები რაში გამოგვადგებიან. ჩვენ სხვანი ვართ, ისინი სხვანიო. იტყვიან, მაგრამ მთქმელნი ამაში ძალიან შესცდებიან. (VI, 118).

216(421). ყოველივე წყობილება, რომლის ძალითაც მოქმედობს მთელი კაცობრიობა, იმიტომ არის შემოღებული, რომ ადამიანი, რაშოღენადაც შესაძლოა, ბედნიერი იყოს. (V, 165).

217(422). ...ყოველისფერს თავისი შემოდგომა და გაზაფხული ჰქონია, თავისი დრო და ჟამი. და ყოველ დროებას თავისი შესაფერი სწავლა და ყოფაქცევა. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 292).

218(423). ყოველს ცალკე სახელმწიფოს თავისი საკუთარი აგებულება და გვამი აქვს. („ივერია", № 7, 1886, 1).

219(424). ყურდაჭერილნი მუშები ყოველთვის საფრთხალად ეყოლება სახელმწიფოს, თუ ვინიცობაა ოდესმე რომელიმე წოდებამ ერისამ კადნიერის ხმით გალობა დაიწყო. (IX, 108-109).

220(425). ... შემდეგი იმას მკის, რაც წინანდელს დაუთესია. („ივერია", № 55, 1890, 1).

221(426). შესაძლოა კაცმა ბევრი საზოგადო საქმე ურჩიოს ხალხსა თუ საზოგადოებას, მაგრამ ამისთანა საქმეს დიდი მანძილი არ ექნება და დაბადებისავე უმალ გაქარწყლდება, თუ ხალხის ან საზოგადოების ხელი და გონება მთელს მის სიგრძე-სიგანეს ვერ გადასწვდება. („ივერია", № 25, 1892, 1).

222(427). ჩვენ არ გვესმის ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ჩვენი საკუთარი კეთილდღეობა ჩვენის მეზობლის კეთილდღეობაზეა დამყარებული; რომ მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ვერ დაფუძნდება, ვერ აშენდება. (VII, 271).

223(428). ჩვენ კი არ ვეკუთვნით მომავალს, მომავალი ჩვენ გვეკუთვნის. (X, 196).

224(429). ჩვენ ძალიან კარგად გვესმის დამოკიდებულება ხელოვნებისა, პოეზიისა ხალხთა ცხოვრებაზედ. (III, 45).

225(430). ჩვენ წინაც გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ დიდია სახელმწიფოთა შორის იმისთანანიც არიან, რომელთ გარემოებაც იძულებულ ჰხდის წყალი აამღვრიონ ბადის სასროლად. („ივერია", № 10, 1886, 1).

226(431). ჩვენა ვსთქვით, თავის-თავის განკითხვას შესაფერი ღონე უნდა სულისა, და საცა ეს ცალკე კაცს არა აქვს, ბევრში თითონ საზოგადოება არის დამნაშავეო. ეს მართალია, მაგრამ არა გვგონია ევეუნიერობაზედ იმისთანა საზოგადოება იყოს სადმე, რომ თითო-ოროლაჯერ მაინც ამისათვის არ გამოაფხიზლოს კაცი, ისეთი რამ არ მოუელინოს, რომ კაცს თვალები ძალა-უნებურად გულში ჩაუბრუნოს თავის-თავის განსაკითხავად. ამიტომაც ყოველი ამისთანა შემთხვევა ცოტად თუ ბევრად ჰზრდის თვითოეულს კაცს და, მაშასადამე, საზოგადოებასაც. (IV, 229-230).

227(432). ჩვენი აზრი ის არის, რომ თვითმმართველობისათვის ყველა წოდების კაცი ერთგვარად უნდა იყოს მიჩნეული მაშასადამე,

გამოკლება ეისიმე თეითმმართველობიდამ — დაუძლურებაა ღონისა, წარმატებისათვის მიმართულისა. (VI, 48).

228(433). ჩვენი ღედააზრი ეს არის: ხალხის ცხოვრება ყოველ-მხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ; იმის ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ. (IV, 193).

229(434). ჩვენის ფიქრით, მხოლოდ მაშინ ვერას დაამუნათებს უფლება-უპირატესობით მოსილს წოდებას ვერც ისტორია და ვერც ჩამომავლობა, როცა იგი წოდება შეპყრობილია და გამსჭვალული დროის შესაფერ მისწრაფება-სურვილით. („ივერია", № 20, 1893, 1).

230(435). (ჩვენს სინამდვილეში არსებულ მანკიერ მოვლენათა ყოველ — რედ.). ...მიზეზს იქ უნდა მოწყვეტა, საიდამაც მომდინარეობს. (VIII, 328).

231(436). ჩვენში არც ერთი საზოგადოებური საქმე არ არის, რომ შესაწუხარი და გასაჭირებელი არ იყოს იმათთვის, ვისაც ბედად ჰხვდება ხოლმე გაძღოლა და გამგეობა საქმისა („ივერია", № 23, 1888, 1).

232(437). ცენტრალიზაციური სისტემა იმ-გვარს მოწყობილობას ნიშნავს, როცა უფლება და გამგეობა საზოგადოებრივი, ანუ სახელმწიფოებრივი, ერთის კაცის ხელშია, ანუ ბევრთა ხელში — მაგრამ ერთს ადგილას კი. (V, 316).

233(438). ცივილიზაცია, ანუ წარმატებულობა ადამიანისა მიზეზი-კი არ არის, არამედ შედეგია ყოველ იმ ძალ-ღონისა, რომელნიც ერთად კრებულად მოქმედობენ კაცობრიობაში საზოგადოდ და თეითოეულ ერში ცალკე. ამგვარს ძალ-ღონეს სოციალურ ძალ-ღონეს ეძახიან. (IV, 28).

234(439). ცივილიზაციის დასამყარებლად არა ხარჯი მეტი არ არის, რაც უნდა ფული დაიხარჯოს — ბევრი არ იქნება. (V, 69).

235(440). ცოდნა, გონებრივი და ზნეობრივი აღმატებულობა, მრეწველობის სიმდიდრის მეტნაკლებობა, რწმუნება* იმ საგნების შიმართ, რომელიც ადამიანისათვის უდიდესად მისაჩნევია, მმართველობა, წესწყობილება ოჯახებური, საზოგადოებური, სამოქალაქო, კანონები, ჩვეულებანი, ზნე-ხასიათი და სხვა ამისთანა სულ ერთად და ერთს დროს მომქმედნი, ჰქმნიან იმას, რასაც რომელისამე დროის მდგომარეობას ერისას, თუ კაცობრიობისას, ეძახიან, ანუ ცივილიზაციას თავისის მეტნაკლებობით. (IV, 28-29).

236(441). ცხოვრება... ახალ აზრებით განახლებული, ისევ იზრდება, ჰფაფვის, მოამწიფებს სხვა ახალ სათესლე ნაყოფსა და მერე ისევ ეკნება... ის არ მოუცდის ხოლმე ხალხსა — „აცა ჯერ რაც მოვამზადეო ამას წინად და რაც მეცნიერებამ და ხელოვნებამ გენიოსის შემ-

* Верования.

წეობით ცნობაში მოიყვანა და კანონად დასდვა. ჯერ ისინი ხალხმა მიიღოსო და დაისაკუთროსო". არა, ცხოვრება ამას არ მოუცდის ხოლმე, ეგ დაუყოვნებლივ გასწევს თავის წარმატების და განვითარების გზაზედ, ასე, რომ მინამ ხალხი მიიღებს დიდიდამ პატარამდე მის უწინდელ ჭირნახულსა, იგი ხელ-ახლად მოასწრებს ხოლმე ახალ მოსავლის მოყვანასა, სხვა ახალ ფაქტების და საჭიროების შემუშავებას და შემოჯგუფებას. (III, 62).

237(442). ცხოვრება დაუდგრომელს დუღილშია, ფეხ-შეუფერხებელს მოძრაობაშია. (III, 256).

238(443). ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა — ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს — სულისათვის, თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე. — გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, საააქოსათვის მაინცა. (V, 342).

239(444). ცხოვრება თავის დღეში უქმად არ შეჩერდება ხოლმე. (V, 87).

240(445). ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ.* (III, 71).

241(446). (ცხოვრება — რედ.) თვის დუღილში. თვის მიმდინარეობაში ბევრს რთულს საქმეს და საგანს წამოგვიყენებს ხოლმე თვალწინ. ამ საქმესა და საგანს გარჩევა უნდა, ახსნა და თავისი ადგილის მიზომვა. (III, 256).

242(447). (ცხოვრება — რედ.) თუმცა ბერდება, მაგრამ ამ სიბერის გამოცდილებით ისევ თავის-თავად ახლდება და ჰყვავის. III, 71).

243(448). ცხოვრება მარტო აღებ-მიცემობაა ერთმანეთის ჭკუისა, თუ ხელის ნაწვავ-ნადაგისა, ნაამაგარ-ნაშრომის, ნაომარ-ნარბევისა, იგი ის მოედანია, საცა ჭიანჭველასავით ირევა დიდი და პატარა, საცა მაძღარი მშიერს წერილად უფხვნის, გამარჯვებული დამარცხებულს ფეხ-ქვეშა სთელავს, ძლიერი უძლურს ეტანება შესაჭმელად, უძლური ძლიერს გაურბის და ორნივ კი — დამწევიც და გამქცევიც — ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ღმერთს ეხვეწებიან — ხელი ამომიმართეო. (V, 341).

244(449). ცხოვრება მაშინ არის კარგი, როცა მას ებრძვი. (X, 195).

245(450). ცხოვრება მაშინ ნიშნავს სითბოსა და სინათლეს, როცა მასში გონების გარდა გრძნობაც ამეტყველდება. (X, 222).

246(451). ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება — იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მო-

* ამ გამონათქვამის პირველი ვარიანტი იხ.: III, 466. (რედ.).

ყანილის ნაყოფისაევ თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი. ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ. როგორც პირველი, თუ უკვდაეება უნდა.* (III, 57).

247(452). ...ცხოვრება ყოველთაის ორ დიდ ტოტად დადის. ერთი ტოტი მოაზრე ცხოვრებაა,** მეორე — მოსაქმე.*** რომელნიც ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ხან ერთია მეორისაგან წარმოდგენილი, ხან მეორე პირველისაგან. (III, 204).

248(453). ცხოვრება შეუბრალებლად ასრულებს ხოლმე თავის უცვალებელს განაჩენსა. („ივერია", № 274, 1891, 1).

249(454). ცხოვრება ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, უფრო წეწვა-გლეჯის ბაზარია. დღეს ესეა მოწყობილი და რას იზამ? (V, 341).

250(455). ცხოვრება ძნელად თუ რასმეს ჰქმნის უაზროდ. (III, 59-60).

251(456). ცხოვრება ჭიდილია, მე შენ გეჭიდები, შენ მე — და ორივენი ვსცდილობთ ურთიერთის დამარცხებას. თვითვეული ვსცდილობთ ცხოვრებაში, მეტი ჩვენ ვირგუნოთ, შეეიხვედროთ. („ივერია", № 125, 1893, 2).

252(457). (ცხოვრება — რედ.) ჯოჯოხეთი იქნებოდა, რომ ამ წეწვა-გლეჯის ბაზარში ცხიეფენილ მადლსაც არ გაჰქონდეს თავისი პატიოსანი ნაამაგარი, თავისი ნაშრომ-ნაღვაწი კაცთა სანუგეშოდ და ნასიქადულოდ. (V, 341).

253(458). ცხოვრებას აცისკროვნებს სული. საქმით ზეტყველი. და ის უბრალო არის, ვით სულის შთამბერეელი. (I, 69).

254(459). ცხოვრებას ეკონომიურს, თუ საზოგადოებრივს, ვერ გაანაკარგებს ვერავინ, თუ ჯერ თვით ცხოვრებაში არ ჩაიხედა, მისი ძაფები არ დაჰჩხრიკა, არ დაჰსინჯა და თუ ღრმად განელილს, ცხოვრების აგებულებაში განწვდილს, მის მრავალ კეცობაში მიმალულს ავკარგსა საღის ჭკუისა და მეცნიერების შუქი ამ გზით არ მიაყენა. („ივერია", № 49, 1886, 1).

255(460). ცხოვრებასაც აქვს თავისი შვმოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა. (III, 57).

256(461). ...ცხოვრებაში ერავალი ძალა მოქმედობს, და დროზე არის დამოკიდებული ერთისა და მეორის ზედმოქმედების სიღრმე და სიგანე. ეს სხვადასხვა ძალა ზოგჯერ თანაბრად მოქმედებენ და ერთი მეორეს ხელს უწყობენ, ხან ერთი მეორეს ეწინააღმდეგება და გზაზედ ეღობება, და აი სად არის მიზეზი ცხოვრების მოვლენათა რთულობისა და მრავალ-ნაირობისა. (III, 310).

---

* ლაბ. იგივე აზრი იხ.: III, 463. (რედ.).
** Идейная жизнь.
*** Практическая.

257(462) ცხოვრების გარეშე შეიძლება სიცოცხლე? (X, 218).

258(463) ცხოვრების მდინარეობის შუა წელი მაგ ორ მხარ-დამხარ მოარულს (კონსერვატორულ და ლიბერალურ — რედ.) წყობას აზრისას უჭირავს. (V, 91).

259(464). ცხოვრების ძალანი დაუღალავად და დაუყოვნებლივ მოქმედობენ, მოძრაობენ და ჰბადავენ მრავალ ფაქტებს, მრავალ ახალ საჭიროებას, მოაგუბებენ მრავალ ნაყოფსა — რომელთაც შეგროვება უნდა, მოაჯგუფებენ მრავალ კითხვებს — რომელთაც პირდაპირი პასუხი და გადაწყვეტა უნდათ. (III, 463-464).

260(465). ცხოვრებისაგან აღმოსულნი, მეცნიერების სიცხოველით ნაყოფად მოწეულნი, ისევ ცხოვრებასვე დაუბრუნდება ხოლმე წარმატებისათვის. (III. 62).

261(466). ცხოვრებისავე მოღებულსა. ცხოვრებავე მიიღებს ხოლმე. (III. 62).

262(467). ძნელია კაცმა ერთის შეტევით და წინდაუხედავად შიგნეული გადმოუბრუნოს უკვე დამყარებულ ცხოვრების ავკარგიანობას. (VI. 222).

263(468). წარსულთა დროთა მოგონებამ განმიღვიძა ბევრი რამ... (II. 456).

264(469). წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი. როგორც აწმყო — მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია... ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდაუვალი. როგორც ყოველივე ბუნებური კანონი. (IV, 200).

265(470). წაჯეგ-უკუჯეგობა პოლიტიკაში მოუხერხებელი და შეუწყნარებელი საქმეა. („ივერია". № 10, 1886, 1).

266(471). წესიერად მოწყობილ ცხოვრებაში დღევანდელი დღე შეილია გუშინდელისა და დიდა ხვალისა. (V. 70).

267(472). წიგნი ...ისე ძალე მისაწვდომი და შესათვისებელი არ არის, როგორც ბაგალითი, როგორც ის, რასაც კაცი თვალით ჰხედავს. რასაც გამოცდა აჩვენებს. (VII. 47).

268(473). წუთისოფელი ვის აცლის მარტოობისათვის. (II, 285).

269(474). წყარო ცხოვრებისა თავისად და თავისგნით არა სჩქეფს, არა ერთი და ორი ნახირი დღემუდამ შიგ ფეხს იბანს და ერათ უნდა გვიკვირდეს, რომ იგი წყარო მღვრიეა... და ჩვენც თითონაც ჩვენს საკუთარს ჭუჭყიან სარეცხს შიგ ვალბობთ დიდის გულმოდგინეობით და მოდით. წყაროს მოჰკითხეთ, რატომ წმინდა არა ხარ-თქო. (V, 342-343).

270(475). ჭეშმარიტი ლიბერალობა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივს უფლებას თავისი კუთვნილი, — ნამეტნავად მაშინ,

როცა თითონ მთავრობა საზღვარს უნიშნავს, — მოედანი ჰქონდეს ადამიანის ცხოვრებაში. (V, 159).

271(476). ჭეშმარიტი ლიბერალობა... უარჰყოფს მარტო იმისთანა ძველს, რომელსაც თავისი დრო და ჟამი მოუჭამია, რომელიც დღეს ხარიხად გასდებია ცხოვრებას და წინსვლას უშლის. იგი ნდომობს იმ ძველის მაგიერ იმისთანა ახალს, რომელიც ძველზედ უკეთ ხელს მოუმართავს ცხოვრების განკარგებასა და წარმატებას. (V, 91).

272(477). ... ჭირი და ვაი-ვაგლახი ყოფილისა, როგორც უკვე გარდასული ამბავი, ისე არა სწვავს ადამიანის გულს, როგორც გარდასული ბედნიერება და დაკარგული დიდება. (III, 240-241).

273(478). ... ხალხი დაბალი, თუ მაღალი — ყველა მოყვასია ჩვენი, შეძლებისამებრ ყველამ უნდა ეუშველოთ... თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის, მოყვასს როგორ უნდა მოექცეს კაცი:

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად,*
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და
ხიდად". (III, 71).

274(479). (ხალხი — რედ.) ... თუკი კუჭსაც ვერ გაიძღობს, რაღა სწავლა უნდა მოაგონდეს. (IV, 234).

275(480). ხალხი, ფეხზედ წამომდგარი, უფრო უკეთესი ღონეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე დავრდომილი და სულით და ხორცით გათახსირებული. (V, 28).

276(481). ... ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა. (III, 43).

277(482). ხალხის გული უმადური არ არის, უტყუარი გამკითხველი იგია ამ ქვეყანაზედ. („ივერია", № 3, 1879, 133).

278(483). ... ხალხის მახლობელნი მოხელენი პირველსახენი არიან უმაღლესის მთავრობისა, იგინი არიან მაგ მთავრობის წადილისა და მიმართულების გამომთქმელნი. აქედან ცხადია, რამოდენად გულით და ჭკუით განვითარებულნი უნდა იყვნენ ის მოხელენი, რომ მათაც, — როგორც ერთგვარ ძალთა სახელმწიფო წყობისათა, — ვაგნებინონ ხალხს გზა საზოგადო ცხოვრებისა, თვალი აუხილონ იმ საგანზედ, რომელიც ყოველს წყობას ადამიანისას მისაღწევად დანიშნული უნდა ჰქონდეს საყოველთაო საკეთილოდ; მათ უნდა ამცნონ ის საყოველთაო საკეთილო საგანი, რომლისაკენაც უნდა მიიზიდებოდეს ყოველის ძალითა და ღონით ყოველივე სახელმწიფო, თუ მართლა სახელმწიფოა საქმით და არა მარტო სახელითა. (V,35).

279(484). ხალხის სიმდიდრეზედ... დაფუძნებულია ყოველის მთავრობის ზულიერი და ხორციელი კეთილდღეობა. (VII, 258).

---

* „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, ეს ტაეპი სწორად ასე გამოითქმის: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი პირსა არ დამრიდად". (რედ).

280(485). ... ხალხის სურვილის ასრულება დიდად საქებურია. (V, 362).

281(486). ხალხს რაც უჭირს, თვითონ ხალხმა უკეთ იცის... (VII, 259).

282(487). ხანგრძლივ შფოთებს შემდეგ სვენება უპრიანია, როგორც ცალკე კაცისათვის, ისეც მთელი ერისათვის. ამას ბუნება ითხოვს. (III, 203).

283(488). ხვალე არ უნდა ჰგვანდეს დღეანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა ფუჭ სიტყვად არ მიაჩნია. (V,187).

284 (489). ხმალი იმოდენს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო. (I,106).

285(490). ... ხსნა ერისა... ინტენსიურ ცხოვრებაშია... (IV,21).

286(491). ხშირად თვით მეცნიერებაც და ხელოვნებაც უღონონი არიან ერთობ ცხოვრების მოსავლის ცნობაში მოყვანისათვის. (LII, 60).

287(492). (ხშირად ცხოვრებაში ისეთი გარდაქმნები ხდება, რომ— რედ.) ... მარტო ბრმანი და ყრუნი თუ იტყვიან, — არა ვხედავთ, არ გვესმისო. (VII, 484).

288(493). ჯერ კიდევ ბევრი დრო დაეხარჯება კაცობრიობას, ბევრი სისხლი დაიღვრება, ბევრი ქონება განადგურდება, ვიდრე პოლიტიკა იმ საპატიო სიმაღლეზე დადგება, რომ წინ წაიმძღვაროს საქართლიანი ერთხელ დადგენილი განაჩენი. („ივერია", № 255, 1894,2).

289(494). ჯერ უნდა ხალხმა დაიმუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეანძრიოს თავის უკვდავების ძარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებისა და მერე თავისთავად ... ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებასა. (III, 45).

290(495). ჯოჯოხეთი იქნებოდა... ცხოვრება, რომელსაც სხვა მიზანი არსებობისა არა აქვს, თუ არ ის, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს, სიამოვნებას, ლხენას და სიხარულს არ იყოს მოკლებული. (V, 341).

291(496). ... ჰამლეტისა არ იყოს, ბევრი იმისთანა საიდუმლოა ქვეყანაზე, რომელიც ჩვენს ფილოსოფოსებს სიზმრადაც არ მოესვენებათ ხოლმე. (II, 480).

292 (497) ...без жизни можно ли жить, (X, 433).

293 (498). Бог, сотворивший мир, вовсе не желал однообразия, чему доказательством служит все необъятное разнообразие созданного. Это разнообразие, не мешая единству мироздания в конечном своем итоге, составляет ту ве-

личайшую тайну бытия вселенной, в которой человек ищет и находит Бога. („ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრებული II, თბ., 1969, გვ. 236-237. 242).

294 (499). ...для единства государства ни причем единообразие и хотя бы единоязычие, если можно так выразиться. („საისტორიო მოამბე“, ტ. 3. თბ., 1947, გვ. 252).

295 (500). ...жизнь тогда значит тепла и светла, когда в ней кроме ума и чувство заговаривает. (X, 436).

296 (501). Жизнь тогда хороша, когда с нею борешься. (X. 416).

297 (502). Как в частной жизни отдельного человека, так и в жизни народа, частые хотя бы булавочные уколы больше раздражают, чем зияющая рана, нанесенная одним ударом копья. А на раздражении строить мечты об объединении и слиянии двух народов, хотя бы единоверных, — это все равно, что огнем тушить пожар. („ლიტერატურული ურთიერთობანი“. კრებული II, თბ., 1969, გვ. 238. 243).

298 (503). Как перед Богом, так и перед законом все должны быть равны. Это равенство и есть единственно прочная и верная основа жизни благоустроенного государства, и след (овательно), грешащие в этом действуют в ущерб государственным интересам, ибо в самом корне колеблют и парализуют все, ведущее к слиянию и единению. („ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრებული II, თბ., 1969, გვ. 241-242).

299 (504).(Мы уважаем — გ. ბ.) ...великодушный русский народ, всегда жертвовавший бескорыстно жизнью и имуществом своих сынов ради священной идеи заступничества за единоверных ему народов с целью не уничтожения, а сохранения их. („ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრებული II, თბ., 1969, გვ. 239).

300 (505). ...перед Богом все равны. („ლიტერატურული ურთიერთობანი. კრებული II. თბ., 1969, გვ. 237. 243).

301 (506). ...Россия слишком сильна и могущественна сама по себе, чтоб искать себе опору в сочувствии какого-то маленького народца. („ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრებული II, თბ., 1969, გვ. 240).

3. საქართველოს, ქართველობის, მამულის, მამულიშვილობის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, ქართველთა ქრისტიანობის, ამოპაერთობის, სახელოვანი წინაპრებისა და თანამედროვე ქართველი მოღვაწეების შესახებ

1(507). აგერა მცხეთაც — სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,
სად პირველ ქართვლის მორჭმულთა შვილთა
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების;
სადაც ჰყვაოდა ხე ცხოვრებისა
ქართვლის გულიდან აღმოცენილი,
და წყარო იგი წყაროდ შვებისა
სჩქეფდა იმ გულით გარდმოდენილი. (I, 143-144).

2(508). ... ადგილმდებარეობა სახეში, მიწა-წყალი, ერთობ კაცთგარეთი ბუნება, — ესეც კი ძლიერ მოქმედებს ადამიანის ხასიათსა და ზნე-ჩვეულების სხვადასხვაობის შესაქმნელად. (III, 124).

3(509). (ადგილობრივმა, მკვიდრმა მცხოვრებლებმა — რედ.) უკეთ იციან თავისი ვითარება, უკეთ იციან თვისი საჭიროება, უკეთ იციან თვისის თავის მოვლა, თვისთა საქმეთა პატრონობა. (VI, 40).

4(510). ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! (II, 28).

5(511). აი... კახეთო, მაინც შენი ყურძნის წვენი სული სხვაა! (II, 364).

6(512). აინთე ცეცხლით გული, მტერსა დაეცი მეხად,
ან ვით შვილი ერთგული დააკვდი მამულს მსხვერპლად!..*
იცოდე ეგ სიკვდილი მეტი დიდი რამ არი!
უკვდავი არის შვილი მამულისთვის მომკვდარი! (I, 44,45).

7(513). (აკაკი წერეთელი თავის პოეტური აღმაფრენით, პირუთვნელი, ტკბილი და მგრძნობიარე სიტყვით — რედ.) ატკბობდა ქართვლის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართვლის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის. ამ სიყვარუ-

* ამ ორი ტაეპის პირველი და მეორე ვარიანტი იხ.: I, 232, 285. (რედ.).

ლის აღფრთოვანებაში ბ-ნ აკაკის გამოჩენილი ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში. (V, 186).

8(514). ალექსანდრე როინაშვილი თავის-თავს კი არ მოუკვდა, მოუკვდა თავისს ერს, მოუკვდა ქართველობას, რომლის ბედი და უბედობა თავის საკუთარ ბედად და უბედობად გაიხადა და ამის გარეშეა საგანი ცხოვრებისა არა ჰქონია. (IV, 261).

9(515). (ალექსანდრე სარაჯიშვილი — რედ) ... დარბაისელია, ჭკვიანი, განვითარებული და ძალიან გამოცდილი. ყოველ ამასთან ჭეშმარიტი და თავდადებული ქართველია, მოჭირნახულე და მხნე, გამრჯელი. (X, 149).

10(516). ამ უმაღლესის გრძნობით (მამულისათვის თავგანწირვის, მისთვის მსხვერპლად შეწირვის გრძნობით — რედ.) გულთა-ძვრა, სულთა-ძვრა ერთი იმისთანა დიდებული წამია, რომელსაც კაცი ინატრებს ხოლმე: იყავ და ნუ მომშორდებიო. ეს ისეთი ყოვლთ-შემძლებელი წამია, როცა... დაქუცმაცებული ქონდრის კაციც-კი ერთი ათად ტანს იყრის, ერთი-ათად დიდდება... ტანში იმართება, თავისს თავს გოლიათადა ჰგრძნობს, ჯანი სულისა და ხორცისა ემატება და კაცი კაცად კეთდება. („ივერია", № 2, 1896, 1).

11(517). ამ ჩვენ პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული... აქაც აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი... აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთესს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოებიან. (X, 138).

12(518). ... ამაში (პიროვნებაში შურისა და სიხარბის არ ქონაში — რედ.) სულერს დიდი სიმი ეროვნებისა და აქა სცემს უბოროტო ძარღვი ჩვენის ერის უბოროტო გულისა. (III, 159).

13(519). ამაზედ მშვენიერი სიტყვა (სიტყვა აკაკი წერეთელისა, თქმული თელავში კახელების წინაშე — რედ.) ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ. არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, — ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი ორატორის ხელოვნებისა დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს, და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია. (V, 186-187).

14(520). (ამაო ცდაა — რედ.) რომ ცალკე ვიყოთ და ცალკე ვბედნიერობდეთ. (VIII, 313).

15(521). ამას ეჭვი არ უნდა, რომ ჩვენი ქვეყანა მიწათ-მოქმედი ქვეყანაა და ერთად-ერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა, ესე იგი — იმისთანა წარმოება, რომელსაც პირდაპირ მიწასთან აქვს საქმე და მიწის-მოქმედებასთან. (V, 237).

16(522). ამბობენ, თქმა და ქმნა ერთი და იგივე არ არისო. მართალია, სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა. შუა უზის დიდი მზღვარი.* მაგრამ თ. რაფიელ ერისთავი ერთი იმისთანა იშვიათ კაცთაგანია, რომლის სიტყვა თავის-თავად საქმეა. ეს დიდი მადლი, რომელსაც ბუნება შიანიჭებს ხოლმე თვისთა რჩეულთა და რომელიც თქმას ქმნადა ჰხდის, თ. რაფიელ ერისთავმა მთლად ამსახურა თავისს საყვარელ მამულსა, თავისს საყვარელს ერსა. იგი ხელთუქმნელი საგანძური გაუხსნა და შიგ წყობილი მარგალიტი გულში ჩაულაგა, შენი შენვე მიიღეო. (V, 344).

17(523). ამიერიდან იმერეთში ვიყავ ძმების მიწვეული,
გზა-გზა მხიბლავს ბუნებითა სრულად დატკბა ჩემი გული,
მიველ, ენახე გადამლილი საუცხოო თაიგული,
ქალ-ყმაწვილთა ელვარებამ მთლად შეიპყრო ჩემი სული.
მუნ დამიხვდნენ მთვარენ მნათი ქალთა კრება და ვაჟისა,
საუცხოო, თვალ-ტანადი, შესადარნი სწორედ მზისა,
ფიანდაზად გადმიშალეს მათი გული ალმასისა,
მე შევიქენ უნახავი მასპინძლობის ასეთისა. („მნათობი", № 10, 1957, 169).

18(524). ... ამიერი და იმიერი არავის გაუყვია და იქაური ტკივილი ჩვენი ტკივილიც არის, რადგანაც ერთსულნი და ერთხორცნი ვართ ერთმანეთის საბედნიეროდ. (VIII, 478).

19(525). ამიერკავკასია მიწის პოზიერებით და ჰავითა ერთი იმისთანა ქვეყანაა, რომელსაც შეუძლიან დიდძალი სიმდიდრე იქონიოს. ერთი დიდი ნაკლი ამისი მარტო ის არის, რომ ურწყულია და მშრალი. ასევე ითქმის საქართველოზედაც. (VII, 67).

20(526). ამიერკავკასია ჰავისა და მიწის სიკეთითა შემძლებელია თითქმის ყოველისფრისა, რაც-კი რამ იზრდება, მოდის და ხეირობს დედამიწის ზურგზედ. (VII, 59).

21(527). ...ამისთანა კაცის (დავით აღმაშენებელისთანა პიროვნების — რედ.) ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოჰზარდა. (IV, 183).

22(528). არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.** (I, 195).

---

* შდრ.: „იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი".
შ. რუსთაველი, (რედ.).

** შდრ. ამ სტროფის ბოლო ორი ტაეპი „ქილილა და დამნას" აფორიზმს: „მკუდრად იგი თქმულ, ვის კაი სახელი ზედ არ აცხია" (რედ.).

23(529). არ დავიწყება ისტორიისა, რომელსაც შენ (დიმიტრი ბაქრაძემ — რედ.) შესწირე შენი სიცოცხლე, ანთებული კერაა მამულიშვილობისა, სამშობლოს სიყვარულისა, და ეს კერა შენ აღგვინთე. („ივერია", № 32, 1890, 1).

24(530). არ დაივიწყებს კოლხიდელთ
მათი ერთგული ილია! („მნათობი", № 10, 1957, 169).

25(531). არ ყოფილა ძნელი სიკვდილი,
როცა შენ შენი აღასრულე... მამული შვილი!.. (1,157).

26(532). არა გვგონია, რომ ეს მართებული გრძნობა (ადამიანური, ესთეტიკური სიამოვნებისა — რედ.), რომლითაც ადამიანი პირუტყვთაგან განირჩევა, რომლითაც ადამიანი მართლა ადამიანობს, ჩვენს გულშიაც ისე არ იყოს ბუნებისაგანვე ჩანერგილი და თან დაყოლილი, როგორც სხვისაში. („ივერია", № 225, 1886,1).

27(533). არა დედ-შამა, — მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!..
ვინლა მოგვითხრას ჩვენი ურვა, ჭირი და ლხენა?
ვაი ჩვენ, თვარემ შენ (ნ. ბარათაშვილო — რედ.)
მით მაინც ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით მკვდრეთითაც აღვადგენს შენა.
(1,58).

28(534). ...არევ-დარევა და გაცალკერძოება არ მოუხდება საქმეს.., რაც ბევრნი ვიქმნებით, ისა სჯობია. მრავალთა ძალაც მრავალია — ლონიერია. („ივერია", № 125, 1893,3).

29(535). ...არიან ქვეყანაზედ იმისთანა რჩეულნი, იმისთანა „ზ ე გ ა რ დ მ ო მ ა დ ლ ი თ (ც ხ ე ბ უ ლ ნ ი", * რომელთაც მინიჭებული აქვთ ერთი სასწაულთ-მოქმედი ძლიერება. ივი სასწაულთ-მომქმედი ძლიერება თითონ სიტყვასაც საქმედ ჰქმნის. ერთი იმათგანი, ერთი იმ რჩეულთაგანი, ერთი იმ ზეგარდმო მადლით ცხებულთაგანი იყო იგი (გრიგოლ ორბელიანი—რედ.). (III, 248).

30(536). ... არის ერთი იმისთანა ისტორიული მოვლენა, რომელსაც ვერავინ უარს ვერა ჰყოფს და რომელიც დღესაც უკვირს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისათვის თვალი დაუკვირვებია.

უეჭველია, რომ ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა. უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედმიყოლებით და გაუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად.

საქართველო დღე-და-ღამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველ მხრიდამ მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორი ათასი წელი

* ეს გამოთქმა გრ. ორბელიანისაა. (რედ.).

იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა, და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფობით ხული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში არ დასდებია.

ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის — რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტკრად არ აღგვილიყო, — და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?

ყოველს ამ საგანზედ უეჭველი და გულდადებითი პასუხი მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხელს ვერაფრით შეგვიწყობს. ვრთს იმისთანას არას გვანიშნებს, რომ საბუთად ვიხმაროთ უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულიხმოთ, რომ ამის პასუხი ჩვენს ეკონომიურს აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირს შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად... ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა. (IV, 175—176).

31(537). არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდინ, ძმაო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.* (1,167).

32(538). არც ისე ლუკმა-გაწყვეტილები ვართ, რომ, თუ არ თვითეულმა ცალკე, ერთად მაინც საზოგადოებრივად ღონისძიება არ მოვიკრიფოთ ჩვენის აუცილებელის საჭიროების შესავსებელად. (IV, 321—322).

33(539). არც ჩვენა ვართ ისეთნი უგულონი, რომ არ ვიგრძნოთ სხვისა ტკივილნი, სხვისა ხოცვა-ჟლეტა, დარბევა და დაწიოკება და არ ვიცოდეთ ფასი და ღირსება ადამიანისა, როცა უბედურთათვის იღვწის და, თუ ხელს არა, ხმას მაინც აწვდის ნუგეშინისცემისა, სიყვარულისას. (VIII, 186).

34(540). აქ სად მოსულხარ?.. რაც დაჰკარგე და რაც დასტოვე, მის მაგიერი ტფილისშია აბა რა ჰპოვე?.. (1, 54,288).

35(541). აქეთ-იქით იყურები, სინჯავ და ჰხედავ, რომ მთელი ეს მშვენიერი კუნჭული დედამიწისა, შავისა და თეთრის (კასპიის)

* ეს სტროფი იხ. აგრეთვე.: 1, გვ. LXXIII. (რედ.).

ზღვის შუა მდებარე (ამიერკავკასია — რედ.), თითქო საბუდარია, რომელშიაც უანგარო და გულუხვი ბუნება, როგორც კრუხი, ჩამჯდარა, და დაუღალავად, განუწყვეტლივ, შეუფერხებლად სჩეკს ყოველ-ვვარს სიმდიდრესა. (VII, 273).

36(542). აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები;
მამულო საყვარელო,
შენ რიზღა აყვავდები?* (I, 73, 97).

37(543). აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი,
ვრიგალთა. მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად
გაზრდილი".** (I, 4, XXVIII).

38(544). აწინდელს ჩვენს მდგომარეობაში ყოველგვარი საზოგადო მოღვაწეობა მსხვერპლის შეწირვაა სამშობლოს ტრაპეზზედ და ჯილდოდ მოღვაწეს მარტო პატივისცემა-ღა მოელის... („ივერია", № 140, 1893, 2).

39(545). ბ-ნ ბაქრაძის (დიმიტრი ბაქრაძის — რედ.) წერილი „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები"... თუმცა ქართულის ლიტერატურისაა — არამც თუ მასალად გამოსადეგია, ჭკვის მასწავლებელიც არის ახირებულთათვის. (IV, 38).

40(546). ბ-ნი ყიფიანი (კოტე ყიფიანი — რედ.) საკმაოდ ღონიერი ნიჭია და ნიჭს გარდა დახელოვნებული არტისტიც არის. (III, 93).

41(547). ბანკი დიდი საქმეა ჩვენის ქვეყნისათვის და ამ დიდის საქმის დამწყები, მეთაური და შესაძლოდ შექმნილი ბ-ნი დიმიტრი ყიფიანია. სახელი და დიდება ბანკის დაარსებისა განუშორებელ იქმნება მის სახელთანა. (VII, 418).

42(548). ბანკის საქმეში, როგორც ყოველფერ სხვაში, ჩვენის ყელის საბელის ჩვენს ხელშიევ ჩაგდება ჩვენთვის სანატრელიც უნდა იყოს და სასიხარულოც. (V,49).

43(549). ბარაქალა, ქართველობის სულგრძელობას! ბარაქალა მის შეურყეველს, მტკიცე რწმენას! („დროება", № 93, 1880,1).

44(550). ბატონებო, თუ ყველანი ერთად არ ვიქნებით, თქვენი „მე" თუნდა იყოს და თუნდა არა. თავს მაგისათვის ძალიან არავინ არ შეიტკივებს. (V,353).

---

* ამ სტროფის ბოლო ორი ტაეპი იხ. აგრეთვე: III, 32. (რედ.).

** ამ სტროფის პირველი ვარიანტია:
„აწ ვამპარტავნობ, ჰეი, მთებო! რომ დაბადება
თქვენ შორისა მხვდა. თქვენ ბუნების მძლავრის ვარ შვილი,
გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად აღზრდილი". (I, 277). (რედ.).

45(551). „ბატონებო... ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან თამამად მოვითხოვოთ უბრალო, ბუნებრივი რამ, რომ ქართველის მიწა ქართველისთვის იყოს, ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომელიც ახლა პეტერბურგში იწერება, აქვე ადგილობრივ იწერებოდეს, რადგან, რაც რუსისთვის სასარგებლოა, ის შეიძლება ქართველისთვის მავნე იყოს“ (IX, 264).

46 (552). ბედნიერ არის, ვისაც ელირსა,
მამულისთვისა თავის-დადება!
ნეტა მას ქველსა, ნეტა მას გმირსა!..
ის თავის ხალხში აღარ მოკვდება.* (1, 310).

47 (553). ბედნიერია, ჩვენის ფიქრით, აკაკი, რომ იღვაწა და თავისის ღვაწლის ნაყოფი სიცოცხლითვე თავისის საკუთარის თვალით ინახულა... თითონვე იგემა ბ-ნმა აკაკიმ ნაყოფი თავის დანერგულისა და დათესილისა. (V,186).

48(554). ბევრი არ არის სხვაგან ჩვენის ქვეყნისთანა ქვეყანა. (VII,39).

49(555). ბევრი რამ ცუდი გვჭირს ქართველებს, ბევრგზით დამხამული და მოწამლული ვული გვაქვს, ჩვენდა საუბედუროდ, ბევრ გზით გულ-ვატეხილები ვართ, ბევრი გზით ზნეობა-მოდუნებულნი. მაგრამ იმასკ-კი მის დღეში არ ვიფიქრებთ, რომ გროშმა სძლიოს ჩვენს ქვეყნის სიყვარულს, ჩვენს მამულის-შვილობას, ჩვენს კაცურ-კაცობას. ბის დღეში გულშიაც არ გავიტარებთ, რომ ვროშისათვის მსუნაგობამ ქართველ კაცს ქვეყანა დაავიწყოს და საკუთარს სიხარბეს ქვეყნის სიკეთე ანაცვალოს. არა გვგონია, ამისთანა უბედური ბევრი იყოს ჩვენში და, თუ არის, ვაი ჩვენი ბრალი! მაგისთანაებშია დასაწყისი დასასრულისა. („ივერია“, № 267, 1898, 2).

50(556). ბევრმა არ იცის, რა კაცი იყო განსვენებული (მიხეილ ყიფიანი — რედ.), რა ღვაწლი და სამსახური მიუძღვის ჩვენი ქვეყნის წინაშე. არც ჩვენ ჩამოვთვლით ყოველს მას, რაც სიცოცხლეში მას ასულდგმარებდა, რაც ამოქმედებდა და რაც უსაქმია და უკეთებია. მან იგი სიკეთე ჰქმნა, რის შემძლებელიც იყო და „ყველა კაცმა, რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რის შემძლებელიც არის, ქვეყნიერობაზე უბედურნი აღარ იქნებიან“.**

იგი საქმობდა, ირჯებოდა, მხნეობდა თავის პატარა ქვეყნისათვის და არა ჰყვიროდა-კი ამას დაფითა და ნაღარითა. იგი არ ეძებდა სხვის ქებასა და დიდებას. იგი ნიაღვარს-კი არა ჰგვანდა „მღელვა-

* ეს სტროფი იხ. აგრეთვე: I, გვ. XXXVIII. (რედ.).

** ი. ჭავჭავაძეს ეს სენტენცია მ. ყიფიანის ერთ-ერთი წერილიდან აქვს აღებული. (რედ.).

რეს, კლდესა მცემელსა“, ივი „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომ-
ცემელი“ იყო, და სწორედ ამისთანა კაცია მართლა ღირსი ქებისა
და დიდებისა, იმიტომ რომ „მარტო ცუდ-მედიდობა ეძებს სხვის
ქებას და ჭეშმარიტი საქმიანობა-კი — ჩუმს მოწმობას სინდისისას“
(მ. ყიფიანის გამოთქმაა — რედ.). აი სად არის მიზეზი, რომ ბევრ
კარგ საქმეთა მომქმედი მიხეილ ყიფიანი ისე ცნობილი არ არის
ყველასათვის, როგორც სასურველია.* (IV, 248-249).

51(557). ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილო-
ბენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით
ქართველების უმეცარ სიყვარულისა გამო, ის კი არ იციან, რომ
დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძ-
რახე, მტერს პირს უკანაო. (III, 69).

52(558). ბევრს არას ვიტყვი, მე მხოლოდ ვახსენებ თქვენს (დავით
ჩუბინაშვილის — რედ.) ორ ღვაწლს სხვათა მრავალთა შორის: თქვენ
ჩვენს სიტყვიერებას სამუდამო სალარო აუშენეთ, ჩვენის ჭკუისა და
გულის მონაგარს, ჩვენ სულიერს განძს ბინა დაუდევით, თქვენ შეგ-
ვიდგინეთ ლექსიკონი, და შევვიკრიბეთ ერთი საუკეთესო ბიბლიოთე-
კა. ამით სამართლიანი საბუთი მოგვეცით ხელში, რომ საქვეყნოდ
თავი მოვიწონოთ ჩვენის ენისა და მწიგნობრობის სიმდიდრითა და
ჩვენცა ვსთქვათ, რომ ჩვენც ოდესმე ვყოფილვართ ჭკუით და გულით
გვიცხოვრია. ღმერთმა ჰქმნას, რომ არც ერთი და არც მეორე ღვაწ-
ლი თქვენი არ დაეკარგოს საქართველოს. (IX, 259-260).

53(559). ბევრჯერ ააოხრეს საქართველო, ბევრჯერ მიანგრ-
მოანგრიეს, ჩამოათალეს სანაპირო ქვეყნები, ხოლო გული კი ვერ
შეუნგრიეს. საქართველო იბრძოდა, ჯვარს ეცმოდა და გულს კი არ
იტეხდა. ამ ტანჯვა-წამებით... შეირჩინა რჯული, ენა, თავისი ეროვ-
ნული ვინაობა და თავისი ქვეყანა. (IV, 209).

54(560). (ბესარიონ ღოღობერიძეს — რედ.) გულში ჰქონდა ის
წმინდა ნაღვერდალი ქვეყნის სიყვარულისა, ხალხის ტრფიალებისა,
კაცთა მოყვარებისა, რომელთაც ღმერთი მიანიჭებს ხოლმე მარტო
თვისთა რჩეულთა და რომელიც ამ სუსტ ორ-ფეხ ცხოველს ადამიანს
სასწაულთ აქმნევინებს ხოლმე. დიახ, ის იყო ღვთისაგან რჩეული
კაცი, პატიოსანი, სულ-ვრძელი და მტკიცე ყველგან და ყველასფერ-
ში. („ივერია“, №3, 1879, 137).

55(561). (ბესარიონ ღოღობერიძის — რედ.) სტუდენტობის მი-
ღრეკილების დროშაზედ წარწერილი იყო: ცოდნა, ცოდნა ყოველის-

---

* ი. ჭავჭავაძის ამ ვრცელ გამონათქვამში ჩაქსოვილია არჩილის შემდეგი სტრო-
ფი:

„სიტყვა უცებთა ზღვა არის მღელვარე კლდისა მცემელი,
არა მდუმარე, წვიმისებრ ნაყოფის გამომცემელი“. (რედ.).

ჯრისა, რისაც კი შეიძლება, ცოდნა ვრცელი და საფუძვლიანი, შემკული განუკრიბელის სიყვარულით საყოველთაო ბედნიერებისადმი. (IV, 232).

56(562). (ბრწყინვალე ქართველთა შორის — რედ.) ერთი უპირველესი მანათობელი არის შოთა რუსთაველი. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერებია სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 332).

57(563). (გაბრიელ ეპისკოპოსია — რედ.) ... იგი მადლით მოსილი კაცი. რომლის მარტო სახელის ხსენებაც-კი გვწურთნის ჩვენ. საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი. (IV, 251).

58(564). (გაბრიელ ეპისკოპოსს — რედ.) სიბრძნესთან ერთად ორი სიკეთე კიდევ ჰქონდა მიმადლებული ღვთისაგან. ერთი ისაა, რომ იგი იყო შვილი, სისხლი და ხორცი ამა ერისა (ქართველობისა— რედ.), და, მაშასადამე, იცოდა რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს, და მეორე ისა, რომ მოციქულობდა ჩვენის სამშობლო სიტყვითა იმ ენითა, რომლითაც დღესაც ვადიდებთ ღმერთსა, ვპატრონობთ ქვეყანასა და სულსა და გულს ვაწვდით ერთმანეთისა საუკუნიდამ საუკუნემდე. (IV, 255).

59(565). გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წაეღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭრას!.. დრო-ჟამი ამას გვიქადის... (V, 11).

60(566). გავწყდით, გაეიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გაეწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისთვის და ერთმა მუჭმა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს — სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით. (V, 12).

61(567). გამომიცდია, მიცხოვრია შენის (მამულის — რედ.) ტანჯვითა,
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,
მთელი სიმწარე შენ წარსულ დღის მისვამს თასითა,
და შენ აწმყოთი სული, გული დამწყლულებია. (1,306).

62(568). გამრჯელი და მშრომელი ამისთანა (ილია ოქრომჭედლიშვილის მსგავს — რედ.) მხნე კაცს ეთქმის. (IV, 260).

63(569). განა ერთის ძმის სადიდებელი მეორისათვის პატივსაცემელი მაინც არ უნდა იყოს, სადიდებელს ნულარ ვიტყვით? (IV, 266).

64(570). (განა — რედ.) მამულის სიმაგრე — ტყრუშული ღობეა, ვენახ გარშემო შემორტყმული. (ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 152).

65(571). განა სამშობლო სამადლობელი არ არის, თუნდ მამულის-შვილობაც არ იყოს, რომ დაგვბადა, გაგვზარდა, შეგვიერდომა, გვიპატრონა, გვაციცხლა და გვაცხოვრა. („ივერია", №45, 1897,1).

66(572). განეთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიჭერით, და შაგ განთვითეულებამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველს-ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წკეპლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტერევს. (III, 76).

67(573). განკერძოება წოდებათა... განცალკევება ერთის ქვეყნის შვილთა, რომელთა ცხოვრება, ინტერესები. გრძნობა, აზრი და მისწრაფება ურიცხვის სიმით არის გადაბმული და გადახლართული დანაშთენთან, შეცდომაა. ეს შეცდომა დაპგმო ძველ ღრ-ითა ისტორიამ და დაამტკიცა, რომ მხოლოდ ყველა წოდების კავშირი გაუძლებს ვანაილების და ხალხის დაწინაურების დამაბრკოლებელს მიზეზებს. (IV, 376).

68(574). ... განსვენებულმა (ბ. ღოღობერიძემ — რედ.) დაუნერგა თავის სამშობლოს ერთი ნუგეშიც: სჩანს სიცოცხლისა და წარმატების სახსარი არ გასწყვეტია იმ ქვეყანას, რომელსაც ებადება ამისთანა სახელოვანი შვილი. (IV, 235).

69(575). გაუმარჯოს აკაკი წერეთელს რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრად, და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურს და გრძნობას, და არა ერთხელ გულს მოიცემს მამულის-შვილობისათვის. (V,187).

70(576). გაფანტულობა და დაქსაქსულობა გვღუპავს ჩვენ. (X,37).

71(577). გარდა ყოველ იმისა, რომ გრ. ორბელიანმა არ იუცხოვა ახალი მიმართულება და, პირიქით, თავისი ძლიერი ბანი მისცა, — შანევ დაგვანახა პირველი, მაგრამ საუცხოო და შეუდარებელი მაგალითი ქართულის ურითმო ლექსისა, არა იამბიკოს მსგავსისა, და მით დაგვიმტკიცა, რომ ქართულს სიტყვასაც თავისი ასამაღლებელი ხმა ჰქონია, ეგრე საჭირო ლექსთა-წყობის ხმოვანებისა და მუსიკისათვის. შან ამით გვაჩვენა, რომ ქართულადაც შესაძლოა ურითმო ლექსი, ეგრეთ-წოდებული „თეთრი ლექსთ-წყობა", რომელიც ხმოვანებით და მუსიკით არანაკლებია რითმიან ლექსისა. მისი „მუშა ბოქულაძე" ამ მშვენივრ „მწყობრ-სიტყვაობის" შეუდარებელი მაგალითია. (III, 231).

72(578). გ. ერისთავი, როგორც პოეტი, იმითია შესანიშნაი, რომ ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას" ეძახიან და რომელიც ზოგჯერ გამოსაკეთებლად აწყლულებს

ხოლმე იმას, ვისაც კი დაეძგერება და სხვას კი ყოველთვის აფრთხილებს. (III, 222).

73(579). გვეყო, ბატონებო, სხვაზედ დანდობა, სხვის მაყურებლობა. ჩვენ თითონ მივეშველნეთ ჩვენს თავს... მივცეთ ურთიერთს მხარი და ზურგი... (IV, 326-327).

74(580). გვეყო. ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს ულელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შოებულა ამ ქვეყნიერობაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. (IV, 323).

75(581). გვეყო, რაც ჩვენმა წარსულმა ჩვენ მაგალითები გვიჩვენა. ნუთუ აქამომდე გული ვერ დავაჯერეთ, რომ ჩვენს გარე ჩვენი ხსნა ბიზმარია! (IV, 320-321).

76(582). გზა-კვალი მისის (ნ. ბარათაშვილის — რედ.) პოეზიისა, სიკრძე-სიგანე და სიღრმე მისთა აზრთა დენისა მეტად ღირს—შესანიშნავია, რომ დაუსაბუთებლად ადვილად დასაჯერი იყოს. იგი ობოლი მაგალითია, ობოლი იმიტომ, რომ მარტოდ-მარტოა ჩვენს მწერლობაში. (III, 220-221).

77(583). „გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყველაფერი".* (X, 144,569,573).

78(584). გრ. ორბელიანი თითქმის ყოველს საგანს, ცხოვრებისაგან ჩაძახილსა, ამოსძახებდა ხოლმე თავის გულიდამ ასე თუ ისე, ხოლო ყოველთვის-კი ტკბილად, აუმღერევლად და აუჩქარებლად, როგორც ბრძენი კაცი, თავის აზრისა და სიტყვის პატივით მპყრობელი. („ივერია", №63, 1888,1).

79(585). (გრ. ორბელიანი — რედ.) იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, იგი იყო „მეუფე" ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებული, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ — სასოებით მისი მსმენელნი. (III, 247-248).

80(586). (გრ. ორბელიანია-რედ.) ... ერთი იმისთანა ჩვენი კაცი, რომლის ნახვაც ადამიანის ბუნების წყურვილს შეადგენს... კაცი მრავალგვარად სახელოვანი, კაცი რომელზედაც ერთს ევროპიულს გაზეთში ნათქვამი იყო, რომ ერთი უდიდესი ლირიკოსია ამ მეცხრამეტე საუკუნისაო („ივერია", №63, 1888,1)

81(587). გრ. ორბელიანის" საღეგრძელო", „თამარ-მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში" — ცხადი მაგალითებია, რომ მან თავისი ძლი-

---

* თითქმის იგივე ფრაზა („გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყოველისფერი!"). იხ.: X, 522. (რედ.).

ერი მხარი მისცა ახალს მიმართულებასა და მამულის სიყვარულს ღრმა კვალი დააჩნეეინა ჩვენს გულში. სიყვარულმა მამულისამ, სამშობლო მიწისამ, აღფრთოვანებულმა სამოციან წლებში, სულით და გულით მიიზიდა პოეზია გრ. ორბელიანისა, და ამ სიყვარულის გასაღვიძებლად და დასანერგად ახლებთან ერთად არა ერთი და ორი უთქვამს თაეის მშეენიერის ლექსითა. მამულის-შეილობას გრ. ორბელიანმაც შთაპბერა იგი ღონიერი სული, რომელმაც, როგორც სამოციან წლებში, ისეც მერმე, ჩვენს პოეზიას განსაკუთრებული მიმართულება დაუნიშნა. (III, 228).

82(588). გული იმოდენად კიდეე შეგვრჩენია, იმოდენად კიდეე გვერჩის, რომ ჩვენს ეინაობას ვუპატრონოთ და ქართველობის სახელი სალანძღავ-სათრევად არ დავანებოთ არავის. (VIII, 103).

83(589). გულითადი რწმენა და სასოება, ჩვენს თავ გამომეტებულ ერთგულებასთან ერთად ქვითკირსავით შედულებულ-შეხორცებული, ის შეურყეველი კლდეა, რომელზედაც მრავალტანჯულს საქართველოს თვისის სეე-ბედის ციხე-სიმაგრე უშენებია, რათა აწმყოს და მერმისს ნუგეშით და იმედით შეჰხაროდეს. („ივერია", № 202, 1888, 1).

84(590). დაე თუნდ მოვკვდე, არ შეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახომ მათ, ეინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თეისი ვალი. (I,29).

85(591). დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატიეისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლადშემძლებელ ბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა. ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნობისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან! (IV, 181).

86(592). (დავით აღმაშენებელმა — რედ.)... ამ მართლა-და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თაეი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ — ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა!... (IV, 181).

87(593). (დავით გურამიშვილის — რედ.)... დიდაქტიური პოეზია პირს არ შეირცხვენს თუნდ ლუკრეცის, ვირგილის და ჰორაციის დიდაქტიურ პოეზიას დაუყენეთ პირის-პირ, და რომლის სარწმუნო-

ებრივი ღაღადება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმაღლემდეა ასული. (III. 153).

88(594). (დავით გურამიშვილმა—რედ.) ... სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთაგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმაში. (III, 457).

89(595). (დავით ჩუბინაშვილმა — რედ.) ბევრი გააკეთა და სახელოვნად იღვაწა მშობლიური სიტყვიერებისა და ისტორიისათვის. (X, 135).

90(596). დაილოცა კიდევ ჩვენი ნამუსიანი ტფილისი... (X, 290).

91(597). დაიხოცნენ (კრწანისის გმირები — რედ.), მაგრამ დიდი მაგალითი გვიჩვენეს იმისი, თუ-რა შეუძლიან მამულის შვილს, როცა გულში აბჯრად აქვს ხსნა ქვეყნისა და ხელში ხმალი სახსრად. („ივერია", №194, 1895,1).

92(598). დამარცხებულთ ფულისაგან ბევრი სხვადასხვა იარაღი სცადეს ფულის წინააღმდეგ და ამ ცდამ დაანახვათ, რომ ყველაზედ საუკეთესო იარაღი ფულის წინააღმდეგ არის შეერთებული ძალა, თუნდა ეს შეერთებული ძალა ღარიბთა და ღატაკთაგან იყოს შემდგარი, მაინც საწადელს წინააღმდეგობას უწევს ფულსა. („ივერია", №125, 1893,2).

93(599). დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა, გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს გულში,
და მე არ ვჩივი — მიხარიან, რომ ეგრეთ ჰშვრება
ჩემი ცხოვრება შენსა (მამულზე — რედ.) ფიქრში, შენს
სიყვარულში. (1, 74).

94(600). დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლისა, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძონ, ერთობლივის ძალით მამაპაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევირჩინოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ, მოსეულ ათასვარ მტერსა და დუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, გავუმკლავდეთ, ხმალამოღებული დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავაცინოთ... („ილიას სამრეკლო", თბ., 1987, გვ. 151).

95(601). დეე სხვამ თავისი იცოდეს, ჩვენ ჩვენი უნდა შევიტყოთ. (III, 405).

96(602). დიაღ, მხოლოდ მშვიდობიანობის დროს შეიძლება მწერლობაცა. საქართველოსა ჰქონდა ერთი დროება, თამარ-დავითფლის დროსა. მხოლოდ ივან გახსნა საბერძნეთის გზა, და ამ გზაზედ გამოიარეს მშვიდობიანად იმ მსწავლულმა ხალხმა, რომლების სახელებიც

ეხლა ჩვენ ვიცით. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 332).

97(603). დიდ მოურავს ბააკაძეს, როგორც ერთს უპირველესს კაცს იმ დროში, დიდი გავლენა და ზედმოქმედება ჰქონდა მეფის ლუარსაბის სვე-ბედზედ და თვით მთელ საქართველოზედაც (IV, 185).

98(604). დიდ ხანს ებრძოდა შვილის ტრფობას მამულის ვალი. ვალმა აჯობა". (I, 157).

99(605). დიდი გული უნდა, რომ კაცმა... ბრძოლა და ჭიდილი აიტანოს და ომ-გადახდილმა თავის წადილში ისევ მოთავსოს ეს ორი ერთმანეთზე ხმალამოწვდილი გრძნობა (მამულის-შვილური სიყვარული და ღრმა სარწმუნოება, ეს ორი უძლიერესი გრძნობა ადამიანისა — რედ.) დიდი წუთია ეს ამისთანა წუთი ადამიანის ცხოვრებაში, და ბარტო რჩეულთა ამა ქვეყნისათა ეღირსებათ ხოლმე მადლი ამისთანა წუთების გაცდისა და გაძლიერებისა. (III, 241-242).

100(606). დიდი მამულის-შვილური სიყვარული და ღრმა სარწმუნოება. (აი — რედ.) ორი უძლიერესი გრძნობა ადამიანისა. (III, 241).

101(607). დიდი მოურავი (ვიორვი ბააკაძე — რედ.) ყოველად ნიჭიერი კაცი იყო, ყოველად მხნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი. (IV, 185).

102(608). დიდი პატივი აქვს ჩვენის გლეხკაცის თვალში ყოველს მას, რასაც-კი სოფლის სახელით ეტყვიან. სოფელი ჩვენებურ გლეხკაცისათვის დიდი ავტორიტეტია; ტყუილად კი არ ამბობს ხოლმე გლეხკაცი: ორმა კაცმა რომ გითხრას ბრმა ხარო, უნდა დასჯერდეო. რაც უნდა ცუდად გადაუწყვიტოს საქმე სოფელმა, ჩვენებური გლეხკაცი სოფლის ცუდ გადაწყვეტილებას უფრო შეიწყნარებს, ვიდრე გარეშე კაცის ცუდს განაჩენსა. (VI, 197).

103(609). (დიდი ძალა აქვს საზოგადო ხმას, შემარიგებას, ერთობას — რედ.). ტყუილად კი არა აქვთ მუშა ხალხთა ჩვეულება, რომ როცა მძიმე რასმეზა სწევენ, ერთხმად დასძახებენ: ეს ხმა ბევრსა ჰმველის, სუსტს თავის ულონობას ავიწყებს. ტყუილად კი არ იციან მეომართა კიჟინა, როცა უნდათ, რომ მტრის რაზმი გაარღვიონ, — ამ კიჟინით მხდალი ლომადა ხდება. (III, 469).

104(610). დიდია გული, საცა... სიყვარული ქვეყნისა ჩასახულა და გაზრდილა. (IV, 263).

105(611). დიდის ღმერთის საკურთხეველის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,

---

* ამ სტროფის პირველი ვარიანტია:
„დიდ ხანს... იბრძოდა... მის ტრფობასთან... მამელის ვალი...
„ვალმა... აჯობა..." (I, 329). (რედ.).

რომ ერისად მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში. (1, 61).

106(612). დიდო თამარო! შენი სახელი
იცოცხლებს ვიდრე სცხოვრობს ქართველი,
ეგეა ჯილდო დიდ ცხოვრებისა!
ესეა წესი ამა ქვეყნისა!.. (1, 472).

107(613). (დიმიტრი ბაქრაძე — რედ.) მთელი ორმოცი წელიწადი იღვაწა და დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ ნამყო გვქონია, აწმყო გვაქვს და მომავალი გვექნება. იმედი ხვალისა მან მოგვმადლა ჩვენ. თვითონ წაეიდა და ჩვენ ხელთ მოგვცა მწვანე, შტო იმედისა, სასოებისა, რომელიც მან ხეს მეცნიერებისას და ცნობადისას მოჰკვეთა და ნოეს მტრედსავით მოგვიტანა და გვახარა: ნუღა გეშინისთ წარღვნისაო. სხვაგან ამისთანა კაცის საფლავი სალოცავია მამულისა. („ივერია", № 33, 1890,1).

108(614). (დრო მოვა — რედ.) ... შვილო, დედისა ნანა
ხმლის ულერად შეგვცვლება. (1,44, 283, 285).

109(615). დრო ყოფილა, ჩემო ძმაო, ქართველობით თავი მოგვწონებია. (II, 62).

110(616). დროა, რაც ცალკე მეცადინეობით ვერ შეეძელით, იმას შეერთებულის ღონით შეეჭიდნეთ. კიდევ ვიტყვით: ეს შეერთებული ღონეა ერთადერთი სახსარი... რომელსაც ყველგან გაუმარჯვენია, საცაკი უცდიათ. (VII, 30).

111(617). დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შეგვაჩვივა და ამაებმა სრულიად წარწყმიდეს ჩვენში... თვითმოქმედების ძალ-ღონე. (IV, 322).

112(618). დღევანდელის მომდურავებმა ხვალინდელი დღე მაინც კარგი გავითენოთ... (V, 352).

113(619). დღეს აქამომდე ამ მშვენიერს აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე შეეინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო. დღეს სხვა მტერი მოდის, როგორც ვხედავ, ისე ბულ-და-ბულ და პირდაპირ-კი არა, როგორც პატიოსანი. არამედ ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი. იგი მტერი ფულია, ბაიძვრა და მზაკვარი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ. და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, ტურფას, მდიდარს ქვეყანას. რომ პირველ ხანში იქმნება მადლობელნიც გაუხდეთ. („ივერია", № 118, 1903, 1; „კვალი", № 21, 1903, 333-334).

114(620). დღეს შორს არა ვართ იქამდე. რომ ჩვენ ჩვენს სახლში სტუმრებად შევიქმნეთ და სხვანი გაგვიმასპინძლდნენ, თუ თავს არა ვუშველეთ-რა, ვიდრე კიდევ შესაძლოა ბედს თავი ჩვენსკენ მოეულრიჯოთ. (VII, 38).

115(621). ეგ ისეთი აქტრისაა (მაკო საფაროვა — აბაშიძისა — რედ.), რომელიც ჩვენის სცენის თვალი იქნება, თვალი! ამ აზრისანი არიან ყველანი, ვისაც კი საფაროვის ქალი სცენაზედ უნახავს. ყოველს სიკეთესთან ერთი ის სიკეთეც სჭირს, რომ მშვენიერი ქართული გამოთქმა აქვს... (V, 53).

116(622). ეგრეთ-წოდებულმა „რეალურმა მიმართულებამ" ჩვენის აზრიანობისამ ჩვენი გონება დააკვირვა ჩვენს მიწიერ ავ-კარგიანობას და სამოციან წლებიდამ (XIX ს. — რედ.) დღეანდლამდე, ამ ოცდაათის წლის მანძილზე, ბევრი საყურადღებო ღვაწლი დასდო, ბევრი ნაყოფიერი თესლი დაჰყარა სამერმისოდ. (III, 226).

117(623). ...ეკონომიურად გაძლიერებისათვის ჩვენს სოფელს ბუნებისაგან თითქმის არა აკლია-რა. ზომიერი ნელთბილი პავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა, მომასწაებელნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენაც საჭიროა, რომ ერმა უტკივნელად თავი ირჩინოს და ყოველს სფეროში ღონივრად გაიწიე-გამოიწიოს წარმატებისა და კეთილ მდგომარეობისათვის. (VII, 32).

118(624). ერეკლე ბრწყინვალე მეფე იყო საქართველოსი და ტფილისი მისი სატახტო ქალაქი... (IV, 265).

119(625). (ერეკლე მეფე — რედ.) ... ორმოც-და-თორმეტი წელიწადი „რკინის კარი" იყო საქართველოსი!.. (IV, 269).

120(626). ერთმა ჩვენმა მეგობარმა გვითხრა: „იგი (დ. ყიფიანი — რედ.) იყო კაციო, რომელიც თავის დღეში არ იტყოდა „ჰოს", როცა მისი გული ამბობდა „არას". ძნელია უკეთესად გამოთქმა ადამიანის ღირსებისა; დიახ, დიმიტრი ყიფიანი იყო მართალი კაცი. (IV. 222).

121(627). ...ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისათვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ... (III, 380).

122(628). ერთხელ და უკანასკნელ საცოდნელად საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყანა ყოველის მხრით და ყოვლისფრით სულ სხვაა. იმის ცხოვრებას, მოქალაქურს, თუ ეკონომიურს, თავისი საკუთარი დერიტა აქვს, თავისი საკუთარი დედა, რომელსაც შეუდედებია მისი აწმყო, რომელმაც აწ უნდა შეუდედოს მისი მომავალი. ჩვენს ქვეყანას თავისი გრძელი ისტორია აქვს. ამ ისტორიამ შეჰქმნა ჩვენის ქვეყნის საკუთარი წესნი კაცთა ერთმანეთში მოთავსებისათვის მოქალაქურად თუ ეკონომიურად. ეს წესნი, ისე გამჯდარია ჩვენის ქვეყნის ძვალსა და რბილში, რომ ჩვენის ქვეყნისავე სიტყვით, რჯულთ უმტკიცესნი არიან. ამა განსაკუთრებულთა რჯულთა, ხელოვნებაა ისეთი ძლიერია ერის ცხოვრებაში, რომ უყურადღებოდ დაგდება მათი მაშინ, როცა ჰფიქრობ ქვეყნის წარმატებას და განკარგვებას, შეცდომაზედ მეტია. მაშინ ფიქრიც და თვითმოქმედებაც უქმია, რადგანაც უნიადაგოა და ფეხ

მოუკიდებელი; მაშინ ყოველი ჯაფა და გარჯა ტყუილად გაფანტული ღონეა. როგორც ჰაერში დაკიდებული ხე არ იხეირებს, ისე არ იხეირებს არარა ფიქრი, არარა მეცადინეობა არარა ცვლილება, თუ ფესვის მოსაკიდებლად იგი დვრიტა, იგი ღედა არა აქვს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ. (V, 295).

123(629). (ერის სახელოვანი მოღვაწეებისადმი პატივისცემის გრძნობას — რედ.) ყოველი მამულის-შვილი გულში უნდა მოწიწებით ინახავდეს და სამართლიანად შესწირვიდეს ქვეყნისათვის გამრჯელსა და მოამაგესა („დროება", № 195, 1881, 1).

124(630). ერის წყლული მაჩნდეს წყლულათ,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით,
დამედაგოს მტკიცე გული... (1, 61).

125(631). ერისათვის თავდადება
მეფისათვის სახელია (1, 191).

126(632). ეს ერთი მუჭა ხალხი რამ შეგვინახა? ხმალმა და გუთანმა. ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს, ადგილზედ რომ ფეხ-მოკიდებულები ვართ, სხვებსავით არ დავიქსაქსენით, არ გადავცვივდით აქეთ-იქით, ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელს მტერს გავუძელით, გავუძელით და გადავრჩით, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერსა, — ეგ იმიტომ — რომ ერთს ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი დასაპამიდგანვე დღემდე. ესეც ვიქნებით შემდეგშიაც, თუ ეგ ორი უძლეველი ძალღონე ერის სიმკვიდრისა ხელთ გვექნება. (V, 122-123).

127(633). ...ეს „ვეფხის-ტყაოსნის" პიტყვები!.. პარაქალა იმ კაცის მეტყველებას, რომლის სიტყვები ... უნუგეშოსაც ანუგეშებს საფლავის კარამდინა! მშვიდობა ძლიერსა სულსა შენსა, უკვდავო რუსთაველო! (II, 37).

128(634). ეს სიცოცხლე რისთვის მინდა,
თუ არ შენთვის, ოხ, მამულო. (ი. გრიშაშვილი, თხზ. კრ. ტ. V, გვ. 56).

129(635). ეს უბედური, ყველასაგან დაბრიყვებული, უტყვი „ადგილობრივი ვითარება" სასაცილო ყოფაშია ჩვენში. არავის, არამც თუ შეუსწავლია, რა ფერისა და ზნისაა, არც კი ცდილა, რომ შეესწავლა. (VI, 79).

130(636). ეს წიგნი „ვეფხისტყაოსანი" — რედ.) არის ქართველების გულის საუნჯე. (II, 62).

131(637). ეჰა, ამ ღღისთვის გაგიზარდე მამულო შვილი,
სიცოცხლე მივეც. რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი.
(1, 151).

132(638). ეჰა, მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა...
ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
დედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში.
(I, 157).

133(639). ვაი დაგკარგეთ! ...ულმრთო იყო შენი (ნ. ბარათაშვილო — რედ.) სიკვდილი!

ვინ უწყს, რავდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა,
ეგე ზღვა გული, სიყვარულის სხივ-ქვეშ გაშლილი,
რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით, ჩვენ ჩაგვესვენა?
ვინ იცის, თანა რაოდენი წარიღე ფიქრნი?
მათ მნიშვნელობა დაგვეკარგა ჩვენ საუკუნოდ...
რაოდენ იმედთ და ნუგეშთა კოკრად ყვავილნი
ჩასჭკნენ შენს გულში განუშლელად ეგრე უდროოდ?*(1,58).

134(640). ვაშა-ფშაველა ჩემს თვალში იმოდენად პატივ-საცემი მწერალია, რომ მისის ნაწარმოების დასაფასებლად საკმაო არ არის მარტო ერთის კაცის აზრი და შთაბეჭდილება. (X, 393).

135(641). ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!... იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი... ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. (V, 12).

136(642). ვაჟკაცობა ქართველობისა უქმი სიტყვა არ არის... (V,19).

137(643). (ვახტანგ VI-ს, არჩილ მეფეს, თეიმურაზ I-სა და II-ს — რედ.—) ... ნამეტნავად პირველს ორს, ვერავინ ვერ დასწამებს სიმჩატეს აზრებისას და გრძნობისას... (III, 153).

138(644). ველო! გქონია შენც დრო კეთილი!..

თუმცა ფურცელნი ისტორიისა
შენ შვილთა სისხლით გაქვს აღწერილნი,
მაგრამ გაქვს ძეგლნიც ბევრ კეთილ დღისა.
აქა ფაზისმა ნახა განთქმული
ხომალდი — „არღო“ იაზონისა,
აქაც მოსთქვამდა ძველად ქებული
ჩანგი ორფეის მოსაწონისა.
... აგერ ეხლაც ჩანს „ეას“ ნანგრევი;

* ამ ლექსის პირველი ხუთი ტაეპი იხ. აგრეთვე: I გვ. LXIII-XLIX. (რედ.).

და ის მშვენიერ ნაქალაქევი
აწ კაცსა ახალს გაუკვირდება;
აგერ იქ მოსასს დიოსკურია...
სახე, აწ როგორ მედიღურია...
ა იქ ბიჭვინტა, ქალაქი წყნარი —
ოვის სიმდიდრითა ძველთ აკვირვებდა,
და ვითა ქორი ლაღი, წყაზარი
შავ ზღვას ამაყად გარდაფყურებდა. (I, 315-216).

139(645). ვემსხვერპლოთ ქრისტისა მცნებას,
ვაშოროთ ქართული მონებას. (I, 37).

140(646). (ვერავინ შეგვედავება, რომ — რედ.). ... ყოველთვის საქართველო ყოფილა ასპარეზი ყოველის ვარჯიშობისა. („ივერია", № 85, 1889, 2).

141(647). „ვეფხის-ტყაოსნით" ჩვენ, ქართველებს თავი მოგვაქვს. („დროება", № 242. 1880, 1).

142(648). ვიღრე წესების ცვლილებას შეუდგებიან ჩვენში, ჯერ ყველაზედ უწინარეს გამოცნობილ და აღიარებულ უნდა იქმნას ის, თუ რა ივალით და რა გულით უნდა გვიყურონ ჩვენ. უნდა გამოცნობილ იქმნას, კარგად განსაზღვრულ და ბეჯითად განმარტებულ, — თუ ვინა ვართ ჩვენ და რანი ვართ. (V, 132, 143).

143(649). ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით... მაშ „მხნე იყავ და გაძლიერდი"!..* აი ჩვენი... ნატვრა. (III, 380).

144(650). ვინ იცის? იქნება დრო მოვიდეს, ჩვენი ბედი ჩვენვე დაეატრიალოთ. ჯერ ხანად კი ავყვეთ ამ ცხოვრების უგემურ ჟამთა დენასა. (X, 328).

145(651). ვინ სულელი იტყვის, რომ, ჩვენ, ქართველები, ყველაფრით სრულნი და საკმენი ვიყვნეთ. ჩვენც ადამიანები ვართ და ადამიანი უნაკლულოდ არსად გაუჩენია ღმერთს. („ივერია", № 27, 1896, 1).

146(652). ვინც თითონ მოიპოვებს სახელს, იგი ბევრით წინ არის იმაზე, ვისაც სახელი მამა-პაპათგან რჩენია და რგებია. ამიტომაც არის თქმული, რომ უფრო სასახელოა კაცმა თავისი გვარიშვილობა ასახელოს, ვიდრე-სახელოვანის გვარიშვილობით თავს იწონებდესო. (IV, 263).

147(653). ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისსა შვილსა,
მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებია...** (I, 153).

---

* შდრ.: „მხნე იყავ და განძლიერდი".
დ. გურამიშვილი (რედ.).

** ამ სტროფის პირველი ვარიანტია:
„ვინც არ იმეტებს მამულისთვის თავისა შვილსა,
სიახა, ხას შვილები თავია ღელეში არ ჰყვარებია..." (I, 226). (რედ.).

148(654). ... ვისაც თავისის ქვეყნისათვის გული სტკივა... არ უნდა დაიშუროს გარჯა და შრომა. („ივერია", № 16, 1889, 2).

149(655). ვისაც ოდესმე მოსწყურებია საკუთარი თვალით ნახვა მისი, თუ სად არისა საზღვარი სასცენო ხელოვნების ძლევამოსილობისა, იმას უნდა ენახა, ბ-ნი გაბუნია (ნატო გაბუნია-ცაგარელისა — რედ.). ხანუმას რომ ჰთამაშობდა... (III, 143).

150(656). ვისურვებ ... რომ თითოეულს ჩვენგანს გულში ანდერძად ჩაჭდეულ ჰქონდეს: ვიმხნეოთ და გავძლიერდეთ. („ივერია", № 4, 1900, 3).

151(657). ვიქმნეთ ერთგულ და ერთსულ ჩვენის მრავალ-ტანჯულის სამშობლოსათვის, რომელიც აყვავდება მაგ ერთგულობითა და ერთსულობითა. („დროება", № 47, 1872).

152(658). ვიღაცამა სთქვა: ჩვენს ქართველებში რომ ძმა ძმის მტერი არ იყოს, ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდაო. („ივერია", № 38, 1879, 2).

153(659). ვიწრო მოედანი მარტო პატარა ფალავნის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, როგორიც შექსპირია და თუნდა ჩვენი რუსთაველიცა. (III, 175).

154(660). ვფიქრობ, რო ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ისე ადვილად არ დავეჩაგვრინებით. („ილიას სამრეკლო, თბ., 1987, გვ. 150).

155(661). „ზრდილნი არიან იმერნი!" — ნათქვამია ბრძენის სწორად,
მე დავრწმუნდი ამ სიტყვაში, არ მიიღოთ თქვენ ეს ჭორად,
თავი დიდად მომაწონეს, გარდმაქციეს რაღაც გორად,
მეპყრობოდნენ სათუთობით, მიიჩნიეს თავი ყორად.
(„მნათობი", № 10, 1957, 169).

156(662). ... თ. გრ. ორბელიანი გამგრძობია თ. ალ. ჭავჭავაძის პოეზიისა; და ამას გარდა, თითქმის ერთგვარი დენა მწერლობისა გაამრავალგვარა, წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც შინაარსით, ისეც ფორმითაც. (III, 210).

157(663). ... თ. ვახტანგ ორბელიანი ნამდვილი ლირიკოსია რომანტიულ სკოლისა, ეგრედ-წოდებულ „რომანტიზმს" იგი ჰყავს ჩვენში თითქმის ერთად-ერთი წარმომადგენელი. ერთად-ერთს ვამბობთ იმიტომ, რომ მისი პოეზია ამ მხრით თითქმის შეურეველია და აუჭრელებელი (III, 243).

158(664). ... თ. ვახტანგ ორბელიანს, ვითარცა მამულის სიყვარულის მადლით მოსილს პოეტს, დიდი წილი უდევს, რომ ამ გრძნობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხა. დედა მის წარსულს სიყვარულისა — მამულის-შვილური სიყვარულია და პირველი გაზრდილია მეორეს ძუძუთი. იგი წარსული უყვარს, როგორც ფუძე ჩვენის მომავ-

ლისათვის: „დიდს წარსულს დიდი მომავალი ექნება“ — ამბობს იგი. (III, 243).

159(665). თ. რაფიელი (ერისთავი — რედ.). ჩვენი სასიქადულო პოეტია. (V, 344).

160(666). ... თავ-და-დება და თავ-განწირვას ითხოეს დიდი საქმე ქვეყნის ხსნისა. („ივერია“, № 194, 1895, 1).

161(667). (თამარ მეფე — რედ.). დედაკაცი იყო, კურთხეულ არს სახელი მისი! და დედაბოძად კი შეექმნა ჩვენს ქვეყანასა... (II, 62).

162(668). „თამარ მეფეო, — ამბობს ერთი გერმანელი, — იმისთანა სახელია საქართველოში, რომ კლდე, ღრე, ხე, ქვა, რასაც ხელს ახლებ და თვალს მიაკარებ, ყველა იძახის ამ სახელოვანის მეფის სახელსაო“. ეს მართალიც არის. (IV, 65).

163(669). თბილისი ქართველთა ქალაქია, ყოველივე აქ მცხოვრები, ვიდრე აქ ჰსცხოვრობს, ქართველია. ყველანი ერთად ჩვენი ძმები არიან, ყველასათვის ერთ-გვარად გული შეგვტკივა. („დროება“, № 104, 1884, 3).

164(670). ... თვალები არ უნდა ავიხილოთ* და არ უნდა დავბრმავდეთ იმით, რომ ესა და ეს ხალხი ჩვენ თავის დღეში არ გვეწინააღმდეგება, რადგან ერთმორწმუნენი ვართო, ესა და ეს ერი ჩვენ მტრად არ მოვა, რადგან თანა-მორწმუნე ერს შევადგენთო. უკეთუ ჩვენ ამას ვერ მივხვდებით, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენ პოლიტიკურად სრულიად გაუწვრთნელნი ვყოფილვართ, პოლიტიკური ალღო არ აგვიღია და ესრედ-წოდებულს პოლიტიკურს nonsens-ს სრულიად მოკლებულნი გხლებივართ. („ივერია“, № 9, 1882, 139).

165(671). ... თვით მეფენიც კი თვის ცხებულ თავსა
მსხვერპლად აძლევდნენ ეშობლიურ ხალხსა.
განა დიმიტრი თავდადებული
იქნება როსმე დავიწყებული?! (I, 317, 377).

166(672). თვით ოკეანო
ერთად თავმოყრილ წვეთით შემდგარა. (I, 95).

167(673). თვით სისხლ-მსმელი მხეცი, რომელიც ყოველ წუთს მზად არის გაჰგლიჯოს ასო-ასოდ ადამიანი, ისიც-კი ლბილდება და სიყვარულით და მადლობით შეჰყურებს კაცს, რომელიც უწმენდს და უპვეევს წყლულსა, და რა საფიქრებელია, რომ გონიერი სულიერი, რომელსაც მომადლებული აქვს ღვთიური ნიჭი განიმსჭვალოს ზნეობურ აზრითა გულ-გრილად ექცეოდეს მხსნელს და მფარველს მისდა წმიდათა-წმიდისა, რომელსაც სამშობლო ჰქვიან. („ივერია“, № 230. 1899, 3; „ცნობის ფურცელი“, № 949, 1899, 2).

168(674). თვით წარმატებაც, განვითარებაც მაშინ არის ჭეშმარიტი

* ალბათ, ავიხვიოთ. (რედ.).

და ნაყოფიერი, როცა ყველანი ერთგვარად და ერთ სახით სწვდებიან საერთო სიკეთეს, ერთგვარად და ერთ სახით გაჭირვების უღელს ეწევიან და თანასწორად ინაწილებენ უფლებას და მოვალეობას. საცა ეს არ არის, მაშინ ერთის აბაღლება, ერთის კეთილდღეობა, — მეორის დამდაბლებაზედ, მეორის გაღარიბებაზედ არის ხოლმე ხშირად დამოკიდებული. (VI. 48).

169(675). ... თვითეულის ჩვენგანის გული ერთს გრძნობაზედ არის ასხმული და ეგ გრძნობა ის პატივისცემაა, რომელსაც ყოველი მამულისშვილი გულში უნდა მოწიწებით ინახავდეს და სამართლიანად შესწირავდეს ქვეყნისათვის გამრჯელსა და მოამაგესა. (IX, 259).

170(676). თვითოეული ამისთანა (ა. როინაშვილისთანა — რედ.) ადამიანი ძალ-ღონე და ციხე-სიმაგრეა ერისა, ქვეყნისა, და მის მიერ განვლილი ღვაწლით დაქნილი გზა მთელი სკოლაა და მწურთველია ყველანი, ვისაც-კი კაცობისათვის გული ერჩისს. (IV, 262).

171(677). ... თვითოეული ჩვენგანი, — გლეხია, თავადი, აზნაური, ქალია თუ კაცი,—სულ ყველანი ერთად ქართველები ვართ, ჭირსა და ლხინში განუყრელნი და განუყოფელნი. (V, 339-340).

172(678). თითონ იმ თხზულებათა აღმორჩევა, რომელთაც დ. ი. ყიფიანი სთარგმნის ხოლმე, ცხადად გვიმტკიცებს, რომ მას სცენა მიაჩნია იმ დიდ შკოლად, საცა ოსტატად მოწვეულნი უნდა იყვნენ იმისთანა სახელოვანნი კაცნი, როგორც შექსპირი და მოლიერი და სხვა მრავალი მათი ბომდევარი გამოჩენილი მწერალი. იმედია, რომ დ. ი. ყიფიანის ხელში სცენა თავის-დღეში ისე არ დამდაბლდება, რომ იგი შეიქმნეს გულისა და ენის გამრყვნელად. (V, 41).

173(679). 14-ი იანვარი ყოვლად სადიდებელი დღეა ყოველის ქართველისათვის. ამ დღესა უქნობს, ამ დღესა დღესასწაულობს საქართველოს ერი და ეს დღეა დღე მიცვალებისა ჩვენის განმანათლებლის მოციქულთა სწორის წმინდა ნინოსი. ამ ჩვენს. ღვთის-მშობლის წილად-ბდომილს ქვეყანას ღვთის-მშობლისავე ლოცვით და კურთხევით მოევლინა ზეგარდმო შთაგონებული წმინდა ქალწული, გადმოლახა თავისის უძლურის ფეხითა მთანი და კლდენი, მოვიდა იქ, „სადაც ღმერთნი ღმერთობდნენ და მეფენი მეფობდნენ". პირ-ქვე დაამხო სალოცავნი კერპთმსახურებისანი და მათს ადგილას აღმართა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი პატიოსანი.

საქართველოს ერმა გადიხსნა გული, შიგ განიბინევა იგი ჯვარი პატიოსანი ჯვარ-ცმულის ღმერთისა და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის-კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. („ივერია", № 9, 1888, 1).

174(680). თუ განუზრახველი რაიმე შეცდომა მოუვა, ჩვენი გლეხკაცი სოფლის სახელით უფრო მეტად შეიწყნარებს შეცდომასა, ვიდრე თვითნებობას ორისა და სამის კაცისას. (VI, 194).

175(681). თუ დავესწრათ გაზაფხულსა,
ჩვენგან ნათესს აღმოსულსა,
მეტი ჯილღო რაღად გვინდა,
თუ ვსჭვრეტთ მამულს გაფურჩქვნილსა. (I, 38).

176(682). თუ ღღეს ცოტანი ბევრსა გვძლევენ და გვჩაგვრნენ, ეგ იმიტომ მოგვდის, რომ ცალ-ცალკე მოგვიხელებენ ხოლმე და ცალკე კაცისათვის ჭიდილი ფულთან, თუნდ ჩარჩული ფულიც იყოს, ძნელია. აბა ჩარჩს, ყველგან საითაც კი ხელს გაიწვდის, წინ კარგად შეკრული ამხანაგობა, ან სხვა რამე კრებული დავახვედროთ, ერთობით გაღონიერებული, და მაშინ იქნება ღმერთმა ჩვენკენაც მოიხედოს. (VII, 13).

177(683). თუ ეგრე (მამულისთვის — რედ.) შენ მოჰკვდები,
ნუ გინდა ნურა ძეგლი,
ისეც უკვდავ იქნები,
ვით დედის შენის ცრემლი!* (I, 45).

178(684). თუ ეკონომიურად წელში გაიმართებით, ჩვენი სამშობლო, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი, შეგვრჩება, ვერავინ წაგვართმევს. („ილიას სამრეკლო", თბ., 1987, გვ. 151).

179(685). თუ ერთობა ჩვენ გვექნება,
მტერი წინ ვერ დაგვიღგება;
ჩვენგანი ქართველის დამთრგუნველს
ან მოჰკლავს, ან შეაკვდება. (I, 37, 452).

180(686). თუ ვისმე სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას-კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მადლობელნი შვილნი ლმობიერებით პირ-ქვე უნდა დაეჭხოთ მათ საფლაკთა წინაშე და ვუგალობოთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა. („ივერია", № 9, 1888, 2).

181(687). თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი;
აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა
და დაე გვძრახონ, — ჩვენ მის ძებნით დაველიოთ ღღენი.** (I, 75).

---

* ამ სტროფის ბოლო ორი ტაეპი იხ. აგრეთვე: I. 266. (რედ.).

** ამ სტროფის ბოლო ორი ტაეპი იხ. აგრეთვე: X, 290; I, გვ. XXVII. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული სტროფის პირველი ვარიანტია:

„თუ კაცმა ვერ სცნო, ხომ იცის ღმერთმა
რომ წმინდა არის განზრახვა ჩვენი:
აგვიყოლია ჩვენ ქართველი ბედმა
და მის ძებნაში დაველიოთ ღღენი"... (I, 293). (რედ.).

182(688). თუ ლუკმა გავარდეს, ისევ ჩვენს ჯაჭვში ჩავარდეს, ის არა სჯობია? კახეთის რკინის-გზა ერთი ამისთანა ლუკმაა... ეს ისეთი საქმეა, რომ ამის ხელიდამ გაშვება ერთი შეუნდობარი ცოდვა და დანაშაულობა იქნება წინაშე ქვეყნისა საერთოდ და თვითოეულისა ცალკე.* (V, 338-339).

183(689). (თუ — რედ.). ... მამულის თავის პატრონს მიურბის და ეცლება ხელიდამ, ეს სრბოლა ისე უნდა მოპმართოს კაცმა, რომ მამული რაც შესაძლოა მალე ჩაუვარდეს საქმიანს ხელსა და ტუეილ-უბრალო წანწალში ერს არ დაეკარგოს იგი სიმდიდრე, რის შეძლებელიც მამული არის საქმიან ხელში. („ივერია", № 143, 1887, 1).

184(690). თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისთვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გავუანტოთ. (IV, 340).

185(691). თუ უწურთვნელს, უზრდელს, სხვის გამაუპატიურებელს, ჩვენს შინაობაშიაც, სახლობაშიაც, საცა მარტო ერთი-ორი კაცია, ვერ ვიშვნეთ და ვიაკილობთ, თუ ბაგაების პატრონს ჩვენს საკუთარს პატარა ოჯახშიაც ფეხს არ შევადგმევინებთ და კარს ამოვუქოლავთ, მაშ როგორ-ღა უნდა ძვიშკნიოთ, შევიწყნაროთ იგი იმ დიდს ოჯახში, საცა არამც-თუ მარტო მე და თქვენა ვართ ჩვენის ცოლ-შვილით, არამედ ბოელი ერია, ბოელი ქვეყანა. (III, 264).

186(692). თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს, — ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბღერტაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. (V, 10).

187(693). თუ ჩვენის ხალხის ბეღნიერება გვინდა, უნდა ვეცადოთ, რომ იმისი მდგომარეობა გავუმჯობესოთ. სწავლაც შევძინოთ და უკეოესის ცხოვრების ღონეც მივსცეთ. ეს ისეთი ნათელი ჭეშმარიტებაა, რომ ვინც ამას უარყოფს, ან სრულებით ბნელში უნდა დადიოდეს, ან სინათლეს თვალებ ახვეული უცქეროდეს. (X, 45).

188(694). თუ ჩვენში ძმობა იქნება,

საქმე არსად წაგვიხდება... (I. 33).

189(695). თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა ... ბზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბია ... სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე — ეგ დალოცვილის მეღის თაბარის დედობის დროს მომხდარა! ის ღ�d იყო... (II, 62).

190(696). თუმცა ჩვენ, ქართველებმა, ერთობ უწმაწური ლაბარაკი ვიცით ხოლმე, რიცა სალაზღანდარაოდ შევიყრებით, მაგრამ საკაროდ

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური „ლუკმა ვავარდეს, ში ჩავარდესო". (რედ.).

კი გვეთაკილება ხოლმე უმართებულო სიტყვის ხმარება. ეს პატიესადები ჩვეულება და არ შეიძლება ამას ყურადღება არ ვათხოვოთ. (V, 52).

191(697). თქვენი წაიპურტიც-კი გვწყინსო და ჩვენს პანღურს-კი ნუ იწყენთო. რა ნაბიჭვრები ჩვენა ვართ ამ წუთისოფლისა, რომ ამას გვეუბნებიან. რას გვიქვიან აქ ლიბერალობა, ან რეტროგრადობა, როცა ჩვენს ვინაობას, ჩვენს თავ-ბედს ასე აბიაბრუებენ და ძირიანად სთხრიან! (VIII, 103).

192(698). თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი (შ. რუსთაველი რედ.) თავისის სამკაულით აკაზმინებს, თავის საფერაეით აფერვინებს პოეტს ყოველს ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედობისას. (III, 168).

193(699). თქმა არ უნდა, რომ სამი ჩინებული არტისტი ჩვენის თეატრისა, ბბ-ნები გაბუნია (ნ. გაბუნია-ცაგარელისა — რედ.), საფაროვასი (მ. საფაროვა-აბაშიძისა — რედ.) და აბაშიძე (ვასო აბაშიძე — რედ.) მკვდარსაც გააცოცხლებენ თუ კი ავტორი ერთად შეჰყრის სათამაშოდ. ეს არტისტები უმარილო პიესასაც ისე გამოაკეთებენ, ისე მარილიანად ითამაშებენ, რომ ერთბაშად სიამოვნებას მოჰფენენ ხოლმე მთელს თეატრსა. („ივერია", № 228, 1886, 3).

194(700). თქმა არ უნდა, რომ ცალკე ჭიდილი, ცალკე ბრძოლა, თუნდაც იმარჯვებდეს, მაგდენს ვერაფერს დაამჩნევს საყოველთაო, საერთო კეთილმდგომარეობას და მრეწველობას ქვეყნისას ფეხზედ ვერ წამოაყენებს. („ივერია", № 234, 1886, 1).

195(701). თქმა-ღა უნდა, რომ ამ არტისტს-ქალს (ნ. გაბუნია-ცაგარელისას — რედ.) ვერავინ ვერ შეედრება, რაკი ჩვენის ცხოვრების სურათი, ხასიათი, ავ-კარგიანობა და თვისება შეხვდება ხოლმე გამოსახატავად! („ივერია", № 228, 1886, 3).

196(702). იგი (ალექსანდრე როინაშვილი — რედ.) იყო მოსილი იმ წმინდა მადლითა, რომელსაც ღმერთი აღირსებს ხოლმე თვისთა რჩეულთა და რომლითაც კაცი კაცობს ამ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, გლეხია თუ თავადი. იგი იყო მხნე, გამრჯელი და უკან-დაუხეველი, რაკი საქმეს აიჩენდა და ხელს ჩაჰკიდებდა. ძან არარაისაგან შეჰქმნა საქმე, არარაისაგან შეიძინა ქონება და ჩვენ ქართველებს მაგალითი გვიჩვენა იმისი, თუ რის შემძლებელია ცალკე კაცი, თუ იმხნევებს და გაირჯება და არ შეუშინდება ხელ-შეუწყობელს გარემოებასა (IV, 262).

197(703). იგი (გაბრიელ ეპისკოპოსი — რედ.) ერთს თავის ქადაგებაში სთხოვდა თავისს სამწყსოს, რომელიც ყოველთვის სულ-გაკმენდით უსმენდა ხოლმე, ევედრენით ღმერთს, რომ მომცეს მე ძალა ჯეროვნად ვემსახურო ეკლესიასა, ესე იგი, თქვენს ცხოვრებასაო, რადგან თვითოეული თქვენგანი და ჩვენგანი ერთად შეადგენს იმ კრებულს, რომელსაც ეკლესია ღვთისა ჰქვიანო. ეს მისთვის ლიტონი სიტყვა არ

იყო, საღვთო წერილიდამ ამოკითხული და გაზეპირებული. ეს იყო მისი სიმბოლო, ეს იყო მისი განათლებული რწმენა, ეს იყო მისი გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება, ეს იყო ის, რასაც სიბრძნეს ეძახიან და რის გარეთ მსახურება თვისი მსახურებად არ მიაჩნდა, ღვაწლი-ღვაწლად, მადლი-მადლად, საქმე — საქმედ. არ არის არც ერთი მაგალითი, რომ სადმე და რაშიმე ესუსტროს ამ რწმენისათვის, პირიქით, თვისი ხანგრძლივი სამსახური მარტო ამ რწმენას შესწირა და შეალია. კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისაო, — ამას მარტო ღრმად გამეცნიერებული სარწმუნოება იტყვის და ამისთანა სარწმუნოებისა იყო ივი, ვისიც სიბრძნე მარტო ჩვენ არ გვაჭცვიფრებს. (IV, 253).

198(704). ივი გმირი (ლუარსაბ II — რედ.), რომელმაც სთქვა: რა მადლია თავი გადავირჩინო და ჩემი ქვეყანა ბტერს ავაოხრებინოო, — წავიდა და წამებულის გვირგვინით შეიმოსა სახელოვანი თავი ქვეყნისა და ქრისტეს სახელითა. (VI, 187-188).

199(705). ივი (ნ. ბარათაშვილი — რედ.), მით იყო უფრო ძლიერი ლირიკაში ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზედ, რომ მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და ნწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის ულონობაა. (III, 211).

200(706). ივი (დ. ყიფიანი — რედ.) იყო კაცი, რომელსაც სიყმაწვილის ღღიდანვე ბოლოს ჟამამდე სამართალი მიუძღოდა... ივი იყო კაცი, რომელიც, როცა ბედნიერი იყო, ვერც ბედნიერებამ წაიცდინა, ვერც უბედურობამ დაიტყვევა. (IV, 222).

201(707). ივი სოფელი, საცა მის მამა-პაპას უცხოერია, საცა მამა-პაპის ძვლები უმარხია, საცა მამა-პაპის სალოცავია, ჩვენის გლეხისათვის მეტად ძვირფასი რამ არის. (VI. 26).

202(708). იმ დროს, როცა ქართველის ბედი
ჩვენ ქართველთვე გვეპყრა ხელში
როცა მამულის-შვილობა
სასახელოდ იყო ჩვენში
შვილნო, თქვენნი წინაპარნი
ეგრე გულქვად როდი იყვნენ...
ძმა ძმასა და მამა შვილსა
მამულს ხოლმე შესწირვიდნენ.* (I. 179).

* ამ კუპლეტების პირველი ვარიანტია „იმ დროს, როცა ქართველის ბედი
ჩვენვე ქართველთ გვეპყრა ხელში,
ოდეს მამულისშვილობა
საკეთურად იყო ჩვენში.

203(709). იმ მცირედს თუ დიდს სამდურავს, რომელიც ხშირად ჩვენში ჩამოვარდება ხოლმე, ყურს ნუ ვათხოვებთ. ის სამდურავი თავის გზაზე წავა და იმას თავისი ბოლო აქვს, ოღონდ კი განძრახ ნუ ვეცდებით განხეთქილების ჩამოგდებასა. გვეყო, ბატონებო, ამდენი არამც თუ განზრახული, არამედ განუზრახველი განხეთქილებაცა! განვიმეორებ და გთხოვთ: რიცა საყოველთაო საგანზედ ვლაპარაკობთ, თვალ წინ ნუ გამოვისახებთ, რომ მე ქართველი (იგულისხმება ქართველი — რედ.), ვარო, მე კახელი, მე თავადი და ის გლეხიო. ის ჩვენი მხსნელი აზრი გვახსოვდეს, რომ ყველანი ქართველნი ვართ, მაშასადამე ძმებიცა. („დროება", № 51, 1876, 2).

204(710). ... იმედი გვაქვს, რომ ყოველსფერში გულუხვი ქართველი, ქვეყნის საქმეში უფრო გულუხვობას გასწევს... (V, 31).

205(711). იმედია, რომ ... სიყვარულით ჩაგონებული პირუთვნელი სიტყვა ბ-ნის ლეისტისა (არტურ ლაისტისა — რედ.) მოჰფენს მთელს გაწბილებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვიან და იმ პატარა სამოთხეში ჰსცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის. („დროება", № 119, 1884, 3).

206(712). იმისთანა ამბავი, როგორც კრწანისის პანაშვიდია, უტყვი მთხრობელია ისტორიისა. მან მოგვაგონა, გაგვიხსენა ერთი დიდებული, თუმცა უბედური ეპიზოდი ჩვენის წარსულისა. მაგისთანა ამბები თვალსაჩინო მასწავლებელია იმისა, თუ ვინა ვართ და საიდან მოვდივართ, რა ვყოფილვართ, რანი ვართ და რა ვიქნებით. გინდათ თუ არა, ამისთანა ამბები ამაებზე ჩაგაფიქრებენ, ამაებზე განაღვლებენ, ამაებზე მიიზიდავენ თქვენს ჭკუა-გონებას, თქვენს ძალ-ღონეს სულისას და ხორცისას და ეს ადამიანის აღმატებისათვის კაი დიდი საფეხურია. („ივერია", № 2, 1896, 1).

207(713). ... იმისთანა კაცის დაკარგვა, როგორიც იყო განსვენებული ბესარიონი (ღოღობერიძე — რედ.) საზოგადო უბედურებაა. (IV, 231).

208(714). ... იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, საცა მკვიდრი, ერთხელ ერთს ადგილას დაბინავებული კაცი ცწელად გამოიმეტებს ხოლმე თავის მამა-პაპის ბინას და ძიწა-წყალსა, დიდის სიმძიმით და ეულისწყვილით ჰშორდება იმ ადგილს, საცა დაბადებულა, საცა უმოქ-

---

შვილნო! თქვენნი წინაპარნი
ვერე ცოვად როდი იყვნენ!
შვილი მამას, მამა შვილსა
მამულს ხოლმე შესწირვიდნენ. (I, 331). (რედ.

* 1795 წლის 10-11 სექტემბერს, კრწანისის ველზე გმირულად დაცემულ ქართველ მებრძოლთა ხსოვნის საპატივცემულოდ გამართული ეს პანაშვიდი „ქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობამ გადაიხადა 1895 წლის 11 სექტემბერს. (რედ.).

მედია, ოფლი და სისხლი უღვრია მამა-პაპასა, საცა ულოცნიათ, უჭირნაბულიათ, ულხენიათ და დასასრულ საცა დამარხულან; საცა ყოველივე ეს იმისთანა ზნეობრივს კუთვნილებას შეადგენს ადამიანისას, რომლის დაკარგვა, რომელზედაც ხელის აღება ჩვენის გლეხკაცისა თუ კეთილშობილისათვის სორციელ სიკეთეზედ ნაკლები აღარ არის, იქ მამა-პაპისაგან დაშენებულია, დადებულის ბინის აშლა, აგვა, გაოასსირება, და სხვაგან ძებნა ბედისა, — იქ აყრა და სხვაგან გადასვლა იმისთანა მიზეზს უნდა მიეწეროს, რომელსაც ხალხის თვალში აღარა ეშველება-რა, აღარა ეშველება-რა. (VIII, 301).

209(715). იმოდენად უნდა ერთად მოვეროვდეთ ღონით თუ ფულით, რამოდენათაც თვითეული ცალკე საქმე რომელისამე წარმოებისა იკმარებს გასამარჯვებლად. (VII, 14).

210(716). „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო* ... უანდერძიათ ჩვენ მამა-პაპასა, რომელთაც ჩვენთვის თავი დაუდვიათ, რომელთა ძვლებით ჩვენს ქვეყანას ზღუდე შემოვლებია, რომელთა სისხლით ჩვენი ქვეყანა მორწყულა. თუ ის დეე-გმირნი, რომელთ საქმენი სწორედ რომ დაუჯერებელნი არიან, ამბობდნენ, რომ ის ურჩევნია მამულსაო, რომ შვილები ჩვენა გვჯობდნენო, ჩვენ რაღა გვეთქმის, ჩვენ, რომელნიც იმათ წინაშე ქონდრის-კაცებად თუ ჩავითვლებით!... (V, 187).

211(717). ისა სჯობია, ზურგი შეეაქციოთ... განკერძოებულ ამბავსა და საზოგადო ჭირი ეხლანდელის დროებისა აღვნიშნოთ. (VIII, 19).

212(718). ისე მკვიდრად, ისე მაგრათა ვართ ჩვენ რუსეთთან დაკავშირებული და შეერთებული, რომ თუ იქ რომელიმე მოვლენამ შეაფერხა საზოგადო ცხოვრება, უეჭველია, ეს შეფერხება არც ჩვენ აგვცდება. („დროება", № 6, 1883, 1).

213(719). ისევ შენი (ხაღლი მეგობრის — რედ.) წყენა ვირჩიე, ვიდრე საზოგადო საქმის დაყენება. (X, 56).

214(720). ... იქ, სადაც კაცი თავის მამულის კუთვნილებაზედ გულდაჯერებული და ღაიმედებული არ არის, ყოველი გზა წარმატებისა და კეთილდღეობისა შეკრული აქვს: იქ კაცი ვერც თვითონ ხვირობს და ვერც სხვას ახეირებს. („ივერია", № 55, 1889,1).

215(721). ... იქ, საცა თვითეული ულონოა, ღონიერნი არიან ყველანი ერთად. (VII, 33).

216(722). იქნება დამძრახოთ და მაინც კი ვიტყვი, რომ იქ, საცა ერთი მხრით სამშობლო და მეორე მხრით სხვაა, სხვას მარტო ნამეტანობისაგან უნდა მიეცეს. (X, 143, 526, 569, 573).

---

* ეს ქართული ხალხური ანდაზა იხ. აგრეთვე: II, 220; V, 292. გარდა ამისა, ამ ანდაზის ილიასეული ვარიანტია:

„ის ურჩევნია ქვეყანას,
რომ შვილი სჯობდეს მამასაო". („ივერია", № 249, 1886, 2). (რედ.).

217(723). კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ,
ლამაზად პირთულ და მოკაზნული. (I, 110).

218(724). კარგი სიტყვა არის, თუ მოყვარედ ქვეყანა მიანნია ადამიანსა. (II, 74).

219(725). კარგია გაღვიძებული ადამიანი.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არ სძინავს, ქვეყნის უბედურობით გულ-აღტყინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? ნე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები. (II, 23).

220(726). (კაცობრიობის ისტორიაში ბრაგელი — რედ.) უტყუარი საბუთია მისი, თუ რა ძალი ჰქონებია ხალხს, ოდეს მამული ხელთ უპყრია, და რა ულონო, უძლური, მშიერ-ბწყურვალი ყოფილა, როცა ეს სიკეთე ხელიდამ გამოსცლია. (IX, 35).

221(727). კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, — ამბობს ჩვენი ერი: — ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და ისე, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა — წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი. (IV, 183).

222(728). კახეთი და ერთობ ალაზნის ველი მთელს თავის სიგრძესა და განზიდულებაზედ ერთი იმისთანა მხარეა, რომლის ბუნებითს სიმდიდრეს არ შეედრება არამც თუ რომელიმე მხარე ამიერ და იმიერ-კავკასიის, არამედ მთელის იმპერიისაცა. ჰავა და მიწა ასეთია ამ მხარეში, რომ ყოველისფერი მოვა, რაც კი შეადგენს საგანს პირველ საჭიროებისას და სიმდიდრისას. თუმცა იგი მხარე ეხლა ცნობილია მარტო ღვინითა, მაგრამ ძველ დროს იგი ყოფილა ბოლაზი თითქმის ძთელის საქართველოსი. საქართველოს ბაზართათვის მას უზიდნია ღვინის გარდა არაყი, ყოველგვარი ხორბალი, სიმინდი, ფეტვი, ბრინჯი, დიდის ღირსების აბრეშუმი, თამბაქო, სამღებრო და საფთექო ნივთი, საკლავი საქონელი, მატყლი, ხილი და სხვანი და სხვანი. (V, 297-298).

223(729). ... კახეთია... ყოვლისფრით შემკური და უხვად მომადლებული უწინაც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ არა გვგონია ბუნებით, ჰავით და გარემოცულობით ამისთანა შემკული სხვა რომელიმე ქვეყანა იყოს, არამცთუ ამიერ და იმიერ კავკასიაში, არამედ მთელს რუსეთის იმპერიაში. აქაურის ჰაერის და მიწის თვისება ისეთია, რომ ყოველისფერის მოყვანა შესაძლოა, რაც-კი ადამიანის სულსა და გულს ეოესურვება. (VII, 242).

224(730). ლანგთემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერ-

ღით. ალა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვულიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. (V, 11).

225(731). ... ლოდინი ისე არავის სულს არ უხუთავს, როგორც იმას, ვისაც გული სხვისთვისაც ისე უცემს, როგორც თავისთვის, ვისაც სხვისი ბედი თავის ბედთან შეუერთებია, ვისაც „მე და ჩვენ" განუყოფელად ნიაჩნია, ერთ-არსებად ურწმენია, ეროის სიტყვით — ვინც მამულის-შვილობის სახელის ღირსი შექმნილა. (V, 113).

226(732). (მადლიერი შთამომავლობა ამაგს არ დაგივიწყებს, თუ — რედ.) ... მამულს მამულის-შვილობა გაუწია და შენი ვალი შეუსრულე. (IV, 250).

227(733). ... მაინც კიდევ თავისი მიწა-წყალი დიდი რამ ყოფილა კაცისათვის. ვინც თავის მიწა-წყალს არ მოჰშორებია, — ეგ იმას ვერ უცვნია. (II, 80).

228(734). ... მაინც კიდევ პირში — როგორც მოყვარე — გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი გაზრდილან. გინდა მიწყინე, გინდა არა. თუ იმათ დასცინებ, მითამ შენის თავისთვის დაგიცინია, თუ დასტირებ — ეგ კაი ნიშანია: სჩანს, სწუხარ, რომ ამისთანანი ვართ, სჩანს შენის თავის გასწორების, განზრახვამ ფრთა აიბა. ღმერთმა ქნას, რომ ეგ აგრე იყოს. (II. 222).

229(735). მამა-პაპეული მამული შვილზე და შვილი-შვილზე უნდა გადადიოდეს. თორემ სომ მოგეხსენებათ შთამომავლობა საქოლავს აგვიგებს. („დროება", № 35, 1882, 2).

230(736). მამული!... ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთავისუფლება — ეგ ჭირთაჭირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა—მთელის ხალხისა და მთელს ხალხს — თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, ღღეობითა და დიდებითა — ღღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია და ყოველში ყველა არის. (III, 77).

231(737). ...მამული და ეროვნობა, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორც-თვისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარი მტრისა წინაშე. („ივერია", № 9, 1888, 2).

232(738). მამულის გამო ჩვენ ვერაკაცი ვერც ნაყმეობით, ვერც ხიზნობით ვერას წაგვედავება, ვერას დაგვემდურება თუ სადმე განკითხვა და სამართალია. (IX, 279).

233(739). მამულის ღირსნელს — ვაჟკაცის
ხმალი და გული სდომია,
ვაჟკაცის გამომჩენელიც
მტერთან გულდაგულ ომია.* (I, 154).

234(740). მამულის დახსნას, ჰე, ძმანო,
ვაჟკაცის ხმალი სდომია. (I, 330, 460).

235(741). მამულის დასნის-არ შლიში
თავისა თავის მგმობია. („ივერია", №277, 1904, 3; I, 459).

236(742). (მამულის მოვლა-პატრონობა — რედ.) ... ისეთი საგანია, რომ ღირს კაცმა მთელი თავისი დრო და მოცულობა ზედ შეალიოს. ეს ისეთი საგანია, რომ ანბანის უცოდინარსაც-კი უნდა ესმოდეს ბისი სიდიდე და სიმძიმე. (VIII, 341).

237(743). ... მამულის სიტყვას მამულის-შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითაცა. გულითაცა, რომლისათვისაც დუმილიც გასაგონია.** (II, 12).

238(744). მამულისა სიყვარულმა
ძმობა გულში ჩაგვიყენა. (I, 36, გვ. LXVI).

239(745). მამულისთვის მომკვდარი
ჩემ ცრემლად ეღირები!.. (I, 284).

240(746). მამულისთვის სიკვდილი
სჯობს თვით ცის ნეტარებას;
სისხლი მასში ჩაღვრილი
გაზრდის თავისუფლებას.*** (I, 286).

241(747). ... მამულის-შვილობის ვალი ითხოვს, რომ არაფერს მოვერიდო და ცხარედ ჩავკიდო ხელი მას, რაც ჩემმა კაცობამ, ჩემმა რწმენამ, ჩემმა სინიდისმა წინ დამისვა ნიშნად. ამას ითხოვს მოქალაქეობრივი გულადობა, ვაჟკაცობა და ქველობა. (V, 171-172).

242(748). (მამულიშვილურ საქმეში — რედ.) ... ჩვენ თვითონ უნდა ვიგრძნოთ ჩვენი ბოვალეობა. (IV, 346).

243(749). (მამულიშვილური სიყვარული — რედ.) ... დედაა, მშობელია გარჯისა, და მხნეობისა და ... იქა ჰსადგურობს, საცა უბრყვილო, უანგარო და პატიოსანი გულია. (IV, 263).

---

* ამ კუპლეტის ბოლო ორი ტაეპი იხ. აგრეთვე: I. 330. (რედ.).

** ილია ჭავჭავაძის თსკ (ოც ტომად) II ტომში (იხ.: გვ. 14). ეს ფრაგმენტი არასწორად არის შეტანილი (რედ.).

*** ამ სტროფის ერთ-ერთი პირველი ვარიანტია:
„მამულისთვის სიკვდილი
ბოგცემს იმ ნეტარებას.
სისხლი მასში ჩაღვრილი
[illegible] (რედ.).

244(750). (მამული — რედ.) ...გიმზერ და მზერა კელავ სწყურიან თვალს,

გისმენ და სმენით ყური ვერ ძღება. (I, 110).

245(751). ... მამულო, ჩემი ტანჯვა ზზოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!.. (I, 74).

246(752). მამულს მიგცა ზეცამ
და, თუ ზედ დააკვდები,
ნუგეშ-იცეს დედამ,
რომ კაცი კაცად ჰკვდები. (I, 45).

247(753). მამულს. როგორც კაცის ჭკუა-გონებას, თავისი ღირსება დაჰკარგვია, თუ ის წესიერად არა ყოფილა შემუშავებული. („დროება", № 65, 1882, 2).

248(754). ... მამულს უყვარს გამრჯელი ხელი და გამრჯელის ხელში დარჩენა და ყოფნა მამულის ეკონომიური ბუნებაა, იმის დანიშნულებაა. (VIII, 327).

249(755). მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული.* (I, 35).

250(756). ... მართალი არის ხმალი ზღვევისა,
რის ხელს ჰკიდებს მას მამულის ტრფობა. (I, 145).

251(757). მართალია, დიდი არაფერი ადგილი გვჭერია მსოფლიო ისტორიაში, მაგრამ იმოდენად-კი მაინცა ვართ ჩაგდებული მაჩანჩალად, რომ ისტორია განუწყვეტლივ გვიხსენიებს. (IV, 47).

252(758). მართალია, სამოციან წლებში გამოსულთ მწერალთა დაიწყეს გასსენება წარსულისა და ჩაუდგეს ქვა-კუთხედი იმ ხიდს, რომელიც ჩასტყდა წარსულსა და აწმყოს შუა ... მაგრამ ისე სულით და გულით არავინ მისცემია ამ წარსულის ნატვრას და სიყვარულს, როგორც თ. ეახ. ორბელიანი. (III, 231).

253(759). მართლა, მამული!.. ის დედაზედ უმაღლესია!.. (I, 328).

254(760). მარტო სიყვარული და ტკბილად მოქცევაა იგი ქვითკირი, იგი დულაბი, რომლითაც ჰშენდება და მყარდება ციხე-სიმაგრე ერთობისა სახელმწიფოში... (VIII, 159).

---

* ამ სტროფის პირველი ვარიანტია:
„მარად და ყველგან შენთან ვიყავ, ტკბილო ქვეყანა!
დასაბამითვე შენი დამყვა მე სიყვარული,
შენ შვილთა სისხლით გული ჩემი გარდაიბანა,
ამ გულში მეპყრა შენი აწმყო, შენი წარსული". (I, 306.) (რედ.).

255(761). მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება. (I, 74).

256(762). მას (გმირ მაჩულიშვილს — რედ.) განაცოცხლებს სიმ-
ღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს,
და არა ერთხელ ჭაბუკთა ყრმათა
ხვლის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს. (I, 136, 310).

257(763). [illegible] დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია.
მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია!.. (I, 44-45).

258(764). მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი.* (I,30).

259(765). მაშ მამულს თავი შევსწიროთ საშველად, გამოსახსნე-
ლად,
თუ მისთვის დავიხოცებით, ჩვენ ის გვეყოფა სახელად.
(I, 154, 330).

260(766). მაშ მოდით ისევ ძმობითა,
დრო გავატაროთ შრომითა,
მამულს სიცოცხლე შევწიროთ
შვილურის ერთგულებითა.** (I, 38)

261(767). მაშ მოდით, ქართველნო, ძმობით,
ჰარიარალი!
ვიშრომოთ ჩვენთვის ერთობით,
თარიარალი! (I, 383).

262(768). მაშ, რად არის მეფე მეფედ,
თუ არ ქვეყნის ჭირთა ეძლება?
თუნდაც მოჰკვდეს ქვეყნისათვის,
ეგ სიკვდილი სიცოცხლეა. (I, 195).

263 (769). მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ
გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი

* ეს სტროფი იხ. აგრეთვე: I. გვ. LXIV. (რედ.).

** შდრ.: „მაშ მოდით ისევ ღვინითა
დრო გავატაროთ ლხინითა,
ქვეფი მაინც მოგვივა.
გოგრითა ვსვათ, თუ ჩიბითა“.
ა. ჭავჭავაძე (რედ.).

ბოროტება ერთიანად ასწერის და დაევანახოს... აბა, ის იქნება ნამღვი-ლი საქებარი მამულის-მოყვარე, და არა ის, ვინც მეტის-მეტად დამ-ჟავებული სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. (III, 26).

264(770). მგონი არც ერთ ქვეყანას ისე არ ეჭირვება კარგი გზე-ბი, როგორც საქართველოსა. ჩვენი ქვეყანა თითონ ბუნებითვე მთიანი ადგილია, გაზაფხულობით მთებიდამ მოვარდნილი ნიაღვრები სრულიად აფუჭებს, ჰხრამავს იმ საცოდავობის გზებსაც კი, რომელიც გვაბადია. ადგილის უსწორ-მასწორობა, აღმართ-დაღმართი, ოღროჩოღროები, ნახრამული ადგილები დიდს დაბრკოლებას წარმოადგენენ და უძნელე-ბენ ხალხს ურთიერთ შორის მისვლა-მოსვლასა. (VII, 246-247).

265(771). მგონია, არც ერთს ხალხს არ შეუთვისებია ისე თეატ-რი, როგორც ქართველებს. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრე-ბული ცხრა ტომად, IV, 359).

266(772). მე დავრჩე და იგი (მამული — რედ.) წახდეს,
მითხარით, რა ღამადლი არი! (I, 185).

267(773). მე თუ თითონ არა ვარ ჩემის ქვეყნისათვის, ჩემის თაეი-სათვის... სხვა უფრო არ იქნებაო. (V, 336).

268(774). მე თუ რაიმე ღვაწლი და სამსახური მიმიძღვის, ყოვე-ლივე ეგე ისეთი მცირე რამ არის, რომ მაგისთვის ეგ დიდი განძი, ეგ დიდი ჯილდო (ქება-დიდება—რედ.) არ უნდა გაიცემოდეს ხოლმე და თუ დღეს მე ღირს მხდით და მაგ დიდს ჯილდოს იძლევით, ეგ უნდა თქვენს ქართველურს გულუხვობას მივაწერო და არა ჩემის მცირეოდე-ნი ღვაწლის სიდიდეს. („ივერია", № 129, 1893, 2).

269(775). მე რომ მარტო ყვარელი მიყვარდეს და შენ მთელი კაბე-თი, შენ ჩემზედ დიდი იქნები, და თუ იმისთანაც იქნება, რომ მთელი საქართველო უყვარდეს ის ორივეზედ უდიდესი იქნება. (X, 290).

270(776). მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნველად ძონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი,
გამაგონე ჩემს მამულში! (I, 62).

271(777). მეფე დავითი აღმაშენებელი
მართალის ხელით მართავდა ხალხს...
და მის პორფირის მშვიდსა ჩრდილშია

ხალხი თვის ბედსა და ხვედრს ლოცავდა
და თავის მეფის ტკბილ ღიმილშია
თვია დამხსნელს ვარსკვლავს მადლით ხედავდა. (I, 318).

272(778). მეფე ერეკლე დიდი სახელოვანი კაცი იყო. (VIII, 290).

273(779). მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი მისი ისტორიული ხატი ეს არის, და თუ არ დიდბუნებოვანს კაცს, სხვას ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას? ერის ასეთი მოწმობა უტყუარი საბუთია მეფე ერეკლეს დიდ-ბუნებოვანობისა. (IV, 267).

274(780). მეც ქრისტიანი ვარ და არა-რა ქრისტიანობრივი არ მეუცხოების. (V, 326).

275(781). მეცა ეტანჯულვარ. პე ბედკრულო (მამულო — რედ.) შენის ტანჯვითა,
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,
შეც წარტყვევნილვარ წარსულთ დღეთა შენთა ნატვრითა,
შენის აწმყოთი სული, გული დამწყლულებია. (I, 135).

276(782). მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა (გაბრიელ ეპისკოპოსისა — რედ.) რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწირიოს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება — მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა, თუ ასე ითქმის, და მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული. (IV, 253).

277(783). მთელი ჩვენი ისტორიული დღენი მოვღალეთ და შევალიეთ სამხრეთის კარის დაკეტას და ვერა გავაწყეთ-რა. ღონემიხდილმა და დაქანცულმა საქართველომ აიღო თავი და შეაფარა დიდ რუსეთის იმპერიას, მტერს არ დაპნებდა და მეგობართაკენ პირი ჰქმნა და გული მიიბრუნა. (VIII, 194).

278(784). მიზეზი კეთილის ცუდად ახდენისა ჩვენი ვულგრილობა და განთვითეულობა არის, წამალი კიდევ ამ მიზეზის მოსპობისათვის ურთიერთთან კავშირია, ურთიერთობისათვის გულმტკივნეულობაა, ურთიერთის გამოსარჩლებაა. მაშინ ვერა მოხელე კაცი კანონს ვერ დაგვირღვევს, მართალს ტყუილის ფეხებს ვერ გამოაბამს, თეთრს შავად ვერ შეგვიცვლის, სიკეთეს ჭირად ვერ გადაგვიქცევს. (VIII, 207).

279(785). ბინამ ჩვენს საკუთარს ჭირს სხვისაგან ნაცადს წამალს შევურჩევდეთ, ჯერ თითონ ჩვენ უნდა ვიცოდეთ — რა თვისების ჭირია, მისი სიგრძე-სიგანე გაზომილი უნდა გვქონდეს, მისი სიმძიმე აწონილი. ერთის სიტყვით ის ჭირი თავიდამ ფეხებამდე ჩვენ მიერ ცნობილი და გაგებული უნდა იყოს, თორემ ქარისაგან შეშინებულსავით დოს ღავუწყებთ ბერვასა.* (V 56).

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ფაფით პირდამწვარი დოსაც სულს უბერავდაო“ (რედ.).

280(786). მინდა. რომ ვინც ჩვენის ქვეყნის
ჩვენში პირ-მომარიდია,
ის თქვენც ფეხებზედ გეკიდოსო,
ეით მე ფეხებზედ მკიდია. (I, 93).

281(787). მისგან (მონატრებული მამულის, მიწა-წყლისაგან — რედ.) მიბერილი სიამოვნება რაღაც დამაღონებელი და დამაფიქრებელი სიამოვნებაა. იგი უფრო ნელს წუხილსა ჰგავს, ვიდრე სიხარულსა, მაგრამ მის მექონე კაცი იმ წელს, რაღაც გულის გამათბობელ წუხილსა ძნელად გაჰსცვლის სიხარულზედა. ისე ტკბილია იგი, ისე მაცხოვნებელია! ვისაც გამოუცდია სიშორე სამშობლოსი და მერე ღვთის მოწყალებით შესვედრია მისი ნახვა, ის დამემოწმება ამაზედ. რისგან არის ესა, ვინ იცის? მაგრამ ესე კია.* (II. 504).

282(788). მისთვის (ილია ოქრომჭედლიშვილისათვის — რედ.) უქმად ყოფნა სიკვდილი იყო. (IV, 259).

283(789). მისი (ნ. ბარათაშვილის — რედ.) ფრთა-ასხმული ფიქრი შორსა ჰქრის... (III, 213).

284(790). მისი (გ. ააკაძის — რედ.) ავ-კარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარი მოქმედებანი, მისნი ავად და კარგადაც აღსახსნელნი დიდნი საქმენი, — ჯერ შიგნეულად გამოძიებულნი არ არიან და ელიან პირუთვნელს გამკითხველსა. ეს კი გულდაჯერებით საღიარებელია, რომ მისი მოუსვენარი და მღელვარებისაგან დაუცხრომელი ცხოვრება ერთი დიდი ტრაგედიაა, განსაკვირველი და გასაოცებელი (IV, 184).

285(791). მიხეილ ყიფიანი ერთი იმისთანა კაცი იყო, რომელიც მოვლენა და მერე გაცლა დიდხანს სტოვებს ცარიელად მის მიერ დაპყრობილ ადგილსა. როცა უნდათ შეიტყონ, ერი რა ღონისა და ძლიერების პატრონია, ყოვლთ უწინარეს იმისთანა კაცებს ჩამოუთვლიან ხოლმე, როგორიც მიხეილ ყიფიანი იყო... ამისთანა კაცის დაკარგვა სწორედ კლებაა ერისა და ქვეყნისათვის. (IV, 248).

286(792). (მიხეილ ყიფიანისათვის — რედ.) სიყვარული ჩვენი ქვეყნისა, ჩვენის ერისა ცარიელი სიტყვა-კი არ იყო, როგორც ღღეს ბევრისათვის არის, არამედ იგი იყო დაუღალავი ღონე გარჯისა და მხნეობისა. იგი აღამებდა ღღეს და ათენებდა ღამეს იმ უანგარო ზრუნვით, იმ სიყვარულიან გულის ტკივილით, რომ რითიმე გვარგოს, რაიმე შეგვეძინოს. ამისი მოწამე მის მრავალგვარი ღვაწლია სხვადასხვა ასპარეზზედ, საცა-კი მისი პატიოსანი გული მიაწვდენდა ხოლმე მის პატიოსანს ხელსა. (IV, 249).

287(793). მოგვეცლინა წმინდა ნინო, გვამცნო და გვასწავლა ქრისტეს რჯული და ახალმა მშვენიერმა აღთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა

* თითქმის იგივე აზრი იხ.: II, 494. (რედ.).

ახალის ცხოვრებისათვის. ქართველმა ამ რჯულს, ახალს აღთქმას შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც-კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის დღეში არ დაძველდება. ეინაც ადამიანი ადამიანობს: შეუერთა მამული და ეროვნება. ეს სამი ერთმანერთის ღირსი საგანი ისე ჩაიწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდიქმნა და მიწა-წყლის დაცვა — რჯულის დაცვად. რჯული ჩვენის მამულის, ჩვენის ეროვნობის ხმლად იქცა ზედ-მისეულისათვის და ფარად ზედ-მოსუეულთათვის. („ივერია", № 9, 1888, 2).

288(794). მრავალმა ბოროტებამ, მრავალმა ღალატმა, გმობამ, მტრობამ და შურმა ქართველი იქამდინ დააშინა, რომ ყოველი კაცი მიაჩნია გველად, რომელიც ძნელად მოგეეკარება და თუ მოგეკარა, ჯერ გულში ჩაგიძვრება, რომ მერე უფრო კარგად დაგშხამოს. (III, 461).

289(795). მსხვერპლი, ქვეყნის სახელით მოთხოვნილი, შესაწყნარებელია და სამართლიანი. (VI, 117).

290(796). მშვიდობით, დედი! მეძნელება შენი დათმობა,
მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გმობა. (I, 157).

291(797). (ნ. ბარათაშვილი — რედ.) ერთად-ერთი მწერალია, რომელიც სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილის იმ თვალ-გადუწვდენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირ-ბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა, საცა ღაღადებაა ყოველგვარ სულისკვეთებისა და ენებათა ღელვისა. თ. ნ. ბარათაშვილის დიდი ენიშენელობა, ჩვენის ფიქრით,' ამაშია. (III, 219).

292(798). (ნ. ბარათაშვილი — რედ.) უგალობდა სიყვარულს და ტრფიალებას, როგორც ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იგი უფრო სულის მშვენიერებას ჰხადიდა ტრფიალების საგნად, ვიდრე ხორცისას. (III, 211).

293(799). (ნ. ბარათაშვილის — რედ.) მიერ გაელილი გზა ჩვენში ჯერ უვალი იყო, მან თვისს მერანს გადაათელინა და ნაკალიც დაანინევინა, ვინ იცის ვისთვის და საროდიოდ? ამის პასუხს ჩვენი აზრთა ზრდა შემდეგ როდისმე იტყვის. (III, 219).

294(800). ნ. ბარათაშვილმა განაწმინდავა სიყვარული და სიყვარულში სულიერობას უფრო თაყვანს სცემდა, ვიდრე ხორციელობასა. (III, 211).

295(801). ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთა-თქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განძი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს

ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყარის ქართველიც დააწაფა. (III, 219).

296(802). ნ. ბარათაშვილს ხშირად მოსდიოდა ფიქრად საყოველთაო საკითხი, რომლის პასუხსაც იგი ეძებდა მარტო თავის გულში კი არა, მთელს კაცობრიობის გულში.

მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთის-სოფელი, პკითხულობს იგი:
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღივსოს,
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატერით, ისი ეკმაროს?
(III, 212).

297(803). (ნატო გაბუნია — ცაგარელისათვის — რედ.) ღმერთს დიდი სიუხვით მიუმადლებია შეუდარებელი ნიჭი არტისტობისა. (III, 122).

298(804). ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერობაზე გვიანია, არც რაიმე ადრე. (III, 251).

299(805). (ნინო ბაგრატიონი იყო — რედ.) მაგალითი ჭეშმარიტის დედაკაცობისა და — თუ გნებავთ — მამაკაცობისაც! ტყუილად კი არ მიუტირეს დიღომში სოფლის დედაკაცებმა და გამოთხოვების დროს უთხრეს: „სად მიგვიხვალ, ქვეყნის სასარგებლო დედაკაცო! საცა შენი ხელი მისწვდა, კლდეც კი აჰყვავდაო!" მართალიცა სთქვეს, მაგისთანა ადამიანთაგან შენდება ქვეყანა. (IV, 240).

300(806). ნუ დავიეიწყებთ, რომ ჩვენ შთამომავალნი ვართ იმისთანა მამა-პაპებისა, რომელთაც თავი შეუწირავთ ამ ქვეყნისათვის. ნუ თუ ჩვენ იმათი შთამომავალნი, იმათი სისხლ-ხორცნი მართლა ისე გავსწორდით მიწასთან, რომ სიმართლით კაცის ამორჩევაც აღარ შეგვიძლიან ქვეყნის საკეთილოდ?! ჩვენს მტერს ნუ დავანახვეთ მაგისთანა მაგალითს და ჩვენს მოყვარეს ნუ წარვუკვეთთ ჩვენდამი სასოებას!.. („დროება", № 16, 1875, 3; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, ხელნაწერი № 167, ფურც. 2).

301(807). ნუ ვინ იფიქრებს, რომ ეს ამისთანა შრომა (ქართული ხელნაწერი წიგნების, გუჯრების, სიგელების და ა. შ. მოძიება და მეცნიერულად დამუშავება — რედ.) დიდის მადლობის ღირსი არ იყოს და დიდად საქებურიც მისთვის, ვინც თავის სასახელოდ ამას იკისრებს და გულმოდგინებით შეასრულებს. დაგვიჯერეთ, ეგ დიდი საქმეა და დიდი სამსახურია ჩვენი ქვეყნის წინაშე. (IV, 190).

302(808). ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩვენგანს
ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას,
რომ უარეყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის
სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას!... (I, 103).

303(809). ნუ-თუ მართლა ხვალინდელმა დღემაც ისე უნდა ჩაიაროს, რომ ჩვენთვის თავგანწირულ და თავდადებულ მამულიშვილებს არ ეღირსოთ ჩვენგან ღირს-სახსოვარი ძეგლი იმ ადგილას, საცა იგინი დაიხოცნენ ქვეყნისათვის... სირცხვილი იქნება ჩვენთვის, რომ ხვალინდელი დღე ასე კვალ-დაუჩნეველად გავატაროთ და ძეგლის დადგმისათვის არა ვიფიქროთ-რა. ნუ-თუ ღირსნი არ არიან! ნუ-თუ ჩვენ იმათი სისხლ-ხორცნი იმოდენად უმადურნი ვართ, იმოდენად გულმოკლენი, რომ თითო-ოროლა გროშს ვერ გავიმეტებთ მათთვის, ვინც ჩვენთვის, ჩვენის ქვეყნისათვის გაიმეტა თავისი თავი, თავისი სიცოცხლე და კრწანისია მინდორზედ დააფრქვია თავისი სისხლი, მტლად დაედო თავის საყვარელს ქვეყანას და თავის მშობელს ერსა?... („ივერია", № 194, 1895, 2).

304(810). „ნუთუ ეს ხალხი, რომელთ დაჰბადეს
დავით, დიმიტრი, დიდი თამარი,
რუსთველი და მის ძლიერი ქნარი,
ნუთუ ეს ხალხი აღარა აღსდგეს?
ნუ შიშობ, ველო! შენს მშვენიერს ხალხს
წარუვლენ წელნი ძილის ჟამისა,
ხალხი აღინთებს კიდევ თვის ვარსკვლავს,
სისხლი მამათა დაიხსნის შვილსა!
წარვლენ ეს წელნი ძილის ჟამისა
და გაბრწყინდება მზე მომავლისა!
ოხ! ღმერთო! ამა ხალხთ გაღვიძება
დიდ ძილის შემდეგ რა ტკბილ იქნება!.."* (I, 320-321).

305(811). ნუთუ უსისხლოდ ჩვენ** ბედი არას გვითმობს!.. (V, 19).

306(812). ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთს კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის? ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულად აღმოიფხვრას, ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას? (VI, 57).

307(813). ნურვინ იფიქრებს გარეშე საზოგადოებისა ვინმე გაბედნიერებულიყოს. იტყვიან: ხელი ხელს ჰბანსო, ხელიც ბრუნდება და პირს ჰბანსო.*** უერთმანეთოთ, გაბუტვით და განდეგილობით ცხოვ-

---

* ეს სტროფი, უანასკნელი ოთხი ტაეპის გარდა, იხ. აგრეთვე: I. გვ. XXXVIII-XXXIX. (რედ.).

** ი. ჭავჭავაძის რჩ. ნაწარმოებების (ხუთ ტომად) მე-5 ტომში (იხ.: თბ., 1987, გვ. 159), სიტყვა „ჩვენ"-ის მაგივრად არის — „ჩვენი". რაც შეცდომაა. (რედ.).

*** შდრ.: „ხელი ხელსა ჰბანს, ორთავე — პირსაო". ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

რებას მოაქვს მარტო სიმწარე, კვნესა, ვაება და სულის ობლობა. მაშასადამე, ვისაც ჰსურს, რომ არ გაირიყოს, ობლად და უნუგეშოდ არ დარჩეს, ტკბილად და ძმურად უნდა იცხოვროს მეზობლებთან, მათი ლხინი თავის დალხინებად მიიჩნიოს, მათი ჭირი საკუთარ ჭირად და წუხილად დასახოს. („ივერია", № 145, 1902, 1).

308(814). (ოდითგანვე — რედ.) ქართველისათვის ორი გზა იყო: ან ქრისტიანობა, ან არა და ვაჟკაცური სიკვდილი იმავე ქრისტიანობისათვის, ან ქართველობა, ან არა ხმლის პირზედ გულის შეთლა. რომ იმათ ქრისტიანობაც და ქართველობაც ჩვენ შეურევლად გადმოვცეს, ამას დღევანდელი დღე გვიმტკიცებს. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 331).

309(815). ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი (სტუდენტობის ხანა — რედ.) ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და ეულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლ-ყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა-ქვეშ არ ჩახწვდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა. (II, 10-11).

310(816). ომში, მეფევ, გაჩვენებენ.

რა ლომებს ჰზრდის ქართველის ბუდე. (I, 194).

311(817). ოღონდ ერთობით, ამხანაგობით, ჩვენ ღონე მოვიცეთ და ნარჩული ფული თავისს საკუთარს ბედისწერას გადაჰყვება, თითონ შესჭამს თავისს თავსა, საკუთარის გესლით მოიწამლება, როგორც ქვემძრომი მორიელი. (X, 13-14).

312(818). ოღონდ ის საზოგადო საქმე, რომელშიაც მე ბედმა გამრია, კეთილად წარემართოს და... პირადი მწუხარება იმის ჭირის სანაცვლოდ იყოს. (X, 290).

313(819). ოცს საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულს ასპარეზზედ გამოსულა. ამ ხანგრძლივ დროსა მიმალულობაში, ჩვენს ხალხს ერთს ხელში თოფი და ხმალი სჭერია და მეორეში გუთანი და ამ ყოფით და ვაი-ვაგლახით გაუტარებია ეს აუარებელი დრო. (IV, 321).

314(820). ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,

როსღა გველირსოს ჩვენ გალვიძება?! (I, 47).

315(821). ოჰ. ბაბულის კვიბლო. მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურობასაც ვერა ვხედავთ. (II, 7, 587).

316(822). პატარა საქართველოს ერს არ ეუცხოება დიდი გრძნობა კაცთ-მოყვარეობისა. („დროება", № 260, 1884, 1).

317(823). პატარა ქვეყანაა ჩვენი ქვეყანა და ამიტომაც ყოველივე... უბედურება აქ უფრო შესაძლებელია, ვიდრე სხვაგან. („ივერია", № 29, 1898, 2).

318(824). (პატრიოტი არის — რედ.) დიდებული სახელწოდება... (X, 211).

319(825). რა არ გადაგვხედია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ეაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვიელია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გაუძელით, ყველას გაუმაგრდით. შეეინახეთ ჩვენი თავი. შეეირჩინეთ ჩვენი ქვეყანა ჩვენი მიწა-წყალი. (V, 11).

320(826). რა არის ჩვენი წარსული, თუ არ გაბმული, შეუწყვეტელი ბრძოლა მიწა-წყლის დასაცველად, იმ იარაღის შესარჩენად, რომლითაც ქართველს შეეძლო არსობითის ბრძოლიდამ ბურთის გატანა. („ივერია", № 24, 1893, 1).

321(827). რა გატირებს, თუ ბამულის ბედს იყიდი ძითა?! (I, 326)

322(828). რა გნებავთ, რომ აქაურმა პავამ არ გამოზარდოს და აქაურმა მიწამ არ მოიყვანოს? ყოველ გვარი მცენარე რაც ერთის პოლიუსიდამ მეორემდე ბოდის ქვეყნიერობაზედ. თითქმის ყველა იგი შესაძლებელია მოსაყვანად და გასაზრდელად ჩვენში. („ივერია", № 204, 1894, 1).

323(829). რა დასადარია ხელო-ქმნილი ძეგლი, თუნდ დიდფასიანი, იმ ხელთ-უქმნელ ძეგლთან, რომელმაც მისმა (ნ. ბარათაშვილის — რედ.) დიდბუნებოვანობამ ჩვენ გულში აღაგო. (III, 252).

324(830). რა თქმა უნდა, რომ ერთნაირის უხვებით არ არის ყველა ამ ადგილი (ნიჭიერებით — რედ.) მივადლებული. ამაშიაც არის დიდი და პატარაობა, მაგრამ დიდი თუ პატარა, რაკი ცოტად თუ ბევრად ამ ადგილის მექონია, იგი რჩეულია მრავალთა შორის და ეს რჩეულობა არის სამართლიანი მიზეზი და საბუთი, რომლის ძალითაც ერს შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: ეს კაცი ჩვენგანია. ერთი ამ რჩეულთაგანი იყო იგი გლეხი-კაცი, იგი მდაბიო — და მით უფრო მაღალი, რომ მდაბიოა, — რომელსაც დღეს ჩვენ იოსებ დავითაშვილის სახელითა კურთხევით ვიხსენიებთ და ვგლოვობთ. (III, 158-159).

325(831). რა საკვირველია, რომ მე ჩემი უფრო მიყვარდეს. ჩემსას უფრო შევხაროდე, ჩემი უფრო მიამებოდეს და ჩემსას უფრო ხელს ვუწყობდე. (VIII, 10-11)

326(832). რა საჭიროა დამალვა: ჩვენ უცილობელად გვიყვარს ჩვენი საშობლო, ხოლო არც საჭიროა სიყალბე: მარტო მით, რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიცა. („ივერია", № 230, 1899, 3; „ცნობის ფურცელი", № 949, 1899: 2).

327(833). რა სხივოსანი შენი (მამულის — რედ.) შუქი აღმობრწყინდება
კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება,
ვითა მზის შუქში უმცირესი მნათობი ცისა,
ვითა ზღვაშია დაცემული წვეთი წყიმისა.* (I, 157).

328(834). რაგინდ რომ ცარი ღრინავდეს,
ჩვენი სისხლისთვის გრგვინავდეს,
ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი,
თუ გულში ძმობა ბრწყინავდეს. (I, 36, გვ. LXVI).

329(835). რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენიერად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენი ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. (IV, 202).

330(836). რათ ვიბრმავებთ თვალებს და ჭეშმარიტს მიზეზს ჩვენის სისუსტისას პირდაპირ თვალს არ ვუსწორებთ? რა დროს სიზმრებია, როცა ცხადი ესეთი მწვავია? (V, 324).

331(837). რაკი საქვეყნო სიკეთისათვის აზრი დაიძრა ჩვენში, რაკი საქვეყნოდ მომართული აზრი გულში გამოგვეკვანძა, რაკი თვითოეულში ყველასა ვხედავთ და ყველაში თვითოეულს, რაკი გულქვა „მე" უკან დადგა და გულმტკივნეული და რიხიანი „ჩვენ" თავმოღერებით წინ წამოდგა, მაშინ სიტყვა უბრალო ლაქლაქი არ არის, მაშინ სიტყვა საქმეა. (V. 150).

332(838). რამ უნდა შეგვიშალოს ხელი, რომ საქვეყნოს საშვილიშვილო საქმეს ეუღალატოთ, გადვუდგეთ? ნუ თუ ფულის მაცდურებას, ფულის სიხარბეს უნდა წაველებინოთ და ამ სამარცხვინო სულმოკლეობას მსუნაგობისას დავაძლევინოთ, სულ-გრძელება ადამიანობისა, საერთოდ და მამულის-შვილობისა საკუთრივ? რაღა პასუხი გავცეთ გრძნობას ჩვენის საკუთარის ღირსებისას, ჩვენს ნამუსს ადამიანობისას, ანდერძს ჩვენთა მამა-პაპებისა... („ივერია", № 267, 1898, 1).

333(839). — რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მთხეველნი მამუ-

---

* ამ სტროფის პირველი ვარიანტია:
„რა სხივოსანი შენი შუქი აღმობრწყინდება
კაცის გულშია. ყოველი გრძნობა მასში ინთქმება —
როგორცა მზეში უმცირესი მნათობი ცისა,
როგორცა ზღვაში დაცემული წვეთი წყიმისა!" (I, 328-329) (რედ.)

ლისათვის რაღამ გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით — იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი... „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ — ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ — ვით მეომრებს და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი...* (V, 12).

334(840). რამდენათაც ბევრნი ვიქნებით, იმდენად ძალაც მეტი გვექნება. („ივერია“, № 125, 1893, 3).

335(841). რასაკვირველია, ჩვენ არც არავისის ქებით არა მოგვემატება-რა და რაც არა გვაქვს, არ მოგვეცემა, და არც... ძაგებით არა დაგვაკლდება-რა და რაცა გვაქვს, არ წაგვერთმევა. (VIII, 143).

336(842). რაფ. ერისთავმა პირველმა დაჰბრა ენა ადამიანის გაუპატიურებულ ღირსებისათვის და ჩამოაგდო სიტყვა ადამიანურ დატყვეულ უფლების აღსახსნელად და აღსადგენად. (III, 224).

337(843). რაც არიან აწინდელნი მოღვაწენი ჩვენის ერისა — ღმერთმა ამრავლოთ, დიდი დღე და გამარჯვება მისცეთ, მაგრამ აკაკისა არ იყოს, ნუ ვიკმარებთ მას, რაც დღეს არის! ჩვენა გვჭირია ამათზედ ბევრად ძლიერნი, ბევრად ნიჭიერნი, ბევრად მომქმედნი. (V, 187).

338(844). „რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა. — ამბობს ერთი ჭკვიანი კაცი, — პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირაესო“. (IV, 249).

339(845). რაც ერთისათვის შეუძლებელია, ის ყველასათვის ადვილია. (IV, 327).

340(846). რაც თვითოეულისათვის სამძიმოა, ის ერთობას არ ეაუჭირდება. (V, 62).

341(847). რაც მამა-პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო, — ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის: თუ მაგას მივყეევით, ჩვენც... შევსდგებით ერთ ალაგზედ და წინ ფეხს ველარ წაესდგამთ. (III, 12).

342(848). რაც მოგვდის ჩვენივე ბრალია, სხვას ნურავის ვუსაყვედურებთ. („ივერია“, № 27, 1897, 1).

343(849). რაც მოხდა მოხდა, წარსულს ველარ დავიბრუნებთ, დაგვრჩა სამაგალითოდ ჩვენი კაცობრივი შეცდომანი, რომელნიც უნდა იყვნენ სარბიელათ ეხლანდელის ტკიცე კვალის გამოკვლევისაოვის. („დროება“, № 65, 1882, 3).

344(850). რაც უნდა მოიძულო შენი ღვიძლი მეზობლობა და თვისტომი, მაინც უიმათოდ ვერ იცხოვრებ, ჭირსა და ლხინში მაინც დაგჭირდება მათი მზრუნველობა. („ივერია“, № 145, 1902, 1).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია შ. რუსთაველის გამოთქმა: „სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა“. (რედ.).

345(851). რაც ცალკე კაცისათვის დიდია და მძიმე, ის ადვილი საზიდია ბევრისათვის. ეხლანდელს დროში კრებული ძალა სასწაულთმოქმედობს. (VII, 42).

346(852). რაჭველი თავშუნახული, შრომისმოყვარე, ფრთხილი, დამზოგველი, გონიერად ხელმოჭერილი და ხელღონიერი კაცია და ამ თვისებით ბევრს ჩვენში აღემატება. (VIII, 304).

347(853). როგორათაც მთელი კავკასია, აგრეთვე განსაკუთრებით ჩვენი საქართველო მეცნიერების მხრით დიდად შესანიშნავი მხარეა. რა დროებაც კი მსოფლიო ისტორიას ახსოვს, ამ დროს განმავლობაში და აგრეთვე ადრეც, როდესაც ყველა ახალი განათლებული ქვეყნები დაბალ ხარისხზე მდგარან, ჩვენი მხარე ბოძრაობაში ყოფილა. ისტორიულის ცხოვრებით უცხოვრია; ყველა ძველად განათლებულ ხალხებთან დამოკიდებულება და კავშირი ჰქონია. („დროება", № 444, 1874, 3).

348(854). როგორც სპარსეთმა ისეც ოსმალეთმა კარგათ იცოდა, რა დიდი საქმეა საქართველოს ხელში ჩაგდება მისთვის, ვინც დაასწრობს. ვინც საქართველოში ფეხს მოიმაგრებდა, ივი დიდს ზედმოქმედებას იქონიებდა მთელს დასავლეთს და მცირე აზიაში და სვე-ბედი აზიის შესახებ პოლიტიკისა ხელთ ჩაუვარდებოდა სხვათა შესაბუთავად. (IV, 208).

349(855). რომელი ენება შეედრება იმ ენებას, რომელიც თავს ატყდება სამშობლოს მამულის სხვის ხელში ჩაგდებით და თავისიანებისაგან გამოწირვით! („ივერია", № 142, 1902, 1).

350(856). როს წავიკითხე მისი (ნ. ბარათაშვილის—რედ.) ლექსები,

ვერა რა ვთქვი რა განცვიფრებულმა!..
ეით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა
ცას განუბნივოს შავი ღრუბლები,
ისე იდარა ჩემ მწუხარ შუბლმა!
ხალხო ობოლო, შენ მებრალები,
რომ დაგაობლა მის ციურ შუქმა
და განგაშორა თვისი სხივები!..
როს წარვიკითხე მისი ლექსები,
აღმოვიკვნესე დაობლებულმა!* (I, 291).

351(857). როცა ამისთანა კაცი (დ. ყიფიანი — რედ.) სამუდამოდ მიდის, თითქო ჩემი და თქვენი წილად-ხდომილი სინათლე მზისა თან მიაქვსო, თითქო თვითოეული ჩვენგანი გრნობს, რომ თან ჩემი, თქვენი ნაწილი, ჩემი, თქვენი ბედნიერება წაიღო, თითქო ეგრძნობთ, რომ ამისთანა კაცთან ერთად ჩვენს საკუთარს ბედნიერებასაც ეკარგავთ, და ამის შემდეგ რაღა საკვირველია. რომ მიეტირით ამ დაკარგულს ბედნიერებასა. (IV, 226).

---

* ეს სტროფი იხ. აგრეთვე: I, გვ. XLVIII. (რედ.).

352(858). როცა პირველ-ყოფილი კაცობრიობა მზის ბრწყინვალებით განცვიფრებული, თაყვანსა ჰსცემდა მზეს, ვითარცა ღმერთს, იმავე დროს პატივს ჰსცემდა მთვარესაც. რომელსაც მარტო მზის შუქით ანათებს. რაკი სამართლიანის თაყვანის-ცემით მოვიხსენიეთ რუსთაველი, მაშინ უსამართლობა, უმადურება იქნება ჩვენგან დავივიწყოთ მისი მთარგმნელი. რუსთაველი მზეა და მთვარე მეუნარგია იქნება, რადგანაც ვითა მზის შუქით ჰნათობს მთვარე, ისეც რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღვის ქითი ჩვენის ერის მოღვაწეთა შორის. („დროება", № 260, 1884, 1).

353(859). რუსთაველი ჩვენი სასიქადულო მწერალია. საკვეხრად მიგვაჩნია აგისთანა დიდებულის პოეტის ყოლა. („დროება". № 242, 1880, 1).

354(860). რუსთაველის ტიპებს იმ პაწია ჯუჯრუტანიდან სინჯვაკი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელ-წოდებული კაცი დაინახება, არაგვდ იმ უშველებელ სარკმლიდან, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადეევლებოდეს, მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ. (III, 175).

355(861). (რუსთაველია — რედ.) ფრაზელოგია გასაოცარს სიუხვეს ზმნების ხმარებისას წარმოგვიდგენს. დიდ ღირსებად ვუთვლით რუსთაველს, რომ ამ დედა-ძარღვს ჩვენის მეტყველებისას ასეთი განიერი გზა და ავალა მისცა და თითქმის არც ერთხელ არ უმტყუნა. (IV, 89).

356(862). რუსთაველმა კარგად იცის, რომ კაცი, რომელიც უგულოა, რომელსაც გული ტრფიალებისა და სიყვარულისათვის დახშული აქვს, ის კაცი-კი არ არის, ნახევარკაცია, მოკლებულია იმ ღვთაებურს ნიჭსა და მადლსა, რასაც სიყვარულს ეძახიან. (III, 177).

357(863). რუსთაველმა ძალიან ადრე სთქვა, რომ მარტო ბრძენი საწუთროს ეურჩებაო, სხვანი კი იმის მონები არიან.* (III, 56-57).

358(864). საბა ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დასწერა. სიბრძნე-სიცრუის წიგნი დაარქვა. მე ხშირად ჩავფიქრებივარ ამ უცნაურს სახელს წიგნისას. მართლაც, სადაც სიბრძნეა, იქ სიცრუეს რა ხელი აქვს? სიბრძნესთან სიცრუე რა მოსაჯანია? რა სიტყვის მასალაა? რა უგავთ ერთმანეთისა? საბა ორბელიანი — ეს ბრძენი, დარბაისელი კაცი, რათ იკადრებდა სიბრძნეში გაერია სიცრუე? ან რა სახარბიელო სახელია სიცრუე?

---

* შდრ.: „მიმნდონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან;
იშვებენ, მაგრამ უმუხთლოდ, ბოლოდ ვერ მოურჩებიან;
ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან;
ისმენდი ჩემთა ამბავთა, თუ სულნი შეეაჩრჩებიან."
შ. რუსთაველი. (რედ.).

მე ვფიქრობ, რომ საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს-კი გამცნებო. ზღაპარი მოგონილი ამბავია, არამართალი, მაშასადამე, სიცრუეა. ამ მხრით წიგნი საბა ორბელიანისა სიცრუეა. ის სიცრუე-კი არა, რომელიც სწამლავს და ჰშხამავს ადამიანს და სიცრუის მთქმელს უფრო სთხრის და აუწმინდურებს, ვიდრე სხვას. ის სიცრუე-კი არა, რომელსაც აუღია ურცხვად თავი და ქურდულად იკბინება გესლიან მორიელისავით და რომელიც ასე საზიზღარია და სამართლიანად დევნული ყოველ პატიოსან კაცისაგან... საბა ორბელიანის სიცრუე-მეთქი სულ სხვაა. საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაკია. იგავია. (III, 406-407).

359(865). სადაც ვიყოთ, საფერნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო. (I, 292).

360(866). საზოგადო ყოფისაგან ამოკვნესილი სიტყვა და ნუგეშმცემელი იმედი უმთავრესი ძარღვი არ არის ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში. რომელიც უფრო სიყვარულის და ტრფიალების ჭირი და ლხინი, და მაშასადამე, სიყვარულის და ტრფიალების პოეზიაა (III, 203).

361(867). საკვირველი თავდაბალი, უწყინარი, უბოროტო კაცი იყო განსვენებული (იოსებ დავითაშვილი — რედ.) იმისგან წყენა, ავი საქმე არავის ახსოვს. დიდი მოყვარული იყო თავის ქვეყნისა, ქართულის ლიტერატურისა და სიტყვიერებისა... ბევრი არა უწერია-რა, მაგრამ რაც დაწერა, იმათში ასეთი მარგალიტები ამოირჩევა, რომ კაცს დაატკბობს აზრითაც და სიტყვიერებითაც.

...მეტად საყვარელი, ტკბილი, ჩუმი კაცი იყო... საცა იკონებდნენ, ყველას უყვარდა და ყველა პატივსა სცემდა. (III, 165).

362(868). საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი.

თვითოეული წამი მისის ცხოვრებისა — მოძღვრებაა. მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის. ერთად-კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ-სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა. მე ამაზე ბევრს არას ვიტყვი, რადგანაც ბევრი უკვე ითქვა და ბევრსაც კიდევ იტყვის შთამომავლობა, რომელიც ამ საისტორიე კაცს განიკითხავს თავისის სამართლიანის განკითხვითა.

მე მსურს მხოლოდ აქ აღვნიშნო ერთი იმისთანა მხარე ამ დიდებულ კაცისა, რომელშიაც არის, ჩემის ფიქრით, სხვათა მრავალთა შორის, ერთი მისი დიდი მნიშვნელობაცა. მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, — საერო თუ სამღვდელო, — რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით, მომეტებულის და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად-მიწევნილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმად-მორწმუნეცა. აქ

არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა. (IV, 251-252).

363(869). სამართლიანი გულისწყრომა მამულისშვილობისა ამ აზრს (საქართველოს დაყოფას ცალკე კუთხეებად — რედ.) ვერ მიიკარებს. მე ამით ვაცხადებ ჩემ მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულისშვილური გრძნობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთურ აზრისათვის... დეე ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა. (IX, 262).

364(870). სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგერჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? (III, 26-27).

365(871). სამოციან წლებში (XIX ს. — რედ.) ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული" მთელის თავის გულთმიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც-კი რაიმე ნიშანწყალი ჰქონდა ღმერთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდეღა დაექვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას. (III, 225).

366(872). სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!* (I, 3).

367(873). სამწუხაროდ ჩვენდა. ...არ ესმის ყველას კეთილ-მომქმედი მნიშვნელობა სამშობლოს სიყვარულისა. ამიტომაც მცირედი გამოცხადება ამ სიყვარულისა იმისთანა წყნარ და მშვიდობიან საქმეში, როგორიც ეტნოგრაფიული თვით-მყოფელობაა, ჰგონიათ რაღაც შეუნდობელ ცოდვად. („ივერია", № 230, 1899, 3).

368(874). (საუკუნეთა განმავლობაში თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს — რედ.) თუ შიგა-და შიგ, ჭრელად, რამდენიმე წელიწადი მოსვენება შეხვედრია, მაშინვე ის მოსვენების დრო შეუწირავს სწავლისა და განათლებისათვის. დავით აღმაშენებლისა და

* ეს სტროფი იხ. აგრეთვე: I, გვ. XXVIII. მისი მეორე ვარიანტი იხ.: I. 277. (რედ.).

თამარ დედოფლის მეფობა ამ შემთხვევაში მეტად სანუგეშო მაგალითებს წარმოგვიდგენს... (IV. 321).

369(875). საფლავი ქვეყნის მოღვაწე ეაჟკაცისა წმინდა სალოცავია მამულისათვის, თუ ერი ერობს და „სამარისკენ ფეხი არ გაუშვერია“. (IV, 266).

370(876). საფლავი შენისთანა (დ. ბაქრაძისთანა — რედ.) კაცისა სალოცავია მამულისა. („ივერია“, № 34, 1890, 2).

371(877). საქართველო, რიცა კი მოიცლიდა ხოლმე გარეშე მტერთა ზედმოსევისა და მოგერიებისაგან, მაშინვე შეუდგებოდა ხოლმე ქრისტეს აღსარების განმტკიცების და გაძლიერების საქმესა. როცა-კი ქვეყნის მდგომარეობა ნებას აძლევდა, ქართველნი, ცნობილნი სულიერის მოღვაწეობითა და აღტყინებულნი ღვთის მოსაობით და სარწმუნოების გრძნობითა, გამოდიოდნენ გამავრცელებლად და მოსარჩლედ მართლმადიდებელის სარწმუნოებისა აღმოსავლეთში: მცირე აზია, სირია და თვითონ ბალკანიის ნახევარკუნძული თვისდა ახლო მახლო კუნძულებითა დღესაც ჰმოწმობენ ქართველთა მოღვაწეობას სარწმუნოებისათვის. (VIII, 305).

372(878). (საქართველოს — რედ.) ავლა-დიდება სოფლის მეურნეობაა. (III, 416).

373(879). საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდაღებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და ადიდებს სახელოვანს დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებლის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად. (IV, 180-181).

374(880). (საქართველოს — რედ.) მეფე ერეკლეს სიკეთილით „რკინის კარი შეეხსნა“, უფრო კარ-ღია შეექმნა და ადვილი საცილოებელი ვაუხდა გარს შემორტყმულ მტრებსა. (IV, 207).

375(881). საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელნი არა ვართ. (III, 69).

376(882). საქმე ის არის, ჩვენი ერი მომზადდეს, გონების გახსნის გზაზედ იმოდენად წარიმართოს, რომ როგორც პურის საჭიროებას ჰგრძნობს ხორცისათვის, ისეც ლიტერატურა მიიჩნიოს სულისა და გულისათვის. (III, 84-85).

377(883). საქმით, სიმხნით.
სხვას არც ჩვენ დავუვარდებით. (I. 64, 294, 295).

378(884). საღმრთო, საზეო არის ცხოვრება,
რომელიც მამულს შეეწირება! (I, 310).

379(385). საცა ვინდ ბრძანდებოდე, აღიღე კვერთხი... და წარიყვანე ერი შენი გზასა სიმართლისასა და სათნოებისასა. („ცნობის ფურცელი". № 537. 1898. 3).

380(386). საცა ერთი ვერას იქმს, იქ ოცსა და ორმოცს ერთად შეუძლიან ჰქმნას. (IV, 322).

381(887). საცა ერთურთის ნდობით, სიყვარულით და თანხმობით კეთდება საქმე, იქ ადგილი არა აქვს სასოწარკვეთილებას, ადამიანის დაბჩაგვრელ ნაღვლიანობასა და სიღარიბე-სიღატაკეს. ერთმანეთის მიბაძულობით, საღვთო შურით და მეცადინეობით საშვილიშვილო საქმეც კეთდება და ერიც იმართება წელში, მანამდე ჩაქინდრულ თავს ეაღლიწევს და, შუბლ-გახსნილი, ნათელის ღიმით შეჰხარის თავისს უკეთესს შერმისს. („ივერია", № 146, 1902, I).

382(888). საცა მთელს ერზეა ლაპარაკი. იქ, რა თქმა უნდა, ცალცალკედ, თვითეულად გარჯა და მეცადინეობა ბევრს არასფერს დაარჩენს მთელის ერის ცხოვრებასა, ბევრს არაფერს მიუმატებს იმ განძს, რომლიც ასევე საჭიროა ჩვენთვის საერთოდ, საზოგადოდ. ეანცალკევებულ გარჯას და მხნეობას იქაც კი, საცა ცოტად თუ ბევრად გახშირებულია, ბევრი არაფერი შეუტანია ერისათვის საზოგადოდ და ჩვენში ხომ ამისი ჩამიჩუმიც არ ისმის. მაშასადამე, ამ კერძოდ გარჯასა და მხნეობაზდე ჩვენ არავითარი იმედი არ უნდა ვიქონიოთ თუნდ იმიტომ, რომ ამისათვის არც ერთს ჩვენგანს ცალკე ღონე არა აქვს, არც გონებრივი და არც ქონებრივი. (VII, 33).

383(889). საცა წავიდა ბ-ნი აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთაასხმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი და ქართველისა, წინ დახვდა გულწრფელი პატივისცემითა და მადლიერებით აღსავსე გულითა. აგრეთ თითონვე იგემა ბ-ნმა აკაკიმ ნაყოფი თავის დანერგილისა და დათესილსა. (V, 186).

384(890). სახელმწიფოს ერთობას არ უშლის არც რჯულის და არც ერის სხვადასხვაობა. (V, 79).

385(891). სახელმწიფოს ერთობას, როგორც პოლიტიკურს და საზოგადოებურს ერთ-არსებას, სულ არ უშლის ეტნოგრაფიული სხვადა-სხვაობა. ერთსახობა, გარეგანი იგივეობა-კი არ არის საჭირო სახელმწიფოს სიმტკიცე-სიმაგრისათვის, არამედ ერთსულობა, ერთგულობა, რომელიც ერთად-ერთი ქვითკირია სახელმწიფოს მკვიდრ აგებულებისათვის. („ივერია," № 49, 1897, 1).

386(892). სახელოვანი დიდი მოურავი გიორგი სააკაძე... იყო... უხვად შემკული ყოვლისა სამამაცო და საგმირო ღირსებითა. (IV, 184).

387(893). სახელოვანი ერეკლე მისთანა კაცი ყოფილა, რომელსაც შთამომავლობისაგან სამართლიანად ეთქმის: „მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ ჰსაქმობს მკვდარიო"*. (IV, 270).

* ამ აფორიზმის ავტორია დ. გურამიშვილი (რედ.).

388(894). (სახელოვანმა ჩვენმა წინაპრებმა — რედ.) მამული, ჩვენი სამშობლო ქვეყანა შეიმაგრეს და ჩვენ სამკვიდროდ გადმოგვცეს; ქრისტიანობა, ჩვენი რჯული, ჩვენი სარწმუნოება დაგვიცვეს, მაშინ, როდესაც ათასი ემტერებოდა რჯულსაც და მამულსაცა. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 331).

389(895). (სერგეი მესხი — რედ.) მხნე მუშაკი იყო, დაუცხრომელი, ბუდამ საზოგადო საქმის მოყვარული. ჩუმი მოღვაწე. (V, 280, 371).

390(896). სვიმონ მესვეტე სვეტზედ ავიდა და იქ მიეცა გახრწნილებას სულის საოხრად, და ნუთუ ეს სიზარმაცით მოუვიდა და ქვეყანას იმიტომ მოერიდა, რომ ქვეყანა ხელ-ფეხის მოძრაობას, გარჯას და მუშაობას ჰთხოულობდა და სვეტზედ-კი უძრავად შეეძლო დებულიყო. აბისთანა ამბავს სხვა მიზეზი აქვს, რომელიც თავს იმალავს ადამიანის მრავალფერს ბუნებაში და, რამოდენად ეს ფარულნი მიზეზნი შორს არიან უბრალო სიკვდილის შვილთა თვალთათვის, იმოდენად მათი პოვნა და მიგნება ხვედრია მარტო იმისთანა კაცებისა, როგორიც რუსთაველია და სხვანი. (III, 176).

391(897). სიკვდილის წამში მამულს,
შვილო, შენ გაუღიმებ,
რომ სისხლს, მისგან მოცემულს,
მასვე გმირებ უბრუნებ.
აღსრულდება ღიმილით —
რომ მამულს არ უმტყუნე,
და შენ შენის სიკვდილით
მის სიკვდილი დასთრგუნე. (I, 45).

392(898). სიმტკიცე სახელმწიფოსი, რაც გინდ დიდი და ძლიერი იყოს, უნდა ემყარებოდეს ერთსულობაზე და არა ერთსახობაზე, ერთფერობაზე. (VIII, 159).

393(899). სისხლის ცრემლს, შვილო დაღვრი,
მთელი ცრემლად დავდნები;
მამულისთვის მომკვდარი
იმ ცრემლად ეღირები.
მამულს მიგცა ზეცამ,
მას სისხლად გადესხმები;
ეგრეთ მომკვდარა მამა
შვილიც ეგრე მოკვდები. (I, 286).

394(900). ... სიყვარული ჩვენი ჩვენის სამშობლოსი თავით თვისით წარმოადგენს იმ ნაყოფიერს ნიადაგს, რაზედაც იზრდება და ჰხარობს ჩვენი ერთგულება და სიყვარული რუსეთისა. ეს ჩვენი სიყვარული ჩვენის სამშობლოსი იგი მაგარი და შუამდგომელი ჯაჭვია, რომელიც

ერთიანებს ჩვენს ზრახვასა და სასოებას უკეთესს რუსთა ზრახვასა და სასოებასთან. სწორედ ამ ჩვენის სამშობლოს სიყვარულში უნდა მოიძებნოს ნასკვი ნაწილთა დაახლოებისა და გაერთიანებისა მთელთან საკეთილდღეოდ ყოველთა და ყოვლისათვის. („ივერია", № 230, 1899, 3; „ცნობის ფურცელი". № 949, 1899, 2).

395(901). სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა. მერე დედა და მამა. (II, 74).

396(902). სიცოცხლის დროს რომ აღარაფისს ახსოვს საქართველო, სიკვდილის ჟამს ვისლა მოაგონდება და აკი ისე მივდივართ ხოლმე ამ ქვეყნიდამ. ისე უგულოდ ვტოვებთ ხოლმე ჩვენს სამშობლოს, რომ გროში რა არის. გროშსაც არ გავიმეტებთ მამულის-შვილობის და მადლობის ნიშნად. („ივერია", № 45, 1897, 1).

397(903). სიძუნწე და ქართველი ორივე ერთად მოთავსდება? ყიწული და ცეცხლი ერთი-ერთმანეთს არ დალევენ? (II, 131).

398(904). სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა-გზა ჩვენივე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ. (IV, 323).

399(905). სხვა-და-სხვა ტომ-გვაროვანი, სხვა-და-სხვა ფერიოვანი სახელმწიფო, თუ საზოგადოება მხოლოდ მაშინ იქნება მკვიდრი, ერთგვარი სხეული, როდესაც ყველა ამ სხეულის ნაწილები თავის-თავად, ძალ-დაუტანებლივ შეერთებულნი, შედუღებულნი არიან ერთად და არა ძალადობით შერეულნი, მიკოწიწებულნი. („ივერია", № 81, 1886, 2).

400(906). სხვამ რაც უნდა სთქვას და ჩემის ფიქრით კი კაცი ის არის, ვისაც გულითადი რწმენა რისამე აქვს ქვეყნის საკეთილოდ მის მიერ აღიარებული და იმ რწმენას ემსახურება თავ-დადებით. („ივერია", № 103, 1898, 2; „ცნობის ფურცელი", № 537, 1898, 3).

401(907). სხვები სხვანი არიან და შენ ერთად-ერთი აკაკი ხარ. (X, 114, 577).

402(908). სხვისა არ ვიცით და ჩვენ-კი ისე გვგონია, რომ გრ. ორბელიანს, როგორც პოეტს წინ ვერავინ გაღურბენს ჩვენში ამ მეცხრამეტე საუკუნეში... ამისთანა კაცის ისტორია ხომ ჩვენი საკუთარი ისტორიაა!.. („ივერია", № 63, 1888, 1).

403(909). სხვისა არ ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. (III, 27).

404(910). „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანიო", უნებლიედ გაგვირბინა ელვასავით ტანში, როცა ჩვენმა უგეგურმა ცოცხლად ყოფნამ გაგვითვალისწინა ის სახელოვანი სიკვდილი, რომელმაც გაუთხარა წმინდა საფლავი კრწანისის ვაჟკაცთა. ამ ეროვნულ ზრძნობით გულთა ძვრა, სულთა ძვრა ერთი იმისთანა დიდებული წამია, რომელსაც კაცი ინატრებს ხოლმე: იყავ და ნუ მომ-

შორდებიო. ეს ისეთი ყოვლთ-შემძლებელი წამია, როცა ჩვენისთანა დაქუცმაცებული ქონდრის-კაციც-კი ერთი ათად ტანს იყრის, ერთი ათად დიდდება და აქამდე ქედ-წახრილი ეხლა თავ-მოწონებით ყელს იღერებს, ტანში იმართება, თავისს თავს გოლიათადა ჰგრძნობს, ჯანი სულისა და ხორცისა ემატება და კაცი კაცად კეთდება. („ივერია", № 2), 1886, 1).

405(911). ...ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი კაცადკაცნი არიან. ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი. არც ერთი ნათი მოქმედება, არც ერთი ეპიზოდი მათის ცხოვრებისა ძალად და განგებ ჩართული არ არის და ყოველივე იგი წარმომდგარია იმ კაცობრიულ ზოგად ბუნებისაგან, რომელიც მარტო იავის საკუთარს ექვემდებარება და არა სხვასა. ამაშია მთელი სიდიადე რუსთაველის გენიოსობისა. (III, 176).

406(912). ტფილისი ჩვენი მშობელი ქალაქია, ყველანი, ვინც აქა ვშობილვართ, აქა ვცხოვრობთ, აქა ვტრიალებთ, — რა მილეთისაც გინდ იყოს კაცი, — მისი შვილები ვართ და სამსახური უნდა გავუწიოთ ერთნაირის გულისცემითა, ერთნაირის ნატერითა, რომ ჩვენი დედაქალაქი გამოკეთდეს, მოფაქიზდეს, მოჯობინდეს, მოჯამრთელდეს. ღმერთმა არა დაიშურა-რა ჩვენის დედაქალაქისათვის. ჰაერი, წყალი, ადგილი — ყველაფერი, რითაც ბუნება მოსაწონებლად ჰქმნის ადამიანის საცხოვრებელს, იმოდენად კარგი გვაქვს, რომ ბევრი უცხოელი შემოვენატრის. თუ რამ ცუდია აქ, და ბევრი რამაც არის ცუდი, სულ იმისი ბრალია, რომ დედაქალაქს შვილობას არ ვუწევთ, გულდადებით არ ვექცევით, სიყვარულით, სიყვარულით არ ვპატრონობთ. (VIII, 82).

407(913). ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი. ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო, არ მოისვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება. (V, 11).

408(914). ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდ-გვაროდაც დიდიაო. (IV, 256).

409(915). ტყუილად სწუნობენ ზოგნი ჩვენს ცხოვრებას და აბუნად აგდებული აქვთ. („ივერია", № 49. 1886, 1).

410(916). ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს რომელმამე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რამე ხეირი და სიკეთე ჰნახოს საბოლოოდ. აბისთანა წყობა და აგებულობა საზოგადოებისა, თუ ერისა, დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და, ვითარცა ქვიშაზე აგებული სახლი, პირველ ქარის შებერვაზედვე დაიფუშება. (VIII, 312).

411(917). ტყუილია ჩვენის დალოცვილის ქვეყნისთანა. (X, 290).

412(918). (უბრალო გლეხობაა — რედ.) სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა. (V, 282).

413(919). უნდა ვეცადოთ, რომ რაც თვითეულ ცალკე კაცისათვის მიუწვდომელია, ის ერთიანის შეკრულ-შებოჭვილ ღონით ვიმოქმედოთ: თვითეულის ცალკე გროში ერთად შევაგროვოთ, ღონე ღონეს შევაკეცოთ, შრომა შრომას მივუყენოთ და ამგზით ბევრნი ერთად შეეებნეთ ულელში ცხოვრების აეკარგიანობის საწეველად, რომ ჩვენი ნაოფლი, ჩვენი ნაღვაწი ჩვენვე გვრჩებოდეს. ჩვენვე გვრგებოდეს. (VII. 13).

414(920). უიმრად ნუ დავმარცხდებით. (I, 194).

415(921). უსწორ-მასწორობა ერთმანეთ-შორის, სხვათა შორის, უჯრა-უჯრად დაყოფის შედეგია; ვისაც კეთილი უნდა, ამ უჯრებს კი არ უნდა წაუმატოთ; რაც არის, ისიც უნდა დაშალოს, დაარღვიოს და ქარს მისცეს. (VI, 48).

416(922). უწინ, როცა ჩვენში შემოქმედებითი ძალი ცხოვრებისა ფეხადგმული იყო, აკი ისტორიაც გვქონდა, აკი გმირებიც გვყვანდა, აკი დიდი ნწერლებიც და პოეტებიც აღმოგვიჩნდნენ, აკი იმ აღმატებულ ყოფა-ცხოვრებამდინაც მივაღწიეთ, რომლის დიდებულებამაც თამარ მეფე საუკუნოდ სახსოვარი გახადა ჩვენთვის... (V, 152).

417(923). უწინ სასულიერო წოდებაში შესვლა და ყოფნა დიდ პატივად და დიდ ღირსებად მიიჩნდათ. დიდნი გვარიშვილნი, მეფეთა ოჯახისანი და ძენიც-კი ბედნიერად ჰრაცხდნენ თავიანთ თავს, თუ-კი ელირსებოდნენ სასულიერო წოდების კაცად გახდომას, სასულიეროში შესვლას და სამსახურსა. ყველამ იცოდა, რა მძიმეა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი მამულის და ეროვნობისა და სახელიც მოღვაწისა ამ სიმძიმეში იყო. ეს სიმძიმე აპატიოსნებდა ღვაწლსა, ეს ტვირთი ასხივოსნებდა სამსახურსა და ამ პატიოსნებასა და სხივოსნობაში იყო თავ-მოწონებაც და ჯილდოც მოღვაწისა. („ივერია", № 9. 1888. 2).

418((924). უწინდელ დროს, როდესაც მამაკაცები სულ ომში ტრიალებდნენ და წიგნის კითხვისათვის არა სცალოდათ, დედაკაცები მაინც არ ანებებდნენ ამ საქმეს თავსა. მიიბარებდნენ შეგირდებს და ამ-რიგად ქართულს მწიგნობრობას ძირიანად ამოვარდნას უშლიდნენ. (V, 43-44).

419(925). უწინდელი ცხოვრების ხსენება ჩინებულად გვახალისებს. („ივერია", № 233. 1898. 3).

420(926). ფიცს მალე ვიწამებთ ხოლმე, იმიტომ რომ გულჩვილნი ვართ და მალე დამჯერნი, მაგრამ ბოლო კი ყოველთვის გვაკვირვებს...* (III, 367).

---

* ამ ფოსტაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო". (რედ.).

421(927). ფრთაშესხმული საკუთარი თაოსნობა ერთმანეთისათვის გულის-ტკივილი ... ფეხადგმული თვითმოქმედებითი ძალი, — ის ნერგია, რომელმაც უნდა ამოხეთქოს ყოველივე, რაც ჩვენთვის საანტრესლია. ეს ნერგი დარგულია ჩვენში ჩვენის ყმაწვილ-კაცობის ხელით — წარსულში, და მომავლის დროების მოღვაწეთა იგი უნდა ალრწყან თავის მხურვალე ოფლითა. წარსულმა ეს უანდერძა მომავალსა, ეს ლარი გაუბა გზის საჩვენებლად. (V, 73).

422(928). (ფულს — რედ.) თუ კი მამულს მოახმარებ, ვენახიც რომ მტერმა დაგიწვას, ყინვამ გაახმოს ან ფილოქსერამ. მაინც გაუძლებ ჭირს და არ დაიღუპები. („ცნობის ფურცელი". № 513, 1898, 2).

423(929). ქართველები ისეთნი არიან, როგორიც უნდა იყვნენ, როგორც დროს და ისტორიას შოუტანია... (II, 453).

424(930). (ქართველები—რედ.) ძმები ვართ ყველანი... (VII, 352).

425(931). (ქართველებისადმი არასასურველად განწყობილმა ზოგიერთმა მეცნიერმა — რედ.) კარგად იცის, — რა განძია ჩვენთვის „ვეფხის-ტყაოსანი", კარგად იცის, — რა ბურჯია ჩვენის თავმოწონებისათვის, ქვეყნად ხმის ამოღებისათვის. მაშასადამე, თუ თავში დასაცხები ვისმე რამ უნდა, უკეთესი იქნება აქედან დაგვცხოს, აქედან შეგვინგრიოს ციხე-სიმაგრე ჩვენის სახელისა და თავმოწონებისა. (VIII, 122-123).

426(932). (ქართველებს შეგვიძლია — რედ) საქვეყნოდ თავი მოვიწონოთ ჩვენის ენისა და მწიგნობრობის სიმდიდრითა და ჩვენცა ვსთქვათ, რომ ჩვენც იდესმე ვყოფილვართ, ჭკუით და გულით გვიცხოვრია. (IX, 260).

427(933). ქართველთ თამარი, ქართველთ დიდება,
ქართველთ სახელი. ამპარტავნება!
დიდი თამარი — საუკუნებში
და წარსულ დროთა მფარველ ღრუბლებში —
შორით შობრწყინავს ნათლად და მტკბარად.
ქართვლის გულს ატკბობს მარად და მარად. (I, 318).

428(934). ქართველი არ არის დამწყვდეული თავის გვარტომობის ვიწრო წრეში, არამედ სხვა ერის პატივისცემაც იცის და გულგაშლილ ეკიდება ყოველს სხვა გვარტომსა. (III, 181).

429(935). ქართველი გამოსალმების დროსაც ერთს მშვენიერს სიტყვას ხმარობს: „გამარჯვებითო". მაგრამ ამ სალამს გამოთხოვებისას თავის დღეში არ აღირსებს მას, ვინც ბრძოლიდამ გარბის: იმას „ეშვიდობითო" ეტყვიან. (X, 46, 576).

430(936). ქართველი გულით უნდა ქართველობდეს, თორემ ტანისამოსი რა არის? (II, 27).

431(937). (ქართველი — რედ.) ერი ორი ათასი წელიწადი სცხოვრებს ისტორიულად და ნუ თუ ჰგონია ვისმეს რომ მისი ყოფა-ცხოვრება შემთხვევის საქმეა და არა ისტორიულ მომჭირნეობისა, ჭირნახულობისა და გამონაცადისა. თუ ესეა. ნუ თუ ჰგონია ვისმეს, რომ მის ეკონომიურს თუ სხვა ფერს ყოფა-ცხოვრებას ღრმად გაჭრილი არა ჰქონდეს თავისი საკუთარი, თავისებური საძირკველი, რომელზედაც ერს დღეგრძელად უხმარია თავისი გამოცდილება და ქვეთ-თავისი სულიერი და ხორციელი მიდრეკილება. („ივერია", № 49, 1886. 1).

432(938). ქართველი ერი ყოველთვის მისდევდა განათლებასა და სწავლას. („დროება". № 201. 1881. 1).

433(939). (ქართველი კაცის თვისებაა — რედ.) რომ გული ღონეს წინ უსწრობს და პირველ შეტევისვე უმალ მთელი სიმრეკე სიგანეს საქმისას გადასწვდეს და წლის საქმე ერთს დღეს გააკეთოს. („ივერია",. № 249. 1886, 2).

434(940). (ქართველი — რედ.) ხალხი დაბალი. თუ მაღალი, — ყველა მოყვასია ჩვენი. შეძლებისამებრ ყველამ უნდა ვუშველოთ... (III, 71).

435(941). ქართველისათვის საქართველო დიდი რამა ყოფილა. რაც უნდა იყოს. შენი ჭირიმე. ჩვენი აკვანი საქართველოა. ჩვენი მამა-პაპის საფლავი საქართველოა, ჩვენის ენის ქვეყანა ეს არის, ჩვენის სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის, ჩვენი მზე აქ არის, და ჩვენი მთვარე. და თუ გული გაქვს — გულიც აქ არის თუ სიყვარული გაქვს — სიყვარულიც აქ თუ იქნება. თორემ სხვაგან სად? (II, 107).

436(942). ქართველიც იმისთანა კაცია, როგორიც სხვა, და ამიტომაც არა რა კაცებური არ უნდა ეუცხოებოდეს. (III, 117).

437(943). ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი. რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი. ებრაელნი. თვით მაჰმადიანნიცა. ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყენებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა. (IV, 13).

438(944). ქართველმა იცის პატივისცემა უცხოსი და სტუმრისა და უფრო დიდი პატივისცემა თავისის სულით და გულით მახლობლისა და თავისიანისა. („დროება", № 119, 1884, 3).

439(945). ქართველობა ახალ და სწორ გზაზე გამოდის სამოქმედოდ, და შედია. რომ იგი ბოლოსაც გაატანს. (VII, 9).

440(946). ქართველობავ... გაისარჯე, თუ გინდა. რომ მამა-პაპათა

ნათქვამისამებრ შეილი მამასა სჯობდეს და მოძავალი — აწმყოს. (V 352).

441(947). ქართველობის ძალა ძველის-ძველ დრომდე მიწის შეეშავება, მეურნეობაა. ჩვენი ძალა იმ თავითვე სოფელი იყო... („ივერია", № 24, 1893. 1).

442(948). ქართველს კაცს არც ქარის შემოტანილი უნდა და არც გატანილი.* (II, 128).

443(949). ქართველს კაცს ისე გადაეტეტებით უყვარს თვისი სამშობლო. რომ სამშობლოს შესახებ ცუდის გაგონებას პირად შეურაცხყოფათა სთვლის და მძაგებელს არ შეარჩენს ცუდს სიტყვას. („ივერია", № 181, 1895, 4).

444(950). ქართველის სამკვიდროე, ქვეყნის თეალად დაბადებულო,
რაზდენს ვაებას შენსა თავზედ გარდაუვლია!..
ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო,
ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?
სხვა რომელია, რომ ათასთ წელთ ბრძოლა მეღვარი
გამოეველოს და სრულიად მტერად არ აღგვილიყოს?
შენ ხარ, მარტო შენ!.. ბაგალითი სხვა არსად არი,
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შესძლებიყოს.
(I, 144).

445(951). ქართველის უბრალო ბედლობა
გვერჩვენოს ყოველ ღიდებას. (I. 37).

446(952). ქართველის ქვეყნისა ვართ შვილნი,
ქართველის ძუძუთი გაზრდილნი.
ბაშ მოდით. ქართველნო. ძმობით...
ვიშრომოთ ჩვენთვის ერთობით...! (I, 38).

447(953). (ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის — რედ.) ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თითონ აკაკი წერეთელს არა ერთხელ დაუკვნესებია თავისი ტკბილი ქნარი, უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა, თავისი სიტურფით საესე ქართული. (V, 186).

448(954). ქართლი. კახეთი... სწორედ ულეველი ბოლაზია ხილისა და ღვინისა... (IV, 348).

449(955). ქართული დროშა ორი ათასის წლის განძაელობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თაეის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკელელად და უნირქოდ გარდაუცია; გაჭირების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა-ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვრობით და

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ქარის, არც მოტანილნდა, არც გატანილიო". (რედ.).

სახელით ქართველობას არაერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად.* VIII, 12).

450(956). ქვეყანას გონების გახსნა უნდა, ქვეყანას სწავლა უნდა. ქვეყანას გაზრდა უნდა. თუ რამ შეგიძლიანთ, იმოქმედეთ. (II, 462).

451(957). ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული.** (I, 310).

452(958). ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი ყოველთვის ძირიდამ დადებული. ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებული. მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებული. (II. 21).

453(959). ქვეყნის სამსახური მოითხოვს შეერთებასა. ამ ეროვნელობისაგან არავინ არ არის თავისუფალი... („ივერია", № 125, 1893, 3).

454(960). ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი. (III, 291).

455(961). ქვეყნის წარხდომას გული ზოგისა
შეებრძეის და არ ემორჩილების. (I, 138).

456(962). ქვეყნის წვითა დამწვარი ქვეყანასვე შეეწირება. (I, 136).

457(963). ქვეყნის ჭირი ჩვენი ჭირიც არის. ჩვენც ქვეყანაში ვურევივართ და ქვეყანასთან ერთად ბევრი რამ საზიარო გვაქვს. (I, 129).

458(964). „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა ხმელსა შეიქმს ნედლადო";*** „სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო"**** — ამბობს ხოლმე ჩვენი ხალხი. ნუთუ ის ხალხი, რომელიც სამართალს ამისთანა სასწაულთ-მოქმედების ძალას აძლევს, რომ სმელს ხესაც გააწედლებსო, ხელს მომჭრის და არ ატკენსო, — ნუთუ ხალხი, რომელსაც ამისთანა ძალა სამართლისა სწამს, რჯულად აქვს მიღებული და ეგრე ცხადად აღიარებული, — ნუთუ ის ხალხი-მეთქი მოუმზადებელი უნდა იყოს წესიერად აგებულის სამართლის კეთილად წარმართებისათვის, და ის ხალხი კი — რომელიც იმით ნუგეშობს, რომ сила силому ломит,***** — მომზადებულია!.. (VI, 84).

459(965). ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადაეულეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრის-

---

* დაახ. იგივე ანბანი იხ.: „კომუნისტი", № 201, 1988, 3 (რედ.).

** იხ. აგრეთვე: I, გვ. XXXVII (რედ.).

*** „ვეფხისტყაოსანში" ეს აფორიზმი იკითხება ასე: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად". (რედ.).

**** ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

***** ეს გამოთქმა რუსული ანდაზაა. (რედ.).

ტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძელები ეიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი (V. 12).

460(966). ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა... სხვათა შორის. ქართველი ერი ამისათვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც თავის შინაგან ღირსების გარდა, დულაბობას უწევდა ერთობასა. (IV, 65-66).

461(967). ქრისტიანობა. ქრისტეს მოძღვრების გარდა. ჩვენში აჩნიშნავდა მთელის საქართველოს ბიწა-წყალს, აჩნიშნავდა ქართველობას. ღღესაც მთელს ამერ-კავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგივრ ეტყვიან — გაქართველდაო. („ივერია", № 9, 1888, 2).

462(968). ... ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნობა. („ივერია". № 9, 188. 2).

463(969). ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თვითონ ცალკედ, თავის-თავადაც დიდი ღვაწლია და. რომ ქრისტიანობამ ქვითკირსავით შეგვკრა და გაგვამაგრა; რომ ქრისტიანობა გაგვიძღვა მამულისა და ეროვნობის შერჩენისა და ხსნისათვის, ღვაწლი იკი გვიორკეცდება. გვიდიდდება, გვიძლიერდება. ეგ გაორკეცებული, ეგ განდიდებული ღვაწლი დაგვდო ჩვენ ჩვენმა განმანათლებელმა წმინდა ნინომ. აი რით არის მართლა სადიდებელი, მართლა სადიდ-ღღესასწაულო იგი ღღე. როდესაც ჩვენი ეკკლესია დიდებით იხსენიებს ამ მოციქულთა სწორს ქალწულსა. ამა ღვთაებურის მადლით მოსილმა მოციქულმა დაგვაწყა დაუშრობელს წყაროს ღვთაებურის ჭეშმარიტებისას და მოგვეცილა იგი მოძღვრება. რომელმაც იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნობა და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე. („ივერია", № 9. 1888. 2).

464(970). (ქრისტიანობის — რედ.) სიკეთეს დიდი ხანია მიაგნეს ჩვენთა ბედის — გამგებელთა და არ არის ჩვენში არც ერთი სახელგანთქმული კაცი, ან მეფე. რომ, სხვათა შორის, ამ თვალით არ ეყურებოდა ქრისტეს სარწმუნოებისათვის. ამიტომაც. მოაცალებდათ თუ არა პოლიტიკური ტრიალი ბედისა. ყოველი მათგანი სცდილობდა, არაფერს ზოგავდა, ქრისტეს რჯული, შინაგანის ღირსებით განდიდებული და მიმზიდველი, გარეთა ღირსებითაც განედიდებინათ, გაემშვენიერებინათ და მისი მონასტრები და ტაძრები ყველგან მოეფინათ ქრისტეს რჯულის სახსოვრად და სადიდებლად. (IV, 66).

465(971). ღარიბნი ვართ და შრომაში
ვკლავთ ჩვენსა ჭაბუკ სულსა,

ბარტო ინით ჩვენ ვნუგეშობთ
რომ ეგ უნდა ჩვენ მამულსა. (I, 292-293).

466(972). ღვთით განგებას არ დაუკლია ქართველისათვის არც ბუნებითი ნიჭი, არც მოხერხება და არც შრომისმოყვარეობა. („დროება", № 206. 1881, 1).

467(973). ღმერთმა აღიდოს. ასახელოს. გაუმარჯოს იმ შვილს, რომელიც მამას დაემჯობინება ქვეყნის სამსახურში და რომელიც ეგრე ეჭირვება ჩვენს... მიწა-წყალს. ჩვენს საყვარელს საქართველოს! (V, 187).

468(974). ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ სამარცხვინოდ სულით და გულით დაქვეითებულნი გვნახოს ვინმემ ან ჩვენ თვითონ ვეჩვენოთ ვისმე. მიწა გატეცრეს და შიგ ჩაგვიტანოს, ისა სჯობია, თუ ესეა. („ივერია", № 267, 1898, 2).

469(975). ღმერთმა ჰქმნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლიონეთ ცხდალ და ბეშიშარ ფულისაგან.... („ივერია", № 118, 1903, 3, „კვალი", № 21. 1903, 334).

470(976). ღმერთმა ჰქმნას. რომ... ის ენერგია, სიცხოველე და გამჭრიახობა, რომელსაც (ქართველები — რედ.) ხშირად პირად ინტერესებს ახმარენ. კეთილისა და საზოგადო საქმესთვის მოეხმარებინოთ. (V, 102).

471(977). ღმერთო, გვისმინე ეს ვედრება, ეს ნატვრა, მოგვეც ძალღონე საქმის ქმნისა. და ჩვენი მარჯვენა, ჩვენი ჭკუა და გონება, ჩვენი გული მოგვახმარებინე ჩვენის ქვეყნის გასაღონიერებლად, გასაძლიერებლად. (V. 335).

472(978). ღმერთო, მოუმართე ხელი ყოველ იმას, ვინც თავის საკუთარ ბედნიერებად ჰხადის მთელის ქართველობის ბედნიერებას და ამ პატიოსან ხადილით განდიდებული და გაძლიერებული გამოვა სამოქმედო მოედანზე და თავგანწირულობით მხნედ მებრძოლი საქმის ბურთს გაიტანს მოედნიდამა ასე თუ ისე, და ნავალი გზა, მისგან თელილი, ბრწყინვალე კვალს დასტოვებს შემდეგთა სამაგალითოდ და მადლობით მოსახსენებლად. (V, 335).

473(979). ღმერთსა ვთხოვ. აკაკი. შენს მშეიდობას და ჯანმრთელობას. იყავ კარგად და დღეგრძელი, შენის საყვარელის ქვეყნის სასახელოდ. (X, 389).

474(980). ღონე ერთობაშია, ერთად თავ-მოყრაში, ერთად საერთო უღელის წევაში, ერთმანეთის მხარის მიცემაში. (V. 71).

475(981). ყაველნი ქართველნ ძმანები ვარნ. (II, 30).

476(982). ყველა ქვეყანაში მამული ყოფილა და არის ადამიანის მაცხოვრებელი და შემნახავი, იმის კაცობრიობის განმავითარებელი და გამაპატიოსნებელი. („დროება", № 65, 1882, 1-2).

477(983). (ყველა ღონე უნდა ეიხმაროთ — რედ.) რომ ჩვენთა შვილთა ჩვენზედ უკეთ და უფრო მომეტებულის ცოდნით და მაშასადამე, უფრო უკეთესის ღონით შეეჭიდონ წუთის სოფლის ავ-კარგიანობასა. („იერია", № 249, 1886, 2).

478(984). ყველამ ერთად და თვითეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე. არა ბონიერმა კაცმა, რა წოდებისაც გინდ იყოს, ეს არ უნდა დაივიწყოს, თუ უნდა თავისი სიკეთე მკვიდრს საფუძველზედ დაამყაროს. (VIII, 314).

479(985). ყველამ ვიცით, საქართველო ერთი უმდიდრესი, უმშვენიერესი და ჰავით შეზავებული კუთხეა მსოფლიისა. თვით ერიც, ვით მისი კოხტა და ტურფა სამშობლო, აგრეთვე შეკულია გარეგნობით და შინაგან, სულიერ, ძალთა აღმატებულებით; ნიჭიერება, გონიერება, ლმობიერება, ვაჟკაცობა, გამბედაობა, შეწყნარება, ჩაგრულთ სიყვარული, პურადობა და მრავალი ამგვარი სათნოება იმ თავითვე ქართველის უეჭველი ღირსებაა. („იერია", № 146, 1902, 1).

480(986). ყველამ უნდა დააჩუმოს თავზე ხელაღებული „მე" საცა სასახელო და სადიდებელი „ჩვენ" უნდა ჰღაღადებდეს. (VII, 450).

481(987). (ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ — რედ.) ის მცირეოდენი, რაცა გვაქვს და რაც ხელიდამ გამოგვივა, ტყუილუბრალოდ არა ვფლანგოთ, სიფრთხილით და დიდის წინდახედვით გამოვიყენოთ იქ, საცა უფრო საჭიროა ფეხის მაგრად დადგომისათვის და წელში გაძართვისათვის. (IV, 388).

482(988). ყველანი ერთად ხომ ერია, ქვეყანაა. (III, 375).

483(989). ყველას უყვარს, შვილებო, თავისი ქვეყანა, და როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმტყუნოს და თავი არ გამოიმეტოს. (II, 244-245).

484(990). ყველაფრის დამკარგველს, დამრჩება ერთი იმედი — ეცხოვრო იმ წმიდათა-წმიდა მიზნისათვის, რომელიც მე დიდი ხანია ავირჩიე. (X, 208).

485(991). ყველგან, საცა კი რაიმე შემთხვევა ეძლევა, განსვენებული დავითაშვილი (იოსებ დავითაშვილი — რედ.) სულ ამას იძახის ტკბილისა და მშვიდობიანის სიტყვითა, რომ ჩვენი, მუშა-ხალხის ხსნა სწავლა და განათლებაა. (III, 161).

486(992). ყოველი ერთგული ჩვენის ქვეყნისა სიხარულით კი არ უნდა მიესიოს ხოლმე ყოველს შეცდომას, წინდაუხედავობას, თუ სხვა რამ ნაკლებულობას... რომელნიც ყოველს ახალს საქმეში აუცილებელნი არიან, არამედ გულმტკივნეულობით უნდა შეპნიშნოს ყოველივე ეგ და გულმტკივნეულობითვე ეცადოს ნაკლი მოსპოს, შეცდომა გაასწორებს. (V, 161).

487(993). ყოველი ჩვენი უკეთესი იმედი მტკვრად აუგია ამ ულმობელს ქვეყნის უკუღმართობას და ცხოვრების მღვრიე წყალთა დენასა წაულამავს. წაულექნია (III, 367).

488(994). ყოველივე კარგი სიმხნისა ჩვენში ჰპოულობს პატივისცემას და სიყვარულს იმოდენად, რომ თავისას და სიმხნისას ერთმანეთშიაც აღარ არჩევს. (III, 181).

489(995). ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით და სხვისით აღმოჩნდება. სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკი, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მივუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებელად, თუ მასწავლებლად, თუ რადმე სხვად, — მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავწონოთ. (V, 96).

490(996). ყოველივე ჩვენი კეთილი ჩვენს ქვეყანას უნდა მოვახმაროთ და ამისათვის ყველა სხვა წყურვილი უნდა მივიკლათ. (X, 143).

491(997). ყოველს დიდს საქმეს ჩვენში თამარ მეფეს ვაწერთ. ხალხი ალაზნისა და არაგვის პირსანი დღესაც ამბობენ, რომ როცა თამარ მეფემ გაიყვანა არხები და ბოლოში წისქვილი დააბრუნა, წისქვილის ქვებიდამ სისხლი გადმოსკდაო. ეს ამბავი გვაუწყებს, — რამოდენად ძვირად დასჯდომია ხალხს ეს დიდებული საქმე, რომ მის წარმოდგენით მის მიერ დაღვრილი ოფლი სისხლად გადმომსკდარა წისქვილის ქვებიდამ. (VII, 68).

492(998). ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას, — გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი, თუ ქართლელი, — ჩვენის ერიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამცთუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანისა, უუწმინდესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა ამაშია. (IX, 261-262).

493(999). ყოველსავე ეკონომიურ სარბიელზე საშრომს, საღვაწს, საწარმოებელს, — ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, კეთება და მოყვანა რისაც, თუ სხვა ამგვარი მექმეობა, — ამხანაგური კრებული უნდა ავუჩინოთ. რაკი ცალ-ცალკე ამისათვის უღონონი ვართ. (VIII, 14).

494(1000). ყოვლად და ყოვლად საჭიროა შეერთებული, შეამხანაგებული მოქმედება ქვეყნის სათითაო ძალ-ღონისა ერთის სურვილისა და ერთის საგნისაკენ მისადრეკ-მისამართავად. („ივერია", № 22, 1893. 1).

495(1001). (ყოვლად პატიოსანი, ბრწყინვალე და დიდებული საქვეყნო გულთა ძგერისა და — რედ.) ღაღადისის წინაშე აღტაცებით და ხალოებით მუხლი უნდა მოიდრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა. (X, 141, 568, 570).

496(1001[1]) ყოვლის სიმართლითა სჯობს, რაც ჩვენთვის მიუცილებლად საჭირო არის, უნდა ვიხმაროთ, კარგი ამბავი უცხო ქვეყნისა, კარგი აზრი ჭკვიანი ხალხის ნათქვამი, ყოველისფერი ამორჩევით გადმოვიტანოთ ჩვენს ენაზედა, დავაკვირდეთ, გავშინჯოთ, შევუფარდოთ ჩვენს ამბავსა და ჩვენს აზრსა და ამ შეფარდებით გავიგოთ, რა არის ჩვენში კარგი და რა არის ცუდი. (ილია ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული, ცხრა ტომად. IV, 301).

497(1002). შაბაშ, ქართველთ გამძლეობას!.. (III, 367).

498(1003). შაბაშ ქართველს!.. გული თურმე
სამარემდე გულად ჰრჩება. (I, 194).

499(1004). შეერთებული ძალა თითქმის ყოვლად შემძლებელია („ივერია", № 126, 1893, 3).

500(1005). შეიყარენით ერთად... (V, 62).

501(1006). შემცდარია ის, ვინც ჩვენ მამა-პაპათ მძინარებს და ზარმაცებს უძახის, ეგ სახელი იქნება ჩვენვე დაგვერქვას უფრო სამართლიანადაცა. ჩვენი წინაპრები ქართველნი იყვნენ ისეთნი, როგორიც უნდოდა იმ დროს: მტრის და მოყვრის დამხვედრნი. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ცხრა ტომად. IV, 330).

502(1007). შენ იცი, როგორ დაუშტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავ დღისთვისაო!"* ეხლა გამოჩნდება, ეს ანდერძი შენთვის ცარიელი სიტყვაა, თუ სავსე საქმეა!.. ეხლა გამოჩნდება, შენ მარტო დღეევანდელს დღეზედ ხარ მიბმული, თუ ხვალისათვისაც ზრუნ და ჰფიქრობ!.. (V, 31-32).

503(1008). შენ (ნიკო ნიკოლაძე — რედ.) ჩემს თვალში ისეთი კაცი ხარ, რომლის გულშიაც კაცი, თუ მონახავს, მადანს იპოვის. (X, 26, 575).

504(1009). შენთა შვილთ (მაშულო — რედ.) გული შენთა მტერთა
შეაკლეს ზედა,
ორი-ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჰღვარეს,
მაგრამ ამაყი თვისი თავი ქვეყანაზედა
არავის წინა საუდამოდ არ მოიხარეს.
ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იღწვოდა, —
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა, —
მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა. (I, 144-145).

505(1010). შენს თავს შენვე მოუარეო. ეს კანონი — ისტორიული კანონია, იქნება ზოგიერთისათვის ფრიად არ-მოსაწონი, მაგრამ აუცილებელი კი. ბევრიც რომ ვივაგლახოთ, ბევრიც რომ ვატაროთ უბეში

* ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

სხვაზედ დამყარებული იმედი. მაინც ბოლოს „ყამთა სელა“ ამ კანონზედ დაგვაყენებს და დრო წარსული ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული დრო იქნება. (IV, 320).

506(1011). შვილო, მას (მამულს — რედ.) უერთგულე. (I, 46).

507(1012). შოთამ (რუსთველმა — რედ.) მის მიერ მოგონილ ამბებს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არაჭეშმარიტი ამბავი მართალი გვგონია. აი ეს საოცარი ცარდაქმნა, ანუ უკეთ ვოქვათ, ქმნა არ-ყოფილისა ყოფილად, მარტო შემოქმედს შეუძლიან და ამიტომაც ამ ღვთიურ ძალღონეს ქმნისას შემოქმედებას ეძახიან. (III, 409).

508(1013). ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!* (I, 75).

509(1014). (ჩემი ქვეყნის — რედ) სისხლი და ხორცი ვარ. (II, 12).

510(1015). ჩემი მამულისათვის
მე (ვედაშენი — რედ.) ჩემს ძუძუს ვაწოვებ,
მისი სიკეთისათვის
გაგწირავ და გაბრძოლებ... (I, 44).

511(1016). ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლეე, რაზედ მოგიწყენია?** (I, 101).

512(1017). (ჩემს გულს — რედ.) შენ (ა. წერეთელი — რედ.) ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეომარი, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული. (X, 114, 577).

513(1018). ...ჩემში მაინც-და-მაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. (II, 12).

514(1019). ჩვენ, ბატონებო, ყველანი ძმები ვართ. ქართლი, კახეთი, თავადი, გლეხი — სულ ყველანი ქართველები არიან, სულ ყველანი ძმები არიან. („დროება“, № 51, 1876, 2).

---

* ამ სტროფის მეორე ვარიანტია:
„ჩემზედ ამბობენ: „ის ქართველისას სიცუდეს ამბობს,
ჩვენ ჭუჭყს არ მალავს — ეგ ხომ ცხადი სიძულილია!“
ბრიყვნი ამბობენ; კარგი გული კი მაშინვე ჰგრძნობს
ამ სიძულილში რაოდენიც სიყვარულია“. (III, 70). (რედ.).

** ეს სტროფი იხ. აგრეთვე: I, გვ. XCVII. (რედ.).

515(1020). ჩვენ გვესმის მნიშვნელობა და ძალა უმრავლესობისა მხოლოდ მაშინ, როცა იგი გამოშეტყველია ზოგადის საჭიროებისა და ამ ზოგად საჭიროებისაგან არის წარმოდგენილი. („ივერია", № 110, 1893. 1).

516(1021). ჩვენ გვიყვარდა ჩვენი მამული, ჩვენი მიწა-წყალი, უმისოდ ჩვენი თავი ვერც-კი წარმოგვედგინა, და ამ სიყვარულმა, ამ მიკერებამ მიწაზედ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, შეჰქმნა თვით ჩვენი ისტორიაც. („ივერია", № 24, 1893, 1).

5171022). ჩვენს გუსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ. („ცისკარი", № 10, 1862, 190).

518(1023). ჩვენ გთხოვთ შეეერთდეთ ერთის მშვენიერის და ჩვენდა ღირსეულის სურვილითა, რათა ერთმანეთს შეეწიოთ ერთმანეთის სხვერპლის მოტანითა ჩვენის საყოველთაო კეთილ-დღეობისათვის. („დროება", № 47, 1872, 1).

519(1024). ჩვენ და ჩვენმა შთამომავლობამ არ უნდა დავიიწყოთ: ბესიკ გაბაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ფერშანგიშვილი* და სხვანი, რომელნიც არიან ჩვენი თავ-მოსაწონნი და ჩვენი გამამხიარულებელნი. ყველამ ეიცით, რომ ამათს ნათქვამში, იმათგან მოგონილს ჰანგებში ბევრი რამ არის სასუკეარი და შესანიშნაეი. („ივერია", № 88, 1889, 1).

520(1025). ჩვენ ერთი დიდი და უდიდესი მოვალეობა გვაწევს: ძმებს (რუსებს — რედ.) ძმურად უნდა დავხვდეთ ყველგან და ყოველიფერში; უნდა იმათთვისაც ვიზრუნოთ, — როგორც ჩვენთვის. თუ ჭირში ეუბმეთ, ჭირში მიეეშველენით, — ჩვენი ერთმანეთის დაურღვეველის კავშირის გაბმაც უეჭველია. ეს ისმინეთ და გაიგეეთ, ქართველობავ! (V, 19).

521(1026). ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუგდია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამისი საბუთი თვალწინ გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ანოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ ამშვენიერად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში

* ჩვენი აზრით, ი. ჭავჭავაძე „ფერშანგიშვილად" იხსენიებს XVII საუკუნის პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ფეშანგი ხოთარიშვილს (ფაშეიბერტყაძეს). „შაანავაზიანის" ავტორ.. აქეე დაეძენთ, რომ „საქართველოს ისტორიის ნარკვეეების" IV ტომში ამ პიროვნების შესახებ არსებულ მასალებში ერთ ადგილას გაპარულია კორექტურული შეცდომა: XVII საუკუნის ნაცვლად დაბეჭდილია XVI ს. (იხ.: გვ. 163). (რედ.).

მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით — რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოერების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უუარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას. (IV, 202).

522(1027). ჩვენ ვართ ღარიბნი ოქროთი და ვერცხლითა. მაგრამ გულით მდიდარნი ვართ და თუ ოქრო და ვერცხლი საუნჯეა ხორცისა, გულის სიმდიდრე ხომ საუნჯეა სულისა. („დროება", № 260, 1884, 1).

523(1028). ...ჩვენ თითონ უნდა შეუდგეთ იმის აღმოჩენას, იმის ახსნას, რის ახსნაც იმათ (ჩვენ წინაპრებს — რედ.) ვერ მოუსწრიათ. ეს ჩვენი ვალდებულება გახლავსთ ჩვენი შთამომავლობის წინაშე. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV. 330).

523[1](1029). ჩვენ მოლექსეთა შორის მარტო რუსთაველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპოპეისა... (III, 459).

524(1030). ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, და ვგონებ ბევრნიც სხვანი დაგვეთანახმებიან, რომ... ჩვენი შინაური საქმე ჩვენვე გვქონდეს ხელში წარსამართავად და საპატრონებლად, ჩვენვე გვქონდეს ხელში ღონე ჩვენისავე თავის შველისა და ათასნაირ საერთო განსაცდელისაგან ხსნისა, ჩვენვე გვებაროს სოფლობის ფული და ჩვენვე გვეკიცხებოდეს — სად რას მოვახმაროთ. (VIII, 341).

525(1031). ჩვენ რუსთაველის სახელი მეტის-მეტად დიდ სახელად მიგვაჩნია და მოგვიტევონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დავუთმობთ. (III, 178).

526(1032). ...ჩვენ სხვაში სულაც არა გვაქვს ვიძიოთ. ქართველი სჯობია სომეხს, თუ სომეხი — ქართველს. ამაებზე საუბარი ბრიყვის საქმეა და ჩვენ შორს ვუვლით ამისთანა აბდაუბდას. (VIII, 120).

527(1033). ჩვენ სომხების არავითარი ღირსება, არავითარი ბიბლეთე არა გვშურს. პირიქით, თუ სიკეთე. ღირსება რამ სჭირთ, იგი ჩვენთვის ბნოლოდ სანატრელია და არა საშურველი... თუ საქებ-სადიდებელი აქვთ რამე, ღმერთმა შეარჩინოთ. თუ არა აქვთ. ღმერთმა მისცეს. (VIII, 99).

528(1034). ...ჩვენ სომხებისა არა გვშურს-რა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ წინანდელ საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა-კი პირქვე დაეცხო სომხეთი — ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით. (VIII, 193).

529(1035). ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ ჩვენნი შემდეგნი ჩვენ დაგვეჯობინონ. სანატრელიც ეს არის. განა ჩვენთა მამა-პაპათა არ გვიანდერძეს:

ის ურჩევნია ქვეყანას,

რომ შვილი სჯობდეს მამასაო?!.. („ივერია", № 249, 1886, 2).

530(1036). ჩვენ ქართველები ვართ, ბედს ჩვენთვის გული არასფერზედ არ აუსუყებია, ამიტომაც ზოგჯერ ცოტასაც ვიმყოფინებთ ხელმე. (III. 368).

531(1037). ჩვენ (ქართველები — რედ.) ვართ ღარიბნი ოქროთი და ვერცხლითა, მაგრამ გულით მდიდარნი ვართ და თუ ოქრო და ვერცხლი საუნჯეა ხორცისა, გულის სიმდიდრე ხომ საუნჯეა სულისა. („დროება", № 260, 1884, 1).

532(1038). ჩვენ, ქართველებს, სამართლიანად მოგვაქვს თავი მით, რომ ეგ დიდებული პოემა („ვეფხისტყაოსანი" — რედ.), შექმნილი ჩვენის ერის დიდებულობის დროსა, ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზედ დაწერილია. ყველამ იცის, რომ ამით ჩვენ თავს ვიწონებთ, ვსახელობთ, ვქადულობთ. (III, 166).

533(1039). ...ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონე, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარნი იქნებიან. (III, 69).

534(1040). ჩვენ ჩვენი ვსთქვათ. („ივერია", № 142, 1887, 1).

535(1041). ჩვენა გვგონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა ინაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან... ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი ბეფუები, იმ დრომდე ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძღოლია მტერს ასე თუ ისე. (IV, 177).

536(1042). ჩვენდა სამწუხაროდ... ვისაც ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ღონე აქვს — წინ გაუძღვეს თავის საკუთარის ქვეყნის ცხოვრებას. განზედა სდგას. იქნება ამის მიზეზი ჩვენი ცხოვრებაც არის, მით უფრო ბევრს სიამოვნებას და ხელის შეწყობას არ უქადდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში დგომა — ცდომაა. (III, 291).

537(1043). ჩვენდა სასუგეშოდ, დღეს აშკარად სჩანს, რომ ბევრს ჩვენგანს გული გახსნია საქვეყნოდ, ბევრს ჩვენგანს უგრძვნია და უცვნია ტკივილები ქვეყნის ტკივილებად, და თუ იღვწის ეხლა მათ გამო, პირადი ანგარიში და გამორჩომა უკან დაუყენებია და მარტო საზოგადოს, საქვეყნოს სიკეთეს ეტანება მთელის თავისის შეძლებითა და ღონითა. (V, 150).

538(1044). ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენშიაც თითქმის ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისათვის გარჯილ კაცისა, საჯაროდ მადლის

ვადახდა მისი — ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდვია. სიტყვით თუ საქმით შესწევნია თავის მამულსა და თანამეამულესა. (V, 185).

539(1045). ჩვენდა საუბედურად უდრეოდ ჩვენთვის დაკარგული პოეტი (ნ. ბარათაშვილი — რედ.), ერთად-ერთი მწერალია, რომელიც სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლივ ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალ-გადუწვდენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა, საცა ღაღადებაა ყოველგვარ სულისკვეთებისა და ენებათა ღელვისა. თ. ნ. ბარათაშვილის დიდი მნიშვნელობა, ჩვენის ფიქრით, აშაშია. (III, 219).

540(1046). ჩვენებური მკვიდრი ყოველგვარ უბედურებას გაუძლებს, ყოველგვარ უბედურებას აიტანს მარტო იმ ყოველადშემძლებელის გრძნობის ძალითა, რომელსაც სამშობლოს, ადგილის და ბინის სიყვარულს ეძახიან. (VIII, 302).

541(1047). ...ჩვენთა იმიერ და ამიერ მოძმეთა თავის-დღეში არ იფიქროს, რომ ძმურად გამოწვდილი ხელი ძმურადვე გულმხურვალეობით ჩამორთმეული არ იქნება. ღმერთმა გვიხსნას ამისთანა ფიქრისაგან!.. (VII, 421).

542(1048). ჩვენთვის სასიქადულო... უნდა იყოს, რომ... ხშირ იქმნას ჩვენში საზოგადოებრივნი მოღვაწენი და ღირსეული ჯილდო შათი ჩვენი მადლობით სავსე გული იყოს („დროება", № 195, 1881, 2).

543(1049). (ჩვენი დიდებული და მშვენიერი მამულის — რედ.) შვილობაც და ერთგულება ყველა ჩვენგანისათვის სასიქადულო უნდა იყოს. („დროება", № 16, 1875, 3; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, ხელნაწერი № 167, ფურც. 2).

544(1050). ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფელად, დიდ-პატარაობის გაურჩეველად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ. (VIII, 312).

545(1051). (ჩვენი ერის მერმისი და კეთილდღეობა მოითხოვს — რედ.) რომ ქართველმა თავისს ავკარგიანობას თვალი გაუსწოროს, ცაეისი ნაკლი დაინახოს, თავისი ტკივილი იცოდეს და რაიმე გზა და წამალი ხსნისა იძიოს. (VIII, 283).

546(1052). ჩვენი ზრუნვა და ფიქრი ეხლა იმაზედ უნდა იყოს მიქცეული, რომ ტფილისი კარგ საცხოვრებელ ადგილად ვაქციოთ. („ივერია", № 13, 1878, 2).

547(1053). ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოსო. (II. 30).

548(1054). ჩვენი ისტორია ბევრს საბუთს და მოწმობას მოიპოვებდა, ერავლის ბნელის ადგილების შუქმოსაფენად, რომ ცნობილი და გამოქვეყნებული იყოს ყოველი იგი ნაშთი ჩვენის განვლილის ცხოვრებისა. რომელიც დღეს კიდევ ზედ ანნევია ჩვენთა მამა-პაპათა ხელთ-ნაქმართა და ჭკუით ნაშოქმედართა. (IV, 189).

549(1055). (ჩვენი მამულის საკეთილდღეოდ განმსჭვალული ყოველი აზრი უნდა — რედ.) განიხილოთ ისე, როგორც შეჰფერის ერთობის სურვილით გულ გამთბარს ქართველსა და მის პატიოსანის გულის სულ-გრძელებასა. („დროება", № 51, 1876, 2).

550(1056). ჩვენი მშობელი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზედ ჩვენთვის უფრო საფიქრელი და საზრუნველია. აქ არავისის ძრახვას და საყვედურს არ ვერიდები. ჩემი მრწამსი ეს არის. (X, 142, 524, 568, 571),

551(1057). ჩვენი პოეტისაგან ნათქვამია, ბრძენი სიფრთხილით წახდებაო. მაგრამ ღლეული ვაჟკაცი ან მოჰკლავს ან შეაკვდებაო. ქართველი კაცი ვარ და უჯერებ ჩვენს ქართველს პოეტსა. (X, 44).

552(1058). (ჩვენი სამღვდელოება — რედ.) ...სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას სულ იმაზედ მიაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ერიერნობა, რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდესს საგანს, ერთად შეერთებულს, თავ-დადებით ამსახუროს, თავ-განწირვით ამოქმედოს.

აი, სად და რაში ჰპოულობდა ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივის-ცემას! აი რით გაიმაგრა სამღვდელოებამ სარწმუნოება ქრისტესი ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი-მტრები ეხვევნენ და პლამობდნენ ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. აი რამ მოაგერებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ერიერნობა მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული — მამულსა და ერიერნობასა და ეგრედ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიმძღვარა წინ, ათას ხუთასი წელიწადი ომითა და სისხლის ღვრით გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა.

ამ სამთა უწმინდაესთა საგანთა შეერთებამ ასწია ჩვენი სამღვდელოება და დააყენა იმ მაღალ ხარისხზედ, სადაც ყოველი ბიჯი ღვაწლია და სამსახური ქვეყნის წინაშე. („ივერია". № 9, 1888, 2).

553(1059). ჩვენი სასიქადულო „ვეფხის-ტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხრის (მესხეთ-ჯავახეთის — რედ.) კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, საშცხე-საათაბაგოშია. (IV, 11).

554(1060). ჩვენი საქმე („საქართველოს მოამბის“ საქმიანობის დედააზრი — რედ.) საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია. (III, 66).

555(1061). ჩვენი უღრმესი და შეურყეველი ერთგულება, ჩვენი ძზად-ყოფნა თავდადებისათვის ჩვენ შამა-პაპით მოგვდგამს, ჩვენთა საჴელოვანთა წინაპართაგან მემკვიდრეობით გადმოცემულია, ჩვენის ისტორიის წმიდათა წმიდა ანდერძია. („ივერია“, № 202, 1888, 1).

556(1062). ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი-კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესაძცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმელა. (IV, 175).

557(1063). ...ჩვენი ქვეყანა მდიდარია. რადგან ჰავა და მიწა ბევრგვარს საგანს სიმდიდრეს იძლევა, თუ კაცი ცნობიერად ხელს მოკიდებს და ცოდნით და ხერხიანად გაირჯება. (VII, 164).

558(1064). ...ჩვენი ქვეყანა ჰავით, მდებიარობით, მიწით მდიდარია და შემძლებელია გაგვამდიდროს, ქონებით გაგვაძლიეროს, გაგვაღონიეროს. (VII, 39).

559(1065). ჩვენი ქვეყნის იარა მცონარეობაა. რაც ადრე მოეიშორებთ მაგ იარას, მით უფრო მალე მოვიპოვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და კეთილდღეობას. („ივერია“, №16, 1875, 1; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, ხელნაწერი № 197, ფურც. 2).

560(1066). ჩვენი ცდა რაში უნდა მდგომარეობდეს? იმაში, რომ რაც ჩვენ წინაპართ გამოუკვლევიათ, უცვნიათ, შეუტყვიათ, ის უნდა ეიცოდეთ, ის უნდა შევიტყოთ, ე. ი. უნდა ეისწავლოთ, ის, რაც იმათ კანონები აღმოუჩენიათ, ის, რაც იმათ მიზეზები აუხსნიათ, რომ წმინდა, ნამდვილი საგნის მსჯელობა გვქონდეს. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 329-330).

561(1067). ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ერთგული სიმტკიცე და დაურღვევლობა მარტო იმაში იყო, რომ ყოველს ჩვენგანს ჯერ „ჩვენ“ ჰქონდა სახეში და მერე „მე“. უამისოდ ჩვენი ცხოვრება ერთს წუთსავე შეიხეპობოდა. ეს კარგად იცოდნენ ჩვენთა წინაპართა და ამიტომაც საცა და როცა მძლავრი „ჩვენ“ წამოდგებოდა ხოლმე, მაშინ ყოველი კაცი თავის საკუთარს „მეს“ უკან დააყენებდა. (V, 243).

562(1068). ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი
ყოველთვის. ძმაო, არის საფრთხეში. (I, 168).

563(1069). ჩვენი ხალხი თავისის ბინადრობის დიდი და მკეიდრი მოყვარეა. (VI, 26).

564(1070). ჩვენი ხალხი ძალიან ადვილად... მიიღებს ხოლმე, რაც მოეწონება. („ივერია", № 85, 1889, 3).

565(1071). ჩვენის ისტორიის სახელი და დიდება. ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულთ-მოქმედი მხნეობა, თავ-განწირვა, თავ-დადება. ვაჟკაცობა სულ იმ ნათელით არის განსხივებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც „ძელმა ჭეშმარიტებისამ", წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჰფინა მთელს ჩვენს ქვეყანასა. ამ ძელზედ სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია, უძლიერესია ყოველს სხვა მცნებაზედ: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანა ჩვენი ქვეყანა; იგი აღიარა ღმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა სანთლად, რომელიც ღღეს აქამომდე არ გამქრალა და არც გაჰქრება, მინამ არ გაჰქრება თვითონ ქართველიცა. ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა. მას შესწირა ყოველივე, რაც-კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მინიჭებული, უკლის გვირგვინი დაიდგა თავზედ, ხუთმეტი საუკუნე გულ-გაუდრეკლად ატარა თავპირ-დასისხლიანებულმა. ჩვენს ღრომდე შეუმწიკვლელად მოიტანა და ტანჯულმა და წამებულმა ჩვენ — შვილებს გადმოგეცა, ეხლა თქვენ იცითო.

უკლის გვირგვინია, მაგრამ თვალ-მარგალიტით მორთულს გვირგვინს რითი ჩამოჰრჩება? გვირგვინი წამებისა ჭეშმარიტებისათვის, კაცთ-მოყვარებისათვის, გვირგვინი წამებისა მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა ნუგეშისათვის, გვირგვინი წამებისა ერთმანეთის ძმურად და სიყვარულით განკითხვისათვის, მშიერთა, მწყურვალთა, სნეულთა, საპყართა, და პატიმართა შველისა და ხსნისათვის, ობოლთა, ქვრივთა, უპატრონოთა შეწყნარებისათვის — ნუ თუ ყოველივე ეს იგივე თვალ-მარგალიტები და უფრო უკეთესნიც არ არიან? („ივერია", № 9. 1888, 1).

566(1072). ...ჩვენმა მწერალმა ვახტანგ ორბელიანმა მთელის თავისის მხურვალე გულისძგერით აღთქმად დასდვა, ანდერძად დაგვიტოვა, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო; ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება. (IX, 262).

567(1073). ...ჩვენნი მამა-პაპანი, ჩვენნი უკეთესნი და უდიდესნი ქამულისშვილნი, ჩვენი გენიოსები, ჩვენნი ვაჟკაცნი და მეომარნი, ჩვენი მსწავლულნი და მეცნიერნი, სისხლის ღვრით იღვწოდენ, რომ

მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისის სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს. (IX, 262).

568(1074). ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ!

ქართლის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ...
მიყვარხარ მისთვის. რომე ქართველი
აქ — შენს კიდეზედ დაბადებულა.
შენ ზვირთებ შორის ჩემის ქვეყნისა
გრძელი მოთხრობა დამარხულია
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდეებზედ გადასხმულია.* (I, 134, 305).

569(1075). ჩვენს ერს ერთს დროს ჰქონია დიდი ერთ-სულობა და ერთ-გულობა თავის ისტორიულს ცხოვრებაში. ჩვენს ერს გამოუცდია და უგრძვნია თავის ისტორიულის ცხოვრების განმავლობაში დიდებული წამი საერთოდ ჯაფისა, შრომისა, მოღვაწეობისა, თავდადებისა, სისხლის დაღვრისა საერთო, საქვეყნო საქმისათვის. მან ამ გვარად გაზარდა თავის საერთო კალთით და ააღორძინა ქრისტიანობა. მან თავ-დადებით და სისხლის დაქცევით დაიცვა თავისი მიწა-წყალი, შამული შტერთაგან. ამაშია საბუთი მისდამი ყურადღებისა კაცობრიობის მიერ, ამაშია უფლება მისი ისტორიულ ერთა შორის ეჭიროს განსაზღვრული ადგილი...

დღეს კილო ჩვენის საზოგადოებრივის ცხოვრებისა უფრო დაბალია, ნელია, ძარღვის ცემა ქართველობისა უფრო სუსტია, საკლებ აჩქარებული, მობინარებული. მაგრამ ნუ თუ იგი მძლავრად არ დაიწყობს ცემას, როცა საქმე ჩვენს საერთო ბედნიერებას შეეხება, რომელსაც საქვეყნო საგანს, რომლის მოწყობისაგანაც ჩვენი ბედი და უბედობა, ჩვენი შომავალი იქნება გადასაწყვეტი, ჩვენ არ გავკეთილშობილდებით წინაპართა მაგალითის მიხედვით?!

არა გვჯერა, არა გვჯერა, იმიტომ რომ ეგ კეთილშობილება, ეგ ამაღლებული სულის მდგომარეობა, ეგ აჩქარებული გულის ცემა საქვეყნო საქმისათვის, რომელიც წარსულში ჩვენ გამოგვიჩენია — ჩვენ სისხლში და ხორცშია ისევ დარჩენილი, ყოველივე ძალა, ენერგია ბუნებაში, ვიდრე იგი არ გამოვა ამ დაფარულ მდგომარეობიდამ, მაგრამ, როცა კი გაიღვიძებს, გაიღვიძებს იმავ ერთ-სულობით. იმავ ერთ-გულობით. („ივერია", № 3, 1884, 146-147).

570(1076). ჩვენს ერს, ჩვენს ქვეყანას არა ერთხელ დაუმტკიცებია თავისის თავ-განწირვით. თავისის სისხლის ფრქვევითა, რომ ჩვენთვის ერთგულება ცარიელი სიტყვა არ არის. არამედ საქმეა და

* ეს სტროფი იხ. აგრეთვე: I, გვ. CLXIV. (რედ.).

საქმე თავმოსაწონებელი. ჩვენ არა ვართ მდიდარნი ოქროთი და ვერცხლით. ხოლო ჩვენ ამაებზედ უფრო ძვირფასი ქონება გვაქვს. ჩვენი საუნჯე, ჩვენი ქონება ჩვენი ერთგულებაა... („ივერია", № 202, 1888, 1).

571(1077). ჩვენს საქართველოს, ჰე, მეფეე.
ბევრი რამ გადაჰხდენია,
მაგრამ უომრად მტრისა წინ
არ წაუხრია ქედია. (1, 194).

572(1078). ჩვენს სახელოვანს მოხუცს პოეტს (რ. ერისთავს — რედ.) შესანიშნავი ალაგი უჭირავს ქართულ პოეზიაში. მისი ლექსები აღბეჭდილია ხალხური გრძნობით. ის ღრმად შეეხო ჩვენი მუშა ხალხის ცხოვრებას და არის მომღერალი მის გულნადებისა. იმან შექმნა თავისი საკუთარი შკოლა ხალხური პოეზიისა. მისი მიმდევარნი არიან ძმები რაზიკაშვილები. („კვალი", № 46, 1895, 6).

573(1079). ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ხედაც შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეირო გაიშალოს. ამას უნდა დავტრფოდეთ და შეეხაროდეთ და არა ეთაკილობდეთ და ვეტრობდეთ. ამას ხელის შეწყობა ჰმართებს და არა ხელის შემართვა. (VI, 56).

574(1080). ჩვენს ხალხში გაღვიძებულია და ფეხზედ წამომდგარი სურვილი, რომ ერთმანეთის შემწეობით გზა გაიხსნან უკეთესის ცხოვრებისათვის. საპიხარულო ეს არის, რომ ყოველ ამაში კერძოობითი სარგებლობა კი არ არის საფუძვლად დადებული. არამედ საყოველთაო. ღმერთმან ჰქმნას, რომ ამ გზაზედ ჩვენს კეთილის-მყოფელთ დაბრკოლება არა დახვდეთ-რა. (IV, 324).

575(1081). (ჩვენში — რედ.) ბევრნი არიან პირუთვნელად საქმის მოყვარენი, გულწრფელნი მსურველნი საზოგადო, საქვეყნო საქმის კარგად წარმართვისა თვით ღონეც, ციხე-სიმაგრეც საზოგადო საქმისა, სწორედ ამისთანა კაცთა ხელშია ყველგან და ჩვენშიაც სწორედ ამათს მფარველობას უნდა მიეცდოს. სხვაფრივ ხსნა საზოგადო საქმისა შეუძლებელია... ბრძოლაში სწორე ლარი მარტო ამისთანა კაცებს გააქვთ, როცა ერთად, კრებულად მოქმედობენ და არა დაქსაქსულად ცალ-ცალკე. (VII, 492).

576(1082). ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, უნდა ჯერ გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისის ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოეული ვაზია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული. და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის. ყოველ ამის გულიდამ ამოღება ძნელია. (VI, 189).

577(1083). ჩვენში ქვებიც, ქვებიც-კი ჰლაღადებენ. (VIII. 23).

578(1084). ...ცალკე ყოფნა და ცალკე ბედნიერება შეუძლებელია და ამიტომაც ამაოა ამისათვის ცდაცა. (VIII, 313).

579(1085). ...ცალკე ჭიდილი ხშირად უღონოა. („ივერია", № 234, 1886, 1).

580(1086). ცოდვაა კაცმა საქვეყნო საქმისათვის რაიმე დაიშუროს და რითაც შეეძლება ხელი არ წარუმართოს. („ივერია", № 249, 1886, 2).

581(1087). ცოდნისა და მეცნიერების სიყვარულის გარდა ბესარიონს (ბ. ღოლობერიძეს — რედ.) გულში უღვიოდა კიდეე არა ნაკლები სიყვარული თვის სამშობლოისა. (IV, 232).

582(1088). ცოტა ვართ, მაგრამ კარგნი ვართ,
ვინც კია, ყველა დგვია...
ბევრჯელ უნახავს ქართველის მტერს,
რომ ცოტაც ბევრის მძლეეია. (I, 194).

583(1089). ცოტად რომ მაინც დაუკვირდეთ მთელს მის (იოსებ დავითაშვილს — რედ.) ნათქვამს, ლექსებს, ნახავთ, რომ იგი იყო კაცი რომელსაც ცოტად თუ ბევრად განწმენდილი ჰქონდა თვალნი გლეხთა გულის საიდუმლოთა მნახველად, ყურნი — გლეხთა გულის-ძგერის უცნაურთა ხმათა მსმენელად, ხელნი — გლეხთა მაჯის-ცემის შეშტყობად და ენა — ყოველ ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად. (III, 163).

584(1090). ცუდი ქვეყანაა ეს პეტერბურგი, ეს სამი თეეა თითქმის მზე არ დამინახავს. ნეტა მითხრა, აქ როგორ ცხოვრობენ. მილიონი რომ მომცენ, აქ ცხოვრებას არ ეინდომებდი ახ, ნეტავი მალე მელირსოს ჩემის თბილის ქვეყნის ნახვა... (X, 327).

585(1091). ცხადია, რა კაცი იყო დიმიტრი ყიფიანი. იგი იყო გულთასრული კაცი ... იგი იყო კაცი ხასიათისა... (IV, 223).

586(1092). ძველადგანვე ორი ძვირფასი, წმინდა, ჭირში და ლხინში მანუგეშებელი წიგნი ჰქონიათ ჩვენს წინაპრებს; ეს ორი წიგნი იყო: საბარება და „ვეფხვის-ტყაოსანი". ერთში იხატებოდა ჩვენი რჯული, სარწმუნოება; მეორეში — ჩვენი ერობა, ქართველობა. ამ ორის წიგნით აღზრდილან ჩვენი წინაპრები. ამ ორის წიგნით გამხნევებულან, როდესაც გარეშე ანუ შინაგან განსაცდელი მოადგებოდათ... („დროება", № 242, 1880, 1).

587(1093). ...ძველებს (ჩვენ წინაპრებს — რედ.) უთქვამთ სახელიო ან სიკვდილი. (I, 185).

588(1094). ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავისი ქვეყნის სიყვარული... ამხნევებს.. ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ გულზე ხელს კი არ აკრებინებს, როგორც იმედგადაწყვეტილს, სასოებადაკარგულს, არამედ იმოდენად

ძლიერ აღეიძებს, ძლიერ მისძრავ-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი. (IX, 59-60).

589(1095). ...ძლიერია ჩვენებურის მართებულობის კრძალვა, რიდი და კდემა. („ივერია"). № 229, 1886, 3).

590(1096). ძლიერო სიტყვავ (მამულო — რედ.)! ეთმობ დედასა, შენთან ვერთდები,
თუ შენთვის მოკვდი, სრულიადა მე არ მოვკვდები! (I, 329).

591(1097). ძლიერო ღმერთო!... მოეც ქართველსა ქართველის ნდობა და სიყვარული,
მას გაბნულმერთე, შეაყვარე თვისი მამული! (I, 322).

592(1098).. ძლიერო ღმერთო!.. მოჰმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!.. (I, 149).

593(1099). ძმამ რო ძმას არ დაუთმოს, მაშ კაცმა როგორ იცხოვროს! (II, 549).

594(1100). ძმობა განა ჭირისა და ლხინის გაზიარება არ არის? (IV, 266).

595(1101). ...ძმობა და ერთობა არის იგი კლდე. რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა. (IX, 262).

596(1102). ძნელია ომისთანა მართლა სახელოვანი პოეტი, როგორიც რუსთაველია, კაცმა უბრალო ეთნოგრაფიის საჩხირ-კედელო საქმეზედ ჩამოახდინოს. ეს მეტის-მეტი დაქვეითებაა პეგასზედ მჯდომ ცხენოსნისა. (III, 168).

597(1103). (ძნელია. როდესაც კაცი ცუდ — რედ.) ყოფაშია ჩავარდნილი და გვერდით ხედავს თავის ძმას, რომელსაც შეელა ცოტად თუ ბევრად შეუძლიან და არ შეელის. ქართველობავ, ნუ იქ მაგ სამარცხვინო საქმეს... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა (იგულისხმებიან აჭარლები — რედ.), რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგული იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შევეწივნეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით. ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე. შევეწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ კაცთმოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის, ვაჩვენოთ, რომ ძმათა სიყვარული ჩვენშიაც ისე ყოვლად-შემძლებელია, როგორც სხვაგან, ვაჩვენოთ რომ ძმობა, ერთურთობა, ერთმანეთის შეელა და გატანა უქმი სიტყვა არ არის ქართველობისათვის! ... აქ უკან დახევა სირცხვილია ყველასათვის და ჩვენთვის ხომ სირცხვილზედ მეტიც... ჩვენ ვაჭირვებულების ძმები ვართ, ძმები! ... ეს არასდროს და არას შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს ქართველობამ ... ამ ძმობაში გამოიკვანძა

ჩვენი ბედი, ამ ძმობამ ჩვენის ბედნიერების კვირტი უნდა გამოიტანოს. ქართველობავ, ჩვენი უწმინდაესი ვალია, უნდა მიეეშველნეთ!... (V, 30-31).

598(1104). ძნელს რასმესა მთხოვს მე უძლურსა ჩემი მამული,
(შვილის გაწირვას — რედ.),
მაგრამ ვალია!.. თუმც სიცოცხლედ მიღირს ეს
მსხვერპლი!.. (I, 325).

599(1105). წაართვით ადამიანს სიყვარული სამშობლოსი და მის გულში ვეღარ იპოვით ამისთანა ღრმა და მაგარს ადგილს, რომ ზედ ამოიყვანოთ საფუძველი ერთგულებისა და სიყვარულისა. („ივერია", № 230, 1899, 3; „ცნობის ფურცელი", № 949, 1899, 2).

600(1106). წარმატებისათვის, კეთილდღეობისათვის საჭიროა, რომ ყოველნი ძალნი ერობისანი ერთად, ერთგვარად იყენენ მიდრეკილნი და მიწვეულნი. (VI, 48).

601(1107). წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტიცები,
მათი ზრუნვის საგანი შენ ხარ (მამული — რედ.) და შენ
იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუ-კი მათ მიენდები.
მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?* (I, 101).

602(1108). ...წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამც თუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმა უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევა მოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლნი შეიკედლა, თავისის ღვთაებურის ძალ-ღონით გამოჰზარდა, შეჰმოსა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა. („ივერია", № 9, 188, 2).

603(1109). ...წმინდა სურვილი ჩვენის დედა-ქალაქის კეთილად განწყობისა მარტო კარგ და ერთგულ კაცების მოღვაწეობით შესაძლებელია განხორციელდეს. („ივერია", № 100, 1893, 1).

604(1110). წმინდაა ოგი. ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება!..
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება. (I, 136).

605(1111). (წრფელი გულით ნათქვამს — რედ.) პირმოთნეობაში ნუ ჩამომართმევ, — და შენ (ნიკო ნიკოლაძეს — რედ.) მე პატივსა გცემდი როგორც ნიჭიანს, რიგიანს, განბეღავს და დაუშრომელს მოღვაწესა, როგორ კაცსა, რომელზედაც კაცური-კაცის თვალი იმედით შეჩერდე-

* ეს სტროფი იხ. აგრეთვე: I, გვ. XCVII. (რედ.).

ბიდა და რომელთანაც დამეგობრება და ერთად ულელში შებმა სახარბიელოა. (X, 45).

606(1112). (წუთისოფელთან ჭიდილში — რედ.) ... ჩვენ მარტო, იმას უნდა ვეცადოთ, — პური იმოდენად მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს ჩვენ და ჩვენს შინაურს ბაზარს ეყოს. (VII, 218-219).

607(1113). (ჭეშმარიტად ქველმოქმედი მამულიშვილის — რედ.)... გულკეთილობას სამზღვარი არა აქვს. (X, 53).

608(1114). (ჭეშმარიტი მამულიშვილი — რედ.) ქვეყნის სიყვარულით აღტყინებული იბრძვის, მეცადინეობს, მხნეობს, საქმობს, და ჯილდოდ მარტო იმას ელის, რომ ჩემი სინიდისი მეტყვისო: „თუმცა წვალებით ვიცხოვრეო ამ სოფლად, მაგრამ ჩემი ცხოვრება უქმად არ გამიტარებია, შეძლებისამებრ ჩემთა მოძმეთათვის სიკეთე მომიტანიაო". დამიჯერეთ, ძალა ქვეყნისა ამისთანა კაცებშია და არა იმათში, ეინც ... ყვირის: რაცა ვარ, მე ვარო. (IV, 324).

609(1115). (ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა კარგად — რედ.) ... იციან, რომ მათი ქება თითონ საქმეა და არა წამ-და-უწუმ ჩხაკილი, მე ასეთი ვარო. (IV, 325).

610(1116). ჭკვიანი ბიჭია და ამასთანაც კარგის კალმის პატრონი — ჩვენთვის (ვანო მაჩაბელი — რედ.) დიდი ნუგეში იქნება. (X, 59).

611(1117). ...ხომ ყველამ ვიცით — რა არის წვიმა? თითო წვეთი ცალკე რას გააღლობს დამშეულს მიწას, ხოლო ერთად მოდენილი მკვდარს მიწას ნაყოფიერად ჰხდის და აცოცხლებს ხოლმე. („იერია", № 21, 1892, 2).

612(1118). ხსენება ღვაწლით-მოსილ მამულიშვილისა, მეფეა, თუ უბრალო სიკეთილის შვილი, სესხი და ვალია შთამომავლობისა. (IV, 266).

613(1119). ხსნა ჩვენი თვითმოქმედებაში და ერთობაშია. (IV, 322).

614(1120). ...ხუთმეტი საუკუნე (გაქრისტიანების შემდეგ — რედ.) გულში ჯვარით და ხელში ხმალით იბრძოლა, იღვწოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ეერაეინ შეაცვლევინა. „იერია", № 9, 1888, 1).

615(1121). ... ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბღერტაო. ამას ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც ჩვენ თითონა ვართ უხვირონი, ღმერთი — რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალსავით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, უამრჯელი და ოფლის-მღერელი. (V, 288).

616(1122). (ხშირად, სამშობლოს სამსახურში ჩამდგარი მამულიშვილი გადატვირთულია — რედ.) ... იმგვარი საქმეებით, რომ მათი გადადება გაფუჭებას ნიშნავს საქმისას. (X, 182).

617(1123). ჰე, ძმანო, ვიყვეთ ერთ ბედით
წინა წავიდეთ გაბედვით. (I, 37, გვ. LXVI).

618(1124). ჰე, ძმანო!.. ქართველს ვიჩვენოთ ქართველობა.
მერე თუნდა დავიხოცნეთ. (I, 36).

619(1125). ჰოი, ძლიერო, დიდო სიტყვავ (მამულო — რედ.) შენ
ღვთიურს ძალსა
ვინ დაუდგება?! კლდის სიმაგრეს აძლევ ჩვილ ქალსა!
ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
თვით დედა შვილის სიყვარულს სუნთქავს შენ
სიყვარულში! (I, 328).

620(1126). Вся гордость, все чувство народного достоинства грузина искали и ищут все свое содержание в мысли, что он такой же гражданин великого русского государства, как и русский. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II, თბ., 1969, გვ. 239).

621(1127). Мы обязаны заботиться о дальнейшей нашей судьбе: этого требует естественное, всем живым существом присущее чувство самосохранности. („ცისკარი", № 12, 1985, 138).

622(1128), Не раз довелось мне выслушат... что господь наш Иисус Христос свою щедрую полу изобилия вытряс тут, в нашем небольшом родном уголке. Это сказано к тому, что наш благодатный край естественными богатствами несравненно обильнее многих других стран. При всем том, сам Бог ведает, что и мы недурны собою: народ дюжный, мощный не лишенный благородных порывов. Да, есть чем нам гордиться: изобилующий естественными богатствами, разубранный, подобно новобрачной, живописный край; бодрый, мускулистый и трудолюбивый народ в поте лица добывающий насущный хлеб. („საისტორიო მოამბე", ტ. 3, თბ., 1947, გვ. 200).

623(1129). (Патриот — რედ.) ... славное название... (X, 428).

624(1130). ...потеряв все, не потеряю надежды жить для той святой цели, которую я себе избрал уже много лет тому назад. (X, 425).

625(1131). Реформация доказала миру, что единству государства не мешает даже разность такого всемогущего фа-

ктора в деле преуспеяния человечества, как религия, время докажет, что и разность языков не помешает единению душ граждани государства. („ლიტერატურული ურთიერთობანი“. კრებული II, თბ., 1969, გვ. 245).

626(1132). Сила государства состоит в единодушии и единосердечии, а вовсе не в том, чтобы все верноподданные имели одну общую физиономию, носили однообразное платье, одинакого молились и говорили на одном и том же языке. („საისტორიო მოამბე“, ტ. 3, თბ., 1947, გვ. 251).

627(1133). Со дня ... присоединения Грузии к России прошло целое столетие и на пространстве целого этого века не нашлось ни одного русского старшего брата по вере я общерусскому отечеству, который бы нашел для себя необходимым изучить грузинский язык для непосредственного понимания душевных и сердечных движений грузинского народа. Это ли не несчастье для грузин!.. („ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრებული II, თბ., 1969, გვ. 244).

628(1134). Теми или другими мероприятиям заставлять нас чувствовать и сознавать себя в положении каких-то парнев, которым остается лишь или за все благодарить, или молчать, для отчуждения которых от себя созидается неравенство пред законом, неравноправность гражданская и общежитейская, все это, согласитесь сами, далеко не та почва, на которой может расти взаимная любовь. Не вдаваясь в область нравственных требований человека... эта последняя имеет для нас — грузин — огромное значение и в практическом смысле. Потому-то она, эта взаимная любовь, нам нужнее, чем, русским, ибо в ней единственный залог нашего благоденствия, нашено спасения. Для великой-же, необъятной России вопрос о любви к ней грузино может быть лишь предметом благородных забот нравственного порядка и не имеет никакого практического значения Повторяю, для нас грузин, любовь эта связана с вопросом-быть или не быть нам. („ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრებული II, თბ., 1969, გვ. 240).

629(1135). я вполне проникнут выслью о необходимости указывать своим соплеменникам истинный путь его нравственного, религиозного преуспеяния с русскою православною церковью и русскою культурою вообще. („ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრებული II თბ., 1969, გვ. 244).

630(1136). Я трепещу за будущее грузинского народа. („ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრებული II, თბ., 1969, გვ. 239).

4. ისტორიის, ერის, ერობის, ეროვნულობისა და სარწმუნოების შესახებ

1(1137). აბა მიიხედ-მოიხედეთ და ნახავთ, რომ მთელი განათლებული ევროპა, მთელნი დიდებულნი მესვეურნი კაცობრიობის წარმატებისა — იღვწიან, სისხლსა ღვრიან, რომ მიწა, ეგ მუქთი, ბუნებისაგან მონიჭებული კუთვნილება ყოველის ადამიანისა, შეძლებისამებრ — თანასწორად მორიგებულ ჰქონდეს ყოველს მკვიდრს მცხოვრებსა. რომელმა ერმაც ეს ვერ მოახერხა, ამ ყუაზედ გასულს ტკივილს ყოველის საზოგადოებისას წამალი ვერ დასდვა, — მიწასთან გასწორდა, გაქარწყლდა და მტვრად აიგავა. დიდს ისრაილს. დიდ საბერძნეთს. დიდს რომს აშითი მოგლო ბოლო. (V. 174).

2(1138). ... ადამიანის მხსნელი მისი რჯული და სარწმუნოებაა. ... („ივერია", №103, 1898, 2; „ცნობის ფურცელი", № 537, 1898, 3).

3(1139). ადამიანის უძვირფასესი საუნჯე მისი ვინაობაა და ნურავის ნუ უკვირს, თუ ამ ვინაობის შემაგინებელს, შემბღალველს ყოველი პატიოსანი კაცი სამართლიანის გულის წყრომით ზედ აეგება, (VIII, 157-158).

4(1140). ადამიანსა ცალკედ და ერს საერთოდ, რაც უნდა უკან დაწეული იყოს, ვიდრე პირში სული უდგას, ჯიგართან იმისთანა ძაფები აქვს სხვათა შორის, რომელთ ხელის ხლებაც მეტად საფრთხილოა და საშიშარი. შინაურია თუ გარეული, უნდა ერიდოს მაგ ძაფების წარამარად ხელის ხლებას. ამისთანა რჩევას ამაო დიდგულობა კი არ იძლევა, არამედ ძმური გრძნობა და სიყვარული. (V, 175).

5(1141). არ არის არც ერთი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, როგორც სხვისაც, რომ რაიმე წარსულის ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს. (IV, 202).

6(1142). ... არ არის ქვეყანაზე იმისთანა ერი, რომელ შორისაც კარგიც არ იყოს და ავიც. („ივერია", № 53, 1897, 2).

7(1143). არ არის ქვეყანაზე იმისთანა ერი, რომელიც, თუ ცოტაოდნად მაინც გონებად მოსულია, ცოტაოდენი ისტორია ჰქონია და კულტურაში ცოტაოდნად ფეხი მოუკიდებია, რითიმე გამოსადეგი არ იყოს სახელმწიფოში, რაც გინდ დიდი სახელმწიფო იყოს და მორჭმული თვისის სულიერ და ხორციელ ძალ-ღონითა. (VIII, 158-159).

8(1144). არ ვიცი, სხვა როგორ პფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. (IV, 179).

9(1145). არ მოიპოვება ისეთი ისტორიული უსამართლობა, რომელსაც ებრაელები არ დაეჩაგრის. (IX, 248).

10(1146). ...ერის ერთი არსება. რომელსაც ერს ეძახიან და რომლის სიღრმეშიაც, როგორც ზღვის ძირში მარგალიტი, თავს ინახავს ლოღიკა და, მაშასადამე, მართალიცაა. VIII, 271).

11(1147). ...არც ამისთანა დღეობა (ხალხის საამაყო შვილის მოღვაწეობის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა — რედ.) ჩაუვლის ხოლმე ერს უიმისოდ, რომ თავისი თავი კაცურ-კაცად არ იცნოს და ამ ცნობამ ჰკუა და გონება უფრო არ აახილებინოს თავისს თავზე. თავისს გარეშემოზე და გრძნობა საკუთარის ღირსებისა თავისს ფარ-ხმალად არ ახმარებინოს. ამისთანა ამბებმაც იცის ატეხა ათასნაირ ფიქრებისა, ათასნაირ ნატერისა და სურვილისა და საცა ყოველივე ეს დაძრული და ატეხილია, იქ არის ცხოვრებაცა. (V, 345).

12(1148). არც ერთ ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადაჰხდენია. (IX, 248).

13(1149). აღდგენა ისტორიისა — ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერეშისის გამორკვევაა სიბნელისაგან. (IV, 204).

14(1150). აწმყოს, რომელსაც წარსული არა აქვს, არც მომავალი აქვს, იმიტომ, რომ, ერთის მეცნიერისა არ იყოს, — „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა".* უწარსულოდ იგი უფესვუშტოა, რადგანაც ერთის მხრით უდედ-მამოაო და მეორეს მხრით უშვილო. (III, 209).

15(1151). ბევრი მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაფ ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ, იმიტომ, რომ, რა იყო — ის დავიწყებული აქვს, და მაშასადამე, რა არის — არც ის იცის. არ იცის რა გაიმაგროს, რისთვის გაიწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა. (IV, 201).

16(1152). გამგებელნი სახელმწიფო ბედისანი იძახიან, რომ ერი პოლიტიკისათვის არის ქვეყანაზედ გაჩენილი და ამიტომაც თქვენ სუო;

---

* ეს ფრაზა, რომლის ავტორიც გ. ლაიბნიცია (იხ. აგრეთვე: III, 67; IV, 200), შეტანილია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც" (იხ. V, 1197). სამწუხაროდ, მას ავტორად იქ მითითებულია ი. ჭავჭავაძე. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს ლაფსუსი გასწორებულია ხსენებული ლექსიკონის მე-8 ტომში (იხ.: გვ. 980). სადაც ი. ჭავჭავაძე მინიშნებულია, როგორც გ. ლაიბნიცის ბრძნული გამონათქვამის მთარგმნელი. (რედ.).

სახელმწიფოს გულშემატკივარნი ერის მოყვარენი-კი პასუხად ეუბნებიან: უკაცრავად, პოლიტიკაა ერისათვის განენილი და არა ერი პოლიტიკისათვისაო, სწორედ მოგახსენოთ, მთელ პოლიტიკური ისტორია ევროპისა ამ ორთა მოძღვრებათა ერთმანეთთან ბრძოლაა და სხვა არაფერი. ყოველივე სხვა მოძღვრება თითქმის აქ მიდის და აქედამ მოდის. (IX, 51).

17(1153). განა თითონ ქრისტე-ღმერთსა
გადარჩენა არ ძალ ედვა,
არ ინება და ქვეყნისთვის
ღმერთი იყო და ჯვარს ეცვა. (I, 195).

18(1154). განაჩენი საუკუნოებისა დაურღეველი და შეუცვლელია. (III, 370).

19(1155). გერმანელნი ახოვანნი და ძლიერნი არიან სულითა და ხორცით. ამათი მერმისი დიდია და თვალთგადუწვდენელი. მე მგონია, რომ კაცობრიობა პირველობას ამათ დაუთმობს ქვეყნიერობაზე თავისს დროზე. დიდი ჯანიანი ერია, როგორც ვთქვი, სულითა და ხორცით. დიდი მერმისი მოელით. (X, 155).

20(1156). ... გვანება, მსგავსება რჯულისა, ანუ ღმერთებისა, ყოველთვის არა ნიშნავს ერთის ერისაგან მეორის მიერ მიღებას, აქ შესაძლოა ერთმა ერმა თავის-თავად ისეთივე რჯული შეიქმნას, როგორც სხვა ერმა, მსგავს ბუნებასა და გარემოებაში მყოფმა. (IV, 117).

21(1157). გრძნობა თავისიანის სიყვარულისა ისეთივე ძლიერია, ისეთივე მკვიდრია, ისეთივე ბუნებრივია, მაშასადამე, ისეთივე სამართლიანი და პატივსაცემი, როგორც სიყვარული მამა-შვილური, დედა-შვილური, ვერა ძალი მაგ სიყვარულს ვერ ამოჰკვეთს ადამიანის გულიდამ! ყოველივე იარაღი მის წინაშე უქმია! (VIII, 11)..

22(1158). გულ-მტკივნეულობა და სიყვარული ხელმწიფისა ერის მიმართ ერთი უდიდესი ძლევა-მოსილობაა, ერთი სასიქადულო გამარჯვებაა ერისათვის („ივერია", № 202, 1888, 1).

23(1159). დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. (IV, 200).

24(1160). ... დიდ არიან საქმენი წარსულისა, იმიტომ რომ იქ ბრწყინავენ დიდნი გმირნი, დიდნი მამულის-შვილნი, დიდის ანდერძებით და სურვილებით გულ-ატკივებულნი. (III, 239).

25(1161). დრო მოვა, როცა ყველასათვის ცხადი იქნება, როგორც ორჯერ-ორი, რომ თუ კაცი თავისას გადუდგა, სხვისას ვერ უერთგულებს. ეს ჭეშმარიტება დღეს ცოტამ იცის და ხვალე ბევრს ეცოდინება. და მაშინ ვაი თავის ვინაობაზედ გულაცრუებულს, გულგრილს და ხელაღებულს!... (V, 146).

26(1162). .. დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი ზის, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს ქონება შეიძინოს, ეკონომიურად წელში გამაგრდეს. ვინც ამას არ ფიქრობს, ვინც სხვას შეჰყურებს, აცა, რამე გაჰვარდეს ხელიდან და მე ავიღოვო, ის ხალხი ტყუილად ნუ ელის შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში, ტყუილად იმედი ნუ აქვს ცხოვრების ჭიდილში ფონს გავიდეს; ასეთი ერი, ვიმეორებ, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე ადგილი არ ექნება, გეშრიელი ლუკმა ცხვირზეით აცდება, ნასუფრალი თუ ხედა, ღმერთს მადლი შესწიროს! („ილიას სამრეკლო", თბ., 1987; გვ. 150-151).

27(1163). ეთნოლოგიური აღწერა კაცთა ნათესავისა, ყოვლის ცალკე თესლისა მთელს დედამიწის ზურგზედ, ბევრს რასმე მოგვითხრობს მასზედ, თუ ვინ და რა საიდამ წამოსულა, როგორ უვლია და სადამდე მისულა. (IV, 29).

28(1164). ეკკლესია> სახლია ღვთისა, საცა ხალხი თავს იყრის, რომ მღვდელ-მსახურთა წინამძღრობით ერთად ილოცონ, ერთად ეუედრონ, ერთად იგემონ ის წყნარი და უცოდველი სიტკბოება, რომელსაც გაღვიძებული გრძნობა სარწმუნოებისა მოუვლენს ხოლმე ღვთის მოსავს ადამიანს. („ივერია", № 37, 1890, 1).

29(1165). ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს შოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდების კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულ-შესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გაამტკიცა, გააფართოვა და. დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია. (V, 8).

30(1166). ერი და ქვეყანა, რომელიც იმ სიმაღლემდე ააწევს, რომ ერთსულობით და ერთგულობით რამ საერთო საქმეს ემსახუროს, დიდებული ერია და დიდებული ქვეყანა. ის ერი და ის ქვეყანა, რომელიც არ ასულა ამ სიმაღლემდე, არ გამოუცდია სიხარულის გულის-ცემა ამ გვარ საერთო, საქვეყნო საქმისათვის სამსახურის დროს, ჯაფით, შრომით, ენერგიით, თავდადებით, იგი ერი და ქვეყანა ისტორიაში ადგილს ვერ დაიჭერს, მაღალ და დიდებულ ერთა-შორის ვერ დადგება, კაცობრიობის სალაროში ვერა განძს ვერ შეიტანს. („ივერია", № 3, 1884, 145-156).

31(1167). ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად შებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული — ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. (IV, 9).

32(1168). ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდ, პსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა პსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს. (IV, 203).

33(1169). ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა თავის ღონეს და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ამოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ ბუნებოვანობის შარაეანდედითა, და თაყვანსა სცემს სასოებით, და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა. (IV, 180).

34(1170). ერი თავისის სულით და გულით იმ ტურფა საბაღნაროსა ჰგავს, საცა რუსთაველის სიტყვით, ერთი მიდის და მის მაგიერ სხვა მოდის, თითონ ბაღნარი-კი არის და არის მუდამ მწვანე, მუდამ დაუჭკნობელი, მუდამ ყვავილოვანი, ია-ზამბახ-ვარდ-გამშლილი, როგორც ჩვენი ძველი პოეტი ბესიკი იტყოდა.* (III, 375).

35(1171). ერი, თუ საზოგადოება, მარტო იმას უნდა ეძახოდეს „ჩვენგანს", ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის სიტყვით, თუ საქმით და თუ ეს ღვაწლი გაბრწყინვებულია, შუქ-შესხმულია მადლითა. აქ სულ ერთია, თქმაა, ეს ღვაწლი, თუ ქმნაა. (III, 158).

36(1172). ...ერი, მარტო ვაჭრობაზედ მიქცეული, დარღვეულია, გაქსუებული, გაფანტული. (V, 174).

37(1173). (ერი — რედ.) ... მკვიდრი ბურჯია ქვეყნისა. (VII, 47).

38(1174). ერი, როგორც კრებული ისტორიით შედეგებულ ერთსულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსანისა და ჭკუათმყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში, და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება — დიდად სათაკილო საქციელია. (VIII, 97).

39(1175). ერი, რომელსაც ახსოვს ... თავისის ერთიანის სულის წირვა ... თავის დიდ-ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰგულოვანდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმისეულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღვწის, გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა... (IV, 203).

40(1176). ერის გული ზღვაზე უფრო ღრმაა და დიდი საქმეა, ვისაც ღონე შესწევნია და თავის საკუთარი გული და თვალი იქამდინ ჩაუწევნია. (III, 161).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია შ. რუსთაველის ცნობილი აფორიზმი: „იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა" და ბესიკის ლექსიდან „შავნი შაშვნი" აღებული ტაეპი: „ია-ვარდ-ზამბახთა მახარობელნი". (რედ.).

41(1177). ... ერის დაცემა იწყება იქიდამ, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა. (III, 231).

42(1178). ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა იგი ივიწყებს თავისს ისტორიას. („ივერია", № 2, 1896, 1).

43(1179). ... ერის მიერ ქება უდიდ-ღვაწლოთ ძნელი საშოვარი განძია, და ბევრი სახელგებული ისტორიაში კაცი ვერ დაიქადებს, რომ ეი სახელი თვით ერისაგან მიჰმადლებოდეს. (IV, 267-268).

44(1180). ... ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა. (IV; 200).

45(1181). ერის სახელით ბრძოლას სამართლიანადა აქვს დიდი პატივი და საბუთი. (VIII, 98).

46(1182). ერის სიბერე ერის აღგვაა დედამიწის ზურგიდამ. შორს ჩვენგან სიბერე! (III, 375).

47(1183). (ერის — რედ.) ... უტყუარს მსჯავრს ვერა კაცი ვერ წაუვა, რაც უნდა სახელგანთქმული იყოს და შემძლებელი. (VIII, 269).

48(1184). ერის ცხოვრება და ხასიათები ზომ საუკუნოებით სდგება, საუკუნოებით მაგრდება და იმის გამოცვლა, ძველის ზნის, ხასიათის, ჩვეულების დატოვება და ახლის მიღება იმისთვის ძნელია, ამას დრო უნდა და მარჯვე გარემოება. („დროება", № 206, 1881, 2).

49(1185). ... ერის ცხოვრების ღაღადებასაც ანგარიში უნდა გაეწიოს. (IX, 227).

50(1186). ერმა ამისთანაებში (დიდი მამულიშვილების შეფასებაში — რედ.) უფრო მოსწრებული და ზედ-გამოჭრილი სიტყვა იცის, იმიტომ რომ ბაგენი მისნი მეტყველობენ მარტო ნამეტანობისაგან გულისა, ესე ეი მაშინ, როცა გული სავსეა. (IV, 267).

51(1187). ერმა კარგად იცის, რომ ჭეშმარიტის ღირსების ქვეყანაში მოსაფენად საჭირო არ არის ბუკი და ნაღარა. (VIII, 98).

52(1188). ერობას ფეხი თვით ერის დირეზედ უდგას, ერის ცხოვრებაში ტრიალებს და ერის ცხოვრებით სულდგმულობს. ამიტომაც იგი ზელეიწევნით მცოდნეა, რა სტკივა ერსა და რა წამალი დაედება. თუ ერობის საქმე ისეა მოწყობილი, რომ მართლა ერობდეს, უკეთესი ნატვრა, ჯერ ამ ხანად მაინც, მეტის-მეტი წადილი იქნება. (V, 135).

53(1189). ერობაც მეტად დიდი რამ არის. იგია უტყუარი ორღანო ქვეყნის საჭიროების გამოთქმისათვის, ერის არჩევანით, იგია ერის წარმომადგენელი კრება. (V, 135).

54(1190). ...ეროვნობა და სახელმწიფო ადვილად მოსათავსებელნი არიან ერთმანეთში და საცილობელი, ერთმანეთის დამაბრკოლებელი არა აქვთ-რა. ამას მარტო ღრმად დაკვირვება უნდა, ხალასი გული და მიუდგომელი ჭკუა. (V, 142-143).

55(1191). ... ეროვნობის და სახელმწიფოს არსებითი მოთხოვნილებანი უნდა ერთმანეთს შეეფარდოს და თვითოეულს მათგანს მისი საკუთარი სარბიელი შემოეხაზოს. (V, 142).

56(1192). ... ეროვნობის უფლებას სახელმწიფოში თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს. თავისი ცალკე მოედანი უნდა ეჭიროს. (V, 81).

57(1193). (ეროვნული დროშის — რედ.) ... რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლელად დაცვისათვის — არამცთუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის ზურგზედ სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია, — იმის ... უკადრისად ხსენებას, არ ვიცით, რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებში შევრიცხოთ. (VIII, 12).

58(1194). (ეროვნული ინტერესებიდან მომდინარე ესა თუ ის — რედ.) ... დევი დედააზრი, ერთხელ გაღვიძებული, ერთხელ დაძრული, იმოდენად ძლიერია, რომ მის მიერ უკან დახევა შეუძლებელია... (IX, 84).

59(1195). ერს ერთი სული, ერთი გული აქვს, ხოლო ხორცი იმდენი, რამდენიც ცალკე ადამიანია. (III, 375).

60(1196). ერს რომ გზა შეუკრან წარმატებისა, — რაც გინდ პატარა, ერი იყოს — არავისათვის არც მოსაწონია, არც გამოსაყენებელი. (VIII. 158).

61(1197). ... ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი ჰსურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისათვის საჭიროა ზნეობის ამაღლება და გაწმენდა. ამაზედ უნდა მიიქცეს მთელი ღონე ერის გულ-შემატკივარის კაცისა. („ივერია", № 74, 1887, 1).

62(1198). ...ერს შეხვდება ხოლმე დრო, როცა თუნდ მონასტრებისა და ტაძრების შენებით — წყურვილს სულისას იკლავს ხოლმე. ეს საპატიო წყურვილია, იმიტომ რომ სათაეე წარმატებისა ეს წყურვილია და სხვა არა-რა. (IV, 67).

63(1199). ვინ იცის, — იქნებ იაპონიამ პირველი მესვეურობა გაუწიოს აზიას ევროპის ცივილიზაციის ზემოქმედების ქვეშ წარსამატებლად და განთიადმა განათლებისამ თავისი სხივოსანი შუქი პირველად იქიდამ მოჰფინოს მთელს აზიასაცა. ამბობენ, იაპონელი ამისათვის არც ნიჭს არის მოკლებული და არც უნარსაო. (IX, 116).

64(1200). ვინც უნდა იყოს, გლეხი, თავადი, ერი თუ ბერი, ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელის ერის ნამოქმედარია, და იგი მამა-პაპა, რომელსაც თავისი სახელი ისტორიაში ასე თუ ისე მოუქცევია, ყველას მამა-პაპაა საერთოდ და განუყოფელად. (IV, 196).

65(1201). ვისაც გული აცრუებული აქვს თავის ვინაობაზედ, თავისიანობაზედ, ვისაც თავისი უარ-უყვია, გულიდამ ამოულია, დავიწყებას მიუცია, ის სხვისას ვერ შეითვისებს, ის სხვისას ვერ უერთგულებს. ტყუილი შრომაა, ტყუილი ცდაა. ეგ კიდევ არაფერი, რომ შრომა და ცდა ტყუილია, საქმე იმაშია, რომ ზაგ შრომით და მაგ ცდით ერთს აკლებთ და მეორეს არა ჰმატებთ. ტყუილუბრალოდ იღუპება მთელი მოზარდი თაობა, იღუპება ქვეყანა. (V, 117).

66(1202). ... ვისაც ნამყო არა აქვს, არც აწმყო აქვს, ვისაც აწმყო არა აქვს, იმას არც მომავალი აქვს. („ივერია", № 33, 1890, 1).

67(1203). ... ვიღაცამა სთქვა, ისტორიას მარტო ხასიათი ჰქმნისო. („ივერია", № 67, 1897, 2).

68(1204). თავდადებულნი ერთის სარწმუნოებისათვის, მეორისათვის თავდადებულნი ვერ იქნებიან და ნამეტანად შეურყეველ ერთგულებისანი. (VIII, 191).

69(1205). ... თვით მოქმედება ერისა ღონეა სახელმწიფოსი, როგორც საერთო სახსარი თავისით ცხოვრებისა, სხვის დაუხმარებლად და, მაშასადამე, სახელმწიფოს შეუწუხებლად. („ივერია", № 49, 1897, 2).

70(1206). თუ ადამიანს თავისი ვინაობა არარად მიაჩნია, ზაშინ იმ ადამიანში ადამიანური რაღაა? დრო გამოიცვლება. დრო მოვა, როცა თავისის ვინაობიდგან გადამდგარი კაცი ყველასაგან შერისხული იქნება, როგორც ულირსი... (IX, 146).

71(1207). თუ ბევრი მაგალითია ისტორიაში, რომ ერი სრულიად აღგვილია ლედამიწის ზურგიდამ, სიბერეს კი არ აბრალებენ... მეცნიერნი, არამედ შინაურ საქმეთა მოუწყობლობას, ურიგობას და გარეშე მიზეზებს. მაგალითებრ, მტერთაგან ძლევასა, აკლებასა და აოხრებას. დაბერება ერისა რომ მართალი იყოს, მაშინ თავის დროზედ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ერნიც სიბერეს გადაჰყვებიან, დაიხოცებიან, ამოსწყდებიან. ეს შესაძლოა მოხდეს. თუმცა ძნელად წარმოსადგენი-კია, მაგრამ, თუ მოხდა, იქ სიბერე არაფერს შუაში იქნება, იმიტომ უფრო, რომ სიბერე ერისა არამც თუ ბუნებური მოვლენაა, არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც-კი ყოვლად შეუძლებელია. (IV, 19-20).

72(1208) ... თუ ერს ქონება შეძენილი არა აქვს და მის გაძლიერების გზაზე არ სდგას, იგი ღონემიხდილი ლომია, უხორთუმო სპილოა იმ მწვავს და დაუნდობელ ომში, რომელსაც არსებობისათვის ბრძოლას ეძახიან. (VII, 40).

73(1209). ... თუ კაცს თავის ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც რაკი დედის ძუძუს მოჰშორდება, აღარ ახსოვს თავისი მშობელი და სიცოცხლის მიმნიჭებელი. (IV, 179-180).

74(1210). ... თუ რომელსამე წყობას ერთს ადგილს ჟამთა ვითარეობის გამო კვალი წაჰშლია, შეიძლება იგი კვალი აღვადგინოთ საკმაო სისრულით სხვის ისტორიის შედარებით და შესწავლით. (VI, 119).

75(1211). თუ შეუძლებელია გაერთიანება ერთა, რაღა აზრი უნდა ჰქონდეს სახელმწიფოთა გაერთიანებას. (V, 279).

76(1212). თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. (IV, 9).

77(1213). იგი დიდებულნი ნაშთნი და ნანგრევნი... (არიან — რედ.) ... უტყვნი და უტყუარნი მთხრობელნი წარსულისა. (III, 241).

78(1214). იესო ქრისტე ღარიბი იყო, თავშიშველი და ფეხშიშველი დადიოდა, ღმერთად-კი იწამა მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ. (VIII, 139).

79(1215). ისტორია გვიმტკიცებს, რომ არც ერთი იოტი წარმატებისა, არც ერთი იოტი ცხოვრების კეთილ-დღეობისა ადამიანს უბრძოლველად და უტანჯველად არ დაუპყრია. („ივერია", № 2, 1877, 6).

80(1216). ისტორია თავის გულის-ფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის. (IV, 179).

81(1217). ... ისტორია იგი დიდებული ტაძარია, სადა უწირავს ერიანი სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. (IV, 203).

82(1218). ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანავე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ. (III, 12).

83(1219). ისტორია იტყვის თავის უტყუარს სიტყვას... („ივერია", № 224, 1894, 1).

84(1220). ისტორია მარტო ამას უღაღადებს ყოველს ერს, რომ თუ გინდა ქვეყანაში ყოფნა, სხვის კალთას ნუ ეჭიდები, შენ თვითონ იმოქმედე, შენ თვითონ დაიჭირე შენი საბელი ყელისა, შენ თვითონ უპატრონე და მოუარე შენს თავსა და შენს საქმესაო.. („ივერია", № 25, 1892, 2).

85(1221). ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უვლია. (V, 176).

86(1222). ისტორია სხვა რაა, თუ არ გამორკვევა, თუ არ ახსნა აწმყოსი წარსულისაგან. (IV, 35).

87(1223). იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ იქ, საცა ერთისა და იმავე სახელმწიფოს ერნი სხვადასხვა წესით ადიდებენ ღმერთსა, ერთობა სახელმწიფოსი ვერ იხეირებსო და დაირღვევაო. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია; დაამტკიცა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვაობა სარწმუნოებისა და ერთობის კავშირს საძირკველიდამ ერთს ქვასაც ვერ გამოაცლის. მოვა დრო, და გვგონია — დიდი ხნის ლოდინიც არ მოგვინდეს, რომ ენის შესახებაც იმას იტყვიან, რასაც ახლა რჯულის შესახებ ბრძანიცა და თვალხილულნიც აძბობენ ერთხმად. (V, 81).

88(1224). იცოდეთ, ყოველი ბუნება გვართაკენ მიიზიდება.* (III, 392; VIII, 281).

89(1225). კავკასიის მართვა, საღაც ამდენი სხვა-და-სხვა ერი მკვიდრობს... მეტად ძნელია. თვითვეულის ერის ზნე-თვისება, რჯული, სვეულება, აწმყო და წარსული იმისთანა როულს საგანს შეადგენს სართეისათვის, რომ ძნელია კაცმა ადვილად გაიგნოს გზა. თუ აქ კაცი, ვიდრე თავისს განაჩენს დასდებს, ყოველ ავსა და კარგს ჯერ წინად არ გამოიძიებს, არ გამოარკვევს, გულს არ გადუხსნის გეშის მიტანით კი არა, რომელიც ყოველთვის მაცდუნებელია და არ-მისანლობი, არამედ მართალის ალმოჩენითა და თვალ წინ დაყენებით, ერის გულის-ტკენის მეტს ვერას მოიპოვებს... („ივერია", № 49, 1897, 1).

90(1226). კაცი შეურყეველად მოსავია მარტო იმ სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებს და გულში ატარებს. უამისოდ სარწმუნოება სარწმუნოება-კი არ არის, სამოსელია, რომელსაც კაცი როცა უნდა იხდის და როცა უნდა იცვამს. (VIII, 191).

91(1227). კაცს ერი პატივსა სცემს, როცა მის საერთოდ დადებულ ღვაწლს დაინახავს. („ივერია", № 38, 1879, 2).

92(1228). კერპები, რომელნიც წარმოადგენენ უხილავთა ღმერთთა — ან გამოხატულებით, ან გამოქანდაკებით, ახალს ხანას მოასწავებენ სარწმუნოების განვითარებისას და წარმატებისას და ძალიან წინ წასულია, პირველდაწყებით ბუნების რჯულს რომ შეედაროს. ადამიას დიდი და ხანგრძლივი დრო მოუნდა, დიდი წინ-წაწევა განვითარების გზაზედ, ვიდრე კერპთმსახურებამდე მიაღწევედა. (IV, 109).

93(1229). მართალია... კაცი ხვალის იმედზეა ხოლმე, მაგრამ ეგეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ ხვალე შვილია დღევანდელის დღისა და ღღევანდელი დღე შვილია გუშინდელისა. (III, 379).

94(1230). ... მეცხრამეტე საუკუნე... ნაქებია და სახელ-განთქმული მრავალ გვარ ალმონაჩენებითა, და ნაქმარ-ნამოქმედარებითა. რა არ

---

* შდრ.: ჰე. სულო! ყოველი ბუნება გუართაკენ მიიზიდვიან".

„ქილილა და დამანა" (რედ.).

შეაქმნა ამ მეცხრამეტე საუკუნემ!... მრავალ არიან საქმენი მისნი, კაცად-კაცამდე საოცარ. („ივერია", № 191, 1888,1).

95(1231). მთელი ისტორია კაცობრიობისა ყოველ-გვარს ფერო-ში, საცა-კი ადამიანს წარმატების ძლევამოსილობა მიუძღვის და არ მიუძღვის, სხვა არა არის-რა, გარდა გაუთავებელის ჭიდილისა „ჰოსა და არას" შორის. ყოველივე ჭეშმარიტება, ყოველივე საქმე, რაც კა-ცობრიობას აღმოუჩენია კაცთა ცხოვრების გულის, გონების განსაკარ-ებლად, გასაძლიერებლად, წარსამატებლად, ამ ჰოსა და არას ჭი-დილით მოუპოვებია. ჭეშმარიტების აღმოჩენას, საქმეს ცხოვრების ასე თუ ისე გაწყობისა და გარიგებისას, სხვა გზა არა აქვს ამ ერთად-ერთის გზის მეტი. (III, 301).

96(1232). მომწიფდა ჩვენში ის აზრი, რომ სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლინდეს ღონე ხორციელიც, რომ სულის, ჭკუისა და ენების გაძლიერებას მხარ-და-მხარ უნდა მოსდევდეს ქონებისა, ჯიბის გაძლიერებაცა, რომ ერი და ქვეყანა, რომელთაც ან ერთი აკლია, ან მეორე, ცალფეხა კაცსა ჰგავს, და როგორც ცალ-ფეხა კაცი შორს მანძილს საჭირო სიმალით ვერ გაივლის, ისეც ერი, ქვეყანა, ვერას გახდება, თუ თავის წარმატების საყევარში ეს ორი უღლადი, ყოვლთ-შეშძლებელი ძალ-ღონე არ ეყოლება შებმული ერთად და განუყრელად. (V. 337).

97(1233). მოსპობა რომელიმე ერის დამოუკიდებლობისა და თვი-თებისა და შერიცხვა მისი სხვა ერთა შინა, — ეგ იმას ჰნიშნავს, რომ ძალად და განზრახ აიღოს მან თავის-თავზე ხელი, დაივიწყოს თა-ვისი უწინდელი ცხოვრება, თავისი მოგონებანი, თავისი დაცემული დიდება, თავისი ინტერესები, თავისი ზნე, ენა, და ბუყველა ეს მტრის გასახარელად, მტრის სასარგებლოდ. (V, 278-279).

98(1234). მხენელ-მთესველი ერი უფრო მშვიდობიანი, საკუთრე-ბის პატივისმცემელი, უფრო მორიდებულია და თავდაჭერილი. (VI, 220).

99(1235). მხოლოდ იმას შეუძლიან თავალი გაუსწოროს და უშიშრად უცქიროს მერმისს, ვინც იცის წარსული. („ივერია", № 32, 1890,1).

100(1236). ...მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა. („ივერია", № 32, 1890,1).

101(1237). (ნებისმიერი ერის ცხოვრებაში — რედ.) აოხრება ტყეებისა და მინდვრებისა, წვა და ბუგვა სოფლებისა, დაწიოკება ხალხისა, გარდახვეწა ზარდაცემულთა მცხოვრებთა, ამის გამო წარა-მარად დაღუპვა ხალხის ქონებისა, რომლის წაღებაც თან არ შეიძლებოდა უხენელ-უთესავად დარჩომა, ბოლოს სიკვდილი და სის-

ხლის ღვრა, — ესენი სულ იმისთანა თეისების უბედურობაა, რომელიც დიდხანს გასწევს და დიდხანს იქნება საგრძნობელი. (V, 28).

102(1238). ნუთუ აწმყოში ცოცხალი წარსული საკმაო და უკეთესი მასალა არ არის, მეისტორიესათვის? (IV,40).

103(1239). ნურავინ იტყვის, რომ ამა თუ იმ ერსა ვაჭრობისა და მრეწველობის ნიჭი და ბუნება არა აქვსო. (IV, 388).

104(1240). ნურავის ნუ აეიწყდება, რომ ქრისტე-ღმერთი სდევნიდა მცემელს და ამხსნეებდა ცემულს. აი ნამდვილი ქრისტიანული ძმობა და სიყვარული ადამიანისა სად არის! („ივერია", № 72, 1897,1).

105(1241). რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი, თუ, — რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. (IV, 179).

106(1242). რა არის სიმდიდრე ერისა? ასში და ათასში ერთის ოჭროში ჯდომა, თუ ცოტად თუ ბევრად გათანასწორებული მაძღრობა ყველასი? ჩვენ უკანასკნელი გვგონია და ეგ უსანასკნელია, ჩვენის ფიქრით, ერთად-ერთი საწყაო ერის სიმდიდრისა. („ივერია", №16, 1889,1).

107(1243). რა იმისთანა დანაშაულობაა, რომ კაცმა თავისი ძმა, ტყვედმნილი, ძალით წართმეული, მოტაცებული, სულის ამოხდომაშდე მიღწეული, — იძიოს, რომ ისევ თავისთან იყოლიოს, შეივრდომოს, შეიერთოს, ძმას ძმურად მიეშველოს, შეეწიოს. (IX,147).

108(1244). ... რა რიგს შედიდურს, დიდებულს სანახაობას წარმოგვიდგენს ხოლმე ის სურათი, როცა თავ-განწირული ერი აზღვავებულია ამხედრებულია, თავისის პატიეის, თავისის ღირსების, თავისის ვინაობის და თვითების დაცვისათვის. მაშინ გულს ავიწყდება სიკვდილის მეხიც და სიცოცხლის სიტკბოებაც, მაშინ კაცი გმირია; მაშინ გული ბგერს სულგრძელებისათვის, ვაჟკაცობისათვის, პატიოსნებისათვის. საყოველდღეო ჭუჭყი საყოველდღეო ცხოერებისა შორდება კაცს და კაცი კაცად გამოდის მოედანზედ ან სახელოვანი სიკვდილისათვის, ან პატიოსანის სიცოცხლისათვის. („ივერია", № 8, 1877,1).

109(1245). რაკი ადამიანის ცხოვრებაში ერთხელ დაიძრა შემოქმედობითი ძალი, ერთს ნამოქმედს სხვა სამოქმედო საგანი ზედ მოჰყვება, ერთი მეორეს ჰშობს, მეორე მესამეს და ეგრე ვაების ხოლმე ის ფერადი ვრეხილი ცხოვრების მოძრაობისა, რომელსაც ისტორიას ეძახიან. ეგ შემოქმედებითი ძალი ცხოვრებისა შექმნის ისტორიას; უმაგისოდ ნურა ერი ნუ დაიქადებს, ისტორიის ღირსი ერი ვარო. (V, 151-152).

110(1246). რამოდენად უფრო შედიდურია, უფრო დიდებულია, როცა ერი ამხედრდება და თავსა სდებს სხვა ერის დასახსნელად,

სხვა ერის საფარველად!... აქ მარტო კერძოობითი ვრძნობა კი არ იტაცებს ადამიანის გულს, არამედ გრძნობა საერთო კაცობრიობისა, რომელსაც, როგორც ზღვას მდინარენი, ისე მიერთმევიან ხოლმე კერძოებითი ვრძნობანი ადამიანისა.

(სამართლიან, განმათავისუფლებელ — რედ.) ... ომს ეს გულის აღმტაცი, ეს ზოგადი ღვთაებრივი კაცობრიობის ვრძნობა მიუძღვის წინ. („ივერია", № 8, 1877,1).

111(1247). რამოდენადაც... დიდ-ბუნებოვანობა ხშირია რომლისაშე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლებლობის აწყვისათვის. (IV,180).

112(1248). ... რამოდენადაც დიდი მანძილია მდიდარსა და მშიერს შორის, მით უფრო მწვავია, მით უფრო მოუნელებელია, ძნელად ასატანია ერისათვის ამისთანა ყოფა. („ივერია", № 16, 1889,1).

113(1249). ... რაც გინდ ოსტატურად ამრუდო სასწორი ჭეშმარიტებისა, ადრე იქნება თუ გვიან, გამრუდებულს სასწორს თავის ლარზედ დააყენებს ლოღიკა ერისა. (VIII, 272).

114(1250). როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც ალარ ახსოვს — ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავის ისტორია არ ახსოვს. (IV, 179).

115(1251). როგორც ყველაფი ერთად და ერთს დროს დაბერება არ შეიძლება, ისეც ერისა. (III, 375).

116(1252). როგორც ცალკე ადამიანს არ ეკიჟინება, რომ თავისი სულიერი და ხორციელი სახე იქონიოს კრებულში, ისეც ცალკე ერს სახელმწიფოში. („ივერია", № 49, 1897,1).

117(1253). როგორც ცალკე კაცის გული, ისე გული ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არა ჰგავს... ამის გამო გულისთქმაც, გულის გამომეტყველებაც სულ სხვა არის ხოლმე და ყოველს ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვის, (III, 146-147).

118(1254). როდესაც ერს თავის ვინაობა ავიწყდება, როცა ის ყველაფერს, რაც მშობლიურია, რაც გვარტომობის დამამყარებელია, გულ-გრილად შესცქერის, — ამისთანა დროს ძველ მწერლობის გახსენება, ძველ მამა-პაპეულ ნანგრევთა, ნაშთა აღდგენას, განახლებას, ეროონებას დიდი, განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის; ყველა ეს ამხნევებს, თავის თვალში ამაღლებს, აკეთილშობილებს, ახალ იდეალებს აღმოუჩენს და ენერგიას უმატებს ამ გვარ ერსა. („დროება", № 242, 1880,2).

119(1255). რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია, და თუ იგი დავიეიწყეთ, მაშინ დაგვიეიწყნია ჩვენი ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი, და თუ ასეა — რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი? (IV, 202).

120(1256). რომელიც გნებავთ სახელმწიფოს ცხოვრება აიღეთ, ყველგან ერთს აუცილებელს ამბავს შეხვდებით. ხან სახელმწიფოს იმისთანა ხანა დაუდგება, რომ სარწმუნოების საგნები უპირატესს ადგილს იჭერენ ერის და სახელმწიფოს ცხოვრებაში და ეს საგნები შეიქმნება ხოლმე მიზეზად ერის განხეთქილებისა, დასებად დაყოფვისა და დასების ერთმანეთთან ბრძოლისა; მაშინ ჭკუა და გონება ერისა უპირატესად ამ საგნების წრეში ტრიალებს და მოქმედობს. ხან იმისთანა დრო და ჟამი მოდის, რომ სახელმწიფო და საქვეყნო საქმეთა გამგეობისათვის ერი მეტს მონაწილეობას პოხოულობს, პოლიტიკურ უფლებათა განფართოება უსაჭიროესს საგნად კეთდება და მაშინ იგი თავისის ჭკუის, გონების ძალ-ღონეს უპირატესად ამაზე ჰხმარობს. ხან იმისთანა ხანა დადგება ხოლმე, რომ გარემოება ცხოვრებისა ჰღაღადებს ეკონომიურ ცელილებათათვის და მაშინ საგნები ეკონომიურნი მიიზიდვენ ხოლმე მთელს ძალღონეს ერისას და ამ საგნების მოდანზე ბანაკებად დაეწყობიან ხოლმე საქმეთა მომქმედნი კაცნი, იბრძვიან და კამათობენ, ვიდრე უღონიერესი თავისას გაიტანს, ან სხვა უფრო მწვავი საგანი გაჩნდება საბრძოლველად. (IX, 223).

121(1257). როცა ერი ყოველს მოვლინებას და საქმეს მის გარშემო მომხდარს, ყოველს, ნახულს. გაგონილს და ყოფილს საზოგადო მნიშვნელობისას — გონებით დააკვირდება, ღირსსახსოვარს, ავსა თუ კარგს, — ხსოვნისათვის ანუსხავს, გულში ჩაირჩენს და სასწორზედ ხწონის ფასის დასადებლად, მაშინ პირდაპირ და უტყუარად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ იგი ერი გონებითად ჰასაკში შედის, ჭკუა, გული და ცნობიერება დასძვრია მოქმედებისათვის და ფესი შინდამ გარეთ გამოუდგამს კაცურის ცხოვრებისათვის. (V, 183).

122(1258). როცა ქვეყანა ერთს რომელსამე საერთო საქმეში გამოიჩენს... ერთ-გულობას, ერთიანობას, იმედია სხვა დროსაც, შემდეგაც, როცა უფრო საჭირო იქნება ამ გვარი ერთობა, ერთობრივი სურვილი, ერთობრივი ტვირთი, არც მაშინ დაიხევს უკან თავის სამშობლოს საბედნიეროდ, მის კეთილდღეობისათვის.

ამ გვარად შეიქმნება საუკეთესო და უკეთილშობილესი ტრადიცია საერთოდ ქვეყნის სამსახურისა და ეს ტრადიცია მოძღვრებად იქნება აღიარებული, რომლის წინააღმდეგობა, რომლის ღალატი თვით ღვთის ემობად ჩაითვლება. („ივერია", № 3, 1884,148).

123(1259). საბუთიანს, მართალს მხილებას, თუნდა მთელის ერისას, გონიერი ერი მადლობით ეპყრობა და არა რისხვითა და შფოთითა. (VIII, 101).

124(1260). საზოგადოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ერი და ქვეყანა მხოლოდ მაშინ სდგას წარმატების გზაზე, მხოლოდ მაშინ შეჰსცქერის და შეჰსტრფიალებს ბედნიერს მომავალს, როცა საერთო, საქვეყნო საქმეებში ყველა მისი მკვიდრი, ან უფრო მომეტებული წილი ქვეყნისა და ერისა მონაწილეობას იღებს ცნობიერად და გონიერად საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არავითარს საერთო საქმეს, საერთო დაწყებულებას არ მიეცემა დიდი ძალა, დიდი სიმტკიცე, თუ ან ერთი, ან მეორე შეადგენს მხოლოდ რამდენთაგე ხვედრს, რომელიმე საზოგადოების, ან ერის რომელიმე ნაწილის კუთვნილებას. („ივერია", № 3, 1884,145).

125(1261). სათავე წარმატებისა ერს თვითონ თავის საკუთარს სულიერს და ხორციელს არსებასა და აგებულებაში აქვს, თავის საკუთარს ჩვეულებასა და განწყობილებაში, თავის საკუთარს ცხოვრებასა და ისტორიულ მსვლელობაში. („ივერია", №25, 1886,1).

126(1262). ... საკუთარის წარსულისა და აწმყოს... (შესწავლისა—რედ.) ... მნიშვნელობას ვერავინ ვერ უარჰყოფს. (III, 312).

127(1263). სარწმუნოება, რომლის დიდი ნასკვი ადამიანის სულიერ წიაღშია, ორთვალა და ორგულა ვერ იქნება... იგი ერთთვალა და ერთგულაა, — თუ ასე ითქმის, ვერც თვალს და ვერც გულს ორად ვერ გაჰყოფს. (VIII, 191).

128(1264). ...სარწმუნოება საუკუნო ბინას და სადგურს უქადის ყოველს ადამიანს. (III, 242).

129(1265). სარწმუნოება სინიდისის, სასოების საქმეა და აქ ყველა თავისუფალია და ხელშეუხებელი. (VIII, 190).

130 (1266). სარწმუნოება ჭეშმარიტებაა გულისა და ორსახედ არ ჩაესახება ერთსა და იმავე გულს. როგორც ორსახე ჭეშმარიტებაა შეუძლებელი, ისე ორსახე სარწმუნოებაც. იგი ერთადერთია ერის გულში, ან სულ არ არის. (VIII, 191).

131(1267). ... სარწმუნოების საქმეში კეთილი მაგალითი ცხოვრებისა დიდი რამ არის, მაგრამ სიტყვაც არ არის ნაკლები. („ივერია", № 10, 1882, 140).

132(1268). ... საუკუნოება... რომის პაპსავით შეუცდომელი გამკითხავია, და თუ უწინდელ დიამბეგსავით დაუქრთამებელი არ არის, მაინც უანგაროა. რაც უნდა მალაყებს გადავიდეს, იგი გამკითხავი თავის უანგაროს, უტყუარს და პირმოუფერებელს მსჯავრს დასდებს. ამ მსჯავრს არც აპელაცია აქვს. არც კასაცია. (III, 370).

133(1269). საფრანგეთის დიდებული ერი ჰქმნის დიდებულ კაცთა არა მხოლოდ საფრანგეთისათვის, არამედ ყველა ერისათვის. („ცნობის ფურცელი", № 1742, 1902,1).

134(1270). საცა ... ერი თვალახილებულია, იქ დიდი მანძილი, დიდი საგზალი არა აქვს ულოღიკოდ რახუნსა და უღედაზრო საქმესა. (VIII, 271).

135(1271). ... საჭიროება ერისა ხმამაღლა ჰღაღადებს. (IX, 225).

136(1272). „სიბერე ერისა", ჩვენის ფიქრით, უქმი სიტყვა, მისი საგანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის. (IV,20).

137(1273). სირცხვილია ერისათვის,

თავის შეფე მისცეს მტერსა... (I,184).

138(1274). ... ნომეხთ ვერ დავუკარგავთ დიდს ღვაწლს, ქრისტიანობისათვის მათ მიერ დადებულსა. ქრისტიანობისათვის ბევრი რამ გაუწირავთ, ბევრი სისხლი უღვრიათ და მეტი არ იქნება ვთქვათ, რომ ქრისტიანობას ანაცვალეს მათ თითქმის მთელი თვისი ისტორია, თვისი სამეფო, თვისი მაშული, თვისი საშშობლო და ამით, თვისდა მართლადა სასახელოდ, შეინახეს თვისი რჯული, ენა და ყოველმა ამან შეანახვინა თვით მათი ვინაობაცა, მათი ეროვნული არსებობა. ვერც ისტორია და ვერც კაცობრიობა ვერ დაივიწყებს ნოეხთა ღვაწლს, ნომეხთა თავგანწირვას ქრისტიანობისათვის. (VIII, 190-191).

139(1275). ნომხებს რაც გინდ დააბრალეთ, და ორგულობას სარწმუნოებისას-კი ვერავინ შეესწამებს. პირიქით, მათ, თვისდა სასახელოდ, კარგად იციან ფასი თავისის სარწმუნოებისა და ამისათვის უღელი ყოველ გვარის უბედურებისა გულგაუტეხელად უტარებიათ და ჯვარცმულან. (VIII, 191-192).

140(1276). სხვადასხვა საეკონომიო და საპოლიტიკო თვისების მიზეზთა გამო... ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თანდათან გზა დაუთმო პირადსა, და პირადის ელემენტის გამარჯვება მთლად და უნაკლოდ გამოსახა მთელის თავისის ნასტიკობითა ფეოდალობაში, რომელმაც შეპოიტანა ბატონ-ყმობა, ესე იგი იმისთანა წყობა, რომელიც ბატონ უფლებაა უმოვალეობო, უსაზღვრო, პირობადაუდებელი, და რომელსაც სხვა საგანი არა ჰქონდა-რა, გარდა ცალკე კაცის პირადის კეთილდღეობისა. (VI, 142).

141(1277). ... სხვადასხვაობა სარწმუნოებისა სრულიად არაფერს უშლის ერთობას და ძლიერებას სახელმწიფოსას. (IX,87).

142(1278). უარ-ყოფა ეროვნულის თავისებურობისა არავის ჩაუვლის დაუსჯელად. („ივერია", № 24, 1893,1).

143(1279). უბედურობა რომელიმე ერისა, დიდი ერია თუ პატარა, სხვათა შორის — ისიც არის, როცა ერთგვარს ბეზღობას, რომელსაც

პოლიტიკურ ბეზღობას ეძახიან, დიდი ავალა მიეცემა, ფართო გზა გაუხსნება და აღვ-მიცემობის საგნად გახდება. (VIII,7).

144(1280). უმთავრესი და იქნება ერთად-ერთი გარემოება, რომლის წყალობითაც დაიღუპნენ და აღიგვენ დედამიწის ზურგითგან ბრავალნი ძლიერნი და სახელოვანნი ერნი, — იყო უთანხმოება და განსხვავება წოდებათა შორის! (IV, 376).

145(1281). ... უწარსულოდ აწმყო უფესელი ნერგია, თავ-გაუტანელი, ფეხ-მოუკიდებელი. (VII, 209).

146(1282). ქვეყანაზედ არ არის იმისთანა სულიერი, თუ ხორციელი საგანი, არ არის იმისთანა მოვლენა, რომ არა ჰქონდეს თავისი დასაწყისი, თავისი გამოვლილი გზა, თავისი აწმყო, წარმომდინარე წარსულისაგან და მაშასადამე თავისი ეგრედ-წოდებული „საბუთი ყოფნისა". დიდია თუ პატარა, სულიერია თუ უსულო ყოველი ამ აქვეყნიერობაში ექვემდებარება ამ უეჭველს და უცილობელს წყობილებას, რომელიც ყოველის საგნის მზრდელობისა და ასაკოვნების ისტორიას შეადგენს. („ივერია", №8, 1886,1).

147(1283). ... ქვეყანაზედ არ მოიპოვება იმისთანა ერი, რომ ავთან კარგიც არ იყოს მის შორის. (III, 179).

148(1284). ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავი ათას გვარ განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელისამე წოდების წინ წაწევა არაფერის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია. (VIII, 312-313).

149(1285). ... ქრისტიანობა ძმობაა და ურთიერთის სიყვარული. („ივერია", № 72, 1897,1).

150(1286). ღმერთმა იმათს (სომხების — რედ.) კაცურ-კაცობას და ადამიანურს სულთა სწრაფვას ხელი მოუმართოს ყველგან. („ივერია", № 53, 1897, 2).

151(1287). ღმერთო, დაიხსენ ყველა ქრისტიანი. (II, 232).

152(1288). (ყველა ერებს — რედ.) თავისი ქვეყანა თავისთვის უნდათ. (IX,60).

153(1289). ყოველი დიდი და საშვილი-შვილო საქმე მაშინ იქნება მტკიცე, მაშინ მოიკიდებს ფეხს, მაშინ შეადგენს შეურყეველს ძალას, როცა იმ საქმეს ეკუთვნის მთლად ერის სიმპატია, როცა მას სიხარულით შესცქერს და სიყვარულით შესტრფიალებს მთლად ქვეყანა. („ივერია", № 3, 1884, 145).

154(1290). ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე. საცა ერი პოულობს თავისის სულისა ღონეს, თვისის სულის

ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას.* (IV,9).

155(1291). ყოველი სახელმწიფო, თუნდ გვარტომობით ერთსა და იგივე ხალხით იყოს შემდგარი, მაინც, ადგილობრივის სხვადასხვაობისა გამო, ბევრს სხვადასხვა თვისების მხარესა და მხარეს წარმოგვიდგენს. ყოველს მხარეს, ყოველს ნაწილს ერთისა და იგივე სახელმწიფოსას, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს, თავისი საკუთარი გაჭირვება ადვია, თავისი საკუთარი მზრუნველობა და ფიქრი უმძიმებს გულსა, თავისი საკუთარი ნეტარება აფხიზლებს და იბირებს. (VI, 39).

156(1292). ყოველივე კაცი თავისს რჯულზე ცხონდებაო, იტყვიან ხოლმე ჩვენში და დაე ყოველი თავისს რჯულზე სცხონდეს ხორციელად სააქაოს და სულიერად საიქიოს. („ივერია", № 49, 1897,2).

157(1293). ყოველს ერს თავისი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილება, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა. (VIII, 97).

158(1294). შედარებითმა მითოლოგიამ გამოარკვია, რომ ყოველს ერს დედამიწის ზურგზედ თითქმის ერთნაირი გზა გამოუვლია სარჯულო ფილოსოფიისა, და ამ ფილოსოფიას ერთნაირი, ერთგვარი ჩვეულება მოჰყოლია, ბოლოს წესად და რიგად გადაქცეული, ყველა ერს იმისთანა ხანა ჰქონია, როცა სიკეთილი პგონებია დროებითი განსვენება, მიცვალება, მიბარება და არა სამუდამოდ მოკვდომა. ეს რწმენა კაცობრიობას დღევანდლამდე შერჩა, ხოლო სხვა სახით დღესაც გვწამს, რომ, როცა იქნება, მკვდრეთით აღვსდგებით, მეორედ მოვალთ; აქედამ იმ დროს მეორედ მოსვლას ვეძახით. (IV, 125).

159(1295)... შეურყეველი ერთგულება სხვის სარწმუნოებისა საკუთარის სარწმუნოების შერყეულა, უარყოფაა. (VIII, 191).

160(1296). ჩვენ გვესმის, და ადვილად გამოსაცნობიც არის, რისთვის გვიხარიან იესო ქრისტეს შობის დღე, გვესმის ეს დიდი დღე რისთვის არის დიდი, რისთვის არის ყოველ-წლივ სიხარულით და მილოცვით მისაგებებელი, რისთვის არის სადღესასწაულო დიდისა და პატარისათვის. ამ დღეს დაიბადა სიკეთილითა სიკვდილის დამთრგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი ქვეყნისა, ღმერთი ყოველად მოწყალებისა და ყოველად მხსნელის სიყვარულისა. ღმერთი სუგეშის-მცემელი უძლურისა და უღონისი, დაერდომილთა აღმადგე-

* შდრ. დიმიტრი ბაქრაძის გამონათქვამს: „...ყოველი ერი ისტორიით სულდგმულობს. ისტორიაა საგანძე, საცა ერი ჰპოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის გულის ბგერას, თვის ზნეობრივსა და გონებრივს აღმატებულობას, თვის ვინაობას, თვის თვისებას". („ივერია", № 32, 1890,1). (რედ.).

ნელი, სნეულთა მაურვებელი, ცოდვილთა შემწყნარებელი, მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა მეოხ-პატრონი და მწყალობელი. მან აღამაღლა ღირსება და პატივი ადამიანისა იქამდე, სადამდინაც მისდა მოსვლამდე ვერ მიმწვდარიყო ადამიანის შეშინებული გონება და გაუღვიძებელი გრძნობა. „ვითა ?ამა ზეცის იყავ შენც სრულიო“, უმოძღვრა კაცს და ამით ვვამცნო, რომ კაცი შემძლებელ არის აღსვლად ღვთაების სისრულემდე. რაოდენი დიდებაა და პატივი კაცის ბუნებისა ამ ექვსს სიტყვაში, ღვთისა ბაგეთაგან წარმოთქმულში!.. იღვაწე და ღვთის სისრულემდე შენც შეეძლიან ახვიდე და მიახწიოო. (III, 376).

161(1297). ჩვენი დრო და საუკუნე მართლაც ეროვნობის მოძრაობის დრო და საუკუნეა. (IV, 323).

162(1298). ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. (IV,9).

163(1299). ... ჩვენს ცხოვრებას ამ საუკუნეში (XIX ს. — რედ.) რომ გულამდე თვალი გავუბნიოთ, ვნახავთ, რომ იგი წარმოგვიდგენს აზრთა და მიმართულების წინსვლას, წარმატებას, მერე ისე, რომ შემდეგი წინაზე უფრო სრულია, უფრო სავსე, უფრო ვრცელი და უკეთესი. აქ ზრდაა, მატებაა აზრისა, გონების თვალთახედვის გაგანიერებაა, განდიდება, გაძლიერება, და არა ჭიდილი და ბრძოლა, რომელთაც გაბატონება, ბრძანებლობა მოსდევს ერთისა და დაჩაგვრა და ყმობა მეორისა. (III, 202).

164(1300). ... 17 ოქტომბრის (1905 წ. — რედ.) მანიფესტმა თუმცაღა აღუთქვა ხალხს რეფორმები და თავისუფლებანი, მაგრამ ეს აღთქმული სიკეთენი სინამდვილეში არაფრით არიან უზრუნველყოფილი მოქალაქეთათვის. ხსენებული მანიფესტი ცარიელ დაპირებად დარჩა და ჩვენდა საკვალალოდ, მთავრობა უფრო მომზადებული აღმოჩნდა „პოგრომებისათვის“. („კომუნისტი“, № 201, 1988, 3).

165(1301). ... ცნობა და დაფასება იმისთანა მშვიდობიანის ღვაწლისა, რომელიც ბუკითა და ნაღარით არა ჰღაღადებს ქვეყნად და ზიზილ-პიპილებით არ იმოსება, იმისი ნიშანია, რომ ერი ცოტად თუ ბევრად გონებაშია ჩავარდნილი და იმ გაგებამდე მიღწეული, რომ ამისთანა სარბიელზე დადებული ღვაწლი უფრო მის-მიერ საგრძნობელია, უფრო პატივსაცემელია, უფრო მადლობის გადასახდელია. ნიშანი ამისთანა აღმატებისა უნუგეშო არ არის. (V, 344-345).

166(1302). ... ძნელია ერის ცხოვრების შაჯის-ცემა ისე შესწყდეს, რომ არა მოქმედებდეს-რა ასე თუ ისე სახვალიოდ. (III, 237).

167(1303). წარსულმა საუკუნემ (XIX ს.—რედ.) ... ბევრი რამ შეუძინა ქვეყნიერობას. რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებულ ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მო-

იპოვა, მთელს დანარჩენს თვრამეტს საუკუნეს ერთად არ უნახავს. რა თქმა უნდა, რომ წინა საუკუნეთაც არ ემოქმედნათ, არც ეს მეცხრამეტე საუკუნე იქნებოდა ასე ნაყოფიერი, რადგანაც, რაც გინდა სთქვან, წინა საუკუნენი სთესდნენ და სახელი და დიდება მეცხრამეტე საუკუისა ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა ნათესისა, იმოდენად უხვი, რომ მოულოდნელი იყო ჩვენთა წინაპართათვის. (V, 7).

168 (1304). წარსულმა საუკუნემ (XIX ს.—რედ.) თავისის მხრით ბევრი კეთილი შესძინა ადამიანს. ხოლო საკითხავი ეს არის: დღეს უფრო ბედნიერია კაცი თუ არა, ამოდენა სიკეთით გარემოცული და ესე წარმატებულის მეცნიერებით გაღონიერებული და გაძლიერებული? არა გვგონია. მართალია, დღეს ადამიანი ერთობ, ღარიბია თუ მდიდარი,-უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერობასთან გამოხმაურება, ქვეყნიერობასთან ურთიერთობის გაწევა; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, იხურავს, უკეთ სჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის, უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს. (V, 9).

169(1305). (ჭეშმარიტი მამულიშვილის, ღირსეული—რედ.) ... კაცის დაფასება და დამსახურებულის პატივისცემა ცხადი მაგალითია, რომ ერის გონების თვალი ახილებულია. (V, 183).

170(1306). ... ხმა ერისა არის ხმა ღვთისა.* (X, 466).

171(1307). ჯერ ერთისა და იმავე თესლის კაცი მთიული და ბარელი აიღეთ და ამათშიაც, ხასიათს შიხედვით თუ ზნეს, თვალსაჩინო განსხვავებას იპოვით, და რაღა ითქმის იმ კაცებზედ, რომელნიც სულ სხვადასხვა თესლისანი არიან და სხვადასხვა ქვეყნის შვილნი. თუ ესეა, რაღა გვეთქმის ერის ისტორიასა, საოჯახო და საზოგადოებრივს წყობილებაზედ, და ერთობ იმ რთულ და მრავალგვართა ხილულთა და არა-ხილულთა ძალთა ყოვლად ძლიერ ზედმოქმედებაზედ, რომელნიც შეუნიდანვე ჰქმნიან ხასიათსა და ზნე-ჩვეულებასა ერთისა თუ მეორე ერისას. (III, 124-125).

172(1308). ... в ней (ისტორიაში—რედ.) ничего безсмысленнаго никогда не существовало подолгу... („Новое обозрение", № 2022, 1889,1).

173(1309). Конечно найдутся на свете люди, находящие излишним считаться с истинами христианского уче-

---

* შდრ.: „ხმა ღვთისა და ხმა ერისა".
ქართული ხალხური გამოთქმა (რედ.).

ния, но это вовсе не к лицу и чадам православной веры, которая только потому и православна что почитает и славословит Бога во всем том на чем виден истинный перст Его и в чем проявилась Его Святая воля. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II, თბ., 1969, გვ. 237).

174(1310). Маленькая древняя Греция... удивляет мир величием своих произведений ума и чувства. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II, თბ., 1969, გვ. 237, 242).

175(1311). Маленкий Еврейский народ дал миру спасителя* и величайших учителей и проповедников христианства. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II, თბ., 1969, გვ. 237).

176(1312). Нет православия вне учения, что все исходит от бога и все возвращается к Нему. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II, თბ., 1969, გვ. 237).

---

* ეს ფრაზა იხ. აგრეთვე: „ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული, II, თბ., 1969, გვ. 242 (რედ.).

ბუნების, კანონზომიერების, აუცილებლობისა და ჭეშმარიტების შესახებ

1(1313). ათი-ათასჯერ არაფერი მაინც არაფერია. (III, 14).

2(1314). ... ამ წუთისსოფელში ყველაფერი ცვალებადია და, მაშასადამე, მოსალოდნელი. (IX, 181).

3(1315). არა, ბუნებაში ღმერთს არ შეუქმნია მაღალი და მდაბალი საგანი, ყოველი საგანი მაღალია თვის კვალობაზე და ერთნაირად მოგვითხრობს იმ დიდ სულზედ, რომელიც აცხოვრებს მთელს ქვეყანასა. (III, 446).

4(1316). „არარაისგან არ იქნების არარაიცა",* თუნდა რა ძალღონის ნიჭიც შეეჭიდოს. (III, 116).

5(1317). ... არასფერი ქვეყანაზედ არც იმით დაიწუნება, რომ ძველია, არც იმით მოიწონება, რომ ახალია. ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, არც მეტის-მეტი გონების გახსნილობა, რომ კაცმა ახალი ტალახი ძველს ვარდს არ ამჯობინოს მარტო იმის გამო, რომ ტალახი ახალია და ვარდი-კი ძველი. (III, 292).

6(1318). არაფერია ამ ქვეყნად მუდმივი ცვლილებების მეტი. („ივერია", № 201, 1894,2).

7(1319). ერთის ბრძენისა არ იყოს, ქვეყანაზედ ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმენ, და ზოგიც იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. (III, 217).

8(1320). არიან ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც არსად მარტო არა ხარ... (II, 22).

9(1321). ... ბუნება... ოსტატია. (II, 315).

---

* შდრ.: „არარაისგან არაფერი (ექს ნიჰილო ნიჰილ) — ლუკრეციუსის თქმა, ცნობილი გახდა უფრო პერსიუსის სატირიდან (2.III,84): „არარაისგან არ გაჩნდება არარაიცა, და ვერც არარად ვერ იქცევა არარაობა"; აქვს შექსპირსაც". (იხ.: ა. გელოვანი, „სიბრძნის სიმფონია". თბ., 1989, გვ. 412). ზემოთ მოტანილი შეგონება („არარაისგან არ იქნების არარაიცა"), ი. ჭავჭავაძეს სწორედ შექსპირის „მეფე ლირიდან" აქვს თარგმნილი (იხ. აგრეთვე: V, 57). (რედ.).

10(1322). ... ბუნების დიდნი მოვლენანი უმეცნო კაცისათვის გაუგებარნი არიან (IV,116).

11(1323). განა ყოველი საგანი თვის კვალობაზედ არ არის მაღალი, მაღალ ღვთაებრიობის სიბრძნის გამომთქმელი? (III, 446).

12(1324). დედამიწის სარკე ზეცა არის, ის გადიცემს ხოლმე წუთისოფლის საქმესა... (II,67).

13(1325). დეე, რაც საქნელია, იქმნას. (II, 284).

14(1326). დიდებული რამ არის ეგ მყინვარი, აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდად მაქვს და დედამიწა ქალამნადო... მყინვარი!... დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი. მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათბობს,— ერთის სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. (II,20).

15(1327). ვინც ... ჯერ თითონ სწავლობს, სხვას ვერას ასწავლის. („ქუთაისი", № 4, 1969,3).

16(1328). თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა... მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია — როგორც უკვდავება და ჩუმია — როგორც განცხრომა. (II,21).

17(1329). თითონ ჩხრეკა, და კვლევა ეჭვისაგან მოიცილინება, თორემ უეჭველს რაღა ჩხრეკა და კვლევა უნდა? (IV, 158).

18(1330). თქმულა — ნაყოფისაგანო
ხე იგი საცნაურია.*

19(1331). კანს ნუ ენდობით, უჩხრიკეთ
ღვიძლი ჭეშმარიტს წერასა. (I, 115).

20(1332). მართალია, სიყმაწვილე არავის შერჩენია. (II, 503).

21(1333). მე მგონია, რომ ქვეყანაზედ დიდთან პატარაც არ გაჩენილიყო, ქვეყნიერობის მშვენიერებას და სავსებას ბევრი რამ დააკლდებოდა და თვით შემოქმედობის სიბრძნეზედაც ეჭვს შეეიტანდით.

ნუ თუ ქვეყანა მით უფრო მშვენიერ, მდიდარ და სავსე არ არის, რომ დიდს, უშველებელს მუხასთან პატარა მდელოზედ პატარა იაცა ჰყვავის თავის საკუთარი ფერითა და სურნელებითა, ანუ თვალ-ვადუწვდენელ ზღვისა და ოკეანეს ტალღების გრიალთან ისმის ნელი ჩუხჩუხი და კამკამი პატარა წყაროსიცა. („დროება", № 260, 1884,1).

---

* შდრ.: „...ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს" („წმინდა სახარება და საქმე მოციქულთა", ტფ., 1879, გვ. 22; „ივერია", № 28, 1886, 4). ამ ბიბლიური შეგონების კიდევ ერთი ილიასეული ვარინტი („...ნაყოფისაგან მისისა ხე იგი საცნაურია"), იხ.: „ივერია", № 191, 1888, 1, ხოლო მეორე ვარიანტი („ნაყოფისაგან იცნობება ხე იგიო"), იხ.: VI, 74. როგორც ჩანს, ქართული ხალხური ანდაზა: „ხე ნაყოფით იცნობებაო", სწორედ ხსენებული ბიბლიური აფორიზმიდან უნდა იყოს წარმომდგარი. (რედ.).

22(1334). (მზეა — რედ.) ... ქვეყნის მაცხოვრებელი მნათობი. (III, 446).

23(1335). მთა და ბარი ვის გაუსწორებია?* (II, 149).

24(1336). მიყვარს, ბუნებავ, შენი დაწყობილობა, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე. (II, 22).

25(1337). ...მოწმად მოიყავს იმისთანა უტუარი. იმისთანა დაუქრთამავი მოწმე, როგორც ბუნებაა და თვალად დასანახავი გარემოება. (IX,293).

26(1338). მტკიცე, სამართლიანი — რედ.) ... საბუთი, რაც გინდ დამალო, დღესა თუ ხვალე გამომჟღავნდება და თავისას გაიტანს. (VIII, 108).

27(1339). ... მუხას მისდგომიან, ეაშლი რატომ არ გასხიაო. იმიტომ, ბატონებო, რომ ყველას თავისი ბუნება აქვს და თავის ბუნების მიხედვით მოქმედობს. (V, 240).

28(1340). ნათქვამია, ხე ხილისაგან, ხილი ხისგან იცნობებაო.** („ივერია", №78, 1897,1).

29(1341). ნუ აჩქარდები, ყველაფერი თავის დროზედ უნდა. (II, 63).

30(1342). რა თქმა უნდა, რომ ყოველსფერს თავისი საზღვარი აქვს („ივერია", № 23, 1888,1).

31(1343). რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიჟრაჟო! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ! (II, 23).

32(1344). რა საგანსაც, რა მოვლენასაც-კი, კაცთა ხელიდამ, თუ გონებიდამ გამოსულს გულში ჩაპხედავთ, დაინახავთ, რომ ჰო-არაობის ჭიდილსა და ქარცეცხლშია გამოტარებული. მართალია, გამარჯვება ერთისა თუ მეორისა, ჰოსი თუ არასი, ყოველთვის არა ჰნიშნავს ჭეშმარიტების გამარჯვებასა, მაგრამ მაინც ჰოსა და არას ჭიდილია ერთად-ერთი გზა ჭეშმარიტების აღმოჩენისა და პოვნისა. (III, 301-302).

33(1345). რა საჭიროა მეტად გაგრძელება სიტყვისა მასზედ თუ, რა უბედურება მოსდევს ტყეების ხელაღებით კაფვასა და რა კეთილი— მათს გაფრთხილებასა. (V, 306).

34(1346). რაც გინდ ბლომად ნულები გაამწკრივოთ, მაინც ნული გამოვა... (VI, 279).

35(1347). რაც მოსახდენია, მოხდეს! (X, 207).

---

* შდრ.: „მთა და ბარი არავის გაუსწორებიაო".
ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

** შდრ. არჩილის გამონათქვამს: „ხე ხილისგან, ხილი ხისგან — ნათქვამია — იცნობება". როგორც ჩანს, პოეტ მეფესაც ეს აფორიზმი ძველი დამწერლობიდან აქვს აღებული. (რედ.).

36(1348). როგორც ურემი სწორედ ვერ გაივლის, თუ ცალ-მხრივ ვააწევინე ხარსა, ისეც ძიება და კვლევა ჭეშმარიტებისა, ცალ-კერძ ტარებული და ვანზიდული. (III, 302).

37(1349.) (როდესაც სიცრუე ხატებაა და განსახოვნება სიბრძნისა, მაშინ — რედ.) ესეთი სიცრუე არამც თუ ცოდვაა, ასე სამართლიანად სახიზღარი კაცთ ურთიერთობაში... არამედ მადლია, რომლითაც ასე გამოჩენილნი არიან ეზოპე, ლაფონტენი, გრიმმები-ძმანი, ანდერსენი, კრილოვი, საბა ორბელიანი და სხვანი, ამ სახით მქადაგებელნი სიბრძნისა და ჭეშმარიტებისა. (III,408).

38(1350). როცა ამბობენ, ესა და ეს ქვეყანა მდიდარი არისო, ამით იმისი თქმა არ უნდათ, რომ ვითომ იმ ქვეყნის ერია მდიდარი, იმიტომ, რომ შესაძლოა ერი მდიდარი იყოს და ამ სიმდიდრეში თვითონ ქვეყანას, როგორ მომცემს ადგილს, არავითარი მონაწილეობა არა ჰქონდეს სიმწირის გამო. სიმდიდრეს ქვეყნისას შეადგენს ის ძალ-ღონე ჰავისა და მიწისა, რომელიც შესაძლოდა ჰხდის მოცემის მრავალგვარიანობას, და რამოდენადაც ეს მრავალგვარიანობა დიდია, იმდენად მდიდარია ქვეყანა. (VII, 164).

39(1351). (სად გაგონილა — რედ.) ... ცეცხლისა და წყლის ერთად შეყრა... (IX, 198).

40(1352). სადაც სახელია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს. (III,34).

41(1353). სათითაოდ ყველას ერთნაირი დანიშნულება არა აქვს, სათითაოდ ყველას რაიმე დანიშნულება კი უსათუოდ აქვს. (IV, 246).

42(1354). სახლი უსაძირკვლოდ ვერ დაიდგმის. (V, 47).

43(1355). სენს წამალს ვერ უპოვნის კაცი, თუ მიზეზი არ იცის, საიდამ და როგორ წარმოსდგა სენი და არსება მისი რაშია. („ივერია", №7, 1886,1).

44(1356). სიბერეს... წამალი არა აქვს. სიბერე დროთა-ბრუნვის „ისპოლნიტელნი ლისტია". (III, 371).

45(1357). ... სიპ ქვაზედაც რომ წვეთი მუდამ, დაუყოვნებლივ სწვეთდეს, იმასაც გაარღვევს. (III, 468).

46(1358). ... სწორე გზის პოვნა და შასზე სვლა ნახევრად გამარჯვებაა. (VII, 9).

47(1359). ტყუილად-კი არ არის ნათქვამი ერთის მეცნიერის ბრძნისაგან, რომ ცდომისაკენ ათასი გზა მიდისო და ჭეშმარიტებისკენ-კი მარტო ერთად-ერთიო. ეს ერთად-ერთი გზა პოსა და არის ადპირისპირებაა. (III, 302).

48(1360). ... უდროოდ რა იქნება? (II, 77).

49(1361). ... უეჭველია თუ საგანი არ არის, არც სიტყვა იქმნება იმის გამოსახატავად; თუ აღმოჩნდა საგანი — საჭირო არის სიტყვაცა,

რომლის შემწეობითაც ის უნდა გამოითქვას. („საქართველოს მოამბე", № 5, 1863, 9(87).

50(1362). ... უმიზეზო ქვეყანაზე არა არის-რა. (IX,300).

51(1363). ფილოსოფია და პოეზია სრულებით არ არიან... კაცის სულიერის მხარის მეტყველების განკიდურებანი და დამრღვეველნი ერთმანეთისა, ორივეს ერთი და იგივე წყარო აქვს, ერთი და იგივე საფუძველი — ჭეშმარიტება. („ლიტერატურის მატიანე", წიგ. 1-2, თბ., 1940, გვ. 486; საქართველოს გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, №11660, ფურც. 1743).

52(1364). ქვეყნიერობაზედ ბევრი იმისთანა საგნებიც არის, რომელთ ვითარებაც ცხადია, როგორც ორჯერ-ორი — ოთხი. აქ საუბრის გაბმა და ერთმანეთთან ლაპარაკი, საგნის ვითარების გაღატრიალ-გადმოტრიალება, წაღმა-უკუღმა თრევა და წეწვა. მეტი ბარგია. ამისთანაებზე ლაპარაკი სულგრძელობაა იმის მხრით, ვინც იძულებულია ეჩიჩინოს მეორეს, რომ ორჯერ-ორი ოთხიაო, და იმის მხრით-კი, ვინც ამ ჩიჩინისათვის ვისმე იძულებულ ჰყოფს, მეტისმეტი სიბრიყვეა და გონების დაბნელობა. (VIII, 278).

53(1365). ღვთის ნებას ვერავინ წაუვა. (II,368).

54(1366). ...ღმერთს აგრე გაუწენია, დიდი და პატარაობა ყველგან უნდა იყოს. (II, 159).

55(1367). ყველას ღვთის ნებაზეა, ვენაცვალე იმის მადლს, სიკვდილი და სიცოცხლე ორივ იმის ხელშია. უიმის-ნებოდ არა მოსდება ქვეყანაზედ. (II, 471).

56(1368). ყველას დრო სდომებია!.. (II, 77).

57(1369). ყველას თავისი ადგილი აქვს. („ივერია", № 88, 1889, 1).

58(1370). ყველას თავისი დრო აქვს, თავისი ჟამი, თავისი გარემოება და მიზეზი, და ამაებს თავზედ ვერავინ ვერ გადაახტება, იმიტომ რომ ამ ქვეყნიერობაზედ არაფერი ჰნდება, არაფერი იბადება საკუთარი. სისრულით და დამთავრებით. (VIII, 276).

59(1371). ყველას თავისი მიზეზი აქვს. (VII, 122).

60(1372). ყველას თავისი საზღვარი აქვს და თავისი მიზეზი. (III, 120).

61(1373). ყველაფერს თავისი ასაკი აქვს ზრდისა, წარმატებისა და დამთავრებისა და ეს ხშირად ავიწყდებათ წარამარად მოლაქლაქეთა, რომელთაც ჰგონიათ, რომ რაკი მამალსავით ჰყიოიან და ბოთვერასავით იყეფებიან, სოფელი თავის-თავად უეცრად აშენდებაო.* (VIII, 276).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ყეფითა და ყივილით სოფელი არ აშენდებაო" (რედ.).

62(1374). ყოველ ნიეთს თავისი ფასა აქვს, ასეც უნდა იყოს! (X,209).

63(1375). (ყოველ საგანს ან ცალკე საკითხს — რედ.) საჭირია... ერთი უტყუარი სათავე მოვუპოვოთ და იქიდამ წარმოვიდგინოთ ყოველიეე მსჯელობა. (VI, 185).

64(1376). ყოველივე ჭეშმარიტება, ყოველიეე საქმე, რაც კაცობრიობას აღმოუჩენია კაცთა ცხოვრების გულის, გონების განსაკარგებლად. გასაძლიერებლად. წარსამატებლად... ჰოსა და არას ჭიდილით მოუპოვებია. ჭეშმარიტების აღმოჩენას, საქმეს ცხოერების ასე თუ ისე განწყობისა და გარიგებისა, სხვა გზა არა აქვს ამ ერთად-ერთის გზის მეტი. (III, 301).

65(1377). ყოველისფერი თავის ადგილას არის კარგი. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული. ცხრა ტომად, IV, 310).

66(1378). ყოვლად შეუწყნარებლად, დაუნდობლად და წინ-დაუხედავად კაფვა ტყეებისა დიდს უბედურებას შეგვამთხვევს. (V, 306).

67(1379). ჩვენ ვიცით, რომ რაც კი რამ არის დაარსებული ქვეყანაზედ — ყოველისფერს აქვს თავისი კანონი და მიზეზი; უკანონოდ და უმიზეზოდ არაფერი არც გაჩენილა და არც გაჩნდება. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 329).

68(1380). ჩვენთან იქნება მარად წმინდა ჭეშმარიტება. (X, 189, 540).

69(1381). ჩვენი წიგნი დედამიწაა, ვენაცვალე იმის მადლს! როცა დედამიწას მწვანე ხავერდსავით ჯეჯილის ყდა გადაეკვრება, მაშინ იმაზედა ვკითხულობთ ჩვენს ბედსაცა. (II, 50).

70(1382). ცამდინ მიღწეულ ამაყ მთებშია
საუნჯე ბევრი კაცს ემალება! (1, 315).

71(1383). ცარიელს ქვევრს რასაც ჩაჰსძახებ, ის უნდა ამოიძახოს.* მეტი გზა არ არის. ეგ ბუნებური კანონია და მაშასადამე უცილო და უდავო. („ივერია", № 10, 1882, 132).

72(1384). (ჭეშმარიტების დასადგენად, სავსებით უნდა ვენდოთ — რედ.) იმისთანა მართალს და მიუდგომელ მოწმეს, როგორც ადგილმდებარეობაა და ბუნება, რომელიც თავის-დღეში არა სტყუიან. (IX, 297).

73(1385). (ჭეშმარიტების დასადგენად, უპირველეს — რედ.). ... მოწმად მოვიყვან თითონ ბუნებას და თვალთა სანახავს გარემოებას, რომელნიც ყოველთვის ან ყოველ ჟამს უტყუარნი არიან. (IX, 295).

74(1386). за нами всегда будет истина святая! („თბილისი", № 274, 1983, 3).

---

* შდრ.: „ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო". ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

75(1387). каждая вещь имеет свою цену. И прекрасно! (X, 426).

76(1388). Лучше знать печальную истину, чем отрадную ложь. Кажется, не ошибаюсь. (X, 425).

77(1389). пусть что будет, то будеть! (X, 425).

78(1390). Хотя апельсин и желтого цвета, но из этого, конечно, не следует, что бронза, будучи вдвое желтее апельсина, имеет вдвое больше оснований называться апельсином. („Тифлисский вестник", № 115, 1876, 2).

6. თავისუფლების, თავგანწირვის, რევოლუციის, პროლეტარიატის, გონიერი სიფრთხილის, ფუვიდობიანობის, ჯანმრთელობის, ომიანობისა და სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ

1(1391). აი, დალახვრა ღმერთმა სიბერე! (II, 228).

2(1392). ამოწვდილს ხმალსა მტრისასა,
წინ მიაგებე ფარიო:
დროზედ ნახმარი ფარიცა
იგივე ხმალი არიო. (I, !06).

3(1393). გამარჯვება წინააღმდეგობის გარეშე გამარჯვება არ არისო, ასე ამბობენ მხედართმთავრები. (X, 229).

4(1394). გაფრთხილდი ... სასაცილოდ არ გაიხადო თავი. (II, 233).

5(1395). გონიერი და წინდახედული დასაწყისი წამლობისა საჭიროა ყოველთვის და ყოველ ჟამს, რაკი სატკივარი შენიშნულია და ცნობილი. (VI, 222).

6(1396). დაბერებიდამ ერთი ფეხის გადადგმა-ღაა სიკვდილამდე, და რაკი ამაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან თითონ სიბერე თავის-თავად მწარეზე უმწარესი არ არის განა? (III, 379).

7(1397). დედის-ერთა შვილის დაკარგვა ძნელია. (II, 325).

8(1398). დღევანდელ მოძრაობას (1905 წლის გაზაფხულზე საქართველოში აზვირთებულ გლეხთა მოძრაობას — რედ.) თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს, და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხესიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდამ გავტეხოთ. ამას თხოულობს, არამც თუ სიკეთე და ბედნიერება ჩვენის ქვეყნისა საერთოდ, არამედ გლეხკაცობისაც საკუთრივ. (IX, 280-281).

9(1399). დღევანდელი ამბავი (1905 წლის გაზაფხულზე რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა საქართველოში — რედ.) დიდმიზეზიანი საგანია, დიდად გასაფხიზლებელი, დიდფათერაკიანი. აქ საქმე იმაში კი არ არის, ვინ უფრო შორს გადახტება. ამ დღევანდელს ამბავს ღიდის გულდადებით და ღრმად უნდა ჩაუკვირდეს ადამიანი, მთელი

სიგრძე-სიგანე გაუზომოს, თავით ბოლომდე თვალწინ დაიყენოს. (IX, 280).

10(1400). დღეანდელი დღე (რუსეთის პირველი რევოლუციის დამდეგს საქართველოში აზვირთებული გლეხთა გამოსელები — რედ.) ისეთი ცეცხლმოსაკიდებელი რამ არის, რომ ძნელია კაცმა თავი დაიჭიროს და მისს ამბებს გეერდი აუაროს, რაკი სიტყვა მოიტანს. (IX, 281).

11(1401). ... დღეანდელი მოძრაობა სოფლისა (1905 წლის გაზაფხულიდან განვითარებული გლეხთა რევოლუციური მოძრაობა — რედ.) ცეცხლსავით მოედო მთელს საქართველოს და ყველა ნებით თუ უნებლიეთ თან წაიყოლია. (IX, 280).

12(1402). (დღენი სიცოცხლისანი — რედ.) ...ბით უფრო ძნელი გასამეტებელია, რომ ჩვენდა დაუკითხავად მიდის და აღარ ბრუნდება უკან. (III, 377-378).

13(1403). დღეს ისეთი დღეა, რომ თვითეულს სიტყვას დიდის სიფრთხილით უნდა მოვექცეთ, და ვიდრე სხვისა თქმულს ბეჭდვით საჯაროდ განვიმეორებდეთ, ავწონ-დავწონოთ, რა თქმულა და როგორ თქმულა. (IX, 265-266).

14(1404). დღეს ყოველიფერი შეწირული აქვს მარტო გონების გახსნას და დავიწყებულია, რომ ადამიანს, ჭკვა-გონების გარდა, გულიცა აქვს, რომელსაც კაი-კაცობისათვის ისეთივე წურთვნა და გახსნა უნდა, როგორც ცოდნისათვის ჭკვა-გონებასა; დავიწყებულია, რომ კაცს ტანი და აგებულობაცა აქვს, რომელიც წურთვნითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანიანდეს, გამაგრდეს. (IV, 313-314).

15(1405). ეგ (თავისუფლებაზე — რედ.) სიმღერაა ვით ლოცვა ტკბილი!...* (I, 141).

16(1406). ეგრეთაც კაცი ძლიერი ჰქრება,
რა ეწვევა მას სიკვდილი-მტერი;
მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება
ერთი მუჭა-ღა გამხმარი მტვერი. (I, 5).

17(1407). ერთაშორისო დაუნდობლობა, ომი და სისხლის ღვრა, რომ კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობის სულის შემხუთავი და დამღუპავია, ეს დიდი ხანია შეგნებული აქვსთ მეცნიერებისა და მწერლობის წარმომადგენელთ. იმისდა მიუხედავად, რომ ეგ აზრი მეტად ადვილი გასაგებია, მთელი ევროპა იმას ცდილობს, რომ საომრად მოემზადოს; ამ განზრახვით ევროპის სახელმწიფონი არაკითარს სარჯსა და საშუალებას არა ჰზოგავენ... (IX, 55).

---

* ამ ტაეპის პირველი ვარიანტია: „ის სიმღერაა ლოცვებზედ ტკბილი!...“ (I, 313. 367). (რედ.).

18(1408). ეხლანდელ დროში, როცა ასე გამწვავებულია საქმე წოდებათა შორის, ყოველივე ამბავი და ნაამბობი ათასჯერ ასაწონია, ათასჯერ გასაზომი და ერთხელ ძლივად დასაჯერებელი. (IX, 274).

19(1409). ვერაფერი მშვიდობიანობაა, თუკი კაცი იძულებულია ხელი ხმელზედ ევლოს დღემუდამ და ისე ჰპატრონობდეს თავის-თავსა (IX, 50).

20(1410). ვინც მოჰკვდა, თავსა მოუკვდაო, იტყვიან ხოლმე გლეხები. (II, 325).

21(1411). ვის დაუშრია წყალი იმიტომ, რომ ზოგიერთს გაუფრთხილებელ კაცს არჩობს! აქედამ მარტო ერთი გონიერი დარიგება გამოდის: წინ დაუხედავად, გაუფრთხილებლად, წყალში ნუ შესტოპავს. (VII. 378).

22(1412). (თავისუფლად და ნორმალურად ცხოვრების სურვილი — რედ.) ... ბუნებითვე თან-დაყოლილი აქვს ყოველს სულიერს და ნურავინ იფიქრებს, რომ იგი სურვილი ოდესმე ხმას არ ამოიღებს და თავისს დროზე სულთა-მხუთავსავით კარზე არ მიადგება შემგინებელს თავისის მკაცრის და სამართლიანის განაჩენითა. („ივერია", № 53, 1897, 2).

23(1413). თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნათესაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა. (I, 151-152, 329).

24(1414). თავისუფლების მშოვნელი
ამ ქვეყნად მარტო თოფია,
შინ ულლით გაქნილს მშვიდობას
ომში სისხლის ღვრა სჯობია! (I, 154, 330, 459, 479).

25(1415). თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელას ყველასა. (I, 154; „ივერია", № 279, 1904, 2).

26(1416). თვით ხარ (თავისუფლებავ — რედ.) იეფი, — შოვნა შენი
რად არის ძნელი,
თვით მშვიდობა ხარ, — სისხლს რადა ღვრის შენი მძებ-
(ნელი!
რად არ შენდება უსისხლოდ ვერსად ტაძარი
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი? (I, 329).

27(1417). (იმ ხალხს — რედ.) რომელსაც საცხოვრებლად თვისი მარჯვენაღა აქვს და სხვა არაფერი პროლეტარიატს ეძახიან. (IX, 78).

28(1418). ისა სჯობიან, გვიან იყოს და კარგი, ვიდრე მალე და ვიი იცის როგორი. (X, 301).

29(1419). ისევ სჯობია კაცი განსაცდელის ხედვაში შესცდეს, ოღონდ მოერიდოს-კი (X, 144, 526, 569, 573).

30(1420). ისეთი დრო დადგა, რომ ბევრი რამ უნდა ვითმინოთ, ბევრს რასმეს ისე უნდა აუაროთ გვერდი, თითქო არა ვხედავდეთ. (X, 164).

31(1421). კბენასაც, როგორც ვატყობ, ჭკვა სდომებია. (II, 564).

32(1422). (მარად უნდა გვახსოვდეს, რომ — რედ.) რაცა გვაქვს და რაც ხელიდამ გამოგვივა, ტყუილუბრალოდ არა ვფლანგოთ, სიფრთხილით და დიდის წინდახედვით გამოვიყენოთ იქ, საცა უფრო საჭიროა ფეხის მაგრად დადგომისათვის და წელში გამართვისათვის. (IV, 388).

33(1423). მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება

ძუნწი ცხოვრება ეს დასაღონი,
მაგრამ აქ ყველა გვიადვილდება,
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!.. (I, 162, 484).

34(1424). მეწყინა ძალიან ფრანცუზების დამარცხება, მაგრამ რა გაეწყობა.* (X, 257).

35(1425). მინამ კაცი საქმეს ხელს მოჰკიდებს, სახტომი უნდა გასინჯოს და იცოდინოს!. („ივერია", № 22, 1897, 3).

36(1426). მკვდარი ყველა თანაბარია!.. (II, 309).

37(1427). მოძრაობაა უდიდესი სიამოვნება ახლად ფეხადგმულის სიცოცხლისა. როგორც სიცოცხლეს ხორცისას ეს მოსდევს, ისეც სიცოცხლეს სულისას, როცა სულს დრო მოუვა, ფეხის-ადგომისა, ნამეტნავად პირველ ხანში. (III, 139).

38(1428). მშვიდობიანობა, მოცალეობა არის მიწა, რომელზედაც ამოვა ხოლმე მეცნიერების, სწავლის, ლიტერატურის ხე და ნაყოფი. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 331).

39(1429). მხოლოდ მშვიდობიანობის დროს შეიძლება მწერლობაცა. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 332).

40(1430). ნეტა რა სანატრელია სიბერე? სიბერე ყველა ჭირზედ უფრო ძნელი ჭირია. სხვა ჭირი ან მოვა, ან არა, სათუო საქმეა. სიბერეს კი სად გაექცევა ადამიანი? დღეს იქნება თუ ხვალე უსათუოდ მოცოცდება თავისთავად და ჩვენდა დაუკითხავად იასაულად ჩაგვიდგება ტანში. ვერც ვერავინ გადაუდგება წინ, ვერც ვერავინ გადაურჩება. (III, 371).

41(1431). ომი სისხლის ღვრაა, ომი უბედურებაა, ომი დამთქმელია ადამიანის სიცოცხლისა, ადამიანის ღვაწლისა, მონაგარისა. გული სწუხს და იტანჯება როცა ეს აგონდება. („ივერია", № 8, 1877, 1).

---

* ჩვენი აზრით, ი. ჭავჭავაძე აქ გულისხმობს პარიზის კომუნის (18. III-28. V. 1871 წ.) დაცემას. (რედ.).

42(1432). რა უგრძნო რამ არის სიკვდილი. (X, 13).

43(1433). როდემდის უნდა ჩვენ არ ესცნობდეთ სიცოცხლის ფასსა? როდემდის არ ესცემთ ღვთიურს ნიჭსა ღირსსა თაყვანსა? მის ყოველ წუთსა სიფრთხილითა რატომ არ ეხარჯავთ და ‘ის აქ ყოფნაᲡ ამოებად რისთვისა ვსახავთ? (I, 21).

44(1434). სატკივარი არას უზამს კაცს, თუ მიზეზი თავისს დროზე გაუგო. (V, 343-344).

45(1435). საქმე დღეგრძელობაა... სხვა ყველა ადვილად დასათმობია და ადვილად ასატანიც. (X, 387).

46(1436). საცა არ სჯობს, გაცლა სჯობსო,*
ბრძენთაგანა ასე თქმულა. (I, 198).

47(1437). საცა მოძრაობაა, იქ სიცოცხლეც არის. (III, 291).

48(1438). სახტომს ჯერ გასინჯვა უნდა. („ივერია“, № 216, 1893, 2).

49(1439). სიბერე, ბატონებო, რაც გინდა სთქვით, სენია, და სენიტკბილი იყოს, თუნდა მწარე, ორივ ღმერთმა დასწყეველოს. სხვისა არ ვიცი და მე-კი ღმერთმა თავის-დღეში ნუ დამაბეროს. ღმერთმა ცხოველმყოფელი სიჭაბუკე არ მომაკლოს, არ მომიშალოს, ვინემ პირში სული მიდგა... (III, 373).

50(1440) (სიკვდილიც — რედ.) ... კაცსავით კეთილი ყოფილა: როცა გიჭირს, მაშინ გემალება. (II, 37).

51(1441). სისუფთავე, სიფაქიზეც სასიამოვნო სანახავია თვალისთვის. („ივერია“, № 200, 1886, 3).

52(1442). სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადულდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმენდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ. (II, 11).

53(1443). სიფრთხილე და მოფიქრება თავი და თავი საბუთია გამარჯვებისა. („ივერია“, № 67, 1889, 1).

54(1444). სიფრთხილე ყველგან კარგია... („ივერია“, № 38, 1897, 2).

55(1445). ...სიფრთხილეს მაინც თავი არ ასტკივაო, ნათქვამია.** (V, 354).

56(1446). სიფრთხილით... წინდახედულობით... სიწმინდით და სიფაქიზით უნდა გამოდიოდეს კაცი საზოგადო საქმეთა სარბიელზე სა-

---

* შდრ. ქართულ ხალხურ გამოთქმას: „საცა არა სჯობს გაცლა სჯობს, კარგსა მამაცისაგან“. (იხ. აგრეთვე: VII, 468; „ივერია“, № 261, 1898. 2). (რედ.).

** შდრ.: „სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო“.
ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

მიქმედოდ, რომ თვით პირგახეულმა ჭორმა და ნამუსზედ ხელაღებულ-მა მტრობამ ვერა იპოვოს-რა ხელის მოსაჭიდებელი. აქ მცირეოდენი ეჭვიც საკმარისია, რომ ჭორმა და მითქმა-მოთქმამ თავისი საზარელი და დაუნდობელი ქსელი გააბას. რაცგინდ კაცი მართალი იყოს, და ამით პირქვე დაამხოს არამცთუ ღირსება ადამიანისა, თვით იგი საქმეცა, რომლის სამსახურად კაცი მოედანს გამოსულა. (VII, 441-442).

57(1447). სიჩქარით, შენი ჭირიმე, თქვენც კარგად მოგეხსენება, სოფელი არაკის მოუჭამია.* (II, 331).

58(1448). სიცოცხლე სნეულთათვის წვალება არი. (I, 150).

59(1449). სიცოცხლე არაკის მოსჭარბდება. მეც დიდი ბნით სიცოცხლე მინდა თქვენთვისაც და ჩემთვისაცა. (III, 373).

60(1450). სხვა ყველა გაცემული ისევ ხელახლად მოიხვეჭება და სიცოცხლის წარსულსი დღენი-კი აღარა. (III, 378).

61(1451). სჯობს ცოტა გვიან იყოს და კარგად, ვიდრე ჩქარა და ცუდად. (VI, 117).

62(1452). ტირილით ნაშობი სიცილით უნდა კვდებოდესო. (II, 260).

63(1453). უეჭველი იმედი გამარჯვებისა მეტად სამაცდურო რამ არის და ამ მაცდურებას ძნელად თუ გაუძლებდა იგი, ვისაც საომრად ხელი უკიდია ხმალზე, და დღე მუდამ საამისოდ მზადებაშია და აბრკოლებს მხოლოდ მოპირდაპირის თანასწორი ღონე და შემძლებლობა. („ეერია", № 261, 1898,1).

64(1454). ქვეყანას ვერავინ ვერ შეაბერდება. (II, 471).

65(1455). ღმერთმა იმიტომ მოგვცა გრძნობები, რომ იმითი ჩვენი სიცოცხლე გავითბოთ, რომ მისთვის ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ. ეს ბრძოლა, როგორც უნდა დასრულდეს, მაინც ადამიანისათვის ღირსების მიმნიჭველია და თვით დამარცხების დროსაც სასახელოა. (X, 229).

66(1456). ყველა სიკვდილის შვილია... (IX, 204).

67(1457). ყველას, მცირეა, თუ დიდი, თავისუფალი გზა უნდა ჰქონდეს... იმ ნიჭით, იმ უნარით, იმ მადლით ემსახუროს სახელმწიფოს, რაც ღმერთს უმოწყალებია როგორც დიდისა, ისეც პატარისათვის... (VIII, 159).

68(1458). ყოველთვის უნდა გახსოვდეთ დღე აღსასრულისა, რათა უფრო გონიერად იცხოვროთ. („ეერია", № 142, 1894, 2).

69(1459). ყოველი ორგანებური არსება, მცენარეა თუ ცხოველი, დიდად დამოკიდებულია საჭმლის აეკარვიანობასა და მეტ-ნაკლებობაზე. თუ საჭმელი არ უვარგა, ან ნაკლები აქვს, თითონ არსებაც მჭლეა,

---

* შდრ.: „აჩქარებითა სოფელი არაკის მოუჭამიაო".
ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

ულონი, უძლური. მჭლე, ულონო და უძლური არსება წინათვე განმზადებულია სენისთვის, ადვილად შეიყრის ყოველგვარს სენსა, ადვილად ეაეწაგვრინება, ადვილად დაიძლევა, რადგანაც, როგორც მთელი აგებულება, ისეც ყოველივე ცალკე ასო იმოდენად დაუძლურებული აქვს, რომ სენთან ბრძოლისათვის სენის მოსარევად არაქათი არა აქვს. თუნდ რომ სენიც არ იყოს, ულონო მცენარე დიდსა და ბევრს ნაყოფს ვერ გამოიღებს, გამოსავალი არა აქვს. (VII, 173).

70(1460). ყოველს სასმელს, თუ საჭმელს, ყოველთ უწინარეს უპირველესი ღირსება უნდა ჰქონდეს, რომ აგებულებისათვის მარგებელი იყოს და მაინცდამაინც მაწყინარი არა. (VII, 82).

71(1461). შეუძლებელის დევნაში შესაძლებელიც ხელიდამ არ გამოგვეცალოს! („ივერია", № 9, 1883, 122).

72(1462). ჩემის აზრით... გადაჭარბებული სიფრთხილე სჯობია წინ დაუხედავს სითამამესა. (X, 123).

73(1463). ძილი სიჯანსაღეა.*(X, 188).

74(1464). ძმანო! სიცოცხლეს ნუ მოჰკლავთ ცდაში. (I, 23).

75(1465). ძმანო! შინ უღლით სიცოცხლეს,
ომში სიკვდილი სჯობია! („ივერია", № 277, 1904, 3; I, 459).

76(1466). წინა-კაცსა უკანა მომდევარი იმისთვის უყურებს, რომ ვინიცობაა, წინამ ფეხი წამოჰკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს. (III, 12).

77(1467). წინასწარ სჯას ისევ მოცდა სჯობია. („ივერია", № 200, 1886, 3).

78(1468). (წინდახედული კაცი — რედ.) ისე არ წაადგება სახტომს, რომ ჯერ ათასჯერ არ გადაზომოს და სახტომი თავისს ღონეს არ შეუწონოს. (IX, 137).

79(1469). (ჭეშმარიტი განათლებული თავისუფლება — რედ.) მარტო მაღალ ზნეობის გზას უხსნის... (III, 135).

80(1470). ... ჭეშმარიტი თავისუფლება... ბოროტისათვის რკინის ბორკილია. (III, 135).

81(1471). ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა
ჰფიქრობს, —
და ეგ ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება!..
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება!** (I, 151, 324, 364).

---

* ეს გამოთქმა („ძილი სიჯანსაღეაო") სომხური ანდაზაა. (რედ.).

** ეს სტროფი იხ. აგრეთვე: I, გვ. LXXII. (რედ.).

82(1472). ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურებაც ზედ მოსდევს... (III, 78).

83(1473). ჯანმრთელობა უდიდესი მადლია, რომელსაც-კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე თვისთა რჩეულთა. (IV, 314).

84(1474). ჰო და არა, რაც კი თქმულა სიკვდილის თაობაზე, რომ სასწორზე დაიდვას, არა მგონია ისე თვალსაჩინოდ გადიხაროს ან ჰოსა და ან არასკენ, რომ ამ გადახრამ დაარწმუნოს ვინმე... (სიკვდილით დასჯის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ — რედ.). (X, 465).

85(1475). **История возникновения** пролетариата есть не что иное, как история капитализма. Последний не может существовать, не может развиваться, не порождая пролетариата. („მნათობი", № 5, 1962, 162).

86(1476). Победа без препятствий не есть победа, так полководцы говорят (X, 441).

87(1477). эта борьба (იგულისხმება თავისუფალი ცხოვრებისათვის ბრძოლა — რედ.), чем бы не покончилась, — все-таки будет достойна человека, все-таки будет слава в самом поражении. (X, 441).

ავკარგიანობისა და ცოდვა-მადლის შესახებ

1(1478). ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო „პურითა ერთითა ცოცხალ არს". მართალია, მშიერი დიდს მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტის ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. (V, 342).

2(1479). ... ადამიანის უბედურება დღემდე იმაში ყოფილა და დღესაც იმაშია, რომ ვერ მიუგნია, რა არის ცოდვა და რა არის მადლი? რას ჰქვიან კეთილი და რას ბოროტი? (V, 327).

3(1480). ავ-კარგიანობა, ტყუილ-მართლობა არც ახალს ახლობით მიეწებება, არც ძველს ძველობით. (III, 295).

4(1481). ავი და კარგი ყველგან არის და, ვისაც ეს ავიწყდება, ის დიდ მანძილს ვერ გაირბენს მწერლობაში. (III, 189).

5(1482). ავკარგიანობა ახალშიაც არის და ძველშიაც.* (III, 294).

6(1483). ამ პატარა გულში რამოდენა ცოდეა და მადლი ტრიალებს. (II, 231).

7(1484). (ამ ქვეყნად — რედ.) კეთილს და მადლს თავისი პატივი ჰქონია; ხალხის გულამდე კეთილს და მადლს თავისი გზა არ დაჰკარგვია; ცილისწამებას, მტრობას ის გზა ვერ გადულობია და ვერ შეუკრავს. („ივერია", № 3, 1879, 138).

8(1485). ... ამპარტავნობა, ცუდმედიდობა ერთი მომაკვდინებელი ცოდვათაგანი არის... (VIII, 274).

9(1486). არ-ცოდნა არ-ცოდვაო, ნათქვამია.** (III, 334).

10(1487). ბოროტის უქმნელობა კი არ იზიდავს, კი არ გამსჭვალავს ადამიანის გულს, არამედ ქმნა მადლისა. (IV, 225).

11(1488). ბუნება ადამიანისა — ქართველია თუ გარმიანელი — ავ-კარგიანობით არის სავსე და ქვეყანაზე არ არის იმისთანა ერი, რომ მიწყული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი. (III, 189).

12(1489). (განკითხვის დღეს — რედ.) მხოლოდ ის არის საჭირო, რომ კაცმა თავისი ცოდვები ჩამოთვალოს და სთქვას: ვინანიო. რაკი ეგრეა, ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს ქრისტიანული წესი აღას-

---

* იგულისხმება ახალი და ძველი დროება. ხანა. (რედ.).

** ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანეკდოტია. (რედ.).

რულის და დრო სინანულისა ტყუილ-უბრალოდ არ გააქარწყლოს. (V, 326).

13(1490). გებრალებოდეს, ნუ ჰრისხავ
კაცს შენზედ შურით მწდომსაო!...
აეთილი ფარად უფარე
შენთვის ბოროტის მდომსაო,
მადლისა წყაროს ასმევდე
ცოდვის გუბეში მდგომსაო. (I, 107-108).

14(1491). გული მადლია, და მადლი მარტო ორს შუა ჰსაქმობს. ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოჰხდეს, იმიტომ, რომ მადლი ერთისაგან გაწირვაა და მეორისგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს. თუ ან გამწირველი არ არის ან შემწირველი, მადლიც არ არის, მაშასადამე, გულიცა. თუ ორნი არ არიან, გულმა რისთვის ამოციქულოს ან ენა, ან თვალი, ან ყური. (II, 313-314).

15(1492). და ან იქ რა ჰქმნას თვით წმინდათ-წმინდამ,
სად ცოდვას მადლი დაუძლევია? (I, 111).

16(1493). დაილოცა ღვთის სამართალი!* მადლიან კაცს თან აადევნებს უბედურსა მხარის მისაცემად. (II, 67).

17(1494). დიდ-ბუნებოვანობა ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, მის-მიერ გატანილ მადლის მეტ-ნაკლებობაშია. ეგ მეტ-ნაკლებობა მადლისა არის უტყუარი საწყაო ცალკე ადამიანის, თუ მთელის ერის, კაცურ-კაცობისა, მისის შინაგან სიმაგრისა, ქვაკუთხედი მისის აღმატებულობისა. (V, 341-342).

18(1495). დიდი ცოდვაა ადამიანს, თუნდ ცალკე პატარა ერს, ნიჭი შეუკრა, შეუბოჭო, სიკეთის ღონე შეუხუთო. არა ნაკლები ცოდვაა ერთის ღვაწლი, თუ კია სადმე, მეორეს მიაკერო და მართლად ღვაწლდამდები ჩრდილში მიაყენო და სხვისით სხვა გამოამზეო საქებ-სადიდებლად. (VIII, 159).

19(1496). ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. (II, 277-278).

20(1497). ვისაც იგი მადლი ღვთისა არა აქვს, რომ სხვის სიხარულით გაიხაროს, სხვის სიხარულს ვერც შეამცნევს, ვერც აღიბეჭდავს. ნუ გგონიათ, რომ იგი წმინდა მადლი სხვისი სიხარულით გახარებისა და, მაშასადამე, სხვის მწუხარებით მწუხარებისა, ცოტა რამ იყოს. იგია პირველი ნიშანი დიდ-ბუნებოვანობისა, დიდკაცობისა და მარტო რჩეულთა ამა ქვეყნისათა მაგ მადლს ღმერთი კურთხევით უწყალობებს ხოლმე. (IV, 249-250).

---

* ეს გამოთქმა იხ. აგრეთვე: II, 159. (რედ.).

21(1498). ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლს და ბუმბულსავით სუბუქია. (II, 278).

22(1499). თუ მადლსაც ჩვენს გულში ადგილი აღარა აქვს, თუ ჩვენში ძმას ძმის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს, როცა... უეცარი ჭირი და უბედურება ეწვევა, — რით-ღა უნდა სულდგმულობდეს საზოგადოება, რა ფესვზედ-ღა უნდა ამოვიდეს და იხარის ცხოვრებამ ერისამ, რა ზამინები და თავ-ხეები-ღა უშველის, რომ ერის თავ-შესაფარი შენობა არ წამოიქცეს და დიდი და პატარა თან არ გაიტანოს. („ივერია", №263, 1895, 1).

23(1500). თურმე დიდებას მადლისას კაცი მსწრაფლ დაუმონია, ვით დიდს ბორიტს, ისეც დიდს მადლს თავისი ზარი ჰქონია. (I, 196).

24(1501). თურმე კაი კაცს თავისი გულივე მადლს უხდის. (II, 57).

25(1502). იგი საიდუმლოება ერთ-გვარის მადლისა, რომელსაც ზეგარდმო-შთაგონება ჰქვიან... თვით ცოდვილს სიცრუესაც კი მადლს აქმნევინებს ხოლმე და ყურმოჭრილ მსახურად უხდის სიბრძნესა. (III, 409).

26(1503). ის ღვთის მადლი, რომელიც ყოველ კაცს თავდაპირველადვე ჩაგვსახებია, ჩვენთვის დაკარგულია, თუ სიკეთე არ მოვაგებინეთ. (II, 65).

27(1504). ისევ ის სჯობია, ლუკმა გავარდეს და ჯამში ჩავარდეს, ვიდრე სიხარბით პირდაღებულ ვაჭარს პირი გაუვსოს.* (VII, 228).

28(1505). კაცის ცოდვაში ნუ დგები ღმერთი ყველაფერსა ხედავს, სულს ნუ წაიწყმედ. (II, 424).

29(1506). კაცის-კვლა, რაც უნდა იყოს, მაინც ცოდვაა, შენი ჭირიმე! (II, 113).

30(1507). კაცს რაკი ღვთის მადლი ჩაესახება გულში, მდიდარია თუ ღარიბი, მაინც მადლის გზაზე წავა. (II, 47).

31(1508). კეთილი და ბოროტი, ცოდვა და მადლი მარტო ადამიანის გულისხმის საქმეა. უტყვის ბუნების წინაშე არ არსებობს ეგ განსხვავება... ადამიანის გარეთ ცოდვა და მადლი არ არის... (V, 327-328).

32(1509). მადლი არის კრებული იმა კეთილთა, რომელიც შეადგენს ზნეობურს განძს, როგორც თვითეულ ადამიანისას, ისეც მთელის ერისას, და ეგ განძია იგი კლდე. რომელზედაც შენდება ციხე-სიმაგრე ერის ცხოვრებისა, ერის აწმყოსი, ერის მერმისისა. (V, 342).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ლუკმა გავარდეს. ჯამში ჩავარდესო". (რედ.).

33(1510). მადლი და ადამიანობა იგი ხელთ უქმნელი ბურჯია, რომელზედაც ყოველი ერი თავისის ბედნიერების და მერმისის ციხე-სიმაგრეს აშენებს ზოლმე. გამოაცალეთ ეს ბურჯი და შენობას დარღვევისაგან არა დაიხსნის-რა. („ივერია", № 263, 1895, 1-2).

34(1511). მადლი და მისი საქებური მატარებელი ადამიანობა თუ აღარ იქმნება, აღარც ურთიერთობაა, აღარც გულ-მტკივნეულობაა, ერთის სიტყვით, არაფერი იმისთანა, რითაც ადამიანი პირუტყვისაგან ასეთის თავ-მოწონებით ირჩევა. („ივერია", № 263, 1895, 1).

35(1512). მადლი სიბრალულისა დედაა ყველა სხვა მადლისა. ადამიანის გულს ამან უნდა აწოვოს თავისი ძუძუ... (II, 482).

36(1513). მადლი სუბუქია და ცოდო მძიმე... (II, 277).

37(1514). მადლი ჰქენ.. (II, 101).

38(1515). მადლმა სთქვა: წუთის-სოფელში
ყოფნა ვაი რა ძნელია!
ძალი ჰძალოვნობს, ჰბატონობს,
მე გული გადამელია;
საცა კი შევხვდი, დამძლია,
ვერ შევუბრუნე ხელია...
მართალი უთქვამთ, ვინცა სთქვა:
„ძალა აღმართის მხვნელია".* (I, 108).

39(1516). მადლს თავისს სათნოების დიდებისთანას სხვას უკეთესს და უტურფესს ამხანაგსა და თანამგზავრს ვერ უშოვით, და დიდებას სათნოებისთანას. (IV, 269).

40(1517). მადლსაც სიმართლისას, პატიოსნებისას, სიყვარულისას, ნუგეშცემისას, ერთმანეთის განკითხვისას, შეწყნარებისას, შენდობისას. — დასაბამად. სათავედ სიბრალულის მადლი აქვს. თუ გებრალება, უსამართლობას ვერ უზამ; თუ გებრალება, უნამუსოდ ვერ მოქცევი; თუ გებრალება, გეყვარება კიდეც; თუ გებრალება, ნუგეშსაცა სცემ, თუ გებრალება, გულით წმინდით განიკითხავ; თუ გებრალება, შეიწყნარებ; თუ გებრალება, შეუნდობ. (II, 481-482).

41(1518). მარტო გულწმინდად მიცემული ნუგეში, მარტო გულწმინდად გზად და ხიდად გადებული სიყვარულია იგი უზენაესი მადლი, რომელიც კაცს აღიყვანს „მაღალსა მას მთასა წმინდასა, სადა ჰვალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას". (VIII, 186).

42(1519). მარტო მადლის-მყოფელის წინაშე ადამიანი უნებლიედ იხრის თავს, იყრის მუხლსა და განცეიფრებული მეტყველებს სიტყვით თუ უსიტყვოდ ქებასა და დიდებასა. (IV, 225).

---

* შდრ.: „ძალა აღმართსა ხნავსო".
ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

43(1520). მდაბიოთა ცხოვრებაშიაც არის ადამიანური გულთა-თქმა... ამ მდაბიოთა გული იგივ ზღვაა, საცა თუ არ მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის ვლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლხინისა, ძულებისა და სიყვარულისა.. ამ მდაბიოთაცა აქვთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები, ოღონდ კი კაცს მადლი ჰქონდეს ამაების დანახვისა, ამაების გამოხატვისა. (III, 229-230).

44(1521). მეც მქონია ყრმობას სხვათაებრ ბევრი ცოდვები. (I, 346).

45(1522). მწიკვლი და ცოდვა სხვისაგან გამომცხვარის პურის ჭამაა, სხვისა ოფლის სმაა, და ვისაც ეს ანდერძად და მცნებად გულში ჩაუწერია, იმან შეინანოს ეს ცოდვა, იმან ჩამოირეცხოს ეს მწიკვლი. (VIII, 139).

46(1523). ნადირობა ცოდვაა: ყოველი სულიერი ღვთის დანაბადია, ყველას აქვს თანასწორი ნება ამ თვალუწდომელ ქვეყანაში ცხოვრებისა, მაგრამ რა გაეწყობა?.. ტყუილად კი არ გვარწმუნებს ჩვენი საღმრთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო ქვეყანაზედ კაცმა კაცისა დაანთხიაო. (II, 31).

47(1524). ნუ ჰცრუობ... კაცი, ცოდვაა!.. (II, 53).

48(1525). რა მადლია ქვეყანაზე, რომ ყველა სხვა მადლი იქიდან გამოდიოდეს, როგორც სხივები მზისაგან? მწამს და ვაღიარებ, რომ ამისთანა მადლი — მადლია სიბრალულისა. (II, 481).

49(1526). ... რადგანაც ადამიანი ყველგან ადამიანია, მაშასადამე, რაც ერთგან და ერთისათვის ცოდვაა და ბოროტი, მეორესათვისაც ცოდვა და ბოროტი უნდა იყოს ყველგან, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში. (V, 322).

50(1527). „რომ მე მართლა-და ჭეშმარიტად ბედნიერი ვიყო, საჭიროა ყველა სხვა სულიერნიც ბედნიერნი იყვნენო" — ამბობს ერთი მეცნიერი. მადლის მოედანი და სარბიელი ეს არის. (IV, 226).

51(1528). სანანებელი ცოდვაა და არ-სანანებელი მადლიაო. (V, 326).

52(1529). (საყოვლთაო ბედნიერებისათვის — რედ.) დიდის ხიდის გადებაა საჭირო... ეს ისეთი ძნელი გასადები ხიდია, ეს ისეთი მძიმე და ეკლიანი გზაა, რომ თვითოეული ბიჯი ღვაწლია და მსხვერპლი, და რადგანაც ღვაწლია, რადგანაც მსხვერპლია, ამიტომაც ძადლია, და რადგანაც მადლია, ამიტომაც გულთა მიმზიდველია, გამმსჭვალავია ვაოცებამდე, გაკვირვებამდე. (IV, 226).

53(1530). საწყალის ხალხის ცოდვითა
ქვანიც კი ატირდებიან. (I, 186).

54(1531). სიღარიბე მწიკვლი არ არის, ცოდვა არ არის. (VIII, 139).

55(1532). სულზედა დიდი ცოდვა უნდა ედვას დედასა,
რომ შვილი ამ დროს (ომიანობისას — რედ.) არ გაჰგზავნის ძმათა საშველად... (I, 153).

56(1533). ტყუილი ცოდვაა... (II, 363).

57(1534). უუწმინდესო მადლო სიბრალულისავ, გიცან შენ!.. (II, 482).

58(1535). უწყალოდ ყოფნა უბედურად დარჩენილისა სწორედ ულმობელობაა, გულქვაობაა, ცოცხალ-ბკვდრად დამარხვაა უდანაშაულო და უცოდველის ადამიანისა. (VIII, 344).

59(1536). ჩუქება, რაც უნდა იყოს, ყოველთვის კარგი რამ არის ხოლმე, ნამეტნავად დაჩუქრებულისათვის. (V,67).

60(1537). ცოდვა ის არის, ჩემო ძმაო, როცა შვილი დედის ჭირნასულს ყვავილებს არ გამოატანინებს, როცა დრო მოუვა. (II, 72).

61(1538). ... ცოდვა კაცსა სდევნის დღე-და-ღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი. (I, 206).

62(1539). ცოდვას ნუ აიღებ... კისერზედ. (II, 103).

63(1540). ცოდვას ცოდვის სახელი უნდა ერქვას, მაგრამ მადლიან ადამიანი ადამიანს ისე მოექცეს, რომ უბედურება დაუნელოს, სიმწარე დაუტკბოს, უნუგეშოს ნუგეში მიაწოდოს და მაინცადამაინც ცოდვილი იქამდე არ მიიყვანოს, რომ იძულებული ჰქმნას... თავი მოიკლას... (VIII, 346).

64(1541). წყლული ძირიდამ, შიგნიდამ უნდა იყოს გამთელებული და მორჩენილი. მადლი ამასა აქვს და მორჩენაც ამასა ჰქვიან, თორემ გარედამ შველა უქმის კაცისათვის — იგივ ხავსია წყალწაღებულისათვის.* (VIII, 327).

65(1542). ჭეშმარიტი კაცობა არ-ქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ქონაა მადლისა. IV, 225).

66(1543). (ხშირად ხდება ხოლმე, რომ — რედ.) რაც გუშინ ცოდვად აღიარებულა, დღეს ის მადლად მიგვაჩნია, რაც ერთს ქვეყანაში მადლად ჩაეთვლება ადამიანს, ის მეორეში ცოდვაა. რაც ერთს შემთხვევაში ცოდვაა მომაკვდინებელი, ის სახელოვანი საქმეა მეორეში. (V, 327).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო". (რედ.).

8. ავტორიტეტების, გენიოსების, გმირების, მხატვრული სიტყვის თვალსაჩინო წარმომადგენლების, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეებისა და პროგრესულად მოაზროვნე დიდგუნებოვან პირთა შესახებ

1(1544). აბა შეხედეთ სხვა ქვეყნებს, ერთი იმისთანა სახელოვანი კაცი არა ჰყოლიათ, რომ მის სახსოვრად ძეგლი არ ჰქონდეთ აღმართული? რისთვის? სულ იმისათვის, რომ დიდმა თუ პატარამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალ-წინ იყოლიოს და მის მიბაძვას ეცადოს. (IV, 203).

2(1545). ადამიანთა სასახელოდ, ბევრნი ყოფილან სიმართლისათვის წამებულნი ქვეყანაზე და ამიტომაც არიან წმიდათა შორის შერიცხულნი. ხოლო ეს ყველას ვერ მოეთხოვება, ყველას არა აქვს დიდებული უნარი სიმართლისათვის ჯვარს ეცვას. ამისთანა ბუნებისანი იშვიათნი არიან. შესწირე თავი მართალს, დეე გლანძღონ და გათრიონ, დეე მოგიწამლონ სიცოცხლე, ჩაგიმწარონ წუთისოფლის დღენი, ადვილი სათქმელია და ძნელი საქმნელი. („ივერია", № 29, 1898, 2).

3(1546). ადამიანს რომ ამ ჭირ-ვაგლახიანს ქვეყანაზედ ნუგეშად და სასიხარულოდ ამისთანა კაცები (ქველმოქმედი და ჰუმანური — რედ.) არა ჰყვანდეს, — ეს ცხოვრება ცხოვრებად არ ეღირებოდა და დიდება და სახელიც ადამიანობისა ცარიელი ფართი-ფურთობა იქნებოდა. ამისთანა კაცებით ჰშვენის ქვეყანა და ქვეყანასთან ერთად კერძო ღვთისა — ადამიანიცა. („ივერია", № 179, 1888, 1).

4(1547). ადვილად მისახვედრია, ადვილად გამოსაცნობია, — რათა სტირის გული, როცა მახლობელი, ან ნათესავი გვეკარგება. აქ მწუხარებას და გლოვას ადვილად გამოსარკვევი მიზეზი აქვს, როგორც ყოველს იმას, რაც კერძოობითია, რაც ცალკე ადამიანს განსაკუთრებით შეეხება. სულ სხვაა, როცა გული გვტეხს და გვიკვნესის იმისთანა კაცის გამო, რომელიც სისხლით და ხორცით შორეულია, რომელიც არც ჩვენი საკუთარი მახლობელია, არც ჩვენი საკუთარი ნათესავი. (IV, 224).

5(1548). ... ავტორიტეტები, ესე იგი, ყველასაგან ცნობილნი, სახელმოპოებულნი მეცნიერნი ყოველთვის არიან და იქნებიან და ამა-

თი თაყვანისცემა არ დაილეკა ქვეყნიერობაზედ, ვიდრე ადამიანის ჭეშმარიტს ღვაწლს, ზედმიწევნილ ცოდნას, მეცნიერებას, სიბრძნეს და ამათით მოპოებულს სახელს კაცის თვალში პატივი, ფასი და დიდება ექნება. (VI, 106).

6(1549). ავტორიტეტი მეცნიერებაში იგი კაცია, რომელსაც მის მიერ შეთვისებულს მეცნიერებაში გაუთქვამს სახელი და მოუპოვებია ნდობა იმოდენად შეურყეველად და უცილობლად, რომ ერთიც და მეორეც საკმაო თავმდებია მისის აზრის შეუცდომელობისა. (VI, 108).

7(1550). ავტორიტეტის აზრი შეუცდომელად მისაღებია იმ დრომდე, ვიდრე წინააღმდეგის საბუთი ხელთ არა გვაქვს. („ივერია", № 77, 1887, 3).

8(1551). ავტორიტეტობა იმ გავლენიან სახელოვანებასა ჰქვიან, რომელსაც ადამიანი მოიპოვებს ხოლმე დიდის სიბრძნით, დიდის გამოცდილებით, დიდის მეცნიერობით. (VI, 108).

9(1552). ავტორიტეტობა ყოველთვის იქნება მეცნიერებაშიაც და ცხოვრებაშიაც. (VI, 112).

10(1553). ამ დროს (1856-1866 წწ. — რედ.) ეკუთვნის უკეთესი ლექსები ნეკრასოვისა, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ იმ დროს ახალგაზრდობაზე რუსეთში და იქაურს გარდა ჩვენ ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობაზედაც. („ივერია", № 2. 1878, 7).

11(1554). (ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწის საქმიანობის შესახებ გამოთქმული უსაფუძვლო — რედ.) ... მითქმა-მოთქმას ჩვენ ისე ვუყურებთ, როგორც მაგალითს იმისას, თუ რა სიფრთხილით, რა წინდახედულობით, რა სიწმინდით და სიფაქიზით უნდა გამოდიოდეს კაცი საზოგადო საქმეთა სარბიელზე სამოქმედოდ, რომ თვით პირგახეულმა ჭორმა და ნამუსზედ ხელაღებულმა მტრობამ ვერა იპოვოს-რა ხელის მოსაჭიდებელი. (VII, 441-442).

12(1555). ამბობენ ცხედარზე ვილაცამ წარმოსთქვა, რომ ნეკრასოვმა კეთილ-გულობა მასწავლაო. ეს საკმაოდ კარგი გამომთქმელია ნეკრასოვის ლექსების ღირსებისა. („ივერია", № 2, 1878, 7).

13(1556). ამისთანა (დიდბუნებოვანი, ზნესრული — რედ.) კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც-კი ჰგრძნობს, თუმცა არა ჰხედავს. (IV, 226).

14(1557). არიან ქვეყნად, ჩვენდა სანუგეშოდ, იმისთანა კაცნიც, რომელნიც იმას კი არ ჰფიქრობენ როგორ და რა გზით აყლეტინონ ჩალხი, არამედ იმას, რომ როგორმე აცოცხლონ და ადღეგრძელონ.

ამისთანა კაცნი ბუკითა და ნაღარით არა ჰყვირიან, რომ ჩვენ ასეთი და ისეთები ვართო. ისინი მშვიდობიანის გულით სხედან თავის ოთხ კედელ შუა და დღე და ღამ ათიებენ იმაზედ, რომ ადამიანს მძიმე ტვირთი ცხოვრებისა შეუმსუბუქონ, დაიხსნან მრავალ გვარ ჭირისა და სე-

ნისაგან, წკალება და ტკივილი დაუამონ, სიმწარე და სიმოკლე ცხოვრებისა ცოტად თუ ბევრად გაუტკბილონ, გაუგრძელონ სიამოვნებისა და ბედნიერებისათვის. ეს ჩუმნი მუშაკნი, ადამიანის ბედნიერებისათვის თავ-მდაბლად თავ-განწირულნი და თავ-დადებულნი, უბუკ-ნაღაროდ მცხოვრებნი ქვეყანაზედ, თავის დროზედ უფრო დიდის ქებით და დიდებით მოიხსენებიან მადლობელ კაცობრიობისაგან, ვიდრე ადამიანის ჟლეტაში გამოჩენილნი ნაპოლეონები და სხვა ამისთანაები, რომელთაც დღეს ადიდებენ დიდნი და პატარანი. („ივერია", № 179, 1888, 1).

15(1558). არის ერთგვარი ავტორიტეტობა, ავტორიტეტობა უფლებისა, რომლის მნიშვნელობა უფლების მნიშვნელობაზეა დამოკიდებული. (VI, 108).

16(1559). არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგომელ დუღილშია მოუგდია ზედაპირზედა* — ამიტომაც ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდისა, თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინც დაიბადება ხოლმე მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს. (III, 57).

17(1560). აქსაკოვი მართლის თავ-გამომეტებული მოსამსახურე იყო. („ივერია", № 25, 1886, 1).

18(1561). აქსაკოვი ცხარე და ფიცხელის სიტყვის პატრონი იყო, როგორც ყოველი კაცი, რომელიც მარტო რწმენით და სიკეთის ნამეტნაობისაგან ლაპარაკობს. რწმენით მტკიცე იყო, სიტყვით მხურვალე და გულით მეტად ტკბილი, მეტად ლბილი და კაცთ-მოყვარე. („ივერია", № 25, 1886, 1).

19(1562). (ნ. ბარათაშვილის მსგავსად — რედ.) ბაირონები, ლერმონტოვებიც, მარტონი არიან და მემკვიდრეებს იშვიათად სტოვებენ, რადგანაც ტვირთი მათებრ კაცების მემკვიდრეობისა „არ არს სუბუქ". (III, 219).

20(1563). ბ-ნი არტურ ლეისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასახელოდ კისრად იდო შუა-კაცობა გაგვიწიოს ჩვენსა და ევროპის შორის, რომელმაც იტვირთა ჩვენი გულში ამონაწები სიტყვა, ჩვენის ჭკუისა და გონების საუნჯე, ჩვენი სულიერი ძალ-ღონე აცნობოს იმ ხალხთ, რომელნიც ქვეყნის წარმატების გზაზედ მეთაურინ და მეუკეურნი არიან. („დროება", № 119, 1884,3).

21(1564). ბაირონმა ბევრი ტალანტები გაიტაცა: არა პოეტს თითქმის არ დაუბადნია შბაძავნი იმოდენა, რამოდენაც დაბადა ბაირონმა ევროპაში და ნამეტნავად რუსეთში... თითონ პუშკინიც მთელ თა-

* თითქმის იგივე აზრი იხ.: III, 463. (რედ.).

ვის გენიით ვერ გადურჩა ემაგ ჭირსა... ლერმონტოვიც ჰპაძავდა ბაირონსა; მთელ მის პოეზიას ეტყობა... ბეჭედი მომხიბლავ ბაირონის გენიისა, თუმცა კი ლერმონტოვი, როგორც მბაძავი ბაირონისა, მაღლა დგას თვით პუშკინზედაც. (III,9).

22(1565). (ბაირონს — რედ.) ... ცრემლის მაგიერ მდულარე ტყვია სცვივა თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ ეპყრა შეხი. (III,10).

23(1566). ბევრს ტანჯვას და ვაი-ვაგლახს გამოივლის ახალი აზრის მქადაგებელი, ბევრს რისხვას და შეჩვენებას განიცდის, ვიდრე დაიყოლიებს საზოგადოებას და ჩააგონებს თავის საკუთარ რწმენას. (IX, 233-234).

24(1567). ... ბისმარკი ძალიან გამბედავი, მოურიდებელი და თავგამოშეტებული კაცია. („ივერია", №24, 1886,2).

25(1568). ბრძენი არც იშვებს ფრიადა,
არც დია შეწუხდებისა* (IV, 222).

26(1569). (გენიოსები — რედ.) ერთის... რამით უკვდავებას მოიპოვებენ ხოლმე. (III, 362).

27(1570). გენიოსებს სიკვდილის შემდეგ იცნობენ ხოლმეო... (VII, 17).

28(1571). (გენიოსი — რედ. ... გამოანგრევს ძველის საძირკველსა და, ახალის საძირკველში რაკი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთა მუშაკთა. (III,61).

29(1572). გმირებს, სახელოვანს კაცებს, დიდებულ მოღვაწეებს ქვეყნისას... — შემოქმედებითი ძალი ცხოვრებისა ჰბადებს. (V,151).

30(1573). გმირობა, რა სახითაც უნდა იყოს, სულის ღონეა და არა ხორცისა, და ამიტომაც გმირის სიყვარული მარტო სულითვე ღონიერს შეუძლიან. (III, 132).

31(1574). გრაფი ტოლსტოი (ლევ ნიკოლოზის ძე — რედ.), რომლის ფილოსოფიამაც დღეს ააყაყანა მთელი რუსეთი... შრომაში პპოულობს საგანს ცხოვრებისას. (IV, 239).

32(1575). გული ერისა იგივ ზესკნელი და ქვესკნელია და ამიტომაც თვალისა, ყურის და ხელის იქამდინ მიწვდენა, — ხვედრია მარტო რჩეულის კაცისა... (III, 163).

33(1576). დევს დევის ძუძუ გამოზრდის და, თუ ჩვეულებრივ ადამიანის ძუძუთი გაიზარდა, ის დევი აღარ იქნება, თუმცა კი არც ჩვეულებრივ ადამიანს ეგვანება. (III, 45).

34(1577). დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს „განდეგილს" თქვენი (მარჯორი უორდროპის — რედ.) ყურადღება მიუქცევია. სასახელოდ მიმაჩნია, რომ მოგიწადინებიათ და გადაგითარგმნიათ ინგლისურად.

---

* ი. ჭავჭავაძეს ეს სტროფი აღებული აქვს არჩილის პოეზიიდან. (რედ.).

...დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ნაწერს თქვენზე უკეთესს პატრონს და მფარველს ვერ ავუჩენდი. (X, 138-139).

35(1578). დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამტნავად ის მაგალითები რის საკუთარი ისტორიისანი არიან. (IV, 203).

36(1579). დიდ-ბუნებოვანობა კაცისა იმოდენად მაღალ-ხარისხოვანია, რამოდენადაც „არ-ცოდვის" საზღვარი უკან შორს დაუგდია და „მადლის" საზღვარს მიახლოებია. ამ-გზით წაჭარბებული მანძილი ერთად-ერთი საზომია დიდბუნებოვანის კაცისა, ესე იგი იმისთანა კაცისა, რომელსაც ყველა, დიდი თუ პატარა, თავისიანად ჰხადის, თავისიანსავით შაჰხარის, თავისიანსავით ჰგლოვობს (IV, 225-226).

37(1580). დიდი გული უნდა, რომ კაცმა (ჭეშმარიტ მამულიშვილურ სიყვარულსა და ღრმა სარწმუნოებას შორის — რედ.) .. ბრძოლა და ჭიდილი აიტანოს და ომ-გადახდილმა თავის წადილში ისევ მოათავსოს ეს ორი ერთმანეთზე ხმალამოწვდილი გრძნობა. დიდი წუთია ეს ამისთანა წუთი ადამიანის ცხოვრებაში, და მარტო რჩეულთა ამ ქვეყნისათა ეღირსებათ ხოლმე მადლი ამისთანა წუთების განცდისა და გაძლიერებისა. (III, 241-242).

38(1581). დიდი იმისათვის არის დიდი, რომ პატარაცა სწამს, ვითარცა არსება, რომელსაც ვერავინ წაართმევს ღვთიურს უფლებას ქვეყანაზე ცხოვრებისას თავისებურად, თავისის საკუთარის სურვილისა და წყურვილისამებრ. („კომუნისტი", № 74, 1981,3).

39(1582). „დიდი საქმეა მარტო უტყუარი ნიშანი თითონ მოსაქმის დიდბუნებოვანობისაო". (IV, 241).

40(1583). დიდი წამება დიდ-ბუნებოვანობის ნიშანია. როგორც დიდი ძლევა-მოსილობა, დიდი წამება იგივ დიდი გამარჯვებაა, რომელიც წილად ჰხვდება ხოლმე დიდ-ბუნებოვანს კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ-რომ თვითონაც სტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს და წამებული-კი თვით იწვის სანთელსავით და სხვას-კი უნათებს.

ამიტომაც ეკლიანი გვირგვინი წამებულისა უფრო უანგაროა, უფრო მიმზიდველია, უფრო საგულ-მტკივნეულოა და, მაშასადამე, უფრო მშვენიერი, სასახელო და სადიდებელი. მარტო ამ წამებულთა ჭლოცულობს კაცობრიობა, მარტო ამ წამებულთა აღიარებს იგი წმინდანებად და თაყვანსა სცემს ლოცვითა და კურთხევითა. („ივერია", № 9, 1888, 1-2).

41(1584). დიდმა კაცმა რომ ნეკიც გალირწოთ, მთელის ხელის მოცემად უნდა მიიღოთ. დიდის კაცის ნეკის შეხებაც დიდი მოწყალეაა. (VI, 263).

42(1585). დიდ ვენიას დიდი საზრდოც უნდა მისცეს ჩვენმა ცხოვრებამ. (III, 45).

43(1586). ... ვირზოვი ტანად დაბალი კაცია, ჭალარა-მორეული, საჭოცის წლისა იქნება, მაგრამ ისეთი ცქვიტი და ცოცხალია, ისეთი მკვირცხლი თვალები აქვს, რომ გეგონებათ — ოც-და-ათის წლის კაციაო. ეს იმისთანა კაცია, რომ მნახველს საკვეხურად უნდა ექმნას ბისი ნახვა. გარდა ამისა, რომ იგი მეცნიერობით განთქმულია, ბერლინის პარლამენტში ერთი ძლიერი მოპირდაპირეა ყოვლად-შემძლე ბისმარკისა და ამასთანავე პროგრესისტების წინამძღოლი არის. (V, 115-116).

44(1587). ზოგი იმისთანა კაცია, რომ, რაც გინდ ბევრი ისურვოთ, ვერას იტყვით, რადგანაც არა აქვს-რა ღირსი თქმისა, და ზოგი იმისთანა, რომ სათქმელი ზღვაა და ან ულონოდ ვგრძნობ თავსა — მისს თვალგადუწვდენელს კიდეებს ერთბაშად თვალი გადავაწვდინოთ მთლად და უკლებლივ, ან არ ვიცით, რომელ მხრიდან დავუწყოთ ყურება, რადგანაც ყოველ-მხრიდამ დიდებული სანახავია. (IV, 251).

45(1588). ზოგჯერ მარტო არსებობაც ღვაწლია. (III, 221).

46(1589). ... თვით ღონეც, ციხე-სიმაგრეც საზოგადო საქმისა, სწორედ ამისთანა (დიდბუნებოვან, პირუთვნელ—რედ.) კაცთა ხელშია ყველგან და ჩვენშიაც სწორედ ამათს მფარველობას უნდა მიენდოს. სხვაფრივ ხსნა საზოგადო საქმისა შეუძლებელია. (VII, 492).

47(1590). ... თუნდ ათი ათასს კაცს ხელს მოვაწერინებ, რომ დედამიწა ხარის რქაზედა სდგას და ნუ თუ ეს მცირეოდენ მცოდნე კაცისათვის საბუთია! ნუ თუ ამათი ათას კაცის ხმა უფრო მეტს იწონის, ვიდრე ერთი ხმა გალლილეისა! („ივერია", № 65, 1900,3).

48(1591). ... თქმულა: გმირის კაცისათვის.

თქმა და ქმნაო ერთი არი. (I, 189).

49(1592). იმის (ნეკრასოვის — რედ.) ლექსებში უპირველესი მხარე აზრს ეჭირა და მერე გარეგანს სილამაზესა. („ივერია", № 2, 1878,7).

50(1593). (იტალიის — რედ.) შეერთების მახლობელი განმაზორციელებელი ორი კაცი იყო: ერთი კავური და მეორე გარიბალდი. პირველი იყო ჭკუა და მეორე — ხმალი იტალიისა. (IX, 89-90).

51(1594). კარამზინი, როგორც პოეტი, არ არის პატივცემული რუსეთში, უნიჭოს ეძახიან; მის თხზულების მიმართულებაც დაწუნებულია და მხოლოდ იმისთვის სიამაყით ახსენებენ მაგის სახელსა, რომ რუსულის ენის აღდგინება მათგან დაიწყო რუსეთში და პირ-

ველად მაგან დაიმუშავა თავის ქვეყნის ისტორია. აი რა მნიშვნელობა აქვს კარამზინს რუსეთისათვის. (III, 54).

52(1595). მართალია, კაი საქმისათვის, მართალისათვის, თავ-დადება, უშიშარობა, დეე მლანძღონ, ჭუჭყი, ჩირქი მაცხონ, ჯვართმაცვანო, ოღონდ რაც მართალი მგონია, იმას ფეხი მოვაკიდებინო საზოგადოებაშიო, — დიდი სასახელო რამ არის, მაგრამ დიდს ეაჟკაცობას, დიდს სულის ღონესაც ჰთხოულობს და ყველა ეს დიდ-ბუნებოვანის კაცის საქმეა. („იერია", № 29, 1898, 2).

53(1596). (მართლად გულ-აღტკინებულ მოღვაწისათვის — რედ.) საღვაწელი აზრი სისხლ-ხორცია მისის სულიერის აგებულებისა, სულია და გული მისის კაცად-კაცობისა, მისის არსებობისა. („იერია", № 163, 1887, 1).

54(1597). მარტო გონება-მაღალს კაცს აქვს წყურვილი ცხოვრების საგნის აჩენისა და მარტო გონება-მაღალს კაცს შეუძლიან აღნიშნოს იგი საგანი მთელის თავის სიგრძე-სიგანით ისე, რომ ყოველს ჟამს წარმოდგენილი ჰქონდეს, როგორც თავისი ხელისგული, არც გადაჭარბებით, არც დაკლებულად. (IV, 238).

55(1598). ... მარტო დიდ-ბუნებოვან კაცზეა თქმული: მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ საქმობს შკვდარიო.* (IV, 256).

56(1599). ... მეცნიერება და ხელოვნება, ეგ უდიდესნი სალარონი, სადაც კაცობრიობის გენია აწყობს ხოლმე გონიერების საუნჯესა — არ არიან ყველასათვის მისაწვდომნი. მაგ სალაროში შედიან ხოლმე მხოლოდ აღმორჩეულნი პირნი, რომელნიც ყველგან ცოტანი არიან, მხოლოდ მაგათა აქვსთ იმათი კარის გასაღები, მხოლოდ ეგინი სარგებლობენ, დაისაკუთრებენ იმათ საუნჯესა მაშინ, როდესაც იმათი განმანათლებელი ხსნევები ყველასათვის საჭირონი არიან, როგორც არსებითი პური. (III, 63).

57(1600). (მეცნიერება და ხელოვნება — რედ.) ... თავის უკეთეს წარმომადგენლების ხელით გენიოსისგან ნაჩვენებ საძირკველზედ გაგაგრძობენ ხოლმე მუშაობასა, გენიოსის ახალს აზრზედა, ახსნაზედა დაამყარებენ ხოლმე შემდგომსა გაშოკვლევასა და ცნობიერების წინ წაწევასა. მაგ წარმომადგენელთაგან ცხოვრებისაგან დაბადებული ფაქტები, გენიოსის ჭკვისაგან ახსნილნი და ცნობაში მოყვანილნი, მეცნიერებისაგან მიღებულნი, როგორც კანონნი და ხელთმძღვანებელი შომაელისათვის, გადადიან დანარჩენ ხალხშიაცა. (III, 61-62).

58(1601). მზე რომ ამოდის ეარსკვლავები მაშინ არა სჩანან... (II, 74).

59(1602). მოძმეთა ხსნისთვის თავის-დადება,
წმინდა ზვედრია მხოლოდა გმირთა... (I, 142).

---

* ეს შეგონება დ. გურამიშვილისაა. (რედ.).

60 (1603). ... მოხდება, რომ ხორცით დაბერებულს სული და გული ჭაბუკისა შერჩება ხოლმე საფლავის კარამდინა. უკეთესნი და უდიდესნი კაცნი ქვეყნიერობაზედ ამისთანანი ყოფილან. (III, 374).

61(1604). მრავალკეცი და რთული პასუხისგება საზოგადო მოღვაწისა, დიდი ჭირიც არის მისთვის და დიდი ლხინიცა. ხოლო ვიდრე პასუხისგება ლხინად გადაექცევა, ჯერ ათასს უსიამოვნობას, ათასს ვაი-ვაგლახს, ათასს კიცხვას და კილეკს გამოიელის ხოლმე. იგი ამ მხრით მეიდანზედ გამოკიდებული ნიშანია და, საჭიროება ითხოვს თუ არ ითხოვს, ყველა უმიზნებს და ესვრის თავის ისარს, ზოგჯერ ტყუილუბრალო კიცხვაში ამოელებულს და მტრობის გულქვაობაზედ პირგალესილსა. ესეთი ყოფა აუცილებელია საზოგადო მოღვაწისათვის. და სწორედ აუტანელი იქნებოდა, რომ ბოლოს-დაბოლოს სამართლიანის განკითხვის იმედი არ ასულდგმარებდეს და მაგ განკითხვაში არა ჰპოულობდეს ჯილდოს გამოელილის მწუხარების სამაგიერად. იგი სამართლიანი განკითხვაა მისი ფარი, როცა ზედ მოესევიან, და მისი ხმალი, როცა თვით მიესევა. (VII, 342-343).

62(1605). მსოფლიო ფენიოსნი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომელის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან. (III, 168).

63(1606). მყინვარი დიდ გეტეს (გოეთეს-რედ.) მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა. (II, 21).

64(1607). მძლედ მობურთალნი ქვეყნიერობის მოედანზედ მარტო დიდხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთა-სრულობა, დიდ-ხასიათობა, იმისდა მიუხედავად, — ტრიალი ემარჯვეთ, თუ ეშარცხათ. (IV, 223).

65(1608). მხოლოდ დიდ-ბუნებიანთა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თავისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად ულირს, ვიდრე, საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე. (IV, 187).

66(1609). (ნაპოლეონ III-ის-რედ.) ... სიტყვა ციებ-ცხელებას დაჰმართებდა ხოლმე მთელ ევროპასა. (IX, 93).

67(1610). ნეკრასოვი იყო... ერთი გამოჩენილი მშრომელი რუსულ მწერლობაში და ჟურნალისტიკაში და თავისის ლექსებით ისეთი ადგილი ეჭირა, რომ ვერც ერთი პოეტი რუსეთისა ვერ შეედრებოდა. („ივერია", № 2, 1878,7).

68(1611). ნეკრასოვი პოეტია „ხალხის მწუხარებისა“ და იმ დროს, პატრონყმობის დროს, რასაკვირველია რომ ძლიერი გავლენა ექნებოდა მკითხველ საზოგადოებაზე. („ივერია“, № 2, 1878,7).

69(1612). ნეკრასოვის ლექსის ღირსება ეს არის, რომ შინა აზრს გარეგანი სილამაზეცა აქვს. უამისოდ იმისი ლექსები ესრეთს დიდს გავლენას ვერ მოიპოვებდნენ. („ივერია“, № 2, 1878,7).

70(1613). ნეტა რომელი კაცი იტყვის ქვეყანაზედა, რომ ნურას დაუჯერებთო... ჭკუით, ცოდნით, სიბრძნით, მეცნიერებით გამოჩენილს და მთელის ქვეყნისაგან ამ სახით ცნობილს კაცებს, და თუ დაუჯერებთ, უგუნურობა იქნებაო. მაშ ყველაფერი დავიჯეროთ ამათიო? — იკითხავთ თქვენ. დიახ, სწორედ ყველაფერი, ვიდრე წინააღმდეგის უეჭველი საბუთი ხელთ არა გაქვთ. (VI, 109).

71(1614). „ნეტავი იმასაო, — ამბობს ერთი ძველად-ძველი ბრძენი (სენეკა — რედ.), — ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწურთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო“. (IV,251).

72(1615). ნუ გგონიათ, ახალი მიმართულება ლილაბანა იყოს, რომ მაშინვე გახშირდეს და ვინც გინდათ და არ გინდათ ხელი შიგ წაურიოს. ისტორიაში არც ერთი მაგალითი არ არის, რომ ახალი მიმართულება პირველ ხანშივე ადვილად იკაფავდეს გზას. მარტო „რჩეულნი ამა ქვეყნისანი“, მარტო ცით ერთგვარ მადლცხებულნი შიუხვდებიან ხოლმე ახალ მიმართულებას, — რის მომასწავებელია და რაშია გამოსადეგი ამ არსებობისათვის ბრძოლაში. ამიტომაც ცოდვაა ამისთანა კაცებს საუკუნო სახსენებელი არ აეგოს. მეც ამისათვის ვცდილობ. (III, 418).

73(1616). ნუ თუ გგონიათ, ვითომ საკმაოა კაცი გრაფი იყოს, რომ ტოლსტოობა გასწიოს? („ივერია“, № 63, 1886,4).

74(1617). ნუთუ არა-მყვირალა საქმეში კაცი ჩაბმული და პატიოსნად მოღვაწე არ შეიძლება დიდ-ბუნებოვანი იყოს, მარტო იმიტომ, რომ თითონ საქმე მყვირალა არ არის, ჩუმია და ხმაამოუღებელი? (IV, 242).

75(1618). ნურავინ ნუ იფიქრებს... ვითომც ვენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავისი დროებისა, როგორც სხვანი. მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავისი ძლიერი მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგ-მდებარესა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავლისა... (III, 57).

76(1619). ოჰ, რა კარგი რამ არის შექსპირი. გულთამხილავს რომ იტყვიან, სწორედ ის არის. (V, 131).

77(1620). (პისარევი — რედ.) იყო მეტად ხარტე და ნიჭიერი მწერალი... (V, 92).

78(1621. პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი და სხვანი ამგვარნი მოღვაწენი რუსეთის დიდებად, სახელად ცნობილ არიან უკეთესთა რუსთაგან. მათის წყალობით და მეოხებით ევროპამ... სხვა თვალით შემოხედა რუსეთის სულიერს ძალ-ღონეს, რომლის გამომეტყველნიც იყვნენ ხსენებულნი დიდბუნებიანნი კაცნი რუსეთისანი. ამისთანა კაცნი მით არიან სახელოვანნი, რომ თუმცა სისხლით და ხორცით ერთს რომელსამე გვარტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თვისის ღვაწლით ამასთანავე გვაჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარტომი თანამოზიარე მთელის კაცობრიობისა და რაგვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან, რა განძსა და საუნჯესა სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად რჯულისა, გვარტომობისა და დიდ-პატარობისა. (III, 87).

79(1622). (პუშკინმა — რედ.) ... პირველად დაანახვა რუსეთს სიტურფე და სიტკბო რუსულის ლექსისა და სიტყვიერებისა. (V, 185).

80(1623). რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია... მომქმედი, რამოდენადაც ეს დიდ-ბუნებოვანობა ხშირია რომლისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლებლობის აწყვისათვის. (IV, 180).

81 (1624). რაც უნდა სთქვით და ამას-კი არავინ უარს არა ჰყოფს, რომ ყოველს ჩვენგანს რაღაც გაუგებარი წყურვილი აქვს თვალით ჰნახოს და ცნობის-მოყვარეობით ჰსინჯოს კაცი, რითიმე გამოჩენილი, რითიმე სახელ-განთქმული. ეს წყურვილი ისეთია, თითქო დაბადებითვე თან დაყოლილი აქვს ადამიანსა და იმოდენად ძლიერია, რომ ვერავინ წაუვა და ვერავინ გაუმაგრდება („ივერია", № 63, 1888, 1).

82(1625). („რევიზორის" — რედ.) ... დამწერი, აწ განსვენებული გოგოლი, ყოველის რუსისათვის დიდად სასიქადულო და თავმოსაწონებელი კაცია. (III, 86).

83(1626). როცა გერმანიას თავის შოწონება უნდა, პირველი ვისაც თავის სახელად ახსენებს ხოლმე გეტე (გოეთე — რედ.) და შილლერია... („ივერია", № 193, 188,2).

84(1627) ... საზოგადო შოღვაწის ბურჯი თვითონ საზოგადოებაა და საზოგადოების გაუბრუდებელი სამართლიანობა. ამაშია იგი წყარო ღონისა, მხნეობისა და გულმოდგინეობისა, იგი წყარო, რომელსაცა სვამს საზოგადო შოღვაწე, როცა კიცხვა და კილვა, ათასნაირი მწუხარება და უსიამოვნობა გულს უშრობს ხოლმე რთულისა და მძიმე მოვალეობის ასრულების გზაზედ. ამით ივრილებს იგი დამწვარს გულს და იფონებს კიცხვა-კილვისაგან შეხუთულს სულსა, და ერთი წუთი

ამისთანა მოფონებისა მთელის წლების მწუხარებას გადააჭარბებს ზოლმე თვისის ღირსებითა და სიკეთითა. (VII, 343).

85(1628). საზოგადო სარბიელზე გამოსული კაცი უსათუოდ ან აზრის კაცია, ან საქმისა, ან ორსავე ერთად, თუ ის ბედნიერად მიმადლებულია ბუნებისაგან, რომ შემძლებელია ერთისაც და მეორისაც. (III, 198).

86(1629). საზოგადოდ ნეკრასოვის სახელი შეერთებული იყო... რუსის მწერლობის უკეთესს მშრომელთა სახელებთან. პოეტებთან პუშკინსა, ლერმონტოვს და გოგოლთან საჩენი ადგილი უჭირავს და იქმნება დიდხანს რუსეთის მრავალის თაობის აღმზრდელი. („იეერია", № 2, 1878,8).

87(1630) ... საისტორიო კაცი ხორცია ხორცისაგან მთელის ერისა და ძვალი ძვლისაგან. (IV, 196).

88(1631). (საკუთარი და სხვისი ბედნიერების — რედ.) ... გაერთებისათვის დიდის ხიდის გადებაა საჭირო და ამას დიდი ღონე უნდა სულისა, დიდი შეძლება გულისა, და ყველა კაცს არ მოეკითხება. ვისაც-კი ეგ ღონე და შეძლება აქვს, იგი მით ნაწილია ყველასი,— ჩემიც, თქვენიც და სხვისაც, იმიტომ რომ, იგი ჩემს, თქვენს და სხვის ბედნიერებაში ეძებს მხოლოდ და ჰპოულობს თავის საკუთარ ბედნიერებას და, მაშასადამე, იმისი ბედნიერება თუ უბედურობა — ჩემი. თქვენი და სხვისი ბედნიერება და უბედურობა უნდა იყოს. (IV, 226).

89(1632). საძირკველის ამოყვანაა ძნელი... მაშინ გამოჩნდება გენიოსი. (III,61).

90(1633). ... სიბრძნე... ჩემის ფიქრით, სხვა არა არის-რა, გარდა მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა, ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად. ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვანი მისებრი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი. (IV, 252-253).

91(1634). სიტყვა-მოსწრებული სახელოვანი პოეტი გერმანიისა ჰეინე ერთს ადგილას ამბობს: „თვითეული ცალკე ადამიანი მთელი ერთი ქვეყანაა, რომელიც მასთან* ერთად იბადება და მასთან ერთად აკვდება. ყოველ საფლავის ქვისა ქვეშე სძევს მსოფლიო ისტორიაო". თუ ეს ითქმის საზოგადოდ თვითეულს ცალკე კაცზედ. რომელიც სხვას არაფრით აღემატება და კაცთა დაუსრულებელ მწკრივში ნამეტნაობით სხვისაგან არ ირჩევა, რა უნდა ითქვას იმისთანა განსხვავებულს კაცზედ. რომელიც რითიმე სხვაზედ მეტი ყოფილა. მწკრივიდამ თავისის

* ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის (ოც ტომად) V ტომში არის: „მათთან" (იხ.: გვ. 411), რაც კორექტურული ლაფსუსი უნდა იყოს. (რედ.).

სიმაღლით ცოტად თუ ბევრად გამორჩეულა, სხვაზედ უფრო შესამჩნევად უვლია ცხოვრების გზაზედ და კვალი სვლისა ასე თუ ისე დაუტოვებია. („ივერია", № 63, 1888, 1).

92(1635). სულგრძელება თვისებაა გმირისა... (III, 137).

93(1636). ... უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ეცხოვრობთ... და ესულდგმულობთ. (IV, 180).

94(1637). უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიას. ამიტომაც ეს ამისთანა მოქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. (IV, 179).

95(1638). ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. (X, 143, 526, 569, 573).

96(1639). ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა, და ჭეშმარიტი მეისტორიე. ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა. (IV, 66).

97(1640). ... ყველამ კარგად იცის, რომ მეცნიერება და ხელოვნება, — ეგ უდიდესი სალარონი, სადაც კაცობრიობის გენია აწყობს ხოლმე თავის გონიერების საუნჯესა, — არ არიან ყველასათვის გაღებულნი. მაგ სალაროში შედიან ხოლმე მხოლოდ აღმორჩეულნი პირნი, მხოლოდ ხალხის დაწინაურებულს თაობას აქვს იმათ კარის გასაღები, მხოლოდ იგინი სარგებლობენ და ისაკუთრებენ იმათ საუნჯესა, მაშინ როდესაც იმათი განმანათლებელი სხივები საჭირონი არიან ყველასათვის. (III, 467).

98(1641). ... ყველგან და ყოველ საქმეში მრავალნი არიან წვეულ და მხოლოდ მცირედნი რჩეულ, ჩვენთვის ეს უკანასკნელნი არიან სანატრელნი და სასურველნი. (VIII, 248).

99(1642). ყოველივე დიდებული საქმე, რითაც-კი კაცობრიობა ჰქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისმე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათიან კაცის წინაშე ყველა უნებლიეთ თავს იხრის მოწიწებით და სასოებითა; ამიტომაც ყველა, დიდი თუ პატარა, უკან მისტირის, როცა ამისთანა კაცი მიდის უკან დაუბრუნებლად და სამუდამოდ... (IV,223).

100(1643). (ნ. ვ. შელგუნოვისადმი — რედ.) ... მე თვით უნივერსიტეტის მერხიდან გულწრფელი და ღრმა პატივისცემით ვარ გასმჭვალული. (X, 128).

101(1644). (შენიემ — რედ.) ... თითქმის პირველად დაანახვა ფრანციას, და მის გამო ევროპასაც, ჭეშმარიტი, ნამდვილი პლასტიკა საუერძნეთის მშვენიერებისა, და ამით, თუ არ დასცა ზარი, შეარყია მაინც თვის საფუძველში ცრუ-კლასიკური მიმართულება ფრანციის ლიტერატურისა. (III, 8).

102(1645). „შექსპირი, ამბობს ერთი გამოჩენილი მწერალი, მეფეა ყოველის წესისა და არა ყმა". („ივერია", № 36, 1887,2).

103(1646). შექსპირმა გრძნობით სასწაულები მოახდინა ცნობისა და ცოდნისათვის. (X, 465).

104(1647). შორმხედველობა, დროებაზედ ბატონობა და უფლობა, მარტო გენიის საქმეა; ის თავის თამამ სიარულში შემოიბღერტავს ხოლმე დროების შეცდომაებსა, გულ-უშიშრად და ცნობიერად ყველაზედ წინ მიდის და იმას მისდევს დანარჩენი ხალხიც, როცა გაიგებს გენიის თქმულსა... ეს გოლიათი გონიერებისა თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება ხოლმე მთელ ცხოვრების მოსავალსა, შეაგროვებს ერთად რაც ცხოვრებას გამოუჩენია, თავის გამჭრიახ თვალით თავიდამ ბოლომდინ განსჭვრიტავს ამ შემოგროვილსა, გაანათლებს თავის ჭკვის სხივებითა, ყოველ ცხოვრების კითხვას მისცემს თავის შესაფერ პასუხსა, ყოველ ფაქტსა — ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველ საჭიროებას — კუთვნილ გზასა და ღონისძიებასა; ერთის სიტყვით, ახსნის და ცნობაში მოიყვანს მას, რაც იმის მოსვლამდინ გაუგებარი და უცნობი იყო მეცნიერებისათვის და ხელოვნებისათვის. (III, 463, 465).

105(1648). შორმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სელაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავისი ჭკუის სხივებით გზასა... ეს გოლიათი ეონიერებისა თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშევარსა; შემოაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია, თავის გამჭრიახ თვალით თავიდამ ბოლომდინ განსჭვრიტავს, გაანათლებს იმ შემოგროვილსა, და ყოველს ცხოვრების კითხვას მისცემს შესაფერს პასუხს, ყოველ ფაქტსა — ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას — კუთვნილს გზასა და ღონისძიებასა — ერთის სიტყვით, ახსნის და ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენ შორისვე იყო და არ გვესმოდა. (III, 57,61).

106(1649). ჩემის ფიქრით, ისტორიას არ უნდა დაუკარგოს კაცმა იმისთანა სახელოვანის კაცების სახელები, რომელნიც ახალს მიმართულების პიონერები არიან. (III, 418).

107(1650). ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია. (III, 291).

108(1651). (ჩვენდა სანუგეშოდ, ქვეყანაზედ არიან იმისთანა რჩეულნი, რომელთა — რედ.) ... სიტყვაც თითონ საქმეა. (III, 248).

109(1652). ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არა-მყვირალა და ჩხავანა მოღვაწეობა, — საცა უნდა იყოს, — თუ გულმხურვალობით არის გამთბარი, გულმოდგინეობით წარმართული, ერთგულებით ძირმაგარი და პატიოსნებით ნათელცხებული, — უტყუარი ნიშანია თითონ მოღვაწის დიდ-ბუნებოვანობისა. (IV,241).

110(1653). (ცდება, ვინც ფიქრობს, რომ — რედ.) ... თითქო საზოგადო მოღვაწეს თანაგრძნობა და გამხნევება არ ესაჭიროებოდეს! („ივერია", № 140. 1893. 2).

111(1654) ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. (III, 57).

112(1655). ... ძველს, არსებულს, მომხრე არ დაელევა, თითონ ახალიც, რომელიც ძველის ადგილას უნდა ჩამოსდგეს, დაბადებისაევ უმალ ისე არ მომწიფდება, რომ პირში ჩადების და დაღეჭის მეტი სხვა აღარა უნდოდეს-რა. როგორც ძველის ობი, ისე ახალის კვირტი — ბნელი დასანახაეია. ამისთვის მეტად საღი, გამჭრე თვალი უნდა გონებისა. (V, 89).

113(1656). ხავსმოკიდებული ზედაპირი გუბისა ვერ გარდამოიცემს დიდებულების სახეს, მაგას სხვა ანკარა წყალი უნდა. (II, 563).

114(1657). ... ხსენება დიდ-ბუნებოვანის მამულის-შვილისა · შთამომავლობის მოვალეობაა. (IV, 268).

115(1658). (К Н. В. Шелгунову — რედ.) ... я с самой университетской скамьи питаю самое искреннее и глубокое уважение. (X, 451).

9. ცოლქმრობის, დედაშვილობის, მამაშვილობის, დაქმობის, დედაკაცობისა და ნათესაობის შესახებ

1(1659). ადამიანი ასეა გაჩენილი: თავისიანს უფრო ჰრჩეობს, ვიდრე სხვას. (X, 142, 524, 568, 571).

2(1660). გაზრდა შვილისა... ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ნაწვავ-ნადაკი, ყოველივე ამაგი და უფროს-ერთი დრო ამას უნდა შევახმაროთ. (IV, 365).

3 (1661). განა მამა შვილს არ გაუწყრება? ოღონდაც, რომ გაუწყრება, მაგრამ შვილი ისევ შვილია, მამა ისევ მამაა ხოლმე. (II, 159).

4(1662). ...განა მარტო ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ქვეყანაზედ. განა ჩვენის შვილებისა და შვილის-შვილებისათვის ზრუნვის მოვალეობა არა გვაქვს! განა იმათი მომავალი, კეთილად მოწყობილი, თვალითაც რომ ვერა ენახოთ, ისე წარმოდგენით მაინც არ უნდა გვახარებდეს! („ივერია", № 126, 1893,3).

5(1663). — განა საქები არის, რომ შვილმა
თავისი მამის სიხსნელი აიღოს?
ამას იქმოდა ყოველი კაცი,
თუნდა მხდალი და თუნდა ვაჟკაცი. (1,176).

6(1664). ... გვგონია, ვერაფერს სამსაზურს უწევენ ქალებს ისინი, ვინც ამ საქმეს (ქალთა(დედათა) უფლების საქმეს — რედ.) მოკლე ფარგალით უზომავენ ადგილს და დედაკაცი ადამიანობიდამ ჩამოჰყავთ, რომ მარტო დედობა, ცოლობა და დობის უღელი გააწევინონ, ესე იგი ბევრისაგან ცოტა უწყალობონ. (IV, 372; VIII, 334).

7(1665). (გულთა ჭიდილი დედისა დედაშვილურ და მამულიშვილურ სიყვარულისა გამო — რედ.) ... კანონიერია, ბუნებურია, და მით ორივე დიდს გრძნობას წარმოადგენს ადამიანის ბუნებაში, ძნელად გასაწირს, ძნელად გასამეტებელს და, რამოდენად ან ერთი, ან მეორე, ძნელად გასაწირია, ძნელად გასამატებელი, იმოდენად თვით განწირვა დიდია, საპატიოა და სახელოვანი. (III, 191).

8(1666). დაქმობაში სამდურავს ხანგრძელობა არა აქვს... (X, 65).

9(1667). დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული. (I, 31)

10(1668). დედათა გული ჩვილი
მამულისთვის მაგრდება,
რად მინდა იგი შვილი,
თუ მისთვის არ მოჰკვდება!*
ვისაც ძე არ შეუკლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას
შვილი არ ჰყვარებია! (1,44).

11(1669). ... დედაკაცის გული ჩვილია. (II,372).

12(1670). ... „დედაკაცის" „ქალამდე" ჩამოსვლა და „მამაკაცის" „ვაჟამდე" — ცხენოსანის დაქვეითებაა, დიდისა პატარად გარდაქმნაა, გარდაცვლაა აზრისა და სამცნების ჩამოდნობაა, დაფუყვაა... ვაჟს კიდევ მიეკერება სახელი კაცისა, „ვაჟი-კაციო". ქალს კი ჩამოეცალა სახელი კაცისა. „ქალი-კაცი" არ ითქმის, არ მოდის, არ ეხერხება ენას. (III, 429).

13(1671). ... „დედაკაცობა" უფრო მაღალი, სასიქადულო დანიშნულებაა ჩვენის დედებისა, დებისა და მეუღლეებისა, ვიდრე „ქალობა" და „დედაკაცობის" ჩამოხდომა „ქალობამდე" იმ დიდ სამცნების დადნობაა, რომელიც გამოიხატება სიტყვით „დედა-კაცი". (VIII, 283).

14(1672). დედა-შვილობაში შენ-ჩემობა რად არის?... დედა-შვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს? ნეტა დედას სხვასავით მაინც ორი თვალი არა ჰქონოდა... თუ აქვს, რად უჭირს ერთი თავისად, მეორე შვილისად? გული რად იხედება გარეთ ორის თვალითა, რად? — რატომ ერთი თვალი არ ებრძავის, როცა მეორე იყურება?.. (II, 288).

15(1673). (დედა-შვილური სიყვარული ისე ცოტა რამ არ არის — რედ.) ... რომ უომრად, უბრძოლველად ლაჩარსავით დაპნებდეს, თუნდ იმისთანა დიდ-პატიოსანსა და დიდ-მშვენიერს გრძნობას, როგორიც მამულის-შვილური სიყვარულია. (III, 192).

16(1674). დედა-შვილური სიყვარული მძლეთა-მძლეა. (1,278).

17(1675). ... დედაც კაცია, ადამიანია და მარტო კაცისა და ადამიანის სახელით დედათა უფლების საქმე უნდა ჰღალადებდეს და თხოულობდეს თვის წარმართვასა. (IV, 371-372; VIII, 334).

18(1676). დედაც კაციაო, გვეუბნება ჩვენი ენა, და მამაცაო. (III, 427).

---

* ამ სტროფის პირველი ვარიანტი იხ.: I, 285. (რედ.).

19(1677). დედის გული ზღვა არის სიყვარულისა. რომ უთხრა, შუილი რომ უკვდებოდეს, ორის დღის სიცოცხლე კიდეე მიემატება შენს შვილსაო, ოღონდ სული საუკუნო ჯოჯოხეთს მიეცეო, — დედა მაგას იქს; შვილმა კი დედისათვის რომ ეგა ქნას, დედა იწყენს. (II, 72).

20(1678). დედის მოვალეობა მძიმეა! (II, 360).

21(1679). ... დედის ცრემლით მხდლად ხდება შვილი! (I, 325).

22(1680). დედის ძუძუებში არის თქვენი პირველი კაფე-რესტორანი, საიდამაც ნისიად გამოგაქვს თქვენთვის საჭმელი და სადაც დიდი ნდობა გაქვსთ... (II, 436).

23(1681). დედისა ცრემლი ფოლადს დაალბობს. (I, 328).

24(1682). დედისათვის შვილის მოშორება ძნელია, მაგრამ შვილის სიყვარულითა შვილის კეთილად წარმართებამ და სწავლის გზაზედ დაყენებამ უნდა გაუადვილოს მწუხარება. (X,261).

25(1683) დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა. საქმე კაი დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კაი კაცობაა და მერე დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა და სხვა. (IV, 367; VIII 330).

26(1684). ... დღეს „დედაკაცი" მდაბიოთა სახელი-ღაა... ცოდეა არ არის „დედაკაცი" სათაკილო იყოს და „ქალი" თავმოსაწონებელი!.. „დედაკაცი" — ეს ბრგე და ახოვანი ადამიანი „ქალად" დავადნეთ!.. ცოდეა არ არის „დედაკაცი" დავკარგეთ და „ქალი" შევიძინეთ!.. ეს რას ჰნიშნავს, წინსელას თუ უკან დაწევას? აბა დაუკვირდით, დაუფიქრდით სად ქალობა და სად დედაკაცობა!.. ქალი შესანახია და არა შემნახველი, იგი ბარგია და არა ჭირნახული, იგი პეპელაა და არა ფუტკარი. ქალისათვის ეს წუთისოფელი სასეირნო წალკოტია, დედაკაცისათვის — სახლია პატიოსანის შრომისა, მინდორია სახნავ-სათესი, ყანაა სამკალი, ძნაა სალეწი, სარბიელია საომარ ჭკუითა და მარჯვენითა. ქალი უფარ-ხმალო დედაკაცია, დედაკაცი ფარ-ხმლიანი ქალია და სად მოელენ ერთმანეთთან?.. (III, 429).

27(1685). ... ერთი ტკბილი ნათესავური სიტყვა, სავსე სიყვარულითა, ეღირება ჩემთვის ნეტარებათ. (X, 7).

28(1686). ვაი რა დრო მოვიდა, რომ კაცობით ხსენება დედათა სათაკილოდ გაგვიხდა!.. (III, 427).

29(1687). ვაი რომ „დედაკაცნი" წავიდნენ, აღარ გვყვანან და მარტო „ქალები"-ღა დაგვრჩნენ და, ჩვენის ფიქრით, აქ არის სხვათა შორის სათავე ჩვენის უბედურობისა. (III, 429).

30(1688). ... ვინ ვისთვისაო, — რა საკითხავია დედა-შვილობაში?.. ვაი, რომ საკითხავი ყოფილა! ამისი ჭიდილია თურმე დედა-შვილობაცა!.. (II, 288).

31(1689). ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმე, იმიტომ, რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გაზრავლება და ძუძუს წოება არ არის. (IV, 367; VIII, 330).

32 (1690). თუმც ყველა ჩვენგანი დარწმუნებული არის, რომ საიქიო უფრო ტკბილია თავის განუსაზღვრებელ ნეტარებით, ნუგეშით და ფიწმინდით... მაკრამ მაინცა დედა შესაბრალისია შვილის საუკუნოს განშორებაზედ. (X, 13).

33(1691). იგი დედა თუ მამა, რომელიც თვისის შვილისათვის მზრუნველობას იმაზედ არ მიაქცევს, რომ კაცური კაცი გამოვიდეს, იგი ჭია, რომელიც თავის ერს მერმისის ძირს უთხრის და ულრღნის დღე-მუდამ. იქნება არც კი ჰგრძნობდეს, რა ცოდვაში ჰდგება: იგი ნელ-ნელა ჰლესავს დანას, რომელმაც ადრე იქნება თუ გვიან ყელი უნდა გამოსჭრას მისვე შთამომაელსა, მისვე ერსა. („იერია", № 74, 1887,1).

34(1692). კაცობა დედათა ისეთივე საპატიო და დიდი სახელია ქართველის აზრით, როგორც კაცობა ერთიბ ადამიანისა. (III, 427).

35(1693). მაგეთ (მამულის ერთგულ — რედ.) დედისა შვილი განა ბზდალად მოკვდება!.. (I, 326).

36(1694). მამა რომ შვილსა გვანდეს, ან შვილი მამას — აქ დაუჯერებელი არა არის-რა. (VIII, 128).

37(1695). (მამა-შვილური სიყვარულის — რედ.) ... წინაშე ქედს იხრის ყოველივე სხვა პირადი გრძნობა პატიოსანის კაცისა. („ივერია", № 103, 1898,2).

38(1696). მამა-ჩემსაც არ შეეარჩენდი დედი-ჩემის ავად ხსენებას. (II, 293).

39(1697). ... მამის ურჩსაო, გამიგონია,

გზა თურმე არსად არ წარემართა.* (I,215).

40(1698). მამისა იმას უნდა ეთაკილებოდეს, ვინც მამასთან პირშავია.** (II, 98).

41(1699). მანამ დედაკაცობა ჩვენში მართლა დედაკაცობდა, მამაკაცებს დიდი ზურგი ჰქონდათ, მტერსაც და მოყვარესაც, როგორც იყო, უძლეებოდნენ სახელგაუტეხლად. ჩვენი ოჯახი მაგრად იდგა და მაგრად იდგა ჩვენი ქვეყანაცა. შინ დედაკაცი პატრონობდა ოჯახს, ქვეყანას, და გარეთ მამაკაცი; დედაკაცი ბურჯი იყო ოჯახისა, ქვეყნისა,

---

* ამ ორტაეპიან სტროფში ჩაქსოვილი აზრის შესახებ კომენტარი იხ.: მ. ჩიქოვანი, „ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი წყაროები" („ფოლკლორი და ლიტერატურა", X, თბ., 1980, გვ. 54). (რედ.).

** თითქმის იგივე ფრაზა („ეთაკილებოდეს" მაგივრად არის „სცხვენოდეს"). იხ.: II, 552. (რედ.).

და მამაკაცი ზღუდე, გალავანი. სწორედ ამან შეგვინახა, სწორედ ამან შეკვარჩინა ჩვენი მიწა-წყალი. (VIII, 282).

42(1700). მომეცი შენის კაი დედაკაცობით იმოდენა დრო, რომ ჩემი კისრად აღებული საქმე შევასრულო პირნათლად და პატიოსნად. (X, 310).

43 (1701). მშობლებმა შვილის ცუდიც და კარგიც უნდა იცოდნენ. (X,318).

44(1702). მშობლიური ალერსი უზადოა და თაფლზედაც უტკბილესი. („ივერია", № 145, 1902,1).

45(1703). (მშობლიური ვალის აღსრულებას — რედ.) სწორედ თან უნდა გადაჰყვეს იგი, ვისაც წმინდა მოვალეობა დედ-მამობისა ზურგზედ აჰკიდა ბედმა და წუთისოფელმა. (IV, 365).

46(1704). ნათესაობა და თავისიანობა მისთვის არის გაჩენილი, თუ დიდი პატარას უპატრონებს. (II, 386).

47(1705). ნეტა იმ ქვეყანას, რომელსაც ჰყავს მხნე დედაკაცნი!.. (IV, 240).

48 (1706). ... ოღონდ შენ ნუ მომიწყენ, შენ გულს ნუ გაიტეხ და კაი დედაკაცობა გამოიჩინე და ყველაფერი სხვა ჩემთვის ადვილი ასატანელი იქნება. შენ რომ არაფრისას შიშობ, არც მე არაფრის შიში მექნება. (X, 316).

49(1707). რაც გინდ იყოს, ცოლ-ქმრობის დარღვევა მძიმე და სათაკილო საქმეა და თუ არ დიდად პატივსადები მიზეზი, ძნელი გასაბედია. (III, 438).

50(1708). რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით...
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც
გზად და ხიდად გავედებით. (I, 180).

51(1709). როგორც მტერშია დაუნდობელად შენიშნავ ნაკლულოვანებასა და მკაცრადა სდევ, ისე შვილშიაც უნდაო, რომ მოყვრულად გამოგადგესო, ამბობს ხოლმე ჩვენი გლეხკაცის გაუნათლებელი ჭკვა, რომელიც უკეთესია ბევრ ცრუ სხიეით განათლებულ და ეპოლეტებიან ჭკვაზედა.* (III, 455).

52(1710). როგორც ყმა ორ ბატონს, ისეც შვილი ორ მამას ვერ ემსახურება და არც გავონილა. (III, 421).

53(1711). ... როცა გვინდა ვისიმე ვინაობა შევიტყოთ, დედ-მამას და წინაპართ ვუკითხავთ ხოლმე, იმიტომ რომ — დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე ვამონახეო.** (III, 227).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „შვილი მტრულად გაზარდე. მოყვრულად გამოგადგებაო". (რედ.).

** ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

54(1712). (როცა დედა-შვილობის საცოდავობა-ღა თავის დიდებულის ზარით ჰლალადებს უთქმელად, უტყვად და ხმა-ამოუღებლად, მაშინ ის რომ აღითქვაბს — რედ.) ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისათვის ულონოა. (II, 306).

55(1713). სულით გაძლიერება ჩვენის „დედაკაცობისა“ გაძლიერებაა ოჯახისა, ერისა, ქვეყნისა. (VIII, 283).

56(1714). ტანთ მოიკვლ, ფეხთ მოიკვლ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები-კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, — აი, რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან. (IV, 365).

57(1715). ტყუილია, რომ შვილმა ხელზედ ერბო-კვერცხი მაიწვასო და ისე გამოზარდოს მშობელი დედაო, მაინც იმის ამაგს ვერ გადიხდისო.* (II, 450).

58(1716). ... ქალი, — მინამ გათხოვდება, — დასაფრენი ბღარტია და ფრთას ქვეშ უზის დედასა. (II, 287).

59 (1717). ქალი... საბოლოოო არ არის დედ-მამისათვის. ქალი მოდის იმისათვის, რომ წავიდეს და სხვაგან გაიკვეთოს ბუდე. (II, 287).

60(1718). ... ქალს მოსდევს მაღალი დანიშნულება, და ამისდაგვარად ქალს უნდა ეპყრას მაღალი ადგილი საზოგადოებაში; ამ დამსახურებისათვის საჭიროა სწავლა და ცოდნა, ცოდნა ნამდვილი, საფუძვლიანი და არა მარტო გარეგანი ნიშანი ვითომ-ცოდნისა, არა მარტო ზიზილ-პიპილები განათლებისა. (IV, 233).

61(1719). ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს — „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას—„დედა-ბოძს“, უდიდესს და უმაგრესს ბურჯს — „დედა-ბურჯს“, სამთაერო აზრს — „დედა-აზრს“. გუთნის ბამგებელ მამაკაცსაც-კი — „გუთნის-დედას“. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი!.. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც-კი აღნიშნულია დედობით!.. ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა! სიტყვა „ქალი“ განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება დიდებული სიტყვა „დედა“ და მასთან ერთად „კაცი“! (III, 428-429).

62(1720). ქართველი დედასაც კაცად ჰხადის და ამიტომ „დედა-კაცს“ ეძახის, როგორც მამას — „მამა-კაცს“... არა გვგონია, რომელსამე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებული იყოს. (III, 427).

---

* შდრ.: „შვილმა რომ დედის გულისთვის ერბო-კვერცხი მოიწვას ხელის გულზე. იმის ამაგს მაინც ვერ გადაიხდისო“

ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

63(1721). ... ქმრისათვის ფრიად სასიამოვნო უნდა იყვეს, რომ ცოლი უიმისოდ ჰსწუხს. (X, 239).

64(1722). ღმერთო, მფარველო. მართლისაო. ნუ დამანახვებ ჩემის შვილის მიწასთან გასწორებას!.. (II, 89).

65(1723). ღმერთს მარტო ერთს ვსთხოვ,
მკვდარი დედა ძემ ასახელოს. (I, 153).

66(1724). შვილი მამისა არის. (II, 41).

67(1725). „შვილი მტრულად გაზარდეო, რომ მოყვრულად გაშოგადგესო", ნათქვამია გლეხთაგან.* (III, 455).

68(1726). ... შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდაესი და უდიდესი ვალია მშობლებისა. (IV, 364).

69(1727). შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. (II, 12).

70(1728). შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების ულელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი — ავად, რა უმართავდა სელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება.** (IV, 201-202).

71(1729). ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, —
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,
და მოგვცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს. (I, 30-31).

72(1730). ჩვენს ქალებს თავიანთი საკუთარი მხნეობა, საკუთარი გამრჯელობა დაუდვიათ სათავედ თავიანთ მოქმედებისათვის და შესდგომიან, რომ თავის საკუთარის ხელითა და გარჯით გაიტანონ ცხოვრების მოედნიდამ თავიანთ სვე-ბედის ბურთი. (IV, 368; VIII, 331).

---

* ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

** ამ სენტენციაში ჩაქსოვილია „დავითიანიდან" აღებული ტაეპი: „ჰგავს უხორთუმო სპილოსა ჭკვიანი კაცი ბრიყვია". (რედ.)

73(1731). ცოდია ... (როცა — რედ.) ... დედ-მამას, რომელთაც გაგიყებით უყვართ შვილი, არ ესმით ... სულის ძვრა პატარა ადამიანისა. (II, 479).

74(1732). ცოლ-ქმრობა ნებითია. (II, 93).

75(1733). ... ჭეშმარიტი სიტკბოება ცოლ-ქმრობისა ნელსა, წყნარსა და მშვიდობიან სიყვარულშია და ცოლ-ქმრობას ამის მეტის მოტანა არ შეუძლიან. (III, 134).

10. ᲧᲠᲛᲝᲑᲘᲡ. ᲐᲮᲐᲚᲗᲐᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1(1734). არც თავის დღეში ეჭვი არა მქონია, რომ ჩვენს ყმაწვილკაცობას გული არ ებრძოდეს, არ ერჩოდეს ყოველი პატიოსნურ საქმისათვის. (X, 143, 525, 569, 572).

2(1735). (ახალგაზრდობის ჟამს მე და ჩემი თანამოაზრე ამხანაგები ყოველთვის დიდი — რედ.) ... სიხარბით ეკითხულობდით მარტივ სიტყვასა და კარგის გულიდამ გამოსულს! (X, 18).

3(1736). ახალთაობაზედ — რედ.) ... დამყარებულია ჩვენის ზნეობის ამაღლების იმედი, ჩვენის განკარგულების სასოება. (V, 253).

4(1737). (ახალთაობას — რედ.) გვწამს ღმერთი,
უქმთა წარწყმედი,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,
ღმერთი ტანჯულთა, ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი;
ყოველთა ძმობის, თანასწორობის
მოძღვრებისათვის ქვეყნად ჯვარცმული,
ძლიერთ დამბმელი, უძლურთ ამხსნელი...
ორგულობისა. ორპირობისა
ძირსა დამცემი და დამრთგუნველი,
ფარისეველთა, სადუკეველთა
გამაკიცხველი და გამდევნელი. (I, 96-97).

5(1738). ახალი თაობა ახალთა აზრთა წინამძღოლობაშია, ახალთა აზრთა მოძღვრებაშია (III, 287).

6(1739). ახალი კაცი ძლიერია თავისის აზრით, მსჯელობით, ცოდნით, იგი თავმოსაწონებელს სახელს ახალის კაცისას მართლა-და ახალის აზრით, მსჯელობით და ცოდნით დაიმსახურებს და არა ყვირილით და ფიცით, ღმერთმანი, ახალი კაცი ვარო. (V, 254).

7(1740). ახალი თაობა ყველგან იმისათვის ცდილობს, რომ თავისუფლება მსჯელობისა ყველას მიენიჭოს... (III, 282).

8(1741). (ახალი თაობის — რედ.) ავი და კარგი დამოკიდებულია რამდენსამე ძალთა კრებულზე და ცხოვრების სხვადასხვა მიმდინარეობაზე. (III, 310).

9(1742). ბავშეი რომ გარბის, განა იმიტომ, რომ ბინამდე მისელა ეჩქარება, ბავშეს რა საქმე ესწრაფება!.. ბავშეს თეით სირბილი მოსწონს, იმიტომ რომ მოძრაობაა უდიდესი სიამოენება ახლად ფეხადგმულისა სიცოცხლისა. როგორც სიცოცხლეს ხორცისას ეს მოსდეეს, ისეც სიცოცხლეს სულისას, როცა სულს დრო მოუვა ფეხის-აღგმისა, ნამეტნაეად პირეელ ხანში. „გაპკეეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი!"* იძახის სული, რომელსაც სიცოცხლის მომნიჭებელმა სხიემა დაპკრა და ამოაყვავა. აი ეს ქარის გაკეეთა, გაპობა წყლისა, გარდაელა კდლეთა და ღრეთა თავისთავად მომხიბლავია, თაეისთავად გამტაცებელია სულღონიერ ჭაბუკისა, ქალი იქნება თუ კაცი. (III, 139-140).

10(1743). ბავში იგიე ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია, თუ ესე ითქმის, და არა სხეილ და სრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი. (II, 480).

11(1744). ბავში სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა. (II, 480).

12(1745). ბავშის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. (II. 480).

13(1746). ბალღი იმიტომ არის ბალღი, რომ მალე სტყუედება. და ის ახალ-თაობა-კი. რომელზედაც მიქცეულია მთელი ჩვენი სასოება და რომელსაც ეკუთვნის ჩვენი მერმისი, ესე იგი ჩვენი მომავალი, არასოდეს ამით (მავან-მავანთა ბაქიობით — რედ.) არ უნდა მოტყუედეს. მან უნდა ზურგი შეუქციოს ურცხვს მოქადულეს და მისი ქადილი ზიზღით უარჰყოს. თუ უნდა ახალ-თაობას თავისი ღირსება დაიცვას, ესე უნდა მოიქცეს. (V, 168).

14(1747). გაუმარჯოს დაუჭკნობელს სიჭაბუკეს. აწ და მარადის! (III, 375).

15(1748). დრო, კეთილ-გონიერება და თითონ ახალი თაობა თავის უტყუარს განაჩენს თავის დროზედ იტყვის. (V, 254).

16(1749). ვაი მას, ვინცა ჭაბუკობას ჭაბუკ არ არი!.. (I, 49).

17(1750). თუ ღმერთს პოეტობის ნიჭი მოუმადლებია თქვენთვის, ჩვენო პატარა მეგობრებო, ნუ ჩქარობთ მაგის გამოჩენასა. ნუ გეშინიათ, იგი არ მიგემალებათ არსად. იგი თავის დროზედ გამოიხეთქებს, როგორც ანკარა წყარო კლდის გულიდამ, ოღონდ პირეელ ხანშიეე ნუ მოაკლებთ მაგ უსუსურს მადლს — მეცნიერების ნოყიერს ძუძუსა. (III, 91).

18(1751). თუ წერთნა გინდა ბაეშისა, იგი შენ უნდა ჩაიხო ჯულში და იმან შენ. ბეერში ეგ, ჩემის ფიქრით, შეუძლებელია, უმაგისოდ

* ი. ჭავჭავაძეს ეს ტაეპი აღებული აქეს ნ. ბარათაშვილის „მერანიდან". (რედ.).

კი შესაძლია — სწავლა, ცოდნა მისცე და ადამიანობა კი არას დროს. (II, 477).

19(1752). თქვენ ჩენზედ უკეთ მოგეხსენებათ — რა ხართ თქვენ, უმაღლესის სწავლისათვის გადახვეწილნი ქართველნი, ჩვენის შავბედიანის ქვეყნისათვის: მთელი სასოება ჩვენის ქვეყნისა თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენი ხვალე, ჩვენი მერმისი თქვენა ხართ... თქვენი ზიანი, თქვენი შეფერხება, ჩვენი ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა. (X, 142).

20(1753). კარგად მომზადებული, გრძნობა-გონება განწმენდილი და გაფაქიზებული წინა-თაობა და სხვადასხვა ერთა მდიდარი მწერლობა-მეცნიერება... ჰქმნის ახალს თაობას. (III, 308).

21(1754). კეთილშობილური სითამამე... პატიოსანი თავგამომეტება, ეს, თუ გნებავთ, ვაჟკაცური წინდაუხედაობა — უკეთესი სამკაულია ყოველის კაცისა და ყმაწვილ-კაცობის ხომ უკეთესი და აუცილებელი ღირსება და კუთვნილებაა. (IV, 334).

22(1755). კიდევ ვიტყვი, _მე გავბედე
ღარიბთ სარჩლი, მდიდართ გმობა;
ბედნიერ ვარ: ამით ვპოვე
ახალგაზრდათ თანაგრძნობა!.. (I, 114).

23(1756). კმაყოფილება კაცის მამაკვდინებელი სენია. ბედნიერია ახალი თაობა, თუ მართლა ის კმაყოფილება არა აქვს. იმედი თუა საღმე, ამაში უნდა იყოს. (II, 192).

24(1757). (მანდილოსანნი არიან-რედ.) ძალიან მიმღებნი ყოველის ახალის შემოღებისა („ივერია", № 1889, 3).

25(1758). მე ასე მგონია, რომ ადამიანობას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ბავშის წვრთნა-სწავლებაში. (II, 477).

26(1759). მე ჩვენს ახალ თაობაში ვპოვე ღონე. (I, 115).

27(1760). მოზარდს თაობაზეა დამყარებული ყოველივე იმედი ჩვენის კეთილდღეობისა და ბედნიერებისა. („ივერია", № 249, 1886, 2).

28(1761). ნასწავლმა თაობამ, გარდა იმისა, რომ მოჰფინა, რამდენადაც შეეძლო, ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო ნათელი აზრები, ხელი მიჰყო ზაკუთარს ვითარებას. ამ ორს საგანს ერთსა და იმავე დროს ემსახურებოდა და ამ ნათელის აზრების მიხედვით ჩაუკვირდა ჩვენს ცხოვრებას, აღმოაჩინა ზოგი იმის ღირსება-ნაკლულევანება და ამით აღძრა იმ დრომდე მიძინებული საზოგადო აზრი. (III, 311).

29(1762). ნეტავი იმას, ვინც შენ (ახალგაზრდობის ხანა — რედ.) რიგიანად მოგიხმარა. (III, 11).

30(1763). რასაკვირველია, რომ იმ წრეს, საცა ბავში პირველ ხანიდამვე ჰტრიალებს, დიდი გავლენა აქვს მთელს ადამიანის მერმისზედ. ბავშვის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიერია და მალე დამჩ-

ნეეი ავისა და კარგისა, და აბიტომაც წრე. საცა ბავში /და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დაასვამს ხოლმე. ამ-სახით, არავითარი ეჭვია, რომ თითონ წრეს ცხოვ-რებისას დიდი ზემოქმედება აქვს მოზარდის თაობის მერმისზედ. ხოლო არის მეორე საგანიც, რომელსაც. თუ არ მეტი, ნაკლები ზედმოქმე-ქება არა აქვს ადამიანის ავ-კარგიანად გამოსვლაზედ. ეგ მეორე სა-განი სკოლაა. (IV, 292).

31(1764). რაც გინდა სთქვით, როგორც გინდა მოიქეცით, ოღონდ ახალ-თაობის წმინდა სახელს ნუ მოჰფენთ უკადრისს ქცევასა, უკად-რისს სიტყვასა, ახალი თაობა სხვა არის, სხვა ნუგეშია, სხვა იმედია. ყველა ჩხავანა ახალ-თაობა არ არის. ახალი თაობა გონიერებაა. ახალი თაობა პატიოსნებაა, ახლი თაობა ცოდნაა, მეცნიერებაა, ახალი თაობა საქმეა და არა ჩხაკილი. ვისაც ყოველივე ეს ცოტად თუ ბევრად ჯერ სჭირს, შორს მანძილს ვერ გაირბენს მარტო იმითი, რომ ბალღები ატყუოს, — ახალი თაობის კაცი ვარო. (V. 253-254).

32(1765). რომელს ქვეყანაში უწერია ახალ-თაობას, რომ კაცმა კაცს ბრალი დასდვას და მარტო იმისთანა საბუთი იხმაროს, რომე-ლიც ბუნებითად არც შესამოწმებელია, არც თვალით დასანახავი, არც ხელით საგრძნობელი და არცა სხვა რაიმე ძალით გამოსაფენი? (III, 285).

33(1766). სადაც მამული გვიბრძანებს —
ყველგანა ვემსახურობით,
თუ ბრძოლასა ჩვენა (ახალგაზრდობას — რედ.) მოგვთ-ხოვს — იქაც კი გამოვადგებით! (I, 293).

34(1767). (ქვეყნის — რედ.) იმედიც და ნუგეშიც მოზარდი თა-ობა უნდა იყოს. (V, 117).

35(1768). ღმერთი არმობის,
ღმერთი ყალბობის
არ ურწმენია ჩვენსა თაობას. (I,96).

36(1769). ღმერთო!.. მოჰმადლე მადლი ზეცისა,
შთაბერე ყრმასა ძლიერი სული,
რათა შეიქმნეს თავის ერისა
მომმე ერთგული და მოყვარული. (I, 76).

37(1770). ღმერთო!.. თან სდევდე უსუსურს ბავშვსა,
რომ დღენი ისე არ დაელიოს,
მინამ ტანჯვისა ცრემლი თვის ხალხსა
ცოტათი მაინც მან არ მოსწმინდოს. (I, 76).

38(1771). ყველა ასაკს თავისი შემძლეობა აქვს და ახლად ფეხ-აღგმულს ვერ მოსთხოვთ ნაბადზე გადახტომას. (III, 206).

39(1772). ყველამ უნდა იცოდეს, რომ თეითეული გროში კეთილ საქმისათვის შეწირული, გამოადგება ჩვენს მოზარდს თაობასა... („ივერია", № 249, 1886, 2).

40(1773). ... ყმაწვილ ქალსა ფარეზით და წყნარად უნდა ეექცეოდეთ, რომ არაფერი ვაწყენინოთ. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 315).

41(1774). ყმაწვილის გონებას ისე არა მიიზიდავს-რა, როგორც სითამამე. გაბედულობა. სითამამეს, გაბედულობას, ბევრი ბრწყინვალე მხარე აქვს და რათ უნდა გეიკვირდეს, რომ ყმაწვილმა მას მიატანოს, რაც ბრწყინავს. (V, 92).

42(1775). ყმაწვილის გული, შენი ჭირიმე, ადრეულა ყვავილსა ჰგავს: მზე დაპხედავს თუ არა, გაიშლება, ის კი აღარ იცის, რომ ზამთრის სუსხი კიდევ მოასწრობს ნამდვილ გაზაფხულამდე და დააჭკნობს. (II, 40).

43(1776). ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს. (V, 98).

44(1777). ყმაწვილ-კაცობამ ხელი წააღლო პირველ ხანშივე მას, რაზედაც შესწყდა ჩვენი ცხოვრება, მან დააყენა ჩვენში ფეხზედ ქვეყნის სიყვარულიც, მამულის-შვილობაც. ერთსაც და მეორესაც, რაც შეეძლო გზა გაუკაფა, ფეხი აადგმევინა, ერთის სიტყვით, ჩვენ, ერთმანეთზედ ზურგშექცეულნი, კვლავ ერთმანეთისაკენ მიგვახედა. დიახ, ყმაწვილ-კაცობის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენ საერთო, საყოველთაო სურვილი გაგვიახლა, საერთო გულის-ტკივილი ჩაგვისახა, ჩვენის თავის იმედი მოგვცა და ერთობ გამოგვაღვიძა, გამოგვაფხიზლა. (V, 74-75).

45(1778). შორს, შორს ახალ-თაობისაგან ის, ვინც ადამიანის პიროვნებას, ადამიანის სინდისს ფეხ-ქვეშ სათელავ მჩერადა ხდის. (V, 253).

46(1779). ... ჩვენ ყმაწვილ-კაცობის თაეგანწირვას ვერაფერს წუნს ვერ დავსდებთ და ვინც წუნს დასდებს, შესცოდებს ღმერთსაც და კაცსაც. (IV, 335).

47(1780). ჩვენც (ქართველ ახალგაზრდობას — რედ.) გვაქვს გული ნათელ-ქმნილი.

ავსებული წმინდ გრძნობითა,
თამამი ჭკვა, შუქ-შესხმული
პატიოსან აზრებითა.* (I, 293).

---

* ამ სტროფის ბოლო ორი ტაეპი იხ. აგრეთვე: I, 292, 294. (რედ.).

48(1781). წავიდა ის ბედნიერი დრო (ყმაწვილკაცობის ხანა—
რედ.) და აღარ მოვა. წავიდა და გული ჰკვნესის რაღაც სხვანაირ
ტკივილისა, რაღაც სხვანაირ მწუხარებისაგან, რომელსაც ზოგჯერ
ადამიანი სიხარულზედაც არ გასცელის ხოლმე. ტკბილია კვნესა ამ
ტკივილისა, ტკბილია ცრემლი ამ მწუხარებისა. აქ კვნესა ნიავსავით
აგრილებს გულის-წვასა და ცრემლი ჰნამავს გადამჭკნარ გულსა გამო-
საცოცხლებლად. ვიღამაცა სთქვა: დატკბობა საამური ტკივილიაო, და
სწორედ ამისთანა ტკივილია ეს ტკივილიცა. (II, 243).

49(1782). ჭაბუკო, რისთვის ხარ მოღრუბლული,
როს დღე აგრეა გაბრწყინებული? (I, 27).

50(1783). ჯერ მინამ ხარ ყმაწვილი,
მინამ დრო მოგესწრება,
ისწრაფე, შვილო, ძილი,
ისწრაფე განსვენება!
მოვა დრო, გაიზრდები,
მკლავი გაგიმაგრდება,
შვილო, ყრმობის სიზმრები
ბრძოლაზედ გაგეცვლება.* (I, 43).

•

* ამ სტროფის პირველი ვარიანტი იხ.: I, 282, ხოლო მეორე ვარიანტი — 284-285. (რედ.).

11. ეკონომიკის, მრეწველობის, წარმოების, საკუთრების, საქმის, გარჯის, შრომა-ჯაფის, სიბეჯითის, თვითმოქმედებისა და მხნეობის შესახებ

1(1784). ადამიანი რისთვის იბრძვის ქვეყანაზედ ბედნიერებისათვის, მაძღრობისათვის, რისთვისა ღერის ამოდენა ოფლსა და სისხლს, თუ სისტემატიური და მედგარი შრომა აღარ შეეძლება, რაკი უბედურებიდამ ბედნიერებაში ჩავარდება. ან ის ბედნიერება ბედნიერებაღა იქნებოდა!? (III, 278).

2(1785). ადამიანის ცხოვრება, და ნამეტნავად ეკონომიური, გაუწყვეტელი ჭიდილია და გამარჯვებული მარტო იგია, ვინც მხნეა, საქმის კაცია და ხელიდამ რამ გამოსდის. ვისაც ეს ზნე არა სჭირს, იმას ამ ჭიდილში ფეხზედ არა დააყენებს-რა, რაც უნდა ულოლიაოთ და უაროთ. (VIII, 325-326).

3(1786). ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი პარტოხელისა. (II, 285).

4(1787) ... ამ ზვიადმა საუკუნემა (XIX ს. — რედ.).
უნდა შეას იგი შრომის სუფეა.* (I, 141).

5(1788). ამა ქვეყნის სუფრაზე ადგილი აქვს მარტო იმას, ვინც დამყარებულია თავის საკუთარ მხნეობაზედ, თავის საკუთარ მარჯვენაზედ და ვინც თავის-თავის იმედით ჰგულოვნობს, ვინც თავის-თავის იმედით ომობს და იბრძვის ამ წუთისოფელში — არსებობისა და საპატიო ადგილის დაჭერისათვის. (V, 336).

6(1789). არა-ქმნა ყოველ დიდს საქმეს ამცირებს და ქმნა-კი პატარასაც დიდად ჰხდის. (IV, 241).

7(1790). არავითარი სიმდიდრე დაუსრულებელი არ არი. ოქროს ზოგიც, რაც უნდა დიდი იყოს, თავის დროზე ყინულისაევით დაუდნება უქმს კაცსა და თუ თვითონ არა, მის შვილს, ან შვილი-შვილს მაინც აგრძნობინებს აუცილებლობას შრომისა და გარჯისა და სიმწვავეს უქმობისას და გაურჯელობისას. (VIII, 325).

---

* ეს სტროფი იხ. აგრეთვე: I, გვ. CII, CLIII. (რედ.).

8(1791). არამცთუ საზოგადო საქმეში, კერძო კაცის ცალკე ცხოვრებასაც რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ რომ არსებობისათვის ბრძოლასა და ჭიდილში მარტო იგია გამარჯვებული, ვინც თვით არის საქმის თაოსანი, საქმის ამჩენი და საქმის მომქმედიცა, ვინც თავისთავზეა მარტო დანდობილი და თავის საკუთარს მხნეობას და გარჯას პსახავს წყაროდ თავისის ცხოვრების განკარგებისა და წინ წაწევისად. (VII, 344).

9(1792). ალმოშობა, ფეხზე წამოყენება, თუნდ მარტო დასახელებაც იმისი, რომ თვითმოქმედებაა ჩვენი მხსნელი ჭირბორიტისაგან როგორც შემდეგში, ისეც დღეანდელ დღეს, სასიხარულო ნიშანია ჩვენის გამოფხიზლებისა, ჩვენის დაძინებულის აზრის დაძვრისა და მოქმედებისა, მით უფრო, რომ ეს თვითმოქმედების წყურვილი ხსენებულ სარბიელზე თვით საზოგადოებას გასჩენია და არა ორიოდე მწიგნობარსა, რომელთა ხმა ხშირად უდაბნოში მღაღადებელ ხმადა ჰრჩება ხოლმე, რაც გინდ მართალი და სახეირო იყოს. (VII, 52).

10(1793). (ბევრი რამის შემძლებელია — რედ.) ცალკე კაცი, თუ იმხნევებს და გაირჯება და არ შეუშინდება ხელ-შეუწყობელს გარემოებას. (IV, 262).

11(1794). ბევრი საქმეა იმისთანა, რომ თვითონ თავის გულშიეე ატარებს იმ სენს, რომელიც თავის დროზე ბოლოს მოულებს ხოლმე. ამისთანა საქმე, რაც უნდა კარგი მცოდნე და ხერხიანი კაცებიც შეხვდეს, თავს არ დაიჭერს და დღეს იქნება თუ ხვალე თავის აგებულებაში ჩამდგარს ჭირს უნდა თან გადაჰყვეს. (VII, 437).

12(1795). ბეჯითობა თითქმის ყოვლად შემძლებელია, ანგარიშიანია. („დროება", № 16, 1875, 1; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, ხელნაწერი № 197, ფურც. 1)

13(1796). გამრჯელი და მშრომელი არის შემქმნელი და მომქმედი ამ ცხოვრებისა და თავის კერძსაც ცხოვრების სუფრაზედ მარტო იგი ჰშოულობს სხვის დაუყენებლად, სხვის უმუნათოდ. სხვა ყველანი ნალოები არიან ამ გამრჯელსა და მშრომელზედ, ათასნაირ ხეანჯებით გამობულნი. ესენი გამრჯელსაც ამძიმებენ და თვითონაც არ იციან, სად და როდის გაუწყდებათ წნელი, რომელზდაც ხელი უკიდიათ. (III, 325).

14(1797). გარჯისა და მხნეობის მაგალითი ხომ თავის-თავადაც კარგია და საქები. (IV, 263).

15(1798). გაძვირება ღარიბის კაცის სულის შეხუთვას მოასწავებს. (VII, 323).

16(1799). (გაჭირვებიდან ჩვენი ხსნა შეუძლია — რედ.) ... მარტო თვითმოქმედებას და სხვას არაფერს. (V. 48).

17(1800). დალოცვილი ეგ მარჯვე ხელი აშრომე:
შრომა შენია ხვედრად. (I, 313, 367).

18(1801). დაუძინებელს მხნეობას, საქმის უანგაროდ და გულწრფელად სიყვარულს, ერთობ ზნეობითს ძალ-ღონეს, ერთს რაიმე სიკეთეზედ დაჟინებით და უკან დაუხევლად მიმართულს, სწორედ სასწაული შესძლებია. (IV, 344).

19(1802). დიდი მნიშვნელობა აქვს მკვიდრთათვის საკუთრების განსაზღვრასა და გამორკვევას. („ივერია", № 55, 1889, 1).

20(1803). დიდი რამ არის სწრაფი და იაფი გზა. სისწრაფეს და სიიაფეს გზისას საქონლის გასასაღებლად ვერაფერი ვერ უპირდაპირებს. თვით სიკეთე და მაღალი ხარისხოვნება საქონლისა ულონია ამ პირდაპირობის წინაშე. (VII, 243).

21(1804). დიდი საქმეა გზების კეთებაცა. (V, 139).

22(1805). დიდი ხანია ყველგან შეიგნეს, თუ რა სამსახურს უწევს ხალხს, რა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ცხოვრების განკარგებისათვის კარგად შეკეთებული გზები, და ამიტომ დიდს ყურადღებას აქცევენ ამ საჭიროებას... (VII, 246).

23(1806). დიდს იმედებს დიდი მხნეობაც უნდა, დიდი ჭკუისა და გულის დადება, დიდი წინდახედული გარჯა და საქმიანობა. (V, 335-336).

24(1807). დროა გონზედ მოვიდეთ და დაუვიწყარად გვახსოვდეს, რომ რასაც კაცი თავის თავს თავის მხნეობით უშველის, იმას სხვა ვერ უშველის. (VII, 178).

25(1808). დღევანდელი ტოკვა თვითეულის სახელმწიფოსი, შიგნეული რომ კარგად გაეუსინჯოთ, სხვა არა არის რა, თუ არ ის, რომ საპოლიტიკო ეკონომიის ბრძოლის მოედანზედ რაც შეძილება მომეტებული ადგილი დაიჭიროს, ფართო გზა გაიკაფოს, დიდი არხები გასჭრას სიმდიდრის მოსადინებლად, სხვისი იეფად და ცოტა იყიდოს და თავისი ძვირად და ბლომად გაასაღოს. დღევანდელს ბრძოლას და ცილობას სახელმწიფოებისას დღეს სარჩულად უფრო ეს სიხარბე უდევს, ვიდრე სხვა რამ; ამისათვის იღვწიან, ამისათვის ემზადებიან, ამისათვის თოფ-იარაღს ხელსა ჰკიდებენ. (VIII, 311).

26(1809). დღეს ვინც თვითონ არის გამრჯელი და მხნე, ბურთი და მოედანი ცხოვრებისა, კეთილისა და ბედნიერებისა, იმისია და მარტო იმისი. (IV, 356; VIII, 316).

27(1810). დღეს იგია უძლეველი, ვინც უფრო დიდ ხანს და ხანგრძლივ გაუძლებს საომარს ხარჯსა, ომის შემმუსვრელს ჭირსა და ვაგლახსა. (VII, 310).

28(1811). დღეს თვითვეული ჩვენგანი ჰგრძნობს, რომ აქომამდე ძივიწყებულს ეკონომიურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის, (VIII, 9).

29(1812). დღეს ყველამ იცის, რომ თავი და ბოლო წინ წაწევისა, წარმატებისა, გაძლიერებისა, შინა და გარეთ დამოუკიდებლობისა, მაძღრობაა, სიმდიდრეა, ეკონომიური ძალ-ღონიერებაა ერისა. აქ ხელცარიელად დარჩენილი... დღეს ერთს ბიჯსაც წინ ვერ გადასდგამს, რაც ვინდ სავსე ჰქონდეს გული დიდებულ აზრთა და გრძნობათათვის. (VII, 36).

30(1813). ეკონომიური ბუნება ქონებისა ის არის, — უძრავი ქონებაა თუ მოძრავი, — რომ უხერხო და უმცდელ კაცისაგან ხერხიან და მცდელ კაცის ხელში გადადის. ამ კანონს ეკონომიურ ბუნებისას წინ ვერავინ დაუდგება, როგორც საერთო ბუნებურ კანონსა. (VII, 40).

31(1814). ... ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ. (VII, 9).

32(1815). ... ერთად-ერთი ნამუსიანი სახსარი ცხოვრებისა გარჯაა და მუშაობა. (III, 439).

33(1816). ერთიანი ხელის გამოღება, ერთიანი გარჯა, მხნეობა... იმოდენა წყაროს შეპქმნის შეძლებისას, რომ ჩვენ არც ცოდნის მოპოვებაღა გაგვიჭირდება, არც იმგვარ სამოქმედო ქონებისა, რომელიც ცხრა-კლიტურ კარს მიწის სიმდიდრისას გაგვიღებს ჩვენდა წარსამატებლად და საკეთილდღეოდ. (VII, 33).

34(1817). ეს ქვეყანა ისეა გაჩენილი, რომ ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა ადამიანს მუქთად არ ეძლევა: კაცმა უნდა იშრომოს, იღვაწოს და ამ ერს აუცილებელს საჭიროებას ისე გაუძღვეს. თუ შრომა და გარჯა ამას არ იძლევა, ძნელად თუ ნაყოფმა შრომისამ იმოდენა სიკეთე მოიტანოს, რამოდენაც სანატრელია. (VIII, 216).

35(1818). (ესა თუ ის ნაკლულევანება — რედ.) ყოველს ახალს საქმეს აუცილებლად მოსდევს ხოლმე. (III, 150).

36(1819). ეს წუთის სოფელი ისეთია, რომ ვინც თვითონ არ მხნეობს, ვინც თვითონ არ იბრძვის ღღიურის ლუკმისათვის, იმისი ბედი გადაწყვეტილია. („დროება", № 16, 1875, 1; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, ხელნაწერი № 197, ფურც. 1).

37(1820). ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს... (V, 13).

38(1821). ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრასა-კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკ-ნაღაროდ მკის... არც

რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა-პატიოსანია, ნამუსიანია, და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. (V, 13-14).

39(1822). ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, — იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით... რა გლეხკაცი! თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს... (V, 14).

40(1823). ვერავინ ვერ შესცვლის იმ ბუნების კანონისამებრ გადაუვალს ეკონომიურს კანონს, რომ ყოველი ქონება — ფულია, ვეჯია, თუ მამული — უქმის კაცის ხელში არა დგება და ყოველთვის იქით იწევს, საცა მხნე და მარჯვე მუშა-ხელია. ეს ბუნებური თვისებაა ყოველ ეკონომიურ ნივთიერებისა. ამას წინ ვერავინ ვერ დაუდგება, ვერავინ ვერ აეღობება. („ივერია", № 273, 1891, 1).

41(1824). ვერაფერი თოკები ვერ გაუძლებს ერთს რკინის კანონს საპოლიტიკო-ეკონომიისა: მამული და ერთობ ყოველი ქონება უხეირო ხელს ეცლება და მიიზიდება ხეირიან ხელისაკენ; მცონარეს ეთხოვება და გამრჯელისაკენ, მშრომელისაკენ იწევს და მიეზიდება დაუყოვნებლივ და გაბეჯითებით. ამას არაფერი ღობე წინ ვერ აღუდგება და ვერ დაიჭერს. ამის წინააღმდეგ ყოველივე მეცადინეობა უქმია და ამაო. გაისარჯეთ და ეს აღარ იქნება. (VII, 377-378).

42(1825). ვინ არ იცის, რომ ყოველს ეკონომიურს მოძრაობაში პირველი ადგილი უჭირავს გამორჩენას, მოგებას. ეგ გამორჩენა და მოგება არის ერთად-ერთი ძალ-ღონე, რომელიც არამც თუ გამრჯელის ხელს ამოქმედებს წარმოებისათვის, არამედ ჰბადავს თვით სურვილს გარჯისა და რაკი სურვილი გარჯისა დაძრულია და ფეხზე წამომდგარი, უქმობა და ცუდობა უნდა გარედ გამობრძანდეს, რადგანაც არც ერთს და არც მეორეს იქ აღარ ედგომილება. საცა სურვილმა გარჯისამ ფეხი მოიკიდა. („ივერია", № 274, 1891, 1).

43(1826). ვინც ბეჯითია და მხნე, ვისაც ფონება აქვს, გულმოდგინე შრომის სურვილი და მხოლოდ ფული აკლია, რომ თავისი საქმე წარიმართოს... მაგისთანა კაცს (ვერაფერი — რედ.) ვერ დააბრკოლებს, ვერ დააფრთხობს, გულს წინადვე ვერ გაუხეთქს, იმიტომ-რომ მხნე და ბეჯითია. („დროება", № 16, 1875, 1).

44(1827). ვინც მხნეა, ის ძლიერია. (III, 380).

45(1828). ვისაც საქმეზედ ლაპარაკი სწყურს, ჯერ თითონ საქმე უნდა შეისწავლოს. აქ ცარიელი მჭერმეტყველობა, თუნდა საქმის სიყვარულითაც ფრთაასხმული, არაფერში გამოსადეგია. მაგისთანა

მჭერმეტყველობა მარტო ყეფა იქნება და არა საბუთიანი სიტყვა, საქმის წამმართებელი და გამასწორებელი. (V, 252).

46(1829). ... თავი-და-თავი წყარო ქვეყნის გაღონიერებისათვის პირ-და-პირ მოწარმოენი არიან, იმიტომ, რომ მარტო ეგენი ჰქმნიან მას, რასაც საპოლიტიკო ეკონომია ქვეყნის სიმდიდრეს ეძახის. („ივერია", № 89, 1887, 2).

47(1830). თაოსნობა, გამჭრიახობა, თვითმოქმედება, — ყველა ამგვარი თავის აღმოსაცენად და განსავითარებლად მოითხრვს ნიადაგს არა იმისთანას, სადაც ფართო გზა და მსელელობა უპყრია ფათერაკობას... (V, 42).

48(1831). თვითეეული ბიჯი თვითონ საქმის თვისებას კი არ. უნდა შეუფეროს და შეუწონოს კაცმა, არამედ გარემოებას, რომელიც ცვალებადია და დაუდგრომელი და ამ ნაირს ყოფაში შეცდომა ძალიან ადვილია. („ივერია", № 249, 1886, 1).

49(1832). ... თვითმოქმედება, ეს თავით თვისით საქმის აჩენა. გაძღოლა და გატანა, რაკი ერთხელ აღფრთოვანდება და დაიძვრის, რაკი ერთხელ შაებმის ცხოვრების უღელში, მისი გამარჯვება, ძლევამოსილობით სელა უეჭველია. მართალია, ეს თვითმოქმედება ხანდისხან ათასნაირ მოსალოდნელ და მოულოდნელ მიზეზთაგან შეფერხდება ხოლმე, მაგრამ ბოლოს-კი მაინც თავისას გაიტანს და ამაშია მისი სიკეთე და ღირსებაცა. (VII, 344).

50(1833). თვითმოქმედება, თავით თვისის საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა, ისეთი თვისებაა ადამიანისათვის, ურომლისოდაც იგი უფრო მონაა, ვიდრე ბატონი. არც ცალკე კაცს, არც საზოგადოებას ერთად, უამთვისებოდ არ ძალუძს სთქვას, მე ვარ და ვცხოვრობო. უამთვისებოდ ერთიც და მეორეც სათრეველაა და არა თვითონ მავალი. (VII, 343).

51(1834). (თვითმოქმედება, კრიტიკა და ვანკითხვა წარმოადგენს — რედ.). ... ერთადერთს სახსარს. ერთადერთს გზას ყოველის საქმის კეთილად, ფრთხილად, წინდახედულად და გონიერად წარმართვისას. (VIII, 61).

52(1835). თვითმოქმედება ყოვლად მხსნელი და ძლევამოსილი ძალია ყოველსფერში და ნამეტნავად მაშინ, როცა კაცს, თუ საზოგადოებას, თავის-თავის შველა უნდა. (IV, 333).

53(1836). თვითმოქმედებას არამცთუ მარტო პირდაპირი სარგებლობა მოაქვს ხორცისათვის, ამასთან იგი იმისთანა სკოლაც არის, საცა იწურთნება ყოველი მოზარდი, იზრდება ახალი თაობა, საცა მოზარდისა, ახალის თაობის ძალ-ღონეს ნაჭედის სიმტკიცე და სიმაგრე ეძლევა, როგორც რკინას სამჭედურში. ამ მხრით თვითმოქმედება ცალკე კაცისა, თუ საზოგადოებისა, უებრო რამ არის და ვერაფერი ვერ

ალემატება, მაგიერობას ვერაფერი ვერ გაუწევს კაცს არსად და არასდროს. (VII, 344).

54(1837). თვითმოქმედებით შექმნა რისამე — ქებაა. (IV, 92).

55(1838). ... თვითმოქმედების ძალ-ღონე თუკი სადმე არის, ყველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფუძველიც. (IV, 322).

56(1839). თითონ საქმის მეტ-ნაკლებობა ... არაფერს შუაშია, დიდი და პატარა სულ ერთია, ოღონდ კაცმა იმას მიჰმართოს, იმას ჩაჰ-ჭიდოს სელი. რაზედაც გული მიუწევს და ნიჭი და უნარი მიუწვდება. უამისოდ ყოველი დიდი საქმე მცირეა და ამისით კი ყოველი პატარაც დიდია. (IV, 246).

57(1840). „თუ თვით არ ვიღწვით, ვერ ვპოვებთ,
კეთილსა შესაკრებელსა“.* (IV, 368; VIII, 331)

58(1841). თუ კაცი თვითონ არ არის, თვითონ არა ჰშველის თავის თავს, თვითონ არ ირჯება თავის სიკეთისა და ბედნიერებისათვის და თავის საკუთარ მხნეობის გარეთ ეძიებს ხახსარს ცხოვრების ავკარგიანობის გასაძღოლად, — ამისთანა კაცი გადადებულია უფრო სასიკვდილოდ, ვიდრე სასიცოცხლოდ. (IV, 354; VIII, 315).

59(1842). (თუ კაცმა — რედ.) გულის ფიცარზე არ დაიწერა, რომ ქონება მარტო ცნობიერს შრომასა და გარჯას მოაქვს, სულ ამაო იქნება. ყოველ უამისოდ ქონება ხელიდამ გამოეცლება და მხნესა და გარჯე კაცს ჩაუვარდება. („ივერია“, № 272, 1891, 1)

60(1843). ... თუ კაცს უნდა, საქმითაც, ნახვითაც, დაკვირვებითაც ბევრს რასმეს იმისთანას შეიძენს, რომელიც დიდს შემწეობას მისცემს, თუ კაცს გარჯა უნდა... („ივერია“, № 36, 1898, 1).

61(1844). ... თუ საქმე არ არის, არც წვრთნაა, არც ვარჯიშობა... („ივერია“, № 21, 1892. 2).

62(1845). თუ ... საქმეს ნდობა არ დაედვა ქვაკუთხედ, ყოველიფე მეცადინეობა უქმია და გზაგაუტანელი. (VII, 50).

63(1846). ... თუ... საქმის გარემოება ვრცლად არ გამოესახა კაცს გონების თვალწინ, ძნელია უტყუარი სჯა იქონიოს. (VIII, 33-34).

64(1847). თქმა არ უნდა, რომ დიდად ძნელი რამ არის ერთს განსაზღვრულს წესს დაუქვემდებაროს... კაცმა საქმე. (VII, 233).

65(1848). იგი ქვეყანაა უფრო ბედნიერი, უფრო ღონიერი სულითა და ხორცით, რომელსაც თვითმოქმედება გაძლიერებული აქვს და ყოველის მოძრაობის სათავედ შეჰქმნია. (VII, 344).

66(1849). ისტორია და წარმატება იმისი-კი არ არის, ვინც მარტო თავის-თავის ავკარგიანობას შეჰხარის, ვინც მარტო დღევანდელო-

---

* შდრ.: „აქ თუ არ ვიღვწით ვერ ვპოვებთ სხვას კეთილ მოსაკრებელსა“, არჩილი. (რედ.).

ბას — აეია თუ კარგი — პკმარობს, ეითარცა ხელშეუვალს რასმე ანდერძს მამა-პაპეულს, არამედ იმისია, ეინც მას არა პკმარობს — რაც დღეს არის, და ვისაც დღევანდელობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის და არა ბინად, საცა კაცმა თავი უნდა შეიკეტის, როგორც სამუდამო სადგურში, სამუდამოდ გულზე ხელ-დასაკრებად და მოსასვენებლად. (IX, 113-114).

67(1850). ისტორია და წარმატება — მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერეისისათვის მებრძოლის კუთვნილია. (IX, 114).

68(1851). ... იშეიათი ამბავია, რომ დაუღალავს მხნეობასა და საქმის ბოლომდე მედგრად მიყოლას თავი არ გაეტანოს. (IV, 368, VIII, 331).

69(1852). „იცით, რომ ყოველს საგანს (თუ სულიერს) ღონისძიება უნდა“ ... კაცსაც ცხოვრების ღონისძიება უნდა. (III, 333-334).

70(1853). იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ. (V, 11)

71(1854). კავკასიაში ბევრს ადგილას ამოდის ნავთი, მაგრამ იმოდენა კი, რაც ბაქოში, არსად არ არის...

ბაქოს ნავთის წყარონი ისე მდიდარნი არიან, რომ მართლა გასაოცარი და იშეიათი ამბავია. (VII, 273-274).

72(1855). ... კარგად დალაგებით დაწყობილი თავიდამვე საქმე ბოლომდინ ანკარა წყაროსავით გავა. (II, 331).

73(1856). კარგის გზების უქონლობა შესამჩნევი ნაკლულევანებაა ხალხის ცხოვრებაში, გზების უქონლობა ხელს უშლის ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობას, უკან აყენებს, აფერხებს მის ცხოვრების წინ მსვლელობას. გზები უადვილებს ხალხს ერთი-ერთმანეთში მისელა-მოსელას, აღებ-მიცემას, ნაწარმოების გასაღებას. ეს მარტივი და ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტებაა... ეს ჭეშმარიტება აღიარებულია. (VII, 246).

74(1857). კაცი ბეჯითი, მხნე, შრომის მოყვარე რამოდენასაც თავის თავს შეჰმატებს. იმოდენას შეჰმატებს ჩვენს ქვეყანასაცა. („დროება“, № 16, 1875; 1; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, ხელნაწერი № 197, ფურც. 1).

75(1858). კაცი თვით საქმეში მყოფი სხვაა და გარედამ მაყურებელი სულ სხვა. („ივერია“, № 249, 1886, 1).

76(1859). კაცს თუ საზოგადოებას არა ეძლევა-რა ამ წუთისსოფელში უშრომელად, გაურჯელად, (VII, 343-344).

77(1860). კახეთის რკინის გზა იმოდენად სახეირო. იმოდენ მოგების მომასწავებელი, რომ ფული, ჩემის ფიქრით, ადვილად მოგვენდო-

ბა, თუ-კი თვითონ საქმეს ჭკუითა და შორმხედველობით დავაწყობთ და რიგიან და მცოდნე კაცებს შევურჩევთ. („ივერია", № 273, 1892, 3).

78(1861). კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედურიდ, ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება ღიდს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა. ერთმანეთზე მისევა. ვინც ვინდ იყოს, იაფად არ დაუჯდება. (IX, 280).

79(1862). მართალია, შესაძლოა სხვა გარემოებამაც ხელი შეუწყოს კაცს გაჭირვებისაგან დახსნისათვის, მაგრამ თავი-და-თავი მომქმედი ძალი მთა-კლდის გასარღვევად მაინც კაცის საკუთარი მხნეობაა, საკუთარი თვითმოქმედებაა. (IV, 366; VIII, 329).

80(1863). მარტო გამრჯელი და მხნე კაცია ქვეყნის შემნახველი, ქვეყნის გამომკვებელი, ქვეყნის სიმდიდრის დამადგინებელი. („ივერია", № 273, 1891, 1).

81(1864). მარტო თვით-მოქმედებაა თითქმის ერთად-ერთი სახსარი ამ ჭირ-ბოროტიანს ქვეყანას გაუძღვეს კაცი სახელითა და გამარჯვებითა. („ივერია", № 21, 1892, 2).

82(1865). მარტო იგი შრომაა, იგი გარჯაა ნაყოფიერი, რომლის საძირკველიც ანუ სათავე საკუთარი თაოსნობაა, და ძალ-ღონე კიდევ საკუთარი მარჯვენა. (VII, 344).

83(1866). მარტო ის საქმე მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძილი; უამისოდ ვერა საქმე ვერ გასძლებს, ვერ მოიტანს ნაყოფსა, როგორც თესლი უდედამიწოდ. (III, 65).

84(1867). მარტო მხნეობას შესძლებია არამცთუ არა რაისაგან რისამე ქმნა, არამედ ქმნილის გაზდა და გაძლიერება. („ივერია", № 4. 1900, 3).

85(1868). მარტო საკუთარი სურვილია საჭირო, რომ ჩვენს თავს ჩვენვე ვუშველოთ. ამ სურვილის გაღვიძებაზეა დამოკიდებული მთელი სიმარჯვე (ამა თუ იმ — რედ.) საქმისაცა. (VII, 29-30).

86(1869). მარტო საკუთარს თვითმოქმედებას, მხნეობას, გამრჯელობას წარუმართნია საქმე როგორც საზოგადოებისა, ისე ცალკე კაცისა. რომელი საზოგადოებაც, თუ ცალკე კაცი, სხვაზედ დანდობილა და თითონ გულხელი დაუკრებია, იმას ამ ქვეყანაში პური არსობისა ვერ გამოუცხვია და საცა ეგ პური არ არის, იქ არც სიცოცხლეა, — იქ მკვდარი მკვდარზეა აკიდებული, საფლავამდე წასაღებად.* (IV, 366-367; VIII, 329).

87(1870). მარტო ღარიბია იძულებული მარჯვენაც ამოქმედოს და ღიდი მხნეობაც გამოიჩინოს ამ ცხოვრების ჭიდილისათვის. ამის გამო

* ამ აზრში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე წამიღეო". (რედ.).

ღარიბთა შორის უფრო ხშირია მხნე კაცი, ვიდრე მდიდრებ შორის. (IV, 354).

88(1871). მაწუხებს უსაქმობა (X, 296).

89(1872). მე შენ დამიჯერე, წადილი იყოს, თორემ შეძლება ყოველთვის იქნება. (II, 58).

90(1873). მერწმუნეთ, თუ ქონებრივად ღონივრები იქნებით, ყოველივე სიკეთე ამქვეყნიური თავისით მოგადგებათ კარზე. („ილიას სამრეკლო", თბ., 1987, გვ. 151).

91(1874). მთელს ქვეყნიერებაზედ მიწისა და მამულის დაფასების საფუძვლად მიღებულია მისი შემოსავლის ღონიერება. (VII, 334).

92(1875). მოედანი ცხოვრებისა იმისია, ვინც თითონ მხნეობს და ირჯება თავის-თავის საშველად. (IV, 366; VIII, 329).

93(1876). მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი... (II, 21).

94(1877). (მომწიფდა ჩვენში ის აზრი, რომ — რედ.) საცა ... მხნეობა გაქარწყლებულია, საცა გარჯა, ჯაფა, შრომა დავიწყებულია, იქ ერი უღონოა და უძლური, თუნდა სულ თავიდამ ფეხამდე ოქროში ჩასვა. (VIII, 320).

95(1878). მოჭირნახულე, გამრჯელი კაცი რომ თავის ჭირნახულს და ნამუშევარს გამორჩეს რასმე, საჭიროა ბაზარი ჰქონდეს და ამ ბაზარს ადვილი, გაუჭირებელი მისასვლელ-მოსასვლელი, რომ მიზიდ-მოზიდვის ხარჯს ნაჭირნახულევმა უზარალოდ გაუძლოს. აქ გზებია საჭირო. („ივერია", № 274, 1891, 1).

96(1879). მცონარეობას რომ საზრდო მივსცეთ, ეგ მცონარეობის წაქეზებასა და გამრავლებას მოასწავებს. წაქეზება, ხელის გამართვა გაჭირებულს ბეჯითობას უნდა, იმიტომ, რომ მარტო ბეჯითობაა ჩვენი მხსნელი და ქვეყნისათვის ნაყოფიერი, — და არა მშიერს მცონარეობას, რომელიც იმოდენად დიდს პირს აღებს, რამოდენადაც დიდს ლუკმას აწვდით და რომელიც რამოდენად ძლიერია, იმოდენად აღარიბებს ქვეყანასა. („დროება", № 16, 1875, 1; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, ხელნაწერი № 197, ფურც. 1-2).

97(1880). მძიმე და რთული საქმე იმიტომ არის მძიმე და რთული, რომ ვერც ავის წამალი აქვს ადვილად საპოვნელი და ვერც კარგისა. პირიქით რომ იყოს, ქვეყანაზედ ხომ არც მძიმე საქმე იქნებოდა, არც რთული. (V, 311).

98(1881). ... მხნე და გამრჯელი კაცი არ უნდა შეუშინდეს სიდიდეს საქმისას და, მაშასადამე, გაძღოლისასაც. (VII, 49).

99(1882). მხნე იყავ და ძლიერი.* აი, ერთადერთი გზა, რომელიც კაცს მთა და გორას გაარღვევეინებს ხოლმე, აი ერთადერთი სახსარი უღონობისა და უძლურებისაგან გამომსსნელი... (VII,I, 320).

100(1883). მხნე იყავ მუდამ, ნუ დაეცემი,
ძნელ ტანჯვებშია გამოიკალე,
მომავალია ნუგეშ-მომცემი,
რაც ვერ პპოვე დღეს, იპოვი ხვალე. (I. 313, 367, ეკ. LXVIII).

101(1884). მხოლოდ მაშინ კაცი შეიყვარებს ხოლმე შრომას და ბუნებით სიძულილს მოსპობს, როცა იგი მიაღწევინებს ხოლმე დიდ საგნამდინა. (II. 461).

102(1885). ნიჭი, გარჯა და მხნეობა დღეს თუ ხვალ ფულსაც იშოვის და შემწეობასაც მოიპოვებს; ყოველივე ეგ თითონ ფულია, თითონ ღონეა და სიმდიდრე, ოღონდ კი კაცი ნუ შეიკეტება ოთხ-კედელ-შუა, ოღონდ კი გულხელდაკრეფილი ცას ნუ შეეაჩერდებით: აცა, მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდებაო. (IV, 340).

103(1886). ... ნიჭსა, გარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან და ან ვის მოსთხოვს სხვას, თუ არ განათლებულსა და მცოდნე კაცსა!.. (IV, 340).

104(1887). ნუ შეშინდებით, ქვეყანა ღონიერია. (X, 292).

105(1888). ... პატარა ნიჩბითაც ბევრი რამ გაკეთდება და ძალიან შესაძლოა ცოტ-ცოტაობისაგან დიდი საქმე გამოვიდეს. აქ საჭიროა მოთმინება... (VII, 42).

106(1889). ... პატიოსანი შრომა, ზომ მოგეხსენებათ, ეხლანდელს დროში მარტო იმას თუ იძლევა, რომ კაცი მშიერ-მწყურვალი არ მოკვდეს. („იუერია", №229, 1886, 3).

107(1890). რასაკვირველია, ყოველს საქმეს დაბრკოლებაც თან მოსდევს ხოლმე. მაგრამ ... ზოგი იმისთანა დაბრკოლებაა ... რომლის ძლევაც შეიძლება; ზოგი იმისთანაა, რომელთაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თაეგამოდება უქმია. („საქართველოს მოამბე", № 11, 1863, 1).

108(1891). რამოდენადაც სიამოვნება მაღალია და შესაფერია ღვთის-კერძ კაცისა იმოდენად შრომა როგორც გზა-მიმავალი სანატრელ საგნამდინა, ხალისიანია. (II, 461).

109(1892). რამოდენაც კაცში დიდია სიამოვნების სურვილი, იმოდენად მასში ძლიერია ბეჯითობა შრომაში, რადგან ქვეყანაზედ სიამოვნება უშრომოდ არ მოიპოვება. II, 461).

---

* შდრ.: „მხნე ყოფენ ეგ განძლიერდი".
დ. გურამიშვილი (რედ.).

110(1893). რაც გინდ დიდ გაჭირვებაში ჩაეარდეს კაცი, ერთადერთი გზა ხსნისა კაცის საკუთარი მხნეობა და გამრჯელობაა. (IV, 366; VIII, 329).

111(1894). (ოთულ გარემოებათა კრებული — რედ.) ... ხშირად ცოდნას უკან აყენებს და გამორჩომისათვის ათმობინებს ადგილსა. ესეთი ძალა აქვს საეკონომიო ძალასა. VII, 123).

112(1895). რომ ქონება მართლა გამრჯელ და მხნე კაცის ხელში გადავიდეს უქმის კაცის ხელიდამ. აქ ქვეყანა მოგებაშია და არა წაგებაში. („ივერია", №273, 1991, 1).

113(1896). რომელს უქმს და გაურჯელს კაცს დაუდგა ხელში მილიონები...? (VIII, 328).

114(1897). როცა დიდი, სასარგებლო და ხეირის მომცემი საქმე თვითონ გეტანებათ; როცა ცხოვრება თვით გაძლევთ ხელში სამრეწველო განვითარებისა და წარმატების ღერძს, რომლის შემწეობითაც შეგიძლიათ, თქვენის სურვილისამებრ, ატრიალოთ ესა თუ ის ჩარხი ცხოვრებისა, — სწორედ დიდი უგუნურება იქნება კაცმა ხელი არ მოკიდოს საქმეს, არ გაისარჯოს და უარს ამბობდეს მოსალოდნელ შრომასა და ხეირზე; უგუნურება იქნება, თუ, რასაკვირველია, ბეჯითი და ზედ-მიწევნილი გამოკვლევა დაამტკიცებს, რომ წინამდებარე საქმე ყოველად სახეირო და გამოსარჩომიაო. („ივერია", № 23, 1893, 1).

115(1898). ... საეკონომიო სფეროში წინამძღვრობს მარტო სიიეფე და სიკეთე სასყიდელ საქონლისა და სხვა არა-რა. (VII, 63).

116(1899). . საზოგადოების დედა-ბურჯი ის არის, რომ ყველამ თავისი მოიხმაროს და თავისით ირჩინოს თავი და რომლის წინაშე ყველა დავალებულია, რომ ეს წესი ცხოვრებისა არავის არ დაარღვევინოს დაუსჯელად. (VIII, 267).

117(1900). საკუთრებას ორი ნაწილი შეადგენს: ერთი — პირადი, მეორე — ზოგადი, რადგანაც იგი არსებობს არა მარტო ცალკე კაცის სარგებლობისათვის, რომ ნაამაგარი მისის შრომისა მასვე მოახმაროს, არამედ საზოგადოების სარგებლობისათვისაც, რომ შესაძლოდ და დღეგრძელად ჰქმნას არსებობა თვით საზოგადოებისა.

... რომელი ერიც გინდა აიღოთ მთელს ქვეყნიერობაზედ ანახავთ, რომ ყველა ერის ეკონომიური ცხოვრება იმის ბრძოლაში დალეულა და ილევა დღესაც, რომ ან ერთი ნაწილი საკუთრებისა აუფლოს ქვეყანაზედ, და ან მეორე. (VI, 141).

118(1901). ... საპოლიტიკო ეკონომიას საყოველთაო კეთილ-დღეობა აქვს სახეში და არა ცალკე კაცის, ან თუნდა ერთის რომელისამე წოდების მეტ-ნაკლებობა. ეს რომ არ იყოს, საპოლიტიკო ეკონომია ცალკე კაცის, ანუ წოდების მსახური იქნებოდა და არა მსოფლიოდ

თავის სფერაში გზის მაჩვენებელი, როგორც ყოველივე სხვა მეცნიერება. („ივერია". № 143, 1887. 1).

119(1902). სარჩო-საბალებელი ბინას ვერ მოიკიდებს ცუდა კაცის ხელში და იქა გროვდება, საცა გამრჯელობაა, მხნეობა და სიმარჯვე. („ივერია", № 273, 1891, 1).

120(1903). საქმე გარჯა და ბხნეობაა. ღონეც ამაშია ადამიანისა და ძლიერებაც. უამისოდ არც ფულია ღონის მომცემი, არც უფულობაა ღონის დამკლები. აქ ფული და უფულობა არაფერს შუაშია. (VIII, 320).

121(1904). საქმე გასაწირავად უნდა ღირ(დეს — რედ.), უამისოდ ყოველივე გაწირვა, უთაურობაა, სხვა რომ არა ვთქვათ რა. („ივერია", №216, 1893, 2).

122(1905). საქმე ცდა არის, რომელიც სწორედ უნდა მოგახსენოთ, მხნეობის ნიშანია. („ივერია", №72. 1897, 3).

123(1906). საქმეა სიცოცხლე... (II, 315).

124(1907). საქმეა ყოველისფრის გამომცდელი. (III, 67).

125(1908). საქმეში რო მხოლოდ შენიშნო რამე შეცდომილება ეს ჯერეთ იმის დამტკიცებას არა ჰნიშნავს, რომა მთელი საქმე არის ტყუილი და არა მართალი. („საქართველოს მოამბე", № 5, 1863, 7 (85).

126(1909). საქმის დანახვა სჯობს ცრემლით თვალების აბმასა. (II, 66).

127(1910). საქმის კვალში ჩადგომას ... შნო უნდა, უნარი, წარმატებული გონება და ქვეყნის ავ-კარგიანობის ცოდნა. („ივერია", № 15, 1893, 4).

128(1911). საქმის რიგიანად წაყვანა თავიდამ უნდა და არა ბოლოდამ.* (V, 365).

129(1912). (საქმის სირთულეს და — რედ.) ... სიდიდეს კაცი არ უნდა შეუშინდეს. VII, 42).

130(1913). (საქმისაგან — რედ.) ... ხელის-აღება და თავის დაბენება მარტო მაშინ არის შესაწყნარებელი, როცა გზა აღარ არის, როცა საქმეს არსაიდამ აღარ მოევლება („ივერია", № 23, 1888, 1).

131(1914). საცა ... გამრჯელნი და მხნენი არიან, ქვეყანა იგი ძლიერია და ღონიერი სულითაც და ხორცითაც. (IV, 262).

132(1915). ... საცა ... თვითმოქმედება გაღვიძებული არ არის, იქ კერძო კაციც ცალკე და საზოგადოებაც საერთოდ ფერმკრთალია, ულონო და ცოცხალმკვდარი. (VII, 344).

133(1916). საცა კაცი თითონ არ არის, სხვისით არა გაკეთებულა რა. (IV, 322).

---

* შდრ.: „კაცმან უნდა თავითგანვე საქმე კარგად მაისდინოს".
დ. გურამიშვილი. (რედ.).

134(1917). საცა მოძრაობაა, იქ სიცოცხლეც არის. (III, 291).

135(1918). (საწარმოო ნარჩენები — რედ.) ... მრავალგვარად გამოსაყენია და გამოსარჩომი, თუ კაცს ცოდნა და ხერხი ექნება. (VII, 278).

136(1919). საჭირო არ არის კაცი საისტორიო გამოძიებათა ბარდეებში გაებას იმ უცილობელის და ყველასაგან ცნობილი ამბის დასამტკიცებლად, რომ პირველყოფილ დროს, როცა თავდაპირველ დაეწყენენ კაცთა საზოგადოებანი, ზოგადს ელემენტს საკუთრებისას, თუ არ განსაკუთრებით, გადაჭარბებით მაინც, მეტი და უპირატესი ადგილი ეჭირა კაცთა ცხოვრებაში. (VI, 142).

137(1920). სიმდიდრე იმისთანა ბუნებისაა, რომ ყოველთვის მიურბის ხელიდამ უუნაროს და უქმს და მიეზიდება უნარიან და საქმიან კაცისაკენ. ეს ეკონომიური რკინის კანონია და ისე გარდაუვალი, აუცილებელი, დაურღვეველი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი. ვინც ამ რკინის კანონს ეჭიდება, გადასატეხად, ის უფრო ადრე თვითონ გადატყდება ამაო ბღაუჭობაში; ის ტყუილადა სცდება, ტყუილად აცდენს სხვასაცა და ტყუილად აფერხებს, აყოვნებს სვლას წარმატების გზაზედ, რადგანაც მართალს გზას თვალს არიდებს და ტყუილს ღობე-ყორეს კი ეტანება. (VIII, 326).

138(1921). სიმდიდრე სახელმწიფოსი შესდგება ვაჭრების სიმდიდრისაგანა კი არა, არამედ მომქმედთა და ნამოქმედარის მხმარებელთა სიმდიდრისაგან. (V, 200).

139(1922). სიტყვა საქმეა. (V, 148).

140(1923). სრულ-ყოფილად საქმე არავის გაუჩენია. დროსა და გამოცდილებას ყოველთვის უსწორებია პირველში არ-დანახული ავკარგიანობა ახლად გაჩენილის საქმისა. („ივერია", № 27, 1896, 1).

141(1924). სხვა მიზეზთა შორის, რომელნიც ხელს უწყობენ ხალხის კეთილდღეობას, არა-ნაკლები ადგილი უჭირავს ... რიგიანად მოწყობილ და მისვლა-მოსვლის გასაადვილებელ გზების სიმრავლეს. (VII, 246).

142(1925). სხვაზედ განსხვავებულის რისამე შექმნას-თვითმოქმედება და თვითმოქმედების უნარი უნდა, სულ ერთია, ზნე-ჩვეულებას აიღებთ ამ შემთხვევაში, ოჯახებურ და საზოგადოებრივ წყობილებას, სარწმუნოებას, ენას, თუ სხვას რასმე. (IV, 92).

143(1926). უნდა ვეცადნეთ, ყოველს ახალს საქმეს ისეთი თესლი ავურჩიოთ, რაც შეიძლება, მეტი ნაყოფი გამოიღოს. თუ თესლი დაკვირვებით არ აირჩა, ნაყოფსაც რიგიანს ნუ ელოდებით. („ივერია", № 125, 1893, 3).

144(1927). ...უქმად წარმავალი გარჯა ჩვენი. უქმად წარხდომილი მხნეობა და ცდა, ქანცს უწყვეტს გამრჯელს და მის მაყურებელ ერს

ხომ გული უტყდება. თაეის-თაეზე სასოება და იმედი ეკარგება, და აქედამ გაჭნა დიდი მანძილიდაა სრულიად განადგურებამდე! IV, 20).

145(1928). (უქმობისა და ცუდაობის — რედ.) ... სახსნელი მარტო ერთი რჩევაა: გაისარჯენით. („ივერია". № 274, 1891, 2).

146(1929). უქმს ხელს ქონება გაურბის და მიდის იქ, საცა კაცი მომქმედია და მუშა. („ივერია", № 273, 1891,1).

147(1930). ... ქვეყანა და მისნი შადლნი ყოველთვის და ყოველგან მარტო მშრომელისა და გამრჯელისა ყოფილა და არის. (VIII, 325).

148(1931). ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოვავს ნაღვაწს. V, 13).

149(1932). ქვეყანა ღონიერია, მარტო ერთი მკლავის გაქნევა უნდა, თავს ყველა დაირჩენს. (II, 98-99).

150(1933). ქვეყანა ღონიერია ... ოღონდ ჭირს ნუ გაუტყდები, ნუ ვაელახვინები... (II, 260).

151(1934). (ქვეყნის ეკონომიკურ საჭიროებათა — რედ.) კმაყოფილების დაკლება ცხადი გაღარიბებაა. (V, 217).

152(1935). ქვეყნის რომლისამე მრეწველობის განკარგებას საერთო, საყოველთაო ღონე სჭირია, როგორც გონებრივი, ზნეობრივი, აგრედვე ქონებრივიცა. („ივერია", № 234, 1886, I).

153(1936). (ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეში — რედ.) ... მცირეოდენის გაწირვა და გაცემა დიდის სიკეთის მომავლინებელია ყველასათვის ერთად და სათითაოდ ცალკე და ყოველი დაზოგვა და არ-გაცემა-დაკარგვაა. (VII, 35).

154(1937). ქვეყნისათვის საშიში ... არ არის, თუ ქონება მართლა გამრჯელ და მხნე კაცის ხელში გადავიდეს უქმის კაცის ხელიდამ. აქ ქვეყანა მოგებაშია და არა წაგებაში. („ივერია", № 273, 1891, 1).

155(1938) ... ქონება მარტო ცნობიერს შრომასა და გარჯას მოაქვს. („ივერია", № 273, 1891, 1).

156(1939). ღვთით არ-გაწირულს ყველგან წინ უძღვის
მისი მარჯვენე შემწყნარებელი. (I, 216).

157(1940). ...ღმერთი მარტო გამრჯელის მწყალობელია და უხეიროს, უქმს, უსაქმურს პირს არიდებს. (III, 379).

158(1941). ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო. (V, 288).

159(1942). ... ღმერთმა ყოვლად შემძლებელი, ცხოველმყოფელი სიჭაბუკე არ მოგაკლოთ, არ მოგიშალოთ, ვინემ ცოცხალ ხართ. (III, 374).

160(1943). ... ღმერთს მარტო თვითგამრჯელი, თვითმომქმედი, ხელგამომავალი კაცი უყვარს და ამისთანა კაცსა ჰშვენის, ამისთანა კაცსა სწყალობს. (V, 336).

161(1944). ღონე ქვეყნისა მარტო ნიჭიერი და მხნე კაცია. უფულობა და უქონლობა-კი არა. ნიჭიერ და მხნე კაცთა უყოლობა ჰქმნის ერსა, უღონოდაო, — ამბობს ვოლტერი. (IV. 248).

162(1945). ყველა საქმეს გულისყური უნდა, გამჭრიახობა და სიმარჯვე. (V, 315).

163(1946). (ყველამ — რედ.) თავის სატკივარს თვითონვე უნდა უწამლოს თავის-თავს თითონვე უნდა უშველოს. (V, 339).

164(1947). ყველამ იცის, რომ საბსახურისა და ერთობ შრომისა და გარჯის წამახალისებელი იგი სასყიდელია. რომელსაც თავის შრომისა და გარჯისაგან გამოელოდება მშრომელი... თუ შრომა და გარჯა ამას არ იძლევა, ძნელად თუ ნაყოფმა შრომისამ იმოდენა სიკეთე ბოიტანოს, რამოდენაც სანატრელია. (VIII, 216).

165(1948). ყველასთვის იქმნეს იგი (შრომის — რედ.) სუფევა
თანასწორადა ნიჭთა მფენელი;
მის მადლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი.
მაშინ უქმს სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთმოყვარება და სათნოება.* (I, 141).

166(1949). (ყოველ ახალ საქმეს — რედ.) ... პირველშივე ტყეილებით და თავ-დაუჭერელ ცილებით-კი არ უნდა კაცმა წაუხდინოს სახელი, არამედ უნდა შეეწიოს, უშველოს, ჭკვიანურის და გულ-მართალის დარიგებითა და რჩევითა. („ივერია", № 27, 1896, 2).

167(1950). ... ყოველ ეკონომიურ მოძრაობის ბუნებური თვისება ის არის, რომ კაცს იქით მიიზიდავს, სადაც მეტი გამორჩომაა. („ივერია", № 103, 1891, 2).

168(1951). (ყოველგვარი სიმდიდრე — რედ.) ... ყოველთვის უქმს მიურბის, რომ საქმიანს კაცს მიეცეს. (VIII, 327).

169(1952). (ყოველი ახალ — რედ.) ... საქმე ჯერ ახლად ფეხადგმულს ბავშსა ჰგავს და ახლად ფეხადგმულს ვინ მოსთხოვს ეაყიკაცისავით სწორე სიარულს! (V, 44).

170(1953). ყოველი დიდი საქმე კაცობრიობისა, ყოველივე ახლად შემოღებულნი, ახლად აღმოჩენილნი სიკეთენი, რა თქმა უნდა, მომზადებულ ნიადაგზედ იბადებიან და ჩნდებიან, ხოლო რაკი ერთხელ

---

* ამ სტროფის ბოლო ოთხი ტაეპი იხ. აგრეთვე: I, გვ. CII, ხოლო მთელი სტროფის ვარიანტები — I, 476, 477). (რედ.).

გაჩნდნენ ერთს რომელსამე ნიადაგზედ, სხვა ნიადაგზედაც სახეირონი არიან. სხვა ნიადაგსაც არ ეუცხოებიან. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ არსება, ბუნება ახლად შემოსაღებისა, რომელიც თუნდ სხვა ნიადაგზედ იყოს ნაცადი და აღმოცენილი, თავისთავად სარგო და ხეირიანი იყოს. (VII, 373).

171(1954). ... ყოველი საგანი წარმოებისა სარჩოა, და მოჭარბებული სარჩო საქონელია. (V, 219).

172(1955). ... ყოველი საქმის წარმატება დამყარებული უნდა იყოს თვითონ ამ საქმის არსებით პირობათა მომართვაზედ და არა სხვა რომელსამე გარეშე გარემოებაზედ. ქველმოქმედება ვერაფერი თამასუქია საქმის წარმატებისათვის. („დროება", № 93, 1880, 1).

173(1956). ... ყოველივე წარმოება ჯერ იხარჯება, მერე იბრუნებს თავის ხარჯსა და მოგებასა. („ივერია", № 89, 1887, 1).

174(1957). ყოველის კეთების ავკარგიანობა ნაკეთარმა უნდა გამოაჩინოს. რამოდენადაც ნაკეთარია კარგი ან ცუდი, იმოდენად კეთებაც კარგი, ან ცუდი უნდა იყოს. ეს აშკარაა. (VII, 80).

175(1958). ... ყოველს ... ეკონომიურს ქონება უქმის ხელისაგან საქმიან ხელში გადააქვს და, მაშასადამე, ეკონომიური ღონე ქონებისა ძლიერდება, ბევრდება, ჰმატულობს. ეს ეკონომიური ბუნებაა ყოველის ქონებისა: უქმს ხელში არა ჰრჩება და საქმიანის ხელისაკენ ძიიზიდება. („ივერია", № 142, 1887, 1).

176(1959). ყოველს საქმეს დაბრკოლებაც თან მოსდევს ხოლმე. („საქართველოს მოამბე", №11, 1863, 1).

177(1960). ... ყოველს შრომას და ჯაფას საზღაური უნდა მიეცეს. ჩვენ ამას თანავუგრძნობთ, როგორც უტყუარს დედააზრს. (VIII, 217).

178(1961). ყოფა, რომლის გამოც პატრონს რწმუნება არა აქვს თავის უფლების შეურყეველობისა, ყველგან შემხუთველია მისი, რასაც ეკონომიური წარმატება ჰქვიან. („ივერია", № 55, 1889. 1).

179(1962). ... ყოფილა, არის და იქნება კვლავაც იმისთანა შემთხვევა, როცა საქმეს უნდა შეეწიროს ყოველივე ფორმა, ყოველივე პრინციპი, იმიტომ-რომ თვითონ ფორმა, თუ პრინციპი საქმის სიკეთისათვის არის და არა საქმის სიკეთე ფორმისა და პრინციპისათვის. („ივერია", № 103, 1888, 1).

180(1963). შეიძლება კაცს აუარებელი ცოდნა და სწავლა ჰქონდეს და ... ერთი ფეხიც ვერ წადგას, თუ ის „სხვა უნარიც" არა ჰშველის. ის „სხვა უნარი" იგია, რასაც თვითმსჯელობას, თავისით მოქმედებას, თავისით სვლას ეძახიან. (III, 156).

181(1964). ... შემძლებელს კაცს სად არ ძიუწვდება ხელი. (IX, 54).

182(1965). შენს საქმეზედ იყავ ბეჯითი, გულმოდგინე, ერთგული, რომ ღმერთიც მადლობელი იყოს და კაციც. (II, 54).

183(1966). შექსპირმა სთქვა: „არარაისაგან არ იქმნების არარაი-ცაი“ ... მხნეობას შესძლებია არამცთუ არა რაისაგან რისამე ქმნა, არამედ ქმნილის გაზდა და გაძლიერება. („ივერია“, № 4, 1900, 3).

184(1967). (შეცდომა, წინდაუხედაობა, თუ სხვა რამ ნაკლებულობა — რედ.) ... ყოველს ახალს საქმესში აუცილებელნი არიან. (V, 161).

185(1968). (შრომა — რედ.) ... ბუნებითად ყველას განმათასასწორებელია, რადგანაც ყველა უნდა მშრომელი იყოს. (VI, 54).

186(1969). (შრომა, გარჯა, მხნეობა — რედ.) — აი ძლიერების, ღონიერობის სათავე სად არის. ფული აქ რა სახსენებელია! (VIII, 320).

187(1970). შრომა კაცსა სძულს, მაგრამ აუცილებელია. (II, 461).

188(1971). შრომა

მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა.* (I, 140).

189(1972) ... შრომა ... რამოდენადაც თავისუფალია, იმოდენად ყოველად-შემძლებელიც არის. VI, 19).

190(1973). შრომა ღონისძიებაა მისაღწევად რისადმე. ეგრე რომ არ იყოს, ნაცარქექიობაც შრომა იქნება. და იგივე ნაცარქექიობა, ვითარცა შრომა, ცხოვრება იქნება და ის ცხოვრება — სიამოვნება. (II, 462).

191(1974). შრომა-ცხოვრებაა, ცხოვრება-სიამოვნებაა. (II, 460).

192(1975). შრომის მოყვარე კაცზე გაცემული ფული არასოდეს არ დაიკარგება. („ცნობის ფურცელი“, №2011, 1902, 3).

193(1976). შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი

ძლევამოსილის ამ (XIX — რედ.) საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზეირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.** (I, 140).

194(1977) ... ჩვენ თვითონაც თითი გავძრათ ... ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქმნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა პრწყავს, არა სხლავს. არა ჰფურჩქნის, არ უვლის, არ პპატრონობს. (V, 10).

195(1978). ჩვენ ხნეობა და გამრჯელობა გვაკლია და აი სათავე, საიდმაც უნდა მოსწყდეს ჩვენის უძლურებისა და ულონობის მომდინარეობა. VIII, 320).

196(1979). ჩვენ ხალხს კარგად ესმის გზების სარგებლობა, წინათაც უკისრნია გზების გაკეთება და ის ყოველთვის მზად არის, ოღონდ საქმის რიგიანი მაჩვენებელი და წარმართველი ჰყვანდეს. VII, 248).

197(1980). ჩვენი ეგრეთწოდებული ეკონომიური ყოფა-ცხოვრება ერთი იმისთანა საგანია ჩვენში, რომელიც ყველაზედ ნაკლებ ხელხლე-

* იხ. აგრეთვე: I, გვ. CII. (რედ.).

** იხ. აგრეთვე: I. გვ. LXV, CII. (რედ.).

ბულია ჩვენ მიერ, ყველაზედ მეტად ყურადღების და ზრუნვის გართ დარჩენილია. თითქო სხვა ყოველთა საჭიროებათა შორის ამ ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებას დღეს უპირველესი ადგილი არ ეჭიროს ყველგან, და ჩვენში ხომ რაღა თქმა უნდა. (VII. 36).

198(1981) ... ჩვენი ქვეყანა ... საჭიროებს ... იმისთანა გზებსა, რომელიც გამსყიდავს და მსყიდავს მალე, უწყინარად და იაფად შეახვედრებს. ამისთანა გზებს საეკონომიო გზებს ეძახიან. ამათი დანიშნულება ის არის, რომ მწარმოებელს ბაზარი დაუახლოვოს, ბაზარში მისვლა-მოსვლა არ გაუჭიროს და საზიდავმა გადაზიდვაში მეტი ხარჯი არ გადაიყოლოს. (V, 139).

199(1982). (ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ბურთი და მოედანი — რედ.) ... დაინარჩუნა იმან, ვინც უფრო მალე მიუხვდა დროთა ბრუნვას, დროთა ჭირბოროტს, ვინც დროთა ძარღვს მარჯვედ მიაგნო და დროთა ღაღადს შეალია ძალ-ღონე არსებობისათვის ბრძოლითა. (VII, 38).

200(1983). ჩვენს ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას რომ კაცი რიგიანად და გონიერად დააკვირდეს, ბევრს საგულისხმოს იპოვის. (VII, 73).

201(1984). ჩვენს დროში ქვეყნის საქმეებმა ისეთი ძირი გაიკეთა, ისეთი მიმართულება და ხასიათი დაიჭირა, რომ დღეს ყოველს ცალკე სახელმწიფოს შეუძლიან თავისი მოპირისპირე სამტროდ მოცილე სახელმწიფო უომრად ომზედ არა ნაკლებ დააზიანოს. თუ გნებავთ, ეს ახალი სამტრო სახსარი იგივ ომია და ზოგჯერ ომზედაც უარესი, მაგრამ სისხლდაუღვრელი ომი კია. იმისთანა ომი, საცა არც ზარბაზნის გრიალია, არც ხმლის ტრიალი.

ამისთანა ომის მოედნად საეკონომიო ყოფა-ცხოვრებაა, ესე იგი იმისთანა განსხვავებული ვითარება და გარემოებანი, რომელთა საერთო კრებული ჰქმნის მეტნაკლებობას სიმდიდრისას ერისას და ქვეყნისას. (VII, 310).

202(1985). „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობია". ამ დალოცვილს ანდაზას რამდენი უხეირო კაცი ხეირიანად გამოჰყავს და გამოუყვანია. (II, 131).

203(1986). (ძლევა-მოსილობის კარგი მაგალითია —რედ.) ... როცა გარჯა და მხნეობა იბრძვის და გული ჰგულობს ადამიანისა. (IV, 262).

204(1987). ... წარმოების აგებულებისათვის და ფეხის ადგმისათვის საჭიროა ... ყოველთ უწინარეს ხარჯი. ხოლო ეს ხარჯის გაღება რომ შესაძლებელი იყოს, უნდა სახარჯო წინად მოგროვილი, შეკრებილი ჰქონდეს მოწარმესა, ერთის სიტყვით, უნდა იყოს წყარო, რომ ხარჯი იმას ეწაფებოდეს და თავის წყურვილს იკლავდეს ეს ერთი, მეორე ისა, რომ ეგ წყარო, რომელსაც საპოლიტიკო ეკონომიაში თავნს

ეძახიან, იმოდენად დიდი უნდა იქმნას, რომ მოწარმოემ წარმოვაბის საჭიროებას, თავისის ცხოვრების ხარჯსა, თავნის დაბანდებას გაუძ-ლოს, ვიდრე ნაწარმოები გაიცემა მოგებით მობრუნებისათვის, ესე იგი, ვიდრე გაიყიდება.

უამისოდ მოწარმოე ყმაა, მონაა თავისივე ნაშრომ-ნადაგისა და არა ბატონი, არა თავისუფალი გამცემელი და ამღებელი. („ივერია", № 89, 1887, 1).

205(1988). წინ წასწრობილი საქმე სჯობია, მოლა მასრადინისა არ იყოს. (ი. ჭავჭავაძე, „წერილები", I, სოხ., 1949, გვ. 93).

206(1989). წუთის-სოფლის სუფრა წვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავის საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოჰთესოს, მოჰსნას, მოიმკოს, მოზიდოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური, ამაების იქით ხსნა არ არის... (IV. 355-356; VIII, 316).

207(1990). ხალისი კარგი საქონელია, ხოლო მაშინ კი, როცა იგი იმოდენად ფრთაშესხმულია, რომ სიმაღლეს საგნისას, რომელ-ზედაც მიმართულია, შესწვდეს. ვიდრე ამისი ძალ-ღონე კაცს არ შეუძენია, ნუ ჰფიქრობს ცარიელის ხალისით გახდეს რასმე. (II, 90).

208(1991). ... ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით, თუ ხორცით. რაც მალე დავიჯერებთ ამ ჭეშმა-რიტებას, რაც მალე შევითვისებთ, მით მალე გამოვისხნით თავს ... გაჭირვებიდამ. (IV, 320).

209(1992). ხალხს მიეცით სურვილი დიდის კაცობრივის საგნის მო-პოვებისა, და შრომას იგი სურვილი არამც თუ წაართმევს ყოველ მას, რაც კაცს შრომაში სძულს, არამედ თვით შრომას, თავისთავად საძულველსა, დიდი საგანი სიამოვნებადა ხდის. მარტო ამით აიხს-ნება ის საკვირველნი ღვაწლნი და შრომაში და ჯაფაში ჯანის დალევა, რომელნიც უკეთეს კაცთა ცხოვრებაშია წაგვიკითხავს. (II, 461-462).

210(1993). ... ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულ-თა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. (V, II).

211(1994). ხელი მიეც შენს მეზობელს, შეერთდით, ერთად იმუშა-ვეთ, თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთ... (VII, 271).

212(1995). ... ხელშეუხებლობა პირადის საკუთრებისა — მართლა, თუ ტყუილად — მერმისის ქვაკუთხედად აღიარებულია, და ყოველს, რაც ჰხღუდავს და ჰხუთავს ამ ხელშეუხებლობას, რჯული ძნელად იშვ-ნევს, ძნელად იწყნარებს, (VI, 149).

213(1996). ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით. გა-დავრჩით. ქვეყანა და სახელი შეეინახეთ, სახსენებელი არ ამოიკ-

ვეთეთ. შეეირჩინეთ, საქონლავი არაეის აეაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ეერა დაგვაკლო-რა — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, საბელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს, ეერავინ-ღა გაუძლებს. თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. (V, 13).

214(1997). ხსნა მხნეობასა და გარჯაშია. (VIII, 328).

215(1998). (ხშირად, ამა თუ იმ საქმის აეკარგიანობის შესახებ — რედ.) „არას" თქმა შეუძლებელია და მთელი „ჰოს" თქმაც ძნელია. (IX, 188).

216(1999). (ჰავისა და მიწის — რედ.) შეერთებულის ძალით წარმოსდგება სიმდიდრე, თუ კაცი გულხელდაკრეფილი არ იჯდება. (VII, 245).

217(2000). (Бывают такие дела — რედ.) что отлагать их значить испортить дело. (X, 405).

218(2001)...если не единственным, то преобладающим началом общежития в первобытныя времена возникновения человеческих обществ был общественный элемент собственности. Этот элемент, по разным причинам экономического и политического свойства, постепенно уступал место личному, — и подчинение его личному элементу выразилось вполне и всецело во всей своей суровой строгости в феодализме, разрешившемся в установлении крепостного права. («Юридического обозрение», № 164, 1884, 66).

219(2002). Капиталистическое производство есть процесс отделения производителя от средств производства. („მნათობი", № 5, 1962, 162).

220(2003). Капиталистическое производство развивает только технику и комбинацию общественного процесса производства подкопывая в то же время источник происхождения всех богатств: землю и работника. („მნათობი", № 5, 1962, 162).

221(2004). Когда Бог сотворил вселенную, раскрыл грудь кормилице земле, вложил туда неистощимые богатства и заповедал человеку: «Бодрствуй», подвизайся черпай это богатство из недр земли и распоряжайся ими для собственного благодействия!» („საისტორიო მოამბე", ტ. 3, თბ., 1947, გვ. 200).

222(2005). Необходимо иметь ввиду, что железный закон политической экономии, выражающийся величиною отношения

между спросом и предложением свободных от производства капиталов, обусловливающею высоту % интереса на капиталы, не поддается ни чьим и никакими другим условиям, кроме как усилиям и влиянию всей совокупности общих условий известного строя самой экономической жизни в данное время и на данном пространстве. („ისტორიო ბოამბე", ტ. 25-26, თბ., 1971, გვ. 287).

223(2006). Носительницею капиталистического способа производства, классом, представляющим его, является буржуазия. („მნათობი", № 5, 1962, 162).

224(2007). Обезземление крестьян (სოფლის გაქალაქება — ი. ჭ.) ведет к приливу рабочих рук на фабрику, а это ведет к пониженню заработной платы. Обнищение населения ведет к ослаблению покупательных сил, а это порождает уменьшение спроса на фабричные продукты, а отсюда происходит изгнание рабочих из фабрик. („მნათობი", № 5, 1962, 162).

225(2008). При разрешении такого важного по значению и жгучаго по интересу вопроса, как вопрос, затрагивающий элементы собственности, следует выяснить и установит общия руководящия начала, которым должны быть подчинены не только существенные пункты решения, но и вся детальная сторона дела во всем ея разнообразии, в противном случае неизбежно смешение понятий, влекущее за собою нескончаемые дебаты при самом обсуждения вопроса и неизбежно-же отражающееся на самом решении в смысле неполноты и противоречия между отдельными его пунктами, вызываемых неизбежностью-же компромиссов. («Юридическое обозрение», № 164, 1884, 65).

226(2009). ... с самого начала занятия гражданственности народное сознание всех человеческих обществ соединяло с фактом владения и понятие о собственности, принадлежности. („ისტორიო ბოამბე", ტ. 25-26, თბ., 1971, გვ. 248).

227(2010) Собственность заключает в себе два элемента: личный и общественный, ибо она существует не исключително в интересе отдельнаго лица в смысле обеспечения за ним плодов его труда, но также и в интересе общества в смысле обеспечения возможности и продольжительности его существования. И тот и другой элемент находит свое, более или менее, справедливое основание в двустороннем взгляде на человека, который с одной стороны представляется существом обо-

собленным, независимо преследующим свою личную цель, а с другой — существом общественным, связанным с подобными себе многими требованиями и обязанностями по многообразным отношениям, созидаемым роковою необходимостью жить в обществе себе подобных. («Юридическое обозрение», № 164, 1884, 65-66).

228(2011). Товар может перепродаваться несколько раз, но с последнею продажею он все-таки переходит из сферы обращения в сферу потребления. („მნათობი", № 5, 1962, 161).

229(2012). Только избыток продуктов обращается в товары. („მნათობი", № 5, 1962, 161).

230(2013). Чем больше совершенствуется крупная промышленность, тем более растет безработица, тем менее становится число занятых в промышленных предприятиях рабочих. („მნათობი", № 5, 1962, 163).

231(2014). Экономическая жизнь всех народов проходила и проходит в борьбе за усиление и преобладание в жизни того или другого элемента собственности. Вся суть, так называемого аграрного вопроса — этого больного места всех современных государств и народов — заключается именно в этой борьбе и ни в чем ином. («Юридическое обозрение», № 164, 1884, 66).

12. კონკურენციის, აღებ-მიცემობის, ვაჭრობის, ბანკის, ღირებულების, ფასის, თავნის (კაპიტალის), ბაზრის, კრედიტისა და ფულის შესახებ

1(2015). ადვილად შოვნა ფულისა, არა გეგონია, ქვეყნის დამღუპავი იყოს სადმე, და თუ ჩვენს ქვეყანას ეგ დაღუპავს. პირველი მაგალითი იქნება მთელს ქვეყნიერობაზედ. (VII, 380).

2(2016). (ამა თუ იმ ერის უძლურებისა და უღონობის ღედამიზეზი მართლა ფულის უქონლობაა თუ არა — რედ.) ... ამას რომ პასუხი გავცეთ, უნდა ვიცოდეთ — კაცობრიობის ისტორიაში ფულმა შეპქმნა ღონე და ძლიერება ადამიანისა, თუ ღონემა და ძლიერებმა შეპქმნა ფული, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კაცი ჰქმნის ფულსა, თუ ფული კაცსა? რადგანაც უეჭველია, რომ ყოფილა დრო, როცა ფულის ხსენებაც არ არსებულა ქვეყანაზედ და კაცს-კი მაინც თავი გაუტანია და იმ სიმაღლეზედ დამდგარა, საცა ღღეს ჩვენა ვხედავთ, ისიც უეჭველი უნდა იყოს, რომ ღონისა და ძლიერების მიზეზი სხვა რამ არის და არამც და არამც ფული. (VIII, 319).

3(2017). ... არა მოხელის თვითნებობა არ უნდა იყოს შეწყნარებული, და თვითნება კაცი, თუ მაინცდამაინც თავისას არ დაიშლის, უნდა განდევნილ იქმნას ბანკის ... მოხელეობიდამ. (VII, 482).

4(2018). ... აღებ-მიცემობა თხოულობს მშვიდობიანს, იეფს და მსწრაფლ გზასა საქონლის გადასატან-გადმოსატანად. (VII, 62).

5(2019). ... აღებ-მიცემობაში გასაცვლელად იგულისხმება ერთ-გვარი და ერთ-სახე საგანი კი არა ... არამედ სხვადსხვა-გვარი, სხვადასხვასახე, საგანი, მარტო ღირებულების რაოდენობით შეტოლებული. (V, 213).

6(2020). (აღებ-მიცემობაც თავისებურად — რედ). ... ვაჭრობაა რომელიც ბუნებითად ერთ-გვარი სახეა ფულის გასესხებისა, იმიტომ რომ ფულით ფულის შოვნა სესხებაა. (V, 213).

7(2021). .. აღებ-მიცემობის სახე ორგვარია. ერთი მარტივი, როცა ერთი სახის საქონელი სხვა სახის საქონელზედ იცვლება პირდაპირი და უშუამავლოდ და მეორე რთული, როცა სააღებ-მისაცემო საქონელთ შორის სხვა საგანი, ესე იგი, ფული მოქმედობს, პირველის სახე ასეა: საქონელი — საქონელი, და მეორესა: საქონელი — ფული — საქონელი. (V. 211).

8(2022). ბაზარი. .. როგორც საერთო, საყოველთაო სასწორი საქონლის ღირებულებისა, თვითოეულის სურვილს კი არ ემორჩილება, არამედ საზოგადო ეკონომიურს ვითარებას, რომელიც საქონლის ფასს ხან ასწევს ხოლმე. ხან დასწევს საერთო წარმოების მთელს სივრცეზედ. (V, 224).

9(2023). ბანკები დიდად გამოსადეგნი არიან ჩვენის ქვეყნისათვის. ამისათვის არა ღონეს არ დავზოგავთ, რომ მათი კეთილდღეობა დავიცვათ და ყოველსავე იერიშს წინდაუხედაობისას, განუსჯელობისას წინ ფარ-ხმლით დავხვდეთ. (V, 252).

10(2024). ბანკები სხვა არა არიან-რა გარდა შუამავლისა თავნის პატრონისა და გაჭირვებულ მოწარმოეს შორის. რასაც პატრონი თავნისა ბანკს ანდობს, იმას ბანკი თავისის მხრით ანდობს ხოლმე გაჭირვებულ მოწარმოესა: ამ მხრით ყოველს ბანკზედ ღონიერი ბანკი სახელმწიფო ბანკია. („ივერია", № 89, 1887, 1).

11(2025). (ბანკის — რედ.) ... საქმეს ყველა ადვილად შეისწავლის, თუ მოინდომებს. (III, 252).

12(2026). ...ბანკის საქმეს ყველაფერი შევწირე: ჩემი მშვიდობა, ჩვენი უზრუნველი ცხოვრება, ჩემი სახელი, ჩემი კარიერა. (X, 311).

13(2027). ბანკის საქმეში, როგორც ყოველფერ სხვაში, ჩვენის ყელის საბელის ჩვენს ხელშივე ჩაგდება ჩვენთვის სანატრელიც უნდა იყოს და სასიხარულოც. (V, 49).

14(2028). ბანკის სახელზეა დამყარებული ის ნდობა, რომლითაც ყოველი ბანკი სულდგმულობს და რომლის მეტ-ნაკლებობაზედ დამოკიდებულია ყოველივე სიკეთე ბანკისა და ნამეტნავად თითონ კრედიტის სიძვირე და სიიაფე. (V, 156).

15(2029). ... ბანკს, გარდა საკრედიტო მნიშვნელობისა, ბევრი სხვა იმისთანა მნიშვნელობაც აქვს ჩვენთვის, რომელსაც არ შეიძლება არ ჩაუფიქრდეს ჩვენი საზოგადოება თავის დროზედ, და რაკი ჩაუფიქრდება, ხელსაც ჩასჭიდებს მომეტებულის თანაგრძნობით და გულისტკივილითა. სწორედ ასეც მოხდა და ასეც ახდა ჩვენდა საკეთილოდ და ჩვენდა იმედად. (VII, 341).

16(2030). ბევრმა მაგალითებმა... თვალნათლად დაგვანახა, რომ ცხოვრების მოედანზე ძლიერი ისა ყოფილა, ვინც მდიდარია, და მდიდარიც იგია, ვისაც ბევრი ფული ჰქონია. რა თქმა უნდა, შეცნიერებისაგან გამორკვეული სიმდიდრე სულ სხვა არის, მაგრამ კერძო კაცთა ურთიერთობაში სიმდიდრის წყაროდ მარტო ფულია და სხვა არა რა. (VII, 7).

17(2031). ... ბუნება ვაჭრობისა, აღებ-მიცემობისა იმაშია, რომ რაც შეიძლება ნაკლებ იყიდოს და მეტად გაჰყიდოს, ამიტომაც ბოლოს და ბოლოს ისე გამოდის ხოლმე, რომ გამრჯელს შრომის ფასი ძლივ

ეძლევა და პურის მსურველს ნამეტანობით ერთმეორეს, და ამ სახით დიდი ლუკმა სხვის ნაშრომ-ნაამაგარისა ჰრჩება იმას, ვისაც ხელიც არ ეუნძრევია საშრომ-საამაგოდ და მარტო შუამავლობა გაუწევია. (VII, 8).

18(2032). ... ბუნება თავნისა ისეთია, რომ უძრავად დებას არ იშვნევს: იგი ყოველთვის ეძებს ადგილს, რომ მიედინოს და თითონაც იმატოს და სხვასაც, ვინც უკედ გამოიყენებს, შეჰმატოს რამე. ამ თავნის ბუნებაზეა აგებული თვით კრედიტის ბუნებაც: კრედიტს გადააქვს თავნი უქმის ხელიდამ საქმიან ხელში და ამით თავნიც ჰმატულობს და წარმოებაც ჰყვავის და ჰსულდგმულობს. („ივერია", № 89, 1887,1).

19(2033). გამნაღდებელი ნაშრომისა ბაზარია და იგი ეკონომიური მოქმედება აღებ-მიცემობისა, რომელსაც ვაჭრობა ჰქვიან. (VII,27).

20(2034). გლეხ-კაცია, თავადი, ვაჭარი თუ მოხელე, — ყველასათვის ერთნაირია არითმეტიკა (ანგარიშიანობა — რედ.), ამან დიდ-პატარაობა არ იცის. („ივერია", № 144, 1887,1).

21(2035). ... დაზოგვა ყველასათვის საჭიროა, ვისაც-კი უნდა ფულის მონობიდამ ვამოვიდეს, ვისაც არა აქვს სურვილი ეყმოს ამ ბატონს — ფულს. („ივერია", № 126, 1893,3).

22(2036). დამტკიცება არა სჭირია, რომ როცა რაშიმე გამოსაყენი საგანი იეფია, უფრო ბევრს მუშტარს მიიზიდავს და ათისაგან თითო გროში აღებული უფრო მეტს ჯამს დაიჭერს, ვიდრე ერთისაგან მთელი ხუთი გროში. („ივერია", № 225, 1886,2).

23(2037). დიპლომატიამ დიდი ხანია მიაგნო... საეკონომიო გარემოებათა ძალმომრეობას, დიდი ხანია იცნა მისი ძალ-ღონე სახელმწიფოს ძლიერების მეტნაკლებობისათვის. ამიტომაც საშინაო და საგარეო პოლიტიკამ თვითეულის ცოტად თუ ბევრად შემძლებელის სახელმწიფოებისამ თავისი ზომა მიიღო, რომ სახელმწიფომ, რაც შესაძლოა, დიდი და ბევრს ადგილს ბაზარი იქონიოს თავის საქონლის გასაღებლად ქვეყნის ნოედანზე და სხვისას კი კარი შიგნიდამ ურდულით მაგრა გამოუკეტოს. (VII, 311).

24(2038). ... ეკონომიურად გაძლიერება ქვეყნისა მარტო ვაჭრობითს გაძლიერებით შეუძლებელია. („ივერია", № 89, 1887,1-2).

25(2039). ეკონომიური საგანი კრედიტისა განსაკუთრებით ის არის, რომ იგი უსათუოდ უნდა მოიხმაროს კაცმა ეკონომიურის წარმოების წარმატებისათვის. კრედიტი მხოლოდ ამით შეიქმნება ერთ იმ ეკონომიურ ღონედ, რომლის მეოხებითაც ქვეყნის ნივთიერი კეთილდღეობა და სიმდიდრე მატულობს. მაშასადამე, კრედიტი, წმინდა ეკონომიურის თვისების, იმისთანა რამ არის, რომლის ძალითაც ფული ერთის ხელიდამ მეორეში გადადის მარტო იმ აზრით, რომ ეკონომიური წარმოება განაძლიეროს. ეგ წარმოების გაძლიერება ერთის მხრით ეკონო-

მიური მიზანია კრედიტისა, და მეორეს მხრით მხოლობითი ეკონომიური სახსარიც არის კრედიტით ნაშოვნი სესხის გადახდისა. (VII, 328).

26(2040). ეკონომიურის ცხოვრების მრავალ-გვარობამ, მეტ-ნაკლებობამ, ერთის მხრით მოწარმოეს ულონობამ და მეორეს მხრით თავნის მოყრამ იმისთანა ხელში, რომელიც თვით არა მოქმედებს რისამე საწარმოებლად, კაცობრიობა მიიყვანა იმისთანა ღონის შექმნამდე, რომ უქმის კაცის თავნი საქმიან კაცის უთავნობას მოახვედროს და თავნის მიდენ-მოდენისათვის ხიდი გასდოს. ეგ ხიდი კრედიტია. („ივერია", № 89, 1887,1).

27(2041). ერთად-ერთი საგანი, თავი და ბოლო ეკონომიურ მიქცევა-მოქცევისა კაცთა შორის ის არის, რომ მოჭარბებული ნაყოფი ჩემის ნაწარმოებისა გავცე და იმითი შევიძინო ის ნაწარმოები სხვისა, რაც მე პირდაპირ სახმარად მაკლია. (V, 215).

28(2042). (ერთი უდიდესი კანონი გარჯის ძალ-ღონისა ის არის, რომ — რედ.) გამრჯელს გზა მიეცი თავისი ნამუშავარი გაჰყიდოს, გაასაღოს და მით თავისი გასამრჯელო აიღოს. („ივერია", №274, 1891, 2).

29(2043). ესეთი (მარტივი — რედ.) აღებ-მიცემობა, ესეთი პირდაპირი ცელა ერთის საქონლისა მეორეზედ, ეს უხერხო, დამაგვიანებელი მოქმედება თავისის საქონლის გაცვმისა და სხვის აღებისა, იმ დრომდე ზუფევდა ქვეყნიერობაზედ, ვიდრე კაცობრიობამ არ მოიგონა ერთი განსაკუთრებული საშუალება. ეს საშუალება იმისთანა რამ არის, რომ ოღონდ ჩემის საქონლის ამღები კი ვიპოვო და იმას აღარ ვზრუნავ, ექნება თუ არა ის საქონელი, რომელიც სახელდობრ მე მიჭირს პირდაპირ მოსახმარად. (V,209).

30(2044). ეხლა ადამიანს საომარ ადგილად ბაზარი გაუჩნდა, საცა ნაცელად ტყვია-წამლისა და თოფ-იარაღისა მოქმედობს ადამიანის ნაშრომი და მონაგარი და საცა გამარჯვება ჰრჩება მარტო ბევრის მომტან-გაჩტანსა.

რაკი საქმე ამ დონეზე მიდგა, აშკარაა უქმი და ცუდა-კაცი ეელარ დაირჩენს თავსა, რაც გინდ ბევრი ულოლოოთ, ბევრი უპატრონოთ, ბევრი წამლები და მალამოები ახმაროთ. არც ტირილი, ვაი და ვიშია ამისთანა კაცის უებარი წამალი. ვერც ამისთანაებით იხსნის ცუდა-კაცი თავსა წახდენისაგან. ამისთანა კაცისათვის შეუბრალებელი, მაგრამ პირუთვნელი განაჩენი ცხოვრებისა უკვე დადგენილია: იგი დღესა თუ ხვალ უნდა აიგავოს დედა-მიწის ზურგიდამ. („ივერია", № 274, 1891,1).

31(2045). ეხლა რაც არის-ფულია და სხვა არაფერი. უფულო ერი ერთა შორის და უფულო კაცი ცალკე ადამიანთა შორის ყმაა ფულიანისა. (VII, 10).

32(1046). ... ვაჭრობა არა ჰქმნის სიმდიდრესა; მას მარტო ერთის ადგილიდამ მოჭარბებული სიმდიდრე გადააქვს მეორე ადგილას, საცა ნაკლებია, და ამ გადატან-გადმოტანაში თავის გასამრჯელოდ დოიაქს იღებს იქიდამაც — საიდამაც გადააქვს და იქიდამაც—საცა მიაქვს. ამ სახით, ვაჭრობა არც ერის სიმდიდრის გაძლიერებაში არის თვითმომქმედი მონაწილე მაშასადამე, იგი, როგორც საპოლიტიკო, ისეც საეკონომიო საქმეებში, მუდამ სხვის მაყურებელია, სხვის პირში მაცქერალი, და ნამდვილ განათლებულ ვაჭარს ყოველთვის წინ გამოსახული ისა აქვს, რომ მისი კეთილდღეობა იმ ერის ბედთან არის შეხორცებული, რომელსაც შეჰხიზნებია. ამიტომაც იგი არ ერიდება, და თავისად მიაჩნია იმ ერის ჭირიცა და ლხინიცა. საცა ამ დონეზედ ვაჭარი არ ჩამდგარა, საცა გულში ჩაუდეია მარტო თავისი გაბდიდრება იმ გზით, რომ ერი გააღარიბოს, იქ ვაჭარი თვალში ეკლად უჩანთ. (V,175).

33(2047). ვაჭრობა, აღებ-მიცემობა ბუნებითად იმისთანა რამ არის მუშტრისათვის, თუ თვითონ ვაჭრისათვის, რომ მარტო რგებას და გამორჩომას დაგიდეს და სხვა არაფერსა. (VII, 322).

34(2048). (ვაჭრობა — რედ.) ... იმისთანა ბუნებისაა, იმისთანა თვისებისაა, რომ დაუზოგველად ერთს დღესაც ვერ იჭაჭანებს ქვეყანაზე. („ივერია", № 67, 1897,2).

35(2049). ვაჭრობა როგორც ყოველთვის... ჯობნებაზეა, ანუ უკედ ესთქვათ, ბურთი ვაჭრობისა იმისია, ვინც საეჭრო მოედანზედ მეტის ძალეველია. („ივერია", № 148, 1887,1).

36(2050). ... ვაჭრობა, წესიერადაც გაწყობილი... ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ ერთს ბინაზედ არ აყენებს კაცს; საცა გამორჩომაა და ხეირი, იქ არის იმისი მამული, იმისი მიწა-წყალი. (V,174).

37(2051). ვაჭრობაც, რასაკვირველია, საჭიროა ერის ცხოვრებისათვის, იმოდენად, რამოდენადაც იგი ეზიდება საქონელს იქიდან, საცა მეტია, იქ — საცა უჭირთ და ამ გზით შველის სიმდიდრის ბოფენას და მორიგებას ყოველგან. (V,174).

38(2052). ეერავინ ვერ იტყვის, რომ ვაჭრობა, როგორც ერთი ძლიერი ღონე ერის ეკონომიურად წარმატებისა, ღირსი არ იყოს შემწეობისა და შველისა. (VII, 485).

39(2053). ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არა შურს, ის დიდი სიფრთხილით, დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ. (V. 49-50).

40(2054). ... ვისიც ბაზარია, ბატონიც ის არის დღევანდელ დღეს. („ივერია", №259, 1897,2).

41(2055). ... ზოგადი, საყოველთაო და აუცილებელი წესი საჯარო ვაჭრობისა ის არის, რომ უსათუოდ ორი ერთმანეთის მიცილე მხარე დაესწროს ვაჭრობასა, თუ არა და ვაჭრობა ვაჭრობად არ არის ჩასათვლელი. (VIII,49).

42(2056). თუ ვაჭრობას, თანამედროვე ცხოვრების ამ მთავარ ძარღვს ვუერთგულეთ, ბურთი და მოედანი ჩვენია, ლელოს გატანაში ვერავინ შეგვეცილება. („ილიას სამრეკლო", თბ., 1987, გვ. 151).

43(2057). ... თუ რომელიმე საგანი ვაჭრობისა ნამეტანი არ არის და თვითონ საგნის მწარმოებელს არ ეჭარბება მისი საბაზროდ გამოტანა ბევრს არას ჰნიშნავს და ამ სახით გამართული ვაჭრობა ვერც კეთილს მიასწავებს და ვერც ვაჭრობის მკვიდრ საფუძველზედ აგებასა. ამისთანა ვაჭრობა მარტო შემთხვევითია და დიდ ხანს თავს ვერ დაიჭერს. (VII, 203).

44(2058). (თუ საქმე სარგებლიანია — რედ.) ... ფული თითონ დაგიწყებთ ძებნას, თითონ შემოგეხვეწებათ, საქმეში წილი დამიდეთო. (VII, 189).

45(2059). ... თუ ფული არ მუშაობს, თუ ხალხში თანხა უშიშრად არა ტრიალებს, თუ ხალხში მკვიდრი იმედი არ არის დამყარებული, რომ ყოველს ცილებას ადვილად გადამარჩენს სამართალიო, ყოველს დანაკარგს ადვილად და სწრაფად დამიბრუნებსო, — მაშინ სიმდიდრე ხალხისა, და აქედამ სიმდიდრეც სახელმწიფოსი, ამაო ნატვრა. (VI, 86).

46(2060). (თუ წარმოებული პროდუქციის გასაღების საშუალება შეფერხებულია, მაშინ — რედ.)... გარეჯის ყოვლად შემძლებელი სურვილიც მკვდარია. („ივერია", № 274, 1891, 1).

47(2061). იმ საშუალებას, რომელიც... აღებ-მიცემობას შესაძლოდა ხდის, უსათუოდ ორი თვისება უნდა სჭირდეს: პირველი, — საქონლის ღირებულების (ценность) ცხადი გამომხატველი იყოს და მით შესაძლო ჰყოს შეტოლება ერთის საქონლის ღირებულებისა მეორე საქონლის ღირებულებასთან; იმიტომ რომ აღებ-მიცემობაში უსათუოდ სხვადასხვა სახის, თვითების და თვისების საქონელი იგულისხმება, და რადგანაც აღებ-მიცემობა შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა სწორი სწორად აიღება და მიიცემა, და რადგანაც სხვადასხვა-გვარ საქონელთა შორის სისწორე მარტო ღირებულების რაოდენობაზეა დამოკიდებული, მაშასადამე, შეტოლება ამ გზით საქონლისა საქონელთან უსათუოდ საჭიროა აღებ-მიცემობისათვის. მეორე, — ძალი ჰქონდეს ერთ-ერთის საქონლის აღებისა კი არა, არამედ ყოველის გვარის საქონლისა, ერთის სიტყვით, ის ძალი ჰქონდეს, რომელსაც

მეცნიერებაში ეძახიან საყოველთაო ძალას ყიდვისას. (всеобщая покупательная сила).

მაგისთანა საშუალება — ფულია.

აი, ეს არის პირდაპირი და არსებითი დანიშნულება ფულისა. ამას გარეგნად არც მოედანი აქვს შემოქმედებისა და არც ფასი. არც იჭ-მევა, არც ისმევა, არც იცმევა, თავისთავად არასფერში სახმარისი არ არის. მაშასადამე, ფული — საყოველთაო ეკონომიაში ყოვლად უვარგისი საგანია ყოველისფერში, გარდა იმისა, რომ საშუალებაა აღებ-მიცემობისა, რომლის შემწეობითაც დრო და ჯაფა უფრო ნაკლებ უნდა აღებ-მიცემობის საქმეს. (V,210-211).

48(2062). (იქ, საცა — რედ.) ... ურთიერთშორისი ყისტი, ეხტიბარი (კრედიტი), ნდობა გატეხილია და, საცა ეს არ არის ფრთაგაშლილი და ფეხადგმული, იქ ნიშადურიც რომ ამოსცხოთ ხალხის სიმდიდრეს და ხაზინას, რომლის მხოლობითი წყარო ხალხის სიმდიდრეა, — ერთს ნაბიჯსაც წინ ვერ წაადგმევინებთ. (VI, 86-87).

49(2063). კანონი დიდის თავნისა ის არის, რომ პატარა თავნი აღარ გააწაწანოს, შეჰმუსროს ისე, რომ ბაზარში ცილობა, კონკუ-რენცია უარაქობით ველარ გაუწიოს. (V, 200).

50(2064). კონკურენცია აღებ-მიცემობაში მართლადა საკეთილოა წარმოებისათვის, მაგრამ მაგას საზღვარი აქვს. საზღვარი კიდევ ის არის, რომ ერთის მხრით სიკეთე ნაწარმოებისა სისრულემდე უნდა იყოს მიყვანილი და ფასი კიდევ რაც შეიძლება დაბლა დაწეულ იქმ-ნას. (V, 199-200).

51(2065). კრედიტი, ეკონომიურის თვალით ვასინჯული, ერთი იმისთანა გამოსადეგი ღონეთაგანია, რომლის შემწეობითაც გროვდება გაფანტული და უქმი კაპიტალი საზოგადოებისა და ერთის ხელიდამ მეორეში გადადის წარმოების გასაძლიერებლად. ეგ გაძლიერება წარ-მოებისა ერთადერთი, მხოლოობითი საგანია და მიზანი კრედიტისა. ამიტომაც იგივე გაძლიერება წარმოებისა მხოლოობითი ღონისძი-ება-ღა არის კრედიტის პასუხის გასაცემად. (V, 236).

52(2066). კრედიტი, ესე იგი, ნდობისა და ეხტიბარის ძალით ხე-ლის გამართვა ვაჭრობებში სწორედ ის არის ყოველ გვარის საეკო-ნომიო ნაწარმოებისათვის, რაც საზრდო, საჭმელ-სასმელი ადამიანის აგებულებისათვის. („ივერია", № 89, 1887,1).

53(2067). კრედიტი იგივ თავნია წინანდელ დროთაგან მოგროვი-ლი, მხოლოდ იმის ხელში კი, ვისაც წარმოების მოსახმარებლად არა სჭირია ან ნამეტანობის გამო, ან იმის გამო, რომ არა ჰსურს თვითონ აწარმოვოს. („ივერია", № 89, 1887,1).

54(2068). კრედიტი ორ-პირი მახვილია. ეგ იმაზედ არის დამოკი-დებული, კრედიტს ვინ როგორ იმსახურებს, ვინ როგორ გამოიყენებს.

თუ კაცი კრედიტს წარმოების გასაძლიერებლად არ მოიხმარებს, იგი კაცის დამღუპველია. ის კრედიტი კი, რომელიც იხმარება წარმოების გასაძლიერებლად, ერთი იმისთანა ეკონომიურ ძალთაგანია, ერთი იმისთანა წყაროა საზოგადო სიმდიდრისა, ურომლისოდაც კეთილდღეობა საზოგადოებისა ძნელად იგულისხმება, იმიტომ რომ კრედიტს, გადააქვს რა კაპიტალი ფულად თუ წარმოების მასალად, იარაღად თუ სხვაგვარ სახმარ ნივთად, გადააქვს იქიდამ, საცა ყოველიეე ეგ უქმად აწყვია, იქ — საცა საჭიროა წარმოების გასაძლიერებლად, და ამ სახით შო

ბა კი ხან მატულობს, ხან კლებულობს, — ამით არც არავინ აგებს, არც არავინ იგებს. (V,216).

64(2078). მინამ ჩარჩულს, ქურდბაცაცა ფულს გული თავისით ხისა აქვს და აბჯარი კი, ჟამთა ვითარების წყალობით, რკინისა, მასთან ომი კიდევ შესაძლებელია და საიმედო. (VII, 14).

65(2079). ... მორიგებაში ჭსათუოდ ნდობა უნდა იყოს მორიგებულთა შორის. აი სწორედ ეგ ნდობა, რომლის ძალითაც კაპიტალი გადადის ერთის ხელიდამ მეორეში, რომელიც განხორციელდება ხოლმე ხსენებულ მორიგებაში და რომელიც ფულის მაგიერობას ვაგვიწევს ხოლმე, არის ის, რაც კრედიტს ეძახიან. (V, 236).

66(2080). ... მოტყუება, ყალბობა, შერევა-არევა ნაწარმოებში (წარმოებულ პროდუქციაში — რედ.) მოსდევს ხოლმე კონკურენციას. (V,200).

67(2081). ... მოქმედება, ანუ უკეთ ვსთქვათ, საქმიანობა, რომელიც შეახვედრებს ხოლმე ერთმანეთს საქონლის პატრონებს, — მარტივი გაცვლა-გამოცვლაა საქონლისა საქონელზედ. ამ მოქმედებას ჩვენს ენაზედ, ჩვენის ფიქრით, ზედ-გამოჭრილი სახელი ჰქვიან: აღებ-მიცემობა (обмен). აქ პირდაპირ საქონელი საქონელზედ იცვლება, პირდაპირ, ურარაოდ ხელიდამ ხელში გადადის. (V, 208-209).

68(2082). მუშტრის სიმრავლეს ყველგან ერთი და იგივე შედეგი მოსდევს: შოვნის პირობას ამძიმებს და თითონ საშოვარსაც ფასს უმატებს. (VI, 124).

69(2083). ... ნდობას, რომლის მეოხებითაც ფული ერთის ხელიდამ მეორეში სესხად გადააქვს და რომელსაც გარიგება და პირობა ზედ დაჰყვება ხოლმე, ჰქვიან კრედიტი. (VII, 328).

70(2084). ნუ დავივიწყებთ, რომ რა სახითაც უნდა იწარმოვოს აღებ-მიცემობამ, მარტივისა თუ რთულის სახით, მაინც-და მაინც ბოლო ისა აქვს, რომ საქონელი იმას უნდა მიუტანოს, ვისთვისაც იგი პირდაპირ სახმარად საჭიროა. (V,210).

71(2085). ჟამთა ცვლამ და ეკონომიურ შინაგან და გარეგან ვითარების წინსვლამ ისტორიაში ისე მოუმართა ფულს ხელი, რომ ყველგან და ყოველმხრივ ცხენის ძუის ბადე გააბა: ვაინძრევით თუ არა, ამ ბადეში გაიხლართებით, როგორც ბუზი აბლაბუდაში (VII, 11).

72(2086). რა ხელსაყრელია ჭირნახული, თუ-კი ან ჩალისფასად უნდა დაინარჩუნონ ჩარჩებმა, ან პატრონს უქმად შინ უნდა ეყაროს.

ყოველივე ეს და სხვა ამისთანა მიზეზები, არამც თუ აღვიძებს სამოქმედოდ და არჩენს სატკივარისაგან უქმსა და ცუდა-კაცსა, არამედ თვით გამრჯელ-კაცსაც-კი ხალისს უფუჭებს, გუნებას უხდენს, ხელს უმოკლებს. („ივერია", № 274, 1891, 1-2).

73(2087). რაკი ფული ფეხს აიდგამს რიმელიმე ნაწარმოების განკარგებისათვის, არ უნდა დაივიწყოს კაცმა, რომ ფული აქედამ გაშორჩომას მოელოდება. (V, 198).

74(2088). რაც გინდ ბევრი მომდურავი ჰყვანდეს ჩვენს ბანკს, მაინც ყველამ უნდა აღიაროს, რომ იგია ჯერ ხანად ერთად-ერთი წყარო ჩვენის საჭიროების გასაძღოლად. ცოტა თუ ბევრი—ჯერ სხვა წყარო არა გვაქვს. („ივერია", № 38, 1897, 2).

75(2089). როდესაც ფული ბევრია ბირჟაზე, მაშინ მისი სარგებელიც იაფდება, და როცა ფული კლებულობს, სარგებელიც მატულობს. ეს ძირითადი კანონია ეკონომიურის ვითარებისა. უნდა გახსოვდეთ ენგელგარდის გადასხვაფერებული აფორიზმი: როცა ფული ბევრია, სესხის ამღები ცოტაა, როცა ცოტაა ფული სესხის ამღები ბევრია. („ივერია", № 103, 1891,1).

76(2090). რომ... გაცვლა-გამოცვლა, ანუ უკეთ ვსთქვათ... აღებ-მიცემობა მოხდეს, ყოველმა მწარმოებელმა თავისი ნაწარმოები იმისთანა საფასურად უნდა აქციოს, რომელსაც საყოველთაო და უცილობელი ძალი აქვს აღებ-მიცემობის მოსახდენად. (V, 234).

77(2091). როცა აღებ-მიცემობა... უტყუარად მოქმედობს, ამღებიც და გამცემიც ერთნაირად მოგებაში არიან. აღებ-მიცემობაში ამღებიც და გამცემიც მისცემენ ხოლმე მარტო იმას, რაც თვითოეულისათვის ნამეტურია, მაშასადამე, უსარგებლოა და უსაჭირო; მის სამაგიეროდ იღებენ მას, რაც თვითოეულის მათგანისათვის საჭიროა და, მაშასადამე, სასარგებლო. (V, 211-212).

78(2092). როცა თავისუფლად მიდენმოდენაა საქონლისა, მაშინ რომელისამე სახელმწიფოს შინაურს ბაზარში დიდი ცილობაა, და ბურთი და მოედანი ბაზრისა იმ სახელმწიფოსა ჭრჩება, რომლის საქონელიც უფრო უკეთესია და უფრო იეფი. ერს ამისგან სიკეთისა და რგების მეტი არა მოსდის რა, იმიტომ რომ კარგს საქონელს იეფად ჰყიდულობს და მაშასადამე თავს ადვილად ირჩენს და იკეებავს. (VII, 321).

79(2093). როცა საქონელთა შორის ღირებულება იგივეა, მაშინ ფული მათ შუა ბევრი იშუამაველებს, თუ ცოტა, სულ ერთია. (V,216).

80(2094). როცა სურვილს გარჯისას ხელს არ უწყობსა იმედი ნაძუშავრის გასაღებისა, მაშინ კაცი, რა თქმა უნდა, ძალა-უნებურად გულზე ხელებს იკრებს და თუ ირჯება მარტო იმოდენად, რამოდენადაც თვითონ შინ არ გარჯდ ახლო-მახლო უჭირთ მისი ნამუშევარი. („ივერია", № 274, 1891,1).

81(2095). ... საადგილ-მამული კრედიტი უსათუოდ ხანგრძლივი უნდა იყოს. (V,239).

82(2096). საადგილ-მამულო კრედიტს, როგორც კრედიტს, საგნად მარტო ის უნდა ჰქონდეს, რომ გააძლიეროს სოფლის მეურნეობის წარმოება და რადგან ეს წარმოება განუყოფელად შეერთებულია მიწასთან და მიწათ-მოქმედებასთან, ამიტომაც საადგილ-მამულო კრედიტი ირჩევა ყოველ სხვა-გვარ კრედიტთაგან იმ განსაკუთრებულ თვისებებით, რომელნიც წარმოსდგებიან თითონ მიწათ-მოქმედების და მიწის ეკონომიურ ბუნებისაგან. (V,237).

83(2097). (საბანკო ოპერაციების — რედ.) საქმეში სიფრთხილეა საჭირო. („ცნობის ფურცელი", № 1110, 1900,2).

84(2098). საბრძოლველად ბევრნაირი იარაღი იხმარება. ყველა იარაღზედ ძლიერი იარაღი ფულია. („ივერია", № 125, 1893,2).

85(2099). ... საეკონომიო წარმოება იგივე სესხი და ვალია. როცა სესხი არ უბრუნდება გამცემელს უკლებლად, დრო მოვა და გაცემის წყარიც დაშრება და წარმოებამაც ამისდა მიხედვით უნდა იკლოს, უნდა დაშრეს. მაშასადამე, წინად გადარჩენილი, წინად მოგროვილი თავნი უნდა იყვეს, რომ გაჭირვებამ მოწარმოეს ჯერ არ შეაცოტავებინოს წარმოება და მერე იძულებული არ ჰყოს ხარჯის ფასიც ვერ ამოაღებინოს ნაწარმოებსა. („ივერია", № 89, 1887,1).

86(2100). საზოგადო კანონია, რომ რამოდენადაც საგანი რამე ბევრია, იმოდენად მისი ფასი ძირს დადის, და რამოდენადაც ცოტაა — მისი ფასი მატულობს, თუ სხვა გარემოებანი ერთობ ერთსა და იმავე წერტილზედ არიან. ფულიც ამ ყოფაშია და ამ კანონს ექვემდებარება, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ფულის ფასის აწევ-დაწევა საკუთრივ საქონლის ფასის აწევ-დაწევაა. (V,214).

87(2101). საზოგადოდ, ვაჭრობა იმ მხრით კი არ არის სახეირო ქვეყნისათვის, რომ ქვეყნის მეტი სარჩო გაიტანოს, არამედ იმ მხრით, რომ იმ მეტის სარჩოთი ის აშოვნინოს, რაც აკლია ქვეყანას დანარჩენ სარჩოდ. (V,222).

88(2102). ... საცა ბუნებური გარემოება, თვისება ჰავისა და მიწისა ხელშემწყობია ადამიანისა, იქ ერთადერთი მიზეზი მოქმედების, მრეწველობის გაძლიერების, ადვილად და იეფად მისაწვდენი ბაზარია. მიეცით ამნაირს ქვეყანას იეფი და სწრაფი გზა საქონლის გასატანად, გასასაღებლად, და მაშინ ჰნახავთ, დღეს უნუგეშოდ ყოფილი მხარე ხვალ რამ-სიგანედ გადიშლის ფრთებს და რა მრავალფერს საქონელს გამოიტანს საქვეყნო ბაზარში. (VII, 245).

89(2103). საცა მოგებაა, ფული დაკეტილ ზანდუკიდამაც თავისთავად ამოიძვრება და თქვენ დაგიწყებთ ხვეწნას. ესეთია ბუნება ფულისა, როგორც ყოველ საეკონომიო ნიეთისა, — იქით მიიზიდება, საცა გამორჩენა და ხეირია. (VII, 189).

90(2104). ... საცა სარფაა, იქ მხნეობაც და მეცადინეობაც არის. (VII, 245).

91(2105). საცა საქონელს ბაზარი არა აქვს და ამასთანაც გამორჩომა რამ, იქ ყოველივე ცდა ამაოა. (VII, 200).

92(2106). საცა ... სიღარიბე-სიღატაკეა, იქ ვაჭრობა და აღებ-მიცემობა რა წყალს დალევს, რით ამოივსებს კუჭსა? (VIII, 139).

93(2107). სესხის თხოვნა და მიცემა საზოგადო ეკონომიურს კანონს ექვემდებარება. („ივერია", № 103, 1891,2).

94(2108). სესხს მოშორება უნდა და ეგ მოშორება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა კაცი ნასესხს ფულს ხეირიანად მოიხმარებს. („დროება", № 16, 1875,2).

95(2109). სხვა ვაჭრები დააფრთხოს, ახალი მუშტარი და ბაზარი მოიპოვოს, დიდი მოგება დაინარჩუნოს, — აი რაშია მუდამი წყურვილი და სურვილი ფულის პატრონისა და მისის წარმოებისა. (V,198).

96(2110). ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ისეთი ერთადერთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტისა რუსეთში, რომლის წესდებითაც სრულიად უარყოფილია კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის. (IX, 310).

97(2111). ტყუილი იმედია, ფულის მოწყალებას და გულკეთილობას მოელოდეს კაცი. (V,202).

98(2112). უბარტყებლად ჯიბიდამ ფულის ამოსვლა და ჩასვლა ტყუილი ნაცარქექიაობა იქნებოდა. ამიტომაც, ფული ამ შემთხვევაში მარტო იმის სიხარბეშია, რომ რაც შეიძლება დიდის მოგებით დაუბრუნდეს იმავ ჯიბეს, საიდამაც ამოვიდა. (V, 225-226).

99(2113). ... ურთიერთობითი ეკონომური დამოკიდებულება კაცთა შორის წარმოსდგება მაშინ, როცა კაცთა მოჭარბებული აქვთ ნაყოფი თავიანთის შრომისა და აკლიათ მოჭარბებული ნაყოფი სხვის შრომისა. როცა ესენი ერთმანეთს შეხვდებიან, ყოველი მათგანი ერთიმეორის წინაშე ამღებიც არის და გამცემიც ერთსა და იმავე დროს, რადგანაც ერთი იღებს მას — რასაც მეორე გასცემს, და გასცემს მას— რასაც მეორე იღებს. (V, 208).

100(2114). უცხო თესლის ვაჭარი სტუმარია მკვიდრი ერისა. (V, 175).

101(2115). ფულზედ ნუ ჰფიქრობთ, ოღონდ თითონ საქმეს საიმედო საფუძველი დაუდეთ და ფული თითონ მოგნახავთ. (VII, 189).

102(2116). (ფული — რედ.) ... არც ზნეს იცვლის, არც ფერსა და ხულ ერთსა და იმავე მხიარულ გუნებაზეა, ვის ხელთაც გინდ იყოს. (VI, 256).

103 (2117). ფული და ერთობ სიმდიდრე თავის-თავად არავის უვარდება ხელში და ვინც ჰფიქრობს, მე პირს დავაღებ, გულხელ დავიკრებ და ფული თავისთავად მომივა და გამაღონიერებსო, ის ფულითაც და უფულოდაც უძლურია და უღონო. (VIII, 319).

104(2118). ფული და სხვა სიკეთე, თუ სიმდიდრე, მხნეობისა და გარჯის შვილია და არა დედა. მხნეობა, გარჯა აჩენს ფულსა და სხვა ყოველსგვარს სიკეთეს და ვისაც ეს არა სჯერა, იმას ის უნდა, რომ შვილმა დედა ჰშვას. (VIII, 320).

105(2119). ... ფული ეკონომიებრივ იმისთანა საგანია, რომლის საშუალებითაც უფრო ადვილად და ხეირიანად საქონელზედ იცვლება, რომლის შემწეობითაც საქონლის პატრონები ერთმანეთში საალებ-მისაცემოდ მოქმედობენ, ესე იგი, ეკონომიებრივად ერთმანეთში მიიქცევ-მოიქცევიან. საცა მაგგვარი მიქცევ-მოქცევაა საქონლის პატრონთა შორის, იმ ადგილს ბაზარი (рынок) ჰქვიან და მთელი ჯამი აღებ-მიცემობისა, მთელი რიცხვი მაგ-გვარის მიქცევ-მოქცევისა საქონლის პატრონთა ერთმანეთში — შეადგენს მას, რასაც მეცნიერება უწოდებს ქცევას საქონლისას. (обращение товаров). (V,212).

106(2120). ფული იმისთანა ბუნებისაა, რომ თვითონ თავისთავად მიიზიდება ხოლმე... გამოსარჩენ საქმისაკენ, თუკი დაიმედებული იქნება, რომ პატრონსან კაცის ხელში ჩავარდება, საქმეს მოხმარდება და არა სიხარბეს და ანგარობას ავზნეობისას. (VII, 272).

107(2121). ფული ორმოში იმალება იქ, საცა იმედი გაწყვეტილია, რომ ჩემი ნაწარმოები ჩემი იქნება, თუ ვინმე გაბედა და შემეცილებაო. (VI,86).

108(2122). ფული რა არის?! ხელის ჭუჭყია... (II, 251).

109(2123). ... ფული რამოდენადაც ბევრია, იმოდენად ხარბია და გაუმაძღარი... (VII, 289).

110(2124). ფული, როგორც ყოველივე ეკონომიური ძალ-ღონე, ისეთი თვისებებისაა, რომ თითონ ეძებს საქმეს, თითონ მიეზიდება საქმისაკენ, რადგანაც უქმად დება ეწინააღმდეგება ეკონომიურს ბუნებას ყოველი ეკონომიურის საგნისა და მაშასადამე ფულისაც. (VII, 188-189).

111(2125). ... ფული ფრთხილია, წინდახედული და მარტო კარგად და საიმედოდ აგებულს საქმეს ენდობა. (VII, 189).

112(2126). ფულით ყველაფერი შეიძლება. („ივერია", № 127, 1893, 3).

113(2127). ფულის გარდა არის სხვა ღონისძიება, რომელსაც ძალუძს ერთის კაპიტალი შეახვედრის მეორის შრომას და ამით ბოლო მოუღოს მიზეზს წარმოების უქმად ყოფნისას, ხელ-ახლად სული

ჩაუდგას მოქმედებას მჭედლისას, მიწათ-მომქმედისას და სხვათა. ეგ ღონისძიება ერთგვარი მორიგებაა, რომლის ძალითაც მჭედელი ენდობა-რა მიწათ-მომქმედს, მიწის-მომქმედი მეაგურეს, მეაგურე ღვინის მომყეანს, ერთმანეთს ხელს უმართავენ თაეიანთის ნაწარმოებითა, ანუ უკეთ ვსთქვათ, კაპიტალებითა, — იმ პირობით, რომ დაუბრუნოს ეს კაპიტალი ვადაზედ თავის სარგებლით დაცალებისათვის. (V, 234-235).

114(2128). ფულის ნატერა გამორჩომა და მოგებაა, უამისოდ ფული ადგილიდამაც არ დაიძვრის. (V, 198).

115(2129). ფულის სიმრავლე სესხის გაიაფებაა... („ივერია", № 103, 1891,3).

116(2130). ქართულად არის ნათქვამი, ზარალი და მოგება დაძმანი არიანო! საქმეში ისიც არის და ისიც. თუ მოგებამ აჯობა ზარალს, მაშასადამე საქმეს ფეხი მაგრად მოუკიდნია. („ივერია", №112, 1891,2).

117(2131). ... ქონების გაყიდვა კრედიტის არსებობისათვის ისეთივე აუცილებელი ძირეული კუთვნილებაა, როგორც ადამიანისათვის სული და ხორცი. (VI, 254).

118(2132). ქუთაისის ბანკსაც ის სასიქადულო საგანი უდევს მისაღწევად, რაც ტფილისის ბანკსა. იქაც, როგორც აქ, უდიდესი ნაწილი მოგებისა საზოგადო საჭიროებას უნდა მოხმარდეს. იქაც, როგორც აქ, ყოველივე პირადი სარგებლობა უარყოფილია და საყოველთაოა საფუძვლად დადებული. (V,159).

119(2133). ღირებულება (ценность) და ფასი (цена) ერთი და იგივე არ არის. ღირებულება არის ის რაოდენობა, სხვადასხვა-გვარ საქონელთა ერთმანეთის წინაშე, რომელიც შესაძლოდა ხდის საქონლებს ერთმანეთზედ ცვლასა... ფასი კი იგივ ღირებულებაა საქონლისა, მხოლოდ ფულის რაოდენობით გამოთქმული. (V,215).

120(2134). ყველასაგან ცნობილია, რომ... სარფა თითონ ამუშავებს, ამოქმედებს და აქეზებს კაცსა. ამას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა გამოსაცნობლად. (VII, 245).

121(2135). ყოველ ეკონომიურ მოქმედების თავი და ბოლო გამორჩენაა. (VII, 26).

122(2136). ... ყოველი კაცი, ეკონომიურის თვალით, ერთსა და იმავე დროს ამღებიც არის და გამცემიც, როცა სხვა კაცს შეხვდება საეკონომიო მოედანზედ. ეს არის ერთად-ერთი მხოლოობითი ეკონომიური დამოკიდებულება კაცთა შორის და კაცობრიობამ ჯერ ამის გარდა სხვა ეკონომიური დამოკიდებულება არ იცის. (V, 208).

123(2137). ყოველი საქონელი, რამდენს ხელშიაც გადავ-გადმოეიდეს, მაინც ბოლოს იქ მივა, ეისაც პირდაპირ სახმარად ეჭირვება. და-

ნიშნულება საქონლისა და საქონლის ქცევისა მარტო ეს არის და სხვა არარა. (V,215).

124(2138). ... ყოველი სურვილი აღსრულების შეძლებასაც ჰთხოულობს, ესე იგი, ფულს, ამ ერთად ერთს ღონისძიებას, ურომლისოდაც სურვილი უქმი ბერეაა ტიკებისა. („ივერია", № 282, 1895,1).

125(2139). ყოველი ჩემი ფიქრი, განზრახვა, საგანი, მომავალში გამიუქმდება, წამიხდება, გაიღობება, თუ... ბანკის საქმეს კეთილი ბოლო არ მოეუღე. (X, 340).

126 (2140). ყოველი ჩვენი კეთილი სურვილი რაც გინდ ძალიან სანატრელიც იყოს, წავა, მოვა და ზედ მიაწყდება ხოლმე იმ „წყეულს საგანს", რომელსაც ფული ჰქვიან. („ივერია", № 282, 1895,1).

127(2141). ყოველს გვარს ეკონომიურს მოღვაწეობაში ცილებას* ცოტად თუ ბევრად ზედმოქმედება აქვს სასყიდლისა, ანუ ფასის აწევ-დაწევაზედ. მაგრამ არის მეორე ძალაც, რომლის მეოხებითაც ფასი, თუ სასყიდელი, განისაზღვრება ხოლმე. მაგისთანა ძალა ჩვეულებაა. ღალის ზომიერებაზედ და რაოდენობაზედ ამ უკანასკნელს ძალას უფრო დიდი ზედმოქმედება აქვს, ვიდრე ცილებას. აქ ჩვეულება სწორედ რჯულთ უმტკიცესია!** (VI, 14).

128(2142). შეუკარით კაცს გზა მის ნაშრომ-ნაღვაწევის განაღდებისა. და იგი თუ ხელს გასძრავს, მარტო მისთვის, რომ თავისი საკმარისი მოიყვანოს, თავისი შინ სამყოფი, ამაზედ მოჭარბებულისათვის-კი იგი ყოვლად უქმი იქმნება, იმიტომ რომ ანგარიში არ არის მოიყვანოს ის, რასაც ვერას გამორჩება, რასაც ვერ გაანაღდებს, რომ განაღდებულით სხვა საჭიროებას რასმე გაუძღვეს. საცა ამისთანა ყოფაა, იქ ეკონომიური წარმატება, ქვეყნის გამდიდრება, ყინულზედ დაწერილი თამასუქია და ცალკე კაცსაც ხიღარიბისაგან თავი ვერ დაუღწევია. (VII, 26).

129(2143). ... ჩარჩული ფული არა ჰქმნის სარჩო-საბადებელს... იგი ეკონომიური წარმოებისათვის მკვდარია და, მაშასადამე, მკვდარია იმისთანა მოქმედებისათვის, რომელიც ერთადერთი სამართლიანი და მოუწყვეტელი წყაროა გაღონიერებისა, გამდიდრებისა და თუნდ გაფულიანებისაცა, რაკი დღეს ფულია სიმდიდრედ აღიარებული. (VII, 14).

130(2144). ჩარჩული ფული ბუნებითად მხდალია, იმიტომ რომ ქურდბაცაცაა, იქა მკის, საცა არ უთესნია. იგი ქვეყანას ქონს აცლის და სამაგიეროს არას აძლევს, იგი გასამრჯელოს იქ იღებს, საცა არ

---

* Соперничество.

** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესიაო". (რედ.).

ირჯება, იგი ჰსუქდება მით, რომ სხვას ამჭლეეებს იგი თვითონ იეს-ება და სხვას აცარიელებს. უფულო კაცი და უფულო ერი მისი საძოვარია, მისი საცხოვრებელია, მაშასადამე, ჩვენის ულონობით ერის იგი ძლიერი. ოღონდ ერთობით, ამხანაგობით ჩვენ ღონე მოვიცეთ და ჩარჩული ფული თავისს საკუთარს ბედისწერას გადაჰყვება, თითონ შესჭამს თავისს თავსა, საკუთარის გესლით მოიწამლება, როგორც ქვემძრომი მორიელი. (VII, 13-14).

131(2145). (ჩარჩული ფული — რედ.) ... ყოველ სხვა ფულზე უფრო ულონოა. (VII, 13).

132 (2146). ... ჩვენებური ბანკი, რომელიც წელიწადში ოცი ათას თუმანზე მეტს მოგებას იძლევა და ამ ოცი ათას თუმნიდამ თითქმის ათი ათასს თუმანს საზოგადო, საქვეყნო ჭირსა და ვარამს ანდომებს, იმისთანა დაწესებულებაა, რომ ყველა რიგიანს და ჭეშმარიტ ქართველს უნდა სასიქადულოდ და თავმოსაწონებლად მიაჩნდეს, რომ შევძელით, ამისთანა რამ შევქმენით, ჩვენის საკუთარის ღონით და შეძლებისამებრ ვპატრონობთ და ვუძღვებით. (VI, 260).

133(2147). ... ჩვენებურს ბანკს არავითარი წოდებრივი საგანი არა აქვს, არავითარი კერძო ინტერესი. (VI, 260-261).

134(2148). ... ჩვენთვის მარტო ბანკია მხოლოობითი მოედანი, რომელზედაც უნდა აღიზარდოს, ფეხი აიდგას, გაიწურთნოს, გაინავარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ, ჩვენმა ზნეობითმა ძალ-ღონემ. (V,49).

135(2149). ... ჩვენი ბანკები... წარმოადგენენ ერთს საუკეთესოს და საიმედოს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას. (V, 161).

136(2150). ჩვენის ბანკის დამფუძნებელმა იმისთანა სიკეთეც გამოიჩინა, თვისდა სასახელოდ, რომ მისის ფულით და მისის ღვაწლით დაარსებულ საქმის გასაძღოლად და წარსამართავად ყოველ წოდების კაცს კარი გაუღო, ყოველის წოდების კაცი მიიწვია, იმმო, მოდით, ერთად ვიშრომოთ, წოდების და ხარისხების მიუხედავათო... (VI, 252).

137(2151). ცხადია, რომ ადამიანისათვის უსარგებლო გაცემა და მის სამაგიეროდ სასარგებლოს შეძენა, — სასარგებლო, ანუ უკეთ ვსთქვათ, მოგება უნდა იყოს. (V, 212).

138(2152). ცხოვრება... ჰთხოულობს ფულსა სახარჯოდ წუთისსოფლის ჭირბოროტის გასაძღოლად. (VI, 221).

139(2153). (წარმოებისა და მიმოქცევის — რედ.) ... გზაზედ დამდგარი ფული ისეთი კრუხია, რომ რავდენი კვერცხიც ვინდათ შეუწყოთ, იმდენს ბარტყს ეცდება გამოუჩეკოს თავის პატრონს. (V, 226).

140(2154). ჯერ კიდევ პუშკინმა სთქვა, რომ ქვეყანაზე გაბატონებას, ქვეყნის დაჩემებას მარტო ოქრო და ხმალი ეცილებიან ერთმანერთსაო. პუშკინმა ეს ამ სამოცი წლის წინათ სთქვა, თუ უფრო ადრეც, და მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრიფად იცვალა ცხოვრება

ადამიანისა. მაშინ იქნება ხმლის ქადილს ღონეც შესწევდა და ფულს უშიშრად პირში ედგა. ეხლა კი ხმალს მუცელში ენა ჩაუვარდა: ხმალმაც. როგორც ყოველმავე სხვამ, თოკი ყელზე შეიბა და ფულს დაუკრა თავი, ვითარცა უძლეველს ბატონს ეურმოჭრილმა ძლეულმა ყმამ. (VII, 10).

141(2155). ჰაეისა და მიწის ბუნების თვისებასთან ერთად იმედი ნაწარმოების ადვილად გასაღებისა თითქმის ერთად-ერთი მიზეზია, ერთად-ერთი სათავეა ეკონომიურ ცხოვრების განვითარების, ყოველგვარ საწარმოებლის აღორძინებისა და გაძლიერებისათვის. (V, 300).

142(2156). Все находящиеся на рынке товары составляют запрос на деньги и наоборот, все находящиеся на рынке деньги, составляют запрос на товары. („მნათობი", № 5, 1962, 163).

143(2157). деньги в общественной экономии по своему внутреннему значению самый ничтожный предмет во всех отношениях, кроме того, что служит способом, уменьшающим трату времени и труда. („მნათობი", № 5, 1962, 163).

144 (2158). ... если число оборотов денег увеличивается, то уменьшается количество их, находящихся в обращении на оборот. („მნათობი", № 5, 1962, 163).

145(2159). Результат обращения товаров — замена одного товара другим — обусловливается не переменою их формы, а функцией денег, как средства обращения. („მნათობი", № 5, 1962, 163).

13. სოფლის მეურნეობის, მეშრომელი გლეხკაცობის, მიწის, მიწათმფლობელობის, მიწათმოქმედების, ვაზის, მევენახეობის, მეხილეობისა და მელვინეობის შესახებ

1 (2160). არ არის ქვეყნიერობაზედ სხვა-გვარი ქონება, რომ ორმოც და ორმოც-და-ათს წელიწადს გასძლოს მთლად, უვნებლად, დაუკლებლად, როგორც მიწა სძლებს. (V, 239-240).

2(2161). ბუნებური ღვინო სხვადასხვა არის და ეგ სხვადასხვაობა დამოკიდებულია მიწის სხვადასხვაობაზედ. მძიმე, ესე იგი ღრმად სახნავს თიხიანს მიწას, მოჰყავს ღვინო მოჭარებულის ფერისა, ძლიერის სუნითა, ვეშრიელი და გამძლე. ქვიშიანს ადგილზედ ღვინო ისე მაგარი არ არის, სუნიც ნაკლები აქვს და უფრო ნაკლებად გამძლეა. კირრეულ მიწაში ღვინო უფრო ტკბილია და სუნით არ არის ძალიან გამოჩინებული. მშრალის ქვიანის ადგილს ღვინო ტკბილია, მაგარი, დიდ ხანს გამძლე და ძლიერი სუნი კი არა აქვს. ჰავასაც, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინის სიკეთისათვის. (VII, 88-89).

3(2162). გაშორჩენა, მოგება ბევრს რასმეზეა დამოკიდებული, თუნდ ჯერ იმაზე, რომ საჭირნახულო წარმოებას კაცმა რაც შეიძლება ბევრი და კარგი ჭირნახული გამოატაინოს. ამას ხერხი უნდა ამას სიმარჯვე უნდა გარდა მხნედ გამრჯელობისა. ეს ხერხი და სიმარჯვე კაცს ეძლევა სწავლა-ცოდნისაგან, რომელიც, ნამეტნავად მიწათ-მოქმედებაში თითქმის სასწაულსა ჰშვრება... („ივერია", № 274, 1891,1).

4(2163). გამძლეობა ბუნებურის ღვინისა სხვა-სხვა წამლებზედ კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზედ, თუ რა ჯურის ყურძენის წვენია ღვინოდ გარდაქმნილი და რა მიწაზეა გაჩენილი თვითონ ყურძენი. (VII, 108).

5(2164). განყენებულს, უქმს, უმნიშვნელო აზრს... ყოველთვის საქმიანი გლეხ-კაცობა არ ეწყობა და არ იშვნევს. („ივერია", № 49, 1886, 1).

6(2165). ვაურჩევლობა და განუსაზღვრელობა მიწათა კუთვნილებისა მიზეზია ათას ნაირ დავი-დარაბისა, ერთმანეთთან სამდურავისა, ჩხუბისა და ზშირად დიდის დანაშაულობისაცა. („ივერია", № 182, 1886, 1).

7(2166). გლეხთან სიტყვა ფრთხილად იხმარეო! (II, 336).

8(2167). გლეხ-კაცთა ყოფა-ცხოვრება და ქონებრივი შემძლებლობა ყველაზედ ძლიერ დამოკიდებულია სამუშაო და თითო-ოროლა მოცადს საქონელზედ. იგი გლეხი ღარიბკაცად ითვლება, ვისაც სამუშაო საქონელი არა ჰყავს და ერთი ძროხა მაინც არ უგდია, რომ წველას გამორჩეს და წელიწადში ერთი ხბო მაინც გაზარდოს ბოლოს გამოსაყენებლად. („ივერია", № 40, 1889, 1).

9(2168). გლეხკაცი ისე არაფერს უფრთხის, როგორც სამწერლოებში გაბმას, ქაღალდების წერას და ამისათვის ტანტალსა. (VII, 428-429).

10 (2169). გლეხკაცი საქმის კაცია, დრო და მოცდენა ძვირად ღირს. (VII, 429).

11(2170). ... გლეხკაცი ღარიბობით არ დაიწუნება. (II, 98).

12(2171). ... გლეხ-კაცის ბედი ბაზრის სათამაშოდ არ უნდა გახდეს. („ივერია", № 150, 1887, 1).

13(2172). გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი
ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში... (I, 168)

14(2173). გლეხკაცის უმამულო დარჩომას... ზარალი მოსდევს სახელმწიფოსათვის, რადგანაც გლეხია მარტო ხარკის მხდელი, და გარდა ამისა დიდს უბედურებასაც შეადგენს თვით ქვეყნისათვისაც. (VIII, 204).

15 (2174). გუთანი, ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი. თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ... (V, 123).

16(2175). გუთანს... ერთი განსაკუთრებული მშვიდობიანი დანიშნულება აქვს: დედამიწის უხვი გული გადაგვიშალოს და იქიდამ საზრდოება გვაწვდიოს. (V, 123).

17(2176). ... გუთანს შეუძლიან ოქროსა და ხმლის შუა ჩადგეს და თავისებურად დინჯად და მშვიდობიანად უთხრას: „შენ, ოქროვ, უჩემოდ უქმი ხარ, არაფერში გამოსაყენებელი; უჩემოდ გაბათილებული ვექსილი ხარ, ანუ უკეთ ვსთქვათ, ვაკოტრებულის კაცის თამასუქი: ექნება რამე — მიიღებ, არა და პირში ჩალა ვამოიკლე და თუნდა თავი წყალს მიეცი. შენ შენით რა ხარ? ბახედარი და სხვა არაფერი. თუ მე აგკიდე რამე, ხომ რა კარგი, თუ არა და ზედაც რომ არავინ შემოგხედოს, ბევრს არას დაჰკარგავ. ხმალო, შენ-კი... იქნება უჩემოდ შესძლო რამე, მაგრამ ისე კი, როგორც ნიალვარი: მოვარდები, წარღვნი, წალეკავ, მილეწ-მოლეწავ, ბოლოს კი როცა იქნება, ჩაივლი და ჩაშრები, და თუ მე მიმიმხრობ — მაშინ კი ქვეყანა ჩვენია". (V, 122).

18(2177). დაილოცა ისევ შემოდგომის მადლიანობა!... ვისაც კი მადლი ჰქონია და სიკეთე, უმუშავნია, დაუთესნია, — სულ ყველაფერი მაშინ მომწიფდება და მოიკრიფება! სახლი, კარი ღვთის წყალობით

აივსება ხოლმე... ქორწილებიც კი მაშინ იციან, ყველა მაშინ დაბინავდება, მიმინოც კი, მიმინოც!... კაი დრო არის! პური, ღვინო, ლხინი, ყველაფერია ბლომად. ყველა, დიდი თუ პატარა, მაძღარია მაშინ და მხიარული!... კაი დრო არის!... ორი-სამი თვეც, — და გაზაფხულიც ზედ მოებმის ხოლმე, ის ლამაზი, მხიარული, თბილი გაზაფხული!... ღმერთო! მოსავალი მოდის და გულმართლად მოამკევინე ყოველ მუშაკსა!... (II, 77).

19 (2178). ... დალოცვილი მიწა თავის დღეში არ დაიღლება, ისე არ გაძუნწდება, რომ მიბარებული ერთი-ორად მაინც არ დაგვიბრუნოს, ტყუილად კი არ ეძახიან მიწას: „დედაო", ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავუხარით დღე-და-ღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის. (II, 50).

20(2179). დღეს თუ ხვალე საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის-პატრონად შეიქმნას. (VI 25).

21(2180). (ევროპაში — რედ.)... მარანს აკეთებენ იმისთანას, რომ ღვინის ჭურჭელი განსაცდელს მოარიდონ, ჩვენ-კი თვითონ ჭურჭელს იმისთანას ვაკეთებთ და ისე ვინახავთ, რომ უმარნოდაც არა განსაცდელი არ ერჩოდეს. (VII, 121).

22(2181). ერთი საფრანგეთის მწერალი თურმე ამტკიცებს, რომ იმ ქვეყნის ერი, საცა ღვინო მოდის, უფრო გონებით სწრაფია, მოსწრებულია, მახვილგონიერია, ვიდრე იმ ქვეყნისა, საცა სასმელად ლუდსა (პივას) ჰხმარობენო. (VII, 84).

23(2182). ერთი უდიდესი და უპირველესი სახსარი ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა მიწათმოქმედებაა... (VII, 73).

24(2183). ერთის მხრით უმამულობა მიწისმომქმედისა და მეორის მხრით უხელობა მიწის მეპატრონეებისა იყო დასაბამი თითონ ბატონყმობისა და იმგვარ მიწისმფლობელობის, რომელსაც ფერმერობას, ხიზნობას და სხვა ამგვარს მიწის ქირით დაჭერას ეძახიან. (VI, 121).

25(2184). ერის ერობა მარტო მიწასა და გუთანზეა დამოკიდებული. (V, 173).

26(2185). ვაზი, ვენახი, ვით ხვნა-თესვაზე უმაღლესი და ურთულესი კულტურა მიწათმოქმედებისა, და ამასთან შეერთებული ღვინის დაყენება, უფრო მეტს გონების გარჯას და მოხერხების ძალას ითხოულობს, ვიდრე ხვნა-თესვა პურისა და ქერისა. აქ გონებას, საზრიანობას, ხერხის უნარსა უფრო მეტი სარბიელი აქვს ვარჯიშობისა და აქედამ გახსნისა და წარმატებისაც. (VI, 203).

27(2186). ვენახებს წამლობა თავ-თავის დროზე არ დააკლო. (ი. ჭავჭავაძე, „წერილები", I, სოხ., 1949, გვ. 130).

28(2187). ვენახი მაშინ არის ვენახი, როცა მიწა და ვაზი ერთად არიან განუყოფელად; როცა ერთს განაშორებ მეორისაგან, მაშინ ვენახი ვენახი აღარ არის. (VIII, 229).

29(2188). ვენახი მხოლოდ მაშინ არის ვენახი, როცა ვაზი და მიწა განუყოფელად არიან და არა ცალკ-ცალკე. (VIII, 229).

30(2189). ვენახი ძვირფასი ქონებაა მხოლოდ მაშინ, როცა მართლა ვენახია. (VII, 500).

31(2190). ვენახი ხომ ერთი დღისა და წლის საქმე არ არის. იგია ნაყოფი დიდი ხნის ჯაფისა და შრომისა, იგია თავენი, ნელ-ნელა მოგროვილი მამა-პაპის ოფლის ღვრეთა და თითქმის უტყვი ისტორიაა მთელის ოჯახის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებისა და ნაშრომ-ნაღვაწისა. (VI, 203).

32(2191). ვენახის და ნამეტნავად ვაზის მოვლაში ჩვენებური კაცი სხვას არამცთუ ჩამოუვარდება, ზოგში სხვას ასწავლის კიდეც. (VII, 91).

33(2192). ვენახის კეთება ჩვენში გუშინდელი საქმე არ არის და კარგის არჩევანისათვის რამდენისამე საუკუნის გამოცდილება ხელთა გვაქვს. ვინც ცოტაოდნად მცოდნეა ჩვენის ვენახის პატრონებისა, ის გვიმოწმებს, რომ თითქმის არც ერთი ვენახის პატრონი გლეხი არ არის ჩვენში, რომ ამ საგანზედ ჭკვად მისაღები დარიგება და რჩევა არ მოგცეთ. ამ მხრით ჩვენებური გლეხი ევროპიელ მეცნიერსაც კი აჯობებს, იმიტომ რომ მიწათმოქმედებაში საერთოდ და ვენახობის საქმეში ცალკე გამოცდილება დიდი რამ არის, და ჩვენებური გლეხი ევროპიელს მეცნიერზედ გამოცდილებით მეტისმეტად წინ იქნება, იმიტომ რომ ადგილის კაცია. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო*. (VII, 78).

34(2193). ვენახის მიწის კეთება და მოვლა, რომელიც არსებითს საჭიროებას შეადგენს ვენახის კარგად კეთებისას, ჩვენში საკმაოდ კარგად იციან, იმოდენად კარგად, რომ რომელს ევროპიელსაც ეს ჩვენებური ცოდნა წინ არ წაუმძღვარებია და თავის ჭკუით უკეთებია ჩვენში ვენახი, გაშენებულიც კი ამოვარდნია. (VII, 79).

35(2194). ვენახისა და ხეხილის გაშენება ცოტა ადგილს და დიდს გარჯას, დიდს ხარჯს, დიდს დროს თხოულობს. (VI, 188).

36(2195). ვენახსა და ხილნარს შიგ ჩატანილი აქვს უკვდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა. ამიტომაც, ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიიჩნია, არაფელ იმ წვინლა აუზადაც, სადაც ბის მაპა-

* ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

პაპას თავისი ოფლი მიუღენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ. (VI, 188-189).

37(2196). ვიდრე მთავრობა საქართველოს და ერთობ ამიერკავკასიას არ შეხედავს იმ თვალით, რომ აქ მიწათმოქმედებას სხვა გზა და მიმართულება უნდა მიეცეს მისი ჰავისა და მიწის შესაფერი, ვიდრე თავისს მეცადინეობას იმაზე არ მიაქცევს, რომ ახალი საჭირნახულო საგანი გაუჩინოს აქაურ მიწათმოქმედებას, იმ დრომდე ყველაფერი ფეხზე დადებული ბალამო იქნება. მაშინ როდესაც სატკივარი თავზეა. (VII, 66).

38(2197). თავდაპირველი შემომქმედი ეროვნობისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც. რადგანაც ისტორიას და ჩვენთა მამა-პაპათა მხნეობას და თავგანწირვას ეს ორი ძვირფასი განძი ჩვენთვის შეურჩენია, რადგანაც საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამ ორის საგნით სულდგმულობს, ამიტომაც ყოველი წარმატება, ყოველი წინ წადგმული ბიჯი ამ ორ საგნის მიმართ, ჩვენთვის დიდის ყურადღების ღირსი უნდა იყოს. (V, 176).

39(2198). იმისათვის, რომ მადლიანმა ჰავამ და ნოყიერმა მიწამ თავისი ჰქმნას, თავისი სიკეთე საკმაო სავსებით მოგვიტანოს, მარტო ერთი სახსარია: ეგ გაძლიერებაა იმ წარმოებისა, რომელსაც მიწათმოქმედება ჰქვიან, ანუ ერთიანი სახელი „სოფლური მეურნეობა". (VII, 32).

40(2199). კარგი დამყენებელი ღვინისა თრთეილს ელის და მერე ჰკრეფავს ვენახსა. (VII, 103).

41(2200). კაცს წყალის გასაღება უნდა ღვინის სახელითა და სიყალბეს ბოგირდის მჟავით ჰმალავს, კაცს წამლებით შეუღებავს ღვინო და ამით მუშტარის მოტყუება ჰსურს, — ეს ღვინის კეთებაა?!

არა, შორს ჩვენგან ამისთანა ღვინის კეთება! ყოველს იმას, რასაც კაცი თავისგნით ყურძნის წვენში უმატებს, წყალია, შაქარია, თუ გადაწმენდილი არაყი და ან სხვა რამ, ჩვენს ღვინის წახდენად ჩავთვლით... (VII, 87).

42(2201). კიდევ დალოცა ღმერთმა გლეხნი: კაცური-კაცობა თუ არის სადმე, კიდევ იმათშია. (X, 313).

43(2202). მარტო ხმალი, მართალია, თავისითაც ძლიერია, მაგრამ ვერსად ხანგრძლივ ფეხს ვერ მოიკიდებს, თუ ამხანაგად გუთანი არ იყოლია. (V, 122).

44(2203). (Ѳთავარია და — რედ.). აზრი იმაშია, რომ სოფლის გლეხ-კაცობას იმისთანა საერთო, სასოფლო, საზოგადო საქმე აუჩნდეს, რომელსაც ხელითაც მისწვდება და გონებითაცა თვითონ გლეხ-კაცობა. ეს პირველი და უპირველესი ღირსებაა იმისთანა საქმისა,

რომლის გამარჯვებაც სასურველია და რომელსაც შესაძლოა კაცმა საზოგადო საქმე უწოდოს. („ივერია", № 25, 1892, 1).

45(2204). მთელი ამერკავკასია ძველადგანვე სცხოვრებს და თავს იკავებს მარტო იმ მრეწველობითა, რომელიც დამოკიდებულია მიწასა და მიწათმოქმედებაზედ. (IV, 342).

46(2205). მთელი არსება მიწათმფლობელობის საქმისა, რომელიც შეადგენს დღევანდელს ტკივილს ყველა ერისას და ყველა სახელმწიფოებისას, იმაში მდგომარეობს თუ, — რომელი ნაწილი საკუთრებისა გაძლიერდეს და გაუფლდეს კაცთა ეკონომიურს ცხოვრებაში: პირადი თუ ზოგადი. ეს ორი ელემენტი იბრძვის დღეს ქვეყნიერობაზედ და ეგრეთწოდებული საადგილ-მამულო, სამიწაწყლო საქმე (аграрный вопрос) მარტო ეგ ორთა-შუა ბრძოლაა და სხვა არა-რა. (VI, 141-142).

47(2206). მიწა დღეს იქნება თუ ხვალ იმასთან მივა, იმას ჩაუვარდება ხელში, ვინც შემძლებელი იქნება მიწა მეტის მხნეობით, ცოდნით, სიმარჯვით და გამრჯელობით მოიხმაროს. („ივერია", № 273, 1891, 1).

48(2207). მიწა ... რაც არის ღვთისაგან გაჩენილი, იმაზედ მეტს არც იმატებს და არც იკლებს. (VI, 139).

49(2208). მიწა ჩვენშიაც, როგორც ყოველგან სხვაგან, უფრო მკვიდრი და მტკიცე თამასუქია, ვიდრე სხვა-გვარი ქონება, იმიტომ რომ საზოგადო წარმოების გამო მრავლდება ერი; ერის გამრავლებით მიწას მუშტარი ემატება, მაშინ როდესაც თითონ მიწა კი არც მატულობს, არც იზრდება, რაც ბუნებას გაუჩენია — მასზედ მეტი ვერ გახდება. მუშტარის მომატებას ამ შემთხვევაში მიწის ფასის აწევა მოსდევს და ამ სახით მიწა, დღეს გირაოდ მიღებული, შესაძლოა ათს და ოცს წელიწადს ერთი-ორად მეტის ფასისა გახდეს. (V, 239).

50(2209). (მიწად-მომქმედთა — რედ.) კეთილ-დღეობაზედ დამყარებულია ყოველთა ქვეყანათა კეთილ-მდგომარეობა საზოგადოდ და ჩვენის ქვეყნისა საკუთრად. („დროება", № 47, 1872, 1).

51(2210). (მიწათმოქმედება — რედ.) ...ერთადერთი სახსარია, ერთადერთი წყაროა, ერთადერთი საეკონომიო მოქმედებაა ცხოვრების გასაძღოლად ჩვენში. (VII, 63).

52(2211). (მიწათმოქმედება — რედ.) თითქმის ერთად-ერთი წყაროა ჩვენის სიმდიდრისა. (V, 237).

53(2212). მიწათ-მოქმედება იმ-გვარი წარმოებაა, რომლის სამუდამოდ და მკვიდრად განკარგულებისათვის საჭიროა დიდი ხანი. ამ წარმოების აჩქარება ვერა მანქანებას კაცისას არ შეუძლიან, იმიტომ რომ აქ ყველაფერი დამოკიდებულია თითონ იმ ნივთთა ბუნებაზედ, რომელნიც მაგ წარმოებას ემსახურებიან და რომელთ ბუნების შეცვ-

ლაც კაცთა ხელთ არ არის. მაგალითებრ, ვაზს, რომელსაც დღესა ვრგავთ, ვერ ვეტყვით, ექეს თვეზედ ყურძენი გამოისხიო. (V, 238).

54(2213). (მიწათმოქმედება — რედ.). უფრო დაუშრობელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. (IV, 177).

55(2214). ... მიწათმფლობელობის განვითარებას ყველგან ერთი და იგივე სათავე ჰქონდა და ერთი და იგივე მომდინარეობა. (VI, 122).

56(2215). ... მიწისმოქმედება იმისთანა ეკონომიური წარმოებაა, რომლისაც მკვიდრი და სამუდამო გაუმჯობესება ხანგრძლივს დროს ითხოვს. ამგვარის წარმოების მსელელობა თავიდამ შესრულებამდე დიდის დროის განმავლობაში მოხდება. არა კაცის ღონეს და მოხერხებას არ შეუძლიან ამ წარმოებას ფეხი აუჩქაროს, იმიტომ რომ აქ ყოველივე დამოკიდებულია იმ ნივთთა ბუნებაზედ, რომელნიც მიწისმოქმედების ქვემდებარე თანამავალნი არიან და რომელთ თვისების შეცვლა კაცთაგან შეუძლებელია. (VII, 329).

57(2216). მიწისმოქმედება იმისთანა თვისების ეკონომიური წარმოებაა, რომ ჯერ თავისის გაუმჯობესებისათვის დიდსა და ხანგრძლივს დროსა თხოულობს და მერე თავნსა, რომელსაც მასზედ ვხარჯავთ. გვიბრუნებს ჩვენ თანდათან და ცოტ-ცოტად და არა ერთბაშად. (VII, 330).

58(2217). მიწისსამოქმედო კრედიტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს საგნად გაძლიერება მიწისმოქმედებისა, ესე იგი იმ წარმოებისა, რომელიც მიწასა და მიწის შემუშავებაზედ არის დამოკიდებული, განირჩევა სხვაგვარის კრედიტისაგან იმნაირის თვისებითა, რომელიც წარმოსდგება მიწისა და მიწის შემუშავების ეკონომიურის ბუნებიდამ. (VII, 329).

59(2218). მიწისსამოქმედო კრედიტსა და სხვა ღედაბოძი არა აქვს. თუ არა უძრავი ქონება, რომელზედაც უსათუოდ მტკიცე და კანონიერი საბუთი უნდა ჰქონდეს პატრონსა. (VII, 335).

60(2219). მყობადი იმისია, ვინც მიწაზედ ფეხგადგმულია და მიწას ამოქმედებს ხმლის მფარველობის ქვეშ. თითონ დიდი რომი, თითქმის მთელის ქვეყნის მპყრობელი, დაეცა, იმიტომ — რომ მარტო ხმალი ეჭირა ხელში და გუთანი კი არა. (V, 123).

61(2220). ნაყოფთა — ცელა თითქმის ერთადერთი სახსარია ხელახლად გაღონიერდეს მიწა რომელისამე მცენარისათვის, რომელსაც მიწა მოუღლია. (VII, 173-174).

62(2221). ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყანა თუმცა ღვინის მკეთებელი ქვეყანაა, მაგრამ მასთანავე ღვინის მსმელიც არის. (V, 214).

63(2222). რადგანაც დღეს გამრჯელი, მწარმოებელი და მომცემი ჩვენში მარტო სოფელია და მისი საეკონომიო მოქმედებაა ერთადერთი საზსარი ჩვენის ცხოვრებისა, თავის რჩენისა და გამოკვებისა, ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა თავს დასტრიალებდე, მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერ ხანად მაინცა. (VII, 31-32).

64(2223). რადგანაც ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა ადგილების ჰაეა და ამინდი ნებას აძლევს კაცს მთელი ზამთარ-ზაფხული გარეთ ჰკვებოს საქონელი, — ამიტომაც ჩვენებური მოსაშენ საქონლის პატრონები ზამთრობით ყიშლაღებზედ გარეკენ ხოლმე საქონელსა საძოვრად და ზაფხულობით იალაღებზედ. (VII, 232).

65(2224). რამოდენადაც მიწათმფლობელობა ფართოა, სხვაზედ დამოუკიდებელი და თავისუფალი მიწათ-მოქმედებისათვის, იმოდენად ქონებითი ძალ-ღონე ქვეყნისა, თუ სახელმწიფოსი მტკიცეა, ძლიერი და მუდმივი. („ივერია". № 21, 1886, 1).

66(2225). რაც უნდა ძალიან კარგი არაყი იშოვოთ... მაინც განგებ ჩამატებული არაყი ღვინოს უფრო ახდენს, ვიდრე აკეთებს. (VII 137).

67(2226). რომ მუშა თითონ იყოს პატრონი თავის მიწისა... არა სჯობია-რა. (VI, 138).

68(2227). რომელს ერსაც ეს ორი საგანი (მიწა და გუთანი — რედ.) ხელო შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდაც და სამერმისოდაც. სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი, ვერც ერის ვინაობას დაედება საძირკვლად, და ვერც ერთი ჯიშის, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერთად შეჰქმნის. (V, 174).

69(2228). საფრანგეთის კანონები წყალის ჩამატებასაც კი ღვინოში ფალსიფიკაციას ეძახიან, ესე იგი ყალბის ღვინის კეთებასა. (VII, 86).

70(2229). საქმე მიწაა და გუთანი. (V. 174).

71(2230). საცა მთავრობას სოფლის მეურნეობის საჭიროების გამომთქმელ ორგანოდ თვით საზოგადოება ჰყავს და ამ საჭიროების პასუხის-საგებად და დასაკმაყოფილებლად მარტივი მთავრობითი წყობილება, იქ სოფლის მეურნეობა დღედადღე წინ მიდის ხალხისა და მთავრობის საკეთილდღეოდ. (VII, 261).

72(2231). საძოვრების საქმის დაულაგებლობა, მოუწყობლობა, ერთი უდიდესი ნაკლია ჩვენის საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა. ამისთანა ადგილას, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, საცა ჰავა, ამინდი ნებას აძლევს კაცს საქონელი გამოჰკვებოს თითქმის მთელს ზამთარ-ზაფხულს

გარეთ მინდორში, ეს ნაკლი ძლიერ უნდა ხელს უშლიდეს მიწათმოქმედსა და ზიანს აძლევდეს. (VII, 231).

73(2232). საწყალი გლეხკაცი! საკვირველს ბედზედ არის გაჩენილი ეს ჩვენი გამომკვებელი, ჩვენი მარჩენალი სულიერი. (VIII, 201).

74(2233). სახელმწიფოს. ჯერ-ხანობით მაინც, გლეხი აცხოვრებს. (V, 104).

75(2234). (სოფლის მეურნეობაში დასაქმებულმა კაცმა — რედ.). ადგილობრივის ბუნებისა და ხალხისა თუ არა იცის — რა, იგი ამისთანა საქმეში, როგორც ახალის რისამე გასაჩენად შემოღებაა, ერთს ნაბიჯსაც უმარცხოდ ვერ გადასდგამს. (VII, 60).

76(2235). სოფლის მეურნეობის, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით. (VII, 257).

77(2236). სოფლის სამმართველო გლეხკაცს მარტო მაზრის უფროსის ჯოხად მიაჩნია, რომელიც დღე მუდამ მის სახლის დირეზედ შიყუდებულია, და არა მთავრობითის ძალის წარმომადგენელად, რომელმაც მთავრობის ნებაც უნდა აასრულოს და ჩაგრულთაც მფარველობა გაუწიოს ყველგან და ყოველის წინაშე. (VI, 61).

78(2237). სოფლური მეურნეობა საზოგადოდ და მიწათმოქმედება საკუთრად, ჩვენში ჯეროვანს სიმაღლეზე არა სდგას. ამას ბევრი შიზეზი აბრკოლებს, ზოგი სოციალური, ზოგი იურიდიული, ზოგი წმინდა ეკონომიური. (VII, 32).

79(2238). უეჭველია, რომ ზომიერად მიღებული ღვინო ძალიან ჰრგებს ადამიანსა; ამღერებს და აღონიერებს ძარღვებს მოქმედებისათვის, ადამიანის აგებულებას, კუჭსა ჰშველის კარგად მოხარშვას და შონელებას საჭმლისას და ყოველ ამით აძლიერებს ძალსა საცხოვრისასა. ამ სახით, — ამბობს ერთი მწერალი, — ღვინო მარგებელი სანელებელია, ყველა სანელებლებზედ გაცილებით უმჯობესი და უპატიოსნესი, იმიტომ რომ ყველაზედ უკეთ აღამაღლებს ხოლმე ადამიანის ჭკუასა და გულსა. ერთი ყლაპი კარგის ღვინისა გამოახალასებს მოხუცსა და გამოაცოცხლებს სნეულსა, იგი ღონეს მოუკრებს ხოლმე დაუძლურებულს და დასუსტებულსა.

რა ჰხდის ღვინოს ესოდენ მარგებელად, ესოდენ სასარგებლოდ? მარტო ერთი ყოველადშემძლებელი, შეუცდომელი, გაბრძნობილი ოსტატი, რომელსაც ბუნება ჰქვიან. მარტო ბუნებურს ღვინოსა სჭირს ესოდენი სიკეთე, ესოდენი მადლი. (VII, 84-85).

80(2239). უმამულოდ დარჩენილი გლეხ-კაცი მძიმე ტვირთია როგორც სახელმწიფოსათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის და თავი და

თავი მიზეზია ბოგანოდ თრევისა და იქნება ათას გვარ უწესოებისა და ავკაცობისაც. („იერია", № 14, 1893, 1).

81(2240). ფული, ჩაყრილი მიწისმოქმედების გასაძლიერებლად, ისე შეუზორცდება ხოლმე მიწასა, რომ მისი იქიდამ ერთბაშად ამოღება შეუძლებელია. ამის გამო მიწისმოქმედება სამკვიდროდ ნაქმნარს ხარჯს ერთადერთს დროს კი არ გვიბრუნებს ხოლმე, არამედ ცოტ-ცოტობით და თანდათან გვაწვდის, იმ დროის განმავლობაში, რაც მისი მსვლელობისათვის საჭიროა. (VII, 329-330).

82(2241). ...ქვეერი, როგორც ღვინის სადღარი და შესანახი ჭურჭელი, ჩვენის ფიქრით, თუ არ სჯობია ბოჭკას, არაფერში არ ჩამოუვარდება. (VII, 121).

83(2242). ქვეყანა ვისია? ყოველივე ჩემიაო, — ამბობს ოქრო. ყოველივე ჩემია, — იძახის ხმალი. ყოველსფერს ვიყიდიო — მოჰკვეხს ოქრო. ყოველსფერს ხელში ვიგდებო, — იქადის ხმალი. მითამ ეგრეა? არა გვგონია. ჩვენის ფიქრით, თავმოწონებულს ოქროს და გაზეიადებულს ხმალს, ამ ორს პატიოსანს მეტოქეს, დაჰვიწყებიათ, რომ ქვეყანაზედ მაგათ გარდა არის ერთი კიდევ რაღაცა, რომელსაც, თუ არ პირველი, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში. მართალია, ის ერთი რაღაც ქედმოხრილია, ჩუმი, წყნარი, უწყინარი, ტანად მრუდე მაგრამ გულით მართალი და პირად ბრწყინვალეა. იგი ხმაამოუღებლივ, ხმაგაკმენდილი, ფეხმძიმედ დაიარება ქვეყანაზედ: არცა ჰკვეხს, არც ბაქიაობს, არც არავის ერჩის, არც არავის ეცილება და საქმობს თავის-თავად დინჯად, აუშფოთებლად, სულ მუდამ და დაუძინებლივ. იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს, არც ოქროსლა ექმნება რამე სასყიდავი და არც ხმალს მოსატაცებელი. იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთელიმოს-მეთქი, არ ეიცი ქვეყანას რა დაეშარჯებოდა, თუნდ ოქროს მთები იდგეს და ხმლების ტყეები. უიმისოდ ოქროს ქვეყანაზედ მოედანი არა აქვს და არც თითონ ძალოვანს ხმალს დიდი და ხანგრძლივი მანძილი. ის ერთი რაღაცა — გუთანია. (V, 121-122).

84(2243). ქვეყანამ იცის კაზურ ღვინოების ღირსება. ეს ღვინოები ისეთის თვისებისაა, რომ ადვილად შეუძლიან მოცილეობა გაუწიონ... უცხო ქვეყნების ღვინოებს. („იერია", № 21, 1894, 1).

85(2244). ქვეყნის ეკონომიური სიმტკიცე და ძლიერება გლეხკაცობის მიწათმფლობელობაზეა დამოკიდებული. რამოდენადაც ეგ მიწათმფლობელობა ფართოა, სხვაზედ დამოუკიდებელი და თავისუფალი მიწათ-მოქმედებისათვის, იმოდენად ქონებითი ძალ-ღონე ქვეყნისა, თუ სახელმწიფოსი მტკიცეა, ძლიერი და მუდმივი. („იერია", № 21, 1886, 1).

86(2245). ქონება ერთობ და ადგილ-მამული ცალკე თვისის ეკონომიკურ ბუნებისამებრ უქმს ხელს ეცლება და საქმიან ხელისაკენ ბიიზიდება. პატრონობა, მფლობელობა მიწისა, როგორც პატრონობა და მფლობელობა ყოველ-გვარის ქონებისა, ამ კანონის ძალით, დაიძვრის თუ არა, დადის, დადის, ათას პატრონს, ათას მფლობელს იცვლის და როცა საქმიან ხელს იპოვის, მივა და იქ გაჩერდება ხოლმე, ვიდრე უქმობა ხელისა ხელ-ახლად საძებნელად არ გაუხდის საქმიან ხელსა.

ამ მიუდრეკელს რკინის კანონს ვერა-რა და ვერავინ წინ ვერ გადაუდგება. ვერ მოჰხრის, ვერ დაიქვემდებარებს. ეს იპეთივე უძლეველი, უცვალებელი კანონია, როგორც ყოველი კანონი ბუნებისა. („ივერია", №143, 1887, 1).

87(2246). ღვინის ავკარგიანობაზედ ზედმოქმედება აქვს თვითონ 1ასუქსაც. ძროხის პატივი ვენახის სასუქად ყველაზე უკეთესად ცნობილია. ძალიან კარგად მოქმედობს ძვლების ფხვნილიცა, მეავე ფოსფორი, მეავე კირიცა, რომელსაც ძვლებისაგანვე აკეთებენ და ფოსფორმეავე აქვს. (VII, 89).

88(2247). ღვინის კეთებას ჩვენში მთელი ათასის წლების ისტორია აქვს და, მაშასადამე, არის რამ მიზეზი, რომლის ძალითაც ჩვენი ერი თავისებურ ღვინის კეთებას ჰრჩეობს და ევროპიულს უფრთხის და ერიდება დღესაც. ვინ იცის, იქნება ეს მიზეზი პატივსაცემია, ჭკვად მისაღებია? ამას გამოძიება, გამოკვლევა უნდა და უამისოდ ჩვენებურ ღვინოზედ წუნის დადება, ღვინის ჩვენებურად კეთების აბუჩად აგდება, მოშლილის წისქვილის რახუნია და ტყუილის ოსტატობის თავგაზვიადებული სიბრიყვე და კადნიერება. (VII, 76).

89(2248). ღვინის შენახვისათვის ყველაზედ უწინარეს საჭიროა, რომ თვითონ ყურძნის წვენსა ჰქონდეს უნარი გამძლეობისა ბუნებით დაფოლილი. ჩვენშიაც და ევროპაშიაც ეს ძალიან კარგად იციან. (VII, 108).

90(2249). ღვინო, როგორც სასმელი, რომელსაც მარტო ადამიანი ჰხმარობს, უნდა გაისინჯოს იმისდა მიხედვით თუ, — რაგვარს უხდება, რაგვარს შემწეობას უწევს ადამიანის აგებულებას, ანუ, უკეთ ვსთქვათ, რა უნდა მოეთხოვებოდეს ღვინოსა. (VII, 83).

91(2250). ღვინოს მარგებელ და სასარგებლო სასმელად ჰხდის მარტო ერთი ბუნება და ვერავინ ვერ გვეტყვის, რომ აქ, ღვინის კეთებაში ბუნებას კაცმა აჯობოს. (VII, 85).

92(2251). ყველაზედ უწინარეს ქვეერის სიკეთისათვის საჭიროა კარგის თიხისა იყოს და კარგად გამომწვარი. (VII, 116).

93(2252). ყველასაგან და ყველგან ცნობილია, რომ მუშაკაცი ყოველთვის იმის ნატვრაშია, სადმე ბინა მოიკიდოს, სადმე თავისი საკუთრება იქონიოს, და მიწისმომქმედი მუშა ისე არა ქონებას არ ეტანება,

როგორც უძრავსა, ესე იგი მიწასა, ადგილ-მამულსა. ამგვარებში ნაბეტნავად ჩვენი გლეხია ღირსშესანიშნავი. (VI, 26).

94(2253) ყველაფერში შეუძლიან მჩვარში გაგვახვიოს კაცმა, მაგრამ სთქვას კი, რომ ქართველმა კაცმა ბარვა, თოხნა, გაწმენდა ვენახისა, ვაზის დამუხლვა და დაწვენა არ იცოდეს, — ეს მთქმელის მტკნარი უშეცრობა იქნება და არა ჩვენის ხალხისა. (VII, 79).

95(2254). (ყოველი მევენახისა და ღვინის მკეთებელი — რედ.) კაცისათვის ღვინო არამც თუ მარტო საჭირო და სასიამოვნო სასმელი... არამედ თავმოსაწონებელი, და სახელგანთქმულიც უნდა იყოს. (V, 227).

96(2255). ყოველივე სასოფლო მოქმედება ხანგრძლივს ხარჯსა და შრომას ითხოვს; იმოდენად ხანგრძლივს, რომ ერთის ცალკე კაცის სიცოცხლეც ვერ გასწვდება ზოლმე. ამ ხარჯს და შრომას ძნელად გაუძღვება ცალკე კაცის შეძლება და მარჯვენა. („ივერია", № 234, 1886, 1).

97(2256). ყოველის განვითარების საფუძვლად, სათავედ ყოველის რიგიანად წარმატებისა, — უნდა აღიარებულ იქმნას... ისა, რომ სოფლის მცხოვრებთა მიწა და მიწათ-მოქმედება მტკიცედ ხელთ ეპყრას. (V, 199).

98(2257). ყოველისფერი თუ არა, ბევრი მაინც ჩვენში ადვილად მოვა მოსავალი — რედ.), ოღონდ ამისი ხელი ვიცოდეთ, ამისი ცოდნა გვქონდეს. (VII, 47).

99(2258). (ყურძნის სიმწიფეს — რედ.). ევროპაში ცნობილობენ სხვადასხვა იარაღითა და ღონისძიებითა და ჩვენში კი გაჭყლეტენ მარცვალს თითებ-შუა, და თუ თითები წვენის გამო ერთმანეთს ეწებება და ეს დაწებება დღედადღე უფრო მატულობს, ამბობენ, ყურძენს ჯერ კიდევ „წებო" ემატებაო და დაცლა, დახანება უნდაო, იმიტომ, რომ ამ წებოს მეტ-ნაკლებობაზედ დამოკიდებულია ღვინის სიკეთე. (VII, 90).

100(2259). ყურძნის წვენის სიტკბოზედ დიდი კეთილმოქმედება აქვს მზიანსა და თბილს დარსა ღვინობისთვეში. რა თქმა უნდა, რაც პაეას, დარს, სიცხე-სიცივეს წლისას შეეხება, აქ ადამიანი ყოველად უღონოა შველა რამ გაუწიოს ბუნებასა, მინამ ყურძენი დაუკრეფავია, მაგრამ მიწის ამორჩევა და განყიერება — გაღონიერება — კი მის ხელთ არის. (VII, 89).

101(2260). შრომის-მოყვარეობა და უნარი პირველი დიპლომია მეურნისთვის. („ცნობის ფურცელი", № 2011, 1902, 3).

102(2261). ჩვენებურ გლეხკაცის თვალში მის ვენახს, მის ხეხილის ბაღს, მის ნაფუძარს თავისი ისტორია აქვს, მართალია — ბუნდი, წარსულის ღრუბლისაგან გამოურკვეველი, მაგრამ ღრმად კი ჩაჭდეული

გულში, რომ ვენახი, ხეხილის ბაღი, სალარია მის წინაპართა ჯაფისა, გარჯისა და მხნეობისა. (VI, 189).

103(2262). ჩვენებური გლეხი ბინადარი კაცია, საცა დაბადებულა, იქ მკვიდრად ფეხ-მოკიდებულია და ღრმად ფესვადგმული. იგი თავის მამა-პაპეულ ბინაზედ დამოკიდებულია მარტო საეკონომიო ანგარიშით — კი არა. არამედ სულითაც და გულითაც. ესე იგი ზნეობითადაც შემსჭვალულია. მისი სოფელი მისი სამკვიდროა, თვითონ „მკვიდრია" თავის სოფლისა და სხვა თავ-მოსაწონებელი სახელი არ იცის. მისი სოფელი მისთა მიცვალებულთა სავანეა, მისთა მამა-პაპათა საფლავია, სალოცავია, სახსოვარია, საგონებელია; ივივ ამავე დროს საცხოვრისია, სადგურია მისთა ცოცხალთა თვის-ტომთა, ნათესავთა და მახლობელთა. აი ძნელად გადასაკვეთი ძარღვნი, რომლითაც იგი მაგრად დაბმულია სულითა და ხორცით იმ ადგილზედ, საცა დაბადებულა. ძნელად და ძალიან ძნელად გამოიმეტებს იგი თავის სოფელს, სხვასავით ადვილად არ აიყრება მარტო იმის გამო, რომ „საცა არა სჯობს გაცლა სჯობსო". მთელი ისტორია ჩვენი ამისი მოწმეა: ვერა მუსრმა, ვერა აოხრებამ, ვერა სისხლის-ღვრამ ვერ აშალა იგი თავის ბინიდამ და სხვასავით ვერ დაჰქსაქსა, ვერ გაჰფანტა. ეს მკვიდრად დგომა თავის ბინაზედ მოდგმითი ზნეა მისი. („ივერია", № 149, 1887, 1).

104(2263). (ჩვენებური გლეხის — რედ.). სიმდიდრე დღესაც ფულიანობით კი არ იზომება, არამედ პურისა და ღვინის მეტ-ნაკლებობითა, ესე იგი მიწის მოსავლითა. (VI, 22).

105(2264). (ჩვენებური გლეხკაცი — რედ.) უფრო ადვილად მოითმენს უმამულობას, ვიდრე მამა-პაპეულის ბინის დაკარგვასა, ვიდრე თავის მშობელ სოფლის გაწირვასა და გამოთხოვებასა. („ივერია", № 149, 1887, 1).

106(2265). (ჩვენებური — რედ.). გლეხკაცი შეჰხარის ვენახს ჯერ როგორც თავისთავად ძვირად ღირებულს ქონებას და მერე როგორც მამა-პაპის ნაშრომ ნაღვაწის სახსოვარს და ნაშთსა. ეს ქონებრივი და ზნეობრივი ღირსება ვენახისა, ერთად შეერთებული, უეჭველია კარგად უნდა ზედმოქმედებდეს აქაურ გლეხკაცობის ავკარგიანობაზე, მისის ხორცისა და სულის მოძრაობაზე. (VI, 203).

107(2266). ჩვენებური ღვინის კეთება ისე აბუჩად ასაგდები, ისე მჩვარში გასახვევი არ არის, როგორც ზოგიერთსა ჰგონია, ევროპის მიხედვით თავბრუდასხმულთა. VII, 83).

108(2267). ჩვენებური ხალხი ძალიან ჰთაკილობს ღვინოში ყურძნის წვენის მეტი სხვა რაიმე ჩაურიოს, და ვისაც ეგ კანტიკუნტად სადმე გაუბედნია, ყოველივე ღონისძიება უხმარია, არავინ შემიტყოსო, ესოდენ სირცხვილად და ცოდვად მიაჩნდა ჩვენში ყველას წმინდა წვე-

ნი ბუნებისაგან მოცემულის ყურძნისა წაეწყმიდა და შეებღალა რითიმე თავისგნით ჩამატებულით და ჩარევითა. (VII, 86).

109(2268). ჩვენებურის გლეხისათვის ტყე ისე საჭიროა, როგორც არსებითი პური. უტყეოდ ჩვენებური გლეხკაცი ვერ დადგება ისე, როგორც უპუროდ. (VIII, 197).

110(2269). ჩვენებურს კეთებას მიწისას ვენახებისათვის ბევრი თავისი საკუთარი მიზეზი და საბუთი აქვს, გამოცდილებით შემოწმებული და მეცნიერთაგანაც ჭკვად მისაღები... მაგალითებრ, ვაზის გადაწვენასა და ჩამუხლვაში ჩვენ ბევრი არავინა გვჯობია და ბევრს შეუძლიან ჩვენგან ისწავლოს რამეც. ამის გამო გადაჭარბებული თავმოწონება არ იქნება ვსთქვათ, რომ თუ ზოგი რამ აკლია ჩვენს ხალხს ვენახისათვის მიწის კეთების საქმეში, ზოგიც იმისთანა რამ იცის, რომ სხვასაც ასწავლის. ურიგო არ იქნება მსურველმა ისწავლოს მისგან ეგ ზოგი რამ... (VII, 80).

111(2270). ჩვეთნა მამა-პაპათა ძალიან კარგად იცოდნენ ყადრი წყლის მეურნეობის გაძლიერებისათვის და ამიტომაც, როგორც კანონმდებლობა ჩვენი, ისე ზნე-ჩვეულება, წყლის არხებით გაყვან-გამოყვანისათვის დიდ უფლებას აძლევდა კაცსა...

თვითონ ჩვენმა ენამაც — კი შეირჩინა იმისი კვალი, თუ რა ძვირფასად მიაჩნდათ ჩვენებს უწინ წყალი. „წყალობა, შემიწყალე, მიწყალობე, მოწყალე" — ყველა ამ სიტყვებს დასაბამი აქა აქვს. ყველა ამ სიტყვებში მარტო ის ისმის, რომ წყალი მომეც, წყალი მომმადლეო. (VII, 67).

112(2271). ჩვენი გლეხკაცი სოფლის სახელით უფრო მეტად შეიწყნარებს შეცდომასა, ვიდრე თვითნებობას ორისა და სამის კაცისას. (VI, 194).

113(2272). ჩვენი ეკონომიური ძალ-ღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა. (VII, 31).

114(2273). ჩვენი კარგი ქვევრი, იმით, რომ თითქმის ქვად ქცეულ თიხისაა და მიწაში ჰზის სწორედ, — იმ სამსახურს გვიწევს, რასაც კარგი სარდაფი, ანუ შარანი ევროპიელს. (VII, 120).

115(2274). ჩვენი ქვეყანა მიწათ-მომქმედი ქვეყანაა. ერთად-ერთი მრეწველობა, რომელზედაც დღეს დამყარებულია ჩვენი კეთილ-დღეობა, ჩვენი სიმდიდრე, ჩვენის ერის გამორჩობა და კვება, მიწასა და მიწის კეთებაზედ არის მიქცეული. („ივერია", № 182, 1886, 1).

116(2275). ჩვენი ქვეყანა უმთავრესად ხვნა-თესვას, ვენახის კეთებას და საზოგადოდ ყოველ გვარ იმ საქმეს მისდევს, რაც მიწის მუშაობას და ერთობ მეურნეობას ეკუთვნის. („ივერია", № 149, 1886, 1).

117(2276). ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და ბიმდიდრე, — მიწა და გუთანია. (V, 173-174).

118(2277). (ჩვენში ბუნებურ ღვინის კეთების — რედ.) რთულის საქმის ყოველის ცოდნა თვითონ ხალხში უნდა მოიძებნოს. (VII, 122).

119(2278). ჩვენში ყველამ კარგად იცის, რომ ერთსა და იმავე მიწაზედ ზედიზედ არ უნდა დაითესოს ერთი და იგივე მცენარე. (VII, 172).

120(2279). ჩვენში ყურძენი და მრავალგვარი ხეხილი ჰხარობს, ვენახი და ხილნარი საკმაოდ სარჩოს მომცემია, ასრე რომ ბევრვან ჩვენის გლეხკაცის ცხოვრების იმედი ამაზეა დამყარებული. (VI, 188).

121(2280). (ცოდნა და სამუშაოდ გადადებული ქონება — რედ.) ეგი განბია, ურომლისოდაც არავითარი წარმოება საზოგადოდ და მიწათმოქმედება საკუთრად ფეხსაც წინ ვერ წასდგამს. (VII, 32).

122(2281). ცუდად ნაკეთები ღვინო და მარგებელი უმჯობესია, ვიდრე კარგად ნაკეთები და მაწყინარი. (VII, 83).

123(2282). ძნელია ჩვენის გლეხკაცისათვის ადგილიდამ დაძვრა. ამიტომაც იშვიათია ჩვენში უბინაოდ ტანტალი და სულ ცნობილი არ არის ერთგვარი დანაშაული, რომელსაც „бродяжничество" ჰქვიან. ამიტომაც ჩვენში ბინადარს მცხოვრებს „მკვიდრი" ჰქვიან და არა „მდგმური", როგორც ზოგიერთ ენაშია. (VI, 189).

124(2283). ჭეშმარიტი საგანი ღვინის კეთებისა, ამისი თავი და ბოლო, ბუნებურის ღვინის შექმნაა, ესე იგი ყურძნის წვენის დაღვინოებაა იმ გზით, რა გზითაც თვითონ ბუნება ყურძნის წვენს საღვინოდ აკოქმედებს. (VII, 86).

125(2284). ხვნა-მთესველი გლეხ-კაცობა, ღალით გამცემი მამულისა, ის მკვიდრი აღარ არის, რომელზედაც დამყარებულია კეთილდღეობა სახელმწიფოსი და საზოგადოებისა; ის გარედ მოარული კაცია, ღღე ყოველ დამოკიდებული იმაზე, რომ ლუკმა-პური იშოვოს იმისგან, ვისაც მისი მარჯვენა უჭირს. („ივერია", № 14, 1893, 1).

126(2285). ხიზნობა იმისთანა მიწათ-მფლობელობაა, რომელიც არც საკუთრებაა, არც იჯარა და ერთისა და მეორის შუა კი დგას, როგორც განსაკუთრებული, ერთ-გვარი, თავისებური სახე მიწათ-მფლობელობისა. („ივერია", № 221, 1886, 2).

127(2286). (ხიზნობას, როგორც ერთგვარ მფლობელობას მიწისას — რედ.) თავისი ისტორია აქვს, თავისი წარსული დრო, რომლის განმავლობაში უსაქმია, უმოქმედნია მთელის ერის ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას, ავკარგიანობას, სამართლიანობას, ჩვეულებას და ეგრეთწოდებულს ჩვეულების რჯულსა. ყოველს ამას ერთად უწარმოვნია დიდის ხნის მიმავლობაში და ერის გონებაში გამოუკვანძავს მრთელი

აზრი იმ ეკონომიურის წყობისა, რომელსაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით და რომელსაც სარჩულად იგი აზრი უდევს. (VI, 116).

128(2287). (ხილისა და ყურძნისათვის — რედ.) კახეთი ერთს მართლა და ღვთისაგან დალოცვილს ადგილს წარმოადგენს. (IV, 348).

129(2288). если преобладание и господство частного элемента собственности выразилось в установлении крепостного права, то элемент общественный нашел свое выражение в учреждении хизанства («Юридическое обозрение», № 164, 1884, 66-67).

130(2289). Экономическая жизнь всех народов проходила и проходит в борьбе за усиление и преобладание в жизни того или другого элемента собственности. Вся суть так называемого аграрного вопроса — этого больного места всех современных государств и народов — заключается именно в этой борьбе и ни в чем ином. («Юридическое обозрение», № 164, 1884, 66).

14. ზნეობის, პასუხისმგებლობის, პატიოსნების, სინდის-ნამუსის, ეთიკის, რწმენის, ღირსების, მორალის, თავმდაბლობის, ქველმოქმედების, ვაჟკაცობისა და კაიკაცობის შესახებ

1(2290). აბა პატიოსანი კაცი როგორ გაბედავს ჩააგდოს ბავშვების ბედი უვარგისის დედაკაცის (გუვერნანტის — რედ.) ხელში. (X, 300).

2(2291). აბრუ კაცისა, მისის სიტყვისა, აზრისა და რჩევისა თვითონ კაცის შინაგან ღირსების საქმეა და არც სესხით, არც ვისიმე მოწყალებით არ მოიპოვება. („ივერია", № 32, 1897, 1).

3(2292). ... აგრემც ღმერთი გადაგიხდის ღარიბის გაკითხვის სამაგერეროს, აგრემც... (II, 66).

4(2293). ადამიანებს კიდევ სინიდისიც გააჩნიათ და სინიდისის მოთხოვნილება უფრო დიდია, ვიდრე მოთხოვნილება სამოქალაქო კანონებისა. (X, 82).

5(2294). ადამიანთა ურთიერთობა შეუძლებელია დააფუძნო უზნეობის საწყისებზე და საქმე, რომელიც ზნეობრივი პრინციპების ღარღვევიდან გამომდინარეობს, არავის გამოადგება. (X, 81).

6(2295). ადამიანი ადამიანობს მარტო პატიოსნებით და ნამუსითა და ვინც ეს იცის, იმისათვის შებღალვა ან ერთისა და ან მეორისა ყოველს დანაკლისზედ უმძიმესია, ყოველს მწუხარებაზედ უდიდესი მწუხარებაა. (VIII, 250).

7(2296). ადამიანის განზრახვის შესაბღალავად იმისთანა საბუთს არ ვიხმარებთ, რომელშიაც იგულისხმება კარგიც და ავიც ადამიანის სურვილისა, და რომლის მარტო ავ მხარეს ჰკიდებს ხოლმე ხელს უძლურება და სიბრიყვე ადამიანის შესამწიკვლად, მაშინ, როდესაც საბუთში მეორე მხარეც არის, მაშინ, როდესაც საბუთიდან მეორე დასკვნის გამოყვანაც შეიძლება სასარგებლოდ ადამიანის განზრახვისა. (V, 253).

8(2297). ადამიანის გრძნობას როგორღაც ეთაკილება, ეზიზღება ხუმრობა და გასართობი სიცილი იქ, საცა ზრზენამ და ზიზღმა თავისი მრისხანე და სამართლიანი განაჩენი უნდა წარმოსთქვას და მახვილმა შეგინებულის ზნეობისამ თავი უნდა იჩინოს. (III, 112).

9(2298). (ადამიანის საკუთარის ღირსების გრძნობის გარეშე — რედ.) ... არც კაცი კაცად იხსენება და არც საზოგადოება საზოგადოებად. (VIII, 246).

10(2299). ადამიანის ღირსება, პატიოსნება, სინდისი, მისი ზნეობითი და ძვირფასი კუთვნილებაა და ყოველივე ეს სახელმწიფოსაგან, საზოგადოებისაგან და თვითოეულ ადამიანისაგან პატივცემულ უნდა იყოს, სრულიად ხელშეუხებელი, ვიდრე ცხადი, უცილო, უტყუარი საბუთი არ გვექნება ხელში, რომ იგი მაგ კუთვნილებას სხვის საკნებელად ხმარობს. (V, 167-168).

11(2300). ადამიანის ღირსების საწყაო ლიბერალობა ან რეტროგრადობა და სხვა ამისთანა — კი არ არის, არამედ ეს: მართალია, კაცი თუ მტყუანი. (VIII, 102).

12(2301). ადამიანისათვის სულ ერთია, ცალკე კაცი ჰლახავს ადამიანურს უფლებას, თუ რაზმად დაწყობილი კრებული. ორგანვე სამართლიანია მდურვა და ყვედრება, თუ-კი დათრგუნვილ უფლების აღსადგენად იღვწიან და იბრძვიან. საკვირველი ეს ღვაწება და ბრძოლა კი არ არის ჭკუათა-მყოფელ კაცისათვის, არამედ უამისობა იქნებოდა, იმიტომ — რომ ლახვა სხვის უფლებისა, მერე იმისთანისა, რომელიც ბუნებითად მინიჭებული აქვს ყოველს ადამიანს, შეუწყნარებელია და დაუზოგველად განსაკითხავი ყოველგან და ყოვლისაგან. („ივერია", № 53, 1897, 2).

13(2302). ადამიანს, კაცია თუ ქალი, პატიოსნების და ნამუსის მეტი სხვა ძვირფასი არა აქვს-რა გასაფრთხილებელი და წმინდად შესანახავი. (VIII, 250).

14(2303). (ადამიანს შვენის — რედ.) ის სიამაყე, რომელმაც იცის თავის-თავის პატივი, რომელიც რა ამაღლებს თავის-თავს, არამც თუ ამდაბლებს სხვას, არამედ სხვაც აჰყავს თავის თანასწორად. (II, 448).

15(2304). ადრე და მალე აიგავოს მტვერსავით ეს... (ჩემი — რედ.) თავი, თუ ადამიანის ღალატი როდისმე გულში გამტარებოდეს. (II, 91).

16(2305). ადრეც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით: კაცობრიობის დიდებულთა ნაღვაწთა თირკმელები რომ გაუსინჯოთ, მთელს კაცობრიობის ახოვანს პროგრესს თავიდამ ბოლომდე გონების ნესტარი გაუტაროთ, ნახავთ, რომ ყოველივე ეს მართლა-და დიდებული ნაომარი კაცობრიობის ხელისა, გონებისა და მხნეობისა სხვა არა არის-რა, თუ არ ძლევამოსილი სვლა კაცებურ ღირსებათა, გრძნობის აღსამატებლად მიმართული; რამოდენადაც ეს გრძნობა აღმატებულია, იმოდენად ძლიერია, როგორც ცალკე კაცი, ისე მთელი ერიც. ჩვენის ფიქრით, ყოველს — გვარს უბედურებას, უძლურებას ადამიანისას სათავედ ამ გრძნობის ძირს დაცემა აქვს. (III, 265).

17(2306). ავის მომქმედი არ უნდა გააბოროტო ლანძღვითა და თრევითა, იმიტომ რომ გაბოროტება, ეით ძლიერი თავდაუჭერელი ენებათ-ღელვა, გულის-ყურის კარს დაუხშობს, და იმ ზნეობით ძალას, რომელსაც ნამუსს ეძახიან და რომელიც ჭეშმარიტი გამკითხავია და მწურთვნელი კაცისა, ხმას აღარ ამოაღებინებს. (III, 264).

18(2307). ავის საქციელის მდევნელი ზრდილობიანი, მართებული, გონება-გახსნილი პატიოსანი კაცი რისთვის აღიძვრის ხოლმე დევნად?.. იმისთვის, რომ ან ავის მომქმედს ავი მოაშლევინოს, ან ავზედ სხვას აუხილოს თვალი. (III, 264).

19(2308). ალბათ კაი კაცსაც თაფლი აცხია, რომ დიდი და პატარა ბუზსავით ზედ ეხვევა!... (II, 48).

20(2309). (ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე — რედ.) თუმცა ჩვენ... ჩვენი აზრი შეგვიდგენია და წარმოვსთქვით კიდეც, მაგრამ ისეც არ გავკადნიერდებით, რომ ეს ჩვენი აზრი იმისთანა უცილობელ ჭეშმარიტებათ ვაღვიაროთ, რომლის წინააღმდეგაც არა ითქმოდეს რა. („ივერია", № 12, 1886, 1).

21(2310). (ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას — რედ.) ... ჩვენ გვალაპარაკებს მარტო ერთი ჭეშმარიტების სიყვარული და ჭეშმარიტების საკადრისი გულწრფელობა და სხვა არა — რა. (IV, 274).

22(2311). (ამა თუ იმ, ჯერ გამოურკვეველი, საქმის შესახებ — რედ.) ყოვლად უადგილოა წინასწარი მითქმა-მოთქმა. (VII, 252.)

23(2312). ამისთანა (გულღია, უშიშარ — რედ.) კაცთან საქმის დაჭერა უფრო ადვილია, ვიდრე იმისთანასთან, ვისაც დაერთვის პირმოთნეობა, მშიშარაობა, თითქო თვითონაც არ იცის თავის თავისა, — ჭკვიანია თუ სულელი, კეთილია თუ ბოროტი. პირველი გეძგერება გულადგულ, პირდაპირ გაგიმჟღავნებს თავის იდუმალ აზრს და სურვილს, გაგიშლის თავის ჭკუის და გულის საუნჯეს. (III, 270).

24(2313). ამისთანა საქმეში (როდესაც თითონ საქმე ქველმოქმედებაა თავით თვისით — რედ.) თითონ წუნიც — კი უნდა ჰმდუმარებდეს. (III, 151).

25(2314). ან საბუთი, ან ბოდიში!.. სხვა არ არა დააწყნარებს აღშფოთებულს გულს პატიოსანის კაცისას. („ივერია", № 32, 1896, 1).

26(2315). ან ღვთისა გეშინოდეთ, ან კაცისა გრცხვენოდეთ. (II, 397).

27(2316). ანგარიშის აღებ-მიცემობა ყოველს შემთხვევაში და ნამეტნავად საზოგადო საქმეში, ეს ისეთის რიგიანობის და მართებულობის ნიშან-წყალია, ურომლისოდაც ადამიანი არამც თუ პატივის ღირსია, არამედ სახსენებელიც არ არის. („ივერია", № 30, 1897, 2).

28(2317). ანგარიშსა გთხოვო, რომ იტყვიან, განა ეს იმასა ნიშნავს, რომ ავი რამ შეგწამე და მინდა დაგიჭირო ავ-კაცობაში. ანგარიში საქ-

მის სასწორზე დადებაა და სასწორს ვინ უნდა გაექცეს, თუ არ უბირი და გონება დახშული კაცი? („ივერია", № 30, 1897, 2).

29(2318). ... არ არის იმისთანა უკან დაწეული ქვეყანა, საცა თითოოროლა კაცი, აქა-იქ, კანტი-კუნტად არ გამოვიდეს და არ შეეჭიდოს თავისს საკუთარის ღონით რომელსამე ახალს საქმეს... („ივერია", № 204, 1894, 1).

30(2319). არა, არ ვუქებ ეაჟკაცსა,
კაცთა მუსერას და ომსაო!..
ეაჟკაც იგია, ვინც მართალს
ეტყვის ქვეყანას მცდომსაო;
ვინც არ შეუდრკა მრავალსა,
ხშირად მართლისთვის მწყრომსაო,
ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის
და პირში უდგას ლომსაო. (I, 108).

31(2320). არავითარს საქმეს, ნამეტნავად საზოგადოს, განუკითხველად არ უნდა მოეეკიდნეთ, ხოლო სამართლიანად — კი („ივერია", № 103, 1888, 2).

32(2321). არავის მივცემ ლაყბობის ნებას ჩემი გრძნობების სიწმინდეზე. (X, 204).

33(2322). არამცთუ დაჯერება ამ (სათაკილო და სამარცხვინო — რედ.) ამბებისა, გაგონებაც კი — გულს უწყლავს ყოველ კაცს, ვისაც — კი გაუგია, რა არის გრძნობა ადამიანის ღირსებისა, თავის სიმაღლიდამ ძირს დაშვებული, დაცემული. (VII, 441).

34(2323). არამცთუ უსაბუთო ძაგება, უსაბუთო ქებაც — კი საწყენია მართებულის კაცისთვის. (VIII, 240).

35(2324). არის ზოგიერთი იმისთანა ზნეობრივი კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვრებას საძირკელად უდევს და რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა, რა დასისაც და რწმენისაც გინდა იყოს, და ერთი ამ კანონთაგანი ის არის, რომ რაც შენ არ გინდა მოგვიდეს, იმას ნურც სხვისთვის მოინდომებო.* (IX, 304).

36(2325). არის იმისთანა შემთხვევა ხოლმე კაცთა ცხოვრებაში, რომ თვით არ-გარევა საქმეში თავის თავად დიდი დანაშაულია... (VIII, 71).

37(2326). არც ერთი რიგიანი კაცი არ იკადრებს ანგარიში არ მისცეს საქმის პატრონსა, თუ კი საქმეში ჩაყენებულია საქმის პატრონი-

---

* შდრ.: „რაც შენი თავისთვის არ გინდა, ნურც სხვას გაუკეთებ: „რაი სხვათაგან მოძულებულ იქმნე ყოფად შენ... შენცა არაოდეს მეორესა უქმნე". — ტობი 4, 16". (იხ.: ა. გელოვანი, „სიბრძნის სიმფონია". თბ., 1989, გვ. 439); „რაცა შენთვის არ გინდოდეს, ნუ გწადიან იგი სხვისთვის" (ვახტანგ VI); „რაცა შენთვის არ გინდოდეს, ნუ გწადია იგი სხვისდა!" („ქილილა და დამანა") (რედ.)

საგან და გრძნობა თავისის თავის ღირსებისა დაკარგული არა აქვს. მაშ საზოგადოებამ როგორ ადექნოს თვალი თავისს საქმეს თუ ანგარიში არ იქმნება, ან თვით მოღვაწე რით უნდა გამოვიდეს პირნათლად საზოგადოების წინაშე თუ არა, თავისის თავის წინაშე მაინც. („ივერია", № 30, 1897, 2).

38(2327). არც ერთმა საზოგადო მოღვაწემ არ უნდა განსაცდელამდე მიაღწიოს საქმე, რომელიც მისდამი მინდობილია, და თუ მიაღწია, ან უნდა გამოიხსნას განსაცდელისაგან, ან თვით უნდა თან გადაჰყვეს. ამისთანა საქმეში საბუთები უნდა ჰლაპარაკობდნენ და არა ცარიელი სიტყვები, თუნდ მარჯვე კალმით გამოქარგულები. („ივერია", № 50, 1890, 2).

39(2328). ... არც იმისთანის ნატვრა უნდა, რაც უიმისოდაც არ აგვცდება, და არც იმისთანისა, რასაც თითონ ბუნება უარყოფს და არ გვითმობს. (III, 373).

40(2329). არც უიმისობაა, რომ კაცმა სრულიად თვალი მოარიდოს... გარემოებას და ანგარიში რამ არ გაუწიოს ცოტად თუ ბევრად. (VI, 231).

41(2330). არც ჩვენა ვართ ისეთნი უგულონი, რომ არ ვიგრძნოთ სხვისა ტკივილნი, სხვისა ხოცვა-ულეტა, დარბევა და დაწიოკება და არ ვიცოდეთ ფასი და ღირსება ადამიანისა, როცა უბედურთათვის იღვწის და, თუ ხელს არა, ხმას მაინც აწვდის ნუგეშინისცემისას, სიყვარულისას. (VIII, 186).

42(2331). ასე მგონია ხოლმე, რომ გული გავიუპატიურე, როცა წმინდად გულში შენახული გრძნობა პირით გამოითქმის. (X, 376).

43(2332). ასეთმა ფურმა უნდა დაგვწიხლოს,
რომ ჩვენზედ ბევრსა თვით იწველდესა.* (I, 99).

44(2333). ახალის აზრისა და რწმენის მიმდევარს დიდი სიმტკიცე სასიათია და დიდი სასოება გამარჯვებისა უნდა ჰქონდეს, რომ გული არ გაუგრილდეს და ხელიდამ არ გაუშვას მის მიერ დაწყებული საქმე. (IX, 234).

45(2334). ბალღამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა. (III, 73).

46(2335). ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც... სიყვარულით გარს არტყია ხალხი! (II, 48).

47(2336). ბევრჯელ გარემოება ისეთს შემთხვევას მიაყენებს კაცსა, რომა ნებით თუ უნებლიეთ. კალამს მოაკიდებინებს ხელსა. ავმა კაცმა რომ ბრძოლა დაიწყოთ, ხელს არ გამოიღებთ? (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 307).

---

* შდრ.: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზედ მეტს იწველიდესო". ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

48(2337). ბოროტების ღვიარება ნახევარი გასწორებაა. (III, 26).

49(2338). ბრალიანი კაცი ყველაფერს აიტანს, რაც უნდა სატანჯველი იყოს. ვაი იმას, ვინც უბრალოა!.. (II, 104).

50(2339). გავუსწოროთ უმეცარს უმეცრობის ცოდვა... (VI, 253).

51(2340). გამწვავებული ბრძოლა და ჭიდილი სულიერი... უფრო მწკავეა, ვიდრე გაზით ხორცის გლეჯა, ვიდრე ხორცის წვა გახურებულის შანთითა. (V, 328).

52(2341). გამხელა და გაკიცხვა წუნის დადების საზღვარს არ უნდა გადასცილდეს. (III, 264).

53(2342). განა არ ვიცით, მხილება არაფრად ეჭაშნიკება ავის ბქნელსა, მაგრამ განა ეს საბუთია თვალი დავიბრმავოთ, ყურებში ბამბა დავიცოთ და ენა მოვიჭრათ, როცა იგი ავი ჩვენ თავში გვცემს, ჩვენს არარაობას ჩვენდა სამარცხვინოდ საქვეყნოდ ჰლაღადებს. რად უნდა გავჩუმდეთ? (VIII, 103).

54(2343). განა განკითხვა ადამიანისა არ შეიძლება ზრდილობიანი, თავაზიანი და მართებული იყოს?! დღეს ჭეშმარიტად განათლებული და გულით და გონებით განათლებულისაგან გაფაქიზებული და განწმენდილი კაცი ითხოვს, რომ ადამიანურად, ადამიანის ღირსების ძირს დაუშვებლად ექცეოდნენ თვით ავაზაკსაც კი, რომელიც უკვე წამოსკუპებულია დაბნაშავეთა სკამზედ და ბსჯავრი მის მიერ შეგინებულის სათნოებისა უკვე თავს დასტრიალებს სამართლიან ზღვევისათვის. (VIII, 253).

55(2344). განა ვალდებულობა და ნებაზე მიგდება საქმისა ერთი და იგივეა? (VI, 276).

56(2345). განა კაცს კაცად ჰხდის მარტო სიმდიდრე და სხვა არაფერი?.. სჩანს, ღირსება და სახელოვანება მარტო სიმდიდრე არა ყოფილა. სხვაც რამ სდომებია კაცის თავმოწონებას, სახელოვანებას, სახელდობრ ის, რაც კაცთა საუბედუროდ ბევრს თავმოწონებულს ბდიდარს აკლია. (VIII, 139).

57(2346). განა ნამუსი და პატიოსნება დაუფასებელი საუნჯე არ არის! განა ადამიანი ნამუსითა და პატიოსნებით არ ადამიანობს და კაცური კაცობა ამითი არა ჰკაცობს! განა მარტო ერთსა და ორს გაუნირავს თვით სიცოცხლეც-კი, ოღონდ ნამუსი და პატიოსნება შეირჩინოს და არავის არ გააჩირქიანებინოს! (VIII, 261).

58(2347). განა სასაცილო არ იქნება, რომ კაცს თაყვანისცემა სწორედ მაშინ მოაკლო, მისი სახელი მაშინ შეჰმუსრო, როცა უტყუარად და კარგად შემოწმებულის საბუთით დამტკიცდება, რომ მისი ნათქვამი გამართლდა. აქ, პირიქით, ავტორიტეტობამ უფრო უნდა იმატოს, თაყვანისცემა და პატივი უფრო უნდა გაძლიერდეს. სწორედ ესეც არის ამ წუთის-სოფელში. (VI, 109).

59(2348). განა ქება-კი ყოველთვის და ყოველისაგან გულში ჩასაჩუტებელია? („ივერია". № 211. 1887, 1).

60(2349). განა შენი მოვალეობა არ არის, ვისაც საქმე ჩაგბარებია, თავის დროზე პატრონს საქმისას შეატყობინო რა მდგომარეობაშია მისი საქმე, როგორ გიტარებია, როგორ წაგიმართავს, ხად რა იქნა და საიდამ რა გამოდნა. არც ერთი რიგიანი კაცი არ გაექცევა ამ მოვალეობას და არც ერთი რიგიანი კაცი არ ითაკილებს, როცა ანგარიშს მოსთხოვენ. სათაკილო აქ მარტო ის არის, რომ მოთხოვნამდე პატრონს ანგარიში არ მიეცი, შენ არ დაასწარ ის, რაც შენი წმინდა მოვალეობაა და იძულებული გახადე შენი მოვალეობა გაგახსენოს. თუ საკუთარის ღირსების პატრონი კაცი ხარ, აი რა უნდა გეთაკილებოდეს. თორემ გამომიხვიდე და იბღავლო ანგარიშის თხოვნა გაუპატიურებაა ჩემიო, — ეს ისეთი გონების საპყარობაა, რომ ამისი მთქმელი უფრო შესაბრალისია და შესაწყალებელი, ვიდრე შესარისხველი. („ივერია", № 30, 1897, 2).

61(2350). განათლებულს, მაღალზნეობის კაცს მართლად შენიშნული წუნი უფრო ნაკლებ ეთაკილება, ვიდრე ტყუილი ქება-დიდება; გაუნათლებელს სულმოკლეობას კი, პირიქით, სულ სხვა მადა აქვს ამაეთისათვის. (III, 111).

62(2351). განგვანათლეთ, აღგვიმაღლეთ, განგვიწმინდეთ და ჩაგვისახეთ დიდნი სიამოვნებანი და მაშინ დამერწმუნეთ, გულხელ-დაკრეფით არავინ გაიფუჭებს ცხოვრებასა. (II, 461).

63(2352). განკითხვა თავის-თავისა ბევრს მიზეზს დაგვანახებდა ნებისა უბედურობისას და ქარისაგან მოტანილს სიხარულს ძველის წასვლისას და ახალის მოსვლისას ქარსავე გაატანდა.* (III, 378).

64(2353). განკიცხვა ერთი იმ ღონისძიებათაგანია, რომლითაც ადამიანს შეუძლიან განვითარებამდინ მისვლა. (II. 459).

65(2354). ...განკიცხვა, ესე იგი გამოფენა ცუდისა, კი არ უნდა, კაცის აზრის განწმენდა უნდა. (II, 459).

66(2355). განსჯაში და დარიგებაში ლაპარაკის კილოსა დიდი მნიშვნელობა აქვს: შეიძლება კაცმა გითხრას ტკბილი სიტყვა, მაგრამ იმ დროს ისე გაიღიმოს, რომა იმ ღიმილმა ის ტკბილი სიტყვა ფაამწაროს; შეიძლება უკმეხი სიტყვა ისეთს კილოზე გითხრას, რომა საწყენად არ მიიღო, მაშასადამე, ლაპარაკში შნო უნდა ჰქონდეს კაცსა. (ილია ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 306).

67(2356). გარნა კაცი ყოველთვის კაცია და ქება, თუნდაც ტყუილი, სასიამოვნოა, და წუნი, თუნდაც მართალი საწყენია. რასაკვირვე-

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო". (რედ.).

ლია. ეს ერთში ტყუილის შეწყნარება და მეორეში მართალის განდევნა ადამიანის სულმოკლეობის ბრალია: სულგრძელი კაცი არც ერთს იკადრებს და არც მეორესა. განა ამისთანა სულგრძელი ბევრნი არიან!.. (III, 110).

68(2357). გაწირვა მაშინ არის დიდსულოვნობის საქმე. როცა გამწირველი თითონ დიდს რასმე ჰკარგავს ამით, როცა ეხედავთ, რომ ამ გაწირვამ გულში ერთი უმთავრესი ძარღვი — ჩასწყვიტა გამწირველსა, ერთი დიდი რამ დააკლო, ძნელად გასაწირი, ძნელად გასამეტებელი, ძნელად დასათმობი ადამიანისაგან. (III, 191).

69(2358). გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ ქაღალდის გარდა არის კიდევ სინიდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს. (X, 81).

70(2359). გვერწმუნეთ, ყოველს კრებაში იპოვება კეთილგონიერი ნაწილი კრებისა, რომელიც დამჯდარს აზრს, დამჯდარს სიტყვას, კეთილად განზრახულს წინადადებას სიხარულით მიეგებება და ძლეკით შემოსავს. (V, 158).

71(2360). გზის დანახვა მაშინ, როცა ურემი გადაბრუნდება, თუმცა ცოტა გვიანი საქმეა, მაგრამ ამასაც მნიშვნელობა აქვს, თუ ერთხელ ნახულს კაცი ასე თუ ისე გამოიყენებს შემდეგისათვის, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თუ ნაცადს ისე მოვექცევით, როგორც ჭკუის მასწავლებელს ნაგალითს. თუ არა და, დროც ტყუილად დაკარგულა და ამაგიც.* (VII, 436).

72(2361). (გონიერი კაცის — რედ.) რჩევა-დარიგებას ნუ უგულ-ველჰყოფ და გაუჯავრებლად ყური უგდე. (X, 241).

73(2362). გონიერ კაცს ... ვერ წაართმევენ პატიოსანს უნარს თავი გამოიდოს ჭართლის სარჩლისათვის და ტყუილის მხილებისათვის, როცა ამას ითხოვს განგებ შეგინებულ-გალანძღული გრძნობა ადამიანის და ერის ღირსებისა. აქ პატიოსანი. პირდაპირი დგომაა საჭირო, პირდაპირი მხილება და არა გაქცევა და უკუდგომა მხდალსავით და ლაჩარსავით. (VIII, 102).

74(2363). გრძნობა ადამიანობისა, ქრისტიანობისა, მაღალზნეობისა — სხვა რა არის თუ არ გულისტკივილი ყველასათვის საერთოდ და ძმათათვის განსაკუთრებით. აი ეს, სწორედ ეს გრძნობაა ის ღონე ულონოსი, ის შემძლებლობა შეუძლებელისა, რომელიც სასწაულს აქმნეინებს ხოლმე ადამიანს და რომლის საოცარი მაგალითები ძლევამოსილობისა არა ერთი და ორია ისტორიაში. (IX, 147).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა უკან გამოჩნდებაო“. (რედ.).

75(2364). გულ წრფელად და გაბედვით ვიტყვით, რომ სხვის ძოსაწონად არც ერთის ჩვენის გულითადის აზრისათვის არ გვეღალატნია. სხვის მისაფერებლად არც ერთი გრძნობა არ გაგვიყიდნია. რომელიმე ანგარიშისათვის ყალბი ვერცხლად არ გაგვიყვანია. ჩვენ დავრჩებულვართ და სვინიდისისათვის კი არ გვიღალატნია. როგორც ფონება ჩვენი ჰსჭრიდა, როგორც გული გვითხრობდა — ისე ვლაპარაკობდით, რიცა კი შეგვეძლო და კვლავაც ისე მოვიქცევით... („საქართველოს მოამბე", № 11. 1863, 1).

76(2365). გულმაგრობა ხომ იცი კაცისათვის რა დიდი ღონეა ქვეყნის სიავესთან ბრძოლაში. (X, 316).

77(2366). (გულმართალი კაცი — რედ.) ვერც თვალს და ვერც გულს ორად ვერ გაპყოფს. (VIII, 191).

78(2367). გულმტკივნეულად მომქმედი მართებული გამკითხველია და არა შემაგინებელი და მლანძღავი. პირველს მხარი მივსცეთ და მეორე — კი... მეორემ — კი ილაწლაწოს, ვიდრე თვის საკუთარ ლაფში სული შეუგუბდება და დაირჩობა. (VIII, 255).

79(2368). გულს ნუ გაიმრუდებთ, სულს ნუ წაიწყმედავთ! (VIII, 85).

80(2369). ... გულუბრყვილო, გულწმინდა ცდომილისათვის — დანახვა ცდომისა და ერთბაშად გამოკეთება ერთია. (III, 131).

81(2370). გულუხვობას წონა არა აქვს. (X, 306).

82(2371). გულში რომ ნაპერწკალიც არ იყოს, მაინც ხანდისხან დამჭირდება გაჩვენოთ, რომ შიგ გახურებული თორნეა. თორნე ხომ იცით: პურს არსებისას აცხობს. (III, 404).

83(2372). გულში ცემა ვაჟკაცური საქმეა. (III, 404).

84(2373). დავკარგე იგი!.. (კაცთ სიკეთის მხურვალე რწმენა — რედ.).

აწ მის დამკარგავს
უმადლ, უნუგეშ მივის-ღა გული...
უმისოდ გული ცივია, ბნელი,
ეითა სადგური გაუქმებული.
ნეტა ბას, ვისაც იმ რწმენის შუქი
ერთხელ მაინცა გულსა ჰფენია!
უფრო ნეტა მას, ვისც სამარეზდე
გულით რწმენილი გულსვე შთენია! (I, 103).

85(2374). დამიჯერე, რაც უფრო მეტია სიტყვა, მით უფრო ნაკლებია გრძნობა, ანდა პირიქით, რაც უფრო ნაკლებია სიტყვა, მით უფრო მეტია გრძნობა. ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ორჯერ ორი ოთხია. (X. 179).

86(2375). დამშვიდდით, წესისა და რიგის აღსრულებით თქვენ თქვენი კეთილშობილება არ ჩამოგერთმევათ. (II, 334).

87(2376). (დანაშაულია გაჩუმება — რედ.) იქ, საცა ხელშეხებულია ადამიანის ღირსება, პატიოსნება. (IX, 270).

88(2377). დანახვა ნაკლისა ხომ ნახევრად გასწორებაა, ცოდნა სატკივრისა ხომ პირველი და თავიდათავი საჭიროებაა განკურნებისათვის... (VIII. 283).

89(2378). დარიგებაში დაცინებას ხელი არა აქვს. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად. IV, 306).

90(2379). დასაბუთებული ეჭვის ლახტით შერყეულა იმისი, რაც ყველას ხელზედ დახვეული აქვს, ვითარცა უცილობელი ჭეშმარიტება. მართლა რომ საქებარი გაბედულებაა და სასახელო სამსახური. (IV, 158).

91(2380). დეე საკუთარმა სინიდისმა ამხილოს კადნიერი მომგონი აშკარა ტყუილისა.. (IV. 145).

92(2381). დიადობა ვაჟ-კაცობისა და მთელი მისი ღირსება იმაშია, რომ კაცმა გული რკინისა გამოიჩინოს და აბჯარი ხისა იქ, საცა სუსტი კაცი გულს ბამბისას იჩენს და აბჯრად ცრემლსა ჰხმარობს.* („ივერია", №265. 1891, 2).

93(2382).დი დად წარმატებული გონება და გული უნდა ჰქონდეს, რომ კაცი შემძლებელი იყოს თავისი თავი გაითავისწინოს და თავის თაეს მსაჯულად გაუხდეს პირუთენელად. იმიტომ რომ იგი ერთსა და იმავე დროს მსაჯულიც უნდა იყოს, მოსარჩლეც, ბრალმდებელიც და ბრალდებულიცა. (IV, 227-228).

94(2383). დიდების ნაშთსა კვლავ აქვს დიდება. (I, 315).

95(2384). დიდების (ე. ი. განდიდების — რედ.) უსიყვარულობა ძალიან საქებელია. (III. 46).

96(2385). დიდი არის იგიც. ვინც გულთბილად, კაცთმოყვარეობით. პატიოსნად და სწორის სასწორით ხელში ემსახურება (ქვეყნის. მამულის საქმეს — რედ.) და ჰმსახურობს. (IV, 242).

97(2386). დიდი რამ არის ბუნება (იგულისხმება ადამიანის შინაგანი ბუნება, კულტურა — რედ.). არ გადაცვლილი განათლების გარეგან ზიზილ-პიპილებითა. (IV, 325).

98(2387). დიდი საძრახისი არ არის, რომ კაცი სხვისის ჭკუით იოლად მიდიოდეს. მაგრამ ზრდილობა კი, მართებულობა კი იმოდენად

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური პოეზიიდან აღებული სტროფ

„ვაჟკაცსა გული რკინისა.
აბჯარი თუნდა ხისაო". (რედ.).

შეთვისებული მაინც უნდა ჰქონდეს, რომ იცრძნოს რა გაუთლელი და სამარცხვინო სიბრიყვეა კაცმა შეუგინოს მასპინძელს სტუმარი, ავად უხსენოს, დაუწუნოს... („ივერია", № 236, 1899, 2).

99(2388). დიდი სიბრძნეა კაცისა,
ცნობა თავისის-თავისა*. (III, 389).

100(2389). დიდი სულის ღონე უნდა, რომ კეთილმა კაცმა თავი შეიმაგრის და საზოგადო ვანკიცხვის კიჟინამ არ შეაყენოს თავის დასიშნულ საგნის შუა-გზაზედა. (III, 451).

101(2390). დიდი ხანია ვულს მისიებს, გულს მიმღვრევს... უმეცრობის ფართი-ფურთი და ქადილების მტვერ-ბუქი. (VI, 259).

102(2391). დიდის დანახვა ადვილია, საქმე ის არის, იმა ჩუმთა მუშაკთა უჩინარი ღვაწლი დაინახოს კაცმა, რომელთა ნაღვაწიც აცხოვრებს ქვეყანასა და დედა-ბოძად უდგა თვით საზოგადოებას. (IV, 247).

103(2392). (დიდკაცობა — რედ.) თუნდაც ჭკუით და გონებით მომზადებული იყოს, გულიც იმოდენად გაღვიძებული უნდა ჰქონდეს, რომ საქვეყნო საქმისათვის უცემდეს და მოსვენებას არ აძლევდეს, იმოდენად აღმატებული უნდა იყოს ზნეობით, რომ თავის პატივმოყვარეობას, სახელსა, დიდებას — მარტო ქვეყნისათვის დადებულ ღვაწლში ხედავდეს და მარტო მაგ ღვაწლის სიდიდით ზომავდეს კაცის ადამიანურს ღირსებასა საზოგადოდ და თავის დიდკაცობისას ცალკედ. კმაყოფილება ჭეშმარიტის პატივმოყვარეობისა მარტო ამისთანა ღვაწლში მოიპოვება და სხვა არაფერში. (V, 145).

104(2393). დიდს მანძილს კაცი ჭენებით ვერ გაივლის. დიდს მანძილს ხომიერი და მტკიცე ნაბიჯი უნდა. (V, 72).

105(2394). დიდხანს ვებრძოდი სიმდაბლეს, მტრობას,
და გავიმაგრე ჭაბუკი მკლავი.
ბევრჯერ მამარცხეს, მაგრამ არვის-წინ
არ მომიხრია ამაყი თავი. (I, 68).

106(2395). დღე-და-ღამ ოფლი უნდა ვიწუროთ და პური ისე ვჭამოთ.** (III, 49).

107(2396). დღეს-აქამომდე ადამიანი, გრძნობა ადამიანის ღირსებისა, ადამიანის პატიოსნება, სინიდისი და ერთობ ყოველივე — რაც კი შეადგენს უძვირფასეს ზნეობითს კუთვნილებას ადამიანისას, რაც უკეთეს ნაწილს კაცობრიობისას იმოდენად დიდ საგნად მიაჩნია, რომ მისთვის სიცოცხლის გაწირვა თითქმის კანონად აქვს აღიარებული,

---

* ეს შეგონება („დიდი სიბრძნეა კაცისა ცნობა თავისა თვისისა") არჩილისაა. (რედ.).

** შდრ.: „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა, შექმნათა. 3,19". (იხ.: ა. გელოვანი, „სიბრძნის სიმფონია", თბ., 1989, გვ. 437). (რედ.).

ჩვენ სწორედ მჩვრად გაგვიხდია და ისე ვექცევით. როგორც ჟეხის მტვერსა. (V, 166-167).

108(2397). დღეს მძლეთა-მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. (V, 13).

109(2398). ... ევროპაში, ერისათვის მოღვაწე კაცი, არამც თუ მარტო ქვეყნის სახელი და დიდებაა, არამედ თვითოეულის თანამემამულისაცა ცალკედ, იქ თვითოეული მამულის-შვილი ისე უფრთხილდება ერისათვის მოღვაწე კაცის სახელსა, პატიოსნებას, დიდებას, როგორც საკუთარის თავისას. იქ იქნება საკუთარის თავისათვის ისე არ გამოიდოს თავი კაცმა, როგორც მისთვის, ვისაც ერისათვის შრომა გაუწევია, ვინც ქვეყნისათვის, მამულისათვის, შეძლებისამებრ გარჯილა, რომელსამე საქვეყნო სარბიელზედ ფეხი მოუკიდებია და თავისის ნიჭით, ღონით, მეცადინეობით უმსახურნია და რაიმე კვალი დაუმჩნევია. იქ გამოჩენილის კაცის სახელით თვითოეული მისი თანამემამულე თავს იწონებს, თითქო ის სახელი მისი საკუთარი სახელი იყოს; თავის-თავის გაუპატიურებას ირჩევს, დასთმობს. და თავისის ქვეყნის გამოჩენილის კაცისას კი არა, თავს შეაკლავს იმას. ვინც კი გაბედავს და უპატიურად ახსენებს მისის ქვეყნის სახელოვანს კაცს. (V, 184).

110(2399). ერთი ინდოური (ინდური — რედ.) თქმულობაა: ყრმაო, როცა მოსდიხარ ამ ქვეყანაში, შენ სტირი და შენ გარშემო — კი ყველა ჰღიმილობს და მხიარულობს, ჰქმენ ისე. რომ. როცა ამ ქვეყნიდამ გადიოდე, შენ ჰღიმილობდე და შენს გარშემო — კი ყველანი სტიროდნენო.* როცა ადამიანი იბადება, მართლა რომ სტირის, თითქო წინად ეგრძნობს, რომ მოდის ამ ქვეყნად ჯაფისთვის. შრომისთვის და ხშირად წამებისთვისაც. და სხვანი-კი მხიარულობენ, თითქო იმ იმედით, რომ ერთი მეომარი, ერთი მოღვაწე ემატებათ. ხოლო კაცურის კაცობისათვის ეგ საკმაო არ არისო. ჰქმენ ისეო. რომ. როცა შენ ამ წუოისოფელს ეთხოვებოდე, შენ. ღიმილი მოგდიოდეს და სხვანი — კი სტიროდნენო. ამას მარტო იმისთანა კაცი შესძლებს. ვინც ქვეყანას კუთვნილი სამსახური გაუწია შეძლებისამებრ, ვინც თავისი ადამიანური ვალი გადაუხადა თავის ერს, თავის სამშობლოს. მხოლოდ მაშინ სტირიან ყველანი, როცა ამისთანა კაცი ეკარგებათ და თვითონ კაცი — კი სიხარულით ჰღიმილობს, რომ მე ჩემს ერს. ჩემს ქვეყანას ჩემი ვალი გადაეუხადე და ისე მივდივარო. ღმერთმა ჰქმნას. რომ ჩვენში ამისთანა კაცები გახშირდნენ და მაშინ ჩვენის ბედის ციხე-სიმაგრეტინს კლდეზე იქმნება დამყარებული. შევხაროდეთ მარტო ამისთანა კაცებს და ჩვენი ქება-დიდებაც, ჩვენი საზოგადოებური მადლობაც, ვით ჯილდო საქვეყნო, საზოგადო, მარტო ამისთანა კაცებს უნდა ეკუთ-

* ამ თქმულების კიდევ ორი ილიასეული ვარიანტი იხ.: IV, 250, 256. (რედ.).

ენოდეს. მე-კი ერთი მორიგი ჯარის-კაცი ვარ თქვენში და მეტის-მეტი კადნიერება იქნება ჩემგან, რომ ამ ქება-დიდებამდე ხელი გავიწვდინო. („ივერია", № 129, 1893, 3).

111(2400). ერთი კაცის კარგს გზაზე დაყენებისათვისაც თქვენ უნდა ხარობდეთ და კმაყოფილი იყვნეთ თქვენის თავისა. (ილია ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV. 303).

112(2401). ერთი მარცვალი ხორბალი არა სჯობია მთელს ხვავს კალიასა! („ივერია", № 269. 1897. 2).

113(2402). ერთი (წინდახედული მხილება — რედ.) ჭკუამ იცის და შესაწყნარებელია, მეორე (წინდაუხედავი კადნიერება — რედ.) ურცხვობამ და საწყენია. (II, 285).

114(2403). ერთხელ და ერთხელ გულ-დაჯერებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ იმედი — როგორმე თავს დაეისხლეტ ჩემის მოვალეობისაგან, უკადრისი და შაცდური იმედია და ამაზედ ვერ აშენდება ვერც ეკონომიური და საზოგადოებრივი წყობა და ვერც ცალკე კაცის კეთილ-დღეობა და მისი ეკონომიური მშვიდობით-მყოფელობა. („ივერია", № 279, 1886, 2).

115(2404). ერთხელ თუ კი მენდეთ, მაშინ სრულად და ბოლომდე მომენდეთ. (X. 175).

116(2405). ეს არის კარგი, რომ ჩემს დამბადებელს ყოელისფრის ატანის შეძლება მოუცია ჩვენთვის. (X. 258).

117(2406). ეცადენით — ღვერთს არაფერი შეჰცოდოთ და ის არ დაგივიწყებთ თავის მოწყალებითა. (II, 552).

118(2407). ვაჟი-კაცის წესი არის
კაცს შეჰრჩება ძმასავითა. (I. 181).

119(2408). ვაჟკაცად იმას არ ვაქებ.
ვინცა სისხლისა მღვრელია;
ვაჟკაცად იგი მიქია,
ვინცა უბედურთ მხსნელია.* (I. 107).

120(2409). ვაჟკაცად იყავ!.. ...აი, მარტო რის მთხოვნელი ვარ!... (I, 326).

121(2410). ვაჟკაცად იყავ, — ჩემი თხოვნა არის მხოლოდ ეს... (I, 153).

122(2411). ვაჟკაცობა ძალაა და არა ულონობა, რომელსაც ვაისა და ვიშის შეტი სხვა გზა არა აქვს. („ივერია", № 265, 1891, 2).

123(2412). ვაჟკაცობას ურცხვობისას, უწმაწურობისას, სიტყვა-მრუშობისას... ისეე ტირცხვილეული ლაჩრობა სჯობია... („ივერია", № 72. 1897, 1).

---

* ი. ჭავჭავაძეს ამ სტროფის ბოლო ორი ტაეპი აღებული აქვს ქართული ხალხური პოეზიიდან. (რედ.).

124(2413). ვაჟკაცს ცრემლსა რად უბრალებენ?
რკინაც სტყდება, როს სცემს გრდემლი:
კაცთ და პირუტყვთ გასარჩევად
ღმერთმა შეაქმნა მარტო ცრემლი. (I, 107).

125(2414). ვაჟ-კაცსაც უნდა დაატყოს თავისი ბეჭედი ღრმა მწუხარებამ, მაგრამ ვაჟ-კაცურად — კი. („ივერია", № 265, 1891, 2).

126(2415). ვაჟკაცურს აუჩქარებლობასა და სიწყნარეზედ არის ზედ-გამოჭრით ნათქვამი:

„ზოგჯერ სიწყნარე გმობილი
სჯობს სიჩქარესა ქებულსა".** („ივერია", № 272, 1886, 1).

127(2416). ვარდსა წინ მოუძღვის ეკალი, ვისაც სურს ვარდის მოწყვეტა არ უნდა შიშობდეს ეკლისგან (X, 7).

128(2417). ვითხოვთ ყურადღებას და მოთმინებას ბოლომდე, ვიდრე... სათქმელს ვიტყოდე. („დროება", № 103. 1884, 2).

129(2418). ვინ იტყვის, შველა კარგი რამ არის. (VIII, 326).

130(2419). ვინა ვარ, რა აზრისა ვარ, რა საქმის დადგენა მინდა, რისთვის გამოვდივარ მოედანზედ, — ესე ყველა იმისთანა საგანია, რომელზედაც საუბარი ვერ ეხერხება კაცსა. ორში ერთი: კარგს იტყვის კაცი, — თავის-თავზედ თქმა იქნება, და თუნდ მართალიც იყოს — ტრაბახობაში ჩამოართმევენ, ცუდს იტყვის კიდევ — სულელობა გამოვა. პეინესი არ იყოს. (III, 256).

131(2420). ვინც ვერ მოიპოვებს ნდობას და სიყვარულს მეზობლობასა და თავისიანებში, იგი ვერც იხვირებს. („ივერია", № 145, 1902, 1).

132(2421). ვინც თითონ მოიპოვებს სახელს, იგი ბევრით წინ არის იმაზე, ვისაც სახელი მამა-პაპათაგან*** რჩენია და რგებია. ამიტომაც არის თქმული, რომ უფრო სასახელო**** კაცმა თავისი გვარიშვილობა ასახელოს, ვიდრე — სახელოვანის გვარიშვილობით თავს იწონებდესო. (IV, 263).

133(2422). (ვინც „კაცია-ადამიანს" წაიკითხავს, იმან კარგად უნდა იცოდეს — რედ.) რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ. (II, 124).

134(2423). ვინც ლუარსაბის სახეში თავის-თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავი-თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია,

---

* შდრ.: „დიდი ცემით რკინაც ტყდებაო".
ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

** ეს შეგონება ქართული ანდაზაა. (იხ. აგრეთვე: VI, 117). (რედ.).

*** „ივერიაში" (იხ.: № 102, 1898, 1) არის — „მამაპაპათაგან". (რედ.).

**** უნდა იყოს „სასახელოა" (იხ. „ივერია", № 102, 1898, 1). (რედ.).

ლაფის სროლას დამიწყებს და „ვიჟიას“ დაუძახებს ამ მოთხრობის („კაცია-ადამიანის“ — რედ.) უხეირო დამწერსა. (III, 124).

135(2424). ვინც რა უნდა თქვას, მე ვერას მავნებს და ვერცა შემცვლის. („სახალხო განათლება“, № 51, 1988, 3).

136(2425). ვინც სარგებლობს რაიმეთი, უთუოდ ხარჯიც უნდა გასწიოს. („ივერია“, № 66, 1895, 4).

137(2426). ...ვინც უმტყუვნებს და უღალატებს იმას, რასაც სინიდისი, ნამუსი, კაცური კაცობა ამხელს, იგი უმტყუვნებს, იგი უღალატებს თავისს თავს, თავისის ცოლ-შვილის, ოჯახის ბედნიერებას და კეთილდღეობას. (VIII, 85).

138(2427). ვინც შენიშნავს ნაკლოვანებას კაცშია, შეიძლება რომ იმასვე უნდოდეს იმისი გასწორება და სიკეთე. (III, 455).

139(2428). ...ვინც ჩვენ აზრს გაგვისწორებს, ჭკუას გვასწავლის, მადლობელი დავრჩებით. („კვალი“, № 8, 1893, 5(21).

140(2429). „ვისაც დიოგენის ფარანი აქვს, იმას მისი ყავარჯენიც უნდა ჰქონდეს“, ესე იგი, მისი ზნე, გაუწურთვნელი ზნე, ყავარჯენი კი არა, ჭირია. (VIII, 143).

141(2430). ვისაც თვალი იპეთი გაწმენდილი აქვს, რომ სიკეთის ხილვა ეხალისებოდეს, იმას გულიც გაეწმინდება; ის თითონაც სიკეთეს შეიძლებს. (II, 568).

142(2431). ვისაც რიმლისამე ხალხისა და საზოგადოების აღზრდა უნდა, ვისაც ჰსურს საზოგადოებრივის აზრისა და სურვილის მიმართვა, იგი უეჭველად მონახავს იმ ნიადაგს, სადაც მის სურვილს და ნდომას ვრცელი და უფრო მტკიცე დაკმაყოფილება მოელის. (III, 267).

143(2432). ვისაც საქმე ჩავაბარეთ, თავისი უნდა მოვსთხოვოთ. („ივერია“, № 249, 1886, 1).

144(2433). ვისაც უნდა, რომ ღმერთი ასახელოს და ადიდოს... იმან ორი სახელი უნდა იქონიოს: ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლი. (II, 63).

145(2434). ვსტირ და გირჩევ ღვთის სახელით
ხორცი დასთმო სულისათვის,
უკედავება არ დაჰკარგო
წუთის-სოფლის გულისათვის!.. (I, 188).

146(2435). (ზნეამაღლებულია — რედ.). ვისაც გრძნობა ადამიანურ ღირსებისა გაღვიძებული აქვს, ამ საუნჯეს კაცი ისე ადვილად ვერ გამოიმეტებს სხვის მიერ სათელავად და ჩირქ მოსაცხობად, ჭორებისა და მითქმა-მოთქმის ლაფში სათრევად. („ივერია“, № 29, 1898, 2).

147(2436). ზნე-მაღალ კაცისათვის ნამუსი უფრო დიდი საქონელია. ვიდრე ჭკუა, და ამისთანა კაცი სულელის სახელს უფრო ირჩევს, ვიდრე უნამუსოსას. (III, 391).

148(2437). ზნეობა მაგარი ქვითკირია კაცთა ცხოვრებისათვის. (VIII. 133).

149(2438). (ზნეობაა — რედ.) ის კაცობრიული გრძნობა, ურომლოდაც ცხოვრებაში ადამიანი უფრო მხეცად გამოიყურება, ვიდრე ადამიანად. (V, 363).

150(2439). (ზნეობის, სინდის-ნამუსის კანონია, რომ — რედ.) ...რაც სამართლიანია — სამართლიანად ვაღიაროთ, რაც უსამართლო და შემცდარია — იმასაც შესაფერი სახელი დავადოთ, („დროება", № 9, 1884, 1).

151(2440). (ზნესრული კაცი — რედ.) უმართებლო და უკადრისს ფარ-ხმალს არ მოჰკიდებს ხელს... (IV. 274).

152(2441) ზნე-ხასიათის წრთვნა ზრდაა შინაგანის კაცისა. თუ ეგრე ითქმის. რადგანაც შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე, წრთვნა ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევაა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ. უკეთ ესთქვათ, მისის კაცობისა, — ადამიანობისა. (IV, 296).

153(2442). ზოგი გულის-ტკივილს იმით იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი იმითი, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულისტკივილი და სიყვარული აქვს — ეს თითონ მკითხველმა გამოიცნოს. (II, 124).

154(2443). ზოგიერთი ... ღონისძიება ძალიან გვიან გამოიღებს თავისს ნაყოფს და მარტო შორეული მერმისი ჰნახავს მის კეთილ შედეგსა. ეს იმას არა ჰნიშნავს, ვითომც ეხლავ არ შეუდგეს კაცი დასწყისს იმის შიშით, რომ ჩვენ არ მოგვესწრებაო. (VI. 222).

155(2444). ზოგიერთისათვის შერცხვენა, სირცხვილი, ჯვარცმაზე უარესია... (VIII, 346).

156(2445). ზოგჯერ ისეც მოხდება ხოლმე, რომ... საზოგადო საქმისათვის სიცოცხლესაც არა ჰზოგავენ. მაგრამ საქმე ჯერ ამ გაჭირვებამდე უნდა მივიდეს და მერე თავ-გამწირველი გმირად უნდა იყოს გაჩენილი. („ივერია", № 53, 1890, 2).

157(2446). თავზედ ლაფი რა საკადრისია! (II. 401).

158(2447). თავ-სიცილს კაცი არ მოუკლავს. კაცი რომ სულელების კბილთა ღრეჭას აჰყვეს, სად წავა? (II, 286).

159(2448). თვითმსჯელობა, თვითმხედველობა გონებრივი უმაღლესი წერტილია ადამიანის განვითარებისა და წარმატებისა. (III, 156).

160(2449). თვისის ღირსების დაცვა ყოველის მოვალეობაა. (X, 307).

161(2450). თუ ადამიანი თავისს თავს კაცად ჰხადის, სხვაც უნდა კაცად იგულოს. თორემ თვითვე გაიჭყლიტება და გაითელება თავისი-ხავე მოძღვრებისაგან. („ივერია", № 53, 1897, 2).

162(2451). ...თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავ. (III, 217).

163(2452). „თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვიხსენებითო".* (IV, 334).

164(2453). თუ თავმოსაწონებელია სადმე, ყველამ თავისით უნდა მოიწონოს თავი, ყველას თავისი უნდა ეკუთვნოს. (VIII, 159).

165(2454). თუ კაცს ღვთის ნაპერწკალი აქვს გულში, არ შეიძლება, რომ იქ დაიმალოს და გარეთ არ გამობრწყინდეს საქვეყნოდ. („ივერია", № 273, 1889, 3).

166(2455). თუ სამუდამოდ ჩვენი წახდენა, ჩვენი მიწასთან გასწორება არ გვინდა... ნაძირალთა გრძნობას გზა უნდა გადაეულობოთ, ვიდრე დრია, თორემ მერე გვიანლა იქნება: ჩვენი საზოგადოებური ღირსება ან ნაძირალთა გრძნობის ლექ ქვეშ დაიმარხება და მერე მშვიდობით ჩვენო იმედო, ჩვენო სასოებავ ხვალისავ! (VII, 441).

167(2456). თუ საქმე მართლა უბრალო და მარტივია, რატომ არ უნდა გვწამდეს, რომ მის გაგების ნიშან-წყალი ჩვენსავით სხვასაც ექნება და თუ ჩვენ არ გვეთანხმება, სხვა მიზეზი უნდა იყოს. აქ უთანხმოების მიზეზი ერთის ჭკუა კი არ არის და მეორის სისულელე, ერთის თვალხილულობა და მეორის სიბრმავე, არამედ სხვა რამ, რომელსაც პატივის-ცემა უნდა, ესე იგი, ღრმად დაკვირვება, გამოჩხრეკა და სხვა არა რა. (V, 312).

168(2457). თუ სახელის შოვნა გინდა,
დღეს ისეთი ნერგი დარგე,
რომ ხვალემა მადლობით სთქვას:
ნანერგითა შენით მარგე. (I, 106).

169(2458). თუ ღმერთი გწამს ეს ანდერძათ გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნობა არ გაურიო. (X, 81).

170(2459). თუ, ჩვენდა საუბედუროდ, აღვირაშვებული უკადრისობა თანდათან უფრო მეტად თავს გავიდა, თუ ნაძირალთა გრძნობათა შეწეობით, ქადებით, ფულით, სხვადასხვა დაპირებით, მოტყუებით, ზუთხებით და სადილ-ვახშმებით სხვის გატანა მოვინდომეთ საზოგადო საქმეთა სარბიელზე, თუ ამისთანა ავზნეობას შეეჩვიენით და ჩვენში ფეხი მოვაკიდებინეთ, რიღას იმედით მოვილოდინოთ ხვალე? რა ნუ-

* შდრ.: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები".
ბ. რუსთაველი, (რედ.).

გეშითლა გავუსწოროთ თვალი მერმისსა? რა პირითლა დავენახოთ ქვეყანასა? რა სახელითა გადავცეთ ჩვენთა მეშკვიდრეთა თუ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ასე ვიარეთ, სად მივალთ და რა კლდე-ღრეში გადავიჩეხებით?

ამას უნდა ჩაუფიქრდნენ ყველანი, ვინც საზოგადო მოღვაწის სახელსა ნდომობს და საზოგადო საქმეთა სარბიელზე გამოდის საჭიდაოდ. რა თქმა უნდა, ამ სარბიელზე ჭიდილი ბუნებრივი მოვლენაა კაცთა საქმეთა მსვლელობაში და არვის არ ეკიჟინება. ხოლო ჭიდილიც არის და ჭიდილიც. ამ ჭიდილში ყოველივე ღონისძიება ნამუსის და პატიოსნების სასწორზე უნდა აწონილ იყოს, უამისოდ ჭიდილი, — საზოგადო სარბიელია, თუ საცალკეო, — რყევაა და არა წვრთნა ადამიანურ გრძნობისა, ღირსებისა და კაცურ-კაცობისა. (VII, 440).

171(2460). თუმცა ბრმად მინდობა და აყოლა სხვისა ძალიან ცუდია, მაგრამ არც კი ბრმად დაჟინებაა კარგი იმისი, რომ დიდსახელოვანის, სახელგანთქმულის მეცნიერის პატივი და თაყვანისცემა უგუნურობა იყოს. არა, ბატონებო, სწორედ ამისთანა კაცს უნდა პატივი და თაყვანისცემა, თუნდა იმით, რომ იმისი სიტყვა, თუნდ შეუმოწმებლადაც კი, სხვისაზედ წინ დააყენო, თუ გამტყუნებული არ არის უეჭველის საბუთითა. (VI, 111).

172(2461). თქვენი სიყვარული, თქვენი ერთგულება. თქვენი ბედნიერება ჩემს სულზედ უფრო მეტად მიღირს. (II, 419).

173(2462). თქვენც მოგეხსენებათ, რომ პირობა ყოველი მაშინ არის კარგი, როცა შესრულდება. (X, 75).

174(2463). თქმა და ქმნა საქმეში ერთი და იგივე უნდა იყოს!.. („ივერია", № 249, 1886, 2).

175(2464). იგი გრძნობაა მართალი, რომელიც კატასავით დღემუდამ არა სჩხავის და მზეთუნახავად დაბინავებულია გულში. (X, 376).

176(2465). იგი (გულითადი რწმენა — რედ.) იმისთანა უკან-დაუხეველი ღონეა, რომლის ძალითაც ადამიანის მხნეობა და გამრჯელობა იმოდენად ჰმატულობს, რამოდენადაც უმაგრდება წინ ზღუდე მისმიერ გასარღვევი. („ივერია", № 163, 1887, 1).

177(2466). ილიკო ჭავჭავაძე პატიოსანი კაცი ყოფილა და არის და იქნება კიდეც. („სახალხო განათლება", № 51, 1988, 3).

178(2467). იმდენი დღეგრძელობა თქვენა გქონდეთ, რამდენი ქვეყანაზე ბრიყვი და უზრდელი კაცი იყოს და ამასთან ყოვლად კარგი და პატიოსანი. (IX, 286).

179(2468). იმისათვის, რომ კაცმა მონების ჯაჭვი გაწყვიტოს, სულის ღონე უნდა. (II, 464).

180(2469). ის ღვთაებრივი გრძნობა, რომელსაც კაცებურის ღირსების გრძნობას ეძახიან და რომელიც უძვირფასესი და უდიდესი სა-

უნჯეა ადამიანთათვის მომადლებული. უნდა პატივცემულ იყოს ყველგან და ყოველს ადამიანში. (III, 265).

181(2470). ისა ესჯობია, რომ აუსრულებელი ნატვრა გულიდამ ამოვიღო, თორემ... გული ტკივილს დამიწყობს ხოლმე. ეჰ, რაც არის, არის! ვითმინოთ, ვიდრე მოთმინება, ვიდრე ძალა და ღონე კაცად-კაცობისა კიდევ გვერჩის. (X. 317).

182(2471). ისევ ის არა სჯობია კაცმა, რაკი მოემწყვდა, თავისი სულელობა აღიაროს. ვიდრე... სამარცხვინო კუდიანობა იკადროს. („ივერია". № 45. 1898, 3).

183(2472). ისინი. უმეცარნი მოყვარენი ჩვენნი, ზედ დაასმენ ხოლმე შეჩვენების და განგდების ბეჭედსა მას, ვინც კი ვეღარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა, ამოჰყოფს თავს, რომ სხვას შაინც უთხრას, ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო, თორემ დალპებიო შის წარმწყმენდილ ოხშივარის ზედ-მოქმედებისაგან. ჩვენ საბედნიეროდ არიან ჩვენში იმისთანა პირნიც, რომელთაც ჩვენზედ უკეთ იციან, რომ ვინც შენიშნავს მართლად სხვის ნაკლულოვანებას, შეიძლება მასვე უნდოდეს გასწორება და სიკეთე შისი. (III. 69).

184(2473). იქ თვით სამოთხის წალკოტი, მდელო
უდაბნო-ღაა ურგებ-ურწყული,
სადაც არ აბნევს თვის წმინდა ნამსა
სული მართალი და წრფელი გული. (I, 111).

185(2474). იქ წყენა რას შიქვიან, საცა ჩემი რწმენა, ჩემი ადამიანობა მიწვევს საშოქმედოდ და ქვეყნის საკეთილდღეოდ. (V. 171).

186(2475). იქნება გვეგონოს — ვინც კაი საქმესა ჰშვრება, სახელისთვის ჰშვრება?.. მართალია. არიან იმისთანა კაცები, რომელნიც სიკეთეს იქმოდნენ მარტო იმისთვის. რომ სახელი დაგვრჩებაო. მაშინ ისინი იმ კაი საქმეს სახელზედა ჰყიდიან. ეს ცუდია. მაგრამ მე და შენ რა დავა გვაქვს? დაე, თუნდა გაჰყიდონ, ოღონდ ნივთი კარგი რამ იყოს, დაე საქმე საქებური იყოს, — და გულის-წადილის გაჩხრეკა ღვთის ნებაზედ მივაგდოთ. (II, 73).

187(2476). იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმალავს. შენ სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე. მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. (II. 223).

188(2477). კაი კაცი ყოველთვის კარგი იქნება. (II, 341).

189(2478). კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლებელობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს. (IV, 293).

190(2479). კაი-კაცობას, კეთილ-სინდისიანობას და პატიოსნებას, დიდსა თუ პატარა საქმეში... პატივი და დიდება აქვს და ექნება. (IV. 244).

191(2480). კარგი და პატიოსანი გული არ დაავალებს კაცს, შეუძლებელი შესძელიო და, არც უსაყვედურებს, რატომ არ შესძელიო. (VIII, 276).

192(2481). (კარგია — რედ.) ვინც იცის აზრის აწონა არა იმითა, რომ ათასმა თქვაო, არამედ იმითა, რომ ერთმა თქვა და კარგმა თქვაო: ოქრო მცირეა, მაგრამ ძვირია. (II, 568).

193(2482). (კარგია, როცა — რედ.) ნამუსი ჭკუით კი არ არის ახილებული, გულით გამოკვებილია, მარტო გულით. ეს დიდი საქმეა ნემის ფიქრით, იმიტომ, რომ მაგისთანა ნამუსი მთელის გვამის, მთელის აგებულების წყურვილია, როგორც სითბო სიცივეში, როგორც სიგრილე სიცხე-პაპანაქებაში, როგორც პური შიმშილში. (II, 294-295).

194(2483). (კარგია, როცა ქვეყნისა და ერისათვის სასარგებლო მოღვაწეობაში კაცს — რედ.) არც არავინ წინ ეხიდება, არც არავინ უშლის მის ხორციელ და სულიერს წარმატებას. (IX, 95).

195(2484). (კარგია, როცა — რედ.) ყველა თავის საქმეს ადგას. (IX, 95).

196(2485). კარგის გასაგონებლად კაცი მომზადებული უნდა იყვეს, გონება უნდა ჰქონდეს გახსნილი, განათლებული, თორემა ბნელის გონებით, ბნელში კაცი რას დაინახავს. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 305).

197(2486). კარგისა და ავის განრჩევა, დამერწმუნეთ... რომ, (რიგ შემთხვევაში — რედ.) არ არის ადვილი. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 304).

198(2487). კაცად მაშინ ხარ ხაქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო,
— აბა დღეს მე ვის რა ვარგე? (I, 107).

199(2488). (კაცთმოყვარეობა და სამართლიანობის გრძნობაა — რედ). კაცურის კაცობის თავი-და-თავი ღირსება... (IV, 299).

200(2489). (კაცთმოყვარეობის მცნება — რედ.) ... ერთად-ერთი მიძღვრებაა კაცთა კრებულის საბედნიეროდ და რომელიც გვასწაელის: ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის;* შენც იცხოვრე და სხვაც აცხოვრეო — ეს მცნება, ურომლისოდაც ვერა კრებული, ვერა საზოგადოება, ვერა ერი ვერ ჰხეირობს, შესაძლოა კაცმა დროთა ხელ-შეწყობით გასთელოს, მოშუშოს, მაგრამ ძირი მაგარი აქვს, როცა იქნება ამოიხეთქავს და თავისას მოითხოვს უნაკლულოდ. („იერია", № 53, 1897, 2).

---

* ეს შეგონება ფრანგული ანდაზაა. (რედ.).

202(2490). კაცი... ეულწრფელს ცდომას, როგორც იქნება, შეინწყარებს. (III, 134).

202(2491). კაცი იგია, ვინც კაცურ-კაცობისათვის ემზადება ყრმობიდანვე. („ივერია", № 83, 1886, 4).

203(2492). კაცი ის არის, ვინც გაჭირვებაში ცდილობს, რომ სიმძიმე გარემოებისა როგორმე შეიმსუბუქოს, ან აქეთ მოუაროს საქმეს, ან იქით და როგორმე უშველოს თავსა. (V, 351).

204(2493). კაცი ის არის, ჩემო ძმაო, რომელიც თავის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს, ხიდად გასდებს, რომ, თუ არ თითონ, სხვამ ნაინც მშვიდობით გაიაროს. იმ ხიდს ზედ ამჩნევია ყოველთვის ღვთის ნადლი, მაშინ ყველაფერი საღმრთოა. (II, 62-63).

205(2494). კაცი, რომელიც გონებითა სცხოვრობს, მოვალეა ღვთისა და ქვეყნის წინაშე შეხვდეს განათლებულს კაცს საბაასოდ გონების გასაფხიზლებლად. (III, 13).

206(2495). კაცი სულ იმის ფიქრსა და ცდაში უნდა იყოს, — პატიოსანის შრომით ლუკმა-პური სჭამოს. (III, 439).

207(2496). კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს და თავისთავისაც. (V, 289).

208(2497). კაცი უნდა ჯერ იყოს და მერე თუნდა ფულიანი, თუნდა უფულო. („ივერია", № 241, 1888, 1).

209(2498). (კაცი — რედ.) ყოველთვის მართალი უნდა იყოს. (II, 314).

210(2499). კაცმა ჭკუა უნდა ისწავლოს და სულ ერთს აზრს არ ადგეს თავის ჭირვეულობით... („ივერია", № 110, 1894, 4).

211(2500). კაცობა ადამიანისა ფული არ არის და სიღარიბე, უფულობა არა-კაცობას არა ჰნიშნავს. ბევრი ღარიბია, რომელსაც კაცური ღირსება ნებას აძლევს თამამად და სამართლიანად სთქვას: „მდიდარო, ჩამოდექი, ღარიბი მობრძანდება". („ივერია", № 241, 1888, 1).

212(2501). (კაცს — რედ.) თუ მტრობა უნდა, პირდაპირ მიმტრეს. იქნება ჩვენც შევიძლოთ პასუხის გაცემა. (X, 83).

213(2502). (კაცს — რედ.) ნუ დაასხამ თავზედ ლაფს, ნუ დაეწყევლინები... (II, 102).

214(2503). კაცს, რაც შეუძლიან და როგორც გარემოება ხელს ეწყობს, ის და ისე უნდა მოსთხოვო. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 330).

215(2504). კაცურად ცხოვრების წუთსაც-კი თავისი მადლი და ფასი აქვს. (V, 345).

216(2505). კაცურის კაცობის ნიშანი minimum-ი სათნოება კი არ არის, რომელიც არ ცოდვის საზღვარია, არამედ maximum-ი, რომელიც მადლის სამფლობელოა და საუფლისწულო. (IV, 225).

217(2506). კეთილგონიერების და მართლმსაჯულების გამოწვევა უუწინდესი ვალია იმათი, ვისაც გულწრფელად უყვარს საქმე... (VII, 493),

218(2507). კეთილ-შობილ და დიდ-სულოვან მტრებსა ერთმანეთის შიში კი არა ერთმანეთის პატივისცემა აქვთო. ნათქვამია. („ივერია", № 25. 1886, 1).

219(2508). კეთილი და პატიოსანი გული კარგია. (II, 417).

220(2509). კლაკვნა მწუხარებისაგან და აქეთ-იქით თავის ხრა ვაჟკაცს არ შეშვენის. მაგისთანაები უფრო გულ-სუსტის კაცის გრძნობათა გამოსახვაა და არა გაუტეხელის ვაჟ-კაცის ღრმად დაძრულის გულისა. („ივერია", № 265, 1891, 2).

221(2510). კლდის გამრღვევ კაცს სხვა ფერიც აძევს, შენი ჭირიმე! (II, 56).

222(2511). კმარა ... სამარცხვინო ქცევის შეწყნარება. სამართლიანის გულისწყრომით ზურგი შევაქციოთ სხვის გამაუპატიურებელს და ყოველივე ლანძღვა-თრევით გაბიაბრუებული ჩვენს საფარველ ქვეშ მივიღოთ და სარჩლი გავუწიოთ. ამას ითხოვს ჯანმრთელობა საზოგადოებისა, ამას ითხოვს ნამუსი და პატიოსნება ყველისი ერთად და თვითეულისა ცალკედ. (VIII, 255).

223(2512). ლანძღვა არ შეშვენის კაცსა არას დროს, არც პირად თქმითა და არც ქაღალდზედ გამოცხადებითა. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 304).

224(2513). ლანძღვა რა საკადრისია? (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 303).

225(2514). ლიბერალობა განა მალვაა, ანუ ხელის წაფარება ტყუილებისა, ოინბაზობისა, თაღლითობისა, თვალთმაქცობისა და ყოველგვარ ნამუს-ახდილობისა, და არა მხილება ყოველ ამისი? (VIII, 100).

226(2515). ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოვნი. (II, 54).

227(2516). ლხინში მოლხინეს მოვულხენთ,
ჭირში მოჭირნეს ვუშველით;
ფიქრის, საქმის, შრომის დროსა
ბრძენსაც არ დავუვარდებით. (I, 63).

228(2517). მადლიერ ადამიანისაგან ქებული და დიდებული ან ის არის, რომელიც რომელსამე საიდუმლოებას ქვეყნისას სამალავს

უპოვნის, სარქველს ახდის. დამალულს აღმოაჩენს და სიხარულით შესცინებს: „ჯიჯიტაო“. ან ის. რომელიც ცდომას კუდში ხელს წააელებს. მიწაზედ დაანარცხებს და გამარჯვებით დასძახებს: აგრე უნდა შენისთანა მატყუარასაო. („ივერია“, № 191, 188, 1).

229(2518). მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!

მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ-წინა;
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხ-ვაყო მე ლოცვა წმინდა... (I, 21).

230(2519). მართალი იმაში კი არა მდგომარეობს იგი ჰსთქვა რაც ჭეშმარიტია, არამედ იმაში, რომ ჰსთქვა იგი, რაც გულში რწმენად დანერგული გაქვს. („ივერია“, № 25, 1886, 1).

231(2520). მართალი კაცისათვის მაგისთანა ცილი (ღალატის დაწამება — რედ.) რა ძნელია!.. (II, 425).

232(2521). მართალია, გამოწურულ ოფლში ამოელებულ ლუკმასა სჭამდა, მაგრამ კაი-კაცობაც მაგაშია. (II, 67).

233(2522). მართალია. ერის არსებობისათვის დიდი რამ არის ნიეთიერი ქონება, მაგრამ არის ერთნაირი სხვა ქონებაც, ურომლისოდაც ერი თავს ვერ დაიჭერს ამ წუთის სოფლის გზაზე. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი, რომ ადამიანი არა მარტო პურით ცოცხალ არს; სხვაც რამ არის საჭირო და ის სხვა ზნეობაა და ზნეობრივი ქონებაც ისეთი აუცილებლობაა ერის მკვიდრად ფეხზე დგომისათვის და ხანგრძლივ ადამიანურ ცხოვრებისათვის, როგორც არსებითი პური. („ივერია“, № 263, 1895. 2).

234(2523). მართალია, ზოგჯერ „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“, მაგრამ არც უიმისობაა, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. („ივერია“, № 261, 1898, 2).

235(2524). მართალია ...მეცნიერობის მსახურთა შორის იმისთანანიც, არიან, რომ მადლით სავსე ღონიერობა მეცნიერებისა იმაზედ მიუქცევიათ, რომ რაც შეიძლება უებარი და უკეთესი სახსარი მისცენ ადამიანს ადამიანისავე საჟლეტ-სახოცავად, ხოლო ჩვენდა სასიხარულოდ, იმისთანანიც ბევრნი არიან, რომელიც დღე და ღამ დაუძინებლად ირჯებიან კაცთა სახსნელად ჭირისა და ვაგლახისაგან და ამისათვის არაფერს არა ჰზოგავენ, ზოგჯერ სიცოცხლესაცა. („ივერია“, № 179, 1888, 1).

236(2525). მართალია მწუხარების შვილია, მწუხარებას ალბობს, მაგრამ ეინების თვალს არ უნდა მოერიოს ცრემლი. (II, 66).

237(2526). მართალია ... ტყუილის დაჭერაში ბევრი არა ყრია-რა, მაგრამ, კაცმა კაცს რომ ხასიათი და ხარისხი ზნეობისა შეუტყოს, ამისთანა საქციელიც სათვალავში ჩასაგდებია სხვასთან ერთად. (IX, 282).

238(2527). მართლაც რომ დიდი საუნჯეა ადამიანთა ცხოვრებაში სინიდისი და ნამუსი. (III, 315).

239(2528). ... მარტო ასაკოვანება სულისა ადამიანს კაცადა ჰხდის. (III, 428).

240(2529). ... მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში. (IV, 203).

241(2530). ... მარტო ზნეობითის აზრით სავსეს გულმოდგინებასა შეუძლიან შეჰსწყვიტოს უწმინდური წყარო ყოვლისა ჩვენის სიბნელისა, უთანხმობისა და შეცილებისა! („დროება", № 47, 1872, 2).

242(2531). მარტო სურვილი, კეთილი განზრახვა არა კმარა, რომ კაცმა საქმე შეასრულოს,—უნდა კაცს ამის შეძლებაც ჰქონდეს, ძალი და ღონეც მოსდევდეს. („ივერია", № 215, 1886. 3).

243(2532) ... მარტო ჭკუა-გახსნილმა და გულგაწმენდილმა კაცმა იცის ... ღირსეულად დაფასება და ... პატიეთი ხსენება დიდბუნებოვან კაცისა (III, 252).

244(2533). ... მარხვას არავინ გასტეხს დოსთვისა და ქურდობას არავინა იქმს ხბოსთვისა.* (III, 184).

245(2534) ... მარჯვენას თქვენსას ის არ აქმნევინოთ, რასაც გული და სინიდისი არ გეუბნებათ. (VIII, 85).

246(2535). მაღალ ზნეობის თვალის წინაშე სიდიდე ადამიანისა დანიშნულების სიდიდეზედ არ არის დამოკიდებული. (IV, 246).

247(2536). მაღალის ზნეობის თვალთა წინაშე ... საწყაოდ კაცურის-კაცობისა იმოდენად თითონ საგნის სიღრმე და სიდიდე არ არის, რამოდენადაც საგნის სიცხადე და გამორკვეულობა. (IV, 238).

248(2537). (მდიდარ და გაუმაძღარ დიდკაცებისა — რედ.) ... ნუ გშურს, ღარიბო! შენი ძონძები, შენი ცრემლში ამომბალი ლუკმა, გამხმარი პური, ირჩიე იმათ ბრწყინვალებასა. შენს ოფლით ჩამწვარ თვალებზედ და მზემოკიდებულ სახეზედ ის მაინცა სჩანს, რომ შენ მოცლა არა გქონია, რომ შენს კაცობაზედ გეფიქრნა, გონება გაგეხსნა, გული გაგეთბო; იმათ ეგეც არა აქვთ, იმათ მინის თვალებში ეტყობათ. .. მოცალეობა... (III, 470).

249(2538). მე ალერსი და პირფერობა არ მიყვარს. (X, 283).

---

* შდრ. ქართულ ხალხურ ანდაზას: „მარხვა ვუამე ხოსთვინაო, ქურდობა ვქენ ხბოსთვინაო". (რედ.).

250(2539). მე არ მიყვარს დაშაქრული თუ დაცრემლილი სიტყვები. მე არ მიყვარს საკუთარ გრძნობებზე ლაპარაკი. (X, 179).

251(2540). მე არა ვარ ჩვეული ენამტანიობით გაფუებული საქმე ვიძიო და ან ვისმე ამის გამო პასუხი ვუგო. (X, 121).

252(2541) ... ნე არც არავისი ყმა ვარ, არც არავისი მოხარკე. (X, 151).

253(2542). მე ... ახალი კაცი ვარ და არა რა ახალი არ მეუცხოების. (III, 401).

254(2543). მე გულს მისივებს ... უმეცრობის სითამამე და კაღნიერება. დრია, რომ ამისთანა ოინები გამომჟღავნდეს და დაუსჯელად არავის შერჩეს. (VI, 244).

255(2544). მე ერთი ვარ, თქვენ მრავალი,
გვიჯობს ერთით ბევრის რჩენა;
თუ თქვენ მე არ გემეტებით,
მე რად გაგიმეტოთ თქვენა?... (I, 195).

256(2545). მე ვამბობ, უგუნურებას განკიცხვა უნდა-მეთქი. (II, 459).

257(2546). მე ვფიქრობ ... საჭირია რწმენა, რომ სიმდიდრის გარეშეც შესაძლებელია ბედნიერება, — დანარჩენს ყველაფერს მოველება... (X, 216).

258 (2547). მე თუ რაიმე ღვაწლი და სამსახური მიმიძღვის. ყოველივე ეგე ისეთი მცირე რამ არის, რომ მაგისთვის ეგ დიდი განძი (ქება და დიდება — რედ.). ეგ დიდი ჯილდო არ უნდა გაიცემოდეს ხოლმე და თუ ღლეს მე ღირს მხდით და მაგ ჯილდოს იძლევით, ეგ უნდა თქვენს ქართველურს გულუხვობას მივაწეროთ და არა ჩემის მცირე ღვაწლის სიდიდეს, ჩემი მცირეოდენი ღვაწლი უკვე საკმაოდ დაჯილდოებულია მით, რომ თქვენა გხედავთ და თქვენში ემხიარულობ. („ივერია", № 129, 1893, 2).

259(2548). მე იმდენად ვაფასებ ჩემს თავს, რომ არავის ამოვასვრევინებ ლაფში იმას, რაც ჩემთვის ყველაზედ მეტად ძვირფასია, ე. ი. ჩემს წმინდა გრძნობებს, კეთილ ზრახვებს. (X, 204).

260(2549). მე ისეთი სუსტი არა ვარ, უსიამოვნებანი მაშინებდნენ. (X, 180).

261(2550). მე კანონს ცხოვრებისას სხვას არ ვუწერ. (II, 476).

262(2551). მე კაცთ სიკეთის მხურვალე რწმენა
ჭირში თუ ლხინში წინ მიმიძღოდა...
გული თრობილი მის წმინდა მადლით
ჭკუის ცივს თათბირს ეურჩებოდა.
ნუ მეუბნები, რომ იგი იყო

უგუნურება და ცდომილება, —
ოღონდ კელავ მომე: ის ცდომა მიჯობს,
ვიდრე უცდომი გამოცდილება! (I, 103).

263(2552). მე მარტო ერთნაირი მორჩილება ვიცი, საცა გონება უფალია... (II, 476).

264(2553). მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯაერს არავის შევარჩენ, ტყუილ-უბრალოდ არავის დავეჩაგვრინები. (II, 252).

265(2554). მე მგონია, — ღარიბი არ არის, ვინც ნდომობს იმას, რაც ეშო�eება და არა მეტსა. (II, 475).

266(2555). ... მე მეტის-მეტად ძვირფასად მიმაჩნია ყოველი კაცის ღირსება და პატიოსნება და ნამეტნავად ჩემის კარგის ნაცნობისა. ამიტომაც მე ამაებში ყოველთვის ფრთხილი და მორიდებული ვარ და თავის დღეში არ ვიკადრებ, რომ ადამიანის პატიოსნება ჭორის სათამაშო ბურთად გავხადო. (X, 124).

267(2556). მე მინდა ერთერთი ჩემი მთავარი ნაკლი იცოდე: ჩემი არსება ისეა აგებული, რომ ... უბრალო, გულზვავობას მოკლებულ მოკედაეებაში, ყოველთვის ნაკლები ჭუჭყი და მეტი საღი აზრი მეგულება, ვიდრე ზოგიერთ ბატონში, რომლის შთამომავლობით კეთილშობილური სისხლი გულზვიადობას შეუდედებია. (X, 226).

268(2557). მე ნებას არ მივცემ ჩემს თავს ისეთი რამ წარმოვსთქვა, რომლის განმეორებაც ... ყველას წინაშე არ შემეძლოს. („ივერია", № 95, 1896, 3).

269(2558). მე რაც ერთხელ მითქვამს ... იმას არას დროს აღარ გადავალ, თუნდ რო სულ ვიღუპებოდე ... არ გაუტყდები არც ჩემს სიტყვას, არც ჩემ სვინდისს, თუ პატიოსანი კაცი ვარ. („სახალხო განათლება", № 51, 1988, 3).

270(2559). მე რაც ვარ ის ვიქნები, პადლეცად არ გავხდი ჩემ თავსა. („სახალხო განათლება", № 51, 1988, 3).

271(2560). მე სინდისი არ დამამძიმებს, რომ ჩემი მოვალეობა აღვასრულე იმის მოწერით, რაც მე საჭიროდ დავინახე. (X, 316).

272(2561). ბე სხვა ვარსკვლავზე ვარ დაბადებული, ბედნიერებას შეუძლია სიცოცხლე შემმატოს, მაგრამ უბედურებას არ შეუძლია ჩემი მოკვლა. უბედურებამ შეიძლება ცოტათი შემარყიოს, მაგრამ რომ წამაქციოს — ვერასოდეს! (X, 207-208).

273(2562). მე ყიზილბაშობა არც მყვარებია და არც მიყვარს, მე როგორც მესმის, ისე ელაპარაკობ და პირდაპირ ვეუბნები კაცს: ეს ცუდია და ეს კარგია-მეთქი. (III, 47).

274(2563). მე ჩემი ვისაქმე რაც შემეძლო და შუბლით კედლის გარღვევა კი ვერ შევიძელ. (X, 374).

275(2564). მე ჩემი თავი სიღარიბისა და შრომისათვის გადამიდვია ... არც ერთისა და არც მეორისა არ მეშინია. (X, 176, 538).

276(2565). მე ჩემის ჭირის, ჩემი წუხილის,
ჩემის კაცობის გულის ღულილის
სიტყვანი გულში მებადებიან... (I, 14).

277(2566). ... მე ჩემს მოქმედებაში კანონის ნებართვას კი არ ვიმძღვარებ წინ, სინიდისის ბრძანებას ვასრულებ ხოლმე. (X, 82).

278(2567). მე ჩემს საკუთარ საქმეში ისეთი ბეჯითი არა ვარ, როგორც სხვის საქმეში. სულელობაა ეს ჩემგან, თუ ჭკვიანობა, ეგ მე არ ვიცი, მხოლოდ ესე კია. (ი. ჭავჭავაძე, „წერილები", I, სოხ., 1949, გვ. 119).

279(2568). მე ცხადდივაც მეჯავრება ტყუილ-უბრალო ღიჭინი, (II, 277).

280(2569). მეც დიდი პატივისმცემელი ვარ პრესისა ... მაგრამ იმისთანა პატივისმცემელი-კი არას დროს არ ვყოფილვარ და არცა ვარ, რომ ყოველ წარამარად ბლაჯვნას პრესის წმინდა სახელი ვუწოდო. ან პრესის ყოველივე საქციელი ვაქო და ვადიდო ბრმად და განუსჯელად. (IX, 271-272).

281(2570). მთავარი კეთილგონიერებაა. (X, 198).

282(2571). ... მთელის ერის ნამუსი, მთელის ერის სინდისი მაშინ უფრო იტანჯება, მაშინ უფრო იმღვრევა, როცა შემცოდველს უყურებენ როგორც მსხვერპლს ზღვევისას, სამაგიეროს გადახდისას, ვიდრე მაშინ, როცა ცალკე კაცი რაიმე დანაშაულს, რაიმე ცოდვას ჩაიდენს და ამით ასე თუ ისე შეაშფოთებს საზოგადოებას. ეგ სინდისი, ეგ ნამუსი, სიყვარულით, გულისტკივილით გამკითხველია ცოდვილისა და არა რისხვითა და წყრომით მქნეველია გალესილის ხმლისა. იგი სწუხს ცოდვილის დანახვაზედ და არა ჰხარობს-კი, რომ აი, მომეცა შემთხვევა ბოროტს ბოროტი მივუწყოვო და ცოდვილი წამებას მივცეო. ამით არის ეს საყოველთაო სინდისი ტკბილი, ამით არის საყვარელი, ამით არის მომხიბვლელი და სატრფიალო. (VIII, 338).

283(2572). მთელის რისხვით და წყრომით უნდა მიესიოთ მტაცებელს — სულ ერთია, — ცალკე კაცი იქნება, თუ რაზმად დაწყობილი კრებული და თუ კრებულია, მით უფრო უარესი. („ივერია", № 53, 1897, I).

284(2573). მიზეზი კეთილის ცუდად ახდენისა ჩვენი გულგრილობა და განცვითეულება არის, წამალი კიდევ ამ მიზეზების მოსპობისათვის ურთიერთთან კავშირია, ურთიერთობისათვის გულმტკივნეულობაა, ურთიერთის გამოსარჩლებაა. მაშინ ვერა მოხელე კაცი კანონს ვერ დაგვირღვევს. მართალს ტყუილის ფეხებს ვერ გამოაბამს, თეთრს

შაკად ვერ შეგვიცვლის, სიკეთეს ჭირად ვერ გადაგვიქცევს. (VIII, 207).

285(2574). ... მითქმა-მოთქმას არ უნდა ავყვეთ. (VII, 249).

286(2575). მინამ ვართ, კაცად და ცოცხლად ვიყვნეთ, და როცა არ ვიქნებით, მაშინ განვისვენოთ შეურყეველის მშვიდობიანობითა. (X, 316).

287(2576). მინდა მაღალი დამდაბლდეს,
ამაღლდეს დამდაბლებული,
მდიდარი წყალმა წაიღოს,
ცხონდეს ღატაკი ვნებული.*
ეს მცნება მე ჩემს დროშაზედ
მოქარგვით დამიწერია... (I, 113).

288(2577). მიყვარს ... მართლმოყვარეობა ... ზნემაღლობა. (III, 389).

289(2578). მოდი, გულს უთხარ, —
კარგ სანახავზე ნუ ხარ-თქო ხარბი!... (I, 214)

290(2579). ... მოთმინებითა ჩემითა უნდა მოვიპოვო სული ჩემი.** (X, 267, 349).

291(2580). მომწონს კაცი ყველგან ყოველ შემთხვევაში პირმღიმარი, წარბგაშლილი, გულღია. მას ატყვია გულადობის და უშიშროების ნიშანი. (III, 269).

292(2581). ... მოფიქრება და მომზადება წინადვე უნდა ყოველსავე სათქმელსა და სარჩიელსა და აუცილებელი საჭიროებაა ყოველ რიგიან კაცისათვის, თუ კაცს პატივის-ცემა აქვს იმ კრებულისა, საცა პლაპარაკობს და გული მართლა უცემს იმ საქმისათვის, რაზეღაც ენასა სძრავს. („ივერია", № 38, 1879, 2).

293(2582). მოფიქრებას და მომზადებას აზრისას ითხოვს ვერ კაცურ-კაცობა მთქმელისა და მრჩეველისა და მერე ღირსება თვითონ კრებისა, საცა მარტო საბუთიანი სიტყვა, კარგად აწონილი სარჩიეული უნდა მოციქულობდეს. („ივერია", № 38. 1897. 2).

294(2583). მოყვასთათვის თავდადება
ქრისტე-ღმერთის ანდერძია. (I, 188).

295(2584) ... მოჰკიდე ხელი ... პატიოსანს საქმეს... (X, 46).

---

* შდრ.: „ამაღლებულნი დამდაბლდენ, ამაღლდნენ დამდაბლებულნი,
მოღვაწე წარწყმდა სიღარეთ, ცხონდა სიმდაბლით ვნებული".
არჩილ. (რედ.).

** შდრ.: „მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი" („ახალი აღთქმა", ტფ., 1879, გვ. 157). (რედ.).

296(2585). მრავალ-გვარია ნიჭიერება; ღონე და მიდრეკილება ადამიანისა სიდიდე და ღირსება ის არის, ვინ როგორ აურჩია საქმე თავის ნიჭსა, ღონესა, მიდრეკილებასა და ვინ როგორ უძღვება. (IV, 246).

297(2586). ... მტერსაც პატივება უნდაო. (II, 95).

298(2587). მტრობით მოსდის კაცს კაცის წინააღმდეგობა, უკმაყოფილობით, თუ სიმართლის სიყვარულით, ეგ მისი სინიდისის საქმეა და, მაშასადამე, იმისთანა საგანია, რომელსაც ვერც კაცის თვალი მისწვდება. რომ დაინახოს, ვერც ხელი — რომ შეეხოს. (V, 169).

299(2588). მტყუანს გულდაგულ დავხედებით,
მტლად დაეედებით მართალსა. (I, 393).

3000(2589). მუხლო, გამაგრდი! ... უდროდაა ნუ მომეჭრები!... (I, 327).

301(2590). მცირეოდენ განათლებამოცხებულ კაცს, მცირეოდენ საღის ჭკუის პატრონს კარგად მოეხსენება რომ ყოველივე თავის ადგილ-თავის და პრესის პატივისმცემელი რედაქცია და თუნდ ყოველივე ცალკე კაცი ... თუ სულ მთლად ზურგს არ შეაქცევს, ეჭვი მაინც უნდა შეიტანოს იქ, საცა სხვის ადამიანურს ღირსებას, სინიდისს, წმინდათა-წმინდას შესაბღალავად და შესაგინებლად იმეტებენ.

ეს ანბანია ზნეობისა, ეს მისი პირველი და უკანასკნელი კანონია, მერე იმისთანა, რომელიც, რა თვალითაც გინდ შეხედოთ, ერთსაირად სავალდებულოა ყველასათვის, რა დასისა და რწმენის კაციც გინდ იყოს. (IX, 270).

302(2591). მხიარულობა, სიცილი კარგია, მაგრამ ვერც მხიარულება, ვერც სიცილი, ვერც ვერაფერი სხვა სიამოვნება ვერ გაუძლებს მომაბეზრებელს თვისებას ხანგრძლივობისას, ერთნაირობისას და უაზრობისას. (III, 120).

303(2592). ... ნდომობს თავგანწირვას დიდი საქმე ქვეყნის ხსნისა. (I, 193).

304(2593). ნეტა ვინც კარგის საქმით
აღნიშნავს თავის დროსა!
ის აქაე ეწაფება,
უკვდავების წყაროსა!... (I, 69).

305(2594). ნეტა მას, ვინც დიდის საქმით აღნიშნავს თავის დროს!.. („ივერია", № 264, 1904, 2).

306(2595). ნეტა როდის იქნება ჩამოვარდეს ჩვენში მტკიცე ჩვეულებად, რომ თქმული კაცმა თქმულად მიიღოს და პირველშივე არ იფიქროს, რომ თქმულს აქეთაც გადაეხვევა და იქითაც. (X, 57).

307(2596). ნეტა ჩვენ, რომ გრძნობა ბევრი გვაქვს კაცური და ფული კი ცოტა. ორივე ერთად რომ იყოს, მეტის მეტია. ამით ვინუგეშოთ და დავსდუმდეთ. (X, 306).

308(2597). ნუ გავიტეხთ სახელს, ჭორსა და მიოქმა-მოთქმას მიზეზს ნუ მივცემთ, რომ თავისი ჭუჭყიანი კბილი ჩაგეკიდოს და შეგვწამოს რამ. ამას ითხოვს ჩვენი საკუთარი ღირსება, მართებულობა, ჩვენი საზოგადოებური პატიოსნება, საზოგადოებური მაღალზნეობა და მოვალეობა. (VII, 446).

309(2598). ნუ გგონიათ ... ბუნებას ღირსებისას კაცმა ჭკუა ვერ მიაწვდინოს, თუ გამეცნიერებული და განათლებული არ არის. ამისათვის საკმაოა სალი ჭკუა და უბრყვილო გული უბრალო გლეხკაცისაც. (VIII, 99).

310(2599). ნუგეში ვაჟი-კაცისა ვაი და ვიში არ არის. იგი ყოველს შემთხვევაში ბატონი და მბრძანებელი უნდა იყოს მწუხარებისა და უბედურებისა და არა ყურ-მოჭრილი ყმა და მონა. იგი უბედურებას უნდა ჰგრძნობდეს და არ-კი ელახვინებოდეს. („ივერია", № 265, 1891, 2).

311(2600). ნუთუ ისეთი უვარგისი ვარ, რომ პური არსობისა შრომით ვეღარ მოვიპოვო? (X, 195).

312(2601) ნურვინ ემდურვის სხვას ვისმე,
სოფელს ეს უღევს წესია:
ზთესველი მარტო მას მომკის,
რაც უხნავს და უთესია.* (I, 119).

313(2602). ... ომში გამძლეა მარტო გული რკინისა, თუნდ აბჯარი ხისაც იყოს, და არა პირიქით.** (VII, 14).

314(2603). პატივისცემა ერის მიმართ ცხადი ნიშანია განათლებისა, განვითარებისა და გამოცდილებისა. („ივერია", № 10, 1882, 142).

315(2604). პატივისცემა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ადამიანი ადამიანს პირმოთნეობით ექცეოდეს. ეგ ადამიანის პატივისცემა კი არა, ეგ შეურაცხყოფა იქნება. ცუდია, თავის მეცნიერების შემაგინებელია, ადამიანის მოღალატეა ის ექიმი, რომელიც სნეულს უებარს წამალს არ ასმევს მარტო იმის გამო, რომ მწარეაო. არა, ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში, გულახდილად ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას, ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხჰყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრული გრძობა, ღირსება, პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავის-თავს კაცად სცნობს და აღიარებს. (III, 260).

---

* ამ სტროფში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „რასაც დასთესავ, იმასვე მოიმკიო". (რედ.).

** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური გამოთქმა:
„ვაქაცსა გული რკინისა,
აბჯარი თუნდა ხისაო". (რედ.).

316(2605). პატიოსან კაცთა შორის ნამუსია მოციქულიო, ნათქვამია. (VIII, 102).

317(2606). პატიოსან მტერთა შორის
მოციქული ნამუსია. (I, 106).

318(2607). ... პატიოსანთ მტერთა შორისაც კი მოციქული ნამუსია და ეს ნამუსი თხოულობს ყველას თავისი მიუწყო: რაც კარგია კარგი სთქვა, რაც ავია, ავი. („ივერია", № 78, 1897, 3).

319(2608). (პატიოსანი კაცი — რედ.) ... ვერ იშვნებს პირფერობას და მართლის გამოსათქმელად არ არის ჩვეული სიტყვის კმაზვაზედ ტყუილ-უბრალოდ მოსცდეს. (III, 123).

320(2609). (პატიოსანი, მშრომელი და მართალი კაცი — რედ.) ... არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა. (II, 252).

321(2610). პატიოსანს, ნამუსიანს კაცს ხელთა აქვს მარტო პატიოსანი და ნამუსიანი სახსარი მტრის მოგერიებისა და გაძღოლისათვის. თუ არ ამისთანა სახსარს, იგი ხელს არ ჰკიდებს, თუ არ ამისთანა იარაღს, იგი სხვას არას ჰკადრულობს, და ამის გამო უფრო ჰრჩეობს დამარცხებულ იქმნას უნამუსო მტრისაგან, ვიდრე უწმინდურის იარაღით ეჭიდოს და გაიმარჯვოს. (VIII, 22).

322(2611). პატიოსნება, კაი-კაცობა უფრო მკვიდრი განძია ადამიანისათვის, ვიდრე დროებითი ხეირი ავკაცობისა, რომელსაც, რაც უნდა სთქვათ, არც დიდი მანძილი აქვს ხოლმე და არც რიგიანი, უშიშარი გამოყენება. (V, 354).

323(2612). პრინციპი იმიტომ არის პრინციპი, რომ ყოველს შემთხვევაში ერთ-და-იმავე საზომად უნდა იხმარებოდეს. (V, 267).

324(2613). პურადობა და გულადობა ფრიად მოსაწონი და ტკბილად მისაჩნევი ღირსებაა ადამიანისა. (VII, 39).

325(2614). რა არის სიმდიდრე? სიმდიდრე კარგი რამეა, ჩემო კარგო, მე მის საწინააღმდეგოდ რა მეთქმის, მაგრამ ის მაინც არ არის საჭირო პირობა ბედნიერებისა: უიმისოდ ბედნიერება კარგადა გრძნობს თავსა და იგრძნობს კიდეც, თუკი ჩვენ ვიქნებით ისეთი ადამიანები, რომლებიც უპირველესად თავიანთი ზნეობრივის მხარის დაკმაყოფილებას ესწრაფვიან. (X, 204).

326(2615). რა დევნა, რა ძულებაა, როცა ერთი მეორეს ამხელს — შენ ცუდსა ჰშვრებიო? („ივერია", № 53, 1897, 2).

327(2616). რა თქმა უნდა, არც აღვირის მიშვება უნდა ყველაფერში და არც უბრალო რასმეზე გამოკიდება. (X, 164).

328(2617). რა თქმა უნდა, ისევ ორ-თავიანი იანუსი სჯობია ორგულსა და ორპირსა, თუნდაც იმიტომ, რომ ძველ საბერძნეთში იანუსი თუმცა ორ-თავიანი იყო, მაინც ღირსებით იყო მოსილი, და ორ-

პირი და ორ-გული-კი არ გვგონია ამისთანა პატივში ყოფილიყოს სადმე და ეისგანმე ოდესმე. („იერია", № 78, 1897, 1).

329(2618). რა ცუდი თამასუქი ეგ (ნამუსი — რედ.) არის! (II, 282).

330(2619) ... რად მინდა კაცმა სთქვას მე ასეთი ვარო, როცა მისი მოქმედებაც მაჩვენებს, რაც არის. ნაყოფისაგან იცნობება ხე ივიო ნათქვამია.* (VI, 74).

331(2620). რაკი ადამიანს არ შეუძლიან კაცთა კრებულის გარეთ იცხოვროს ცალკედ და მიუკარებლად, რაკი ერთმანეთობა ბედისწერასავით თვითოეულს ჩვენგანს — გვინდა თუ არა — სხვის გამკითხველადა ჰხდის და უამისოდ კაცი კაცს ვერ შეხვდება, ვერ შეეყრება, ვერ გაეყრება, აქედამ ცხადია — რა დიდძალი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გრძნობას განკითხვისას კაცთა საზოგადოების არსებობისათვის. (IV. 229).

332(2621). რაკი დავიწყე — ბოლოც უნდა გავატანო. (IV, 284).

333(2622). რაკი საქმე ვიკისრე, რიგიანი ბოლოც უნდა მოვუღო. (X, 294).

334(2623). რამოდენი ზნეობრივი სიდიდე უნდა, რომ კაცმა საზოგადოების სამსახურისათვის თავი გამოიმეტოს, ამ სამსახურზედ დამოკიდებული უსიამოვნება და მოუსვენარობა იტვირთოს და ნუგეშად იქონიოს მარტო ისა, რომ ჩემს ზნეობრივს მოვალეობას ვუსრულებ ჩემს მოძმეთაო. (VIII, 217).

335(2624). რასაკვირველია, მოჭირნახულემ უნდა იცოდეს თვისი ნამოქმედარის ავკარგიანობა, თვისება. (III, 259).

336(2625). რასაკვირველია, ყველანი ვალდებულნი ვართ. მოყვასს ხელი მივაწოდოთ და ჯურღმულიდგან ამოვიყვანოთ. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ცხრა ტომად, IV, 303).

337(2626). რასაკვირველია, ჭორი და ცილი — ეგ უკადრისი იარაღი სუსტისა და უკადრისის კაცის — ჩვენი იარაღი არ იქნება საომარს სარბიელზედ და არც უმართებულოდ ხსენება ჩვენის მოპირდაპირისა. (V, 252-253).

338(2627). რასაც არა ეშველება-რა, კაცი არ უნდა აეთრევინოსო!... (II, 309).

339(2628). ... რასაც ვამბობ, ვამბობ გულით და არა უგემურის ზრდილობისა გამო. (ი. ჭავჭავაძე, „წერილები", I, სოხ., 1949., გვ. 119).

340(2629). რასაც ვიკისრებთ, ის უნდა აეასრულოთ კიდეც. (II, 54).

341(2630). ... რასაც კაცი დაგპირდა, იმაზედ მეტს ვერ მოსთხოვ. (III, 322).

---

* ამ გამონათქვამის შესახებ ჩვენი კომენტარი იხ.: გვ. 56. (რედ.).

342(2631). ... რასაც მე ვიმოქმედებ ხოლმე, ჯერ ყოველმხრივ აკწონ და დაკწონ ხოლმე. ანბანისაც არავინ არიდეს ჩემთვის საშიში არ არის ხოლმე. (X, 311).

343(2632). რასაც ხელს მოჰკიდებ — გულდადებით შეეჭიდე.... (II, 478).

344(2633). ... რაღაც წარტოლვილ ცნობაებში გაბმა და ტრიალი ჩვენთვის სრულიად უფასო იქნება და გამოუსადეგი. ეგ იმან ინდომის, ვინაც სიტკბოებას ხედავს უქმის ჭკვის ვარჯიშობაში და ფრენაში. (III, 68).

345(2634). რაც გინდა სთქვი და, ეს (პატიოსნება და სიკეთე —რედ.) ღიდი ნიშანწყალია კაცობისა ... სწორედ დიდი ნიშანწყალი. (II. 295).

346(2635) ... რაც გულის-ტკივილით და წრფელობით არის ნათქვამი, ბუნებითად არც სათაკილოა, არც საწყენი. (III, 265).

347(2636) ... რაც კაცმა სთქვა — სთქვა, და რაც გულში დაინარჩუნა, ის იმისი ზნეობითი კუთვნილებაა, მერე იმისთანა, რომელიც სხვისათვის გამოუცნობელია, უხილავი და მიუწვდომელი, ვიდრე არ წარმოითქმება, ვიდრე არ წარმოიქმნება. ეს ხომ ანბანია ზნეობის კანონისა, კაცთა საზოგადოების წესიერად და მშვიდობიანად ყოფნისა. (III, 258).

348(2637). რაც კაცს უფრო საკეთილოდ მიაჩნია, უფრო საუმჯობესოდ. უფრო სამართლიანად. მას უნდა მთელის თავისის მხნეობით და ღონით შეეწიოს იმისდა მიუხედავად, ეწყინება ვისმე, თუ არა. (V. 171).

349(2638). რაც მითქვამს აღვასრულებ ჩემის მხრით („სახალხო განათლება", № 51, 1988, 3).

350(2639). „რაც უკვე დარგულია და ჰხარობს, ფეხით ნულარა დასთრგუნავ, ეცადე გაიზარდოსო", ნათქვამია. (VIII, 159).

351(2640). რაც უნდა ითქვას, კარგია, როდესაც ცრუ და მატყუარა კაცს შიშით მაინც თავის დონაზე (ალბათ, დონეზე — რედ.) დაყენებ. („ივერია", № 178, 1890, 3).

352(2641). რაც უფრო ბკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება, ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გასწორებისა. (III, 69).

353(2642). რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა... (II, 59).

354(2643). ... რიგიან, მიხვედრილ, სინდის-გაღვიძებულ კაცთან საქმის დაჭერა ბევრად სასარგებლოა, და ხალხის განათლებას, ესე იგი მას, რაც ადამიანს რიგიანობას, მიხვედრილობას, სინდისიანობას უნერგავს, ხელს შეუწყობს ისე, როგორც საკუთარს საქმეს. (V, 354).

355(2644). როგორც სხვანი მზისაგან, ყველა ნიჭი და მადლი ადამიანისა, სულიერი თუ ხორციელი, ამ (კაცებურის ღირსების — რედ.) გრძნობიდამ წარმომდინარეობს და ყოველივე ისეე უკან მიერთმევა, ვით თავის დასაბამს. (III, 265).

356(2645). როდის, ან რომელს ქვეყანაში მომხდარა, რომ საზოგადო საქმეში გართულს კაცს, საზოგადოების რიგიანს გზაზედ დაყენების მოცადინეს, —მრავალი სულ-მდაბალი მტერი არ გამოსჩენოდეს? ვისაც პატიოსანი საქმის საძსახური ძვალ-რბილში გასჯდომია, ის, უეჭველია, ამგვარ პირთ ცილის-წამებას ყურსაც არ ათხოვებს და თავის საკეთილო აზრს უფრო მტკიცედ დაადგებს. („დროება", № 404, 1873, 3).

357(2646). რომ აიღე, მიცემაც იცოდე. („ივერია", № 105, 1892, 2).

358(2647). (როცა ადამიანის ესა თუ ის ნაკლი ბუნებითი არ არის და ადვილად მოსაშლელია, საჭიროა, რომ კაცმა მას დროზედ მიაქციოს ყურადღება —რედ.) ... თორემ თუ თავი ნიანეება და ჩვეულებად გადაექცა, მერე ძნელი ასაცილებელი-ღა იქნება. („ივერია", № 228, 1886, 3).

359(2648). ... როცა დრო მოვა, ყველა მიპსცემს პასუხს უბედურს ქვეყანასა და უფრო უბედურს საზოგადოებასა. მაშინ ვნახავთ, ვისი გული იქნება წმინდა და ჩირქ-მოუცხობელი. (X, 66).

360(2649). როცა კაცს ცალკე და საზოგადოებას ერთად რამ უჭირს და ეძიებს სახსარს გაჭირებისაგან თავის ხსნისას, მაშინ ჭეშმარიტმა მოძმემ, მართალმა გულშემატკივარმა, ისეთი რჩევა უნდა მისცეს, რომელიც გარემოებას შეეფერება და რომელიც ასახდენია და აღსასრულებლად შესაძლებელი. თორემ იმას რომ გამოუდგეთ — აცა, რაც იამება, ის ვუთხრაო, ეს ძმობა კი არა, — მტრობა იქმნება და სწორედ მოგახსენოთ, ადვილი საქმეც არის. ამისთანა შემთხვევაში საქმე ის — კი არ არის — გაჭირვებულის გული მოიგო ცარიელის სიტყვით, არამედ ის, რომ თუ საშველია რამ, ეშველოს, თუ არა და მოურიდებლად, პირდაპირ, ღობე-ყორეს მოუდებლად, უთხრას: საშველი არ არის და ტყუილად გაგიზვიადებია სურვილი-თქო. (VII, 352-353).

361 (2650). როცა რომელსამე საგანს ფასსა სდებს კაცი, ჯერ იმის ღირსებას იტყვის (თუ აქვს ღირსება) და დაამტკიცებს, მერე ამბობს, ამოდენად ღირსო, ესე იგი, შინჯავს შიგნიდამ და გარედან საგანსა, ყოველს მის თვისებასა, არჩევს ცუდსა და კარგსა და მერე სწონავს მართალ სასწორზედ. (III, 34).

361(2651). (როცა საომრად გამოსულს მხედრობას დროშაზედ უწერია: „ჩაგრულთა დასახსნელად და მჩაგვრელთა შესაკავებლად" — რედ.) ამაზედ უმშვენიერესი, ამაზედ უპატიოსნესი, ამაზედ უწმინ-

დესი საგანი ბევრჯელ არა ჰქონია იმსა. ადამიანის სულგრძელებას უკეთესი საზრდო აღარ უნდა. ადამიანის თავგამომეტებულს მხნეობას უკეთესი ჯილდო. („ივერია", № 8, 1877, 1).

362 (2652). (როცა ძეირფას, ძალზე შერეულ ადამიანთან — რედ.) ... აუცილებელია ჩვენი დაშორება, ამ ჩვევაზე მაღლა უნდა დავდგეთ, მას კი არ უნდა დავეშონოთ. ჩვენ თვითონ უნდა დავიმორჩილოთ იგი. (X, 241).

363(2653). რწმენას ადამიანის სიკეთისას ... ჭკუა უნდა ... მეტი სიფაქიზე გულისა... (III, 393).

364(2654). სად არის სიტყვა მაღალ სწავლისა
სიყვარულისა და სამართლისა
რომ მათ ბაგითგან არ მომდინარეობს,
ოდეს დემონი კაცზედან ხარობს,
რომ ბოროტებასს, ბიწსა, ცოდვასა
შესაზარელსა არ ასვამს დაღსა? (I, 314).

365(2655) ... სად სისხლი უნდა,
იქ არ ეარგა სალბობი ცრემლი!.... (I, 328).

366(2556). საეკონომიო და საზნეო ვითარების განკარგება, გასწორება იმოდენად, რომ ამ მხრით საზრდოება მოაკლდეს ქურდობასა და ავაზაკობას, ბევრს დროსა, ბევრს რთულს გარჯას და მეცადინეობას ნდომულობს. (VI, 236).

367(2657). სავსება ერთობ ადამიანისა იმაშია, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილ ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისაცა. საჭიროა ზნე გაწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფაქცევა ერთმანეთს გადუდგება, ერთმანეთს არ შეეთანხმება. მისი აზრი სხვა იქნება და ყოფაქცევა სხვა, გონება ერთს ეტყვის და გული სხვას ათქმევინებს. უზნეობა. უხასიათობაც ეს არის და ამ ზნეობითა და უხასიათობით არის აეი ზნეუწრთვნელი სწავლული კაცი. (IV, 293).

368(2658). (საზოგადო სარბიელზე მოღვაწეობისას, რა სჯობია იმას — რედ.) ... თუ კაცს გული გულის ადგილასა აქვს და თუ გონება სხვაგან არ უქრის. (VII, 458).

369(2659). საზოგადო სიკეთის სურვილი ... ამშვენიერებს სიტყვას და ყოველს კაცს ხალისს ულვიძებს საზოგადო საქმის მიმართ და ამხნევებს შემდეგის მოქმედებისათვის. (V, 152-153).

370(2660). (საზოგადოების სიჯანსაღემ — რედ.). ... ბევრს უნდა აუხილოს თვალები, თუ საუკუნოდ თვალის ჩინი არ გაჰქრობიათ, და ... ვულში უნდა ჩაირჩინონ და სთქვან: სჯობნებია ცოტა მქონდეს და კარგი ვიყო, ვიდრე ბევრი და ავი ვიყო. („ივერია", № 241, 1888, 2).

371(2661). საკვირველია, რომ ზოგი, ვისაც ღონე და ძალა აქვს, გაიქცევა ხოლმე მოედნიდამ და იმალება ხალხში, ზოგი-კი, ვისაც არც ღონე აქვს და არც ძალა, გამოვა და შეუპოვრად დადგება შუა მოედანზედ. რათ არის ამისთანა წინააღმდეგობა კაცის ბუნებაში? ამას ყოველი გონიერი კაცი მიხვდება, თუ გონება დააკვირვა მაგ ორგვარ ქცევასა. (III, 29).

372(2662). საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრის ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე იგი კაი-კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლებელობაც ჰქონდეს. (IV, 293).

373(2663). (სასარგებლო საქმისათვის მოვალეობისა და მოყვასთა სიყვარულის უწმინდესი იდეების გაღვივება—რედ.) ... ადამიანის შვილს არამც თუ გაასხნევინებენ ხოლმე თავის ქისას საზოგადო საჭიროებისათვის, არამედ აქმნევინებენ დიდსა და სახელოვანსა საქმეთაცა. („დროება", № 47, 1872, 2).

374(2664). სასახელო კაცი იგი-კი არ არის, ვინც დიდს საქმეს ეკიდება და მისი ზიდვის უნარი კი არა აქვს, არამედ ის, ვინც იმას აკეთებს, რაც შეუძლიან, რაც ხელიდამ გამოუვა თავისის თავისა და სხვის სასარგებლოდ. („ივერია", № 36, 1898, 2).

375(2665). საქმე ის არის, რომ გულუბრყვილო, გულწმინდა შეცდომილებას, უგუნურს და უცოდველს გატაცებას, თუნდ ბიწისა და ბოროტისაკენ, ახირება და ბორკილი უფრო გამოადგება წამლად და გამოსაკეთებლად, თუ ტკბილად და დაყვავებით მოქცევა? (III, 127).

376(2666). საქმე მაღალ ზნეობისა იმაშია, რომ ადამიანმა ის მოიტანოს წუთის-სოფლის სუფრაზედ, რაც აქვს. ვინც მართლად აღნიშნავს თავისს მოსატანს და უკლებლად მოიტანს, მასზედ ითქმის, რომ იპოვა საგანი ცხოვრებისა და განახორციელა კიდეც. (IV, 238).

377(2667). საღვაწლის აზრით მართლად გულ-აღტკინებული და არა ჩალასავით ბეცთა მოსაწონად აპილპილებული კაცი არ იკმარებს, რასაც ჩვენის ანდაზისამებრ შამალი ჰკმარობს: მე-კი ვიყიელი და გათენდება თუ არა, ღმერთმა იცისო. ჭეშმარიტების მქადაგებელი მარტო ყივილს არა სჯერდება; იგი იღვწის ვიდრე ბნელს არ გაათენებს ჭეშმარიტების სხივითა, ან ვიდრე თითონ დღე არ დაელევა. ამიტომაც მართლად გულ-აღტკინებული მოღვაწე დაუძინებელი მომქმედი, გაძრჯელი კაცია: მისთვის დგომა ცდომაა. („ივერია", № 163, 1887, 1).

378(2668). სხვა ეგ გრძნობა (კაცებურის ღირსებისა — რედ.) ცოტად თუ ბევრად ფეხადგმულია. იქ კაცი არამც-თუ ვისმე ან რასმე გაექცევინება თითონ, არამედ სხვის გაქცევის დანახვაზედაც მთელის თავის სამართლიანობის ვულისწყრომით გამქცველს გულ-და-ვულ შე-

ეფეთება, როგორც დამრღვეველს ამ ზნეობითის კანონისას, რომელიც საყოველთაო ღირსების ფარია და, მაშასადამე, მისიცა. (III, 265).

379(2669). საცა ეთიკაზე და მართებულობაზეა ლაპარაკი, ხმა უნდა აწონილ იქმნას და არა დათვლილი.* (VI, 279).

380(2670). საცა ზრდილობა და მართებულობაა, განა საფიქრებელია კაცმა კაცს უკიჟინოს სტუმარი რად ისტუმრეო? („ივერია", № 236; 1899, 2).

381(2671). საცა კაცი სჯის, იქ შეცდომაც შესაძლებელია, მაგრამ ყოველის კაცის მართალი ის არის, რაც გულით მიაჩნია მართალად და არა მიდგომით და თვალ-ღებითა, ან იმ განზრახვით, რომ ამას ვასიამოვნო, იმას ვაწყინოო და სასწორი განკითხვისა ერთ-ერთს ამისთანა ულირსს სურვილს დაავლევინოს. („ივერია", № 29. 1898, 2).

382(2672). საცა კეთილია, იქ აღებ-დაღება არ უნდა. (IV, 334).

383(2673) ... საცა ლაპარაკია სულის სიღონეზედ და ადამიანობის ზნეობითს ძალაზედა, იქ სახე (ადამიანის გარეგნობა — რედ.) ... საჭირო არ არის. (II, 457).

384(2674). (საჭირია, რომ—რედ.) ...მოთმინება ვიქონიოთ და ტყუილ ტყუილის კარამდე ვდიოთ. (IX, 282)..

385(2675). სახელი თავის-თავად მოდის ხოლმე და კეთილ საქმეს ზედ გამოებმება. (II, 73).

386(2676). სახელის ამაოდ ხსენება ... დიდი უკან სადევნებელი საქმე არ არის საქმიან კაცისაგან. (VIII, 175).

387(2677). სახელის მოხვეჭა კიდევ, სხვამ რაც უნდა სთქვას, ცხონებაა სულისა. სამოთხესაც აქედამვე ეგ ანათებს და ჯოჯოხეთსაც აქედამვე ეგ აქრობს. (II, 73).

388(2678). სიამოვნება, რომლისთვისაც კაცი იბრძვის, რომლისათვის თვისთა შეძულებულს შრომას კისრულობს, ის სიამოვნება უნდა კაცობრიული იყოს, აზრით და ზნეობით სავსე. (II, 461).

389(2679). ... სიერთგულე, პატიოსნება ... უკეთესია და უწმინდესია კაცის ბუნებაში. (II, 539).

390(2680). სიმამაცე, ვაჟკაცობა კარგია, მაგრამ კეთილ-გონიერი ვაჟკაცობა და არა ... უგუნურება. („ივერია", № 108, 1892, 2).

391(2681). სინანულიც კაი საქმეა, კაი საქონელია, თუ მართლა საგონებელში რაშიმე ჩაგვაგდო და ნამუსი და სინიდისი თავისის უტყუარის სასწორით ხელში კარზე მოგვაყენა ჩვენდა განსაკითხავად. (III, 378).

392(2682). სირცხვილი იმას, ვინც საძრახისი ინდომოს. (II, 85).

---

* ი. ჭავჭავაძე ამ ფრაზაში იყენებს ფ. შილერის ცნობილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტისას ხმები კი არ უნდა დაითვალოს, უნდა აიწონოსო. (რედ.).

393(2683). სიტყვა სარკეა ადამიანის სულისა და გულისა და სარკეში კაცი თავის მახინჯობას ვერ დამალავს, მაშინვე გაამხელს. (III, 388).

394(2684). ... სიტყვამ ისეთი რამ უნდა მოიტანოს, რომ სასიამოვნო იყოს. (III, 400).

395(2685). ... სიტყვამან შენმან გამოგაჩინოს შენ, ნათქვამია.* (VIII, 137, 188; „ივერია", № 78, 1897, 2).

396(2686). სიღარიბე სამარცხვინო არასოდეს არ ყოფილა. სამარცხვინოა მეტად ბარგად და მუქთა-მჭამელად გდება ოჯახში. („ივერია", № 36, 1898, 2).

397(2687). სიცილსა და კასსკასა დარბაისლური ლაპარაკი სჯობია! (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 306).

398(2688). სიცოცხლე შეწირული დევნულთათვის სახელოვანია, სისხლი დაღვრილი ჩაგრულთათვის წმინდაა!... („ივერია", № 8, 1877, 1);

399(2689). სტუმარმა მასპინძელს არასოდეს არ უნდა გაუბედოს, აქაურობის პატრონობა მინდაო. შეიძლება სტუმარი ძმად მიითვისოს კაცნა, მაგრამ მის ბატონად ვერ ბრძანებს კი — მოკვდება და არ იკადრებს. (V, 175).

400(2690) ... სულ-მოკლე და ხელ-მოკლე როდია გულითადი რწმენა, რომ, თუ პირველ მისევაზედვე ვერ გაიტანა, დადუნდეს და უღონობით მშვილდი ძირს დასდოს. („ივერია", № 163, 1887, 1).

401(2691). სულს ნუ წაიწყმედ ცილისწამებითა, ნუ!... (II, 91).

402(2692). სჩანს, რომ შეიძლება კაცს უყვარდეს კაცი და მტერსავით კი მოეკიდოს, როცა მასში სიცუდეს შენიშნავს. (III, 455)

403(2693). სჩანს, შეიძლება, რომ ერთი და იგივე ამბავი სატირალიც იყოს და საცინარიცა, ეგ იმაზედ არის დამოკიდებული, როგორი აგებულებისა ხარ: თუ იმისთანა გონების ძალა გაქვს, რომ, რაც უნდა მწუხარე ჭეშმარიტება იყოს, გულდაგულ შეხვდები, და თუ იმისთანა გულიცა გაქვს, რომ უბედურს და გზა-კვალ-არეულს შეიბრალებ, ამისთანა სასაცილო ამბავი (ტაკიმასხრული, ლაზღანდრული — რედ.) უფრო ხშირად უნდა გატირებდეს შენა, თუ არა და იცინე, რამდენიც გენებოს. (II, 222).

404(2694). სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი.** (II, 79).

405(2695). სხვა რა უფლებაა ადამიანისა იმაზედ უცილო, იმაზედ სანატრელი, იმაზედ წმინდა და უძვირფასესი, რომ კაცმა კაცისაგან პა-

* ი. ჭავჭავაძეს ეს შეგონება აღებული აქვს ბიბლიიდან. მისი მეორე ვარიანტი, („სიტყვამან შენმან გამხილოს შენაო"). იხ.: III, 322; 388. (რედ.).

** ი. ჭავჭავაძეს ეს აფორიზმი აღებული აქვს „ევფხისტყაოსნიდან". (რედ.).

ტივისცემა, ღირსეულად და მართებულად მოქცევა ითხოვოს? სხვა რით არის ადამიანი სხვა ცხოველზედ წინ(წამომდგარი, თუ არ ამ ზნეობითის კანონით, რომ მეც კაცი ვარ, შენც კაცი ხარ, ერთმანეთის პატივისცემა გემართებსო? (III, 260).

406(2696). სხვა შენთვისაო და შენ სხვისთვისაო. (II, 114).

407(2697). სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავამხნევებ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო". (II, 124).

408(2698). სხვას ძირს არ დასწევ, თვით აღმაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ.* (I, 141).

409(2699). სხვის პირით ლაპარაკს ისეთი ზედმოქმედება არ ექნება, როგორც თავისით თქმასა. (VI, 90).

410(2700). სხვისა ნურა გინდა-რა, შენი იკმარე, — ეს არის კაცობა ურთიერთობის ქვაკუთხედი, ეს არის დედაბოძი ზნეობისა. (VIII, 132).

411(2701). სჯობს პირდაპირ ლაპარაკი, ღობე-ყორეს მოდებას. („ივერია", № 103, 1891, 2).

412(2702). „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა", ჩემო კარგო! (II, 73).

413(2703). ტრელოა ენათა ერიდეთ,
კაცი გიყვარდეთ ცნობილი,
ტრაბახთა ყოლა ნუ უსმენთ.
სიტყვა ნუ გინდათ გმობილი.** (II, 115).

414(2704). ტყუილი რა საკადრისია! (II, 293).

415(2705). ტყუილია სულთქმა, უში,
კაცი უნდა კაცად იყვეს,
სანთელსავით თვით დაიწვას
და სხვას კი გზას უნათვიდეს.*** (I, 180).

---

* ამ შეგონების პირველი ვარიანტია:
„სხვას ძირს არ დასწევ. თვით ამაღლდები,
არც სხვას ემონვი და არც იმონებ". (I, 478). (რედ.).

** შდრ. ეს სტროფი „ქილილა და დამანას" ორ ტაეპს:
„ტრელთა ენათა ეკრძალე, კაცი გიყვარდეს ცნობილი,
მაბეზღრათ ყოლ (ნუ უსმენ, სიტყვა ნუ გინდა გმობილი!" (რედ.).

*** შდრ.: „კაცი უნდა კაცად იყოს,
სანთელსავით თვით დაიწვას
და სხვას გზასა უნათებდეს".
ქართული ხალხური ლექსი.
პავლეაძე ამავე სტროფში იყენებს შ. რუსთაველის გამოთქმას:
„...სულთქმა, უში". (რედ.).

416(2706). უანგაროდ მივალთ წინა,
მარტო ის გვაქვს გულში ფიქრად,
რომ წინანი უკანასთვის
უნდა იქმნენ გზად და ხიდად..* (I, 63).

417(2707). უბუკ-ნალარის საქმეს, ჩუმსა და უჩინარს სასარგებლო ღვაწლს ხორცის თვალი ძნელად მისწვდება. აქ გონების მჭრელი თვალი უნდა, რომ თვალად მცირენი, მაგრამ კეთილნი საქმენი, რომელნიც გამუდმებულ შრომით ერთმანეთზედ განუწყვეტლად აკინძულია, ზედ-ნაკეცია, იცნას დიდის ზნეობის საქმედ და პატივისცემის ღირსად გაჰხადოს. (IV, 247).

418(2708). (უზნეო საქციელი — რედ.) ... შეუწყნარებელია ყოველ რიგიან კაცისაგან. („ივერია", № 59, 1897, 3).

419(2709). უთანხმოების მიზეზი ერთის ჭკუა კი არ არის და მეორის სისულელე, ერთის თვალხილულობა და მეორის სიბრმავე, არამედ სხვა რამ, რომელსაც პატივის-ცემა უნდა, ესე იგი, ღრმად დაკვირვება, გამოჩხრეკა და სხვა არა რა. მოქმედებაა თუ სიტყვა, ყოვლისფერს ამ გზით უნდა განჭვრეტა და განხილვა. სხვა ყოველივე უკადრისობაა, ლიტერატურული უწვრთნელობაა. (V, 312).

420(2710). უმადლონი სჯერდებიან მას, რაც(არის, იმიტომაც იმათში უფრო ბევრია ბედნიერნი, მადლიანნი კი ძნელად: ამათ ყოველთვის უკეთესი უნდათ იმიტომ, რომ კარგს უფრო კარგი მოსდევს თანა, .მჯობს მჯობი არ დაელევაო". — ნათქვამია** (II, 192-193).

421(2711). ... უმადურობა ჩვენი თვისება არ არის... ჩვენც ვიცით პირუთვნელად მადლობის გადახდა საზოგადო ასპარეზზედ მუშაკობისათვის. (V, 257).

422(2712). (უნდა ეცადო — რედ.) ...გულს ჟანგი მოაშორო კარგის ამბითა... (I, 178).

423 (2713). (უნდა ვეცადოთ, რომ — რედ.)... რაცა გვაქვს და რაც ხელიდამ გამოგვივა, ტყუილუბრალოდ არა ვფლანგოთ, სიფრთხილით და დიდის წინდახედვით გამოვიყენოთ იქ, საცა უფრო საჭიროა ფეხის მაგრად დადგომისათვის და წელში გამართვისათვის. (IV, 388).

424(2714). (უნდა ვეცადოთ, რომ ყველამ — რედ.)... პატიოსნურად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა. (X, 340).

425(2715). (უნდა ვეცადოთ, რომ — რედ.) ჩვენის გულუბრყვილობით არავინ ისარგებლოს. (X, 178).

---

* ამ სტროფში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო". (რედ.)

** ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

426(2716). უნდა შეიჭურვო ეაუკაცობითა, გული გაიმაგრო და არ დაემორჩილო უმზგავსოდ უბედობას. ამის მეტი აღარა დაგერჩენია რა. ესეც ნუგეშია ამ უნუგეშო გარემოში. (X, 312).

427(2717). უნდა ჩვენს კერძო სარგებლობას ცოტა რამ ჩამოვათალოთ და საზოგადო სარგებლობას, კეთილდღეობას შევსწიროთ. (IV, 340).

428(2718). უნებურს გემოს სჯობია
ნებითა უგემებანი". (IV, 222).

429(2719). ... ურცხვი კაცი უფრო ღონიერია, უფრო შემძლებელია პატიოსან და მორცხვს კაცზედ, რომელიც მარტო შეუგინებელ და პატიოსანს ფარ-ხმალს ჰკადრულობს სახმარებლად მტერთან და სხვა ყოველი სამართლიანად ეთაკილება, ეზიზღება. ურცხვი კაცი ღონიერიაო, რომ ვსთქვით, — ეგ იმას არა ჰნიშნავს, რომ გამარჯვებულიც იგია, და თუნდ გამარჯვებულიც იყოს, სამარცხვინო გამარჯვებას ისევ პატიოსანი დამარცხება სჯობია, როგორც ნაძრახ სიცოცხლეს — სახელოვანი სიკვდილი*". (VIII, 22).

430(2720). უსაფუძვლო წუნს ადამიანი უფრო ადვილად შეიფერებს (იგულისხმება ზნესრული ადამიანი — რედ.), ვიდრე უსაფუძვლო ქებას. (X, 130).

431(2721). „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძით მორცხვიც გაურცხვდება"**. (VIII, 101).

432(2722). უსწორ-მასწორობა ერთმანეთ-შორის, სხვათა შორის, უჯრა-უჯრად დაყოფის შედეგია; ვისაც კეთილი უნდა, ამ უჯრებს კი არ უნდა წაუმატოს; რაც არის, ისიც უნდა დაშალოს, დაარღვიოს და ქარს მისცეს. (VI, 48).

433(2723). უფროს-ერთი ადამიანი ისე გაივლის ხოლმე თავის ცხოვრების გზას, ისე დაჰლევს ხოლმე თავის სიცოცხლეს, რომ ერთხელაც არ ჩაახედებს თავის თვალს გულში იმის გამოსარკვევად, თუ რისთვის ვიყავ, რისთვის ვარ და რა გამიკეთებიაო. ესე მიდის და ილევა ცხოვრება ათასისა და ათიათასისა. მარტო ათასში ერთი თუ იქნება იმისთანა, რომ ამ ხვედრს არ ექვემდებარებოდეს და თავის-თავი განსაკითხველად თავის-თავისავე წინაშე დააყენებინოს, ანუ, როგორც რუსთაველი იტყოდა, გაეთავისწინებინოს. (IV, 227).

434(2724). უცდომელი არავინ არის და შესაძლოა საზოგადო მოღვაწე ბევრში ცდებოდეს, ბევრში არ ემარჯვოს, ბევრში იმედი გა-

---

* ი. ჭავჭავაძეს ეს შეგონება აღებული აქვს ძველი ქართული პოეზიიდან, (რედ.).

** ამ სენტენციაში ჩაქსოვილია შ. რუსთაველის ცნობილი აფორიზმი: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი". (რედ.).

*** ეს აფორიზმი („უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძით მორცხვიც გაურცხვდებისა"), დ. გურამიშვილისაა. (რედ.).

უმტყუნდეს და ამასთანავე შესაძლოა, რომ გული, ნამუსი, სინიდისი წმინდა ჰქონდეს, სურვილი, განზრახვა, გულისნადები პატიოსნად ერჩიოდეს. (VIII, 255).

435(2725). (ფული და ქონება — რედ.) ... თუ მეტია შენთვის, იმას მიეცი, ვინც მე და შენზე უფრო ღარიბია. (II, 47).

436(2726). ფულიანს უკეთურობას ჰსჯიბსა უფულო ღირსება. (X, 307).

437(2727). ქვეყანა იმისია, ვისაც ერთს ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი. (V, 122).

438(2728). ქება, ბატონებო, დიდი საუნჯეა და როგორც დიდს საუნჯეს, როგორც დიდს განძს ოქროსას და მარგალიტისას დიდი ვაფრთხილება და წინდახედული დახარჯვა უნდა. („ივერია", № 129, 1893,2).

439(2729). ქება და დიდება თვით ოქროსა და მარგალიტზე უძვირფასესია და ამიტომაც უფრო ძნელად გასამეტებელია. ეგ საუნჯე რომ უსაფუძვლოდ და ნამეტანობით იხარჯებოდეს, ფასი აღარ ექმნება. ეგ ძვირფასი ჯილდო საზოგადო მოღვაწისა თავის ძვირფასობას დაჰკარგავს, როცა გაიეფდება და ხომ მოგეხსენებათ: „ოდეს ტურფა გაიეფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირად"*. („ივერია", № 129,1893,2).

440(2730). (ქება და დიდება — რედ.) მეტისმეტის სიფრთხილით და ხელმოჭერით უნდა გაიცემოდეს. („ივერია", № 129, 1893, 3).

441 (2731). ქვეყანა სიღარიბეს გაუძლებს, ხოლო საცა ზნეობა აღარ არის, იქ არც ქვეყანაა, არც ერია. („ივერია", № 3, 1897,2).

442(2732). ქვეყანაზედ მარტო ღარიბმა იცის — რა არის შველა, რა არის ბმობა გაჭირვებაში. (V, 31).

443(2733). ... ქვეყნის წინაშე პირშავობას კიდევ ჩვენი საკუთარი უსიამოვნობა უნდა ვირჩიოთ. (X, 310).

444(2734). (ქვეყნისა და ერის სამტროდ, საზიანოდ მოქმედი ვაიმოღვაწე უნდა — რედ.). ... სამარცხვინო ბოძზე გააკრას კაცმა და სამართლიანის გულისწყრომით უთხრას: „შორს ჩვენგან! შენ არა ხარ ხორცი ხორცისა ჩვენისა და ძვალი ძვალისა ჩვენისა. შენ ჰღალატობ საზოგადო საქმეს, შენ ჰგმობ და აუპატიურებ ჩვენს ღირსებას, ჩვენს პატიოსნებას, გვარცხვენ შინაც და გარეთაც და... საზოგადო საქმეს ძირს უთხრი, პირქვე ამბობ, და ჩვენ გეწურთნი ცდუნებით და მოტყუებით ჩვენისავე ხელით ყელი გამოვიჭრათ. შორს, შორს ჩვენგან"!

ვინც... დღეს... ამას არ ეტყვის დამნაშავეს და მით მამულიშვილურ ვაჟკაცობას არ გამოიჩენს, მან გასცეს პასუხი ქვეყანას, მომავალს, თავის თავს, თავის სახლობას და თავის ცოლ-შვილს. (VII, 480).

---

* ეს აფორიზმი („...ოდეს ტურფა გაიეფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად"), ჭავჭავაძეს აღებული აქვს „ევფხისტყაოსნიდან". (რედ.).

445(2735). (ქვეყნისათვის სასარგებლო — რედ.) ... საქმეში საერთოდ პატივსაცემელი „ჩვენ“ უნდა ჰლაპარაკობდეს და არა მე, თუ შენ. (VIII, 64).

446(2736). ქორი ბუზს არა იკადრებს,
არცა სდევს საჭმლად ნდომითა,
სინღული მუმლის შეპყრობილ
ფრთებსა არ გაშლის ზომითა*. (I, 112).

447(2737). ... ღირსება, პატიოსნება... პატივაუხდელ ადამიანის უძვირფასეს და ხელშეუხებელს კუთვნილებას შეადგენს. (IX, 270).

448(2738). ... ღმერთია მოწამე, უსამართლობა არავისათვის ეაძიწევია. (II, 80).

449(2739). ... ღმერთმა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიკულისხმოთ, საცა შარტო ერთგვარი გუნდია ცოდვილი. (VIII, 98).

450(2740). ღმერთმა იცის — კაცურ კაცობისათვის რა უფრო საანატრელია, ხვეისის პურის ჭამა, თუ თავისისა გაცემა. (VIII, 133).

451(2741). ღმერთმა ნუ ჰქმნას დრო მოვიდეს,
ხილად ვხადდეთ პანტის ჩირსა**. (I, 123).

452(2742). ღმერთმა ყველას გონება და გული, სიკეთის შეძლება დაგვირიკა, ზოგს, მართალია, ცოტა, ზოგს ბევრი, მაგრამ ბევრს ბევრი მოეკითხება, ცოტას-ცოტა. (II,64).

453(2743). ღმერთო, დამიხსენ ქვეყნის ცოდვისაგან. (II, 154).

454(2744). ღმერთს ჩემთვის ალერსის ნიჭი და უნარი არ მოუცია და როცა მეტი გზა არ არის, რომ ალერსიანი სიტყვა უნდა ვუთხრა ვისმეს, მე თვითონ ვწითლდები. (X, 376).

455(2745). (ღმერთსა ვთხოვ, მომცეს — რედ.) ... იმოდენა დრო, რომ ჩემი კისრად აღებული საქმე შევასრულო პირნათლად და პატიოსნად. (X, 310).

456(2746). ყველა გონიერი და პატიოსანი კაცი დამეთანხმება, რომ ვარაუდობით განკითხვა ადამიანის სინიდისისა და ჩრქის მოცხობა დიდი უკადრისობაა და, კიდევ ვიტყვით, ადამიანის პიროვნების

---

* ეს სტროფი, რომელიც წარმოადგენს „ქილილა და დამანადან“ აღებული ერთ-ერთი კუპლეტის ილიასეულ ვარიანტს, გვხვდება ი. ჭავჭავაძის თხზ., სრ. კრებულის VIII ტომშიც (იხ. გვ. 274), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სიტყვა „ბუზს“ მაგივრად ნახმარია — „მყვარს“, ხოლო „მუმლის“ შეცვლილია მისი მრავლობითი ფორმით („მუმლთა“) (რედ.).

** შდრ. დ. გურამიშვილის გამონათქვამს: „დრო მოვა, რომ გატკბილდების, ხილად სჭამენ პანტის ჩირსა“. თითქმის იგივე ტაეპი („დრო მოვა და გატკბილდების, ხილად სჭამენ პანტის ჩირსა“), იხ.: III, 405 (რედ.).

უფლების სრული უარყოფაა. ეს არ უნდა ეპატიოს არავის, ვინც კი ამაში დამნაშავედ აღმოჩნდება. (V, 169).

457(2747). ... ყველა კაცი, თუ დაწესებულება მით უფრო მაღალია და ღირსეული, როცა კანონს თავის თავზე მაღლა დააყენებს და თითონ ქვეშ დაუდგება. ამაზეა დამყარებული კაცთა საზოგადოების ბედნიერება და დღეგრძელობა. („ივერია", № 110, 1892, 2).

458 (2748). ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილ-უბრალოდ არ გააქარწყლოს. (V, 326).

459(2749). ყველამ იქაური* ქუდი უნდა დაიხუროს, საცა შეეხიზნება, იქაური ჭირი და ლხინი გაიზიაროს, იქაურებთან ერთად ჩაებას ცხოვრების მძიმე უღელში და საერთო კეთილისათვის იღვაწოს. სხვა გზა, სხვა ფარ-ხმალი ტყუილ-უბრალო გულის ფხანვაა და მცონარე ენის ქავილია. სხვა რაღაცაების მოიმედე-ტყუილად ატყუებს თავისთავსაც და სხვასაცა. მის იმედებს დიდი მანძილი არა აქვს და არც თავის-დღეში ექნება**. (V, 175).

460(2750). ... ყველას გულის მოგება, ყოველიფერით სავსეობა, ყოვლად შეუძლებელია. (VIII, 276).

461(2751). ყველას გულში,— ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, — ღვთისაგან ანთებული ცეცხლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ რომ გვინდა პირნათლად შევეყაროთ ჩვენ გამჩენსა. (II, 59).

462(2752). ყველას თავისი კუთვნილი ღირსება აქვს... (VIII,342).

463(2753). ყველაფერი საღმრთოა, ჩემო ძმაო, რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დამწვარა... სანთელსავით და სხვისთვის კი გაუნათებია. (II, 62).

464(2754). (ყოველ საქმეში და ყოველ საგანზედ — რედ.) ... კაცმა თავისი პირუთვნელი, პირმიუხედავი აზრი უნდა წარმოსთქვას. (V, 231).

465(2755). ყოველთაგან დევნულმა სიღარიბემ... გვაჩვენა ჩვენ. რომ იგი უფრო სულ-გრძელია ძლევა-მოსილს სიმდიდრეზედა! („დროება", № 47, 1872,1).

---

* ი. ჭავჭავაძის რჩ. ნაწარმოებების (ხუთ ტომად) მე-5 ტომში (იხ.: თბ., 1987, გვ. 295), სიტყვა „იქაური"-ს მაგივრად არის — „აქაური", რაც შეცდომაა. (რედ.).

** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „სადაც წახვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო". (რედ.).

466(2756). ყოველი ამბავი და ნაამბობი ათასჯერ ასაწონია, ათასჯერ გასაზომი და ერთხელ ძლივად დასაჯერებელი*. (IX,275-276).

467(2757). „ყოველი მსგავსი მსგავსსა ჰშობსო“, ნათქვამია**. (III,79, 379, 455; IV, 145; V, 324; VIII, 128; IX,229).

468(2758). ... ყოველი ჩვენგანი იქამდინ უნდა განვითარდეს, რომ მის გონიერებას თავისი საკუთარი საზომი ჰქონდეს. (II,459).

469(2759). ყოველი ჭკვიანი კაცი, თავისის თავის მოყვარე, ნაშურის ახალუხზე ღილებ-გახსნილ სერთუკს არ ჩაიცვამს და იმავე დროს თავზე ფაფანაკს არ წამოიდებს. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 362).

470(2760). ყოველივე დიდი საქმე, ყოველივე ძლევა-მოსილობა, რითაც სამართლიანად ჰქადულობს და თავს იწონებს კაცობრიობა ქვეყნის გაჩენიდამ დღეანდლამდე... ღვთაებურს თვისებას რწმენისას უნდა მიეწეროს და სხვას არა-რას. („ივერია“, № 163, 1887, 1).

471(2761). ... ყოველმა კაცმა „ოფლითა თვისითა“ უნდა სჭამოს პური***. („ივერია“, № 274, 1891, 1).

472(2762). ყოველს ცუდს გამოაშკარაევება უნდა, საქვეყნოდ გამოფენა. (II, 459).

473(2763). შაბაშ კაცურო კაცობავ! („ივერია“. № 28, 1886, 4).

474(2764). შეიძლება ავ-კარგიანობის თქმასა და აღნუსხვაში კაცი შესცდეს და აქ გაბზილებაა საჭირო და არა განკიცხვა, — ავთან კარგსაც ერად უხსენებო. („ივერია“, № 78, 1897, 3).

475(2765). ... შეიძლება კაცმა თვითონაც იხვიროს და ქვეყანასაც არგოს რამე. (VII, 265).

476(2766). შენ წინ მოთქმა რას მიჰქვიან?
რას მიჰქვიან შენანება?
ჩემი გამკითხველი არი
ნამუსი და ჩემი ნება. (I, 200)

---

* აქ იგულისხმება ნაკლებად არგუმენტირებული, დამაჯერებლობას მოკლებული ნაამბობი. (რედ.).

** შდრ. შ. რუსთაველის აფორიზმს: „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“. ამ აფორიზმის სხვა ილიასეული ვარიანტებია:
„ყოველი მგზავსი მგზავსსა ჰშობს“ (იხ.: „ივერია“, № 28, 1886, 4);
„ყოველი მზგავსი მზგავსა ჰშობსო“ (იხ.: „ივერია“, № 72, 1897, 1; № 29, 1898, 1) და „ყოველი მზგავსი მზგავსისაკენ მიიზიდება...“ (იხ.: „ივერია“, № 72, 1897, 1). სხვათა შორის, აზრობრივად თითქმის ანალოგიური გამოთქმა აქვს დ. გურამიშვილსაც. („ყოველი წელი მშობელთა მზგავსი მზგავს ემზგავსებიან“). (რედ.).

*** შდრ.: „ოფლითა თქუენითა მოიპოვეთ პური თქუენი“ (საღმრთო წერილიდან) და „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა. შექმნათა 3.19“ (იხ.: ა. გელოვანი, „სიბრძნის სიმფონია“. თბ., 1989. გვ. 437). (რედ.).

477(2767). შენც იყავ და მეც მამყოფე, განა ბუნებური და სამართლიანი სურვილი არ არის? („ივერია", № 53, 1897, 2).

478(2768). შესაძლოა, ხორცი დაბერდეს, დაუძლურდეს, სული და გული-კი ისევ ჰყვაოდეს, ზეგარდმო მადლით შუქმოფენილი და მრავალფერად გადაშლილი, თუკი ადამიანი საკადრისად უპატრონებს, ადამიანურად მოუვლის, ხორცის მბრძანებლად გახდის და ხორცს არ გაალახვინებს... საქმე ის არის, ხორცთან ერთად არ დაგიბერდეს სული და გული, სულით და გულით ყოველთვის ჭაბუკი იყო, და მაშინ ფარიც ხელთ გექნება მოსაგერად და ხმალიც სატეერად. (LII, 374).

479(2769). შესაწირავის შეწირვას სულ-გრძელება უნდა განა მარტო შემწირველისა, არამედ იმის სულ-გრძელობაცა, ვინც შესაწირავის ნიმღებია. („დროება", № 260, 1884, 1).

480(2770). შეცდომა ყოველგან შესაძლებელია და ზოგჯერ მისატევებელი... („ივერია", № 138, 1893, 1).

481(2771). შეწყნარება დაჯერებას-კი არ ჰნიშნავს ფინდა თუ არა, არამედ პატივსა, რომლითაც უნდა მოექცეთ სხვის აზრს, თუნდაც თქვენს უსიამოვნოს, თქვენს წინააღმდეგს. პატივით მოქცევა კიდევ იმას ჰქვიან, რომ მთქმელს, თუ გამკითხველს საბუთი გაუჩხრიკოთ, საბუთი აუწონოთ თქვენს საკუთარს სასწორზე, ასე თუ ისე საკუთარი ფასი დასდოთ და მისაწყავი ისე მიუწყათ. ყოველად საკადრისი საქციელი გონება გახსნილისა და მართლა განათლებულის კაცისა სწორედ ეს გზაა და სხვა არა რა. ვისაც ეს არა სჭირს, ტყუილად თავსა სდებს განათლებაზე, ტყუილად აბრიყვებს თავისს თავსაც და სხვასაც განათლებული ვარო. 'იგი ყოველ გონება-დახშულზედ უარესია. („ივერია", № 29, 1898, 2).

482(2772). ... შიში კანონისა... ხშირად ადგილს უთმობს ხოლმე შიშს სირცხვილისას, განკიცხვისას, ძრახვისას და, ყბადაღებისას საზოგადოების მხრით... (VIII, 345).

483(2773). შურის-ძიებაზედ მე შორსა ვარ. (X, 29).

484(2774). შურს ისა სწყინს და გულს უკლავს, — სხვას ჩემზედ მეტი რადა აქვსო, ნატვრა-კი პატიოსნური სურვილია, მეც ის შევიძინო, რაც სხვას შეუძენია, მისდა სიკეთემდე, ღირსებამდე მივაღწიოო. შური ვერ იტანს სხვისა ღირსებას, ნატვრა-კი შეჰხარის. შური ებრძვის ღირსებას, ნატვრა-კი ეტრფის. (VIII, 99).

485(2775). ჩაგვრა ერთისა მეორისაგან არსად სასურველი არ არის. (VIII, 87).

486 (2776). ჩემთვის საკმაოა, რომ პატიოსანი კაცი ხარ. (II,478).

487(2777). ჩემი გრძნობები, როგორიც არ უნდა იყოს, ისე ძვირფასია ჩემთვის, რომ მათ არ ეხარჯავ... უბრალოდ. (X, 197).

488(2778). (ჩემი ვრძნობების — რედ.) ... გამოთქმა არ მიყვარს ხოლმე. (X,192).

489(2779). ... ჩემი ნაჯღაბნის ქება მე თითონ არ მიყვარს. (X, 332).

490(2780). ჩემი სიტყვა სიტყვაა. (ᲬI,362,383).

491(2781). ... ჩემი ღირსება დედაბუდიანად ერთს თხილის ნაჭუჭშიაც თავისუფლად მოთავსდება და თქვენ მიერ შემოთვლილს ქებადიდებას კი საძნე ურემიც ვერ დაიტევს. (X, 130).

492(2782). ჩემის ფიქრით, ქება-დიდება იმისთანა განძია, რომელიც ძალიან ძვირად და იშვიათად უნდა იხარჯებოდეს და თუ კაცი გაიმეტებს, იმოდენათ უნდა, რომ ზედ გამოჭრილი იყოს ქებულის ღირსებაზედ. (X,129-130).

493(2783). ჩვენ გაჭირებულს უნდა მოუმართოთ ხელი. („ივერია", № 103, 1891, 3).

494(2784). ჩვენ... დიდი პატივის მცემელნი ვართ ყოველ გვარ პრინციპისა. („ივერია", № 103, 1888,1).

495(2785). ჩვენ ეხლა უნდა ჩვენს ბედს დავჯერდეთ და რაც ვიკისრეთ, ის შევასრულოთ. სხვა გზა კაცურის კაცობისა არ არის. (X,320).

496(2786). ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების გატარება. (III,66).

497(2787). ჩვენი... ჩვენ უნდა შევასრულოთ... („ივერია", № 249, 1886,1).

498(2788). ... ჩვენი მწუხარება უბრალოდ გაუპატიურებულის გულის ცეცხლს ვერ გაანელებს: ეს ცეცხლი მეტად მწვავეა და დიდხანს ვაუქრობელი მისთვის, ვინც იცის, რა დიდი საუნჯეა ადამიანისათვის სიფაქიზე პატიოსნებისა და სიწმინდე ნამუსისა. (VIII,252).

499(2789). ჩვენი ჭირი ჩვენ რომ დავმალოთ, თვითონ ჭირი არა ჰმალავს თავის თავსა*... დამალვას ისევ გამჟღავნება სჯობია, — ეგება ღონე ხსნისა ვიპოვოთ. („ივერია", № 32, 1897, 1).

500 (2790). ჩვენის ფიქრით, ისევ გონებაკანუკითარებელი და ზნე-ხასიათ გაწურთვნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაკანეითარებული და ზნე-ხასიათ გაუწრთვნელი. (IV, 293-294).

501(2791). ჩვენის ჭირისა და ავის ცოდნაც ერთი დიდი დარგია თავის თვისის ცნობისა და ვინც თავისი ჭირი იცის, იგი საკურნებლად წამლის პოვნის გზაზედა სდგას და ვაი იმას, ვისაც ანდერძად დაუდვია თავისი ჭირი ან ჰმალოს, ან არ იცოდეს. („ივერია", № 78, 1897, 3).

---

* შდრ.: „რა გინდ რომე კაცმან მალოს, ჭირი თავსა არ დამალავს". დ. გურამიშვილი. (რედ.).

502(2792). ჩვენს გრძნობებს ფერუმარილი არა სჭირდება, ჩვენ გვჯერა და პატივსა ეცემთ ერთმანეთს — ეს უფრო დიდხანს გასძლებს, ვიდრე ყველა შორისდებული და შეძახილი ფერუმარილის წამცხებელისა. (X, 201).

503(2793). ჩვენს თავს არ ვაკადრებთ, ადამიანის სინიდისი — ეგ უძვირფასესი ზნეობითი განძი ადამიანისა — საქანელად გავიხადოთ. (V, 253).

504(2794). ჩვენს მდგომარეობაში კაცურად ცხოვრების წუთსაც კი თავისი შადლი და ფასი აქვს. (V, 345).

505(2795). ჩვენში მუდამ მოთავსებული და შეფერებული უნდა იყოს ორი რამ: ერთი, ზრუნვა ჩვენის თავისათვის და მეორე, საზოგადოების სამსახური, საზოგადო მზრუნველობა. სამწუხაროდ პირველი მუდამ გვახსოვს და მეორე-კი სრულიად გაყუჩებულია ჩვენში. („ივერია", № 125, 1893,3).

506(2796). ... ჩვენც გვინდა კუთვნილი და ღირსეული პატივი ვცეთ ჩვენთვის მშრომელთა. (V,280).

507(2797). ჩვენც კარგად ვიცით, რომ „მკლობს მკლობი არ დაელევა", მაგრამ აქედან ის კი არ გამოდის, რომ თავისთავად კარგს პატივი არ დაედოს. („ქუთაისი", № 4, 1969, 3).

508(2798). ჩვეულებად მიღებული მაქვს მოუმზადებლად არსად წავეჩხირო. (X, 161).

509(2799). ცალიერი ინჟენერობა, მკურნალობა და ადვოკატობა იმას არ მოასწავებს, რომ კაცი განათლებულია, კაცური-კაცია, ერის სულიერ ძალ-ღონის მანიშნებელია და ერთობ ბურჯია, რომელზედაც შესაძლოა ერმა თავისი ნატვრა პირველობისა და უპირატესობისა დაამყაროს. აქ, გარდა დიპლომისა, სხვა საფანელიც უნდა, და ვისაც ეს საფანელი ან არა აქვს, ან ძრაფრად შიაჩნია, იმან რაც გინდ კუსავით ფეხი გამოჰყოს და ხმამაღლა დღე ყოველ იყეიროს „მეც ნახირ-ნახირო", სასაცილოდ აგდების მეტ ვერას მოიხვეჭს-რა სხვათა ერთა შორის*. („ივერია, № 78, 1897, 1).

510(2800). ცამ რისხვით მკითხოს და დედამიწამ არ მიმიღოს, თუ ცოდვა რამე ჩვენს გულში ჩასახულიყოს. (II,94).

511(2801). ცნობით სარგებლობა, ანუ უკედ ეთქვათ, ცნობის გამოყენება და სხვისის აზრის შალვით დაჩემება სულ სხვა-და-სხვა საგანია და შუა უზისთ დიდი ზღვარი.** („ივერია", № 44, 1902,2).

---

* ამ სენტენციაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „კუმ ფეხი გამოყო — მეც ნახირ-ნახირო". (რედ.).

** ი. ჭავჭავაძეს ამ ფრაზაში „ვეფხისტყაოსნიდან" აღებული ტაეპის: „იგი სხვაა, სიძეა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი", ნაწილი აქვს გამოყენებული. (რედ.).

512(2802). ცოდნა არა ნაკლებ ხარბ ფულზე თავისს ღალას იღებს ქვეყნისაგან, თავისს ბეგარას ახდევინებს, თუ წინ არ უძღვის განათლებული გული, რომელიც მარტოა შემძლებელი ცოდნა მადლად აქციოს. („ივერია", № 75, 1897, 1).

513(2803). ... ცხადია, რომ ვერ-გამკითხველი თავის-თავისა სხვის განკითხვასაც ვერ შესძლებს. (IV, 229).

514 (2804). ... ძალიან კარგად ვიცით, რომ „რა ვარდმან თვისი ყვავილი გაახმოს, დაამჭკნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა"*. ეს ყოვლად მხსნელი წესი და რიგია ადამიანის წინმსვლელობისა და ქვეყნიერობის ბრუნვა-ტრიალისა. მაგრამ ისიც დასავიწყარი არ არის, რომ ზოგჯერ „ახალსა ნამუდრაგალსა ძველის სჯობიან ჩანჩალი"**. აი სად არის ის ბეწვის ხიდი, რომელზედაც გავლას საღი ჭკუა უნდა, მართალის სიყვარული და ვაჟკაცური გამბედაობა, ნამეტნავად ჩვენში, საცა უფროს-ერთი მარტო იმისათვის ჰთრთის და ჰძრწის, ბულვარის აკადემია რას მეტყვისო, მოიწონებს თუ დამიწუნებსო, ე. ი. ახლობაში ჩამომართმევს, თუ ძველობაშიო. ტკივილი ამაშია! (III, 294-295).

515(2805). (ძეირფას, საყვარელ ადამიანთან — რედ.)... მოშორება, მეცა ვგრძნობ, რომ ძნელია, მაგრამ როცა ეგ მოშორება საჭირო და აუცილებელია, მაშინ ვაჟკაცობა უნდა იხმაროს კაცმა, რომ ეგ მოშორება აიტანოს. (X,284).

516 (2806). ძლიერი ყოფილა უძალოდაც ადამიანის შვილი!.. (II,83).

517(2807). ძმობა, სიყვარული, როგორც ყოველი სხვა მადლი, სესხი და ვალიც არის ერთსა და იმავე დროს. თუ შენი ძმობა მე მმართებს, ჩემიც უნდა შენ გემართოს, თორემ ძმობა და სიყვარული მარტო ჩემი ვალი იყოს და შენი-კი—სესხი, ეგ სადაური სამართალი იქნება. („ივერია", № 72, 1897, 1).

518 (2808). ძნელია შენი ჭირიმე! ბრალიანი კაცი ყველაფერს აიტანს, რაც უნდა სატანჯველი იყოს. ვაი იმას, ვინც უბრალოა!... როგორც ცოფიანი ძაღლი, თავს შეიჭამს უბრალოდ სატანჯველს მოცემული კაცი. ვისაც არ გამოუცდია ეს დღე, იმან არ იცის — რა მწარეა. ღმერთმა ნურავის გამოაცდევინოს. (II, 104).

519(2809). წარამარად ბარბაცი საზოგადო საქმეში იქნება უსაქმო კაცისთვის სასაცილოც იყოს, მაგრამ საქმიანისათვის საწყენია. (V, 50).

---

* შ. რუსთაველის ეს აფორიზმი სწორად ასე გამოითქმის:
„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭკნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა". (რედ.).

** ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

520(2810). ... წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! (II,22).

521(2811). წესიერს ცხოვრებას უნდა მივეჩვევნეთ. როტშილდმა სთქვა ერთხელ: მდიდარი ის — კი არ არის, ვისაც დღეში ერთი მილიონი შემოსავალი აქვს და ერთ მილიონსა და ხუთ მანეთს—კი ჰხარჯავს, არამედ ის, ვინც ხუთს მანეთს იღებს და ოთხს ჰხარჯავსო. („ივერია", № 105, 1892, 2).

522(2812). წინ წასვლაში არ დავიხევთ,
არ გავწირავთ უკან რჩომილს:
ჩვენც ვიცით, რომ შველა უნდა
ულონოსა და დავრდომილს. (I,63)

523 (2813). წუნის დადება და ლანძღვა-თრევა შორის-შორია, შუა დიდი მანძილი უდევთ. (III, 264).

524(2814). ... ჭეშმარიტად განათლებული კაცი... ზნეობით მოვალეა ხალხს უკანვე დაუბრუნოს სამაგიერო მისი, რაც მისგან მიუღია. (III, 291).

525(2815). ჭეშმარიტი და გულ-მართალი პოლემიკა, ღირსი ღირსეულის კაცისა, არ უნდა გაშოეკიდოს სიტყვა-ნაკლებობას და ზოგჯერ აუცილებელ სიჩქარისაგან წარმომდგარი აზრთ დაუსრულებლობა ხელზედ არ უნდა დაიხვიოს მოპირისპირის სატევრად. („ივერია", № 145, 1887, 1).

526(2816). ჭეშმარიტი ლიბერალობა ის არის, რომ ჭეშმარიტება არავის წააწყმედინო, არავის ვაქელვინო, ბოროტს ბოროტი ამხილო, მსჯავრდაუდებლად არ შეარჩინო და, თუ საიმისოა, ცხვირიდამაც ძმარი ადინო. (VIII,101).

527(2817). ჭეშმარიტი ღირსება საქმითა თვისითა ჰღაღადებს მხოლოდ და არა ყვირილითა და დაფა-ზურნითა. (VIII,99).

528(2818). ჭეშმარიტს ღირსებას ყვირილი არ უნდა. მისი ბუნება და თვისება ის არის, რომ მით უფრო სასახელოა და საგულებელი, რაც უფრო მდუმარეა. (VIII,99).

529(2819). ჭირში გატეხა არ უნდა,
თუ კაცი გონიერია,
წავა და ყველგან დარჩება,
ქვეყანა ღონიერია.* (I, 122; X, 264).

---

* შდრ.: „არ ვარგა ჭირში გატეხა,
თუ კაცი გონიერია;
წავა და სხვაგან დარჩება,
სოფელი ღონიერია".
ქართული ხალხური ლექსი.

ამ სტროფიან ნაწარმოებია ქართული ხალხური ანდაზაც: „ქვეყანა ღონიერია, თუ კაცი გონიერიაო". (რედ.).

530(2820). ჭკვათმყოფელს კაცს... პირში კაპს ვერ ამოსდებენ, ვერ გააკმენდინებენ ხმას იმ უუწმინდაესს გრძნობას ადამიანისას, რომელსაც ეძახიან გრძნობას საკუთარის ღირსებისას. (VIII, 157).

531(2821). ჭკუიანი ვაჟ-კაცობაი ეგე არნ: სად ღონეი ვერ ღონობს, იქაიდ სგრსს ენუდენის. (II, 30).

532(2822). ჭკუიანი უცოდინარი თავმდაბალია, თავისი-თავი სხვაზე მეტი არა ჰგონია, არა ჰბაქიობს, არ იკვეხის, თითონ ზიზილ-პიპილებით არ ირთვება და სხვას ბრალში არ ახვევს. მან თავისი ყადრი და ადგილი იცის და სხვისაც, ერთნაირად მორიდებულია ყოყოჩობას, ზვიადობას და ნამეტნავად მეტიჩარობას, არაფერკითხე მოამბეობას. რაც იცის იმას სჯერდება, მეტზე ხელს არ იწვდენს, მეტს სიბრძნეს და ფილოსოფოსობას არ იჩემებს, ტყუილ-უბრალოდ გაბერილ ფრაზებით ლარის გატანას და მსმენელის თვალის ახვევას ჰთაკილობს და როგორც საამარცხვინო ოინებს ახლოც არ ეკარება. (VI, 241).

533(2823). ჭკუიანი უცოდინარი ყოველთვის თავისს ქერქშია, — რაც არ იცის, იმაზე სჯასა და ლაპარაკს ერიდება. რასაც გონება მისი უცოდინარობით ვერა სწვდება, იქ იგი მეტიჩარობას არა ჰკადრულობს, დუმილს უფრო პრჩეობს, სხვას უსმენს, სმენილს თავისის ჭკუის და გონების თვალწინ განკითხვით გაიტარებს, ასწონს-დასწონს და აშნაირად თავისს საკუთარს აზრს, ცოდნას გამონასკვავს, შეითვისებს. ამ ყოფით, თუ სხვა გზით, იგი ჯერ საგანს ისწავლის, გაითვალისწინებს, და მერე, თუ საჭიროება მოითხოვს, დაიწყებს სჯასა და საუბარსა (VI, 241).

534(2824). ჭორებს ჩემ დღეში არ გავმკლავებივარ და არც ოდესმე გავემკლავები — ეს მე უკადრისობად მიმაჩნია. (X, 121).

535(2825). ჭორიკანობაში გარევა მეჯავრება. (X, 271).

536(2826). ხალხის პატივის დაცვა დიდი საქმეა. („ივერია", № 6, 1877, 16).

537(2827). ხმელის პურის ჭამა სჯობია სხვისის ოფლით დამბალსა და დასველებულს. (VII, 139).

538(2828). (ხშირად — რედ.) განკიცხვა, ესე იგი გამოფენა ცუდისა, კი არ უნდა, კაცის აზრის განწმენდა უნდა. ესე იგი ყოველი ჩვენგანი იქამდინ უნდა განვითარდეს, რომ მის გონიერებას თავისი საკუთარი საზომი ჰქონდეს. აი მოედანი. იღვაწეთ, გულმტკივნეულნო გამკიცხველნო! (II, 459).

539(2829). ხშირია ხოლმე, რომ, როცა სული ჭლექდება — ხორცის დღეობა მაშინ არის, როცა სული ჰყვავის — ხორცი დნება. (II, 128).

540(2830). ჯერ სულის ღირსის ნატვრის ღონე და უნარი უნდა იყოს, მერე თვითონ ნატვრა. და მერე მისი გამტყუენება. (III, 131).

541(2831). Главное благоразумие. (X, 418).

542(2832). (Гуманное начало — რედ.). должно быть признаваемо лучшим приобретением человеческого прогресса в сфере нравственного совершенствования людских отношений. „ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრებული II, თბ., 1969, გვ. 241).

543(2833). ...далеко я не так слаб, чтобы неприятностей страшиться. (X, 404).

544(2843). За все, за все благодари или молчи. — Это может требовать лишь грубый властитель от раба, а не равноправный гражданин от гражданина, связанные между собою чувством единения и единодушия на пользу общую. („ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრებული II, თბ., 1969, გვ. 240).

545(2835). Знай... что и маленькие люди иногда способны на великие дела. (X, 445).

546(2836). Как и лестно для меня Ваше мнение о моем значении среди грузин, но я позволю себе доложить Вам, что пъедестал, на который Вы меня возводите, слишком высок и недосягаем для моих слабых сли. („ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრებული II, თბ., 1969, გვ. 236).

547(2837). ...как-то лучше, когда знаешь, что письмо читается только тою, к которой адресовано. (X, 435).

548(2838). когда разлучиться (с любимым человеком — ბ. ბ.) необходимость требует, надо стать выше привычки, надо ее себе подчинить и отнюдь не делаться ее рабом. (X, 457).

549(2839). Людских отношений невозможно основывать на безнравственном начале и дело, исходящее от нарушения нравственных принципов, впрок не пойдет. (X, 447).

550(2840). Мне кажется ... что ... всего одна вера надобна, одно убеждение, что можно быть и без богатства счастливыми, — остальное все снесется. (X, 432).

551(2841). Мои чувства, каковы бы они не были, так мне дороги, что на трачу их... легко. (X, 417).

552(2842). Моя натура так построена, что в... простых, без спеси надутых смертных, я всегда предполагаю гораздо меньше грязи и побольше здравого смысла, чем в некоторых господах, в которых течет в спеси запекшаяся кровь наследственного благородства. (X, 439).

553(2843). На то Бог дал чувства, чтоб ими согревать нашу жизнь, и чтоб во имя их бороться и побеждать. (X, 441).

554(2844). Надо дело довести до конца. (X, 249).

555(2845). Наши чувства в румянах не нуждаются, мы верим друг другу и уважаем — это гораздо прочнее, чем все междуметия и восклицания румяно-мазов. (X, 420).

556(2846). Неужели уж я так негоден, что трудами не заработаю насущный хлеб. Далеко... я не таков. (X, 415).

557(2847). Ни пред какими средствами не остановлюсь, чтобы довести до сведения общества и кого следует возмутительный факт попрания законов если они кем бы то ни было будут попираться... („ისტორიიდ მოამბე", ტ. 3, თბ., 1947, გვ. 192).

558(2848). (Постарайся так жить — ვ. ვ.) ...чтобы впросак не попасть. (X, 402).

559(2849). Скромная роль моя, проявляющаяся в попытках моих быть чем-нибудь полезным народу, обретшему, после стольких тревог, терзаний и опустошений, свое спокойствие и возможность мирного развития под сенью могущественнейшей державы в мире, далека от того высокого значения, коим обыкновенно порождается властное влияние на умы людей. Прошу верить мне, что это я говорю не из ложной какой-то скромности, но из глубокого убеждения в слабости моих сил и незначительности моих заслуг. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II. თბ., 1969. გვ. 236).

560(2850). у людей есть еще совесть, требования которой выше требований законов гражданских. (X,447).

561(2851). Что значит богатство; Оно хорошая вещь... — против этого я ни слова не скажу, — но оно не есть еще необходимое условие счастья: без него счастье очень легко обходится и обойдется, если мы не перестанем быть людьми, которые прежде всего должны искать удовлетворение своей нравственной стороны. (X, 422—423).

562(2852). Я бы благодарил Бога за свою судьбу, если бы плоды моих трудов дали мне право утешиться сознанием исполненного долга пред моею родиною, которую чту и люблю, но увы, я далеко и от этого. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული VI, 1969, გვ. 236).

563(2853). Я их (своих чувств — რედ.) высказывать очень не люблю. (X, 413).

564(2854). Я не из тех умеренных натур, мой друг, — или все, или ничего! — для меня середины нет. (X, 430).

565(2855). Я не люблю влажных и слезливых фраз, я не люблю говорить о своих чувствах, мой друг, — это только в ро-

манах бывает и то в глупеньких романицах французского издания. (X, 403).

566(2856). Я сам себя предназначил бедности и труду. (X, 401).

567(2857). Я слишком себя уважаю, чтоб не позволить заливать грязью то, что мне всего дороже, т. е. мои чистые чувства и честные намерения. (X, 422).

568(2858). Я так счастливо создан, что если счастье меня может оживить, зато несчастье — не может убить меня, может, пожалуй, и пошатнуть, но с ног свалить — никогда. (X, 425).

15. სიხარულის, სიყვარულის, სიკეთის, ბედნიერების, მშვენიერების, სათნოების, მეგობრობის, ერთგულების, თანაგრძნობის, კეთილშობილებისა და იმედიანობის შესახებ

1(2859). აბა, ერთი იფიქრე შენ, ჩემო კარგო და გულითადო მეგობარო, ისეთი რა უნდა მაწყინო, რომ გულში ჩასარჩენი იყოს და იმავ წამსვე წყალს მისაცემი არ გახდეს ჩემგან? (X, 377).

2(2860). აბა... ექიმს სად შეუძლია მიხვდეს, თუ რა სენია ეს სენი, რომელსაც ზოგჯერ ბედნიერებას უწოდებენ. (X, 187).

3(2861). ადამიანები... კმაყოფილებაში ხედავენ ბედნიერებას. (X, 229).

4(2862). (ადამიანურ — რედ.)... სითბოსაც მხოლოდ ჭეშმარიტად ნაგრძნობი გული იძლევა. („ივერია", № 229, 1886, 3).

5(2863). ადამიანურმა გულმტკივნეულობამ რომ ერთი... ცოდვილიც შეიწყნაროს და ბოროტს გადაარჩინოს, ისიც დიდი მადლი იქნება. (VIII, 346-347).

6(2864). ამხანაგმა ამხანაგის ძვალი არ უნდა გასტეხოს.* („ივერია", № 37, 1889, 2).

7(2865). არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედ-ღა ეღირებოდა?.. (II, 22).

8(2866). ასი სიკვდილი ვერ მომიკლავს ერთ სიყვარულსა.
ყველა გაუქმდა! აღარა მაქვს მე მომავალი!..
თუ ის არ არის, აღარც არის ცხოვრების ალი. (I, 348-349).

9(2867). (ალტაცების გამოსახატავად, ხშირად — გ. გ.) კალამი ულონოა, სიტყვა ადამიანისა უქმია... („ივერია", № 110, 1890, 1).

10(2868). ...ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!.. (II, 40).

11(2869). ბედნიერება, იცი როდის არის ძვირფასი? როცა მას ბრძოლით ჰპოვებ, ტანჯვით, იყიდი, როგორც პოეტები ამბობენ ხოლმე. (X, 229).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ძაღლი ძაღლის ძვალს არ გატეხსო". (რედ.).

12(2870). ბევრჯელ ისეთი შემთხვევა მოხდება, რომა არ შეგიძლიან ხმა არ ამოიღო. იქნება თქვენ არ შეგეხებოდეთ ვისიმე მოქმედება, მაგრამ მეგობრის გულისათვისა არ დაიზოგამთ თავსა. (ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 308).

13(2871). განა ყვავილის ჩრდილი თვით ყვავილს რითმე ედრების? (I, 345).

14(2872). გაუგებარია მოძრაობა უმანკო გულისა!.. (II, 533).

15(2873). (გრძნობა თანადგომისა, სიყვარულისა და გულისტკივილისა — რედ.) ამშვენებს ადამიანს. (X, 138).

16(2874). გრძნობაც ერთი დარგია ცნობადობისა, და საჭიროა — როცა ჭკუა მოკლებულია შეძლებას, გაიგოს რამე. (X, 465).

17(2875). გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკვდე უნდა. (II, 253).

18(2876). გული თურმე სამარემდე გულად ჰრჩება. (I, 194).

19(2877). გულის სილბო სიტურფეა,
თუ კაცია სხვაფრივ ლომი. (I, 189).

20(2878). გულს ნუ გაიტეხ... (X, 316).

21(2879). გულუხვობას წონა არა აქვს. (X, 306).

22(2880). დასწყევლოს ეშმაკმა, რა მოსაწყენია, სურვილი გქონდეს ერთად ყოფნისა და შესაძლებლობა კი არა! (X, 192).

23(2881). დაულოცავადაც შეიძლება ბედნიერად ცხოვრება. (X, 231).

24(2882). დაფარული მეგობრობაში არა უნდა იყოს რა. (X, 348).

25(2883). დიდი გულისთქმა, ჭეშმარიტი გრძნობა მუნჯია, უტყვია და პატარა კი — ყბედი და ლაქლაქა. (III, 172).

26(2884). დიდი საქმეა... ღვთისნიერი გულშემატკივრობა. (II, 67).

27(2885). დიდს სიხარულს ხშირად ცრემლი მოჰყავს და პატარას კი — ღიმილი. (III, 172).

28(2886). ეგ (სიყვარულის — რედ.) ამამაღლებელი, ციური ცეცხლი იმოდენა წმინდა არი, რომ თავის სადგურად არ ამოირჩევს არა დროს უწმინდურსა გულსა. (II, 533).

29(2887). ერთხელ მეც, ძმანო, მეც მყვარებია,
გული წმინდა ალით მეც აღმნთებია,
რა მას ვუყვარდი და მეც მიყვარდა,
ცხოვრება ჩვენი ბევრს კარგს გვიქადდა. (I, 281).

30(2888). (ესთეტიკური — რედ.). ...ვრძნობა უზენაესს სიტკბოებას ეძებს ყველგან, სიცილი იქნება, თუ ტირილი, ბოროტი იქნება თუ კეთილი. ამ გრძნობისათვის ზარდამცემი ბოროტებაც ისეთივე მშვენიერებაა, როგორც გულწარმტაცი კეთილი. (III, 118-119).

31(2889). ვაი იმას, ვისაც ჩემებრ სცემია
გულს ისარი უიმედო ტრფობისა!.. (I, 102).

32(2890). ვინც სიძულილი არ იცის, მას სიყვარულიც არ ეცოდინება. (II, 454).

33(2891). ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს
ყოვლად ძლიერი მშვენიერება!..
თქმულა — მხეციც კი გააფთრებული
მის წინ დატკბება და დაწყნარდება. (I, 213).

34(2892). ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი — ეგ აშკარაა. (III, 69-70).

35(2893). თვით ბედნიერებაც რა არის, თუ არ ხანგრძელი გრძნობა დაკმაყოფილებულ გულისა. (II, 507).

36(2894). თვით სიხარულიც, მით უმეტეს მოულოდნელი, ხომ დამათრობელი ბანგია. ზოგჯერ ღვინოზე მეტად არყევს, თუ კი კაცი არ არის მას შეჩვეული. (X, 235).

37(2895). „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეობსო", ნათქვამია.* (II, 318).

38(2896). თუ არ სიზმრით, მაშ რით დასტკბეს
უიმედო სიყვარული!.. (I, 59).

39(2897). (თუ გწამს ჭეშმარიტება მეგობრობისა — რედ.). მაშ რატომ არ უნდა უთხრა მეგობარს, რა გწყინს, რა ვიხარია. (X, 187).

40(2898). თუ სიყვარულია... ღმერთმა ბედი მისცეს... (II, 275).

41(2899). თუ შენ (მამაო წმინდაე — რედ.) შეგვქმენ ჩვენ, მოგვენიჭი სიყვარულისა. (I, 350).

42(2900). თუ შენ ჩემი ხარ და მე შენი, რად უნდა ჩვენში დასამალავი იყოს რაიმე? (X, 180; 404).

43(2901). თუმცა უწინდელი ესტეტიკები მოგახსენებენ, რომ მშვენიერ ტანში მშვენიერი სულიც არისო, მაგრამ ჩვენ ხშირად ვხედავთ წინააღმდეგს. მშვენიერებაში თვითონ მშვენიერება არის უცილობელი. მარტო ფორმა ყალიბი არ შეიქმს მშვენიერებას. იგი შედგება ხოლოთ მაშინ, როცა ყალიბი და ის, რაც ყალიბშია ჩამოსხმული, ურთიერთს ეთანხმებიან. ფორმა უნდა თანა ხვდებოდეს იდეასა და იდეა ფორმასა. (ილია ჭავჭავაძე, თხკ ოც ტომად, II, 650).

44(2902). თქვენ რომ როდისმე გაგჭირებოდათ, მაშინ შეიტყობდით — მწუხარისათვის, იმედ-გადაწყვეტილისათვის ცარიელი სიტყვა, თუ ნამეტნავად იმ სიტყვაში გულის სითბო და სიმართლეც ურევია, მაშინ შეიტყობდით, — ის ცარიელი სიტყვა რა ტკივილის დამყუჩავი

---

* ნ. ბარათაშვილის ეს შეგონება („თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეობს"), იხ. აგრეთვე: III, 211. (რედ.).

რამ არის!.. ასე გგონია, იმ სიტყვებმა ნახევარი ნაღველი თან წაიღესო, ისეთი ლოდი აგეცლება გულიდამ. (II, 67).

45(2903). იმედი გაბედულობის ნიშადურია. (II, 364).

46(2904). იმედი, იმედი და კვლავ იმედი!.. (X, 320-321).

47(2905). იმედით ვცოცხლობთ. („ივერია", № 114, 1891, 3).

48(2906). ...იშრომე. — და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვნაში, რომ მარტო უბედურთ უნდა შველა და არავის სხვასა. (X, 46, 575).

49(2907). იცოდეთ... სიყვარულისა და ერთგულების მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთ... ადამიანები ამ ორი რამითაც არიან ბედნიერნი. (X, 176).

50(2908). კარგის საქმის დამთესს
ბევრი რამ მიეტევება.
რაც არის, კიდევ ეგ არის
ჩვენში ხელმოსაკიდია... (I, 92).

51(2909). კარგმა მეგობრობამ კიდევ ეს იცის, რომ რაც მოხდება, ურთიერთს პირში უნდა უთხრან და მოურიდებლად. (X, 348).

52(2910). კაცთა საზოგადოება თავისის სიმკვიდრისა, შეურყეველობისა და არსებობისათვის ყოველ ცალკე ადამიანისაგან ითხოვს იმოდენა სათნოებას, რომ ნაკლები შეუძლებელიაა კაცთა კრებულად ცხოვრებისათვის. იგი გვეუბნება, თუ ერთმანეთობა გინდა, თუ კრებულად ყოფნა გსურს ამა-და-ამაზედ ნაკლები სიმართლე არ იქონიო, ამა-და-ამაზედ ნაკლებ გულმოდგინედ და ერთგულად არ მოეკიდო შენს მოვალეობას, ამაზედ ნაკლები თანაგრძნობა, თანაზიარობა ერთმანეთობაში არ დაიზარო, ამა-და-ამაზედ ნაკლები საყოველთაო ტვირთი არა ჰზიდო და... სხვა. (IV, 224).

53(2911). კაცის ბედნიერება ისეთი ძვირფასია, რომ... წერილმანის წესიერებით არ უნდა შებრკოლდეს. (II, 463-464).

54(2912). კაცო, გიყვარდეს!
ცათ შთამომძახეს,
როს ჭათ დამბადეს.
ყველგან ეგ სიტყვა
ლამპრად წინ მიმყვა
და ქვეყნად ჩემს სელას
სცემდა წმინდ ნათელს.
მისთვის გეტყვი ძმას:
შენცა გიყვარდეს!.. (I, 18).

55(2913). კეთილი იმისთვის არის კეთილი, რომ იმის მისაღებად არავითარი მომზადება არ უნდა: ყველას მოუხდება, ყველას არგებს. (VII, 376).

56(2914). (კეთილშობილი — რედ.). კაცის სიტყვა მწუხარებას შუაზედ გაარღვევს და აბრეშუმის ხელსახოცსავით ლბილად მოსწმენდს ოვალიდამ ცრემლსა. (II, 68).

57(2915). ლამაზი გოგო და ლამაზი ბიჭი — სხვა რა უნდა სიყვარულს? (II, 312).

58(2916). მაგრამ მაინც იმედია,
თავ-ხედ გასდონ წკირი, ჩხირი. (I, 123).

59(2917). მართალი უთქვამს, ვინც სთქვა, რომ ორი ნაირი სათნოებაა ქვეყანაზე ადამიანის ღირსების აღმნიშვნელი: ერთი უქმი, რომელსაც მოსდევს არა ქმნა ბოროტისა, მეორე მომქმედი, რომელსაც მოსდევს ქმნა კეთილისა. პირველი მაგდენი ვერაფერი ღვაწლია. სადიდებელი კაცისა მეორე სათნოებაა. („ივერია", № 103, 1898, 2; „ცნობის ფურცელი", № 537, 1898, 3).

60(2918). მართალია, განათლება უცოდნელად ძნელად საგულვებელია. მაგრამ მარტო ცოდნა განათლება არ არის. ცოდნა მარტო ჭკუაგონების თვალის ახილებაა და განათლება — კი მასთან ერთად გულისაცა, რომელიც სათნოების სადგურია. ცოდნა თუ ცხოვრების გზას გვინათებს, სათნოება გვითბობს. („ივერია", № 75, 1897, 1).

61(2919). მართალს ვაჟკაცს ის ამშვენებს,
როცა გულითაც ლბილია;
რკინის კაცის თვალში ცრემლი
დიდსულოვნობის შვილია. (I, 189).

62(2920). მართლის თქმაა ერთგულება. (I, 184).

63(2921). მარტო მშვენიერთ სულთა კავშირი ჰშობს სიყვარულსა, ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსაო.* (III, 211).

64(2922). მარტო... საერთო სიყვარულით გამსჭვალული კაცია უძლეველი და გამარჯვებული. ღმერთიც ამისთანა კაცსა სწყალობს და ქვეყანაც ამისთანა კაცის სახელს ჰლოცულობს, რადგანაც საქვეყნო საქმე ამისთანა კაცებისაგან ჰრიგდება და კეთდება. (V, 340).

65(2923). მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც-კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე. (V, 34).

---

* ნ. ბარათაშვილის ეს აზრი, თვით ავტორის მიერვე, ლექსად შემდეგნაირად არის გამოთქმული:

„მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა შობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა".

დიდი ქართველი პოეტის ზემოაღნიშნული ფრაზა შეტანილია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც". (იხ. III, 886), სადაც მის ავტორად მითითებულია ი. ჭავჭავაძე. რაც, ცხადია, შეცდომაა. (რედ.).

66(2924). მარტო სიყვარულით გაძლიერებულის ხალხით შეიძლება იმისთანა სასწაულები მოახდინოს სახელმწიფომ, რომლის მაგალითები ბევრია ისტორიაში და რომელიც დღესაც გვიკვირს და გვაოცებს. საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღურაა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია... (V, 34).

67(2925). მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის. (V, 34).

68(2926). მე არა ვპოვებ მშვენებასა იმ არსებაში,
სადაც არა სცემს ძარღვი, ძალა უკვდავებისა... (I, 349).

69(2927). მე იმედი მაქვს, შენში ვპოვო დასაყრდენი და შენც იგივე ეძიე ჩემში, — გეფიცები, ყველაფერი რიგზე იქნება. (X, 195).

70(2928). მე მყვარებია, კიდეც მიყვარს და მეყვარება. (I, 348).

71(2929). მეგობარმა მეგობრისათვის დიაღ უნდა ამოიღოს ხმა. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 308).

72(2930). ნერწმუნე, როგორც ვხედავ, სიყვარული ცუდი რამ ყოფილა, თავის მსხვერპლთან ხუმრობა არ ჰყვარებია. (X, 192).

73(2931). მეცა ვწუხვარ უშენობას, მაგრამ ვითმენ მწუხარებასა. (X, 290).

74(2932). მზე რად უზამს იმოდენას დამზრალს ყვავილსა, რაც ობილი სიტყვა დაჩაგრულს გულსა!.. ოო!.. დიდი რამ არი!.. დედამიწის ზურგი იმით აყვავდება ხოლმე, წუთის-სოფლის ცხოვრება იმითი მოისხამს ყვავილსა! (II, 68).

75(2933). ბინამ ჭკუა იტყვის, ჭკუა ურჩევს, გულმა იცის რა ჰქმნას. (II, 295).

76(2934). (მიჯნურებსა — რედ.). გთხოვთ, ეს ერთი დაიმახსოვრეთ: არავის არ უთხრათ არაფერი, არავის ენდოთ. (X, 175).

77(2935). (მიჯნურმა უნდა იცოდეს, რომ—რედ.) ადამიანები ყოველთვის ბოროტნი არიან, ძნელად თუ ვინმემ დაფაროს საიდუმლო. (X, 175).

78(2936). მშვენიერებაში ისმის ფშვენა დიდის შემოქმედისა, რომელსაც უებრო სიბრძნე ასულგრძელებს — ფორმას, ცოცხალ და შესაფერ სულთა, მეტყველთა შემოქმედის დიდებაზედ. სადაც ფორმაა და არ არის შესაფერი იდეა, იქ მშვენიერებაც არ არის. აი რით აიხსნება ის, რომ ვხედავთ ხოლმე მშვენიერს და ზოგი მათგანი არამც ოუ მიგვიზიდავს ჩვენ, სრულად განირიდებს ჩვენს გულს ხოლმე, იმიტომ, რომ უახლოვდებით მას რამთვენსაც, იმდენს უფრო და უფრო ერწმუნდებით, რომ სული და ტანი შეუსაბამოდ შეკავშირებულან. (ილია ჭავჭავაძე, თსკ ოც ტომად. II, 650).

79(2937). მწამს, რომ ჰქონია
თვისტომობა სულთან სულსა. (I, 65).

80(2938). მწყურვალის წამალი წყალიაო.* ბატონო, ეგ ხომ ვიცით. გულის ფრიალის წამალი გვინდა, გულის ფრიალის! (V, 58).

81(2939). მხოლოდ ურთიერთობრივი თანხმობა, შეწევნა ჰბადავს ნამდვილ ბედნიერებას და სიმდიდრეს, როგორც მთელის ხალხისას, ისე კერძო კაცისას. (IV, 339).

82(2940). მხოლოობა და სრული, სავსე ბედნიერება,
ურთიერთთანა არა-დროსა არ შეთანხმდება! (I, 351).

83(2941). ნავთ-საყუდარი ჩვენი ეხლა მარტო იმედია კეთილის საქმის შესრულებისა და სხვა არარა. ეგრემცა იყოს ამიერიდგან უკუნისამდე!.. (X, 321).

84(2942). ნეტარ არს იგი, ვისიც დიდება მხარს უმშვენებს სათნოებას და სათნოება — დიდებასა. (IV, 269).

85(2943). ნუ იტყვი, შვილო! ეს ქვეყანა ბაღია ღვთისა,
არ დაილევა მასში ვარდი მჯობი მჯობისა,
და მშვენებაზედ უფრო მჯობი მშვენიერება.
ეგრე ყოფილა, ეგრე არის, ეგრე იქნება! (I, 349).

86(2944). ნუ სტირი, ნუ! ღმერთს მიენდე და კაცის სიკეთესა. (II, 66).

87(2945). ნუ უღალატებ ძველს ამხანაგსა. (I, 15).

88(2946). ოღონდ-კი ხალისი იყოს. (VIII, 56).

89(2947). პირად მხურვალე სიყვარულს ხშირად სხვა სარჩული უდევს ხოლმე ქვეშ. (V, 52).

90(2948). რა გინდ ტკბილ იყოს თავისუფლება,
მათგან** უფრო ტკბილ არს დამონება! (I, 17).

91(2949). რამოდენათაც კაცს ვრცელის გრძნობის დატევა შეუძლიან გულში, იმოდენად იგი დიდია. (X, 290).

92(2950). რაც სითბო-სინათლეა ბუნების სიცოცხლისათვის, ის სამართალი — სიყვარულია კაცთა კრებულის ცხოვრებისათვის. („ეგერია", № 49, 1897, 1).

93(2951). რისთვის მიყვარხარ? მისთვის, რომ შენს თვალს
ჩემ გულის ალი არ უდნობს ცრემლსა;
მისთვის მიყვარხარ, რომ მაძლევ ტანჯვას
და იმ ტანჯვაში სრულ სიცოცხლესა. (I, 34).

94(2952). რისთვის მიყვარხარ, მისთვის რომ ცრემლსა
ჰბადავს ჩემს თვალში ეს სიყვარული;

---

* ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

** მიჯნურის შაეი, მწველი თვალებისაგან. (რედ.).

ᲩᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲠᲝᲛ ᲛᲢᲐᲜᲯᲕᲔᲚᲡ ᲩᲔᲛᲡ ᲐᲕᲡᲐ ᲑᲔᲓᲡᲐ
ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲐᲓ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ ᲔᲡ ᲒᲣᲚᲘ. (I, 34).

95(2953). (ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲒᲣᲚᲬᲛᲘᲜᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲣᲗᲕᲘᲗᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ — ᲠᲔᲓ.) ᲘᲒᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲤᲔᲮᲘ ᲐᲣᲓᲔᲒᲐᲡᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲙᲘ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲣᲮᲘᲚᲔᲑᲘᲐ. ᲔᲡ ᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲬᲐᲓᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲯᲔᲠ ᲔᲔᲠ ᲣᲐᲠᲝᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲔᲗ-ᲘᲥᲘᲗ ᲓᲐᲐᲥᲕᲡ ᲐᲤᲝᲠᲘᲐᲥᲔᲑᲣᲚᲡ ᲒᲣᲚᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲦᲔᲚᲕᲔᲑᲣᲚ ᲬᲧᲐᲚᲡ ᲨᲗᲝᲓᲐᲛ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲧᲐᲚᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ, ᲡᲐᲓ ᲒᲐᲐᲩᲔᲠᲔᲑᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲡ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ. ᲘᲡᲔᲪ ᲐᲩᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲒᲣᲚᲛᲐ, — ᲡᲐᲓ ᲐᲣᲩᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲡ ᲑᲠᲛᲐᲓ ᲛᲝᲐᲠᲣᲚᲡ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲡᲐ. (III, 139).

96(2954). ᲠᲝᲛ ᲑᲔᲓᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲨᲔᲜ ᲫᲕᲐᲓ ᲛᲘᲒᲐᲩᲜᲓᲔᲡ —
ᲔᲒ ᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲐ,
ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲙᲐᲪᲡ ᲘᲡ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲔᲡ, —
ᲔᲘᲜᲪ ᲑᲔᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲘᲐᲐ! (I, 164).

97(2955). ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲜ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲮᲐᲠ, ᲨᲔᲜᲘ ᲤᲐᲡᲘ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲪᲝᲢᲐᲡ ᲛᲝᲒᲨᲝᲠᲓᲔᲑᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲕᲘᲢᲧᲝᲑ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲠᲐ ᲐᲣᲜᲯᲔᲪ ᲛᲐᲙᲚᲘᲐ. (X, 282-283).

98(2956). ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲖᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ... ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲡ,
ᲘᲥ ᲫᲐᲚᲣᲫᲡ ᲙᲐᲪᲡᲐᲪ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ. (I, 133).

99(2957). ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲢᲙᲑᲝᲑᲘᲡᲐ, ᲘᲥ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘ; ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲯᲕᲔᲐᲐ. (II, 533).

100(2958). ᲡᲐᲗᲜᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐ-ᲫᲛᲣᲠᲐᲓ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲚᲘᲐᲜ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ-ᲫᲛᲝᲑᲐᲖᲔ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲜᲘ, ᲣᲢᲙᲑᲘᲚᲔᲡᲜᲘ ᲓᲐ ᲣᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲡᲜᲘ ᲓᲐ-ᲫᲛᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. (IV, 269).

101(2959). (ᲡᲐᲗᲜᲝᲔᲑᲘᲡ — ᲠᲔᲓ.) minimum-ᲖᲔᲓ. ᲐᲛ ᲮᲐᲖᲖᲔᲓ ᲓᲒᲝᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝᲐ. ᲮᲝᲚᲝ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲛ ᲮᲐᲖᲡ ᲫᲘᲠᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲡᲪᲘᲚᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲖᲔ ᲐᲡᲪᲘᲚᲓᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲓᲐᲛᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲪᲝᲓᲐᲕᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲯᲔᲑᲐ ᲡᲐᲖᲝᲗᲐᲓᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜᲔᲕᲔ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲓᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲐᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲐᲠ-ᲓᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲙᲐᲪᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲖᲝᲗᲐᲓᲝᲑᲐ, ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲡ, ᲓᲐ ᲖᲔ-ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲙᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲕᲔᲣᲚᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲖᲔᲓ ᲡᲢᲝᲕᲔᲑᲡ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲙᲐᲪᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲜᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲓᲐ ᲨᲔᲣᲑᲚᲐᲚᲕᲔᲚᲘ ᲜᲔᲑᲐᲪ, ᲔᲡ minimum-ᲘᲡ ᲡᲐᲗᲜᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲘᲥᲝᲜᲘᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲔᲢᲘ. ᲐᲛ ᲮᲐᲖᲖᲔᲓ ᲖᲔ-ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ, ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ ᲐᲛ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ, ᲒᲐᲜᲓᲘᲓᲔᲑᲐ, ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ, — ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ: ᲘᲒᲘ ᲦᲕᲐᲬᲚᲘᲐ, ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲐ, ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘᲐ, ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐᲐ. (IV, 225).

102(2960). ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ! ᲡᲐᲠᲙᲔᲨᲘ ᲩᲐᲮᲔᲯᲕᲐ ᲔᲯᲐᲕᲠᲔᲑᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡ-ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲔᲗᲐᲙᲘᲚᲔᲑᲐ, ᲔᲖᲐᲠᲔᲑᲐ. ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲧᲐᲕ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲜᲘᲙᲔᲗᲔᲡ ᲙᲘ ᲜᲣ ᲓᲐᲐᲜᲐᲮᲕᲔᲑ. (II, 67).

103(2961). (საყვარელი ადამიანისადმი — რედ.) დამონებაც ისე საამოა, რომ თვით თავისუფლება ამ დამონებასთან შედარებით მოსაწყენად მოჩანს. (X, 222).

104(2962). საშინელია, როცა გული სტირის და კაცი ტირილის მაგიერ სიცილით ქვითინებს; მეტის-მეტად მომხიბლავია და დამატკბობელი, როცა გული სიხარულით უმღერს კაცს და ცრემლით კი იცინის და ბზიარულობს. უდიდესი გამოცხადება, უდიდესი ზედმოქმედება ადამიანის გულზედ, თავით-ფეხებამდე ზარდამცემი ძლიერება ცრემლისა და სიცილისა სწორედ მაშინ არის, როცა ერთს მეორის ადგილას ჰხედავთ, თუმცა მიზეზი მოვლენებისა ერთისაა და არა მეორისა. (III, 118).

105(2963). სიბრალული, გულშემატკივრობა, მეტად პატიოსანი გრძნობაა... (III, 98).

106(2964). სიკეთე დაუვიწყარია (X, 21; I, გვ. XXII);

107(2965). სიკეთით ბძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვევასა;*
სულგრძელობითა ძლევა სჯობს
ვაჟკაცობითა ძლევასა. (I, 107).

108(2966). სიკეთისათვის ბრძოლაში თვითოეულს ჩვენგანს ყველანი ერთნაირად უნდა ახსოვდეს, რათა გარჯით და ბრძოლით მოპოებულ სიკეთისაგან ყველას თავისი წილის ერგოს უნაკლულოდ. (V, 340).

109(2967). სიმაგრე ქვეყნისა, ქვეყნის ძალ-ღონე, ერის შემნახველი და გამადიდებელი, ქვით-კირი ადამიანის ცხოვრებისა მარტო სათნოებაა და მარტო სათნოებიანი კაცი ქმნის ამ წუთი სოფელს ტაძრად, სადაც ბედნიერება ადამიანისა ჰსადგურობს.** („ივერია", № 103, 1898, 2).

110(2968). სიყვარული ბრძანებით არ მოდის. (II, 318).

111(2969). (სიყვარული — რედ.) ერთადერთი თავმდებია ცოლქმრობის ბედნიერებისა. (III, 140).

112(2970). სიყვარული ძნელია! (II, 312).

113(2971). (სიყვარულისათვის — რედ.) ხორციელს თვალს ვერას გააჭრევინებთ, სულიერი თვალი უნდა... (III, 132).

---

* ი. ჭავჭავაძეს ეს შეგონება აღებული აქვს ქართული ხალხური პოეზიიდან. (რედ.).

** ზუსტად იგივე ფრაზა, უმნიშვნელო ცვლილებით (ნაცვლად „წუთი სოფელს" არის — „წუთის-სოფელს"), იხ.: „ცნობის ფურცელი", № 537, 1898, 3. (რედ.).

114(2972). (სიყვარულს—რედ.). ...განიცდიან ხოლმე ხოლოთ მაღალნი არსებანი, ხოლოთ ისინი, ვინც იმისთვის ოდითვე აღნიშნულნი არიან. (II, 533).

115(2973). სიყვარულს უნდა თვის ტახტი ედგას. (I. 111).

116(2974). სიყვარულში თვითონ სიყვარული უნდა ეძებოს კაცმა, სიყვარულში თვით სიყვარული უნდა უყვარდეს სიყვარულისთვის კაცსა და არა რაიმე სურვილისთვის. (II, 533).

117(2975). სიყვარულშია ალაგიცა არ აქვს თხოვნასა. (I, 350).

118(2976). სიხარული. ბედნიერება, იგივე სიცოცხლეა, მხოლოდ ხანმოკლე და შეურჩენელი. (II, 309).

119(2977). სიხარული ჰგავს გზის პირას გაზრდილს
ბავლით მოწყვეტილს სუნნელსა ყვავილს,
რომელიც ხელში დიდ ხანს არ გრჩება,
მცირეს ხანს გატკბობს და მერე ჰჭკნება.* (I, 244).

120(2978). სულიერი კავშირი... აღმოიშობება ხოლმე მარტო ურთიერთის გაცნობისაგან. („ივერია", № 230, 1899, 3; „ცნობის ფურცელი", № 949, 1899, 2).

121(2979). ტკბილად მოქცევა უებარი წამალია ცდომილის მორჯულებისათვის. (III, 127).

122(2980). ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. (II, 253)

123(2981). უნდა დაივიწყო შენი „მე" და შეერთდე იმის „მესთან", მაშინ აღსრულდება მნიშვნელობაც სიყვარულისა, მაშინ გარდაიშლება მთელი ზღვა ტანჯვისა, მართალია, მაგრამ იმ ტანჯვას სამოთხეზედ არ გაცელი. (II, 534).

124(2982). ფიცი მტკიცე უნდა იყოს!.. (II, 111).

125(2983). ქვეყანაზედ თავის დარჩენა ძნელი არ არის. ღმერთი მოწყალეა, ჩვენ გავიკაფავთ გზას და გავიმინდვრებთ. (X, 318-319).

126(2984). „ღვთის ნუგეში დიდიაო", — ... მე რომ ენახე, არც კაცისა ყოფილა ნაკლები. (II, 67).

127(2985). ღმერთი არის სიყვარული და სიყვარული მხსნელია ქვეყნისა. („ივერია", № 103, 1898, 2; „ცნობის ფურცელი", № 537, 1898, 3).

128(2986). ღმერთმა ყველას გონება და გული, სიკეთის შეძლება... იმისთვის კი არ დაგვირიგა, რომ... ზარმაც მონასავით კიდობანში, ან მიწაში დავმალოთ, — იმისთვის, რომ ბევრი გაჭირვებულია ქვეყანა-

---

* ამ სტროფის შესახებ კომენტარი იხ.: ი. კენჭოშვილი, „ორი კომენტარი ილია ჭავჭავაძის თარგმანებისადმი" („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II, თბ., 1969, გვ. 352-353). (რედ.).

ზედ, უნდა გავცეთ, რომ მოვიგოთ რამე, თორემ ხელცარიელები დავრჩებით... (ЦІ, 64).

129(2987). ყოველგვარი სიყვარული, — დედა-შვილურია, თუ სხვა, — მაინც ფრთხილია და მშიშარა: ჭირი უფრო ელანდება. ვიდრე ლხინი, როცა სიყვარულის ტკივილი გამოცანაა. დამალულია, მიუგნებელია. (ІІІ, 276).

130(2988). ყოველი ჩემებრი, რომელსაც მომავალ დროის შავ ღრუბლებში აღუპრწყინდება ბედნიერების ვარსკვლავი და რომელსაც ხურს შეეყაროს იმ ბედის ვარსკვლავს, ყოველთვის ტკბილს მდვიმარეობას დაუტევებს და სიმწარით განვლის გზას მისთვის, რომ უფრო უტკბილესად შეხვდეს თავის ბედნიერებას. (X, 7).

131(2989). (ყოვლად ძლიერებას სიყვარულისას — რედ.) ადამიანი თავისთავის გაწირვამდე მიჰყავს უანგარიშოდ, უანგაროდ და უნანებლად. (ІІІ, 131).

132(2990). შეიძლება ქვა აღმართზედ ბედნიერსაც მიეწიოს და ამას წინასწარვე გაფრთხილება ჰძართებს.* (V, 332).

133(2991). შეყვარებულებსო, პოეტები ამბობენ, მარტოობა უყვართო; მე... ბეჯერა, რომ ეს მართალია. (X, 235).

134(2992). (შეყვარებულთათვის — რედ) შორი-შორ... ყოფნა თავს არ მოდის და მოსაწყენია. (X, 275).

135(2993). ჩემი თხოვნა ეს არის, ძმობა და მეგობრობა გამიწიე... (ი. ჭავჭავაძე, „წერილები", I სოხ., 1949, გვ. 103).

136(2994). ჩემი კანონია: ულონო შეიბრალე და ნუ განკიცხავ. (II, 462).

137(2995). ჩემი სიმდიდრე აი ეს არი!..

თუმც ორგულთან ვარ დაუნდობარი,
მაგრამ ერთგულთან მეც ვიცი ძმობა. (I, 163).

138(2996). ჩვენ გვწამს ადამიანის სიკეთე საზოგადოდ... (III, 288).

139(297). ჩვენ გვწამს კაცობრიობის სიკეთე, რომელმაც ბოლოს და ბოლოს მაინც უნდა გაიმარჯვოს. („ივერია", № 9, 1885, 117).

140(2998). ჩვენ დიდად მომთხოვნი არა ვართ. ურთიერთ სიყვარულითა და ნდობით მცირედითაც დავკმაყოფილდებით. (X, 196).

141(2999). ჩვენ... ვიცით, რომ მარტო გულწმინდად გზად და ხიდად გადებული სიყვარულია იგი უზენაესი მადლი, რომელიც კაცს აღიყვანს „მაღალსა მას მთასა წმიდასა, სად ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას."** (VIII, 186).

* შდრ. ქართული ხალხურ ანდაზას: „უბედურ კაცს ქვა აღმართშიც მიეწევაო". (რედ.).

** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია „ევფიზისტყაოსნიდან" აღებული ტაეპი: „გული ვისცეა გულსაოფის, სიყვარული გზად და ხიდად". (რედ.).

142(3000). ჩვენ ვიცხოვრებთ და ნახავ, ბედნიერებასაც დავიპყრობთ. (X, 195).

143(3001). ჩვენ... მადის დაკარგვა სიყვარულის პოვნას მივაწეროთ. ისინი, როგორცა ჩანს, ერთ არსებაში ვერა რიგდებიან. (X, 187).

144(3002). ჩვენ შეგვიძლია, ჩემო მეგობარო, უკულმართი აწმყოს მოუხედავად, ივი (ცსოვრება — რედ.) ბრწყინვალე თუ არა, ასატანი მაინც გავხადოთ. (X. 196).

145(3003). ჩვენი ჯერიც მოვა და ბედს ჩვენს დუდუკზე სულის ამოხდამდე ვაცეკვებთ. თუ თვითონ არ შეგვიბრალა. არც ჩვენ შევიბრალებთ მაგ სულელსა. (X, 231).

146(3004). ჩვენს ცხოვრებაში ხანდისხან მოხდება იმისთანა მოვლენა, რომელიც მანუგეშებელ სხივსავით მოგვეფინება ხოლმე. (V, 101).

147(3005). ჩვენ ვიცით, რომ ძმობა სჯობია მტრობასა, სიყვარული სიძულვილსა. („ივერია", № 72, 1897, 1).

148(3006). ჩუქება... კეთილი საქმეა. (V. 37).

149(3007). ჩუქება, რაც უნდა იყოს, ყოველთვის კარგი რამ არის ხოლმე, ნაშეტნავად დაჩუქრებულისათვის. (V, 67).

150(3008). ...ცალკე კაცია, თუ ცალკე წოდება, მარტო ამას უნდა იძახდეს და მარტო ამისათვის უნდა ერჯოდეს გული, რომ თუ სხვანი კარგად არიან, მეც კარგად ვიქნებიო. ვინც დღეს ამას ივიწყებს, ის ივიწყებს საკუთარს თავს, საკუთარს ბედნიერებას სულიერსა და ხორციელს. (VIII, 313).

151(3009). ძალად თავს ვერ შეაყვარებ. („ივერია", № 166, 1886, 1).

152(3010). ძნელია ნაღვლის უნაღვლოდ თქმა, მაგრამ ზოგან ცარიელი, უფერული თქმაც ნეტარებაა. (VI, 45).

153(3011). წინა კაცი უკანასი
ხიდიაო, ნათქომია,
დღეს ვაგლახს ამით დასძლევს,
ვინცა ხვალისა მდომია. (I, 180).

154(3012). წუთი-სოფელი ესეა:
ღამე დღეს უთენებია.
რაც მტრობას დაუქცევია —
სიყვარულს უშენებია.* (I, 107).

155(3013). (ჭამის მადის დაკარგვა — რედ.) ჭეშმარიტად ერთ-ერთი აუცილებელი შედეგია სიყვარულისა და არა კარჩაკეტილი ცხოვრებისა. (X, 187).

---

* ი. ჭავჭავაძეს ეს სტროფი აღებული აქვს ქართული ხალხური პოეზიიდან. (რედ.).

156(3014). (ჭეშმარიტი გულშემატკივრობა — რედ.) დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან დაჩაგრულთათვის. (X, 138).

157(3015). ჭეშმარიტი, მართალი გრძნობა — ყბედი რიდია, პირიქით, იმოდენად თავდაჭერილია, იმოდენად სიტყვა-ძვირია, რამოდენადაც უფრო ძლიერია და თუ გნებავთ — ამ სიტყვა-ძვირობაშია მისი მიმზიდველი ღირსებაც, იმისი გულ-საწვდენი ზედმოქმედებაცაა... (III, 188).

158(3016). ჭირი შენ და ლხინი მეო — ეს ხომ შორს არის ძმობაზე. თუ ძმობა გინდა, შენცა ჰზიდე ტვირთი ძმობისა ჩემდა საკეთილოდ და მარტო მე ნუ მკიდებ შენდა სასარგებლოდ. („ივერია", № 72, 1897, 1).

159(3017). ხსნა ყველგან არის... (I, 218).

160(3018). (ხშირად — რედ.) თვით სიტურფე და სათნოება] ეშმაკის მახე და ცდუნებაა. (I, 207).

161(3019). Будем тверды, авось настанут лучшие времена. (X, 304).

162(3020). Будущее нам принадлежить, а не мы ему. (X, 416).

163(3021). в основе жизни... должна лежать любовь. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II, თბ., 1969, გვ. 240.).

164(3022). Верь мне, чем больше слов, тем меньше чувств и наоборот, — чем меньше слов, тем больше чувств. Это так же верно, как то, что дважды два четыре. (X, 403).

165(3023). (Влюбленным — რედ.) прошу только одно запомнить: не говорите никому ничего, ничего не доверяйте. Люди всегда злы, редко кто из них уважит какую-либо тайну. (X, 400).

166(3024). Да, мой друг, я слишком предан тебе. (X, 405).

167(3025). (Если истинная дружба — რედ.) Так отчего же не сказать другу, что приятно и неприятно. (X, 409).

168(3026). Если ты любишь (человека — რედ). не станешь пренебрегать его советом и послушаешься их, вовсе не обижаясь. (X, 457).

169(3027). Если уж раз доверились, так доверьтесь вполне и до конца. (X, 400).

170(3028). Желать быть вместе, и не иметь возможности, черт побери, как скучно.. (X, 413).

171(3029). Знайте же, что кроме любви и преданности ничего не могу обещать Вам. Правда, люди и при этих двух вещах бывают счастливы. (X, 401).

172(3030). и без благословения можно счастливо жить. (X, 442).

173(3031). (Как — რედ.) доктору догадаться об этой нежной болезни, которую иногда и счастьем называет. (X, 409).

174(3032). Как вижу, любовь плохая штука, она шутить не любит со своими жертвами. Не так ли? (X, 413).

175(3033). лучшим, объединяющим началом всех разнородных частей великой империи может служить не страх и насилие, а любовь и сострадание. („ლიტერატურული ურთიერთობანი," კრებული II, თბ., 1969, გვ. 242).

176(3034). (Любимому человеку — რედ.). покориться так приятно, что сама свобода пред этой покорностью кажется скукой! (X, 436).

177(3035). люди довольство и называют счастьем. (X, 441).

178(3036). Мы будем жить и, увидишь, завоюем себе счастье, если оно само не прилетит к нам. (X, 416).

179(3037). Мы... ведь не требовательны, мы можем при взаимной любви и доверии и малым довольствоваться. (X, 416).

180(3038). Мы заставим в свою очередь судьбу плясать по нашей дудке до изнеможения. Как она нас не пожалела, так и мы ее, дуру, не можалеем. (X, 422).

181(3039). мы сумеем при всех невзгодах настоящего сделать его если не блестящим, то сносным. (X, 416).

182(3040). Они (იგულისხმება სიყვარული და ჭამის მადა — რედ.) как видно, вместе не уживаются в одном и том же лице. (X, 410).

183(3041). Первый раз во мне заговорило сердце, — пусть это будет и последним. (X. 423).

184(3042). (Потеря апетита — რედ.) одно из необходимых последствий любви, а не сидячей жизни. (X, 409).

185(3043). сама радость, в особенности неожиданная, — она ведь тоже опьяняющее средство, — иногда хуже вина пошатывает человека, непривычного к ней. (X, 445).

186(3044). Счастье, знаешь когда дорого? Когда его добываешь, страданием купишь, как говорят поэты. (X, 441).

187(3045). Я надеюсь в тебе найти подпору и ты ту же самую ищи во мне — даю слово, все потечет по маслу. (X, 416).

16. გრამატიკის, ქართული და მშობლიური ენის, გონიერების, ცნობიერების, ლოგიკის, ანბანის, აზრის, აზროვნების, იდეის, ენის, სიტყვის, სიტყვიერების, მეხსიერებისა და მეტყველების შესახებ

1(3046). აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად. (V, 88).

2(3047). აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას. (III, 38).

3(3048). აზრი და სურვილი ჰშობს საქმესა, რადგანაც აზრი მამაა საქმისა და სურვილი დედა. (IV, 391).

4(3049). აზრის გამოსარკვევად მარტო საჭიროა ვიცოდეთ ის კი არა, ვინა სთქვა, არამედ ის, ვის უთხრეს. (IX, 261).

5(3050). აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ, რომ გრეხილი აზრისა გაუწყვეტელია: ერთს ზედ მოსდევს მეორე, უფრო ახალი, ჯანმრთელი და ღონიერი, — ამასთანაც დაუქცეველი, მარად მყოფი სალარცა აქვს — მეცნიერება და ხელოვნება, სადაც ისინი ინახებიან. (III, 58).

6(3051). ამბობენ მეტყველება ადამიანის ძვირფასი ნიჭიაო... („ივერია", № 193, 1888, 2).

7(3052). ანბანი საზოგადოდ მარტო იმ ხმების კრებულია, რომელთაც ენა საჭიროებს თავის სიტყვების გამოსათქმელად და რომელნიც აღინიშნებიან, გამოიხატებიან ასოებითა (IV, 81).

8(3053). ანბანი წარმომადგენელია მარტო იმ ხმებისა, რომელნიც ენაში არსებობენ. (IV, 81-82).

9(3054). ანბანის ავკარგიანობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამოდენის სავსეობითა და სისრულით ჰშველის ენას — მისი სიტყვები განგებ შეჩოლებულ ნიშნებითა, ესე იგი ასოებით, გამოსთქვამს წერითა. (IV, 82).

10(3055). არ ვიცით, სხვა რას იტყვის და ჩვენ-კი გვჯერა, რომ მრავალფერად მიმოხვრა და, მაშასადამე, მრავალ შემთხვევაში გამოყენება იმ სიტყვისა, რომელიც სული და გულია მეტყველებისა, სიმდიდრეს ენისას უნდა მოასწავებდეს. (IV, 89).

11(3056). არსებითი ნიშანი ეროვნობისა, მისი გული და სული — ენაა, (V, 80).

12(3057). ასოს ხმარებას სწავლა არ უნდა; თითონ სიტყვა გვასწავლის, სად უნდა ვიხმაროთ რომელი ასო. (III, 30).

13(3058). ასოს ხმარების გამსაზღვრელი საგანი ტყუილად სჩემობს ხელოვნების სწავლის სახელსა. (III, 30).

14(3059). აჭრელება და დამძიმება არ უხდება არც წერასა, არც ლაპარაკსა და ამიტომაც. როგორც საკითხავად, ისეც სასმენელად, მოსაწყენია. ჩვენი ნუგეში ამ შემთხვევაში ის არის, რომ ვინც სიტყვაში აზრს ეძებს და არა მარტო გართობასა და სიამოვნებას, ის არ შეუშინდება ამ მოწყენასა და გაირჯება ძალაუნებური სიმძიმე ენისა აიტანოს აზრის გაგების სურვილით. (IV, 27).

15(3060). ... ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცსა. (III, 40).

16(3061). ბავშვმა თავდაპირველად თავის დედა-ენაზედ უნდა გაიხსნას გონება და უცხო ენის სწავლას მხოლოდ მაშინ მიჰყოს ხელი, როცა თავის დედა-ენაზედ საკმაოდ გაწვრთნილი იქნება. (V, 358).

17(3062). ბუნებას, ხმის გარდა, სხვა ნიჭიც მოუცია კაცისათვის; ეს ნიჭი არის ნიჭი სიტყვიერებისა. მაგ ნიჭს შეუდგენია ენაცა, სიტყვაცა და მხოლოდ სიტყვას შეუდგენია ხმოვანიც და უხმო (თანხმოვანი — რედ.) ასოცა. (III, 38).

18(3063). განა არ შეიძლება ენის გამოუცვლელად, ქართულად, ჩვენებურად ვსწეროთ კიდეცა და ვისწავლოთ კიდეცა? თუ დააკვირდებით, სიტყვები ამდენი არის, რომა ამიერ უკუნისამდე გეყოფათ. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 294).

19(3064). განა ასო აძლევს აზრსა სიტყვასა? (III, 447).

20(3065). განსაკუთრებული თვისება ჩვენის ენისა, რომელიც, ჩვენის ფიქრით, ენის წარმატებულობის მომასწავებელია, ჩვენი ზმნებია და ნამეტნავად მისი მართლადა გასაკვირველი ფორმები. (IV, 87-88).

21(3066). გვიან თუ მალე,
დღესა თუ ხვალე,
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება. (I, 98).

22(3067). გვიკვირს, კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავის დედ-მამის ენა... (III, 15).

23(3068). გონებას... ძნელად თუ გაეცინება. (II, 222).

24(3069). „გრამმატიკა“ მეცნიერებაა ენის კანონთა მცნობელი, გამომკვლეველი და შემკრები. გრამმატიკული ფორმა ნიშნავს გარეგან

სახეს ენის კანონისა, გრამმატიკისაგან ცნობილისას და აღიარებულისას. („ივერია", № 9, 1883, 115).

25(3070) „გრამმატიკის" ფორმების სიმდიდრე, თუ მეტ-ნაკლებობა, გრამატიკული ფორმების მრავალ-ნაირობა შესაძენი კი არ არის, არამედ ბუნებრივი კუთვნილებაა, ენისა, ენასთან ერთად დაბადებული, ენასთან ერთად შეხორციანებული. თუ ენას ეგ სიმდიდრე, ეგ მრავალ-ნაირობა არ დაჰყოლია ბუნებითად, ვერა სხვა ენისაგან არამც თუ ვერ შეითვისებს, დროებითაც ვერ ისესხებს. („ივერია", № 9, 1883, 116).

26(3071). გრამმატიკული ფორმები ენისა და მისი კონსტრუქცია სხვა უცხო ენიდამ არ გადმოიღება, ერთიცა და მეორეც ყოველს ენასა თავისი აქვს. („ივერია", № 9, 1883, 120).

27(3072). გული სხვა-რიგად სცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა-რიგადა სცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა... მით უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, რომ ჭკნება. თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდევ სხვა და ეგრეთ არ შეადგინოს ისტორიული ყვავილია ერეხილი, რომელშიაც მომდევარი წინადმსველელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი, თუ რომ ცხოვრების ვითარების და გარემოების გავლენა ადრე და მალე არ დაუხლართავს გზასა და ზრდას არ დაუშლის. მაგრამ ესეც კია სანუგეშო, რომ როგორი დარიც უნდა დაუდგეს მაგ ყვავილსა, თუკი ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააჭირო და სრესო, მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწასა, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზედ უფრო დაშვენებული და ძლიერი. (III, 58).

28(3073). დედა-ენა... ერთად ერთი ღონეა, რომ მოძღვარმა უმოძღვროს ერსა. („ივერია", № 10, 1882, 140).

29(3074). დედა-ენა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
ტკბილი ტკბილად გასაგონი, ყრმათა წვრთვნისთვის
დიდი მარგი...
მით ზრდას არვინ დამიწუნებს, თუ კაცია მართლა
ვარგი....
სიტყვა სრულად გულსა სწვდება, დედა-ენა მით არს
კარგი*. (I, 124-125).

---

* შდრ.: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
ყელა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი;
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი."
შ. რეხთაველი. (რედ.).

30(3075). დედა-ენა საძირკველია განათლებისა. („დროება“, № 65, 1882, 4).

31(3076). დედა-ენა ცნობილია არამც თუ უკეთეს და უცილობელ სახსრად, რომ სკოლამ თავისი დანიშნულება აასრულოს, არამედ უპირველეს საგნადაც, რომელიც ბავშმა უნდა შეისწავლოს და იცოდეს... მეორე სახსრად და საგნად ცნობილია იმ ადგილის, ქვეყნის, ერის შესწავლა და ცოდნა, რომელთაც ბავში ეკუთვნის დაბადებით ღა ცხოვრებით. (IV, 278).

32(3077). დედა-ენითა წერთნა ყრმისა
მე ბევრჯერ მითქვამს მიქია. (I, 124).

33(3078). დიდი ღირსება უნდა იყოს ენისა, როცა მრავალფეერობა ზმნების ფორმებისა შესაძლოდა ჰხდის მოქმედებასა და მდგომარეობას საგნისას ბევრ-გვარი გარემოება გამოუთქვამს სხვა სიტყვების დაუხმარებლად. (IV, 88-89).

34(3079). (დიდი — რედ.) ღონეა დედა-ენა... (IV, 277).

35(3080). დღეს ბალღმაც კი იცის, რომ თქვენი აზრი, დიდის რომელისამე მეცნიერის სიტყვით შემოწმებული, უფრო სანდოა, უფრო დასაჯერი... (VI, 111-112).

36(3081). ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზედ უფრო შემძლებელია და ყველაზედ სანდო მოწმეა ცივილიზაციის ისტორიისათვის. (IV, 30).

37(3082). ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს. (III, 27).

38(3083). ენაა ... სარკე (ისტორიისა — რედ.). (IV, 91).

39(3084). ენას კანონსა თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა. (III, 40).

40(3085). ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებითა ერს არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს. (VIII, 122).

41(3086). ენის გამოკვლევა... დიდი ღონეა ადამიანის გონებისათვის... (IV, 30).

42(3087). ენის მრავალსიტყვაობა ერის მრავალაზროვნებას მოასწავებს. (VIII, 120).

43(3088). ენის უცოდინარი მოძღვარი უტყვია, მუნჯია ერისათვის და უტყვს, მუნჯს პირუტყვსაც არ ჩაბარებენ ხოლმე, არამც თუ მეტყველსა. („ივერია“, № 10, 1882, 140).

44(3089). ერთი განსაკუთრებული თვისება ჩვენის ენისა, იმისთანა განსაკუთრებული, რომ არა გვგონია სხვა ენაში და ნამეტნავად რუსულში მოიპოვებოდეს, ის არის, რომ ნათესაობითს ბრუნვაში მდგომარე განმავითარებელი სიტყვა ისე ბრუნავს, თითქო პირველ დაწყებითი სიტყვა იყოსო, როცა განსავითარებელს სიტყვას მოსდევს. ამ სახით

ჩვენ ენაში რთული, ანუ უკედ ვსთქვათ, ორ-კეცი ბრუნვაა, როგორც ქხოლობითად, ისე ბრალობითად. („ივერია". № 211, 1887, 1-2).

45(3090). ერთს მართლა-და განსაკუთრებულს თვისებას ჩვენის ენისას კიდევ მოვიხსენიებთ... ეს განსაკუთრებული თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს ენაში არ არის არც ერთი სიტყვის ნაწილი, რომ როგორც სახელი — არსებითი არ იბრუნებოდეს, თუნდ ზმნის-ზედა აიღეთ, თუნდ თანდებული, თუნდ ზედშესრული, თუნდ ნაცვალ-სახელი და თუნდ თითონ ზმნაცა, როცა უღელილების ფორმაშია. (IV, 89).

46(3091). ერთხელ ასე თუ ისე გაღვიძებული მართალი აზრი უნაყოფოდ არ ჩაუვლის ხოლმე ადამიანს. (V, 81-82).

47(3092). ეხლანდელს დროში აზრების არ-გასავრცელებლად განა შეიძლება რაიმე ღობე კაცმა კაცს შემოავლოს? („ივერია", № 149, 1886, 2).

48(3093). ვგონებთ, თვალსაჩინოდ და სწრაფად უნდა იცვლებოდეს მარტო ჯერ არ-დადულებული, არ-დასრულებული, არ-დამთავრებული ენა, როგორც ყველაფერი, რაც-კი ორგანებურ ზრდას ექვემდებარება. ბავში უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე დავაჟკაცებული ადამიანი, ხოლო იგი ენები, რომელთაც უკვე მიუღწეეიათ იქამდე, რომ თავისი ლიტერატურა აქვთ, თავისი მწიგნობრობა, უფრო ძლიერ უნდა ეურ-ჩებოდნენ ცვლილებას, ესე იგი ახლის რისამე შემოსევას, რადგანაც ლიტერატურა, მწიგნობრობა, ანუ, როგორც ტეილორი ამბობს, სკო-ლის მასწავლებელი და სტამბა ძლიერ ინახვენ სიტყვებს და ერთხელ და ერთხელ დადგენილ ფორმებს. (IV, 85).

49(3094). ვგონებთ, რაც მწერლობისა და სალაპარაკო ენა ერთი-ერთმანერთს დაუახლოვდებიან, მით უკეთესი არის... („ივერია", № 261, 1886, 3).

50(3095). ვინც იძახის, ნუ იხმარებთ ახალს სიტყვებსაო, იმან არ იცის რას ამბობს. ის ამით ამბობს, რომ აზრს ნუ გვმატებთო, გონებას მხედველობას ნუ უვრცელებთო, წინ ფეხს ნუ გვადგმევინებთო, ერთი სიტყვით — კაცნი კაცობას ნუ ჩემობთო. (III, 472).

51(3096). ვისაც ცოტა რამ მაინც ესმის პედაგოგიისა, ვისაც ტვინი აქვს... გაეგება, რომ ახლად მოსწავლე ყმაწვილს მხოლოდ თავის სამ-შობლო ენაზე შეუძლიან სწავლის მიღება. („დროება", № 2, 1881, 2).

52(3097). (ზეგარდმო შთაგონებული აზრი — რედ.) თვით ცოდ-ვილს სიცრუესაც კი მადლს აქმნევინებს ხოლმე და ყურმოჭრილ მსა-ზურად უხდის სიბრძნესა. (III, 409).

53(3098). ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი ენა წინ ვერ წაუვა ჩვენს ენას. თუ კარიერისა და ჰუმბოლტისა არ იყოს, მეტყველების ღონე და ძლიერება ზმნა არის. მაშ ქართული ენა ზედგამოჭრილი ყო-

ფილა ამ ნათქვამზედ, იმიტომ, რომ ქართველი უფრო ზმნებით ლაპარაკობს, ზმნებით პმეტყველობს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებით. (IV 89).

54(3099). ... თავისუფლება და თვითმოქმედება გონებისა... ერთადერთი ნიშანია ჭეშმარიტის განათლებულობისა და აღმატებულობისა. (IV, 370; VIII, 333).

55(3100). ... თამარის დროს მიაღწია ჩვენმა ენამ თავის უმაღლეს სისრულემდე. (IV, 68).

56(3101). თვით აზრიც სხვა არა არის რა გარდა იმისა, რომ საქმეა ჯერ განუხორციელებელი, და საქმეც — აზრია, უკვე განხორციელებული. (III, 204).

57(3102). თვით ასოს ხმარება გარეგანი საგანია, — ეგ მეხანიკური მიკერ-მოკერებაა ენაში... ეგ ხელოსნობაა და არა ხელოვნობა (III. 30).

58(3103). თითონ ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ. (IV, 29).

59(3104). თუ გვინდა საკმაოდ ისწავლოს ბავშვმა უცხო ენა, დროც საკმარისი უნდა ჰქონდეს, თორემ ორსა და სამს წელიწადში არამც თუ ვერ შეითვისებს უცხო ენას, თავბედი ისე აერევა, რომ იმასაც-კი დაივიწყებს, რისაც გაგება თავის დედა-ენის შემწეობით მოასწრო. (V, 358).

60(3105). თუ დიდმა და პატარამ ქართული ენა საკმარისად არ ვიცით, ცხადია, რომ ამ ენის შესწავლა ჩვენთვის აუცილებელი და უმთავრესი საგანია; თუ ეს ენა კარგად შევითვისეთ, მაშინ აშკარაა, უცხო ენასაცა და მწერლობასაც უკეთ შევისწავლით. (III, 315).

61(3106). თუ ენის წარმატებას რაიმე დამოკიდებულება აქვს ანბანის მეტ ნაკლებობაზედ, — რა თქმა უნდა — სავსეობა და სისრულე ანბანისა უეჭველი ნიშანი უნდა იყოს ენის წარმატებისა და განვითარებისა. (IV, 81).

62(3107). თუ ისტორიის წინად-ყოფილ დროს ავიღებთ. ცხრა კლიტით დაკეტილი სალარაა და გასაღები ზღვაშია გადაგდებული. ადამიანის გონებამ მაინც იპოვა ეს გასაღები და ამ სალარის კარი გაგვიღო ცოტად თუ ბევრად. (IV, 29).

63(3108). თუმცა სარწმუნოების საქმეში კეთილი მაგალითი ცხოვრებისა დიდი რამ არის, მაგრამ სიტყვაც არ არის ნაკლები. სარწმუნოება მოძღვრებაა, და მაშასადამე უენოდ, უსიტყვოდ ვერ დაითესება, ვერც დაინერგება... („ივერია", № 10, 1882, 140).

64(3109). თქმა ყველაფრისა შეიძლება, მაგრამ საქმე იმაშია თქმულში ლიღიკაც იყოს. (V, 85).

65(3110). თხზულებაში საქმე აზრია, და მაღალს და მდაბალს ფრაზასა არაფერი ღირსება არა აქვს, თუ ბრწყინვალე აზრი არ გამოსჭვივის სტატიაში. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული (ხრ› ტომად, IV,314).

66(3111). იგია* ფუძე ქართელისა,
მაგარი, ვითა ჯიქია... (I, 124).

67(3112). იდეა იმისთანა რამ არისო, რომ ვერც ხმალი მოერევა, ვერც თოფიო. (V, 78).

68(3113). იქ აზრი არამც თუ ცხადია, სადაც ზმნა აკლია, იქ თვით აზრიც არ არის, იმიტომ რომ სხვათა სიტყვის ნაწილებ შორის მარტო ზმნა არის აზრის გამომეტყველი. (III, 52).

69(3114). კანონები სიტყვის განწყობისა ფრაზაში ორგანიული კუთვნილება უნდა იყოს ენისა და ამიტომაც შეთვისება ამისა სხვ› ენიდან ენის დაკოდვად, დამახინჯებად უნდა ჩაითვალოს. (ივერია", № 9, 1883, 119).

70(3115). კარგი გრძნობა-აზრი, ცუდად გამოთქმული, ნახევარს ღირსებასა და მშვენიერებასა ჰკარგავს. („ივერია", № 218, 1898, 4).

71(3116). (კარგია როცა ესა თუ ის-რედ.) აზრი სავსეა მშვენიერებითა, პატიოსნებითა, დიდ-სულოვანებითა და ნაყოფიერებითა. („დროება", № 47, 1872, 1).

72(3117). (კარგია, როცა — რედ.) თითონ აზრი საბუთიანია. (V, 164).

73(3118). (კარგია, როცა — რედ.) ჩვენი აზრი, უსაბუთო და ქვიშაზე აშენებული არ არის (III, 311).

74(3119). კაცთა საბედნიეროდ, ღმერთს ადამიანისათვის ხორცის თვალთა გარდა მოუნიჭებია გონების თვალიცა და თუ ეს თვალი კაცს კარგად უჭრის, ქვეყანაზედ არა დაემალება-რა და ყველა მოვლენას ქვეყნისას ასეთს თუ ისეთს მიზეზს მოუპოვებს. („ივერია", № 140 1887, 1).

75(3120). ლაპარაკი აზრის აღებ-მიცემობაა. (III, 79).

76(3121). ლოღიკა კარგი საქონელია... (V. 257).

77(3122). მარილიანს, ჯანიანს და მარგებელ სიცილს აზრი უნდ›, მომავლინებლად საბუთი უნდა, ადამიანის გულის ძარღვთაგან მოქსოვილი იმ მრავალფერობით, რითაც ასე მდიდარია ცხოვრება და ადამიანის გული, ეს უტყუარი სარკე ცხოვრებისა. (III, 120).

78(3123). მარტო ენა-ამოუდგმელს ბავშს შეჰფერის ხმარება იმისთანა სიტყვებისა, რომელთაც არც საგანი აქვთ, არც საბუთი, არც მიზეზი არსებობისა. (III, 200).

---

* ქართული ენა. (რედ.).

79(3124). მარცვლების და ხმოვან ასოების მოკლებაში და დამატებაში ჩვენი ენა არა ენას არ დაუვარდება ქვეყანაზედ...როგორ უნდა დაუკარგოთ ეგ უკეთესი თვისება ჩვენს ენასა! (III, 43).

80(3125). მე არსად არ გამიგია, რომ უაზრო ენა იყოს სადმე. (III, 38).

81(3126). მეტყველების ნიჭს ისეთი ვარჯიშობა უნდა, როგორც ყველაფერს სხვას. (III, 81).

82(3127). მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრება. (III, 81).

83(3128). ... მომქმედს ცოდნასთან საჭიროა ჭკუის გამჭრიახობაც, ცოდნის მოხმარების ხერხიც. („ივერია", № 80, 1897, 1).

84(3129). (მონური მორჩილება — რედ.) არამც თუ უქმი, კაცის სულის დამამდაბლებელია. მე მარტო ერთნაირი მორჩილება ვიცი, საცა გონება უფალია... (II, 467).

85(3130). მოძღვარის ფარ-ხმალი ენაა. თუ (მოსახლეობის უმრავლესობის — რედ.) ენა არ ეცოდინება, უქმია იმისი თანამდებობა. (V, 110).

86(3131). (მოხდება ხოლმე, რომ ამა თუ იმ — რედ.). სიტყვებში ის არ უნდა ვიგულისხმოთ, რასაც სიტყვები პირდაპირ გვეუბნებიან. (VI, 106).

87(3132). მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის*
მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა. (I, 97).

88(3133). ნახავთ, ვინც მოესწრებით, სადამდისინ მივა... ენის არეულობა, ბაბილონის გოდოლის აშენება იქნება სწორედ. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 293).

89(3134). ნუთუ საქმის გადასაწყვეტად... აზრის ცნობაში მოყვანა საჭირო არ არის! უმაგისოდ, ჩვენის ფიქრით, ყოველივე ბიჯი ბრმა კაცის ფეხების ფაცურს ევანება. (VI, 116).

90(3135). ორთა ძირეულად სხვა-და-სხვა აზრთა დენა... ერთმანეთთან ვერ მოთავსდება. („ივერია", № 10, 1886, 1).

91(3136). ორი აზრი ერთისა და იმავე კაცის ერთსა და იმავე საკანზედ, ერთმანეთის შთამთქმელი და დაშრეტი, განმარტებას აღარ თხოულობს... (VII, 393).

---

* გრ. ორბელიანის ამ შეგონებას ხშირად მიაწერენ ხოლმე ი. ჭავჭავაძეს. რაც ცხადია, შეცდომაა. ასე, მაგალითად, 1989 წლის 18 ივლისს „სოფლის ცხოვრებამ" (იხ.: № 165, გვ. 4), გამოაქვეყნა შემეცნებითი ხასიათის მასალა, სათაურით: „გული და სული ენაა. შეკრიბა ივანე გავაშელიშვილმა", სადაც ზემოხსენებული შეგონების ავტორად მითითებულია ილია ჭავჭავაძე. (რედ.).

92(3137). ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგ-გვარი სიტყვები... მართალია, ქართული სიტყვები არ არი, მთელი კაცობრიობა კი ხმარობს. ყოველ ხალხსა, ცოტაოდენ განვითარებულს და ფეხშედგმულს ევროპის განათლებაში, შემოუტანია და მიუღია ეგ სიტყვები, როგორც თავის ღვიძლი ენის ლექსნი; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც ვიხმაროთ. (III, 52).

93(3138). პირველი ნიშანი ერის ვინაობისა — ენაა (III, 206)

94(3139). რა თქმა უნდა... არავის არ აეკრძალება თავისი სთქვას. ხოლო ჭკუა-დამჯდარი, წინ-მოფიქრებული, წინ-დახედული, აზრიანი თქმა — კი უნდა და არა ბორბოშელა სიტყვების რახუნი. (III, 411).

95(3140). რადგანაც ყოველს საზოგადო აზრს, თუ საქმეს, ამყოლი, მოსარჩლე და მოძღვარი, ბერიცა ჰყავს და ერიც, ჭაბუკიც და მხცოვანიც, ახალიც და ძველიც, გუშინდელი და დღევანდელიც ერთსა და იმავე დროს, ამიტომაც ვერც ერთი და ვერც მეორე, ვერც ძველი და ვერც ახალი, ვერ მიაკერებს რომელსამე აზრს, თუ საქმეს ცხოვრებაში ასე თუ ისე მოარულს, თავისს სახელსა; პირიქით, თითონ აზრი, ან საქმე, აკისრებს ხოლმე თავისს სახელს თავის ამყოლსა და გამძღოლსა. (III, 199).

96(3141). (რაიმე მოვლენის, ან საკითხის შესახებ, თუ — რედ.). ... ზოგი კანონი არ არსებობს, ლოღიკა ხომ უსათუოდ უნდა არსებობდეს! (VIII, 49).

97(3142). რამოდენადაც... ახალი ცნობაები, აზრები, ადვილად გასაგებნი არიან ხალხისათვის, იმოდენად ადვილად განსდევნიან უწინდელებსა, რომ ცხოვრებაში იმათი ადგილი თითონ დაიჭირონ და იწარმოვონ შემდგომში. (III, 62).

98(3143). რას იზამთ? ფეხს ვერ გასძრავთ, თუ საკუთარის ტვინის ძაფები არ ამოქმედეთ, თუ საკუთარი გრძნობა და ჭკუა არ წაიმძღვარეთ, თუ საკუთარი მსჯელობა არ იქონიეთ!.. (III, 154).

99(3144). რაც უნდა კარგად მოიგონო სიტყვა, თუნდა წმინდა ქართულიც იყოს, რაკი ამ სიტყვას ახალს მნიშვნელობას მისცემ, ისიც ისე გაუგებარი იქნება ჯერხანად, როგორც უცხო ენის სიტყვა. (III, 471).

100(3145). რაც ცნობაშია მოყვანილი, მხოლოდ ისა სცვლის ცხოვრებასა და აკეთებს. (III, 68).

101(3146). რაც ხალხი უფრო ნაკლებ განათლებულია, მით უფრო ცოტა სიტყვა აქვს თავის ენაშია. (III, 471).

102(3147.) როგორ გგონია, განა ერთი ჭკუა ათასს უჭკუობას არა სჯობია? („ივერია", № 269, 1897, 2).

103(3148). როგორც შესაძლო არ არის, რომ სულიერმა სხვისი სული ჩაიდგას, სხვის ხორცი მიიბას, ისე შეუძლებელია, რომ ენამ სხვა, უცხო ენის კანონები მიითვისოს. („ივერია", № 9, 1883, 115).

104(3149). როდესაც ორი ჭკუა შეხვდება ერთმანეთს, ერთი, რომელიც ძლიერია, მეორეს დასჩაგრავს და დაიმორჩილებს... („ივერია", № 107, 1892, 2).

105(3150). რომელიმე კითხვა, მხოლოდ მაშინ აიხსნება კარგად, როდესაც გაიშინჯება ის სხვა და სხვა მხრიდამ. მართლა ამბობენ ფრანცუზები: „აზრები ერთი ერთმანეთს რომ შეხვდებიან, მაშინ ჭეშმარიტება გამოჩნდებაო". („საქართველოს მოამბე", № 1, 1863, 34).

105[1](3151). როცა ადამიანს უსაყვედურებ რასმე, ლოგიკა წინ უნდა წაიმძღვარო. („კვალი", № 8, 1893, 7(23).

106(3152). როცა ისტორია ორს ენას ერთმანეთს მოახვედრებს, უფრო სუსტი და უძლური ენა ზედ იჩნევს გაელენას უფრო წინწასულ და უფრო კულტურიანს ენისას. (VIII, 120).

107(3153). რუსულის ენის ცოდნა... ჩვენცა გვსურს და ძალიანაც განა მარტო იმისათვის, რომ იგი საჭიროა ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისათვისაც, რომ მისი ლიტერატურა ეხლა იმოდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონებაგახსნილს კაცს სულის საზრდოება მისცეს. იგი ლონეა არამც თუ როგორც მეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის, იგი ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდამ გარეთ ფეხს გამოვდგამთ. (IV, 287).

108(3154). სადაც აზრი არ არი, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია. (III 38).

109(3155). სადაც ზმნა არ არი, იქ ხომ წინადადებაც არ არი, მაშასადამე, არც აზრია, რადგანაც წინადადება გამოთქმაა აზრისა. (III, 52).

110(3156). სადაც ქართველი კაცი, ქართულად მოლაპარაკე, თვითონა სწერს თავის თვალით ნახულს საგანზედა, და სურს გააგებინოს თავისი აზრი მკითხველსა, იმას არას დროს არ ეპატივება, რომ იმის დაწერილი სტატია თავით ბოლომდისინ ჰგვანდეს გადმოთარგმნილსა, და არ იყოს დაწერილი იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობს შინა, გარეთა და საზოგადოებაში. (ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 314).

111(3157). საზოგადო აზრია, რომ რაკი ერს თავისი სახელმწიფო აქვს, თავისი ენაც ექნება ყოველგვარ საქმეთათვის. (IV, 94).

112(3158). საზოგადოების აზრის გამოცვლა და დაყოლიება... ადვილი საქმე არ არის და ჩქარა არ მოხერხდება. (IX, 233).

113(3159). სასიამოვნო იქნება ყოველ წამკითხველისათვისა ეურნალი, დაწერილი იმ ენაზედა, რომლითაც მუდამ ჟამს ლაპარაკობს. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 312).

114(3160). (საჭირო და სავალდებულოა, რომ დაწყებითი კლასებიდანვე — რედ.) ასწავლონ მხოლოდ დედა-ენა, მხოლოდ დედა-ენისავე შემწეობით. (V, 363).

115(3161). სიტყვა არის პირდაპირი გამომთქმელი სულის მდგომარეობისა. (III, 13).

116(3162). სიტყვა „მიცვალება", „მიცვალებული" ... მოკვდომასა და მკვდარს ჰნიშნავს, მაგრამ არა სრულიად გაარარაებას, არამედ „გარდაცვალებას", სხვა სახედ გადასვლას. (IV, 92).

117(3163). სიტყვა რომ არ იყოს ქვეყანაზედ, არც ასოები იქნებოდნენ. (III, 38-39).

118(3164). სიტყვა სამურველი ხომ არ არის, — მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურს. (II, 253).

119(3165). სიტყვა ძალაა და ძლიერება. (V, 150).

120(3166). სიტყვას რას დასდევ!.. შენ აზრი გაუსინჯე, აზრი, და სიტყვას თუნდ ჯანაბამდე გზა ჰქონია, (III, 440).

121(3167). „სიტყვიერება" ჯერ სიტყვის ნიჭსა ჰქვიან, მერე მთელ იმ სიტყვებს, რომელიც ენაში იხმარებიან. (III, 334).

122(3168). სჩანს, რაც აზრი მეტია, სიტყვაც მეტია. (III, 472).

123(3169). სხვა რაღა უნდა მოეთხოვებოდეს ენას, ანუ ენის პატრონს ერს, როცა თავის სიტყვების დასაწერად თავის ანბანსა ჰქმნის? (IV, 82).

124(3170). ტერმინების უქონლობა მეტის მეტად აბრკოლებს კაცსა და, იმის გარდა, რომ აძნელებს გაგებას ნათქვამისას, სიტყვასაც ძალაუნებურად აგრძელებს, თითონ ენასაც აჭრელებს, ამძიმებს. (IV, 27).

125(3171). ტვინის სადგურში ერთი მივარდნილი კუნჭულია, საცა ერთი ბრმა-ნიჭი ადამიანისა ბინადრობს. ის ნიჭი ტვირთთა-მზიდველ› სახედარსავით ყოველთვის მორჩილია, ქვევრის თვისება აქვს. რაც ერთხელ ჩაგიძახნია, იმას ყოველთვის ამოიძახებს და სახელად ჰქვიან მეხსიერება*. (V, 57-58).

126(3172). უამისოდ (კრიტიკული აზროვნების გარეშე — რედ.) ზედმოქმედება უძლიერესისა უღონოზედ, უკეთესისა უარესზედ მარტო ცარიელი მაიმუნობაა. სხვის ფეხის ხმაზედ ბრმად აყოლაა, ტყვე-

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო." (რედ.).

ობაა... ამ სახით, ყოველივე ზედმოქმედება — ავია თუ კარგი — არაფრის კეთილის მომასწავებელი არ არის. პირიქით, იგი აძინებს, პკლავს მსჯელობის უნარსა, ყოველს მჭრელობასა და გამჭრიახობას გონებისას სჩაგრავს და აბათილებს. (VIII, 332-333).

127(3173). უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშისა ყოველად შეუძლებელია. (IV, 278).

128(3174). უზმნოდ არა ენა, ფრინველის ენის მეტი, არ იხმარება და უფრო ჩვენი დალოცვილი ენა. (III, 20).

129(3175). უკადრისი სიტყვები ქვეყანაზედ არ არიან, მხოლოდ აზრი იქნება უკადრისად გამოთქმული სიტყვებთაგან. უვარგისი სიტყვაც არ არის ქვეყანაზედ. თუ ხალხი ხმარობს, მაშასადამე ვარგისიანია... (III, 48).

130(3176). უნდა გახსოვდეთ, რომა, ვინიცობაა, გავრეკოთ ჩვენი ქვეყნიდგან ყველა სიტყვები (იგულისხმება უცხოური სიტყვები — რედ.), რომელნიც აქ დაბინავებულან და რომელნიც კიდევაც აპირობენ დაბინავებასა, მაშინ ის უნდა წარმოვიდგინოთ თვალ-წინა, რომა ქართული ენა ეგვანება კალიისაგან მოჭმულ ყანასა. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 301).

131(3177). (უნდა ვეცადოთ, რომ მსჯელობისას — რედ.) ლოღიკა... შორს მანძილზედ გავიყოლიოთ. (V, 263).

132(3178). ... უსლარმა — ამ ყველასაგან ცნობილმა და პატივცემულმა მეცნიერმა — ჩვენი ქართული ანბანი მოიწონა და სთქვა, ამისთანა სრული და სავსე ანბანი არავისა აქვს ქვეყანაზედაო. (IV, 80-81).

133(3179). ქართველი ხალხი იმითი არის ბედნიერი, როგორც ამბობს ყოველად სახსოვარი ენების მეცნიერი უსლარი (აწ განსვენებული), რომ მრთელს დედამიწის ზურგზე არც ერთს ხალხს არა აქვს ისეთი თავის ენის შესაფერი ანბანი, როგორც ქართველებსა; ყოველს ხმასა აქვს თავისი გამოსახატავი ნიშანი. ეს უნდა მიგვაჩნდეს საკვეხნად, სულითა და გულით მონდომილები ვიყვეთ, რომ არაფრით შეგვეცვალოს და გაგვიძნელდეს მამა-პაპითგან დატოვებული ენა. („ივერია", № 261, 1886, 2).

134(3180). (ქართულ, სამშობლო ენაზედ სწავლა-განათლებით — რედ.). მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოველად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლოდ საგვარტომო და თვითმომქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია. (V, 47).

135(3181). ქართულად ლექსად მოწყობა სიტყვისა მეტად ადვილია. არა გვგონია, სხვა რომელიმე ენა წარმოადგენდეს ამისთანა სიადვილეს. (III, 90).

136(3182). ქართული ენა უნდა დაიდვას ქვაკუთხედად ჩვენის განათლებისა. (V, 25).

137(3183). ქართულში ყოველთვის ზმნა უნდა — ეგ მეორე კლასის მოწაფემაც იცის. (III, 20).

138(3184). ყველა განათლებულ ქვეყანაში ჭკუის და გონების განვითარება დედა-ენაზედ დაფუძნებულია. („დროება", № 65, 1882, 4).

139(3185). ყველა ენას თავისი საკუთარი ანბანი იმიტომა აქვს, რომ თავისი სიტყვები წერით გამოათქმევინოს ასოებს. (IV, 81).

140(3186). ყველა ფრაზაში ერთი იმისთანა სიტყვაა და ყველა ხანაში ერთი იმისთანა ფრაზა, რომელიც შუა-გულია ფრაზისა, თუ ხანასი და რომელსაც დანარჩენი სიტყვები ფრაზისა და ფრაზები ხანასი გარს ახვევია, როგორც ვარსკვლავნი მზესა. („ოკერია", № 36, 1887, 2).

141(3187). ყველამ თავისებურად უნდა განსაჯოს საგანი, ე. ი. ისე როგორც ესმის უნდა წარმოთქვას აზრი. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 329).

142(3188). ყველაფერი საკუთარის ჭკუით უდა ჰზიდოთ და ყველაფერს საკუთარის გონების შუქი მიაყენოთ. (III, 155).

143(3189). ყველაფერის სიკეთილი შეიძლება, — აზრისა კი თავის დღეში არა; მის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად. (III, 58).

144(3190). (ყველგან და ყველაფერში — რედ.) საქმე დედააზრის გამორკვევაა... სხვა წერილმანი ადვილად მოსავლელია და გასასწორებელი. (VII, 43).

145(3191). ყმაწვილი თავის ენაზედ უფრო მალე ითვისებს ცოდნას და იმას გონება უფხიზლდება, ვიდრე უცხო ენაზედ. („დროება", № 65, 1882, 4).

146(3192). ყოველთვის უფრო სასიამოვნოა წასაკითხავად თხზულება, დაწერილი საყოველდღეო, შინაურულს ენაზედა, იმ ენაზედ, რომლითაც ლაპარაკობს ქართველი კაცი თავის სახლში, თავის ცოლ-შვილში, ტოლთანა და ამხანაგთანა. (ილია ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 310-311).

147(3193). ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია. ამნაირი კაცი კაჭკაჭია და არა ჭეშმარიტი წარმომადგენელი მის მიერ ქადაგებულის აზრისა, რომელიც თუ სხვისგან დაუჩემებია, კრიტიკის ძალით უნდა უსათუოდ თავისად გარდაექცია. (IV, 370; VIII, 332).

148(3194). ყოველი სიტყვა აზრის წარმომადგენელია; თუ მეტია — მეტი აზრიც ექნება. (III, 472).

149(3195). ყოველივე უსაფუძვლო შეტაკება აზრისა მოითხოვს გარდამეტებულს ლაპარაკს, მითქმა-მოთქმას, რომელიც სრულიად წარმოუდგენელია იქ, სადაც კრიტიკული აზრი შუშაობს. (V:III, 258).

150(3196). ყოველს ... აზრს, თუ საქმეს, სხვა ბევრ ძარღვთან ერთად, ერთი უმთავრესი ძარღვიც აქვს, რომელიც, ვითარცა უაღრესი და თვალსაჩინო ნიშანი ცნობისა, ხდება საბუთად სახელწოდებისა. ამ სახელწოდებითვე იწოდება საზოგადო სარბიელზე მომქმედი კაცი იმისდა მიხედვით, თუ რომელის აზრისა, ან საქმის პატრონია და მიმყოლი. (III, 198).

151(3197). შედარება იმ მოქმედებას გონებისას ჰქვიან, როცა ორს ანუ რამდენსამე საგანს ერთმანეთს წაუყენებს, დაუპირისპირებს, რომ აღმოჩნდეს, რაში აქვთ მსგავსება, ერთნაირობა, და რაში სხვაობა და სხვანაირობა. (IV, 31-32).

152(3198). (შეიძლება ითქვას, რომ — რედ.). უფროს — ერთს შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას. (IV, 30).

153(3199). შესუბუქება და გაადვილება მართლწერისა და ანბანისა განა ცოტა საქმეა? (III, 41).

154(3200). ჩემი აწ ცანით ყოველმან,
მას ვაქებ, რაცა მიქია;
დიდა-ენა ნიჩნს სახელად,
არ თავი გამიჭიქია.*(I, 124).

155(3201). ჩვენ არა გვგონია, რომ ენას წარუმატებლობაში ჩამოერთვას, როცა სხვა სიტყვების ჩაუმატებლად და აუჭრელებლად, მარტო ერთის ფლექსიის შემწეობით... სახსარს იძლევა აზრის მიმოხვრისა და განცხადებისათვის. (IV, 90).

156(3202). ჩვენ ყველანი ქართულ ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. (III, 26).

157(3203). ჩვენ თუ გვსურს რუსულის ენის ცოდნა, ისე გვსურს, რომ სულიერი და ხორციელი სარგებლობა მოვიპოვოთ, სხვათა შორის, მის შემწეობითაცა. (IV, 287).

158(3204). ჩვენი საწადელი და სამარადისო სანუკვარი ის უნდა იყვეს, რომ არაფრით არ დაშორდეს სალაპარაკო და მწიგნობრობის ენა. („ივერია", № 261. 1886, 3).

შდრ.: „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია:
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გაჭიქია!"
შ. რუსთაველი. (რედ.).

159(3205). ჩვენი ქართული ენა ისე გეიყვარს, რომ ჯერ ეცდებით, რომ მის წინააღმდეგ არ მოეიქცეთ და, თუ ღმერთი გაგვიწყრება და უხერხოდ მოგვივა რამე... შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთ. (III, 27).

160(3206). ჩვენის ენის ფორმები და ფრაზეოლოგია, რომელიც... ნებას გვაძლევს გძელი სიტყვა მოკლედა ვქსთქვათ და ტყუილ უბრალოდ ნაცვალ სახელებით არ ავაჭრელოთ ფრაზა. თუ ვისმე ენის სიღარიბედ მიიჩნია, დეე მიაჩნდეს... („ივერია", № 9, 1883, 121-122).

161(3207). ჩვენის ქართულის ზმნათა უღვლილების ფორმები და თვით უღვლილობა მეტად მდიდარია... („ივერია", № 9, 1883, 116).

162(3208). ჩვენს ენას ბევრი ისეთი განსაკუთრებული თვისება აეეს, რომელსაც ბევრი სხვა, უფრო წარმატებულად მიჩნეული ენები შეჰხატრებენ, — ამას ეჭვი არ უნდა. (IV, 87).

163(3209). ცნობიერება მხოლოდ ცხოვრების გამხილავი და გამომეტყველია. (III, 466).

164(3210). ძარღვიანმა აზრმა ეანუკითხველად არ უნდა ჩაიაროს, თუ ჭკუა ჭკუობს და გული გულობს სადმე. (III, 419).

165(3211). ძლიერია თავის თავადაც სიტყვა. ხოლო რაც გინდ ზედ-მიწევნილი იყოს, რაც გინდ ზედ-გამოჭრილი, რაც გინდ მოსწრებული, სიტყვა ბუნებითად მაინც უძლურია მთელი „მზიან-ჩრდილიანობა" გრძნობისა გამოსთქვას უმეტ-ნაკლებოდ. სიტყვას, მთელის ხელოვნების მეოხებით მორთულსა და გაწყობილს, მაინც ბევრი იმისთანა ჰრჩება გამოუთქმელად, რაც მთქმელის გულში ჰბგერს და სძგერს და რაშიაც საკუთრივ არის ძალ-ღონე მთელის ასე თუ ისე გამოსათქმელ გრძნობისა. სიტყვა, ენა კაცისა უღონოა ყოველივე ეს აღმობეჭდოს იქამდე ზედ-მიწევნით, რომ მსმენელმა იგრძნოს მთელი სავსობა გულის ძგერისა. („ივერია", № 37, 1890, 1).

166(3212). ძნელია, როცა სახელმძღვანელო დედააზრებს ფეხქვეშედამ მიწა გამოეცლება, ძნელია, როცა თქმასა და ქმნას შუა ხიდი ჩატყდება, (VIII, 267).

167(3213). ჭეშმარიტებაა, რომ ერი ერად არ ჩაითვლება, თუ იმას თავის საკუთარი ენა არა აქვს. („დროება", № 203, 1882, 1).

168(3214). ·ხანგრძლივობა და გამარჯვება, თუ დღეს არა, ხვალე მაინც საბუთიანს აზრს დარჩება, ესეა ქვეყნის წარმატების კანონი. ეს იმედი ამხნევებს ყოველს მას, ვისაც კი სწამს პროგრესი ადამიანისა. (V, 164).

169(3215). ხორცის თვალს ბევრი არა შეუძლიან-რა ქვეყნის საბედნიეროდ, თუ თან არ შესწევს ყოველად შემძლებელი გონების თვალი. („ივერია", № 140, 1889, 1).

170(3216). (ხშირად — რედ.). ბატონი მესსიერება მიეშველება ხოლმე ტვინისაგან განუკითხველ მწერალსა და გზას უჩვენებს, ვაიეაგლახიდამ დასახსნელს. (V, 58).

171(3217). ხშირად ერთს რომელსამე ხანაში აღძრული აზრი, თუ საგანი, მეორე ხანაში ისევ იმ საგნადა და აზრად რჩება, მხოლოდ სულ სხვა სახით, სხვა შუქით, სხვა სიგძე სიგანით გამოდის. ამას ყოველსფერს თვალის დევნა უნდა და თუ არ კრიტიკითა და გამოძიებით გამორკვევა, შენიშვნა მაინც და ანგარიშის გაწევა. (IV, 370-371; VIII, 333).

172(3218). без родного языка умственное развитие ребенка немыслимо. без него школа есть орудие не развития способности, а их заглушения, притупления, погибели. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, ხელნაწერი № 170, ფურც. 3).

173(3219). всякая попытка стеснить народный язык в школах и в церкви есть напрасная трата усилий и времени и потому представляется мне лишь плодом недоразумения и непрозорливости настоящего во вред будущего. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II, თბ., 1969, გვ. 245).

174((3220). Распространение государственного языка должно главным образом, опираться на желание изучения этого языка, а не на искоренение и уничтожение других языков. („საისტორიო მოამბე", ტ. 3, თბ., 1947, გვ. 252).

175(3221). родной язык признается не только лучшим и необходимым средством для выполнения задач народной школы, но и главнейшим предметом, который должен изучить и знать ребенок. Такова служба, которую должна сослужить народу школа вообще и народная в особенности. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, ხელნაწერი № 170, ფურც. 3).

176(3222). Свой собственный язык инородцев не только не препятствует распространению государственного языка, но даже способствует ему, так как с его помощью инородец лег-

че и скорее может изучить необходимый ему государственный язык. (საისტორიო მოამბე", ტ. 3, თბ., 1947, გვ. 252).

177(3223). Стеснение языков есть одна из форм гонения и с государственной точки зрения не может быть поощряема, ибо гонение ожесточает людей и создает лишь фанатических поклонников того, что гонимо. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II, თბ., 1969, გვ. 245).

17. სწავლა-აღზრდის, განათლების, სკოლის, ცოდნის, სჯა-გაასის, სიბრძნის, გამოცდილებისა და ნიჭიერების შესახებ

1(3224). ადამიანი ამ (ადამიანის და მსოფლიოს სულის მოძრაობის— რედ.) ზღვაზედ სიარულს გამარჯვებით შესძლებს მხოლოდ მაშინ, როცა სწავლითა და ცოდნით განსწმენდია „თვალნი ზე ზეცისა და ქვეყნისა საიდუმლოთა მხედველად, ყურნი ზესკნელისა და ქვესკნელისა უცნაურთა ხმათა მსმენელად", ხელნი ცისა და ქვეყნის მაჯისცემის შემტყობად და ენა ყოველ ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად. (III, 91).

2(3225). ადამიანი უნდა იწურთვნებოდეს სკოლაში ყოველ მხრით: გონებით, ზნე-ხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი ამათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს. ეს დედა-აზრი... ახალი ამბავი არ არის. მაგ. დედა-აზრის სათავე ჯერ კიდევ საშუალო-საუკუნოებში მოიპოვება. (IV, 306).

3(3226). ამ წუთისოფელში ბედი ომისია. ვინც ძლიერია. და ძლიეული მარტო მცოდნე კაცია. (IV, 365).

4(3227). (ამა თუ იმ დარგის (ვაჭრობის, ეკონომიკის, მრეწველობის და სხვ.) გაძღოლისათვის — რედ.) სჩანს... ნიჭი ბევრს არაფერს შუაშია, საქმე სწავლა-ცოდნა ყოფილა. (IV, 389).

5(3228). ამას ვამბობ და ვლაღადებ,
ისმინეთ ჩემი თხრობილი*,
ნუ არიდებთ შვილს სასწავლოდ
რა ხელს მოგცემთ უწვრთი შვილი!..**
ქვანიცა ჰყრიან მინდორად,
უხმარი და განაწბილი***. (I, 123).

---

* შდრ.: „ისმინე ჩემი თხრობილი"
შ. რუსთაველი (რედ.)

** შდრ.: „მშობელთა შვილი უწვრთელი არიდეს მისცემს ლხენასა"
დ. გურამიშვილი (რედ.)

*** შდრ.: „ქვანიცა ჰყრია მინდორად
უხმარი, გასაწბილია".
ვახტანგ VI (რედ.).

6(3229). (ამაგის დაფასებაა—რედ.)... რომ ბოლოს, ვინც თქვენ პატარაობაში დიდის მზრუნველობით გამოზარდეთ, ახლა იმან თქვენის ათასნაირი შრომისათვის ხელის გულზედ ერბო-კვერცხი იწვას და ისე გაცხოვროთ. (X, 21; I, გვ. XXII).

7(3230). ამისთანა საქმეს, როგორც ახალის სიმდიდრის გზის ჯახსნაა, საქმიანი, მოხერხებული, გამრჯელი, საქმეში დაოსტატებული კაცი უნდა. ამისათვის საკმარისი არ არის მარტო დიპლომი, რომელიც ყოველთვის არა ჰმოწმობს, რომ მის პატრონს ჯეროვანი ცოდნა აქვს, და თუნდაც ჰმოწმობდეს, საქმე მარტო ცოდნა კი არ არის, გამოცდილებაა. ჩვენ აქ სიტყვას „გამოცდილებას" მთელის თავისის ვრცელის მნიშვნელობით ვხმარობთ. (VII, 60).

8(3231). ანთებული სანთელი ჩაიწვის და ჩაქრება, ხოლო ერთხელ ანთებული ცოდნა — კი თავის დღეში არა: მამიდგან შვილზედ გადადის, შვილიდგან შვილიშვილზედ უფრო განდიდებული, უფრო გაძლიერებული. („ივერია", № 122, 1894, 2).

9(3231[1]). არა ღონე არ ექნება გაუნათლებელს კაცს თავის ჯაჭვის დასამტვრეველად. (II, 464).

10(3232). არავინ არის ქვეყანაზე იმისთანა, რომ რაიმე კეთილი, სახელმწიფოსათვის გამოსაყენი ნიჭი და უნარი არა სჭირდეს... ოღონდ-კი ნუ შეპხუთავთ, გზა მიეცით ყველას თავი იჩინოს თავისებურად, თავისის ღირსებისა და სიკეთისამებრ... (VIII, 160).

11(3233). არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდან გამოზედვა. (II, 291).

12(3234). ასე კი მოახერხე, არც შინ მოსცდე საქმეს და არც გარეთ, რომ შენმა წიგნის სწავლებამა შინაურ საქმეს არ დაუშალოს. (II, 56).

13(3235). ... აუცილებლი ღონე და საგანი საერთო სკოლისა ადგილობრივი, ერობრივი ელემენტი არის, ესე იგი — ის ბუნება, ის ერი, ის ყოფა-ცხოვრება, რომელიც გარს არტყია მოზარდსა და რომელთა შორისაც ბავში ტრიალებს და სცხოვრობს სულითა და ხორცითა დაბადების დღიდამეე. მაშასადამე, ყოველ ამის შესწავლა და ცოდნა არის... განსაკუთრებული საგანი საერო სკოლისა. ამას არაფერი არ უნდა დააკლოს საერო სკოლამ და გადამეტება ხომ ძნელია და ძნელი. (XIV 279).

14(3236). ბაასი ჭკვის საზდოა. (11,13).

15(3237). ... ბუნებითვე შთაგონებული ნიჭი... ხან სწორე გზაზედ წავა და ხან ცუდს, ბოროტების გზაზედ, იმისი ყურებით, როგორც მიმართულებას მისცემს გარემოება და საზოგადოება. (II, 550).

16(3238). ბურთს ის—კი არ გაიტანს არსობითს ბრძოლაში, ვინც სწავლით არის შეჭურვილი, არამედ ის, ვინც დროისა და ჟამის შე-

საფერ სწავლა-ცოდნით შეიარაღდება, ვისი სწავლა-ცოდნაც შეესაბამება თავისს ეროვნულს თავისებურობას, სამშობლოს ვითარებას. („ივერია", № 24, 1893, 1).

17(3239). (განა-რედ.) ... ოსტატობა (მასწავლებლობა — რედ.) ყველა წიგნის მცოდნეს შეუძლიან. (II, 478).

18(3240). განათლება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მიწასთან გაეასწოროთ კაცი, რატომ შენც განათლებული არა ხარო; არამედ როგორც ძმას, რომელსაც არა ჰქონია ბედი განათლებისა, მოჰკიდო მზრუნველი ხელი და დააყენო ფეხზედ. აი — კაცი განათლებული, მარგებელი ქვეყნისა, აი ამ კაცის წინ მოუდრეკ თავსა და თაყვანსა ვცემ. (II, 455).

19(3241). განათლება იმისთანა თვისებაა ბუნებითად, რომ თავს მალე ვერ იჩენს, იგი ნელ-ნელა შედის ცხოვრებაში თვალისათვის უჩინარად, ხელისათვის შეუხებელად. ამისთანა საქმისათვის რვა, ათი, ოცი და ორმოცი წელიწადი წვეთია ზღვაში: მოდგმამ მოდგმა უნდა სცვალოს, შთამომავლობამ შთამომავლობა, რომ განათლება დასანახი და საგრძნობი შეიქმნეს. („ივერია", № 249, 1886, 1).

20(3242). განათლება პატიოსანს კაცს „სილბოს აძლევს ნაქსოვისას", როცა სხვას უნდა „გული მისცეს გულისათვის" და საშველად ხელი მიაწოდოს და „სიმტკიცეს ნაჭედის", როცა თავისს საკუთარს ვინაობას ჰპატრონობს. იქ „სილბო" ღირსებაა, აქ—კი ლაჩრობა, იქ „სიმტკიცე ნაჭედისა" გულქვაობაა, აქ—კი ღირსება*. (VIII, 158).

21(3243). განათლება, სწავლა, ცოდნა—აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდინ ჩვენ ცხოვრებასა, კვალში ჩაუდგეს, ხალხს მხარი ჰისცეს და შველა აღმოუჩინოს. (IV, 340).

22(3244). ... განათლება ფეხ-მძიმედ დადის. (II, 143).

23(3245). განათლება ჰგავს მზესა, რომელიც ისე არ ანათებს, რომ იმავე დროს არ ათბოს და ისე არ ათბობს, რომ არ ანათოს. („ივერია", № 72, 1897, 1).

24(3246). განათლებამ უნდა მისცეს ჩვენ ოჯახობას დედა, ის დედა, რომელიც ხდება აღმზრდელად შვილებისა და რომელიც უბნის იმათ მაღალ გრძნობის გზას და აძლევს მამულს და საზოგადოებას კეთილ მოქალაქეს. („დროება", № 65, 1882, 3).

25(3247). (განათლების გარეშე — რედ). ... ყოველივე ცოდნა ქვეყნისათვის ბევრი არაფერია. („ივერია", № 75, 1897, 1).

---

* ამ სენტენციაში ჩაქსოვილია „ვეფხისტყაოსნიდან" აღებული ტაეპები: „სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა" და „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად". (რედ.).

26(3248). განათლების საქმე ისეთი საქმეა, რომ ადგილობრივს ინტერესს შეადგენს. (V, 318).

27(3249). (განათლებულ კაცს მარად თან დასდევს — რედ.) ... ის დიდი ღონე, ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის და ყოველგან გამარჯვებული ფარ-ხმალი ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვიან. (V, 291).

28(3250). (გაჭირვებიდან—რედ.)... განთავისუფლების წამალი განათლებაა, მკვიდრი ცოდნა, რომელზედაც უნდა იყოს აშენებული ჩვენი ოჯახობა და საზოგადოება. („დროება", № 65, 1882, 3).

29(3251). გერმანელი პურს დაიკლებს, ღვინოს დაიკლებს, შიმშილს, წყურვილს არ შეუშინდება და შვილის გასაზრდელად-კი თავის მონაგარს ვრიშს გადასდებს, შვილის მცოდნე კაცად ქცევისათვის არაფერს დაჰზოგავს და ყველაფერს გაიმეტებს. გერმანელმა იცის, რომ შვილის კაცად გამოსვლა, მაძღრად ყოფნა და უტკივრად რჩენა სწავლა-განათლებაზეა დამოკიდებული. (IV, 363).

30(3252). ეუთანს ცოდნაც უნდა, რომ ერთი-ათად იმაზედ მეტი შესძლოს, რის შემძლებელიც აქამომდე იყო... (ამ ცოდნის მოიცემი— რედ.) რომელიც ეუთანს, ანუ უკეთ ვსთქვათ, მიწისმოქმედებას ხელს უწყობს და შეჰფერის, — სამეურნეო სკოლაა. ამ გვარი სკოლების გაშართვა ჩვენში აუცილებელი საჭიროებაა. (V, 123).

31(3253). დიდი გაბედვა კი უნდა, რომ ეგ საქმე (წვრთნა ყრმისა — რედ.) კაცმა თავს იდოს. (II, 476).

32(3254). ... დიდი რამ არის ბავშის აღზრდისათვის შესწავლა და შეყვარება თუნდ პატარა ადგილისა, საცა მოზარდი დაბადებულა. (IV, 278)

33(3255). ... დიდი რამ არის ოსტატის (აღმზრდელის, მასწავლებლის — რედ.) მოხერხებულობა, ყოფაქცევა, მაგალითი, სიფრთხილე, წინდახედულობა. (IV, 294).

34(3256). დიდი ფარ-ხმალია... ძლიერი ძალ-ღონეა ცოდნა და განათლება საერთოდ და ქრისტეს ჯვარის ერის წინაშე მზიდველთათვის განსაკუთრებით. („ივერია", № 10, 1882, 139).

35(3257). დღეს მარტო მცოდნე და ნასწავლია ბატონი, და უსწავლელი, უცოდინარი-კი მისი ყურმოჭრილი ყმაა, რომელიც ძალა-უნებურად იძულებულია იმას დასჯერდეს, რასაც მცოდნე და ნასწავლი ხელს არ ჰკიდებს, როგორც მისთვის ულირსსა და გამოუსადეგს. (IV, 359).

36(3258). დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთს ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლეველად. (IV, 358).

37(3259). დღეს ჩვენშიაც — კი ბევრი არ არის იმისთანა კაცი, რომ არ იცოდეს, — რა კარგი რამ არის ადამიანისათვის ცოდნა, სწავლა და განათლება. (IV, 358).

38(3260). ... ერთად-ერთი საშუალება ზნეობა-გაფუჭებული, გზა-აბნეულის კაცის გასასწორებლად არის მხოლოთ სწავლა-განათლება და ზნეობით გაწრთვნა. („დროება", № 92, 1880, 1).

39(3261). ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შეძენისა — სკოლაა. (V, 123).

40(3262). ერთი... ჭკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა (აღზრდელისა — გ. გ.) უფრო ძლიერ მოქმედობს ბავშვის გაადამიანებაზედ, ვიდრე სამისა და ოთხის წლის ზეპირება გრამატიკისა, ოუ სხვა რისამე ამისთანისა. (IV, 296).

41(3263). ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია*. (V, 289).

42(3264). ... ეხლანდელი სკოლა ბევრში ჩამოუვარდება „განახლების" დროების სკოლებს, რომელთაც საგნადა ჰქონდათ თანასწორი წარმატება ადამიანის სულისა და ზორცისა. ეხლანდელი სკოლა, მართალია, ბევრს ცოდნას აწვდის მოსწავლესა, მაგრამ ცალმხრივ მოქმედობს, ხასიათის წურთვნას თითქმის თავს ანებებს და თან აგებულებას ადამიანისას არამც — თუ ჰშვენის, არამედ ჰღალავს. (IV, 314).

43(3265). ეხლანდელი სწავლა-ცოდნა სკოლისა თუმცა ჰშველის კაცს გონების თვალით დაანახვოს და გონებისავე ყურით გააგებინოს, რაც კაცის გარშემო არსებობს და თავს იჩენს, მაგრამ ადამიანის საქციელზედ-კი თითქმის სრულებით არა ჰმოქმედობს. ამიტომაც დღეანდელს დღეს ადვილი შესაძლოა შეჰხვდეთ, — კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით-კი სრულებით სხვა. ეს იმიტომ არის, რომ დედა-აზრნი, სკოლაში სწავლა-ცოდნით გამორკვეულნი, მარტო ფორმალურად არიან მიღებულნი და არა მათის შინაგანის აზრითა, არა მათის ბუნებურის შინაარსითა. (III, 300).

---

* 1891 წელს გამოცემულ დ. მაჩხანელის წიგნში — „ძმური სიტყვა". მოტანილია ი. ჭავჭავაძის სიტყვები: „ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც დიდი ბაზარი აქვს ხმალზედაც უფრო მეტად ჰსჭრის და ზარბაზანზეც უფრო ძლიერია" (გვ. 44) და იქვე მითითებულია წყაროს ავტორი — „ი. ჭავჭავაძე" (გვ. 45). დიდი ილიას ეს ფრაზა, ოდნავ შეცვლილი სახით („ახლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად ჭრის!"). შეტანილია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც". (იხ.: I, 949). საბუნებრივად, ამ გამოთქმის ავტორად ლექსიკონში დასახელებულია დ. მაჩხანელი, რაც, ცხადია, შეცდომაა. (რედ.).

44(3266). ვერავინ იტყვის, რომ ჩვენში გაღვიძებული არ იყოს სწავლისა და ცოდნის სურვილი. ამას ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა: ყველა ჰხედავს, ყველა ჰგრძნობს, ყველა ჰღაღადებს. (IV, 335).

45(3267). ვით ახალ ნორჩი ვაზისა.
ხელს მიჰყვეს საფურჩქნელადა,
ეგრეთ ახალი მოზარდი
კარგს ოსტატს გასაწვრთნელადა*. (I, 124).

46(3268). ვითა კლდე-ტინი მაგრად სდგას.
და უძლებს ქართა ქროლასა,
ისე ჭკვიანი სწავლული
ამა საწუთროს რჩოლასა. (I, 124).

47(3269). ვინ არ იცის, რომ თავი და ბოლო ჩვენის უღონობისა, უკან ჩამორჩობისა, ჩვენის უბედურებისა, — უმეცრება და უსწავლელობაა. ესეც ყველამ იცის, რომ უმეცრების და უსწავლელობის წამალი სხვათა შორის სკოლაა. სხვათა შორის-მეთქი, სხვათა შორის კი არა, ერთი უპირველესი და უმთავრესი ღონისძიება სასწავლებელია. (V, 116).

48(3270). ვინც იცის, რა ძლიერი ფარ-ხმალია ცოდნა და განათლება, რა დიდი ღონეა ერის ბედნიერებისათვის საერთოდ და ცალკე კაცისათვის საკუთრივ ჭკუა-გაბსნილი მოქმედება და ცნობიერად ხელის მოკიდება და გაძღოლა საქმისა, საქვეყნო იქნება თუ საცალკეო,— ის, რასაკვირველია... მეტს ინდომებს, მეტს ინატრებს, და აქ გაუმაძღრობა, მეტის ნდომა-სათაკილო კი არ არის, საქებურია და თავ-მოსაწონებელი. (IV, 335).

49(3271). ვინც კი მოგვცემს დარიგებასა, როგორ უნდა აღეზარდოთ, რა უნდა ჩავაგონოთ ჩჩვილ ბავშსა*, რომელ გზაზე უნდა დავაყენოთ, ვიდრე დაიწყებდეს სასწავლებლებში სიარულსა, ამისათვის ყოველთვის მადლობას განუცხადებთ დამრიგებელსა. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 320).

50(3272). ვისაც ბევრი მიჰსცემია (ღვთით მომადლებული ნიჭი-რედ.), იმას ბევრიც მოეთხოვებაო, ნათქვამია. („ივერია", № 14, 1878, 2).

51(3273). ... ზნე-ხასიათის წრთვნა ერთი უდიდესი, უაღრესი საგანია სკოლისა, რადგანაც გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველგვარი წრთვნისა, ზრდისა და განათლებისა. (IV, 296).

---

* შდრ.: „ვით ახალ მორჩი ვაზისა ხელს მიყვეს საფურჩნელადა,
ეგრეთ ახალი მოზარდი ყრმა ოსტატს — გასაწვრთნელადა".
დ. გურამიშვილი. (რედ.).

** უნდა იყოს — „ბავშესა" (იხ.: „საქართველოს მოამბე", № 6, 1863, 44). (რედ.).

52(3274). ... ზნე-ხასიათის წურთვნა დიდად დამოკიდებულია სწავლასა და ცოდნაზედა, და ამიტომაც ჩვენა გვგონია, რომ თუ სკოლას უნდა თავის დანიშნულება შეასრულოს, ეგ სწავლა-ცოდნა ზნე-ხასიათის წურთვნასაც უნდა შეურჩიოს, ესე იგი იმ თვისების სწავლა-ცოდნა უნდა აძლიოს, რაც გონების გახსნილობასაცა ჰმველის და ზნე-ხასიათის წურთვნასა და დამთავრებასაც უხდება და ჰრგებს. (IV, 294).

53(3275). თვითეული მართველის გულ-მოდგინებასა და კეთილ-განძრახვას დიდი ნაყოფი არ მოუტანია ხალხისათვის, თუ სწავლა-განათლებას არ გაუვარჯიშებია ხალხის ჭკუა-გონება და არ მიუნიჭებია იმისთვის ხასიათი. („დროება", № 65, 1882, 1).

54(3276). ... თითონ სწავლა-ცოდნა, რომელსაც სკოლა იძლევა, ისე უნდა იყოს გაანგარიშებული და შერჩეული, რომ ზნე-ხასიათის წვრთნას, ამ ერთად-ერთს საგანს თვისას, გაუძლეს და ემსახურებოდეს. სწავლა-ცოდნის ძლევა მარტო იმ აზრით, რომ კაცი სწავლული და მცოდნე იყოსო, ამაო და ბოლო-მოუბმელი წადილია სკოლისა. (IV, 297).

55(3277). ... თუ არა ისევ ცოდნა, სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისაგან, თუ არ ის ხერხი, ის უნარი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა. (IV, 361).

56(3278). თუ მაგაში (ცოდნაში—რედ.) ფეხი გავიდგით, თუ მაგაში წინ წავდექით, ჩვენი ეხლა დაუძლურებული ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს... (V, 20).

57(3279). თუ სწავლა-განათლებას იმოდენაც არ შესძლებია,—კაცს ჩააგონოს, რომ ოინების გასაღება მეცნიერებაში ისე ადვილი არ არის, როგორც ყალბის ფულისა ბაზარში, ღმერთმა პატრონს მშვიდობაში მოახმაროს და ჩვენ-კი გვიხსნას ამისთანა სწავლა-განათლებისაგან და ამისთანა სწავლა-განათლებულებისაგანაც. (VIII, 143).

58(3280). თუ, ღვთის მადლით, ჩვენი... სკოლები და ერთობ ის სასწავლებელნი, რომელთაც კარი მუდამ და დაუბრკოლებრივ ღია აქვთ ყველასათვის, რიგიანად მოიმართნენ და თავის უწმინდაესს დანიშნულებას გვერდი არ აუქციეს, უეჭველია გამრავლდება როგორც მუშაკი ლიტერატურის, ისეც შუშტარი და მაშინ ლიტერატურა და საზოგადოება უკეთ მოეწყობა, უკეთ მორიგდება და მოთავსდება ერთმანეთში. (III, 85).

59(3281). თუ წვრონა ვინდა ბავშისა, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან შენ. ბევრში ეგ, ჩემის ფიქრით, შეუძლებელია, უმაგისოდ კი შესაძლოა — სწავლა, ცოდნა მისცე და ადამიანობა კი არას დროს. მე კი ასე მგონია, რომ ადამიანობას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ბავშის წვრთნა-სწავლებაში. (II, 477).

60(3282). თქმა არ უნდა, რომ მეტ-ნაკლებობა ამა გრძნობისა (ადამიანურის, ესთეტიკურის სიამოვნებისა — რედ.) დამოკიდებულია განათლებაზე, გონების გახსნილობაზე, და სულისა და გულის რიგიანად, ადამიანურად გაწრთვნილობაზე, ხოლო ხელ-აღებით უარ-ყოფა მისი, ხელ-აღებით თქმა, რომ ადამიანს ეს გრძნობა, ცოტად თუ ბევრად, არა აქვსო, მეტის-მეტი აშკარა ტყუილი იქნება და არა-მისატევებელი შეცდომა. („ივერია", № 225, 1886, 1).

61(3283). თქმა არ უნდა, რომ უკეთესი არა იქნებოდა, — რა, რომ ხასიათის გაწვრთნას ცოდნა ჰქონდეს და ცოდნას ხასიათის გაწვრთნა იდეალი ადამიანის აღზრდისა ამ ორის საუნჯის ერთად შექმნილა. (IV, 237).

62(3284). ... იგი ტვირთი, რომელიც აძევს წერა-კითხვის გამაერცელებელ საზოგადოებას, დიდი და რთული ტვირთია. („ივერია", № 249, 1886, 1).

63 (3285). ის მამა შვილის დამღუპავი ყოფილა, რომელსაც... ღვთის კაცი გამოუჩნდება შვილის გასაწურთვნელად და არ გააწურთვნინებს. (II, 52).

64(3286). (კარგი — რედ.) ... შეგირდი—ოსტატის ნიხარულია. (II, 57).

65(3287). კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, რიცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც ვაკეთებს და თავისთვისაც შემოაქვს* (V,289).

66(3288). კაცის ვამცარცველს, ანუ კაცის მკვლელს დაუხატეთ მისი აღკაცობის სურათი, განეწმინდება გონება!... (II, 459-460).

67(3289). კაცს თუ ღონე აქვს გამოირკვეოს პატიოსანი საგანი ცხოვრებისა და, ვითარცა გამორკვეული საგნის კაცი, ქვეყანაში იყოს ერთი რამ კეთილი თავით თვისით, მისი სულიერი ვინაობა სასურველად დადგენილია და გამართული. აი სწორედ ეს ღონე და ხერხი გამორკვევისა, პატიოსანი წყურვილი და ხერხი ქვეყანაში ერთ რამედ ყოფნისა უნდა კაცს შესძინოს სკოლამ. ამისათვის უნდა იწრთვნებოდეს კაცი სკოლაში. უამისოდ იგი არაფრის მაქნისია, რაც უნდა ბევრი სწავლა და ცოდნა ჰქონდეს, იმიტომ რომ უამისოდ იმისი სწავლა-ცოდნა უქმი საუნჯეა და თითონ კაცი დაკეტილი ზანდუკია უქმად მდებარე საუნჯისა. (IV, 297).

68(3290). ... მარტო წიგნი ვერ გაუწევს საკმაო სამსახურს დიდ საქმეს ცოდნის გაერცელებისას... (VII,47).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური გამოთქმა:
„კაცი უნდა ხერხი იყოს,
გაჰქონდეს და გამოჰქონდეს". (რედ.).

69(3291). მასწავლებლთ უფრო ბავშვის ზნეობაზედ უნდა იმოქმედონ, უნდა შეძლებისამებრ გაულვიძონ გულში ის კაცობრიული გრძნობა, ურომლოდაც ცხოვრებაში ადამიანი უფრო მხეცად გაჩოიყურება, ვიდრე ადამიანად. (V, 363).

70(3292). მასწავლებელი, ექიმი, ტეხნიკი, მიწის შეგუშაევების მცოდნე,—ყველა, ეინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ეხლა. თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისთვის, თავი ეიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გაეფანტოთ. (IV, 340).

71(3293). მაღალ სასწავლებელს დაბალი გონება ვერ მისწვდება, ტკეილია! (III, 48).

72(3294). მე მაინც იმას ვამბობ, რომ კაცი კაცად გახდეს, ამის ღონედ მარტო ცოდნა და განათლებაა. (II,464).

73(3295). მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია. (II, 476).

74(3296). მთელი დიდება კაცობრიობისა ცოდნის საქმეა, მთელი იგი სიკეთე, რომლითაც სამართლიანად თავი მოსწონს კაცობრიობას ნაღვაწეია ცოდნისა, იმ ცოდნისა, რომელიც ადამიანსა ჰშველის მთელი უტყვი ბუნება თვისდა საბედნიეროდ დაიმორჩილოს და იმსახურის ხორცისათვის და იძიოს და გამოსახოს სხვიოსანი სახე ჭეშმარიტებისა, მშვენიერებისა და სათნოებისა სულისათვის, ესე იგი, სრულ ჰქმნას ადამიანი სულითა და ხორცითა. აი იდეალი განათლებულ ცოდნისა და მთელის ეგრედ წოდებულ პროგრესისა. („ეერია", № 75, 1897,1).

75(3297). ... მისანია წიგნი. (II,52).

76(3298). ... მიხვედრილს კაცს ცოდნა და სწავლა-განათლება სამკაულად-კი არა აქვს მიჩნეული, როგორც ბუზმენტი ჩოხისათვის, ან ძეწკვი გულ-მკერდისათვის. იგი ცოდნასა და განათლებას უყურებს, როეორც აუცილებელს საჭიროებას, როგორც არსებითს პურსა. (IV, 363).

77(3299). მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი, გონების გამხსნელი! (V, 117).

78(3300). მსწავლული არაეინ დაბადებულა, ყველანი ერთი-ერთმანეთისაგან სწავლობენ, ერთი ხალხი მეორე ხალხისაგანა სწავლობს. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 295).

79(3301). ... მცოდნე კაცი... ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოეჩვენება. (IV,359).

80(3302). (მძლეთა-მძლეა კაცი, შეიარაღებული—რედ.)... იმ ფაქიზისა და წმინდა იარაღით, რომელსაც ცოდნა ჰქვიან... (IV, 364).

81(3303). მწურთვნელის კარად ხსენება მადლობელის გაწურთვნილისაგან მოსაწონია, მაგრამ ესეც-კი ურიგოდ არ არის ნათქვამი

„ცემა გმართებს გამზრდელისა, თუ ყრმა ჰნასო ავად ზრდილი". (VIII, 119).

82(3304). ნაღებს ქვეყნისას და ცხოვრებისას მცოდნე კაცი ჰხდის და უცოდინარს სასვლეპავად თუ დო დარჩა, ღმერთს მადლობა შესწიროს. (IV, 360).

83(3305) ნიჭი დიდი ძალაა ყოველ საქმეში („დროება", № 9, 1880,1).

84(3306). ნიჭი, სიკეთე ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა ისეთი რამ არის, რომ, რაც გინდ ნამეტანი იყოს ვისთვისმე, მეტი ბარგი არ არის, თუ საკუთარს სხვისაც ზედ წაეშატება. (VIII, 159).

85(3307). (ნიჭი სისტემატიურის და მედგარის შრომისა წარმოადგენს — რედ.) ძლიერს ღონეს ადამიანის ცხოვრების ყოველ-გვარად წარმატებისას. (III, 278).

86(3308). ნიჭს ზრდა, წრთვნა, გახსნა და გაშლა უნდა. (III, 374).

87(3309). ნუ გადუდგებით მტკიცედ დადგენილს კანონებს პედაგოგიისა! (V, 117).

88(3310). ნუ გაურეეთ სკოლის უწმინდეს საქმეში სხვა საქმეს, რომელიც სკოლას არ შეეფერება! (V, 117).

89(3311). ნურავინ ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი ქალი, ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი დაი, ქართველი დედაკაცი. თუ სკოლა ამას არ იქმს, ის სკოლა წყალსაც წაუღია, ჩვენ ბევრს არას ვინაღვლით. (V, 116).

90(3312). ნურავის ნუ ჰგონია, საერთო* სკოლის საკუთარი ტვირთი ისე მსუბუქი იყოს, რომ განიზრახოს სხვა საპალნეც აჰკიდოს რამე. (IV, 280).

91(3313). ნურავინ იტყვის, რომ ამა თუ იმ ერსა ეაჭრობისა და მრეწველობის ნიჭი და ბუნება არა აქვსო... სჩანს, აქ ნიჭი ბევრს არაფერს შუაშია, საქმე სწავლა-ცოდნა ყოფილა. (IV, 388-389).

92(3314). ოსტატი მაშინ არის საჭირო, როცა სწავლა გეჭირია რისამე. („დროება", № 404, 1873,3).

93(3315). პატარა ბავშიც კი, რომელსაც თავისის ასაკის შესაფერი ცოდნა აქვს, ძლიერია უცოდინარს გოლიათზედა და უფრო შემძლებელი ამ წუთის — სოფლის მოედანზედ, საცა დღეს იგი იჭარჯვებს — ვინც მცოდინარეა, იგი ჰთამამობს — ვისაც ხელთ უპყრია ის უძლეველი იარაღი, რომელსაც ცოდნას ეძახიან. (IV,335-336).

94(3316). პედაგოგიის ძირეული კანონი... ამას ამბობს, რომ თუ ცნობიერად და გაგებით უნდაო ბავშვმა რამე ისწავლოსო, ჯერ თავისი კარგად უნდა შეისწავლოსო, რომ მერე სხვისას შეუდგესო. (IV,281).

* უნდა იყოს: „საერო". (იხ. „დროება", № 33, 1881, 2). (რედ.).

95(3317). ... პირველდაწყებითს სახალხო შკოლას მარტო ერთი წადილი უნდა ჰქონდეს, მარტო ერთი საგანი: შოზარდს თაობას მიანიჭოს ცოდნა იმ პატარა საწყაოთი, რომლის აუსებლადაც შემდეგი განათლება და განვითარება შეუძლებელია. აი ამაშია სული და გული პირველდაწყებითის შკოლისა. (V,23).

96(3318). რა არის დაცემულის ზნეობის წამალი? რა განკურნავს დაბნელებულ გონებას? რა მოუხდება სულით ავათმყოფს? — მეცნიერებმა და ფილოსოფოსებმა დიდი ხანია გვიჩვენეს ამ გვარ სნეულების წამალი; ეს წამალი არის — ტკბილი სიტყვა, კეთილი დარიგება, კარგი წიგნები, სწავლა-განათლება და კაცობრიეი მოპყრობა. („დროება" № 92, 1880, 1).

97(3319). რა არის იგი სწავლა, განათლება, ზნეობა-გაწრთენილობა, რომ თავისუფლების ჭეშმარიტი მნიშვნელობაც ვერ გამოარკვევინოს ადამიანსა, იმოდენა ღონე არ მისცეს სულისა, რომ ადამიანი მის მაღალ მნიშვნელობას ასწვდეს და ბოროტის ქმნის თავისუფლებას სიკეთის ყმობა არ არჩევინოს! (III, 135).

98(3320). რა გამოვა... იმ ბავშისაგან, რომელსაც არა ჰყავს კარგი დამრიგებელი, ან სრულიად არა ჰყავს დამრიგებელი? (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV,305).

99(3321). რასაკვირველია მარტო ნიჭი არის ბალა ბრმა, უსინათლო. მისი ნაყოფიერება გაუწდომელია, როცა მას დაერთვის მეცადინეობა, შრომა, ჭკუის გაზრახული მოქმედება. („დროება", № 9, 1880, 1).

100(3322). რასაკვირველია, ყოველს ამას (ამა თუ იმ საქმის) აღსრულებას—რედ.) სურვილისა და წყურვილის გარდა, ცოდნა და მოხერხება უნდა. (VII, 42).

101(3323). რომელი კაციც უფრო შორს გააწვდენს თვალს, უფრო დიდს მანძილზე გაუსინჯავს და მოუსრეს გზას ახლად გაჩენილს საქმეს, მით უფრო სასურველია და მადლობის ღირსი, როცა იგი კაცი თავისს დანახულს და გასინჯულს გვაუწყებს. ხოლო ყოველს ამას ჭკუა უნდა, ცოდნა უნდა, თვალის სინათლის ქონება უნდა. („ივერია", № 27, 1896, 1).

102(3324). როცა მაგონდება, რა დიდი პასუხ-საგებელი საქმეა (წვრთნა ყრმისა — რედ.), — გინდა დამიჯერე, გინდა არა, — კანკალი ამიტანს ხოლმე შიშისაგან. (II,477).

103(3325). ... საერო სკოლა* ერის შინაური სკოლაა, ის მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ პირველი ფეხი უნდა აიდგას, ის გამზრდელია ერისა, რომელმაც უნდა აძლიოს ერს საზრდოებელი სუ-

* ი. ჭავჭავაძე საერო სკოლად გულისხმობდა სახალხო (народная) სკოლას. (რედ.).

ლისა და ხორცისა იმ პატარა საწყაოთი, რომელიც ზედ—გამოჭრილია... ბის სულიერ და ხორციელ მოთხოვნილობაზედ. (IV, 275).

104(3326). საერო სკოლა, საზოგადოდ, სკოლაა ერისა. (IV,275).

105(3327). საერო სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს, გონებით და გულით გაღვიძებული კაცი იმოღენად, რომ იგი საკუთარის ჭკუით და გულით გაუჭირვებლივ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით იღვწის და მოქმედებს. (IV,275).

106(3328). საერო სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუჩარხოს გულის-ყური, გაუწურთნოს და კეთილად მოუმართოს ვრძნობა, შეაჩვიოს მოზარდის ჭკუა-გონება მართლმსჯელობასა და ოვითმსჯელობასა. (IV, 275).

107(3329). სამეურნეო სასწავლებლის სიკეთე და ღირსება იმდენად აშკარაა, რომ იმას აღარავითარი ღაღადისი არა სჭირია. („ივერია", № 40, 1898, 4).

108(3330). სამრეწველო საქმეთა წარმოება შეერთებულის ძალ-ღონით, ისეთი აუცილებელი და ყოვლად დიდი საჭიროებაა ამჟამად ჩვენში, რომ უმავისოდ ხსნა აღარსადა აქვს ჩვენს ქვეყანას. ამ გვარად საქმეთა წარმოება ჩვენთვის სკოლა იქნება. ამ სკოლაში უნდა გამოიჯეკოს, გამოიწერთნოს ჩვენი ძალ-ღონე; ამისთანა სკოლაში უნდა გავვარჯიშდეთ და შევიძინოთ ის უნარი საქმიანობისა, ის შნო საქმეთა წარმოებისა, რომელსაც წარსულში სრულიად მოკლებულნი ვიყავით და რომელმაც უნდა მტკიცედ დაგვაყენოს ფეხზედ მომავალში. გაშარჯვება ბოლოსა და ბოლოს ძლიერს დარჩება... („ივერია", № 23, 1893,1-2).

109(3331). სარჩლიც არის და სარჩლიც, შესაძლოა კაცი კაცს სულელურადაც გამოესარჩლოს და ჭკვიანურადაც. ეგ ჭკუამახვილობასა და ცოდნაზეა დამოკიდებული. (IV,157).

110(3332). საქმე ის არის, ის აზრი გამოინასკვოს ჩვენში, რომ სახელოსნო და სასპეციალო-სატეხნიკო სკოლები აუცილებელი საჭიროებაა და ცხოველ-მყოფელი სახსარია ჩვენის... ქვეყნის გაღონიერებისათვის. (IV, 390).

111(3333).საცა კეთილია, იქ აღებ-დაღება არ უნდა და რომ სწავლა საზოგადოდ და უმაღლესი საკუთრივ კეთილია — ამას ეხლა ყურ და თვალდახშულიც აღიარებს. (IV, 334-335).

112(3334). საცა ცოდნა არ არის, იქ კაცი არ არის, საცა კაცი არ არის, იქ საზოგადოებაც არ არის, და საცა საზოგადოება არ არის, იქ არც ხალხია. ეს უნდა თითზე დავიჭდიოთ, ეს უნდა დღე-და-ღამ გუ-

ნებაში ვიქონიოთ, ამას უნდა მიეცნეთ ყველანი ერთად და თვითოეულად ცალკე ყოვლის ჩვენის შეძლებითა და ღონითა. (V, 352).

113(3335). საჭირო არის წრთვნა, სწავლა,

ვითა ფარ-ხმალი ბრძოლისა,

„სჯობს ყოლა უწვრთნის ძაღლისა

უწვრთნელი შვილის ყოლასა“.* (I,124).

114(3336). (საჭიროა, რომ—რედ.) ... განათლების საქმეს მთელის ქვეყნიერობისაგან აღიარებული საფუძველი დაედოს, ერთხელ და ერთხელ თავის საკუთარს გზაზედ დაყენებულ იქმნას, განათლების საქმეში განათლების მეტი არავინ რა შეურიოს და წვინდა რამ არ აამღვრიოს. (V, 136).

115(3337). სიბრძნე იმიტომ არის სიბრძნე, რომ კაცი პირველშივე ადვილად ვერ მიხვდეს. („ივერია“, № 45, 1898, 3).

116(3338). სიბრძნე სიცრუის ნასკვის გამოხსნა... ქონდრის-კაცებისათვის ადვილი საქმე არ არის. („ივერია“, № 45, 1898, 4).

117(3339). ... სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთვნიდეს კიდეც ბავშსა და ასწავლიდეს კიდეც. (IV, 293).

118(3340). სკოლა, სასწავლებელი, ორ-პირი ხმალია. ენების მოტანაც შეუძლიან და დიდის სიკეთისაც. ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის მოწყობილი და აგებული პროგრამა სწავლებისა. (V,116).

119(3341). ... სკოლამ ისე უნდა ამზადოს და სწურთვნოს, რომ კაცს ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს ერთ რადმე ყოფნისა ქვეყნის სასარგებლოდ; ღონე, ხერხი და წყურვილი, ჰქონდეს, პატიოსანი რამ საგანი ცხოვრებისა იქონიოს; ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს, ყოველ ამისათვის მოიპოვოს შესაფერი სწავლა-ცოდნა. ეგრე მოწყურებული, გაღონიერებული და ხერხიანი კაცი არავითარს სიძნელეს საქმისას არ შეუშინდება, არ შეუდრკება და ზნე-ხასიათობაც ეს არის. (IV,298).

120(3342). სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება; განათლებამ უნდა განფანტოს მისი ბონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად. (IV,340).

121(3343). ... სულიერის თვალის ახილება მარტო ცოტად-თუ-ბევრად რიგიანს განათლებას შეუძლიან და სხვას არასფერს. III,132).

122(3344). სურვილიც საგნის ცოდნისა ერთი იმისთანა უნარია, რომელიც კაცს თუ ბუნებით არ გამოჰყოლია, ან სწავლა-განათლებით არ ჩანერგვია, სხვა ვერაფრით გაუჩნდება ადამიანს. (VI,247).

123(3345). „სწავლა არის სიცოცხლე სწავლულისა, სათნოება — სიცოცხლე ბრძენისა“, ვილაცამა სთქვა და მართალიც არის. („ივერია“, № 80, 1897, 2).

---

* ეს აფორიზმი („სჯობს ყოლა უწვრთნის ძაღლისა უწვრთნელის შვილის ყოლასა“), დ. გურამიშვილისაა. (რედ.).

124(3346). სწავლა-განათლება თითონ არის სათაკე სიმდიდრისა, მაშასადამე, აქ არაფრის დაზოგვა არ უნდა, რომ ამ სათაკიდან სიმდიდრის წყარო მოვადინოთ. (IV, 357; VIII; 317).

125(3347). სწავლა-განათლება საჭიროა ყველასათვის... (IV, 356; VIII; 316).

126(3348). სწავლა-განათლებას ქვეყანაში ჭკუა შეაქვს. („ივერია", № 30, 1897, 1).

127(3349). (სწავლა-განათლების წყალობით, მეშვეობით—რედ.) ზნეობის სიმაღლე და სიფაქიზე პმატულობს, გრძნობა ურთიერთობისა ძლიერდება, საზოგადოს, საერთოს საქმეს მოღვაწენი უჩნდებიან, გულ-შემატკივარნი მისნი უფრო და უფრო გულ-მხურვალედ ეკიდებიან ყოველ მას, რაც აკეთებდებას ქვეყნისას საერთოდ და საზოგადოებისას ცალკე შეადგენს ზნეობითად, თუ ქონებითად... („ივერია", № 30 1897, 1).

128(3350). სწავლა და განათლება უფესვოა იქ, საცა უდიდესი ნაწილი ხალხისა კარდახშულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა. (V, 21).

129(3351). ... სწავლა და წრთვნა ბავშისა კაი კაცის ხელში წვალება კი არ არის, სიამოვნებაა ბავშისათვისეე... (II, 480).

130(3352). სწავლა, ცოდნა და მეცნიერება. აი წამწყმედელი ყოველის უთანხმოებისა, დამადვინებელი ყოველის ერთობისა, ამამაღლებელი ადამიანისა! აი ჭირთა ამხდელი სახსარი, კეთილდღეობის მოძფენი ღონისძიება! (V, 20).

131(3353). სწავლა, ცოდნა, მეცნიერება—ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. (V, 20).

132(3354). ... სწავლა-ცოდნა სკოლაში ზნე-ხასიათის საწურთველ ღონედ უნდა იხმარებოდეს და არა იქმნას მარტო თავის-თავად საბუგარი რამ, თავის-თავად სანატრელი. (IV, 301).

133 (3355). (სწავლა-ცოდნის გავრცელება—რედ.)... დიდი საქმეა და ამ დიდს საქმეს დიდი ცომიც უნდა. („ივერია", №274, 1891, 1).

134(3356). სწავლასა და განათლებას ჩვენ უნდა ვუცქერიდეთ არა როგორც საგანს მისწრაფებისას მხოლოდ, არამედ როგორც საშუალებას, ღონისძიებას, რომლის მეოხებით უნდა იმატოს ჩვენმა კეთილდღეობამ, ჩვენმა ბედნიერებამ. („ივერია", № 24, 1893, 2).

135(3357). ... სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამც თუ სვე-ბედი მარტო მომავალის თაობისა, არამედ სვე-ბედი თვითონ ქვეყნისაც, რადგანაც ქვეყნის მომავალი მომავალის თაობის

კუთვნილია და, მაშასადამე, მის ხელთ იქმნება. („ივერია", № 275, 1889, 1-2).

136(3358). სწავლას ნურას დააბრალებთ,
თუ ვერ იქმნა შვილი წერთნილი,
ცემა გმართებთ გამზრდელისა,
რა ყრმა ნახოთ ავად ზრდილი*. (I, 124).

137(3359). ... სწაელისთანა ამ (ქვეყა)ნაში გამოსადეგი არა არის რა, მაშასადამე, ცოდვა არის (სწა)ვლის მსურველს არ მისცენ საშუალება. (X, 16).

138(3360). სხვა ვერაფერი გაუსწორებს ომს ცოდნასა, თუ არ ისევ ცოდნა, სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისაგან, თუ არ ის ხერ-ზი, ის უნარი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა. (IV, 360-361).

139(3361). უამისოდ (ცოდნის გარეშე — რედ.) დედამიწა თავის უხვს და უხარბელს გულს არ გადაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს, რამოდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს. (V, 289).

140(3362). უკეთესი არა იქნებოდა — რა, რომ ხასიათის გაწვრთნას ცოდნა ჰქონდეს და ცოდნას ხასიათის გაწვრთნა. იდეალი ადამიანის აღზრდისა ამ ორი საუნჯის შექსოვაა. (II,526).

141(3363). უმაგისოდ (ცოდნისა და განათლების გარეშე — რედ.) წყალში გადასაგდები ვიქნებოდი. (II,51).

142(3364). უმაღლესს სასწაელებელში ყოფილს და იქ ცოდნა მიღებულს თავისი ფასი აქვს... მაგრამ ცოდნაც არის და ცოდნაც. ერთნაირი ცოდნაა, რომლის სამზღვრები от сель до сель-ა და კაცი მარტო ამ სამზღვრებში მოიმწყვდევს ხოლმე თავსა და ამას იქით არ მიდის. ვინც მარტო ამისთანა ცოდნას ჰკმარობს, — უმაღლესი სასწაელებელი გამოუელია, თუ უმდაბლესი, — დიდი თაბაუთი არ არის. ორგანვე ამისთანა ცოდნა მკვდარი ცოდნაა და მკვდარი, დიდი იყოს თუ პატარა, — ორივე ერთნაირად დასამარხია, ერთნაირად აბდერძ ასაგებელი. („ივერია", № 78, 1897, 1).

143 (3365). უმეცრება — აი უმთავრესი სენი, რომელიც... შეუბრალებლად ჰლრღნის სიცოცხლეს... (IV, 338).

144(3366). უცნობი ცნობილით ასწავლეთო,—ამბობს დისტერვეგი, — თუ გინდათ ცოდნას ცოდნა ერქვასო, სწავლას-სწაელაო, სხვა გზა არ არისო, სხვა ღონე შეუძლებელიაო. ან ეს ძირეული კანონი პედაგოგიისა სულ მთლად აღიარებული უნდა იყოს, ან სულ არა. ამათ შუა საფეხური არ არის, რომ კაცმა ფეხი მოიკიდოს. (IV,283).

---

* ამ სტროფის ბოლო ორი ტაეპის (იხ. აგრეთვე: IV, 69; VIII. 119). შესახებ კომენტარი იხ.: ლ. მენაბდე, „XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა", თბ., 1973. გვ. 133. (რედ.).

145(3367). უცხო ენის სწავლება საჭიროა. (V,365).

146(3368). უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. (II,291).

147(3369). (ფრანსუა რაბლეს — რედ.)... შეპქმნა საკუთარი თეორია აღზრდისა და ამაში დიდი გამჭრიახობა, დიდი ცოდნა და ლიდი ჭკვა-გონება გამოიჩინა.

...ახალი წესი, რაბლეს მიერ მოძღვრებული, იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვი, რაც შეიძლება ნაკლებ იყოს მომწყვდეული ოთხ კედელს შუა, რადგანაც დახშული და დაბუღებული ჰაერი ოთახისა და უმოძრაობად ყოფნა სნაგრავს ყმაწვილსა. ყმაწვილი დღეში უფრო ბევრი წილი ეარეთ უნდა იყოს, ჰაერზედ. (IV, 312).

148(3370). ქვეყანა, ბატონებო, სავსეა ხილულითა და არა-ხილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის... ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთა სწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და ძეორესაც საცნაურად ორისავ გზით, და მით უფრო, რაც ადამიანი თვალ-ახილულია და გონება-გაღვიძებული. ნება-უნებლიეთ ამ ორს სამფლობელოში დადის მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა, რომ იპოვოს ბინა და იქ დაღალული სული შეასვენოს ხოლმე გულთა-ძვრისაგან და მსოფლიო ღელვისაგან.

ამ ორს საფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე. (IV,252).

149(3371). ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია, თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს. (II, 291).

150(3372). ... ქვეყანას გონების გახსნა უნდა, ქვეყანას სწავლა უნდა, ქვეყანას გაზრდა უნდა, თუ რამ შეგიძლიანთ, იმოქმედეთ. (II, 462).

151(3373). ... ღარიბნი თუ ვართ, სწავლა-განათლების უქონლობის მიზეზია. (IV, 357; VIII, 317).

152(3374). ღმერთმა გვიხსნას ... იმისთანა შკოლებისაგან, რომელთაც განათლებისა და სწავლის მოფენის გარდა, სხვას რასმე დაუნიშვნენ მისაღწევად და ამ აკვანს ადამიანის გონების და ზნეობის აღზრდისას წაბილწვენ სხვადასხვა ბიწიერ მოსაზრებითა. შორს ჩვენგან ამისთანა შკოლები! (V, 22).

153(3375). ღონიერი და ჭირთა მძლეელი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია. (V, 289).

154(3376). ყველა გონიერი კაცი, თუნდაც უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვის ოსტატია (აღმზრდელია — რედ.). (II, 291).

155(3377). (ყველამ უნდა—რედ.). ... შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან... (V, 290).

156(3378). ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნით, უნდა, რაზდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წიხ გაიიცდეაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს. (V, 97-98).

157(3379). ყოველთვის ცხოვრებას ესრეთი (გაპარტახებისა და გაჩანაგების — რედ.) ბოლო ჰქონია, როდესაც განათლებას არ მიუჩვევია კაცი ეონიერულად და ხელ-მოჭერით ცხოვრებისათვის. („დროება", № 65, 1882, 1).

158(3380). ...ყოველი ჩვენგანი იქამდინ უნდა განვითარდეს, რომ მის ეონიერებას თავისი საკუთარი საზომი უნდა ჰქონდეს. აი მოედანი. იღვაწეთ, ეულმტკივნეულნო გამკითხველნო! (II, 459).

159(3381). ყოველივე ... სიკეთე და სიდიადე ცოდნისა გვწამს. („ივერია", № 75, 1897, 1).

160(3382). ყოველს მცირე საგანს სწავლა უნდა და ისიც ხანგრძლივი. („ივერია", № 260, 1886, 3).

161(3383). შეძლებისამებრ იღვაწე და იმოქმედე კეთილი, სხვას ამის მეტს არასა სთხოვს ქვეყანა თავის შვილსა, და სკოლამ სწორედ ამისთანა შვილი უნდა გაუზარდოს ქვეყანას, ამისათვის გაუსნას გონება, ამისათვის გაუღოს გული. (IV, 299).

162(3384). შვილების აღზრდა ახალ-თაობის განათლების საქმე, რასაკვირველია, დიდი და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეა. („ივერია", № 3, 1884, 147).

163(3385). ჩვენ ვიცით, რომ რუსულის სწავლა უნდა ხალხსა... (V, 362).

164(3386). ჩვენ ... ხედვა გაძლიერებული გვაქვს, დურბინდით შეგვიძლიან ყურება და ეგ დურბინდი სწავლაა და ცოდნაა... (II, 313).

165(3387). ჩვენი აზრი ის არის, რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს... (III, 315).

166(3388). ... ჩვენს შვილებს სწავლისა, განათლებისა და ერთობ კაცად ქცევის გზა მივსცეთ იმოდენად ფართო, რამოდენადაც შესაძლო იქნება. (IV, 323).

167(3389). ცარიელი, მოუმზადებელი, უწურთვნელი ნიჭი არ — გადახალისებული მადანია და ამიტომაც ბევრს ვერას შესძლებს ლიტერატურის სარბიელზედ. (III, 84).

168(3390). ... ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლ-

ლება, არც სინათლე. არც სიცხოველე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგან ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი დაიწყებს ლაპლაპსა.

სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბჟუტაობს შორს საღმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, — სჩანს ძღვიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო.

სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება ნაიწვის და გაჰქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის დღეში არა: მამიდამ შვილზედ გადადის, შვილიდამ შვილის-შვილზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული. (V, 290).

169(3391). ცოდნა და დასწავლა ... თავის დღეში არ უჭტყუნებს ხოლმე არავის. („ივერია", № 36, 1887, 3).

170(3392). ცოდნა და ქონება ერთად იგი თავნია (капиталъ), იგი ძირის-ფულია ერისა, რომელიც თუ არ მიეშველა მიწას, იგი მიწა, რაც გინდ ნაყოფიერი იყოს, წარმოადგენს ცხრაკლიტით დაკეტილს სალაროს სიმდიდრისას, უქმად დებულისას და ერისათვის დაკარგულისას. („ივერია", № 4, 1893; 1, VII, 32-33).

171(3393). ცოდნა დაუფასებელი მადლია მხოლოდ მართლა განათლებული კაცის ხელში. („ივერია", № 75, 1897, 1).

172(3394). ... ცოდნა ენახზედ უკეთესი ენახია, ხოდაბუნზე უკეთესი ხოდაბუნია, უფრო მომცემი, უფრო საიმედო და დაუსეტყვაეი. (IV, 363).

173(3395). ... ცოდნა* თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა ... მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. (V, 290).

174(396). ცოდნა იმითია კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის ... — ერთნაირად შეიყვდრებს, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულ გლეხსაც და ბუზმენტბით მორთულს თავადსაც. ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დაამშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულმონდობილი და მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდისა. (V, 290).

175(3397) ცოდნა რომ ბოროტადაც გამოსაყენებელი არ იყოს, ჩვენა გეგონია, კარგა დიდი წილი ავკაცობისა აღარ ააშფოთებდა მშვიდობას ქვეყნისას და კაცთა ცხოვრებისას. („ივერია", № 75, 1897, 1).

176(3398) ... ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად. (IV, 359).

---

*. ჭავჭავაძის რჩეული ნაწარმოებების (ხუთ ტომად) IV ტომში (თბ., 1987) აჩის: „მცოდნე" (იხ.: გვ. 253). რაც კორექტერული ლაფსუსია. (რედ.).

177(3399). ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. (IV, 358).

178(3400). ... ცოდნა, სწავლა-განათლება, მარტო სამკაული-კი არ არის კაცისა, პირველ წყების საჭიროებას, როგორც პური, როგორც წყალი, როგორც საჭმელი და სასმელი, ერთის სიტყვით, როგორც ყოველივე ის, ურომლისოდაც კაცს გაძლება და ხერხი ამ ქვეყანაზედ არ შეუძლიან. (IV, 361).

179(3401). ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალი მოვერეპისათვის. (V, 20).

180(3402). ცოდნა ცოდვა-მადლიანი საქმეა, ორ-პირი მახვილია. ჯოჯოხეთის მანქანის (საომარი, საბრძოლო ტექნიკის — რედ.) მომგონიც მცოდნე კაცი იყო. („ივერია", № 75, 1897, 1).

181(3403). (ცოდნა — რედ.) ... ცხოვრების მოედანზედ ყოველთვის უძლეველია და გამარჯვებული. (IV, 364).

181[1](3404). ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადაუდგება*. (V, 289).

182(3405). ... ცოდნას დიდ მადლთან დიდი ცოდვაც შეუძლიან, ოღონდ კაცმა ნამუსზე ხელი აიღოს. „ივერია", № 75, 1897, 1).

183(3406). (ცოდნის გარეშე—რედ.) ... თითონ ფულითაც მდიდარი ღარიბია, რადგანაც უქმია და გამოუსადეგარი. (IV, 360).

184(3407). ცრემლიანი ცოდნა თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, — შუქია წინასი და შუქი ხომ ... დასაწყისია განთიადისა... II, 320).

185(3408) ... ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს (II, 320).

186(3409). ცხადია, რომ საერო სკოლა, როგორც პირველ-დაწყებითი სკოლა ერისა, სხვა არა უნდა იყოს-რა, გარდა დედა-ენისა და სამშობლო ქვეყნის მასწავლებელ სკოლისა. (IV, 280).

187(3410). (ცხოვრებას აცისკროვნებს—რედ.) ... ცოდნა, ცოდნა ყოველისფრისა, რისაც კი შეიძლება, ცოდნა ვრცელი და საფუძვლია-

---

* შდრ: „ცოდნა თან დასდევს მცოდნესა. რაზომსაც დაეპარების.
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შეეკარების;
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების..." (დ. გურამიშვილი). ზემოთ მოტანილი ფრაზა. ერთგვარი სასეცილებით („ცოდნა ხომ ხერხია ...თავისთავად სიმდიდრე არის... კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცვინ მოჰპარავს), შეტანილია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" (იხ.: IV, 55). საიაც მის ავტორად ე. მაჩაბელია მითითებული, რაც შეცდომაა. (რედ.).

ნი, შემკული განუქრობელის სიყვარულით საყოველთაო ბედნიერებისადმი. (IV, 232).

188(3411). ცხოვრების მოედნიდამ ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზედ, და თუ უცოდინარისათვის რჩება რამე, ნარჩენი მარტო მცოდნეს ნასუფრალია, მცოდნე კაცის სუფრის ნაბღერტია. (IV, 359).

189(3412). წიგნი იმისთანა რამ არის, რომ თქვენი სოფლის ამბავს ქალაქში ნამოიტანს, ქალაქისას — სოფელში წაიღებს, საიდგან სად კაცს კაცთან გაალაპარაკებს. (II, 45).

190(3413). წიგნი კარგია, ვინ არ იცის? (II, 50).

191(3414) ... წიგნის არსებითი ძალა იმაში ... მდგომარეობს, რომ ტფილისელს ამერიკელთან გაალაპარაკებს და ამერიკელს ტფილისელთან, თუმცა ერთმანერთი თავის დღეში თვალითაც არ ენახოთ. („ივერია", № 16, 1877, 12).

192(3415) (წიგნს—რედ.) ... საწყალ კაცის შეფერებაც სცოდნია. (II, 43).

193(3416). (წრთვნა ყრმისა — რედ.) ძნელი საქმეა და უფრო დიდი და მძიმე ვალია. (II, 476).

194(3417). წურთვნა და სწავლა ხელიხელს გადაბმული უნდა ეიღოდეს სკოლაში. (IV, 293).

195(3418). წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს და მეორეს — სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა — კი გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე. (IV, 293).

196(3419). (ჭეშმარიტ სიყვარულს ვერ მისწვდება—რედ.) ... სწავლისაგან საკმაოდ არ-განათლებული გონება, გაუწურთნავი ამ მხრით გული.... (III, 134).

197(3420). ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია ან მეორე, იგი განათლებული არ არის... (IV, 293).

198(3421). (ჭეშმარიტი ცოდნა — რედ.) ... თითონ ღონესაცა სჯობია ... ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს ... კაცის თვალს ღელამიწის გულში ჩაახედებს. (V, 288-289).

199((3422). ჭეშმარიტი ცოდნა მეტად სხვისანია, მეტად ძლიერი შინაგანის ცხოველ მყოფელობითა, ოომ ასე თუ ისე არ გამოხეთქოს, არ გამოეზევდეს და შეშინეულ არ იქმნეს გონება-ახილებულ კაცის მიერ მაინცა, თუ სხვისთვის ძნელია ამისი ღანახვა. („ივერია", № 80, 1897, 1).

200(3423). ხალხის სიღარიბიდამ გამოყვანა და სწავლა და ცოდნა ისე კრიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ იმათ უერთმანეთოდ მნიშვნელობა არა აქვთ რა. (V, 45).

201(3424). (ხალხის სწავლა-განათლების—რედ.) ... საქმეში გულგრილობა შეუნდობელი შეცოდებაა წინაშე ქვეყნისა, ჩვენის შვილებისა, შთამომავლობისა ... ნუ დაგვავიწყდება, რომ ყოველი გროში, იმ დიდის საქმისათვის შეწირული ჩვენს შვილებს მოხმარდება. მათის კაცად გახდომისათვის, მათის ბედნიერებისათვის, მათის განათლებისათვის იმოქმედებს. აქ უკან დახვევა შვილების ღალატია, ქვეყნის გმობაა, საუკუნოდ საწყევარი. (IV, 326).

202(3425). (ხალხის—რედ.) ... ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან. უამისოდ დედამიწა თავის უხვს და უხარებელს გულს არ გადაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს, რამოდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს. (V, 289).

203(3426). ხალხს რა ამზადებს? სწავლა, ვარჯიშობა, ეამოცდილება, იმ საქმეში ჩაყენება, რისთვისაც მომზადება საჭიროა. (VI, 84).

204(3427). ... ხერხი და სიმარჯვე კაცს ეძლევა სწავლა-ცოდნისაგან. („ივერია", № 274, 1891, 1).

205(3428) (ხშირად, ამა თუ იმ საქმის—რედ.) მარცხის ბიზეზი თვითონ საქმეშია, რომელიც მარტო ცარიელს სურვილზეა აგებული და მოკლებულია საჭირო ცოდნას ადგილის ვითარებისას, უროგლისოდაც კეთილი სურვილიც კი ფეხს და ხელს ისევ ვერ გაანძრევს, რომ არ შესცდეს და გზა-კვალი არ აერიოს. (IV, 349).

206(3429). ... ხშირად დიპლომი უფრო მიწმობაა ბეჯითობისა, ვაზეპირებისა, ვიდრე ჭეშმარიტის სწავლა-ცოდნისა, რომელიც უტყუარი ნიშანი ცხოველ მყოფელობაა, ქმნაა და შემოქმედობა და რომელიც ძლევით ჰმოსავს სულთასწრაფვას ადამიანის პროგრესის გზაზე. („ივერია". № 78, 1897, 1).

207(3430). ... ჯერ ისწავლეთ, ჯერ თქვენ შეიძინეთ, რომ მერე სხვასაც შესძინოთ რაღე. (III, 91).

208(3431). (ჯერხანად, სამწუხაროდ,—რედ.) პატიოსანი და ყოველად მაღალ-ზნეობიანი ჯაფა და გამრჯელობა ოსტატისა, მასწავლებელისა, გამზრდელისა, ქალია თუ მამაკაცი, იმოღენად პატივღებული არის, რამოღენადაც ღირსია. (IV, 331).

209(3432). 1870 წელსა, როცა ვერმანიამ თავს—ზარი დასცა მინამდე თითქმის უძლეველს საფრანგეთსა და საცა შეხვდა, ბრე გაადინა, სთქვეს, რომ ვერმანიის სკოლის მასწავლებელმა ხძლია საფრანგეთსა და დაამარცხაო. ამითი იმის თქმა უნდოდათ, რომ უხვად

მოფენილმა და კარგად მოწყობილმა სკოლებმა და სწავლა-განათლება გერმანიისამ მისცა ერს ის სულიერი და ხორციელი ძალ-ღონე, რომელმაც შეჰმუსრა საფრანგეთიო. მას აქეთ გერმანიამ ახლა სხვა გზაზე იწინა თავი* თავისი ძლევამოსილობა და წინსვლა იმავე ღონისძიებით. აქაც, როგორც ეტყობა, მიზეზი ძლევამოსილობისა ივივ სკოლის მასწავლებელია, ივივ სწავლა და განათლებაა. (IV, 386).

210(3433). ...в настоящую эпоху знание — это все — оно цениеей денег, острее сабли, сильнее орудий и других военных доспехов. („საისტორიო მოამბე", ტ. 3, თბ., 1947, გვ. 200).

211 3434). ...знание — это богатство, и притом такое богатство, которое от систематического распределения между нуждающимися не только не умаляется у своего владельца, но растет сторицей. В данном случае знание напоминает горящую свечу, которая не только не померкнет оттого, что при помощи ее зажгли тысячи других свечей, но даже выиграет в свете и теплоте, так как рядом с нею засверкает бесчисленное множество других свечей. Знание можно уподобить свече еще в том отношении, что как-бы слабо оно ни мерцало где-нибудь вдали во мраке, все же пугает воришку, наводит страх на врагов наших, как признак бдительности и радует запоздалых друзей наших суля последним радушный прием со стороны бодрствующих хозяев. Разница между свечей и знанием заключается лишь в том, что свеча в конце концов догорает и гаснет, но раз зажженный светильник науки никогда не потухнет, знание передается по наследству из рода в род; от поколения в поколению в умноженном, обогащенном виде.

Знание мило еще в том отношении, что перед ним все равны... ко всем одинаково идет к лицу, всех одинаково украшает, кто бы ни постучался у дверей науки. („საისტორიო მოამბე", ტ. 3, თბ., 1947, გვ. 201).

212(3435). Знание — это искусство, изобретательность, но вместе с тем и богатство и притом такое богатство, которое является неразлучным спутником своего владельца; ходит с ним повсюду, не требуя никаких затрат на свое содержание, не поддаваясь ни воровству, ни хищению, не останавливаясь ни перед какими препятствами. („საისტორიო მოამბე", ტ. 3, თბ., 1947, გვ. 200).

---

* ეს სიტყვა („თავი"), როგორც ჩანს, კორექტურული ლაფსუსის შედეგად გაიპარა ზემოაღნიშნულ ფრაზაში (იხ.: „ივერია", № 253, 1898, 1). (რედ.).

213(3436). ...изобретательность, по уверению нашего родного гения (по грузинской поговорке) значительно выше грубой силы.* („საისტორიო მოამბე", ტ. 3, თბ., 1947, გვ. 200).

214(3437). ... народная школа как первоначальная школа народа, должна быть ничем иным, как школой для обучения родному языку (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, ხელნაწერი № 170, ფურც. 4).

215(3438). По грузинской поговорке... «человек должен уподобиться пиле, мечущей опилки в обе стороны».** И верно. Долг всякого человека быть полезным и себе и другим, а таковым может стать лишь тот, кто набрался знаний, изощрил своей ум в науках, выправил его на могиле науки. Это и вам хорошо известно и каждый из вас примечает это в обыденной жизни. („საისტორიო მოამბე", ტ. 3, თბ., 1947, გვ. 201).

216(3439). Сильным и стойким в невзгодах жизни бывает тот, кто украсил себя знанием, довел свой природный ум до научного расцвета, вскормил его живой водой науки. („საისტორიო მოამბე", ტ. 3, თბ., 1947, გვ. 201).

217(3440). Трудно принять на себя ответственность в выборе гувернантки тому, кто понимает всю важность и значение этого выбора. (X, 300).

---

* ამ ფრაზაში ნაგულისხმევია ქართული ხალხური ანდაზა: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა". (რედ.).

** ეს ქართული ხალხური ანდაზაა: „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჭრიდეს და ეაფოქრიდესო. (რედ.).

18. ინტელიგენციის, ხელოვნების, კულტურის, პოლემიკის, პრესისა და ჟურნალისტიკის შესახებ

1(3441). ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფლიო, — ერთი ღიღებული წიგნია, უცნაურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უხატები, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი ხატებითა და სურათითა. მეცნიერების ნათარგმნი ჯერ უნდა, რაც შეიძლება ბლომად მოგროვდეს გულის საგანძეში, რომ მერე პოეტის მზატვრობითმა სიტყვამ აღმობეჭდოს, სული ჩაუდგას, ხორცით შემოსოს ადამიანის გასატაცებლად, აღსაფრთოვანებლად და გასაოცებლად. თუ პოეტი მეცნიერებას არ მოიწვევს, მარტო ცარიელი სიჭი ვერ უთარგმნის ამ წიგნსა. საცა არ არის მეცნიერება, იქ მკითხველიც ამ წიგნისა არ არის. (III, 92).

2(3442). ... ადამიანის (არტისტის—რედ.) სიტყვა თავის-თავად ხშირად ულონოა სულისა და გულის მოძრაობის გამოსათქმელად და რაც ბუნებითად აკლია სიტყვას, ის კილომ, ხმამ, თითქმის მუსიკამ უნდა შეამოვსოს. შეავსოს. („ცისკარი", № 36, 1887, 2).

3(3443). ადამიანის გონებითი ძალა, რომელიც დღე მუდამ უნდა დასტრიალებდეს ცხოვრებას, ორ-გვარად შეეხება ... ცხოვრებისაგან აღმოჩენილს საქმესა და საგანსა. პირველი, — როგორც მასალას, რომლიდამაც მეცნიერებითსა ძალას ადამიანისას გამოჰყავს დედა-აზრი (პრინციპი) და ამ ღედა-აზრზედ ამყარებს მეცნიერების შენობასა, საიდანაც ეს დედა-აზრნი ისევ ცხოვრებაში უნდა გადმოვიდნენ უკმისოდ მეცნიერება უხმარი განძია, უქმის ჭკუის უქმი ვარჯიშობაა. მეორე, როგორც წილადებს, რომელთაგანაც შემდგარია ღღევანდელი ღღე, მის შინაგან-ვარეგანი, ერთის სიტყვით — ის ჰაერი, რომლითაც ღღეს ესუნთქავთ, ეცხოვრობთ და ვაი-ვაგლახობთ. (III, 256-257).

4(3444). (ადამიანის უფლებათა შებღალვის მცდელობას—რედ.) ... უნდა თავგამოდებით და უკანდაუხევლად სდევნიდეს თითონ იგი ნაწილი პრესისა, რომელსაც ძირს არ დაუშვია ყოველად პატიოსანი დროშა ბეჭდვრის სიტყვისა. დიაღ, თვით პრესამ უნდა თავი გამოიღოს ამ შემთხვევაში, თუ სადმე მართლა ფეხადგმულია ცნობიერება და ჭკუასა და ეონებას თავისი ადგილი უჭირავს. თორემ აქ აღვირის მიშვება და სადავეს ბიგლება კარის გაღებაა იმ ერთვევარ უწმინდურებისათვის,

რომელსაც „შანტაჟს“ ეძახიან და მაშინ ძალიც ვეღარ იცნობს პატრონსა: ერთი-ერთმანეთს შეეეჯახებიო, ერთი-ერთმანეთს თავს შეეხლით, ერთი-ერთმანეთს დავჭამთ, მაშინ ტყეში მგელთან და აფთართან ცხოვრება უკეთესი და უფრო მოსვენებული იქნება, ვიდრე კაცთა შორის. (IX, 272-273).

5(3445). (ამა თუ იმ პერსონაჟის ზედმიწევნით წარმოჩენისათვის სულ უბრალო წვრილმანიც კი — რედ.) ... უყურადღებოდ არ უნდა დასტოვოს არტისტმა, თუ პსურს ნამდვილი ტიპი გამოპხატოს. („ივერია“, № 228, 1886, 3).

6(3446). არ არის ქვეყანაზედ ადამიანი ამ ნიჭს (სიმღერის, პოეზიის ხიამოვნების ნიჭს — რედ.) მოკლებული, ყრუისა და მუნჯის მეტი, ისიც იმიტომ რომ, აქ ხორცის ნაკლულევანებაა მიზეზი ამ ნიჭის უქონლობისა და არა სულისა. (III, 148).

7(3447). ... არა გვგონია, იმ ცრემლზედ უტკბესი რამ იყოს ქვეყანაზეი, როცა იგი ჰყონავს ბედნიერებისა და სიხარულის ნამეტანობისაგან, და იმ სიცილზე უმწარესი რამ, როცა კაცი ტირილით ჰხარხარებს უბედურობისა და მწუხარების საკვირველისაგან. აი ეს ცრემლიანი სიცილი და სიცილიანი ტირილი არის იგი უზენაესი სიტკბოება, რომლის ფრთებითაც ჭეშმარიტი და უდიდესი ხელოვნება თავის უმწვერვალეს სიმაღლეზედ აზიდავს ხოლმე კაცსა... (III, 118).

8(3448). არა თუ მთელის ქვეყნის ჟურნალისტიკას, ჟურნალ-გაზეთებს, არამედ ერთს რომელსამე გაზეთსაც კი ხშირად ისეთი გაელენა აქვს, რომ სახელმწიფო საქმეებს ხან წაღმა ატრიალებს და ხან უკუღმა; რასაც იტყვის დაუჯერებენ; იმის სიტყვა ბეჭედია. („დროება“, № 46, 1880, 1).

9(3449). არის იმისთანა სფერა საცოდნელისა, თუ საცნაურისა, სადაც მჭვრეტელი და გამომძიებელი გონება ადამიანისა თავგამოდებული იბრძვის — შეიტყოს სასურველი, გაიგოს, აიხსნას უტყუარად და შეუცდომლად, ძაგრამ ამისათვის ვერაკითარს გარეგანს საბუთს ვერ ჰპოულობს დასაბჯენად და ფეხის მოსაკიდებლად. ამისთანა სფერა საცოდნელისა, თუ საცნაურისა, ყველა მეცნიერებაში არის და სხვათა შორის, ისტორიაშიც. ისტორიაში ეგ სფერა პირველყოფილი, პირველდაწყებითი მდგომარეობაა თვითოეულის ერისა და აქედან მთელი კაცობრიობისაც. ეს მდგომარეობა იმ ხანას ეკუთვნის, რომელსაც ისტორიის წინადყოფილს დროს ეძახიან, ესე იგი იმ დროს, რომლის ხსოვნა არა აქვს ისტორიას და მოუსვენარი, ცოდნის ხარბი გონება ადამიანისა კი ცდილობს, რაც ისტორიას არ დაუსრულებია, იგი თითონ ეეიაბლოს, გვაცოდინოს. (IV, 27-28).

10(3450). არტისტი ამგვარად (ესთეტიკურ გრძნობას მოკლებულ—რედ.) სიცილის ატეხას უნდა ძლიერ ერიდოს, თორემ არტისტობა, ბერიკაობად გარდაქმნილი, მეტის-მეტად სამწუხარია...(III, 122).

11(3451). (არტისტისათვის—რედ.) ... გამომეტყველების სიძნელე კილოა. აზრს, გრძნობას, სიტყვით გამოსახატავს კილო თუ მოსახდენი და შესაფერი არ შეურჩია, მეტყველება უქმია და ვერა რა ზედმოქმედებას ვერ იქონიებს მსმენელზედ. („ივერია", № 36, 1887, 2).

12(3452). ... არტისტისათვის დიქცია, სიტყვების მკაფიოდ და სრულად გამოთქმა ერთი უმთავრესი ღირსებათაგანია. („ივერია", № 228, 1886, 3).

13(3453). არტისტმა ლექსთა-წყობისა და კითხვის წესი უნდა იცოდეს, რომ ლექსისი თქმის წესი და რიგი თამაშობას შეურჩიოს და შეუწონოს. („ივერია", № 23, 1887,1).

14(3454). ბევრი რამ არის ქვეყანაზედ სასაცილო, მაგრამ ესტეტიური გრძნობა ყველა სიცილს ვერ შეიწყნარებს, თავის შვილად ვერ გაიხდის. (III, 120).

15(3455). (ბევრი რამ—რედ.) ... შესძლებია ჭეშმარიტს ხელოვნებასა და მღვთისაგან მომადლებულს და სწავლისაგან გაბრწყინვალებულს არტისტსა. („ივერია", № 110, 1890, 1).

16(3456). ბეჭედურ სიტყვის ... გაფუქსავატება და გაცულლუტება თავისთავად დიდი დანაშაულია. („ივერია", № 243, 1897, 2).

17(3457). გაბედვით ვიტყვით, ჩვენში დიდებისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს ქართულ თეატრს, როგორც პატარებისათვის სკოლას. (V, 368).

18(3458). გადმოკეთება პიესისა ... დიდად საპატიო შრომაა, ვისაც კი შეუძლიან. (III, 126).

19(3459). გაზეთ-ჟურნალობა ... ღონეა ... ფარ-ხმალია ადამიანისათვის ცალკე და საზოგადოებისათვის საერთოდ. (III, 256).

20(3460). (გაზეთი „კავკაზი"—რედ.) ... აუცილებელი კუთვნილებაა ჩვენის ქვეყნისა, იმის მსგავსად, როგორც მაგალითად ყოველ გუბერნიაში უნდა იყოს გუბერნატორი, ყოველ სოფელში მამასახლისი და სხვ. გაზეთი „კავკაზიც" უნდა არსებობდეს ავია თუ კარგი, ემსახურებოდეს რასმეს თუ არაფერს. (III, 268).

21(3461). გაზეთი კერძო ანგარიშებისა და პირადის ინტერესების ასპარეზად ვერ გადაიქცევა. ჯერ პირადის ანგარიშების აყოლა კერძო კაცისათვისაც-კი საძრახისია და მავნებელი, მის ღირსების შემბღალავი, და გაზეთმა ხომ არაოდეს ახლო არ უნდა მიიკარის ამისთანა ანგარიშები და პირადობა. („ივერია", № 138, 1893, 1).

22(3462). გაზეთი... მეცნიერებისა და ცხოვრების შორის შუამავალიაო. (III, 365).

23(3463) ... გაზეთი ტკბილთია და არა ქეიფი, შრომაა და არა ცულლუტობა, საქმეა და არა მასხარაობა. (III, 366).

24(3464). ... გაზეთი ... ჩვენის ცხოვრების სარკე უნდა იყოსო. (III, 369).

25(3465). გაზეთის მოამბეობა მძიმე და ყოვლად საფრთხილო, პასუხ-საგებელი მოვალეობაა და ის, ვინც ტყუილს, გაზვიადებულს, განზრახ შეთხზულს ამბებს იწერება, დიდს დანაშაულს სჩადის მთელის საზოგადოების წინაშე. („ივერია", № 138, 1893, 1).

26(3466). გაზეთის საქმე დროთა მიმდინარეობისაა. (III, 256),

27(3467). გაზეთის საქმე საერთო, საზოგადო საქმეა, იქნება სხვაგან ისე არა, როგორც საკუთრივ ჩვენში. (X, 112).

28(3468). გაზეთის ყოველი თანამშრომელი, მათ შორის, კორესპონდენტიც, ვალდებულია ეცადოს, გაზეთს ნდობა მოუპოვოს. („ივერია", № 138, 1893, 1).

29(3469). გაზეთს ამშვენებს და სახელს უხვეჭს, სხვათა შორის, კრებული ისეთ თანამშრომელთა და მოამბეთა, რომელნიც, უპირველეს ყოვლისა, გარეშე პირადობისა და კერძო ანგარიშებისა, ემსახურებიან საზოგადო სიმართლეს, ჭეშმარიტებასა და ქვეყნის საერთო სიკეთეს. ეს არ უნდა დაივიწყონ ზოგიერთმა ჩვენმა კორესპონდენტებმა და მოამბეებმა. („ივერია", № 138, 1893, 1).

30(3470). გაზეთს სახეში აქვს და უნდა ჰქონდეს ყოველთვის საზოგადო ამბავი, საქვეყნო გარემოება, საერთო ტკივილი, ზოგადი ბოროტება. („ივერია", № 138, 1893, 1).

31(3471). გაზეთს შეუძლიან აქოს და ადიდოს მხოლოდ საერთო კეთილი საქმე, საქვეყნო კეთილი დაწყობილება, კეთილი მისწრაფებანი და ებრძოლოს საერთო ბოროტებას, საერთო სენს, ქვეყნის მჭამელას, საზოგადოების გამაწბილებელ, გამრყვნელ და დამამხობელ ზოგაღს ვითარებას. („ივერია", № 138, 1893, 1).

32(3472). (გაზეთში—რედ.) ... ანბანიც უნდა იყოს შიგ და მეცნიერების უკანასკნელი დასკვნა და სიტყვაცა. (III, 262).

33(3473). გაზეთში მოქცეული ხაბაასო საგანი გამორკვეულია, თუ არა — ეგ რედაქტორის საქმეა. ამაზე „ჰოსა და არას" თქმა რედაქტორის ხელ-შეუხებელი უფლებაა... („ივერია", № 117, 1891, 3).

34(3474). გალობა ისეთივე მოთხოვნილებაა, ისეთივე საჭიროებაა, ისეთივე განუყრელი თვისებაა ადამიანის ბუნებისა, როგორც ცრემლი — როცა კაცი ან ჰხარობს, ან ჰგოდებს, როგორც კვნესა — როცა გული შეხუთულია, როგორც ძახილი, თქმა — როცა გული მხიარული და ბედნიერია. (III, 146).

35(3475)... გამოცემა გაზეთისა ჩვენში თუმცა წვალებაა და ტანჯვა, მაგრამ აუცილებელი საჭიროებაც არის ქვეყნისათვის. (V, 258).

36(3476). განა თავი და ბოლო სათეატრო თხზულებისა მარტო სიცილია და სხვა არაფერი?! (III, 117).

37(3477)... ვარეგანი სახე დრამისა ვერადრის ვერ დაჰფარავს შინაგანის ცარიელობას, ფუქსავატობას, არარაობას. (III, 187).

38(3478). ენონებით მცხოვრებ საზოგადოებას (ინტელიგენციას) ეძახიან იმ წრეს—რედ.)... რომელიც ყოველგან და ყოველთვის ნუგეშია და იმედი ყოველის ერისა, და რომელიც ცხოვრების წარმატების უღლის თავში პირველი ჩადგება ხოლმე. (V, 88).

39(3479). გონების ნაწარმოები იმისთანა მადლიანი რამ არის, რომ მთელის კაცობრიობის კუთვნილებას შეადგენს და აქ გვარტომობის ჩაჩხირება ჭკუის უღონობას მოასწავებს და სხვა არა-რას. (III, 181-182).

40(3480). გრძელის სიტყვისა და ფრაზის სათქმელად საჭიროა კაცმა სული, ესე იგი, ჰაერი იმოდენად ჩაიბრუნოს, იმოდენად ჩაიგუბოს, რომ მთელ ფრაზას გასწვდეს და ეყოს გამოსათქმელად, უამისოდ, გინდათ თუ არ გინდათ, ხმა უალაგო ალაგას გაწყდება და ფრაზა წახდება. ამრიგად, ხმის საგზალის მოპოებას თავისი კანონი და წესები აქვს. (III, 114).

41(3481). გული დრამისა უნდა ვამოხსნას თითოეულმა სცენამ, თითოეულმა მოქმედებამ ისე, როგორც გორგალი ძაფის წვერმა და, საცა ეგ გორგალი არ არის, ან ავტორს არ დაუხვევია, იქ ამაოა ძაფების ტყვილ-უბრალო ცოდვილობა, წევა და გრეხა. შინაგანი ძალი დრამისა უნდა გამომეტყველებდეს გარეთ და არა ავტორი შიგ ჩასძახოდეს გარედამ. (III, 194).

42(3482). დიდი მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი... (საზოგადოების სხვადასხვა ფენების, ცალკეულ მოქალაქეთა — რედ.)... ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუაკაცობაა, შუა ჩადგომაა მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდებაა, მოსარიგელის მორიგებაა, შესარიგებელის შერიგებაა იმისდა მიხედვით, — ვის რა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი სამართალი მიუძღვის ერთმანეთის წინაშე. ამას ითხოვს ადამიანობა, კაცური კაცობა და ერთობ იგი ჭეშმარიტი სიყვარული ადამიანისა, როგორც მზე, ყველას ერთად ანათებს, ყველას ერთად ათბობს და ყველას გამოუკლებლივ აწვდის ძალსა ცხოველმყოფლობისას, სიცოცხლის დაბადებისას, სიცოცხლის ზრდისას. (IX, 273).

43(3483). დიდი რამ არის ვინც იცის კარგად წაკითხვა წასაკითხისა.* („ივერია", № 37, 1890, 1).

---

* ი. ჭავჭავაძე აქ გულისხმობს დეკლამაციის ნიჭს, დეკლამირების უნარს. (რედ).

44(3484). დიდი რამ არის სცენა საზოგადოდ და ნამეტნავად ჩვენთვის... (V, 40).

45(3485) ... დრამატებური ყელში ლაპარაკი დიდი ღირსებაა სადრამო არტისტისათვის და დიდი ზარიცა აქვს მსმენელთათვის, თუ კაცსა მაგის უნარი აქვს. (III, 104).

46(3486). დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგებ ცრემლი მამეიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვბის მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა. (III, 69).

47(3487). ეგ (დროების—რედ.) ინტერესია ყოველი ჟურნალის სული, ეგ აცხოველებს, ეგ აბრუნებინებს მას სულსა. („საქართველოს მოამბე", № 11, 1863, 2).

48(3488). ეგ ღვთაებური ნიჭი, (სიმღერის უნარი — რედ.) ბუნებამ შარტო ადამიანს მოჰმადლა და იგი ნიჭი იმოღენად ძვირფასად მიარჩნია კაცობრიობას, რომ არ არის ცას ქვეშეთში იმისთანა კაცი, იმისთანა ერი, რომ ეგ ნიჭი არ ეშოქმედებინოს და ეგ მშვენიერი ნერგი, ადამიანის სულში ბუნებისაგან ჩარგული არ ეხეირებინოს და ცოტა თუ ბევრი ყვავილები არ გამოესხმევინებინოს. (III, 146).

49(3489). ეგრედწოდებული „მიმიკა" სახსარია მხოლოდ სიტყვით გამოთქმულის აზრის შესავსებელი, ანუ ცალკე აზრის მოძრაობით გამოხატვისა, იმისთანა აზრისა, რომლის გამოთქმაც „მიმიკით" უფრო მკაფიო და მჭრელია, ვიდრე სიტყვითა. თუ „მიმიკა" ან სიტყვიერის აზრის სამატად არ არის ხმარებული, ან ცალკესი და თვითმყოფის აზრის გამოსახატავად, იგი მაყურებელთათვის მეტი ბარაგია და ადამიანს ეხამუშება, სიამოვნებას უფრთხობს, უკარკავს. (III, 94).

50(3490). (ერთ-ერთი—რედ.)... სახსარი სწავლა-ცოდნის მოფენისა, რასაკვირველია, ჟურნალ-ვაზეთობაა. (V, 117).

51(3491). ერთი ფრიად სასიამოვნო და ფრიად სასარგებლო ხელოვნება ეგ კარგად წაკითხვაა (დეკლამირებაა—რედ.) და ვისაც ამ ხელოვნების უნარი აქვს, შეუძლიან სთქვას, რომ მეც მომმადლებია მადლი ღვთისაგანაო, არც მე დავვიწყებივარ ჩემს დამბადებელსაო. („ივერია", № 37, 1890, 1).

52(3492). ... ერთის ერის სიმღერა რომ მეორეს მოეწონოს, უნდა მისთვის გასაგები იყოს, და რომ გასაგები იყოს, ისე უნდა შეაჩვიოს ყური, როგორც ენა — მეტყველობას. (III, 147).

53(3493). ერთმა გამოჩენილმა კაცმა სთქვა, რომ ჟურნალისტიკა მეექვსე დიდი სახელმწიფო არისო. როგორც დიდ სახელმწიფოს დიდი

ძალა, და გავლენა და მნიშვნელობა აქვს ქვეყნის საქმეების გარდაწყვეტაში, იმდენივე ძალა, გავლენა და მნიშვნელობა ჟურნალისტიკასა აქვსო.

ბრძნული და ჭეშმარიტი სიტყვაა. („დროება“ №6, 1880,1).

54(3498). ვერაგვარი ქაღალდზედ დაწერილი წესი ვერ შეჰკრავს თეატრის საქმე ისე, რომ რომელმამე არტისტმა შეუწყნარებელი უმზკავსობა რამ არ მოახდინოს, რაკი ერთხელ და ერთხელ თავისი საკუთარი ღირსება არაფრად მიაჩნია და რაკი იმოდენად უწვრთნელია, ვონება და გულ-დაბზულია, რომ არ ესმის რის მოვალეა საზოგადოების წინაშე, როცა უკისრნია თეატრის სამსახური, სასცენო მოღვაწეობა. ყოველს ამაში მხოლოდ თვით არტისტის ზნეობითი ღირსებაა თავ-მდები მისის რიგიანობისა, წესიერებისა და მართებულობისა. („ივერია“, № 23, 1888, 1).

55(3495). ვერავინ ვერ იტყვის, რომ კარგად წაკითხვა წასაკითხისა ბევრს არ ჰმატებდეს წაკითხულსა და ბევრ რიგად სასურველი არ იყოს საერთოდ და იქ ცალკე, საცა გრძნობა გონებას ელაპარაკება, რომ გული აღიძრას ნელისა და წყნარის აღტაცებისა და სასოებისათვის ... ეს ამისთანა ადგილი ეკლესიაა. („ივერია“, № 37, 1890, 1).

56(3496). ვერაფერი ხელობაა თეატრის რეცენზენტობა. ბევრი ავი და კარგია ეგრეთწოდებული სასცენო ხელოვნების მიმაველობაში და პატიოსნება და სინიდისი ავალებს რეცენზენტსა. ერთიც შეჰნიშნოს და მეორეც ვულწრფელად, მიუდგომელად და დაუმალავად. სხვაგვარს რეცენზენტს საქმე ერთ კაცთანა აქვს და ამიტომაც ადვილია გაუთამამდეს იმის წყრომასაც, თუ სიმართლე აიძულებს დაუწუნოს რამ, და გაუძლოს იმის ყბად-აღებასაც, თუ წყრომამ მძულვარებამდე მიაღწია და აღვირი წამოჰყარა ენამჭევრობას, შურისძიებით გააფთრებულსა. სულ სხვა ყოფაშია თეატრის რეცენზენტი. აქ ბევრი კაცია ხელშესახები და სიმართლის სასწორზედ ასაწონი: პიესის ავტორი, რეჟისორი, არტისტები, ქალი თუ კაცი, ერთის სიტყვით, მთელი ჯგუფი. თუ კარგი რამ არის ამათზედ სათქმელი, ღვთის წყალობა თქვენა გქონდეთ, რეცენზენტი სიხარულით და სიამოვნებით ჰკისრულობს კარგის თქმასა, მაგრამ ვაი უბედურს მაშინ, როცა სიმართლე ავალებს შენიშნულის ავის თქმასაცა. არა სთქვას, ცოდვაა საზოგადოების წინაშე და სთქვას, ვინ იცის როგორ ჩამოართმევენ ისინი, ვისზედ ცუდია ნათქვამი, თუნდაც ეგ ნათქვამი მართალზედ უფრო მართალი იყოს და ცხადზედ ცხადი. დასაფიქრებელი ის არის, რომ ერთზედ თქმული ბევრს სხვასაც შეეხება ხოლმე ერთსა და იმავე დროს, — სასცენო ხელოვნება ამისთანა რამ არის, — და ბევრის ერთად წყენა ერთეულ ადამიანის გამბედაობასა ცოტად თუ ბევრად. ამას კიდევ შეიძლება არ შეუშინდეს რეცენზენტი, მაგრამ ამაო წარამარა ლაპარაკს, სულმოკლედ ჩხრეკას რეცენზენტის სინიდისისას,—როგორ-ღა გაუძლეს კაცი დღე-მუდამ? (III, 108-109).

57(3497). ... ვინც დააკვირდება აზიურს მუსიკასა და შეაფარდებს ევროპისას, იგი ადვილად ჰგრძნობს, რომ ამ ორთა მუსიკათა შორის ბუნებითი, არსებითი, სხვადასხვაობა არის. სულ სხვა ძარღვი აქვს ერთს და სულ სხვა ძარღვი მეორეს, და თუმცა ერთი ისე განკარგებული, შეკეთებული და დახელოვნებული არ არის, როგორც მეორე, მაგრამ არა გვგონია — ერთმა მეორეს ოდესმე სძლიოს და გზა დაათმობინოს; აზიური მუსიკაც იმ-რიგადვე თავის გზაზედ იდგება და ივლის, როგორც ევროპული თავის გზაზედ მდგარა და უვლია... (III, 148).

58(3498). ეისაც შედარებითის მეთოდით უსინჯავს სხვადასხვა რჯულნი, რომელთა ცნობაც მეცნიერებას დღეს ხელთა აქვს, იმას ეცოდინება, რომ ძალნი სოფლის მპყრობელობისა, მზისა და ნათელის მომფენელობისა, წვიმის მომყვანელობისა, ნაყოფთა აღმომცენებლობისა და სხვა ამისთანა მოვლენისა გაღმერთებულნი იყვნენ ყველა ერისაგან მთელს დედამიწის ზურგზედ. ჯერ მინამ მეცნიერება თავის უტყუარის მცნებით არ მიჰშველებია ადამიანს გაგებად ბუნების მოვლენისა, ყველა ეს ძალნი კაცის გონებისათვის მიუწვდომელნი და გამოუცვნელნი არიან. (IV, 115-116).

59(3499). ზნეობიანი, ღირსებიანი არტისტი თავის დღეში არ იკადრებს უმზგავსობა რამ ჩაიდინოს, თავის თავიც შეირცხვინოს და საქმეც, რომელსაც ემსახურება. საკუთარის თავის პატივი ამის ნებას არ მისცემს... („ივერია", № 23, 1888, 1).

60(3500). (ზოგჯერ, ესა თუ ის — რედ.) ჟურნალი არ მოეწონება ხოლმე ხალხსა. ეგ იმისთანა ჟურნალია, რომელიც დაგვიანებულა და უკან დარჩომია ცხოვრებასა: ცხოვრება წინ წასულა და ის კი უკან მოსჩანჩალებს, როგორც ფეხმოტეხილი ცხვარი თავის ფარასა. თავის ჩანჩალში ის კოჭლი ჟურნალი არამც თუ არჩევს და ხსნის, რაც თვალწინ უტრიალებს საზოგადოებასა, არამედ თავმოწონებით ჰკრეფს, რაც თვით საზოგადოებას თავის განვითარების გზაზედ გადუყრია, როგორც უვარგისი და გამოუსადეგი. (III, 454).

61(3501). თეატრი ბევრს შემთხვევაში მარტო ხელოვნების მსახური არ არის. ადგილი, დრო და გარემოება მას ზოგჯერ სხვა სამსახურსაც კისრად სდებს და ამ მხრით თეატრი დაუფასებელი რამ არის და ჩვენ არ ვიცით სხვა მისებრ უებარი საშუალება, რომელიც ეგრე გამარჯვებულად, სასწრაფოდ და პირდაპირ მოქმედებდეს ადამიანის უკეთესთა გრძნობათა გამოფხიზლებასა და მოძრაობაზედ. ამიტომაც დიდი ღვაწლია ჩვენ წინაშე იმითი, ვინც ჩვენს თეატრს წინ წაუძღვება და მის მრავალ გვარს მნიშვნელობას ყოველ მხრივ გზას გაუკაფავს და გაუხსნის. („ივერია", № 212, 1886, 1).

62(3502). თეატრი ... დიდი რამ არის ... დაცემული ხალხისათვის. (X, 97).

63(3503). (თეატრის გამგეობამ უნდა — რედ.) ... საქმე ისე მოაწყოს, რომ კაცი მართლა სიამოვნებით მიდიოდეს თეატრში. („ივერია". № 200, 1886, 3).

64(3504). (თეატრის — რედ.) ... რეპერტუარის სიმდიდრე, სიკარგე, განახლება — ყოველივე ეს მწერალთა საქმეა ... („ივერია", № 225, 1886, 1).

65(3505). ... თეატრმა ხანგრძლივის მოქმედებით უნდა შეიჩვიოს ხალხი, აუცილებელ საჭიროებად უნდა შეექმნეს ხალხს თეატრში დროს გატარება და გართობა. ამისათვის საჭიროა ... რომ თეატრი მართლა თეატრი იყოს, ესე იგი — კერძო პირთა მასხრად ასაგდები კი არა, არამედ საზოგადო ჭირისა და ლხინის თვალწინ წამომაყენებელი. (V, 126).

66(3506). თეორია კაცის გონების ნამოქმედარი საქმეა და მისი საგანძური მეცნიერებაა... („ივერია", № 72, 1900, 3).

67(3507). თვით იკვლიე, თუ შეძლება და გარემოება შეგწევს, მოსჩხრიკე, შეამოწმე, და თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიკერე ბზოლოდ მაშინ, და ამ სახით შენს საკუთარ რწმენად გარდაქმენ სხვისაგან აღმოჩენილი და ნაკვლევი. (VI, 106).

68(3508). თვითმსჯელობა, თვითმხედველობა გონებრივი უმაღლესი წერტილია ადამიანის განვითარებისა და წარმტებისა. (III, 156).

69(3509). ... თითონ ცალკე, თვითეულ ადამიანის ბუნების ავ-კარგიანობაშია იგი მოძრაობა სულისა და გულისა, რომელიც დრამას საგნადა აქვს და რომლის თვალ-წინ ცხოვლად წარმოდგენა ასე თუ ისე არყევს ხოლმე მაყურებელს და მთელს აგებულებას შეუძრავს ან სიზარულით, ან მწუხარებით, ან მძულვარებით. (III, 189).

70(3510). თითქმის იმ დღიდამ, როცა ჩვენი თეატრი დაიბადა, ფეხი აიდგა ჩვენმა ჟურნალ-გაზეთობამაც. ამ მხრით ჩვენი თეატრი და ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა თითქმის ტოლები არიან... („ივერია", № 4, 1900, 3).

71(3511). თუ არ შენ ჩემო სიმღერავ შენა!
შენით დუმდება ბედის ქუხილი...
რაკი დამიმღერ, /მომი/ვა ლხენა
და მევე მიყვარს ჩემი წუხილი. (I, 296).

72(3512). თუ გაზეთი ჩვენ ჩვენს თავზედ ცოტათი მაინც არ მოგვახედებს, ჩვენს ცხოვრებას კვალში არ ჩაუდგება, ჩვენის ცხოვრებისაგან ამორიყულს, თუ მოტივტივებულს მოვლენას მთელს სიგრძე-სიგანეზედ არ აგვაწონინებს, ბრმას თვალს არ აუხელს იმ მოვლენაზედ და თვალხილულს მხარს არ მისცემს, იგი გაზეთი უფერულია და უგემური. (VIII, 241).

73(3513). ... თუ ეს გრძნობა (ესთეტიკური — რედ.) სიცილის აღსაბეჭდავად გაღვიძებულია, არ არის მიზეზი, რომ ნაღვლის აღსაბეჭდად მძინარე იყოს. (III, 119).

74(3514). თუ ჟურნალს უნდა კეთილ-სინდისიანად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალგაფაციცებით თან აჰყვეს ... ცხოვრებასა, რათა ყოველ აღმოშობილ ფაქტსა თვალი და გონება ადევნოს; ყოველ აზრის საკეთილო მოძრაობას გზა მისცეს, ყოველფერი შენიშნოს და ყოველიფერს პასუხი გასცეს, ერთი სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა გასამჯობინებლად, გასაკეთებლად. ამ ძნელ საქმეში ჟურნალმა უნდა წაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი. (III, 67).

75(3515). თუ ჩვენმა მოპირდაპირეებმა ნება მისცეს თავის თავს ... ლაპარაკისა, ჩვენც უნდა გვქონდეს ნება პასუხის თქმისა. უამისოდ კანონი კამათობის თანასწორობისა დარღვეული იქმნება. („ივერია", № 42, 1893, 1).

76(3516). თუ ხელის მომწერნი არ ეყოლება ჟურნალსა, როგორ იცოცხლებს ეგი? (III, 16).

77(3517). თქმა არ უნდა, რომ გულმოდგინებით ვარჯიშობა და წვრთნა ხმისა უთეორიოდაც ასწავლის ადამიანს ხმისა და ფრაზის შეზომვასა. ამისათვის სურვილია მარტო საჭირო და ბეჯითობა. (III, 114).

78(3518). ეგი უტყვი პოეზია, რომელსაც ლესსინგი მუსიკას ეძახის, ეგივე ენაა, მხოლოდ ხორცთ-შეუსხმელი, სიტყვით არ-განსაზღვრული, სიტყვით არ-გამორკვეული, — ეგი მარტო ხმაა, კვნესაა, ხარებაა, ეგი ძახილისა აღფრთოვანებულის სულისა. (III, 147).

79(3519). „ივერია" კერძო პირის წადილს არ ემსახურება. („ივერია", № 6, 1877, 16).

80(3520). იმ გაზეთს, თუ ჟურნალს, რომელსაც აქვს თვისის ღირსების ცნობა, თვისი პატივისცემა და თვისი კეთილშობილური თავმოწონება, ეგი ღირსებით, იმავე პატივისცემით უნდა მოექცეს ყოველს კერძო პირს და ყოველს საზოგადოებას. (III, 260).

81(3521). იმ ქვეყანაში ... საცა თვითმოქმედობის ძალი საზოგადოებისა აღორძინებულია, საცა გონებითი და ზნეობითი ნიჭი აწარმოებს ცხოვრებასა და მის გამო ცხოვრება დულს და სჩქეფს, — იქ ჟურნალ-გაზეთობა აზრის აღებ-მიცემობაა, იქ იმის ამომძახელია, რასაც ჩასძახებს საზოგადო აზრთა დენა, შეტაკება და ბრძოლა. (III, 258).

82(3526). იმ ქვეყანაში, საცა საზოგადოების თვითმოქმედობის ძალა მილეულია, საცა გონებითი და ზნეობითი ნიჭი დაძინებულია, იქ, რასაკვირველია, მწიგნობრობა ერთობ, და ჟურნალ-გაზეთობა საკუთ-

რივ, ძნელად თუ იქნება საზოგადოების აზრისა და გუნების გამომთქმელი. (III, 258).

83(3523). ... იმისათვის, რომ არტისტმა შუა-გულ სიტყვას მიაგნოს ფრაზაში და შუა-გულს ფრაზას სანაში, საკმაოდ გონება-გასსნილი კაცი უნდა იყოს და რომ შესაფერი კილო შეუწყოს მიგნებულს სიტყვას, თუ ფრაზას, დიდი მცოდნე უნდა იყოს ადამიანის შიგნითის ბუნებისა, იმიტომ — რომ ყოველს სიტყვაში მარტო სული და გული ადამიანისა მეტყველებს და ყოველს მოძრაობას სულისას და გულისას თავისი კილო აქვს, თავისი ჰანგი, თავისი მუსიკა. („ივერია", № 36, 1887, 3).

84(3524). ... იმისთანა არტისტი, რომელმაც არ იცის საკუთარის თავის პატივი, რომელსაც მისი საკუთარი ზნეობით ღირსება არა ჰთავმდებობს და რომელსაც სცენა მარტო თავის თვით-ნებობის ბოედნად მიაჩნია და უწესოებას, ურიგობას არა ჰთაკილობს, არ უკადრისობს, იგი ერთს დღესაც დასაყენებელი არ არის დასში, რაც უნდა დიდის ნიჭის პატრონი იყოს. („ივერია", № 23, 1888, 1).

85(3525). იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდეური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია. (VIII, 166).

86(3526). ... ინტელიგენცია არას გზით არ უნდა იყოს წოდებრივი ცალ-კერძ მიმართული... კარი მისი ყურთამდე ღია უნდა იყოს ნიჭისა, ღირსებისა და ცოდნისათვის, და არა გვარიშვილობისა და ჩამომავლობისათვის. („ივერია", № 23, 1891, 1).

87(3527). ინტელიგენცია გონებაა ერისა. („ივერია", №23, 1893,1).

88(3528). ინტელიგენცია რის ინტელიგენციაა, თუ პირველშივე, რა-კი თავისი ვერ გაიყვანა, დადუნდეს, ფრთები ჩამოჰყაროს და საქმეს გაეცალოს! მაშ ვიღას მოვკითხოთ მედგრობა აზრისა, სიმტკიცე რწმენისა, თავ-გამოდება ჭეშმარიტებისა, თუ არ იმ კრებულს საზოგადოების გონიერებისას, ზნეობისას, აღმატებულებისას, რომელსაც ინტელიგენციას ეძახიან? ვინ უნდა გაუკაფოს გზა ცხოერებისა აზრს, რწმენას, ჭეშმარიტებას, თუ არ იმათ, ვინც ამ აზრის, რწმენის, ჭეშმარიტების მქონებელი და მატარებელია? განა ამათგან ფრთების ჩამოყრა და საქმისაგან გაცლა საკადრისია, როცა ცხოერება პირველ შეტევაზევე არ უთმობს ადგილსა და გზას!..

ესე არ იქცევა გულითადის რწმენის კაცი, ესე არ იქცევა იგი, ვისაც სამოძღვრელი აზრი რწმენად ჩასჭდევია სულსა და გულში და მოსვენებას არ აძლევს, ვიდრე ხორცს არ შეისხავს და ადგილს არ დაიჭერს. ცხოერების მოედანზედ. („ივერია", № 163, 1887,1).

89(3529). ინტელიგენციის მოწოდებაა გადაიქცეს იმ კავშირად, რომელიც ჯაჭვის რგოლივით აერთებს ყოველს ცალკე ჯგუფს, ცალკე

კრებულს, და მათს მოღვაწეობას მიჰმართავს ერთის სასურველის საგნისაკენ, რომელიც ერთნაირად ძვირფასია და სასარგებლო ყველასათვის. („ივერია", № 23, 1893,1).

90(3530). „ინტენსიური ცხოვრება" ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისთვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ. (IV,22).

91(3531). ის სტატია არის კარგი, რომელშიაც ძევს რომელიმე აზრი, აქვს რამე საგანი, თუ ესეც არ არის, სულ უკანასკნელი, ერთი ის ღირსება მაინც უნდა ჰქონდეს, რომ კარგად იყოს მოწყობილი და სასიამოვნო ენა ჰქონდეს, ლაპარაკი იყოს კარგად მოხერხებული, შნოიანად. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV,328-329).

92(3532). (ისტორიის მკვლევარს რედ.) ... სხვა რაღა მასალა უნდა ამაზედ მდიდარი, როცა წარსული ცოცხალია აწმყოში, როცა, მაშასადამე, ცოცხალი მთხრობელი და მოწამე გვყავს? (IV,40).

93(3533). ... კანონების და მიზეზების ცნობაზედ ტრიალებს მეცნიერებაცა, სწავლა და განათლება. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV,329).

94(3534). კარგად წაკითხული სიტყვა ერთი ათად აძლიერებს აზრსაც, გრძნობასაც, რადგანაც ერთსაცა და მეორესაც მეტის მეტად ამშვენიერებს და ამკობს, აცხოველებს და აფერადებს. ამის გამო ხელოვნური, კარგი წაკითხვა არა მარტო სასურველია, სასარგებლოც არის ნამეტნავად იქ, საცა წასაკითხს საქმე გრძნობასთან აქვს, საცა სიტყვამ გულამდე უნდა მიაღწიოს მთელის სავსეობით, მთელის თავის სიღრმე-სიგანით, მთელის თავის ძხურვალებით, რომ გული მისძრასმოსძრას, ჩვეულებრივ თელემისაგან გამოაფხიზლოს და ფრთა შეასხას ან ნელისა და წყნარის აღტაცებისა და სასოებისათვის, ანუ რისხვისა და წყრომის ქარ-ტეხისა და ჭექა-ქუხილისათვის. („ივერია", № 37, 1890,1).

95(3535). (კარგი იქნება — რედ.) რომ თითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა. („ცისკარი", № 10, 1862, 190).

96(3536). კარგმა არტისტმა არც წერილმანი უნდა დასტოვოს უყურადღებოდ. („ივერია", № 200, 1886,3).

97(3537). კაცთ გარე, ქვეყნიერობაში ‖სიმღერა არ არის.* ეგ მხოლოდ კაცის კუთვნილებაა, ვითა ღვთის კერძოისა. (III,146).

98(3538). კეთილად განწყობილ ქვეყანაში განა ყველანი არ უნდა ცდილობდნენ, რომ სნეულების მიზეზნი წინასწარვე მოსპობილ იქნას? მაშ ის ერთი მეცნიერება, რომელსაც ჰიგიენას ეძახიან, უქმი სიტყვაა? წყლის ნაყვაა? მაშ ტყუილ-უბრალოდ დაშვრა იმოდენა ჭკუიანი ხალხი მაგ მეცნიერების აგებისათვის?.. (V,77).

99(3539). (კვლევის „შედარებითმა მეთოდმა"—რედ.) ... სიფრთხილითა და ცოდნით ხმარებულმა, ისეთი უტყუარობა, ისეთი ზედმიწევნილობა აღმოიჩინა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ არ არის მეცნიერება, რომელიც, საცა საჭიროა, ამ მეთოდს არა ხმარობდეს. ამ მეთოდით ბევრს წყვდიადსა და ბნელს ნათელი მოეფინა, ბევრი დაფარული გამომზევდა. (IV,30).

100(3540). ... კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედია. იგია თითონ დაუშრობელი სათავე ღონისა, იგი ღონის-ღონეა ერისა, თუ ასე ითქმის, — იგი ფარია და ხმალი არსებობისათვის ჭიდილში. (IV,22).

101(3541). კულტურა მაღალი და განვითარებული სძლევს და სჩაგრავს ან სრულიად ჰკლავს კულტურას პირველნდელს, პირველქმნილს, განუვითარებელს. („ივერია", №9, 1882, 134).

102(3542). ლექსების კითხვას სცენიდამ საზოგადოდ დიდი ხელოვნება და გამოცდილება უნდა. („ივერია", № 23,1887,1).

103(3543). ლექსიკონი ვულგარულს, თუ უკაცრაოდ არ ‖ეიქნებით, ქუჩურს მნიშვნელობასაც სიტყვისას ანგარიშს უწევს, მოვალეა ამ მხრითაც სიტყვა ახსნას, და განა ეს საბუთია, რომ კაცმა გააუქმოს, დაივიწყოს მეცნიერული, განსაკუთრებითი მნიშვნელობა სიტყვისა. იქ, საცა სიტყვა მარტო ამ მნიშვნელობით საგულისხმოა? მაგალითებრ, სიტყვა „კაპიტალი" საყოველდღეო, საყველპურო საუბარში ზშირად იხმარება ვითარცა ფულადი ქონება ადამიანისა და განა მეცნიერული მნიშვნელობა ამ სიტყვისა ეს არის? განა იგი „კაპიტალი", რომლის ახსნასაც სახელოვანმა მარქსმა სამი ტომი თხზულება მოანდომა, და ეს საყველპუროდ ხსენებული „კაპიტალი" ერთი და იგივეა? (VI,266).

104(3544). ლიტერატურას სხვათა შორის ერთი შვილი ჰყავს, რომელიც დღეს ყველა სხვა შვილებზე უფრო გაძლიერებულია, უფრო გავლენიანია. ამ შვილს „ჟურნალ-გაზეთობას" ეძახიან. ამ ჟურნალ-

---

* ჩვენ აქ სახეში გვაქვს სიმღერა, როგორც მწყობრი ხმა — მწყობრ სიტყვასთან შეერეოებული.

გაზეთობაზე, რომელიც სხვა არა არის-რა გარდა ყოველ დღიურის სარკისა, ერი აჭდევეს ხოლმე თავის ავკარგიანობასა დღითი-დღემდე. (VIII, 265-266).

105(3545). მათემატიკა... ზედ-მიწევნილი მეცნიერებაა, უტყუარი და უცდომელი, ვითარცა პაპი რომისა. („ივერია", № 191, 1888,1).

106(3546). მართალია, ენის შესახებ ავტორი თითონაც არის პასუხის-მგებელი, მაგრამ არც გაზეთია პასუხ-უვები. („ივერია", №15, 1886,4).

107(3547). (მართლა-და პატიოსანი გაზეთი უნდა—რედ.) ... ზოგადს ინტერესებს ემსახუროს და თავიდამ აიცილოს ლიტერატურის უკადრისი — პიროვნების და კერძო ცხოვრების გაუპატიურება. (V,120).

108(3548). ... მარტო ბუნებითი ნიჭი საკმაო არ არის, რომ არტისტმა გადმოღებულს პიესაში თავი თუ არ იჩინოს, რიგიანად მაინც შეასრულოს თავისი როლი. არტისტს აქ მეტი ცოდნა, გამოცდილება, ხელოვნება, გონების განვითარება, ხელთ-მძღვანელობა უნდა; არტისტს თუ არ უნახავს, წიგნებიდამ მაინც უნდა ჰქონდეს შესწავლილი სხვა ცხოვრება, ჩვეულება. ამას ჩვენ, სამწუხაროდ, ყურადღებას არ ვაქცევთ: — თითქო არტისტი მარტო რაღაც ზეგარდმო შთაგონებით ყველაფრის თამაშობას შეიძლებსო. ეს, რასაკვირველია, დიდი შეცდომაა. („ივერია", № 215, 1886,3).

109(3549). მარტო შეწყობილს, შეფერებულს ხმას ადამიანისას ანუ უკედ, ვსთქვათ, წაკითხვას შეუძლიან გაუწიოს სიტყვას იგი საჭსახური, რომ საიდუმლო გამოუთქმელი ბგერა, ძგერა და მოძრაობა გულისა გამომეტყველდეს და მთქმელისაგან მსმენელს გადაეცეს საესედ და უნაკლულოდ.

აქ ხმა სიტყვას ჰშველის და სიტყვა ხმასა. მოჭარბებული არ მოგვივა ვსთქვათ, რომ აქ ცოტად თუ ბევრად სიტყვიერება ჰმუსიკობს და მუსიკა ჰსიტყვიერობს. სწორედ მუსიკა და სიტყვიერება აქ ხელი-ხელ ჩართულნი არიან საყვარელ და-ძმასავით, რომ ერთმანეთის შეშწეობით ერთიანი გრძნობა აღმოშობონ მთელის ზედ-მიწევნილობით და ძალ-ღონით. ტყუილად კი არა სთქვა სახელოვანმა ლესსინგმა, რომ პოეზია ენა-შეტყველი მუსიკაა და მუსიკა უტყვი პოეზიაა. აქ რომ სიტყვა „პოეზია" „სიტყვიერებად" შევცვალოთ, დიდი შეცდომა არ მოგვივა, იმიტომ, რომ ხმა-შეწყობილი გამოთქმა სიტყვისა, თუნდ უბრალო ლაპარაკში, თუ მთლად მუსიკა არ არის, მისი ერთი დარგია მაინც, რადგანაც მის კანონს ცოტად, თუ ბევრად ექვემდებარება. („ივერია", № 37, 1890,1).

110(3550). მას აქეთ, რაც ქვეყნისათვის ჯვარცმულმა ღმერთმა ბრძანა: „მოდით, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე განგისვენებთ თქვენ", — არა-რას ქვეყნიერობაზედ ისე სამართლიანად არ შეუძლიან

თავის დროშაზედ დააწეროს ეს ნუკეშმცემელნი სიტყვანი, თუ არ იმ სალარის ცოდნისას და სწავლისას, რომელსაც მეცნიერებას ეძახიან და რომელმაც ნადირიკაცი ღვთის ხატად და მსგავსებად გარდაქმნა. (IV. 336).

111(3551). მაშინ მოემატება ჟურნალს მკითხველი, როდესაც ჟურნალი თითონ შეაყვარებს თავსა მკითხველსა. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV,311).

112(3552). მდიდარი ქვეყანა სწავლულთ ხელში ნატვრის თვალად გადიქცევაო. (V,284).

113(3553). ... მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამოხატულობის არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის.. იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის... იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარების გამო და ჭერეთავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ, ცხოვრება.. რაც მაგათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა.* (III, 71).

114(3554). ... მეცნიერება და ხელოვნება ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მოიყვანს „ახალსა" და ამათ შემწეობით გადადის ეს „ახალი" ისევ ცხოვრებაში და სცვლის ცხოვრებასა. (III,62).

115(3555). მეცნიერება და ხელოვნება — ეგ საკვირველნი სალარონი კაცის გონიერებისა — არიან კანონიერნი მემკვიდრენი გენიოსისა. (III,61).

116(3556). მეცნიერება და ხელოვნება — ეგ სახელოვანი სალარონი კაცის გონიერებისა — არიან კანონიერნი მემკვიდრენი გენიისაგან დაშთომილ საუნჯისა. (III,465).

117(3557). მეცნიერება... და ხელოვნება — ეს ორნივ ერთ და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთ და იგივეს გამოსთქვამენ: ხალხის აზრსა, და თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვა-ნაირად მოქმედობენ და გამოსთქვამენ. (III,63).

118(3558). მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც დღე-მუდამ ზედ დასტრიალებენ ცხოვრებასა, რომ ყოველი ცვლილება მისი ცნობიერად გადმოიღონ, რომ ყოველი ყვავილი მისი მოჰკრიფონ, შეიტყონ, რისთვის არიან იგინი და რანი არიან, — მეცნიერება და ხელოვნება სხვადა-სხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა. (III,60).

119(3559). მცენიერება და ხელოვნება (რედ.) ... ჩვენის ფიქრით, არიან მხოლოდ ღონისძიებანი, რომელნიც გვიშველიან ცხოვრების სიბნელიდამ სინათლეში გამოყვანასა. (III,70).

---

* თითქმის იგივე აზრი იხ.: III 466-467, (რედ.).

120(3560). მეცნიერება სალარია, საცა აწყვია უკეთესი განძი, ადამიანის უკეთესის ჭკვითა და გრძნობით მოპოებული; იგი უდიდესი ტაძარია, საცა დაყუდებულია დიდებული ხატი კაცობრიობისა, ადამიანის ჭკვითა და გულით ძვირფასის თვლებით შეჭედილი, საცა განუქრობლად ანთია უმშვენიერესი ხომლი ადამიანის ჭკვითა და სულით ანთებულის ჭეშმარიტებისა. (III, 366-367).

121(3561). მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა. (III, 68).

122(3562). (მეცნიერებას და ხელოვნებას — რედ.) ... ამ ორ ძლიერ მომქმედთა ღონისძიებათა მოჰყავთ ყოველიფერი ცნობაში... (III, 68).

123(3563). მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა. (III, 68).

124(3564). მეცნიერებას ხელოვნებისას, რომელსაც ესტეტიკას ეძახიან, შენიშნული აქვს ზოგიერთი ზოგადი თვისებანი ხელოვნებისა, რომელნიც ყოველს გრძნობაგახსნილს კაცს უნდა ერთნაირად ესიამოვნებოდეს და ურომლისობა კი უნდა უსათუოდ სწყინდეს და უუგემურებდეს გუნებასა. ამ სახით წუნი ყველასათვის წუნი უნდა იყოს და მოსაწონი-მოსაწონი. (III, 110).

125(3565). ... მეცნიერების ახალი ღვაწლი და ახალი აზრი ნდომულობს ფართო გზას, გაშლილ ადგილს, მრავალ მსმენელს. (III,267).

126(3566). ... მეცნიერების მოყვარე ჭორების სურვილს არ დანებდება, არ წაელებინება. (VIII, 105).

127(3567). ... მეცნიერი რა მეცნიერია, მერე მარქსისტი, რომ სიტყვაკაზმულის მეტყველებით თავი შეირცხვინოს. (VI, 288).

128(3568). ... მეცნიერის და ჭკვიანის კაცის ნამოქმედებსა და ნაღვაწლს... დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. (II,19).

129(3569). მეცნიერის კაცისათვის ყველაფერი შესაძლოა. (II,19).

130(3570). ... მითვისება უცხო ხალხის ხმებისა* ადვილი ნურავის ეგონება. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 360).

131(3571). მინამ გული სძგერს, გულიეე ათასნაირს სიმთ ააჟღერებს ხოლმე ათასნაირს მიზეზითა, და რადგანაც მიზეზი გულისთქმისა ულეველი და დაუსრულებელია, თვით სიმღერას, რომელიც მარტო გულისთქმაა და სხვა არარა, ბოლო და დასასრული არ ექნება თავის-დღეში, ვიდრე ეს დედამიწის ზურვი ატარებს და იშვნევს ადამიანსა. (III, 146).

---

* იგულისხმება სასიმღერო ხმები. (რედ).

132(3572). ... მუსიკის მცოდნე კაცთა თვალში ქართული სიმღერები სრულს ახალს ამბავს უნდა წარმოადგენდეს მუსიკის ისტორიისა და თეორიისათვის. (III, 150)

133(3573). მცირეოდენ განათლებამოცხებულ კაცს, მცირეოდენ საღის ჭკუის პატრონს კარგად მოეხსენება, რომ ყოველივე თავისისთაეის და პრესის პატივისმცემელი რედაქცია და თუნდ ყოველივე ცალკე კაცი ასე (პირუთვნელად და სამართლიანად — რედ.) უნდა მოიქცეს ყოველს შემთხვევაში და, თუ სულ მთლად ზურგს არ შეაქცევს, ეჭვი მაინც უნდა შეიტანოს იქ, საცა სხვის ადამიანურს ღირსებას, სინიდისს, წმიდათა-წმინდას შესაბღალავად და შესაგინებლად იმეტებენ. (IX, 270).

134(3574). ... მძიმე საქმეზედ ექნება ლაპარაკი, თუ უმცირეს საგანზედ — ყოველგან და ყოველსფერში ჟურნალ-გაზეთმა უაღრესი და უპირველესი მნიშვნელობა უნდა მისცეს იმ იდეას, იმ დედა — აზრს, რომლითაც თითონ სულდგმულობს, იმ გონებითს მხედველობას, რომლითაც თვით უყურებს საგანსა. (III, 259).

135(3575). მძიმე უღელია და მწარე ტვირთი არტისტის ხვედრი. („ივერია", № 89, 1887, 2).

136(3576). მხნეობამ, შრომამ და ჯაფამ ამაოდ არ ჩაიარა. ჩვენი თეატრი დღეს მართალს თეატრსა ჰგავს ყოველისფრით. თვალისათვის საკმაოდ ფაქიზად და ლამაზად მომართულია. („ივერია", №225, 1886, 1).

137(3577). (ნებისმიერი მყრალი პასკვილის — რედ.) ... ცარიელი ხსენებაც კი, გაზეთისათვის დიდი ჩამოუბანელი ჭუჭყია. (X, 122).

138(3578). (ნებისმიერი საძაგელი პასკვილის — რედ.) ... ცარიელი ხსენებაც კი ჩირქია მართებულის გაზეთისათვის. (X, 123).

139(3579). ნიჭი და ხელოვნება განუყრელი და-ძმანი არიან და აუცილებელი საჭიროებაც არის კარგი არტისტისათვის. ნიჭი არ-დახელოვნებული, არ-გაწურთვნილი, ხელოვნება ნიჭით შუქ-არშესხმული და არ გაბრწყინვალებული, გვერდჩამოთლილი სიკეთეა არტისტისა, ცალკერძია, და ერთის მქონებელი კაცი უმეოროდ ნახევარ-არტისტია. (III, 93).

140(3580). ნიჭი ხელოვნებას ეკითხება თავის საზღვარს და ხელოვნება ნიჭსა სთხოვს სითბოს და ბრწყინვალებასა. ერთი მეორესა ჰშველის იმოდენად, რამოდენადაც საჭიროა. არც ერთი ნამეტნობს და კლებულობს და არც მეორე, ორივე ერთმანეთს ემორჩილებიან ერთისა და იმავე ზედმოქმედების მოსახდენად. (III, 94).

141(3585). ნიჭიერი არტისტი დიდი რამ არის სცენისათვის. („ივერია", № 23, 1888, 1).

142(3582). ნუ ვინ იფიქრებს, რომ ეს ამისთანა შრომა (ძველი ქართული ხელნაწერების, წიგნების, სიგელების, გუჯრებისა და სხვ.

მოძიება და გამომზეურება — რედ.) დიდის მადლობის ღირსი არ იყოს და დიდად საქებურიც მისთვის, ვინც თავის სასახელოდ ამას იკისრებს და გულმოდგინებით შეასრულებს. დაგვიჯერეთ, ეგ დიდი საქმეა და დიდი სამსახურია ჩვენის ქვეყნის წინაშე. (IV,190).

143(3583). ნუთუ აწმყოში ცოცხალი წარსული საკმაო და უკეთესი მასალა არ არის მეისტორიესათვის? (IV,40).

144(3584). ოღონდ ხელოვნება არ გადასცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეცნიერება-ჭეშმარიტებასა, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი. დაე, ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლექი 'თან ამოჰყვება რა უყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ. (III, 70).

145(3585). ... პატიეისცემა კერძო პირისა და საზოგადოებისა დედა-კანონად უნდა ჰქონდეს ყოველს რიგიანს და მართებულს ჟურნალს თუ გაზეთსა. (III, 260).

146(3586). (პოლიტიკური ეკონომიკის სპეციალისტი — რედ.) ... ჰმოძღვრობს მარტო იმას რაც საყოველთავო ქონებას ბარაქას ჰმატებს. („ეგერია", № 143,1887,1).

147(3587). „პოპულარული ლიტერატურა", ხან კიდევ ადვილი ლიტერატურა... დანიშნულია მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო, რამოდენადაც შეიძლება, გააადვილოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა ყველასათვის; მათგან დამუშავებულნი ძნელი მისაბვედრი ცნობაები საყოველთავო გასაგებად გაამარტივოს, გააადვილოს და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცნობაები ხალხშია. ამ-ეგარ ლიტერატურას ეკუთვნის ჟურნალიცა, ნამეტნავად ის ჟურნალი, რომელსაც ეძახიან: „საზოგადო ჟურნალი". აი, რა-რიგ სამსახურისათვის ვნიშნავთ ჩვენს „საქართველოს მოამბესაცა". (III,65).

148(3588). ... პორტრეტების მხატვარი, დიდად სახელგანთქმულიც და გამოჩინებული ყოველთვის უმდაბლესია, უმდარესია მასზედ, ვინც ზოგადის კაცის, ტიპის შემომქმედია, თუნდაც ხელთდასაქმობით, ტეხნიკით, ამისი თანასწორი იყოს. ამიტომაც თითონ პორტრეტების წერას, ესე იგი ცალკე კაცის ხატვას, მხატვრობაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს და თითქმის ხელოვნებადაც არ არის ცნობილი, რადგანაც ეგ უფრო ოსტატობაა, ვიდრე ხელოვნება. (III,174-175).

149(3589). (პრესა ადვილად გაუწევს კარგ სამსახურს ჩვენს ქვეყანას — რედ.)... თუ რომ იგი არ მიიკარებს იმ სენს, რომელსაც ჰქვიან სხარტე ხახელი — გონების მრუშობა. (V,25).

150(3590). პრესას, რომლის სამფლობელო მართალი და ჭეშმარიტებაა და რომელიც მარტო ამ ორთა წიაღში უნდა ატრიალებდეს და ამოქმედებდეს უკეთესია ადამიანთა ჭკუაგონებას და უმაღლეს სულთასწრაფვას კაცობრიობისას გზას უკაფავდეს, განა ეპატიება უსაფუძველოდ გაბიაბრუება ადამიანისა მარტო იმ საზრისით, რომ, თუ აქ კაცი კაცს უსაფუძვლოდ ერჩის, იმედია, გაბიაბრუებული უსაბუთობას რჩოლისას დაგვიმტკიცებსო. (IX,272).

151(3591). პრესას... შეუძლიან ტყუილად დასწოს და დაჰბუგოს, ზნეობრივად სტანჯოს და აწამოს ადამიანი, თუ თავისს წმინდა დანიშნულებას ულალატა და ადამიანის ღირსების პირქვე დასამხობლად, ადამიანის სახელის გასატეხად საბუთად მარტო ის იხმარა, დიაღ, მარტო ის, რომ კორესპონდენტი სწერს, ასე მიამბესო. (IX, 275).

152(3592). (პრესის — რედ.) ... ჭეშმარიტი თავისუფლება მიჯნების ვანზე გადგმა კი არ არის ბოროტისა, არამედ მისი შეზღუდვა და შეხუთვა. (IX,273).

153(3593). ... ჟურნალ-გაზეთობა აზრის აღებ-მიცემობაა... იმის ამომძახელია, რასაც ჩასძახებს საზოგადო აზრთა დენა, შეტაკება და ბრძოლა. (III, 258).

154(3594). ჟურნალ-გაზეთობა არის ერთ-გვარი ნაწილი მწიგნობრობისა. როგორც მრთელს მწიგნობრობას, როგორც ყოველს ეონებისა ძალას ადამიანისას და მის ნამოქმედარს, ისე ჟურნალ-გაზეთობას საგნად ადამიანის ცხოვრება აქვს. (III, 256).

155(3595). ... ჟურნალ-გაზეთობა და ცხოვრება და-ძმასავით ხელიხელს გაყრილნი მიდიან, ჟურნალ-გაზეთობა წინ მიუძღვის ცხოვრებასა და გზას უნათებს, და ცხოვრება კიდევ მწიგნობრობის მოედანსა თავისის უკეთესის ყვავილითა ჰფენს. (III,258).

156(3596). ჟურნალ-გაზეთობა ერთ-გვარი ნაწილია ლიტერატურისა. ამის გამო თავის საკუთარის კუთვნილების გარდა უნდა ჰქონდეს ზოგადი კუთვნილებაც ლიტერატურისა. ზოგადი კუთვნილება ჭეშმარიტის ლიტერატურისა... (III, 262-263).

157(3597). ... ჟურნალ-გაზეთობა საზოგადოების გამჭრიახობის, ზნეობითის მხნეობის და თაოსნობის გამომეტყველია, ასპარეზია სხვადასხვა ცხოვრების კავშირთა და ძალთა ბრძოლისა. (III,258).

158(3598). ... ჟურნალ-გაზეთობას ორ-გვარი დანიშნულება აქვს. ერთის მხრით იგი არის შუამავალი ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით შოპოებულის გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა; მეორეს მხრით, იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი ეონებითის, ზნეობითის მოძრაობისა, მასში სჩანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა. (III,257).

159(3599). ... ჟურნალების სიმრავლე არამც თუ უნდა იყოს საწყენი, არამედ სასიხარულო იმისათვის, ვისაც უანგაროდ უყვარს თავისი ხალხი და იმისი ბედნიერება. ჟურნალების სიმრავლე ცხადად აჩვენებს, რომ ხალხს არ სძინავს, ფიქრობს, სჯის; რომ ხალხში ტრიალებს, მოძრაობს სხვადასხვა-ნაირი აზრი, რომლის გამომეტყველადაც არიან სხვადასხვა-ნაირი ჟურნალები. (III,66).

160(3600). ჟურნალი მაშინ არის სასიამოვნო წასაკითხავი, როდესაც აზრი არის დაწყობილი იმ სიტყვებითა, რომელსაც შეეჩვია ყური. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV,311).

161(3601). ჟურნალი, როგორც სხვა, ისე ჩვენიცა (იგულისხმება „საქართველოს მოამბე" — რედ.) არ არის ერთის კაცის სურვილის ნაყოფი: მოუვიდა ჟინი წერისა და გამოსცა. არა, მაგისთანა ჟურნალი თავს დიდხანს არ დაიჭერს. (III,65).

162(3602). ჟურნალი უნდა იყვეს ადამიანის შემქცევი, ე. ი. გონება უნდა ულვიძოს მკითხველსა და არა თავის მამბეზრებელი. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV,311).

163(3603). რა აახლებს, რა სცვლის და — თუ ცხოვრება ჯანმრთელია — რას შიყავს წინ? ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან. (III,59).

164(3604). რა თქმა უნდა, რომ ყველგან და ნამეტნავად ჩვენში ყოველ-კვარს ჟურნალ-გაზეთობას პირველ ხანებში ბევრი ნაკლი, ბევრი უძლურება და ულონობა ზედ დაჰყვება ხოლმე, მაგრამ ამას-კი აღარავინ ჰკითხულობს, რა ძნელია რომ პირველ ხანშივე ახალი საქმე, ახალი დაწყობილობა, ნამეტნავად ახალი სალიტერატურო ორგანო, მთელის სისრულით გამოგვიჩნდეს და დაგვენახოს. ამის არ-გამკითხველი, ამის არ-შეუგნებელი დიდის ჭკუის პატრონი არ უნდა იყოს, როგორც ის, რომელიც მოითხოვს, რომ დღევანდელ დღეს დარგულმა ვაზმა დღესვე, დარგვისავე უმალ, ყურძენი დაისხას. (VIII,275).

165(3605). რა ღონისძიებაა იმისთანა, რომ დღე მუდამის ცხოვრებისაგან მოგროვილი მასალა მეცნიერებას უზიდოს და მეცნიერებიდამ დედა-აზრნი გადმოიტანოს ცხოვრებაში? მეორეს მხრით, რა საშუალებაა იმისთანა, რომ დღე-მუდამის ცხოვრების ავ-კარვიანობა, ვითარება გადიხატოს, გადისახოს? მწიგნობრობა ერთობ და ჟურნალ-გაზეთობა საკუთრივ. (III, 257).

166(3606). რადგანაც ჟურნალ-გაზეთი ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში უნდა მოქმედებდეს და იმ ყოფა-ცხოვრების საკეთილოდ იღვწოდეს, ამის გამო ადამიანი, ცალკე — როგორც კერძო პირი და ერთად-როგორც საზოგადოება, ხელშეუხებლად ვერ გადურჩება გაზეთს. (III, 259-260).

167(3607). რასაც მცოდნე კაცი ერთს საათში მოიამაგებს, იმას უცოდინარი მოანდომებს ოთხ-ხუთ საათს. (IV,359).

168(3608). რაც უნდა მდარე თხზულება იყოს... შუა გული არ შეიძლება არა ჰქონდეს ფრაზასა და ხანასა. უამისოდ როლის ცოდნა, როლის თქმა... თუთიყუშობა იქმნება, უგემური, უფერული. რაკი ეს შუა—გული იპოვა ფრაზისა, თუ ხანისა, მაშინ (არტისტმა — რედ.) კილოც უნდა შეურჩიოს შესაფერი და მოსახდენი აზრისა, თუ გრძნობისა. („ივერია", № 36, 1887,3).

169(3609). რაც შეუძლებლად მიაჩნდათ ჩვენთა მამა-პაპათა, — დღეს შესაძლებელი გახდა მეცხრამეტე საუკუნის წყალობით. მანძილი, რომელიც დღეს — აქამომდე იყო სხვადასხვა ქვეყნებ-შორის, რკინის-გზებმა, ტელეგრაფებმა და ტელეფონებმა თითქმის მოსპეს. დოსტაქრობამ და მკურნალობამ იქამდე მიაღწია, რომ ცოცხალ ადამიანის აგებულებაში თითქმის გამოუცნობი და დაუნახავი, გაუსწორებელი, შეუკეთებელი აღარა არის-რა. დღეს ცოცხალ ადამიანის შიგნეულობას ისე ჰხედავენ, ისე ითვალისწინებენ, თითქო გარეთ გამოტანილი საგანიაო. ბევრს ჭირს, რომელიც დღეს აქამომდე მუსრს ავლებდა ქვეყნიერობას, წამალი უპოვეს, და ლამის ის სიცოცხლის ელექსირიც-კი იპოვონ, რომელსაც ასე გულმოდგინებით ეძიებდა და ეძიებს ყოვლად მძლევი გონება ადამიანისა. მეცნიერება უკვე წააწყდა სახსარს მოხუცებულობისაგან განახლებისათვის და, ვინ იცის, იქნება მალეც მოვესწრათ, რომ ამ გზაზედ მეცნიერებამ თავისი სასწაულთმოქმედება გამოიჩინოს. ადამიანი გამოკეთდა აზრით, ფიქრით, ქონებით, გონებით და ზნეობით. სიმდიდრემ გონებითმა, ზნეობითმა და ქონებითმა იმ სიმაღლემდე მიაღწია, რომ სიზმრადაც არ ზმანებიათ წინანდელ საუკუნეებს. (V,7-8).

170(3610). რაც შორსა სცემს ჟურნალის თვალი, მით უფრო კარგია, ჩვენის ფიქრით, ჟურნალი და დღეგრძელი. (III, 67).

171(3611). როგორიც უნდა იყვეს ცხოვრება, ძლიერი თუ უძლური, მაღალი თუ მდაბალი, ჟურნალ-გაზეთმა უსათუოდ უნდა თვალი დაიკვირვოს, უნდა შეისწავლოს, უნდა განმარტოს... (III, 259).

172(3612). როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოადგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება. (III,257).

173(3613). ... როგორც ლაპარაკსა აქვს თავისი ასოები და თავისი კილო, ისე საკრავსა აქვს თავისი ანბანი და კილო. („ივერია", № 260, 1886,3).

174(3614). როგორც ცხოვრების სარკე, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს მას, რაშიაც უნდა იხატებოდეს თვით საზოგადოების აზრი, გრძნობა, სურვილი ცხოვრების სხვადასხვა საგანთა თაობაზედ. რამოდენადაც იგი ამის ამსრულებელია, იმოდენად იგი საწყაოა საზოგადოების გონებითის, ზნეობითის ძალისა და ნიჭისა, იმოდენად იგი საზომია ცხოვრების მოთხოვნილებისა და საჭიროებისა, იმოდენად იგი საშუალებაა, რომლის ძალითაც თვით საზოგადოება თვისის ცხოვრების სადავეს ხელთ იპყრობს და ცხოვრების თვითრჯულს დენას საკუთარს თაოსნობა უმორჩილებს. (III,257).

175(3615). როდესაც დღეს ერთი გამოდის სცენაზედ, ხვალ მეორე, შეუძლებელია რომ ყოველმა მომქმედმა პირმა დახელოვნებული თამაშობა გამოიჩინოს. მხოლოდ ის ადგენს კარგად, რომელიც სცენასა და თამაშობას ცოტად თუ ბევრად მიჩვეულია. ნიჭსაც, რა საკვირველია, ვრცელი ადგილი უპყრია ამ საქმეში: ამას ლაპარაკი არ უნდა; ყოველ საქმეში ასეა. მაგრამ აგრეთვე ყოველ საქმეს სჭირია სწავლა, ვარჯიშობა, წვრთნა. („ივერია", № 19, 1878,1).

176(3616). როლის არცოდნა... არტისტისათვის შეუნდობელი ცოღვაა. ეგ თავის საკუთარის ღირსების გამომეტებაც არის, გარდა იმისა, რომ უკადრისობაა მაყურებელთა საზოგადოების წინაშე, რომელსაც არტისტი თითქო არაფრად აგდებს, რადგანაც არ ცოდნით გამოდის სცენაზედ. (III, 94).

177(3617). როლის ცოდნა მარტო სიტყვების გაზეპირება არ არის. ეგ თუთიყუშსაც შეუძლიან. საქმე სიტყვის, თქმის კილოს პოვნაა. ყოველს ფრაზაში შუა-გული სიტყვა უნდა უსათუოდ იპოვოს არტისტმა და ყოველს ხანაში შუა-გული ფრაზა. („ივერია", № 36,1887,3).

178(3618). როცა სასცენო ხელოვნება სხვისის ცხოვრები ხატსა ჰკიდებს ხელს ჩვენს სცენაზედ გადმოსატანად, ორში ერთი უნდა იქონიოს სახეში: ან იგი, რომ სხვისი ცხოვრება, ხასიათს თუ ზნე-ჩვეულებაში გამოთქმული, გვაცოდინოს ისე, როგორც არის, უტყუარად და შეუცვლელად, ან იგი, რომ მარტო აზრი, საკანი აიღოს, თუნდა მთელი აგებულებაც პიესისა, ოღონდ იქ კი, საცა სხვისა ხასიათი, ზნე-ჩვეულება და ვითარება ცხოვრებისა არ შეგვეფერება, არ გვიხდება, გვეუცხოება,—იქ ჩვენი ხასიათი, ჩვენი ზნე-ჩვეულება, ჩვენის ცხოვრების ვითარება ჩააყენოს. ამით უცხო ხატი სხვისის ცხოვრებისა ცოტად თუ ბევრად ჩვენის ცხოვრების ხატად გარდიქმნება, და რამოდენადაც ეს გარდაქმნა დიდია, იმოდენად ნაშრომი კარგია და მოსაწონი. პირველ შემთხვევაში ნაშრომს თარგმანი ჰქვიან და მეორეში — „გადმოკეთებული". გადმოკეთებას სხვა აზრი არა აქვს, სხვა არავითარი საბუთი არა აქვს, თუ არ ივი, რაც ჩვენა ვსთქვით ამის შესახებ. (III, 125).

179(3619). როცა სცენაზე წარმოდგენილ სახეს კაცისას იცნობ კიდეც და არც იცნობ, ეს უტყუარი ნიშანია, რომ იგი სახე „ტიპია", ზოგადი სახეა ერთ გვარის კაცებისა, რომელთაგანაც თვითეულად ცალკე თვალსაჩინო ნიშნებია მოგროვილი და ერთად შექსოვილი, ერთ ადამიანად ქცეული. (III, 106).

180(3620). როცა უმთავრესნი და არსებითნი საფუძველნი ცვლილებისა არის ნაყოფი კაცობრიობის საერთო ცივილიზაციისა და მეცნიერებისა, მაშინ იგი საფუძველი ყველგან და ყველასათვის მოსახდენია და, თუ აქ ცვლილებამ უნდა დაუთმოს რამე ადგილობრივს გარემოებას, თვით უმთავრესი და არსებითი საფუძველი კი არ უნდა გამოაცალოს საქმეს, არამედ საქმის მარტო წვრილმანი კუთვნილებანი უნდა შეურჩიოს და შეუფეროს გარემოებასა. (VI,74).

181(3621). როცა ყური ერთს გეუბნება და თვალი სხვასა ეხედავს,—მაყურებელს ილუზია უკარგება და მაშასადამე სიამოვნება უფუჭდება. („ივერია", № 228, 1886,3).

182(3622). როცა ცხოვრებას უმოქმედნია და იმ მოქმედებით მოუყვანია როგორიმე მოსავალი, რომლის გაგება და გარჩევა უძნელდება ხალხს და რჩება ის მოსავალი მოუხმარებლად; როცა ხალხში ისპის სურვილი, ძლიერი ნდობა იმ ნაჭირნახულევის გაგებისა, ცნობაში მოყვანისა; როცა ხალხს უნდა და ვერ ძისწვდომია მეცნიერების ნაყოფსა, მაშინ ხალხის საშველად სხვათა შორის გამოვა ჟურნალიცა. (III, 65).

183(3623). როცა წუხილი მჩაგრავს უწყალო,
კაცთან არ ვილტვი მის განქარვებად;
მყის თავის-თავად ლაღი, უბრალო,
სიმღერა მორბის ნუგეშ-საცემად.
და იმ სიმღერას ჩემს წყურვილს ვანდობ,
ის ჩემებრ არის სევდით ბურვილი,
მის მწუხარ ხმებში ჩემს გულის ხმას ვსცნობ
და მეორე მიყვარს ჩემი წუხილი.(1,70).

184(3624). (საეკლესიო-საისტორიო — რედ.) ... მუზეუმის დაარსებას ყველა ჩვენის ქვეყნის მოყვარე კაცი დიდის სიყვარულით უნდა მიეგებოს და დიდი მადლობა ჩაინერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს. (IV,205).

185(3625). ... სავაგლახო ის არის, როცა ... ჭირი ... ჟურნალ-გაზეთობაშიაც დაიბუდება, როცა აქ თქმა და ქმნა ერთმანერთის განუცრელნი და-ძმანი არ არიან. (VIII, 266).

186(3626). საზოგადო ნიშნების ერთად, წყობილად შეკრეფითა იზომება სიბრძნე და გონიერება ხელოვანისა... (III, 473).

187(3627). საკვირველებაშია მთელი საიდუმლოება ხელოვნებისაცა. (III,473).

188(3628). სამართლიანად ჰნატრულობენ ბევრნი ჩვენგანნი, რომ ჩვენმა ქართულმა სცენამ რაც შეიძლება ხშირად გაგვიტაროს თვალწინ ჩვენის ცხოვრების ხატი და ამ ხატში გაგვიხორციელოს აზრი და საგანი ასე თუ ისე მიმავალ წუთისოფლისა. (III, 124).

189(3629). (სამართლისა და მართლმსაჯულების კანონები ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ — რედ.) ... ყველაზე უწინარეს პრესამ, ვით სალარომ ადამიანის ჭკუა-გონებისამ, უნდა იცოდეს და თვითოეულს გაზეთს თუ ჟურნალს თავის დროშაზე დიდის ასოებით ეწეროს. ეს უნდა აუცილებლად კისრად იდოს პრესამ; ამას უნდა აქეთ-იქით გადაუხვევლად ემსახურებოდეს. (IX, 272).

190(3630). სამეცნიერო ცნობათა გადმოტანა და გავრცელება საზოგადოებაში, ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრების დაკვირვება და განმარტება, — აი რაში მდგომარეობს ჩვენის გაზეთის („ივერიის"— რედ.) პროგრამა. (III, 259).

191(3631). სამუდამო თეატრის არსებობა, რასაკვირველია, ცხადი ნიშანია, რომ საზოგადოებაში აღორძინებულია ერთგვარი ესტეტიკური სიამოვნების მოთხოვნილება, რომელსაც აკმაყოფილებს სათეატრო ხელოვნება. („დროება", № 8, 1880,3).

192(3632). საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერებამ — რედ.) ... დიდი ხანია მიაგნო, რომ ქონება უქმად ვერ დარჩება და დღესა თუ ხვალ უქმს ხელს ჩამოეცლება და საქმიანს მიეკედლება. („ივერია", № 142, 1887,2).

193(3633). სარედაქციო შრომა, რედაქციის ხელმძღვანელობა... ძნელი დასანახავია ქვეყნისათვის, თუმცა დიდი და თან ძნელი საქმეკია. („ივერია", № 64, 1891,3).

194(3634). სასურველი არ არის, რომ სახელოვანი არტისტი... რეჟისორმა თავის კუთვნილს ადგილას არ ჩააყენოს ხოლმე. („ივერია", № 265,1891,2).

195(3635). (სასცენო ხელოვნებაში — რედ.) ერთობ გრძელის სიტყვისა და ფრაზას მკაფიოდ და გარკვეით გამოთქმას, ენისა და ხმის შორჩილების გარდა, ცოდნაც ეჭირება. (III,114).

196(3636). საქმე ის არის, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება სიცილისა, თუ ტირილისა, თავისის თილისმითა ჰქმნიდეს ხატს ესტეტიურის გრძნობის გამოსაწვევად. აქ სხვა არაფერია საჭირო და კაცი ყოველთვის ერთნაირად მიზიდულ იქმნება. (III, 119-120).

197(3637). საცა გონება და ჭკუა. რომელისამე მიზეზით. ვერ მიგიწვდეს და არჩევანში ხარ, შენს არ-გამორკვეულს აზრს, არ-ცოდ-

ნას, სხვისი, სახელკანთქმულის მეცნიერის, გარკვეული აზრი და ცოდნა მოაშველე... (VI, 106).

198(3638). სახის კარგად გაკეთება, ესე იგი, როლის შესაფერად და შესაფერადვე მოკაზმულობა დიდი რამ არის თვითონ თამაშობის სიკეთისათვის. („ივერია", №228,1886,3).

199(3639). სიმღერა, გალობა სხვა არა არის რა, გარდა ბედნიერად შექსოვილის პოეზიისა და მუსიკისა. (III, 145).

200(3640). სიმღერა გულის-თქმაა. (III, 146).

201(3641). სიმღერა... იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის როცა გულს მწუხარება ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწევა. (III, 145).

202(3642). სიმღერაში, გალობაში, მწყობრი ხმა ჰშველის წყობილ-სიტყვაობას და წყობილ-სიტყვაობა მწყობრ ხმასა, რათა მთლად და სავსებით ადამიანმა გამოსთქვას თვისის სული მოძრაობა და თვისის გულის ძარღვის ცემა. (III, 145).

203(3643). სიმღერის, პოეზიის სიამოვნების ნიჭი საყოველთაო კუთვნილებაა ადამიანისა. (III, 148).

204(3644). (სცენა — რედ.) ... ბურთი და მოედანია, არტისტის ნიჭისა და ცოდნის საცდელი. (III, 107).

205(3645). სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით, ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა, იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედობს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრით არის იგი სანატრელი, ამ მხრით არის იგი კაცის ვრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელი, გამწმენდელი. (V, 40).

206(3646). სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანაც იმისთანა შემაქცევარიც არის, რომ უკეთესს მზარეს ადამიანისას ფეხს აადგმევინებს, ფრთას აშლევინებს. უკეთესი შესაქცევარი, უკეთესი დროს-გასართობი, სულისა და გულის ამაღელებელი, სხვა ისეთი არა ვიცით რა, სცენის მეტი. თუ ეს ძვირფასი თვისება, როგორც ხალხის წვრთნა და ზრდა, სცენას ჩამოაცილეთ, იგი მიკიტანხანად გადაიქცევა და მაშინ სჯობს წაწყმდეს, ვიდრე სუფევდეს. ეს არ უნდა დავივიწყოთ ჩვენ, ქართველებმა, რაკი ის კეთილი აზრი მოგვსვლია, რომ ჩვენი საკუთარი სცენა ვიქონიოთ. (V,40-41).

207(3647). სწავლულს ყოველისფერი დაეჯერება. („ივერია", № 88,1889,2).

208(3648). ხვა რის ბეოხედ უნდა იყოს მწიგნობრობა საერთოდ, თუ არ ადამიანის უფლების შემნატრედ, მწედ და მოსარჩლედ? (III,260).

209(3649). უაღგილო ადგილას ხელებისა და თითების მოძრაობა არტისტისა, მაყურებლის თვალს უნებლიედ უქმად და ტყუილუბრალოდ აიყოლიებს ხოლმე, და ამ გზით მაყურებლის ყურადღება ორად იბნევა, იფანტება და ერთიანი, მთელი ზედ-მოქმედება აღარა აქვს თამაშობას მაყურებელზედ. (III,95).

210(3650). უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. (IV,340).

211(3651). უპირველესი მოვალეობა ჟურნალ-გაზეთობისა სწავლისა და ცოდნის გავრცელება უნდა იყოს, მან უნდა ფეხი აუდგას თვითმოქმედობის ძალსა, მან უნდა აღადგინოს გონებითი და ზნეობითი ნიჭი. (III, 258).

212(3652). ... ფილოლოგია, როგორც ენის მკვლევარი მეცნიერება... სამსახურს უწევს ისტორიასა მის წინადროთა აღსადგენად და საცნობელად. (IV, 30).

213(3653). ფილოლოგიამ და მითოლოგიამ ბევრი საკვირველი ჭეშმარიტება აღმოაჩინა მით, რომ სხვადასხვა ხალხთა ისტორიები შეადარა და ამ შედარებით გამოიკვლია ბევრი საგანი, რომელთაც ჟამთა სიბნელეში არც თავი უჩანდათ, არც ბოლო. (VI, 119).

214(3654). ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი („საქართველოს მოამბე"—რედ.) მკაფიოდ საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. (III,69).

215(3655). ქართული თეატრი ქართველთათვის ბევრი სიკეთის მომასწავებელია. („ივერია", № 212,1886,1).

216(3656). (ქართული თეატრის საქმე — რედ.) აი კიდევ ერთი საზოგადო საქმე, რომელსაც დიდის სიფრთხილით მოქცევა უნდა. (V,51).

217(3657). ღმერთმა ჰქმნას, რომ საზოგადოებამ არტისტებს არ უღალატოს და არტისტებმა საზოგადოებას. (III, 108).

218(3658). (ყველა ჰიპოთეზას. ვარაუდსა და თეორიას — რედ.) დამტკიცება უნდა და არა ცარიელ სიტყვების ფქვა და რახარუხი. (IV,94).

219(3659). ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ რომლისამე საგნის ასე ან ისე გარდაწყვეტაში გაზეთი არავითარ თავის პიროვნულ ანგარიშსა და ინტერესს არ ეძიებს; რომ ის თავ-მოყვარეობით არ არის აღძრული; რომ ის ხელმძღვანელობს მხოლოთ საზოგადო ინტერესით, საერთო საჭიროებით და სარგებლობით, როცა ამ გვარ პატიოსან ხასიათსა და მოუსყიდველ თვისებებს შეამჩნევენ რომელსამე გაზეთს, დარწმუნებული იყავით, რომ იმას ყველა დაუჯერებს, ყველა

დაენდობა, და აქედამ არის, რომ ძალასა და გავლენას შეიძენს. („დროება", № 46, 1880, 1).

220(3660). ყოველ გონიერ ჟურნალის თვალი ხშირად არის მიმართული მოშაელისაკენ. (III, 67).

221(3661). (ყოველ პატიოსნური მიმართულების გაზეთს — რედ.)... არ შეიძლება სრულის სიამოვნებით არ მიეგებოს ყოველი ჭკვათამყოფელი და გულთამყოფელი კაცი, რა თესლისაც გინდ იყოს. (VIII, 159).

222(3662). ყოველ საგანს. ყოველს მოვლენას ცხოვრებისას, ავს თუ კარგს, დიდს თუ მცირეს, ჟურნალ-გაზეთობამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და შეძლებისამებრ მისცეს სასტიკს გარჩევას, განმარტებას თავისის რწმენისა, აზრისა და ცოდნის დაკვალად. (VII, 259).

223(3663). ... ყოველის ... ერის მუსიკას თავისი საკუთარი ფერი აქვს ზედ დაჩნეული (III, 149).

224(3664). ყოველისფერი, მეცნიერება, ხელოვნება, სულ იმაზედ აღამებს დღეს, რომ თავისუფლება, თანასწორობა და სიყვარული მოძმისა ჩამოაგდოს კაცთა ურთიერთობაში. ყოველი საქმე, რაც უნდა აიღოთ ამ ქვეყნიერობაზედ, ამ საგნებიდამ არის წარმომდგარი და მასვე მიერთმევა... (III, 356).

225(3665). ყოვლის ღონისძიებით ერიდენით კერძო პირთა მასხრად აგდებას სცენაზედ. ეგ თეატრის უკადრესი ქცევა და შეუნდობელი ცოდვაა. (V, 126).

226(3666). „შინაური საქმე" იმისთანა საგანია გაზეთისათვის. როდესაც სარკე ადამიანის სახისათვის. (VIII, 241).

227(3667). ჩვენ ის გვიხარიან, რომ ჩვენი არტისტები კარგნი არიან და ამით საბუთს გვაძლევენ ბევრი მოვსთხოვოთ და დავავალოთ. (III, 99).

228(3668). ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ ერსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა. (III, 68).

229(3669). ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლსა ვსთხოვთ. პირველი — რომ მართლა განწმენდელი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწერთნელი, და მეორე — იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შვენებითა და სიმდიდრითა. (V, 41).

230(3670). ჩვენ წინათაც გვითქვამს და ეხლაც ვამბობთ, რომ თეატრს დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენის საზოგადოებისათვის. ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ყოველმა ქართველმა შეძლებისამებრ ხელი უნდა მოუმართოს. (V, 51).

231(3671). ჩვენი გაზეთი („ივერია“ — რედ.) მეტად ჰფრთხილობს, რომ არა რომელიმე კაცი არ იყოს გაბიაბრუებული, გაუპატიურებული, არც მართლად და არც ტყუილ-უბრალოდ. (VIII, 253).

232(3672). ჩვენი თეატრი, რაც უნდა იყოს, ჩვენის ეროვნობის საჯარო ნიშანია. ეს ყველა ქართველს უნდა ახსოვდეს, თუ თავის ქვეყნის ბედზედ გულ-აცრუებული და გულ-აყრილი არ არის. (V, 127).

233(3673). ჩვენი თეატრის ერთი დიდი ნაკლი ის არის, რომ საოთეატრო თხზულებები არა გვაქვს... ამას ბევრი საპატიო და შესაწყნარებელი მიზეზი აქვს და იმ ბევრში ერთი ისეთი რამ შეგვიძლიან დავასახელოთ, რომ იმის გაგონებაზე კაცი თუმცა გულის ტკივილით, მაგრამ მაინც კი იტყვის: რაკი ესრეა, აქ კისრად უნდა ვიდოთ იგი მიზეზი და დავდუმდეთო. ის „ერთი ისეთი რამ“ ის გახლავთ, რომ მწერალი არა გვყავს. (III, 116).

234(3674). ჩვენის ფიქრით, არც ერთი ნაწილი გაზეთისა ისე ნათლად და ცხოველად არ დაიჩნევს ხოლმე გაზეთის სულსა და გულსა, გაზეთის გულითადს რწმენას, ფერსა და მიმართულებას, როგორც ის ნაწილი, რომელსაც წილად ხდომილი აქვს „შინაურთა საქმეთა“ გამოძიება და გამოკვლევა. ამ გამოძიებაზედ ხელის აღება, თავზედ ხელის აღებაა გაზეთის მხრით. (VIII, 241).

235(3675). ჩვენმა თეატრმა თავისით ჩაიდგა სული, გარედამ შეშწეობა არავისგან ჰქონია. ჩვენ მარტო იმის მადლობელი ვიყავით და ვართ, რომ დამშლელი არ გამოგვიჩნდა. სხვას ვერავინ ვერას დაგვაყვედრებს. (VIII, 11).

236(3676). ჩვენმა თეატრმა, მისმა ზრდამ და გაძლიერებამ ცხადი მაგალითი გვიჩვენა იმისი, თუ — რა შესძლებია მხნეობას, საქმისათვის თავ-დადებულს. ტყუილათ კი არ უთქვამთ ჩვენთა წინაპართა: მხნე იყავ და გაძლიერდიო*. („ივერია“, № 4, 1900,4).

237(3677). ცალის თვალით ღვიძილი მარტო კურდღელმა იცის და ესტეტიურს გრძნობას კი ერთის თვალით გაღვიძება არ შეუძლიან ისე, რომ მეორეც არ მღვიძარეობდეს. (III, 119).

238(3678). ცუდი ჩვეულებაა, თუ არტისტს ეს (სხაპასხუპით ლაპარაკი, რომლის დროსაც სიტყვების გარჩევა ჭირს — რედ.) დასჩვევია მართალია, ზოგან აჩქარება გრძნობისა ლაპარაკის აჩქარებასა ჰთხოულობს, მაგრამ აქ გადაჭარბება არ ვარგა და სიტყვა უსათუოდ უნდა ისმოდეს თვითეულად და გარკვევით. (III,141).

239(3679). ...ცხოვრება, რაც უნდა უძლური, მიმკვდარი და ულონო იყოს, იმოდენად ღირს — შესანიშნავი რამ არის, რომ ჟურნალ-გა-

---

* შდრ.: „მხნე იყავ და განძლიერდი“.
დ. გურამიშვილი. (რედ.).

ზეთობას არ შეუძლიან თვის ერთგვარს დანიშნულებას აჰყვეს და ცხოვრებას თვალი და ყური არ ათხოვოს. (III, 259).

240(3680). ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. (III, 62).

241(3681). ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოჰსწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ — ცნობიერებაზედ. (III, 63).

242(3682). ძალდატანებითა და ჩაცივებით სტატიის დაწერა, რომ არ იქნება? ავტორი თითონ უნდა ჰგრძნობდეს ძალდაუტანებლად რომელიმე აზრის წარმოთქმის საჭიროებასა; აზრი უნდა გამომდინარეობდეს ლაღად, თავის-თავად გონებიდგანა, სადაც არის მოგროებული და დიდი ხანია აპირებს გამოხეთქასა, როგორათაც დაგუბებული წყალი. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 308).

243(3683). ძნელი საქმეა გაზეთის საქმე ყველგან და ნამეტნავად... მაშინ, როცა მარტოდ-მარტოა, ერთად-ერთი. (III, 261).

244(3684). (ჭეშმარიტ არტისტობის ნიჭს მოკლებული მსახიობი მაყურებლის — რედ.) გრძნობას ვერ აღვიძებს, გულს ვერ შესძრავს ხოლმე. („ივერია", №228, 1886,3).

245(3685). (ჭეშმარიტი არტისტები — რედ.) სცენას თხემის ადგილად სთვლიან, საიდანაც გულ-წრფელად გადმოდგებიან ხოლმე ავ-კარგიანობის სამოძღვრელადა, და თვითც გვეჩვენებიან გულ-უბრყვილო ცოცხალ სარკეებად, რომ ჩვენის ცხოვრების სხვა-და-სხვა გვარი მოვლინებანი, თვალ-და-თვალ დაგვანახონ, და აღძრან ჩვენს გულში კეთილისადმი სურვილი და ბოროტისადმი სიძულვილი. („ივერია", № 89, 1887,2).

246(3686). ჭეშმარიტი არტისტი იგივ შემოქმედია, როგორც სხვა ჭეშმარიტი ხელოვანი. (X, 391).

247(3687). ჭეშმარიტი არტისტობა ეს არის, რომ ერთს აღმოკვნესას, ერთს ძახილს კაცმა მთელი თავისი გული ამოაყოლოს, მთელი დრამა დასტიოს ორიოდ სიტყვაში!.. (III, 96).

248(3688). ჭეშმარიტი და უდიდესი ხელოვნება ადამიანისა თავის უმწვერვალეს სიმაღლეზედ აზიდავს ხოლმე კაცსა, და გონებამიუწვდენელის თილისმითა დიდს ბოროტსაც, დიდს მწუხარებასაც, როგორც დიდს კეთილსა და დიდს ბედნიერებას, ადამიანის გულში ჩააფენინებს ხოლმე მადლის მაცხოვარს შუქს სათნოების კვირტის გამოსაკვანძავად და მერე მშვენიერ ყვავილის გარდასაშლელად. ამაშია მომხიბლავი ძალა და არსებობის მიზეზი ხელოვნებისა საზოგადოდ და

სათეატროსი საკუთრივ. იგი გრძნობა, იგი ღონე, რომელსაც ეს შუქი ჩააქვს ადამიანის გულში, ესთეტიური გრძნობაა. (III, 118).

249(3689). ჭეშმარიტის ხელოვნების დაფასება ჩვენც ვიცით. („ივერია", №229, 1886,3).

250(3690). ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედობენ. ეს რომ არ იყოს, თითონ მეცნიერებაც, რომელიც სხვა არა არის რა, გარდა მისი, რომ კრებაა ზოგადის კანონებისა, ფუჭი სიტყვა იქნებოდა. (V,56).

251(3691). „ხანუმა", ავია თუ კარგი, ჩვენის ცხოვრების სურათია, ჩვენის ცხოვრების ღვიძლი შვილია. („ივერია", № 215,1886,3).

252(3692). („ხანუმა" — რედ.) ცოცხალი სურათია ჩვენის ცხოვრებისა, სურათი მარტო თვალად სახილველი და მეტისმეტად მართლად ვადმოღებული და ჩვენს ცხოვრებამდე* ზედგამოჭრილი. (III, 142-143).

253(3693). ხელოვნება არის განხორციელება იდეისა, მისთვის გარე არა აქვს განძრახვა, მიზანი; იგი თავისთავშივე არი ჩაკეტილი და მისი პირდაპირი მიზანი (თვითონ) არის ღარმონია, სიმთელე და მშვენიერება, რომელნიც ერთად შეადგენენ ხელოვნებასა, ანუ უფრო მოკლედ ვსთქვათ, ხელოვნების მიზანი თვითვე ხელოვნებაა. („ლიტერატურის მატიანე", წიგ. 1-2, თბ., 1940, გვ. 486-487; საქართველოს გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, №11660, ფურც. 1744).

254(3694). ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეიას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა-ხმასა, მხატვრობა — ხაზსა, პოეზია — სიტყვასა.** (III, 30).

255(3695). ხელოვნება თვით ბოროტს აბოროტებს კეთილისათვის და კეთილი ხომ კეთილია. (III, 119).

256(3696). ხელოვნებასა და ერთობ გონების ნაწარმოებსა გვარტომობა არა აქვს. ერთიცა და მეორეც მთელის კაცობრიობისაა... (III, 182).

257(3697). ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით

---

* უნდა იყოს: „ცხოვრებაზედ". (იხ. „ივერია", № 278, 1886,3). (რედ.).

** ეს ფრაზა წარმოადგენს ხელოვნების შესახებ გ. ლესინგის მიერ „ლაოკონში" ჩამოყალიბებული ერთ-ერთი შეხედულების ილიასეულ პერეფრაზირებას. (იხ.: დ. ლაშქარაძე, „დასავლეთევროპული ლიტერატურა ილია ჭავჭავაძის ნაზრევში" — „ლიტერატურული საქართველო", № 48, 1986,13). (რედ.).

ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ. (III, 68).

258(3698). ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ბატონებო, მეცნიერების გზით სელა და მეცნიერების იარაღით ბრძოლა ცხოვრების მოედანზედ! („ივერია", № 140, 1893,1).

259(3699). ჯოჯოხეთში არის ხილმე ყოველი რედაქტორი, რომლის ჟურნალსაც საკუთარი კაპიტალი, ანუ თანხა არა აქვს. (III, 16).

260(3700). ჰამლეტი, როგორც სალირიკო ხასიათი, არტისტისაგან უფრო კარგს მეტყველებას, კარგად თქმას როლისას ითხოვს, ვიდრე თამაშობასა. ჰამლეტის როლი უფრო სათქმელია, ვიდრე სათამაშო და სამოქმედო. („ივერია", № 36,1887,2).

261(3701). божественным вожаком является для нас наука. Только перед нею земля раскрывает свою грудь и делаются для нас доступными так щедро вверенные ей сокровища. („საისტორიო მოამბე", ტ. 3, თბ., 1947, გვ. 200).

262(3702). ... в безусловном обнаружении истины и в служении правде ... (видим мы единственно достойные задачи печатного слова — რედ.). («Тифлисский вестник», № 106, 1876, 2).

19. პოეზიის, ლიტერატურის, მწერლობის, ხალხური ზეპირსიტყვიერების, კრიტიკისა და მჭევრმეტყველების შესახებ

1(3703). აბა ვის არ მოჰგვრის სიამოვნების და სიტკბოების ურუანტელს... პოეზია ძმობისა, ერთობისა, სიყვარულისა. (III, 433).

2(3704). (ადამიანის „მე"-ს მფარველობის — რედ.) წინდა მოვალეობა კისრად ადევს ლიტერატურასაცა. ამის გარეთ ლიტერატურას ასპარეზი არა აქვს. (VIII, 247).

3(3705). (ალალ-ბედად ნათქვამი და გაბაკითხული მოსაზრება — რედ.) ... თავს არ დაიჭერს, თუ კრიტიკამ ოდნავ მაინც კლანჭი გამოჰკრა, არამც თუ თავიდამ ბოლომდე გამოჰშიგნა. (IV,38).

4(3706). ამისთანა წიგნი („ვეფხისტყაოსანი" — რედ.) ყველა ქართველს მუდამ თვალ წინ უნდა ჰქონდეს, მუდამ წინ უნდა ედგეს. როგორც წმ. ნაწილებს, ისე უნდა ეპყრობოდეს... („დროება", №242, 1880,1).

5(3707). არაფერი საძრახისია მწერლისათვის სხვისგან ნათქვამი, ან გაგონილი ამბავი აიღოს და ამ ამბისაგან ისეთი რამ შეჰქმნას, რომ სახელი იდიდოს, თავი გამოიჩინოს. (IV, 167).

6(3708). არც ერთ ქართველს მწერალს... ვერ გვიჩვენებთ, რომ თავისი სახელი მოეპოვებინოს სხვისის ქებითა და დიდებითა. ყოველი ჩვენი მწერალი, თუ რამ სახელი მოუპოვებია, თავისის ნიჭის მადლობელია და არა ლიტერატურული რეკლამებისა. (VIII,237).

7(3709). აუცილებლად საჭიროა .... რომ რაც შეიძლება მეტი ძალღონე მოვახმაროთ ჩვენს მწერლობას და საკუთარის ვითარების შესწავლა გავიხადოთ ქვაკუთხედად ყოველისავე ცოდნისა. (III, 315).

8(3710) ბაირონის გმირები... ისეთი აგებულებისანი არიან, რომ თავის ტანჯვების წვაში, ეჭვის ღრღვნაში, თავის სულის წყურვილში ჰხედავენ უკვდავების ღირსს ცხოვრებასა, ისინი არ შეეკედლებიან მონასტრის კედლებსა მოსასვენებლად, იმათ სულ მოძრაობა უნდათ; ისინი არ მირბიან გულის გაუთავებელ წყლულთა მოსარჩენად კაცთან, არამედ თავიანთავე გულის სიღრმეში და სულის უკვდავებაში ეძებენ ხასოწარკვეთილების წამალსა. (III, 10).

9(3711). ბალღური. ანუ უკეთ ვსთქვათ, ქუჩური კრიტიკა... იმაში მდგომარეობს, რომ წუნი დასდო იმასაც-კი, რაც დასაწუნარი არ არის და საცა „ჰოა“ სათქმელი, იქაც „არა“ სთქვა, და ამისათვის თუნდ ლოღიკა გაიწიროს, თუნდა ჭეშმარიტება გაითელოს, თუნდ მართლმსაჯულება გაილახოს, ბევრს არაფერს დაგიდევს. ეს არის ქუჩური კრიტიკა... ხოლო არის სხვა კრიტიკა, რომელსაც მეცნიერული კრიტიკა ჰქვიან. იგი „ჰოს“ სათქმელსაც და „არას“ სათქმელსაც ერთნაირის სიფრთხილით, ერთნაირის აწონ-დაწონვით ეპყრობა. იგი იმითია ღირსეული. რომ „ჰოს“ საბუთსაც ისეთისაეე გულმოდგინებით იძიებს, როგორც „არას“ საბუთსა, რადგანაც სახეში მარტო მართალი აქვს და სხვა არარა. ამისთანა კრიტიკა მართლმოყვარე გამოჰძიებელია და მართლგამკითხავი სასწორი: თუნდ რომ „ჰოს“ გზით შეუდგეს თავის საქმეს, თუნდ „არას“ გზით, ორმავე გზამ მართალთან უნდა მიიყვანოს. ამიტომაც კრიტიკა ერთს გზასაცა ჰხმარობს და მეორესაც, იმისდა მიხედვით, თუ — რა საქმეში რომელი უფრო უტყუარად და ადვილად აპოვნინებს მართალს. (IV, 80).

10(3712). ბევრგან იმის („ვეფხისტყაოსნის“ — რედ.) სიტყვები გაჭირვებაში გულს მოგფხანენ, ჭირს გაგიადვილებენ, გულს და გონებას გაგიწვრთნიან და სიკეთისათვის წაგაბალისებენ. (II,62).

11(3713). ბოროტი ჭირი (იგულისხმება ცილისწამება, ღალატი, ადამიანის პიროვნულ ღირსებათა შელახვა — რედ.) ასე თუ ისე ადვილად მოსანელებელია, ადვილად სახდელია, როცა შინაობაში, ერთმანეროობაში ცალკე კერძო კაცი მოგვივლენს ხოლმე.

სულ სხვაა და დიდი და მეტისმეტი უბედურებაა, როცა ეს ბოროტი, ეს ჭირი გზას გაიხსნის, მოედანს მოიპოვებს იქ, სადაც თქმა და ქმნა ერთი უნდა იყოს, სადაც ჭეშმარიტება უნდა ჭეშმარიტობდეს, მართალი ჰმართლობდეს, კეთილი კეთილობდეს და პატიოსნება პატიოსნებდეს, სადაც ხმა ერისაა და მაშასადამე ღვთისაცა. ამისთანა „წმიდა წმიდათა“ ლიტერატურაა, საცა ჭკვათაგყოფელი, უკეთესი, თავანკარა ნაწილი ერისა უნდა მეტყველებდეს აშკარად, უფერუმარილოდ, უტყუილოდ და უხვანჯოდ. (VIII, 265).

12(3714). გაბიაბრუება, გაუპატიურება ვისიმე საკადრისი არ არის არც ცალკე კაცისაგან, არც ლიტერატურისაგან, რომელიც მართებულობის და რიგიანობის მაგალითი უნდა იყოს, და თუ ან ერთი აკლია, ან მეორე, ღირსი არ არის წმინდა სახელი ლიტერატურისა ატაროს. (VIII, 253).

13(3715). გადმომკეთებელი უფრო თვითმომქმედია, ვიდრე მთარგმნელი, რომელიც, რაც უნდა ვსთქვათ, მაინც ცოტად თუ ბევრად მონაა მისი, ვისაც სთარგმნის. გადმომკეთებელს კი შეუძლიან თავი

მოიწონოს იმით, რომ ქარგა სხვისაა, იქნება ფერადიც სხვისა იყოს, შაგრამ სახე კი ჩემია და ჩემი ნაქსოვიო. ეს „ჩემი“ დიდი სამაცდურო რამ არის და ამით თუ აიხსნება იგი, რომ პირდაპირ ნათარგმნი ხშირად „გადმოკეთებულის“ სახელით აგვეტუზება ხოლმე თვალწინ. გადმოკეთებას უფრო დიდი აბრუ აქვს და ამ აბრუს დაკუთვნებაზედ ბევრი უსაბუთოდ ხელს იწვდის ხოლმე. (III, 126).

14(3716). გადმომკეთებელს უფრო დიდი საგზალი უნდა, უფრო მეტი ღონე სჭირია, უფრო მეტი ცოდნა, უფრო მეტი ნიჭი, ვიდრე მთარგმნელსა. გადმომკეთებელს ის ღონეც უნდა ჰქონდეს, რაც მთარგმნელსა, და ამას გარდა თვითმომქმედი ძალიც შემოქმედობისა იმიტომ, რომ საგნად აქვს იგი ხატი კი არა, რომელიც მზად გამოსაწულია პიესაში და რომელსაც მარტო გადაღება-ღა უნდა, არამედ იგი, რომელიც პიესაში არ არის და ახლად შექმნა სჭირია, რომ ჩვენის ცხოვრების ხატად გვეჩვენოს. (III, 125).

15(3717). განა რითმა რომ არ იყოს, პოეზიაც არ იქნება? (III, 21).

16(3718). განა ყველას მიჰმადლებია ნიჭი ლექსთა წერისა? („ივერია“, № 58, 1886,4).

17(3719). (განვითარებული, ზრდილი, მართებული და პატიოსანი ლიტერატურაა — რედ.) ... ყოვლადძლიერი ფარ-ხმალი... უანგარო მოსარჩლე და მფარველი ადამიანის ღირსებისა, უფლებისა და მოვალეობისა. (VIII, 243).

18(3720). დაუნდობელი სიმართლე კრიტიკისა გაგზავნის თაეისს დაუნდობელ ჯოჯოხეთში. („ყვარელი“, № 123, 1986,4).

19(3721). (დაუსაბუთებელი, ყოველგვარ ლოგიკურობას მოკლებული კრიტიკა — რედ.) უქმად დახარჯული ტყვია-წამალია. (VII, 386).

20(3722). დეე მაგ პირმშო, ძემან ჩემმან („გლახის ნაამბობმა“ — რედ.) ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილა. ვისაც არ მოეწონოს, გზა აუქციოს. (X, 43).

21(3723). დიდება რუსულის ლიტერატურისა სხვის დამცირებასა და ზიზღით ხსენებაზედ არ არის დამყარებული. (VIII,236).

22(3724). დიდი ღირსება არის პოეტობა. (ილია ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 335).

23(3725). ... დიდს სარგებლობას მოუტანდა ჩვენს სიტყვიერებას ხალხური ანდაზების, გამოცანების და ლექსების შეკრება, სოფელში გაგონილი ლეგენდების, ისტორიული ადგილების აღწერა... („დროება“, № 21, 1883,1).

24(3726). დრამა უსათუოდ სულისა და გულის უდიდეს ძერაზე უნდა იყოს აგებული და აშენებული, და ეს უდიდესი ძერა სულისა და

გულის ერთად-ერთი საგანია დრამისა, ერთად-ერთი ბუნებაა მისი. ამით იცნობება იგი დრამად. სხვა წყარო არა აქვს და არც სხვა მიზეზი არსებობისა. სასურველია, ამ აუცილებელს მოთხოვნილებას დრამისას დაუკვირდნენ ისინიც, ვისაც დრამის დაწერა სურს და ამ მოთხოვნილებას შეუწონონ თავიანთი ძალ-ღონე, ვიდრე ხელში კალამს აიღებდნენ. (III, 187).

25(3727). დრამატურგი ისტორიკოსი ხომ არ არის, რომ ისტორია გვასწავლოს, ისტორიული ქრონიკა გვიწეროს. დეე თუნდ ამბავი, არაკი დრამისა თავის საკუთარის ფანტაზიით შეჰქმნას, ხოლო თუ სურს ისტორიული ღირსება მიანიჭოს თავის დრამას, უსათუოდ მოვალეა სული და გული ეპოქისა იმ ამბავში ჩანასკვოს, ჩაჰსახოს და დრაჰის სელაში გადაგვიხსნას, გადაგვიშალოს საგრძნობელად და დასანახავად. (III, 186).

26(3728). დრამის დამწერს წინ უნდა უძღოდეს დიდი ცოდნა ისტორიისა, დიდი გონება-გახსნილობა, დიდი განათლება, ღვთივმიმადლებულ ნიჭის გარდა და, ჩვენის ფიქრით, ამაოდ ირჯებიან ისინი, ვინც... დრამის დაწერას მოუმზადებლად და, მაშასადამე, კადნიერად ეტანებიან. (III, 186).

27(3729). დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი — თუნდ ნიჭიერიც-ვერა ჰბედავს ხელი შეჰმართოს. (III, 186).

28(3730). ერთად-ერთი სახსარი, ერთად-ერთი გზა ვამოძიებისა და მართლის კვლევისა კრიტიკაა. (IV, 80).

29(3731). ერთი უწმინდესი და უდიდესი მოვალეობა და საგანი ყოველ საზოგადოდ მომქმედ ძალისა საერთოდ და ლიტერატურისა ცალკედ — ის არის, რომ (ქვეყნის ცხოვრებისეულ სტრუქტურაში უკეთეს განწყობილებასა და თანაფარდობას — რედ.) ... მიაღწევინოს სახელმწიფოს, საზოგადოებას და ადამიანს, და ერთმანეთში თვითოეული მათგანი სრულის კუთვნილის უფლებით და მოვალეობით მოათავსოს. ამისათვის იღვწის და იბრძვის ყოველგან უკეთესი წარმომადგენელი ადამიანისა. (V,166).

30(3732). ერთობ დრამის შექმნა დიდად ძნელი რამ არის, იმიტომ, რომ დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა, სულისა და გულის დიდს ძვრაზეა ასაგებელი და ასაშენებელი. (III, 186).

31(3733). ერის წარმატება შეუძლებელია, თუ საკუთარი ლიტერატურა არა აქვს, რომლითაც სწავლა-განათლება ვრცელდება ამ ერში, რომლის შემწეობითაც ერი თავის-თავსაც ცნობილობს და სხვა ერსაც. („დროება", №203, 1882,1).

32(3734). ეს უნდა კარგად იცოდეთ, რომ ლიტერატორს სხვა-დასხვა მნიშვნელობა ექნება: აზრით, მიმართულებით და ენის წარმატე-

ბით; ესეც კარგად უნდა იცოდეთ, რომ ერთის ხალხის ლიტერატორს მეორე სხვა ხალხისთვის ერთი-და-იგივე მნიშვნელობა არა აქვს. (III,53-54).

33(3735). ეხლანდელი ჩვენებური კრიტიკა ან ღვარძლის ნთხევაა. იმის თავზე, ვინც ნიშანშია ამოღებული, ურარაოდ, უმიზეზოდ, დაუსაბუთებლად, ან ქების ხმაა და გუნდრუკთ კმევა ეგრეეე ურარაოდ, უმიზეზოდ, დაუსაბუთებლად. („ივერია", № 29,1898,2).

34(3736). (ვ. ორბელიანის ლექსი „იმედი" — რედ.) ერიერ უწარჩინებულესი მარგალიტია ქართულ პოეზიაში. (III, 240).

35(3737). ვერც ერთი ჟურნალი უკრიტიკოდ ვერ იცოცხლებს, კრიტიკა არის იმისი გზის მაჩვენებელი, იმისი წინა-მძღოლი, იმისი სინათლე და დამრიგებელი. იმან უნდა გამოარჩიოს ავი და კარგი ყოველის სიმართლით და დაანახოს ყველა ჟურნალის წამკითხველსა. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 305).

36(3738). „ვეფხის-ტყაოსანი" თუ არის უკედავი, არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავის შინაგან ღირსებაებით. (III,55).

37(3739). „ვეფხის-ტყაოსანი" უნდა მიგვაჩნდეს ჩვენ საუკეთესო ძეგლად ჩვენის წარსულის ცხოვრებისა, ჩვენის წარსულ ლიტერატურის და საერო ცხოვრების დიდებისა. („დროება", № 242,1880,1).

38(3740). ... „ვეფხის-ტყაოსანი", — ეს (არის — რედ.) უძირო მორეეი, ზღვა აზრისა და გრძნობისა. (III, 152; 1, გვ. XXXIII).

39(3741). ვიდრე კრიტიკას არ გაუმტყუნებია ავტორიტეტად ცნობილი კაცი, მის ავტორიტეტობას ვერავინ შეემუსრავს მარტო იმით, რომ დილიდამ საღამოდი და საღამოდამ დილამდე იძახოს... მე უგუნურობად მიმაჩნია ავტორიტეტს თაყვანი — ეცეო. (VI, 110).

40(3742). ვისაც არ ესმის, რა არის ლიტერატურა, ან ლიტერატორობა, იმას არ უნდა ესმოდეს ლიტერატორს რა შვენის და რა არა შვენის. (III,38).

41(3743). ვისაც წერა უნდა, ანბანი უთუოდ უნდა იცოდეს, მაგას თქმა არ უნდა. (III, 30-31).

42(3744). ვისრამიანი — ეს ყოველმხრივ შესანიშნავი განძია ქართულის ლიტერატურისა... ეს თხზულება ეკუთვნის დიდებულს დროს თამარ შეფისას, ამას ჰმოწმობს თვით ენის სიკეთე, სიცხოველე და კილო. დამწერად სარგის თმოგველს ამბობენ. თუმცა მტკიცე საბუთი ამისი (ჩვენდა სამწუხაროდ), ვერასგზით ვერსად ვიპოვეთ. ეს კი ცოტად თუ ბევრად საფიქრებელია, რომ ვისრამიანი ვეფხვის-ტყაოსანზედ ადრეა დაწერილი, იმიტომ, რომ რუსთაველი რამდენსამე ადგილას თვის (პოემაში) იხსენიებს ვისრამიანის გმირთა: ვისსა და რამინსა, და იმათი ერთმანეთის სიყვარული და ტრფიალება მაგალითებსაკით მოჰყავს. (III, 474).

43(3745). ვურჩევთ ქართულს ლიტერატურას თავის დღეში არც ერთი და არც მეორე (არც უსაბუთო ქება და არც უსაბუთო ძაგება—რედ.) არ შეიწყნაროს, რაც უნდა პტყელი სახელი კრიტიკისა, თუ რეცენზიისა, დაარქვან უსაბუთო ქცევასა. (VIII, 240).

44(3746). ზოგადი კუთვნილება ჭეშმარიტის ლიტერატურისა გულწრფელობაა, უბოროტო განზრახვაა, სინდისიანობაა, პირმოუფერებლობაა და იმა გრძნობის და რწმენის გამომეტყველებაა, რომელიც სულსა და გულში ნამდვილად ჩაგსახვია, ნამდვილად გამოგკვანძია, შენის სულიერის ღონის შეძლებისამებრ გაგიზრდია, გაგიწურთვნია. (III, 263).

45(3747). ზოგადი სახე ადამიანისა. რამოდენადაც... უფრო წერილზედ დახურლავებული იქნება, მაგალითებრ, ზოგადი — კაცი რომელისამე ერის კაცად, ერის კაცი რომელისამე თემის კაცად, თემის კაცი რომელისამე გვარეულობის კაცად, გვარეულობის კაცი ოჯახის კაცად, ოჯახის კაცი ივანედ, ფრიდონად და მებრვე სხვა, — იმოდენად შემოქმედობა მწერლისა მაღლიდან დაბლა ჩამოდის, იმოდენად მწერალი ნიჭნაკლებია და დაქვეითებული. (III, 174).

46(3748). ზოგიერთი კრიტიკოსი. რა განარჩევს ცუდს და კარგსა, სასწორს დაუთმობს ხოლმე თითონ მკითხველს, ზოგიერთიც თითონვე ასწონავს ხოლმე. (III, 34).

47(3749). ზღაპარი, არაკი, იგავი მხოლოდ მაშინ აიყოლიებს ხოლმე გატაცებით ადამიანის გულის-ყურს, როცა გამცნობთ რასმე საჭკუოს და საზნეოს მართალს, რომელიც ისე შიშველად, ხორცშეუსხმელად, უსახოდ, უსურათოდ, უფერადოდ ყველასათვის ადვილად დასანახი არ არი... სწორედ ამიტომ ზღაპარი, არაკი, იგავი ერთსა და იმავე დროს სიბრძნეც არის და სიცრუეც. სიბრძნე სულით. სიცრუე ხორცით. აქ სიცრუე ხატებაა, განსახოვნებაა სიბრძნისა. (III, 408).

48(3750). თავის თავის პატივისმცემელი ლიტერატურა მოვალეა ჰპატრონობდეს ადამიანის ნამუსს და ღირსებას და კაცი არავის გაალახვინოს ცილითა და ტყუილითა, რადგანაც ერთიცა და მეორეც ყურმოჭრილი ყმანი და მოსამსახურენი არიან მარტო პირადის ანგარიშებისა. (VIII, 262-263).

49(3751). თვითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილია, თვითოეულს ჩვენგანს მის გამონარკვევებზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია. (IV, 369; VIII, 332).

50(3752). თუ ზღაპარს. არაკს. იგავს აზრი არა აქვს, უგემურია.. უმარილოა. (III, 408).

51(3753). თუ საჭიროა ჩვენთვის რუსეთის ცხოვრების გაცნობა, საჭიროა იმავე საბუთით იმ ლიტერატურის გაცნობაც, რომელიც დასტრიალებს მას და სულს უდგება. (III, 267).

52(3754). თუ უარმყოფელობის სახელ-ქვეშ კრიტიკა ეგულებათ, მაშინ მარტო ეს-ღა გვეთქმის ჩვენს შინაურ უარმყოფელობაზედ: ღმერთო, შეუნდე, რამე თუ არ იციან რას იქმან, და სწორედ შეუანდობარნიც არიან, იმიტომ, რომ არ-ცოდნა არ-ცოდვაა. (III, 304).

53(3755). თქვენი ჭირიმე, ლექსს ნუ წაახდენთ. (X, 87).

54(3756). თქმა არ უნდა, რაკი ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ლიტერატურა და მწერლობა... ჩვენი ლიტერატურული მართებულობა და ზრდილობა იმ სიმაღლეზე დადგება, რომ მწერალი ქურდულად ადამიანს ძის სახლში, ოჯახში არ შეეპაროს, ჯაშუშსავით ბოძს უკან არ აეტუზოს, აცა იქნება მიზეზი რამ მამეცეს, სამარცხვინო ბოძზედ გავაკრა და თავზედ ლაფი დავასხაო; საცა თვითოეული ჩვენგანი ცალკე და ყოველნი

ტურას და მწერლობას ერთის მხრით და მეორის მხრით თვით საზოგადოებას, რომელიც ყოველის მწერალისაგან ითხოვს ყველაზედ უწინარეს იმას, რომ გრძნობა ადამიანის ღირსებისა ცნობილი ჰქონდეს და პატივსაცემლად აღიარებული. (VIII, 247).

58(3760). იმ სიტყვას, რომელიც გულიდამ ამოიძახება პირდაპირ, მეორე გულამდინ შუამავალი არ უნდა! ამაშია ის გაუგებარი და საოცარი ძალა და ნაპერწკალი სამლვთო პოეზიისა. (II,526).

59(3761). იმისათვის, რომ ცოტად თუ ბევრად გამონათლდეს კაცის თვალ-წინ პოეტის სულიერი მხარე, სათავე და მიზეზი ეპოვოს მის ჩანგის სიმთა ძერას, სულთა სწრაფვას, გულთა ძგერას, ძარღვის ცემას, მის ჭირსა და ლხინს, მის გზას და მიმართულებას, — არა ნაკლებ სამსახურს გაუწევს ივი პოეტის გარე ცხოვრების ავ-კარგიანობა, რომელთა შორის დიდი ადგილი უჭირავს საზოგადო ყოფა-ცხოვრებას, ჟამთა-ვითარებას, ჭირ-ბორიტს ქვეყნისას, პოეტის ოჯახს, პოეტის მახლობლობას და ნაცნობობას. (III, 234-235).

60(3762). ის მწერლობა უქმი და მკედრად შობილია, რომელსაც საძირკვლად საკუთარის ვითარების შესწავლა არ დაუდვია. (III, 312).

61(3763). ის უადამიანობა, ის ავყიაობა, ის უმართებულობა, უზრდელობა, უწვრთნელობა, რომელიც ესეთის თავმოწონებით ფარფაშებს საქვეყნოდ ლიტერატურის სახელთა, — ერთი იმისთანა საზოგადო სენია მწერლობისა, რომ ყოველი პატიოსანი მწერალი, თუ წევრი საზოგადოებისა, უნდა ცდილობდეს წამალი რამ უპოვოს ძირიანად აღმოფხვრისათვის. (VIII, 249).

62(3764). ისწავლეთ ქართული ენა და მწერლობა, გამოირკვიეთ საკუთარი ვითარება, თორემ უამისოდ მწერლობის წარმატება ყოვლად მოუხერხებელი და შეუძლებელიაო. (III, 312).

63(3765). (იქ, საცა — რედ.) ... კრიტიკის თვალს თავისუფალი სარბიელი აქვს... მოგებაშია მარტო საზოგადოება, რომელიც კრიტიკის შემწეობით მართალსა ჰხედავს... („ივერია", № 37, 1889. 1).

64(3766). (კარგი თარგმანი — რედ.) რომ არ ვაქო, ცოდვა იქნება. (X,332).

65(3767). კერძო ცხოვრება და თავგადასავალი პოეტისა ამხსნელია და გამომრკვეველი მისის პოეზიისა. (III, 234).

66(3768). „კრიტიკა" არის განხილვაც. განჩხრეკაც. გარკვევაც. გარჩევაც და დაფასებაც ერთად. (III,34).

67(3769). (კრიტიკა არის — რედ.) შეილი თვითმსჯელობისა. (III, 157).

68(3770). კრიტიკა ბუნებითად ისეთი რამ არის, რომ ერთსა და იმავე დროს ერთისა და იმავე საგნის კვლევაში ჰოსაც და არასაც ამოქმედებს მართლის გამოსარკვევად და გამო-

სარჩენად. იგი ნებას არ იძლევა, რომ ან ერთმა და ან მეორემ ცალკე გაიწიოს და ცალ-კერძ სტიმოს ჭაპანი ძიებისა და კვლევისა. (III, 302).

69(3771). კრიტიკა და ლანძღვა ძალიან შორის-შორ არიან ერთმანეთზედა თავისი მნიშვნელობითა. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV,304).

70(3772). „კრიტიკა"... ეგ სიტყვა ეხლა მთელ კაცობრიობას ეკუთვნის და ყოველი ხალხი, ცოტაოდენად განათლებული, ხმარობს თავის ენაში; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ეგ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს. (III, 34).

71(3773). (კრიტიკა — რედ.) ერთსა და იმავეე დროს „პო"-საც და „არა"-საც ერთნაირად და მიუდგომელად ამოქმედებს და როგორც ტალსა და კვესსა ერთმანეთს ახვედრებს ჭეშმარიტების დასაკვესებლად. (III, 304).

72(3274). კრიტიკა ნურას დროს ნუ გვონიათ ლანძღვა, ნურცა გგონიათ დაცინება; ის არის დარიგება, შეცდომილების ცხადად ჩვენება, ბუნდიანი საქმისა გამორკვევით და ნათლად ჩვენება. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 304).

73(3775). კრიტიკა სწორედ სანათურია ლიტერატურისა, იგი სწორედ სამტკიცია, რომელიც ფქვილს არჩევს ქატოსაგან.

რამდენადაც ამ უწმინდაესს დანიშნულობაზე ახლოა კრიტიკა, იმდენად იგი დიდს სამსახურს უწევს მკითხველს საზოგადოებას და თვით ავტორებს, რომელთა შორის იგი მოციქულიც არის და ხელთმძღვანელიც ერთსა და იმავე დროს. („ივერია", (№29, 1898, 2).

74(3776). კრიტიკა ციდამ ვერ ჩამოვარდება მანანასავით. რაც გინდ ხელები ბევრი ვიშვიროთ ცისკენ. მისი მშობელი და გამჩენელი თვით საზოგადოებაა და იგივეა მისი მზრდელი და ძუძუ-მწოებელი. („ივერია", № 29, 1898,2).

75(3777). კრიტიკამ რომ თავი იჩინოს, კრიტიკა რომ აღმოცენდეს და თავისი სანატრელი ფრთა გაშალოს, ამისათვის საკმაო არ არის მარტო ერთი სურვილი. კრიტიკა ერთი დიდი საფეხურია ზე-აღსავლისა კაცთა საზოგადოების წარმატების გზაზედ. კრიტიკა საზოგადოების გონებითის ასაკის საქმეა. როგორც ბავშს ვერ მოეთხოვება წვერ-ულვაში ჰქონდეს, ისეც საზოგადოებას კრიტიკა, თუ გონების უასაკობით ხსენებულ ზე აღსავალის საფეხურამდე არ მიუღწეია. („ივერია", № 29, 1898,2).

76(3778)... კრიტიკის უქონლობა ჩვენის ლიტერატურის უშინაარსობას კი არ უნდა დაჰბრალდეს, არამედ ჩვენს ქონდრის-კაცობას, რომელიც იმოდენად უძლურია, იმოდენად ულონოა, რომ ვერც ჩვენის

ლიტერატურის სიღრმისათვის გონების თვალი ჩაუწვდენია და ვერც ჩვენის პოეზიის სიმაღლისათვის თვალი გაუსწორებია. (III, 153).

77(3779). კრიტიკოსი არის გამრჩევი თხზულებისა, კრიტიკოსი არის ცხადად მაჩვენებელი ავისა და კარგისა თხზულებაში, ან ყოველივე მოქმედებაში, ის არის დამრიკებელი და მსაჯული. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV,305).

78(3780). კრიტიკოსი არის... მსაჯული, მაშასადამე, იმან არ უნდა დაფაროს არა-რაიმე სიმართლე მთხზველისა და შეცდომილება, და მაშასადამე, უსამართლოდ არ უნდა მიუდგეს მტყუანსა და მართალი დასჩაგროს. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 306-307).

79(3781). კრიტიკოსი ნიჭითა და სწავლით უნდა უთუოდ უმაღლესი იყვეს ავტორზე, თორემა რა დარიგება შეუძლიან. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 307).

80(3782). კრიტიკოსიც ადამიანია, იმას უნდა ქვეყანაში ტკბილად, სიამოვნებით ცხოვრება და განა უნდა გიკვირდეს, რომ ამ ტკბილისა და მშვიდობიანის ცხოვრების წყურვილმა ძლიოს იმ ჯვართა-ცემას, რომელიც მოელის ჩვენში კრიტიკოსსა, იმ საწამლავს, რომელიც დაშხამავს ყოველ წუთს მისის სიცოცხლისას.

ყოველივე ეს არის ჩვენში, იმიტომ — რომ სხვის აზრის შეწყნარებამდე ჯერ არ აღვზრდილვართ. („ივერია", № 29, 1898,2).

81(3783). (კრიტიკულად ვანსჯის გარეშე — რედ.) ყოველივე ზედმოქმედება — ავია თუ კარგი — არაფრის კეთილის მომასწავებელი არ არის. პირიქით ოგი აძინებს, ჰკლავს მსჯელობის უნარსა, ყოველს მჭრელობასა და გამჭრიახობას გონებისას სჩაგრავს და აბათილებს. (IV,370).

82(3784). (ლექსების წერა — რედ.) მადლია ღვთისა, რომელსაც პოეზიას ეძახიან. („ქუთაისი", № 4, 1969,3).

83(3785). ლექსი განა მარტო იმით არის ლექსი, რომ სტრიქონების ბოლოები ერთმანერთთან შეფერებულია. („ივერია", № 249, 1886,4).

84(3786). ლექსი იმით არ ლექსობს, რომ სიტყვების ბოლოები ერთმანეთისათვის შეუწყვიათ. (III,90).

85(3787). ლექსი პოეზიის შვილია. (III, 90).

86(3788). ლექსის წერა ჟინით არ იქნება. („ივერია", № 6, 1878, 16).

87(3789). (ლირიკა — რედ.) უფრო თითონ მწერლის გულთა წვა-დაგვას, ჭირსა და ლხინს გვიგალობს, ვიდრე მოაზრე ცხოვრების აზრთა სვლას და წარმატებას. (III,207).

88(3790). ლიტერატორები საზოგადოდ უნდა ჰპატრონობდენ იმ უფლებას, რომელსაც საზოგადოებრივი უფლება ჰქვიან. ეს არის ერთი უმთავრესი მოვალეობა მწერლობისა და მწერლებისა, ნამეტნავად იქ, საცა საზოგადოებრივი უფლება ვრცლად არ არის აღიარებული და მიჩნეული და საცა ყოველივე ბიჯი ამ უფლებისა დაუყოვნებელის და დაუძინარის მხნეობით ჯერ კიდევ მოსაპოვებელია. (V,161).

89(3791). ლიტერატურა, ვრცლად რო გავსინჯოთ. ნიშნავს, ყოველფერს, რაც კი რამ არის დაწერილი. იგი განიყოფება ორ დიდ ნაწილად: 1) წმინდა ლიტერატურა, ანუ ბელლეტრისტიკა, ანუ კიდევ როგორც ჩვენა ვბედავთ თარგმნასა. საუცხოო ლიტერატურა. ამ ნაწილს ეკუთვნიან წერილნი ხელოვნებისანი; 2) სამეცნიერო ლიტერატურა; ამას ეკუთვნის ყოველი წერილი მეცნიერებისა, არის კიდევ ერთგვარი ლიტერატურა, რომელიც უფრო ადვილად ასრულებს ზემოდთქმულს შუამავლობასა, — მაგგვარ ლიტერატურას ჰქვიან „ადვილი ლიტერატურა", იმიტომ რომ იგი დანიშნულია მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო, რამოდენადაც შეიძლება, გააადვილოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა საყოველთაო მოსახმარებლად, მეცნიერების და ხელოვნების ძნელი მისახვედრი ცნობაები გაამარტივოს, გაადვილოს საყოველთაო გასაგებად, და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცნობაები ხალხშია. ამგვარ ლიტერატურას ეკუთვნის ჟურნალიცა... (III,467-468).

90(3792). ლიტერატურა თავის საგანს ადამიანთა ცხოვრებიდამ იღებს და იმოდენადაც ქებულია, რამდენადაც ახლოა ამ ცხოვრებასთან... (VIII, 235).

91(3793). ლიტერატურა თავისის ფართო მნიშვნელობით, გონების ნაჭირნახულევი ხვავია, საცა წმინდა ხორბალიც არის და ბალახბულახის თესლიცა. (III, 152).

92(3794). ლიტერატურა... როგორც მოღვაწეობა უკეთესთა კაცთა, ერთად-ერთი ფარ-ხმალი უნდა იყოს ადამიანისა, როცა მის ღირსებას ულირსად, უკადრისად ხელს შეახებენ ხოლმე და მისს ზნეობურს კუთვნილებას სტაცებენ. ლიტერატურის მრავალგვარ და რთულ მოვალეობათა შორის ეს მოვალეობა ერთი უდიდესთაგანია. (VIII, 263).

93(3795). ლიტერატურა, რომელსაც მადლი ცხოველმყოფელობისა სძრავს და ამოქმედებს, ერთი განუწყვეტელი გრეხილია აზრთა ზედმიყოლებით განვითარებისა და წარმატებისა. ამისთანაა რუსული ლიტერატურაცა. (IV,370; VIII, 333).

94(3796). ლიტერატურა ყოველის კაცის პატრონი უნდა იყოს და მფარველი, ნამეტნავად იქ, საცა ეგ პატრონობა და მფარველობა სხვა ეზით არ არსებობს. (VIII, 263).

95(3797). ლიტერატურა — ხალხის ჭკვა. ხალხის გონება. გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია. (III, 37).

96(3798). (ლიტერატურაა — რედ.) ადამიანის ჭკუისა და ზნეობის საგანძე. (VIII, 8).

97(3799). ლიტერატურას ასაზრდოებს საზოგადოება. (III, 84).

98(3800). ლიტერატურას მთელს ერთანა აქვს საქმე. მთელს ქვეყანასთან. (III, 264)

99(3801). ლიტერატურას შეპყაეს წარმატებაში ენა. (III, 446).

100(3802). ლიტერატურის განზრახვაც ის არის, რომ ერთგვარი ენა შესდგეს, არა მრავალშტოიანი. (III, 446).

101(3803). (ლიტერატურისათვის კრიტიკის უქონლობა — რედ.) დიდი და ფრიად დიდი დანაკლისია. (III, 152).

102(3804). ლიტერატურული მოღვაწეობა ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ დღე-ბუდამ უკან დევნა უნდა, დღე-ბუდამ მის სფერაში ტრიალი, დღე-ბუდამ ფიქრსა და ტვინის — მოძრაობაში უნდა იყოს მისი მიმდევარი კაცი. ამისთანა გარემოება აიძულებს კაცს მთლად ამ მოღვაწეობაზედ იყოს გადაგებული, გადადებული და მაშინ იგი მოიმოქმედებს მას, რის შემძლეც არის თავისის ნიჭითა და მომზადებულობითა. (III, 83-84).

103(3805). მართალია რეცენზენტს ავისა და კარგის საწყაოდ სხვათა შორის თავისი საკუთარი გრძნობა აქვს, მაგრამ რამოდენადაც ეგ გრძნობა აქვს გაწვრთნილი, რომ ზოგადს გრძნობას კაცობრიობისას ასწვდეს და არ უმტყუნოს, იმდენად იგი ახლოა მართალსა და ჭეშმარიტებაზედ და იმოდენად მორჩილია ამ მართალისა და ჭეშმარიტებისა და არა თავისუფალი. (III, 110).

104(3806). მართალია, როცა ეგ მოთხრობა („კაცია-ადამიანი" — რედ.) გავათავე, მინდოდა ცალკე წინასიტყვაობაც დამეჯღაბნა, მაგრამ როცა გადავიკითხე, გამოჩნდა, რომ რაც წინასიტყვაობაში მინდოდა მეთქვა, სულ ყოველისფერი შიგ მოთხრობას აჩნდა ჩემდაუნებურად. (X, 27).

105(3807). მარტო ეგ სფერაა (საზოგადოების შინაური საქმეები — რედ.) იგი სარბიელი, საცა ღირსეული, თავისის-თავის პატივცემული ლიტერატურა და ლიტერატურის მოღვაწე ხან თავის ფარს ხმლად უნდა აქცევდეს და ხან ხმალს ფარად. (VIII, 245).

106(3808). მე მგონია, რომ თვით სიტყვა „არაკი" წარმომდგარია „არა-კი იყოდამ" („იყო და არა-კი იყო" — რედ.), მხოლოდ შემოკლებულია. (III, 407).

107(3809). მე (პოეტს — რედ.) ცა მნიშნავს და ერი მზრდის.
მიწიერი ზეციერსა;

ღმერთთან მისთვის ელაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა. (I, 61).

108(3810). („მერანის" — რედ.) ჭენებას მართლა რომ ბუნებით საზღვარი არა აქვს, ვითარცა ჭკუა-გონების ქროლას. (III, 215).

109(3811). მეც იმიტომ ესე პირდაპირ ელაპარაკობ, რომ ვინც წინდაუზედავად ბლაჯნის, აღარა ბლაჯნოს; რადგანაც იგინი თავის ბლაჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენას. მე იმისთვის ელაპარაკობ ეგრე სასტიკად, პირმოუფერებლად, რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც თავის ოთახიდგან ფეხს ნუ გამოდგამენ გარეთ, ლიტერატურაში; ამას ვთხოვთ ხალხის სახელითა, ხალხისაეე სახელის დაცვისათვის!.. (III, 37).

110(3812). მთარგმნელს უნდა ჰქონდეს შემდგომი ღირსება: პირველად, იმან უნდა იცოდეს ზედმიწევნით ორი ენა; ერთი ისე, რომლიდანაცა თარგმნის, და მეორე ისა, რომელზედაც თარგმნის; მეორედ, უნდა ჰქონდეს გაწმენდილი გემო და განათლებული გონება. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV,322-323).

111(3813). მინამ კაცი, თუნდ კარგად მომზადებული, კრიტიკას ხელს მიჰყოფს, ჯერ თავზედ უნდა ხელი აიღოს, ჯვარ-საცმელად თავი დასდოს, სალაყბოდ და გასაუპატიურებლად გახდეს, ჭუჭყისა და ჩირქის მოცხებას არ შეუშინდეს, ნაცნობები და მეგობრები გადაიკიდოს, გამოესალმოს მშვიდობიანს ცხოვრებას, მოიწამლოს თავისის სიცოცხლის დღენი, ერთი სასიამოვნო დღე არ ჰნახოს და ყოველ ამ უბედურების წინაშე არ შედრკეს. ძნელია კაცმა ამოდენა დიდ სულოვნობა და გულოვნობა იქონიოს, თუმცა — კი დიდად სანატრელია. („ივერია", № 29, 1898, 2).

112(3814). ბრავალ სალიტერატურო საგნებში გზის გაგნება, კარგისა და ავის გარჩევა, ღვარძლის დაგლეჯა, მარგვლა ხორბლის გაძლიერებისათვის, ადვილი საქმე არ არის. ამას ნიჭიც უნდა და დიდი ცოდნაც და ამასთან მაღალ-ზნეობაც, რომ მიდგომით, თვალ-ღებით მართალს არ უმტყუნოს და ტყუილს გზა არ მისცეს. („ივერია", № 29,1898,2).

113(3815). მუსიკა... (ჰშველის — რედ.) პოეზიასა, პოეზია — მუსიკასა. (III, 459).

114(3816). მწერალი მასწავლებელი უნდა იყოს სხვისა... („ქუთაისი", № 4, 1969,3).

115(3817). მწერალიც... იგივე ექიმია.* (IV. 58).

---

* ი. ჭავჭავაძის რჩ. ნაწარმოებების (ხუთ ტომად) მე-5 ტომში (იხ.: თბ., 1987, გვ. 193), სიტყვა „ექიმია"-ს მაგივრად არის „ექიმი", რაც შეცდომაა. (რედ.)

116(3818). მწერალს აქვს უფლება თქვას ისრე. როგორც მოსწონს, როგორც ეხერხება, კრიტიკოსსა — შენიშნოს, და ხალხსა—მიიღოს მწერლის ნათქვამი: ხოლოდ ეს უფლება ხალხს ეკუთვნის. (III,49).

117(3819). მწერალს დამოუკიდებლობა უნდა, მწერალს თავისი ჯერ სულ მას უნდა ეკუთვნოდეს. სხვისი არ ვიცი და მე კი ესეთის აგებულებისა ვარ. (X,37).

118(3820). მწერალს თავის ხალხისათვის ექმნება მნიშვნელობა: აზრით, მიმართულებით, ენის წარმატებით და მოქმედებით... სხვა, უცხო ხალხისათვის კი მარტო თავის მიმართულებით. (III,54).

119(3821). მწერალს ჩაილულის წყლისაგან ვერც ნიჭი იხსნის, ვერც სხარტული და მოსწრებული სიტყვა-პასუხი, თუ... გრძნობა ადამიანის ღირსებისა მისდა ჯეროვანს სიმაღლეზედ არა ჰყავს დაყენებული ყოველგან და ყოველს შემთხვევაში. თუ გინდათ, რომ ღირსება თითონ მწერლისა შეიტყოთ, ჩაუკვირდით — ეგ გრძნობა ადამიანის ღირსებისა რამოდენად ვრცლად და რამოდენად სამართლიანადა აქვს გაგებული და რწმენად მიღებული. თუ არ მხოლობითი, ერთი უმთავრესი საწყაო მაინც მწერლის ღირსებისა ეგ არის, ჩვენის ფიქრით. მაგით აუწყევით ხოლმე ნაღვაწევი და მაშინ შეიტყობთ, რა წითელი კოჭია ზოგიერთი, ეგრეთწოდებული ლიტერატორი. (VIII, 247).

120(3822). მწერლობა განა მუშტი-კრივია, რომ ბევრი ცოტას სჯობნიდეს?.. მწერლობაში — ვინ ბევრია და ვინ ცოტა — რა სათქმელია? გინდ ბევრი იყოს, ვინდ ცოტა, საქმე ის არის, — შიგ რა ჰყრია. („ივერია", № 269,1897,2).

121(3823). მწერლობა იმისთანა საქმეა, საცა ტყუილსა და ჭორს ადგილი არ უნდა ჰქონდეს... „ვისაც ყურნი ესხმენ სმენად, ისმინონ!"* (VIII, 165-166).

122(3824). მწერლობა.. ჭკუის პროფესიაა. („ივერია", №37, 1889, 2).

123(3825). მწერლობა პზრდის და ინახავს ენასა. III, 206);

124(3826). მწერლობას არ შეჰფერის საქმე განსაჯოს და განიკითხოს მარტო იმით, რასაც ამბობს და ჭლაპარაკობს ას თუ ათასენოვანი მითქმა-მოთქმა. (VII,442).

125(3827) მწერლობასა და ლიტერატურას ივანე და პეტრე — კი არა ჰყავს სახეში, — მთელი კრებული, მთელი საზოგადოება, მთელი ქვეყანა და მისი ავი და კარგი აქვს, ანუ უნდა ჰქონდეს გათვალისწინე-

* შდრ.: „რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!" (იხ.: „წმინდა სახარება და საქმე მოციქულთა", ტფ., 1879, ეკ. 24, 26. 43 52. 69, 10). (რედ.).

ბული და ყოვლის ძალით და ღონით საერთო კეთილს ესარჩლებოდეს, ხოლო ბოროტს ებრძოდეს, უმკლავდებოდეს. („ივერია", № 138, 1893,1).

126(3828). (მწერლობაში — რედ.) ... ნიჭს, ცოდნას, გამოცდილებას. გამჭრიახობას, გულ-დადებას პირველი ადგილი უჭირავს. („ივერია", № 37,1889,2).

127(3829). ნამუსის შებღალვა. ნამუსის ახდა, კაცის სახელის გატეხა ისეთი დიდი უბედურებაა, რომ თუ არ ზედმიწევნით გამორკვეულ, უტყუარ საბუთით, ლიტერატურამ სხვა გზით ამაებში არავის არ უნდა დაუთმოს ერთის იოტის ოდენაცა. (VIII, 263).

128(3830). ნეტაი ლექსმა ივარგოს. თორემ სახელი რა საჭიროა. (X,25).

129(3831). ნიჭი პოეტობისა, მადლია ღვთისა და ადამიანის ხელთ არ არის მიპმადლოს იგი მას, ვისაც არ მიპმადლებია. („ივერია, № 28,1886,4).

130(3832). ნიჭიერი მწერალიც იმისთვის არის სასარგებლო ენისათვის, რომ თავის თხზულებაში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს ხოლმე. (III, 43).

131(3833). პოეზია არის ნაწილი ხელოვნებისა და თვით პოეტი მოგეი, მწირველი, მსახური მისი. („ლიტერატურის მატიანე", წიგ. 1-2, თბ., 1940, გვ. 487; საქართველოს გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი № 11660, ფურც. 174[4].).

132(3834). პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა. ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმულ რითმებისა. (III, 22).

133(3835). პოეზია, და მეტადრე სახალხო პოეზია, თქვენც მოგეხსენებათ, უფრო ფანტაზიის ნაყოფია და ფანტაზია კიდეე მაგრე-რიგად არ ეწყობა და არ ემორჩილება ზნეობით კანონის მოთხოვნილებას. (IV, 193).

134(3836). პოეზია ლობიო-შეჭამანდის ქოთანი ხომ არ არის, რომ ლობიო გასვლიპოს! (III, 335).

135(3837). პოეზია მადლია, ნიჭია, მაგრამ იგი დიდი ტვირთიც არის. (III, 251).

136(3838). პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა. მადლია. მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, — რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს.

ამ მადლს, ამ ტვირთს, დიდი ძალ-ღონე უნდა სულისა და ხორცისა. (III, 250).

137(3839). (პოეზია — რედ.) პირდაპირ გულიდამ ამოსული. ყოველთვის გაეგება ყოველ კერძს უფლისაა. (II, 526).

138(3840). პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილ კაცია. (III, 91).

139(3841). პოეზია ღვთაებური ღონეა, გულის სიღრმიდამ ადამიანის გრძნობათა მარეალიტების ამომტანელი, მხატვარია ცხოველმყოფელი და ხორცთშესხმული უსხეულო აზრისა, ფიქრისა, გრძნობისა, ერთის სიტყვით ადამიანის და მსოფლიოს სულის მოძრაობისა. ეს მსოფლიო სული — ზღვაა უძირო, არაც თუ თვალ, ფიქრ-მიუწვდომელია. ამ ზღვისათვის კაცი გემია, ნიჭი — აფრა და მეცნიერება — საჭე, ვეშის მიმმართველი. (III,91).

140(3842). პოეზიაში „გულსა გულის პასუხი ესმის".* (II, 526).

141(3843). (პოეზიის უცნაური მადლი და პოეტობის ნიჭი — რედ.) ... ბომ მადლია, მაგრამ ამასაც მოელა უნდა, უნდა პატრონობა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დავაჟკაცება, თუ ესე ითქმის. ეგ ისეთი აზიზი, მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება, თავისს სურნელებას ჰკარგავს, თუ მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე-მუდამ არა ჰფურჩქნის. (III,91).

142(3844). პოეტის სიტყვა იგი ხელთუქმნელი საგანძურია, საცა ერი ჰპოვებს ხოლმე თვისს უკეთესს ნააზრს და ნაგრძნობს, თვისს უკეთესს სულთა სწრაფვას, თვისს იმედს და სასოებას, თვის თავმოსაწონებელს გულთა-ძვრას, თვისს ჭირსა და ლხინსა, თვისის ენის და მეტყველების სიკეკლუცე-მშვენიერებას და ერთობ თვისს სულიერს საუნჯეს, იმ საუნჯეს, რომლითაც ერი ერობს, ადამიანი ადამიანობს. (V,344).

143(3845). (პოეტისა და პოეზიის ცნება უფერულდება, როცა — რედ.) ... ყოველი ლექსი წამკითხველსა პოეზია ჰგონია და დამწერს პოეტს ეძახის. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 335).

144(3846). პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს; ამ საფუძველით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო. (III, 45).

145(3847). („პოპულიარული ლიტერატურა" — რედ.) როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით, უფრო ადვილად უნდა ასრულებდეს... შუამავლობასა მეცნიერების და ცხოვრების შორის. (III, 64-65).

146(3848). რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ აგიხსნით, მთქმელიც ტყუილად მოსცდება და გამეონიცა. პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი. ჩვენ მხოლოდ მისი ზედმოქმედება ვიცით. ვიცით, რომ იკი გვატკბობს და გვსიამოვნებს ჭირსა და ლხინშიაც. ვიცით,

* სიტყვები ბარათაშვილისა.

რომ იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულის-თქმათა, ფიქრთა ნაღ-ველია, ლხინთა, ერთის სიტყვით, ხილულთა და არა ხილულთა, ვიცით, რომ მისგან მოხიბლულს კაცს „ავიწყდება საწუთროება", მის მიერ გატაცებული „გულის-თქმა კაცისა ცისა იქით ეძიებს სადგურს, ზენა არსთ სამყოფთ", როგორც ამბობს ჩვენი გამოჩენილი პოეტი ნ. ბა-რათაშვილი. ყოველივე ეს ვიცით, და თითონ პოეზია რა არის — ეს კი არავინ იცის. (III, 90-91).

147(3849). რა გამოვა იმ ჟურნალიდგანა, რომელსაც არა ჰყავს კარგი დამრიგებელი, კარგი კრიტიკოსი? (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 305).

148(3850). რაკი კაცი იცლის სხვა ენიდამ თხზულების გადმოღე-ბისა და გადმოკეთებისათვის, რაკი ამაზედ მიიხიდა მისი ხელისი და რაკი ამისათვის შრომა და ჯაფა იტვირთა, რატომ იმისთანა სათარ-გმნელს, თუ გადმოსაკეთებელს არა ჰკიდებს ხელს, რომელიც სულის მარგებელიც იყოს და ხორცისაც. აი რა გვაკვირვებს ჩვენ. (III, 117).

149(3851). რამოდენადაც მწერალის შემოქმედების ძალა სწვდე-ბა... ზოგადკაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა. (III, 168).

150(3852). რასაკვირველია... ზედმოქმედებამ რუსულის ლიტერა-ტურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარ-კვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გა-ატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამრიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის. (IV,369-370; VIII, 332).

151(3853). რასაკვირველია, მარტო პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საჭიროებაზედ და მის მოთხოვნი-ლებაზედ შეცდომა იქნება და ამ შეცდომას საზარელი შედეგი უნდა მოჰყვეს. თუ ამ შემთხვევაში შეცდომის თავიდამ აცილება გვსურს, პო-ეტურ შეხედულობის გარდა ხალხის სხვა შეხედულობას და მსჯელო-ბასაც ყური უნდა ვათხოვოთ, და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხის ყველა-ევარი ნაწარმოები შესწავლილი გვექნება. (IV,193).

152(3854). რასაკვირველია, ყოველი მთარგმნელი უნდა იმასა სცდილობდეს, რომა გადმოიღოს სხვის აზრი ქართულ ენაზე ისე, რო-მა ნამდვილსა და თარგმანის აზრს შორის არა იყოს რა ოიტის ოდენი განსხვავება. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV,313-314).

153(3855). რასაც კი წასწვდა ჩვენი ლიტერატურა. ყოველსფერს საზოგადოების უფლების მიხედვით მიაყენა შუქი... (V, 166).

154(3856). რაღა კრიტიკაა, თუ აქებ, თუნდ მართლა საქებურიც რამ იყოს! (IV, 81).

155(3857). რაც მინდოდა. იმას კი ეიტყვი ჩემს „გლახის ნაამბობში“ და კარგად ეიტყვი თუ ცუდად — ამის დარდი ბევრი არა მაქვს. (X, 44).

156(3858). რაც უფრო ბევრი ნაწერია და მაღალისა თუ დაბალის ხარისხისა. მით უფრო საჭიროა კაცს ხელთ ეჭიროს იგი სანათური, რომელსაც კრიტიკა წარმოადგენს. („ივერია“, № 29, 1898, 2).

157(3859). რაც ცხავია ხეავისათვის, ისიც კრიტიკა ლიტერატურისათვის. (III, 152).

158(3860). „რეცენზია“ თითქმის იგივე კრიტიკაა, ჩვენის ფიქრით. რეცენზიაში, როგორც კრიტიკაში, გარჩევა თხზულებისა, მისი დაფასება, მისი კარგი და ავი საბუთებით აღნიშნული უნდა იყოს. ცარიელი სიტყვები... ხომ უსაბუთო ფრაზებია და არა რეცენზია. (VIII, 239).

159(3861). რეცენზიას ბევრი რამ მოეთხოვება... (VIII, 239).

160(3862). როგორც მარტო ნუმერაციის ცოდნა არ შეიქმს მათემატიკს, ისე მარტო ანბანის ცოდნა არ შეიქმს მწერალსა. (III, 31).

161(3863). რომ „ვეფხვის-ტყაოსანი“ გაჩნდეს ერის ლიტერატურაში, ეს ლიტერატურა ცოტად, თუ ბევრად განვითარებული უნდა იყოს, ენა შემუშავებული. საზოგადოებრივი ცხოვრება რიგსა და წესზე დამყარებული. ხოლო ყველა ეს პირობანი ცხოვრებისა ერთი წამით კი არა ჩნდებიან, საუკუნოებით შემუშავდებიან. ხან-გრძლივის ერის ერთობრივის შრომითა და ღვაწლით, ერის გონებისა და აზრის დამაშვრალობით. („ივერია“, № 3, 1884, 158).

162(3864). რომ კაცმა სწეროს. ცოდნის და განათლების გარდა. ნიჭიც უნდა ჰქონდეს. ცოდნა და განათლება ისე აუცილებელი და საჭირონი არ არიან პოეტისათვის, როგორც ნიჭია საჭირო და აუცილებელი. (III, 32).

163(3865). როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველთ უწინარეს ამას იკითხავს, — რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი. (III, 250).

164(3866). როცა კაცი „სტიხს თუ აკროსტიხსა“ ჰსწერს, მარტო თავის თავის სასიამოვნოთ კი არ უნდა ჰსწერდეს, სხვის სიამოვნებისათვისაც უნდა იფიქროს. („ივერია“, № 6, 1878, 16).

165(3867). როცა რეცენზენტი თავის წუნსა სდებს რომელსამე ნამოქმედარს ხელოვნებისას, მისი სიტყვა და წუნისდება... უნდა აინონ-დაინონოს სიმართლის სასწორზედ. სწორედ მოგახსენოთ, ქების თქმაშიაც ამავე გზით უნდა დაჰფასდეს რეცენზენტის სიტყვა. ჩვენის ფიქრით, წუნი და ქება რეცენზენტისა, ამ წრეს გადაცილებული, ორი-

ეე სათაკილოა და ტყუილად ქებულმა კაცმაც ისე უნდა იწყინოს, როგორც ტყუილად დაწუნებულმაცა. (III. 110).

166(3868). როცა ცრუ-კლასიკური მიმართულება ეცემოდა ევროპაში და იბადებოდა ნელ-ნელა რომანტიკული მიმართულება რომლის წარმომადგენელი შეიქმნა ბოლოს დიდი შილერი; როცა გამოსჩნდა გეტე (გოეთე — რედ.) თავის „ვერტერით", ბერნარდენ დე-სენ-პიერი თავის „პოლ და ვირგინიით", ჟან-ჟაკ რუსო თავის „ელოიზით", მაშინ ევროპას პირველად ეცა დამატკბობელი სხივი პოეზიისა; მაშინ ცრუ-კლასიკური მიმართულებით დათრგუნვილნი მწერალნი მიეარდნეს მშიერსავით ახალშობილს პოეზიის მიმართულებასა; მაგრამ პირველად ვერ იცნეს ვერც გეტეს „ვერტერი", ვერც „ელოიზა" ჟან-ჟაკ რუსოსი და ვერც „პოლ და ვირგინია" ბერნარდენ დე-სენ-პიერისა; ამაში სენტიმენტალური სული მოესმათ, ეგ სული მიმდევართა მისთა განავითარეს და დაპბადეს სენტიმენტალური სკოლა. (III, 54-55).

167(3869). რუსეთის ლიტერატურაში მოიპოვება ზოგჯერ ბევრი იმისთანა რამ, რომელიც ერთგვარად შესანიშნავია, რა ენაზედაც და რა საზოგადოებაშიაც უნდა გადატანილ იქმნას. ამაზედ ლაპარაკი საჭირო არ არის. მისი მნიშვნელობა ცხადია, როგორადაც ცხადია ახალის ცოდნისა და აზრის შეთვისების საჭიროება, ვისიც და სადაურიც უნდა იყოს იგი აზრი. (III, 267).

168(3870). რუსეთის მწერლობა იმდენად ღირსშესანიშნავია. რამდენადაც ღირსშესანიშნავია თვით რუსეთის ცხოვრება, მისის ჭკუისა და აზრის მიმართულება და წარმატება. (III, 266-267).

169(3871). რუსული ლიტერატურა მთლად. საზოგადოდ. მთის იქით თუ მთის აქეთ, ღირსშესანიშნავია და ცნობისათვის საჭირო. (III, 266).

170(3872). საბა ორბელიანის სიცრუე, და ერთობ სიტყვაკაზმულ ლიტერატურისა, უცოდველია, უმწიკვლოა, უბოროტოა, უბრყვილოა. იგი ნამუსიანია, არც არავისა ჰმტრობს, არც არავისა ჰგმობს. ამაზე მეტსაც ვიტყვით, იგი მადლიანია იმ მხრით, რომ აზრის ამხსნელია, მაუწყებელია, გაგების გზა და ხიდია, ცოცხალი ხატია, ხელთქმნილი დიდის გრძნეულებით. (III, 410).

171(3873). საბა ორბელიანისებური სიცრუე ნამუსიანია. არც არავისა მტრობს და არც არავის ჰგმობს... არც არავის ჰყიდის და არც არავის ჰყიდულობს. იგი ერთგული მსახურია სიბრძნისა და ამიტომაც მადლიანიც არის. (III, 410).

172(3874). საბავშვო მწერლობის გაჯანსაღება და მკვიდრ საფუძველზე დამყარება დიდი მნიშვნელობის საქმეა ჩვენი ყმაწვილების გონივრულად აღზრდისათვისა. (X, 148).

173(3875). საბუთიანად განკითხვისა-კი არ ეშინიან კრიტიკას, უსაბუთოდ განკითხვას უფრთხის და ერიდება. („ივერია", № 29, 1898, 2).

174(3876). საგანი პოეზიისა თითონ პოეტის სულის მდგომარეობაა სხვა-და-სხვა შემთხვევებში და გარემოებაში; წუთის გრძნობის, წუთის აღბეჭდილების გამოთქმაა, ერთის სიტყვით თითონ პოეტი აქ მხოლოდ თავის გრძნობას ხატავს, თავის გულის მოძრაობას და აღბეჭდილებას. გარეგანი ბუნება მისთვის არ არსებობს, და თუ არსებობს, იმის ხელში ის წმინდა სანთელსავით ლბილია. (III, 458).

175(3877). (სავალდებულოა, რომ მწერალმა — რედ.) რაკი არ დაუშლია და საგანზედ ჰლაპარაკობს, იმ საგნის ავლა-დიდება, ვითარება მოიკითხოს, გაიგოს და ისე დაიწყოს ლაპარაკი. (VI, 246-247).

176(3878). საზოგადო ყოფისაგან ამოკვნესილი სიტყვა და ნუგეშ-მცემელი იმედი უმთავრესი ძარღვი არ არის ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში. რომელიც უფრო სიყვარულის და ტრფიალების ჭირი და ლხინი, და მაშასადამე, სიყვარულის და ტრფიალების პოეზიაა. (III, 208).

177(3879). საზოგადოების მიღება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მწერალი ტალანტიანია. (III, 10).

178(3880). (სამართლიანი კრიტიკის გარეშე — რედ.) ზემოქმედება უძლიერესისა უღონოზედ, უკეთესისა უარესზედ მარტო ცარიელი მაიმუნობაა, სხვის ფეხის ხმაზედ ბრმად აყოლაა, ტყეობაა და არა თავისუფლება და თვითმოქმედება გონებისა, რომელიც ერთად-ერთი ნიშანია ჭეშმარიტის განათლებულობისა და აღმატებულობისა. (IV, 370).

179(3881). სამასხარაოდ არა ხდის თავის-თავს ის კაცი, რომელიც ამბობს, რომ ეს კაცი არ ვარგაო იმისთვისაო, რომ მტვრიანი ტანისამოსი აცვიაო? მე მინდა ამითა ვსთქვა, რომ ვინც ამ-გვარად შინჯავს საქმეს და ამ-გვარ დამტკიცებაზედ ამყარებს თავის აზრსა, იმას თვალებში ჰქონია ჭკუა. მაგ-რიგად გასინჯვა რისამე-თვალის საქმეა და არა სწავლისა, რომელიც ანბანთ თეორეტიკაზედ უფრო აუცილებელია მწერლისათვის. (III, 35).

180(3882). სამწერლო ასპარეზზე — რედ.) მოქმედებაა, თუ სიტყვა, ყოველისფერს... უნდა განსჭვრეტა და განხილეა. სხვა ყოველივე უკ-ლრისობაა, ლიტერატურული უწვრთნელობაა. (V, 312).

181(3883). საცა ლიტერატურული სჯაა და ბაასი. იქ ხმა უნდა აიწონოს და არა დაითვალოს.* („ივერია", № 65, 1900, 3).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ფ. შილერის ცნობილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტისას ხმები კი არ უნდა დაითვალოს, უნდა აიწონოს. (რედ.).

182(3884). საცა ჩვეული არ არიან... პატივით მოექცნენ სხვის აზრს, იქ კრიტიკა მშვიდობიანი სამსახური — კი არ არის საზოგადოების წინაშე. არამედ თავის გამომეტებაა სალანძღავად. საქიშპოდ, ბუჭყისა და ჩირქის მოსაცხობად და ამასთან თვით ხმაც კრიტიკისა ღაღადებაა უდაბნოში. („ივერია", № 29, 1898, 2).

183(3885). საჭიროა, რომ ჩვენმა ლიტერატურამ ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს (ქართული თეატრის განვითარების საქმეს — რედ.), კვალში ჩაუდგეს, და რამოდენადაც გონება და ცოდნა გაუჭრის, იმოდენად, — როგორც მოყვარემ — პირში უძრახოს, კარგი და ავი პირში უთხრას, არც გაანებივროს ტყუილის ბარაქალითა და არც გული აპყაროს ტყუილის დაწუნებითა. (V, 51).

184(3886). საჭიროა სკოლების გარდა ისეთი ღონისძიებაც. ისეთი საშუალებაც, რომელმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ ყველგან მისწვდეს, გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკვის ძვირფასნი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწვდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა. ის საშუალობა, ის ღონისძიება უნდა ცდილობდეს, თუ არ სრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილთან მაინც დაიჭიროს საქმე, შეიქმნას შუამავლად მეცნიერებისა ერთის მხრით და ხალხისა და ცხოვრებისა მეორის მხრით. მაგ ძნელ საქმეს ასრულებს ყველგან ლიტერატურა. (III, 64).

185(3887). (სახალხო ლექსების შეკრებასა და ბეჭდვას — რედ.) ... დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ. (IV, 191).

186(3888). სახალხო პოეზია კარგია, მაგრამ როცა მარტო იმისი შეკრება იზიდავს მთელის ინტელიგენციის ყურადღებას, როცა ეს შეკრება „მოდად" ხდება, მაშინ საჭიროა, რომ სხვა საგნებისაკენაც მიიხედოს განათლებულმა საზოგადოებამ. (IV, 193-194).

187(3889). სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა, და კრიტიკაც, მარტო მაგაზედ აშენებული, სამასხარაოდ ხდის კრიტიკის წმინდა მნიშვნელობასა. (III, 35).

188(3890). სიტყვიერებითი ხელოვნება პოეზიასა ჰქვიან, რადგანაც სიტყვის საშუალებით და შემწეობით აღასრულებს ხელოვნების მნიშვნელობასა. მაშასადამე ანბანის განსაზღვრა ხელოვნება არ არის. (III, 30).

189(3891). სწორედ კრიტიკით შემოწმებულთა და გამართლებულთა მეცნიერთა მოიპოვეს... სახელი და თაყვანისცემა... (VI, 110).

190(3892). სხვისა აზრის შეწყნარება რომ საზოგადოებაში იყოს, კრიტიკაც ხმას ამოიღებს, ფრთას გაშლის, თუ ამასთან ყოველივე სხვა გარემოება მზაა საამისოდ. („ივერია", № 29 1898, 2).

191(3893). ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი მამაკაცნი და დედაკაცნი „ვეფხის-ტყაოსნისა“, ყველაზედ უწინარეს ადამიანები არიან და, მაშასადამე, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნი, (III, 169).

192(3894). უკრიტიკოდ... სელა და წარმატება ლიტერატურისა, თუ არ რიცხვით, ღირსებით მაინც ძალიან ძნელია და რომ ვთქვათ შეუძლებელია, არც ეს იქნება, ვგონებთ მეტი. („ივერია“, № 29, 1898, 1-2).

193(3895). უმშვენიერესია ის ბრწყინვალე სახსოვარი (ლიტერატურისა — რედ.), რომელიც აღიმართება ძეგლად მერმისის გულში. (III, 85).

194(3896). უნდა ვაღიაროთ, რომ ის ცოდნა ენისა და მწერლობისა, რამდენიც დღესა გვაქვს, უმთავრესად ისევ ძველის მწერლობის საქმეა. რაც გვაკლია, იმას ძველს მწერლობას დანაშაულებად ვერ ჩამოვართმევთ, რადგანაც ეს ნაკლი სხვა გარემოებათა საქმეა და არა ძველის მწერლობისა. (III, 313).

195(3897). უნიჭო და ამასთან უცოდინარი მწერალი არა მარტო ენას ახდენს, ამასთან გონებას, გემოვნებას, გულს და სულს მკითხველისას. (III, 38).

196(3898). უსაბუთოდ არამც თუ გინება, ქებაც კი შეუწყნარებელია ლიტერატურაში... (III, 280).

197(3899). უშინაარსობა ჩვენის ლიტერატურისა აშკარა ტყუილია. ვინც ამ ბრალს სდებს, იგი უმართლოდ ექცევა ჩვენს ნაწარმოებს და ნაღვაწლს გონებისას და გულისას, და ეს მოსდის ან უვიცობით, ან განგებ. (III, 153).

198(3900). ფილოსოფია ფილოსოფიაა და პოეზია პოეზიაა! (III, 339).

199(3901). ქანც-გაწყვეტილი ბუშაც კი საჭიროებას ჰხედავს დაიტკბოს სიმწარე თავისი ცხოვრებისა სიმღერით და გაიქარვოს თავისი ჭირ-ბოროტი, — და ერისათვის რატომ აღარ უნდა იყოს საჭირო თვისთა მწერალთა ტკბილ გალობით ასე თუ ისე გაიქარვოს კაეშანი. (III, 207).

200(3902). ქართული მარტო საქართველოში იციან. მაშასადამე, თუ არ შინ, გარედ ჩვენებურ კრიტიკოსს გამკითხავი არა ჰყავს. („ივერია“, № 29, 1898, 2).

201(3903). ქართულს მწერლობაში, როგორც ყოველ სხვა მწერლობაშიაც, ბევრი რამ არის ცუდი, ამას ჩვენ ქართულს მწერლობას ვერ დავუფიცავთ. (VIII, 238)

202(3904). ქვეყანაში, სადაც ცხოვრება ხავს-მოკიდებულს გუბესა ჰგავს, ესე იგი, ჭია-ჭუების და ქვემძრომების საბუდარს, იქ მწე-

რალმა რა უნდა ქმნას? საგანი არ არის გარშემო, რომ მწერალმა მასზე შეაჩეროს თვისი გონების თვალი, და მკითხველის ყურადღება. იუნდ რომ ათასში ერთი მოიპოებოდეს კიდეც, თქვაც ძნელია, იმიტომ რომ წყლით გივსებენ პირს. (V, 59).

203(3905). ქვეყნიერობაზედ არ არის ჩვენის ფიქრით სხვა იმისთანა საგანი და მოღვაწეობა, რომ ასეთი ხანგრძლივი და საფუძვლიანი მომზადება უნდოდეს წინადვე, როგორც ლიტერატურა და ლიტერატორობაა. (III, 84).

204(3906). ღმერთი რომ ერს. ქვეყანას. მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუელენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა (III, 250).

205(3907). ღმერთო! გთხოვ ხალხს არ دაავიწყო ჩემი ლექსები. (I, 346).

206(3908). ყველა თავისებურადა სჯის. ყველას ნება აქვს კრიტიკისა, ყველამ უნდა სახალხოდა სთქვას თავისი აზრი, როგორა ფიქრობს ანა და ამა საგანზედ; მათგანსა ზოგს გაამტყუნებენ, ზოგზედ დაეთანხმებიან, და ამასობაში სტატია გაიწმინდება და დადგება ისე, როგორც უნდა ნამდვილად ყოფილიყო. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 302).

207(3909). ყველა ლექსი ლექსი არ არის: ლექსს სიტყვების ბოლოების მიწყობის გარდა, პოეზიაც უნდა... („ივერია", № 11, 1887, 4).

208(3910). ყველა პატიოსანს და გულით სპეტაკს მწერალს უნდა ესიამოვნებოდეს, როცა საზოგადოება პატივით ეპყრობა თავის წევრს, აფასებს ინის ღვაწლს, მართლის ქებით ადიდებს. საზოგადოების ეგეთი თანაგრძნობა მოღვაწის მიმართ ხელს უწყობს ზნეობრივს აღორძინებასა, ხალხის აღზრდას და ცნობიერების წინ სვლას. („ივერია", № 140, 1893, 2).

209(3911). ყოველ დაწინაურებულ საზოგადოებაში აზრის სხვადასხვაობა, მრავალგვარობა კრიტიკის შედეგია და სხვადასხვა აზრისა და მიმართულების მიმდევართ აქვთ ისეთი წერტილი, რომელიც ყველასათვის საერთოა. ჩვენში კი — სხვადასხვაობა აზრისა კრიტიკულის აზრის უქონლობის ბრალია და ჩვენის გაუფრთხილებლობისა. (VIII, 257).

210(3912). ყოველ პოეტის თხზულებაში ვეძებთ ჩვენ პირველად ხელოვნებასა, ესე იგი სახესა, რომელშიც განხორციელებული უნდა იყო(ს) იდეია მშვენიერებისა. („ლიტერატურის მატიანე", წიგ. 1-2, თბ., 1940, გვ. 487; საქართველოს გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი № 11660, ფურც. 174[1]).

211(3913). ყოველი წაკითხველისათვის. მგონია, სასიამოვნო უნდა იყოს ყოველთვის კრიტიკული სტატია. რადგანაც შეუძლიან თავისი აზრი შეამოწმოს იმ კრიტიკითა: ნახოს, სხვა როგორ ფიქრობს იმ საგანზედა. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 305-306).

212(3914). ყოველის ჩვენგანის მოქმედების საწყაო, საზოგადო საქმეებში, თუ ლიტერატურაში, მარტო ის უნდა იყოს, თუ ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის მიუცილებელს საგანსა და გზას (იგულისხმება ყმაწვილკაცობის მომზადება ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნით, მისი შეიარაღება მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებით — რედ.). სხვა საწყაო ტყუილია და ამაო; სხვის ბაძი იქნება და არა ჩვენის თავის საჭიროებაზედ გამოჭრილი. (V, 98).

213(3915). შემოქმედობის ძალის ღონიერობა ერთი და იგივე არ არის, როცა ერთი მთელს გადასწვდება ხოლმე და მეორე — კი მარტო ნაწილსა. მწერალმა, თუ სხვა ვინმე ხელოვანმა, რაც უნდა ზედმიწევნით და მშვენიერად გამოხატოს ერთი რომელიმე ცალკედ სახელ-წოდებული კაცი — ივანე, თუ პეტრე, ყოველთვის უპირატესობა უნდა დაუთმოს იმას, ვინც ზოგადი გამოხატვის შემძლებელია. (III, 174).

214(3916). შესაძლოა კაცმა სხვის ამბავზე ისეთი თხზულება ააგოს, რომელიც მთელს ქვეყანას შემოირბენს ქებითა და დიდებითა. (IV, 168).

215(3917). შექსპირი, გეტე (გოეთე — რედ.), ბაირონი სხვა მეცნიერთაგან დიდი ხანია გარჩეულია მრავალგვარად. ამაზედ მრავალი უწერიათ, მრავალი უთქვამთ. მაშასადამე, ამათზედ ასეთისა თუ ისეთის აზრის შედგენა მეტის-მეტად ადვილია და აზრის საბუთის პოვნაც არ არის ძნელი. აქ ყველაფერი, აზრიც და საბუთიც, მზად არის, თქვენ ოღონდ იმოდენა ღონე იქონიეთ, რომ მოჰკრიბოთ, ერთი-ერთმანეთს შეუფარდოთ, შეუწონოთ და ყოველივე შეკრებილი, შეფარდებული და შეწონილი ერთს ძნად შეჰკრათ და ისე მიართვათ მკითხველსა. რა თქმა უნდა, რომ ამასაც ჭკუა, ცოდნა უნდა და მცირეოდენი ხელოვნებაც, მაგრამ აქ თვითმოქმედება უფრო ხელისაა, თუ ესე ითქმის, ვიდრე იმ სულიერის ძალ-ღონისა, რომელიც თითონ ჰქმნის, თითონ სჯის, თითონ სწლავს, თითონ სჭრის და თითონ ჰკერავს. აქ ყველაფერი უჯრა-უჯრად აწყვია ევროპის ლიტერატურის სალაროში მზა-მზარეულად, ოღონდ იმ სალაროში შესვლის ღონე მოიპოვეთ და, რაკი ეს გექნებათ, ხელის გაწვდენის მეტი არა არის-რა საჭირო, რომ უჯრა გამოსწიოთ და რაც გსურთ, ის გამოიღოთ. (III, 155).

216(3918). შეჭიდება ჰოსი და არასი. მათი ერთმანეთთან დაპირისპირება და ამ გზით კვლევა მართლისა, კრიტიკაა. (III, 302).

217(3919). ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში,
რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში
ბოროტთ საკლავად, — მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ.* (I, 75).

218(3920). ჩვენ ვერ გავუკადნიერდებით იმისთანა მწერალს. რომელსაც თავისი საკუთარი კილო აქვს უკვე დადგენილი და იმ მწერალს-კი, რომელსაც შეცდომა მოსდის გრამატიკის წინაშე და ცალკე სიტყვასაც თავის ადგილას, თავის შესაფერად ვერა ხმარობს, ჩვენ უფლებას ვერ დაუთმობთ. („ივერია", № 15, 1886, 4).

219(3921). ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ რაც შეიძლება მეტი ძალ-ღონე მოვახმაროთ ჩვენს მწერლობას და საკუთარის ვითარების შესწავლა გავიხადოთ ქვაკუთხედად ყოველისავე ცოდნისა. (III, 315).

220(3922). ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ რუსულის მწერლობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა... ჩვენც, რასაკვირველია, ზედმიწევნით უნდა გავიცნოთ რუსული მწერლობა და აგრეთვე უნდა ესცდილობდეთ, სხვა უცხო მწერლობაც შევისწავლოთ. ჩვენთვის ეს იმდენად აშკარა და ჭეშმარიტია, რომ მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის... (III, 314-315).

221(3923). ჩვენ, რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ სანატრელი არ იყოს ჩვენის ლიტერატურისათვის საზოგადოდ და პოეზიისათვის ცალკედ, მაგრამ ისიც, რაც გვაქვს ჩვენ დღეს, ღირს-შესანიშნავი განძია და მრავალგვარად გამოსაყენი და სახმარი ჭეშმარიტის კრიტიკისათვის. (III, 153-154).

222(3924). (ჩვენ ხალხს. ქართველ ერს „ვეფხისტყაოსნის" — რედ.).
სიტყვები ანდაზებად გაუხდია, გაუზეპირებია... მისი სენტენციები საფუძვლად დასდებია ქართველთა ზნეობას. (IV, 169).

223(3925). ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვით, რომ ზოგნი ჩვენში, რუსულ ლიტერატურის მეოხებით გარზდილნი და გაწურთვნილნი... ბრმად ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზედმოქმედებას. ამათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარუყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო ამას არ დასჯერებიან; იმავ კრიტიკით და გამოძიებით მხარდამხარ ასდევნებიან ამ ლიტერატურის წინსვლასა, წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანაზედ. (VIII, 333).

---

* ამ სტროფის პირველი ვარიანტია: „ჩემო კალამო! რად გვინდა ტაში,
რასაც ვმსახურებთ — მას ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა წარმოეთქვათ ხალხში
და შორიდამ სეირს ეუყუროთ". (I, 298). (რედ.).

224(3926). ჩვენი ზღაპარი ტყუილად-კი არ იწყება „იყო და არა იყო რათი". „იყო" შიგ ჩასახული აზრია და აზრი ხომ ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება. „არა-კი იყო რა" ეკუთვნის თვით ამბავსა, რომელიც არც ყოფილა და არც არის. ამიტომაც არაკი, რომელშიაც ცოცხლად, ცხოვლად არის ჩასახული აზრი, იზიდავს ადამიანის გულისყურს იმდენად, რომ თვით არაკის სიცრუეც-კი მართალი გგონია და სულ გავიწყდებათ, რომ ყურს უგდებთ მოგონილ ამბავსა. ამ სასწაულს სჩადის ხელოვნება. (III, 407).

225(3927). ჩვენი კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი კიდევ გულღვიძლიდამ გამოწურული ჩვენი ოფლია. (II, 50).

226(3928). ჩვენი ლიტერატურა საერთოდ და პოეზია ცალკედ განძია. (III, 154).

227(3929). ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო," — სთქვა ერთმა ბრძენმა".*(III, 250).

228(3930). ჩვენი ცხოვრება და ბედ-იღბალი იმგვარად არის მომართული, რომ რუსული ლიტერატურა მთლად, საზოგადოდ, მთის იქით თუ მთის აქეთ, ღირსშესანიშნავია და ცნობისათვის საჭირო. (III, 266).

229(3931). ჩვენც დიდი პატივისცემა გვაქვს რუსულის ლიტერატურისა, მით უფრო, რომ მისთა უკეთესთა წარმომადგენელთაგან გრძნობა ადამიანის ღირსებისა აღიარებულია საქვეყნოდ დიდსა და მცირეშიაც, მდიდარსა და გლახაკშიაც, ბატონსაცა და ყმაშიაც, თავადსა და გლეხშიაც; ყველგან იგი კაცსა ჰხედავს და კაცსა სცემს პატივსა. (VIII, 236).

230(3932). ცხოველ-მყოფელობა ლიტერატურისა, მისი სიცოცხლე, მისი სული და ხორცი თავს იჩენს არა მარტო მით, რაც იწერება, არამედ ნაწერების განკითხვითაცა. („ივერია", № 29, 1898, 2).

231(3933). ცხოვრება თავისას არ იშლის და სხვა-და-სხვა „ჟამთა სიავე" საჭირბოროტო საგანი თანდათან მატულობს, იბადება, იზრდება და ბოლოს საყოველთაო ყურადღებას იზიდავს, ყველა ამას და ბევრს სხვასაც გაძღოლა და პატრონობა უნდა და ეს ხომ მწერლობის პირდაპირი მოვალეობაა. („ივერია", № 140, 1893, 2).

232(3934). ძველი თაობის მწერლობამ თავისი ფერი დასდო ახალსაც, შესამჩნევი გავლენა იქონია ახალზე და ამ გავლენას ვერასგზით ვერ მივიჩნევთ მავნებელ გარემოებად. (III, 312).

---

*ეს ბრძენია ლ. ბიორნე. მისი ზემოაღნიშნული გამონათქვამის შესახებ კომენტარები იხ.: ნ. კანდელაკი, „ქართული მჭერმეტყველება", თბ., 1975, გვ. 312-313; დ. ლაშქარაძე „დასავლეთევროპული ლიტერატურა ილია ჭავჭავაძის ნააზრევში" („ლიტერატურული საქართველო", № 49 1986, 13) და სხვ. (რედ.).

233(3935). ძრიელ ცუდად გადმოთარგმნას თავის დანებება სჯობია. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, (IV, 341).

234(3936). ჭეშმარიტი ლიტერატურა ყოველგან და ყოველს შემთხვევაში მართებულობის, ზრდილობის, ადამიანის ღირსებისა ფარიც არის და ხმალიცა. (III, 263).

235(3937). ჭკუისა და გონების საქმეში, როგორც მწერლობაა, საცა მძლეველი მართალია და ძლეული მტყუანი და საცა ამისათვის მარტო საბუთი საბუთს უნდა პირში წაუდგეს, ბევრი რაა, ცოტა რაა? („ივერია", № 269, 1897, 2).

236(3938). ხალხი ყოველთვის საჭიროებს, რომ იხელთოს მეცნიერების და ხელოვნების საუნჯენი, მაგრამ ვერ მისწვდომია. მაშინ იბადება საჭიროება იმ საშუალებისა, იმ ღონისძიებისა, რომელმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ მრავალთათვის მისაწვდომი გახადოს ის, რაც მეცნიერებაში და ხელოვნებაში დასაკუთრებული აქვს უმცირესსა ნაწილსა; იმ ღონისძიებამ, საშუალებამ უნდა მოჰკრიფოს ნაყოფი მეცნიერების და ხელოვნების ხეზედ და ვადმოსცეს ხალხსა. ის საშუალობა, ის ღონისძიება უნდა ცდილობდეს, რომ თუ არ სრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილთან მაინც დაიჭიროს საქმე, შეიქმნას შუამავლად მეცნიერების და ხელოვნების ერთის მხრით, საზოგადოების და ხალხისა — მეორის მხრით. მაგ ძნელ საქმეს ასრულებს ყველგან სხვათა შორის ლიტერატურა. (III, 467).

237(3939). ხანდისხან ამისთანა (სატრფიალო — რედ.) ლექსებიც ჰსდომებია ამ უდარდელს და ცრუდ-მოტრფიალეს ქვეყანას. (X, 29).

238(3940). ხშირად მოხდება ხოლმე, რომ რაც გუშინ სწამდა ლიტერატურას, რა მოძღვრებაც გუშინ ჰბატონობდა ლიტერატურაში, დღეს ყოველივე ის უარყოფილია და დევნული იმავ ლიტერატურისაგან. (IV, 370).

239(3941). ея («ვეფხისტყაოსნის» — რედ.) сентенции стали основою грузинской морали. («Новое обозрение», № 2022, 1889, 1).

20. მართლმსაჯულების, კანონის, კანონიერების, სიმართლის, სამართლიანობის, უფლებამოვალეობის, ადათის, ზნე-ჩვეულებისა და არჩევნების შესახებ

1(3942). ადამიანთა საზოგადო ცხოვრება ისეთი რთულია, რომ ბევრში და ბევრგან... სიმართლე ძნელად აღმოსაჩენია, და მარტო ამ განსაკუთრებულს შემთხვევაში უღონო მართლმსაჯულება ადამიანისა სიმართლედ მას აღიარებს, რაც უმრავლესობისათვის სახეიროა. (VI, 135).

2(3943). ადამიანის გრძნობა ღირსებისა, მისი პატიოსნება, მისი სახელი და მშვიდობით-ყოფნა, მისი — სარჩო-საბადებელი, მისი სულიერი და ხორციელი სვე-ბედი, ოჯახობა, სახლ-კარიანობა და სხვა ყოველივე ამისთანა, რომელიც საზნეო და საქონებო საუნჯეს შეადგენს ყოველის ადამიანისას — ესე ყოველი უნდა იყოს მოსახლეობის (მართლმსაჯულების — რედ.) მფარველობისა და სარჩლის ქვეშ, თუ ვისმეს ამ მხრით ევნო რამე. („ივერია", № 276, 1895, 1).

3(3944). ადგილობრივ ვითარების ავიცა და კარგიც უფრო საჭიროა იცოდეს მოსამართლემ, უფრო საჭიროა ჰქონდეს შინაკაცის საქმიანი სიბრძნე, ვიდრე კანონიერობის ცოდნა და მოსამართლობის გამოცდილება. (VI, 77).

4(3945). ადვოკატური ხერხები და განგებ ბინდ-ბუნდის გარდაფენა საქმის არსებაზედ" ... სამართლიანად გასაკიცხველია ყოველს შემთხვევაში. (VI, 135).

5(3946). ავ-კაცობას თვითეული ცალკე კაცი ვერ გაემკლავება. მოქალაქური ურთიერთობა და მშვიდობით ყოფნა შეუძლებელია იქ, საცა მოსახლეობის (მართლმსაჯულების — რედ.) უვარგისობა იძულებულ ხდის ადამიანს თვით შეეჭიდოს მისის ადამიანურის უფლების დამრღვევსა დ თვით აღიდგინოს დარღვეული უფლება. კარგად მოწყობილ ქვეყანაში ყოველ ამისთანა საქმეში მისი ნუგეში და იმედი მოხელეობა უნდა იყოს და არა საკუთარი თვითნებობა და ძალ-მომრეობა. („ივერია, № 276, 1895, 1).

6(3947). ამას რა დიდი ლარი და ხაზი უნდა, რომ მთქმელს გამგონი უნდა და კარგი გამგონიცა, და თუ მთქმელს და გამგონს ერთმანე-

თის ენა არ ესმით, იქ არც თქმაა და არც გაგონება, მაშასადამე, არც განკითხვაა და არც სამართალი. (VIII, 279).

7(3948). არ არის ქვეყანაზედ კაცი, რომელმაც მართალი ყალბს არ ამჯობინოს, რაც უნდა ეს ყალბი სამაცდურო იყოს. (VII, 144).

8(3949). არ შეიძლება კაცმა საქმე ბნელში დასტოვოს ღროს მოგებისათვის. („ივერია", № 93, 1896, 2).

9(3950). (არის ხოლმე იმისთანა ბრალდებები — რედ). რომელთა გაქარწყლება ძალიან ადვილია, თუ კაცი გაირჯება და თვითოეულის ბრალის გარემოებას და ვითარებას ცოტაოდნად მაინც ჩაუკვირდება და ჭკუადასმით და გულმართლად განიკითხავს. (IX, 276).

10(3951). (არჩევნების დროს — რედ.) ხმა კი არ უნდა დაითვალოს, უნდა აიწონოს*. (VIII, 90).

11(3952). არჩევნებს სხვა მნიშვნელობა არა აქვს-რა, თუ არ ამომრჩეველთა სურვილის გამოთქმისა. (VIII, 55).

12(3953). (არჩევნებში მონაწილეობა — რედ.) დიდი საქმეა, დიდი მოვალეობაა, და ამიტომაც დიდი წინ-დახედულობა, დიდი სიფრთხილე და განსჯა გმართებთ, ვიდრე თქვენი ხელი კენჭს ან შავისაკენ გაისტუმრებს, ან თეთრისაკენ. თქვენი მოვალეობაა... მარტო ხელით-კი არა, გულით და განსჯით სამართლიანად ამოქმედოთ თქვენი კენჭი. („ივერია", № 100, 1893, 1).

13(3954). ასში ერთის ცდომა და ასში ერთის დანაშაული განა საბუთია, რომ დანარჩენს ოთხმოცდაცხრამეტს კაცს სამდურავი შეუთვალონ? (VII, 421).

14(3955). ბატონებო, გულში ჩავინერგოთ. რომ დღეს ყოველს კენჭს ალალბედზედ ჩაგდებულს ჩვენი ღალატიც შეუძლიან და ერთგულობაცა. („დროება", № 16, 1875, 3; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, ხელნაწერი № 197, ფურც. 2).

15(3956). ბევრჯელ ისეთი შემთხვევა მოხდება, რომა არ შეგიძლიან ხმა არ ამოიღო. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 308).

16(3957). (ბუნებრივის სიმართლით საქმის გადაწყვეტის — რედ.) თვისებაა გული და სული... მოსამართლობისა. (VI, 97).

17(3958). გამოურკვეველი კანონი ყოველთვის უკმაყოფილებას გამოიწვევს... („დროება", № 142, 1884, 1).

18(3959). განა არ იცი, რომ თუ საღმე სანთელ-საკმეველია, თავისს გზას არ დაჰკარგავს, ბევრიც რომ შორიდამ უბეროთ! (VIII, 101).

19(3960). განა არის ქვეყანაზედ იმისთანა ნაწერი, საცა კი ადამიანია ხსენებული, რომ გაზეიადებულმა გრძნობამ თაკილობისამ კლან-

* ეს აზრი ფრიდრიხ შილერისაა. (რედ.).

ჭი არ გამოჰკრას რასმე და თავის-თავზედ არ მიიღოს? ყველაფერს ამას რომ კანონმა სარჩლი და ქომაგობა დაუწყოს, სად წავა! ამ ამისთანა შემთხვევაში პირუთვნელმა სამართალმა თავისის სასწორის უღელი რაზედ უნდა დაანდოს? (VIII, 234).

20(3961). განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი. (II, 240).

21(3962). განკითხვის დღეს მეფეს ჰკითხვენ
ყმის სისხლს, უქმად დანთხეულსა. (I, 198).

22(3963). გარდა საზოგადო თვისებისა, სასელდობრ, ჭკუისა და ზნეობის სიმაღლისა.., საჭიროა მოხელემ (მართლმსაჯულების მსახურმა — რედ.) კარგად იცოდეს... ხალხის ვითარება, ჩვეულება, ტკივილი და სიხარული და ღონე ჰქონდეს ხალხს უშუამავლოდ ელაპარაკოს. (V, 36).

23(3964). გონიერი კანონი თავის-დღეში ცუდს არ მოახდენს. (VI, 73).

24(3965). (გრძნობას სამართლიანობისას — რედ.) თხოულობს თვით ჭეშმარიტი და განწმენდილი ზნეობაც. (IX, 133).

25(3966). გულდამჯდარად, აუჩქარებლად, მართებულად, გულმტკივნეულად და გულწრფელად ნათქვამი სიტყვა, თუნდა წუნისა, უფრო მჭრელია, უფრო შემძლებელი, ვიდრე ნიშნმოგებული, გაწიწმატებული და გაბოროტებული ავყიობითა და წიწლაკიანობითა. (III, 264).

26(3967). გულზე ხელი დაიდეთ და სამართალი ისე ჰქენით. (VI, 267).

27(3968). (გულთმისნობის — რედ.) ნიჭი ადამიანის ხელთ არ არის. კანონი ვერ იკისრებს დაჰსაჯოს კაცი, იმიტომ რომ გულთმისანი არა ხარო. (VIII, 234).

28(3969). (გულწრფელად და გულმტკივნეულად ნათქვამ — რედ.) სიტყვას, წუნისა იქნება თუ ქებისა, ვერც ვერავინ ითაკილებს, ვერც ვერავინ იწყენს, იმიტომ, რომ რაც გულის-ტკივილით და წრფელობით არის ნათქვამი, ბუნებითად არც სათაკილოა და არც საწყენი. (III, 265).

29(3970). დაე ხალხმა, ისტორიამ დაგვდოს მსჯავრი. (კომუნისტი", № 201, 1988, 3).

30(3971). დამნაშაე, ან მისი მოშხრე-მოკეთე, ისეთივე ადამიანია, როგორც სხვა, და ერთსა და იმავე კანონს სულთა-მოძრაობისას ექვემდებარება. (VI, 230).

31(3972). დაუმტკიცეთ სად არის მართალი და მტყუანი, და გვერწმუნეთ მართალი იმოდენა მომხრეებს იშოვის, რომ ბურჯად შეექმნას ყოველ საზოგადო საქმეს. ამისი თავმდებია საზოგადოდ ადა-

მიანის კეთილ-გონიერება, პატიოსნება და გულწრფელი სიყვარული საქმისა, ესე იგი, იგი საზოგადოებური და ადამიანური ღირსება, რომელსაც ყოველს საზოგადოებაში თავისი მომხრე, მიმდევარი და მცველი ჰყავს და ურომლისოდაც წარმოუდგენელია თვით კაცთა საზოგადოებაც. (VII 492).

32(3973). დაურიდებლობა და პირში თქმა ჩვენს საუკუნეში ღირსებაა. (II, 457).

33(3974). დაჩვევა არის ყველაფერი. ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო*, იტყვიან ხოლმე ჩვენები. („ივერია", № 179, 1890, 2; ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 361).

34(3975). დეე, კრიტიკისა და შედარებითის მეთოდის კალთა გადააფარონ თავიანთ უვიცობას, ვისაც სურს, და... ამაოდ ხსენებულ სიტყვებით — კი ვერც ერთს ჭკვათმყოფელს კაცს ვერ დაემალებიან უვიცნი და უმეცარნი. (IV, 63).

35(3976). დეპუტატი არის საზოგადოებისაგან ამორჩეული პირი, რომელმაც საზოგადო საქმეებში თავის ამომრჩეველთ მაგივრ უნდა მონაწილეობა მიიღოს, და .თუ რომელსამე მაღალ პირთან გაგზავნიან. საზოგადოების სურვილი და მოთხოვნილება გამოაცხადოს. (V, 99).

36(3977). დიალ. ბატონებო, ვისაც ნიჭი აქვს აღიბეჭდოს გულში ჭეშმარიტი და მორალური მნიშვნელობა საზოგადოებრივის ფაქტისა, (მას — რედ.). გრძნობა სიმართლისა — ეგ უკეთესი კუთვნილება და სამკაული ადამიანის ბუნებისა — ეტყვის, რა უნდა ჰქმნას, როცა სხვის მოქმედებასა სინჯავს. („დროება", № 103, 1884, 3).

37(3978). დიდ-ბუნებრივობაა კაცის (მოსამართლის — რედ.) მხრით, რომ ცილსაც-კი ვერა გააბედვინოს-რა, ცილსაც-კი ენა მოსჭრას, ხმა არ ამოაღებინოს. (IV, 245).

38(3979). დიდი განძი უნდა ზნეობისა, რომ კაცმა საზოგადოდ და მსაჯულმა საკუთრივ... (ხალხის — რედ,) ნდობა მოიპოვოს, (IV, 243).

39(3980). დიდი და პატარაობა სად არ არის? აი, თუნდ თითებზედ დაიხედე; ერთი დიდია, მეორე პატარა... მაგრამ დაილოცა ღვთის სამართალი, ისე გაუჩენია, რომ ერთმანეთს არ უშლიან. (II, 159)

40(3981). დიდისა და პატარის შუაც შესაძლოა ხიდი გაიდვას. („დროება", № 260, 1884, 1).

41(3982). დიდს არ გავექელეინებით
და მხარს მივსცემთ პატარასა;
ძალას ვულდაგულ დავხვდებით
და თაყვანს ვსცემთ სამართალსა. (I, 63).

---

* ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

42(3983). დრო გამოიცვლება, დრო მოვა, როცა თავისის ვინაობიდგან გადამდგარი კაცი ყველასაგან შერისხული იქნება, როგორც ულირსი, თითონ იმათგანაც კი, ვინც ეხლა სიხარულით ამისთანა კაცს შეიკედლებს ხოლმე და ულოლოებს. (V, 146).

43(3984). დრო და ჟამი არავის შეარჩენს უსამართლობას, სხვის ჩაგვრას და თელვას. („ივერია", № 53, 1897, 2).

44(3985). დრო მოვა და ცოდვა და ბადლი გაირჩევა ყველანი ერთად და თვითეულისა ცალკე. სულ ესე ბრმანი ხომ არ ვიქმნებით? („ივერია", № 38, 1897, 2).

45(3986). დრო მოვა. ყველა მიჰსცემს პასუხს ჩვენს უბედურს ქვეყანასა და უფრო უბედურს საზოგადოებას. მაშინ ვნახავთ, ვისი გული იქნება წმინდა და ჩირქ-მოუცხობელი. (X,66).

46(3987). დღეს ისეთი დროა. რომ თვითოეული ჩვენგანი უნდა განკითხულ იყოს და პასუხის მგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისის სიტყვისა და საქმისაებრ და არა იმისებრ, რასაც სხვანი ან დაუდევრობით, ან წინდაუხედაობით თავზე მოახვევენ. (IX, 266).

47(3988). ეგ პირში მიხლა სიმართლისა, დაურიდებლობა. რომელსაც ქვეყანაში უზდელობას ეძახიან, მე ყოველთვის ტალანტის და ნიჭიერების ნიშანი მგონია. (II, 458).

48(3989). ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერ-უმარილი რა საჭიროა, (II, 283).

49(3990). ერთბაშად ფრინველს ნუ უწოდთ
შევარდენსა და ძერასა;
სჩხრეკავდეთ ყვავთა ჩხავილსა
ბულბულთა ტკბილსა მღერასა;*
ტყუილ ფრაზების რახა-რუხს,
გულის მართალსა ძგერასა,
ჭკვათა-მყოფელთა მოძღვრებას,
სულელთა უგვანს ჟღერასა». (I, 115).

50(3991). ერთი გულმრუდობით აქეთ თუ იქეთ წასული-კენჭი შემძლებელია იმისთანა კაცები დასვას საბჭოში, რომ მერე თქვენი მშობელი ქალაქი, თქვენ თითონ, თქვენი ოჯახი, თქვენი ცოლ-შვილი თავსა და პირს იხოკდეს, — ეს რა ლმერთი გაგვიწყრა, როგორ ამოვირჩიეთ ეს ჩვენი წამწყმენდელნი და დამღუპავნიო? (VIII, 83).

51(3992). ერთი მხარე იძახის. სამართალია ძალაო და მეორე — ძალაა სამართალიო. ასე დაყენებული საქმე ... შეეხება ... მთელს ქვეყნიერობას, მთელს კაცობრიობას, რომლის სვე-ბედი თითქმის იმაზეა

* შდრ.: „ერთბაშად ფრინველთ უწოდენ შავარდენსა და ძერასა:
არ სჩხრეკენ ყვავთა ჩხავილსა, ბულბულთა ტკბილად მღერასა".
დ. გურამიშვილი. (რედ.).

დამოკიდებული თუ, — ამ ორში რომელი აზრი გაიმარჯვებს და რომელი დაედება საფუძვლად კაცთა ცხოვრებასა და კაცთა ერთმანეთში მოთავსებასა. (IX, 199).

52(3993). ერთი ქუდი დასდეთ და სამართალი ისე ჰქენით.* (VI, 255).

53(3994). ესა საყოველთაო კანონია, რომ არც ერთს უფროსს, მმართველობის ორგანოს, თუ ცალკე პირს, ნება არა აქვს უკანონობა ჩაადენინოს თავის ხელქვეითს უმცროსსა და არც ერთი უმცროსი მოვალე არ არის უკანონობა უფროსისა აღსრულებაში მოიყვანოს. ეს ხომ ანბანია ყველასათვის. (III, 281-282).

54(3995). (ესა თუ ის საძრახისი საქმე — რედ.) მინამ გამოძიებული არ იქნება, ძნელია (ცუდია — რედ. გ. გ.) კაცმა იკისროს ბრალი ვისმე დასდოს... (III, 67).

55(3996). ეხლანდელი დრო და მასთან ერთად ყოველივე ცოტად თუ ბევრად გონებაგახსნილი კაცი და ქალი რომ ხმამაღლა ჰღაღადებს ხელშეუხებლობას ადამიანისა, განა მარტო პოლიციის მიერ ხელშეუხებლობა აქვთ სახეში, არამედ ყოველგვარი ხელშეუხებლობა და, სხვათა შორის, იგიც, როცა სამარცხვინო და სახელგასატეხ ბრალს რასმე სდებს ერთი მეორეს ტყუილისა და მართლის წინასწარ გამოუძიებლად და აუწონლად. (IX, 270).

56(3997). ვგონებთ, მთელის სოფლისათვის ძნელი არ უნდა იყოს ერთის თავგასულის ადამიანის ალაგმვა. ამისათვის კანონია და სამართალი გაჩენილი. („ივერია", № 249, 1892, 4).

57(3998). (ვეფხისტყაოსანი" — რედ.) იმისთანა წიგნია, რომელიც გვასწავებს, რომ „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად". ეს ამისთანა ანდაზა ვერაფერი ჭაშნიკია ცრუმეტყველისათვის... (VIII, 111).

58(3999). ვინ იტყვის, რომ კანონი არ უნდა ესარჩლებოდეს ყოველს კაცს, რომლის პატივი და სახელი საქვეყნოდ გაუპატიურებულია და შეურაცხყოფილი ვისგანმე. მაგრამ მეტისმეტი დაქვეითება იქნება კანონისა, რომ კაცმა ზღაპრად დაწერილი ამბავი თავის-თავზე მიიღოს და კანონს სთხოვოს, გამომესარჩლეო. (VIII, 234).

59(4000). ვისაც სიმართლის შეტყობა უნდა, კიდეც შეიტყობს. („ივერია", № 127, 1893, 2).

60(4001). ვისაც ხელი მიგიწვდებათ, ყველანი უნდა მიხვიდეთ არჩევანზე და თქვენი მოქალაქური, კაცადკაცური მოვალეობა გადაუხადოთ თქვენს მშობელს ქალაქსა.

---

* შდრ.: „ქუდი დასდე და სამართალი ისე ჰქენიო". ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

იცოდეთ, რომ ეისაც ჩააბარებთ საბჭოში ხმოსნობას, იმას აბარებთ მთელის ოთხის წლის თქვენს საერთო სვე-ბედსა, თქვენის ოჯახობის საერთო კეთილსა და ბოროტსა. ოთხი წელიწადი ბევრის რისამეა შემძლებელი, ავიც შეიძლება ბევრი მოგვაყენოს კარს და კარგიც.

...იცოდეთ, ეს დიდი საქმე თქვენს ნაშუსს თქვენს სინდისს, თქვენს პატიოსნებას აბარია. (VIII, 85).

61(4002). ზნე-ჩვეულებას, როგორც ჭკუასა და გონებას, განწმენდა და განათლება უნდა. უამისოდ იგი მკვდარია და უქმი იმ სახელოვან და სანატრელ დანიშნულებისათვის (სამართლიანობისათვის — რედ.). —... რომელიც ქვაკუთხედია კაცთა ურთიერთობით ცხოვრებისა. (VIII, 259).

62(4003). ... ზნე-ჩვეულების გაუწმენდელობა და გაუნათლებლობა არის მიზეზი, რომ ქვენა გრძნობანი ზენა გრძნობათა ადგილას გამეუფდებიან ხოლმე, ტყუილი მართალის ნიღაბ ქვეშ დაიარება და ყალბი ხალასად გადის. (VIII, 260).

63(4004). (ზოგიერთ შემთხვევაში — რედ.) ტყუილი და უსაფუძვლობა ადვილად დასამტკიცებელია და დასამოწმებელი თვალთა ხედვით და ხელშეხებით, თუ ასე ითქმის. (IX, 276).

64(4005). ზოგჯერ ერთი გულ-უბრყვილო სიტყვა უფრო ჰშველის ხოლმე მართლის აღმოჩენას, ვიდრე მთელი კაზუისტობა საბუთებისა. („ივერია", № 251, 1894, 1).

65(4006). (თავ-დაჭერილი, ჭკვიანი სასტიკობა კანონისა — რედ.) ... ჰწრთვნის და თავის მიუდრეკლობით ასწავებს, რომ პირობას თავის რიგსა და წესზედ ასრულება უნდა! („ივერია", № 279, 1886, 2).

66(4007). თავის მორიდება, არჩევანში არ გარევა, უკეთესის კაცის ... ამორჩევაში ცხარე მონაწილეობის არ მიღება, ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია. (V, 171).

67(4008). თვალაქცევით ყოფნა პოლიციისა, სასწრაფო და ფიცხელი ძიება და დევნა ავკაცისა, სწრაფი და დაუყოვნებელი მართლმსაჯულება დიდს ზედმოქმედებას იქონიებს ხალხზე, ბევრს გაამხნევებს, ბევრს ხელს გამოაღებინებს და მთავრობა თვით მკვიდრთა შორის მოიპოვებს შველას და შემწეობას. ესეთი მღვიძარება ცალკე მთავრობისა, ცალკე მკვიდრისა, ბევრს წაართმევს ხალისს, ბევრს გაუკლავს მადას სხვის ქონების ქურდობით და ავაზაკობით შეძენისას, იმედს დაუსჯელად გადარჩენისას, ან მთავრობის ხელიდამ თავის დაბლეტისას. ბევრად შეასუსტებს, ბევრად შეამცირებს ასეთი შეერთებული ფიცხელი ზედმისევა პოლიციისა, მკვიდრისა და სასამართლოსი. (VI, 233).

68(4009). ... თვითეული ჩვენგანი უნდა განკითხულ იყოს და პასუხის მგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისის სიტყვისა და საქმისამებრ

და არა იმისებრ, რასაც სხვანი ან დაუდევრობით, ან წინდაუხედაობით თავზე მოახვევენ. („ივერია", № 21, 1905, 4).

69(4010). (ითქმის ყველა ახალი — რედ.) კანონი თამამი იერიშია ახლისა, ძველს წყობაზედ მიტანილი. (IX, 43).

70(4011). თუ ადამიანს ჰკიცხავთ, მისი საბუთი, საქმე და ნამოქმედარი გვაუწყეთ. სხვა გვარი განკიცხვა, ჩვენის ფიქრით, ლანძღვაა... („ივერია", № 6, 1877, 16).

71(4012). თუ დედ-მამის მოქმედება ... კანონის და საზოგადოების თვალით, საზღაური დანაშაულობა და ცოდვაა, შვილი მათი რათ უნდა დაისაჯოს მათის ცოდვის და დანაშაულობის გამო? (VIII. 344).

72(4013). თუ ერთს საქმეში გარეულნი არიან ოსტატი და შეგირდი, ოსტატი, რომ მტყუანი იყოს, უნდა გამტყუნდეს, რომ ბავშვმა პატარაობითვე ყოველი უფროსის პატივის ცემაზედ მაღლად სიმართლის პატივის ცემა ჩაისახოს გულში. თორემ მართალი ბავშვი თავის უფროსზედ საჩიელელად მოვიდეს და არ გაამართლო, — აქედამ რა უნდა გამოიტანოს ბავშვმა? ისა, რომ უფროსთან უნცროს სიმართლე არ გაუვა. ეს არა მგონია კარგი იყოს. („საქართველოს მოამბე", № 9, 1863, 99),

73(4014). თუ კანონი ჩვენკენ არის, შიში და ფიქრი ვისი უნდა გვქონდეს? („ივერია", № 38, 1897, 1).

74(4015). თუ კანონს ... დანაშაული რამ მიუძღვის, მარტო ის დანაშაული, რომ ძალმომრეობას ფულისას იწყნარებს და მჭამელისა და ჭმულის შუა არ ჩასდგება ხოლმე, რომ ერთი მეორეს არ აჩაგვრინოს, ერთი მეორეს არ ათელვინოს. (VII, 12).

75(4016). თუ მართალი ხარ, თავი იმართლე ... ეს ადვილად სათქმელია და ზოგჯერ შეუძლებელი ასასრულებლად. (IX, 274).

76(4017). თუ მოსამართლე ხალხის თვალში სანდო, სარწმუნო, კაცი არ არის ... მომრიგებელ შუაკაცობას ვერ აღასრულებს. (VI, 79).

77(4018). თუ სამართალი და კანონი ისეთია, რომ მისი არც კარგი სჯერათ და არც ავი, მაშინ ... ყოველიფერი ამაოა, მაშასადამე, ამისთანა საქმეში, როგორც სამართლის აღგება და დაყენებაა, ფულის დაზოგვა, ხარჯის შიში — დიდი შეცდომა და შეუვსებელი ნაკლია. (VI, 87).

78(4019). თუ ხალხს თვისი უფლება და მოვალეობა კარგად აქვს აწონილი და ცნობილი, თუ ამასთან ხორც-სისხლში გამჯდარი აქვს, რომ ჩემი მეზობლის უფლების დარღვევა, ჩემი უფლების დარღვევასაც მოასწავებს, მაშინ ნავარდი შებადურთა შეუძლებელია, მაშინ აღმა ხნული პირდაღმა არ დაიფარცხება; მაშინ კეთილად განზრახული საქმე შხამით არ ამოგვედინება ერთისა და ორის ბოროტმოქმედის კაცისაგან, მაშინ თვით ბოროტმოქმედნი ესეთის გამბედაობით და მხნე-

ობით ასპარეზზედ არ გამოვლენ. ველარ წაქეზდებიან იმით, რომ ეს ულონია და ხმას არ ამოიღებს, ამის გამო შემიძლიან ეიფარფარო რაზეენიც კი მინდაო; ველარ წაქეზდებიან თვითეულის კაცის ულონობით, იმიტომ რომ თვითოეული დამყარებული იქნება სხვებზედ, ყველაზედ; ზურგი მაგარი ექნება. (VIII, 206-207).

79(4020). თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე. მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმიტომ რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგანაც უქმად ყოფნის ნებას გრძნობა სამართლიანობისა არ მოგცემს ამ წუთისოფელში, საცა ოფლის წურვით უნდა ჰყიდულობდეს თვითოეული თავის კერძს ცხოვრებისას, და კეთილის-მომქმედიც იქნები, რადგანაც ავკაცობის ნებას არ მოგცემს გრძნობა კაცთმოყვარეობისა. (IV, 299).

80(4021). თუ ხშლობაში კანონს უსამართლოდ ჰხმარობს ვინმე, მაშინ ფარობამ კანონისამ თავი უნდა იჩინოს საგერად. („ივერია", № 129, 1887, 1).

81(4022). თუ-კი მტაცებელია სადმე, — იქ მარტო მტაცებელი არის დევნა-ძულების მიზეზი და ამის დევნა-ძულებას თხოულობს ღვთისა და კაცის კანონი და თვით ბუნება ადამიანისა. („ივერია", № 53, 1897, 1).

82(4023). თქვენ, თუ გსურთ არ ულალატოთ თქვენს მოქალაქურ მოვალეობას, ღირსება და ვარგისობა კაცისა უნდა წაიმძღვარო, როცა კაცს ირჩევთ, და სხვა ყოველი უარჰყოთ, როგორც უკადრისი რამ. („ივერია", № 100, 1893 1).

83(4024). თქვენი ლაპარაკის ჰანგს (მართალ სიტყვას — რედ.) მე ყური შევაჩვიე. თუმცა ყურსა სჭრის, მაგრამ გონებას აღვიძებს. (II, 460).

84(4025). იგი (სამართალი — რედ.) თვალწინ ლამპარსავით უნთია ადამიანს მარტო იმ დრომდე, ვიდრე გახელებული ძალა არ მოვა და ერთის შებერვით არ ჩააქრობს ხოლმე. (IX, 60).

85(4026). იმათი (ავაზაკების, ავკაცების — რედ.) სიცუდის გაფოფენა სხვას შეაყენებს. (II, 460).

86(4027). იმას კი არ უნდა ესცდილობდეთ, რომ უფლებას ფრთები შევაკვეცოთ, არამედ უფრო ვრცლად გავაშლევინოთ, უფრო დიდი სარბიელი შემოვუხაზოთ... (V, 162).

87(4028). იმედი სამართლიანის განკითხვისა ყოფილა, არის და იქნება იმ მანუგეშებელ ზნეობრივ ძალ-ღონედ, ურომლისოდაც ყოველი მოღვაწე, საზოგადო ასპარეზზედ გამოსული, გულმკვდარია, უძლური და დაძაბუნებული. (VII, 342).

88(4029). იმისთანა სამართალი, როგორიც მომრიგებელ მოსამართლეს მიენდობა, ძალიან მახლობლად უნდა იყოს ხალხზედ. უმა-

გისოდ მომრიგებელს მოსამართლობას უკეთესი ღონისძიება ერთმეა. რომ გაჭირვებულს თავის დროზედ მიეშველოს, ვნებულს თავის დროზედ მიხედოს, დარღვეული უფლება სწრაფად აღადგინოს და ნამდვილი სიმართლე აღმოაჩინოს. სხვა დანიშნულება არა აქვს მომრიგებელ მოსამართლეს, როგორც ადგილობრივს მოხელეს და სამართლის ადგილობრივს წინამძღვარს. (VI, 84-85).

89(4030). ის სახელმწიფოა მარტო მაგარს ნიადაგზედ დამყარებული, საცა ყოველი კაცი დარწმუნებულია, რომ თუ არ უცილობელის, უეჭველის საბუთით ჩემს ადამიანობას, ჩემს მშვიდობიანობას. ჩემს პატივს, ღირსებას, თავისუფლებას კანონი და უფლება არ შეეხებაო. ამ საჭიროებიდამ არის წარმომდგარი ის სახელოვანი აზრი, რომ ჰსჯობს ათი მართლა დამნაშავე გაჰართლდესო, ვიდრე ერთი ბრალი გამტყუნდესო; ამ დედა აზრზეა დაფუძნებული მეცნიერების კანონი, რომ ბრალდებულს ყოველი ღონისძიება უნდა მიეცეს თავი იმართლოსო და ყოველივე საეჭვო საბუთი მის სასარგებლოდ უნდა აღსნილიყოს და აღიარებულიო. („ივერია", № 13, 1879, 149).

90(4031). იქ თვით სამოთხის წალკოტი, მდელო
უდაბნო-ღაა ურგებ-ურწყული,
სადაც არ აბნევს თვის წმინდა ნამსა
სული მართალი და წრფელი გული. (I, 111).

91(4032). იქ პირუთვნელობა ვერ იქნება. საცა არ არის მოსმენილი მეორე მხარეც. („დროება", № 103, 1884, 2).

92(4033). იქ შიშს და რიდს ადგილი არა აქვს, საცა კაცს არაეითარი დანაშაული არ მიუძღვის. („ივერია", № 42, 1893, 2).

93(4034). იცოდეთ, დიდი ცოდვა-ბადლი თანა სდევს არჩევანსა და ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ — ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩეველად დიდისა და პატარისა. (VIII, 83).

94(4035). კადნიერად და უმართებულოდ სხვას ნუ მოექცევიან და არც სსვა მოექცევა. („ივერია", № 59, 1897, 2).

95(4036). კანონების ახსნას და განმარტებას მარტო სიტყვა-სიტყვით თარგმნაც კანონისა ყოველთვის არა ჰშველის. ამას გაწურთნილი იურისტი უნდა, იმიტომ რომ ამისთანა შემთხვევაში საჭიროა კაცმა სულს მიაგნოს კანონისას და არა მარტო ხორცსა, — და უნარს ამ მიგნებისას მარტო მეცნიერება იძლევა, მეცნიერება რჯულიერებისა. (VIII, 225).

96(4037). კანონი და სამართალი თავისუფლების ციხე-სიმაგრეა. („ივერია", № 129, 1887, 1).

97(4038). კანონი თვით კანონზე უმაღლესია და იქ, საცა კანონია, თავმჯდომარემ ხმაც არ უნდა ამოაღებინოს კრებას. ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა. (VII, 447-448).

98(4039). კანონი რჯულია ცხოვრებისა და ამიტომაც იგი სამართლისაგან ამოწვდილი ხმალიც არის ურჩთათვის და ფარიც არის საგერად და სახსნელად ჩაგრულთათვის. („ივერია", № 129, 1887, 1).

99(4040). კანონი ყოველთვის სიმართლის ხმლით ხელში წინ (უნდა ელობებოდეს — რედ.). ...დანაშაულობას. (VIII, 345).

100(4041). კანონის ახსნას და განმარტებას მარტო ნუსხურად კანონების ცოდნა არა ჰკმარის... (VIII, 225).

101(4042). (კანონის გაუგებრობას მოსდევს — რედ.) დავიდარაბა, ერთნაირად შემაწუხებელი და მავნებელი როგორც სახელმწიფო მმართველობისათვის, ისე ცალკე კაცის საკუთარ ინტერესებისათვის. (VI, 140).

102(4043). კანონის სიმტკიცე, სიმკვიდრე, მიუდგომლობა, დადგრომილება, არამც თუ დიდი რამ არის, — ჩვენის ფიქრით, მიუცილებელია საზოგადოების, თუ სახელმწიფო სიმდიდრისათვის და ეგ ყოველ-ფერი მაშინ არის, როცა სამართალი რიგიანად არის აგებული და რიგიანად წარმართებული. ყველამ უნდა იცოდეს გულდადებით, რომ მე ჩემი მალე დამიბრუნდება, მე ჩემი არ დამეკარგება. (VI, 87).

103(4044). კანონის შესავსებელად, ჭეშმარიტის სიმართლის საწარმოებლად, მართლმსაჯულობის წარსამატებლად აქ, ჩვენში, უფრო საჭირო იყო მოეწვიათ ჩვეულება და მისთვის ფართო ადგილი მიეცათ განსამართლების წესდებაში. (VI, 94).

104(4045). (კანონმა — რედ.) უნდა ამოიღოს თავისი ძლევამოსილი ხმა იქ, საცა ბატონი ფულია და სხვა ყოველი მისი ყურმოჭრილი ყმა. (VII, 12).

105(4046). (კანონმდებლობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ის უნდა იყოს — რედ.) ... რომ კანონი არ უმართავდეს ხელს ბოგანო და უმიწა-წყლო ხალხის გამრავლებას. („დროება", № 142, 1884, 2).

106(4047). (კარგი იქნება, თუ სამართლიანობისა და ჭეშმარიტებისათვის — რედ.) ... საგინებელს თუ საქებს სიტყვას საბუთს წინ წაუმძღვარებთ. (III, 289).

107(4048). კარგს *თქმელს* ტყვედ რჩების
ნატკივარი გული ჩაგრული. (I, 173).

108(4049). კაცმა არც ჰო უნდა სთქვას, არც არა რომელსამე საგანზე, თუ საგნის ვითარება არ გამოუძიებია, არ უცვნია, არ გამოურკვევია, ერთის სიტყვით, თუ ჰოსა ან არასათვის მართალი, უტყუარი საბუთი არა აქვს. ყველა ეს აუცილებელი საჭიროებაა, მაგ-

* ფეხ-ხმება სიმართლის, მართლის მოქმელი. (რედ.).

რამ საკმაო არ არის მართალის სამართლის ქმნისათვის: თვითონ განაჩენი ზედ მართალზედ უნდა იყოს გამოჭრილი და არა გულში ჩახვეულ რაღაც ბუნჯზედ. უამისოდ განკითხვა — კი არ არის, ჭორიკანაობაა და ჭორიკანაობა ხომ კუდიან მელასა ჰგავს, რომელსაც რაც აგონდება, ის ესიზმრება ხოლმე. აი ამ გვარი განკითხვაა იგი ფონი, რომელიც არჩობს ნდობასა და ჰღუპავს საქმესა.* („ივერია", № 103, 1888, 2).

109(4050). კაცმა მართალი უნდა სთქვას.** (II, 339, 363).

110(4051). კაცმა რომ კაცს უთხრას, შენ საქმე არ იციო, არა მგონია ეს უზრდელობაში ჩამოართვას ვინმემ. (VII, 388).

111(4052). კაცს მაგოდენად ვერ შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ. (VI, 7).

112(4053). (კაცს, რომელიც სხვას უკიჟინებს კრიტიკის არ-ხმარებას — რედ.) ... მოდი და ნუ ეტყვი: ჯერ დაჯე და მერე სამართალი ისე ჰქმენო. (IV, 38).

113(4054). (კონსტიტუციურ უფლებებსა და კანონიერ სუბორდინაციაზეა — რედ.) ... დამყარებული შინაგანი ძალი და სიმტკიცე საზოგადოებისა. (VI, 66).

114(4055). მართალი და საბუთიანი სიტყვა თუ ხმა ისე სჭრის, როგორც ბასრი ხმალი. (VII, 492).

115(4056). მართალი იყავ და სიმართლეს სდიე. გზა ყოველთვის კაცური გექნება. (II, 79).

116(4057). მართალი მარტო ის არის, რომ „ჰო" არა სთქვა, როცა გული „არას" ამბობს. (IV, 222).

117(4058). მართალი ყოველთვის უნდა გამართლდეს, მტყუანი — გამტყუნდეს. („საქართველოს მოამბე", № 9, 1863, 99).

118(4059). მართალია, კანონის სათავე ცხოვრებაა, მაგრამ არც უიმისობაა, რომ კანონი არ მოქმედებდეს თვით ცხოვრების ავკარგიანობაზე. აქ ერთმანეთის ზედგავლენა უეჭველია და აუცილებელი: თუ ცხოვრება სწურთნის კანონს, კანონიც სწურთნის თვით ცხოვრებასა და, მაშასადამე, საზოგადოებასაცა, ერსაცა. (VIII, 346).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო". (რედ.).

** თითქმის ანალოგიური ფრაზა („კაცმა მართალი უნდა თქვას"), იხ.: (V, 134). (რედ.)

119(4060). მართალს თავისი საკუთარი ფასი აქვს. (VIII, 102).

120(4061). მართალს თვალი თვალში უნდა გაუყარო უშიშრად. მადლი მაგასა აქვს... (II, 317).

121(4062). (მართებული შენიშვნა, სამართლიანი ბრალდება — რედ.) ... სამწუხაროა და არა საწყენი. (VII, 388).

122(4063). მართლა რომ დიდი ნაკლულოვანებაა, (სიმართლის დასადგენად უცხო ენის ხმარება იქ, სადაც ეს ენა არ იციან — რედ.) იმისთანა ნაკლულოვანება, რომლის მოწყალეობით სამართალი, ჰკარგავს რა თვისს მადლს მეტყველებისას, ხელიდამ უშვებს ერთად-ერთს ძლიერს ღონეს მართლის აღმოჩენისას. („ივერია", № 251, 1894. 1).

123(4064). (მართლად, გულწრფელად თქმული, — რედ.) სიტყვა ხმალზედ უფრო უკეთ სჭრის და ზარბაზანზედ უფრო ძლიერ მოქმედობს. (V, 150).

124(4065). მართლიერება, სამართალი, მთელის ერის განწმენდილი სინდისია, მთელის ერის განწმენდილი ნამუსია, და როგორ უნდა იკადროს ამ საყოველთაო ნამუსმა, ჯიბრში ჩაუდგეს უბედურს შემცოდველსა და „კბილი კბილი წილ და თვალი თვალის წილ"* მოსთხოვოს. აქ საჭიროა მორჯულება შემცოდველისა და არა ჯვარცმა და შანთით გლეჯა ხორცისა, ტანჯვა და წვალება. (VIII, 337).

125(4066). (მართლმსაჯულება — რედ.) ... არ დაიარება ქვეყანაზეღ ბუკითა და ნაღარითა. მისთა მსახურთა მზად-მზარეული გვირგვინი შარავანდედისა არ ადგიათ თავზედ, რომ დიადობის ქარი პქონდეს კაცთა თვალთათვის. როგორც თითონ მართლმსაჯულება, ისეც მისნი მსახურნი, მშვიდობიანად, უბუკნაღაროდ საქმობენ თავის საქმესა და მშვიდობას ქვეყნისას, სიკეთეს ოჯახისას, ნამუსს დ პატიოსნებას ჰპატრონობენ და ესარჩლებიან. თუ ეს ასე არ არის, ასე მაინც უნდა იყოს და ჩვენ მასზედ — კი არა ვლაპარაკობთ რაც არი, არამედ მასზედ რაც უნდა იყოს. (IV, 242).

126(4067). მართლ-მსაჯულება, სამართლის ქმნა ერთი იმისთანა არსებითი საჭიროებაა, ურომლისოდაც ერთი დღეც არ შეუძლიან იცხოვროს ქვეყანამ და ერმა. ვერა ურთიერთობა ადამიანისა, ვერა კრებული მისი ერთს დღესაც ვერ გასძლებს უიმისოდ — („ივერია", № 251, 1894, 1).

127(4068). (მართლმსაჯულების — რედ.) საქმე დიდია და დიდი არის იგიც, ვინც გულთბილად, კაცთმოყვარეობით, პატიოსნად და სწორის სასწორით ხელში ემსახურება და ჰმსახურობს. (IV, 242).

128(4069). მართლმსაჯულობას გახურებული რკინის თვისება აქვს. იგი სწვავს, როცა სუსტს მხარეს შეეხება ხოლმე და მაგ თვი-

* შდრ.: „თუალი თუალისა წილ, და კბილი კბილისა წილ" („ახალი აღთქმა", ტუ.. 1879, გვ. 8). (რედ.).

სებას ვერაეინ ვერ ჩამოართმევს მართლმსაჯულობასა ზრდილობის სახელითა. (VII, 388).

129(4070). მარტო გონიერი, კეთილ-ზნეობითი, საერთოდ აღიარებული ჩვეულება, რომელიც, ხალხის სიტყვით, რჯულთ უმტკიცესია, რომლის უარყოფა სალხს უსამართლობად მიაჩნია ... მეცნიერებაში რჯულთდებულების სათაევდ ცნობილია.* (VI, 93).

130(4071). მარტო ერთი მდევრობა, ხმაურობა და განგაშიც დიდი რამ არის, რომ ქურდობას და ავაზაკობას მადა და ხალისი დაეკარგოს ცოტათ თუ ბევრად და ცოტად თუ ბევრადვე კბილი მოეჭრას. ესეც ღვთის წყალობა იქნება, თუნდ მაგ ხმაურობისა და განგაშისაგან სხვა არა გამოვიდეს-რა. (VI, 224).

131(4072). მგლის შიშით ცხვარი არაეის გაუწყვეტია** და ტყუილის შიშმა, რად უნდა გააჩეროს მართლისა და ჭეშმარიტების ძიება. („ივერია", № 37, 1889, 2).

132(4073). მდაბიო ხალხის გონებითი და სხვაგვარი საუნჯე მარჯო იმის ლექსებში, ანუ პოეზიაში როდი გამოიხატება, არა, ეს საუნჯე უხვად დათესილი და დარჩენილია ისეთს ნაწარმოებებში, რომელნიც სრულებით არ ეკუთვნიან პოეზიის სფერას. ამ გვარია, ბაგალითებთ, ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურს და იურიდიულ ცხოვრებას. (IV, 191).

133(4074). მე არ ვეჭობ, რომ მოვა დრო, და, თავისუფლება და სამართალი ... დაემჯობინება მთელ სპა ლაშქარსა, წინაშე მათთა ხმას გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი. აქ არის ყოვლად-მხსნელი ღონე და სასოება ადამიანისა... (X, 141-142).

134(4075). მე მგონია, კანონი დიდისა და პატარისათვის ერთი უნდა იყოს. (II, 347).

135(4076). მანამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ ვეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? (II, 223).

136(4077). მიხვეულ-მოხვეულს სწორე სჯობია. (II, 283).

137(4078). მკვიდრთა უშიშარყოფა სიცოცხლისა და ქონების მხრივ ერთი უდიდესი, თუ არ უპირველესი, მოვალეობაა სახელმწიფოსი. უამისოდ არც წინსვლა ერისა, არც წარმატება რაშიმე შესაძლებელი არ არის. ამიტომაც ბევრმა რამ სხვამ ამ უშიშარყოფას თავისი უპირატესობა და ადგილი უნდა დაუთმოს, თუ სხვა ღონე არ არის. თუ მაინცდამაინც პოლიციას სხვა უფრო დიდი და მძიმე საქმე აქვს, მაშინ მკვიდრთა უშიშარყოფას სხვა პატრონი, სხვა მოხელეობა უნდა

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო" (რედ.).

** ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

გავუჩინოთ ღა არ უნდა დავტოვოთ ეს საქმე იმათ ხელში, ვისაც იმისათვის დრო და მოცალეობა არა აქვს. ეს აშკარაა. (VI, 226-227).

138(4079). მოვა დღე კრიტიკის განკითხვისა და მართალთ მარჯვნივ დააყენებენ და ცოდვილთ მარცხნივ. (III, 47).

139(4080). (მომრიგებელ — რედ.) მოსამართლეს გამჭრიახი გონიერება უნდა ჰქონდესო, პატიოსანი ხასიათი და უჩირქო ყოფა-ცხოვრებაო. (VI, 80).

140(4081). მომრიგებელ მოსამართლეს უპირატესი ზედმოქმედება უნდა ჰქონდეს საყოველთაო წესიერების და მშვიდობიანობის დაცვისათვის და დამყარებისათვის. (VI, 77).

141(4082). მომრიგებელ მოსამართლის მრავალგვარი მოვალეობა ისეთია, რომ ყოველს შტოს სახელმწიფო მმართველობისას და ყოველ მხარეს ხალხის ცხოვრებისას შეეხება. (VI, 76-77).

142(4083). (მომრიგებელი მოსამართლე — რედ.) უნდა სანდო და სარწმუნო კაცი იყოს მცხოვრებთა თვალში. (VI, 77).

143(4084). მომრიგებელი მოსამართლე უსათუოდ იმ ადგილის შვილი უნდა იყვეს, საცა მოსამართლობა უნდა და, გარდა ამისა, იქაურ მცხოვრებთაგანვე აღმორჩეული. (VI, 78).

144(4085). (მომჩივანს, რომ ყველა უტყუარი საბუთი ხელთ ჰქონდეს, მაშინ — რედ.) ... მართალს წინ რაღა დაუღგებოღა! (VIII, 123).

145(4086). მოსამართლე ... ყველასათვის ყოველს ჟამს საჭირო კაცია. (VI, 77).

146(4087). მოსამართლე ხელმწიფის ყურია. (II, 331).

147(4088). მოსამართლემ უსათუოდ უნდა იცოდეს ენა იმ ერისა, საცა ჰსამართლობს. („ივერია", № 251, 1894, 2).

148(4089). მოსამართლეს მოჩივარის ენა უნდა უსათუოდ ესმოდეს, იმიტომ რომ თავის ყურით გაგონილი, თავის ყურით სმენილი უფრო უტყუარია, უფრო ზედმიწევნილია, უფრო მართალია და, რადგანაც მართალია, უფრო შეუცდომელს საბუთს აძლევს შეუცდომელის განკითხვისა და განაჩენისათვის. (VIII, 279).

149(4090). მოსამართლეს რომ თავის ყურით არ ესმოდეს მოჩივარის საჩივარი და გულის-ტკივილი, რა მოსამართლეა? მოსამართლემ რომ თავის ყურით არ მოისმინოს მოწმის ჩვენება, საცა ხშირად ერთი სიტყვა, ასე თუ ისე გამოთქმული, უფრო დიდის და ცხოველის ნათელით მოჰფენს ყოველს საქმის გარემოებას, ვიდრე მთელი ლაქლაქი უვიცის და ბრიყვის მთარგმნელისა — ის, რა მოსამართლეა? მოხელე, რომელსაც მე ჩემსას ვერას გავაგებინებ და ის თავისას, — ის რა ჩემი მომვლელია? აქ მარტო სახეა და არა სული და ხორცი. (V, 36).

150(4091), მოსამართლობა, მსაჯულობა, ჩუმია, წყნარია, უხმაური, უბუკ-ნაღარო. ღვაწლი მოსამართლისა, მსაჯულისა, ისეთი ერთიანი

არ არის, როგორც მაგალითებრ, ციხის აღება, ქვეყნის დაპყრობა, ომის მოგება და სხვა რამ ამ-გვარი დიდი, თვალ-საჩინო და ერთბაშად დასანახავი საქმე, რომელიც ერთბაშადვე აცვიფრებს აღამიანს. იგი განუწყვეტელი ძეწკვია ყოველდღიურის ღვაწლისა; იგი ერთი-ერთმანეთზედ ზედასხმული მარცვლებია ადამიანის საყოველდღეო მოქმედებისა. (IV, 246).

151(4092). ... მოქალაქურ ურთიერთობაში კარგა მოზრდილი ადგილი უჭირავს იმისთანა საქმეს, საცა მარტო სახელმწიფოს შეუძლიან ნუგეში და იმედი მშვიდობით-ყოფნისა აძლიოს თვისთა ქვეშევრდომთა განურჩეველად დიდისა და პატარისა, ღონიერისა და უღონოსი, ჩაგრულს, დევნილს ხელი აწოდოს შველისა და ხსნისა და ყველას კანონი წაუმძღვაროს წინ პირუთვნელად, პირმიუფერებლად, მიუდგომლად, როგორც მაშინ, როცა მოქალაქეთაგან მოვალეობის აღსრულებას თხოულობს გარემოება, ისეც მაშინ, როცა უფლება მოქალაქისა ღაღადებს ადამიანის ხსნად უკანონოდ ხელშეხებისაგან.

მოხელეობას ამ უწმინდაეს უფლება-მოვალეობის გარე არც მიზეზი აქვს არსებობისა და არც საბუთი. აქ არის მისი მაღალი საზოგადოებური მნიშვნელობა და მისი აუცილებელი საჭიროება ქვეყნისათვის. („ივერია", № 276, 1895 1).

152(4093). მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთის სიტყვით ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი სინიდისია მთელის ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შეძლებისამებრ განწმენდილი და კუთვნილ სიმაღლეზედ დაყენებული. (VIII, 337-338).

153(4094). მსხვერპლი, ქვეყნის სახელით მოთხოვნილი, შესაწყნარებელია და სამართლიანი. (VI, 117).

154(4095). მტკიცე და მიუცილებელ საჭიროებად აღიარებულია და დადგენილი, რომ მომრიგებელი მოსამართლე თითონ მცხოვრებლებმა აღმოირჩიონ ხოლმე თვის შორის. (VI, 79).

155(4096). მშვიდობიან და ნუგეშიან ცხოვრებისათვის განა ცოტაა, რომ ... ყოველმა მკვიდრმა წინადვე იცოდეს, რომ დაუსჯელად მის უფლებას უკანონოდ ვერავინ შეეხება, ვერავინ შელახავს, არამც თუ მისივე მზგავსი მკვიდრი, არამედ თვით მოხელეც კი. („ივერია", № 276, 1895, 2).

156(4097). ნუ ვიქნებით უმადურნი და ყველას თავისი მივუწყოთ ხოლმე. ხალისი ამით მხნეობს და მხნეობა ამით ჰხალისობს. (IV, 244).

157(4098). ნუთუ ამ (მართლმსაჯულების — რედ.) არა-მყვირალა საქმეში კაცი ჩაბმული და პატიოსნად მოღვაწე არ შეიძლება დიდ-

ბუნებივანი იყოს, მარტო იმიტომ, რომ თითონ საქმე მყვირალა არ არის, ჩუმია და ხმაამოუღებელი? ნუთუ თითონ საქმე, ურომლისოდაც მთელი ქვეყნიერობა ერთს არეულს და ერთმანეთის მჭამელს მხეცთა გროვას წარმოიადგენდა, ნუთუ, — ვამბობთ, — თითონ ეგ საქმე დიდი არ არის მარტო იმიტომ, რომ ბუკითა და ნაღარით არ იჩენს თავსა!.. (IV, 242).

158(4099). ნუთუ ამის გამოცნობას დიდი ჭკუა უნდა, რომ ეესაც და კარგსაც, ტყუილსაც და მართალსაც თავისი საკუთარი ბუნება აქვს და თვითოეული თვისდა ბუნებისამებრ უნდა გაირჩეს და გამოიზომოს და არა სიახლით და სიძველითა. (III, 295).

159(4100). ნუთუ სადმე ხალხი საზოგადოდ და ჩვენი საკუთრივ იმისთანა ტყის ნადირი იყოს, არ ესმოდეს, — ვისზედ მიენდობა უფრო გული, ვინ უფრო ღირსეული და სარწმუნო კაცია მის ახლომახლო, რომ მას წაავლოს ხელი და იგი დაიყენოს მოსამართლედ? (VI, 83).

160(4101). ოცჯერ ზომეა, ერთხელ ჭრაო* —
წესია მეფეთ ქებულთა. (I, 183).

161(4102). პირდაპირი სიტყვა სჯობია ტყუილ-უბრალო წაქეზებას. (III, 90).

162(4103). პირველდაწყებითი კანონი და მოძღვრება მთელის განათლებულის თუ გაუნათლებელ კაცობრიობისა ის არის, ჯერ ბრალმდებელს უნდა დაასაბუთებინო ბრალდება ამოდენად, რომ დასაჯერი მაინც იყოს, და მას მერმეთ, დიაღ, მხოლოდ და მხოლოდ მას მერმეთ მოეკითხოს ბრალდებულს პასუხი. უამისოდ ბრალდებულთა სკამზე დასმა ადამიანისა პასუხის საგებლად წარწყმედაა, მიწასთან გასწორებაა, პირქვე დამხობაა იმ საკაცობრიო სამართლისა, მართლმსაჯულებისა, რომელზედაც აშენებულია მთელი ადამიანური ურთიერთობა, მთელი ადამიანური ყოფა-ცხოვრება. (IX, 272).

163(4104). რა არის მართალი მითქმა-მოთქმაში და რა არის ტყუილი, ამას კაცი ძნელად გამოარკვევს, რადგანაც უეჭველი და უტყუარი საბუთი ამისთანა შემთხვევაში ძნელია კაცმა ხელთ იგდოს. (VII, 439).

164(4105). რა თქმა უნდა, რომ ყოველივე დანაშული კაცისა წინაშე კაცთა და საზოგადოებისა ასე თუ ისე დასჯილ უნდა იქმნას, ესე იგი ყოველივე ბოროტად მოქმედი კაცი უნდა დაყენებულ იქმნას ისე, რომ ვერ შესძლოს ბოროტის ქმნა, თუ მოურჯულებელია, და თუ მოსარჯულებელია — ისე უნდა გარემოცულ იქმნას, რომ მორჯულდეს,

---

* ამ ტაეპის შესახებ კომენტარი იხ.: მ. ჩიქოვანი, „ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი წყაროები" („ფოლკლორი და ლიტერატურა", X, თბ., 1980, გვ. 35-36) (რედ.).

ეასწორდეს, გაკეთდეს და ისევ პატიოსანს კაცად დაუბრუნდეს საზოგადოებას. (VIII, 337).

165(4106). რა თქმა უნდა, უარარაობას ისევ ცალი უღელი ხარი სჯობია, მაგრამ სამართალი ისეთი მძიმე საზიდარია, რომ ცალი უღელი ხარი დიდს სამსახურს ვერ გაუწევს.* („ივერია", № 251, 1894, 2).

166(4107). რა ძნელი ყოფილა ჩვეულება. (III, 374).

167(4108). რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება? (I, 14, 279).

168(4109). რადგანაც ღირსება და პატივი ადამიანისათვის ძვირფასი რამ არის, კანონი უნდა ფრთხილობდეს უმართლო განაჩენმა არავის შეუბღალოს ადამიანური ღირსება და ადამიანური პატივი განზრახ, თუ განუზრახველად. (VIII, 222).

169(4110). რასაკვირველია, ნაბდვილად ცნობილს და გამოკვლეულს ადგილობრივს გარემოებას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს ყოველს ბთავრობის განკარგულებაში საზოგადოდ და კანონმდებლობაში საკუთრივ. (VI, 74).

170(4111). რაც ვინდა დამწამონ, რაც ვინდ გუნდრუკის კმევა მიკიჟინონ, მე ამაებს არ შევუშინდები და ... უეჭველს მართალს გულის სიწმინდით ვიტყვი... (VI, 260)

171(4112). რაც დაბტკიცებულია, ის მართალია; რაც მართალია, ლანძღვა არ არის. (III, 47).

172(4113). რაც საჯაროდ თქმულა, საჯაროდ განსაკითხავიც არის. („ივერია", № 103, 1891, 2).

173(4114). რაც სხეისა, — ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია — ეგ ჩემი უფლებაა. (VI, 8).

174(4115). ... რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის. (VI, 8).

175(4116). რიგიანი არჩევანი მაშინ იქნება, როცა ამომრჩეველი სრულიად თავისუფალია არჩევანში. (VIII, 200).

176(4117). რომელი კანონია ისეთი, რომ ვისმე შეპრისხოს, რად შეჰკარ და გააუქმე იმისთანა ხიდი, რომელიც ჩატყდება და ას და ორას კაცს თან ჩაიტანს წყალში დასალუპავადო? (VIII, 71).

177(4118). საბუთად მოყვანა იმისი, რომ სიკვდილით დასჯა ამრავლებს თუ აკლებს დანაშაულობას — არასფერს არ მოასწავებს, რად-

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ს

განაც დანაშაულობის სიმრავლე სხვა ათასნაირ მიზეზებზეა დამოკიდებული. (X, 466).

178(4119). საბუთი, რაც გინდ დამალო, დღესა თუ ხვალე გამომჟღავნდება და თავისას გაიტანს. (VIII, 108).

179(4120). სადაც ერთს აქებენ და მეორეს მოქმედებას უზრახვენ, თუ უცილობელი საბუთი არ არის, ჩვენ ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერ შევიწყნარებთ. („ივერია", № 12, 1886, 4).

180(4121). საზოგადო კრება კანონის უმთავრესი მცველია. (III, 281).

181(4122). საზოგადო მოღვაწეთა ულოღიკობა საშიში არ არის: ვერავის წაიცდენს ხანგრძლივად, ვერავის წაიტყუებს. (VIII, 269).

182(4123). საზოგადოდ მართლიერების მეცნიერებაში მიღებულია, ყველგან მართლმსაჯულების წესად დადებულია, რომ რომლის დაწესებულების განაჩენი მოდის აღსრულებაში, იმავე დაწესებულებამ უნდა განიხილოს და გაარჩიოს ყოველივე საჩივარი, აღსრულებისა გამო გამოწვეული, და ამ მხრით დარღვეული უფლება აღადგინოს. (VI, 196).

183(4124). საზოგადოდ ცნობილია, რომ ადამიანი თვით ისტორიის პირველ ხანებში, ესე იგი ჯერ მაშინ, როცა სწავლისა და მეცნიერების სიოც არ მიჰკარებოდა და ფეხიც არ დაედგა ცივილიზაციის გზაზედ და ყოველმხრივ მოუმზადებელი იყო, ჯერ მაშინ მეთქი — მოსამართლეს, თუ არ არჩევნით, სხვაფრივ არ განიწესებდა. (VI, 83).

184(4125). (საზოგადოებას თუ სურს მშვიდად იცხოვროს და იღვაწოს, დროულად უნდა ამხილოს — რედ.) ის დამალული მშვილდი, რომელიც დაშხამულს ისარს ისვრის ძულებისას და დევნისას. („ივერია", № 53, 1897, 2).

185(4126). საზოგადოების ცხოვრება, ერის ბედის-ტრიალი, თვითეულ ცალკე ადამიანის სულისა და ხორცის ავი და კარგი ხშირად და ძალიან ხშირადაც დამოკიდებულია მოხელეობის (მართლმსაჯულების — რედ. ავ-კარგიანობაზე, იმაზე თუ — რამოდენად უცილობლად და ადვილ გამოსარკვევად განსაზღვრულია მოხელეობის ერთის მხრით მოვალეობა, რომელიც შეადგენს უფლებას თვითეულის ქვეშევრდომისას და მეორეს მხრით უფლება, რომელიც სხვა არა არის რა გარდა ქვეშევრდომის მოვალეობისა. („ივერია", № 276, 1895, 1).

186(4127). სამართალი და განათლების საქმე ასეთი უაღრესნი და არსებითნი საჭიროებანი არიან სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, რომ აქ ფულის გაფრთხილება, ფულის დაზოგვა, ხარჯის შიში, მეტად მავნებელი რამ არის, როგორც საზოგადოებისათვის, ისე საერელმწიფოსათვის. (VI, 86).

187(4128). სამართალი და კანონი უნდა ყველას სწამდეს თავის ძეარველად, თავის სახსნელად. (VI, 87).

188(4129). სამართალი და სიყვარული, ერთმანეთთან ხელჩართული, — აი ის უშრეტი წყარო, საიდამაც წარმოდინდება მადლი მარიველობისა და კეთილი ქვეყნისათვის. („ივერია", № 49, 1897, 1).

189(4130). სამართალი და სიყვარული ჰქმნის იმ ერთ სულობას, ერთგულობას, რომელიც ასე საჭიროა სახელმწიფოს მაგრად და მკვიდრად დგომისათვის, ერთად-ერთი ზღუდეა, რომელსაც ყოველივე ავი და ბოროტი ზედ შეასკდება ხოლმე, როგორც სალსა კლდესა და ერთად-ერთი საწყაოა მართველის ღვაწლისა. („ივერია", № 49, 1897, 1).

190(4131). სამართალი იმისთანა რამ არის ადამიანისათვის, რომ მარტო თავის დანიშნულებას უნდა ემსახურებოდეს, და თუ სამართალი ორს კურდღელს გამოუდგა, ვერც ერთს ვერ დაიჭერსო.* (VIII. 280).

191(4132). სამართალი უნდა იყოს იმისთანა კაცის ხელში. რომელსაც ხალხი იცნობს, ხალხი ენდობა და ხალხი პატივსა სცემს, და რომელსაც ... თითონ გული უნდა შესტკიოდეს, რომ უწესობა, ურიგობა არ იყოს მის სახელოში; მშვიდობიანობა, უშიშროება არ იქმნას დარღვეულ; ყველა დარწმუნებული იყოს, რომ დანაშაულობა, ბრალი, დაუსჯელად არ ჩაივლის, წანახედი, ზიანი უზღვეველად არ დარჩება. (VI, 78-79).

192(4133) სამართალია ძალა. (IX. 199).

193(4134). სამართალს სხვა რა აქვს საგნად, თუ არ მართალის მფარველობა. („ივერია", № 186, 1894, 1).

194(4135). სამართლიანი განკითხვა არავისათვის სათაკილო არ არის, პირ-იქით. უამისობა სიკვდილია ... დედა-ბოძის გამოცლაა შენობისათვის. („ივერია", № 103, 1888, 2).

195(4136). (სამართლიანობას — რედ.) ყოვლთ უწინარეს. ხელთ უნდა ეჭიროს სასწორი საზოგადოებრიეის საქმის განაჩენისათვის. (VI, 136)

196(4137). (სამართლიანობისა და განკითხვის უნარის — რედ.) ... უქონლობა ვერც ცალკე კაცს წასწევს წინ წარმატების გზაზედ, ვერც საზოგადოებას, ვითარცა ცალკე კაცთა კრებულსა. (IV, 228).

197(4138). სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო.** ამბობს ჩვენი ქართველი კაცი. ყურადღების ღირსია ამისთანა რწმენა ხალხისა. (VI, 22).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო" (რედ.).

** ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა (რედ.)

198 (4139). სამართლის კარი არავის არ უნდა გამოეგულოს და ყოველთვის და ყველასათვის ღია უნდა იყოს. („ივერია", № 186, 1894,1).

199 (4140). სამართლის ურიგოდ მოწყობილება ცვავია — რომელიც სნთქავს ხალხის სიმდიდრესა, მახვილია — რომელიც ჰკვეთს ფრთებსა ხალხის ხელთმოქმედებას და ეკონომიურს წარმოებას. (VI,86).

200(4141). ... სამართლის ქმნა ერთი იმისთანა აუცილებელი, ყოვლად ძლიერი მოქმედებაა, რომელზედაც დამყარებულია მთელი სასოება და იმედი მშვიდობით მყოფობისა, ადამიანის ღირსებისა, სახელის. ოჯახისა და ქონების სარჩლისა და მფარველობისა. („ივერია, № 251, 1894,1).

201(4142). სამართლის ქმნა მარტო სამართლის ქმნისათვის უნდა იყოს და სხვა ამის მეტი არა აეკიდოს — რა. თუ სამართლის ქმნას სხვა საგანიც რამე აჰკიდეთ ზურგზე, იგი ჰკარგავს თვისს არსებითს მნიშვნელობას. თვისს ბუნებას, თვისს მაცხოვრობას. თვისს საპატიო მიზეზს არსებობისას. („ივერია", № 251, 1894,1).

202(4143). ... სამართლის ქმნა სამართლის ქმნისათვის უნდა იყოს და არა რას სხვას არ უნდა ემორჩილებოდეს. („ივერია", № 251, 1894,2).

203 (4144). ... სამი რამ საბუთია წინააღმდეგ სიკვდილით დასჯისა: ა) აჩლუნგებს გრძნობას ბუნებურს, რომელსაც სისხლი ეზიზ/ღ/ება და ხშირის ნახვით-კი ყურიც ეჩვევა და გრძნობაც*... ბ) არყევს ზნეობას, რადგანაც ა რ თ მ ე ვ ს ი მ ა ს, რ ი ს მ ი ც ე მ ა ც ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ნ; გ) შეცდომა დასჯისა აღარ სწორდება და უდანაშაულოს ჰკლავს. (X, 465).

204 (4145). სამუდამოდ დაიმახსოვრე, რომ მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არა დაარღვიო იგი. (X, 81).

205(4146). სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს. (II, 108, 118).

206(4147). (სასურველია — რედ.) ... რომ უმცირესობა ხმაამოღებლად, განუკითხავად, უნებურად არ ეძლევოდეს ხელში უმრავლესობას და იმასაც გზა ჰქონდეს თავისის ლარისა და ხაზის ვატანისა, თავისის ინტერესების მოვლისა და პატრონობისა, რაოდენადაც შესაძლო და შესაწყნარისია. (VIII, 89-90).

---

* ილია, აზრის ჩაწერის დროს, ფიქრში გართული. ვერ ამჩნევს უბრალო სიტყვიერ ლაფსუსებს (ამ ფრაზაში, ნაცვლად სიტყვისა, „ყურიც" უნდა იყოს „ენაც"). (ეს შენიშვნა პ. ინგოროყვასია — რედ.).

207(4148). ... სასურველია, რომ უმცირესობა ხმაამოუღებლად, უმონაწილეოდ არ დარჩეს იქ, საცა უმრავლესობა განაგებს და სწყვეტს სხვათა შორის უმცირესობის სვე-ბედის საქმეებსაც. (VIII, 90).

208(4149). საქმე ის არის, რომ მხილება ავისა და ბოროტისა საფუძვლიანი და საბუთიანი იყოს და არა მოჭორილი, და სამდურავისა, ან წყენის, ან შფოთის ატეხის შიშით ნურავინ გაიხეთქს გულს. (VIII 102-103).

209(4150). ... საქმე, რომლიდამაც სხვადასხვა დასკვნა შესაძლოა კაცმა გამოიყვანოს, არ უნდა იყოს ხმარებული საბუთად მარტო ერთის დასკვნისათვის. ეს მართლმსაჯელობის უცილობელი კანონია. (VI, 133).

210(4151). საქმე სამართლიანად მოქცევაა. სხვა ყოველი, რაც გინდ მწვავი რამ შეემთხვას ადამიანს სამართლის პირდაპირობითა და სახელითა, ჭკვათ-მისაღებია, ვითარცა აუცილებელი ქვაკუთხედი კაცთა კრებულის აგებულებისათვის. უამისოდ ქვეყანა ვერა ჰხეირობს, ვერა უფლება თავისს კეთილს ნაყოფს ვერ გამოიღებს და თვით უფლება სხვა რა არის, თუ არ ღონე დათრგუნვილი სამართლის აღდგენისა და სამართლისათვის გზის გაკაფვისა და გახსნისა. სხვა უაღრესი მიზეზი და საბუთი არსებობისა უფლებას არა აქვს-რა. („ივერია", № 49,1897,1).

211(4152). საცა ბრალმდებელია, იქ მფარველიც უნდა იყოს. მარტო ამ ორკეცად გასინჯულ საქმეს მოსდევს მართალი და ჭეშმარიტი. კაცობრიობას დღეს — აქამომდე სხვა გზა არ აღმოუჩენია ჭეშმარიტის და მართლის მოსაპოებლად. (V,91).

212(4153). საცა მართლ-მსაჯულება, სამართლის ქმნა ცუდად არის აგებული და მოწყობილი, იქ, ჩვენის ფიქრით, იმედი უნდა გადაწყვეტილი ჰქონდეს კაცს, რომ მისი მუდამი წყურვილი საკეთილდღეოდ წარმატებისა ვერას იზამს, რაც გინდ გაისარჯოს და დიდი მხნეობა გამოიჩინოს. იქ ყველაფერი უქმია, ყველაფერი უღონო და უძლური. („ივერია", № 251,1894,1).

213(4154). საცა ცხადი და აშკარა უსამართლობაა იქ სამართლიანობის პოვნა ყველასათვის ადვილია, იქ ბევრი თავისტეხა არ უნდა, რომ კაცმა მართალი იპოვოს, და იმ მართლის კვალობაზედ ყველას თავისი მიუწყოს. (VI, 137).

214(4155). საჭიროა გულახდილად ლაპარაკი, პირდაპირი, პირმოუფერებელი თქმა. (VII, 353).

215(4156). სახელი ყოველთვის თვით საგანს არა ჰნიშნავს და არც საგნის ვითარებას. (VI, 251).

216(4157). საჯარო კრებაზედ ყოველთვის ძნელია სამართლის გაბრუდება... (VI, 197).

217(4158). სიიეფე სამართლისა განა მარტო იმისაგან წარმოსდგება, რომ სამართალი განთავისუფლებულ იყოს ყოველ სახელმწიფო ბაჟისა და ხარჯისაგან, არამედ იმისაგანაც. რომ გაჭირვებულს შორი სატარებელი არა ჰქონდეს თავის გულის დარდის ასაყრელად, თავის ზიანის შესავსებლად. თავისის და თავის ოჯახის პატივისა, ადამიანობის დასაცველად. შორი სატარებელი ბევრს ხარჯს, ბევრს დროს ითხოვს ხალხისაგან. ხალხს ეს ძალიან ძვირად უჯდება, ისე რომ ხშირად იძულებულია ხოლმე თავი დაანებოს საჩივარს, ოღონდ კი არ მოსცდეს თავის შინაურს საქმესა და ხარჯი არ გასწიოს წასვლა-მოსვლაში. საცა მთავრობა, რომელისამე მიზეზით ამ ყოფაში ჩააგდებს ხოლმე ხალხს, იქ ხალხის თვალში — სამართალიც, რომელსაც სიშორით ვერ მიჰკარებია, მოსამართლეც — რომელსაც შორიდამ ვერ მისწვდენია, ის არის სწორედ, რაც მაღლა დაკიდებული ძეხვი კატისათვის. მეტი რა გზა აქვს, რომ კატასაეით არა სთქვას: დღეს არ მეჭმევა, პარასკევიაო. ამ ყოფაში ხალხს სამართალი თვის მფარველად აღარ მიაჩნია და ამის გამო ამბობს გულში: რაც ჩემთვის არ არის, თუნდა იყოს, თუნდა არაო.* (VI, 85-86).

218(4159). სიმართლე ეამამად ვუთხრათ ყველას. („დროება", № 103, 1884, 2).

219(4160). სიმართლე თქმულისა მთქმელს უნდა მოეკითხოს. („ეკვერია", № 137, 1897, 3).

220(4161). (სიმართლესა და კაცთმოყვარეობას — რედ.) ამ ორ ქვაკუთხედს ადამიანის მშვიდობიანობისას და ბედნიერებისას ვერაფერი ვერ დასძლევს, ვერაფერი ვერ გადაეღობება, და ადრე თუ გვიან თავის გზას იპოვის და თავის ადგილს დაიჭერს კაცობრიობის ცხოვრებაში კაცთა საბედნიეროდ. (IX, 202).

221(4162). სიმართლის გამოძიებაში უფროს-უნცროსობა არ უნდა იყოს. („საქართველოს მოამბე", № 9, 1863, 99).

222(4163). (სიმართლისა და სამართლიანობის მაძიებელმა უნდა სდიოს — რედ.) მტყუანს ტყუილის კარამდინ. (IV, 79).

223(4164). (სიმართლისა და სამართლიანობისათვის ბრძოლაში საჭიროა — რედ.) მოთმინება ვიქონიოთ და ტყუილს ტყუილის კარამდე ვდიოთ. (IX, 282).

224(4165). სიმძიმეს დანაშაულობისას უნდა შეეწონის სიმძიმე სასჯელისაც. (VIII, 221).

225(4166). სიტყვა, პირდაპირ თქმული და პირდაპირ სიმართლის ყურადღებ მიხწეული, დიდი საშველი ღონეა სამართლის ქონისათვის.

---

* ამ ციტატაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო. — პარასკევია დღესაო". (რედ.).

საცა ამ სიტყვას გზა შეკრული აქვს, იქ ნურავინ იტყვის. რომ სამართლის გზა გახსნილიაო. („ივერია", № 251, 1894. I).

226(4167). სიტყვას დროება გაამართლებს. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად. IV, 299).

227(4168). სიფრთხილით წინდახედვით შიშით და კრძალვით უნდა აირჩიონ ხოლმე ქალაქის თვითმმართველობის კაცები. (VIII, 72).

228(4169). სწრაფი და დაუსანებელი განაჩენი... — გამართლებისაა, თუ გამტყუნებისა, — რაკი ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებს მიზეზიანს ლოდინსა, ბევრს დროსა და ხანს აღარ მისცემს გულთა-თქმათა გაძლიერებას. უცნაურობით საშიშს მერმისს დამნაშავისას ცხადპყოფს და ამით მისს ჰოსა და არას შუა ყოფნას დასასრული ეძლევა. ამ გზით გულის ჩოჩქოლი ჰნელდება, ფიქრს უცნაური შიში აღარ იტაცებს, უკვე გადაწყვეტილის ბედის დამორჩილება იღვიძებს და გულისთქმანი წყნარდებიან... (VI, 230).

229(4170). სხვაგნით მოყვანილი კაცი, რაც უნდა კარგი იყოს, ვერ იზამს იმისთანა მოსამართლეობას, რომლის აზრიც კანონმდებელთა ჰქონდათ. პირველი, რომ იმის სიტყვას, როგორც უცნობის და ხამის კაცისას, ისეთი ზედმოქმედება არ ექმნება, როგორიც შინაურის კაცის რჩევას; მეორე, რომ ადგილობრივ ყოფა-ცხოვრების და ჩვეულების უცოდინარი იმისთანა მორიგების გზას ვერ უჩვენებს მოდავეებს, რომ შეეფერებოდეს საქმის ჭეშმარიტს და არა ფორმალურს გარეგნობასა. (VI, 91).

230(4171). სხვის გულში — მართალი ადვილი საპოვნელი არ არის. (III, 312).

231(4172). სჯობია იცოდე სამწუხარო ჭეშმარიტება, ვიდრე სასიხარულო სიცრუე. მგონი, არა ვცდები. (X, 207).

232(4173). სჯობს, რომა თითონ (მტყუან — რედ.) ამხანაგს ბისცე დარიგება და მართალს კი სამართალი მისცე. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად. IV, 308).

233(4174). სჯობს სიგლახაკე სიმართლით,
ცრუს დიდსა, გამდიდრებასა.* (IV, 222).

234(4175). სჯობს ტყუილით ქვე-ყოფნასა
ზე სიმართლით ავიბარგო.** (IV, 222).

235(4176). ტყუილი მიწმე განა ისე ადვილად გაასაღებს თავის ნათქვამს, რომ გზა და კვალი ველარ ვუპოვოთ? (IX, 285).

236(4177). უმთავრესი დანიშნულება... მოსამართლისა და უმაღლესი ღირსება მისის მართლმსაჯულებისა ის არის, რომ მშვიდობის მყო-

* ეს სენტენციაა ეკუთვნის არჩილს. (რედ.).
** ამ შეგონების ავტორია დ. გურამიშვილი. (რედ.).

ფელ შუაკაცად უქმნეს მოდავეთ და მათ შორის მორიგება ჩამოაგდოს. რომ ეს დიდი დანიშნულება მართლა მიღწეულ იქმნეს, ამისათვის, საჭიროა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ენდობოდნენ მომრიგებელ მოსამართლეს. ამ ნდობის მოსაპოებლად ისე კანონების ცოდნა არ არის საჭირო, როგორც ცოდნა ხალხის აზროვნობისა, ზნისა, ჩვეულებისა, ერთის სიტყვით — ყოველ იმისა, რითაც გარემოცულია ადგილობრივი ცხოვრება საზოგადოდ, — და ამასთანავე საჭიროა საკუთრივ კაცსა (მოსამართლეს — რედ.) ჰქონდეს გამჭრიახი გონიერება, პატიოსანი ხასიათი და უჩირქო ყოფა-ცხოვრება. (VI, 76).

237(4178). („უმრავლესობის კანონი" — რედ.) ... იმას კი არა ჰნიშნავს, რომ იქაც, საცა მართალი აშკარად უმცირესობაკენ არის, უსათუოდ უმრავლესობამ უმცირესობა სძლიოს და ითაყვანოს. ეგ ძალმომრეობა იქნება და არა იგი სამართალი, რომლითაც ადამიანი ადამიანობს ვით ზნეობრივი არსება, და რომლის გამოც ჩვენი ანდაზა ამბობს: სამართლით ამოთხრილი თვალი არ მეტკინებაო. (VI, 135).

238(4179). (უნდა ვეცადოთ, რომ არც ერთი წარმოთქმული — რედ.) სიტყვა უსაბუთოდ არ დაგვრჩეს. (IV, 274).

239(4180). უფლება და მოვალეობა ერთნაირის თანასწორობით განაწილებულ უნდა იქმნეს სოფლის ყველა მკვიდრზე, იმისდა მიუხედავად, თუ მკვიდრი რომლის წოდებისაა. (VI, 101).

240(4181). უფლება და მოვალეობა, რომელნიც არიან პირველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთიერთშორის განწყობილებისა, დაიდგინება და განისაზღვრება მხოლოდ ხალხის კანონმდებლობის ძალითა და ნიჭითა. (VI, 8).

241(4182). უფლება თავის გადარჩენისა ბუნებამ ყოველ თვითოეულ ცალკე ჭია ღუასაც-კი მიანიჭა... (IX, 289).

242(4183). ფრიად და ფრიად საჭიროა კანონმდებლობა სახელმწიფო ტყის ხმარების შესახებ შეეფეროს აქაურთა (ადგილობრივ — რედ.) მკვიდრთა შინაურს, საოჯახოს და სამეურნეო მოთხოვნილებასა და იგი ხმარება იმოდენად გაუადვილდეთ და გაუიეფდეთ, რამოდენადაც შესაძლებელია ერთის მხრით ტყის გაფრთხილებისათვის და მეორეს მხრით გლეხკაცის ჯიბისათვის. (V, 307).

243(4184). ქვეყანაზედ ბევრი იმისთანა დიდი საქმეა, რომელიც თავისთავად ჰხმაურობს, ქარბუქს აყენებს და ყველას თვალ-წინ უდგა მთელის თავის სიდიდითა. ხოლო იმისთანა საქმენიც არიან, რომელთაც ჟღარუნები არა აქვთ და არა ხმაურობენ, მაგრამ მათ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ წუთი-სოფლის სიმწარის დასატკბობლად და სიმწვავის გასანელებლად. ამისთანა საქმეა, მაგალითად, მართლმსაჯულება. (IV, 241-242).

244(4185). „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედ-ლად", სთქვა ჩვენმა რუსთველმა და მართალიც არის. სწორედ ასეთია ძლიერება და შემძლებლობა სამართლისა და ამიტომაც კიდევ ვიტყვით სამართლის ქმნა მარტო სამართლის ქმნისათვის უნდა და არა რამ სხვამ არ უნდა აბრკოლოს მისი ყველასათვის სანუგეშო მოქმედება.

სამწუხაროდ ჩვენდა, ეს ძირითადი და არსებითი მოთხოვნილება სამართლის ქმნისა ხშირად აეიწყდებათ ხოლმე ქვეყნის საქმეთა დამწყობთა და გამრიგებელთა. („ივერია", № 251, 1894, 1).

245(4186). ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედ-ლადო, ამბობს რუსთაველი, უსამართლობა კი ნედლსაც გაახმობს. (X, 56).

246(4187). ქურდობისა და ავაზაკობის საქმეში თვალად წვრილმანი რამ გეში და კვალი ხშირად უფრო აცხადებს საქმის ვითარებას, უფრო მართლად და უტყუარად ჰხსნის საქმის ნასკვსა, ვიდრე სხვა რამ. ამისთანა საქმეში მინამ თორნე ცხელია — პური უნდა გამოცხვეს. (VI, 227).

247(4188). ქურდს ზოგჯერ ქურდობა ეპატიება, ავაზაკს ავაზაკობა, ზოგჯერ მკელელს კაცისკვლასაც-კი შეუნდობენ ხოლმე. ამისი არა ერთი და ორი მაგალითია. ამ შემთხვევაში ქურდსა და ავაზაკს ზოგჯერ ამისთანა მიზეზები მოეპოვება, რომ ადამიანის გულშემატკივრობას გამოიწვევს ხოლმე და ავკაცობას დამნაშავისას ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებლადა ჰხდის და ზოგჯერ სრულად მისატევებლადაც. (VIII, 21).

248(4189). ღირსება და პატივი ადამიანისათვის ძვირფასი რამ არის, კანონი უნდა ფრთხილობდეს უმართლო განაჩენმა არავის შეუბღალოს ადამიანური ღირსება და ადამიანური პატივი განზრახ თუ გაუზრახველად. (VIII, 222).

249(4190). ღირსეულის გაშავება (არჩევნების დროს — რედ.) ყველგან შეიძლება მოხდეს და ვინ იცის, იქნება ყველაზედ ნაკლებ იქ მოხდეს, საცა წინათვე ჩანს, ვინ არის თვითეულად პასუხისმგებელი ცუდის არჩევისათვის. (VII, 383).

250(4191). ღობე, მარტო იმ მიზეზით, რომ დაბალია, არას დროს არ უნდა გადალახულ იქმნას... ყველასა აქვს ღვთის ნიჭი არსებობისა და ამ ნიჭისაგან არავინ არ უნდა იყოს... გამოკლებული მარტო იმ მიზეზით, რომ მე ღონიერი ვარ და ის კი უძლურია. აქ შუამავალი, მოციქული, მარტო სიმართლე და სამართალი უნდა იყოს... და არა რა სხვა რამე. (IX, 199-200).

251(4192). ყველამ, რასაკვირველია, თავისი იცის. (VII, 341).

252(4193). ყველამ უნდა გული დააჯეროს საქმით და მაგალითებით, რომ ქურდობა და ავაზაკობა დიდ ბოროტად მიიჩნია მოხელეობას (მართლსაჯულებას — რედ.). რომ ქურდი და ავაზაკი უდევნელად, უძებნელად ვერ გადურჩება. რომ ამ დევნასა და ძებნაში უნდა გამოიჩინოს მოხელემ თავისი ღირსება და სიკეთე, და თვით უფროსი მოხელეობა ქურდის დევნასა და აღმოჩენაში უნდა ჰპოულობდეს ღირსებას თავისის ხელქვეითის გულმოდგინებისას და ხერხიან გარჯისას. (VI, 225).

253(4194). ყველამ უნდა იცოდეს, რომ ყველა ხერხი და ძლიერება ადგილის მოხელეობისა ზედ შეელევა ქურდისა და ავაზაკის გზას, თუ რამ ბოროტი და ავკაცობა მოხდა სადმე, და მაშინ მშვიდობით გადარჩენის იმედი ისე ადვილად ვერ აიყოლიებს ბოროტმოქმედს და არ წაიტყუებს. (VI, 225).

254(4195). ყველას უნდა ჰქონდეს ნება, მოხელეთა უფროსის დაუკითხავად, სდევნოს ბოროტმოქმედს მოხელეს საზოგადო სამართლით და იძიოს მისგან ყოველივე უკანონოდ დანაკლისი. (VI, 63).

255(4196). ყველას შეუძლიან, რასაკვირველია, თავისი აზრი იქონიოს... (VIII, 342).

256(4197). ყველას, ძველია თუ ახალი, მინამ მსჯავრს დასდებდეთ, კბილი კი არ უნდა უსინჯოთ, ბუნება უნდა გამოუჩხრიკოთ და მარტო მაშინ დაეჭდევა თქვენს მსჯავრს ადამიანის საკადრისი ღირებულობა და ფასი. (III, 295).

257(4198). ყველაფერი ზნე-ჩვეულების საქმეა. (III, 416).

258(4199). ყველაფერს, ქება იქნება, თუ კიცხვა, სამართლიანი და საბუთიანი მიზეზი უნდა ჰქონდეს. მხოლოდ მაშინა აქვს ფასი ქებასაც და კიცხვასაც, როცა ერთიცა და მეორეც აგებულია საბუთზე და გულმართლობაზე. („ივერია", № 27, 1896, 1).

259(4200). ყველაფერში, ყველგან კაცმა წინ სამართალი უნდა გაიმძღვაროს და ყოველს თვის მოქმედებას, ერთმანეთში განწყობილებას და მოთავსებას სამართალი უნდა სათავედ ჰქონდეს... (IX, 199).

260(4201). ყოველი გულშემატკივარი კაცი ჩვენის საზოგადო საქმისათვის უუწმინდაეს ვალად უნდა ჰრაცხდეს... გულწრფელ და პირუთვნელ მართლის მოყვარე კაცთაგან შეიდგინოს კრებული და მას მოაპოვებინოს ადგილი საზოგადო საქმის სარბიელზედ. აქ ძალა, ხერხი და ოინები მანძილს ვერ გაივლის. აქ უნდა მტკიცე რწმენა მართლისა მოქმედობდეს, რადგანაც მარტო მართალია შემკვრელი და გამამტკიცებელი ამგვარ კაცთა კრებულისა. ამათ წინ მჩხავანა მომხრე დასისა ვერას იქმს, ფონს ვერ გავა. (VII, 492).

261(4202). ყოველი მოთავე დასისა, ყოველივე ცალკე წევრი და მომხრე მისი... უნდა... სასწორით მოქმედობდეს, არჩევანია, თუ სხვა

საქმე რამ გასარჩევი და გადასაწყვეტი. ვინც ასე არ იქცევა, იგი ძღალატობს კრებას, საზოგადოებას, ქვეყანას, იგი მჩვარია და არა ადამიანი, თავისთავის პატრონი, თავის საკუთარის ღირსების მქონე-ბელი, მომვლელი და დამცველი. (VII, 440).

262(4203). (ყოველი — რედ.) ჩვეულება ერთნაირ რწმენისაგან არის წარმომდგარი. (IV, 34).

263(4204). ყოველი წესი, ჩემო საყვარელო, პაჭიჭსა ჰგავს: თუკი ერთი წვერი შემოვრღვა, გათავდა კიდეც — სულ ბოლომდე რღვევით წავა. ეს კარგათ დაიხსომეთ და ჩაიჭდიეთ გულში. (III, 367).

264(4205). ყოველივე თანამდებობის მქონი კაცი პასუხისმგებელი უნდა იყოს საზოგადო სამართლისა და სამსჯავროს წინაშე, და არა წინაშე თვისთა უფროსთა.* (VI, 63).

265(4206). ყოველივე მოხელე პასუხისმგებელი უნდა იყოს ყოველის წინაშე, ვისაც რასმე დაუშავებს, და უნდა იდევნებოდეს საზოგადო სამართლით. (VI, 63).

266(4207). ყოველის კანონის თავი და ბოლო მოქალაქეთა და მკვიდრთა მშვიდობით და მოსვენებით ყოფნაა. ამის გარე კანონს არავითარი მიზეზი არსებობისა არა აქვს და ყოველივე ღონე, ამ მშვიდობით და მოსვენებით ყოფნისთვის გამოსადეგი, წმინდა მოვალეობაა თვითოეულისა ცალკე და ყველასი ერთად. (VIII, 71).

267(4208). ყოველს საზოგადოებრივს საქმეში, რაც უნდა მწვავე იყოს, კაცმა ჯერ უნდა მართალი ეძებოს, მხოლოდ მართალი და სხვა არა-რა. (VI, 135).

268(4209). შეიძლება საქმე ჩალის ფასადაც არა ჰღირდეს, მაგრამ გალახული, გაუპატიურებული გრძნობა სიმართლისა-კი მაინც ალაპარაკდეს და კანონს გამოესარჩლოს. ეს მარტო მაშინ არის შესაძლებელი, როცა გრძნობა სიმართლისა — ეგ ერთად-ერთი თავდები კაცთა — საზოგადოების ბედნიერებისა — ყველას გაღვიძებული აქვს და ყარაულად უდგა თვით კანონსა. („ივერია", № 129, 1887, 1).

269(4210). შეუძლებელია... წვრილმანს, თითქმის უფასურს სამეგრეებს, ყური არ ათსოვოს კაცმა, იმიტომ რომ ცხოვრებაში უფრო ამისთანა საქმეებია, რომელნიც შეადგენენ საკუთრივ ხალხის ზნეობითსა და ქონებითს სიმდიდრეს. ერთსაც და მეორესაც, როგორც არსებითსა კუთვნილებას და საჭიროებას ხალხისას, მუდამ, მახლობელი მფარველი უნდა ჰყვანდეს. უანბოდ ხალხს ზნეობაც შეერყევა ხოლმე და ქონებითი სიმდიდრეც დღე-მუდამ განსაცდელშია. (VI, 85).

270(4211). შეწყნარება სხვისა აზრისა, ესე იგი, საბუთიანი განკითხვა მართლ მსაჯულებაა და გონება აღმატებულის, ვულ-გაწმენდი-

* თითქმის ანალოგიური აზრი იხ.: VI, 44. (რედ.).

ლის. ჭეშმარიტად განათლებულის კაცის საქმეა. („იერია", № 29, 1898, 2).

271(4212). შინაურულად მორიგება ძალიან კარგია მხოლოდ მაშინ, როცა საქმე ისე დაბოლოვდება, რომ მომავლისათვის შიგ სადავიდარაბად აღარა დარჩება რა. (X, 76).

272(4213). ჩემი შეურაცხყოფა და ჩემდამი შურიანობა იაფად არ დაუჯდებათ იმათ, ვინც ეხლა მე ორჭოს მითხრის და ბადეს მიგებს, დრო გამოაჩენს ყველაფერსა და მაშინ იქნება „გოდება და ღრჭენა კბილთა".* (X, 66).

273(4214). ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დაუზარელი, სწრაფი, წინდასვლული და ფიცხელი დეენა ქურდისა და ავაზაკისა მოხელეთაგან თვით ხალხსაც გაამხნევებს ბოროტმოქმედთა სადევნელად, რაკი ჰნახვენ, რომ თვით მოხელეობა ცეცხლმოკიდებული ირჯება, და გამხნევებულ ხალხში დიდს შველას და შეშველობას იპოვის მოხელეობა. (VI, 226).

274(4215). ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ იმას, რომ ყოველს მკვიდრს მიენიჭოს უფლება პირდაპირ სამართალს მიჰმართოს ხოლმე, როცა ჰგრძნობს და ჰხედავს, რომ მოხელე უკანონოდ ექცევა და თვისი ზარალი აზღვევინოს სამართლის ძალითა. („იერია", № 276, 1895, 2).

275(4216). ჩვენ იმის მომხრენი სულაც არა ვართ, რომ დიდი და მძიმე სასჯელი ჰშველოდეს რასმე დანაშაულობის ამოკვეთას და ზნეობის გასწორებას და გამოკეთებას. (VIII, 221).

276(4217). ჩვენი გულითადი აზრი ის არის, რომ სასჯელი ზღვევა არ იყოს, სამაგიეროს გადახდას არ მოასწავებდეს. ერთიცა და მეორეც, ჩვენის ფიქრით, აუპატიურებს იმ უწმინდესსა და უმაღლეს დანიშნულებას განკითხვისას, რომელსაც ჩვენ მართლიერებას, სამართალს ვეძახით, და ურომლისოდ კაცთა საზოგადოებას, კაცთა კრებულს ერთს წუთსაც გაძლება არ შეუძლიან. (VIII, 337).

277(4218). ჩვენის ფიქრით, საზოგადოებრივ საქმეში არც უმცირესი უნდა შესწიროს კაცმა უმრავლესობას და არც უმრავლესობა უმცირესობას. ორივე უნდა დაუმორჩილოს მარტო სიმართლეს, როცა კი შესაძლებელია. (VI, 135).

278(4219). ჩვენის ფიქრით... უმაღლესმა მთავრობამ, რომელსაც ექვემდებარება მომრიგებელი მოსამართლეობა, ყველაზე მძიმე საქმედ უნდა მიიჩნიოს ქურდობა და მიაჩნეეინოს თვით მომრიგებელ მოსამართლეობას. (VI, 232).

---

* შდრ.: „მუნ იყო ტირილი და ღრჭენა კბილთა" (იხ.: წმინდა სახარება და საქმე მოციქულთა", ტფ., 1879, გვ. 13, 26, 44, 50, 52). (რედ.).

279(4220). ჩვენში კანონი თუ იბადება, ოთხ კედელ შუა იბადება და ზოგჯერ ისე მოუხდება ხოლმე ჩვენს ცხოვრებას, როგორც კაცს სხვის ტანზედ შეკერილი ტანისამოსი. (V, 38).

280(4221). ჩვეულება ერისათვის იგივ რჯულია, იგივ კანონია, მხოლოდ დაუწერელი კი. (VI, 154).

281(4222). (ჩვეულება — რედ.) ჩვენს საქართველოს ერსა რჯულთ უმტკიცესად მიიჩნია სამართლიანად.* (VI, 154).

282(4223). (ჩვეულებას — რედ.) ერთი არსებითი ღირსება დაწერილის კანონისა კი აკლია. დაწერილი კანონი, მარტო იმით, რომ დაწერილია, მისამ არის — ისევ, რომ არას მიიწვებს, არას აიკრავს ზედ, რასაც აჩენს და ჰბადავს ხოლმე ხშირად ხარბი ინტერესი წუთისა, ჩვეულება ამისაგან თავისუფალი არ არის; კანონი კი თავისუფალია. აი დიდი ღირსება კანონისა, რომელიც ჩვეულებას აკლია. (VI, 154).

283(4224). ჩვეულებას იგი უპირატესობა აქვს დაწერილს კანონის წინაშე, რომ ყოველთვის ცხოვრების ბეშმარიტის საჭიროების დასაბადია და ყოველთვის უტყუარი წამალიც არის ამ საჭიროებისა. თუ ყოველს დროს არა, პირველ ხანებში მაინცა. (VI, 154).

284(4225). ცხოვრება ადამიანისა რთულია და საჭიროება ცხოვრებისა ათასს სხვა-და-სხვა გზაზე იწვევს ადამიანს სამოქმედოდ. მაგრამ არც ერთი ამ გზებისა სანატრელ საგნამდე ვერ მიიყვანს კაცს და კაცთა კრებულს თუ სამართლის ქმნა, ეს უძლიერესი და ყოველად მსხნელი ფარ-ხმალი, დაბრკოლებულია და ღონე გამოცლილი. („ივერია", № 251, 1894, 1).

285(4226). (ცხოვრება ხშირად თვალნათლივ გვიდასტურებს, თუ — რედ.) უჭკუო ტყუილს რა მოკლე ფეხები აქვს.** (IX, 286).

286(4227). ძალას გულდაგულ დაეხვდებით
და თაყვანს ეცემთ სამართალსა. (I, 393).

287(4228). ძლიერად მოქმედობს ... ჩვეულება. (VI, 127).

288(4229). ...ძმათა შორის მწარე მართალი სჯობია ტკბილს ოცნებასა. (VII, 352).

289(4230). ...ჭირს დამალვა არ უნდა... (VIII, 88).

290(4231). ხალხის სამართლის გამძღოლს, ხალხის სიმართლის აღმდგენელს და დამდგენელს რომ კაცმა ენა მოაჭრას და ყური დაუხშოს, — რაღას უნდა გამოელოდეთ მისგან კარგს და კეთილს, თუნდა სხვაში ყოველფერში ციდამ ჩამოსულიც იყოს. (V, 36).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო". (რედ.).

** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო". (რედ.).

291(4232). ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს... მამულის გაყიდვა და დაგირავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად, ერთურთ შორის აღებ-მიცემობა, სხვადასხვა მცირე დანაშაულობის გასამართლება და ათასი ამგვარი მოვლენა, — სულ ხალხის ჩვეულების ძალით სწარმოებს, ხალხის ადათ-ზეა დაფუძნებული და ამ ადათს ეშორჩილება. (IV, 192).

292(4233). ხასიათი და ზნე-ჩვეულება ყველგან არის, მაგრამ ყოველის თესლის ერს თავისი განსხვავებული ხასიათი აქვს და ზნე-ჩვეულება, იმიტომ რომ ხასიათის და ზნე-ჩვეულების ასე თუ ისე აგებაზედ მოქმედებს მთელი კრებული იმ გარემოებათა, რომელთ წრეშიაც სული და ხორცი დიდი ხანია უტრიალებს ერს და დღესაც ატრიალებს. (III, 124).

293(4234). ...ხმა და არჩევნის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრული-წლოვანია. მაშასადამე, ყოველს მცხოვრებს ყოველს მოვალეობაშიც ხვედრი წილი უნდა ჰქონდეს.* VI, 47).

294(4235). ხმა და არჩევნის უფლება უნდა მინიჭებული ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებს. (VI, 63).

295(4236). ხშირად იქნება, რომ კანონები. ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე. (III, 40).

296(4237). ჯერ უნდა ადგილმდებარეობა ვიქონიოთ სახეში, მიწა-წყალი, ერთობ კაცთ-გარეთი ბუნება, — ესეც კი ძლიერ მოქმედებს, ადამიანის ხასიათისა და ზნე-ჩვეულების სხვადასხვაობის შესაქმნელად. (III, 124).

297(4238). ჯერ, ყველაზედ უწინარეს, უმრავლესობათა და უმცირესთა შორის სიმართლე უნდა იყოს გამკითხველი; ამან, სიმართლემ, უნდა მოაშველოს ერთმანეთში ეგ ორი მხარე. (VI, 135).

298(4239). Гражданская сделка есть ничто иное, как установление известных, законом дозволенных, отношения, вновь созидаемых волею частных лиц. («Кавказ», № 55, 1875, 2).

299(4240). ...незаконный ход дела приведет к незаконному концу... (ილია ჭავჭავაძე, „წერილები", სოხ., 1949, გვ. 122).

300(4241). Обычай, имея то преимущество пред писанным законом, что всегда порождается действительными потребностями жизни и всегда отвечают им, лишен однако существенного достоинства писанного закона, который по тому именно, что он писан, свободен от возможности разных наслоений случай-

* თითქმის ივიეე ფრაზა VI, 43. (რედ.).

наго характера, порождаемых материальным интересом минуты. («Юридическое обозрение», №164, 1884, 68).

301(4242). обычай по известной нашей грузинской пословице, нашему народу кажется прочнее самаго закона.* («Юридическое обозрение", №164, 1884, 68).

302(4243). (Одно из важнейших гражданских прав—это право на собственность — რედ.) на котором, по разуму действующих законов, зиждутся основы общественного порядка и экономического благосостояния. («Кавказ», №55, 1875, 2).

303(4244). ...основное правило толкования закона состоит в том, что закон всегда предполагается имеющим смысл. («Кавказ», №55, 1875, 3).

304(4245). Помни на всегда, что нет прав без обязанностей, а обязанности в том и состоят, чтобы уважать, охранять, даже и отнюдь не нарушать чужих прав. («მნათობი», №11, 1956, 177).

305(4246). Чтобы применить закон соответственно воле и намерению законодателя, надо его понимать, а понимать его нельзя без той деятельности, которая направляется к уяснению и к раскрытию смысла закона, и которая называется толкованием, В этой существенной деятельности суда и заключается, по нашему мнению. вся гарантия в правильном отправлении правосудия. («Кавказ», №55, 1875, 2).

•

* ი. ჭავჭავაძე აქ გულისხმობს ქართულ ხალხურ ანდაზას: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო". (რედ.).

21. ზნედაცემულობის, ბიწიერების, ავკაცობის, ავაზაკობის, სიგლახაკის, სიხარბის, უპასუხისმგებლობის, უიმედობის, უსუსურობის, უმეცრების, უვიცობისა და პირმოთნეობა-მაამებლობის შესახებ

ყველაფერს ვიტყვი, რაც სათქმელი მაქვს ამ საგნის შესახებ და თუ ვისმესთვის ზოგიერთი ჩემი სიტყვები საწყენი დარჩეს, ნურას უკაცრავად, ამ თავითვე ბოდიშს ვიხდი...

ილია ჭავჭავაძე

1(4247). აბა ამას ჭკუა არ უნდა, რომ კაცი აშკარა ტყუილს იგონებდეს და ამ ტყუილით თითონვე თავისის ხელით ყელს იჭრიდეს. (IX, 278).

2(4248). აბა იფიქრეთ, კაცმა კაცს რომ პასუხი მოსთხოვოს მასზედ, რაზედაც სხვანი დაარწმუნებენ, — სად წავა? (X, 123).

3(4249). აბა კვალში ჩაუდექით ყოველ მყვირალას, ახალ-თაობის კაცი ვარო, გაუსინჯეთ სიტყვა და მოქმედება, იკითხეთ იმ სიტყვასა და მოქმედებაში ახალი რა არის, და მაშინ ნახავთ, რომ იგი ახალის თაობის ბერეკაა და არა ახალი თაობის კაცი. (V, 254).

4(4250). აბა რა ეთქმის... კაცს, რომელიც მაბეზღარის საქებურს ხელობას შესდგომია და იმოდენა მოხერხებაც კი არა ჰქონია, რომ... ადვილად გამოსაჩხრეკ თაღლითობასაც ორ მორიდებია. (IX, 298).

5(4251). (აბა, რა — რედ.) სანატრელია ის ქვეყანა, სადაც კაცის შექცევა ძალლზედ არის დამყარებული. (X, 274).

6(4252). აბა, რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომელიც აჩეჩოს მარტო მიწანი
და არ შოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?* (I, 14).

---

* ეს სტროფი იხ. აგრეთვე: I, გვ. LXV, ხოლო მისი პირველი ვარიანტი — I, 279. (ოეჯ.).

7(4253). (აბა, რის მაქნისი არიან და რას უნდა მოველოდოთ იმათგან — რედ.) რომელთაც ცარიელი დიპლომებით თავი მოაქვთ, ქადულობენ და ყურებს გვიჭედავენ. (VIII, 116).

8(4254). აბა ღვთის წყრომას არ უნდა მიაწეროთ, რომ კაცმა, რომელსაც თვალადაც მაინც ფერი ადევს სწავლა-განათლებისა, არ იცოდეს რა მოეთხოვება საზოგადო საქმეში ჩაბმულს მოღვაწეს, რომელსაც უკისრნია საზოგადოებისაგან დავალებული და ჩაბარებული საქმე. („იბერია", № 30, 1897, 2).

9(4255). აბეზღებენ და ცილსა სწამებენ გულმტკივნეულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ცილი და ბეზღი და სად გულმტკივნეულობა? (VIII, 246).

10(4256). ადამიანს მისი „მე" გაუსადგურეთ, მის საკუთარს კერაზედაც ნუ მოასვენებთ, შინ შეესიენით, სჯიჯგნეთ და ჰსწეწეთ სულიერად თუ ხორციელად, დღემუდამ შიშს ქვეშ ამყოფეთ, ან ეხლა შემომიხტებიან, ან ეხლაო, ერთის სიტყვით, საკუთარის ღირსების ვრძნობა აჰყარეთ და გაუქარეთ და რაღა დარჩება ადამიანს ცხოვრების საგნად? რისათვისღა გაისარჯოს? რისათვისღა იღვაწოს? რისათვისღა მისცეს ბარი თავის მსგავსსა, თავის მობმესა? ან რისთვისღა უნდა თითონ საზოგადოების არსებობა? ტყის ნადირი რით იქნება უარესი ამრიგად გათახსირებულ. ამ ყოფაში ჩავარდნილ ადამიანზედ? (VIII, 246).

11(4257). ავ-კაცობა ავ-კაცს შერჩეს, თორემ მე რა? (X, 311).

12(4258). ავი კაცი რამოდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშარია. უფრო დიდად მავნებელია. ეს ყველამ იცის და, გვგონია, ბევრსაც თავის თვალით უნახავს და გამოუცდია. (IV, 293).

13(4259). ავი კაცი ყველგან მოიპოვება კერძოდ. („იბერია", № 243, 1897, 2).

14(4260). (ავყია კაცისაგან — რედ.) ყველა ბოსალოდნელია. (X, 330).

15(4261). ათასში ერთხელ უნდა მოვესწრათ სასიამოვნო ამბავის გაგონებას და ათი-ათასში ერთხელ ამ ამბავის ცხოვრებაში განხორციელებას და მაშინვე გამოტყვრება რამ საიდანმე და მოგვიშხამავს ის-ის, იყო გატაცებულს გონებას, ფრთაშესხმულს ფანტაზიას, როგორც ცივი წყალი. ისე მოგვხვდება ხოლმე ამ დროს რამ უსიამოვნო ამბავი. აგვიჯიქრავს ხოლმე ტანს და წყალში ამოვლებულს ქათმებს დაგვამსგავსებს ხოლმე. (V, 283).

16(4262). აი, ამოაგდო ღმერთმა ავი-კაცის ქოქი... (II, 226).

17(4263). აი გაგიხმეს ეგ ხელ-ფეხი! რისთვის გასხია ეგენი მაგ ბუტრუკს ტანზედ, თუ ვერ მოგიხმარებია? ქვეყანას თავისი თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს? ფუ, შენს ნამუსსა!.. (I, 255).

18(4264). აი, დალახვროს ღმერთმა ავი კაცი! (II, 226).

19(4265). აი, დალახვრა ღმერთმა... წინდაუხედავი სულელი! (X, 313).

20(4266). აი, შე უნამუსო! აქაო და არაკინა მხედავსო, ნამუსის ქუდი აგიხდია და ლაფში გადაგიგდია. (II, 267).

21(4267). (ამა თუ იმ აზრის გასაგებად, გასათვითცნობიერებლად — რედ.) ზოგისათვის... ბეჭედდაკრული მოწმობაა საჭირო, რადგანაც თვით ბუნება აზრისა მათთვის მიუწვდომელია. (VI, 105).

22(4268). (ამა თუ იმ სასარგებლო საქმის წარუმატებლობის მიზეზი ხშირ შემთხვევაში — რედ.) ის არის, რომ გული არა ჰგულობს და ტყუილად ღობე-ყორეს ეკვლებით. (IV, 357).

23(4269). (ამა თუ იმ საყურადღებო საგანზე წარამარა ლაპარაკს კარგია თუ — რედ.) თავს დავანებებთ, რადგანაც ძნელია ამ-გვარ ლაპარაკიდამ კაცმა საყურადღებო რამ გამოსწუროს. (V, 247).

24(4270). ამაოდ სცდებიან, ვისაც ჰგონია, რომ რაკი... სიცილის გუდას პირს მოვუხსნი, მაყურებელს თავს მოვაწონებ და თეატრსაც სამსახურს გავუწევო. (III, 120).

25(4271). ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, — ესეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩვენ ჩაკიდეთო... აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია, თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს. (II, 291).

26(4272). ან მეყმე და ან შიმშილით სული ამოირთვიო, ეს ისეთი შეუწყნარებელი მდგომარეობაა, რომ ამასთან აწ საუკუნოდ განსვენებული ბატონ-ყმობაც-კი მადლად ჩასათვლელია. (VII, 12).

27(4273). არ არის არც ერთი საზოგადოებრივი საქმე, რომ ვინმე ჩვენგანივე ბეტრად არ გაუჩნდეს და მიწასთან არ ასწორებდეს... („ივერია", № 32, 1897, 1).

28(4274). არ არის ქვეყანაზე საგანი, რომ უჭკუო უმეცარმა არ დაიჩემოს მისი ზედმიწევნით ცოდნა და თავისს უგემურ და უთავბოლო საღეჭავად არ გახადოს მსმენელთა საბაზროდ. რაც ენაზედ მოადგება, ჭროშავს გამარჯვებულსავით დოინჯშემოყრილი და თავმოწონებული, მაღალფარდებიან სიტყვებს ჰხმარობს უანგარიშოდ, განუკითხავად, მოგაყრით ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებს, რომელიც არც თითონ ესმის და არც მსმენელს გაეგება და ჰყოყოჩობს, აი რაები მცოდნია და რა ბრძენი კაცი ვარო! (VI, 242).

29(4275). არ არის ქვეყანაზედ არც ერთი ერი, რომლის შემძლებელი ნაწილიც ასე გულაცრუებული, ასე გულგრილი იყოს საზოგადო საქმეების შესახებ, როგორც ჩვენები არიან. (V, 145).

30(4276). არ ვიცი — რომელი ბეზღობა და ჯაშუშობა უფრო საძაგელია: იგი, რომელიც პოლიციის ხელჯოხიანობას გამოიწვევს, თუ იგი, რომელიც ერთს კაცს მეორეს გადაპკიდებს მტრად, ერთს წოდებას მეორეზე აალურსებს და აასისინებს... ყოველად უსაბუთოდ. ყოველად უმიზეზოდ. (IX, 304).

31(4277). „არ მინდას" ისეთი ვეშაპი პირი აქვს, რომ ათასს მიზეზს გამოჰკრავს კბილს. (X, 108).

32(4278). არ-გაკეთება საქმისა მაშინ არის, როცა საქმე უქმობისა გამო ბრკოლდება და ჩერდება. (V, 157).

33(4279). ...არ-მცოდნეს რომ მძიმე საქმე გაუმჩატო, მჩატე ეგონება. აშკარაა, იფიქრებს, რომ ვისაც ეს საქმე ზურგთა ჰკიდია, ტყუილად წელში იხრება. ტყვეის მაგიერ ბუმბული წამოუკიდნია და ხვნეშის კიო. (V, 311).

34(4280). (არ უნდა იწერებოდეს და ქვეყნდებოდეს ისეთი სტატია — რედ.) რომელიც უმეცრებასა და უვიცობას საღერღელს უხსნის და ფრთას ასხამს. (VIII, 339).

35(4281). არა, ბატონებო! თუ ვალის ამღებმა ვალი იმიტომ აიღო, რომ ფული შეჭამოს, იმას არა უშველის-რა, იმას არა იხსნის-რა მიწასთან გასწორებისაგან. (VII, 381).

36(4282). (არა გვგონია, საზოგადოებრიობის ამა თუ იმ კრებამ — რედ.) ...გაუფრთხილებელი, გაუსინჯავი, და წინდაუხედავი კაცი ბორძიკს და წაქცევას იმით გადაარჩინოს, რომ მის გამო ნება არ მისცეს არავის სიარულისა. (VII, 346).

37(4283). არა გვგონია სხვაგან სადმე იყოს ისეთი ქვეყანა, საცა ადამიანის პატიოსნება და ნამუსი ისე წინდაუხედავად, ტყუილ-უბრალოზედ ილახებოდეს, როგორც ჩვენში. (VIII, 250).

38(4284). არა გრცხვენიან, კაცო, რომ ძმასთან ვერ მოთავსებულხარ, ძმასთან!.. ვინც შეიტყობს, რას იტყვის? სირცხვილია, სირცხვილი! (II, 53).

39(4285). არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა ჩვენში, რომელსაც თვალად დაუნახავებია ჩვენთვის, რომ (გამოუცდელ, უნიათ და უინიციატივო კაცს — რედ.)... ხელიდამ არაფერი გამოსელია... და საქმისათვის ის ენებაც მიუყენებია, რომ სხვისთვისაც გული აუყრევინებია და აუცრუებია კარგსა და სარფიანს საქმეზედა. (VII, 60).

40(4286). ...არა-თქმულის თქმაა იგი არასასიამოვნო თვისება, რომელსაც ჩვენს ქართულ პოლემიკაში, კამათობაში, ჩვენდა სამწუხაროდ, პირველი ადგილი უჭირავს ხოლმე. (VII, 352).

41(4287). არა მგონია ქვეყანაზე ბევრი იყოს იმისთანა კაცი, რომ იმას სჯერდებოდეს, იმას ჰკმარობდეს, რაცა აქვს. (III, 440).

42(4288). არა, ნახევარ კაცად, ნახევარი გულით ცხოვრება სიკვდილია. კდომაა... (II, 314).

43(4289). არა შემიძლიან-რაო?.. კაი კაცობა არ შეგიძლიან?.. მაშ რაღა კაცი ჰყოფილხარ?.. ღვთის სული რად გიდგა?.. (II, 56).

44(4290). არავის ენატრება ამისთანა სამაგალითო კაცნი, როგორც ქართველობას. რომელმაც მარტო წუწუნი იცის და არა საქმის აჩენა, საქმის გატანა, საქმისათვის ბრძოლა. ომი და ჭიდილი. (IV, 262).

45(4291). არამცთუ საზოგადოებრივს საქმეში. კერძო კაცის საქმეშიაც შესაწყნარებელი არ არის იმისთანა მითქმა-მოთქმა, რომელსაც მოკლე ფეხები აქვს, რადგანაც შინაგანად ყოველ ღირსებას მოკლებულია. თუ ამისთანა მითქმა-მოთქმა ზოგჯერ სჭრის და ფესს იკიდებს ხოლმე, ეგ მარტო იმიტომ, რომ გულის მოსაგები ფერ-უმარული უსვია და, თუ კაცი არ ჩაუფიქრდა, ადვილად წაიტყუებს ხოლმე. (VII. 352).

46(4292). (არასასურველი დოკუმენტების თავიდან მოცილების მიზნით, მავან-მავანთა — რედ.) ...გუნდმა კარგად იცის, რომ საქმე საბუთის გაბათილებაა, ან წაშლა, ან ჩაფხეკა-ამოფხეკა, ან გადაკეთება სათავისოდ. (VIII, 108).

47(4293). არიან ბევრნი დიდ-ხარისხოვანნიცა, მეცნიერნიცა, მოღვაწენიცა. მწერალნიცა, და არ არიან ბოლოდ ხასიათის კაცნი, კაცნი გულთა-სრულნი. (IV, 223).

48(4294). არიან ზოგიერთნი იმისთანა ქვეყნები. საცა ურთიერთობა კაცთა შორის იქამდე უკან ჩამორჩენია თავის დანიშნულებას, რომ ადამიანის ნამუსს, პატიოსნებას, კუთვნილებას სულიერს, თუ ხორცეულს ვერაფერს სარჩლს ვერ უწევს, ვერა ჰპატრონობს, ვერ უვლის და ვერ იფარავს შებღალვისაგან. (VIII, 259).

49(4295). არიან იმისთანა კაცები. რომელნიც სიკეთეს იქმოდნენ ძარტო იმისთვის, რომ სახელი დაგვრჩებაო. მაშინ ისინი იმ კაი საქმეს სახელზედა ჰყიდიან. ეს ცუდია. (II, 73).

50(4296). ...არიან კიდევ დამნაშავენი, რომელთაც თუ კაცის სამართალმა სასჯელი არ მიაყენა, თავიანთი სინიდისი მაინც უნდა სჯიდეთ. ეს ის დამნაშავენი არიან, ვისთვისაც ბედს მეტი ცოდნა და ძალა ურგუნებია და ესენი კი, იმის მაგიერ რომ უმეცართ კანონიერი გზა უჩვენონ და მფარველობა გაუწიონ, პირ-იქით ხალხს სჩაგვრენ, აწუსებენ და განსაცდელშიაც შეჰყავთ. („ივერია", № 1886, 2).

51(4297). ...არიან მწერალნი, რომელნიც საქვეყნოდ იძახიან „დევგმირები“ ჩვენა ვართო; ამასაც არა კმარობენ და მოურიდებლად გვარწმუნებენ, რომ პოლემიკა ჩემს ხელში ლახტია და სხვისაში კი ჩოგანიო. (VIII, 239).

52(4298). არიან ქვეყანაზედ იმისთანა ჯურის ფალავნები, რომ რასაც დღეს მოსაკლავად სდევენ, იმას ხვალ ფეხქვეშ გაეშლებიან ფიანდაზად, და რა გულმოდგინებითაც ეხლა სდევნიან სამტროდ, ხვალ იმავ გულმოდგინებით გალობას ეტყვიან:

ეი შენ-კი ჩაგეგრიხე
უსურეაზის წნელივითო. (VIII, 280).

53(4299). არის ერთგვარი (სულელური, უაზრო — რედ.) ლაპარაკი, რომელიც კაცს ქეიფზედ ვერ მოიყვანს. (II, 457).

54(4300). (არსებობისათვის — რედ.) ბრძოლაში „ყურთმაჯთ ბრიალი, ხმალთა ტრიალი, ცხენიდამ ხტომა და კვლავ შეხტომა“ ვერაფერი თამასუქია გამარჯვებისა, ვერაფერი ღონეა. (VII, 40).

55(4301). არც ერთს ადამიანს ქვეყნიერებაზედ გრძნობა თაკილობისა ისე გაძლიერებული არა აქვს, როგორც, მაგალითებრ, ავტორსა, არტისტსა და სხვა ამათთანა ხალხსა, რომელთაც საქმე კაცის გონებასა და სულთანა აქვთ. ყველაფერს შეგინდობთ ავტორი, არტისტი, ღონდ ავტორობას, არტისტობას კი ნუ დაუწუნებთ, რაც გინდა სიმართლე გაიძულებდეთ, რაც გინდა გულრწფელად* სიკეთის სურვილით გამოთქმული იყოს თქვენ მიერ წუნი. (III, 109).

56(4302). არც საბუთი, არც ჩლავი და არც ფლავი. (III, 279).

57(4303). აქ ჩვენში განკითხვა გამკითხველისა კაცის გუნებაზეა ბიგდებული და არა გონებაზე, რომელმაც მარტო საბუთით უნდა ჰსაჯოს. აქ „მე ასე მინდა, ასე მიამება“ უფრო მეტად სჭრის, ვიდრე საბუთით გამოჩხრეკილი და გულში გაბონასკვილი მართალი. („ივერია“, № 29, 1898, 2).

58(4304). აღვირაშვებულნა ფარფაშობამ ფულისამ ისე გაპბაწრა და შესთოკა ადამიანი ესლანდელ დროში, რომ ვისაც უფულობაში მოასწრო, იმის გაფულიანება თითქმის შეუძლებელია პატიოსან შრომითა და გარჯითა, თუ ერთი უეცარი ბედი რამ არ მოეელინა... (VII. 12-13).

59(4305). აღვირმიშვებული ვარჯიშობა კალმისა, თუ სიტყვისა, იმოდენად ხშირია ჩვენში, რომ შეუძლებელია კაცმა ყურადღება არ მიაქციოს. არ ვიცი, რათა გვგონია ხოლმე ბრძანი და სულელნი ყოველნი ისინი, ვისზედაც ლაპარაკს ვინი მოგვიყვა, ანუ ვისაც დრო და ჟამი საკამათოდ პირში მოგვცემს ხოლმე. (V. 312).

---

* „გულ-წრფელად“. (იხ.: „ივერია“, № 257, 1886, 1). (რედ.).

60(4306). ახირება, ტუქსვა, წყრომა, რისხვა, ყველრება უფრო გააჭირვეულებს, გააძლიერებს, გააჯიუტებს მცდარის სიყვარულის გრძნობასა... (III, 136).

61(4307). ახლა, თუ ადამიანისა არ გრცხვენიან, ღმერთისა მაინც არ გეშინიან! (II, 374).

62(4308). ახლებში თავს სდებს გვატყუებს (გაიძვერა კაცი — რედ.)

არ ახალია, ძველია,*
რაც გინდ რომ ქერქი იცვალოს
გველი ეგრეეე გველია.** (I, 127; III, 386).

63(4309). ბალღებს, რასაკვირველია, გაბერილი, გაუგებარი, ფრაზები სავსე ჰგონიათ, როგორც გაბერილი ტიკი, და უკვირთ როგორც ერთი რამ უტყუარი ნიშანი აუარებელი სიბრძნისა და მეცნიერებისა, ჭკუადამჯდარს კაცს — კი ეს სამასხარო ოინები სასაცილოდაც არა ეყოფნის. (VI, 242).

64(4310). (ბალღური დაჟინებაა — რედ.) ... რომ კრიტიკა მაშინ არის კრიტიკა, როცა სწუნობს რასმე, თუნდ საწუნარიც არ იყოს. (IV, 83).

65(4311). ბანკი არაფერს შუაშია, თუ ვინმე ფულს გაიტანს იმისათვის, რომ წყალში გადაჭყარის, ან ტყვილ-უბრალოდ, უხეიროდ გაჰფლანგოს. (VII, 377).

66(4312). ბატონო! რაც არ იცით და, პირდაპირ გეტყვით, რაც არ გესმის, რათ ამბობს, ეს ასე უნდაო? (III, 42).

67(4313). ბაქიობა, კვეხნა, თავისის-თავის ქება და განდიდება უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ზემო სართულში ყველაფერი თავისს ადგილს არ არის დალაგებული. (IV, 243-244).

68(4314). ... ბაქიობას დიდი მანძილი არა აქვს... („ივერია", № 216, 1893, 1).

69(4315). ბაძით ქვეყანა წახდებაო, ნათქამია.*** (VIII, 101).

70(4316). ბევრი გველი მინახავს (იგულისხმება თვალთმაქცი, გაიძვერა კაცი — რედ.) — ჯერ გულში ჩასძვრენოდეს და მერე დაეშხამოს. (II, 90).

71(4317). ... ბევრი იმისთანა მოდუნებული და შელახული კაცია ქვეყანაზედ, რომელიც ისე შეეჩვევა ხოლმე ჭირსა, რომ შეჩვეული ჭირი შეუჩვეველს ლხინს ურჩევნია.**** (V, 88).

---

* ეს გამოთქმა შ. რუსთაველისაა. (იხ. აგრეთვე: X, 45). (რედ.).

** შდრ.: „გველი აგრეეე გველია, მითვე გესლითა რგულითა,
რაგინდ რომ ქერქი შეიძროს, გეჩუნებოდეს წყულითა!"...
„ქილილა და დამნა". (რედ.).

*** ეს ქართული ხალხური ანდაზა შექმნილია დ. გურამიშვილის ცნობილი აფორიზმიდან: „ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წახდების ერია". (რედ).

**** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა:
„შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსაო". (რედ.).

72(4318). ბევრი კაცია, თუ არ... წუთი-სოფელს გამოსალმებული, მიწასთან მაინც გასწორებული, ოჯახ-დამხობილი, გაწყალებული და გათახსირებული ადამიანის სიხარბისა და გუქვაობისაგან. („ივერია", № 241,1888,1).

73(4319). ბევრი რამ გვაკლია ჩვენ, ქართველებს, მაგრამ ყველაზედ დიდი ნაკლი ის არის, რომ ჯერ-ხანად არ ვიცით საზოგადო საქმეს როგორ მივცეთ მხარი, როგორ მოვუაროთ, როგორ ვუპატრონოთ. (V,309).

74(4320). ... ბევრი ქურდობა სამართლამდენაც არ მიაღწევს ხოლმე და ქურდი უდევნელად და დაუსჯელად ჰრჩება, და ნუთუ ქურდობას ეს ამისთანა ამბავი გულს არ უკეთებს და უქეზებს. (VI, 229).

75(4321). ბევრია ჩვენში... უწვრთნელი, რომელსაც ადამიანის წარამარად ხსენება, გაუპატიურება, ადამიანის პიროვნების შეგინება, არამც თუ სამარცხვინოდ მიაჩნია, არამედ სასახელოდაც, რაღაც ვაჟკაცობად და გულადობად ჰგონიათ, რომ მე ესა და ეს კაცი გაზეთში გამოვლანძღეო. ამასთანაც ქადულობენ კიდეც, ჩვენ ახალ-თაობის კაცები ვართო. (V, 168).

76(4322). ბევრს აქეთ-იქით თავს ახლის,
ჩლუნგია, არა მჭრელია;
რაზომცა ჰნათობს სინათლე,
მისთვის (ვაი-მწერლისათვის—რედ.) ეგრეცა ბნელია*.
(I, 127).

77(4323). ბევრს ჩვენგანს, ვისაც-კი ანაბანა დაუძლეია და სხვაში არსად არ არის გამოსადეგნი, აუღიათ თავი და ლიტერატორობენ. ეს ხელობა ჩვენში მეტად გაადვილებულია... ღმერთმანი, მწერალს ჭკუისა და ცოდნის მოწვევა დასჭირდება, თუკი წერის და ბღაჯნის მოუსვენარი საღერღელი აეშლება!.. ამოიჩრის იღლიაში ნაბღაჯნს, თავმოწონებით წარუდგება რედაქციას და გათავდა — მწერალია და მწერალი. მეორე დღეს ისე გამოჭიმული დაიწყებს ბულვარზედ სიარულს, თითქო ამერიკა ამისი ნაპოვნიაო, ისე ჭკვიანურად შეიკრავს შუბლსა, თითქო მართლა-და ტვინი არ ეტევა თავში და გარეთ გამოსვლას ჰლამისო სინამეტანობითა. ნუთუ ამისთანა მწერლის თაყვანიცემა მოშორება ლიტერატურისათვის დიდი დანაკლისი იყოს! (VIII, 248-249).

78(4324). ბეზღობა უნამუსობაა... (III. 392).

79(4325). ბეზღობა ყველა პატიოსან კაცისათვის შესაზრზენია, ნამეტნავად მაშინ, როცა ეს საძაგელი ხელობა ლიტერატურაში თავის

* შდრ.: „რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია".
შ. რუსთაველი (რედ.).

დუქანს გააღებს ხოლმე და თავის საქონელს ურცხვად გამოჰფენს... (III, 392).

80(4326). ბეზღობა ძველის-ძველი ხელობაა... (III, 385).

81(4327). ბეზღობა, ჯაშუშობა, სამართლიანად ცნობილია ეითა ყოვლად საზიზღარი საქ�elი და უტყუარი, უცილებელი მაჩვენებელია მაბეზღარის და ჯაშუშის გულჭუჭყიანობისა, სულმდაბლობისა და ერთობ ზნეობადაცვეულობისა. (IX,303-304).

82(4328). (ბეზღობას მისდევენ — რედ.) იმისთანანი, რომელნიც თავისის უხეირობით და უნიჭობით ვერას გამხდარან და უნდ'ოთ თავი როგორმე გამოიჩინონ, თვალი ჩვენ უფრო გვიჭრისო და შორს ჩვენ ვხედავთო. (VIII,9).

83(4329). ბეზღობის... პატივით ყოფნა საზოგადოებაში უტყუარი ნიშანია თვით საზოგადოების სისუსტისა, დაუძლურებისა და დარღვევისა. ბაგ საძაგელს ფარ-ხმალს სულმოკლეობისას და ჯაბნობისას სამჭედურად აქვს ხოლმე ყოვლად გახრწნილი და ამყაყებული გული ჩირქიანი კაცისა, და საბერველად კიდევ „შაბაშ" და „ბარაქალა" იმისთანა კაცებისა, ვისაც ბეზღობა და ერთგულება ერთს ფარდში მოუქცევია და ერთბანეთში განგებ ვერ გაურჩევია. (VIII,7).

84(4330). ბეცის თვალი მარტო საქმის კანსა სწვდება და არა საქმის გულსა. („ივერია", №163, 1887,1).

85(4331). ბიუროკრატობა ესლა მოდაში ადარ არის და ისე სამართლიანად ათვალწუნებულია, რომ დიდმა და პატარამ, თუნდაც არ იცოდეს ამ სიტყვის მნიშვნელობა, იცის რომ რაღაც უვარგისი რამ არის. ასე სამართლიანად აქვს გატეხილი აბრუ ამ სიტყვას და, რასაკვირველია, ჩვენ მის აბრუს ადგგენას არ მოვიწადინებთ. (V, 312).

86(4332). ბიწიერება, სიგლახაკე. ზნედაცემულობა — რედ.) კაი ხელობაა და ნუ გგონიათ-კი, რომ სუბუქი ხელობა იყოს.

აქ კაცმა სინიდისიც უნდა დაივიწყოს, ნამუსიც უნდა მჩვარში გამოჰკრას, პატიოსნებაცა ჰგმოს, ერთის სიტყვით, ყოველს ღვთაებურს ნიჭს ადამიანისას უნდა გადუდგეს და ამ ხელობას ისე მოჰკიდოს ხელი. ხუმრობა ნუ გგონიათ ასე სამარცხვინოდ თავის გაწირვა, ასე გაბიაბრუება, გაუპატიურება საკუთარის თავისა, საკუთარის კაცობისა: ამასაც ღონე უნდა, მართალია ღონე საზიზღარი, თავლაფდასხმული, შემაძრწუნებელი, მაგრამ მაინც ღონე ვაი რომ ამისთანა ღონესაც ფასი აქვს და მუშტარი ჰყავს! (VIII, 20).

87(4333). ბიწს ურცხვობისას საზღვარი არა აქვს... ნუ გგონიათ-კი, რომ ურცხვობა ულონო რამ იყოს. არა, იგი ძლიერია მარტო მით, რომ ურცხვობაა, და რაკი ურცხვობაა, იმის ხელთ ბარაქიანი ტყუილიც არის, ზორბა უნამუსობაც, სამარცხვინო სულელობაც, საზიზღარი ცი-

ლისწამებაც, ერთის სიტყვით — ყოველივე თავს-ლაფგადასხმული უწმინდურობა ადამიანისა. (VIII,21-22).

88(4334). ბოგანად სიარული, რა თქმა უნდა, ვერ გამოუნასკვავს ადამიანს იმისთანა ხასიათს, რომ დამჯდარი, დადგრომილი და ბუდმიანი მუშაკაცი გამოვიდეს. (VI,211).

89(4335). ... ბოდიში ძნელად თუ მოარჩენს მოგრეხილს კისერსა,— და არც მოტეხილ ფეხისათვის არის უებარი წამალი. (II, 126).

90(4336). (ბოროტ და შურიან ადამიანებს—რედ.) ... ამოძრავებს მხოლოდ ტრფიალი ხელოვნებისა — ავნონ მოყვასთ. აი, ესენი არიან ზიზღის ღირსნი (X,207).

91(4337). (ბრიყვმა—რედ.) ... ის მოატყუოს, ვინც მოუტყუებია, და ამისთანები ხომ ყველგან არიან. (IV,74).

92(4338). ... ბრმად დანდობა ... და აყოლა სხვისა იქ, საცა შენი საკუთარი გონება საბუთიანად სხვარიგად გიჭრის, — ეგ... ცოდვაა, უგუნურობად მიჩნეული და სამართლიანად განდევნილი, უარყოფილი. (VI,106-107).

93(4339). ... ბრმად დაჯერება ყოველ იმისი, რასაც ავტორიტეტი ამბობს, რის შემოწმებასაც ყურისმგდებელის ჭკუა, გონება მისწვდება და რასაც ეს შემოწმება უარჰყოფს, — მართლა დიდიხანია უგუნურობად არის მიჩნეული. (VI, 106).

94(4340). ბრმად თაყვანისცემა რისიმე, თუ ვისიმე, კერპთმსახურებაა და ყოველს მონობაზე უარესი და უკადრისი მონობაა. (IX, 272).

95(4341). ბრმათათვის (იგულისხმება გონებადახშული, ბეცი ადამიანები — რედ.). გათენება ტიბიკონში არა სწერია. („ივერია", № 65, 1900,3).

96(4342). გაგონილა!.. გაგონილა... ლაგამ-წამოყრილი ლაპარაკი სამეცნიერო საგნებზედ!.. (IV,83).

97(4343). გაგონილა დამტკიცება რისამე იმ საბუთით, რომელიც მართალი არ არის?! (IV,72).

98(4344). ... გაგონილი მაქვს, რომ მძოვრი მაშინ უფრო აყროლდება ხოლმე, როცა ხელს ახლებ. (II,572).

99(4345). ... გაგონილი მაქვს, რომ მძოვრი მაშინ უფრო ცუდს სუნს ამოუშვებს, როცა ხელს ახლებ. (II,568).

100(4346). (გაიძვერა, თვალთმაქცი კაცი — რედ.) როგორც მორიელი, ისე შემოგეპარება და დაგსუნთქავს. (II, 93).

101(4347). ... გაიძვერობა... ეშმაკური ოსტატობა, ის უკადრისი ღონისძიებაა, რომელსაც არა ჰთაკვლობენ ჩვენში ისინი, ვისიც მრწამსი ის არის, რომ თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ გაიძვერობას, ამ ეშმაკობას უნდა ეწამლოს რამე, უნდა კრიჭა შეეკრას, უნდა კარი ამოეგულოს, რომ კარში ფეხი არ გამოდგას. ამას, ჩვენის

ფიქრით, მთელის საზოგადოების თვალი და ხელი უფრო შესძლებს, ვიდრე ახვა რამე. (VII,496).

102(4348). (განა — რედ.) ენა ადამიანს მარტო იმიტომა აქვს, რომ მოშლილ წისქვილსავით ჰფქვას და ჰროშოს. (VI, 243).

103(4349). განა უმეცრებისაგან არ არის, რომ კაცი კაცს ისე ექცევა, როგორც მტერი მტერს, თორემ ეონება-გახსნილობა რომ მოქმედებდეს ამ შემთხვევაში, ადამიანი მალე მიხვდებოდა, რომ ურთიერთის სიკეთისათვის მოღვაწეობას კაცი უფრო ბევრს გამორჩება, ვიდრე ერთმანეთის მტრობასა. (V,354).

104(4350). განა უტვინო კაცად არ უნდა მყვანდეს მიჩნეული ის, ვისაც გავუბედავ და ვეტყვი: მე ვსთქვი, და ჩემის ნათქვამის გამო პასუხისგებას არა ვკისრულობო. (VIII, 24).

105(4351). განა ყველა სიცილი საგანია ხელოვნებისა! სიცილიც არის და სიცილიცა. უაზრო, უმიზეზო, სიცილი ლაზღანდარობაა... (III, 120).

106(4352). განა შესაძლოა კაცს ღმერთი იქამდე გაუწყრეს, რომ კაცის სიკვდილი ვისმე დააბრალოს მაშინ, როდესაც თვით სიკვდილი არ მოეხღარიყოს სრულებით. (IX, 302).

107(4353). განა ცოტა ბრძენია ქვეყანაზე, რომელსაც ჰგონია, რომ თავია ქუდისათვის გაჩენილი და არა ქუდი თავისათვის? (VII,12).

108(4354). განა ცოტა დადის აღვირ აშვებული უჭკუობა ქვეყანაზე?.. გონიერი კაცი გზას აუქცევს და სულელი — კი კალთაში ჩაავლებს ხელსა და ამ სახით მკვდარი მკვდარს აეკიდება სამარემდე წამიღეო. გზაც ის არის.* („ივერია", № 32, 1897,1).

109(4355). განა ცუდს ცუდი, ავს ავი არ დაერქმის ადამიანის ღირსების შეულახველად, ადამიანის გაულანძღველად, თავლაფ-დაუსხმელად? (III, 264).

110(4356). განუსაზღვრელად და ბუნდად გადაწყვეტა საქმისა სამაცდურია იმისათვის, ვინც ბოლოს ამ საქმეს და მის გადაწყვეტილობას თავისათვის საზარალოდ დაინახავს და ამგვარი მდგომარეობა უსათუოდ დავიდარაბის ასატეხად წააქეზებს გულნაკლულსა. (X,76).

111(4357). განუსაზღვრელობა უფლება-ნოვალეობისა ერთადგრთი მიზეზია იმ სამდურავისა და უკმაყოფილებისა, რომელიც ხშირად ისმის ხოლმე ცალკე მოხელეობის (მართლმსაჯულების მსახურთა — რედ.) მხრით ხალხის მიმართ და ცალკე ხალხის მხრით მოხელეობის მიმართ. („ივერია", № 276, 1895, 1).

112(4358). ... გაუპატიურებას, გაბიაბრუებას კაცურ-კაცობისას ადამიანი კიდევ როგორმე გაუძლებდა, როგორმე აიტანდა, რომ თვითონ

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე წამიღეო". (რედ.).

გზანი ფულის შოენისანი ერთნაირად პატივდებულნი და შეწყნარებულნი არ იყენენ: ცუდია, თუ კარგი, საძრახია თუ უძრახი, ნამუსიანია თუ ნამუს-ახდილი, სულ ერთია, ოღონდ ფული-კი აშოენინოს. ფულიანი კაციაო, იტყვიან და გთავდა!.. მისი კაცური ღირსება დამყარებულია, საქებ-სადიდებელია. („ივერია", № 241,1888,1).

113(4359). გაურჯელობა მოხელეობისა (მართლმსაჯულებისა — რედ.), დაგვიანება სამართლისა, და ყოველ ამითი გულის გატეხა მკვიდრისა, იგი უთოფ-იარაღობა, რომელიც ავაზაკს ხელში უშიშრად აძლევს ხალხის მშვიდობით ყოფას, ხალხის ქონებას, — ისეთნი მიზეზნი არიან, რომ ამაებს ანგარიშის გაწევა უნდა. კიდევ ვიტყვით, აღმოკვეთა ამა მიზეზთა მთლად არ აღმოჰკვეთს ქურდობასა და ავაზაკობას, მაგრამ უეჭველად ალაგმავს, შეაცოტავებს, შეასუსტებს, და სხვა არა იყოს-რა, ხელს მაინც არ შეუწყობს, და ესეც მოგება იქნება. (VI, 237).

114(4360). გაურჯელს კაცს წყალი წაიღებს, მაშ რა მოუვა. ამას დიდი ლაჩრი და ზაზი არ უნდა. (III, 379).

115(4361). გაცვეთილის კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია. (VIII,12).

116(4362). ... გველი გარედამ არის ჭრელი და კაცი კი შიგნიდან („ივერია", № 5-6, 1879, 229).

117(4363). გვეყო, ბატონებო, გვეყო იქ „მე" ულონა, საცა „ჩვენ" გაცუდებულია, უარყოფილია, გალახულია. ამას ყველა ვგრძნობთ და ვვალალებთ კიდეც. (V,51).

118(4364). გვიანლა ჰნანობს, თუ ჰნანობს,
ამაოდ დაშვრნეს ენანი:
წამხდარს საქმესა რას არგებს
მერმელა თითზე კბენანი?* (I,119).

119(4365). გვიკვირს, უარმყოფელობა თავის-თავად, როგორც ერთი რამ ცალკე განსაკუთრებული მოძღვრება, — როგორ ჰბოგინობს ადამიანის სულს გონებაში და ან კაცის გონება როგორ იშვნევს და ჰკადრულობს ამ საბაცილობას. ეს ხომ ადამიანის ჭკუის გაუქმება და გაბათილებაა. (III, 304).

120(4366). გლახა, მთხოვარა, რამოდენადაც წაქეზებულია სხვის გულ-შემატკივრობისაგან, იმოდენად თანდათან უკან მიდის, იმოდენად სული და გული ულონდება, უკვდება, და ბოლოს ის გამოდის, რომ

---

* შდრ.: „წამხდარსა საქმეს რას არგებს,
მას უკან თითზე კბენანი?!"
„ქილილა და დამანა".

ამ შეგონებიდან ნაწარმოებია ქართული ხალხური ანდაზა: „წამხდარსა საქმეს რას არგებს ბოლო ეამს თითზე კბენანი?!" (რედ.).

მთლად გადაეჩეევა თავის-თავის პატრონობას და მოვლას. ამ გადაჩეევას ხომ უღონობა, დაუძლურება სულისა და ხორცისა მოსდევს, და ეს უღონობა, დაუძლურება — კდომაა, ხრწნაა, აგებულების ღაშლა და დარღვევაა... ამაზედ უარესი სენი ჩვენ არ ვიცით. (IV,354-355; VIII, 315).

121(4367). გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშად, რაც გინდა მაღლა თაროზე დასვათო, ნათქვამია.* (VI, 245).

122(4368). ... გულ-გაუნათლებელი, მარტო სახეეჭავად მიმართული ცოდნა უფრო მოსარიდებელია, ვიდრე სანატრელი, თუ თავში გაიწია, პირიდამ ლაგამი ნამუსისა წამოიყარა და განათლებულმა გულმა სადავე არ აუკრიბა. („ივერია", № 75, 1897,1).

123(4369). ... გულგრილები ვართ სხვის უბედურების დანახვაზედ; სხვისი ჭირი ჩვენს საკუთარ ჭირად არ მიგვაჩნია, დავიწყებული გვაქვს ურთიერთობის კავშირი, იმასა სცემენ — მე ხომ არაო, ვიძახით და ამით ვინუგეშებთ ჩვენს გაქსუებულს თავსა. ის კი აღარ გვაგონდება, რომ ხვალ შეიძლება ეს დღე მეც დამადგეს და მეშველი არ მეყოლება. (VIII, 206).

124(4370). გულ-გრილობა ... დანაშაულობად და ცოდვად ადეილად ჩასათვლელია. („ივერია", № 225, 1886,1).

125(4371). ...გული ამომშრალი, უმადლო, უკეთილო ერს ერად ვერ აბოგინებს. („ივერია", №263, 1895,2).

126(4372). ... გული გიკვდებათ, ზნეობრივად იჩაგრებით და მხნეობა გარჯისა გელახებათ, რაკი ჰხედავთ, რომ მხნედ გარჯას ზარალის მეტი არა მოაქვს-რა. (VII, 26).

127(4373). ... გულის ამღვრევი და შეუნდობელი ბოროტებაა, რომ კაცს ის გაეყიდოს, რაც მისი კუთვნილება არ არის. (VIII, 203).

128(4374). გულის ფხანა კარგია, მაგრამ განა ეგ საქმეა!.. (VII, 355).

129(4375). გულის=ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. (II,253).

130(4376). გულიც არის და გულიც. ვისაც ფაქიზად გული შენახული არა აქვს, იქიდამ ამოსული არც ყოველთვის კეთილ-სასურნელია, არც ყოველთვის სასიამოვნოდ დასანახი. (III, 400).

---

* შდრ.: „გოგრა არ გახდება შირაზის შუშა,
რა გინდა მაღლა თახჩაშიაც შაიწყოს!"
საიათნოვა

ამ აფორიზმის მეორე ილიასეული ვარიანტია: „განა არ იცით, რომ მინა არ გახდება შირაზის შუშა, რაც გინდ მაღლა თაროზე დასდოთ". („ივერია", №32, 1897,1), ხოლო მესამე ვარიანტია: „გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშა, რაც გინდ მაღლა თაროზე დასდო". (VIII, 149). (რედ.).

131(4377). დაგწყევლოს ღმერთმა! აქებ კაცს თუ აძაგებ, ყველგან ეკლებს ხმარობს, ეგ შენს სიბოროტეს ამტკიცებს. (II, 454).

132(4378). დაეხსნათ ჩინის ძებნასა,
ემაგ ფუჭსა დიდებასა. (I,37).

133(4379). დალოცვილო, თუ არ ვესმის რასა სწერ რათა სწერ? თუ გული ერთს გეუბნება და ხელი სხვასა ჰბღაჯნის, ჭკუა სადღა ჯანაბაშია, რომ ამისთანა ურჩს ხელს არ მოსჭრის და ცეცხლში არ ჩაგდებს. (III, 391).

134(4380). დამუნათებული, წაყვედრებული კეთილი, ჩვენის ფიქრით, ბოროტზე უარესია და უმძიმესი ასატანად. (III, 192).

135(4381). დანაშაულობა, რომელიც წარმოსდგება ჩხუბისა და ერთმანეთის წაკიდებისაგან, ჯერ კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ დამნაშავე ავაზაკია, გულით წამხდარი კაცია. ესგვარი დანაშაულობა შეიძლება ფათერაკად შეემთხვევა ყოველად პატიოსან კაცსა და ამიტომ ამისთანა დამნაშავე საშიში არ არის საზოგადოებისათვის. სულ სხვაა ავაზაკი, იგი დაუძინებელი მტერია, დაუძინებელი ბოროტია ყველასი. ავკაცობა მისი მუდამი ხელობაა. (VI, 234-235).

136(4382). დანისა რა ბრალია, როცა კაცი მით ყელს იჭრის მაშინ, როდესაც იგი გაჩენილია, რომ კაცს ყელები-კი არა სჭრას, არამედ საქმე უკეთოს. რკინისგზა რა შუაშია, თუ კაცი განგებ, ან გაუფრთხილებლობით ქვეშ მოჰყვება და გაიჭყლიტება? განა ამ შემთხვევაში საბუთი აქვს ჭკუათამყოფელს კაცს სთქვას, რომ ბუნება და დანიშნულება რკინისგზისა ის არის, რომ კაცები ჟლიტოსო? არა აქვს საბუთი. (VI,254-255).

137(4383). დაუდევნელები ვართ ქართველები და კიდეც ეგ მოგვიღებს ბოლოს, თუ ჩვენ საუბედუროდ არ გავსწორდებით როდისმე. (III,15).

138(4384). (დაუმტკიცებელი, არგუმენტაციას მოკლებული—რედ.) ...„მეონიაობა“ საბუთი არ არის. (IV,94).

139(4385). დაუნდობლობა, შური, მტრობა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ჩხუბი, ცემა-ხოცვა ეკონომიურს გაუწყობლობის გამო, და სხვა ბევრი ამ-გვარი ნაყოფი უმეცრებისა — ვრცლად არის მოფენილი ჩვენს ცხოვრებაში. (VI, 339).

140(4386). ... დაუძინებელი სიხარბე და მსუნაგობა იმისთანა ძალმომრე თვისებისა და ბუნებისა არის, რომ რაკი აღვირი დაბღუჯა და გაიწია, არ მოერიდება, რომ გუშინდელი მტერი დღეს კაცმა მოყვრად გაიხადოს და გუშინდელი მოყვარე მტრად. (IX, 138).

141(4387). დაუჯერებელ პრეტენზიით აღსავსე კაცნი სხვისგან არიან გაბრიყვებულნი, თორემ ძნელად დასაჯერია, კაცმა თითონ გაიხადოს თავისი თავი... სასაცილოდ. („იერია“, № 32,1897,).

142(4388). ... დაწუნება და უარყოფა ახლად შემოღებულისა მარტო იმ ბიზეზით, რომ ჩვენთვის ადრეა და ჩვენ მისდა მისაღებად მოუმზადებელნი ვართო, ჩვენის ფიქრით შეცდომაა. ყოველს სიკეთეს, ყოველს ღონეს და სახსარს გზა შეეღობება, თუ კაცმა ხელზედ დაიხვია და სთქვა: აცა ჯერ ნზად არა ვართო. ჩვენის ფიქრით, მარტო ეს არ უნდა ეკმარდეს მაგისთანა საბუთს დაწუნებისას. ეგ საბუთი, გარდა იმისა, რომ უმართლოა, მავნებელიც არის: ბევრს სიკეთეზედ ხელს დაგვაბანინებს, რომ მაგათ ავყვეთ. (VII 376).

143(4389). დედაკაცის თვალი მსუნაგია თვალთმაქცობაზედ... (II,230).

144(4390). დედაკაცმა ისე თავზედ ხელი აიღოს, რომ ეაჟკაცსა სცემოს? (II, 154).

145(4391). ... დევნა და ძულება ეროვნული, ერთმანეთის შეუწყნარებლობა, ერთმანეთის გაუტანლობა იმის გამო, რომ შენ სხვა თესლისა ხარ და მე სხვა თესლისა და ერთად ვერ გვეცხოვრებაო, მარტო ბრიყვის და უვიცის მოძღვრებაა და სამართლიანად გასაკიცხი ყოველ პატიოსან და გონება-გახსნილ კაცისაგან. („ივერია", № 53, 1897,1).

146(4392). დიაღ, ბატონებო, ჩვენ, ქართველებს, ბევრი ჭირი, ბევრი ავი ზნე გვჭირს და ამათ შორის ყველაზე უარესი ის არის, როცა ველარ გაგვირჩევია, ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე. („ივერია", № 259, 1897, 2).

147(4393). (დიდად მავნებელი და მოსარიდებელია — რედ.) ... უჭკუო უმეცარი, მერე თუ ყბედობის საღერღელიც აქვს აშლილი. (VI, 242).

148(4394). ... დიდი და პატარა ჩვენს საზოგადო საქმეს ჰქელავს დაუსჯელად, და იმიტომ ჰქელავს, — რომ ქომაგად და მოსარჩლედ მარტო ორიოდე კაცია და არა მთელი ერი, მთელი საზოგადოება ერთად. ხმის ამომღები არავინ არის. (V,244).

149(4395). (დიდი-რედ.)... ხათაბალა შეუძლიან მიაყენოს თეატრის საქმეს არტისტმა, თუ გაკადნიერდა და თავზედ ხელი აიღო. („ივერია", № 23, 1888,1).

150(4396.) ... დიდკაცობა, როგორც სხვაგან, ისე ჩვენში, სწორედ კუბოა, რომელიც გარედამ ხავერდით არის მოსილი და ბუზმენტებით გაბრწყინვებული, მაგრამ ახსენით ის ბუზმენტები და ახადეთ თავი, შიგ ძვლების და სულის და ხორცის გახრწნილების მეტს ვერას დაინახავთ. (III,470).

151(4397). დრო იყო, როცა... ბეზღობით კაცს სვე გაჰქონდა ცხოვრებისა... ეხლა ხომ სულ შეუძლებელია მაგ ხელობით კაცმა თავი გაიტანოს სათბუნალზედ. წაუხდა ბეზღობას მაზანდა, ბაზარში ჩალის ფასადაც აღარ გადის, მუშტარი აღარსად უჩანს. (III, 385).

152(4398). დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შევვაჩვივა და ამაებმა სრულიად წარწყმინდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალ-ღონე, რომელიც უწინ იყო... (IV,322).

153(4399). ღღე ყოველ ალაბიანის გაუმაძღარ სიხარბეს ფულის შოვნისას ათასი კაცი ჩვენს თვალ-წინვე მიწასთან გაუსწორებია, ძირიანად ამოუთხრია ათასი კაცის ბედნიერება, შეუსვამს და შეუგამია ათასის კაცის ცოლ-შვილი, პირქვე დაუმხია ათასის კაცის ოჯახი. („ივერია", № 241,1888,1).

154(4400). დღევანდელი ფარ-ხმალი ცხოვრებისა ქონებაა. კარგია თუ ცუდი ეს ასეთი ყოფა, ჩვენ ამაზედ თვალი უნდა ავახილოთ, ამაზედ ვიფიქროთ. (VII,39-40).

155(4401). დღევანდელს სკოლას სახეში აქვს მარტო ჭკვა-გონების წარმატება და გაძლიერება, თუმცა ბევრს შემთხვევაში საქმე ისე მიჰყავს, რომ ვერც ერთსა სწვდება და ვერც მეორეს. ეხლანდელი სწავლა-ცოდნა სკოლისა თუმცა ჰშველის კაცს გონების თვალით დაანახვოს და გონებისავე ყურით გააგებინოს, რაც კაცის გარშემო არსებობს და თავს იჩენს, მაგრამ ადამიანის საქციელზედ-კი თითქმის სრულებით არა ჰმოქმედობს. (IV, 300).

156(4402). ... დღემდის ვერ დაგვიდგენია სამართლიანი კრიტიკული აზრი ჩვენის ცხოვრების შესახებ... აი, აქ არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ყოველი კეთილი საზოგადო საქმე ჩვენში ერთობ ნელის ნაბიჯით მიდის წინ... (VIII, 257).

157 (4403). დღეს ბალღმაც კი იცის, რომ უსწორ-მასწორობა, უჯრა-უჯრობა, გუნდ-გუნდობა კაცთა საზოგადოების აგებულებაში, — პატარაა იგი საზოგადოება თუ დიდი, — ყველა წარჩინებულ კაცთაგან ცნობილია წარმატების დამბარკოლებელ მიზეზად. (VI,104).

158(4404). დღეს ისეთი დღეა, ოღონდ-კი ფონს გახვიდე, შენ შენი გაიყვანო, და მოტყუებით იქნება, თაღლითობით, თუ ოინბაზობით, ამას ვიღა იკითხავს. დღეს ჭკუის საწყაოდ ასეთის საქციელით გამარჯვებაა. (VIII,108).

159(4405). დღეს „მე" და „შენს" ჭიდაობაში გამარჯვებულია ფული. („ივერია", № 125, 1893,2).

160(4406). ... დღეს ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეს ხელს უცრის, სწყლავს, ათახსირებს, გზაკვალს ურევს და სულს ართმევს ჩვენი გულგრილობა, ჩვენი მომაკვდინებელი მოძღვრება თვითოეულისა ცალკედ: თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო. (V, 243).

161(4407). დღეს ცარიელი მკლავი იმოდენად ვეღარა სჭრის, რაც სავსე ჯიბე. (VII,310).

162(4408). დღეს ხელახლად თავი წამოჰყო და ფეხზედ წამოდგა წინათ უაროფილი სისტემა პროტექციონობისა, ესე იგი სისტემა,

რომლის დაძლევაც დიდის სიხარულით მიღებული იყო ამ ორმოცის წლის წინათ (დაახ. 1840-იან წლებში—რედ.) ... (VII,320).

163(4409). ეგ არის ცუდი, რომა ყურს უკან კი ელაპარაკობთ ერთი-ერთმანეთის ცუდზედა, და კარგს მაქებედებაზე, პირში თქმას კი ვერიდებით. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV,302).

164(4410). ეგ* ის არის, ვისც პორტფელი
იღლიას ქვეშ მუდამ სჩრია...
არც ბევრი რამ თითონ არის,
არც პორტფელში რამ უყრია. (I, 120).

165(4411). ... ეგ ოხერი ჩვენი ისტორია ... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს. მე კი ასეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე, საქმე სალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. (X, 34).

166(4412). ეგ სიკეთე (ბეზღობა — რედ.), ჩვენდა საუბედუროდ, ყველას საერთოდა და ერთნაირადა გვჭირს. (V, 270).

167(4413). ... ეგოისტია და თავმოყვარე კაცი: ყველაფერი უნდა თავის დინეზედ მოიყვანოს, თავის ნებას დაუმორჩილოს, და ბუნებაც იმისთანა ლბილია, რომ კაცის გული, რასაც უნდა იმას გამოსახავს მასზედ. (II,506-507).

168(4414). ვერე (განუკითხავად — რედ.) გამომეტება კაცისა გაგონილა? (X, 94).

169(4415). „ეგრე მტრისა არ მეშინის.
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა — მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს...“** (VIII, 95).

170(4416). ... ერთ-გვარ წყობილობაში ძნელად, ძალიან ძნელად მოხდება ხოლმე მოხელეს თავის სულიერ ძალ-ღონეზედ გამოჭრილი თანამდებობა ეჭიროს, თავის შესაფერს ადგილას იჯდეს: ტყუილად დედა-მიწას ამძიმებს და ადგილი დასაფრული აქვს. („ივერია“, №10, 1882, 130).

171(4417). ერთ-გვარის ყალიბის მწერალნი არიან ჩვენში, რომელთაც ერთი სასაცილო ზნე სჭირთ, როცა საპოლემიკოდ გამობრძან-

---

* იგულისხმება ლაქლაქა ორატორი. (რედ.).

** ი. ჭავჭავაძე ამ სტროფის ავტორად შ. რუსთაველს უთითებს, რაც აშკარად ლაფსუსია. ხსენებული სტროფი აღებულია „ქილილა და დამანადან“. (კომენტარები იხ.: გ. ჯიბლაძე, „კრიტიკული ეტიუდები, IV, თბ.. 1967, გვ. 247; ლ. მენაბდე, „ვეფხისტყაოსანი და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიღვაწენი“, თბ., 1967, გვ. 58; მ. გუგუშვილი, „ვეფხისტყაოსანი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“ (იხ.: „ლიტერატურული ძიებანი“, XVIII, კრ. 3, თბ., 1989, გვ. 128) და სხვ., (რედ.).

ლებიან ხოლმე მოედანზედ. როცა სურთ თავის მიპირისპირეს წუნი რამ დასდონ, ვითომ სახელი გაუფუჭონ, საზოგადოებაში აბრუ გაუტეხონ,—ამისათვის მარტო ერთი იარაღი აქვთ. აიღებენ და რის და ვისი ათვალწუნებაც უნდათ, იმას მიაკერებენ ხოლმე მარტო ერთს სიტყვას: „ძველიაო“, და საქმე მათის ფიქრით გათავებულია და დამში მოსული. რა თქმა უნდა, ამნაირის ფარ-ხმლით მეომარი დიდის ტყვიაწამლის პატრონი არ უნდა იყოს, იმიტომ რომ თითონ ეგ იარაღი მეტის-მეტი ძველია და დღეს მარტო ბავშვებს-ღა აქვთ ხელში სათამაშოდ და მარტო იმათი შესაფერია და მოსახდენი. (III, 292).

172(4418). ერთი მითხარით, თქვენი ჭირიმე, ან რა ძალა და გავლენა უნდა ჰქონდეს იმისთანა გაზეთს, რომელიც ერთსა და იმავე საგანზე დღეს იძახის თეთრიაო და ხვალ — შავიაო, რომელსაც ერთი და იგივე პირი დღეს ცამდინ აჰყავს, აქებს, ადიდებს იმას და ხვალ კი ქვესკნელში აძვრენს, აძაგებს, სულელს, ბრიყვს, უპატიოსნოს ეძახის? („დროება“, № 46, 1880, I).

173(4419). ერთი საქმე გააკეთო და მეორე კი გააფუჭო, ეგ ცუდია. (II,56).

174(4420). ერთს ქურდსა და ავაზაკსაც ვერა ჰნახავთ, რომ... „ჰაშას კვრაში“ გაოსტატებული არ იყოს (III,304).

175(4421). ერთს წაართვი და მეორეს მიეცი, ეგ, ჩვენის ფიქრით, წყლულს ვერ გაამრთელებს. (VI,137).

176(4422). ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე საგანზედ ჰოს თქმაც და არასიცა, ულოღიკობა, თითონ დაამაოს და სხვას დააბრალოს; სისტემა მხილებისა, უსაბუთობა კრიტიკისა, უფროსთან ხმა გაიკმინდეო, სხვის სიტყვის თავის ქეიფისამებრ ვადაბრუნება, ადამიანის გულში „ობისკების“ მოხდენა, — ყოველივე ესე თვითეულად ცალკე და საზოგადოდ ერთად ყოფილან და, ჩვენდა საუბედუროდ, კიდევ კარგა ხანს იქნებიან. (III,286).

177(4423). ერთსახობა, ერთ-ნაირობა ადამიანის თვალს ხალისს უფუჭებს ცქერისას, დაკვირვებისას და ზედამხედველობისას. (V,173).

178(4424). ერთხელ და ორჯელ რომ გააძღოთ მცონარე მშიერი, ეგ კაცთმოყვარეობაა, მაგრამ მაინცა და მაინც ამით საბუდამოდ წყლულს ვერ გავიმთელებთ, იმიტომ, რომ თავის თავის წყლული თვითონ მცონარე მშიერი არის. („დროება“, № 16, 1875,1; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, ხელნაწერი № 197, ფურც. 1).

179(4425). ეს ამისთანა ქცევა (ლიტონი სიტყვების თავისუფლად, თავმოწონებით ხმარება—რედ.) მიეტევება გამოუცდელს კაცს, მაგრამ კაცს ცხოვრებით და საქმით გამოცდილს-კი, რა მოგახსენოთ. (V,260).

180(4426). ეს დალოცვილი ღმერთიც იმას აძლევს ბატონობას, ვინც არ იცის! (II, 536).

181(4427). ეს რა ამბავია, რა ამბავია! ადამიანი კიდეე ადამიანია ქვეყანაზედ, თუ განადირდა, გამხეცდა, რომ გეერდთ ადამიანს ეელარ იყენებს, ეელარ იშვნევს, ეელარ ითვისებს! (V,33).

182(4428). ეს წუთის-სოფელი ისეა მოწყობილი, რომ ყველა თავისათვისა ჰფიქრობს და სხვაც, რასაკვირველია, თავისათვის უფრო იფიქრებს. (V,351).

183(4429). (ეს წუთისოფელი ისეთია, რომ გლახაკს, მათხოვარს—რედ.) ... შეიძლება ერთს დღეს, ან რამოდენიმე ხანს კაცმა კაცთ-მოყვარეობით უშველოს, მაგრამ მას მერმედ მაინც ისევ მშიერია, ისევ გასაძღომია. („დროება", № 16, 1875, 1; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, ხელნაწერი № 197, ფურც. 1).

184(4430). ესტეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი ეს ... სიტყვები სუსტ არსებისათვის ძალიან ძნელი მოსანელებელია. (III, 44—45)

185(4431). ... ეჭვი ატყვევებს ... გულსა და გონებასა ... (III, 102).

186(4432). ეხლა სიცრუე, ვით გამოუქნელი ხარი, სიბრძნის ულლიდამ გამოეშვა და გაყალაღებული დაიარება თავისად. თუ სადმე წააწყდება სიბრძნეს, მარტო იმისთვის, რომ თითონ გამოეჭიმოს და სიბრძნე მსახურად გაიხადოს. (III,410).

187(4433). ვაი იმ ხალხს, რომელმაც არ იცის რისთვისა ცხოვრობს! უფრო ვაი იმ საზოგადოებას, რომელმაც არამც თუ ეს, ისიც არ იცის, რომ უნდა უთუოდ რისთვისამე სცხოვრობდეს. (III, 460).

188(4434). ვაი მილიონერებს, რომ ფული ბეერი აქვთ და გრძნობა ცოტა. (X,306).

189 (4435). ვაი ფუჭად განვლილს სამას-სამოც-და-ხუთს დღეს და ღამეს! (III,378).

190(4436). ვერ დაინახავს უტვინო თავისას, ვერცა სხვისასო.* (III,382).

191(4437). ვერა გაჰკურნოს მან მონის წყლულ
ვინც მონებას თვით ემორჩილება. (I,138).

192 4438). ვერაფერი სანუგეშო ამბავია, როცა კაცი საზოგადო საქმის მოედანზედ გამოდის მარტო იმისათვის, რომ სიტყვა და აზრი წინ გავიგდო და ეათამაშოო. ყოველი თამაში შექცევაა და საზოგადო საქმეს უპატიურად ჰხდის. (V,50).

---

* შდრ.: „ვერ დაინახავს უსწავლი თავისას, ვერცა სხვისას".
„ქილილა და დამანა". (რედ.).

193(4439). ვერაფერი ფალავნობაა ასეთის ფანდების ხმარება (სხვისი მართებული აზრების გაყალბება, მათი ანტიმეცნიერული ინტერპრეტაცია — რედ.) საკამათო მოედანზედ. („ივერია", № 77, 1887, 3).

194(4440). ვერაფერი ფალავანობაა კაცმა თავის მოგონილსავე გაემკლავოს. („ივერია", № 77,1887,2).

195(4441). (ვერაფრით ვერ შესძლებს საკუთარი თავის ვერ-გამკითხველი სხვის განკითხვასაც—რედ.)... და სწორედ აქ არის სათავეც ყოველის უბედურობისა, იმიტომ რომ მაშინ მართალი აღარ ჰტრიალებს საზოგადოებაში და ყოველივე უბედურობა ხომ უმართლობისაგან არის წარმოშდგარი. (IV,229).

196(4442). ვიდრე ქვეყანაზე კაცია, ბოროტიც არის, და ბოროტი ხომ იმითია მარტო სულდგმული, რომ თქმა ერთი აქვს და ქმნა სხვა. უამისოდ იგი ერთს დღესაც ვერ გაიჭაჭანებდა კაცთა შორის, ერთს დღესაც ვერ გააბამდა თავის სამაცდურო ბადესა კაცთა საჭვრად. (VIII, 265).

197(4443). ... ვინ არ იცის, რომ გამაძღარი ყოველთვის წვრილად უფხვნის ხოლმე მშიერსა...* (VIII, 87).

198(4444). ვინ არ იცის, რომ თუ სადმე უქმობაა მარჯვენისა და მხნეობა-მოკლებულობა, უფრო მდიდართა შორის არის. (IV, 353).

199(4445).ვინ არ იცის... რომ კეთილსინდისიანობა გაჭიმული თოკია, რომელსაც დიდნი ზედ გადააბოტებენ და ისე გადადიან, პატარები კი ქვეშ გაუძვრებიან ხოლმე.** (VI,11).

200(4446). ვინ არ იცის, რომ რაკი საქმე სიტყვის ბანზე აგდებაზე მიდგება, ვერაფერი ნუგეშია, ვერაფერი ნიშანია თითონ საქმის ბოლოში გატანისათვის. (IX, 145).

201(4447). ვინ არ იცის, რომ ფულის არსებითი თვისება სიხარბეა და სიხარბე კიდევ ისეთი ეშაპია, რომელიც სთნქავს და სჭამს ყველაფერს, რასაც-კი მიეკარება და ბრჭყალს მოსდებს. („ივერია", № 259, 1897,2).

202(4448). ვინა შრომობდა და ვინა ჰძღება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?! (I,139).

203(4449). ვინც არ იცის მამულის მოხმარება, ვერას გამორჩება სახარბიელოს და მამულიც არ დაუდგება ხელში, რაც უნდა ზღუდეები შემოავლოთ. („ივერია", № 142,1887,1).

204(4450). ვინც არასა ჰკარგავს, ის ყოველთვის კადნიერი და გამბედავია. (IV, 153).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „მაძღარი მშიერს წვრილად უფშვნიდა. თანაც დასძახდა: ცოტა ჭამეო". (რედ.).

** შდრ.: „...კანონი... გაჭიმული თოკია, რომელსაც დიდი ზედ გადაახტება ხოლმე და პატარა ქვეშ გაუძერება".
ი. ბენთამი. (რედ.).

205(4451). ვინც განგებ გონებადახშული არ არის, ან განგებ თვალებზე ხელაფარებული, ვინც კითხვა იცის და გაგება წაკითხულისა, განა იკადრებს თქმას, რომ „ვეფხის-ტყაოსანის“ შემქმნელი ერი იმოდენად ბრიყვი იყოო, რომ ისტორიის საჭიროების გრძნობაც არა ჰქონიაო. (VIII, 111).

206(4452). ვინც ... გაჭირებულს დღეს მამულიშვილურ ვაჟკაცობას არ ვამოიჩენს, მან გასცეს პასუხი ქვეყანას, თავის თავს, თავის სახლობას, და თავი ცოლ-შვილსა. (VII, 480).

207(4453). ვინც ... გულმოდგინედ ყვირის, ახალი კაცი ვარო, რატომ არ ვკითხულობთ, რით არის ახალი?.. რატომ არა ვკითხულობთ, რა მოიტანა ახალი? (V,254).

208(4454). ვინც თვითონ არ ჭირნახულობს, ვინც თვითონ თავის მარჯვენით არ ცდილობს თავის სტომაქის ავსებას, ის, ბატონებო, ცხრილია, რომელიც მაინც არ აივსება, თუნდა მთელი მტკვარი გაუწყვეტლივ ზედ მიუშვათ. („დროება“, № 16, 1875,1; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, ხელნაწერი № 197, ფურც. 1).

209(4455). ვინც თვისის ხელით წყლულს ხელ-ახლად იწყლულებს, ძმას ვერა მოარჩენს რა სიკვდილის მეტი. („დროება“, № 16, 1875, 2; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, ხელნაწერი № 197, ფურც. 2).

210(4456). ვინც იტყვის: კაცთ მოყვარეობას ჩემს გულში ადგილი არა აქვსო, — იმას ერთი ფეხი სამარისაკენ გაუშვერია, იმას ამითი თავისი ანდერძი აუგია, იმას თავისი ყელის გამოსაჭრელი დანა თვითონვე გაულესია. ერი, ამისთანა მოძღვრებაზე ამგებელი თავისის ცხოვრებისა, დღესა თუ ხვალე აიგვება დედამიწის ზურგიდამ, ვითარცა მტვერი ქარისაგან, და ხანგრძლივად ცხოვრების იმედს ტყუილად-ღა ებღაუჭება. („ივერია“, № 61. 1897, 2).

211(4457). ვინც კი ეგრეთ (უაზროდ — რედ.) მსვლელია,
შესაბრალებელია!.. (I, 16).

212(4458). ვინც ლაფში გასვრილია, არ იქნება ისე შეეხოს სხვას, რომ იმასაც არ მოცხოს თავისი ლაფი. (III, 455).

213(4459). ვინც ლაფში თავიდამ ფეხამდე ამოსვრილია, არ შეიძლება ისე შეეხოს სხვას, რომ თავისი ლაფი იმასაც არ მოცხოს. (III,66).

214(4460). ვინც მგმობელია, ის ძმა-ბიჭობას ვერ გაგიწევთ. (IV,197).

215(4461). (ვინც საზოგადო სარბიელზე — რედ.) კადნიერად და მოურიდებლად იბრძვის, იმას კარგი წამალი სცოდნია, რომ ზოვი-

ერთთა მჭვარტლიანს გულში ასეთი (ავკაცური—რედ.) ცეცხლი აუნთია ყოველ სამარცხვინო გრძნობის ასაფეთქად და საფარფაშოდ. ნუთუ ამ გზით გამარჯვება გამარჯვებაა და არა სამარცხვინო ბოძზე გაკვრაა გამარჯვებულისა. (VII,480).

216(4462)... ვინც სიტყვას საგნის შეუსაბამებლად, შეუწონებლად ჰხმარობს, მას არც თვითონ საგანი აქვს ნათლად წარმოდგენილი. (VII,357).

217(4463). ვინც უქმია, ვინც არ ირჯება მამულში, ვინც არ უვლის, არა ჰპატრონობს რიგიანის შრომითა, მხნეობითა და გამჭრიახობითა, იმას მამული ხელში არ დაუდგება, არა და არა. (IVII, 326).

218(4464). ვინც ფულს ახვევს კისერზედ თავის უძლურებას, ულონობას, იგი თავის-თავსაც ატყუებს და სხვასაც. იგი ამ ხავსს ეჭიდება, რომ თავი დაიხსნას უქმად ყოფნის სირცხვილისაგან და გაექცეს „გარჯას, რომელიც ბუნებამ საჭიროებად გაგვიხადა, საზოგადოებამ—მოვალეობად და ჩვეულებამ — სიამოვნებად". (VIII, 320).

219(4465). ვინცა ძმობით არ ყოფილან.
მათ მოხვედრიათ მონება. (I, 37).

220(4466). (ვირეშმაკა კაცი, რომელსაც მავან-მავანნი ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის წარმოებას ანდობენ — რედ.)... იმ ექიმს ეგვანება, რომელმაც ცოცხალ კაცს თავი მოსჭრა, თავი აღარ ეტკინებაო. (V,24).

221(4467).ვის არ მოეხსენება, რომ როგორც თავად-აზნაურობაში, ისე გლეხკაცობაში ყველა ანგელოზი არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ: ტყუილი და ერთმანეთის ბეზღობა არ დაეფიცება თითო-ოროლა უნამუსო კაცს, თავადი იქნება. აზნაური თუ გლეხი. (IX, 275.)

222(4468). ვისაც არა ჰსურს, რომ თავიდამ ბურუსი მოიშოროს და ეხალისება ბურუსში ყოფნა, ის ყოველთვის ბურუსში იქნება. („ივერია", № 42, 1893,2).

223(4469). ვისაც დაუკარგავს თავისის თავის პატივი და, მაშასადამე, სხვისაც — უკადრისობა იმისათვის უცილო იარაღად დაგვითმია. დეე იმან ამ გზაზედ და ამ იარაღით იბრძოლოს. (V,254).

224(4470). ვისაც ვებრძოდი, ბრძოლად არ ჰღირდნენ,
გვიან შევიტყვე ეს ცდომილება;
ეხლა მათ საზიზღ, მდაბალ მტრობაზედ
არც მეცინება, არც მეტირება. (I,68).

225(4471). ვისაც თავის დღეში სიკეთე არ უნახავს, არ შეუძლიან პირველ ნახვაზედვე არ დაფრთხეს. (IIN, 461).

226(4472). „ვისაც ტალახისა ეშინიან, ის გარეთ არ გამოვაო",— ვილაცამა სთქვა. (II, 563, 565, 567, 571).

227(4473). ვისაც... ღონე არა აქვს, ის ჩვენი ფიქრით, მჩვარია და არა კაცი. (V,228).

228(4474). ვიცი, კარგად ვიცი, რომ ოდეს ტურფა გაიეფდეს, ალარა ღირს არცა ჩირად.* (IIA, 405).

229(4475). (ზიანის მომტანი და საძრახისია, როდესაც—რედ.)... ყოველ ბრწყინვალე საქმეს, სამარცხვინო ფერს მოაცხობენ ხოლმე, ყოველ კეთილშობილურს განზრახვას ლაფით მოსვრიან, ყოველს თავგამოდებითს ხალისს ადრე და მალე ჭუჭყიანის ხელით ფრთას მოჭეეთენ ხოლმე. (III, 451).

230(4476). (ზნედაცემულ და ქონებით გაუმაძღარ კაცს — რედ.)... ოღონდ კი ფული დაანახვე და მშობელ მამას საფლავიდამ ამოიღებს. (II, 360).

231(4477). (ზნედაცემულ მედროვეთა ლოზუნგია — რედ.)... საცა ვისი რამ მოახელო, სჭამე, რაკი გემრიელიაო. (VIII, 133).

232(4478). ...ზნე-ჩვეულების გაუწმენდელობა და გაუნათლებლობა არის მიზეზი, რომ ქვენა გრძნობანი ზენა გრძნობათა ადგილას ეამეუფდებიან ხოლმე, ტყუილი მართალის ნიღაბ ქვეშ დაიარება და ყალბი ხალასად გადის. (VIII, 260).

233(4479). ზოგადი მიზეზი იმისთანა ავკაცობისა, რომელსაც სხვის ქონებაზე გული მიუდის, ყველგან და ყოველგან ეკონომიური უღონობა ყოფილა და იქნება კვლავაც. (VI, 220).

234(4480). (ზოგ-ზოგი მეცნიერის არაკვალიფიციური ნაშრომი — (რედ.)... ამაოდ თავმოწონებას უფრო მოასწავებს, ვიდრე დამჯდარ გონების გამონაკვლევს. (VI, 106).

235(4481). ზოგი დედა თავს იწამლავს, ზოგი თავს იფუჭებს, ზოგი თვისს ნაშობს (იგულისხმება უკანონოდ შობილი — რედ.) ასე თუ ისე იმეტებს, რომ სირცხვილს დაემალოს, მიეფაროს და ჩვენს განკიცხვას და ძრახვას გადაურჩეს. (VIII, 346).

236(4482). ზოგი, თუნდაც მოცლილი იყოს და არ იცოდეს სად მიაფშვნიტოს თავისი დრო და ხანი, საჭიროდ არა ჰხედავს ათასში ერთხელ მაინც თავის-თავს ანგარიში ჩამოართვას, თავის თავს მოჰკითხოს თავისივე ადამიანური ვინაობა, ადამიანური ავკარგიანობა. (IV, 227).

237(4483). (ზოგი — რედ.)... საქმე განა იმოდენად აწვიმებს, რამოდენადაც ზოგიერთებს აქუხებს!..** („ივერია", № 110, 1892, 3).

238(4484). (ზოგიერთ არაკაცს — რედ.) ერთი ნამცეცა მართალიც კი ისე ამოუელია თავის გულის ზაფრაში, რომ თავისი ნიშან-

* შდრ.: „ოდეს ტურფა გაიაფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად."
შ. რუსთაველი. (რედ.).

** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „როგორც ჰქუხს, ისე არ წვიმსო". (რედ.).

წყალი დაუკარგავს, ტყუილს დიდ მანძილზე არ ჩამორჩება და მოგვაგონებს ხავსს, რომელსაც წყალწაღებული ეჭიდება ხოლმე, როცა მეტი ეზა არა აქვს.* (IX, 282).

239(4485). ზოგიერთ კაცებისაგან გვაკვირვებს, რომ თავიანთ მოქმედების გამოაშკარავება ასე ეჯავრებათ და იქ კი, სადაც მათ არავინ არასა ჰკითხავს, მეტიჩრობას სჩადიან და რაღასაც აყრანტალებენ. („დროება", № 4, 1881, 2).

240(4486). (ზოგიერთ თავხედ კაცსა — რედ.) შეჩვეული ჭირი ურჩევნია... შეუჩვეარ ლხინსა.** (II, 49).

241(4487). (ზოგიერთ პირს — რედ.) თავის უმეცრებით არ ესმის, რომ განხილვა რისამე შეიძლება არ წარმოდგეს არც მტრობითა და არც შურითა. (III, 454).

242(4488). (ზოგიერთი ეი-მეცნიერის სიტყვა — რედ.) ვარაყიან ნაგუჯსა ჰგავს, გული-კი ჭიანი აქვს. (VIII, 157).

243(4489). (ზოგიერთი — რედ.) თავის სიკეთით უფრო აფუჭებს კაცსა, ნამეტნავად ყმაწვილს, ვიდრე სხვა თავის ბოროტებითა. (III, 523).

244(4490). ზოგიერთი ჩვენთაგანი — მცხედარსა ჰგავს. სულგანაბულად მდებარეს, რომელსაც თითქო არც კი ეხება ის, რაც ხდება საერთო ცხოვრების არემარეზე...

ამ-გვარი სამარებული უგრძნობლობა, — თავს იჩენს ხოლმე ჩვენში ყოველთვის, როცა საქმე შეეხება არა უთავბოლო ფულის ფლანგვას, სმას და ქეიფს, არამედ „იმ — თავმომაბეზრებელს" საგანს, რომელსაც საზოგადო საქმეს ეძახიან... (IV, 352).

245(4491). ზოგიერთის გრძნობა გარეშე ბეთვალყურესათვის წარმოადგენს პაწია მღვრიე და ხავსით მოსილს ტბას, რომლის ადიდება და აგორვება ისე შეუძლებელია, როგორც უბრალო თვალთაგან უხილავის კბილის ჭიის ვეშაპად გარდაქმნა. რაც გინდა მრისხანე ცხოვრების გრიგალი დაჰქროდეს ამ ტბას, მისი ტალღები მაინც მყუდროდ განისვენებენ თავის ბინაზედ და არ ექვემდებარებიან მოძრაობის ქარტეხილსა... (IV, 351-352).

246(4492). ზოგიერთს ჭირად სჭრის ენის ქაქილი. (I, 92).

247(4493). ზოგისათვის ბეჭედდაკრული მიწმობაა საჭირო, რადგანაც თვით ბუნება აზრისა მათთვის მიუწვდომელია. (VI, 105).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო". (რედ.).

** შდრ.: „შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსაო". ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

248(4494). ზოგს შეჩვეული ჭირი ურჩევნია შეუჩვეველ ლხინსა.* (VIII, 173).

249(4495). ზოგს ჩვენში ტვინის დაძერა სიკვდილსავით ეზარება. („ივერია", № 32, 1897, 2).

250(4496). ზოგჯერ თვით... სიმდიდრე თავისის აუარებლობით ადამიანის დამამხობელ მიზეზადაც გვიხვდება და... ბუნებისა ჭირად გადაგვექცევა ხოლმე. (VII, 273).

251(4497). (ზოგჯერ ბოხდება ხოლმე ისე, რომ — რედ.) ვერც კანონს დაუმორჩილებია ცხოვრება, რომ კეთილად წარმართოს, ვერც ცხოვრებას შეუფერებია კანონი, რომ სიკეთის დედაბოძად გამოიყენოს. „ერთის აღმა ხნულს მეორე დაღმა ფარცხავს".** (VI, 97-98).

252(4498). ზღაპრები და ბაქიობა ბევრი გაგვიგონია, მაგრამ ანწლს თავის დღეში ყურძნობა არ უქმნია.*** („ივერია", № 32, 1897, 2).

253(4499). თავგასული კაცი ხომ თითონ არა არის-რა, სხვასაც არავის კაცად არ აგდებს. (VI, 107).

254(4500). თავგასულობამ უვიცობისამ ბევრს აურია გზა და კვალი. (VI, 107).

255(4501). (თავზედხელაღებული მაჩანჩალაა ის კაცი — რედ.) რომელსაც წმინდა სახელი და დანიშნულება პრესისა მჩვრად უქცევია, ადამიანობა და ადამიანი ბეზღობის და ცილისწამების საგნად გაუხდია და დიდი მოძღვრება ადამიანის ხელუხლებლობისა მარტო თავის სახეიროდ, თვის საფარველად გარდუქმნია. (IX, 303).

256(4502). თავისთავზე ხელ-აღებული — ცალკე ადამიანია, თუ კრებული, სახელდობრ, სოფელი, საზოგადოება — თავისს თავზე იმედგადაწყვეტილი, იმედ-გაუქმებული რიღას მაქნისია? ამისთანა ცოცხლადვე დასამარხია... („ივერია", № 25, 1892, 1).

257(4503). თავისის-თავის მაქებარი შორს მანძილს ვერ გაივლის, მალე ჩააკეცინებენ მუხლსა, როცა დაუფიქრდებიან და შეატყობენ, რომ შიგ არა ყრია-რა. (VI, 244).

258(4504). თავისის თავის მქებელი ადამიანი მეტად სულელი უნდა იყოს... („ივერია", № 103, 1892, 3).

259(4505). ...თაკილი უკან უნდა დასდგეს იქ, საცა ბიწისაგან აშფოთებული, გამწვანებული გრძნობა ადამიანობისა ჰღალადებს და კაცს ვალად სდებს ბიწს მიწის კარამდე სდიოს. (III, 393).

260(4506). თვალებზე ხელის მიფარებას თავის-დღეში არაეისთვის ხეირი არ მოუტანია. (V, 344).

* შდრ.: „შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსაო".
ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

** შდრ.: „კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს".
დ. გურამიშვილი. (რედ.).

*** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია „ქილილა და დამანადან" აღებული ტაეპი: „ანწლი არ მოგცემს ყურძენსა". (რედ.).

261(4507). თვით დიდებულნი აზრნი და გრძნობანი მოიელინებიან-კი იქ, საცა ადამიანი მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი, მგელსავით პირღია დაიარება და ერთი წუთი ვერ გადურჩენია, რომ ჭამა-სმის გარეითად სხვა რაზედმე იფიქროს, სხვა უმაღლესს საგანს ადამიანის წყურვილისას თავი და გული მოანდომოს? ეს თუ შეუძლებელი არ არის, დიდად საეჭვოა მაინც იქ, საცა ერი ღატაკია, უძლური და მარტო დღიურ ლუკმის საშოვნელად გაწირული. (VII, 36-37).

262(4508). თვით მსჯელობა შეგვიშინა უცხო ქვეყნების აბრუშა, გამბედაობა გამოაცალა. ამის გამოა ჩვენი ვეღარა ვიკვლიეთ-რა, ვეღარა გამოვიძიეთ-რა... ყოველს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას ამ გაუბედაობამ გონებისამ თავისი დამღა დაასვა და დღეს ჩვენში უცხო ქვეყნელი სულელიც ჭკვიან კაცად გადის და იქაური ტყუილი მართალა, მერე როგორი ტყუილი? იქავ ტყუილად ცნობილი და აღიარებული. (VII, 75).

263(4509). თვით-ნებითი მისევა უფლებისა ადამიანზედ საზოგადო შიშსა ჰფენს მთელს ქვეყანაზედ, ყველა მართალი და მტყუანი ერთს ტაფაში იწვიან, ერთნაირად შიშობენ, რომ აი ერთი უბრალო რამ მიზეზი და თავს დამეცემიანო, ხელს წამაელებენო, ჩამითრევენ საქმეშიო, და ვინ იცის დასასრული როგორი, ან როდის იქნებაო. ეს შიში საერთო მშვიდობიანობისათვის, უფრო ძლიერ მავნებელია, უფრო გამჭრიახია, უფრო ამაშფოთებელია, ვიდრე შიში, რომელიც მოსდევს ავ-კაცობას, ავაზაკობას... („ივერია", № 13, 1879, 149).

264(4510). თვითნებობა არა საქმეში არა ვარგა... („ივერია", № 103, 1888, 1).

265(4511). თოკიდამ გამოშეებული კაცი ხომ ცუდია. მაგრამ თუ ქართველმა თოკიდამ დაისხლიტა თავი, იმაზედ უარესი არა მილეთის კაცი არ იქნება.* (II, 422).

266(4512). თუ არ მოცლილი კაცი, რომელი ადამიანი დაიწყებს გამარგვლას იმ კვლებისას, რომლიდგანაც არაფერს არ ელის იმავ ბალახის აღმოსვლის მეტს, იმ კაცს ზღაპრებში ნაცარქექიას ეძახიან და მე როგორღაც არ მომწონს ეგ სახელი. (III, 46).

267(4513). თუ გინდა, ძმაო, იგვეო
ამა ქვეყნისა შვებანი,
დიდთა საფეროდ მოჰმართე
შენი გულ-სიტყვის ებანი. (I, 100).

268(4514). თუ დღეს ცოტანი ბეერსა გვძლიენ და გვჩაგვრენ, ეგ იმიტომ მოგვდის, რომ ცალ-ცალკე მოგვიხელებენ ხოლმე და ცალკე

* ბ. ჭავჭავაძე ამ ფრაზაში სახრჩობელადან თავდაღწეულ ავაზაკს გულისხმობს. (რედ.).

კაცისათვის ჭიდილი ფულთან, თუნდ ჩარჩული ფულიც იყოს, ძნელია. (VII, 14).

269(4515). თუ თვალი გიდევნებიათ. შეუძლებელია არ შეგენიშნოთ იმისთანა მწერალნი, პუბლიცისტები, საზოგადოდ მოსაქმენი და მოღვაწენი, რომელნიც რასაც შინ თვითონ სდევნიან და ჯვარს აცმენ, იმის ნაათალს დუვნულობასაც-კი სხვა ქვეყანაში მომაკვდინებელ ცოდვადა სთვლიან და არის ერთი ჭექა და ქუხილი იმ ქვეყნის მტარვალობასა და ბარბაროსობაზედ. (VIII, 269).

270(4516). თუ იქ, საცა იმოღენა კანონიერი გზა აქვს ყველას თავისი ტკივილი სხვას გააგებინოს, მკურნალთა თვალი და ყურადღება მოიზიდოს და წამალი რამ მოაძებნინოს, თუ იქ, საცა ვრძნობა კანონიერებისა, წესიერებისა ყველას სულსა და გულში გამჯდარი აქვს, მუშა ხალხი აიშალა და ძარცვა-გლეჯა დაიწყო, ჰსჩანს, სატკივარი დიდია და ღრმად განძირული აგებულებაში. (IX, 83).

271(4517). თუ კაცი თვითონ ნულია, — გლესია. თუ თავადი, — ათასი ამისთანა ნულები რომ ხელი-ხელ ჩართულად გაგვიმწკრიოთ, მაინც ნულია და ნული. („ივერია", № 65. 1900, 3).

272(4518). თუ კაცი სინიდისსა და ნამუსზე ხელაღებულია და ვისიმე ჯავრის ამოყრა გულს მოსწოლია, ადვილად მოახერხებს ათქმევინოს თავად-აზნაურს, თუ გლეხს, ავზნეობა და ავკაცობა ერთმანეთისა. (IX, 276).

273(4519). თუ კაცია, თვის თავს ეტყვის,
რასა ჰქსოვს და რასა სთელავს!..
ამად ვწუნობ ამგვარ კაცსა;
სულ ბნელია, რასაც ელავს.* (I, 123).

274(4520). (თუ კაცმა ცხოვრების — რედ.) ჯეროვანი გაძღოლა არ იცის, თვითონაც იმწარებს ცხოვრებასა და სხვასაც უმწარებს... (III, 127).

275(4521). თუ კაცს ღვთის ნიჭი და იმისი მოცემული სიმხურვალე არ უძევს ტვინსა და გულში, აბა რას უზამს ლაპარაკი. ისა ჰგავს მოსიარულე მკვდარს და იმისათვის საალაო მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ რასაც შეხედოს, უგემურად გაიღიმოს და შეაქციოს ზურგი („ივერია", № 273, 1889, 3).

276(4522). თუ კაცს ღმერთი გასწყრომია და ყური დახშული აქვს სმენისათვის, თვალთახედვის უნარი სად ჯანაბაშილა დაჰკარგვია, რომ თავის გარშემო ვეღარა ჰხედავს ათასის წლების ნაშენებს და ნაკეთებსა. ჩვენში ხომ ისე ფეხსაც არ გადასდგამთ, რომ ამისთანა

* შდრ.: „ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს?
ამად ვსწუნობ საწუთროსა. სულ ბნელია, რასაც ელავს"!
დ. გურამიშვილი, (რედ.).

უტყუარნი მოწმენი თვალწინ არ აღგემართონ თავისის დიდებითა და სახელოვანებითა. (VIII, 23).

277(4523). ...თუ ბე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო. ეს ხომ საზოგადო ინტერესებიდან კერძო ინტერესებზე ჩამოხდომაა! ეს ხომ უკან გაბრუნებაა წინ მიმავალ კაცისა! ეს ხომ უკან დახევაა! (VI, 262).

278(4524). თუ. ჩვენდა საუბედუროდ... აღვირაშვებული უკადრისობა თანდათან უფრო მეტად თავს გავიდა, თუ ნაძირალთა გრძნობათა შემწეობით, ქადებით, ფულით, სხვადასხვა დაპირებებით, მოტყუებით, ზუთხებით და სადილ-ვახშმებით სხვის გატანა მოვინდომეთ საზოგადო საქმეთა სარბიელზე, თუ ამისთანა აეზნეობას შეეჩვევენით და ჩვენში ფეხი მოვაკიდებინეთ, რიღას იმედით მოვილოდინოთ ხვალე? რა ნუგეშითღა გავუსწოროთ თვალი ჩვენს მერმისსა? რა პირითღა დავენახოთ ქვეყანასა? რა სახელიღა გადავცეთ ჩვენთა მემკვიდრეთა თუ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ასე ვიარეთ, სად მივალთ და რა კლდე-ღრეში გადაეჩეხებით?

ამას უნდა ჩაუფიქრდნენ ყოველნი, ვინც საზოგადო მოღვაწის სახელსა ნდომობს და საზოგადო საქმეთა სარბიელზე გამოდის საჭიდაოდ. (VII, 440).

279(4525). თუ რუსეთს დაღუპავს რამე, სწორედ ეს მსუნაგი, ნამუსმიხდილი, მტაცებელი, ბრიყვი ჩინოვნიკობა დაღუპავს. (X, 338).

280(4526). თუ სადმე ქურდობა, ან ავაზაკობა მოხდება ხოლმე, მარტო გაქურდული და ჭირისუფალი შეუდგება თავში ცემას, სხვა არავინ არ იტკივებს თავს, თითქო ამისთანა ბოროტმოქმედება, როგორც ქურდობა და ავაზაკობაა, საკუთარი ჭირი იყოს ცალკე კაცისა და არა მთელის საზოგადოებისა, მთელის ერისა. (VI, 223).

281(4527). თუ საზოგადოებას ეს სენი (ბლახა-ამპარტავნობა, მთხოვარობა, უქმობა — რედ.) ჩასჯდომია გვაძსა და აგებულებაში, ფუტურო ხესავით დღე და ღამე იფხვნება და პირქვე დასამხობლად გამზადებულია და გადადებული; თავოსნობას მუხლი ეჭრება, თვითმოქმედებას, გამრჯელობას და მხნეობას — ამ დედაბოძებს წარმატებისას — ძირი ულპებათ და აქ დარღვევისა და წაქცევის მეტს რას უნდა მოელოდეს ადამიანი? (IV, 355; VIII, 315-316).

282(4528). თუ სათავე მღვრიეა, ბოლოში ამაო იქნება წმინდა წყლის ძებნა. (III, 14).

283(4529). თუ საძრახავსა არ ამხელ და სამარცხვინო ბოძზე არ გააკრავ, მაშ რის მაქნისიღაა ეგ თქვენი მოწონებული, თქვენი ქადებული დოყლაპია ლიბერალობა. (VIII, 100).

284(4530). თუ წყალი სათავეშივე აიმღვრა. ბოლომდინ მღვრიედ ივლის. (II, 331).

285(4531). თუმცა არ-ცოდნა არ ცოდვაა, მაგრამ მაინც დიდად შემაწუხებელია. (VIII, 252).

286(4532). თუმცა დიდთა პირფერობა
არის მონებრივი ქცევა,
მაგრამ მაღლა აცოცვისთვის
უნდა თურმე კუდის ქნევა. (I, 100).

287(4533). თუნდაც კარგი მარბენალიც იყოს, სრულიად უღონოა კუდ-ამოძუებელს ქურდულს მითქმა-მოთქმას და ჭორებსა უკან სდიოს და პირში ლაგამი ამოსდოს. („ივერია", № 29, 1898, 2).

288(4534). თქვენ არ იცით, ბატონებო, რა დაუმონავი რამ არის მწერლობის საღერღელი! ყველა სხვა საღერღელზედ უარესია, იმიტომ რომ ყველა საღერღელს დაიმორჩილებთ და ამას კი ვერა... და თუ ამასთან ენის ქავილიც აუტყდა მწერალს, მაშინ ხომ ხსნა არ არის. ვაი მაშინ მწერალსა და უფრო დიდი ვაი მკითხველსა! თქვენი მტერი, მაგათ დღე დაადგებათ, აქაო და მე ენის ქავილი მაქვსო, მწერალი არა-ხუნებს მოშლილ წისქვილსავით და საწყალმა მკითხველმა უნდა ამით ყური გამოიჭედოს. (V, 56-57).

289(4535). თქვენ ვერას კარგს ვერა იქთ, თუ ძიძაობის შველაზედ ხელს არ აიღებთ. (II, 465).

290(4536). თქვენ სულ მზა-მზაობა გინდათ... იბრძოლეთ და წაიღეთ. თორემ დაგიკრეფიათ ხელები და შესცქერით; აცა კარს გაგვიღებენ და ჩვენც დავინახავთო მზიან ქვეყანასაო. (II, 465).

291(4537). იგი დიდ მაჯილს ვერ გავა,
ტყუილ-უბრალოდ ჰშვრებაო,
ეინცა სოროში თავსა ჰყოფს,
კუდი კი გარეთ რჩებაო. (I, 119).

292(4538). იგი კადნიერება, რომლითაც ზოგიერთნი ჩვენგანი შეპმოსენ თავის სიტყვა-პასუხს, იგი სილაღე და სითამამე, რომლითაც იგინი შეჰლახავენ ხოლმე ადამიანის პიროვნებას და სადგურს, გვარწმუნებს ჩვენ, რომ იგინი თავის-დღეში არ დაფიქრებულან მასზედ, თუ საჭიროა „მე"-სა და „ჩვენ"-ს შუა საზღვარი რამ დაიდოს. (VIII, 245).

293(4539). იგი (უაზრო — რედ.) სიცილი მაშხალასა ჰგავს, რომელიც მინამ ანთია კიდევ ჰო, როცა კი დაიწვის და ჩაქრება, დამწვარი ნჩვარი-ღა დარჩება და ცხვირის მოსარიდებელი ნატისუსალი. (III, 112).

294(4540). (ილაჯგაწყვეტილი და ხელმოცარული კაცის იმედი ესლაა, რომ — რედ.) რაკი წყალს მივეეარო, ხავსს მაინც მოვეჭიდოო.* (VI, 31).

295(4541). იმ მიზეზთა შორის, რომელიც აქეზებს, ათამაშებს და ამხნევებს ჩვენში ქურდობას და ავაზაკობას, უნდა ჩაირიცხოს დახანება საქმის გარჩევისა სამსაჯულოს მიერ. ქურდობისა და ავაზაკობის ჩოხდენის დღიდამ გარჩევის დღემდე იმოდენა ხანი გადის, რომ დაზიანებულსაც ლოდინით გულს უტეხს, მოწმესაც ავიწყდება ზოგიერთი წვრილმანი, არსებითი გარემოება ნახულისა, ხშირად გეში და კვალი დანაშაულობისა იშლება და იკარგება და ამით სიცოცხლე და საბუთიანობა აკლდება საქმეს. (VI, 227).

296(4542). (იმ ორატორისათვის, რომლის ლაპარაკიც ცარიელი წყლის ნაყვაა — რედ.) ყურის თხოება დაუმსახურებელი ჯილდო იქნებოდა. (VII, 420).

297(4543). იმათთვის (ავკაცებისა და არამზადებისათვის — რედ.) განკიცხვას ძალა არა აქვს, ისინი სნეულნი არიან ჩვენ შორის. იმათ წამლობა უნდა. ხოლო იმათი სიცუდის გამოფენა სხვას შეაყენებს. (II, 460).

298(4544). იმედი უშიშრად გადარჩენისა, ან ასე თუ ისე თავის დაძვრენისა, ბევრსა ჰშველის ქურდობისა და ავაზაკობის გაჩენასა და გახშირებასა. ავის ზნის კაცს ეს იმედი აქეზებს და ათამამებს და საჭიროა ამ იმედს გზა შეეკრას, ეს იმედი ჩამოართვან ქურდსა და ავაზაკსა. (VI, 237).

299(4545). (იმისთანა-რედ.). ... კაცს, რომელსაც არ გაეგება რას ჰბოდავს და რას არა, და რაც ენაზედ მოადგება, უანგარიშოდ წამოიყრანტალებს, რა უნდა მოეკითხოს? („ივერია", № 193, 1888, 3).

300(4546). იმისთანა უნუგეშო, უმწეო, ხელთაღუპყრობელი კაცი არ არის ჩვენში, როგორც საზოგადო საქმის მოღვაწე. როგორც გატეხილს ღობეს, დიდი და პატარა მისდგომია და თელავს. არავის სტკენს გულს ეს ასეთი უსამართლო ქცევა, არაფის ეზიზღება, არავის ეთაკილება. (VIII, 254).

301(4547). იმიტომ მინდა ქვეყანას დაგანახვო. რომ ამოტყლაპული ხარ გუბეში, რომელსაც შენ სამასხარაოდ ცხოერება დაგირქმევია; იქნება შეგრცხვეს ქვეყნისა და გაირეცხო. (II, 573).

302(4548). იპარეენ პატიოსნების სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად პატიოსნება და სად მპარაობა? (VIII, 264).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო". (რედ.).

303(4549). (ის საზოგადოება დიდ მანძილს ვერ გაივლის—რედ.). ... საცა თქმა საქმეს არ ებმის და საქმე თქმას არ ემსგავსება, არ ეთანხმება. (VIII, 265).

304(4550). ისე არაფერი არ ამხნევებს ქურდსა და ავაზაკს, როგორც ყურის მოყრუება მოხელესი და დაუდევრობა. (VI, 224-225).

305(4551). ისე გაბიაბრუებული, ისე გაუპატიურებული არავინ არის ჩვენში, როგორც სვეუბედური მსახური საზოგადო საქმისა. აქაო და მოედანზე სდგას და ნიშანში ადვილი ამოსაღებიაო, აღარაფერს ვერიდებით, ვასორსლებთ ტალახის გუნდას და პანტასავით თავზე ვაყრით. (VIII, 254-255).

306(4552). ისე (უაზროდ—რედ.) ფუჭია იგი ცხოვრება,
უფერულია და ცარიელი!..
არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
არცა საგანი გამცოცხლებელი! (I, 308).

307(4553). იქ თვით სამოთხე ჯოჯოხეთია,
სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური. (I, 111).

308(4554). იქ, საცა კაცი კაცს ამართლებს იმით, რომ კაცია და გუნებაო, თქვენს კრიტიკას ისეთს კუდს გამოაბამენ, თქვენ თვითონ ისეთს ჭუჭყში ამოგავლებენ, რომ თავი და ბედი უნდა იწყევლოთ — ეს რა ღმერთი გამიწყრა და ხმა ამოვიღე, რატომ ჩემთვის არ ვიჯექიო. („ივერია", № 29, 1898, 2).

309(4555). იქნებ მგელს მგლობა ჰქვიან და ტურამ კი ლამის ქვეყანა ამოაგდოს. („ივერია", № 7-8, 1882, 224).

310(4556). ... იცოდე; ვინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავისა მტერია*. (II, 79)

311(4557). ... იცოდე ... სადაც ეჭვიანობაა, იქ ნდობა და პატივისცემა არ არის. (X, 231).

312(4558). იძახიან, ხალხი არა ჰშველის მოხელეობასა (მართლმსაჯულებას—რედ.), ხელს არა სძრავსო, ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს და სხვათაშორის ის, რომ ხელს არა სძრავს თვით მოხელეობა და ხალხს სხვა არა დარჩენია-რა, გულ-ხელი დაიკრიბოს და არ მიეცეს ქურდსა და ავაზაკს ან დასახანჯლავად, ან სასიკვდილოდ, ან ცეცხლწასაკიდებლად, იმიტომ რომ უქმობა მოხელეთა ყოველ ამისაგან არა უშიშარჰყოფს. (VI, 226).

313(4559). კაი ნუგეშია, კაცმა პური აღარა სჭამოს, რომ კბილები არ გაუცვდეს და მერმისისათვის შეინახოს. (IV, 22).

---

* შდრ.: ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისაჰ მტერია".
შ. რუსთაველი. (რედ.).

314(4560). კალამი რომ უშოვნია (უნიჭო, ვაი-მწერალსა—რედ.)
მით ჰლამობს განელოს ფონია,
მაგრამ უნარი წერისა
არცა აქვს, არცა ჰქონია;
თავს იქებს, თუმცა მის ქება
სხვისგან არ გაგვიგონია. (I, 127).

315(4561). კანონით ყველა სარგებლობს თავისებურად, თუ ცოტა რამ კანონს მოეელება, თუ შეიძლება, რომ კანონი თავს გადაიცილოს, ამას ყველა ეცდება და თავის სასარგებლოდ ჰხმარობს. („ივერია", № 273, 1889, 1).

316(4562). კარგი რამ არის ქართველი კაცი; ბედსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე. არც ერთისთვის გაიხეთქს თავს და არც მეორისთვის დაიწყებს ბრძოლასა,—და არის ისე ყველგან ერთნაირად გულგრილი და შეუპოვარი. ამ გულგრილობას და შეუპოვრობას კმაყოფილებად ადიდებენ; კმაყოფილება კიდევ—ვილაცამა სთქვა — ბედნიერება არისო.* (II, 192).

317(4563). კარგი სურვილი კარგია, მაგრამ ის-კი ვერაფერია, რომ ოცნებას გამოვეკიდნეთ და იმის ნატვრაში ვიყოთ, რის ასრულებაც ყოვლად შეუძლებელია. „ივერია", № 105, 1892, 3).

318(4564). კაცთა საუბედუროდ, დღევანდელი დღე მუშტისაა, ძალა ჰხნავს აღმართსა.** (X, 141, 568, 570).

319(4565). ... კაცთა უმადურობის სიბილწე არა ერთხელ გამოიცდია. (X, 311).

320(4566). კაცთა ცხოვრება ერთმანეთის თლაა, ვინც ბევრს და მეტს ითლის თავისკენ, კაცი ის არის და ქუდიც, ქუდიც მეთქი!... კარტუზიც იმასა ჰხურავს. („ივერია", № 259, 1897, 2).

321(4567). კაცი, თუ საზოგადოება, რომელიც თვით არ მოქმედებს, თვით საკუთარის თაოსნობით ჭირს არ ებრძვის, მეტ-ნაკლებობისაგან დახსნას თვით არ ეტანება, თვის სვე-ბედსა თვითონ არ იურვებს, — იგი ტვირთია, იგი მეტი ბარგია ამ ქვეყნიერობაზედ. (VII, 343).

322(4568). კაცი კაცს გადაწყვეტილად და ხელაღებით ეუბნებოდეს მსჯელობაში ტაბუხს იცემო, და ამისთანა სიტყვას მცირეოდენი საბუთი მაინც არ მოუნახოს, — ესე ხომ მარტო ბატონი ელაპარაკება ყმას. (III, 279-280).

---

* შდრ.: „ბედნიერება არის კმაყოფილება ყოველის ჩვენის მიდრეკილებისა." ი. კანტი. (რედ.).

** თითქმის იგივე ფრაზა (სიტყვა „საუბედუროდ" შეცვლილია სიტყვით — „სამწუხაროდ") იხ.: X, 523. (რედ.).

323(4569). კაცი რომ თავმოწონებით მარქსისტობდეს და არ გაეგებოდეს — კი „ფინანსები" რა ხილია, იგი სასაცილო მასხარაა და არა მარქსისტი. მას რა დაეჯერება? მას ვინ უნდა აჰყვეს, სულელის მეტი, როცა მაღალ ფარდების საგნებზე პლაპარაკობს? (VI, 273).

324(4570). კაცი, რომელიც თავის-თავს არ ენდობა და თავის-თავის იმედი არა აქვს, ის კაცი კაცი აღარ არის. (X, 273).

325(4571). კაცი, რომელიც მარტო მჭამელი და შთანმთქმელია და არა მომქმედი და მოამაგე, გადადებულია დედამიწის ზურგიდამ ასაგველ'დ. იგი ყოველთვის ულინია ჭიდილისათვის არსებობისათვის ბრძოლაში და ამიტომაც მარტო ერთი უბრალო შემთხვევა ჰკმარის ხოლმე ძირს დასცეს და პირქვე დაამხოს. (VIII, 326).

326(4572). კაცი როცა მარტო სხვის ხელს შეჰყურებს, — აცა როდის რას მომაწვდისო, როცა მარტო სხვის გულს შეჰკნავის, ღვთის გულისათვის მიშველე რამეო, იგი მთხოვარაა უქმი და არა მომქმედი და გამრჯელი. ამისთანა კაცმა დღეს რომ საქმე გაისწოროს, ხვალ ისევ იმავ დღეში ჩავარდება, რა დღეშიაც სამადლოდ გამოხსნამდე იყო, იმიტომ რომ თითონ უქმია... (IV, 366; VIII, 329).

327(4573). კაცი, როცა მეორეს უკიჟინებს — შენ ეს საქმე არ იცი და თითონ ჰკიდებს ხელს ისევე, როგორც დაწუნებული კაცი, მაშინ მოკიჟინე ან ცუდ-უბრალო ბაქიაა, ან თითონაც არ იცის, რას ამბობს. (IV, 36).

328(4574). (კაცი ჰალას — ბიჰლას — რედ.) ფიცით შორს მანძილს ვერ გაივლის (III, 286).

329(4575). კაცია და გუნება.* ზოგი იმისთანაც არის, რომ თავისდღეში არა გაეგება-რა არასფერში. (III, 415).

330(4576). კაცის კაცისაგან გაწირვა ფულის გულისათვის ჩვენში შეჩვეული ჭირია და ამ ჭირს ვერ გამოვაცლით ვითა და ვიშითა იმ ერთს გვარს წრეს, რომელსაც ფულისათვის ფეხთა ქვეშ გაუშლია ყოველი ადამიანური ღირსება და რომელიც ფულ გარედ კაცს კაცად არ ახსენებს და არ იმცნევს. („ივერია", № 241, 1888, 1).

331(4577). კაცმა მარტო კითხვა-კი არ უნდა იცოდეს, წაკითხულის გაგების უნარიც უნდა ჰქონდეს. („ივერია", № 234, 1893, 2).

332(4578). ... კაცობა რომ ეგრეთ (ღალატით — რედ.) წარხდეს
სამწუხაროა, საშინელია!
შური რომ ძმასა საფლავს უთხრიდეს,
ეგ უფრო, უფრო სატირალია!... (I, 311).

333(4579). (კაცობრიობის ისტორიაში არაერთი მაგალითია იმისა, თუ — რედ.). ... საბოროტოდ აშლილს სიღერღელს, დაჟინებულს

* ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

და თავდაუჭერელ სურვილს ადამიანთა გაბიაბრუებისას სადამდე შესძლებია თვალის აბმა, ჭკუა-გონების დახშობა! (IX, 286).

334(4580). (კაცს არ შეშვენის — რედ.) ტყუილ-უბრალო გულის ფხანა და ენის ქავილი. (V, 173).

335(4581). კაცს ეხლანდელ დროში ვერა გაუგია რა, ვერა გამოურკვევია-რა. ხედვით ერთსა ჰხედავს, სმენით სულ სხვა ესმის. არის ერთი არეულობა. (VIII, 264).

336(4582). კაცს, თუ გინდა რომ გულში ჯოჯოხეთ გაუჩინო, კაცის-კვლის ფიქრი ჩაუსახე გულში. ეგ ეყოფა სატანჯველად. (II 114).

337(4583). (კაცს ილაჯი უწყდება ამაო — რედ.) თქმითა და ტყუილის ლოდინითა. (X, 119).

338(4584). კაცს სამარცხვინო ბოძზედ ტყუილ-უბრალოდ გასაკრავად არა ჰზოგვენ, არ ჰთაკილობენ, და იმახიან-კი,—ადამიანის ღირსება, ადამიანობა ხელშეუხებელია, სათაყვანებელიაო, და გამკითხავი არავინ არის; სად ტყუილუბრალოდ ადამიანის თავზე ლაფის დასხმა და სად ხელშეუხებლობა ადამიანის ღირსებისა? (VII, 265).

339(4585). კაცს ხელ-ფეხს უკრავთ, და ვეუბნებით-კი, ჭიდილი ისწავლეო; ხალხს მოსამართლის აღმორჩევის ნებას არ ვაძლევთ და ვეუბნებით — კი, ისწავლე კაი მოსამართლეების ამორჩევაო. ეს იმასა ჰგავს; ცურვა ისწავლეო და წყალში-კი ნუ შეხვალო; გზა გაიარეო და შინიდამ ფეხს-კი ნუ გასდგამო. ამ სასწაულთმოქმედებას ხალხი ვერ იზამს, თუნდაც... კეტითა სცემოთ თავში, (VI, 84).

340(4586). კერძო წერილების კითხვა და მერე თავის წყურვილისამებრ გამოყენება წაკითხულისა უკადრისობად არის მიჩნეული ყველასაგან საზოგადოდ. („ივერია", № 42, 1893, 2).

341(4587). კრებულად ავკაცობა, ავაზაკობა, დიდ მორჩილებას, დიდს დისციპლინას ჰთხოულობს. იქნება დისციპლინა ისე საჭირო არსად იყოს, როგორც კრებულად ავაზაკობაში, საცა მარტო ხმაამოუღებელს მორჩილებას და ერთის უფროსის კაცის ნებას შეუძლიან თავი დააჭერინოს კრებულად ავაზაკობასა და სული ჩაუდგას. (VI, 205).

342(4588). კრიტიკული აზრის უქონლობა იმოდენად შესამჩნევია ჩვენში, რომ არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოთ, თუ ცოტათი მაინც ჩაუკვირდით ჩვენს აზროვნებასა. (VIII, 256).

343(4589). ლამაზი სიტყვა გრძნობისთვის ფერუმარილია. (X, 201).

344(4590). ლანძღვა-გინება უმართებულო საქციელია და მარტო მლანძღველის სიბრიყვეს მოასწავებს, ხოლო სიბრიყვე ავზნეობის

ნიშანი კი არ არის, ვაუზრდელობის, ვაუწურთვნელობის საქმეა. (IX, 285-286).

345(4591). ლანძღვა-გინებაც ხელშეხებაა ადამიანის ღირსებისა. (IX, 285).

346(4592). ლანძღვა-თრევა ვოგო-ბიჭების ჩალურშიაც საზიზღარია და გარეთ, მთელის ერის, მთელის ქვეყნის მოედანზედ — რაღა თქმა უნდა! (III, 263).

347(4593). ლანძღვა ის არის, რომ დარბაისელ კაცს კუკის ჩუქება გაუბედო სახსოვრად. (III, 47).

348(4594). ლანძღვა ის არის, რომ იტყვი და არას დაამტკიცებ: დაუმტკიცებელი და უსაფუძვლო ქებაც კი ლანძღვაზედ საწყენია პატიოსან კაცისათვის. (III, 47).

349(4595). (ლოგიკურობას მოკლებული — რედ.) გზით კამათობა შეუძლებელია და ტყუილუბრალოდ დროს დაკარგვაა... VII, 386).

350(4596). მაგ სამარცხვინო ფარ-ხმალის მჭედელს, ბეზღის მთქმელს, როგორც იქნება, ადამიანი გაუძლებდა, მოიგერებდა, რომ გამგონი და დამჯერი არა ჰყვანდეს, რომ მაგ საზიზღარის ფარ-ხმალით მორთულს შაბაშის და ბარაქალის ძახილით არ აქეზებდეს იმისთანა წმინდა რამ, როგორიც ლიტერატურაა. როცა ლიტერატურა... შეიკვედლებს მაგ საძაგლობას, როცა მაბეზღარს თაეის კარს გაუღებს ხოლმე, მაშინ თვით საზოგადოების გახრწნილება ცხადია და სულთმობრძაობა მისის წყობისა უეჭველია. (VIII, 8).

351(4597). მაგალითები და დამტკიცება არც კი ეჭირება იმ ჭეშმარიტებას, რომ სისასტიკე და მკაცრობა ვერავის ვერც შეაშინებს და ვერც გაასწორებს. („დროება", № 92, 1880, 1).

352(4598). მაგისთანა (ხარბ, ზარმაც და მარტო შთანმთქმელ — რედ.) კაცს, როგორც უძირო ქვევრს, რაც გინდა ბევრი ჩააყაროთ, ვერა სიმდიდრე ვერ გაუძლებს. (VIII, 326).

353(4599). მადლობა... ეს სიტყვა ხშირი და უადგილო ხმარებისაგან ისე გათახსირდა და გამოიფიტა, რომ მხოლოდ უსაგნო სიტყვაღა დარჩა, უშინაარსო ფორმად იქცა. (X, 240).

354(4600). მადლობა! ... კარგია-მუქთაა, თორემ მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს. (II, 254).

355(4601). (მავან-მავანებმა რომ აიკვიატონ — რედ.) აქაო და ამ ოცისა და ოცდაათ წლის წინათ ამა და ამ საგანზედ ესა და ეს ითქვაო და დაიჟინონ — ეს არის უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა და ლიტერატურისაო, მაშინ როდესაც უკანასკნელი სიტყვა დღეს სულ სხვაა, უჯიათობა და ჭირვეულობა იქნება ერთხელ და ერთხელ შებორკილებულ და დატყვევებულ ვონებისა. (IV, 371; VIII, 333).

356(4602). მათამამებენ, ვთამაშობ,
დარდი არა მაქვს სხვისაო. (I, 122).

357(4603). მამაკაცი ასე თუ ისე შემძლებელია ცილის მწამებელს არ შეუშინდეს და ტყუილს ტყუილის კარამდის ჰსდიოს. რა ქმნას ამის არ-შემძლებელმა ულონო დედაკაცმა! უსამართლოდ, ცილისწამებით გაუპატიურებულმა გრძნობამ დედაკაცის ღირსებისამ სად და რაში ეძიოს თვისი მსჯავერი, თვისი კმაყოფილება! აქ ნამუსის მპარავი ყოველ შიშს გარეთ არის, ყოველს განსაცდელს აცილებულია და მით არის იგი უფრო ბილწი და მაშასადამე უფრო საზიზღარი. (VIII, 251).

358(4604). მართალია, ბევრი მისთანა* კაცია ქვეყანაზე, რომელთათვისაც კანონი ჯერ არ დაწერილა, მაგრამ აქედამ სულაც არ გამოდის ის, რომ სხვები ყურმოჭრილ და ხმაამოულებელ ყმად გაიხადონ. (VIII, 342).

359(4605). მართალია, უმეცრობის მაფრაში პირგანიერია და ყველას გადაჰყლაპავს, მაგრამ განა აქედამ ის გამოდის, რომ პუბლიცისტმა ორი სხვადასხვა საგანი ერთმანეთში დომხალივით აურიოს! (VI, 252).

360(4606). მართალია, წყალწაღებული ხაეს ეჭიდებაო, მაგრამ საკითხავი ეს არის: წყალს რად წააღებინა თავი, და თუ წააღებინა, რა სიმაგრეა ხავსი? ხავსი ხომ ტყუილი ნუგეშია და ტყუილი ნუგეში რის მაქნისია გამრუდებულის, გაფუჭებულის საქმის გამოსასწორებლად, გამოსაკეთებლად?** (VIII, 326).

361(4607). მართალია, ხშირად — რედ.) გონების თვალი კი გასჭრის, მაგრამ ყველას ახილული არა აქვს. (V, 271).

362(4608). მართლა თქმულა; რასაც კაცი თავის-თავს უზამს, იმას სხვას არ უზამსო***. (IV, 161).

363(4609). მარტო ბრმამ, და უკეთურმა არ იცის სხვის სიკეთის დანახვა, სხვის ღვაწლის დაფასება. („ივერია", № 103, 1898, 2: „ცნობის ფურცელი", № 537, 1898, 3).

364(4610). მარტო ზნე-წამხდარს მცოდნეს შეუძლიან დინამიტი, კაცთა საშველად აღმოჩენილი, კაცთა საჟლეტად მოიხმაროს. („ივერია", № 75, 1897, 1).

---

* „ივერიაში" (იხ.: № 27, 1897, 1) სიტყვა „მისთანა"-ს მაგივრად არის: „იმისთანა". (რედ.).

** ი. ჭავჭავაძეს ამ ფრაზაში გამოყენებული აქვს ქართული ხალხური ანდაზა: „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო". (რედ.).

*** შდრ.: „კაცი რომ თავის თავს უზამს, მტერიც არ მოეკიდება" (ქართული ხალხური პოეზიიდან) და „რასაც კაცი თავის თავს უზამს, იმას მტერი არ უსამსო" (ქართული ხალხური ანდაზა). (რედ.).

365(4611). მარტო იგი ჰხადის ღირსეულს უღირსად, ვინც თითონ უღირსია. (VIII, 135).

366(4612). მარტო მხდალი და ლაჩარი... ლათაიებს მიზეზად დაიხვევს ხოლმე ხელზე, როცა სხვისა ნაფურთხს ხმაამოუღებლივ ჰლოკავს, სხვის ლანძღვა-თრევას ხმაამოუღებლივ იტანს, რომ მერე გაქცევა, უკუდგომა და ხმაამოუღებლობა ლაჩრობაში არ ჩამომართვანო. (VIII, 103).

367(4613). მარტო პირუტყვი იყურება დაბლა, კაცმა კი უნდა ცას უყუროს. (II, 55).

368(4614). მარტო ცალიერი გაბერილი სიტყვები... შუშხუნაა, რომლის აპრიალების შემდეგ მარტო ფერფლი და ნატისუსალიღა ჰრჩება. (VIII, 172).

369(4615). ... მარტო ცარიელი ბეჯითობით და от селъ до селъ-ს გზეპირებით მოპოებული დიპლომი ჯერ კიდევ არ არის ნიშანი ცოდნისა, განათლებას ნუღარ ვიტყვით. („ივერია", № 78, 1897, 1).

370 (4616). (მატერიალური დოვლათის, ფულის უყაირათო ხარჯვის შედეგად — რედ.) ... საზოგადოებას საფანელი დააკლდება და პირველ ფეხის გადადგმაზედვე უილაჯობით შეჩერდება. (V, 354).

371(4617). მაშ აღმართის მხვნელმა ძალამ რომ კაცი ვასრისოს, შველა არ უნდა? ნუთუ ყოველი მოღვაწე ღვთის ანაბარად უნდა იყოს ჩვენში მიგდებული? ნუთუ არავის ქვეყნისათვის მოღვაწეს იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ფეხი წამასხლეტინონ, მოძმენი ხელს მომაწვდიან და ფეხზედ დამაყენებენო? თუ ასეა, იყოს ნება მათი, ვინც შველაზედ უარს ამბობენ. (X, 107).

372(4618). მდიდარს უფრო ადვილად აძლევენ საჩუქრად, ვიდრე ღარიბს სესხად. („ივერია", № 146, 1894, 2).

373(4619). „მე ასე მინდა, ასე მიამება" უფრო ჰლაპარაკობს ჩვენში, ვიდრე განკითხულის ნაწერის საქები თუ საწუნი. („ივერია", № 29, 1898, 2).

374(4620). მე ვგონებ, რომ მრავალთა ტანჯვის მიზეზი თან-მიუყოლებლობა და დაუდგრომელობა არის. (II, 458).

375(4621). მე რომ გულის ფრიალი მქონდეს და შენ კი მეუბნებოდე; მწყურვალის წამალი წყალიაო*, რასაკვირველია, მართალი იქნები, მაგრამ სულელობაში კი ჩამოგართმევ, თუ უკაცრავად არ ვიქნები. (V, 56).

376(4622). მე რომ ჩემი მსგავსი ვაქო და ჩემმა მსგავსმა მე, განა იგივე ჩემის თავის ქება არ იქნება. (III, 387).

---

* ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

377(4623). მეტ ფულიანი ნაკლებ ფულიანს ყველგან სულსა ჰხდის, საცა კი მოასწრობს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი; ფული ფულთან მიდისო.* (VII, 13).

378(4624). მეტი ოსტატობა-ღა გნებავთ, რომ კაცმა თავის ნებით საგანი აიღოს ჰოსა და არას სათქმელად, და არც ჰო სთქვას და არც არა, ან ჰოცა და არაც ერთსა და იმავე დროს იძახოს? მეტი ოსტატობა-ღა გინდათ, კაცმა განგებ ცეცხლი გააჩაღოს, გაალუოს, შიგ მწვადი ჩასდოს და არც მწვადი იწოდეს და არც შამფური?... ოსტატობა არ არის, მა რა ეშმაკია. (IV, 159).

379(4625). მეტი ცარიელობა და არარაობა-ღა გნებავთ მეცნიერისა, რომელსაც თავი გაუხდია მარტო ლექსიკონის ანაბარად. (VI, 264).

380(4626). მეტის მდომი მდიდარიც ღარიბია. (II, 475).

381(4627). მეტისმეტი იქნება ყოველივე... ეკონომიურ ულონობას დავაბრალოთ, როცა ქურდობისა და ავაზაკობის მიზეზს ვიკვლევთ. თუ ეკონომიური ულონობაა მიზეზი ქურდობისა და ავაზაკობისა ჩვენში, არიან იმისთანა გარემოებანიც, რომელნიც აქეზებენ და ასაზრდოებენ ამნაირ ავკაცობასა და რომელთა წყალობითაც გაჭირვებული კაცი გაეტაცებინა ხოლმე მაცდურებას — რაც არ უთესნია, ის მომკოს. ერთი ამ გარემოებათაგანი არის იმედი—არავინ გამომეკიდებაო. (VI, 222).

382(4628). მეტისმეტი სიფრთხილეა კაცმა კეთილი იმითი დაიწუნოს, რომ ჩვენ მისდა მისაღებად მომზადებულნი არა ვართო, ჩვენთვის ახალი ხილიაო. (VII, 375).

383(4629). მეჯავრება მე მაგისთანები (უადგილო ქება-დიდება კაცისა — რედ), მაგრამ რას უზამ ჩვეულებას, რომელიც რჯულთ უმტკიცესიაო**. (X, 313).

384(4630). ... მიზეზი ავაზაკობისა აქ, ჩვენში, ფეხის ადგმისას, აქვე შინ უნდა მოიძებნოს, აქვე უნდა ჰბუდობდეს ის სენი, რომელიც აჩენს ჩვენში ავაზაკობას. (VI, 205).

385(4631). მითქმა-მოთქმა და ჭორი თაგვსავით ჩუმ-ჩუმად დაძვრება სოროებში და მოდით და სდიეთ! („ივერია", № 29, 1898, 2).

386(4632). მითქმა-მოთქმა, ჭორი ჩვენში უფრო შორსა სწვდება, პატარა ქვეყანაა, მალე შემოუვლის ხოლმე გარს. („ივერია", № 29, 1898, 2).

387(4633). მკვდარი ბეჯითობა შემძლებელია ცოდნის დიპლომამდინაც მიცოცდეს, ხოლო რის მაქნისია ამისთანა დიპლომ-მოსილი ცოდნა? („ივერია", № 78, 1897, 1).

---

* ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო". (რედ.).

388(4634). მკვდარი ცოცხალს ვერ დაინახავს, ვერ გაიკითხავს ცოცხლურად, (II, 314).

389(4635). მკვეხარის სიტყვა ზღვა არის,
მღელვარე, კლდისა მცემელი,
არა მდუმარე წვიმისებრ
ნაყოფის გამომცემელი*. (I, 113)

390(4636). (მკრეხელობა — რედ.). ძნელი არ არის, ოღონდ ხალისი იყოს და ნამუსი ნებას იძლეოდეს (VIII, 108).

391(4637). მოგონებაში ქართველ კაცს პირველი ევროპიელი მეჭორეც არა სჯობია. (II, 127).

392(4638). მოკლე ვოდევილის მხიარულს უაზრობას სიამოვნებით აიტანს მაყურებელი, მაგრამ სამ და ოთხ მოქმედებიანს სიცილის გუდას არა გვგონია გაუძლოს ადამიანის გულმა. (III, 120).

393(4639). ... მომეტებული „ჰაი, ჰუი!" ხარსაც გადარევს. („დროება", № 46, 1880, 2).

394(4640). (მომხდარი დიდი უბედურების, ტრაგედიის შემდეგ — რედ.) იმით მართლება თავისა, რომ ჩემი მოვალოება არ იყო საქმეში ჩაერეულიყავიო, გამტყუნებაზე უარესია. (VIII, 71).

395(4641). (მონური მორჩილება. — რედ.) არამც თუ უქმი, კაცის სულის დამამდაბლებელია. (II, 467).

396(4642). მოსამართლე და მოჩივარი. რომელთაც ერთმანეთისა არ ესმით, ერთმანეთის ენა არ იციან, ერთმანეთისათვის მუნჯებიც არიან და ყრუნიცა. ამისთანა მოსამართლე და მოჩივარი ერთმანეთისათვის აღარ არიან და ამათი ერთად შეყრა სწორედ იმასა ჰგავს, რომ მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე წამიღეო**. (VIII, 279).

397(4643). მოუფიქრებელი ლაპარაკი და სიტყვა-პასუხი ბუზების ბზუილია და სხვა არაფერი. („ივერია", № 38, 1897, 2).

398(4644). (მოჩვენებითი სიყვარული და გატაცება — რედ.)... ხშირად დიდ უბედურობის სათავედ და მიზეზად შეექმნება ხოლმე ადამიანს, თუ კაცმა მართალი. ბუნებური ძარღვი ვერ უპოვა, თვის ცხოვრებაში განუკითხველად უადგილო ადგილი დააჭერინა და სადავე მიანება, ერთის სიტყვით თუ რიგიანად არ მოუარა და არ გაუძღვა. (III, 127).

399(4645). (მოხდება ხოლმე, რომ ამა თუ იმ საქმეს — რედ.)... ერთი ალალ-ბედად წამოსროლილი სიტყვა უმეცრებისა, თუნდაც კარ-

---

* შდრ.: „სიტყვა უცებთა ზღვა არის მღელვარე კლდისა მცემელი,
არა მდუმარე; წვიმისებრ ნაყოფის გამომცემელი."
არჩილი. (რედ.).

** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე წამიღეო". (რედ.).

გის განზრახვითაც წარმომდინარი, ასვთს ხიფათს მოახვევს თავზედ... რომ შერე ძნელადღა ეშველოს. (V, 251).

400(4646). მრავალ-სიტყვაობა, ამაო-სიტყვაობა, ბოროტ-სიტყვაობა და ცრუ-სიტყვაობა და-ძმანი არიან. („ივერია", № 207. 1894, 2).

401(4647). ...მრუდე საქმენი ისევ ისევე მრუდედ დარჩება. (I, 98).

402(4648). მსჯავრდაუდებელი ბოროტი — მაცდურების მახეა და შიგ ადვილად გაიბამს თავს გულლბილი და ხასიათდაუდგრომელი კაცი. (VIII, 101).

403(4649). მტაცებელს... იმითი ვძულვართ, რომ გვტაცებს, თორემ სიყვარულით ტაცება არავის გაუგონია. („ივერია", № 53, 1897, 1).

404(4650). მტრობა... ცოტასა სჯერდება ხოლმე. (III, 322).

405(4651). „მუხასა ვაშლი ასხიაო", — არც სათქმელად არის სასიამოვნო. არც სასმენლად. (VIII, 241).

406(4652). ...მშრალის და უქმის გონების კაცი სახელოვანმა გეტემ (გოეთემ — რედ.) დაგვიხატა თავის ფაუსტში. ფაუსტში რომ გამოყვანილია ვაგნერი, სწორედ ზედგამოჭრილი სახეა იმ-გვარის კაცებისა, რომელთაც ცოდნა აქვთ და საკუთარი ჭკუით ტარების უნარიკი ღმერთს, თუ ბედს. იმათთვის არ მიუმადლებია. (III, 156).

407(4653). მძიმე საცხოვრებელია ეს ჩვენი ქვეყანა გონიერი კაცისათვის, იმ კაცისათვის, რომელიც თავის-თავის გარეითად, სხვაზედაცა ფიქრობს, სხვაზედაცა სწუხს. ის ჩვენში ფრთას ვერ გაშლის, სულს ვერ მოიბრუნებს. შევა დიდკაცის სახლში, თუ თითონ დიდი კაცია — პატივი აქვს, ე. ი. კანონიერად გაუღიმებენ, კანონიერად ხელს ჩამოართმევენ. თუ პატარა კაცია, მაშინ წელს გაუშინჯვენ, კარგად იკრიხება თუ არა. (III, 470).

408(4654). მძოერი ყოველთვის ყარს, და მაშინ უფრო, როცა სადგისს წასჩხვლეტ. (X, 45, 575).

409(4655). მხიარულება კარგი საქონელია, მაგრამ ღმეჭა და ღრეჭა ოხუნჯობაა, თუ არა, — ეს ღმერთმა იცის... თქვლეფაც ხომ ჭამაა და ჭამაც ჭამაა, მაგრამ შუა დიდი ზღვარი უზით. ეგრეც ღმეჭაა და ოხუნჯობა. („ივერია", № 59, 1897, 3).

410(4656). ნაშუსი, პატიოსნება და ყოველივე ადამიანური ღირსება ისე ადვილად ხელშესახებელი არსად არის, როგორც ჩვენში, და ეგ ხელშეხება ისე დაუსჯელად, გაუკიცხავად არ ჩაუვლის ხოლმე ადამიანს, როგორც ჩვენს ბედნიერს ქვეყანაში. (VIII, 259).

411 (4657). ნატვრა ხშირი — გულისა და ქეიფის დასუსტებას მოასწავებს. (X, 332-333).

412(4658). ნაცარქექიობით პურის შოვნას კაცის ხასიათი უმცირებია და უდუნებია. (X, 272).

413(4659). (ნაძირალა მეტოქეობის ნიშანია, როცა მოპირისპირეს — რედ.)... ცილისწაღება ისრად დაუჭერია ხელში და თავგასულობა — მშკილდადა. (IX, 203).

414(4660). ნაძირალათა გრძნობათა აშლა და ფეხის გადმოდგმა საზოგადო საქმის სარბიელზე პირქვე დასცემს ყველა კეთილსა და თაეის ლამით და შლამით წალეკავს ყოველსფერს, რასაც-კი მიეკარება. ეუ სამუდამოდ ჩვენი წახდენა, ჩვენი მიწასთან გასწორება არ გვინდა, ამ მხრით უნდა მოვუაროთ ჩვენს თავს, ამ ნაძირალთა გრძნობას ეზა უნდა გადავუღობოთ. ვიდრე დრია, თორემ მერე გვიანლა იქნება: ჩვენი საზოგადოებური ღირსება ამ ნაძირალთა გრძნობის ლექ ქვეშ დაიმარხება და მერე მშვიდობით ჩვენო იმედო, ჩვენო სასოებავ ხვალისავ! (VII, 441).

415(4661). (ნებიერობა ცუდია, მაგრამ უყურადღებობის გამოჩენა — (რედ.) კიდეე უარესია. (X, 189).

416 (4662). ნუ დაუჯერებთ უგემურსა ჭკვას,
გრძნობის განსჯაში ყოველთვისა ბრმას,
გულის კითხვაზედ უარისთვის მზას. (I, 23).

417(4663). ნუ ვიცით ხოლმე, რომ ჩვენის გაჭირების ყავარჯენს ერთს კაცზედ მივაყუდებთ საზოგადო საქმეში და ჩვენ კი გულგრილად დავიკრებთ გულზე ხელებს, თითქო ამ ჩვენ არაფერს შუაში ვართო. (IV, 346).

418(4664). ნუ თუ ჭკვათა-მყოფელი კაცი... თუთიყუშივით ამოიყრანტალებს ყურში ჩაძახილ სიტყვებს? („ივერია", № 192, 1888, 2).

419(4665). ნუ მოგაქვს თავი იმით, რომ
ძალა აღმართის მხვნელია.* (I, 200).

420(4666). ნუ ხარ უჯერო, ცოდვაა. (II, 199).

421(4667). ნუთუ... მაბეზღარის ხელშემწყობ გაზეთს. თუ ჟურნალს, პრესა ჰქვიან თვით პრესის სამარცხვინოდ? (IX, 303).

422(4668). ნუთუ მართლა გრძნობა სიმართლისა, კეთილსინდისიანობა, კეთილგონიერება იქამდის თვალაბმულია ჩვენში, რომ ჩვენი ავი და კარგი აღარ გაგვეგება? (V, 250).

423(4669). ...ნუთუ მბოსა... ცალკე საბუთია, რომ შეუმოწმებლად კაცმა კაცი გასწიროს, ზნეობითად ჯვარს აცვას, ან შამფურზე ააგოს და სირცხვილის ნაღვერდალზე შესწვას. (IX, 275).

424(4670). (ნუთუ — რედ.) ...საკადრისია.. კერძო წერილებიდან ადგილების ამოკრეფა და საზოგადოების გართობა ამ წერილებით. („კვალი", № 8, 1893, 8(24).

---

* შდრ.: „ძალა აღმართსა ხნავსო".
ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

425(4671). ნუთუ... შემძლებლობა ბეჭდვის სხივმოსილ თავისუფლებისა რედაქციამ იმაზე უნდა ჩამოახდინოს, რომ კაცმა კაცი უთავბოლოდ გაპპენტოს, კაცმა კაცს უთავბოლოდ სახელი შეულახოს, ნამუსის ქუდი მოჰხადოს და ლაფში გადაუგდოს. რედაქციის კალამი ნიჩაბი ხომ არ არის, რომ აიღოს და ვინც არ ესიამოვნება, ლაფი და ტალახი შეასხას ან თავისის ან სხვისა ხელით. (IX, 271).

426(4672). ნუთუ... წაჯეგ-უკუჯეგობა, მოძღვრებად გადაქცეული. მომცდარი ბჭეის სასაცილო ცულლუტობა არ არის! (III, 302).

427(4673). ნურავინ გვიწყენს ღა თუნდა გვიწყინონ კიდეც, დიდი არაფერია,—და ჩვენ-კი ვიტყვით, რომ... თუ, მაგალითებრ, სადმე თავზე ხელაღებული კაცია და ცხოვრების საგნად მარტო ხვეჭა ფულისა გაუხდია, ის — ქართველი იქნება თუ სომეხი — ისე ადვილად, უტკივრად, უსნაკ-უთესველად არაფრით მოჰხვეჭს ფულსა, როგორც ინჟენერობითა, მკურნალობითა და ადვოკატობითა. ისე უშიშრად, პასუხუგებლად ყინულზე ვერავინ გააცურებს ადამიანს, როგორც ინჟენერი, მკურნალი და ადვოკატი,—რა მილეთისაც გინდ იყოს,—თუ კი ნამუსს, დაბინებს მკვდრისა ძილითა და თავისის ცხოვრების ანდერძად ამას დაიდებს: „ოფლითა მოყვასისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა". („ივერია", № 75, 1897, 1).

428(4674). ...ოინბაზობა, თაღლითობა, რუსები რომ იტყვიან подлог, მართალია დიდს ოსტატობას, დიდს გაგებას და თითქმის ერთ-ერთ გულადობასაც ჰთხოულობს. მაგრამ არც იმისთანა საქებური და სასახელო ხელობაა, რომ კაცმა თავი შეიდოს, ანუ უკეთ ვსთქვათ, იკადროს მარტო სახელისათვის, თუ სახელს სახრავიც ზედ არ მოჰყეება. (VIII, 184-185).

429(4675). ორატორი მას არ ჰქვიან.

ვინც სადმე სთქვას ერთი, ორი,
ვრძელი სიტყვა მოკლედ მოსჭრას
და გაქირდეს ვითა ჯორი.* (I, 120).

430(4676). (ორპირი კაცი — რედ.)... ჩვენთან ჰკაკანებს და კვერცხს — კი სხვაგან ეზიდება. (VIII, 287).

---

* შდრ.: „მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი
(მრავალწერტილი ჩვენია—რედ.)
მაგრამ იტყვის: „ჩემი სჯობსო", უცილობლობს ვითა ჯორი".
შ. რუსთაველი

გარდა ამისა, ი. ჭავჭავაძეს ზემოაღნიშნულ სტროფში გამოყენებული აქვს „ევფუისტყაოსნიდან" აღებული შემდეგი ტაეპიც: „ვრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, (შაირია ამად კარგი)". (რედ.).

431(4677). (ორპირი კაცისათვის — რედ.) საქმე სხვაა, სიტყვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი.* (VIII, 287).

432(4678). ოღონდ დამეჯერი იყოს, თორემ ამისთანა (ყალბ — რედ.) საბუთიან საბუთს კაცი დღეში ათასს გამოაცხობს ცხელ-ცხელად... („ივერია". № 243, 1897, 2).

433(4679). ოღონდ ფლიდობა, ავკაცობა, ერთის სიტყვით, უღირსობა რამ-კი შესწამეთ კაცსა, ისე ადვილად და მალე დაიჯერებენ, თითქო ბედნიერება კარზედ მიადგათ და ხელიდამ გაშვება ენანებათო. (VIII, 262).

434(4680). ოხ, მარტივო კაცის სიმარტივეე! ოხ, მარტივო მახვილგონიერებავ! (VIII, 262).

435(4681). პირდაპირ ზედ მოსეული ავაზაკი იმოდენად საზიზღარი არ არის, რამოდენადაც მხდალი ქურდბაცაცა. იმიტომ, რომ ამისთანა ავაზაკი იმოდენად იმეტებს თავის-თავსა, რამოდენადაც გამომეტებული ჰყავს თავისი მოპირდაპირე; აქ მარტო გამარჯვებაა თავდები მისის გადარჩენისა. ქურდბაცაცა-კი მალული მტერია, მისი ანგარიში იმაზეა აგებული, რომ მემარჯვება თუ მემარცხება, მე თვითონ არ დამაკლდება-რაო, მე-კი შემიძლიან ვავნო, თუ მემარჯვა. და ის-კი მე ვერას მავნებს, თუ მემარცხაო. (VIII, 251).

436(4682). პირველ დაწყებაში ბევრი ჰაი-ჰუი ვიცით, ვცხარობთ, ვყვირით, ვჩხუბობთ და მინამდე საქმემდის ჩავალთ, ჩალასავით აპილ-პილებული ჩალასავით ჩაქრებით ხოლმე. (VII, 270).

437(4683). პირველი ქვა, რომელიც (საზოგადო საქმისათვის — რედ.) თავგამოდებულს მოხვდება ხოლმე, ქართველისაგანვე არის გამოტყორცნილი. (III, 453).

438(4684). (პირმოხეული ურცხვობა და დიდი უზნეობაა — რედ.) ...რომ კაცმა თავის უწმინდურის სიტყვის გასაყვანად განზრახ უარჰყოს საჯაროდ, საქვეყნოდ, მეცნიერებაც, ისტორიის უეჭველნი ნაშთნიც. სამღთო და საერო მატიანეთა მოწმობაც, თავისთავიც და სხვაცა! (VIII, 23).

439(4685). პირფერობა და ურცხვი, უალაგო ქება გლახის და მათხოვარის საქმეა და არა ჭეშმარიტების მსახურისა. (III, 456).

440(4686). (პირფერული — რედ.) ქება-დიდება ცუდ-უბრალო ფრაზებია მტვერის ასაყენებლად. (IV, 24).

441(4687). პირში მაქებარს თავისის-თავის პატივისმცემელი კაცი აი რას ეტყვის ხოლმე: ეგ ქება შენთვის შეინახე. სხვაგან გამოგადგე-

---

* შდრ.: „ეგეი სხვაა, სიტყვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარიო".
(შ. რუსთაველი. (რედ.).

ბა. მე-კი, ვაი რა ბალღი გგონივარ, რომ ჰფიქრობ მაამო და მით მომატყუოო... (III, 422).

442(4688). პირში ქებას ჭკუადამჯდარი კაცის თვალში დამპალი კიტრის ფასიც არა აქვს. (III, 422).

443(4689). ჟინი ბეზღობისა. შურისგებისა, ჟინი ღვარძლიანობისა, როგორც ყოველივე სხვა უწმაწური ჟინი, ძნელად თავდასაჭერია, რაკი კაცს შესჩვევია. (IX, 298).

444(4690). ჟინს კიდევ ჟინი იმიტომა ჰქვიან, რომ დაჟინებით იცის კაცის შეწუხება და მინამ ასე თუ ისე არ მოიკლავ, არ მოგასვენებს. (V, 62).

445(4691). ჟინს ყველა კაცი ვერ დაიმორჩილებს ხოლმე. (III, 184).

446(4692). რა გავაგრძელო, თავადის-შვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?! (I, 169).

447(4693). რა განსხვავება არის სწავლულსა და უსწავლელს შუა, როდესაც არც პირველი და არც მეორე ამ ქვეყანაში არაფერს არ აკეთებს. („ივერია". № 273, 1889, 3).

448(4694). რა განსხვავება იქნება პირუტყვსა და იმისთანა ადამიანს შორის, რომელსაც თვისი „პე", თვისი ვინაობა, თვითება, თვისი პიროვნება და ღირსება დაჰსჩაგვრია. (VIII, 246).

449(4695). რა გვეთქმის იმისთანა კაცზედ, რომელიც ჯერ კარგს აზრებს ავრცელებდა ხალხში, მერე კი უცებ ჰკრა ფეხი და თავი მიანება ყოველისფერს, რისთვისაც უწინ შრომობდა? ცხადია, რომ ეს ადამიანი ან სულ-მოკლე უნდა იყოს. ან უწინდელი იმისი შრომა მხოლოდ თავის-გამოსაჩენი ბაქი-ბუქობა ყოფილა. („დროება", № 404, 1873, 3).

450(4696). რა თავმოსაწონებელია.. უქმი გამარჯვება. (IX, 145).

451(4697). რა თანხა გაუძლებს მშიერს მცონარეობას? მარტო იმისთანა თანხა, რომელმაც იმოდენი უნდა იმატოს, რამოდენსაც დააკლებთ. („დროება". № 16, 1875, 1; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, ხელნაწერი № 197, ფურც. 1).

452(4698). რა თქმა უნდა, თავი და ბოლო ავკაცობისა, რომლის შედეგი ძარცვა-მტაცებლობაა, ეკონომიური ჭირბოროტი და გაჭირვება არის, საზოგადოდ რომ ვთქვათ. (VI, 204).

453(4699). რა თქმა უნდა, რომ როცა სახლში შიმშილით ბალღები გიტირიან, მაშინ ტაბლის გარეთ გატანა სულელობაა.* (VII, 316).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „შინ რომ ბავშვი ტიროდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო". (რედ.).

454(4700). რა კრიტიკოსი უნდა იყვეს ისა, რომელიცა სწავლით, განათლებით, განმსჯელობით კარგა დაბალი ღირსებისა არის იმაზედა, რომელსაც აძლევს დარიგებასა? (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 307).

455(4701). რა მთავრობაა ის მთავრობა, რომელსაც თავისი ბატონობის შენარჩუნების საშუალებად ზხოლოდ მათრახი და სახრჩობელა დარჩენია?! („კომუნისტი", № 201, 1988, 3).

456(4702). რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ ზმართველობას, რომელიც დიდისაგან გაჭირვებულს არ ესარჩლება, არა შველის, და რომელიც დიდისათვის კი თავს გამოიდებს ხოლმე, როცა პატარისაგან ვაუჭირდება რამ! რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც ხვას არ იღებს ულონობით, როცა გლეხს უპატიურად ხლის არა — გლეხი, და როცა კი არა — გლეხს უპატიურება მიადგება გლეხისაგან — მაშინ კი ძალასა და ღონეს იჩენს? (VI, 60).

457(4703). რა სათქმელია იგი, რასაც, ჩვენდა დაუკითხავად, ჩვენ ძალად გვათქმევინებს... (ხოლმე კაცი — რედ.)! (VIII, 350).

458(4704). რა სათქმელია, ხელში ვერ შეიმაგრა ის, რაც კაცს ხელთ არა აქვს. რა შემაგრება უნდა იმას, რაც არ არის და კაცს ხელში არ უჭირავს. (VIII, 153).

459(4705). რა საკადრისია კაცმა კაცს ის უკიჟინოს, რომ შენ იმიტომ მეწინააღმდეგებიო, რომ ესა და ეს საქმე არ გაგირიგეო, და საწინააღმდეგოდ წამოყენებულს საბუთებს კი კვალში არ ჩაუდგეს და თვითოეულად არ განიხილოს. (V, 169).

460(4706). რა საკადრისია, კაცს ჯერ საბუთი არ ენახოს, არ გაეჩხრიკოს და არც იცოდეს, მართლა ამისთანა საბუთი არის სადმე თუ არა, აიღოს და მთელს ერს შეუგონოს მისი სამართლიანად სახელოვანი კაცი (იგულისხმება შ. რუსთაველი — რედ.), შეუბღალვოს იგი თითქმის წმინდათაწმინდა, რომელსაც შვიდას-რვაასი წელიწადია განუწყეტლად შესტრფის და შეჰხარის, შეურყიოს ძირი იმ დიდებულს სახსოვარს, რომელსაც მთელმა ერმაგე შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაასვია თავისი სული და გული, შიგ ჩაწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი!.. რა საკადრისია! (VIII, 123).

461(4707). რა ძალა და გავლენა უნდა ჰქონდეს იმისთანა გაზეთს, რომელიც ყველას და ყველაფერს თავის კუდაბზიკურ თავ-მოყვარეობით უყურებს და შესჩერებია; რომელიც არავის და არაფერს არ ზოგავს, ოღონდ კი თავის სულელური აზრი დაიცვას და სულელთაგან სახელი დაიმსახუროს. („დროება", № 46, 1880, 1).

462(4708). რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წყობა, რომელიც დიდის წინ ნაცრად იქცევა ხოლმე და დაბლის წინ — ცეცხლად?! (VI, 60).

463(4709). რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წყობა, რომელსაც ხელი მიუძღვის მარტო გლეხ-კაცზედ, ამ დაბალ ღობეზედ, და არა — გლეხის წინაშე კი გულზედ ხელს იკრეფს?! (VI, 60).

464(4710). რადგან უმეცრობის გამო ხელი არ ეწიფება მისწვდეს სასურველ ნაყოფს, (უმეცარი კაცი — რედ.) მიმართაეს ათასნაირ ხერხსა და მზაკვრობასა; რათა მისწვდეს საწადელს. ეს ყოვლის მკადრებელი კაცი ჩემულობს კეთილსინდისიერებას, რომელსაც საკამბაზო თოკივით აბამს და თუ დიდ კაცობა მოეწია, ამ სინიდისის თოკს ზედ გადააბოტებს, თუ არა და ქვეშ გაძვრება ხოლმე.* (VI, 242).

465(4711). რაებს არა სჩადიან (უგვანო მეცნიერები — რედ.), რა უკადრისს და სათაკილო ფარხმალსა ჰკიდებენ ხელს, რომ თავიანთის ოავის საქებ-სადიდებლად საყვირი აყვირონ, ჩვენი ხსენება და სახელი ლაფში ამოსვარონ... (VIII, 157).

466(4712). რაი სურს კაცსა,
რომ მიბამს ფრთასა?
თავისუფლება
ჩიტის ჰშურდება?! (I, 13).

467(4713). (რაიმე, ერთობ სავალალო, მიზეზი უნდა იყოს, თუ რომ ქვეყნისათვის საასარგებლო — რედ.) კაცის სიკვდილი ყველას გულს არ შესძრავს და ძაძით არ მორთავს. (IV, 225).

468(4714). (რაკი ერთხელ კაცი სინდის-ნამუსზე ხელს აიღებს. მორჩა, მის — რედ.) ... თვალში მართალს თავისი ფასი არა აქვს. (III, 299).

469(4715). რაკი ერთხელ კაცმა ურცხვობისათვის პირი გაიხია, იმას აღარა დააყენებს — რა, თუნდა ათასი ალაყი გაუკეთო და ათასი ნალო გამოაბა. (VIII, 21).

470(4716). რაკი კაცს ჭკუა და გონება გამოეცლება, ის მკვდარია საქმისათვის, მოქმედებისათვის. (III, 170).

471(4717). რაკი ნიაღვარი მოსკდება და მოგრიოვდება, მართალი და ტყუანი თან მიაქვს. (IX, 287).

472(4718). რაკი ჯავრი ვისზედმე ჩაიდეს გულში, მაშინ იმათთვის (ცილისმწამებელთათვის — რედ.) მოსარიდებელი აღარა არის-რა: კაცია თუ ქალი, არ მოერიდებიან, რომ ყოველგვარი ლაფი თავს გადაას-

* ი. ჭავჭავაძე ამ ფრაზაში იყენებს ი. ბენთამის ცნობილ შეგონებას „...კანონი... გაჭიმული თოკია, რომელსაც დიდი ხედ გადასტება ხოლმე და პატარა ქვეშ გაუძვრება“. (რედ.)

ხან და ერთსაც და მეორესაც სახელი გაუტეხონ, სახელი დაუმხონ. (VIII, 251).

473(4719). რამდენი უნივერსიტეტელი ვიცით, რომ ოჯახის შესანახი გამხდარა. („ივერია", № 127, 1893, 2).

474(4720). რას ბიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. (II, 253).

475(4721). რასაკვირველია, ერთის უნარი. სულდგმული მეორის უხეირობისაგან, ბევრს თავ მოსაწონებელს და სასიქადულოს არაფერს მოასწავებს. (IV, 390).

476(4722). რასაკვირველია, ხმალი მაშინ უფრო კარგია, როცა იგი ფარია და არა სატევარი. მაგრამ რასა იქ?.. ადამიანის გაუძღომელმა წადილმა ეს უკეთესი მხარე ხმლისა დააჩლუნგა და უარესი გალესა. (V, 123).

477(4723). რაც არ არის და არც ოდესმე იქნება, იმისი ძებნა ტყუილი მოცდენაა, წყლის ნაყვაა... (IV, 20).

478(4724). რაც ბეჭდურ სიტყვით შეუძლებელია ჩირქი მოგცხონ, იმას ბითქმა-მოთქმითა და ჭორებით მოგცხებენ... ტყუილ-უბრალოდ გაგაუპატიურებენ, თავზე ლაფს დაგასხამენ, თავს მოგჭრიან. („ივერია", № 29. 1898. 2).

479(4725). რაც კაცს თითონ არა აქვს, იმისი უხვად გაცემა და არ-დაზოგვა რა ისეთი ვაჟკაცობაა. რა ისეთი სასახელოა, რომ კაცმა კაცი ამისათვის აქოს და ადიდოს? მითამ რა ეწვის, რომ ეს წვა-დაგვა საშსახურად და ქველობად ჩაეთვალოს? აქ ან ის კაცია სასაცილოდ აგდებული, ვისაც ამ გზით და მიზეზით აქებენ, ან ის, ვინც ან გზით და მიზეზით აქებს და უნდა ამით ლარი გაიტანოს. (III, 422).

480(4726). რაც მუქთია, იმას კბილს ბევრი არაეინ უსინჯავს, (VIII, 248).

481(4727). რაც უნდა ზიზილ-პიპილებით მოირთოს, როშვა მაინც როშვაა. (VIII, 19).

482(4728). რაც წვნიკი კოღო კაცს შეაწუხებს, იმას მგელი ვერ იზამს, იმიტომ — რომ მგელს როგორმე მოიშორებ, ან მოჰშორდები და კოღო-კი არც-კი იცი სად ეძებო. („ივერია", № 275, 1891, 1).

483(4729). ...რიცხვ-მრავალი საზოგადოების განგებ შეცდომაში შეყვანა, შავის თეთრად ჩვენება და თეთრის გაშავება — უკიდურესი დანაშაულობაა?! („ივერია", № 138, 1893, 1).

484(4730). როგორ არ უნდა ეოცოს კაცსა, რომ ადამიანს მეტი სახსარი ჰქონდეს თავის რჩენისა და ის მეტი ჭირად გადაჰქცეოდეს, ანუ უკეთ ვსთქვათ, სიმდიდრე სიღარიბის მიზეზად გახდომოდეს. (VII, 171).

485(4731). როგორ მოგწონთ მეცნიერი... რომელიც მარტო ლექსიკონით მიდის იოლად, როცა მეცნიერული ტერმინების ახსნაზე მიეარდება საქმე და რომელსაც სხვა უნარი და ილაჯი არა ჰქონია ამისთანა შეეთხეევაში გზა გაიგნოს. (VI, 264).

486(4732). როგორ შეიძლება გაუფრთხილდე შინაურს მტერს, თუ არც კი იცი, რომ ის მტერია? (ცნობის ფურცელი", № 1109, 1900, 3).

487(4733). როგორც გაუქმება ერთის რომელისაგე ასოსი ადამიანის აგებულებაში ადამიანს აუძლურებს, ასუსტებს, ისეც სოფელს ასუსტებს და ულონოდ ჰქმნის, როცა მის კეთილდღეობის მსრუნველობაში ერთნი არიან და მეორენი არა. (VI, 48).

488(4734). როგორც უმიზეზოდ მტირალა კაცი საზიზღარია, ისეც უმიზეზოდ, უაზროდ მოცინარიცა. (III, 120).

489(4735). როლის არცოდნა... არტისტისათვის შეუნდობელი ცოდვაა. ეგ თავის საკუთარი ღირსების გამომეტებაც არის, გარდა იმისა, რომ უკადრისობაა მაყურებელთა საზოგადოების წინაშე, რომელსაც არტისტი თითქო არარად აგდებს, რადგანაც არ ცოდნით გამოდის სცენაზედ. (III, 94).

490(4736). რომ არა გქონდეთ, კიდეე ესა სჯობია, ვიდრე გქონდეთ და თქვენის თვალითვე ჰხედავდეთ, რომ თქვენი ნაშრომ-ნაჯაფეეი, თქვენი ამაგი, ან თქვენს თვალთა წინაშეეე ჰფუჭდება, ან ჩალის ფასად უნდა გადაჰყაროთ, რადგანაც ყოველი სხვა გზა დახშულია. (VII, 25).

491(4737). რომელი საზოგადოებაც, თუ ცალკე კაცი, სხვაზედ დანდობილია და თითონ გულხელი დაუკრეფია, იმას ამ ქვეყანაში პური არსობისა ვერ გამოუცხვია და საცა ეგ პური არ არის, იქ არც სიცოცხლეა, იქ მკვდარი მკვდარზეა აკიდებული, საფლავამდე წასაღებად.* (VIII, 329-330).

492(4738). რომელს ზნეობის დავთარში სწერია, რომ გონება ადამიანისა, ადამიანის კილვა, შებღალვა სადმე შესაწყნარებელი იყოს! („ივერია", № 59 1897, 3).

493(4739). როცა ბეზღობა, — ეგ უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა. პირახდილი დაიარება, არამცთუ უსირცხვილოდ, თავმოწონებითაც ფარფაშობს და ლუკმა პურს აწვდის მაბეზღარს, — მაშინ პირდაპირ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საზოგადოების წყობას საძირკველი შერყევიაო და აღსასრული მოახლოებიაო. (VIII, 7).

494(4740). როცა დანა ყელზეა მობჯენილი და ლამის თავი ტანს მოაშოროს, განა კაცს დრო-ღა აქვს ინატროს ნეტავი ლობიოს მაგიერად ფლავი მქონდესო. („ივერია", № 259, 1897, 1).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე წამიღეო". (რედ.).

495(4741). როცა კაცზედ ვისმეზედ სჯა და ლაპარაკი მოგვინდება ჩოლმე. მოქმედებას კი არ ვუსინჯავთ; არა, ამას თავს ვანებებთ, სიკეთესა, გულში ეცდილობთ ჩახედვასა და იქაურობას ვუქოთებთ. (V, 167).

496(4742). როცა კაცს თვითონვე შეუძლიან თავის საქმეს გამორჩეს რასმე, მაშინ უჭკუობა იქნება, თვითონ გულხელი დაიკრიფოს და ვამოსარჩომი სხვას დაანებოს. (VII, 316).

497(4743). როცა კაცს, სხვა გზა... არა აქვს, ხავსს ეჭიდება დარჩომილისაგან თავის დასახსნელად.* (IX, 50).

498(4744). როცა მწერალი ტრაბახობს, უმეცართ ჰმართებსთ ჯერობა. (III, 364).

499(4745). როცა... უკადრისი საქციელი აშკარაა და პირდაპირ ზედმოსეულია, მაშინ ამის მოქმედს ცოტაოდენი ნიშანწყალი ადამიანობისა კიდევ შეიძლება ეუგულისხმოთ, იმიტომ რომ არ იქნება ისიც არ გამოელოდებოდეს რაიმე განსაცდელსა აშკარად გაუპატიურებულის კაცისაგან. მაშასადამე, იგიც რაიმეს უნდა ჰშიშობდეს, და რაკი გაკადნიერდა უკადრისის ქცევისათვის, სჩანს ძალია შიშსა და განსაცდელს გულდაგულ უხვდება. (VIII, 250-251).

500(4746). როცა უფლება-მოსილი წოდება გაურბის, უარ-ჰყოფს თავის მოვალეობას საქვეყნო საქმის წინაშე და ერთხელა და ერთხელ შეძენილს უფლება-უპირატესობას-კი ირჩენს, ხელს არ უშვებს, მაშინ ზემოხსენებული წოდება გადაიქცევის მუქთა-მჭამელ და უსარგებლო წოდებად, რომელიც არა იშვიათად აფერხებს კიდეც ქვეყნის წარმატების საქმეს. („იერია", № 20, 1893, 1).

501(4747). როცა, ჩემო ძმაო, ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე-ღმერთისათვის მოგირიდებია პირი. (II, 75).

502(4748). რძალი — როგორც მოგეხსენებათ ჩვენის კურთხეულის ცხოვრების ამბავი — რძლის მტერია. (II, 147).

503(4749). სად გინდ ეგდოს, ვინ რას აქნევს
ნაქაჯსა არ ცოდნისასა?
მისი** მწერლობა კვალსა ჰგავს
ზღვაზედა ნავთმავლისასა. (I, 116).

504(4750). სადაც გამოერევა ადამიანის „მე", იქ უთუოდ უნებლიეთ წარმოსდგება მონებაცა ერთის მეორეზედ. უფრო უძლურმა უნდა დაუთმოს უფრო ძლიერსა, იქ იქნება დესპოტობა, მონება და, არა სრული ერთხმოვანი გარმონია ორთა თანასწორთა სულთა, რომელთ

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო". (რედ.).

** იგულისხმება უნიჭო, კაი-მწერალი. (რედ.).

შეერთება შეიქმს ხოლმე ერთ დაკარგულს ერთარსებასა. (II, 533-534).

505(4751). სადაც ეჭვიანობაა იქ ნდობა და პატივისცემა არ არის. (X, 231).

506(4752). სადაც ძალა, იქაც კანონია. (II, 528).

507(4753). საკვლახო ის არის, როცა... თქმა და ქმნა ერთმანერთის განუყოელი და-ძმანი არ არიან. (VIII, 266).

508(4754). საკვლახოა, როცა საზოგადო საქმეში „მე ესე მიჯობს" აღვირაშვებული დაიარება და ის კი, „რაც საქმეს უჯობს", ოავჩაღუნული დადის, თითქო დედინაცვლის ხელში ჩავარდნილი ობოლიაო, ჩაგრული და ხმაამოუღებელიო. (V, 50).

509(4755). საკვალალო და სამარცხვინო ის არის, რომ ზოგჯერ ტაშისკვრითა და ქება-დიდებით მივეგებებით ხოლმე სხვის ნამუსის წამბილწველსა, სხვის პატიოსნების შემბღალველსა. ამისთანა ყოფაში დიდხანს ვერ გასძლებს ქვეყანა, ერი, საზოგადოება.* (VIII, 260).

510(4756). (საკვალალოდ, ხშირად — რედ.) უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭ-ქვეშაც ვიგულოთ. (II, 291).

511(4757). საკვსე თარო წიგნებითა და ცარიელი მუცელი — არა მგონია ბევრს რასმე შველოდნენ ერთმანეთსა. (II, 475).

512(4758). საზოგადო ინტერესი რა არის — არ ვიცით, საზოგადო საქმეებისათვის თითის განძრევა გვეძნელება. („დროება", № 32, 1883, 2).

---

* ეს ციტატა აღებული გვაქვს ი. ჭავჭავაძის ნაშრომიდან — „პრესა და პირადობა" (იხ.: VIII, 59-63), რომელიც პირველად გამოქვეყნდა „ივერიის" ფურცლებზე (იხ.: № 21, 1889, 1-2). ამას აღვნიშნავთ იმიტომ, რომ ხსენებულ ფრაზაში არსებული სიტყვის „შემბღალველსა" ნაცვლად, „ივერიაში" არის — „შემლახველსა". აქვე, საკალდებულოდ მიგვაჩნია ზემოაღნიშნულ ციტატას დაურთოთ შემდეგი კომენტარი: მკვლევარ ა. სიგუას თავის წიგნში — „მარად და მარად" (თბ., 1983), ეს ციტატა მოტანილი აქვს ამდაგვარად: „საკვალალო და სამარცხვინო ის არის, — წერს ილია, — რომ ზოგჯერ ტაშის კვრით (ასეა „ივერიაში" — რედ.) და ქება დიდებით მივეგებებით ხოლმე სხვის ნამუსის წამბილწველსა, სხვის პატიოსნების შემბღალველსა... ლიტერატურა უნდა ასრულებდეს ადამიანის დაცვის კეთილშობილურ მისიას" (გვ. 13). ამ ფრაზის წყაროდ მითითებულია: ი. ჭავჭავაძე, „საზოგადოებრივი ცხოვრების" დღიური", ტ. VIII, გვ. 260. ჩვენ ვერ დავადგინეთ, თუ საიდან აიღო პატივცემულმა ავტორმა მინიშნებული წყაროს დასათაურება (როგორც აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის თხზ. სრ. კრებულის VIII ტომში ხსენებული ნაშრომი შეტანილია სათაურით: „პრესა და პირადობა", ხოლო „ივერიაში", იგი დაიბეჭდა უსათაუროდ). რაც შეეხება ა. სიგუას მიერ მოტანილ ციტატაში არსებულ ფრაზას: „...ლიტერატურა უნდა ასრულებდეს ადამიანის დაცვის კეთილშობილურ მისიას", ი. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნულ ნაშრომში ჩვენ მას ვერ მივაკვლიეთ. (რედ.).

513(4759). საზოგადო საქმეში... ფერ-უმარილიანი აზრები, ცარიელი ტკბილ-ტკბილი და თბილ-თბილი სიტყვები, ვნების მეტს ვერას იზმენ, შესაწყნარებელნი არ უნდა იყვნენ. (VII, 363).

514(4760). საზოგადოდ ქურდობის და ავკაცობის ძირეული და მუდმივი ბუდე... გაჭირვებაა, რომელიც კაი კაცობას ხელს უცრის და ავკაცობას აბედვინებს. (VI, 209-210).

515(4761). (საზოგადოებრივი ყოფის უზნეობაა, როცა ცხოვრების საერთო სუფრიდან — რედ.) ყველა სცდილობს, რაც შეიძლება დიდი ნაჭერი თითონ ჭოითალოს, დიდი ლუკმა ხელთ იგდოს და სხვა ცარიელზედ დასვას, გამოსწიროს, გზა დაუხლართოს... (VII, 272).

516(4762). სათაკილო და სამარცხვინო ამბები სახელს უტეხს მთელს კრებას, მთელს საზოგადოებას. თვითეულს ცალკე წევრს კრებისას, ჩირქსა სცხებს ჩვენს ადამიანობას, ჩვენ კაცურ-კაცობას. (VII, 441).

517(4763). საიდამ დაგვჩემდა ეს საუბედურო თვისება (გულგრილობა საერთო საქმისადმი — რედ.)? რამ გადააჩვია ჩვენი ჭკუა, გონება, გული, საყოველთაო საქმეს? რამ დაგვიბა თვალი და ყური მარტო მასზედ, რასაც „ჩემობის" ფერი ადევს და არა „ჩვენობისა"? ჩვენს ისტორიას რომ შევხედოთ, მაგის მიზეზს ვერ ვიპოვით. ერთს წუთს რომ ჩვენი თვალი და ყური მარტო „ჩემობაზედ" გაჩერებულიყო და „ჩვენობა" დავიწყებას მისცემოდეს, მაშინვე სულს გაეაფრთხობდით და ჩვენი ერი მტვერსავით აიგვეგოდა დედამიწის ზურგიდამ. (V, 243).

518(4764). საკადრისი არ არის არამც თუ მაგეების (უზნეო აზრების, ანდაზების — რედ.) ხმამაღლა ძახილი, არამედ გულში გატარებაც-კი. (VIII, 133).

519(4765). საკვირველი დროა ეს ჩვენი დრო. იტყვი რასმე, მაშინვე პირში მოგვარდებიან, — რათ ამბობთო, და არ იტყვი კიდევ. გიკიჟინებენ — რატომ არას ამბობო. აი ამაზედ არის ნათქვამი: გავიქცევი — ქარიანი მქვიან და დავდგები — ლაჯიანიო.* მოდი და ენდე ამ წუთისოფელსა. (V, 84).

520(4766). საკვირველი კაცია ქართველი!.. ძალიან თვალების აბმა იცის, სხვის თვალებისა კი არა, მაგოდენა არ შეუძლიან, თავის საკუთარის თვალებისა. თუ მოინდომა, და თუნდაც არ მოინდომოს, ისე ხელობად დასჩემებია, რომ რაც უნდა კვთილ-სვინდისიანი საქმე იყოს, ასეთს კუდს გამოაბამს, ასეთნაირად წაშლის-წამოშლის რომ შენი ვაკეთებული საქმე შენვე ვერ იცნო, შენი ნათქვამი სიტყვა შენვე ვეღარ გაიგო. (III, 450).

---

* შდრ.: „გავიქეც — ლაჯიანიო, დავდექ და — ქარიანიო".
ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

521(4767). საკვირველია, მშიერს კაცს ეუბნებიან, ეცადე. ბოზბაში იშოვნოო. ბატონო, ჯერ პური იშოვნოს და მერე ბოზბაშზედაც იფიქრებს. თუ არა, მანამ ბოზბაშს იშოვნის, იმას ნაწლეები გაეწურება, თან გადაჰყვება, მერე ველარც ბოზბაში უშველის, ველარც ბოზართმა. („ივერია", № 127, 1893, 3).

522(4768). საკმაოა ჩვენში კაცმა კაცს რაზედმე საბუთიანი უარი უთხრას, საკმაოა ერთს რომელსამე აზრზედ არ დაეთანხმო, საკმაოა შენი საკუთარი აზრი იქონიო, სხვის სიტყვას, სხვის საქმეს სამართლიანი წუნი დასდო, საკმაოა, რაც იმას მოსწონს, თქვენ არ მოიწონოთ, — ერთ-ერთი ამისთანა საკმაოა-მეთქი, რომ მომდურაევა კაცმა თავისი კალამი თუ ენა ლაფში ამოავლოს და ზედ თავზე დაგაბერტყოთ. სამწუხარო ჭირთა-ჭირი ის არის, რომ ამის მომქმედს ბარაქალის ქუდსა ვხურავთ და ისიც გაბღინძული და გამოჭიმული დადის და უსირცხვილოდ ჰქადულობს თავის სამარცხვინო საქციელს. (VIII, 254).

523(4769). საკუთარი სულმოკლეობა, მარტო სხვის სულგრძელობაზედ დამყარებული, კარგს არას მოასწავებს. პირიქით, რამოდენადაც დიდს ხანს გასტანს და დიდს მანძილს გაიკლის, იმოდენად გაათახსირებს, მოადუნებს, მოაკედენს თვითარსებობის ძალ-ღონესა. (IV, 355; VIII, 316).

524(4770). საკუთარის ტვინის სადგურს.. ზოგი უსამართლოდ თავს ეძახის და ზოგი სამართლიანად გოგრას. (V, 57).

525(4771). სამართლის ურიგოდ მოწყობილობა სვავია — რომელიც ჩნთქავს ხალხის სიმდიდრესა, მახვილია — რომელიც ჰკვეთს ფრთებსა ხალხის ხელთმოქმედებას და ეკონომიურს წარმოებას. (VI, 86).

526(4772). საწუხარო და ყოველად შეუწყნარებელია იმისთანა უმართლო იმედები, რომელსაც მარტო საღერღელის აშლა შეუძლიან უმეცარის კაცისა და სხვა არავითარი ღირსება არა აქვს. (VII, 361).

527(4773). სამწუხარო ის არის, რომ (ზოგიერთებს — რედ.) საწყენად და საფიქრებლად ის კი არა აქვთ — საწუნარი რადა გვაქვსო და შემდეგისათვის როგორ მოვიშოროთო, არამედ ის, თუ რად შეგვნიშნეს, რად გამოგვიმჟღავნეს იგი წუნიო. წუნი კი ამის გამო ისევ წუნად ჩრჩება, თითქო ბოროტი თვითონ წუნში კი არ იყოს, არამედ იმაში, რომ რად შეგვამჩნიესო. (III, 110-111).

528(4774). (სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად — რედ.). წინდაუხედავად შევსვამთ ხოლმე საზოგადო მძიმე საქმეს ერთმანეთის მტრობისა და შურის საქანელაზედ და ისე უკადრისად წინ და უკან ვაქანებთ. (V, 50).

529(4775). (სამწუხაროდ, ბევრია ჩვენ შორის ისეთი, ვისაც ეხერხება — რედ.) ... მელურად მიცოცვა და გველურად კბენა. (VIII, 281)

530(4776). (სამწუხაროდ — რედ.) განა ყველა რაც ადამიანს სიცილს მოჰგვრის ოხუნჯობაა. („ივერია". № 59, 1897, 3).

531(4777). (საბწუხაროდ. ხშირად — რედ.). იქ უფრო ბნელა, საცა ნათელი გვეგულება. (V, 79).

532(4778). (სამწუხაროდ, ხშირად მავან-მავანებს — რედ.). არა სწამთ ყველასაგან წამებული ჭეშმარიტება, — ადგილის საქმეს ადგილის კაცი უნდა და არა უცხო და ხამიო. (VI, 98).

533(4779). სასაცილო არ არის ეს ამბავი: კაცი სიტყვით წინ იწევდეს თავგადაგლეჯილი და საქმით-კი ფეხები დამბლასავით უკან რჩებოდეს! (VI, 295).

534(4780). სასაცილოა, რომ ვისც ყრმობას მოხვდა როზგები,
მივიდეს ეხლა და ითხოვოს პასუხის-გება;
ანუ ყმაწვილმა გაუსვაროს ვისმე ხელები,
როს გაიზარდოს, მაშინ უწყოს შურის ძიება...
აქ სიმდაბლეა; რას იტყვიან პატიოსნები.
ამგვარ გასვრაში მითამ იყოს პატიოსნება?.. (I, 346).

535(4781). სასაცილოდ აგდება იმისთანა ადამიანისა, რომლის უბედურობა მარტო ის არის, რომ მახინჯად არის დაბადებული, ავზნეობის ნიშანია... (III, 97).

536(4782). (სასცენო ხელოვნებაში — რედ.) სიცილი თავის დღეში არ უნდა გარდიქმნას ლაზღანდარობად და ტირილი კიდეე უგემურ კნავილად. (III, 120).

537(4783). (საქმე — რედ.)... თუ არ არის ქმნილი და მარტო ამაო ბავ-მოწონებით და ცუდ-მედიდობით ხელწატანებულია, მაშინ საქმე დიდი თუ პატარა, სულ ერთია: იგი ხელის წამტანებელის ქარაფშუტობას უფრო გვისაბუთებს და გვიმტკიცებს, ვიდრე დიდბუნებოვანობასა მაშასადამე, ამ შემთხვევაში ძალა ქმნასა ჰქონია და არა მარტო ხელის წატანებასა და ფოტინს. (IV, 241).

538(4784). საქმე ის არის, სურვილი ქონებას არ გადაამეტო. (II, 475).

539(4785). (საქმის ურიგოდ გაძღოლა და წაყვანა — რედ.) თავმოწონებულს არ-ცოდნას მოსდის ხოლმე ყოველთვის. (II, 291).

540(4786). საქმისა თუ აზრის ავ-კარგიანობის გარჩევა მარტო ძველ-ახლობითა, ღირსების აწონ-დაწონვა მარტო იმით, რომ ეს გუშინდელია და ეს დღევანდელი, ჭეშმარიტების უარყოფა მარტო იმით, რომ ძველია, და ტყუილის ჭეშმარიტებად გაყვანა მარტო იმით, რომ ახალია, რაც გნებავთ ბრძანეთ და, სასაცილოზედაც მეტია. აგეთი სასწორი, აგეთი გარჩევა კარგისა და ავისა, მართლისა და ტყუილისა, მარტო იმის მომავლინებელია, რომ კაცს არც კარგი ესმის, არც ავი,

არც მართალი უცვნია, არც ტყუილი, და ამაოდ ჰფქვავს მინდ-მოკლებული წისქვილსავით... (III, 293).

541(4787). საშინელებაა, როცა შენს ნაწვავ-ნადაგსა, შენს ნაჯაფავსა, შენს ნაბრძნობსა უგუნური დაეპატრონება. (V, 332).

542(4788). საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო. და აკი გაცლილია კიდეც ჩვენში კრიტიკა.* („ივერია", № 29, 1898, 2).

543(4789). საცა გონება არ მიგიწვდეს, ბევრი წერტილები დასვი — იტყვიან ლიბერალიაო. (III, 335).

544(4790). საცა ენაა გრძელი, იქ ფეხები გინდა მოკლე იყოს, გინდა გრძელი, არაფერია. (II, 361).

545(4791). საცა ეს ეაუბატონები (ჯავრი, ჯიბრი, შური — რედ.) ყელს მოიღერებენ ხოლმე, იქ ხერი აღარ არის. იქ მშვიდობიანი და ჭკუა-დამჯდარი განსჯა საქმისა ხმა-გაკმენდილია და ენა-დაბმული. („ივერია", № 14, 1893, 2).

546(4792). საცა კაცს ერთად-ერთი საგალობელი-ღა აქვს: „ფული, ფული და ფულის შეტი სხვა არა-რა", იქ რად უნდა გვიკვირდეს ან ის, რომ გამგელებული სიხარბე, კაცის გამწირავია, კაცს არა ჰზოგავს, არ ინდობს; ან ის, რომ სიცოცხლე სიკვდილზე უარესია. განა ეს ასე არ უნდა იყოს იმათ შორის, რომელნიც კაცურ-კაცობას მარტო ფულის შოვნაში ხედავენ და ერთად-ერთ საგნად ცხოვრებისად მარტო ეს შოვნა აქვსთ მიჩნეული და სხვა არა-რა. („ივერია", № 241, 1888, 1).

547(4793). ...საცა უთანხმოებაა, იქ ადვილად საფიქრელი არ არის... მშვიდობიანი შორიგება... („ივერია", № 14, 1893, 2)

548(4794). საცა შესაძლებელია ამით (ფლიდობითა და დაბალსულობით — რედ.) კადნიერად თავის მოწონება, იქ კაცური კაცობა, ადამიანობა შეუძლებელი-ღაა. (IV, 196).

549(4795). საცოდაობა, სულისა და გულის ნამცეცობა ამისთანაებში (ცრუპენტელა კაცებში — რედ.) იჩენს თავს და ამის გამომჩენელი კაცი უფრო შესაბრალისია, ვიდრე განსაკითხი და მსჯავრდასადებელი. (VIII, 274).

550(4796). (საძრახისია და დასაგმობი — რედ.) როცა... თვალწინ დაყენებულ საკუთარს საქმეზე განვლებ თუ უნებლიეთ თვალებს გვიბმენ, გონებას გვიხშობენ, გულს გვიტეხენ. (VI, 260).

551(4797). საწამლავით ოხუნჯობა საშიშარია. (VII, 335).

552(4798). საჭიროება თავ-გამეტებისა... ამაობა ღაღადებისა განა არ უნდა უშლიდეს კრიტიკის მოვლენას. მხნეს გულს არ უნდა

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური გამოთქმა: „საცა არა სჯობს გაცლა სჯობს, ადგია მაკაცისაგან". (რედ.).

უტეხდეს და გულ-გატეხილს გასამხნევებლად ღონეს არ უნდა უფრო უძლურებდეს!.. („ივერია", № 29, 1898, 2).

553(4799). სახელმწიფოს თუ ერობის გამდიდრება არ შეიძლება აშენდეს ხარჯის მხდელთა გაღარიბებასა და გათახსირებაზე. ეს იმას ეგვანება, რომ კაცმა კვერცხის გამოღების სიხარბით ქათამი დაჰკლას. (VII, 302).

554(4800). სვაეს ვინ ჰკითხავს, სისხლს რადა სვამ,
სვავი რადა ხარ სვავიო? (I, 200).

555(4801). სიკეთისათვის სიკეთე ვის უქნია? (II, 425).

556(4802). სიმდიდრეს რა უჭირს? ცა ყოველთვის ქუდადა აქვს, დედამიწა ქალამნადა.* (IV, 337).

557(4803). სირცხვილია, სირცხვილი, კაცმა უანგაროდ იშრომოს, უსასყიდლოდ ჯაფა გასწიოს ჩვენთვის და ჩვენ იმოდენად დაუსახავნი ვიყვნეთ, რომ ხარჯის გასასტუმრებელი ღონეც კი არ ვაძლიოთ. (VIII, 277).

558(4804). სისხლის სამართლის მატიანე სავსეა... მისთანა მაგალითებით... (როცა ამა თუ იმ კანონიერ — რედ.)... ამბავს ჩაუვლია ისე, რომ სამართლის კარამდე არც-კი მიუღწევია. (VIII, 347).

559(4805). სიტყვა „ბიწიერება" ამცირებს და ლაქასა სცხებს ადამიანის ღირსებასა და პატიოსნებას. („ივერია", № 98, 1896, 2).

560(4806). სიტყვა ხომ არაფერია და კაცს არაფრად უღირს, მაგრამ რამდენი კაცია ქვეყანაზედ — მოძმესათვის ისიც არ ემეტება. ესეც კია, ზიზღმა თუნდ გამოიმეტოს კიდეც, გაჭირებულ გულს არ მოხვდება, ვერ მიაღწევს გულამდინა. ამისთანა კაცები გულს ვერ მოჰფხანენ გაჭირებულსა და ვერც ნუგეშსა სცემენ. (II, 67-68).

561(4807). ... სიტყვით ნატკენი გული... თავის დღეში არ ეგამთელდება. (II, 424).

562(4808). ... სიტყვის ბანზედ აგდება საზოგადო საქმეში... ეერაფერი ჭაშნიკია. (V, 264).

563(4809). სიღარიბე, რიგიანის სახლების უქონლობა, ცუდი სასმელ-საჭმელი, უსუფთაობა, სიბინძურე და სხვა ამ-გვარი ჯანმრთელობის წინააღმდეგი გარემოება ავრცელებს ხალხში და ხელს უწყობს ათას-გვარ ავადმყოფობას, სნეულებას და ჭირსა... (IV, 339).

564(4810). სიღარიბის ხელზედ დახვევა (მამულისათვის სასარგებლო საქმეში მონაწილეობისაგან თავის ასარიდებლად — რედ.) სხვა არა არის-რა, რომ მიზეზს — დოს მარილი აკლიაო.** (IV, 357).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა — ქალამნადა". რედ.).

** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო". (რედ.).

565(4811). სიცრუეს... სამართლიანადა აქვს წამხდარი სახელი, ისეთი საზიზღარი რამ არის ადამიანის ყურისათვის. (III, 409).

566(4812). სიცრუე ბოროტი თვისება არისო. (X, 14).

567(4813). სიხარბეს საზღვარი არა აქვს. (V, 226).

568(4814). ... „сорвалось"* ერთხელ ეპატიება კაცს, ორჯერ, და ყოველ ნაბიჯზედ რომ საამსიტყოდ გაუხდეს საქმე, ხელ-ჩასაჭიდებელი საბუთია ავტორის ღირსების ასაწონად და იმის გამოსაცნობად, თუ რას უნდა მოველოდეთ ამ ზნის პატრონისაგან. (IV, 39).

569(4815). სოფლელ დედაკაცების წამლობას. ხშირად უფრო მეტი ენება მოაქვთ ხალხისთვის, ვიდრე სარგებლობა. (IV, 339).

570(4816). სტყუიან, ცრუობენ სიმართლის სახელითა და არავინ ეკითხულობს: სად ტყუილი და სად სიმართლე? (VIII, 264).

571(4817). სულელებმა არ იციან, რომ კანონისათვის „безумный и слабоумный" ორივე ერთი წითელი კოჭები არიან. (ი. ჭავჭავაძე, „წერილები", I, სოხ., 1949, გვ. 122).

572(4818). სულელის უბედურობა ის კი არ არის, რომ სულელია, ის არის, რომ თავისთვის ვერ იცნობს და თავისი თავი დიდი რამა ეგონია. (III, 29).

573(4819). სულელობაც შესაყარი და გადამდები... ჭირია: („ივერია", № 193, 1888, 3).

574(4820). სულელს თავის-დღეში სულელი ეჩქმეევია და ყური არავის უთხოვია. (VIII, 19).

575(4821). სულელს ეგონია, რომ ისტერიკა დიდკაცობის ნიშანია და მეტად ბედნიერად მიაჩნია თავისი უხეირო თავი... (X, 287):

576(4822). სულით დაბალნი, ჭკუაგონებით ჩლუნგნი, ზნეობადაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გაღატაკებულნი, ფლიდნი, პირისგამტეხნი, მხდალნი, ლაჩარნი — აი, ჩვენი სულიერ და ხორციელ აელა-დიდების სურათი! აი რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასე თვისდა სასარგებლოდ მიუჩნეევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება. წერით თუ სიტყვეით, შინ თუ გარეთ წელებზე ფეხს იდგმენ, რომ ქვეყანა დააჯერონ, ეითომც ჩვენ სწორედ ასეთი უხეირონი და ულირსნი ვყოფილვართ და ღღესაც ასეთნივე ვართ, თუ არ უარესნი. (VIII, 95).

577(4823). სულმოკლეობა ღვთის საწყენია. (II, 65).

578(4824). სუსტი რომ იქნება კაცი, იქნება! (II, 36).

---

* იგულისხმება სიტყვის შეშლა, სიტყვის წამოცდენა. (რედ.).

579(4825). სხვა რომ არ მაქებს, თვით ვკვესავ, მითამ
რა საწუნელია,
იქ ყველა გამოგვადგება, საცა რომ ხალხი ბნელია.
(III, 364).

580(4826). სხვაზედ მინდობა — ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდეც ამ ქვეყნიერობაში. (IV, 320).

581(4827). სხვერპლი ამ გამუდმებულის ჭირისა, რომელსაც სიხარბე ჰქვიან, დღე ყოველ ათასია ჩვენში, დღე ყოველ ათასი კაცი პკენესის ამ საზიზღარისა და შეუბრალებელის ჭირისაგან სოფლებსა, თუ ქალაქებში. მაგრამ „აგრძნოს ვისსა სმენას?" პირ-იქით, იგი სიხარბე. ეგ ჭირთა ჭირი თავმოწონებულად და დაუსჯელად ჰფარფაშობს ჩვენში და ჭკუისა და მხნეობის სახელით ყურებს უჭედავს გამვლელსა და გამოვლელსა. დიაღ. ამოდენად ჰთამამობს და ურცხვობს კიდეც, რომ ჭკუისა და მხნეობის სახელს იჩენებს! („ივერია", № 241. 1888, 1-2).

582(4828). ...სხვის აზრის შეწყნარება ჩვენში ჯერ მოუწევარი ხილია და მკვახე ხილი-კი, როგორც მოგეხსენებათ, კბილსა სჭრის. („ივერია". № 29, 1898, 2).

583(4829). სხვის იმედის მქონებელი გლახაა, მთხოვარაა და გლახა-მთხოვარაობით ცხოვრება პირველი რომ სათაკილოა, თითონ ადამიანის ღონის მომშლელი და დამდუნებელია, და მეორეც — არც შემძლებელია, რომ ადამიანი მართლა ფეხზედ დააყენოს, გამოაბრუნოს და ოდესმე თავისით აცხოვროს, თავისით გამოაბრუნოს და ოდესმე თავისით აცხოვროს, თავისით გამოაკეთოს. (IV, 354; VIII, 315).

584(4830). სხვის ნაკლს, სხვის უბედურობას (ზოგიერთები — რედ.) თვის ღირსებად, თვის ბედნიერებად, თვის სიხარულად სთვლიან კაცთმოყვარეობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად სხვის ნაკლის და უბედურობის გამო სიხარული და ცეკვა და სად კაცთმოყვარეობა? (VIII, 264).

585(4831). სხვის ხელში ყურება, სხვისაგან მანანას ლოდინი, სხვისი ხვეწნა და მუდარება, სხვაზე ჩივილი — გეჭამს და გეყვლეფავსო, არიქა გვიშველეთ, ვილუპებითო, — ვერაფერი ჩიდია ჭირიდამ გამოსვლისათვის, ნამეტნავად მაშინ, როცა ჩვენ თვითონ ხელი გულს დაგვიკრეფია, არას ვნაღვლობთ, არას ვდარდობთ და მარტო ჩივილ-ყვირილის მეტს არას ვაკეთებთ. (VIII, 52).

586(4832). (სხვისი მაგინებელი, უზნეო — რედ.). ...მწერალი გადაბერებულს გასათხოვარსა ჰგავს, ანუ, უკეთ ვსთქვათ, საპატარძ-

ლოდ მორთულს ბებერსა, და ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ბებერსა სასძლოდ მორთულსა, უფრთხილდი, მოერიდეო“.* (III, 296).

587(4833). სხვისით საქმის წარმართვა, სხვისით ხსნა, სხვისგან მოლოდინი შველისა და ხსნისა უფრო მიძინებაა მხნეობისა, თვითმოქმედებისა და თავისთავის შველისა, ვიდრე საქმის გაჩარხვა, კეთება და წარმატება. (IV, 366; VIII, 329).

588(4834). (სხვისით ცხოვრება უზნეო, ნაცარქექია კაცებისა — რედ.). ... არის ცხადი საბუთი იმათის ულონობისა, შეუძლებლობისა. (II, 462).

589(4835). სხვისით ცხოვრება ყველას გვიყვარს. (II, 460).

590(4836). ტაკიმასხარაობა უვნებელი ხელობაა... ბეზღობა-კი ყველასათვის მავნებელი ჭირია და საზიზღარი ჭირიცა. ეგ მეტად ავი ჩირქია მეტად ავის მუწუკისა და მაგ მუწუკს ძირიან-ფესვიანად ამოჭრა უნდა და მატლსავით ფეხქვეშ გასრესა. (III, 393).

591(4837). ტვინთხელობა, რომელიც საკუთარ ტვინს მოკლებული, სხვითი სცხოვრებს და მარტო ბაძით სულდგმულობს... წინათვე ვიცით, კედელი იქნება და, რამდენიც გინდათ ცერცვი შეაყარეთ, არ დაიჭერს** (VI, 57).

592(4838). ტვინი თუ ნაჩვევი არ არის თვითმსჯელობასა, თუ თავით თვისით ნავარჯიშები არ არის, თუ მის პატრონს დაბადებითვე ნათხოვრებით გამოუზრდია, „ვერ მოგართვის“ მეტს ვერას ეტყვის გაფითრებულს პატრონსა. (V, 57).

593(4839). ტიკს მაშინ ჰბერვენ, როცა შიგ არა დგა-რა. (VIII, 126).

594(4840). ტურფას ქალსა გარყვნა დაასვამს საზარო დაღსა... (I, 139).

595(4841). (ტყუილ და უზნეო სიტყვას — რედ.) არც ვიტყვით თავის-დღეში და არც გვითქვამს. (VI, 105).

596(4842). ტყუილად გაბღინძული ამაო თავმოყვარეობა ვერაფერი თამასუქია, ვერაფერი საწყაოა თითონ იმის ღირსებისათვის, ვინც იბღინძება. (VIII, 273).

597(4843). ტყუილად ჰფიქრობენ (ზოგ-ზოგები — რედ.), ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს რომელმამე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს

---

* შდრ.: „ბებერი სასძლოდ შემკული, გაფრთხილდი, მოერიდეა“
„ქილილა და დამანა“.

ამ აფორიზმის სხვა ილიასეული ვარიანტები იხ. აგრეთვე: I, 112; III, 385. (რედ.).

** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „კედელს ცერცვი შეაყარე, ზედ არა შერჩება რაო“. (რედ.).

და ამით რაიმე ხეირი და სიკეთე ჰნახოს საბოლოოდ. ამისთანა წყობა და აგებულობა საზოგადოებისა, თუ ერისა, დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და, ვითარცა ქვიშაზე აგებული სასლი, პირველ ქარის შებერვაზედვე დაიფუშება. (VIII, 312).

598(4844). ... ტყუილების მაფრაშა თუნდ მთელს ქვეყანას გასწვღება. (IV, 74).

599(4845). ... ტყუილი თაკილი... ტყუილმა ბრძნობამ იცის... და უვიცობის ცუდმედიდობამ!... (II, 291).

600(4846). ... ტყუილი ნუგეში რის მაქნისია გამრუდებულის, გაფუჭებულის საქმის გამოსასწორებლად, გამოსაკეთებლად? (VIII, 326).

601(4847). ტყუილი სიხარულიც უქმი თამასუქია... (VII, 211).

602(4848). ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა, უქონლობისა. უნდა ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინარობას, უვიცობას, იმიტომ რომ სათავე და მიზეზთა-მიზეზი ყოველ უბედურობისა ეგ უვიცობა, ეგ ცოდნის უქონლობაა. (IV, 361).

603(4849). ტყუილი ხომ, თუნდ საქებრად მოგონილი, მაინც საზიზღარია და საწბილო. (IV, 171).

604(4850). ტყუილიც არის და ტყუილიც. მაგას კი (ყოველგვარ აზრიანობას მოკლებულ ტყუილს — რედ.) ძალიან მოკლე ფეხები აქვს*. (II, 361).

605(4851). ტყუილს ყველგან კუდი გარედგან ჰრჩება. (IV, 83).

606(4852). ტყუილსაც და ცილისწამებასაც ჭკუა და გონება სდომებია (IX, 276).

607(4853). უადგილო სიცილსა სრულიად არა აქვს ლაზათი. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 306).

608(4854). უაზრო სტატია, თუ გინდ ჩინებულადაც იყვეს გადმოთარგმნილი, მაინც არ ექმნება ღირსება და ვერაფერს შეჰმატებს ლიტერატურასა. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 323).

609(4855). (უაზრო — რედ.)... ქადილი და ღაღადება... ყინულზე დაწერილი თამასუქია. (IX, 145).

610(4856). (უაზრო, ყოველგვარ ლოგიკურობას მოკლებული — რედ.)... საუბარი წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი. (VIII, 122).

611(4857). (უაზროდ — რედ.) ... გაცემული სესხი ყინულზედ დაწერილი თამასუქია... („ივერია", № 158, 1887, 1).

612(4858). უარმყოფელობა, კრიტიკაზედ დამოუკიდებლად ცალკედ დაბინავებული კაცის გონებაში, დიდი სულელობაა. (III, 302).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ტყუილს მოკლე ფეხები აბია". (რედ.).

613(4859). უარყოფა განა დამტკიცებაა ბრალდების ტყუილისა? უარყოფა პატიოსან კაცისა და აშას კვრა* ქურდისა ერთმანეთისაგან როგორ უნდა გაირჩეს ამისთანა შემთხვევაში? (IX, 274).

614(4860). უბედური და ყოველთვის ჩაგრული ყოველთვის ეჭვიანია და უნდო. (III, 461).

615(4861). უბედურობა იმაშია, როცა მხნენი და მარჯვენი არიან ხარბნი და სხვის ოფლის მწოვარნი. („ივერია", № 273, 1891, 1).

616(4862). უბედურობა ჩვენი ეს არის, რომ შევებეჭავთ თუ არა ანბანის თეორეტიკის კანონით უაზრო ლექსებს, გვგონია, რომ ხელოვნებას დიდი რამ შევძინეთო. (III, 31).

617(4863). უდროვო-დროთ ლაპარაკი და განსაკუთრებით სულელური და უსაფუძვლო ლაპარაკი საქმეს გააფუჭებს და არა არგებს... („დროება", № 46, 1880, 2).

618(4864). (უზნეო ადამიანს — რედ.)... ყოველგვარ სისაძაგლეზე მიუწვდება ხელი, მისთვის ამ ქვეყნად არ არსებობს კარგი თუ ცუდი ეზა — ანდა, უკეთესად რომ ვთქვა, — მისთვის ყველა გზა კარგია, თუკი იმ გზით მიაღწევს ყველაზე ბინძურს, მაგრამ მისთვის საჭირო მიზანს (X, 202).

619(4865). (უზნეო — რედ.)... მეცნიერი ისე ხელს როგორ გაიქნევს, ისე როგორ დაიბღერტება, რომ თავისი მტკერი არ მოგვაყაროს. (VIII, 141).

620(4866)(უზნეოა ის კაცი — რედ.)... რომელიც არავითარ საზიზღარ ცილისწამებას არ ჰთაკილობს, ოღონდ-კი ჭუჭყი რამ მოსცხოს მისს არა-მასიამოვნებელს და არათანამოაზრეს. (IX, 290-291).

621(4867). (უზნეობა არის, როცა უაზრო, არაფრის მთქმელი სასაცილო და სამასხრო ამბების — რედ.)... მჯღაბნავი სხვას უკიჟინებს არა-სერიოზობას!... (VIII, 285).

622(4868). (უზნეობა იქნება — რედ.)... რომ აღმა მხენელს და დაღმა მფარცხველს საქციელი უსათუოდ მოვუწონოთ, ანუ გავუჩუმდეთ, ავის მომქმედი არ გავამხილოთ, არ ვავკიცხოთ. (III, 264).

623(4869). (უზნეობაა, რომ კაცმა — რედ.)... იქ „არა" სთქვას უსათუოდ, საცა „ჰო" არის სათქმელი უტყუარის საბუთითა. (IV, 65).

624(4870). (უზნეობაა — რედ.)... რომ კაცმა კაცი უთავბოლოდ გაჰპენტოს, კაცმა უთავბოლოდ სახელი შეულახოს, ნამუსის ქუდი მოჰხადოს და ლაფში გადაუგდოს. (IX, 271).

625(4871). (უზნეობაა — რედ.)... რომ კაცმა ნაგავი შეიტანოს სახლში მარტო იმისათვის, რომ მერე საბუთი ჰქონდეს სთქვას; სახლს დაგვა უნდაო. (VI, 57).

---

* ჯიქურ უარის თქმა, ხელაღებით რისამე უარყოფა. (რედ.).

626(4872). (უზნეობაა, უსაბუთოდ — რედ.)... შეუმოწმებლად კაცმა კაცი გასწიროს, ზნეობითად ჯვარს აცვას, ან შამფურზე ააგოს და სირცხვილის ნაღვერდალზე შესწვას. (IX, 275).

627(4873). უზნეობითა და უხასიათობით არის ავი ზნე-უწერთნელი სწავლული კაცი. (IV, 293).

628(4874). უზრდელობა, უმართებულობა, გაუპატიურება ადამიანისა, უწურთვნელობის, გონება-გაუხსნელობის და უჯიშობის უტყუარი ნიშანია. (III, 263).

629(4875). უთაე-ბოლოდ საქმის წაყვანა შეუძლებელია. (X, 120).

630(4876). უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკელელად დაცვისათვის — არამცთუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის ზურგზედ სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია, — იმის... უკადრისად ხსენებას, არ ვიცი, რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებში შევრიცხოთ. (VIII, 12).

631(4877). უკაცრაობა მკვდარი სიტყვაა... (III, 401).

632(4878). უმადურებთან საქმის დაჭერა ძნელი ყოფილა. (X, 327).

633(4879). უმადურს ქვეყანაში უმადურობა ხშირია. (X, 313).

634(4880). უმეცარ კაცს როგორ შთააგონებ, რომ მისი საკუთარი ინტერესები მოითხოვს, რომ თავის მეზობელთან კარგი განწყობილება ჰქონდეს, რომ მეზობლის უბედურება და შეუძლებლობა მას ბედნიერებას და შეძლებას ვერ შესძენს. (IV, 339).

635(4881). (უმეცარ. უვიც კაცს, რომ გონების — რედ.) თვალი არ უჭრიდეს. ჩვენი რა ბრალია! (VI, 290).

636(4882). (უმეცარს, კაცს, გლეხია თუ თავადი, სინიდისი გაღვიძებული არა აქვს, ზნეობით და გონებით ისე დაცემულია და ბრჯგუ, რომ არ ესმის სიკეთე საზოგადო კავშირისა, არ ესმის, რომ თვითოეულის ინტერესი საყოველთაო ინტერესზეა ზედ-მობმული. (V, 354).

637(4883). უმეცრებაა ჩვენი საშიშარი მტერი. (IV, 340).

638(4884). უმეცრებას ბევრი რამ (ავი — რედ.) შესძლებია! (III, 350).

639(4885). უმეცრობა და უვიცობა დიდი ჭირია და თუ ამას თან დაჰყვა უჭკუობა და უნიჭობა ხომ ჭირზე უფრო ჭირია. (VI, 241).

640(4886). (უმოქმედო და გაურჯელმა — რედ.) ... კაცმა დღეს რომ საქმე გაისწოროს, ხვალ ისევ იმავ დღეში ჩავარდება, რა დღეშიაც სამადლოდ გამოხსნამდე იყო, იმიტომ რომ თითონ უქმია... (VIII, 329).

641(4887). (უმრავლეს შემთხვევაში — რედ.) ... ყოველს ცილისწამებას იმისთანა სარჩული უდევს, იმისთანა სათავე აქვს, რომ ყველაფერი ადვილად დასაჯერია და ფიქრად მოსასველელი. (VIII, 8).

642(4888). ... უნარი, რომლის ღონე მარტო სხვის ულონობაა, დიდი ბურჯი არ არის, რომ ამაზე დაებჯინოს იმედი რომელისამე ერის მერმისისა. (IV, 390).

643(4889). (ურიგობა და უზნეობაა — რედ.) ... რომ კაცმა არ იცის ჩემი რა არის, სხვისა რა არის. („ივერია", № 182, 1886, 1).

644(4890). ურიგობაა... სიტყვების წამორომშვა დაუსაბუთებლად, აუწონ-დაუწონველად. („ივერია", № 29, 1898, 3).

645(4891). ურცხვობა... იმისთანა რამ არის, რომ არასოდეს ადამიანის გულს თავისაკენ სიბრალულით ვერ მოახედებს. იგი იმოდენად მყრალია, იმოდენად ბიწიერია, იმოდენად საზიზღარი, რომ კაცს, ურცხვობის მნახავს, ვერასგზით ვერ მოინადირებს და ვერ შეირიგებს. იგი მძოვრსა ჰგავს და რამოდენადაც ახლო მიუხვალ, უფრო ჰყარს, და თუ ხელიც ახელი, უფრო ასეთს სუნს ამოუშვებს, რომ ცხვირის დაცობა თუ უშველის ადამიანს, თორემ სხვა ვერაფერი. (VIII, 21).

646(4892). ურცხვს და უნამუსო კაცს... დარდი არა აქვს; ოღონდ თავისი გაიტანოს და ყოველგვარს საძაგლობას ჰკადრულობს, ყოველგვარს უკადრის იარაღს ხელსა ჰკიდებს. რას უნდა ეკრძალებოდეს და ერიდებოდეს! (VIII, 22).

647(4893). (ურწმუნოების, ეჭვიანობისა და შეუბრალებლობის კრძნობათაგან — რედ.). ... ამ სამთაგან არცერთი არ ვარგა, ისინი შეძლებისდაგვარად უნდა მოიშორო თავიდამ. (X, 196).

648(4894). უსაბუთოდ გამოლაშქრება კაცზედ, მისი გაუპატიურება, მისის ღირსების აქვთ-იქით თრევა, მისის პატიოსნების წაბილწება და თელვა, მისის განზრახვის, სინიდისის და გულისნადების თავისებურად ჩხრეკა და აქოთება — ისე გვეადვილება არამც თუ შინაურს ლაპარაკში, არამედ საჯაროდ ჟურნალ-გაზეთობაში, რომ თითქო ბაკლა და ისპანახი იყოს. (V, 167).

649(4895). უსაბუთოდ განკითხვა ლანძღვაა, გინებაა და გონება დახშულის, გულ-წამხდარის კაცის საქმეა. („ივერია", № 29, 1898, 2).

650(4896). „... უსაბუთოდ შებღალვა კაცის ნამუსისა, უნამუსობაა"... (VIII, 262).

651(4897). (უსაზღვროა — რედ.) ... ხოლმე ლაღი კადნიერება თავმომწონე და თავგასულ უმეცრებისა. (IV, 145).

652(4898). ... უსამართლო ყოფა-მდგომარეობა, საცა მარტოკა ხარბობა ჰმოქმედობს მხნეობითა და სიმარჯვითა, საცა მარტო წყურვილი სხვის წოვისა და სხვისით რჩენისა დიდის ოსტატობით ახერხებს

სიმდიდრის შეძენასა, მეტის მეტი საშიში და საზარელი იარაა... („ივერია“, № 273, 1891, 1).

653(4899). უსაფუძვლო ლაპარაკი საშიში არ არი. (III,53).

654(4900). (უსაფუძვლო, უაზრო — რედ.) ... ნათქვამების ნაყვა სწორედ წყლის ნაყვაა. (IV, 70).

655(4901). უსაქმო საქმიანები... უფრო ახდენენ საქმეს, ვიდრე აკეთებენ. (III, 46).

656(4902). უსიცოცხლო ცოდნა ხვედრია მარტო უნიჭობისა და უნიჭო ბეჯითობას უფრო ეადვილება, ვიდრე ნიჭიერს და ცოცხალს გამჭრიახობასა. ამიტომაც არც საკვირველია, რომ ამისთანა ცოდნის გზაზე მკვდარი ბეჯითობა სძლევს ხოლმე სიცოცხლით სავსე ნიჭსა, რომელიც არ იშვნევს, არ იტანს, რაც-კი უსულადოა, უსიცოცხლოა. („ივერია“, № 78, 1897, 1).

657(4903). უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია. (II, 40).

658(4904). უქმი, გაურჯელი კაცი, სხვის სამადლოდ დარჩენილი, იმ აუცილებელს ბედს (უმწეობას, შიმშილით სულის ამოხდომას — რედ.) ვერ წაუვა, თუნდაც ზედ ოქროს ზოდზედ დაესვაო. (VIII, 325).

659(4905). ... უქმი და გამოუსადეგი ხომ მარტო ქონების მჭამელია და არა ქონების გამდიდებელი და გამაძლიერებელი, გამღებია და არა მომღები. (IV, 360).

660(4906). უქმის კაცის თამასუქს ვინ რას ანდობს. (V, 156).

661(4907). უქმობა და ცუდაობა დედაა ყოველის უბედურებისა. („ივერია“, № 274, 1891, 2).

662(4908). უღონობა ქვეყნისა მარტო უფულობა და უქონლობა კი არ არის, როგორც ეხლა ბევრსა ჰგონია, არამედ, უფრო ისა, როცა სათნოებიანი, კეთილ-მომქმედი მაღალზნეობის კაცი არა ჰყავს.* („ივერია“, № 103, 1898, 2; „ცნობის ფურცელი“, № 537, 1898, 3).

663(4909). უღონოთა ღონე ხომ მოგეხსენებათ რა არის? ხავსია, რომელსაც წყალწაღებული ხელსა სჭიდებს ხოლმე, როცა სხვა ყოველს ღონეს მოკლებულია**. („ივერია“, № 53, 1897, 1).

664(4910). უცოდინარი, განუვითარებელი კაცი უტყვია, მუნჯია, უქმია... („ივერია“, № 10, 1882, 138).

665(4911). უცოდინარი მშრომელი უხორთუმო სპილოა, უბრჭყალო ლომია არსებობისათვის ბრძოლაში, უფარ-ხმალო მეომარია

---

* ი. ჭავჭავაძე ამ ფრაზაში იყენებს ფ. ვოლტერის ცნობილ შეგონებას: „უფულობა და უქონლობა — კი არა, ნიჭიერ და მხნე კაცთა უყოლობა ჰქმნის ერსა, უძღონოდაო“. (რედ.).

** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“. (რედ.).

და რაც გინდ ვაჟ-კაცი იყოს, დამარცხებულია და ძლეული. („ივერია", № 21, 1897, 1).

666(4912). უცოდინარი, უსწავლელი კაცი სხვის ლუკმაა, თუნდაც სპილოც იყოს, უხორთუმო სპილოა, თუნდ ლომიც იყოს, უბრჭყალო ლომია. („ივერია", № 67, 1897, 2).

667(4913). უცოდინარობა, ანუ მცირედი ცოდნა-ორივე ჩვენს თვალში ერთია — ვერც ვერაფერს დაიცავს, ვერც ვერაფერს დაიფარავს. („ივერია", № 10, 1882, 137).

668(4914). უცოდინარობა, გონების სიბრმავეა თვალის სიბრმავეზედ უარესი და ბრმა სხვას თვალს ვერ აუხელს, წინ ვერ გაუძღვება. („ივერია", № 10, 1882, 139).

669(4915). უწინ კაცი ამშვენებდა ცხენსაც და თოფსაც, ეხლა კი ცხენი და თოფი კაცს ამშვენებს. (II, 129).

670(4916). უწინდელს ჩვენს გაწვრთნას ცოდნა აკლდა და ეხლანდელს ჩვენს ცოდნას ხასიათის და თვისების გაწვრთნა აკლია. (IV, 237).

671(4917). უჭკუო კაცის სიკეთე,
ვაი რა ცარიელია.* (III, 391).

672(4918). უჭკუო უმეცარის კაცისთანა თამამი და კადნიერი ლაპარაკსა და სჯაში ძნელად მოიპოვება ქვეყნიერობაზე, და რამოდენადაც ამისთანა ვაჟბატონი ჭკუაზედ თხლად არის, რამოდენადაც უფრო სქელი ლიბრი აქვს გონების თვალზე გადაკრული, მით უფრო თამამია, მით უფრო კადნიერია. (VI, 242).

673(4919). ფალსტაფს, რომელიც შექსპირს ტყუილებისა და კვეხნა-ბაქიაობის გუდად გამოუხატავს, განა ათასს მსგავსს ვერ მოუპოვებთ ჩვენს საქართველოში?! (III, 168).

674(4920). ფანატიკოსობა, რასაკვირველია, სიბრიყვისა და გონებადახშულობის ავზნეობაა... (VIII, 114).

675(4921). ფერუმარილს ის ხმარობს, ვისაც უნდა თავი იმად მოაჩვენოს, რაც ნამდვილად არ არის. (X, 201).

676(4922). ... ფესვ-გაუდგმელი, გულთ-ჩაურჩენელი... ტყუილი აღტაცება გროშადაც არ ღირს და უფრო მავნებელია, ვიდრე მარგებელი, თუმცა წამცდენია-კი იმისათვის, ვისაც არ ეთაკილება ადვილად მომკოს ის, რაც არ უნახავს და არ უთესნია. (III, 190).

677(4923). (ფრიად სამწუხაროა — რედ.). ... იმისთანა მითქმა-მოთქმა საზოგადო საქმის გამო, საცა არც ბოლო ებმის თავსა და არც თავი ბოლოსა. (VII, 358).

---

* ამ აფორიზმის (უჭკუოდ კაცის სიკეთე, ვაი რა ცარიელია!") ავტორია ვახტანგ VI. (რედ.).

678(4924). ფუ, იმ მწყემსს, თავს უშველოს,
მგელს დაუგდოს თავის ცხვარი... (I, 187).

679(4925). ფულის ბრძანებას და ბატონობას მაინც ვერსად გავექცევით, ვერსად ვერ დავემალებით: საცა იქნება და როცა იქნება, მოგვასწრობს და ქეჩოში წაგვავლებს ხელს, ან მეყმე და ან შიმშილით სული ამოირთვიო, გეეტყვის. (VII, 11).

680(4926). ფულის შოვნის სიხარბე ისეთს ჟანგს მოჰკიდებს ხოლმე სულსაცა და გულსაცა, რომ არავითარი გრძნობა ველარ ისადგურებს ადამიანში. („ივერია", № 241, 1888, 1).

681(4927). ფულის შოვნის სიხარბისაგან გააფთრებულს კაცს განა მოეთხოვება იმისთანა გრძნობა, როგორც მაგალითებრ, კაცთ-მოყვარეობაა, სიბრალულია, გულ-შემატკივარობა და სხვა ამისთანა პატიოსანი სითბო სულისა და გულისა? („ივერია", № 241, 1888, 1).

682(4928). ფუყე, უსახო კაცისა
მოკლედ აღწერა ძნელია.
ვირ-ეშმაკა და ორპირი,
ეგ დიდად მოსარიდია*. (I, 91).

683(4929). ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. (II, 253).

684(4930). ქადილი ოქრო-ვერცხლისა, რომ ყველაფერი ჩემიაო, ყველაფერს ვიყიდიო, გამართლდა ქვეყნის საუბედუროდ. ეხლა რაც არის — ფულია და სხვა არაფერი. (VII, 10).

685(4931). ქარაფშუტობა და ფართიფურთობა ყველა კაცის ჭირია საერთოდ. (II, 460).

686(4932). ქართველები ეამბობთ ხოლმე: ვინც მოკვდა — თავსა მოუკვდაო. მართალია, ბევრი იმისთანა კვდება ჩვენში თუ სხვაგან, რომელიც მართლა მარტო თავის-თავს უკვდება. ნათქვამია, იგი არაფერში ვარგაო, ვინც მარტო თავის-თავისათვის ვარგა, და ამისთანა სხვას ვის და რას მოუკვდება, თუ არა მარტო თავის-თავსა. (IV, 261).

687(4933). ქართველებს ერთი სხვა საძაგელი სენიც გვჭირს — ყიზილბაშობა. გულის შემაზრზენი, კაცის ღირსების დამმდაბლებელი პირფერობა, ურცხვი ტყუილი ქება, საძაგელი კლაკვნა და პირიდამ თაფლის დენა, რომელსაც ქართველი „ზრდილობას" ეძახის, — ესენი ერთად შტოები არიან დამპალ ყიზილბაშობისა. (III, 456).

688(4934). ... ქართველს ოღონდ გაჭირეება უჩვენე და გაქცევას ითონ მოახერხებს, ღვთისა და ქვეყნის წყალობითა**. (V, 338).

---

* ამ სტროფის პირველი ორი ტაეპი იხ. აგრეთვე: VI, 259. (რედ.).

** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო". (რედ.).

689(4935). ქართულ ენას ვიცავთ, მაგრამ მაინც ვერ დაგვიცავს. (V, 274).

690(4936). ქვეყანაზე რომ ბაჟი ედოს თავისის თავის ქებასა და სხვის ძაგებას, რამდენი... მეცნიერი დამუნჯდებოდა... ჩვენდა სამშვიდობოდ. ვაი, რომ ესე არ არის! ვაი, რომ ერთიცა და მეორეც უხარჯოა, მუქთია! (VIII, 158).

691(4937). ქვეყანაზედ არ გაგონილა... ძალმომრეობით პატივისცემის მოპოება! გაგონილა, გინდათ თუ არა ჩემს წინაშე თავი მოიხარეთ, მაქეთ და მადიდეთო! (III, 274).

692(4938). ქვეყანაზედ მრავალგვარი ავკაცობაა, მრავალგვარი სულმდაბლობა და სალახანობა. ხოლო ყველაზედ უარესი, ყველაზედ საზიზღარი, ყველაზედ ჩირქიანი, — ურცხვობაა. (VIII, 21).

693(4939). ქვეყანაში უმადურობა ხშირია. (X, 313).

694(4940). (ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის სასარგებლო საქმეზედ — რედ.) ... ყოველი წინასწარი მითქმა-მოთქმა... მოგება-წაგების შესახებ სიზმარია უსაქმო კაცისა, ისე, ენის მოსაფხანად გამოსაყენებელი. (VII, 252).

695(4941). ქვეყნის წარმატებისათვის მარტო ცარიელი სურეილი უქმი თამასუქია. (IV, 349).

696(4942). ქურდბაცაცაზედ უარესნი არიან ისინი, ვინც იმოდენად ხელს იღებენ თავზედ, რომ ცილისწამებით, ხმების დაყრით ჩუმად და იდუმალად უბღალავენ თვის მოპირისპირეს პატიოსნებას და ნამუსსა. (VIII, 251).

697(4943). ქურდი უფრო მაშინ ჰკადნიერობს და ჰთამამობს, როცა იცის, რომ იმ არე-მარეს მოხელეობა (მართლმსაჯულება — რედ.) ხელს არ გასძრავს მის დასაჭერად და ნაქურდალის პატრონს-კი, როგორც ცალკე ულონო კაცს, მალე დაემალება და გზა და კვალს აურევს. აი სწორედ ეს უქმობა მოხელეობისა და ამაზედ დამყარებული იმედი დაუსჯელობისა ფრთას ასხამს ქურდობასა და აქეზებს. („ივერია", № 40, 1889, 1).

698(4944). ... ქურდობის გაძლიერების ერთი უპირველეს მიზეზი მოხელეების (მართლმსაჯულების მსახურთა — რედ.) უქმობაა. („ივერია", № 40, 1889, 1).

699(4945). (ქურდობისა და ავაზაკობის — რედ.) ძირეულს მიზეზებს ფესვი მაგრა და ღრმად გადგმული აქვს, როგორც ჩვენში, ისე სხვაგან, იმ ავკარგიანობაში, რომელსაც წარმოადგენს მეტნაკლებობა საეკონომიო და საზნეო ვითარებისა. ამაშია მისი სათავე და ამ გზით აშოწერა საქმისა საჭირო საშუალებითა ბევრს ძიებას, ცოდნას და შეგჩახედულობას თხოულობს. გარდა ამისა, საეკონომიო და საზნეო ვი-

თარეგის განკარგვა, ვასწორეგა იმოდენად, რომ ამ მსრით საზრდოება მოაკლდეს ქურდობასა და ავაზაკობას, ბევრს დროსა, ბევრს რთულს გარჯას და მეცადინეობას ნდომულობს. (VI, 236).

700(4946). „ღვარძლის მთესველი ვერ მომკის იფქლსა ბასრისა ცელითა“*. (VIII, 111).

701(4947). ღმერთმა ნუ ჰქნას ბებრის ბუქნა („ივერია“, № 178, 1890, 1)

702(4948). ღმერთმა სიცრუეც შეარცხვინოს და მისი მადლიც. (III, 409).

703(4949). ღმერთს რომ თავისი არ უღირსებია, მაშ რა ჰქმნან საცოდავებმა, რომ სხვისის ნაბღერტი მაინც არა ჰკენკონ. (III, 385)

704(4950). ღობე-ყორეს მოდება ღალატია საქმისა. (VII, 353).

705(4951). ღონე უღონოსი ცილის-წამებაა. („ივერია“, № 48, 1898, 2).

706(4952). ყალბად და, მაშასადამე, უქმად აპრიალებულ გრძნობაზე უსაძაგლესი არა არის-რა ქვეყანაზე და მით უფრო მოსარიდებელია, რომ წამტყუებელია, მაცდურია ყოველ გაუწურთნავ და გონება-გაუხსნელ კაცისათვის. (III, 189).

707(4953). (ყალბი — რედ.). აღტაცება ისე ჰგავს ჭეშმარიტს აღტაცებას, როგორც მართალი სიცილი იმ სიცილს, რომელსაც კაცი კაცს ღიტინით განგებ მოჰგვრის ხოლმე მაშინაც, როცა კაცს სულაც არ ეცინება, როცა სასაცილო არა არის-რა (III, 190).

708(4954). (ყაჩაღობა — რედ.) ... ასეთი გული უნდა, რომ დედას კალთაში შვილი მოუკლა და ხელი არ აგიკანკალდეს. (II, 39).

709(4955). ყვავი რა ვარდსა იშოვის,
თავი ბულბული ჰგონია**. (I, 127; VI, 257).

710(4956). ყველა ანგელოზი არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ: ტყუილი და ერთმანეთის ბეზღობა არ დაეფიცება თითო-ოროლა უნამუსო კაცს. (IX, 275).

711(4957). ყველა ბრალი შეიძლება კაცმა დიდფულიანს შესწამოს და ამისთანა ცილი-კი, რომ სხვის გამდიდრებისათვის გულმტკივნეულობდეს, მეტისმეტი უამართლობა იქნება. (VII, 289).

712(4958). ყველა გონიერი და პატიოსანი კაცი დამეთანხმება, რომ ვარაუდობით განკითხვა ადამიანის სინიდისისა და ჩირქის მოცხობა დიდი უკადრისობაა და, კიდევ ვიტყვით, ადამიანის პიროვნე-

---

* ი. ჭავჭავაძეს ეს შეგონება აღებული აქვს „ქილილა და. დამანა“-დან. (რედ).

** შდრ.: „თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“.
შ. რუსთაველი. (რედ.).

ბის უფლების სრული უარყოფაა. ეს არ უნდა ეპატიოს არავის, ვინც კი ამაში დამნაშავედ აღმოჩნდება, (V, 169).

713(4959). (ყველა უმეცარი და ქარაფშუტა პოლიტიკანი, მართალია — რედ.)... წყალწაღებულსავით ყოველს ხავსს ეჭიდება, მაგრამ ვაი შენს მტერს, ხავსმა ვერა უშელოს-რა*. (VI, 276).

714(4960). ყველაზედ საშიშარი და საზიზღარი ბეზღობა ის ბეზღობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი, რომელიც „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ყოველ ღონეს მიკლებულია, რომ თავი იმართლოს, თავის გულისნადები, სულისწყურვილი საქვეყნოდ გამოჰფინოს. ამისთანა ერის წინაშე ერთი ეაცეეთილი მაბეზღარი უფრო შემძლებელია და ღონიერი, ვიდრე მთელი ერი. იმიტომ რომ მაბეზღარს ყოველივე იარაღი ხელში აქვს და დაბეზღებული-კი იარაღ-აყრილია. დაბეზღებულს აღარა დარჩება-რა ხოლმე იმის მეტი, რომ გულში უნდა ჩაიხვიოს უსამართლოდ ეაუპატიურებული, მაგრამ სამართლიანად გაბოროტებული გრძნობა. ეგრეთ ჩასვეული გრძნობა სალესავია იმისი, რის დაჩლუნგებაც სასურველია ხოლმე. (VIII, 8).

715(4961). ყველასაგან გათელილი, გაბრიყვებული, ყველაფერში ჩამორჩენილი, ყველასაგან ყბადაღებული ისაა, ვისაც თავის მარჯვენის იმედი არა აქვს, ვინც თავის ძალ-ღონით არ ჰლამის ლელოს გატანას ცხოვრების მოედანზე... („ილიას სამრეკლო“, თბ., 1987, გვ. 151).

716(4962). ყველაფერი ახია ჩვენზე (ქართველებზე — რედ.). რაც მოგვდის ჩვენივე ბრალია, სხვას ნურავის ეუსაყვედურებთ. (VIII, 343).

717(4963). ყველაფერი საოცარია ამ უცნაურს დროში, თითქო ყოველისფერი აირივ-დაირიაო და ლოღიკა სამარცხვინო დანაშაულობად გადაიქცაო. აქეთ მიიხედავ თუ იქით, შეჰნიშნავთ, რომ ზოგი კაცი კაცსა ჰკიცხავს, ზოგი საზოგადო საქმეს სახელს უტეხავს, სძრახავს, და ყოველივე ეს მარტო ლიტონის სიტყვით, იმისთანა ფრაზებით, რომელთაც განსაკუთრებული, განსაზღვრული აზრი არა აქვს რა. არ ვიცით, ღმერთმან იცის, რას მივაწეროთ ამისთანა სამწუხარო და სავალალო ამბავი? (V, 259).

718(4964). ყველაფერი შესაძლებელია იქ, საცა დავთრები დაკარგულია, საცა თავი და ბოლო ვეღარავის მიუგნია. (VIII, 10).

719(4965). ყივილით და ყეფით სოფლები რომ შენდებოდეს, მაშინ ტყეილ-უბრალო ლაქლაქსაც ფასი დაედებოდა და არა გვგონი, მაშინ

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“. (რედ.).

(წარამარად მოლაქლაქეთ — რედ.) ეგ ეხლა უფასური ლაქლაქი ვისმე სულელებისათვის და ჭკვაპარიებისათვის დაეთმო*. (VIII, 276).

720(4966). ყინულზე თამასუქის წერა ვერაფერი გამოსაყენია... (IV, 385).

721(4967). ყოველი კაცი ბედნიერებისათვის ილვწის, მაგრამ ყოველს კაცს მიჩნეული არა აქვს თავის საკუთარ ბედნიერებად სხვისი ბედნიერება, ანუ უკეთ ვსთქვათ, თავისი საკუთარი ბედნიერება სხვის ბედნიერებასთან განუყოფელად ყოველს კაცს ვერ გაუერთებია. (IV, 226).

722(4968). ყოველი ჩვენი, ეგრეთ-წოდებული „საზოგადოება" მარტო ყავარია, რომელსაც ბოძები თითონ ერში არა აქვს, ხეა, რომელსაც ფესვი თითონ ერში არ გაუმაგრებია, და თუ ფეხზედ დგას, იმიტომ კი არა, რომ ძირი ღრმად აქვს წასული, არამედ იმიტომ-რომ გარედამ აქეთ-იქით ბოძები აქვს მიცემული. აი, ნამდვილი მიზეზი სისუსტისა საერთოდ... (V, 324).

723(4969). ყოველი წესი, რიგი, დაწყობილობა, სიკეთე მარტო წინღახედულის, ფრთხილის, გონიერის კაცისათვის არის ქვეყნიერებაზედ და არა გიჟისა და დამთხვეულისათვის. გიჟი, დამთხვეული, ღღეს იქნება თუ ხვალე, კლდეზედ უნდა გადავარდეს, ამ ბედს იგი არსად არ წაუვა. აქაო და ქვეყანაზედ გიჟები არიანო, ჭკუიანებისათვისაც ხელმოსაცველელს და ხელთშესაწყობსაც ნურას იზამთო, — ეგ მეტისმეტი თავდაუჭერელი, შეუწყნარებელი და საუბედურო სურვილია. (VII, 381).

724(4970). ყოველს გარეგან მილესვ-მოლესვას, მარტო ერთი ღირსება აქვს, მარტო ერთი უნარი: ცდუნება ბეცის თვალისა. (VII, 363).

725(4971). ყოველს ჩვენგანს სხვისი გული, სხვისი სინიდისი დაუწერელ ქაღალდად მიაჩნია და რაც ქეიფში მოუვა, ზედ იმასა სწერს. (V, 167).

726(4972). (ყოვლად უჯიათობაა, კაცმა — რედ.) რომ იქ „არა" სთქვას უათუოდ, საცა „ჰო" არის საოქმელი უტყუარის საბუთითა. (IV, 65).

727(4973). შეიძლება თურმე დიდმა უთხრას პატარას: „მე შენ გიბრძანებ, მუხას ვაშლი ასხიამეთქი" და პატარას ნება აქვს მიუგოს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ. რომ ღღეს ჩვენმა მუხამ ვაშლი დაისხა, ბრძანებისამებრ თქვენისა". (V, 77).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ყეფითა და ყივილითა სოფელი არ აშენდებაო". (რედ.).

728(4974). (შენ ნუ დასძრახავ) ბრიყვსა ძრახვაზედ,
ნურც დაუშლი ბრიყვს ბრიყვულ როტვასა,
ის ვერ წამოვა ჩვენთან ერთ გზაზედ,
ის ვერ ილოცავს ჩვენ სალოცავსა. (I, 298).

729(4975). შენ რომ ცუდკაცობდე, კაი-კაცობაზედ სხვას მაინც ნუ გალანძღავ. (II, 293).

730(4976). შენ უღონო ხარ... და უღონოს კაცი იბრიყვებს,
მდიდარს მეტს მისცემს, შენ კი გროშზედ შეგვევაჭრება,
ვისაც არ უჭირს, მას გააძღობს, — და შენ კი გიკლებს,
შენ, რომელსაცა ერთის გროშით დღე გემატება. (I, 55).

731(4977). შენთან (უქნარჟსთან — რედ.) არავინ ჰკადრულობს
არცა ზავს, არცა ბრძოლასა, —
სჯობს უყოლობა კაცისა
შენისთანისა ყოლასა*. (I, 126).

732(4978). შესაძლოა კაცს მრავალი ცოდნა ჰქონდეს, და ის უნარი-კი, რომელიც თავისით ჭრასა და კერვას მოასწავებს გონების საქმეში, არ გახსნოდეს, არ გაშლოდეს სამოქმედოდ. (III, 156).

733(4979). შესაძლოა კაცს სიმდიდრე თვალ წინ ედოს და ვერა ჰხედავდეს უცოდინარობით და ან ჰხედავდეს და არ იცოდეს, როგორ და რა გზით აიღოს და შინ შეიტანოს. (IV, 359).

734(4980). შეჩვეული ჭირი ხომ ზოგჯერ ... შეუჩვეველ ლხინსა სჯობია.** (III, 377)

735(4981). შორიდამ ტყუილი და მართალი კარგად ვერ გაირჩევა და თვალი ადვილად მოტყუვდება თვალთმაქცის მაბეზღარისაგან. (VIII, 8).

736(4982). (შორს წავა ხოლმე — რედ.) გონიერობა, თუ სადავე მიეუშვით. (VI, 105).

737(4983). შური ბრმა არი, იქ აჩვენებს იგი მტერსა, სადაც მოყვარეა, და იქ აჩვენებს მოყვარესა, სადაც მართალი მტერია. (II, 538).

738(4984). შური, ერთმანეთის მტრობა, გაუტანლობა, ბეზღობა, ენამტანიობა, ერთმანეთის ლანძღვა და თრევა, ადამიანის ღირსების უარყოფა, — ამისთანა თვისების პატრონებს რა საქმეები უნდა მოეკითხოს? რა საქმეები უნდა გამოუვიდეს ხელიდამ? ცხოვრება, რომელსაც ამისთანა ჭირი ჰღრღნის, ამისთანა ჭია შესჯდომია და ძირს უთხრის რის მომავლინებელი უნდა იყოს, თუ არ იმისა, რომლის არამცთუ დანახვა, წარმოდგენაც კი საზიზღარია და შესაჩვენებელი. (VIII, 242).

---

* შდრ.: „სჯობს უყოლობა კაცისა მომდურავისა ყოლასა".
შ. რუსთაველი. (რედ.).

** შდრ.: „შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველსა ლხინსაო".
ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

739(4985). შური, მტრობა, ცრუ თავმოყვარეობა, წვრილმანობა... აი რა მიუძღვის წინ ყოველ ჩვენ საზოგადო საქმეს, აი რა გვიშლის ხელს ყველგან და ყოველისფრის საქმეში. ყველგან, საზოგადო საქმეში თუ ცხოვრებაში, კაცის ღირსებას ფასს არა ვდებთ, კაცის ღვაწლს პატივს არა ვსცემთ, არავის ეენდობით, გულწრფელობას არაფერში ვიჩენთ. (VII, 270-271).

740(4986). შური, ჩემო კარგო, სულ შური. მაგითი არა ვართ დაღუპული ჩვენ, ქართველები! (II, 366).

741(4987). (შურია-რედ.) ... ნაძირალი გრძნობა ადამიანის ავზნეობისა.. (IV, 185).

742(4988). (ჩარჩობა — რედ.) ... იმითი არის ძლიერი, რომ მეტის-მეტი ოსტატია, მეტისმეტი ეშმაკი და ამასთან მეტის-მეტი ხარბი და შეუბრალებელი. („ივერია", № 275, 1891, 1).

743(4989). (ჩარჩობას — რედ.) ... სხვა ტიბიკონი არა აქვს, თუ არ ისა, რომ გამრჯელს რაც შეიძლება იეფად დასტყუოს საქონელი და რაც შეიძლება ძვირად მიჰყიდოს მხმარებელსა („ივერია", № 275, 1891, 1).

744(4990). ჩვენ არ ვარგივართ, ჩვენ, განათლებულები. (II, 455).

745(4991). ჩვენ ბევრში უთაებოლობა გვეტყობა, არაფერი საქმე არ გვიხერხდება, აქეთ და იქით ვასკდებით თავს — ბრუ-დახვეული კაცივით და ვერა გამოგვიტანია რა ეს უქმად წარმავალი გარჯა ჩვენი, უქმად წარხდომილი მსნეობა და ცდა, ქანც უწყვეტს გამრჯელს და მის მაყურებელს ერს ხომ გული უტყდება, თავის-თავზე სასოება და იმედი ეკარგება, და აქედამ განა დიდი მანძილიღაა სრულად განადგურებამდე! (IV, 202-203).

746(4992). „ჩვენ და არავინ სხვა" მოქმედების საფუძვლად დასადები არ არის და ამისთანა ციხე-სიმაგრეზე დამყარებული უმრავლესობა არ არის იგი უმრავლესობა, რომელსაც ადამიანი პატივსა სცემს და რომელსაც, უნდა თუ არა, ემორჩილება, ვითარცა განაჩენს ერისასა. („ივერია", № 110, 1893, 1).

747(4993). ჩვენ ვართ კაცები რაცა ვართ, ტ(ომ)რები ტყუილებისა. (X, 14).

748(4994). ჩვენ ვჯობივართ ჩვენზედ ცუდებს, ეს არის ჩვენი სახელი. (II, 464).

749(4995). ჩვენ კარგნი ვართ, ისინი-კი მხეცები და აფთრები არიანო. ეს გრძნობის ჭეშმარიტს გზაზე დაყენება-კი არ არის, გრძნობის წაწყმედაა, გაყალბებაა, დაბრმავებაა, ეგ ცეცხლია, ჩალაში გაჩენილი, რომელიც აპრიალების უმალვე ჩაქრება და ხელში მარტო ფერფლი გვრჩება და ჰაერში — ნატისუსალი. (III, 189).

750(4996). (ჩვენ, რომ — რად ... ვითხოვოთ, აცა იქნება სხვამ რამ მოგვაწოდოსო, ვერაფერი თამასუქია. ეს არის მიზეზი, რომ ხშირად ფრიად სანატრელი სურვილიც მკვდრად დაბადებულია ხოლმე, ჩალასავით აპრიალდება და ჩალასავით ჰქრება. („ივერია", № 282, 1895, 1).

751(4997). ჩვენ რომ მართლა საქმის სიყვარული გვქონდეს, თვით საქმის ვითარებას დავაკვირდებოდით და აბდა-უბდა ლაპარაკს არ გამოვუდგებოდით. („ივერია", №№ 40, 41, 1893, 3, 4).

752(4998). ჩვენ სიკეთე აღარა გვწამს, იმიტომ რომ გადაჯერებულნი ვართ, რომ კაცმა კაცს სიკეთე უყოს; იმიტომ გადავჯერდით, რომ ჩვენს გარშემო სულ ერთი-ერთმანეთის მტრობასა ვხედავთ. (IIT, (III, 361-362).

753(4999). ჩვენ, ქართველებს ერთი საკვირველი ხასიათი გვჭირს. რაც უნდა მძიმე და რთული საგანი იყოს, რაკი კბილზედ მოვიგდეთ, რაკი დრომ, თუ სურვილმა, ხელი ჩაგვაკიდებინა, ვალად იმას კი არა ვრაცხთ —საქმეს თირკმელები მოვუჩხრიკოთ, შიგნეულობა გამოვუწლათ, ცუდისა და კარგის მიზეზი ზედმიწევნით შევუტყოთ და შესაფერი წამალი მოვუნახოთ, არამედ იმასა ვცდილობთ, რომ საქმეს ზედაპირზედ ავუცურდეთ, ავუსხლტეთ, და იმისთანა წამალზედ მივუშვიროთ ხელი, რომელიც ყველას ყოველთვის თვალ-წინა აქვს, ფეხქვეშ უგორავს, და რომელსაც თუ არა ხმარობენ, მარტო იმ მიზეზით, რომ ეს წამალი წამლად გამოსადეგი არ არის. (V, 310-311).

754(5000). ჩვენ ქართველობაში ძმა უფრო ეაიმეტებს ძმას, ვიდრე უცსო ვინმე. (II, 381).

755(5001). ჩვენ ყველაფერზედ მალე აპრიალება ვიცით ცეცხლმოკიდებულ ჩალასავით და ისევ მალე ჩაქრობა ჩალასავითვე! (VII, 434).

756(5002). ჩვენდა საუბედუროდ, თქვენში, მკითხველო, ძნელად იპოვნება იმისთანა კაცი, რომ მართალს სიტყვას გონება გაუსწოროს. (II, 222).

757(5003). ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთი ერი შორს არის... ზნე ჩვეულების განწმენდასა და განათლებაზედ... (VIII, 259).

758(5004). ჩვენდა სამწუხაროდ, მეტად ფესმოკლედ გვესმის... ჩიკარგე ცოდნისა და სწავლა-განათლებისა. ჩვენ იგი მოგვწონს, როგორც იმისთანა მორთულობა, იმისთანა სამკაული, ურომლისოდაც ადამიანს შეუძლიან ასე თუ ისე ცხოვრების გზა დაპლიოს, იოლად გაშოვიდეს ხალხსა და ქვეყანაში, ერთის სიტყვით, ურომლისოდაც არც ჰშივა კაცს და არცა სცივა. ამის გამო ცოდნის არ-ქონას ისე ვუყურებთ, როგორც არ-ქონას მორთულობისას, სამკაულისას, რომელიც,

თუ არის, ხომ რა კარგი, თუ არადა, არა ჰღირს იმისთვის კაცმა თავი შეიწუხოს, თავი იტკინოს. (IV, 358).

759(5005). ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში... არაფრად მიაჩნიათ ჩირქის მოცხება და წაწყმედა სხვისის პატიოსნებისა და ნამუსისა. ამისთანა უკადრისს საქციელს არსად არ ვერიდებით, და საცა ამას ვხედავთ, არამც თუ შესაფერის გულისწყრომით აღვიჭურვებით ხოლმე, არამედ მცირეოდენადაც არ შევიხრით წარბსა. (VIII, 250)

760(5006). ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში მართებულ, ზრდილობიან განკითხვისათვის ბევრს აკლია საფანელი, ბევრს გული და გონება ამისათვის საკმაოდ განწმენდილი, გაწურთვნილი არა აქვს. ამიტომაც ისეთს თავზედ ხელაღებულს ლანძღვა-თრევას, ისეთის სიხარულით კაცის ავად ხსენებას არსად ჰნახავთ, როგორც ჩვენში. (VIII, 254).

761(5007). ჩვენებური ბურჟუაზია ყველა სხვა სახის ბურჟუაზიაზე უხამსი, უარესი და შეუწყნარებელია. ჩვენებური ბურჟუაზია რაღაც წვრილ-ფეხა დუქნური, მიკიტნური, ჩარჩული ბურჟუაზიაა. ქმნა და შემოქმედობა მას ბედის დავთარში არ უწერია. ღმერთმა აქაურს ბურჟუაზიას ამისი შნო და უნარი, როგორც ეტყობა, არ აღირსა. („ივერია", № 259, 1897, 2).

762(5008). ჩვენი განუყრელი უბედურება ის არის, რომ სულ სხვის იმედითა ვცხოვრობთ, სულ სხვისგან მოველით შველას და ჩვენ თითონ-კი ხელს არა ვძრავთ, რომ თავს ვუშველოთ. (VII, 177).

763(5009). (ჩვენი ერთ-ერთი დიდი ნაკლი — რედ.) ... გულგრილობაა ყოველს მასზედ, რაც პირდაპირ ჩვენ არ შეგვეხება, რასაც კი საერთო, საყოველთაო ფერი ადევს. (V, 243).

764(5010). ჩვენ ვითომ და „ინტელიგენცია"... ჩვენდა საუბედუროდ... უქმია საქმისათვის და უხვი ყვირილისა და ძახილისათვის. („ივერია", № 163, 1887, 1).

765(5011). ჩვენი მტერი — სიბრმავეა,
უკრგ კაცზედ დანდობა,
ჩვენი მტერია ზოგ-ზოგის
ფლიდობა და თვალთმაქცობა. (I, 93).

766(5012). ჩვენი სისუსტე თვითმსჯელობის, თვითმოქმედების უქონლობაშია. (III, 156).

767(5013). ჩვენი სიღარიბე და უქონლობა, ჩვენი გონებითი დაუძლურება, გულით დამდაბლება მარტო იმას უნდა მიეწეროს, რომ ყველანი ცალ-ცალკე გავედით, ერთმანეთს დავშორდით, ცალკე ღობეები შემოვიკალეთ და ცალკე შევიკეტენით. („ივერია", № 21, 1892, 2).

768(5014). ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ. (ქუთაისის ალ. წულუკიძის სახ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. 24, 1962, გვ. 97).

769(5015). ჩვენი უბედურება ის ყოფილა, არის და ღმერთმა ნუ ქნას, კიდევ იყოს, რომ ყველა ქართველი, გლეხია თუ თავადი, ძმად და შვილად არ მიგვაჩნია. (V, 353).

770(5016). ჩვენი უმთავრესი უბედურება საზოგადოდ ის არის, რომ ნაძდვილის საქმიანობის უნარი არა გვაქვს. ვერც ერთს საქმეს ბოლოს ვერ გაეატანთ ხოლმე. ჩვენ მხოლოდ ლაპარაკი გვიყვარს. სიტყვით ოქროს კოშკებს დავსდგამთ, მთებს შევსძრავთ, და თუკი საქმე საქმეზედ მიდგა, მაშინვე ყველა უკან ვსდგებით, ცალ-ცალკე ეიფანტებით, შორიდამ გულგრილად ვუცქერით საქმესა და თან კიდეც ვკვირვობთ, რატომ ჩვენში არაფერი საქმე არა ხერხდებაო. ვიმეორებთ, ყვირილით კი ბევრსა ვყვირით და ძალიან ხმამაღლაცა. ყველას ვარწმუნებთ, რომ გულწრფელად გვსურს რაიმე საქმის გაკეთება და საქმით კი ხელსაც არა ვძრავთ. (VII, 270).

771(5017). ჩვენი, ქართველების, ხასიათი, მართლა რომ ახირებული და მიუწვდომელი რამ არის. კარგი, მეტად ნიჭიერი, მეტად შორს გამჭვრეტი და გამოცდილებით. სახელგანთქმული კალამია საჭირო, რომ გაიკვლიოს გზა ამ ხასიათის საცნობად და გამოსახატავად და ერთი რამ დასკვნა გამოიყვანოს იმ ერთი მეორის საწინააღმდეგო თვისებათაგან, რომელთაგანაც შემდგარია ეს ხასიათი, თითქო ათას-ფეროვანი ჩუქურთმა არისო. ერთის ბხრით, ჩვენ მართლა, ხელგაშლილი, გულახდილი, გულწრფელი და სულმაღალი რაინდები ვართ. თუ კი რაიმე გრძნობამ გვძლია და გაგვიტაცა, ჩვენ თავშოტაცებულ ცხენსავით შეჩერება არ ვიცით. (IV, 351).

772(5018). ... ჩვენი ქვეყანა სათრეველაა ერთს დიდს ურემზედ გამობმული. საიდაც გაიწევს ურემი, იქით მიდის სათრეველაც. (III, 268).

773(5019). ჩვენი ცხოვრება ზურგ-გადაღლეტილ და დავარდნილ სასედარსავით ვდია უძრავად სადღაც კუთხეში და სიცოცხლეს მარტო იმით იჩენს, რომ იცოხნება, როგორც პირუტყვი. თუ დროთა ბრუნვა წიხლს დააზელს ხოლმე, მაშინ მოძრაობასაც იჩენს, მაგრამ მხოლოდ იმით, რომ ერთი ყრუდ დაიბღავლებს, ერთის ბევრდიდამ მეორეზედ ფხანვით გადაბრუნდება და ისევ უწინდებულად თელემით და არხეინად ცოხნას მოჰყვება, მითამ-და არაფერი არც ეტკინაო, არც ეზიანაო. (V, 58-59).

774(5020). ჩვენივე რომ ჩვენვე გვცემდეს, სხვებს რა უთხრათ, რას ვემდუროთ! („ივერია", № 38, 1897, 3).

775(5021). ჩვენის ფიქრით გაჭირვების თორნე... აცხობს ჩვენში ქურდობას და აავზაკობას, სხვის საკუთრებაზე მიმართულს. (VI, 209).

776(5022). ჩვენის ფიქრით, ვისაც ერის მოკვლა უნდა... ეს უნდა ჩააწვეთოს და დაიჯეროს: „ხელი აიღეთ თქვენს საკუთარს საერთო საქმეზე, უკეთუ სულ თქვენს ანაბარად დარჩა საქმე, ბევრს არ იპოვინებს, ბინას არ დაიჯერს, ვერ მოუვლითო". („ივერია", № 25, 1892, 1).

777(5023). ჩვენის ფიქრით, უფულობა შედეგია და არა მიზეზი უბლურებისა და უღონობისა და ამიტომაც ტყუილი ნუგეშია, ვინც თავის უღონობასა და უბლურებას ფულის უქონლობას აბრალებს. (VIII, 319).

778(5024). ჩვენმა ცხოვრებამ დააჩვია ქართველი კაცი შურსა და მტრობასა. (III, 454).

779(5025). ჩვენო კეთილნო ლეღებო ოს! რა ოსტატები ხართ ჭორებში; არც კი ჩვენ ვაკლებთ კაცები, სწორეთ უნდა ვსთქვათ!.. (II,512).

780(5026). ჩვენს საკუთარს სუფრაზედ სხვანი ძღებიან, ჩვენის საკუთარის ჯამიდან სველ ლუკმას სხვა იღებს, ჩვენის ქვეყნის რძე-ნაღები სხვას მიაქვს და ჩვენ-კი ცარიელზედ გასულნი, მარტო ვჩივით და ეტირით, გვშიან და ვეწყურიანო. ის კი ვიცით, რომ „ტირილითა და ვიშითა"* სოფელი არ აშენდება. (IV,360).

781(5027). ჩვენს ცხოვრებაში ისე ფენს ვერ ვადასდგამთ, რომ უმეცრების კვალს ზედ არ წააწყდეთ, რომ ბწარე ნაყოფმა თავისი გემო არ გაგაღებინოთ... (IV,338).

782(5028). ჩვენში თუ წუნი რამე დასდე, ვისსამე ნაწერს, რაც გინდ საბუთიანი და ცხადი წუნი იყოს, არიან იმისთანანი, რომ მტრობაში ჩამოვართმევენ ესე ურჩარაოდ, უმიზეზოდ, საბუთების უჩხრეკელად. არიან იმისთანებიც, რომ თუ აქებ ვისმე, მოუწონებ ნაწერს, რაც გინდ საბუთიანი ქება და მოწონება იყოს, მაინც ნათელ-მირონობას, ფარისევლობას დაგწამებენ და ქებას თუ მოწონებას ახსნიან მით, რომ სადილ-ვახშმებით მისყიდული ხარ. („ივერია", № 29, 1898, 2).

783 (5029) (ჩვენში, სამწუხაროდ—რედ.) ... ზოგს წინადვე დაკვებებულნი მაქებარნი ჰყავს, ზოგს — მოწუნარნი, ზოგსა სწყინს, ჩემს საყვარელს კაცს რად რასმე უწუნებენო, ზოგი ჰჯავრობს, ჩემს უსიამოვნო კაცს რად აქებენო, თუნდ ძაგება, თუ ქება ისე ცხადი იყოს, როგორც ორჯელ ორი ოთხია. („ივერია", № 29, 1898, 2).

784(5030). ჩვენში ტყუილებისა და კვეხნა-ბაქიაობისა ასეთი ფალავნები არიან, რომ თითონ ფალსტაფი, — ეგ ზოგადი ტიპი ცრუ და მკვეხარა კაცისა,—ტაშს დაუკრავს მოწონებისას და შაგირდად მიებარება. (III, 168).

---

* ი. ჭავჭავაძეს ეს გამოთქმა აღებული აქვს ქართული ხალხური ლექსის ტაპიდან: „მტერნი არ შეგვიბრალებენ ტირილითა და ვიშითა". (რედ.).

785(5031). ჩვენში შესაძლოა ხორცის თვალით წარმოდგენილი საგანი ნატერისა გაჩტყუნდეს და ამან აშალოს მშვიდობიანი მდინარეობა ცოლ-ქმრობისა. (III, 132).

786(5032). ჩვენში წუნი უფრო ხშირია, ვიდრე ქება და დიდება ერთმანეთისა. (VIII, 237).

787 (5033). ჩვენში ხორციელი თვალი უფრო მოქმედებს, ვიდრე თვალი სულისა. (III, 132).

788(5034). ჩვენში ხშირად ერთისა და იმავე საგნის შესახებ იმდენად შეუთანხმებელს და წინააღმდეგს აზრს გაიგონებთ, მერე ისეთ საგნებზე, რომელთა შესახებ მორიგებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ სწორედ გასაოცარია. VIII, 257).

789(5035). ჩვენც თითონ არ ვიცით, ვისთვის და რისთვის ველაპარაკობთ, როდესაც ყველაფერი ოთხ კედელ შუა თავდება ჩვენში. (V, 84).

790(5036). ... ცალიერი სიტყვა და მითქმა-მოთქმა ვერაფერი თამასუქია... (VII, 441).

791(5037). ცალკე მეცადინეობით, თვითოეულად, ცალკე ულლის წევით კაცი ვერაფერს გახდება. საქმე თავს ვერ მოდის და დაწყებისაკენ უმალ ულონობა მარტოობისა, ცალკე გამრჯელობისა, პირველ შემთხვევაშივე აუწყებს ხოლმე საქმის დამწყებსა, რომ მის განზრახულს საგანს დიდი მანძილი ცხოვრებისა არა აქვს. (VII, 186).

792(5038). ცალ-ცალკე წევა ცხოვრების ულელისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავის-თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან. (VIII, 312).

793(5039). ცარიელ ვექსილს შუა და მის აღსრულების შუა დიდი სივრცეა. (X,76).

794(5040). (ცარიელი დაპირებები და უსაბუთო მტკიცებანი — რედ.) უქმი სიტყვაა უქმის კაცისა. (VI, 83).

795 (5041). ... ცარიელი მჭერმეტყველება, თუნდ საქმის სიყვარულითაც ფრთაასხმული, არაფერში გამოსადეგია. (V, 252).

796(5042). ... ცარიელი სიტყვა რა თამასუქია, ნამეტნავად ამისთანა ეჭვით სავსე დროში. (III, 255-256).

797(5043). ცდომა მგმობელი და მოღალატე რამ არის ადამიანისა, იმისი შინაური მტერია და ხომ მოგეხსენებათ შინაური მტერი რა ადვილადა სტეხავს შიგნიდამ ციხესა.* („ივერია", № 191, 1888, 1).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ციხე შიგნიდან გატყდებაო". (რედ.).

798(5044) .... ცეცხლით და ზარბაზნით ვის გაუგონია ცივილიზაციის შეტანა რომელსამე ქვეყანაში. („ივერია", № 7-8, 1882, 219).

799(5045). ... ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა. (I,207).

800(5046). ცოდვაა, სასიკვდილო ცოდვაა... წინდაუხედავი მასხარაობა ლიტერატურაში ენაზედა და ენის უკეთეს თვისებაზედ! (III,43).

801(5047). ცოდვაა, ცოდვა ძმა ძმას ეჩხუბებოდეს. (II,548).

802(5048). ცოდნა, სწავლა-განათლება, ასე ახსნილი და გაგებული (რომ იგი, ვითომდა, მარტო მორთულობა და სამკაულია—რედ.), სწორედ ცოდნისა და სწავლა-განათლების შევინება, გაუპატიურებაა. (IV,358).

803(5049). ცოდნას რომ ცნობის-მოყვარეობაც არ აღეძრას კაცში, — გინდ მაღალ-სასწავლებლის დიპლომი ჰქონდეს, გინდ დაბალისა, — ის ცოდნა განა ცოდნაა? („ივერია", № 80, 1897, 1).

804(5050). ცრუპენტელა კაცი ყველგან ასეთია: რაკი სიფანელი შემოაკლდება, საგზალი ჭკვადამჯდარის საუბრისა გაუწყდება, მაშინ აქაო და მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო*, ყალხზედ შედგება, აბელას ფეხებს გაიკეთებს, გაჰბრუვდება, გადიდგულდება და უკეირს — რატომ ვერა მხედვენ, რა სიმაღლეზე ვდგევარო. (VIII, 274).

805(5051. ცუდათა ვართ გაზრდილნი და გაგეშილნი. (X, 272).

806(5052). (ცუდი ზნე სჭირს — რედ.) ... ვისაც ენა წინ უსწრობს ცოდნასა. (V, 252).

807(5053). (ცუდი—რედ.) ... მაგალითი... მოარულ ჭირზე უფრო ადვილად გადამდებია. (IX, 284).

808(5054). ცუდი ქართველსაც გამოუვა ხელიდამ და სომეხსაც, თუკი თავზედ კაცი ხელს აიღებს. (II, 422).

809(5055). (ცუდია და შეუფერებელი—რედ.)... როცა ყური ერთს გვეუბნება და თვალი სხვასა ჰხედავს. („ივერია", № 228, 1886, 3).

810(5056). ცუდია, თუ მწერლის-რედ.) ნაწერში ყველა არის ჭკუისა, ცოდნისა და ნამუსის მეტი („ივერია", № 193, 1888, 3).

811(5057). (ცუდია, როდესაც — რედ.) ... ისარი ნასროლია, მშვილდი-კი დამალულია და ჯერ არ სჩანს. („ივერია", № 110, 1892, 2).

812(5058). (ცუდია, როდესაც — რედ.)... უთავბოლო ლაპარაკით იძულებულნი ვართ ყური გამოვიჭედოთ. („ივერია", №№ 40, 41, 1893, 3, 4).

813(5059). (ცუდია, როცა—რედ.)... თქმა ერთია და ქმნა სხვა. (VIII, 265).

---

* ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

814(5060). (ცუდია, როცა კაცს — რედ.) თავისი საკუთარი ჭკუა არ უჭრის და სხვისასაც არ იჯერებს. (VIII, 284).

815(5061). (ცუდია, როცა კაცს საქმის — რედ.) თავი და ბოლო ვერ გაუგია, ვერ გამოურკვევია... („ივერია", № 225, 1886, 1).

816(5062). (ცუდია, როცა—რედ.) ... პოლიტიკაში არც სამართლიანობას, არც ზნეობას კუთვნილი ადგილი არ უჭირავს და ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება. (IX,133-134).

817(5063). (ცუდია, როცა პრესის—რედ.) ... დიდებული სარბიელი მყრალ ეუბედ გაუხდიათ და, საცა პატიოსანი ჭკუა და წმინდა გული უნდა ხელმწიფებდეს, ჭია-ღუა ბეზღობისა ჰჭყუპალაობს და თავის ბუდეს იკეთებს. (IX, 303).

818(5064). (ცუდია, როცა საზოგადო მოღვაწეები — რედ.)... ჭადრაკის კაცებსა ჰგვანან, რომელთაც საკუთარი ენინ კი არ ამოქმედებთ, არამედ ძლიერი ხელი ცხოვრებისა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ბუნებითი ძალი ცხოვრების თვითმცველობისა. (IX, 130).

819(5065). (ცუდია, უზნეობაა — რედ.) უქმობა, ფართიფურთობა, ქარაფშუტობა და ყველაზედ მავნებელი — სხვისით ცხოვრება. (II, 460).

820(5066). ... ცუდკაცობა და ავკაცობა ყოველს სასურველს მოძრაობას სახელს უტეხს და ამიტომაც ზოგს კაცს ორ წყალ შუა აჩერებსო. (IX, 289).

821(5067). ცუდს კაცსა მწე ააზვავებს,
მტყუანს — ტყუილი ქებანი* (I,113).

822(5068). ... ცხადს მაგალითს მარტო ბრმა თუ ეურჩება... (III,402).

823(5069). ... ძალად გამოყვანილს წყალსა წისქვილის დაბრუნება არ შეუძლიან: ის არის ულონო, რომელსაც რაკი მოხვდება თიბათვის მზის შუქი, მაშინვე გაჰქრება. (ილია ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 309).

824(5070). ... ძალად, თუნდ ცხონებაც იყოს, კაცს ვერაფრად ეჭაშნიკება... („ივერია", № 53, 1897, 2).

825(5071). ძალად მოყვანილი ცრემლი სასაცილოა, საზიზღარი და არა სამწუხარო დასანახავად. (III, 8).

826(5072). ძალ-დატანებით მუქთად შრომა ერთი უსაძაგლესი ძალ-მომრეობაა ყველა გვარ ძალმომრეობათა შორის... („ივერია", № 53, 1890, 2).

---

* შდრ.: „ცუდს კაცსა მწვე ააზვავებს მორეკა. ტყუილი ქებანი". არჩილი. (რედ.).

827(5073). (ძალზედ ცუდია, როცა კაცთა — რედ.)... ენა... ერთს ამბობს, ხოლო მათი გული სხვა რამეს უკარნახებს. (X,207).

828(5074). ძალიან ბევრგან ბუფეევს განხეთქილება, ხოლო... ამისი მიზეზი იგივეა, რაც თვითოეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა. (VI, 57).

829(5075). ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენ შორის უმართებულო სიტყვის ხროლას, პირადობით გამოწვეულს, აღგილი აქვს... („ივერია", № 42, 1893, 2).

830(5076). ძველობით ხსენება სხვისა, ამით კილვა და ძაგება, ძველი იარაღია უღონობისა, გაცვეთილი ფანდია სახსარ-მოკლებულ ფალავნისა. მწერლისა თუ მთქმელის არარაობის, ცარიელობის უტყუარი ნიშანია მაგ იარაღის ხმარება. რაკი მაგ-გვარს იარაღს ხელი წაავლო კაცმა, იმას თავი დაუკარით და „მშვიდობის მგზავრობა" დაულოცეთ. იგი წასულია, გარდასულია და ვერც სიმარდე წერისა, ვერც სუსხიანობა კალმისა ვერ იხსნის ამისთანა მწერალს ამ ხამწუხრო ბედისაგან. ნუ ენდობით და ერიდენით მაგ უღონო ღონესა. (III, 295-296).

831(5077). ძმობის გამტეხთა შორის ჯდომა და მეთაურობა, ესე იგი მოურავობა, განა ორპირობა არ არის იმით მხრით, ვინც ძმობისა და ერთობის იავ-ნანას გვიგალობს ყოველდღე? (VIII, 287).

832(5078). ძნელად საცხოვრებელია იმისთანა ქვეყანა, საცა ადამიანის ნამუსს და მის გრძნობას კაცურის ღირსებისას პატივი და მფარველობა არა აქვს და საცა ხელშეხება, შებღალვა ყოველ ამისი ეადვილებათ და საცა საზოგადოებაში მოტრიალე კაცი თავის უწმინდესს ზოვალეობად არა სთვლის ზდევნოს ცილს და უსაბუთოდ ავად ხსენებას კაცისას, საცს-კი შეხვდება. (VIII, 262).

833(5079). ... ძნელად შეიძლება საქმე ისე წარიმართოს, რომ პირადობამ არ ამოჰყოს თავი და თავისი ბასრი კლანჭი არ გამოჰკრას საზოგადო საქმეს. (V, 156).

834(5080). ძნელი რამ არის, როცა გუნება თავში გამწევ ცხენსავით დაღოჯავს ჭკუის ლაგამს და ცალმხრივ გაიწევს. (II, 233).

835(5081). ძნელი საქმეა, როცა კაცი ლიბერალობს და არ იცის-კი ცნობა აზრისა, თუ ქვეშ არ უწერია, ეს აზრი ამა და ამ ფერისაა. (VI, 103).

836(5082). ძნელი ყოფილა მშვიდობიანობის და პატიოსნების დაცვა იქ და მაშინ, საცა და როცა ჯიბე საგრძნობლად იბერტყება. („ივერია", № 7-8, 1882, 222).

837 (5083). ძნელია, თუ კაცს გზა აერივა: უკან დაბრუნება უძნელდება და წინ წასვლაც ვერ მოუხერხებია... (III, 290).

838(5084). ... ძნელია მოკლედ თქმა იმისთანა ადამიანზე, რომელსაც საკუთარი ნიშან წყალი არც ბუნებით დაჰყოლია, არც სწავლით და არც ცოდნით მოუპოვებია და შეუძენია. (VI, 258-259).

839(5085) ძნელია, როცა წინათვე აკვიატებული სურვილი დაჰბლუჯავს ხოლმე... წყალ-წყალა მეცნიერს. (VIII, 143).

840(5086). ძნელია უვიცობა, ანუ განგებ შეკეთებული, განგებ გაფიცხებული, განგებ ყალხზე შემდგარი ხელთქმნილი და არა გულთქმნილი თავგამოდება. (VIII, 164).

841(5087). ... ძნელია (ცუდია — რედ.) ცილის წამება. (X,349).

842(5088). ... წადილის დაუჭირავსა ყური აქვს მოუსმენი და ენა გრძელი. (VIII, 97).

843(5089). ... წარმოსადგენი არ არის, რომ სულსა და ხორცში დაბადებითგანვე დაგებედებოდეს ყოველგვარი მძიმე სენი. (III, 309).

844(5090). წვრილებში თავმომწონეა (ვაი-მწერალი — რედ.).

სხვილებში—ფეხის მტვერია,
მამის სახელით გამოდის,
რადგანაც თვით არაფერია.
მის ჯურის ხალხს მწერლად მოსწონს,
ვერ კი შეუტყვეს მრუდობა,
რომ სხვის წიგნიდამ ფრაზების
იცის ცოტა რამ ქურდობა. (I,91).

845(5091). წინდაუხედავად შებღალვა ნამუსისა, კაცურის კაცობისა, ჭიაა, რომელიც ქვეყანას, ერს, საზოგადოებას, შიგ გულში ჩასჯდომია და დღემუდამ ჰფქვავს, ჰღრღნის, მინამ ბოლოს არ მოუღებს. საცა ეგ არის, იქ ქვეყანას, ერს, საზოგადოებას ჭიანი გული აქვს და ჭიანის გულით სიცოცხლე ხანმოკლეა და უნაყოფო. (VIII, 260).

846(5092). ... წკეპლითაც საქმე ვერ გასწორდება, რადგანაც ერთხელ და ორჯელ გაწკეპილი კაცი სრულებით ჰკარგავს სინიდისსაც და თავ-მოყვარეობასაც. („ივერია", № 273, 1889, 2).

847(5093). წოდებათა შორის უთანხმოებისა და სიძულილის წამოყენება, რასაკვირველია, ვერსად ვერ დააარსებს კეთილსა და სასურველს განწყობილებას, მაგრამ ერთი-ასად უფრო მომაკვდინებელ ცოდვად ჩაითვლება ამ გრძნობის ხელოვნურად გამოწვევა და აღძვრა ჩვენში! (IV,377).

848(5094) (წყალწაღებულს—რედ.) ... ხავსი ვერას უშველის, მაინც წყალი წაიღებს*. (III,51).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „წყალწაღებული ხავსს ეპიდებოდაო"... (რედ.).

849(5095). წყეულ იყოს ამისთანა სულგრძელობა და ამისთანა გარემოება, რომელიც ან ყმობას გვიქადის, ან სულის ამორთმევას და, ამ ორს საარჩევანოს გარდა, სხვა გზას არ აძლევს ადამიანისა. (VII, 11).

850(5096). (ჭირთა ჭირია, როცა საზოგადოებაში ფეხს მოიკიდებს ის უზნეო აზრი, რომ—რედ.) თითქო სიტყვა ადამიანისა საშურველი იყოს, რომ მარტო ყური პეფხანოს, და ჭკუას, გონებას, სულსა და გულს არ მიეკაროს არასგზით. (VIII, 266).

851(5097. ... ჭირი ის არის, რომ ზნე-ჩვეულება ზოგიერთ ქვეყანაში იმოდენად განწმენდილი და მგრძნობიერი არ არის, რომ შებღალვა ვისისამე ნამუსისა, ადამიანურის ღირსებისა ითაკილოს, იუკადრისოს და ყოველ ცალკე კაცის გაუპატიურებაში თავისას საკუთარის ღირსების წაბილწვა დაინახოს. (VIII, 259).

852(5098). (ჭკუა-გონება—რედ.) ბატონებო... ღვერთს სხვებისთვის დაურიგებია და ზოგიერთისთვის კი არ გაუმეტნია,—მეტი ბარგი იქნება და ვერ ატარებსო. (IX, 291).

853(5099). ჭორი, მერე... უეცარი, უმიზეზოდ და უანგარიშოდ არ გატყვრება ხოლმე. (VIII, 105).

854(5100). ჭუჭყიანი სიტყვა-პასუხი, ჭუჭყიანი გულისნადები, რომელიც ზედ აბეჭდია ხოლმე ყოველს კაცს, სხვის გასაბიაბრუებლად გამოლაშქრებულს, მეტისმეტად ცხადი ნიშანია თვითონ მოლაშქრეს უწმინდურობისა და ჭუჭყისა. (III, 253).

855(5101). (ხალხის ენის უცოდინარ კაცს, მოდით და—რედ.)... დაავალეთ, რომ ხალხის ჩვეულება ზედმიწევნით იცოდეს და საქმეში გამოიყენოს. ტყუილი დავალება იქნება. (VI, 96).

856(5102). ხალხის თვალში... ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი, ორივე ქურდია*. (VI, 228).

857(5103). (ხალხისათვის თვალების ახვევის — რედ.) ... სენი ბევრსა სჭირს, ვისაც დიდების მოხვეჭა ჰსურს; ასე მოქცეულა ბევრი, როდესაც ერის მეთაურობა და ქვეყანაში პირველ-კაცობა განუზრახავს. („ივერია", № 153, 1886, 1).

858(5104). ხანგრძლივი და ერთნაირი ლხინი ბოლოს ჭირად გარდექმნება ხოლმე კაცსა. ეგ იმიტომ, რომ ისე მალე არა ჰღალავს რა კაცს და, მაშასადამე, ისე არა უხდენს რა გუნებასა, როგორც გრძელი, გაუთავებელი უაზრო ლხინი და სიცილი. (III, 120).

859(5105). ხარბი და სახვეჭი ცოდნა ხარბს და სახვეჭ ფულზე უფრო უწყალოა, უფრო დაუნდობელი, უფრო მოსარიდებელი, იმიტომ — რომ სავნებელად უფრო გაწურთნულია, უფრო ძლიერი და ხერხიანი. („ივერია", № 75, 1897, 1).

---

* ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

860(5106). (ხარჯი და დროს დაკარგვა — რედ.) ... საქმის უკან დევნაში... ზოგჯერ ისე ძვირად სჯდება, რომ თვითონ სადაეო სავანი იმათ არა ჰლირს. („ივერია", № 182, 1886, 1).

861(5107). ხელმეორედ მასკა აღარ მოუხდება ცოლიან კაცსა. („თბილისი", № 274, 1983,3).

862(5108). ... ხომ იცით, ანწლი ვერ მოგცემთ ყურძენსა;
ბუისგან ნუ გამოელით ბოლოკარკაზის ბუდესა*.
(1,116).

863(5109). ხუმრობაა, კაცის სიკვდილის მიზეზად გახდომა!.. (IX. 302).

864(5110). (ხშირ შემთხვევაში, კერძო პირთა ინტერესებისათვის გაღებული — რედ.) ... ყოველი მსხვერპლი უმართლოა და შეუწყნარებელი. (VI,117).

865(5111). (ხშირ შემთხვევაში — რედ.) ... ლაპარაკი, ბაასი, იმედის მიცემა ბევრი ვიცით, მაგრამ როდესაც საქმეს უნდა შეუდგეთ, მაშინ ჩვენ უკუვდგებით ხოლმე ყოველთვის. („დროება", № 444, 1874, 3).

866(5112). (ხშირად, ამა თუ იმ საქმის წარუმატებლობის—რედ.) ... მიზეზი ჩვენი საკუთარი უქმობაა, ჩვენი საკუთარი გაურჯელობა. (VIII, 328).

867(5113). (ხშირად—რედ.) ... გაჭირვების და სატკივარის წამალს იქ ვადებთ, საცა სატკივარის ბოლოა და არა სათავე, საცა შედეგია და არა სათავე, საცა შედეგია და არა მიზეზი. ეს იმასა ჰგავს, რომ კაცმა მღვრიედ მდინარე ნაკადული წყალისა ბოლოდამ ეცადოს დასწმინდოს ხოლმე და არა სათავიდამვე, თუ მაინცადამაინც დაწმენდა უნდა. (VII,61).

868(5114). (ხშირად, გონებაგახსნილი, მცოდნე და ნასწავლი, მაგრამ ფარისეველი კაცის მიერ წარმოთქმულ — რედ.) ... სიტყვებში ის არ უნდა ვიგულისხმოთ, რასაც სიტყვები პირდაპირ გვეუბნებიან. (VI,106).

869(5115). ხშირად მდაბიო ხალხი, გატაცებული ფანტაზიის აღმაფრენით, დამღერის და დაპხარის ისეთს სავანს და მოვლენას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება ცხოვრების სიკეთესა და ცრუმორწმუნეობაზედ არის აშენებული. (IV, 193).

870(5116) ... ხშირად მრავალს სიტყვასა ვხარჯავთ იმისათვის, რაიცა სრულიად უეჭველი უნდა იყოს. (VIII, 258).

---

* შდრ.: „ანწლი არ მოგცემს ყურძენსა" და „ბუისგან ნუ გამოელი ბოლოკარკაზის ბუდებსა". („ქილილა და დამანა").

ზემოაღნიშნული სტროფის მეორე ტაეპი იხ. აგრეთვე: VIII, 123. (რედ.).

871(5117). (ხშირად, სიმართლის — რედ.) ... თქმაც ძნელია, იმიტომ რომ წყლით გიესებენ პირს, ნაღველს ან სულ არ ამოგათქმევინებენ, და თუ ამოგათქმევინებენ, ისე ბუნდად, არეულად, გაკვრით — გადაკვრით, რომ არამცთუ კაცი, თითონ ეშმაკიც კი კისერს მოიტეხს. (V, 59).

872(5118). (ხშირად—რედ.) ... ქურდს და ავაზაკს ჩვენში შიში არა აქვს, რომ მდევარი, ან მკვლევარი მეყოლებიო. თუ სადმე ქურდობა, ან ავაზაკობა მოხდება ხოლმე, მარტო გაქურდული და ჭირისუფალი შეუდგება თავში ცემას, სხვა არავინ არ იტკივებს თავს, თითქო ამისთანა ბოროტმოქმედება, როგორც ქურდობა და ავაზაკობაა, საკუთარი ჭირი იყოს ცალკე კაცისა და არა მთელის საზოგადოებისა, მთელის ერისა. (VI,223).

873(5119) ... ხშირად ტყუილს შიშსაც, თუ კი კაცმა არ იცის, ისეთი ზარი და ელდა მოსდევს, რომ ჭკუა და გონებას დაუფანტავს და ალიაქოთს და ვაი-ვაგლახს ასტეხს ხოლმე. ზარი და ელდა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მეტი ხალხია მათთა მოქმედების ქვეშ ერთსა-დაიმავე დროს და ისე უცებ გადაედება ხოლმე დიდსა და პატარას, როგორც ჩალას ცეცხლი. („ივერია", № 272, 1886,1).

874(5120). (ხშირად — რედ.) ... უნუგეშობის მიზეზი... ერთმანეთის ჯიბრია და ერთმანეთის მეტოქეობა. (IX, 145).

875(5121). (ხშირად — რედ.) ყოველს ცილისწამებას იმისთანა ზარჩული უდევს, იმისთანა სათავე აქვს, რომ ყველაფერი ადვილად დასაჯერია და ფიქრად მოსასვლელი. (VIII,8).

876(5222). (ხშირად — რედ.) ჩვენ ერთმანეთის აზრი და მოქმედება ვერ დაგვიფასებია და სამართლიანის თვალით არ გაგვისინჯავს, და თუ ერთმანერთს წუნსა ვდებთ, მხოლოდ იმისთვის, რომ სურვილი და ღონე არა გვაქვს ერთმანერთის აზრსა და მიზნდულებას საჭირკველი გავუსინჯოთ. (VIII, 257).

877(5123). (ხშირად — რედ.) ჩვენ... ყბედობის მეტი არა ვართ-რა. ცარიელ სიტყვების წეწვა-გლეჯა გვაქვს და საქმე-კი ღვთის ანაბარად არის მიგდებული. (X, 166).

878(5124). ჯადო-ღა იქნება ამაზე მეტი! კაცი ერთი იყოს და ერთსა და იმავე დროს ხუთნაირად გეჩვენოთ. (IV,138).

879(5125). (ჯერ კიდევ, სამწუხაროდ, არიან ჩვენში — რედ.) ... იმისთანა კაცნი, რომელნიცა ისე ზნეობითად გაქსუებულან თავისის სიკეთისა და პირადის ბედნიერების უკან დევნაში, რომ ყოველს ზრუნეას საყოველთაო კეთილისათვის უსაქმო კაცის ოცნებადა ჰსთვლიან, იმისთანა კაცნი, ვამბობ მე, რომელნიცა მუდამ ტრიალებენ ვიწროთაღმოყვარეობის ვიწრო სფერაშია, არასოდეს არ აღწეულან თავისის პირადის სარგებლობის უმაღლეს და არ გამთბარან საზოგადოების სი-

კეთის სიყვარულითა, იმისთანა კაცნი, ვამბობ მე, რომელნიცა საკუთარის ინტერესის დათმობაში საყოველთაო სიკეთისათვის ხედვენ მარტო ცდომილებასა და აღტაცებულებას გამოუცდელის ყმაწვილ-კაცობისასა და არა ძლევა-მოსილებას კაცის ზნეობითის ბუნებისასა! („დროება", № 47). 1872, 1-2).

880(5126). ჯერ რიგიანი ბრძოლაც არ გამართულა და შენ ეხლავე გინდა თავს უშველო. ეგ ვერაფერი ძალგულოვნობაა. განა წინადვე არ იცოდი, რომ მაგ გზაზედ, რომელსაც შენ დაადეგ, ათასი ვაივაგლახი, ბეზღი, ცილი, ლანძღვა და თრევა დაგვხვდებოდა ჯილდოდ შენის შრომისა და მოღვაწეობისა? ეგ ამბავი არ ახალია, ძველია.* (X, 45).

881(5127). ჯერ უნდა სოციალ-დემოკრატიულ გზას დაადგე და მერე მოიკლა თავი და დიდი მწერალი იქნები. („ივერია", № 193, 1881, 1).

882(5128). ჰაი, ჰაი, კაცის გული მალია, მალი ცოდვის საქმეზედ. (II, 230-231).

883(5129). ... „ჰაშას კერა" მტყუანისა და სულელის ხელობაა და არა მართლისა და ჭკვათა-მყოფელისა. (III, 301).

884(5130). ჰლალატობენ საქმეს, ჰლალატობენ ერთმანერთსა ერთგულების სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ღალატი და სად ერთგულება? (VIII, 264).

885(5131). (Баловаться — რედ.) это нехорошо ... быть невнимательной ... это ещё хуже! (X, 411).

886(5132). (Безнравственная душа — რედ.) на все гадости способна, для неё не существует в мире ни хороших, ни дурных средств, — или лучше сказать — для нее все средства хороши, лишь бы они достигали самой гнусной, но для нее необходимой, цели. (X, 421).

887(5133). (Злые люди — რედ.) ... если вредят нашему делу, так только из любви к искусству — вредить ближнему. Они-то достойны презрения. (X, 425).

888(5134). Знай где ревность, там доверия и уважения нет. (X, 443).

889(5135). ... на раздражении строить метчы об объединении и слиянии двух народов, хотя бы единоверных, — это все равно, что огнем тушить пожар. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II, თბ., 1969, გვ. 238, 243).

---

* ეს გამოთქმა („არ ახალია, ძველია") შ. რუსთველისაა. (რედ).

890 (5136). ... плохо лежащая вещь представляет собой слишком большой соблазн не только для тех. у которых кража сделалась ремеслом, но и для тех, в которых голос совести не на столько силен, чтоб преодолеть вечную жажду и стремление неразвитых людей поживиться за счет другого. («Тифлисский вестник». № 53, 1876, 3).

891 (5137). Превратно понятая идея обрусения антигосударственна, ибо она порождает стремление к установлению внешнего единообразия, может опираться лишь на заподозревании в неблагонадежности всего того, что не носит на себе русского облика, русской внешности. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II, თბ., 1969, გვ. 237, 243).

892 (5138). Пышные фразы — это румяны для чувства, а ... румяны тот употребляет, который хочет казаться тем, чем он не является на самом деле. (X, 420).

893 (5139). ... сытый, как говорится, не разумеет голодного. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II, თბ., 1969, გვ. 240).

894 (5140). Тьма на то тьма, чтоб под ее покровом каждая малейшая шалость самого невиннейшего свойства, не говоря об единичных проступках и даже преступлениях (где их не бывает?), представилась каким-то пугалов в смысле всеобщего задора и возводилась в степень происков сепаратизма или даже заговора против существующего порядка. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II, თბ., 1969, გვ. 238).

895 (5141). ... узкое и грубое понимание идеи обрусения, естественно сопровождается бесцельными и ненужными восприятиями, имеющими характер крупных и мелких уколов для народного самолюбия в лучшем и благородном смысле сего последнего слова. („ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებული II, თბ., 1969, გვ. 238).

896 (5142). ... это слово (იგულისხმება სიტყვა „მადლობა" — რედ). от частого и не всегда уместного употребления так опошлилось, так выдохлось что в нем осталось одно название без предмета, одна форма без содержания. (X, 457).

ზმები და ჭეშმარიტების ნამტვრევები*

1(5143). დიდ კაცს იმიტომა აქვს დიდი ხმა, რომ სხვები უხმონი არიან. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ფონდი, კოლექცია № 207, ფურც. 1).

2(5244). დიდთან თაფლი, პატარასთან ბალღამი დიდკაცობასა ნიშნავს. (იქვე, ფურც. 1).

3(5145). დიდთან თაფლი, პატარასთან ბალღამი — თუ პატივი გინდა. (იქვე, ფურც. 2).

4(5146). დიდი კაცი იმიტომ არის დიდი, რომ სხვებს ამცირებს. (იქვე, ფურც. 1).

5(5147). დიდი დიდი არ იქნებოდა, რომ სხვებს არ ამცირებდეს. (იქვე, ფურც. 2).

6(5148). დიდს დიდი ხმა აქვს, იმიტომ რომ სხვებს პირზედ ხელი აფარიათ. (იქვე, ფურც. 2).

7(5149). თავი რომ კარგი იყოს „ავის" ზმად აღარ იქნებოდა. (იქვე, ფურც. 1).

8(5150). თუ ბედნიერება გინდა, სხვას წაართვი. (იქვე, ფურც. 2).

9(5151). თუ ზდილობა გინდა, ვინც გეზიზღება იმას ხელი აულოკე. (იქვე, ფურც. 2).

10(5152). თუ გინდა, რომ მაღლა წახვიდე დაბლა უნდა იზნიქებოდე. (იქვე, ფურც. 2).

11(5153). თუ მსაჯულობა გინდა, მსჯელობას თავი დაანებე. (იქვე, ფურც. 2).

12(5154). თუ ჭკვა გინდა, შენს ჭკვაზედ ხელი აიღე. (იქვე, ფურც. 2).

13(5155). მაღლა წამსვლელი დაბლა უნდა იხრებოდეს. (იქვე, ფურც. 1).

14(5156). პრიკაზი რომ არ იყოს, ქართველებს რა ეშველებოდა? (იქვე, ფურც. 2).

---

* ამ სათაურით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია დიდი ილიას გაკრული ხელით დაწერილი სარკასტული გამონათქვამები, რომლებიც ერთგვარ „სენტენციებს" წარმოადგენენ ამორალური, გარყვნილი ზნეობის კაცთათვის. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ეკრთობ „უწყინარ" ზემოაღნიშნულ სათაურში ი. ჭავჭავაძეს აშკარად ჩაქსოვილი აქვს მწვავე ირონია. ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით ამ „ჭეშმარიტების ნამტვრევების" შეტანა წინამდებარე კრებულში, რამეთუ ჯერ კიდევ უხვად არიან ჩვენ შორის ისეთები, რომელთაც „გამოადგებათ" მათთვის განკუთვნილი დიდი ილიას „შეგონებანი". (რედ.).

15(5157). სასამართლო რომ არ იყოს, მტყუანი სად გამართლდებოდა? (იქვე, ფურც. 1).

16(5158). სულელი იმიტომ არის სულელი, რომ „სულ ელის“ და თითონ კი გულ-ხელი დაუკრეფია. (იქვე, ფურც. 1).

17(5159). უფროსი რომ თავი არ იყოს, ხელქვეითებს საკუთარი თავები ექნებოდათ. (იქვე, ფურც. 1).

18(5160). ქართველი ქარიანია, თორემ „ქართველი“ აღარ ერქმევოდა. (იქვე, ფურც. 1).

19(5161). ქრთამი რომ არ იყოს, ტყუილს რა ეშველებოდა? (იქვე, ფურც. 1).

20(5162) ძნელია. რომ კაცმა ჩინი ისე იშოვოს, რომ თვალში „ჩინი“ არ დაჰკარგოს. (იქვე, ფურც. 1).

21(5163). ჭკვაი სწორედ „ვაია“! ამიტომაც არის დაწერილი „ვაი ჭკვისაგან“. (იქვე, ფურც. 1).

22. სხვადასხვა

1(5164). აბა, თქვენი ჭირიმე, ოცნება რა ტლაპოა, რომ ჩაფლობა შეიძლებოდეს! (III, 18).

2(5165). ადამიანს შერცხვება და მოერიდება დაცინვას, როდესაც გარეშემო ხალხი იცნობს, ნათესავი ჰყავს, ან მოყვარე. ჰო, შეიძლება ამათი კიდევ მოერიდოს ადამიანს, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ხალხი არეულია. არამც თუ ერთმანეთს ვერ იცნობენ, ერთი ერთმანეთისაც აღარ ესმით-რა, რისი უნდა შერცხვეთ, და ვისი მორიდება უნდა ჰქონდეთ. („ივერია", № 178, 1890, 3).

3(5166). ადამის ძეი ბალახითაც. გაჭირდის, გაძღების, სატკივარს რაი ეყვის? (II, 25).

4(5167. ... აზია საერთოდ და ჩვენ თითონ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისთვის მხოლოდ, არამედ სხვისათვისაც (V, 18).

5(5168). ათასში და ათი-ათასში ერთი განა მაგალითად მოსატანია...? (V, 351).

6(5169). ... ალღოს აღება დიდი უნარია მეძებარისათვის... („ივერია", № 72, 1897, 1).

7(5170). (ამა თუ იმ მოვლენის — რედ.) ... მიზეზის პოვნა ძნელია, როდესაც ჩვენ ამ საგანზე არავითარი ცნობა არა გვაქვს, (VII, 434).

8(5171). ამბობენ, მგზავრობა კაცს თვალებს უხილებსო, გონებას უხსნისო.* (II, 565).

9(5172). ან ყველაფერი, ან არაფერი! ჩემთვის საშუალო არ არსებობს. (X, 214).

10(5173). ... არ-თქმა და მალეაა ის დიდი ჭირი, რომელიც კაცს ბოლოს უღებს და ნელნელა სიცოცხლესა სწოვს. (X, 377).

11(5174). არ იცი, ბავში, რომ ჯოხს გადააჯდება, თავი მხედარი ჰგონია. („ივერია", № 269, 1897, 2).

12(5175). არ შეიძლება კაცმა საქმე ბნელში დასტოვოს დროს მოგებისათვის. („ივერია", № 93, 1896, 2).

---

* თითქმის იგივე აზრი („...მგზავრობა გონებას უხსნისო"), იხ.: II, 566, 570. (რედ.).

13(5176). არა, უმეცრება, არ-ცოდნა დანაშაულობად ვერ ჩაითვლება! („ივერია", № 166, 1886, 1).

14(5177). არა-მწეარმა რომ კურდღელი დაიბრუნოსო, დაჭერად ჩაეთვლებაო, ნათქვამია.* (V, 52).

15(5178). არის ქვეყანაზედ ბევრი იმისთანა საგანი, რომლის გამოც ჰოც ითქმის და არაცა, რადგანაც საგანი ან გამოძიებული არ არის ჯერ მთლად, ან მეტად რთულია და დახლართული და ჯერ კაცის თვალი ვერ მიმწვდარა მრავალგვარის ხლართის ერთ კრებულად დანახვისათვის. (VIII, 278).

16(5179). ახალ ამბავს, როგორც ახალს კიტრს, ძვირად ნუ იყიდი, მალე გაიეფდებაო, ნათქვამია.** („ივერია", № 279, 1886, 1).

17(5180). ახალს საქმეში გამოუცდელობა ყოველ ადამიანის ნაკლულევანებაა. („ივერია", № 112, 1891, 2).

18(5181). ბაძი ხომ კარგია ზოგჯერ, ზოგჯერ-კი ღმერთმა შეინახოს. (III, 400).

19(5182). ... ბევრწილად შესანდობარია გულუბრყვილო არ-ცოდნა საქმისა და ჟინი ტყუილ-უბრალო ლაპარაკისა, თუ წერისა. (VII, 249).

20(5183). ბრიყვი ყოველთვის ბრიყვი უნდა იყოს. (X, 188).

21(5184). ბრიყვი ყოველთვის უნდა გაბრიყვებული იყოს. („თბილისი", № 274, 1983, 3).

22(5185). ბრმას არ-ხედვა არ ეკიჟინება და ყრუს არ-სმენა. („ივერია", № 192, 1888, 2).

23(5186). გაგიბედავთ შენი ჭირიმე, და გეტყვით, ჯერ კუჭი უნდა გავიძღოთ, კუჭი... (II, 50).

24(5187). გაგონილს თვალით ნახული სჯობია.*** (III, 286).

25(5188). გამარჯვება სხვა რა არის, თუ არ მოგება და მოპოება სანატრელისა... („ივერია", № 202, 1888, 1).

26(5189) ... გამკითხავი, გამკიცხავი და ბასრ ხმალზედ უფრო მჭრელი სიცილი ... „ზოგჯერ ცრემლზედ მწარეა" და ბოროტის საკლავად შხამზედ უარესი**** (III, 112).

27(5190). განა ცოტა დამრჩვალა წყალში, ვიდრე კაცს ცურუა უსწავლია ამით მითამ რაო? წყალში შესვლა ავუკრძალოთ კაცს მაშინ, როდესაც საჭიროა კაცმა ცურვა ისწავლოს? („ივერია", № 25, 1892, 1).

28(5191). გაჭირებას ბევრი რამ შესძლებია. (II, 107).

---

* ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

** შდრ.: „ახალ კიტრს და ახალ ამბავს ძვირად ნუ იყიდი: მალე გაიაფდებაო". ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

*** შდრ.: „ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო". რუსული ანდაზა. (რედ.).

**** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ა. წერეთლის „მუხამბაზიდან" აღებული ტაეპი: „... რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეა!.." (რედ.).

29(5192). გთხოვთ, ეს ერთი დაიმახსოვრეთ: არავის არ უთხრათ არაფერი, არავინ ენდოთ, ადამიანნი ყოველთვის ბოროტნი არიან, ძნელად თუ ვინმემ დაფაროს საიდუმლო. (X, 175).

30(5193). დაილოცა ღვთის სიძლიერე, იმისი გზა და კვალი გაუგებარია. (II, 65).

31(5194). დაილოცა ღმერთო, შენი სამართალი: გაუყრელს ვერავინ ვერ გაჰყრის! (II, 343).

32(5195). დამალული ჭირი ძნელია. პირდაპირ მოსულს კიდევ როგორც იქნება შეეჭიდება კაცი... (II, 275).

33(5196). დამიჯერე, ამ სიამოვნებასაც (ტკბილ მოგონებებს — რედ.) თავისი ფასი აქვს ქვეყანაზედ და უსასყიდლოდ არავის ეძლევა. (II, 475).

34(5197). დასწყევლოს ღმერთმა. რეებს არ მოიგონებენ კაცის მაცდურებისათვის. გეიხსენ, უკუღმართო წუთი-სოფელო, ამ ბოროტებისაგან! (III, 366-368).

35(5198). დაუდუღარს მაჭარს სარქველი არ დაეხურება, ჭურჭელს გაჰხეთქს. (II, 284).

36(5199). დაჩვევა არის ყველაფერი. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ცხრა ტომად. (IV, 360).

37(5200). დიდად საგრძნობელს, თუნდ ერთი და იგივე ძირი ჰქონდეს, ისეთი ბოლო და ზედმოქმედება არა აქვს, როგორც პატარას. (III, 172).

38(5201). დიდმა-კაცმა რომ იმოდენად მოიცალოს და პატარას წუნი შეამჩნიოს, ეგეც ღვთის წყალობად ჩაეთვლება პატარას. („ივერია", № 211, 1887, 1).

39(5202). ... დიდისა და პატარის შუაც შესაძლოა ხიდი გაიდვას. („დროება", № 260, 1884, 1).

40(5203). ელდისა და შიშის ზარისაგან უცბად დამფრთხალს ხალხს წინ ველარა დაუდგება-რა და პირველს ხანში, თუნდ ტყუილის შიშისაგან, გატაცებულს გულს ვერას გზით ველარ დაუბრუნებთ კაცს და თავის დონეზედ ვერ დაუყენებთ. („ივერია", № 272, 1886, 1).

41(5204). ... ენას ბრწკალი არ მოედება. (IV, 52).

42(5205). ენით ვაქცევთ და გული კი ისევ ებღაუჭება, ისევ აშენებს, აგებს ... (II, 318).

43(5206). „ერთი მაქვს—სჯობს ათასს მქონდას"...* (I, 171; VIII, 140-141).

44(5207). ერთის რომელისამე საგნის ამოჩემება, იმისი „მოდად" დაწესება და სხვა საგნების დავიწყება — კარგი არადროს არ ყოფილა და არც ჩვენთვის იქნება. (IV, 193).

---

* ეს აფორიზმი ბესიკისაა. (რედ.).

45(5208). ... ეს მიწის-ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩება და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდევ. (V. 18).

46(5209. ... ესეა ეს ოხერი, როცა გიჭირს, ხერხიც მაშინ ვეკარგება და ღონეცა. (II, 38).

47(5210). ეჰ, რაც ჰსურდა, არ დასცალდა
ჩემს წყურვილსა სულისასა!... (I, 195.

48(5211). ვინ არ იცის, რომ დღიურ მუშის კერძი მსოფლიო სუფრაზედ იმოდენია, რაც მხოლოდ საკმარისია კაცს შიმშილით სული არ ამოხდეს. (VII, 40).

49(5212). ვინც რა უნდა მოიგონოს კარგი, ადამიანის სასარგებლო და სასიამოვნო, არის მარადის მთელი კაცობრიობის საკუთრება. („ივერია", № 88, 1889, 1).

50(5213). ვინცა სჩივის და ჰღაღადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღეწოდეს სასულიერო პურისათვისაც. (V, 342).

51(5214). ... ზოგან თქმაც კარგია. (II. 284).

52(5215). ზოგი ერთს საათს იმდენს გააკეთებს, რასაც სხვა ათს საათსაც ვერ შეიძლებს („ივერია", № 114, 1891, 3).

53(5216). ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე, რამდენი ბღარტები მიზის, ჭირადაც მეყოფიან და ლხინადაც. (II, 285).

54(5217). ზოგიერთი აბები, თუ ცოტას ჰყლაპავთ, წამალია, თუ ბევრს — საწამლავია. (III, 359).

55(5218). ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასაო ზოგჯერ, ძმობილო, თქმითაც დაშავდების.* (II, 332).

56(5219). ზოგჯერ თქმა ქმნა არის. (III, 158).

57(5220). ზოგჯერ მოკლე სიტყვაც გრძელია. (II, 297).

58(5221). ... ზოგჯერ ქმნა ერთია და თქმა მეორე. (V,86).

59(5222). ზოგჯერ ცრემლი „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის ვამომცემელია"**. (II, 319).

60(5223). ... თავიდათავი საჭიროება საქმის აგებაა, მისი დალაგებაა სამოქმედოდ. (VII, 50).

61(5224). თავის თავთან მოციქული საჭირო არ არის, მოციქული სხვასთან უნდა. (II, 313).

---

* შდრ.: ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების". (შ. რუსთაველი. (რედ.).

** შდრ.: „არა მდუმარე, წვიმისებრ ნაყოფის გამომცემელი". არჩილი. (რედ.).

62(5225). თამამად ლაპარაკი მასზედ, რაც კაცმა არ იცის, დაუჯერებელია („ივერია", № 211, 1887, 2).

63(5226). ... თითონ მარქსმა სთქვა: რაც გინდათ დამარქვით, ოღონდ მარქსისტობას — კი ნუ დამწამებთო. ასე იუარა მარქსმა იმისთანა მარქსისტები, როგორიც დღეს ჩვენში ბ-ნი ნოე ჟორდანიაა და მისი წილადობილნი. დრო მოვა და ყოველივე ეს მზეზე გამოიფინება და კანკითხვის დღისა წინაშე გამოსჭიმავს ვინმე ამ ჩვენს ვაჟბატონს მთელის თავისის სიგრძე-სიგანითა. (VI, 258).

64(5227). თუ გაჭირვებაა კაკლი ნაჭუჭშიაც უნდა დაეტიოს კაცი, არამც თუ სამს ოთახში. (X,286).

65(5228). თუ გიყვარდე ღობე-ყორეს ნუ მოედები... (X, 191; 412).

66(5229). თუ ოდესმე თვალი აგიხილებია და შენს გარშემო რაც გინახავს, იმაზედ გონება გივარჯიშებია, — ნახავდი, რომ ხშირად ერთი და ივივე საგანი ზოგს აცინებს, ზოგს ატირებს. (II, 221).

67(5230). ... თუ რისამე დანგრევა-დაქცევა გინდა და ერთბაშად დაფუშვა, საძირკველი უნდა მოუნახო და მთლად გამოუთხარო. (III, 436).

68(5231). თუ ქვეყანამ პირი უკუმარიდა და არ შემიკედლა, ღვთის კალთა ხომ ფართოა!... (II, 37).

69(5232). ... თუ შენობა ქვიშაზეა აგებული, ვერა დიდი ოსტატი, ვერა დიდი არქიტექტორი ვერას უშველის. ძაგისთანა შენობას თვით თავის აგებულობაშივე აქვს მიზეზი სისუსტისა და თუ დაიქცა, სასაცილო იქნება ბრალი შენობის ყარაულს, მეთვალყურეს დაჰბრალდეს. (V, 310).

70(5233). თუ ჩემი წინასწარ-ხედვა განსაცდელისა ცდომაა, ისევ სჯობია კაცი განსაცდელის ხედვაში შესცდეს, ოღონდ მოერიდოს-კი. (X, 144, 526, 569, 573).

71(5234) თუ ჩემია, მევე მამეცით (II, 346)

72(5235). ... თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა. (II, 253).

73(5236). თქმა და ქმნა ერთი და ივივე არ არის, შუა დიდი მანძილია. (IX, 142).

74(5237). ... თქმა კი არ არის საქმე, საქმე ის არის დარწმუნდეს ვინმე ამ თქმით. („ივერია", № 3, 1884, 158).

75(5238). თქმულა: ქვასაცა მაგარსა
გასტეხს ტყვიის რბილი გრდემლი*. (I, 192).

76(5239). ისა სჯობია, გვიან იყოს და კარგი, ვიდრე მალე და ვინ იცის როგორი. (X, 301).

---

* შდრ.: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა"
შ. რუსთაველი (რედ.).

77(5240). ისა ჰსჯობია, რომ აუსრულებელი ნატვრა გულიდამ ამოვიღო, თორემ... გული ტკივილს დამიწყებს ხოლმე. ეჰ, რაც არის, არის! ვითმინოთ, ვიდრე მოთმინება, ვიდრე ძალა და ღონე კაცად-კაცობისა კიდევ გვერჩის. (X, 317).

78(5241) „ისარი და პირით სიტყვა, რა გასტყორცნო, არ მობრუნდეს"*. (VIII, 122).

79(5242). ... ისე ტკბილ არ არის ძილი,
როგორც ტკბილია გამოღვიძება. (I, 50).

80 (5243). იშვიათი ამბავი, ყველასთვის საცნობელია. (III, 331).

81(5244). იცით „სულელი" საიდამ გამოდის? ლოდინიდამ. იცით „სულელის" ძირი რა არის? ლოდინი. აბა „ლოდინი" და „სულელი"-საიდამ სადაო, იკითხავთ. არც ისე შორს არიან ერთმანეთზედ ეს სიტყვები, როგორც თქვენა გგონიათ. იმ კაცს რას ეტყვით, რომელიც „სულელის და სულ ელის?" „სულ ელიო". მორჩა და გათავდა. ეს ოცასა ჩვენ გვერგება. (V, 130).

82(5245). ... კეთილი წერილი ან ძალიან მახლობელი ნაცნობისაგან უნდა იყოს, რომ კაცმა არ იწყინოს, ან ბატონმა ყმას უნდა მისწეროს. (X,151).

83(5246). (კიკაცობისათვის—რედ.). ... ტანისამოსს რა მნიშვნელობა აქვს? (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV,358).

84(5247). კარგი მეჭურჭლე ის არის, ვინც ყურს იქით გამოაბამს, საითაც სურს (III, 359).

85(5248). კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო.** (V, 284).

86(5249... კარგი ყოველთვის და ყველგან კარგია. („ივერია", № 228, 1886,3).

87(5250). (კარგია, როცა—რედ.) ... ნატვრა ცარიელ ნატვრად არა რჩება ცის ქვეშა. (II,94).

88(5251). კარგს მთქმელს კარგი გამგონიც უნდა***. (VIII, 161).

89 (5252). კარგს ნაცნობთან გძლად საუბარი გძლადაც საამურია... (X, 129).

90(5253). ... კარს გარედამ შემოსვლის შიშით აბმენ და არა შიგნიდამ გასვლის შიშითა. (IV, 150).

91(5254). კარს იგი ჰკეტავს, ვისაც დასაკარგავი საუნჯე რამა აქვს. ვისაც არა აქვს-რა, იმისი ქოხი ფარღალალაა: თუ ღმერთმა მიშ-

---

* ი. ჭავჭავაძეს ეს აფორიზმი აღებული აქვს „ქილილა და დამანადან". (რედ.)
** ეს აფორიზმი შ. რუსთაველისაა. (რედ.).
*** შდრ.: „მთქმელს გამგონი უნდაო".
ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

ველა და შემოვიდა ვინმე, იქნება იმას დარჩეს რამე აქ, თორემ აქედამ რას წაიღებს, რაც არ არისო. ეს გულოვნობა კი არ არის, პირდა-პირი ანგარიშია. („ივერია", № 29, 1898, 2).

92(5255) ... კაცი არს თავის მტერი! (I, 307).

93(5256). კაცის ენა კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე. (III,40).

94(5257). ... კაცის ჩამორჩობა აბა რა სანახავია...? კატა ხომ არ არის, აიღო და ჩამოჰკიდო; რაც უნდა იყოს, ღვთის სული ადამიანია. (II, 230).

95(5258). (კაცს მოულოდნელი—რედ.) ... ელდა და ზარი ბევრს უბედურებას ჩაადენინებს ხოლმე... („ივერია", № 272, 1886, 1).

96 (5259). კაცს რაკი ერთხელ და ერთხელ ეხტიბარი წაუხდება, აღარ დაუჯერებენ. (II, 187).

97 (5260). კდომა ხრწნაა და ხრწნას მარტო ჩირქი სდის. (II,314).

98(5261). კედელს კაცი შუბლით ვერ გაამტვრევს, რომ ბევრიც ეწვალოს. (X, 321).

99(5262). კომედიავ, კარგი რამა ხარ თავისს ადგილას. (VIII, 177).

100(5263). ლოდინი ბუნებითად დინჯი რამ არის, მშვიდობიანი, წყნარი და მთხოვარასავით მუდამ ხელგაწვდილი: მიაწვდი რასმე-მადლობელია და არ მიაწვდი — მაინც მადლობელია. (V, 130).

101(5264). ლოდინი და დიდის ხნით ლოდინი გაჭირებულთათვის უფრო აუტანელია... ვიდრე პირ-და-პირი უარი. პირდა-პირს უარზედ კაცი აქედ-იქით მიდგება მაინც და ხელს როგორმე გაიმართავს და ლოდინი კი გულზედ ხელებს აკრეფინებს უქმად იმ იმედით, რომ, აცა ხვალ იქნება, ან ხვალ-ზევითაო. („ივერია", № 279, 1886, 1).

102 (5265). ლოდინი თოკია. თუ ოსტატმა კარგად და ხერხიანად გამოიყენა, მაშინ ხსნილიც დაებმის და დაბმული ხომ დაბმულია და დაბმული. (V, 130).

103(5266). ... ლოდინი, თუნდ ერთის წუთისა, მაინც მოსაწყენია. (II, 453).

104(5267). ლოდინი იმისთანა სახედარია, რომ არც სადავე უნდა, არც ჯილავის დაჭერა. ოღონდ კი თითით, ან თვალით ანიშნეთ, და საითაც გნებავთ-თავს იქით იქს შესაფერის ღიმილითა და მთქნარებითა. ამიტომაც უაღვიროდ სიარულის ნება მარტო ლოდინსა აქვს ამ შემობაწრულ სარბიელზედ, რომელსაც ადამიანის ცხოვრებას ეძახიან. (V, 129-130).

105(5268). ... ლოდინი ... უხარჯოა და მუქთი. (V, 132).

106(5269). „ლოდინი ხსნილსაც დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების“*, — ეს რომ ეთქვა როსტევანს თავის ქალისათვის, როცა მეფედა სეამდა, არ შეცდებოდა. (III, 130).

107 (5270). ლოდინში ერთი კიდეე კარგი ის არის, რომ მუქთია. რამდენიც ენებავთ ხარჯეთ, გროში არ გაგივათ. მეორე კიდეე ის არის, რომ თუ მოინდომებთ, დაუსრულებელი იქნება, ბოლო აღარ მოეღება. ამ მხრით ლოდინი მეტად კარგი ხერხია და ოსტატის კაცისათვის დიდად გამოსაყენი. შეიძლება ერთს რისამე ლოდინს რომ ბოლო მოეღოს, მაშინვე მეორე საგანი აუჩინო და ამას მიუსიო ადამიანის მუდამ დამშეული გული. ამ გზით შეგიძლიანთ ადამიანის გულს არ მოაშოროთ ლოდინი არას-დროს. (V, 130).

108(5271). ლოცვა არც ფულზედ და არც ფულით არ იყიდება. (II, 47).

109 (5272). ლხინს რა ლაპარაკი უნდა? ძაღლს რომ უხარიან, კუდის ქნევითაც იტყვის ხოლმე. (II, 284).

110 (5273). ლხინსაც ჭირსავით ძილის გაფრთხობა სცოდნია, (II,95).

111 (5274). მაკალითი... ყველა ქადაგებაზე უფრო ძლიერია და მჭერმეტყველი... (IV, 262).

112(5275). მაგრამ ერთს რომ ასი გცემდეს,
კლდეც რომ იყო, გაგტეხს მტერი**. (I, 182).

113(5276.)... მადლიერ ადამიანისაგან ქებული და დიდებული ან ის არის, რომელიც რომელსამე საიდუმლოებას ქვეყნისას სამალავს უპოვნის, სარქველს ახდის, დამალულს აღმოაჩენს... ან ის, რომელიც ცდომას კუდში ხელს წაავლებს, მიწაზედ დაანარცხებს და გამარჯვებით დასძახებს: აგრე უნდა შენისთანა მატყუარასაო. („ივერია“, № 191, 1888, 1).

114(5277). მადლობა მომიხსენებია ბედისათვის, ეტყობა, არც ისეთი ინდაური ყოფილა. (X, 226).

115(5278). ... მართალზედ მართალია, ვისაც უთქვამს, რომ „ზოგი მდიდარია, თუნდ ერთის დღის მიწა ჰქონდეს, ზოგი ღარიბია, თუნდ თავიდამ ფეხებამდე ოქროში იჯდესო“. (VIII, 319-320).

116(5279). ... მარტო ენა-ამოუდგმელს ბავშს შეჰფერის ხმარება იმისთანა სიტყვებისა, რომელთაც არც საგანი აქვთ, არც საბუთი, არც მიზეზი არსებობისა. (III, 200).

---

* შდრ.: „უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების“.
შ. რუსთაველი. (რედ.).

** შდრ.: „რა ერთსა გცემდენ ათასნი, ეგრეცა მოგერევიან“.
შ. რუსთაველი. (რედ.).

117(5280). ... მარტო საერთოდ, საზოგადოდ დანახული ჭირი თუ ლხინი მოასწავებს შემოქმედობითის ძალის დაბადებას და მოვლინებას. მაგის გარეთ მაგ ძალას არც მიზეზი აქვს თავის გამოჩენისა და არც საზრდო რჩენისათვის. (V, 152).

118(5281). შარჯვე მკლავი ცოტაა? (II, 129).

119(5282). მბაძს მბაძი არ დაელევაო, ნათქვამია.*

120 (5283). მდგომარეობა და მდგომარეობაში მყოფი ორი სრულიად სხვადასხვა სამცნეა, ერთმანეთზე შორი-შორი. (VI, 266).

121(5284). მე დაკარგული მენანება, მებრალება და არ მემართლება კი. (II, 314).

122(5285). მე მოკლედ ესჯი და მოკლედ ვსჭრი. (V, 334).

123(5286). შებადური ბადეს არ ესვრის ხოლმე, თუ წყალი მღვრიე არ არის. (IX, 63).

124(5287). მეცხვარემ და ნამეტნავად თუშმა იცის ყადრი... ერთგულის და მართლა საქებარის ოთხფეხისა (ძაღლისა — რედ.)... (II,324).

125(5288). მზე ზამთრისა ყვავილს ვერ ამოიყვანს**. (II, 68).

126(5289). ... მიდგომა „ჰოს" თქმაშიაც შესაძლო და „არას" თქმაშიაც. (IV, 37).

127(5290). მითხარი, ვის იცნობ, გეტყვი ვინა ხარო, ნათქვამია***. („ივერია", № 192, 1888, 1).

128(5291). ... მკვახე ხილი... როგორც მოგეხსენებათ კბილსა სჭრის. („ივერია", № 29, 1898, 2).

129(5292). მკვდარს პატრონობა რამ უნდა. (II, 325).

130(5293). მოკლე სიტყვა სჯობია... (II, 170, 372).

131(5294). მოხსენებას იმიტომ ურდგენენ ხოლმე კრებას, რომ კრებამ თავის აზრი სთქვას. („კვალი", № 8, 1893, 5(21).

132(5295). ... მცოდნე კაცების ჭირნახულობა, გამოცდილება, ცოდნა რომ შენსას ზედ დაემატოს, — კარგი არ იქნება? უფრო ადვილად არ გაიძლობ კუჭს, უფრო ცოტა ოფლით ბევრს არ მოიმკი? (II, 51).

133(5296). მწუხარება, სიღარიბე, უილაჯობა — ესენი ყველაფერი იმისთანანი არიან, რომ ყველას ადვილად თვალში ეცემიან. (II,435).

134(5297). ნაგავში ხელის რევა და ნაგავის ქექა ვერაფერი სასიამოვნო საქმეა („ივერია", № 211, 1887, 1).

135(5298). ნათქვამია, თუ მთა შენთან არ მოვიდა, შენ მიდი მთასთანაო****. („ივერია", № 274, 1891, 1).

---

* ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

** შდრ.: „ზამთრის მზე ყვავილს ვერ მოიყვანსო".
ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

*** ეს გამოთქმა ფრანგული ანდაზაა. (რედ.).

**** ეს შეგონება აღმოსავლური ანდაზაა. (რედ.).

136(5299). ... ნატვრა და ახდენა ნატვრისა ერთი და იგივე არ არის. („ივერია", № 29, 1898, 2).

137(5300). ნეტარ არიან უმეცარნი და ყრუნი... (V, 110).

138(5301). ნუთუ მართლა — რაც მღვრიე წყალისათვის შაბია, ის მღვრიე გულისათვის ლოდინია?... (V, 130).

139(5302). „ოცნებაში ჩაფლვა" შეუძლებელია, ჩემის ფიქრით. (III, 48).

140(5303). რა არის უარყოფა ცალკედ? ჰოს გაბათილებაა და მის სამაგიეროდ „არას" გაჰოება, თუ ესე ითქმის. თუ ამ უარყოფას თავისთავად შეუძლიან რამ, ხომ ამ გაჰოებულს არასაც თავისი ქამანდი უნდა უგდოს და ტახტიდამ გადმოაბრძანოს, თუ ბოლომდე თავის საკუთარს წერას ჰსურს რომ აჰყვეს და თავის-თავს არ უღალატოს, თავისი-თავივე უარი არა ჰყოს, არ გააბათილოს... თუნდ ამასაც თავი ვანებოთ: უარყოფა სხვა მხრითაც რაღაც ჭკვა-შეშლილის მასხარაობას მოგვაგონებს, იმიტომ რომ „ჰოც" ისეთივე უარყოფაა „არასი", როგორც „არა" „ჰოსი", და თუ სიმართლე, სიბრძნე და ლიბერალობა მარტო უარყოფაშია, „ჰოსაც", ვით „არას" უარმყოფელს, ისეთივე პატივი უნდა ჰქონდეს, როგორც „არას", „ჰოს" უარმყოფელს. (III, 302-303).

141(5304). რა საგანსაც, რა მოვლენასაც-კი, კაცთა ხელიდამ, თუ გონებიდამ გამოსულს, გულში ჩაჰხედავ, დაინახავთ, რომ ჰო-არაობის ჭიდილსა და ქარცეცხლშია გამოტარებული. (III, 301).

142(5305). რა საძრახისია სიღარიბე, თუმცა-კი არც ბედნიერებაა? (VIII, 139).

143 (5306). რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდობას ცარიალ სტვამაქით. (II, 28).

144(5307. ... რას იზამ და რას უზამ კაცის ბედის უკულმართობას. (X, 353).

145 (5308). ... რას იზამთ, როცა შენსას არ გაიგონებენ და შენი აზრი შეცდომადაც კი მიაჩნიათ. („ივერია", № 108, 1891, 2).

146(5309). რასაკვირველია, ყველაფერი შესაძლებელია. (VIII,60).

147(5310). რაც გინდა სთქვან, ღონე და ძალა იმისთანა რამ არის, რომ იმის კალთის დაჭერას ცხვირს ზევით არავინ იცილებს, თუ შესაძლებელია. ასეთია ეს წუთისოფერი. (IX, 180).

148(5311). რაც კარგია — თავისთავად დიდია. (II, 294).

149(5312). რაც კარგია, იქ დიდ-პატარაობა მოსატანი, სახსენებელი არ არის. (II, 294).

150(5313). როგორათაც მოგზაურობა კაცისათვის სასიამოვნო არის, ისე აღწერა რომელიმე ქვეყნისა უნდა უთუოდ სანუკვარი იყოს

ჩვენთვის. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 316).

151 (5314). რომ კაცი ყველგან დაესწროს, სად წავა? და ან რა საჭიროა? (V, 64).

152(5315). როცა ბულბულები ერთმანეთს განშორდებიან, ერთმანეთის ფასს მაშინ ჰსცნობენ და უფრო საოცრად გალობენ. კანარეიკებმაც ეგრე იციან, თუ არ განაშორებენ, ვერ მღერიან. (X, 362).

153(5316). სად კუის ცოცვა და სად გაჭენებული ცხენი. (III, 403).

154(5317). სადაც ჩაი, სორგო, ალისარჩული, აბრეშუმი მოდის, საცა ბამბა ხეირობს, საცა ყოველგვარი ხეხილია შესაძლებელი, საცა ყურძენი მოდის, ღვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქმის ყოველგვარ საზეთე, სამღებრო და სააფთიაქო მცენარეებისა, იქ მიწისა და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულისათვის, როგორც, მაგალითებრ, პურია, ჩვენის ფიქრით, დიდი შეცდომაა. (VII, 64).

155(5318). (საზოგადოების ცხოვრებაში დადგება ხოლმე—რედ.)... ისეთი დრო... რომ ბევრი რამ უნდა ვითმინოთ, ბევრს რასმეს ისე უნდა აუაროთ გვერდი, თითქო არ ვხედავდეთ. (X, 164).

156(5319). (სათითაოდ და ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, რომ—რედ.)... ტყუილ-უბრალოდ არ გააბიაბრუონ პატიოსანი კაცი. (X, 149).

157(5320). საკვირველია, ღმერთმანი, სიმართლისთვის რას გაძლევენ, რომ ტყუილისთვის რა მოგცენ. („ივერია", №157, 1886, 4).

158(5321.) ... (სამსახურიც არის და სამსახურიც. (II, 382).

159(5322). ... (სამწუხაროდ, ამ — რედ.) ცოდვილ ქვეყანაზედ რა არ მომხდარა ჩვენის ცოდვებისაგან? (II, 158).

160(5323). (სანამ ვართ და ვსულდგმულობთ — რედ.) ღვთის ბრძანებას ვინ წაუვა? (II, 149).

161(5324). საქმე საგანია, რომლის მიღწევაც ადამიანისათვის არის უმაღლესი სიამოვნება. (II, 461).

162(5325). ... საქმიანი გძელი თქმა სჯობია, უსაქმურს მოკლედ თქმასა. („ივერია", № 150, 1887, 1).

163(5326). საშინელია, როცა გული სტირის და კაცი ტირილის მაგიერ სიცილით ქვითინებს; მეტის-მეტად მომხიბლავია და დამატკბობელი, როცა გული სიხარულით უმღერს კაცს და ცრემლით კი იცინის და მხიარულობს. უდიდესი გამოცხადება, უდიდესი ზედმოქმედება ადამიანის გულზედ, თავით-ფეხებამდე ზარდამცემი ძლიერება ცრემლისა და სიცილისა სწორედ მაშინ არის, როცა ერთს მეორის ადგილას ჰხედავთ, თუმცა მიზეზი მოვლინებისა ერთისაა და არა მეორისა. (III, 118).

164(5327). საცა მიზეზი ჭირისა ზედმიწევნილად მიგნებულია, იქ მკურნალობა ერთი-ორად გაადვილებულია. VII, 38).

165(5328). საცა წვრილია იქ გაწყდეს* (X, 311).

166(5329). ... საწყაოდ ავისა და კარგისა, მართლისა და ტყუილისა დარჩა სიავე და სიკარგე, სიმართლე და სიცრუე და სხვა არაფერი. (III, 295).

167(5330). სახარების სიტყვას ვინ წაუვა? (II, 157).

168(5331). სახლია, კარია, ყველას გაძღოლა უნდა. (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 289).

169(5332). სიტყვა თქმაა და არა ქმნა. თქმისა და ქმნის შუა დიდი ეზღვარია. (V, 133).

170(5333). ... სიტყვამოკლეობამ იცის მითქმა-მოთქმის ატეხა... (VII, 474).

171(5334). ... სიტყვას ბაკი არ ადევს („ივერია", № 211, 1887,2).

172(5335). სიღარიბე ბრძოლაა, სიმდიდრე განცხრომაა,—და განცხრომა, ჩემის მოხვეისა არ იყოს, საფლავშიაც გვეყოფა. (X, 316).

173(5336. ... სიღარიბე ძნელი ასატანია. (II,475).

174(5337). სიღარიბეს წინ ეკლიანი გზა უდევს, იგი მიდის და ეკალი ჰშაშრავს მის შიშველს ფეხსა და ტანსა. აქ სვლა მსხვერპლია, თავის გაწირვაა, თავის გაძომეტებაა. (IV, 337).

175(5338). სიჩქარით, შენი ჭირიმე, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, სოფელი არავის მოუჭამია". (II, 331).

176(5339). სიცოცხლეში ხშირად არ მოგვევლინება იმისთანა რამ, რომ ჭკვა გვასწავლოს, თვალი აგვიხილოს. (II, 318).

177(5340). ... სტყუის, ვინც სთქვა —
მუნჯისაგან ყბედის ძლევა**. (I, 120).

178(5341). სჩანს, ქვეყნის ტკივილი დაუყუჩავია. (II, 23).

179(5342). სჯობია მარტო ხმელ პურზე ცხოვრობდე, ვიდრე გქონდეს შეძლება და პურს ვერ შოულობდე. (X, 254).

180(5343). ტკბილი სიტყვა რა არის?... ამ გამწარებულს წუთისოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. (II, 253).

181(5344). უერთ-ურთოდ (იგულისხმება სიმაძღრე და ჯანის სიმრთელე — რედ.) ქვეყანაი გონჯაა. (II, 25).

182(5345). უმადურობას კაცი არ მოუკლავს. (II, 392.

183(5346) უცოდველი ვინ არის? (II,278).

---

* შდრ.: „გაწყდეს, სადაც წვრილიაო".
ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

** ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „აჩქარებითა სოფელი ვრავის მოუჭამიაო". (რედ.).

*** ამ აზრის ანტონიმია ქართული ხალხური ანდაზა: „ყბედი ვინ მოღალა და მუნჯმაო". (რედ.).

184(5347). ფიქრი და მოწყენა გაუყრელნი და-ძმანი არიან. (II, 131).

185(5348). ქალი ბედს შინ მოელოდინება, კაცი კი გარეთ ეძებს...* (II, 287).

186(5349). ქართველებთან საქმის დაჭერა ძნელი რამ ყოფილა. (X, 311).

187(5350). ... ქარის მოტანილი, ქარმავე უნდა წაიღოს**. („ივერია" № 225, 1886, 1).

188(5351). ... ქალალდების წერასა და საქმის უკან დევნას თავისი აუცილებელი ზარჯი აქვს. (VIII, 429).

189(5352). ქვეყანა დიდია. (II, 72).

190(5353). ქვეყანა მეტად საფრთხილებელი ყოფილა. (X, 315).

191(5354). ქვეყანა ღვთისა დიდია და ფართო... (II, 32).

192(5355). ქვეყანა ღონიერია. (I, 122; II, 260; X, 292).

193(5356). ქისტი... საოხუნჯო ალერსია. (II, 126).

194(5357). ... ქონება ... იმის ხელში, — ვინც გამოყენება იცის,—კაი ლუკმა არის. (II, 128).

195(5358). ქოფაკმა ძაღლმა რომ კურდღელი დააბრუნოსო, დაჭერად ჩაეთვლებაო, ნათქვამია***. (II, 365).

196(5359). ... ღარიბს ისე მოუაროთ,
რომ მდიდარს არ შენატროდეს. (I, 188).

197(5360). ღმერთი გვიპატივებს, თუ კაცმა ვერ გვიპატივა. (II, 106).

198(5361). ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ ღასდებს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს. (II, 240).

199(5362). ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს. (II, 239).

200(5363). ღმერთი ისეთი სულელი კი არ არის, რომ ადამიანთა უგუნურებას ყური ათხოვოს. (X, 195).

201(5364). ღმერთი სჯის ქვეყანას ცოდვილს... (I, 210).

202(5365). ღმერთი ... ყველასა ჰხედავს. (II, 53).

203(5366). ... ღმერთი ყოვლადშეძლებელია და იმანაც კი ექვსი დღე მოანდომა ქვეყნის აშენებას. (VII, 42).

204(5367). ღმერთი, ჩემო ძმაო, მარტო კარგის საქმით იდიდება და არა ფულითა. (II, 47).

---

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „ქალი ზის და ბედს ულისო". (რედ.).

** შდრ.: „ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო".
ქართული ხალხური ანდაზა. (რედ.).

*** ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

205. (5368). ღმერთია მოწყალე, იმისი ნუგეში დიდი არის, ღმერთი არის ყველას მფარველი, მოჭირნახულე ადამიანი იმას უყვარს; რაც უნდა მოხდეს, უნუგეშოდ არ გაუშვებს. (II,65-66).

206(5369). ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი... (I,216).

207(5370). ღმერთმა კურთხეა დიდ საქმეში წინ წაგიმძღვაროთ! (1,155).

208(5371). ღმერთმა მშვიდობით, დღეგრძელობით და ბედნიერებით გამყოფოთ ყველანი ერთად და თვითეულად ცალკე. (X, 334).

209(5372). ღმერთმა ყოველთვის მშვიდობით, ბედნიერად და სიამოვნებით გაცხოვროთ*. (X, 20).

210(5373). ღმერთმა ყოველთვის... ძლევამოსილად გამოგიყვანოთ ყოველის უსიამოვნო მდგომარეობიდამ (ი. ჭავჭავაძე, „წერილები", I, სოხ., 1949, გვ. 120).

211(5374). ღმერთმა ხელი მოგიმართოს ყოველს... საქმეში, რომელიც ყველასათვის ერთნაირად სასიამოვნოა. (X, 25).

212(5375). ღმერთო დამიხსენ ქვეყნის ცოდვისაგან. (II, 154).

213(5376). ღმერთო მაღალო! სადაც კი შენი მადლიანი ხელი ურევია, იქ ყველაფერი საყოველთაო ყოფილა! (II, 43).

214(5377). ღმერთო! რამდენი... ცრემლი იღვრება ამ შენგან გაჩენილ დედამიწის ზურგზედ, მაგრამ სიავე ადამიანისა აქამდის არ ჩაირეცხა. დიდება შენს მოთმინებასა. (II, 92).

215(5378). ღმერთო შეგცოდე, მაგრამ ნუ გააჩენდი ისე, რომ კაცს ერთი უფრო მეტად უყვარდეს, ვიდრე მეორე. (II, 419).

216(5379). ღმერთო, შეგცოდე, მაგრამ შენგან გაჩენილს ადამიანსა მარტო შენი სახე თუ მისცემია, თორემ გული კი არა. (II, 95).

217(5380). ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი. (II, 239).

218 (5381). ყველა ტკბილ ძილში ბედითა სტკბება. (I,22).

219(5382). ყველას ემწვავება ხოლმე, როცა ვარაყით მოოქროვებულს კაკალს დაჰხარის, შიგ კაი გული დევსო, და თქვენ-კი გაუტეხთ და შიგ გულის მაგიერ ჭიის საბუდარს დაანახვებთ. (VII, 388).

220(5383). ყველაფერი ბედი ყოფილა, ჩემო ძმაო. (II, 59).

221(5384). ყველაფერი ბედია. (II, 387).

222(5385) ყველაფერი ღვთის ნებაა. (II, 389).

223(5386). ყველაფერს შეჩვევა უნდა (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, IV, 359-360).

224(5387. ყოველისფერი თავის ადგილას არის კარგი. („საქართველოს მოამბე", № 6, 1863, 35).

---

* ეს ფრაზა იხ. აგრეთვე: I, გვ. XXI. (რედ.).

225(5388). ყოველს სასმელს, თუ საჭმელს ყოველთ უწინარეს უპირველესი ღირსება უნდა პქონდეს, რომ აგებულებისათვის მარგებელი იყოს და მაინცდამაინც მაწყინარი ბრა. (VII, 82).

226(5389). შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი,
შაბაშ საქმე შენგან ქმნილი!* (1,126).

227(5390). ... შეუძლებელი არ არის-რა. „ცნობის ფურცელი", № 1473, 1901, 2).

228(5391). შეუძლებელის დევნაში შესაძლებელიც ხელიდამ არ გამოგეცალოს! („ივერია", № 9, 1883, 122).

229(5392). ... შეძლებით რა არ შეიძლება. (II 180).

230(5393). შინაურულად მორიგება ძალიან კარგია მხოლოდ მაშინ, როცა საქმე ისე დაბოლოვდება, რომ მომავლისათვის შიგ სადაეიდარაბოდ აღარა დარჩება რა. (X, 76).

231 (5394). შიში შეიქმს სიყვარულსაო**. (II, 139).

232(5395 შუბი დიდია და მძლავრი,
სისხლმღვრელი, სისხლის მსმელია,
წყნარი, პაწია ნემსი კი
შიშველ-ტიტველთა მცმელია. (I,106).

233(5396). ... ჩემი ნატვრა ის არის, რომ სოფლად ვიცხოვრო და ხილად ქალაქში ჩავდიოდეთ. (X, 331).

234(5397). ჩვენ მარტო ის ვიცით, რომ თითებზედ შეიძლება თვლა და არა თითებითა. (III, 23).

235(5398). ... ჩვენებურ გლეხის ფეხსაცმელსაც (ქალამანს—რედ.) თავისი სიტურფე და სილამაზე აქვს. (II, 262).

236(5399). (ჩვენი აზრით — რედ.) неблаговидно-დამ ბიწიერებამდე... დიდი მანძილია. („ივერია", № 93, 1896, 3).

237 (5400). ცარიელ მშვიდობა მიწაშიც გვეყოფის. (II, 29).

238(5401). ცის ქვეშეთ რა არ მოხერხდება, შენა თქვი კაცმა თავი გაიმეტოს... (II, 382).

239(5402). ცოლ-ქმრობის საქმე ცაში ჰრიგდებაო.*** (II, 271, 377).

240(5403). ცოტა იქნება პირველში სამუშაო, თუ ბევრი, ამაზე-კი არ უნდა იყოს დამოკიდებული რიცხვი საჭირო კაცთა, არამედ იმაზე, რომ საქმე სამერმისოდაც პირველშივე მკვიდრად დალაგდეს, ძირი მაგრად გაუკეთდეს, სათავე განზრახულს ბოლოს პირველშივე შეუფერონ, დღეანდელი დღე, დღეანდელი საგანი, ხვალის მშობლად გაპხა-

---

* შდრ.: „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი!"
1 შ. რუსთაველი (რედ.).

** ი. ჭაეჭავაძეს ეს შეგონება („...შიში შეიქმს სიყვარულსა") აღებული აქვს „ვეფხისტყაოსნიდან". (რედ.).

*** ეს გამოთქმა ქართული ხალხური ანდაზაა. (რედ.).

დონ და საქმე თანდათან მატებაში შეიყვანონ და მატების გზაზე დაა-ყენონ.

აქ ყოველივე ხელნაკლებობა ხარჯისა მომაკვდინებელი შეცდომაა. (VII, 50).

241(5404). ცოტად თუ ბევრად გათანასწორებული მაძღრობა ყველასი ისე ოვალში საცემი არ არის, ისე არა ჰლაპლაპებს, როგორც მოიქროებული ყოფა-ცხოვრება ათასში ერთის ბედიდარისა. („ივერია", № 16, 1889, 1).

242(5405). ცრემლი ყოველთვის არ არის უბრალო წყალი, ცრემლი ზოგჯერ ფარია, და დროზედ ხმარებული ფარი იგივ ხმალიაო, ვილაცას უთქვამს. (II, 319).

243(5406). ცრემლს ამ ქვეყანაში გასავალი არა ჰქონია, — ტყუილად ნუ ჰღვრი. (II, 106).

244(5407). ცუდად შრომას ისევ ცუდად ჯდომა სჯობია*. (IV, 154).

245(5408). ცუდი თითონ საზიზღარი არ არი: ჩემის ფიქრით ცუდი და კარგი ქვეყანაზედ თავის-თავად არ არსებობს. (II,459).

246(5409). (ცუდია, როცა—რედ.)... შენი ნება შენს ხელთ არ არის. (II, 79).

247(5410). ... ძალად გამოყვანილს წყალსა წისქვილის დაბრუნება არ შეუძლიან: ის არის უღონო. („საქართველოს მოამბე", № 6, 1863, 34).

248(5411 (ძილი — რედ.) ... ჯანის სიმრთელეა, როგორც სომხები ამბობენ";** („თბილისი", № 274, 1983, 3).

249(5412). ძილში ჭკუა არ მოქმედობს. (III, 177).

250(5413). ... ძნელად იქნება იმისთანა უბედური, რომ მკვდარს არავინ მისტიროდეს. ხოლო მრავლის-მრავალს მისტირის მხოლოდ მახლობელი და ნათესავნი, სხვა-კი—ცხედარის დანახვაზედ — მარტო სიბრალულით შენდობას თუ ეტყვის და ამით ათავებს თავის საქმეს... (IV, 223-224).

251(5414). ... წამალი ერთისათვის მარგებელი მეორისათვის შესაძლოა საწამლავადაც შეიქმნას. („ივერია", № 7, 1886, 1).

252 (5415). წვრილმანმა წვრილმანს მოუკიდოს ცეცხლი. (X, 110).

253(5416) წვრილმანს... ხურდა ფულითაც იყიდი, ე. ი. ადვილად მოიპოვებ. (X, 209).

---

* ამ აზრის ანტონიმია ქართული ხალხური ანდაზა: „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო". (რედ.).

** შდრ.: „ძილი სიჯანსაღეაო".

სომხური ხალხური ანდაზა. (რედ.).

254(5417). წინ გამოხატული საგანი სცვლის სიამოვნებად შრომასა, თავისთავად უსიამოვნოსა. ეს არის ჩემი აზრი. (II,462).

255(5418). წყალშიაც არ ითქმის ჩაფლვა, თორემ ოცნებაში ხომ უფრო არა. (III, 5419).

256(5419). ჭირი დანახული სჯობს დაფარულსა, თუმცა ორივ ჭირია და არც ერთი არ არის სასატრელი. (V, 344).

257(5420). ჭირი ხომ ჭირია, მაგრამ ჩვენი ხალხი ამაზედაც ამბობს, რომ შეჩვეული სჯობია შეუჩვევარსაო*. (VI, 23).

258(5421). ჭკუამ სთქვა: წუთის-სოფელსა
ალმართი მე ვახვნევინე,
თესლი მოვკრიბნე და ხნულში
დავთესე, დავაბინავე,
უღონოს ღონე მე ვიეეც,
ხელი მე გავაქნევინე.
გულმა სთქვა: ჭკუავ, ბართალ ხარ,
და ზოგიც მე მაოქმევინე:
შენი ნახნავის ვორახი
ფარცხით მე მოვაფშვნეტინე;
ნაკლოვი, მშრალი ბელტები
ცრემლით მე მომარწყვევინე;
შენი ნათესი, ნანერგი
სიხლის ღვრით გამაზრდევინე;
შენსა ჯეჯილში, ყანაში
ღვარძლი მე ამარჩევინე;
ნაამაგარი ძნად შევკარ,
ზვინად მე დამადგმევინე...
ვკვნეს, რომ ერგოს ყველას სწორად,
და შენ ეს ვერ გაქმნევინე, —
არ იქმნა, ჭკუავ, მადლის გზა
მე შენ ვერ დაგაქნევინე. (I, 108-109)

259(5422). ხაფანგი-ხაფანგია, მაგრამ ოსტატობასაც ბევრი რამ შეუძლიან. (V, 63).

260(5423). (ხშირად—რედ.) ... წვრილმანობას დიდი მნიშვნელობა აქვს. („ივერია", № 153, 1886,1).

261(5424). ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე! შენ რომ არ დაარსებულიყავ ქვეყნისათვისა, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურობაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა... შენის კალთის ქვეშა, ვინ იცის, რამდენი გაბოროტებული მტერი ადამიანისა ეხლა თავს იმალავს?...

* ამ ფრაზაში ჩაქსოვილია ქართული ხალხური ანდაზა: „შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსაო". (რედ.).

შენა ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დამფრთხალს გონებასა უბედურობას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე; შენა ხარ ჟამი და დრო კუდიანების სერობისა, სადაც ისმის სადღეგრძელო სიბნელისა და უმეცრებისა. (II, 22-23).

262(5425). ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!... (II, 23).

263(5426). Бог не так глуп, что внимат неблагоразумию людей. (X, 415).

264(5427). Да благославит вас господь, чтобы везде и всюду выходили победителями ... („საისტორიო მოამბე", ტ. 3, თბ., 1947, გვ. 202).

265(5428). ... как-то лучше, когда знаешь, что письмо читается только тою, к которой адресовано. (X, 435).

266(5429). Лишь право сильного раб свято почитает*. (X, 38).

267(5430). Лучше жить куском одного черствого хлеба, чем иметь средства, но не иметь возможности достать себе хлеб. (X, 460).

268(5431). ... мелочи мелочами же покупаются. (X, 426).

269(5432). ... раз протест есть, значит есть и канва. („ლიტერატურული ურთიერთობანი" კრებული II, თბ. 1969, გვ. 240).

270(5433). ... судьба ... как видно ... но совсем индейка. (X, 438).

271(5434). Хотя апельсин и желтого цвета, но из этого, конечно, не следует, что бронза, будучи вдвое желтее апельсина, имеет вдвое больше оснований называються апельсином. («Тифлисский вестник», № 115, 1876, 2).

---

* ეს გამოთქმა რუსული ანდაზაა. (რედ.).

РЕЗЮМЕ

Изучению и анализу богатейшего художественно-публицистического и эпистолярного наследия И. Чавчавадзе (1837-1907) (как и глубоко-содержательной жизни и общественно-политическое деятельности этого истенного патриота) в грузинской литературоведении и историографии было посвещено не мало квалифиционных трудов специальных исследований, монографий или публикаций, в которых полно представлена деятельности Ильи Праведного. Несмотря на это, без сомнение, что и в будущем будет много сказано и написано о творчестве и грандиозной благотворительности И. Чавчавадзе, ибо феномен этого великого человека и глубокого мыслителя так-же неисчерпаем и неистощим, как и тот благодатный язык. на котором творим свои бессмертные произведения и на страже чистоты которого до последних минут стоял он.

Разные думы и мысли Ильи Чавчавадзе, которые сразу же стали украшением духовного богатства грузинского народа, хотя и представляют единую сокровищницу, но, как и любая сокровищница, содержат перлы особого сияния. Также и в художественных, публицистических, исторических, экономических, социологических произведениях щедро рассыпаны афоризма, сентенции, максимы, эпиграммы и прибаутки, собрание, систематизацие и изучение которых глубже покапеет исполинскую фигуру гениального мыслителя.

Основоположеник грузинской научной педагогики Я. Гогебашвили пишет: «Слава Ильи тем больше растет, чем ближе познакомится грузинский народ с подлинным Ильей, осознает его богатый и чистый грузинский язык. его высокие думы, прогрессивные идеалы, его демократическую направленность» (Я. Гогебашвили. соч., т. 4, с. 177) (на груз. яз.) четырнадцать мудрых строф под рубрикой «Дамаквирди» (Присмотрись) внесены в следующие издания его сочинений и

избранных произведений: 1. «Сочинения Ильи Чавчавадзе», т. I, 1982, с. 279-292; 2. И Чавчавадзе полный сб. произведений, I, Тифлис, 1929. с. 91-94; 3. И. Чавчавадзе, полный сб. сочинений в пяти томах, т. I, Тб., 1937, с. 102-105; 4. И. Чавчавадзе, соч., полный сб. в десяти томах, т. I, Тб., 1951, с. 106-109; 5. И. Чавчавадзе, соч., в двух томах. т. I. Тб., 1977, с. 108-111; 6. И. Чавчавадзе, избранные произведения в пяти томах, т. I, Тб., 1985, с. 120-123; 7. И. Чавчавадзе. соч., полный сб. в двадцати томах, т. I, Тб., 1987, с. 155-58.

Мудрые мысли И. Чавчавадзе дидактико-познавательного и воспитательского характера более — менее полно опубликованы и в советской грузинской прессе с 50-х годов текущего века были изданы следующие сборники мудрых высказываний великого писателье И. Чавчавадзе: 1. «Афоризмы», собранные Борисом Канделаки, Тб., 1957 г., 2. И. Чавчавадзе «Прибаутки», собранные Б. Канделаки. Тб., 1962; 3-4. «Присмотрись», афоризмы и сентенции из газ. «Иверия» собрал, составил, снабдил предисловием и заметками Александр Сигуа. Тб., 1965 и второе издание в 1987 г; 5. «Присмотрись» из газ. «Иверия» собрал и составил А. Сигуа. Тб., 1970; 6-7. И. Чавчавадзе «Им советует, язык говорит. собрал Б. Канделаки, Тб., 1978 и вт. изд. в 1987 г; 8. «Мудрые высказывания И. Чавчавадзе собрал Ц. Саникидзе, Тб., 1986; 9. И. Чавчавадзе «Повести и афоризмы» составил и подготовил к изданию Л. Харебати, Цхинвали, 1987. на осетинском языке; 10-11; И. Чавчавадзе «Мысли" составил Г Каландаришвили, Тб., 1988 и вт. изд. в 1989, с. 693-704;

Несколько мудрых назиданий были напечатаны в следующих сборниках: 1. «Занимательные беседы» составили Этери Гелашвили, Тб., 1957; 2. «И. Чавчавадзе о языке» составила Э. Гелашвили Тб., 1960, с. 66. 3. «В мире мудрых мыслей», Тб., 1988, вт. изд. 1989; 4. Г Нишпианидзе «Из архива смеха», Тб., 1971; 5. «Пословицы, афоризмы" составил Александр Чавленишвили, 1977, с. 8, 12, 13, 16, 19 и др.; 6. И. Чавчавадзе—150. Юбилейный сборник; Тб., 1987, с. 7-8; 7. «Сокровищница мудрости», композиция Вахтанга Куправа. Тб., 1987; 8. «Мцигнобари» («Книжник»), Тб., 1987, с. 30, 94, 122, 146, 178; 9. Акакий Геловани. «Симфония мудрости», Тб., 1989, с. 693-

704; 10. "Эфрем-верди», Тб., 1989, с. 245 и др. рассеянные в полном сборнике сочинений (в десятитомнике) И. Чавчавадзе афоризмы и крылатые выражения, скрупулезно раздобыл, тематически расположил и с указанием источников опубликован исследователь И. Беришвили.

Вот тот основной материал, которым мы располагали в процессе работы над сборником. К сожалению, следует заметить, что во всех вышеуказанных сборниках фактически внесены одни и те же высказывание И. Чавчавадзе. Поскольку эти в этом смысле сборники чуть ли не идентичны (исключениями являются только составленные Г. Каландарешвили и в особенности, Ц. Саникидзе сборники) и исходя из этого они ни по содержанию, ни по объему не могут показать божественного разума И. Чавчавадзе. Предстоящее издание является скромной попыткой частично восполнить именно этот пробел. В сборнике тематически, в алфавитном порядке, с указанием источников мы расположили выборки из десятитомника афоризмов, сентенций, прибауток, эпиграмм. В сборнике римскими цифрами указываем соответствующий том указанного десятитомника, а арабскими цифрами — страницу.

Кроме того, рукописи которые мы разыскали как по официальным аналитическим библиографическим справочникам, так и по отдельным публикациям выдающихся исследователей. Следует здесь же упомянуть очень полезный труд Т. Саникидзе: «Словарь поэзии Илы Чавчавадзе» (Тб., 1988) и изданный в Цхинвали в 1987 г. сборник «Материалы педагогической терминологии И. Чавчавадзе, которые оказали нам большую помощь при исследовании, установлении и уточнении мудрых высказываний (главным образом, строф) великого мыслителя И. Чавчавадзе, который по словам И. Гришашвили «хорошо знал силу своих слов» (И. Гришашвили, соч., сб., т. 5, Тб., 1965, с. 355) для укрепления своих мыслей все-таки часто прибегал к древнегрузинской литературе. Именно поэтому, в его художественных творениях, критических и публицистических сочинениях в изобилии встречаем афоризмы великих мыслителей — предшественников Ш. Руставели, Д. Гурамишвили, Арчила, Вахтанга VI,

Бесика и др. славных предков, а также остроумные куплеты из «Камила и Димры». Ввиду того, что И. Чавчавадзе в своих произведениях в основном не указывает авторов этих, так сказать, «заимствованных" афоризмов, из-за чего они внесены в некоторые вышеуказанные сборники как сентенции великого мыслителя, что, безусловно, вызывает определенные неудобства, мы сочли целесообразным снабдить их особыми указаниями. С целью придать завершенный вид многим дидактическим мыслям, выбранным из многообразных художественно-литературным, публицистическим и эпистолярных произведений И. Чавчавадзе мы решились дополнить их соответствующими словами (надеемся, что это не сочтется нам в дерзость) и подать их читателю в таком виде. Что касается того, насколько нам удалось сохранить при этих операциях стих и почерк И. Чавчавадзе, судить это, как объективно оценить весь сборник, считаем делом всего грузинского народа.

RESUME

There is a body of scientific work, special research, monographs and essays devoted to detailed studies of the richest literary heritage of Ilia Chavchavadze (1837-1907) in lit. studies and in the history of Georgian Literature. All these studies express comprehensively these wise thoughts and activities of his, concerning not only his actual works but also the interesting personal and social life of that holy compatriot and a true representative of the Georgian people. Despite this fact, no doubt much will be said and iscovered in the future about Ilia Chavchavadze's great works and generous charitable activities. His personality as a great thinker is inexhaustible as well as his language which is used in his stories, novels and poetry. He considered the Georgian Language as the purest property of Georgians and was a guardian of its non-desecration and non-profanity to the end of his life.

Many faceted and diverse works of Ilia Chavchavadze became the precious property of spiritual value for Georgian people. The treasure left by I. Chavchavadze consists of many proverbs, axioms, maxims, epigrams and witty sayings by him. Analysis and systematization of all these work will better show us the importance of our great genius. The founder of Georgian pedagogical Science Iakob Gogebashvili said: „Ilia will become more famous and greater as the Georgian people study his rich and pure Georgian Language thoroughly; realise his progressive ideas, thoughts and democratic points of view". As is generally known, the leading articles of „the Iveria" (also some of the leaders of „the Droeba"), that belong to I. Chavchavadze, are unsigned). Of I. Chavchavadze's prose and poetic works, newspaper satires, various notes, addresses and letters of thanks, published in periodical magazines and newspapers of the time, a proportion only them (mostly fiction) have the author's signature.

The great majority of these works are published under the following pen-names, pseudonyms and krypton's of I. Chavchavadze: „Akhalmosuli" (Newcomer), „B. V.", „G. Ch", „Zumberidze", „Tkveni Tanamshromeli" (Your Employee), „Iverieli", „I. Iveriadze", „Laghidze", „I.Liakhvispireli", „I. Matseblidze", „I. Mitsoblidze", „Maxime Ghaghanidze", „Spiridon Chitorelidze", „Piruza", „Chven Uchinoni", „Jibraili", „M. Jimsheridze", „I. Ch.", „Ch", „W", „X", „Z". Furthemore", some of I. Chavchavadze's unsigned aphorisms, published in „the Iveria", have one star (*), some-two (**), some-tree (***), some-four (****), and some five stars (*****).

I. Chavchavadze's numerous aphorisms, maxims, laconicisms and other wise expressions were published on the pages of „the Iveria" under the heading „Damakvirdi" (observe me), introduced by himself also in other advanced newspapers and magazines and separately composed selections as far back as the 80s and 90s of the 19-th century and at the beginning of the 20-th century.

I. Cvavchavadze's fourteen wise strophes under the heading „Damakvirdi" appeared in the following selected works of the writer: 1. „I. Chavchavadze, Selections". vol 1. 1982 p. 279-292. I. Chavchavadze. Complete works. vol. 1, Tbilisi, 1929, p. 91-94. 2. I. Chavchavadze. Complete works in five volumes. vol. 1, Tbilisi, 1937. p. 102-105. 3. I. Chavchavadze. Complete works in ten volumes. vol. 1, Tbilisi, 1951, p. 106-109. 4. I. Chavchavadze. Selections in two volumes, vol. 1, Tbilisi, 1997, p. 108-111. 5. I. Chavchavadze, Selected works in five volumes, vol. 1, Tbilisi, 1985, p. 120-136. 6. I. Chavchavadze, Complete works in twenty volumes. vol. 1, Tbilisi, 1987. p. 155-158. 7. I. Chavchavadze.'s didactic-cognitive and educational expressions were published in the Georgian Soviet Press more or less in their entirity.

Researcher I. Beroshvili has completely looked for the sparkles of beneficent thoughts of Ilia Chavchavadze scattered in his collected volume (10 volumes). He arranged them thematically and indicated their sources.

In the second half of our century Georgian Readers' bookshelves were filled up with the following collection of Ilia Chavchavadze's wise expressions:

1. I. Chavchavadze, „Aphorisms" (selected by Boris Kandelaki), Tbilisi, 1957; 2. I. Chavchavadze, „Skhartula" (Shortspoken expressions) (selected by Roris Kandelaki), Tbilisi., 1962; 3-4. „Observe Me" (A. Sigua sellected aphorisms and sentences from „Iveria" compiled and added introduction and comments), Tbilisi. 1965 and 1987 (second edition); 5. „Observe Me". (selected and compiled from „Iveria" by A. Sigua). Tbilisi., 1970; 6-7. Ilia Chavchavadze, „Intellect advises, tongue says" (selected by B. Kandelaki), Tbilisi., 1978 and 1987 (second edition). 8. „Wise Expressions of Ilia Chavchavadze" (compiled by Ts. Sanikidze), Tbilisi., 1986; 9. I. Chavchavadze „Stories and Aphorisms" (compiled and prepared for publishing by L. Kharebati), Tskhinvali, 1987 ( ), 10-11. I. Chavchavadze, „Thoughts" (compiled by G. Kalandarishvili), Tbilisi., 1988 and 1989. (second edition).

Great Ilia's numerous wise suggestions were published in the following collections: 1. „Amusing Talk" (compiled by E. Gelashvili), Tbilisi., 1957; 2. „I. Chavhavadze About Language" (compiled by E. Gelashvili). Tbilisi., 1960. p. 66; 3. Acluster of Thoughts" (compiler — A. Gveladze), Tbilisi., 1962; 4. „In the World of Wisdom", Tbilisi., 1967; 5. G. Nishnianidze. „From the Archives of Laughter Satire in the Service of Revolution", Tbilisi., 1971, pp. 5, 6". Proverbs, Aphorisms" (compiled by A. Chavleishvili), Batumi, 1977, pp. 8, 12, 13, 16, 19, 20, 21, 27, 36, 38, 39, 40, 41, 44, 48, 56, 57, 58, 61, 64, 76, 77, 78; 7. „Ilia Chavchavadze — 150 Jubilative Collection". Tbilisi., 1987, pp. 7, 8; 8. „Treasure of Wisdom" (composition of Kuprava), Tbilisi, 1987; 9. „Bookman", Tbilisi., 1987; pp. 30, 94, 122, 146, 178; 10. A. Gelovani, „Symphony of Wisdom", Tbilisi., 1989. pp. 693-704; 11. „Eprem-Verdi", Tbilisi, 1989; p. 245 and others. This is the main published material about the wise reflections of Ilia Chavchavadze which we had at hand while working on this collection. Unfortunately, we should mention that one and the same expressions are presented in all above listed collections. It can be said that these collections are nearly identical in this respect. The exceptions are: „Collections compiled by G. Kalandarishvili and especially by Ts. Sanikidze. Therefore these collections can't express completely the content and the volume of creative work of I. Chavchavadze's great intelect.

This edition aims to fill this vacuum. Aphorisms, sentences, skhartulebi, epigrams, several iambikos selected from Ilia Chavchavadze's ten-volume compositions are arranged thematically in alphabetical order and indicate their sources In the collection Roman figures denote the reievant volume of mentioned compositions and Arabian figures-page.

We must also mention T. Sanikidze's very useful work „The Dictionary of Ilia Chavchavadze's Poetry" (Tb., 1986) and the anthology „The Material of Pedagogical Terminology in I. Chavchavadze's Mentality" which was published in Tskinvali, in 1987. These works were a great help towards a closer definition, determination and investigation of the Great Ilyia's wise expressions (mainly in stanzas and separate lines).

As I. Grishashvili said, I Chavchavadze knew the power of his words" very weli (I. Grishashvili, works, Anth., Volume 5, Tb., 1965, pg. 355), to prove his own ideas, he appealed to old Georgian Literature for aid very often. That's why, there are a lot of aphorisms of Shota Rustaveli. D. Guramishvili, Archil, Vakhtang IV, Besiki and many other philosophical forerunners in his works of art, critical works, and witty couplets from „Kilila and Damana". Due to the fact that I. Chavchavadze doesn't indicate the authors of the so-called „borrowed" aphorisms in his works, the result is that they are put in as the Great Ilia's own counsel in some of the quoted anthologies, which causes embarrassment, and we think it's expedient to make some remarks on them in the preceding collection.

To make I. Chavchavadze's didactic ideas from his many-faceted art and literature, critical and epistolary works complete, we venture to fill them with appropriate words (we hope, you do not consider us daring) and to give them to readers. As for how we can maintain Ilya's style during this scrutiny, it must be approached and analysed objectively by the Georgian people. We think it's the Georgian people's affair and that's why we commit this serious task to them.

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორ-შემდგენელებისაგან.

1. ადამიანის ბუნების, რაობის, დანიშნულების, ვალდებულებისა და მოვალეობის შესახებ . . 13
2. ოჯახის, საზოგადოების, ხალხის, სახელმწიფოს, ცხოვრების, პოლიტიკის, დიპლომატიის, მმართველობის, თანასწორუფლებიანობის, საზოგადოებრივი საქმის, პროგრესისა და ცივილიზაციის შესახებ 31
3. საქართველოს, ქართველობის, მამულის, მამულიშვილობის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, ქართველთა ქრისტიანობის, ძმობა-ერთობის, სასულიერო წინაპრებისა და თანამედროვე ქართველი მოღვაწეების შესახებ . 66
4. ისტორიის, ერის, ერობის, ეროვნულობისა და სარწმუნოების შესახებ 141
5. ბუნების, კანონზომიერების, აუცილებლობისა და შემთხვევების შესახებ 165
6. თავისუფლების, თავგანწირვის, რევოლუციის, პროლეტარიატის, გონიერი სიფრთხილის, მშვიდობიანობის, ჯანმრთელობის, ომიანობისა და სიკეთე-ხიცოცხლის შესახებ 172
7. ავკარგიანობისა და ცოდვა-მადლის შესახებ 180
8. ავტორიტეტების, გენიოსების, გმირების, მხატვრული სიტყვის თვალსაჩინო წარმომადგენლების, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეებისა და პროგრესულად მოაზროვნე დიდებულებიან პირთა შესახებ . 186
9. ცოლქმრობის, დედაშვილობის, მამაშვილობის, დაძმობის, დედაკაცობისა და ნათესაობის შესახებ 200
10. ჯრმობის, ახალთაობისა და ახალგაზრდობის შესახებ . 208
11. ეკონომიკის, მრეწველობის, წარმოების, საკუთრების, საქმის, გარჯის, შრომა-ჯაფის, სიბეჯითის, თვითმოქმედებისა და მხნეობის შესახებ . 214
12. კონკურენციის, აღებ-მიცემობის, ვაჭრობის, ბანკის, ღირებულების, ფასის, თავნის (კაპიტალის), ბაზრის, კრედიტისა და ფულის შესახებ. 237
13. სოფლის მეურნეობის, მშრომელი გლეხკაცობის, მიწის, მიწათმფლობელობის, მიწათმოქმედების, ვაზის, მეღვინეობის, მეხილეობისა და მეღვინეობის შესახებ. . 254
14. ზნეობის, პასუხისმგებლობის, პატიოსნების, სინდის-ნამუსის, ეთიკის, რწმენის, ღირსების, მორალის, თავმდაბლობის, ქველმოქმედების, ვაჟკაცობისა და კაიკაცობის შესახებ 273
15. სიხარულის, სიყვარულის, სიკეთის, ბედნიერების, მშვენიერების, სათნოების, მეგობრობის, ერთგულების, თანაგრძნობის, კეთილშობილებისა და იმედიანობის შესახებ . 324
16. გრამატიკის, ქართული და მშობლიური ენის, გონიერების, ცნობიერების, ლოგიკის, ანბანის, აზრის, აზროვნების, იერის, ენის, სიტყვის, სიტყვიერების, მეხსიერებისა და მეტყველების შესახებ
17. სწავლა-აღზრდის, განათლების, სკოლის, ცოდნის, სჯა-ბაასის, სიბრძნის, გამოცდილებისა და ნიჭიერების შესახებ

18. ინტელიგენციის, ხელოვნების, კულტურის, პოლიტიკის, პრესისა და ჟურნალისტიკის შესახებ 370
19. პოეზიის, ლიტერატურის, მწერლობის, ხალხური ზეპირსიტყვიერების, კრიტიკისა და მკვლევრმეტყველების შესახებ 409
20. მართლმსაჯულების, კანონის, კანონიერების, სიმართლის, საბართლიანობის, თავლება-მოვალეობის, ადათის, ზნე-ჩვეულებისა და არჩევნების შესახებ 436
21. ხელმაძღვანელობის, ბიწიერების, ავკაცობის, ავზაკობის, სიგლახაკის, სიხარბის, უპასუხისმგებლობის, უიმედობის, ესესეროობის, უმეცრების, ეგოცობისა და პირმოთნეობა-მაამებლობის შესახებ 468
22. სხვადასხვა 555
რეზიუმე (რუსულ ენაზე) 573
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) 577

მხატვარი რომან ნივნივაძე
მხატვრული რედაქტორი სოფიკო ლობჟანიძე
კორექტორი ლია შერგელაშვილი

გადაეცა წარმოებას 1.06,97, ხელმოწერილია დასაბეჭდად
1.09 97, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 36.5. ზომა 60×90 1/16.
ტირაჟი 1000, შეკვეთის № 789

ფასი — სახელშეკრულებო